საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

ქრესტომათია

წიგნი გამოიცა
ევრაზიის
ფონდის
ფინანსური
მხარდაჭერით

შემდგენელ-რედაქტორები და გამომცემლები: თორნიკე თურმანიძე
ერეკლე ურუშაძე
ლევან დუჩიძე

სამეცნიერო რედაქტორი: ზურაბ დავითაშვილი

მთარგმნელები: ერეკლე ურუშაძე
ნინო ლილუაშვილი
შორენა ლორთქიფანიძე
ლევან ღირსიაშვილი
მაია ნიკოლაიშვილი
გიორგი ხელაშვილი
თამთა კუპრაძე
ია ლომიძე
თეა ქილიფთარი
მამუკა კომახია
რევაზ ბახტაძე
თორნიკე თურმანიძე
სოფიო პეტრიაშვილი
თამარ გუნია
ხათუნა გიორგაძე
მაია მგელიაშვილი
ნათია ეჯოშვილი

კორექტორები: მაია ჩხენკელი
ნათია ქაშაკაშვილი

რეცენზენტები: ალექსანდრე რონდელი
არჩილ გეგეშიძე
გიორგი ხუციშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი გვარამაძე

კომპიუტერული დიზაინი: ვახტანგ ელერდაშვილი

© სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი 2004
ISBN : 99928-0-923-X

წინასიტყვაობა

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია – ქრესტომათია წარმოადგენს ქართულ ენაზე გამოცემულ პირველ კრებულს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ძირითად საკითხებს ეძღვნება. მასში შეტანილი შრომები – სტატიები და ნაწყვეტები ცნობილი წიგნებიდან – მსოფლიოში აღიარებულ (როგორც ადრეულ, ისე თანამედროვე) პოლიტიკურ მეცნიერებს ეკუთვნის. ქრესტომათიის შედგენისას მხედველობაში იქნა მიღებული თემების აქტუალურობა და წამყვანი ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამები.

ბუნებრივია, აღნიშნული კრებული ვერ ასახავს საერთაშორისო პოლიტიკის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან თეორიასა თუ მიდგომას, მაგრამ იმედია, რომ ის შესამჩნევად წაახალისებს და გააუმჯობესებს საქართველოში ამ სფეროს მეცნიერულ შესწავლას და დაეხმარება ქართულ აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული და პრაქტიკული საკითხების უკეთ გაანალიზებაში, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ამაღლებასა და უფრო ქმედითი საგარეო-პოლიტიკური თუ უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებას.

სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის *ევრაზიის ფონდს* ფინანსური მხარდაჭერისათვის. აგრეთვე, ყველა იმ გამომცემლობას დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებმაც ქრესტომათიაში გამოყენებული ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოქვეყნების უფლება გასცეს.

გამომცემლები

2004 წლის ივლისი

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე საპატიო და პრესტიჟულ სფეროდ ითვლება ზოგადად მსოფლიოში და განსაკუთრებით საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ინტერესი ძლიერ გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და საერთაშორისო სისტემის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამჯერად საქართველომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს საკუთარი საგარეო პრობლემები, რომლებიც დამოუკიდებლობამდე საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტი იყო.

შექმნილმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიციური სპეციალისტებისა და დიპლომატების მომზადების საკითხი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეს სფერო ფაქტობრივად დახურული იყო ქართველი ახალგაზრდებისათვის. მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი და სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია ნახევრად დახურული, ელიტური სასწავლებლები იყო, სადაც მოკავშირე რესპუბლიკებზე თითოროლა ლიმიტი თუ დაიშვებოდა ხოლმე. ამის გამო საერთაშორისო ურთიერთობების ქართველი სპეციალისტების რიცხვი უკიდურესად მცირე იყო.

დღევანდელ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ცხადია ესაჭიროება საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სათანადო თეორიული ცოდნით და შეეძლებათ მისი პრაქტიკული გამოყენება. ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში არის საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ეკონომიკისა და დიპლომატიის ისტორიის სპეციალობები. ეს მეორე უკიდურესობაა და ფორმალური სახე აქვს, რადგან ძალიან მცირეა იმ სპეციალისტთა რიცხვი, რომლებსაც აქვთ სათანადო დონის განათლება ამ სფეროებში და შეუძლიათ კვალიფიციური კადრების აღზრდა.

საქმეს ისიც ართულებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, საბჭოთა კავშირში (და საერთოდ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში) ფაქტობრივად არ არსებობდა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიასთან იყო გაიგივებული. ახლაც ბევრი ფიქრობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დამოუკიდებელი, თეორიული მეცნიერების არსებობა საეჭვოა და სხვადასხვა მეცნიერების მექანიკურ ნაერთს წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო ასპექტში შეისწავლის პოლიტოლოგიის, სამართალმცოდნეობის, ეკონომიკისა თუ ისტორიის შესაბამის საკითხებს.

დღეს სულ უფრო მეტი მეცნიერი იზიარებს იმ აზრს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები სრულიად კონკრეტული, დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელსაც გააჩნია თავისი ჩამოყალიბებული თეორია, კვლევის ობიექტი, ასპექტი, მეთოდები და მიზანი. ის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიქმნა და ამერიკის შეერთებულ შტატებში პოვა განვითარება. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ საკითხებზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა ავტორების

აბსოლუტური უმრავლესობა ამერიკელია. უკანასკნელ ათწლეულებში საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც კონკრეტული თეორიული მეცნიერება ფეხს იკიდებს სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1991 წლიდან არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა (საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე), რომლის მიზანია მოამზადოს ზოგადი პროფილის საერთაშორისო ურთიერთობათა მცოდნეები, რომლებსაც შეეძლებათ რთული და მრავალმხრივი საერთაშორისო მოვლენების კომპლექსური თეორიული განზოგადება და გაანალიზება. სწორედ ამ სპეციალობის კურსდამთავრებულების, ასპირანტებისა და მაგისტრანტების მიერ არის შედგენილი და თარგმნილი ეს წიგნი, რომელიც საშუალებას აძლევს ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე გაეცნოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში შექმნილ ძირითად ნაშრომებს.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის წარმოდგენილ ქრესტომათიაში თავმოყრილია ის უმთავრესი შრომები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დისციპლინის კლასიკურ ნაწარმოებებად ითვლება და რომლებმაც ფაქტობრივად ჩამოაყალიბეს საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება. ამ მასალის გაცნობის შემდეგ მკითხველს ეძლევა ზოგადი წარმოდგენა საერთაშორისო ურთიერთობების უმთავრეს თეორიულ საკითხებზე და ამ მეცნიერების სხვადასხვა თეორიულ მიმდინარეობაზე.

ქრესტომათიაში მოყვანილი მასალა დაჯგუფებულია თემატურად, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის თეორიულ საფუძვლებს და სამი კლასიკური შრომითაა წარმოდგენილი. ესენია ედვარდ ქარის „უტოპია და რეალობა," რომელიც ერთ-ერთი თავია მისი გახმაურებული წიგნიდან *ოცწლიანი კრიზისი* და რომლითაც იწყება საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების (კერძოდ მისი ყველაზე გავრცელებული და დასაბუთებული თეორიის — პოლიტიკური რეალიზმის) ისტორია. მას მოსდევს „პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი" — ერთ-ერთი მთავარი ნაწილი ჰანს მორგენთაუს კლასიკად აღიარებული, პოლიტიკური რეალიზმის ბიბლიად წოდებული ნაშრომიდან *პოლიტიკა ერებს შორის*. მესამე სტატია კი წარმოადგენს ნაწყვეტებს მარტინ უაითის წიგნიდან *საერთაშორისო თეორია: სამი ტრადიცია*, რომელშიც ღრმად და საფუძვლიანად არის გაანალიზებული საერთაშორისო ურთიერთობების სამი მთავარი მიმართულება და რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ძირითადი სახელმძღვანელოა აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში.

ქრესტომათიის მეორე ნაწილი, „საერთაშორისო სისტემა და საერთაშორისო საზოგადოება," ეხება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ძირითად საკითხებს: საერთაშორისო სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, საერთაშორისო საზოგადოების არსს, წესრიგის პრობლემას ისეთ ანარქიულ საზოგადოებაში, როგორიც საერთაშორისო სისტემაა და საერთაშორისო პოლიტიკის გლობალიზაციას. აღნიშნული პრობლემები ღრმად და საფუძვლიანადაა განხილული საერთაშორისო ურთიერთობების აღიარებული თეორეტიკოსების კენეთ უოლცის, რობერტ გილპინის, ჰედლი ბულის, ადამ უოტსონის, ჯეიმს მაიალისა და იან შოლტეს შრომებში, რომელთა ძირითადი დებულებებიცაა წარმოდგენილი მოცემულ ქრესტომათიაში.

საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხებია ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება, სახელმწიფო ინტერესები და საგარეო პოლიტიკის ძალისმიერი საშუალებები. ამ სფეროში მოღვაწე მკვლევარებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არნოლდ უოლფერსი, რობერტ ჯერვისი, რობერტ არტი და თომას შელინგი. სწორედ მათი შრომებია წარმოდგენილი ქრესტომათიის

მესამე ნაწილში — „უსაფრთხოება და ძალის პოლიტიკა."

საერთაშორისო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სახელმწიფოთა თანამშრომლობის, ინტეგრაციისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, გლობალიზაციის ერაში, როცა ეკონომიკურმა ინტეგრაციამ, კომპლექსურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ტრანსნაციონალურმა მოვლენებმა ფაქტობრივად წაშალა საზღვრები სახელმწიფოთა შორის და შესამჩნევად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათი. აღნიშნული საკითხები განხილულია ქრესტომათიის მეოთხე ნაწილში — „საერთაშორისო თანამშრომლობა," სადაც მკითხველი გაეცნობა რობერტ კიოჰეინისა და ჯოზეფ ნაის, ალექსანდერ ვენდტის, მაიკლ დოილის, სტივენ კრასნერისა და ენდრიუ ჰარელის შრომებს.

და ბოლოს, ქრესტომათიის უკანასკნელ, მეხუთე ნაწილში — „სოციალური კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში" წარმოდგენილია ორი კარგად ცნობილი ავტორის იოჰან გალტუნგისა და იმანუილ ვალერსტაინის სტატიები, რომლებიც ეხება მსოფლიო კაპიტალისტური სისტემისა და იმპერიალიზმის ტრანსფორმაციას თანამედროვე ეპოქაში და საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსის ცვლილებებს.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ამ ქრესტომათიისათვის შერჩეულმა შრომებმა სრულად ასახოს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორიული საკითხი, მაგრამ ისინი ნამდვილად იძლევა ზოგად წარმოდგენას უმთავრეს პრობლემებზე. ამ წიგნის მიზანიც სწორედ ისაა, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნოს საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების ძირითადი ასპექტები.

გარკვეული სირთულე წარმოიქმნა თარგმნისას: რადგან ზოგიერთი სპეციფიკური ინგლისური ტერმინის ქართული შესატყვისი არ მოგვეპოვება და რადგან საქართველოში არც საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების ტრადიცია არსებობს, იძულებული გავხდით ახალი ცნებები შემოგვეტანა.

ეჭვი არ არის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ქრესტომათიის გამოცემა ქართულ ენაზე დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს პოლიტიკურ და სამეცნიერო საზოგადოებას. მოცემული ქრესტომათია სამაგიდო წიგნად იქცევა დიპლომატებისა და საგარეო ურთიერთობების სფეროში დასაქმებული მოხელეებისათვის. ის ძირითადი სახელმძღვანელოს როლს შეასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი ნაწილობრივ მაინც გაფანტავს გაურკვეველობას საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობის შესახებ და ხელს შეუწყობს, როგორც ამ მეცნიერების დამკვიდრებასა და განვითარებას საქართველოში, ისე კვალიფიციური დიპლომატებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მომზადებას.

ზურაბ დავითაშვილი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი I. საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის თეორიული საფუძვლები

ედვარდ ქარი. უტოპია და რეალობა 9

ჰანს მორგენთაუ. პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი 18

მარტინ უაითი. საერთაშორისო თეორიის სამი ტრადიცია, სამი ტრადიციის წონასწორობა 29

ნაწილი II. საერთაშორისო სისტემა და საერთაშორისო საზოგადოება

კენეთ უოლცი. ანარქიული წესრიგი და ძალთა ბალანსი 56

რობერტ გილპინი. საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების ბუნება 84

ჰედლი ბული. არსებობს თუ არა წესრიგი მსოფლიო პოლიტიკაში 116

ადამ უოტსონი. თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება 141

ჯეიმს მაიალი. ნაციონალიზმი და საერთაშორისო წესრიგი 152

იან შოლტე. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია 170

ნაწილი III. უსაფრთხოება და ძალის პოლიტიკა

არნოლდ უოლფერსი. ეროვნული უსაფრთხოება, როგორც ორაზროვანი სიმბოლო ... 196

რობერტ ჯერვისი. თანამშრომლობა უსაფრთხოების დილემის პირობებში 213

თომას შელინგი. ძალადობის დიპლომატია 260

რობერტ არტი. რა მიზნებს ემსახურება სამხედრო ძალა 286

ნაწილი IV. საერთაშორისო თანამშრომლობა

ენდრიუ ჰარელი. კოლექტიური უსაფრთხოებისა და საერთაშორისო წესრიგის ახლებურად გააზრება 302

რობერტ კიოჰეინი და ჯო ზეფ ნაი. ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო პოლიტიკაში, რეალიზმი და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება 324

სტივენ კრასნერი. სტრუქტურული მიზეზები და რეჟიმთა შედეგები: რეჟიმები, როგორც შუალედური ცვლადები 358

მაიკლ დოილი. კანტი, ლიბერალური მემკვიდრეობა და საგარეო ურთიერთობები ... 379

ალექსანდერ ვენდტი. ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ: ძალის პოლიტიკის სოციალური კონსტრუქცია 435

ნაწილი V. სოციალური კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში

იოჰან გალტუნგი. იმპერიალიზმის სტრუქტურული თეორია 473

იმანუილ ვალერსტაინი. მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის წარმოქმნა და მომავალი აღსასრული: ცნებები შედარებითი ანალიზისათვის 485

ნაწილი I. საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის თეორიული საფუძვლები

ედვარდ ქარი
უტოპია და რეალობა*

უტოპიისა და რეალობის ანტითეზა – ბალანსი, რომელიც მუდმივად ხან უახლოვდება და ხან შორდება წონასწორობის წერტილს, ბოლომდე კი არასოდეს აღწევს მას – ფუნდამენტური ანტითეზაა და აზროვნების მრავალ ფორმაში აისახება. საკითხისადმი მიდგომის ორი მეთოდი – ერთი მხრივ, მიდრეკილება, უგულებელყო ის, რაც იყო და ის, რაც არის და განჭვრიტო, თუ რა უნდა იყოს, ხოლო, მეორე მხრივ, მიდრეკილება განსაზღვრო, თუ რა უნდა იყოს იქიდან გამომდინარე, თუ რა ყოფილა და რა არის – ყოველ პოლიტიკურ პრობლემასთან მიმართებაში საპირისპირო შეხედულებების არსებობას განაპირობებს. „ეს მარადიული კამათია," – ამბობს ალბერტ სორელი, – „რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებიან ისინი, ვინც სამყაროს საკუთარი პოლიტიკის შესაბამისად წარმოსახავს და ისინი, ვინც საკუთარ პოლიტიკას სამყაროს სინამდვილეს არგებს."[1] საერთაშორისო პოლიტიკის მიმდინარე კრიზისის შეფასებამდე სასარგებლო იქნება ამ ანტითეზის განხილვა.

თავისუფალი ნება და დეტერმინიზმი

უტოპიისა და რეალობის ანტითეზა გარკვეულწილად თავისუფალი ნებისა და დეტერმინიზმის ანტითეზასთან შეიძლება გავაიგივოთ. უტოპისტი აუცილებლად ვოლუნტარისტია: მას სწამს, რომ ნების გამოვლენით რეალობის მეტ-ნაკლებად რადიკალურად უარყოფა და მისი უტოპიით ჩანაცვლებაა შესაძლებელი. რეალისტი კი მოვლენათა წინასწარგანსაზღვრულ თანამიმდევრობას აანალიზებს, რომლის შეცვლასაც შეუძლებლად მიიჩნევს. რეალისტის ხედვით, ჰეგელის *სამართლის ფილოსოფიის* შესავლიდან ცნობილ სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ფილოსოფია ყოველთვის „ძალიან იგვიანებს" იმისათვის, რომ სამყარო შეცვალოს. ფილოსოფიის მეშვეობით მხოლოდ ძველი წესრიგის „შესწავლაა შესაძლებელი და არა მისი განახლება." უტოპისტი, რომელიც მუდმივად მომავალს შესცქერის, შემოქმედებითი სპონტანურობით აზროვნებს, რეალისტს კი ფესვები წარსულში აქვს გადგმული და მიზეზობრიობის კუთხით ფიქრი ურჩევნია. ადამიანის ნებისმიერი ჯანსაღი ქმედება და, შესაბამისად, ნებისმიერი ჯანსაღი აზრი უტოპიასა და რეალობას, თავისუფალ ნებასა და დეტერმინიზმს შორის წონასწორობას უნდა ამყარებდეს. აბსოლუტური რეალისტი, რომელიც მოვლენათა მიზეზობრივ თანმიმდევრობას უპირობოდ აღიარებს, სინამდვილის შეცვლის შესაძლებლობას უშვებს ხელიდან, ხოლო აბსოლუტური უტოპისტი, მიზეზობრივი ჯაჭვის უარყოფის გამო, ვერც იმ სინამდვილეს გაიაზრებს, რომლის შეცვლასაც ესწრაფის და ვერც მისი შეცვლისათვის აუცილებელ პროცესს.

---

* **Edward Hallet Carr, Utopia and Reality, from *The Twenty Years' Crisis, 1919-1939: An Introduction to the Study of International Relations*, London: Macmillan & Co., 1939. Chapter 2, pp. 12-21. Reprinted by permission of Palgrave Macmillan Ltd.**

[1] A. Sorel, *L'Europe et la Révolution Française*, p. 474.

უტოპისტს გულუბრყვილობა ახასიათებს, რეალისტს კი – არაპროდუქტიულობა.[2]

თეორია და პრაქტიკა

უტოპიისა და რეალობის ანტითეზა თეორიისა და პრაქტიკის ანტითეზასაც ემთხვევა. უტოპისტი პოლიტიკურ თეორიას ნორმად აქცევს, რომელსაც პოლიტიკის პრაქტიკა უნდა დაემორჩილოს. რელისტი კი პოლიტიკურ თეორიას პოლიტიკის პრაქტიკის ერთგვარ კოდიფიკაციად მიიჩნევს. უკანასკნელ წლებში, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქნა აღიარებული. უტოპისტიც და რეალისტიც ამ ურთიერთობას დამახინჯებულად წარმოაჩენენ. უტოპისტი, რომელსაც მიზნისა და ფაქტის ურთიერთდამოკიდებულების აღიარება სურს, მიზანს ერთადერთ ღირებულ ფაქტად განიხილავს და მისთვის სასურველ დებულებებს ყოველთვის თხრობითი კილოთი გადმოგვცემს. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ამტკიცებს, რომ „ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად," ბატონი ლიტვინოვი – რომ „მშვიდობა განუყოფელია,"[3] ხოლო სერ ნორმან ენჯელი – რომ „კაცობრიობის ბიოლოგიური დაყოფა დამოუკიდებელ და ერთმანეთთან მებრძოლ სახელმწიფოებად მეცნიერული თვალსაზრისით უაზრობაა."[4] ამის მიუხედავად, აშკარაა, რომ ყველა ადამიანი თანასწორად თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი არ იბადება და რომ საბჭოთა კავშირი არ შეიძლება მშვიდობიანად ცხოვრობდეს მაშინ, როდესაც მისი მეზობლები ომში არიან ჩაბმულნი. ჩვენ, ალბათ, კარგი აზრის არ ვიქნებოდით ზოოლოგზე, რომელიც კატიჭამია ვეფხვს „მეცნიერულ აბსურდს" უწოდებს. ასეთი დებულებები მხოლოდ პოლიტიკური პროგრამის პუნქტებია, რომლებიც ფაქტების საბურველშია გახვეული.[5] უტოპისტი ასეთი „ფაქტების" საოცნებო სამყაროში ცხოვრობს, რომელიც შორსაა რეალური სამყაროსაგან, სადაც სრულიად საპირისპირო ფაქტების დანახვა შეიძლება. რეალისტი ადვილად ხვდება, რომ ასეთი უტოპიური დებულებები მხოლოდ მისწრაფებებია და არა ფაქტები და რომ მათ პირობითი კილო შეეფერება და არა თხრობითი. რეალისტი გვიჩვენებს, რომ მისწრაფებებად აღქმულნი, ისინი *a priori* დებულებებად არ გვევლინება, არამედ რეალური სამყაროს ნაწილს შეადგენს, რისი გაცნობიერებაც უტოპისტს არ შეუძლია. ამრიგად, რეალისტის აზრით, ადამიანთა თანასწორობა პრივილეგიებს მოკლებულთა იდეოლოგიაა, რომლებსაც პრივილეგირებულ ადამიანებთან გათანაბრება სურთ, მშვიდობის განუყოფელობა – შედარებით დაუცველ სახელმწიფოთა იდეოლოგიაა, რომლებიც ცდილობენ დაამკვიდრონ პრინციპი, რომ მათზე თავდასხმა უფრო ხელსაყრელი მდებარეობის მქონე ქვეყნებსაც უნდა ადარდებდეს,[6] ხოლო სუვერენულ სახელმწიფოთა არსებობის აბსურდულობა – გაბა-

[2] ამ შემთხვევაში ფსიქოლოგისათვის საინტერესო იქნება ანალოგია – არაუმეტეს ამ სიტყვის მნიშვნელობისა – იუნგის მიერ გამოყოფილ ფსიქოლოგიურ ტიპებთან: „ინტროვერტი" და „ექსტრავერტი" (Jung, *Psychological Types*) ან უილიამ ჯეიმსის საპირისპირო ნყვილებთან: რაციონალისტი – ემპირისტი, ინტელექტუალი – სენსაციონისტი, იდეალისტი – მატერიალისტი, ოპტიმისტი – პესიმისტი, რელიგიური – არარელიგიური, თავისუფალი ნების მქონე – ფატალისტი, მონისტი – პლურალისტი, დოგმატიკოსი – სკეპტიკოსი (W. James, *Pragmatism*).

[3] *League of Nations: Sixteenth Assembly*, p. 72.

[4] Angell, *The Great Illusion*, p. 138.

[5] მსგავსად ამისა, მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია, კეთილგანწყობილი კრიტიკოსის თქმით, „უფრო პოლიტიკური და სოციალური ლოზუნგია, ვიდრე ეკონომიკური ჭეშმარიტება." (M. Beer, *The Life and Teaching of Karl Marx*, p. 129).

[6] საბჭოთა ხელისუფლებამ, მას შემდეგ რაც მიხვდა, რომ სხვა სახელმწიფოები მასზე უფრო მეტად იყვნენ დაუცველნი, 1939 წლის მაისში ბატონი ლიტვინოვი თანამდებობიდან გადააყენა და მშვიდობის განუყოფელობაზე საუბარი შეწყვიტა.

ტონებულ სახელმწიფოთა იდეოლოგიაა, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტს საკუთარი ბატონობის ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქვამენ. უტოპიური თეორიის ამ ფარული საფუძვლების გამოაშკარავება ნებისმიერი სერიოზული პოლიტიკური მეცნიერების აუცილებელი წინაპირობაა. ამავე დროს, რეალისტი, რომელიც პოლიტიკური თეორიების ნებისმიერ *a priori* ღირსებებს უარყოფს და ამ თეორიების პრაქტიკასთან კავშირს ამტკიცებს, ადვილად აღიარებს დეტერმინიზმს, რომლის თანახმადაც თეორია, როგორც მხოლოდ განპირობებული და წინასწარდადგენილი მიზნის რაციონალიზაცია, უსარგებლოა და მოვლენათა თანამიმდევრობას ვერ ცვლის. ამდენად, თუ უტოპისტი მიზანს ერთადერთ მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს, რეალისტმა მიზანი მხოლოდ სხვა ფაქტების მექანიკურ შედეგად შეიძლება ჩათვალოს. თუ განვაცხადებთ, რომ ადამიანის ნებისა და მისწრაფებების ამგვარი მექანიკურობა უვარგისი და მიუღებელია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ თეორია, რომელიც პრაქტიკიდან მომდინარეობს და პრაქტიკადვე გადაიქცევა, ამ პროცესში თავადაც ასრულებს გარდამქმნელ როლს. რეალისტის რწმენის საპირისპიროდ, პოლიტიკური პროცესი მხოლოდ მიზეზობრიობის მექანიკური კანონებით მართული მოვლენების თანმიმდევრობა არ არის. არც უტოპისტების მოსაზრებაა მართალი, თითქოს ეს პროცესი ბრძენი და შორსმჭვრეტელი ადამიანების მიერ საკუთარ ცნობიერებაში მიგნებული თეორიული ჭეშმარიტებების პრაქტიკაში განხორციელებით შემოიფარგლება. პოლიტიკური მეცნიერება თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების აღიარებას უნდა ემყარებოდეს, რისი მიღწევაც მხოლოდ უტოპიისა და რეალობის შერწყმით არის შესაძლებელი.

ინტელექტუალი და ბიუროკრატი

პოლიტიკაში თეორიისა და პრაქტიკის ანტითეზის კონკრეტული გამოხატულება „ინტელექტუალისა" და „ბიუროკრატის" დაპირისპირებაა.[7] პირველი ხელმძღვანელობს *a priori* დებულებებით, მეორე კი ემპირიული გამოცდილებით. სავსებით ბუნებრივია, რომ ინტელექტუალი იმ ბანაკში აღმოჩნდება, რომელიც პრაქტიკის თეორიისადმი დაქვემდებარებას ცდილობს, ვინაიდან, როგორც წესი, ინტელექტუალებს არ სურთ იმის აღიარება, რომ მათი აზროვნება გარეშე ფაქტორებით არის განპირობებული და საკუთარ თავი იმ ლიდერებად მიაჩნიათ, რომელთა თეორიებიც ე.წ. პრაქტიკოსი ადამიანებისათვის მამოძრავებელი ძალაა. მეტიც, უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე ინტელექტუალთა შეხედულებებმა მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დიდი ზეგავლენა განიცადა. ინტელექტუალთა უმრავლესობამ დაასკვნა, რომ ზოგადი პრინციპის დადგენა და ამ პრინციპის მეშვეობით კერძო შემთხვევათა შემოწმება ნებისმიერი მეცნიერების აუცილებელი დასაყრდენი და საწყისი წერტილია. ამის გათვალისწინებით, უტოპიზმი, რომელიც ზოგად პრინციპებს დაჟინებით იცავს, პოლიტიკისადმი ინტელექტუალთათვის დამახასიათებელ მიდგომად შეიძლება მივიჩნიოთ. ვუდრო უილსონი, ინტელექტუალ პოლიტიკოსთა ყველაზე თვალსაჩინო თანამედროვე წარმომადგენელი, „მშვენივრად ახერხებდა ფუნდამენტური პრინციპების გამომზეურებას . . . მისი პოლიტიკური

[7] ტერმინი „ბიუროკრატი" ამ შემთხვევაში აგრეთვე მოიცავს საბრძოლო უწყებათა იმ თანამშრომლებს, რომლებიც პოლიტიკის ნარმართვით არიან დაკავებულნი. შესაძლოა, აღარც არის საჭირო იმის დამატება, რომ ყველა ვისაც ინტელექტი აქვს ინტელექტუალი არ არის, ისევე როგორც ყველას, ვისაც სამთავრობო დაწესებულებაში თანამდებობა უკავია, ბიუროკრატი არ შეიძლება ეწოდოს. მიუხედავად ამისა, არსებობს აზროვნების ტიპები, რომლებიც ზოგადად „ბიუროკრატისა" და „ინტელექტუალისთვის" არის დამახასიათებელი.

მეთოდი . . . გულისხმობდა მოწოდებათა ფართო და მარტივ პრინციპებზე დაფუძნებას და, ამავე დროს, კონკრეტულ ზომებზე მსჯელობის თავიდან აცილებას."[8] ესა თუ ის, თითქოს ზოგადი პრინციპი, როგორიცაა „ეროვნული თვითგამორკვევა," „თავისუფალი ვაჭრობა" ან „კოლექტიური უსაფრთხოება" (რეალისტი თითოეულ ასეთ პრინციპში იოლად ამოიცნობს კერძო ინტერესებისა და პირობების კონკრეტულ გამოხატულებას) აბსოლუტურ სტანდარტად ცხადდება და პოლიტიკის ავკარგიანობა იმის მიხედვით ფასდება, თუ რამდენად შეესაბამება ან ეწინააღმდეგება ის ამ სტანდარტს. თანამედროვე ეპოქაში ყველა უტოპიურ მოძრაობას ინტელექტუალები ედგნენ სათავეში და ის სამსახური, რომელიც უტოპიზმმა პოლიტიკურ პროგრესს გაუწია მეტწილად მათ უნდა მივაწეროთ. მაგრამ უტოპიზმის თანამდევი სისუსტე ინტელექტუალ პოლიტიკოსებსაც ახასიათებთ – მათ არსებული რეალობისა და მასთან საკუთარი სტანდარტების კავშირის გააზრება არ ძალუძთ. გერმანულ პოლიტიკაში ინტელექტუალთა როლის შესახებ მაინეკე წერდა: „მათ შეეძლოთ, საკუთარი პოლიტიკური მისწრაფებებისათვის სიწმინდისა და დამოუკიდებლობის, იდეალიზმისა და კონკრეტულ ინტერესთა თამაშზე ამაღლების სული შთაებერათ . . . მაგრამ პრაქტიკულ სახელმწიფო საქმეთა რეალისტური ინტერესების აღქმის უუნარობამ მათი ამაღლებული განწყობა უმალ ექსტრავაგანტულად და ექსცენტრიულად აქცია."[9]

ხშირად ამტკიცებენ, რომ ინტელექტუალთა აზროვნება ნაკლებად შეზღუდულია, ვიდრე იმ ჯგუფებისა, რომელთა ერთიანობაც საერთო ეკონომიკურ ინტერესებს ემყარება და რომ, აქედან გამომდინარე, მათ *au-dessus de la mêlée** პოზიცია უკავიათ. ჯერ კიდევ 1905 წელს ლენინი აკრიტიკებდა „მოძველებულ მოსაზრებას, თითქოს ინტელიგენციას . . . კლასის მიღმა არსებობა შეუძლია."[10] მოგვიანებით ეს მოსაზრება დოქტორმა მანჰაიმმა ააღორძინა, რომელიც ამტკიცებს, რომ ინტელიგენცია, როგორც „შედარებით უკლასო" და „სოციალურად განკერძოებული" ფენა, „საკუთარ თავში მოიცავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ყველა ინტერესს" და, ამდენად, უფრო მეტად მიუკერძოებელი და ობიექტური შეიძლება იყოს.[11] ნაწილობრივ, ეს სიმართლეს შეეფერება. მაგრამ ამის საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი უპირატესობა გაქარწყლებულია შესაბამისი უუნარობით, ანუ [ინტელიგენციის] იმ მასებისგან მოწყვეტილობით, რომელთა განწყობაც პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორია. იმ შემთხვევებშიც კი, როცა მათი ლიდერობის ილუზია ყველაზე უფრო ძლიერი იყო, თანამედროვე ინტელექტუალები ხშირად იმ ოფიცერთა მდგომარეობაში აღმოჩენილან, რომლებსაც ჯარისკაცები მშვიდობიან დროს ერთგულად მიჰყვებიან, ხოლო პირველივე სერიოზულ ბრძოლაში მიატოვებენ ხოლმე. გერმანიასა და ბევრ უფრო მცირე ევროპულ ქვეყანაში 1919 წლის დემოკრატიული კონსტიტუციები თავდადებული ინტელექტუალების მიერ დაიწერა და თეორიულად სრულყოფილიც იყო, მაგრამ როდესაც კრიზისი დაიწყო, მათ თითქმის ყველგან არსებობა შეწყვიტეს, ვინაიდან მოსახლეობის ფართო მასები დიდი ხნით ერთგული ვერ გაიხადეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ინტელექტუალებმა ერთა ლიგის შექმნაში წამყვანი როლი შეასრულეს და მათი უმრავლესობა შემდგომშიც ამ ორგანიზაციის აღიარებულ მხარდამჭერად დარჩა. მიუხედავად ამისა, ამერიკელი ხალხის მასამ, რომელიც თითქოს ამ ლიდერებს მიჰყვებოდა, კრიტიკულ მომენტში მათ ზურგი აქცია. დიდ ბრიტანეთში ინტელექტუალებმა, თავდადე-

[8] R. S. Baker, *Woodrow Wilson: Life and Letters*, iii. p. 90.
[9] Meinecke, *Staat und Personlichkeit*, p. 136.
* ჩაურევლობის
[10] Lenin, *Works* (2nd Russian ed.), vii. p. 72.
[11] Mannheim, *Ideology and Utopia*, pp. 137-40.

ბული და ენერგიული პროპაგანდის წყალობით, ქაღალდზე ერთა ლიგისათვის დიდი მხარდაჭერა მოიპოვეს, მაგრამ როდესაც ლიგის წესდებამ ისეთი მოქმედება მოითხოვა, რომელიც ხალხის მასებისათვის პრაქტიკულ შედეგს მოიტანდა, სწარაფად ცვალებადმა მთავრობებმა უმოქმედობა არჩიეს. ინტელექტუალთა პროტესტს კი ქვეყანაში რაიმე შესამჩნევი რეაქცია არ მოჰყოლია.

განსხვავებით ამისაგან, ბიუროკრატის მიდგომა პოლიტიკისადმი ძირფესვიანად ემპირიულია. ბიუროკრატი თითოეულ პრობლემას „კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე" განიხილავს, ერიდება პრინციპების ფორმულირებას და სწორი გზის მისაგნებად ინტუიციას ენდობა, რომელიც ხანგრძლივი გამოცდილების შედეგია და არა ცნობიერ მსჯელობისა. „არ არსებობს ზოგადი შემთხვევები," – თქვა ფრანგმა სახელმწიფო მოხელემ, რომელიც ერთა ლიგის ასამბლეაზე საფრანგეთის დელეგატის მოვალეობას ასრულებდა, „არსებობს მხოლოდ კერძო შემთხვევები."[12] თეორიის ასეთი სიძულვილით ბიუროკრატი პრაქტიკოს ადამიანს მოგვაგონებს. "On s'engage, puis on voit"* – ამ დევიზს არაერთ ცნობილ გენერალს მიაწერენ. ბრიტანული სამოქალაქო სამსახურის ჩინებული მუშაობა ნანილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ბიუროკრატიული მენტალიტეტი იოლად ერგება ბრიტანული პოლიტიკის ემპირიულ ტრადიციას. იდეალური სამოქალაქო მოსამსახურე ძალიან ჰგავს ინგლისელი პოლიტიკოსის პოპულარულ პორტრეტს, როგორც ადამიანისა, რომელიც თავს არიდებს დაწერილ კონსტიტუციებსა და საზეიმო შეთანხმებებს და მხოლოდ პრეცედენტით, ინსტინქტით, სწორი გზის შერჩევის ალღოთი ხელმძღვანელობს. უდავოა, რომ ამგვარი ემპირიციზმი გარკვეული თვალთახედვით არის განპირობებული და ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების კონსერვატიულ ჩვევებს ასახავს. ბიუროკრატი, ალბათ, უფრო აშკარად ვიდრე საზოგადოების ნებისმიერი სხვა კლასის წარმომადგენელი, დაინტერესებულია არსებული წესრიგისა და ტრადიციის შენარჩუნებით, აგრეთვე, მოქმედების „საიმედო" კრიტერიუმად პრეცედენტის აღიარებით. ამიტომაც, ბიუროკრატი იოლად დაეცემა მანდარინის უხეშ და ფუჭ ფორმალიზმამდე და გარკვეულ პროცედურათა იდუმალ ცოდნას დაიჩემებს, რომელიც თვით ყველაზე უფრო გონიერი გარეშე დამკვირვებლისთვისაც კი მიუწვდომელია. "Expérience vaut mieux que science,"* – ბიუროკრატის ტიპიური დევიზია. „მიღწევები სწავლასა და მეცნიერებაში," – წერდა ბრაისი, რითაც ფართოდ გავრცელებულ სტერეოტიპს აღწერდა, „სულაც არ მატებს ადამიანებს პოლიტიკურ სიბრძნეს."[13] თუ ბიუროკრატს სურს, რომ ესა თუ ის წინადადება აბუჩად აიგდოს, მას „აკადემიურს" უწოდებს. პოლიტიკური სიბრძნის წყაროდ მიჩნეულია პრაქტიკა და არა თეორია, ბიუროკრატიული გამოცდილება და არა ბრწყინვალე ინტელექტი. ბიუროკრატისათვის პოლიტიკა თავისთავად მიზანია. უნდა აღინიშნოს, რომ მაკიაველიც და ბეკონიც ბიუროკრატები იყვნენ.

ფუნდამენტური ანტითეზა აზროვნების ინტელექტუალურ და ბიუროკრატიულ ფორმებს შორის, რომელიც ფარული სახით ყველგან და ყოველთვის არსებობდა, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ისეთ სფეროში გამოვლინდა, რომელშიც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი – მშრომელთა მოძრაობაში. 1870-იან წლებში ენგელსი გერმანელ მშრომელებს ულოცავდა იმ ფაქტს, რომ ისინი „მსოფლიოში ყველაზე უფრო თეორიული ერის შვილები იყვნენ და რომ მათ შეინარჩუნეს იმგვარი თეორიული აზროვნება, რომელიც გერმანიის ეგრეთწოდებულმა „განათლე-

[12] *League of Nations: Fifteenth Assembly*, Sixth Committee. p. 62.

* დავიწყებთ და მერე ვნახოთ.

* გამოცდილება უფრო ღირებულია, ვიდრე ცოდნა.

[13] Bryce, *Modern Democracies*, i. p. 89.

ბულმა" კლასებმა სრულებით დაივიწყეს." ამ მისასალმებელ თვისებას იგი უპირისპირებდა „ყოველგვარი თეორიისადმი გულგრილობას, რომელიც ინგლისის მშრომელთა მოძრაობის ნელი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო."[14] ორმოცი წლის შემდეგ ეს მოსაზრება კიდევ ერთმა გერმანელმა ავტორმა დაადასტურა.[15] მარქსის დოქტრინის თეორიული ანალიზი გერმანიის წამყვანი სოციალ-დემოკრატების ძირითადი საქმინობა გახდა და არაერთი დამკვირვებლის რწმენით, პარტიის საბოლოო კრახზე ამგვარი ცალმხრივი ინტელექტუალური განვითარების ფაქტორმა მოახდინა გადამწყვეტი ზეგავლენა. უკანასკნელი რამდენიმე წლის გამოკლებით, ბრიტანეთის მშრომელთა მოძრაობა ყოველმხრივ თავს არიდებდა თეორიას. ამჟამად, მოძრაობის ინტელექტუალურ და პროფკავშირულ ფრთებს შორის სრულფასოვანი ჰარმონიის არარსებობა ლეიბორისტული პარტიისათვის პრობლემების მნიშვნელოვანი წყაროა. პროფესიული კავშირის წარმომადგენელს ინტელექტუალი უტოპისტ თეორეტიკოსად მიაჩნია, რომელსაც მოძრაობის პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის გამოცდილება აკლია, ინტელექტუალი კი პროფესიული კავშირის ლიდერს ბიუროკრატობას საყვედურობს. მუდმივი კონფლიქტები ბოლშევიკური პარტიის ფრაქციებს შორის საბჭოთა რუსეთში ნაწილობრივ მაინც შეიძლება განხილულ იქნეს კონფლიქტებად „პარტიულ ინტელიგენციასა" და „პარტიულ აპარატს" შორის. პირველს ბუხარინი, კამენევი, რადეკი და ტროცკი წარმოადგენდნენ, ხოლო მეორეს – ლენინი, სვერდლოვი (გარდაცვალებამდე 1919 წელს) და სტალინი.[16]

ომებს შორის ოცწლიან პერიოდში, ინტელექტუალისა და ბიუროკრატის დაპირისპირება დიდ ბრიტანეთში ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ საგარეო საქმეთა სფეროში გამოჩნდა. პირველი მსოფლიო ომის დროს, დემოკრატიული კონტროლის კავშირი, უტოპისტ ინტელექტუალთა ორგანიზაცია, ცდილობდა, გაევრცელებინა შეხედულება, რომ ომის მიზეზი ყველა ქვეყანაში საგარეო საქმეების პროფესიონალი დიპლომატების კონტროლქვეშ ყოფნა იყო. ვუდრო უილსონი მიიჩნევდა, რომ მშვიდობა გარანტირებული იქნებოდა, თუ საერთაშორისო საკითხებს მოაგვარებდნენ „არა პირად ინტერესებზე ზრუნვით გატაცებული დიპლომატები და პოლიტიკოსები, არამედ მიუკერძოებელი მეცნიერები – გეოგრაფები, ეთნოგრაფები, ეკონომისტები – რომლებიც არსებული პრობლემების შესწავლით იყვნენ დაკავებულნი."[17] ერთა ლიგის წრეებში ბიუროკრატებს, განსაკუთრებით კი დიპლომატებს, დიდი ხნის მანძილზე ეჭვის თვალით უყურებდნენ. ითვლებოდა, რომ ლიგა დიდად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო პრობლემების მოგვარებას იმით, რომ ამ პროცესს ჩამოაშორებდა რეაქციულად განწყობილ საგარეო საქმეთა უწყებებს. სამშვიდობო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, ერთა ლიგის დამფუძნებელი შეთანხმების წარდგენისას უილსონი საუბრობდა „შეგრძნებაზე, რომ თუ ერთა ლიგის სათათბირო ორგანო სხვადასხვა მთავრობათა წარმომადგენელი სახელმწიფო მოხელეებისაგან დაკომპლექტდებოდა, მსოფლიოს ხალხები ვერ იქნებოდნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ ფიქრით გართულ თანამდებობის პირთა მიერ ადრე ჩადენილი შეცდომები აღარ განმეორდებოდა."[18] მოგვიანებით, ლორდმა სესილმა, თემთა პალატაში, ეს მოსაზრება უფრო

[14] ციტირებულია: Lenin, *Works* (2nd Russian ed.), iv. p. 381.

[15] „ჩვენ მსოფლიოში ყველაზე უფრო თეორიული მშრომელთა მოძრაობა გვყავს." (F. Naumann, *Central Europe*, Engl. transl. p. 121).

[16] ეს ინტერპრეტაცია, რომელიც მოყვანილია მირსკის 1931 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ლენინი" (pp. 111, 117-118) შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა. განხეთქილება პარტიის არსებობის ადრეულ პერიოდში ნარმოიშვა. 1904 წელს ლენინი პარტიულ ინტელექტუალებს დისციპლინისა და ორგანიზაციის უგულებელყოფაში სდებდა ბრალს, ინტელექტუალები კი ლენინის ბიუროკრატიულ მეთოდებს აკრიტიკებდნენ (Lenin, *Works* (2nd Russian ed.), vi. pp. 309-311).

[17] R. S. Baker, *Woodrow Wilson and World Settlement*, i.p. 112.

[18] *History of the Peace Conference*, ed. H. Temperley, iii. p. 62.

მკვეთრი ფორმით გამოთქვა:

ვშიშობ, სამშვიდობო კონფერენციაზე, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, იმ დასკვნამდე მივედი რომ პრუსიელები მხოლოდ გერმანიით არ შემოიფარგლებოდნენ. არსებობს ოფიციალური კლასებისათვის დამახასიათებელი გარკვეული ტენდენცია და ტრადიცია . . . ნებსით თუ უნებლიეთ, მიდიხარ დასკვნამდე, რომ, მათი აზრით, სწორია ის რაც არსებობს.'[19]

მეორე ასამბლეაზე, ლორდმა სესილმა „ოფიციალური კლასების" საპირისპიროდ „საზოგადოებრივი აზრის" მხარდაჭერა მოიხმო, რომელიც, სავარაუდოდ, ლიგას უნდა გამოეხატა.[20] ამგვარი განცხადებები მომდევნო ათი წლის განმავლობაში ხშირად გაისმოდა. თავის მხრივ, ბიუროკრატი ასეთივე უნდობლობით ეკიდებოდა ენთუზიასტი ინტელექტუალების მისიონერულ სწრაფვას კოლექტიური უსაფრთხოების, მსოფლიო წესრიგისა და საყოველთაო განიარაღებისაკენ. ეს სქემები მას წმინდა წყლის თეორიულ ქმნილებებად მიაჩნდა, რომლებიც პრაქტიკულ გამოცდილებას არ ემყარებოდა. შეხედულებათა შორის ეს განსხვავება კარგად გამომჟღავნდა განიარაღების საკითხში. ინტელექტუალისათვის ზოგადი პრინციპი მარტივი და გასაგები იყო. მისი განხორციელების საეჭვო სირთულეები კი „ექსპერტთა" წინაღმდეგობიდან მომდინარეობდა.[21] ექსპერტისათვის ზოგადი პრინციპი უშინაარსოდ და უტოპიურად გამოიყურებოდა. შესაძლებელი იყო თუ არა შეიარაღებათა შემცირება და რა სახის შეიარაღებების – „პრაქტიკულ" საკითხს წარმოადგენდა, რომელიც თითოეულ შემთხვევაში „კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე" უნდა გადაწყვეტილიყო.

მემარცხენეები და მემარჯვენეები

უტოპიისა და რეალობის, ანუ თეორიისა და პრაქტიკის, ანტითეზა კიდევ ერთხელ მეორდება რადიკალისა და კონსერვატორის, ანუ მემარცხენისა და მემარჯვენის, ანტითეზაში, თუმცა, ნუ ვიჩქარებთ იმ დასკვნის გაკეთებას, რომ აღნიშნულ სახელწოდებათა მატარებელი პარტიები ყოველთვის ამ სიღრმისეულ ტენდენციებს გამოხატავენ. რადიკალი აუცილებლად უტოპისტია, ხოლო კონსერვატორი – რეალისტი. ინტელექტუალს, ანუ თეორიის ადამიანს, ბუნებრივად უფრო მემარცხენეობა იზიდავს, ისევე როგორც ბიუროკრატს, ანუ პრაქტიკის ადამიანს – მემარჯვენეობა. ამიტომაც, მემარჯვენე მოძრაობა თეორიაში სუსტია და იდეების სიმწირეს განიცდის. მემარცხენე მოძრაობისათვის დამახასიათებელი სისუსტე თეორიის პრაქტიკად გარდაქმნის უუნარობაა – უუნარობა, რომელიც, თითქოსდა ბიუროკრატების ბრალია, მაგრამ, სინამდვილეში, მისი უტოპიური ბუნებიდან მომდინარეობს. „მემარცხენეს აქვს გონება (*Vernunft*), მემარჯვენეს კი – სიბრძნე (*Verstand*)," – წერდა ნაცისტი ფილოსოფოსი მოლერ ვან დენ ბრუკი.[22] ბერკის დროიდან მოყოლებული

[19] House of Commons, July 21, 1919: *Official Report*, col. 993.

[20] *League of Nations: Second Assembly*, Third Committee, p. 281.

[21] „მიუღებელია," – თქვა ბელგიელმა სოციალისტმა დე ბრუკერმა, – „რომ ტექნიკური დეტალების ლაბირინთში დაკარგულმა ექსპერტებმა ხალხს მშვიდობის იმედი წაართვან, მით უფრო, რომ სულ ცოტაოდენი კეთილი ნება საკმარისი იქნებოდა ამ ლაბირინთიდან რამდენიმე საათში გამოსასვლელად." (Peace and Disarmament Committee of the Women's International Organizations: Circular of May 15, 1932). დაახლოებით ამავე ხანებში, ლორდმა სესილმა მსგავსი მოსაზრება გამოთქვა: „საქმე რომ ექსპერტებისათვის მიგვეცნდო, არაფერი გამოვიდოდა. ერთი შეხედვით, ისინი ყველაზე უფრო უნარიანი, კეთილსინდისიერი და კარგად მომზადებული ბატონები არიან, მაგრამ შეხედეთ მათ განათლებას" (*Manchester Guardian*, May 18, 1932).

[22] Moeller van den Bruck, *Das Dritte Reich* (3rd ed.), p. 257.

ინგლისელი კონსერვატორები ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდნენ იმას, რომ პრაქტიკული პოლიტიკა, ლოგიკური პროცესის მეშვეობით, პოლიტიკურ თეორიაზე დაყრდნობით შეიძლება აგებულიყო. „მხოლოდ სილოგიზმებით ხელმძღვანელობა უმოკლესი გზაა უძირო ორმოსაკენ," – ამბობს ლორდი ბოლდუინი[23]. ეს ფრაზა მიგვანიშნებს, რომ იგი აზროვნების მკაცრად ლოგიკური ფორმებისათვის თავის არიდებას ქადაგებს და პრაქტიკულადაც ასე იქცევა. ბატონი ჩერჩილი უარს ამბობს დაიჯეროს, რომ „დოქტრინის ექსტრავაგანტული ლოგიკა" ბრიტანელი ამომრჩევლებისათვის მიმზიდველია.[24] საგარეო პოლიტიკის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების განსაკუთრებით მკაფიო განსაზღვრებას ნევილ ჩემბერლენის მიერ თემთა პალატაში ლეიბორისტების მხრიდან კრიტიკის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში ვანყდებით:

რას გულისხმობს პატივცემული წევრი, როდესაც საგარეო პოლიტიკაზე საუბრობს? თქვენ შეგიძლიათ, მართებული და ზოგადი დებულებები წარმოადგინოთ. შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენი საგარეო პოლიტიკა მშვიდობის შენარჩუნებისკენაა მიმართული. შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ ის ბრიტანეთის ინტერესების დაცვას ემსახურება. შეგიძლიათ თქვათ, რომ ის თქვენი გავლენის, როგორიც არ უნდა იყოს მისი მასშტაბი, სიკეთის სახელით ბოროტების წინააღმდეგ გამოყენებას ისახავს მიზნად, თუ, რა თქმა უნდა, სიკეთის ბოროტებისაგან გარჩევა შეგიძლიათ. თქვენ შეიძლება შემოგვთავაზოთ ყველა ხსენებული ზოგადი პრინციპი, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკა. ეჭვგარეშეა, რომ თუ პოლიტიკის შემუშავება გსურთ, კონკრეტული ვითარება უნდა განიხილოთ და იმსჯელოთ, თუ როგორი მოქმედება ან უმოქმედობა შეეფერება მას. პირადად მე სწორედ ამას ვუწოდებ პოლიტიკას და სავსებით ცხადია, რომ რადგანაც ვითარება და გარემოებები საგარეო საქმეებში ყოველდღიურად იცვლება, თქვენი პოლიტიკა ერთხელ და სამუდამოდ ვერ განისაზღვრება, თუკი გსურთ რომ ის ნებისმიერ შესაძლო ვითარებას მოერგოს.[25]

მემარცხენეთა ინტელექტუალური უპირატესობა იშვიათად დგება ეჭვის ქვეშ. მხოლოდ მემარცხენეები აყალიბებენ პოლიტიკურ პრინციპებს და იდეალებს, რომლებისკენაც სახელმწიფო მოღვაწეები უნდა ისწრაფოდნენ, მაგრამ მათ პრაქტიკული გამოცდილება აკლიათ, რომელიც სინამდვილესთან უშუალო შეხებით მიიღება. სამწუხაროდ, დიდ ბრიტანეთში, 1919 წლიდან მოყოლებული, მემარხცენეები ხელისუფლებაში მცირე ხანით იყვნენ, დიდ ადმინისტრაციულ გამოცდილებას ვერ დაეუფლნენ და წმინდა თეორიის პარტიად იქცნენ, ხოლო მემარჯვენეებს, რომლებიც ოპოზიციაში ასე ცოტა ხანს იმყოფებოდნენ, სტიმული არ ჰქონდათ, რომ პრაქტიკის ნაკლოვანებებისათვის თეორიის სრულყოფილება დაეპირისპირებინათ. საბჭოთა რუსეთში მმართველი ჯგუფი სულ უფრო მეტად უარყოფს თეორიას პრაქტიკის სასარგებლოდ და საკუთარ რევოლუციურ წარმომავლობას ივიწყებს. ისტორია ყველგან გვიჩვენებს, რომ მემარცხენე პარტიები და პოლიტიკოსები, თანამდებობების დაკავებისა და რეალობასთან შეხების შედეგად, როგორც წესი, უარს ამბობენ საკუთარ „დოქტრინარულ" უტოპიზმზე და მემარჯვენეობისაკენ იხრებიან, თუმცა, ხშირად მემრცხენეთა სახელს ინარჩუნებენ და ამით პოლიტიკური ტერმინოლოგიის შეუსაბამობას კიდევ უფრო აღრმავებენ.

ეთიკა და პოლიტიკა

უტოპიისა და რეალობის ანტითეზა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკისა და ეთიკის ურთიერთმიმართების განსხვავებული აღქმიდან მომდინარეობს. ფასეულო-

[23] Baldwin, *On England*, p. 153.
[24] Winston Churchill, *Step by Step*, p. 147.
[25] House of Commons, October 21, 1937, reprinted in N. Chamberlain, *The Struggle for Peace*, p. 33.

ბათა სამყაროსა და ბუნების სამყაროს ანტითეზა, რომელიც მიზნისა და ფაქტის დიქოტომიაშიც იგულისხმება, ადამიანის ცნობიერებასა და პოლიტიკურ აზროვნებაში ღრმად არის გამჯდარი. უტოპისტი ქმნის ეთიკურ სტანდარტს, რომელიც პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს და ცდილობს, რომ პოლიტიკა მას დაუქვემდებაროს. რეალისტისთვის კი ნებისმიერი სტანდარტის ღირებულება, გარდა ფაქტისა, ლოგიკურად მიუღებელია. მისი აზრით, უტოპისტის აბსოლუტური სტანდარტი სოციალური წესრიგით არის განპირობებული და ნაკარნახევი და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურია. ზნეობა მხოლოდ ფარდობითი შეიძლება იყოს და არა უნივერსალური. ეთიკა პოლიტიკის თვალსაზრისით უნდა აიხსნას და პოლიტიკის მიღმა ეთიკური ნორმის ძიება წარუმატებლობისათვის არის განწირული. უზენაესი სინამდვილის უზენაეს სიკეთესთან გაიგივება, რასაც ქრისტიანობა დოგმატიზმის გაბედული ხელით აღწევს, რეალისტის მიერ იმის აღიარებით მიიღწევა, რომ არ არსებობს სხვა სიკეთე გარდა სინამდვილის აღიარებისა და გააზრებისა.

უტოპიისა და რეალობის დაპირისპირების ეს ასპექტები საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე კრიზისის დეტალური შესწავლისას უფრო ნათლად გამოჩნდება.

თარგმნა ერეკლე ურუშაძემ

ჰანს მორგენთაუ

პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი*

1. პოლიტიკური რეალიზმის თანახმად, პოლიტიკა, ისევე როგორც საზოგადოება, ობიექტური კანონებით იმართება, რომელთა ფესვები ადამიანის ბუნებაშია. იმისათვის რომ საზოგადოება გაუმჯობესდეს, ჯერ მასში გავრცელებული კანონების გაგებაა საჭირო. ვინაიდან კანონები საერთოდ არ ემორჩილება ჩვენს პრიორიტეტებს, ადამიანები მხოლოდ წარუმატებლობის დიდი რისკის ფასად თუ შეეწინააღმდეგებიან მათ ფუნქციონირებას.

რეალიზმმა, რომელსაც სჯერა, რომ პოლიტიკური კანონები ობიექტურია, ასევე უნდა ირწმუნოს ის, რომ შესაძლებელია რაციონალური თეორიის შემუშავება, რომელიც, თუნდაც, ცალსახად და არასრულყოფილად, მაგრამ მაინც ასახავს ამ ობიექტურ კანონებს. აქედან გამომდინარე, რეალიზმს ისიც სჯერა, რომ პოლიტიკაში შესაძლებელია ჭეშმარიტებისა და მოსაზრების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ანუ ფაქტებით დასაბუთებული და გონიერი გასჯით ზურგგამაგრებული ობიექტური და რაციონალური ჭეშმარიტების ფაქტებისაგან შორს მდგომი, წინასასწარგანწყობითა და სასურველის სინამდვილედ გასაღების ტენდენციით მართული სუბიექტური მოსაზრებისაგან გარჩევა.

ადამიანის ბუნება, რომელსაც პოლიტიკის კანონები ეფუძნება, არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც ჩინეთის, ინდოეთისა და საბერძნეთის კლასიკური ფილოსოფიური მოძღვრებები ამ კანონების აღმოჩენას ცდილობდნენ. ამიტომ, სიახლე, აუცილებლად, პოლიტიკური თეორიის ღირსება არ არის, ხოლო სიძველე – მისი ნაკლი. ის ფაქტი, რომ პოლიტიკის თეორიის შესახებ, თუ ასეთი თეორია საერთოდ არსებობს, აქამდე არავის სმენია, ბადებს უფრო მეტად უარყოფით, ვიდრე დადებით წინასწარ ვარაუდს მისი მართებულობის შესახებ. ის ფაქტი კი, რომ პოლიტიკის თეორია ასობით ან ათასობით წლის წინ შეიქმნა (როგორც, მაგალითად, ძალთა ბალანსის თეორია) არ განაპირობებს იმ წინასწარ ვარაუდს, რომ ის აუცილებლად მოძველებული და არააქტუალურია. პოლიტიკის თეორიამ გამოცდილებისა და საღი აზრის ორმაგ გამოცდას უნდა გაუძლოს. მსგავს თეორიაზე უარის თქმა იმიტომ, რომ ის უკვე მრავალი საუკუნეა არსებობს, არ შეიძლება წარმოადგენდეს რაციონალურ არგუმენტს, ეს უფრო მოდერნისტული წინასწარგანწყობაა, რომელსაც უტყუარად მიაჩნია აწმყოს უპირატესობა წარსულზე. ამგვარი თეორიის აღორძინებაზე უარის თქმა იმ მიზეზით, რომ ეს „მოდა" ან „კაპრიზია" იმ ვარაუდის ტოლფასია, რომ პოლიტიკაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მოსაზრება და არა ჭეშმარიტება.

რეალიზმისათვის თეორია ფაქტების დადგენა და მათი განსჯის შედეგად წვდომაა. რეალისტური ხედვით, საგარეო პოლიტიკის ხასიათი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ პოლიტიკური ქმედებებისა და მათი მოსალოდნელი შედეგების შესწავლით.

---

* **Hans J. Morgenthau, Six Principles of Political Realism, from *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, 5th edition, New York: Alfred A. Knopf, 1978 (1948). in Chapter 1, pp. 4-15. Reprinted by permission of Random House, Inc.**

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ პოლიტიკოსთა ქმედებებს და მოსალოდნელი შედეგების საფუძველზე მათი მიზნები ამოვიცნოთ.

თუმცა, მხოლოდ ფაქტების შესწავლა საკმარისი არ არის. საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივი მასალის წვდომისათვის საჭიროა, პოლიტიკურ რეალობას მივუდგეთ გარკვეული რაციონალური მონახაზით, გეგმით, რომელიც საგარეო პოლიტიკის ახსნაში დაგვეხმარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ სახელმწიფო მოღვაწის ადგილზე წარმოვიდგენთ თავს, რომელმაც საგარეო პოლიტიკის ესა თუ ის პრობლემა კონკრეტულ გარემოებებში უნდა გადაჭრას და დავსვამთ შეკითხვას, თუ გამოსავლის რა რაციონალური ალტერნატივები არსებობს ამ სახელმწიფო მოღვაწისათვის, რომელმაც ეს პრობლემა მოცემულ გარემოებებში უნდა გადაჭრას (აქვე ვიგულისხმებთ, რომ იგი ყოველთვის რაციონალურად მოქმედებს) და, სავარაუდოდ, რომელ რაციონალურ ალტერნატივას აირჩევს იგი არსებული გარემოებების გათვალისწინებით. სწორედ ფაქტებისა და მათი შედეგების დაპირისპირებით რაციონალურ ჰიპოთეზასთან შესაძლებელია საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტების თეორიულად წვდომა.

2. მთავარი საშუალება, რომლითაც პოლიტიკური რეალიზმი გზას იკვლევს საერთაშორისო პოლიტიკაში, ძალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესის კონცეფციაა. ის უზრუნველყოფს გონების კავშირს იმ ფაქტებთან, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკის აღქმისათვის არის აუცილებელი. ის განიხილავს პოლიტიკას, როგორც მოქმედებისა და შემეცნების ავტონომიურ სფეროს, დამოუკიდებელს სხვა ისეთი სფეროებისაგან, როგორიცაა ეკონომიკა (რომელიც სიმდიდრის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესით აიხსნება), ეთიკა, ესთეტიკა და რელიგია. ამგვარი კონცეფციის გარეშე არ იარსებებდა არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკის თეორია, რადგანაც ჩვენ ვერ შევძლებდით პოლიტიკური და არაპოლიტიკური ფაქტების ერთმანეთისაგან განსხვავებას და პოლიტიკის სფეროში ელემენტარული სისტემური წესრიგის დამყარებას.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სახელმწიფო მოღვაწეები ძალის კატეგორიით გამოხატული ინტერესის საფუძველზე მოქმედებენ და აზროვნებენ, რაც ისტორიულადაც არის დასაბუთებული. ეს ვარაუდი შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვიკვლიოთ და ვიწინასწარმეტყველოთ სახელმწიფო მოღვაწის ის ნაბიჯები – წარული, აწმყო ან მომავალი – რომლებიც მან პოლიტიკურ ასპარეზზე გადადგა ან მომავალში შეიძლება გადადგას. ჩვენ თითქოს მის ზურგს უკან ვდგავართ და ვაკვირდებით, თუ როგორ წერს იგი დიპლომატიურ დეპეშებს; ჩვენ თითქოს ვუსმენთ მის საუბარს სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან; ჩვენ თითქოს ვკითხულობთ და ვწინასწარმეტყველებთ მის ფიქრებს. როდესაც ძალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესის კონცეფციას ვიყენებთ, ჩვენ ზუსტად ამ სახელმწიფო მოღვაწის მსგავსად ვაზროვნებთ და ობიექტური დამკვირვებლების ამპლუაში, ალბათ, უფრო უკეთ ვიგებთ მის ფიქრებსა და ქმედებებს, ვიდრე თავად იგი, როგორც პოლიტიკური ასპარეზის მოქმედი პირი.

· ძალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესის კონცეფცია დამკვირვებელს ინტელექტუალურ დისციპლინას უწესებს, ხოლო პოლიტიკურ კვლევაში რაციონალურ წესრიგს ამკვიდრებს და ამით შესაძლებელს ხდის პოლიტიკის სფეროს თეორიულად გააზრებას. ეს კონცეფცია უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების მოქმედ პირს ქმედებისათვის საჭირო რაციონალური დისციპლინით და ქმნის საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობითობას, რომელიც ამერიკულ, ბრიტანულ თუ რუსულ საგარეო პოლიტიკას გასაგებ, ლოგიკურ უწყვეტ პროცესად წარმოაჩენს, რომელიც არსებითად არაწინააღმდეგობრივია, სახელმწიფო მოღვაწეთა მოტივებ-

ის, პრიორიტეტების, ინტელექტუალური და ზნეობრივი თვისებების განსხვავებულობის მიუხედავად. ამდენად, საერთაშორისო პოლიტიკის რეალისტური თეორია თავიდან იცილებს ორ ფართოდ გავრცელებულ შეცდომას: მოტივებსა და იდეოლოგიურ პრიორიტეტებზე ყურადღების გამახვილებას.

საგარეო პოლიტიკის ასახსნელად მხოლოდ პოლიტიკოსის მოტივების კვლევა ფუჭი და დამაბნეველია. ფუჭია, რადგან მოტივები ფსიქოლოგიურ მონაცემთა შორის ყველაზე ილუზორულია და მოქმედი პირისა თუ დამკვირვებლის ემოციებით ისე არის დამახინჯებული, რომ ხშირად ამოუცნობი ხდება. რეალურად ვიცით კი ჩვენი მოტივები? მაშინ რა ვიცით სხვათა მოტივების შესახებ?

თუმცა, სახელმწიფო მოღვაწეების რეალური მოტივების ცოდნა ნაკლებად დაგვეხმარება საგარეო პოლიტიკის გაგებაში. ამის გამო, შესაძლოა, მცდარი გზითაც კი წავიდეთ. მართალია, სახელმწიფო მოღვაწის მოტივების ცოდნამ შეიძლება მიგვახვედროს, თუ რა მიმართულება ექნება მის საგარეო პოლიტიკას, მაგრამ ეს მაინც ვერ დაგვეხმარება მისი საგარეო პოლიტიკის წინასწარგანჭვრეტაში. ისტორიულად არ დასტურდება ზუსტი და პირდაპირი კორელაცია მოტივებისა და ქცევის ხარისხებს შორის. ეს მოსაზრება მართებულია როგორც ზნეობრივ, ისე პოლიტიკურ კონტექსტში.

შეუძლებელია პოლიტიკოსის კეთილი განზრახვიდან გამომდინარე დავასკვნათ, რომ მისი პოლიტიკა ზნეობრივად გამართლებული ან პოლიტიკურად წარმატებული იქნება. მის მოტივებზე მსჯელობისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი გამიზნულად არ გაატარებს ზნეობრივად გაუმართლებელ პოლიტიკას, მაგრამ ამ პოლიტიკის წარმატების ალბათობას ვერ განვსაზღვრავთ. თუ მისი ქმედებების ზნეობრივი და პოლიტიკური მხარეები გვაინტერესებს, ამ ქმედებებს უნდა ვიცნობდეთ და არა მოტივებს. რამდენჯერ გასჩენიათ სახელმწიფო მოღვაწეებს მსოფლიოს გამოსწორების სურვილი მაგრამ, საბოლოო ჯამში, უფრო დაუმძიმებიათ ვითარება? ან რამდენჯერ ჰქონიათ ერთი მიზანი, მაგრამ სრულიად მოულოდნელი და არასასურველი შედეგი მიუღიათ?

ნევილ ჩემბერლენის მიერ წარმოებული დაშოშმინების პოლიტიკა, რამდენადაც ვიცით, კეთილშობილური მოტივებით იყო შთაგონებული. თავად ჩემბერლენი, ბრიტანეთის სხვა პრემიერ-მინისტრებთან შედარებით, ნაკლებად იყო დაინტერესებული პიროვნული ძალაუფლების გაზრდით, მას მშვიდობის შენარჩუნება და ყველასათვის ბედნიერების უზრუნველყოფა სურდა. მიუხედავად ამისა, მისმა პოლიტიკამ გარდაუვალი გახადა მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანს ენით აღუწერელი უბედურება მოუტანა. უინსტონ ჩერჩილის მოტივები კი ნაკლებად უნივერსალური და უფრო მეტად პიროვნული და ეროვნული ძლიერების გაზრდისაკენ მიმართული იყო, მაგრამ ამ უზნეო მოტივებით განპირობებული პოლიტიკა, უდავოდ, უფრო მაღალზნეობრივი და პოლიტიკურად წარმატებული გამოდგა, ვიდრე მისი წინამორბედის კურსი. მოტივებით თუ ვიმსჯელებთ, რობერსპიერი ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი ადამიანი იყო. თუმცა, სწორედ მისი კეთილშობილებით გამოწვეულმა უტოპიურმა რადიკალიზმმა ამოახოცინა მას ნაკლებად ღირსეული ადამიანები, თავადაც ეშაფოტზე მიუჩინა ადგილი და ბოლო მოუღო რევოლუციას, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც იგი იყო.

კეთილი მოტივები მიზანმიმართული ცუდი პოლიტიკისაგან გვიცავს. ისინი არ იძლევა პოლიტიკის ზნეობრივი სიკარგისა და პოლიტიკური წარმატების გარანტიას. საგარეო პოლიტიკის გასაგებად საჭიროა, უმთავრესად, ვიცოდეთ არა სახელმწიფო მოღვაწის მოტივები, არამედ მისი ინტელექტუალური უნარი, ჩაწვდეს საგარეო პოლიტიკის არსს და, აგრეთვე, მისი პოლიტიკური უნარი, გარდაქმნას მიღებული ინფორ-

მაცია წარმატებულ პოლიტიკურ ქმედებად. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ ეთიკა აბსტრაქტულად აფასებს მოტივების ზნეობრივ მხარეს, პოლიტიკური თეორია ინტელექტს, ნებასა და ქმედებას უნდა განიხილავდეს.

საერთაშორისო პოლიტიკის რეალისტური თეორია თავს არიდებს მეორე ფართოდ გავრცელებულ შეცდომასაც, რომელიც სახელმწიფო მოღვაწის საგარეო პოლიტიკის მის ფილოსოფიურ ან პოლიტიკურ სიმპატიებთან გაიგივებაში და მათგან განპირობებულად აღქმაში მდგომარეობს. მართალია, სახელმწიფო მოღვაწეები, განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში, ხშირად საკუთარ საგარეო პოლიტიკას თავიანთი ფილოსოფიური თუ პოლიტიკური სიმპატიებით ამართლებენ და ამ გზით საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი, ლინკოლნის მსგავსად, განასხვავებენ *„ოფიციალურ* მოვალეობას," რომელიც ეროვნული ინტერესების ფარგლებში აზროვნებასა და მოქმედებას ითვალისწინებს, *„პირადი* სურვილისაგან," რომელიც მათი ზნეობრივი ღირებულებებისა და პოლიტიკური პრინციპების მთელს მსოფლიოში გავრცელებას გულისხმობს. პოლიტიკური რეალიზმი არც მოითხოვს და არც ურიგდება პოლიტიკური იდეებისა და ზნეობრივი პრინციპების მიმართ გულგრილობას, მაგრამ მოითხოვს მკვეთრი ზღვრის გავლებას სასურველსა და შესაძლებელს შორის, ანუ ყველგან და ყველა დროს სასურველსა და დროისა და ადგილის მოცემულ გარემოებებში შესაძლებელს შორის.

რეალიზმის მტკიცებით, ყველა საგარეო პოლიტიკა არ არის რაციონალური, ობიექტური და უემოციო. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პიროვნულობა, წინასწარგანწყობა, სუბიექტურობა, აგრეთვე, ინტელექტისა და ნების სისუსტე, ხშირად საგარეო პოლიტიკას რაციონალური კურსიდან ხრის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საგარეო პოლიტიკა დემოკრატიული კონტროლის პირობებში ტარდება, მისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვების საჭიროება უარყოფითად მოქმედებს საკუთრივ საგარეო პოლიტიკის რაციონალურობაზე. თუმცა, საგარეო პოლიტიკამ, რომლის მიზანი რაციონალურობაა, საჭირო დროს თავიდან უნდა აიცილოს ეს ირაციონალური ელემენტები და შექმნას საგარეო პოლიტიკის ისეთი სურათი, სადაც რაციონალურობის წყაროდ გამოცდილება წარმოჩნდება, მაგრამ რაციონალურობიდან იმ გადახრების გარეშე, რომლებიც აგრეთვე ახასიათებს გამოცდილებას.

გადახრები რაციონალურობიდან, რომლებიც პოლიტიკის შემოქმედის კაპრიზის ან ფსიქოპათოლოგიის შედეგი არ არის, შესაძლოა, შემთხვევითი გვეგონოს რაციონალურობის კუთხიდან, მაგრამ ისინი არარაციონალური სისტემის ელემენტებიც შეიძლება იყოს . . .

სხვაობა რეალურად არსებულ საერთაშორისო პოლიტიკასა და მის საფუძველზე შექმნილ რაციონალურ თეორიას შორის ჰგავს ფოტოსურათსა და დახატულ პორტრეტს შორის განსხვავებას. ფოტოსურათი გვიჩვენებს ყველაფერს, რისი დანახვაც შეუიარაღებელ თვალს შეუძლია, ნახატი კი ამას ვერ ახერხებს, მაგრამ გვიჩვენებს, ან ცდილობს, გვიჩვენოს ერთი რამ, რასაც შეუიარაღებელი თვალი ვერ ხედავს: ესაა ნახატზე გამოსახული პიროვნების ადამიანური არსი.

პოლიტიკური რეალიზმი შეიცავს არა მარტო თეორიულ, არამედ ნორმატიულ ელემენტსაც. ამ მიდგომისათვის ცნობილია, რომ პოლიტიკური რეალობა აღსავსეა შემთხვევითობითა და სისტემური ირაციონალურობით, რომლებიც საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედებს. თუმცა, რეალიზმი, სხვა სოციალური მეცნიერებების კვალად, თეორიული გააზრების მიზნით, პოლიტიკური რეალობის რაციონალურ ელემენტებზე ყურადღების გამახვილებას ცდილობს, რადგან სწორედ ამ ელემენტების წყალობით ხდება რეალობა გასაგები თეორიისათვის. პოლიტიკური რეალიზმი გვთავაზობს რაციონალური საგარეო პოლიტიკის თეორიულ კონსტრუქციას, რომლის მიღ-

ნევაც შეუძლებელია მხოლოდ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ამავე დროს, რეალიზმი რაციონალურ პოლიტიკას კარგ პოლიტიკად მიიჩნევს, ვინაიდან მხოლოდ რაციონალური პოლიტიკა ამცირებს რისკს და ზრდის სარგებელს, რითაც როგორც კეთილგონიერების ზნეობრივ პრინციპს, ისე წარმატების პოლიტიკურ მოთხოვნასაც აკმაყოფილებს. პოლიტიკურ რეალიზმს სურს, პოლიტიკური სამყაროს ფოტოსურათი მაქსიმალურად დაამსგავსოს ნახატს. რეალიზმი აცნობიერებს განსხვავებას რაციონალურ ანუ კარგ საგარეო პოლიტიკასა და რეალურად არსებულ საგარეო პოლიტიკას შორის და, ამდენად, ამტკიცებს, რომ არა მარტო თეორია უნდა იყოს კონცენტრირებული პოლიტიკური რეალობის რაციონალურ ელემენტებზე, არამედ საგარეო პოლიტიკაც, თავისი ზნეობრივი და პრაქტიკული დანიშნულების გათვალისწინებით, რაციონალური უნდა იყოს.

ასე რომ, აქ შემოთავაზებული თეორიის საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ გამოდგება ის მტკიცება, რომ რეალურად არსებული საგარეო პოლიტიკა არ ან ვერ მიესადაგება მას. ეს არგუმენტი არასწორად განმარტავს ამ ნაშრომის მიზანს, რომელიც არა პოლიტიკური რეალობის გაუგებრად აღწერაში, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის რაციონალური თეორიის წარმოდგენაში მდგომარეობს. ის ფაქტი, რომ, მაგალითად, სრულყოფილი ძალთა ბალანსის პოლიტიკა ძნელად თუ შეიმჩნევა სინამდვილეში, ვერ უარყოფს რეალიზმის თეორიას, რომლის მიხედვითაც ამგვარი სინამდვილე უნდა აღვიქვათ და შევაფასოთ, როგორც მსგავსება ძალთა ბალანსის იდეალურ სისტემასთან.

3. რეალიზმი ვარაუდობს, რომ ძალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესის მისთვის საკვანძო კონცეფცია ობიექტური და უნივერსალურად ჭეშმარიტია, მაგრამ არ მიიჩნევს, რომ მას ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებული მნიშვნელობა აქვს. ინტერესის იდეა, მართლაც, პოლიტიკის არსს შეადგენს, რომელზეც დროისა და ადგილის გარემოებები ზეგავლენას ვერ ახდენს. თუკიდიდეს მიერ ძველი საბერძნეთის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებულ განცხადებას, რომ „ინტერესების მსგავსება ყველაზე მყარი კავშირია როგორც სახელმწიფოებს, ისე ინდივიდებს შორის," მეცხრამეტე საუკუნეში ლორდი სალსბერი დაეთანხმა თავისი შენიშვნით, რომ სახელმწიფოთა „გაერთიანების შემაკავშირებელი ერთადერთი ელემენტი, რომელიც დროის გამოცდას უძლებს, კონფლიქტური ინტერესების არარსებობაა." ჯორჯ ვაშინგტონმა ეს შეხედულება მმართველობის ზოგადი პრინციპის ხარისხში აიყვანა:

> ადამიანის ბუნების მცირეოდენი ცოდნაც კი დაგვარწმუნებს იმაში, რომ ინტერესი კაცობრიობის უდიდესი ნაწილის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია და, რომ მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანი მისი გავლენის ქვეშ იმყოფება. გარკვეული დროის მანძილზე ან გარკვეულ გარემოებებში საზოგადოების კეთილდღეობის მოტივებმა, შესაძლოა, ადამიანებს პირადი ინტერესისაგან სრულიად გამიჯნული პოლიტიკის გატარებისაკენ უბიძგოს; მაგრამ მხოლოდ ეს ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ვალდებულებებისა და რაფინირებული დიქტატის მუდმივ მორჩილებას. ძალიან ცოტა ადამიანს თუ შეუძლია, ყოველთვის შესწიროს პირადი ინტერესი ან პრივილეგირებული მდგომარეობა საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ამაოა ადამიანის ამგვარი უზნეობის უარყოფა; ეს ასეა, რაც ყველა ეპოქისა და ერის გამოცდილებით დასტურდება და თუ ამის აღმოფხვრა გვსურს, ადამიანის ბუნების საგრძნობლად შეცვლა დაგეჭირდება. ნებისმიერი ინსტიტუტი, რომელიც აღნიშნული მაქსიმების სავარაუდო ჭეშმარიტებაზე აგებული არ არის, განწირულია.[1]

ჩვენს საუკუნეში მაქს ვებერმა გაიმეორა და განავრცო ეს მოსაზრება შემდე-

[1] *The Writings of George Washington*, edited by John C. Fitzpatrick (Washington: United States Printing Office, 1931-44), Vol. X, p. 363.

გი სახის დაკვირვებით:

ინტერესები (მატერიალური და წარმოსახვითი) და არა იდეები ბატონობს ადამიანთა ქმედებებზე. მიუხედავად ამისა, ამ იდეების მიერ შექმნილი „სამყაროს ხედვები" ხშირად გვევლინება იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა გზით წარმართავს ინტერესების დინამიზმი ქმედებებს.[2]

თუმცა, ინტერესი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ქმედებას გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, დამოკიდებულია იმ კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელშიც ყალიბდება საგარეო პოლიტიკა. სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის მიზნები შეიძლება მოიცავდეს მთელ სპექტრს იმ ამოცანებისა, რომლებიც ოდესმე ჰქონია ან ექნება რომელიმე ერს.

იგივე შეიძლება ითქვას ძალის კონცეფციაზე. მისი არსი და გამოყენების მეთოდი პოლიტიკური და კულტურული გარემოთი განისაზღვრება. ძალა შეიძლება გულისხმობდეს ყველაფერს, რაც აწესებს და ინარჩუნებს ერთი ადამიანის კონტროლს მეორეზე. ამრიგად, ძალა მოიცავს ყველა ტიპის სოციალურ ურთიერთობას, რომელიც ამ მიზნის მიღწევას ემსახურება, დაწყებულს ფიზიკური ძალადობით და დამთავრებულს ყველაზე დახვეწილი ფსიქოლოგიური ურთიერთკავშირით, რომლის მეშვეობითაც ერთი გონება მეორეს აკონტროლებს. ძალა უზრუნველყოფს ერთი ადამიანის ბატონობას მეორეზე, მაშინაც, როცა ის ზნეობრივი მიზნებით იზღუდება და კონსტიტუციური გარანტიებით კონტროლდება, როგორც, მაგალითად, დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებში, და მაშინაც, როცა ის მოუთვინიერებელი და ბარბაროსული ძალაა, რომლისთვისაც ერთადერთი კანონი საკუთარი ძლიერება, ხოლო ერთადერთი გამართლება კიდევ უფრო გაძლიერებაა.

პოლიტიკურ რეალიზმს არ მიაჩნია, რომ თანამედროვე პირობები, რომლებშიც საგარეო პოლიტიკა ხორციელდება, მათთვის დამახასიათებელი უკიდურესი არასტაბილურობითა და ფართომასშტაბიანი ძალადობის გაჩაღების მუდმივი საფრთხით, არ შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, ძალთა ბალანსი, მართლაც, პლურალისტური საზოგადოებების განუყოფელი ელემენტია, რაც კარგად იცოდნენ *ფედერალისტის წერილების* ავტორებმა; მაგრამ ის შეიძლება მოქმედებდეს (როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში) შედარებითი სტაბილურობისა და მშვიდობიანი კონფლიქტის პირობებში. თუ შესაძლებელი გახდება ამ პირობების წარმომქმნელი ფაქტორების გადატანა საერთაშორისო ასპარეზზე, იქაც სტაბილურობისა და მშვიდობის ანალოგიური პირობები დაისადგურებს, როგორც ეს ისტორიის ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში ზოგიერთ სახელმწიფოს შორის ხდებოდა.

ჭეშმარიტება საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი ხასიათის შესახებ ვრცელდება ერ-სახელმწიფოებზეც, რომლებიც თანამედროვე ეპოქაში საგარეო პოლიტიკის უმთავრეს შემოქმედებად ითვლებიან. მაშინ, როდესაც რეალისტს ნამდვილად სჯერა, რომ ინტერესი ის მუდმივმოქმედი სტანდარტია, რომლითაც პოლიტიკური ქმედებები უნდა ფასდებოდეს და განისაზღვრებოდეს, ამჟამინდელი კავშირი ერ-სახელმწიფოსა და ინტერესს შორის ისტორიის პროდუქტია და, ამდენად, ისტორიის მსვლელობისას გაქრება. რეალისტური პოზიცია არ ეწინააღმდეგება იმ ვარაუდს, რომ პოლიტიკური სამყაროს დაყოფა ერ-სახელმწიფოებად ადგილს დაუთმობს საკმაოდ განსხვავებული ხასიათის მქონე უფრო დიდ ერთეულებს, რომლებიც უფრო მეტად შეესატყვისებიან თანამედროვე მსოფლიოს ტექნიკურ პოტენციალსა

[2] Marianne Weber, *Max Weber* (Tuebingen: J. C. B. Mohr, 1926), pp. 347-8. იხილეთ აგრეთვე: Max Weber, *Gesammelte Aufsatze zur Religionssoziologie* (Tuebingen: J. C. B. Mohr, 1920), p. 252.

და ზნეობრივ მოთხოვნებს.

რეალისტი ემიჯნება სხვა თეორიული სკოლების წარმომადგენლებს იმ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე პასუხის გაცემისას, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას თანამედროვე მსოფლიო. რეალისტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ეს ტრანსფორმაცია მხოლოდ იმ მარადიული ძალების მარჯვე მანიპულაციითაა შესაძლებელი, რომლებმაც შექმნა წარსული და მომავალიც უნდა განაპირობოს. რეალისტს ვერავინ დაარწმუნებს, რომ გარდაქმნების გამოწვევა შესაძლებელია საკუთარი კანონების მქონე პოლიტიკური რეალობისათვის აბსტრაქტული იდეალის დაპირისპირებით, რომელიც ამ კანონებს მხედველობაში არ იღებს.

4. პოლიტიკური რეალიზმი აღიარებს პოლიტიკური ქმედების ზნეობრივ მნიშვნელობას. ის, აგრეთვე, აღიარებს გარდაუვალი წინააღმდეგობის არსებობას ზნეობრივ პრინციპებსა და წარმატებული პოლიტიკური ქმედების მოთხოვნებს შორის. რეალიზმს არ სურს ამ წინააღმდეგობის შენიღბვა და დავიწყება და, ამგვარად, როგორც ზნეობრივი, ისე პოლიტიკური საკითხის გაბუნდოვანება ვითარების ისე წარმოჩენით თითქოს მკაცრი პოლიტიკური ფაქტები ზნეობრივად უფრო დამაკმაყოფილებელია, ხოლო ზნეობრივი კანონები ნაკლებად მომთხოვნია, ვიდრე ეს სინამდვილეში არის.

რეალიზმის მტკიცებით, უნივერსალური ზნეობრივი პრინციპები არ შეიძლება აბსტრაქტული ფორმულირებით მიესადაგოს სახელმწიფოთა ქმედებებს, არამედ უნდა გაიფილტროს დროისა და ადგილის კონკრეტულ გარემოებებში. ინდივიდმა დასაშვებია, თქვას: "*Fiat justitita, pereat mundus* (დაე, აღსრულდეს სამართლიანობა, თუნდაც, სამყარო დაიღუპოს)," მაგრამ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, იგივე თქვას იმ ადამიანთა სახელით, რომლებზეც ის პასუხს აგებს. ინდივიდიც და სახელმწიფოც პოლიტიკურ ქმედებებს უნდა აფასებდნენ უნივერსალური ზნეობრივი პრინციპებით, როგორიცაა, მაგალითად, თავისუფლება. მაგრამ თუ ინდივიდს აქვს ზნეობრივი უფლება, შესწიროს თავი ამგვარი ზნეობრივი პრინციპის დაცვას, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, გამოიჩინოს უკმაყოფილება თავისუფლების შელახვის გამო და ამით წარმატებულ პოლიტიკურ ქმედებას შეუშალოს ხელი, რომელიც, თავის მხრივ, ეროვნული გადარჩენის ზნეობრივი პრინციპითაა შთაგონებული. პოლიტიკური ზნეობის არსებობა წარმოუდგენელია კეთილგონიერების გარეშე, ანუ ერთი შეხედვით ზნეობრივი ქმედების პოლიტიკური შედეგების გაუთვალისწინებლად. ამრიგად, რეალიზმისათვის კეთილგონიერება, როგორც სხვადასხვა ალტერნატიული პოლიტიკის შედეგთა შეფასება, პოლიტიკის უზენაესი სიკეთეა. ეთიკა აბსტრაქტულად განიხილავს ქმედებას იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ის ზნეობრივ კანონებს; პოლიტიკური ეთიკა კი ქმედებას მისი პოლიტიკური შედეგებით აფასებს. ეს იცოდნენ კლასიკური ხანისა და შუა საუკუნეების ფილოსოფოსებმა, ისევე, როგორც აბრაამ ლინკოლნმა, რომელმაც თქვა:

მე იმის მაქსიმუმს ვაკეთებ, რაც ვიცი და შემიძლია და ასე მოვიქცევი დასასრულამდე. თუ შედეგი გამამართლებს, მაშინ ვერაფერს დამაკლებს ის, რასაც ჩემს წინააღმდეგ ამბობენ. ხოლო თუ შედეგი გამამტყუნებს, ათი ანგელოზიც რომ ამტკიცებდეს ჩემს სისწორეს, ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება.

5. პოლიტიკური რეალიზმი უარს ამბობს ერთი რომელიმე ერის ზნეობრივი მისწრაფებების სამყაროს მმართველ ზნეობრივ კანონებთან გაიგივებაზე. ის ერთმანეთისაგან განასხვავებს როგორც ჭეშმარიტებასა და მოსაზრებას, ისე ჭეშმარიტებასა და კერპთაყვანისმცემლობას. ყველა ერს აქვს ცდუნება (ამ დრომდე მხოლოდ

რამდენიმემ თუ გაუძლო მას), შენიღბოს საკუთარი მისწრაფებები და ქმედებები სამყაროს ზნეობრივი მიზნებით. ერთია იმის ცოდნა, რომ ერები ზნეობრივ კანონებს ექვემდებარებიან, მაგრამ სულ სხვა რამაა პრეტენზია იმის დანამდვილებით ცოდნაზე, თუ რა არის კარგი და ცუდი ერებს შორის ურთიერთობებში. რწმენა, რომ ყველა ერს ღმერთი განიკითხავს, რაც ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია, ძლიერ განსხვავდება იმ მკრეხელური რწმენისაგან, რომ ღმერთი ყოველთვის ერთის მხარეზეა და ამ უკანასკნელის სურვილი აუცილებლად ღმერთის სურვილიცაა.

რომელიმე ერის ნაციონალიზმისა და ღვთიური განგების ასე ხელაღებით გაიგივება ზნეობრივად გაუმართლებელია, რადგან ეს სწორედ ის განდიდების ცოდვაა, რომლის შესახებაც არაერთხელ გაუფრთხილებიათ ბერძენ ტრაგიკოსებსა და ბიბლიურ წინასწარმეტყველებს მმართველები და მათი ქვეშევრდომები. ამგვარი გაიგივება პოლიტიკურადაც დამღუპველია იმიტომ, რომ მას შეუძლია მსჯელობისათვის ხელის შეშლა, რის შედეგადაც ჯვაროსნული სიგიჟით დაბინდული გონება ანადგურებს ერებსა და ცივილიზაციებს – ზნეობრივი პრინციპის, იდეის ან თვით ღმერთის სახელით.

მეორე მხრივ, სწორედ ძალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესის კონცეფცია გვიცავს როგორც ზნეობრიობის სიჭარბის, ისე პოლიტიკური სიბრიყვისაგან, ვინაიდან თუ მსოფლიოს ერებს, საკუთარი ერის ჩათვლით, განვიხილავთ პოლიტიკურ ერთეულებად, რომლებიც ძალის კატეგორიით განსაზღვრული საკუთარი ინტერესების განხორციელებას ცდილობენ, მაშინ შევძლებთ, ყველას მიმართ სამართლიანები ვიყოთ. სამართლიანობა კი ამ შემთხვევაში ორ რამეს გულისხმობს: ჩვენ შეგვეძლება სხვა ერებზე ისევე მსჯელობა, როგორც საკუთარზე, რაც ისეთი პოლიტიკის გატარების საშუალებას მოგვცემს, რომელიც სხვა ერების ინტერესებს პატივს სცემს და, ამავე დროს, ჩვენი ერის ინტერესებსაც დაიცავს და გააძლიერებს. ზომიერება პოლიტიკაში აუცილებლად ასახავს ზომიერებას ზნეობრივ მსჯელობაში.

6. ამრიგად, განსხვავება პოლიტიკურ რეალიზმსა და სხვა თეორიულ სკოლებს შორის რეალური და ძირეულია. მართალია, პოლიტიკური რეალიზმის თეორიას, შესაძლოა, არასწორად იგებენ და განმარტავენ, მაგრამ უდავოა, რომ ის პოლიტიკური საკითხებისადმი განსხვავებულ ინტელექტუალურ და ზნეობრივ მიდგომას გვთავაზობს.

ინტელექტუალურ ასპექტში, რეალისტი პოლიტიკური სფეროს ავტონომიურობას ამტკიცებს, ისევე, როგორც ეკონომისტი, იურისტი თუ მორალისტი – საკუთარი სფეროსას. პოლიტიკური რეალისტი ძალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესით ხელმძღვანელობს, ისევე როგორც ეკონომისტი – სიმდიდრის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესით, იურისტი – ქმედების კანონისადმი მორჩილებით, ხოლო მორალისტი ქმედების ზნეობრივ პრინციპებთან შესაბამისობით. ეკონომისტი სვამს კითხვას: „რა გავლენას ახდენს ეს პოლიტიკა საზოგადოების ან მისი რომელიმე ნაწილის სიმდიდრეზე?" იურისტი სვამს კითხვას: „ეთანხმება თუ არა ეს პოლიტიკა სამართლებრივ ნორმებს?" მორალისტი სვამს კითხვას: „შეესატყვისება თუ არა ეს პოლიტიკა ზნეობრივ პრინციპებს?" ხოლო პოლიტიკური რეალისტი სვამს კითხვას: „რა გავლენა აქვს ამ პოლიტიკას სახელმწიფოს ძლიერებაზე?" (ან ფედერალური მთავრობის, კონგრესის, პარტიის, სოფლის მეურნეობის თუ სხვათა ძლიერებაზე).

პოლიტიკურმა რეალისტმა სხვა, არაპოლიტიკური აზროვნების სტანდარტების არსებობისა და მნიშვნელობის შესახებაც იცის, მაგრამ, როგორც პოლიტიკური რეალისტი, იგი ამ სტანდარტებს აუცილებლად პოლიტიკას უქვემდებარებს. რეალ-

ისტი არ ეთანხმება სხვა სკოლებს, როდესაც ისინი სხვა სფეროებისათვის დამახასიათებელ აზროვნების სტანდარტებს პოლიტიკურ სფეროს ახვევენ თავს. სწორედ აქ პოლიტიკური რეალიზმი უპირისპირდება საერთაშორისო პოლიტიკისადმი „სამართლებრივ-ზნეობრივ მიდგომას." ის, რომ ეს საკითხი მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფი არ არის და კამათის საფუძველშივე ძევს, მრავალი ისტორიული მაგალითით შეიძლება დადასტურდეს. საამისოდ სამი მაგალითი საკმარისი იქნება.[3]

1939 წელს საბჭოთა კავშირი თავს დაესხა ფინეთს. ამ მოვლენამ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წინაშე ორი საკითხი დააყენა, ერთი სამართლებრივი, მეორე კი პოლიტიკური. დაირღვა თუ არა ამ ქმედებით ერთა ლიგის კონვენცია და თუ დაირღვა, რა საპასუხო ზომები უნდა მიეღოთ საფრანგეთსა და დიდი ბრიტანეთს? სამართლებრივ ჭრილში ამ კითხვას ადვილად გაეცემოდა დადებითი პასუხი, რადგან საბჭოთა კავშირმა აშკარად ჩაიდინა ის, რასაც ერთა ლიგის კონვენცია კრძალავდა. პოლიტიკურ ჭრილში კი ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებული იყო, ჯერ ერთი, იმაზე, თუ რა შედეგს მოიტანდა რუსეთის ქმედება საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ინტერესებისათვის; მეორე, ძალთა განაწილებაზე, ერთი მხრივ, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს, მეორე მხრივ კი, საბჭოთა კავშირსა და სხვა პოტენციურად მტრულ სახელმწიფოებს (განსაკუთრებით, გერმანიას) შორის; და მესამე, იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენდა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საპასუხო ზომები მათ ინტერესებსა და ძალთა მომავალ განაწილებაზე. საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა, როგორც ერთა ლიგის მოწინავე ქვეყნებმა, იზრუნეს საბჭოთა კავშირის ერთა ლიგიდან გარიცხვაზე, ხოლო მათ ჩართვას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ფინეთის მხარდასაჭერად ხელი შეუშალა მხოლოდ შვედეთის უარმა, საკუთარ ტერიტორიაზე გაეტარებინა ფინეთისაკენ მიმავალი მათი ჯარები. ეს უარი რომ არა, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს ერთსა და იმავე დროს გერმანიასთან და საბჭოთა კავშირთან მოუწევდათ ომი.

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა ლეგალიზმის კლასიკური მაგალითი იყო იმდენად, რამდენადაც მათ სამართლებრივ შეკითხვაზე პასუხს, რომელიც თავისთავად ლეგიტიმური იყო, განასაზღვრინეს პოლიტიკური ქმედება. ორივე კითხვის – როგორც სამართალთან, ისე ძალასთან დაკავშირებულის ნაცვლად – მათ მხოლოდ სამართლებრივი კითხვა დასვეს; მასზე მიღებულ პასუხს კი, შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონოდა შეხება იმ საკითხთან, რომელზეც მათი გადარჩენა იყო დამოკიდებული.

მეორე მაგალითი საერთაშორისო პოლიტიკისადმი „ზნეობრივ მიდგომას" განასახიერებს. ის ჩინეთის კომუნისტური მთავრობის საერთაშორისო სტატუსს ეხება. ამ ხელისუფლების დამყარებამ დასავლური სამყარო ორი საკითხის, ზნეობრივისა და პოლიტიკურის, წინაშე დააყენა. ეთანხმებოდა თუ არა ამ მთავრობის ხასიათი და პოლიტიკა დასავლური სამყაროს ზნეობრივ პრინციპებს? უნდა ჰქონოდა თუ არა დასავლურ სამყაროს ურთიერთობა ამგვარ რეჟიმთან? პასუხი პირველ კითხვაზე ცალსახად უარყოფითი იყო. თუმცა, აქედან არ გამომდინარეობდა, რომ მეორე კითხვაზეც აუცილებლად უარყოფითი პასუხი უნდა გაეცემულიყო. პირველ – ზნეობრივ – კითხვასთან მიმართებაში გამოყენებული აზროვნების სტანდარტი ჩინეთის კომუნისტური მთავრობის ხასიათისა და პოლიტიკის დასავლური ზნეობრივი კრიტერი-

[3] იხილეთ სხვა მაგალითები სტატიაში: Hans J. Morgenthau, "Another 'Great Debate': The National Interest of the United States," *The American Political Science Review*, Vol. XLVI (December 1952), pp. 979 ff. იხილეთ აგრეთვე: Hans J. Morgenthau, *Politics in the 20th Century*, Vol. I, *The Decline of Democratic Politics* (Chicago: University of Chicago Press, 1962), pp. 79 ff. abridged edition (Chicago: University of Chicago Press, 1971), pp. 204 ff.

უმებით შეფასებას მოითხოვდა. მეორე – პოლიტიკური – კითხვა კი საჭიროს ხდიდა მხარეთა ინტერესებისა და ძალის, აგრეთვე, ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის ხსენებულ ინტერესებსა და ძალაზე ზეგავლენის გათვალისწინებას. ამგვარი ანალიზი, სავარაუდოდ, ცხადყოფდა, რომ უფრო გონივრული იქნებოდა ჩინეთის კომუნისტურ მთავრობასთან ურთიერთობაზე უარის თქმა. ამ დასკვნის გაკეთება ანალიზის გარეშე და პოლიტიკური საკითხის მხოლოდ ზნეობრივი კრიტერიუმების საფუძველზე გადაწყვეტით საერთაშორისო პოლიტიკისადმი „ზნეობრივი მიდგომის" კლასიკური მაგალითი იყო.

მესამე შემთხვევა ნათლად წარმოაჩენს სხვაობას საგარეო პოლიტიკისადმი რეალისტურ და სამართლებრივ-ზნეობრივ მიდგომებს შორის. 1914 წლის აგვისტოში დიდი ბრიტანეთი, ბელგიის ნეიტრალიტეტის ერთ-ერთი გარანტი, გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაერთო, რადგან გერმანიამ ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვია. ბრიტანეთის ნაბიჯი როგორც რეალისტური, ისე სამართლებრივ-ზნეობრივი მოტივებით შეიძლება გამართლდეს. რეალისტური პოზიციიდან შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში ბრიტანული პოლიტიკისათვის აქსიომა იყო, წინ აღდგომოდა მტრული ძალის მიერ „ნიდერლანდების" გაკონტროლებას. ამგვარად, არა იმდენად ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის ფაქტმა, რამდენადაც ამ დანაშაულის ჩამდენის მტრულმა მიზნებმა განაპირობა ბრიტანეთის ჩარევა. გერმანიის ნაცვლად, დამრღვევი სხვა ქვეყანა რომ ყოფილიყო, ბრიტანეთს, შესაძლოა, თავი შეეკავებინა ინტერვენციისაგან. სწორედ ასეთი პოზიცია დაიკავა ბრიტანეთის იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერ ედვარდ გრეიმ. მისმა მოადგილემ ჰარდინგმა 1908 წელს მასთან საუბარში აღნიშნა: „გერმანიის წინააღმდეგ ნარმოებულ ომში საფრანგეთმა რომ დაარღვიოს ბელგიის ნეიტრალიტეტი, ინგლისი და რუსეთი, ალბათ, თითსაც არ გაანძრევენ ბელგიის ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლად, მაშინ, როდესაც გერმანიამ რომ შელახოს ბელგიის ნეიტრალიტეტი, სრულიად საწინააღმდეგო მოხდება." სერ ედვარდ გრეიმ კი მიუგო: „ეს მართებული შენიშვნაა." თუმცა, შესაძლებელია სამართლებრივი და ზნეობრივი პოზიციის გაზიარებაც, რომლის თანახმადაც თავისთავად ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის ფაქტი, როგორც სამართლებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით დასაგმობი საქციელი, განურჩევლად მხარეთა ინტერესებისა და დამნაშავის ვინაობისა, ბრიტანეთისა და, აგრეთვე, აშშ-ის ჩარევას ამართლებს. სწორედ ასეთი პოზიცია დაიკავა თეოდორ რუზველტმა სერ ედვარდ გრეისადმი წერილში 1915 წლის 22 იანვარს:

ჩემი აზრით, ამ ვითარებაში უმთავრესი საკითხია ბელგია. ინგლისი ან საფრანგეთი გერმანიის მსგავსად რომ მოქცეულიყვნენ ბელგიის მიმართ, მე ზუსტად ისევე დაეუპირისპირდებოდი მათ, როგორც ახლა გერმანიას. მე მივესალმები თქვენს ქმედებას, როგორც ნიმუშს იმისა, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, ვისაც სჯერა, რომ ხელშეკრულებები კეთილსინდისიერად უნდა სრულდებოდეს და რომ არსებობს საერთაშორისო ზნეობა. მე ამ პოზიციაზე ვდგავარ, როგორც ამერიკელი, რომელიც არც ინგლისელია და არც გერმანელი, რომელიც ცდილობს, ლოიალურად ემსახუროს თავისი ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ, ამასთანავე, ცდილობს ყველაფერი გააკეთოს სამართლიანობისა და პატიოსნების დასაცავად მთელი კაცობრიობისათვის და, ამიტომაც, ვალდებულად გრძნობს თავს, ყველა ერზე ამა თუ იმ ვითარებაში მათი ქცევის მიხედვით იმსჯელოს.

რეალიზმის მიერ პოლიტიკური სფეროს ავტონომიურობის დაცვა სხვა თეორიული სკოლებისაგან არ გულისხმობს იმას, რომ რეალიზმი მათ არსებობასა და მნიშვნელობას არ აღიარებს. ეს უფრო იმას ნიშნავს, რომ, რეალიზმის თანახმად, თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს თავისი სამოქმედო სფერო და ფუნქცია. პოლიტიკური რეალიზმი ადამიანის ბუნების პლურალისტურ კონცეფციას ემყარება. რე-

ალურ ადამიანში თანაარსებობს „ეკონომიკური ადამიანი," „პოლიტიკური ადამიანი," „ზნეობრივი ადამიანი," „რელიგიური ადამიანი" და ა.შ. ადამიანი მხოლოდ „პოლიტიკური ადამიანი" რომ იყოს, იგი ყოველგვარ 'ხნეობრივ შეზღუდვებს მოკლებული მხეცი იქნებოდა. ადამიანი მხოლოდ „ზნეობრივი ადამიანი" რომ იყოს, იგი ყოველგვარ კეთილგონიერებას მოკლებული სულელი იქნებოდა, ხოლო ადამიანი მხოლოდ „რელიგიური ადამიანი" რომ იყოს, იგი ყოველგვარ ამქვეყნიურ სურვილებს მოკლებული წმინდანი იქნებოდა.

ადამიანის ბუნების ამ განსხვავებული მხარეების აღიარებასთან ერთად, პოლიტიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ რომელიმე მათგანის გასაგებად საჭიროა მისი განხილვა თავისსავე სფეროში. ანუ თუ გვსურს „რელიგიური ადამიანის" შეცნობა, დროებით უნდა დავშორდეთ ადამიანის ბუნების სხვა ასპექტებს და განვიხილოთ მხოლოდ მისი რელიგიური ასპექტი. შემდგომ, რელიგიურ სფეროს უნდა მივუსადაგოთ მისთვის დამახასიათებელი აზროვნების სტანდარტები, მაგრამ, ამასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სხვა სტანდარტების არსებობა და მათი ზეგავლენა ადამიანის რელიგიურ თვისებებზე. ჭეშმარიტება ადამიანის ბუნების ამ ერთი მხარის შესახებ მის სხვა მხარეებზეც ვრცელდება. მაგალითად, ვერც ერთი თანამედროვე ეკონომისტი სხვაგვარად ვერ წარმოიდგენს საკუთარ მეცნიერებასა და მის კავშირს სხვა სოციალურ მეცნიერებებთან. სწორედ აზროვნების სხვა სტანდარტებისაგან გათავისუფლებისა და მხოლოდ ერთი დარგისათვის შესაფერისი სტანდარტების განვითარების პროცესმა განაპირობა ეკონომიკის ჩამოყალიბება ავტონომიურ თეორიად, რომელიც ადამიანის ეკონომიკური ქცევის ახსნას ცდილობს. პოლიტიკური რეალიზმის მიზანია ამგვარი პროცესის ხელშეწყობა პოლიტიკის სფეროში.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის თეორია ვერ დაიმსახურებს საყოველთაო მოწონებას – ისევე, როგორც ამგვარი საგარეო პოლიტიკა. ამის მიზეზი ის არის, რომ თეორია და პოლიტიკა ჩვენს კულტურაში არსებულ ორ ტენდენციას ეწინააღმდეგება, რომლებიც ვერ ურიგდება პოლიტიკის რაციონალური, ობიექტური თეორიის ვარაუდებსა და შედეგებს. ამ ტენდენციათაგან ერთ-ერთი საზოგადოებაში ძალის როლს უგულებელყოფს მეცხრამეტე საუკუნის გამოცდილებაზე და ფილოსოფიაზე დაყრდნობით; მეორე ტენდენცია კი, რომელიც პოლიტიკის რეალისტურ თეორიასა და პრაქტიკას უპირისპირდება, ადამიანის გონებასა და პოლიტიკურ სფეროს შორის არსებული და აუცილებელი კავშირიდან გამომდინარეობს. გარკვეული მიზეზების გამო, რომლებიც ცალკე განსახილველია, ადამიანის გონება ყოველდღიურ რეჟიმში თვალს ვერ უსწორებს პოლიტიკურ ჭეშმარიტებას. ის ახდენს ჭეშმარიტების შენიღბვას, დამახინჯებას, დაკნინებასა და შელამაზებას – მით მეტად, რაც უფრო აქტიურად არის ჩართული ინდივიდი პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო პოლიტიკაში. ეს კი იმიტომ ხდება, რომ მხოლოდ თავის მოტყუებით პოლიტიკის ბუნებისა და პოლიტიკურ ასპარეზზე საკუთარი როლის შესახებ, შეუძლია ადამიანს, როგორც პოლიტიკურ ცხოველს, კმაყოფილად იცხოვროს საკუთარ თავთან და სხვებთან ერთად.

ამრიგად, თეორიამ, რომელიც ცდილობს საერთაშორისო პოლიტიკის გააზრებას ისეთად, როგორიც ის რეალურად არის და როგორიც, ის უნდა იყოს თავისი თანდაყოლილი ბუნებიდან გამომდინარე, და არა ისეთად, როგორადაც ხალხს სურს მისი დანახვა, აუცილებლად უნდა დაძლიოს ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა, რომელიც სხვა მეცნიერებებს უმეტესწილად არ ხვდება. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო პოლიტიკის თეორიული შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომი საგანგებო ახსნასა და გამართლებას საჭიროებს.

თარგმნა ნინო ლილუაშვილმა

მარტინ უაითი
საერთაშორისო თეორიის სამი ტრადიცია*

თუ თვალს გადავავლებთ იმ გამოჩენილ ავტორთა ნაშრომებს, რომლებსაც მაკიაველის დროიდან დღემდე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის შესახებ უმსჯელიათ და, აგრეთვე, ამ სფეროში არსებულ ძირითად იდეებს, სავსებით ნათელია, რომ ავტორები სამ ჯგუფად იყოფიან, იდეები კი – სამ ტრადიციად. მოდით მათ რაციონალისტები, რეალისტები და რევოლუციონისტები ვუწოდოთ: ასეთ სახელწოდებათა გამოყენება სულაც არ გულისხმობს სიზუსტეზე უარის თქმას ალიტერაციის ხიბლის გამო.

პოლიტიკური აზროვნების ზემოაღნიშნული სამი ტრადიცია გარკვეულწილად სამ ურთიერთდამოკიდებულ პოლიტიკურ მდგომარეობას შეიძლება დავუკავშიროთ, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ა) *საერთაშორისო ანარქია*: დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოების სიმრავლე, რომლებიც ზემდგომ პოლიტიკურ ხელისუფლებას არ ცნობენ და რომელთა შორის ურთიერთობებს, საბოლოო ჯამში, ომი არეგულირებს.

ბ) *დიპლომატია და ვაჭრობა*: მშვიდობიან პერიოდში სუვერენულ სახელმწიფოებს შორის უწყვეტი და ორგანიზებული ურთიერთობა: საერთაშორისო და ინსტიტუციონალიზებული ურთიერთქმედება.

გ) *სახელმწიფოთა საზოგადოების, ანუ ერების ოჯახის ცნება*: მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზემდგომი პოლიტიკური ხელისუფლება, სუვერენული სახელმწიფოები ქმნიან ზნეობრივ და კულტურულ ერთობას, რაც აკისრებს მათ გარკვეულ ზნეობრივ, ფსიქოლოგიურ და (სამართლის ზოგიერთი თეორიის თანახმად), შესაძლოა, სამართლებრივ ვალდებულებებს, – თუნდაც აქ პოლიტიკური ვალდებულებები არ იგულისხმებოდეს. როგორც ბერკი აღნიშნავდა: „საჯარო სამართლის განხილვით დაკავებული ავტორები ერების ამ *გაერთიანებას* ხშირად თანამეგობრობას უწოდებენ."[1]

საერთაშორისო თეორიის სამი ტრადიცია, შესაძლებელია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ საერთაშორისო ურთიერთობების სამი ურთიერთდამოკიდებული მდგომარეობის საფუძველზე. რეალისტები ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო ანარქიის ელემენტზე, რაციონალიტები – საერთაშორისო ურთიერთქმედების ელემენტზე, ხოლო რევოლუციონისტები – სახელმწიფოთა საზოგადოების ანუ საერთაშორისო საზოგადოების ელემენტზე. ეს მხოლოდ სანყისი და მიახლოებითი განსაზღვრებაა. საჭიროა სამი ტრადიციის უფრო სრულყოფილად განსაზღვრა და ერთმანეთისაგან განცალკევება.

---

* **Martin Wight, The Three Traditions of International Theory, Conclusion: The Balance of Three Traditions from *International Theory: The Three Traditions*, New York: Holmes & Meier Publishers, Inc., 1992. Chapters 1, 12, pp. 7-24, 259-268. Reprinted by permission of The Continuum International Publishing Group Inc.**

[1] Edmunsd Burke, "Letters on a Regicide Peace," *The Works of the Rights Hon. Edmund Burke* (London: Samuel Holdsworth, 1842), vol. II, p. 299.

რევოლუციონისტები

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რევოლუციონისტებად შეიძლება ვუწოდოთ ის ადამიანები, რომლებსაც იმდენად მგზნებარედ სწამთ სახელმწიფოთა საზოგადოების, ანუ საერთაშორისო საზოგადოების ზნეობრივი ერთიანობის, რომ მასთან ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. აქედან გამომდინარე, ისინი ამტკიცებენ, რომ ამ ერთობის სახელით საუბრობენ და, ამავე დროს, ვალდებულად თვლიან თავს, უზრუნველყონ მისი რეალურად ჩამოყალიბება, რაც მათი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია. მათთვის საერთაშორისო საზოგადოება, როგორც მთლიანობა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილები. ისინი უფრო კოსმოპოლიტები არიან, ვიდრე „ინტერნაციონალისტები," ხოლო მათი საერთაშორისო თეორია და პოლიტიკა „მისიონერულ ხასიათს" ატარებს (დოუსონი).

საერთაშორისო რევოლუციონისტთა სამი თვალსაჩინო მაგალითის დასახელება შეიძლება: მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეების რელიგიური რევოლუციონისტები, ფრანგი რევოლუციონისტები, განსაკუთრებით იაკობინელები, და მეოცე საუკუნის ტოტალიტარული რევოლუციონისტები.

მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეების რელიგიურ რევოლუციონისტებს შორის პროტესტანტებიც იყვნენ და კათოლიკეებიც. პროტესტანტები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოთა საზოგადოების იმჟამად არსებული ფორმა გარყვნილი და დამახინჯებული იყო. მათი აზრით, ის რეფორმირებას საჭიროებდა და ისტორიის პროცესების წყალობით – ანუ, როგორც თავად ისინი იტყოდნენ: ღვთის ნების წყალობით – ახლოვდებოდა რეფორმა და განწმენდა, რაც დასაბამს მისცემდა სახელმწიფოთა ახალ საზოგადოებას. კათოლიკეები კი ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანულ საერთაშორისო საზოგადოებას, ანუ ევროპას, აჯანყებები და მწვალებლობა უთხრიდა ძირს და რომ საჭირო იყო მისი განმტკიცება. პროტესტანტული რევოლუციონიზმის კლასიკური წარმომადგენლები კალვინისტები იყვნენ, განსაკუთრებით ფრანგი ჰუგენოტები, ხოლო კათოლიკური რევოლუციონიზმისა – იეზუიტები (ეს იყო კონტრრევოლუციონიზმი, ანუ კონტრრეფორმაცია, მაგრამ ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე ის მაინც რევოლუციონიზმია). ცნობილია, რომ კალვინისტთა და იეზუიტთა პოლიტიკური ფილოსოფია ერთიმეორის მსგავსად ვითარდებოდა და მათ შორის სიახლოვეც არსებობდა, რადგან ორივე შეიცავდა თეორიებს ხალხის ნებაზე დამყარებული ძალაუფლების შესახებ, აგრეთვე, მეფეთა მმართველობის მიმართ წინააღმდეგობის უფლებისა და ტირანთა მოსპობის შესახებ.

> შოტლანდიელმა და იეზუიტმა
> პირველად ასწავლეს მსოფლიოს,
> რომ ქვეშევრდომები უნდა ბატონობდენ,
> ხოლო მონარქები მათ უნდა დაემორჩილონ.

ეს ეპიგრამა ინგლისის სამოქალაქო ომის დროს შეიქმნა და მიეწერება ჯორჯ ბიუქენანს, *De Jure Regni apud Scotus* (1579) და მარიანას, *De Rege et Regis Institutione* (1599).[2]

მსგავსება შეინიშნება საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მათ თეორიებს შორისაც, რაც განპირობებულია სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება-ვალდებულებისა და მოწინააღმდეგე დაჯგუფების მიერ დამორჩილებულ საკუთარ მომხრეთა გათავისუფლების თაობაზე მათი მოსაზრებებით, აგრეთვე,

[2] R. H. Murray, *Political Consequences of the Reformation* (London: Ernst Benn, 1926), p. 122.

მათი დოქტრინით საერთაშორისო საზოგადოების ბუნების შესახებ. კალვინისტური პოზიციის ძირითადი გამოხატულებაა *Vindiciae contra Tyrannos* (1579), ხოლო კათოლიციზმისა – კარდინალ ბელარმინის ირიბი ძალაუფლების თეორია, რომელიც სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში რომის პაპის ჩარევას ამართლებდა (პობსი დაუპირისპირდა მას *ლევიათანის* უკანასკნელ წიგნში,[3] ხოლო ბოტერო, იეზუიტთა პიემონტელი მოწაფე, ნაშრომში *Della Ragion di Stato* (1589)).[4]

მეოცე საუკუნეში შესამჩნევია მსგავსი ურთიერთდამოკიდებულება მემარცხენე და მემარჯვენე ტოტალიტარულ რევოლუციონისტებს შორის, რასაც თან სდევს დიალექტიკური მტრობა, ასევე, მათი საერთაშორისო თეორიების ორმხრივი ასიმილაცია, რომლის სიღრმესაც მოგვიანებით განვიხილავთ.

არსებობს ორი მიზეზი, რომელთა გამოც რევოლუციონიზმს დანარჩენ ორ ტრადიციაზე ადრე განვიხილავთ. საერთაშორისო ურთიერთობების სამი ურთიერთდამოკიდებული მდგომარეობა იმის საპირისპიროდ იქნა ჩამოთვლილი, თუ რა ისტორიული თანამიმდევრობით წარმოიშვა ისინი. ისტორიული განვითარების პროცესში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ვითარება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის საგანს წარმოადგენს, თავდაპირველად არსებობდა სახელმწიფოთა რეალური საზოგადოება, *Respublica Christiana*, რომლის კონსტიტუციური, რელიგიური და პოლიტიკური ერთიანობის ხარისხი ცვალებადი იყო, მაგრამ დაახლოებით 500 წლის მანძილზე (ჩვ. წ. 700-1200) გაცილებით აღემატებოდა შემდგომში არსებული სახელმწიფოთა საზოგადოების კონსტიტუციური ერთიანობის ხარისხს. (გარკვეული თვალსაზრისით, თანამედროვე რევოლუციონიზმის წინაპარი შუა საუკუნეების კათოლიკური ეკლესია იყო). გარდა ამისა, *Respublica Christiana*-ს სხვადასხვა წევრებს შორის უწყვეტ და ორგანიზებულ ურთიერთქმედებას ჰქონდა ადგილი. უფრო გვიანდელ პერიოდში კი მათ შორის კავშირი იმდენად დასუსტდა, რომ მათ ურთიერთობების დარეგულირება ომის საშუალებით დაიწყეს და ზემდგომი პოლიტიკური ხელისუფლების ცნობაზე უარი თქვეს. ის, რომ რევოლუციონისტური სახელმწიფოთა საზოგადოება ისტორულად უფრო ადრე შეიქმნა, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ განვიხილავთ თავდაპირველად რევოლუციონიზმს. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ რევოლუციონიზმი განსაკუთრებულად ასახავს დასავლურ ცივილიზაციას. ის განასახიერებს მის ზნეობრივ დინამიზმსა და ენერგიას.

დასავლურ კულტურას მსოფლიოს სხვა ცივილიზაციებისაგან მისიონერული ბუნება განასხვავებს – მისი გადაცემა ერთი ხალხის მიერ სხვათათვის სულიერ მოძრაობათა უწყვეტ ნაკადში.[5]

დასავლური ცივილიზაცია მსოფლიოში ცვლილებების გამომწვევი დიდი ძალაა, რადგანაც მსოფლიოს შეცვლა მისი კულტურული იდეალის განუყოფელ ნაწილად იქცა.[6]

ვიდრე რევოლუციონისტების შესახებ მსჯელობას დავასრულებთ, საჭიროა აღვნიშნოთ შესაძლო კონტრასტი მათსა და დანარჩენი ორი ტრადიციის წარმომადგენლებს, რეალისტებსა და რაციონალისტებს, შორის. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ქმნიან თუ არა რევოლუციონისტები ფილოსოფიური მსჯელობის უწყვეტ ტრადიციას, არსებობს თუ არა რაიმე აზროვნების სკოლის მსგავსი, გაცნობიერებული ნაკადი, რომელიც სათავეს იღებს კალვინიდან და მოიცავს რუსოს, ჰიტლერსა და სტა-

[3] Luigi Sturzo, *The Church and State* (London: Geoffrey Bles, 1939), p. 251.
[4] Ibid., p. 269.
[5] C. Dawson, *Religion and the Rise of Western Culture* (London: Sheed & Ward, 1950), p. 12.
[6] Ibid., p. 10 (aseve ixileT: *Understanding Europe* (London: Sheed & Ward, 1952), p. 16.

ლინს? შეიძლება არსებობდეს მოსაზრება, რომ საერთაშორისო რევოლუციონიზმის სამი მაგალითი – რელიგიური ომები, ფრანგი რევოლუციონისტები და მეოცე საუკუნის ტოტალიტარული რევოლუციონისტები – რელიგიური ფანატიზმის ერთეული შემთხვევები იყო, ცალკეული კონვულსიები, რომლებსაც ერთმანეთთან მხოლოდ საერთო სნეულების სიმპტომები აკავშირებს.

მაგრამ არსებობს გარკვეული ხარისხის გაცნობიერებული კავშირი და უწყვეტობა მეოცე საუკუნის ტოტალიტარიზმის მიმდევრებსა და ფრანგ რევოლუციონისტებს შორის. მარქსიზმი პატივს მიაგებს ბაბეფს, როგორც პირველ სოციალისტს. განსხვავებული სახით ის პატივს სცემს რობერსპიერსა და იაკობინელებს, როგორც წარმომადგენლებს ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელიც პროლეტარული რევოლუციის აუცილებელი წინაპირობა იყო. ამავე დროს, იაკობინელები რუსოს მემკვიდრეებად ითვლებიან. ფაშისტები ასევე აღიარებდნენ ფრანგ რევოლუციონისტებს, თუმცა, უფრო უხეში ფორმით. ფაშისტები მათი მეთოდებისა და იდეების დიდ ნაწილს იყენებდნენ (ისევე, როგორც კომუნისტები), მაგრამ, იმავდროულად, ამტკიცებდნენ, რომ მათ უარყვეს საფრანგეთის რევოლუცია და დაასრულეს ის პერიოდი, რომელსაც საფრანგეთის რევოლუციამ დაუდო სათავე და რომლის განმავლობაშიც საფრანგეთის რევოლუციის იდეები სრულად განხორციელდა (ეს თემა ძალზე უყვარდა მუსოლინის, რომელიც არც ისეთი გაუნათლებელი იყო, როგორც სხვა ფაშისტი ლიდერები). საფრანგეთის კონვენტმა ახალი წელთაღრიცხვა შემოიღო 1792 წლიდან. იტალიელმა ფაშისტებმა მიჰბაძეს ამ ტრადიციას და გამოაცხადეს ფაშისტური ეპოქის დასაწყისი, რომლის ათვლის წერტილადაც რომისაკენ ფაშისტების მსვლელობა აიღეს. ამრიგად, მათ ერთდროულად საფრანგეთის რევოლუციის იმიტაცია და უგულებელყოფა მოახდინეს. ტელმონის წიგნში *„ტოტალიტარული დემოკრატიის წარმოშობა"*[7] ნათქვამია, რომ ტოტალიტარული დემოკრატიის ფესვები რუსოსთან უნდა ვეძიოთ და, აგრეთვე, დაზუსტებულია ინტელექტუალური მემკვიდრეობის ხაზი, რომელსაც ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ. შეიძლება თუ არა, რომ მემკვიდრობის ხაზი კიდევ უფრო განვავრცოთ?

ისტორიის შესახებ მცირეოდენი ცოდნა საკმარისია, რათა დავინახოთ, რომ მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი ტირანიის მეთოდების პროტოტიპი არის არა რუსოს მოწაფეთა საქმიანობა 1790-იან წლებში, არამედ ის, რასაც კათოლიკური ეკლესია და მისი პროტესტანტი ტიტოები აკეთებდნენ ან ცდილობდნენ გაეკეთებინათ მეთექვსმეტე საუკუნეში მათ ხელთ არსებული შედარებით შეზღუდული სამთავრობო მექანიზმების მეშვეობით და, აგრეთვე, ის, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ ჩაიდინა თავისი დიდების ხანაში შუა საკუნეებში. ოჯახური მსგავსება დასავლურ ტირანიებს შორის აშკარაა, მაგრამ არსებობს თუ არა კავშირი მათ იდეებს შორის?

რუსო, როგორც ცნობილია, ჟენევის მოქალაქე იყო და მისი ძეგლი აღმართულია პატარა კუნძულზე მდინარე რონის შუაგულში, იქ, სადაც მდინარე ჟენევის ტბის დასავლეთ ბოლოდან გამოედინება. იგი ამაყობდა, რომ ამ ქალაქ-სახელმწიფოს მოქალაქე იყო (citoyen de Geneve), რადგანაც მაშინ „მოქალაქე" აღნიშნავდა „არისტოკრატს" და არ ატარებდა იმ მნიშვნელობას, რომელიც მან საფრანგეთის რევოლუციის შედეგად შეიძინა. (მოქალაქეები და ბიურგერები ჟენევის ორ პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენდნენ).[8] იგი აღზრდილი იყო ჟენევის ისტორიის გამორჩეული ფიგურის, თეოკრატი დიქტატორის ჟან კალვინის იდეებსა და დოქტრინებზე (თუმცა, მოგვიანებით კათოლიკე გახდა) და *ინსტიტუტებს* კითხულობდა.[9]

[7] J. L. Talmon, *The Origins of Totalitarian Democracy* (London: Secker & Warburg, 1955).

[8] Jacques Maritain, *Three Reformers* (London: Sheed & Ward, 1941), pp. 231, 140.

ჟენევა საერთაშორისო რევოლუციონისტების სიმბოლურ ქალაქად შეიძლება მივიჩნიოთ: ის კალვინის, რუსოსა და ერთა ლიგის ქალაქია (ხოლო ერთა ლიგის ზოგიერთი თეორეტიკოსი რევოლუციონისტად შეიჩლება ჩავთვალოთ). თუმცა, ეს კავშირი გარეგნული და სიმბოლურია. ნამდვილი კავშირი იდეებს შორის ორ დონეზე შეიმჩნევა: პოლიტიკურსა და ფილოსოფიურზე, ანუ თეოლოგიურზე.

მართალია, კალვინის დოქტრინები სახალხო სუვერენიტეტისაკენ იხრებოდა, მაგრამ სახალხო სუვერენიტეტის დოქტრინა თავად მას არ შემოუთავაზებია: მისი დოქტრინა ღმერთის სუვერენიტეტში მდგომარეობდა. კალვინი ნამდვილი თეოკრატი იყო. მას სწამდა, რომ მეფეებისა და მაგისტრატების ხელისუფლება ზეციდან, ანუ ღმერთისაგან იყო ნაბოძები და არა ქვემოდან, ანუ ხალხის მიერ. მიუხედავად ამისა, რადგან კალვინმა ღმერთის სუვერენიტეტი განადიდა, მან, შესაბამისად, შეამცირა ნოდებრივი განსხვავებანი ადამიანებს შორის. ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და თუ მეფე ან მაგისტრატი ზნეობის ან რწმენის საწინააღმდეგო ბრძანებას გასცემს, მორჩილების ბუნებრივი მოვალეობა დაუმორჩილებლობის საგანგებო მოვალეობად გადაიქცევა. *ინსტიტუტების* ბოლო აბზაცში სწორედ ეს აზრია მოცემული:

მართალია, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია რომ მმართველთა ბრძანებებს დავემორჩილოთ, მაგრამ ყოველთვის უნდა დაეუშვათ გამონაკლისი და განსაკუთრებით ფრთხილად ვიყოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს არ ეწინააღმდეგება მორჩილებას მისდამი, ვის ნებასაც უნდა დაექვემდებაროს ყოველი მეფის სურვილი, ვის ბრძანებასაც უნდა შეესატყვისებოდეს მათი ბრძანებები და ვისი დიდების წინაშეც უნდა მოიდრიკოს მათი კეერთხები. მართლაც, უგუნურება იქნება, რომ შეეცადო, აამო ადამიანებს და შეურაცხყო ის, ვისი გულისთვისაც ემორჩილები ადამიანებს! ამიტომაც, უფალი მეფეთ მეფეა. როდესაც იგი თავის ღვთაებრივ სიტყვებს ამბობს, ჩვენ მხოლოდ მისი სიტყვები უნდა გვესმოდეს უწინარეს ყოვლისა და ნაცვლად ყოვლისა. ჩვენ ვემორჩილებით ადამიანებს, რომლებიც ჩვენი მმართველები არიან, მაგრამ ვემორჩილებით მხოლოდ უფლის სახელით. თუკი ისინი გვიბრძანებენ რაიმეს მის საწინააღმდეგოდ, ნუ მივაგებთ მათ სულ მცირე პატივსაც კი და ნურც ის ღირსება შეგვაკრთობს, რომელსაც ისინი ფლობენ, როგორც მაგისტრატები – ეს ღირსება სულაც არ ილახება, როდესაც ის ღმერთის განსაკუთრებულ და ჭეშმარიტად უზენაეს ძალაუფლებას ექვემდებარება.[10]

კალვინი მსჯელობას წმინდა პეტრეს სიტყვებით ასრულებს: „ჩვენ ღმერთს უფრო უნდა დავემორჩილოთ, ვიდრე ადამიანებს." (Acts V. 29).

ეს იყო კალვინისტური დოქტრინის წყარო ტირანების წინააღმდეგ ბრძოლის მოვალეობისა და მეფეების დამხობის უფლების შესახებ. მოსაზრება, რომ მეფეს მმართველობის უფლება ღმერთისაგან აქვს მინიჭებული, ხოლო ადამიანებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ მან ეს უფლება დაკარგა, არცთუ ისე დიდად განსხვავდება იმ მოსაზრებისაგან, რომ მეფეს ხალხი უბოძებს ხელისუფლებას. ამ პრინციპიდან გამომდინარე, შოტლანდიელებმა დედოფალი მერი დაამხეს 1567 წელს, ხოლო ჰოლანდიელებმა უარი განუცხადეს მორჩილებაზე ესპანეთის მეფე ფილიპეს 1581 წელს. აღნიშნული პრაქტიკა თეორიულად ჩამოაყალიბა გერმანელმა კალვინისტმა იოჰანეს ალთუზიუსმა (1557-1638), რომელმაც პირველმა შემოგვთავაზა პოლიტიკური ხელშეკრულების დოქტრინა თანამედროვე ფორმით.[11] ალთუზიუსის შემდეგ ეს თეორია უწყვეტად ვითარდებოდა რუსომდე. რუსოსა და კალვინს შორის უფრო ღრმა მსგავსებაც არსებობს. ორივე მათგანი ამტკიცებდა, რომ საზოგადოე-

[9] R. H. Murray, *Political Consequences of the Reformation*, p. 111.
[10] *Institutes* (1845 edn), ციტატა მოყვანილია ნაშრომში: in R. H. Murray, ibid., pp. 109-10.
[11] Johannes Althusius, *Politica medodice digesta* (publ.1603).

ბრივი ხელშეკრულებების, არჩევითი მეფეებისა და სახალხო მთავრობების პოლიტიკურ მექანიზმებს მიღმა ხელისუფლების უზენაესი წყარო არსებობს. კალვინისათვის ღმერთი იგივეა, რაც რუსოსათვის საზოგადო ნება (იმანენტური სოციალური ღმერთი), რაც საშუალებას აძლევს მათ მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკურ სისტემებს, უსახო უმრავლესობის მმართველობისა და წარმომადგენლობითი მთავრობის მახეებს აარიდონ თავი.

როგორც აღვნიშნეთ, რუსოსეული დემოკრატია არის მათი მმართველობა, ვინც ამტკიცებს, რომ „ხალხის სახელით" საუბრობს, ანუ მათი, ვინც საზოგადო ნებას განასახიერებს. მსგავსად ამისა, თეოკრატია პრაქტიკაში გულისხმობს მათ მმართველობას, ვინც ამტკიცებს, რომ „ღმერთის სახელით" საუბრობს. პროლეტარიატის დიქტატურა კი არის მათი დიქტატურა, ვინც ამტკიცებს, რომ საუბრობს „პროლეტარიატის სახელით." განსაკუთრებული წარმომადგენლობითობის ამგვარი პრეტენზია რევოლუციონისტური დოქტრინის მუდმივი მახასიათებელია.

ფილოსოფიურ და თეოლოგიურ დონეზე რუსო, ალბათ, ლუთერთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე კალვინთან. ორივენი წარმოადგენენ ანტიინტელექტუალისტურ რელიგიურ აზროვნებას, ანუ მისტიციზმს, გრძნობებისა და სენტიმენტების ბატონობას ინტელექტზე. მათთვის ასევე დამახასიათებელია „მე"-ს გაზვიადებული აღქმა და რელიგიური ეგოცენტრიზმი, რაც აბსოლუტურ სუბიექტივიზმს ბადებს. რუსომ დაამსხვრია ბუნებითი ზნეობა, ისევე, როგორც ლუთერმა დაამსხვრია ზებუნებრივი ზნეობა და უცოდველობის დოქტრინა.[12]

მიუხედავად ამისა, რევოლუციონისტური იდეების მემკვიდრეობითობა და აზროვნების უწყვეტობა ბუნდოვანი და გაურკვეველია. რევოლუციონისტური ტრადიცია უფრო ცალკეული ტალღებია, ვიდრე ერთიანი ნაკადი. რევოლუციონიზმში უწყვეტობა ყველაზე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხია. აქ წარმოდგენილია ერთი და იმავე პოლიტიკურ-ფილოსოფიური ჭეშმარიტებების ცალკეული მაგალითები, ისევე, როგორც ფსიქიატრის ჩანაწერები მოიცავს რამდენიმე ზოგადი პრინციპის ცალკეულ მაგალითებს. რევოლუციონიზმისათვის დამახასიათებელია წარსულის უარყოფა, ნულიდან დაწყების მცდელობა, ისტორიის იგნორირება და ხელახლა დაწყება და ეს მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას როდი ეხება. როდესაც რევოლუციონიზმი იძულებულია, თავისი წარსული აღიაროს, ის ამას თვითნებური შერჩევით, აგრეთვე, უარყოფისა და ჩანაცვლების დოქტრინით ახორციელებს. რუსო აღიარებს რეფორმაციას, მაგრამ განზრახ მოძველებულად აცხადებს მას. მარქსისტები აღიარებენ იაკობინელებს, მაგრამ განზრახ მოძველებულად აცხადებენ მათ. რევოლუციონიზმის ოჯახის ისტორია მშობლის მკვლელობის ისტორიაა: „დიახ, ეს მამაჩემია, და მე ის მოვკალი, რადგანაც ეს აუცილებელი იყო." ფროიდი გვეტყოდა, რომ ნებისმიერი ოჯახური ურთიერთობა სწორედ ასეთია.

რაციონალისტები

საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული ანარქიის პირობებში რაციონალისტები ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო ურთიერთქმედების ელემენტზე და მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მათ სწამთ, რომ ადამიანი, იმის მიუხედავად, რომ აშკარად ცოდვილი და სისხლმოწყურებული არსებაა, ამასთანავე, რაციონალურიც არის. სიტყვა „რაციონალისტი" დროთა განმავლობაში საგრძნობლად დასცილდა თავის საწყის მნიშვნელობას. ერთი მხრივ, თომა აკვინელი ნეტარ ავგუსტინესთან შედარებით რაციონალისტია, რადგანაც ნეტარი ავგუსტინე გონებას რწ-

[12] Jacqes Maritain, *Three Reformers* (London: Sheed & Ward, 1941), pp. 150, 143, 34-6 and 95.

მენაზე ამაღლა აყენებდა, თომა აკვინელი კი ფიქრობდა, რომ რწმენა და გონება მადლის ორი განსხვავებული სახეობაა, რელიგია და მეცნიერება – ცოდნის ორი განსხვავებული ტიპი და, შესაბამისად, მეცნიერების მიზნები რელიგიის მიზნები ვერ იქნება.

რაციონალიზმის თეორიის თანახმად, გონება თავისთავად ცოდნის წყაროა, რომელიც დამოუკიდებელია გრძნობითი აღქმისაგან და აღემატება მას. ის უპირისპირდება სენსუალიზმს. თანამედროვე ფილოსოფიის საწყის ეტაპზე, მეჩვიდმეტე საუკუნეში, „რაციონალიზმს" ეპისტემოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ის აღნიშნავდა გარკვეული სახის პასუხს კითხვაზე: „როგორ ვიძენთ ცოდნას?" ის გამოხატავდა მოსაზრებას, რომ გონებას თავისთავად, ყოველგვარი დაკვირვების გარეშე, შეუძლია, მოგვცეს ფილოსოფიური ცოდნა, რომელიც ჭეშმარიტია. ასეთი ცოდნა შეიძლება მივიღოთ დედუქცის გზით, აპრიორული ცნებებიდან ან პირველადი იდეებიდან გამომდინარე. ამიტომაც, რაციონალიზმი სამყაროს სულიერი და მისწრაფებითი აღქმისაკენ იხრებოდა, ხოლო გრძნობათა სამყარო გარკვეულწილად ილუზიურად იყო მიჩნეული. ამ თეორიას გვთავაზობდნენ დეკარტი, სპინოზა და ლაიბნიცი. რაციონალისტებს პასუხი გასცეს ემპირიცისტებმა, მაგალითად ლოკმა, ბერკლიმ და ჰიუმმა, რომლებიც შეკითხვაზე: „როგორ ვიძენთ ცოდნას," პასუხობდნენ: „დაკვირვებისა და გრძნობითი აღქმის გზით."[13] ორი საუკუნის შემდეგ რაციონალიზმმა დღეს დამკვიდრებული პოპულარული მნიშვნელობა შეიძინა, რითაც ის უფრო ახლოსაა ემპირიციზმთან, ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნის რაციონალიზმთან. ეს არის ჯეიმს მილისა და ჯონ სტიუარტ მილის მოსაზრება: ფაქტებზე დამყარებული რწმენა და საკუთარი რეალური ინტერესების გააზრება. სწორედ აქედან იღებს სახელწოდებას „რაციონალისტთა პრესის ასოციაცია." რაციონალიზმი გულისხმობს გონების მეშვეობით იმის ახსნას, რაც ზებუნებრივად გვეჩვენება.[14] კიდევ უფრო შორს არის სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობისაგან ტერმინი „რაციონალიზაცია," რომელიც გულისხმობს სასურველი მიზეზების გამოგონებას იმ მოქმედების ასახსნელად (საკუთარი თავისა და სხვებისათვის), რომლის ჭეშმარიტი მოტივები განსხვავებულია, ან სულაც უცნობია. ეს არ არის იგივე, რაც გონივრული ახსნა ან გონების არეალში მოქცეეა. ეს უგუნურების დაფარვაა.

სიტყვა „რაციონალისტის" გამოყენების გასამართლებლად მოვიყვან ნაწყვეტს ლოკის ნაშრომიდან, რომელიც ეპისტემოლოგიურ თეორიაში ემპირიცისტად არის მიჩნეული: „მართებული იქნება, რომ მდგომარეობას, როდესაც ადამიანები ცხოვრობენ ერთად, გონების კარნახით, საერთო ხელისუფალისა და მსაჯულის გარეშე, ბუნებრივი მდგომარეობა ვუწოდოთ."[15] ლოკი ვარაუდობს, რომ ადამიანები გონიერები არიან და გონების კარნახით ცხოვრობენ მაშინაც კი, როცა საერთო მთავრობა არ ჰყავთ, როგორც, მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში.

რაციონალისტები ბუნებითი სამართლის ტრადიციას ემხრობიან და შეიძლებოდა მათთვის „ნატურალისტებიც" გვეწოდებინა, მაგრამ ეს სიტყვა უკვე აღნიშნავს საერთაშორისო სამართლის მეცნიერთა სკოლას. წარსულში, საერთაშორისო სამართლის საკითხებით დაკავებული ავტორები ნატურალისტებად, პოზიტივისტებად და გროციუსიანელებად იყოფოდნენ. ნატურალისტები ფიქრობენ, რომ სახელმწიფოთა შორის ერთადერთი სამართალი ბუნებითი სამართალია, ანუ საწყისი პრინციპები და რომ ხელშეკრულებები და ჩვეულებები ჭეშმარიტ სამართალს არ განეკუთვნება. პოზიტივისტები ამტკიცებენ სრულიად საპირისპიროს, ანუ იმას, რომ

[13] C. E. M. Joad, *Guide to Philosophy* (london: Victor Gollancz Ltd., 1973). pp. 108-12.
[14] იხილეთ: Hugh Trevor-Roper vs. Toynbee, *The Times*, 28 May 1954, letter.
[15] John Lock, *Of Civil Government* (Lomdon: Dent & Sons, 1924). books II, p. 126.

ერთადერთი არსებული საერთაშორისო სამართალი ჩვეულებებითა და ხელშეკრულებებით არის წარმოდგენილი და რომ ბუნებითი სამართალი უკანონოა, ან სულაც არ არსებობს. გროციუსიანელები აერთიანებენ ორივეს მიდგომას და ამბობენ, რომ საერთაშორისო სამართალი ორივე ელემენტს საჭიროებს. ნატურალისტები არ არიან იგივე რაციონალისტები ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომელსაც მე ვიყენებ. ყველაზე უფრო დიდი ნატურალისტი იყო პუფენდორფი, ჰობსის მიმდევარი, რომელსაც საერთაშორისო სამართალი გააზრებული ჰქონდა ჰობსისეული ანარქიული თავისუფლების ახალი მოძღვრების თვალსაზრისით და რომელიც საერთაშორისო სამართალს სოციალური ერთიანობის პრინციპად არ მიიჩნევდა. იგი ჭეშმარიტად რეალისტი იყო. გროციუსიანელები რაციონალისტები არიან (გარკვეული განსხვავებებით), ხოლო პოზიტივისტები და ნატურალისტები – როგორც წესი, რეალისტები.

ამ ტრადიციისათვის რაციონალიზმის დარქმევა გულისხმობს, რომ ის დაკავშირებულია გონების ელემენტთან, რომელსაც ბუნებითი სამართლის კონცეფცია შეიცავს. ბუნებითი სამართალი არის რწმენა კოსმიური, ზნეობრივი აგებულებისა, რომელიც ახასიათებს ყოველ ცოცხალ ქმნილებას, მათ შორის ადამიანებსაც. ეს არის სისტემა მარადიული და უცვლელი პრინციპებისა, რომელთა წყაროც (იქნება ეს ღმერთი, თუ ბუნება) მიწიერ ძალებს აღემატება. ამავე დროს, ეს არის რწმენა, რომ ადამიანებს ახასიათებთ თანდაყოლილი ჰარმონია ამ სამართალთან – გარკვეული სახის თანდაყოლილი კავშირი მასთან, რადგანაც ისინი რაციონალური აზროვნების უნარს ფლობენ. გონება ამ ბუნებითი სამართლისა და მისგან გამომდინარე მოვალეობების გააზრების შესაძლებლობას გულისხმობს. ეს სამართალი (სამართლიანობისა) „მათ გულებშია ჩაწერილი." ადამიანები არსებითად რაციონალური ქმნილებები არიან და არა უბრალოდ გრძნობების მქონე არსებები. გონება ჩვენში ჩადებული ღვთიური სინათლის ანარეკლია: „*Ration est radius divini luminis*." ასე შეიძლება გავამართლოთ სიტყვა რაციონალისტის გამოყენება ამგვარი განსაკუთრებული მნიშვნელობით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასთან მიმართებაში.

რაციონალისტური ტრადიცია ევროპული აზროვნების ფართო შუა გზაა. მისგან ერთ მხარეს გზა ზემოთ მიემართება, ქრისტიანული თუ საერო რევოლუციონიზმის კლდეებისა და უფსკრულებისაკენ, ხოლო მეორე მხარეს ის ქვემოთ, რეალიზმის ჭაობისაკენ მიექანება. რაციონალიზმი სათავეს ძველ საბერძნეთში იღებს, განსაკუთრებით სტოიკოსთა ფილოსოფიაში. შემდგომში ის კათოლიკურმა ეკლესიამ განავითარა, მაგრამ რაციონალიზმის უდიდესი ღირსება იმაშია, რომ ის არასოდეს ყოფილა მხოლოდ კათოლიკეთა მოძღვრება. შუა საუკუნეებში ეს გზა ებრაელმა და არაბმა მოაზროვნეებმა განვლეს, ხოლო ახალ ეპოქაში – პროტესტანტებმა, ჰუმანისტებმა და რაციონალისტებმა, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომელიც „რაციონალისტთა პრესის ასოციაციის" სახელწოდებაში იგულისხმება. რაციონალიზმი პოტენციურად კაცობრიობის უნივერსალური მოძღვრებაა. გარკვეული სულიერი მდგომარეობის დროს ყოველ ჩვენთაგანს აქვს შეგრძნება, რომ მისი ადგილი სწორედ ამ გზაზეა და სწორედ აქ არის ყველაზე მეტად გაცნობიერებული ტრადიციის უწყვეტობა. ამ გზაზე გვხვდება თომა აკვინელის გამორჩეული ფიგურა, რომელსაც აქტონი „პირველ ვიგს" უწოდებდა; აქვე არიან ვიტორია (1480-1546) და სუარესი (1548-1617), ნეოსქოლასტიკოსები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ბუნებითი სამართლის შუა საუკუნეების ტრადიციასა და თანამედროვე აზროვნებას საერთაშორისო საკითხების სფეროში. აქვეა ჰუგო გროციუსიც და მისი შთამომავლები თუ მემკვიდრეები საერთაშორისო სამართლის სფეროში, ამას გარდა ჰუკერი, ალთუზიუსი, ჯონ ლოკი და ამერიკის რესპუბლიკის დამაარსებლები, ყოველ შემთხვევაში ვაშინგტონი, მედისონი და ჰამილტონი მაინც, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯეფერსონზე.

ეს შუა გზაა *ფართოა*, მაგრამ ამ წერტილში ის განუსაზღვრელად ფართოვდება. მისი საზღვრის დადგენა რთულდება, ხოლო თავად გზა ზოგჯერ იმდენად ვიწროვდება, რომ შეიძლება დაბნეულობა წარმოშვას. მაგალითად, ჰამილტონი თითქოს ამ გზაზე იმყოფება, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, იგი საკმაოდ დაშორებულია მისგან და რეალიზმის ჭაობისაკენ მიემართება. ბერკი მტკიცედ მიუყვება ამ გზას, თუმცა, მისი მოძრაობა არამდგრადია. კანტი, ერთი შეხედვით, ამ გზას ადგას, მაგრამ მას ახასიათებს შემაშფოთებელი მიდრეკილება გზიდან გადახვევისაკენ ჰამილტონის საპირისპირო მხარეს, კლედეებისა და უფსკრულების მიმართულებით. მოგვიანებით, გზაზე ნისლის ღრუბელი მოჩანს, რომელსაც ჰეგელი ჰქვია და რომლის გამოც გარკვეული დროის მანძილზე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ სად მდებარობს გზა და ვინ ადგას მას. შემდეგ მოდიან მილი და კობდენი, აგრეთვე მაძინი, მაგრამ, ძნელი სათქმელია, დგას თუ არა ეს ეკანასკნელი ამ გზაზე. შემდგომში გზის ზოგადი მიმართულება ნათელია, თუმცა, ის ურმის ბილიკივით ვიწროვდება. ტოკვილი და აბრაამ ლინკოლნი ამ გზაზე არიან, ხოლო გლედსტოუნის ორატორული ხმა ახლოდან ისმის. შემდეგ გაიელვებს პენსნე და აბრეშუმის ცილინდრი პრეზიდენტ უილსონისა, რომელიც ან ამ გზაზეა ან მასთან ახლოს, ხოლო გზა *თითქოს* პირდაპირ მიემართება და ჟენევის ერთა სასახლესთან სრულდება. მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო რაციონალიზმის ბუნდოვანებას მოგვიანებით დავუბრუნდებით და გავაანალიზებთ. ზემოთ ჩვენ აღვწერეთ საერთაშორისო საკითხებზე მსჯელობის ის ზოგადი ტრადიცია, რომელსაც აქ რაციონალიზმს ვუწოდებთ და, აგრეთვე, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სამი ტრადიცია სულაც არ არის მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისაგან, არამედ მათი ურთიერთშეხება ხშირია.

რეალისტები

რეალისტების უპირველესი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ისინი საერთაშორისო ურთიერთოებებში ყურადღებას ამახვილებენ ანარქიის, ძალის პოლიტიკისა და ომის ელემენტზე. დღეს ყველა რეალისტია და, შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ეს ტერმინი საკამათო არ არის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა რეალისტი უფრო მეტად დასცილდა თავის საწყის მნიშვნელობას, ვიდრე სიტყვა რაციონალისტი. თავდაპირველად, რეალიზმი, რომელიც შუა საუკუნეების ფილოსოფიის გაბატონებული სკოლა იყო, ემხრობოდა დოქტრინას, რომლის თანახმადაც უნივერსალიები ანუ ზოდაგი იდეები და აბსტრაქტული ცნებები, ობიექტურად არსებობს. ეს განასხვავებდა რეალიზმს ნომინალიზმისაგან, რომლისთვისაც უნივერსალიები მხოლოდ სახელებია. შემდგომში ადგილი ჰქონდა კარტეზიანულ რევოლუციას, რომლის დოქტრინის მიხედვით არსი, როგორც აღქმის ობიექტი, რეალურად არსებობს. ეს შორს არის იდეალიზმისაგან, რომელიც ამტკიცებს, რომ გარე აღქმის ობიექტი იდეებისაგან შედგება. თანამედროვე პოლიტიკის თეორიაში რეალიზმი არის დოქტრინა, რომელიც ამტკიცებს, რომ კონფლიქტი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განუყოფელი მახასიათებელია. „პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრისათვის, ერ-სახელმწიფოებს შორის მეტოქეობა და გარკვეული ფორმით დაპირისპირება წარმოადგენს წესს და არა უბრალოდ წარსულში მომხდარ შემთხვევით მოვლენებს, რომლებიც ჩამორჩენილობით იყო გამოწვეული."[16] სიტყვა რეალიზმის გამოყენება გულისხმობს კონკრეტულ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რა არის რეალური და რა არის რეალობა. შუა საუკუნეების სქოლასტიკოსების აზრით, რეალობა ესაა უნივერ-

[16] K. W. Thompson. "The Study of International Politics a Survey of Trends and Developments." in *The Review of Politics*, vol.xiv (Indiana: University of Notre Dame, 1952). p. 446.

სალიები, პლატონის იდეების მსგავსი ზოგადი პრინციპები, ხოლო ყოველივე კერძო ამის ანარეკლია. მეთვრამეტე საუკუნის ადამიანისათვის რეალობა საგანი იყო, ისევე, როგორც დოქტორ ჯონსონისათვის, რომელმაც ეპისკოპოს ბერკლის იდეალიზმის ხსენებისას აღშფოთებულმა ქვას დაარტყა ფეხი და თქვა: „მე ამ გზით ვაბათილებ მის აზრს!" მეოცე საუკუნის ადამიანისათვის რეალიზმი ცხოვრების უსიამოვნო ასპექტების გულახდილად აღიარებაა. ამრიგად, რეალიზმი არის ძალადობა, ცოდვა, ტანჯვა და კონფლიქტი, ანუ ის რაც ქენანმა იგულისხმა, როდესაც ახსენა „რეალური მოვლენები," ან როგორც უფრო ადრე დიდმა რეალისტმა თქვა – იმის აღიარება, რომ „ადამიანის ცხოვრება" არის „მარტოობით აღსავსე, ღარიბული, ამაზრზენი, პირუტყვული და ხანმოკლე." შესაძლოა თანამედროვე რეალიზმის ამგვარი ინტერპრეტაცია მცდარად მოგვეჩვენოს და იქნებ ასეც არის, მაგრამ ეს არ ეხება ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოჩენილ რეალისტს, ედვარდ ქარს: „პოლიტიკა ორი ელემენტისაგან, უტოპიისა და რეალობისაგან შედგება, რომლებიც ორ განსხვავებულ სიბრტყეზეა განთავსებული და, ამდენად, ერთმანეთს ვერასოდეს შეეხება. ყოველი პოლიტიკური ვითარება შეიცავს ორ შეუთავსებელ ელემენტს: უტოპიასა და რეალობას, ანუ ზნეობასა და ძალას."[17] ქარის ფრაზა გულისხმობს, რომ ზნეობა უტოპიაა, ანუ *არარსებული* ადგილი, ხოლო რეალობა არის ძალა. ქარი არ ცდილობს, შეინარჩუნოს წონასწორობა, სასარგებლო დაძაბულობა ძალასა და ზნეობას შორის, რომელიც გვხვდება, მაგალითად, ნიბურის წიგნში „ზნეობრივი ადამიანი და უზნეო საზოგადოება." (ამ გაგებით რეალიზმი, როგორც ცხოვრების მიუღებელი ასპექტების გულახდილად აღიარება, ყოველთვის ახლოსაა სიტყვა ცინიზმთან, თუმცა, საბოლოოდ მის სინონიმად არასოდეს იქცევა. ის ხშირად გამოიყენება სასაუბრო ენაში: „ესა და ეს კაცი ძალიან გაღიზიანებულია, რადგან მისი ცოლი სხვასთან ერთად გაიქცა" – „რა გაეწყობა, ის რეალისტურად უნდა მოეკიდოს ამ ამბავს." ამგვარი საუბრის მოსმენა წვეულებაზე სულაც არ გაგაოცებთ. საინტერესოა, რომ ფილოსოფიური წარმოშობის ეს სიტყვა, რომელიც თანამედროვე ენაში თავის საწყის მნიშვნელობას დასცილდა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და არა პოლიტიკური ფილოსოფიის ლექსიკონში დამკვიდრდა. ეს, შესაძლოა, იმის დასტური იყოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას მართლაც აქვს საკუთარი ენა და ცნებები. სასარგებლო იქნება იმის განხილვა, თუ როგორ გამოიყენებოდა ეს სიტყვა წარსულში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და დიპლომატიურ დისკუსიებში. ედვარდ ქარი თითქოს პირველი იყო, ვინც ეს სიტყვა თეორიული მნიშვნელობით გამოიყენა წიგნში *ოცწლიანი კრიზისი,* თუმცა, მას წინამორბედებიც უნდა ჰყავდეს.)

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში რეალისტური ტრადიცია ისეთივე ცნობილი და თითქმის ისევე გააზრებული და უწყვეტია, როგორც რაციონალისტური. მის სათავეშია მაკიაველის საოცარი ფიგურა, ადამიანი, რომელმაც (პირველად ბერძნების შემდეგ) განიხილა პოლიტიკა ეთიკური წანამძღვრების გარეშე. იგი რეალიზმის შემოქმედი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი განზრახ გაემიჯნა შუა საუკუნეებში გაბატონებულ თეოლოგიურ-ეთიკურ რაციონალიზმს და, აგრეთვე, ფარულ რევოლუციონიზს, რომელიც ქრისტიანობის ადრეული ხანიდან მოყოლებული არსებობდა. მაკიაველის მიმდევარი ბეკონი წერდა: „ჩვენ დიდად მადლიერები ვართ მაკიაველის და სხვებისა, რომლებიც წერენ იმას, თუ რას აკეთებენ ადამიანები და არა იმას, თუ რა უნდა გააკეთონ მათ."[18] მაკიაველის გვერდით მხოლოდ ჰობსი შეიძლება დავაყენოთ, თუმცა, არიან სხვებიც, რომლებიც ასევე რეალისტურ ტრადიციას განეკუთვნებიან, კერძოდ ბოდენი, სპინოზა და ჰიუმი; მეთვრამეტე საუკუნე-

[17] E. H. Carr, *The Twenty Years' Crisis* (London: Macmillan & Co., 1939) pp. 118-19.

[18] Joseph Devey, *Works of Lord Bacon* (London: Henry G. Bohn, 1864), book VII, ch.ii, p. 281.

ში, რომელიც პრაქტიკული რეალიზმის კლასიკური ეპოქაა, სახელმწიფო ინტერესი (raison d'état) ფრიდრიხისა და ეკატერინეს მმართველობის ძირითადი პრინციპი იყო, ხოლო შემდგომში ეს ტრადიცია ბისმარკმა და ტრაიჩკემ გააგრძელეს.

თუ მარქსისტულ და ფაშისტურ ვერსიებს არ ჩავთვლით, უკანასკნელ პერიოდში ედვარდ ქარმა შემოგვთავაზა ყველაზე უფრო სრული განმეორება ჰობსისეული შეხედულებისა პოლიტიკის შესახებ და, აგრეთვე, იმ დოქტრინისა, რომლის თანახმად ზნეობისა და კანონის გავლენას საფუძვლად უდევს პოლიტიკა, ძალაუფლებისათვის კონფლიქტი. მსგავსება ჰობსსა და ქარს შორის ძლიერი და საყურადღებოა. ჰობსის *ლევიათანის* (რომელიც ცოტა ადამიანს თუ წაუკითხავს) უკანასკნელ მეოთხე ნაწილს „ბნელეთის სამეფო" ეწოდება. ის წარმოადგენს რომის კათოლიკური ეკლესიის კრიტიკას, რომელიც ნაწილობრივ თეოლოგიური და ირონიულია, მაგრამ უფრო მეტად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, რადგანაც ეკლესიას სურდა, ყოფილიყო სიუზერენი სუვერენული სახელმწიფოებისა, რომლებსაც ჰობსი „ფერიების სამეფოს" უწოდებდა.[19] მისი კრიტიკა ირონიისა და ისტორიული წვდომის ნაზავია. ჰობსის მოძღვრებაში კათოლიკური ეკლესიის ადგილი, ქარის ნაშრომში ერთა ლიგას უკავია, რომელიც (რეალისტური ანალიზის თანახმად) არაფერია სხვა, თუ არა გარდაცვლილი Pax Britanica-ს გვირგვინოსანი აჩრდილი, მისსავე საფლავზე ჩამომჯდარი. პრეზიდენტი უილსონი, ლორდი სესილი, პროფესორი ტოინბი, სერ ალფრედ ციმერნი და, ასევე, ბატონი ჩერჩილი, თუ ომამდელ პერიოდში მის მიერ ერთა ლიგის მხადაჭერას გავითვალისწინებთ, ბრიტანულ საზოგადოებას ართობენ ზღაპრებით ფერიების სამეფოსა და მისი საოცარი ხიბლის შესახებ. ედვარდ ქარის გარდა, რეალისტური ტრადიციის თანამედროვე წარმომადგენლები არიან, ალბათ, მორგენთაუ და უსათუოდ ბერნჰემი, ქენანი და ბატერფილდი.[20]

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის რეალისტური ტრადიციის განმასხვავებელი ნიშანია ინდუქციურ მეთოდზე დაყრდნობა. ის ყურადღებას ამახვილებს არსებულზე ანუ იმაზე, რაც არის და არა იდეალზე ანუ იმაზე, თუ რა უნდა იყოს. ის კონცენტრირებულია ფაქტებზე და არა მოვალეობებზე. ის ინდუქციურ მეთოდს ეფუძნება და არა აპრიორულ მსჯელობას. თავად მაკიაველიმ გარკვევით თქვა ეს:

> რადგან ჩემი მიზანია დავწერო ის, რაც სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ჩემს ნაწერს გაიგებს, მართებულად მიმაჩნია, განვიხილო საქმის რეალური არსი და არა მისი წარმოსახვითი მხარე. ვინაიდან მრავალმა აღწერა არარსებული რესპუბლიკები და სათავადოები და რადგანაც ის, თუ როგორ ცხოვრობს ადამიანი, დიდად განსხვავდება იმისაგან, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან, ის პირი ვინც უგულებელყოფს არსებულს და ყურადღებას უთმობს იმას, თუ რა უნდა იყოს, უფრო თავის დაღუპვას უწყობს ხელს, ვიდრე გადარჩენას.[21]

ამასვე იმეორებს ქარი რეალიზმის მისეულ განსაზღვრებაში: „აზროვნების გავლენას სურვილზე, რომელიც მეცნიერების განვითარების პროცესში მისი თავდაპირველი ნარმოსახვითი პროექტების დამსხვრევას მოსდევს და ამ მეცნიერების სპეციფიკური უტოპიური პერიოდის დასასრულს მოასწავებს, როგორც წესი, რეალიზმს უწოდებენ."[22] ქარის მიერ „მეცნიერების განვითარების" ხსენება მიანიშნებს რეალიზმის ყველა სახეობის ფილოსოფიურ საფუძველზე: ის ამა თუ იმ „მეცნიერულ" თეორიას ემყარება. შესაძლებელია გამოვყოთ სამი ასეთი „მეცნიერული" წან-

---

[19] Thomas Hobbes, *Leviathan* (oxford: Blackwell, 1946), part iv, p. 457.

[20] იხილეთ: H. Buterfield and M. Wight, eds, *Diplomatic Investigations* (London: Allen & Unwin Ltd. 1966), p. 121.

[21] Machiavelli, tr. W. K. Marriot, *The Prince* (London: J.M. Dent, 1928), ch. XV, p. 121.

[22] E. H. Carr, *The Twenty Years' Crisis*, p. 14.

ამძღვარი, რომლებმაც, რიგ-რიგობით თუ ერთდროულად, განმსაზღვრელი როლი შეასრულა რეალისტური ტრადიციის ჩამოყალიბებაში. ეს არის მექანისტური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური წანამძღვრები.

მექანისტური თეორიის თანახმად, საერთაშორისო პოლიტიკის სიმბოლო არის ბალანსი, ანუ სასწორი. ის მეთხუთმეტე საუკუნეში განვითარდა და რენესანსის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი კონცეფცია იყო. მხატვრობაში, ქანდაკებასა და, რაც ყველაზე საოცარია, არქიტექტურაში ის სიმეტრიის პრინციპსა და ე.წ. „კლასიკური წონასწორობის" ძიებაში აისახა, ხოლო საუკეთესო გამოხატულება რაფაელის შემოქმედებაში პოვა. მეთხუთმეტე საუკუნის მუსიკაში კონტრაპუნქტი ჰარმონიის პრონციპად იქცა, კონტრაპუნქტი კი ერთმანეთისადმი ორი მელოდიის დაპირისპირებას გულისხმობდა, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად არსებობდა. რაც შეეხება მეცნიერებას, თანამედროვე ფიზიკის პირველი შესწავლილი დარგი იყო სტატიკა, რომლის კვლევის საგანს უძრავ მდგომარეობაში მყოფი სხეულები ან წონასწორობის მდგომარეობაში მყოფი ძალები წარმოადგენდა. მედიცინაში რენესანსის თეორიამ განსაზღვრა ჯანმრთელობის პრინციპი, რომელიც ოთხი განწყობის წონასწორობას ემყარებოდა. მათი ბალანსი ქმნიდა „ჰარმონიულ ადამიანს" (საინტერესოა, შევადაროთ ამას იუნგის ოთხი ტიპი). ასტროლოგია, როგორც ინტელექტუალური სისტემა, რენესანსის ეპოქაში განვითარდა და ფართოდ გავრცელებულ ფსევდომეცნიერებად იქცა, ისევე, როგორც ფსიქოლოგია არის დღეს. ფსიქოლოგიის მსგავსად, ასტროლოგიაც გულისხმობდა საზოგადოებრივი საქმეებისა და პირადი ცხოვრების ინტეპრეტაციასა და წინასწარმეტყველებას. ის ზოგჯერ, ირიბი და სუბიექტური მსჯელობით, იმავე დასკვნებს აკეთებდა, რომლებიც საღი აზრით იყო ნაკარნახევი. ამასთან, ასტროლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სასწორის სიმბოლოს (ზოდიაქოს მეშვიდე თანავარსკვლავედი). ამგვარი ფსევდომეცნიერებები, წარმოსახვითი სისტემები, რომლებიც შუალედია რელიგიურ რწმენასა და ჭეშმარიტ მეცნიერებას შორის, მუდმივად ახდენს გავლენას ჩვენს აზროვნებაზე. (მათ მიერ გამოყენებული მეთოდები, ჩვეულებრივი სამეცნიერო სტანდარტების მიხედვით, იმდენად სუბიექტურია, რომ ხშირად მონათესავე მეცნიერებები მათ არ აღიარებენ: ფსიქოლოგიას უარყოფს მედიცინა და ეთიკა, ალქიმიას – ქიმია, ხოლო ასტროლოგიას – ასტრონომია). შესაძლოა, ასტროლოგია სწორედ ის დარგია, რომლიდანაც წონასწორობის სიმბოლო აზროვნების სხვა სფეროებში გავრცელდა გარკვეული ფილტრაციის შემდეგ. ალქიმია, ასტროლოგია და ფსიქოლოგია, ანუ თანამედროვე დასავლური ისტორიის სამივე ფსევდომეცნიერება, შეიცავს გაურკვევლობასა და ჭეშმარიტების მინიშნებებს და ამ მეცნიერებათა დღეგრძელობაში ამ გარემოებას არანაკლები წვლილი მიუძღვის, ვიდრე ადამიანთა გულუბრყვილობას.

მეთხუთმეტე საუკუნის განმავლობაში სასწორის მექანისტური სიმბოლო და წონასწორობის ცნება თეორიული აზროვნების, ხელოვნებისა და მეცნიერების სამყაროდან პრაქტიკული საქმიანობის სფეროში იქნა გადატანილი. ვენეციის ვაჭართა წრეში გამოიგონეს ორი სვეტისაგან შემდგარი საბუღალტრო აღრიცხვა; ნაცვლად ჩვეულებრივ სიაში პუნქტების ერთიმეორის ქვემოთ შეტანისა, ამ პუნქტებს ერთმანეთის მოპირდაპირე გვერდებზე წერდნენ, კრედიტისა და დებეტის, შემოსავლისა და დანახარჯების სვეტებში. სწორედ აქედან წარმოშვა ფრაზა „ანგარიშების ბალანსი." წონასწორობის თეორია პოლიტიკაშიც იქნა შემოღებული. ძალთა ბალანსის თეორია პირველად მეთხუტმეტე საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა და მისი ცნობილი ადრეული გამოხატულება რუჩელაისა და გვიჩარდინის შრომებში გვხვდება 1494 წლის შემდგომ. (მერკანტილისტური „სავაჭრო ბალანსის" ცნება კი მეჩვიდმეტე საუკუნეში გაჩნდა). ძალთა ბალანსის თეორია საფუძვლად უდევს საერთა-

შორისო პოლიტიკის მაკიაველისეულ ახსნას. 1494 წლამდე, ანუ ლორენცო დი მედიჩის გარდაცვალებამდე, იტალიაში „გარკვეული ბალანსი" არსებობდა.[23] ფრანგების შეჭრამ ბალანსი დაარღვია. მაკიაველის ხედვით, ეს იყო რეალისტური ისტორიული ანალიზი, აღწერა და არა რეკომენდაცია. ასეთი მიდგომა ძალთა ბალანსის რეალისტური კონცეფციისათვის არის დამახასიათებელი. ძალთა ბალანსის კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორიის საფუძველი გახდა და დღეს საერთაშორისო პოლიტიკის განხილვა მისი გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. ამავე დროს, საჭიროა აღინიშნოს, რომ მართალია, ეს კონცეფცია, აღწერილობითი და ანალიტიკური თვალსაზრისით, თავდაპირველად რეალისტებმა ჩამოაყალიბეს, მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოსა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს შორის წონასწორობის პრინციპმა გადაინაცვლა რეალისტებიდან რაციონალისტებში, აღწერიდან რეკომენდაციებში, ანალიზიდან პოლიტიკაში, საერთაშორისო ურთიერთობების წმინდა თეორიიდან გამოყენებით თეორიაში. ამრიგად, მას შემდეგ აღნიშნული პრინციპი ორაზროვანი და ბუნდოვანი მნიშვნელობით გამოიყენება.

მაკიაველი არ უწევდა პროპაგანდას ძალთა ბალანსის პოლიტიკის გამოყენებას იტალიის პრობლემების მოსაგვარებლად. იგი უბრალოდ აღნიშნავდა, რომ 1494 წლამდე იტალიის სახელმწიფოებს შორის ბალანსი არსებობდა, რომელიც ფრანგების შემოჭრამ დაარღვია. მისი რეკომენდაციებისა და მის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკის ხასიათს მოგვიანებით შევეხებით, როდესაც რეალისტების რეკომენდაციებსა და საგარეო პოლიტიკის რეალისტური თეორიის ზოგად ბუნებას განვიხილავთ.

საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მექანისტურ შეხედულებას საუკეთესოდ გამოხატავს „ომი და მშვიდობა." ამ რომანში არის მომნუსხველი პასაჟები, სადაც ტოლსტოი ნაპოლეონის ომების დრამას დინამიკის ასპექტში განიხილავს: ადამიანთა ურდოები, რომლებსაც, ლემინგების მიგრაციის მსგავსად, ბედისწერის იდუმალი ძალა ამოძრავებს, მოისწარფიან აღმოსავლეთით მოსკოვისაკენ. ეს ნაპოლეონის დიდი არმიაა. ამ დროს ქანქარა თავისი მოძრაობის ერთ კიდეს აღწევს და უკან მოექანება. ადამიანთა ურდოები იმავე გზით მიიწევენ დასავლეთისაკენ და კაზაკთა ცხენები პარიზში ჩერდებიან.[24] ტოლსტოის იმდენად ღრმად და გულახდილად სწამდა საერთაშორისო ურთიერთობების ასეთი აღქმის, რომ მან მსოფლიოს უდიდესი რომანი უჩვეულო სოციოლოგიური მონაკვეთით დაასრულა, სადაც განმარტებულია ისტორიის მისეული ფილოსოფია და საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. ტოლსტოის ფატალისტურმა რეალიზმმა რევოლუციური რეაქცია გამოიწვია.

მეორე „სამეცნიერო" თეორია ანუ მოდელი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ ფილოსოფიას უდევს საფუძვლად, ბიოლოგიურია, ხოლო მისი ავტორი, რაღა თქმა უნდა, დარვინია. მაგრამ მას ავტორობა გაცნობიერებული არ ჰქონდა, რადგანაც ეს ზრდილი და მორიდებული ინვალიდი დიდად გაოცდებოდა, რომ გაეგო, რომ იგი, თუნდაც არაპირდაპირ, მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე უფრო გავლენიანი თეორეტიკოსი იყო.

1859 წელს მან *სახეობათა წარმოშობა* გამოაქვეყნა და ამ ნაშრომში განიხილა ბიოლოგიური ევოლუციის პროცესში ბუნებრივი გადარჩევის ჰიპოთეზა, რომლის მეშვეობით განამტკიცა „ბატონ ჰერბერტ სპენსერის მიერ ხშირად გამოთქმული მოსაზრება უძლიერესის გადარჩენის შესახებ," როგორც „მეტად ზუსტი."[25] საყოველთაო განათლების, იაფფასიანი ლიტერატურისა და იდეების სწრაფი გადაცემის

[23] Machiavelli, *The Prince*, ch. xx. p. 169 (იხილეთ აგრეთვე თავი xi, გვ. 92).
[24] Leo Tolstoy, tr. C. Carmenti (London: Penguin Books Ltd., no date), pp. 776-7, 968, 1066.
[25] Julian Huxley, *Living thoughts of Darwin* (London: Cassel & Co. 1939), p. 81.

უპირატესობები იმდენად დიდია, რომ სულ რაღაც ორი თაობის შემდეგ ვენაში მცხოვრებ ახალგაზრდას შეეძლო, გაცნობოდა ბუნებრივი გადარჩევის ამ ჰიპოთეზას, როდესაც კაფეში კრემიან ნამცხვარს მიირთმევდა და გაზეთებს კითხულობდა ან ღამის თავშესაფარში მწვავე პოლიტიკურ დებატებში იყო ჩაბმული. ეს ჰიპოთეზა კონტექსტიდან ამოვარდა და დეგრადაციის შედეგად, „არსებობისათვის ბრძოლის" კლიშედ იქცა და ამჟამად გამოიყენება არა ინდივიდების ან ბიოლოგიური სახეობების, არამედ ერებისა და რასების მიმართაც. ამ ჰიპოთეზის მეშვეობით, ჰიტლერი ამართლებდა გერმანელთა ბრძოლას ჰაბსბურგების იმპერიაში მცხოვრები მრავალი ხალხის მიერ თანაბარი უფლებების მოთხოვნის წინააღმდეგ. ჰიტლერის სასტიკმა და ხისტმა გონებამ იოლად აითვისა საერთაშორისო რეალიზმის ბიოლოგიური თეორია, რომლის კლასიკური გამოხატულება მისი *Mein Kampf*-ია (რადგანაც უხეში თეორიის კლასიკური გამოხატულება სწორედ მისი ყველაზე უხეში ვარიანტია).

მესამე სამეცნიერო თეორია, რომელიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო რეალიზმს, ფსიქოლოგიურია. ეს თეორია მეოცე საუკუნეში გავრცელდა, მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიის ანალიზის სფერო გაფართოვდა და ის გრძნობების მეცნიერებიდან აზროვნების მეცნიერებად გარდაიქმნა. ჰობსი, ყველაზე უფრო განთქმული რეალისტი, თავის რეალიზმს ფსიქოლოგიურ თეორიაზე აფუძნებს, რაც *ლევიათანის* პირველ რვა თავშია ასახული. იგი ცნობილია, როგორც „ემპირიული ფსიქოლოგიის" დამაარსებელი, მან განავითარა სენსუალისტური ფსიქოლოგია, რომელიც ემყარება ემპირიცისტებისათვის დამახასიათებელ ვარაუდს, რომ შეგრძნება ყოველი გონიერი სიცოცხლის საწყისია. „ადამიანის გონებაში არ არსებობს რაიმე წარმოდგენა, რომელიც თავდაპირველად, მთლიანად ან ნაწილობრივ, ადამიანის გრძნობითი ორგანოებიდან არ წარმოშობილა."[26] მას აინტერესებდა არა ინდივიდის გონების ფსიქოლოგია, როგორც ასეთი, არამედ ეს ფსიქოლოგია, როგორც ლოგიკური საფუძველი მისი სეკულარისტული და „ნატურალისტური" დოქტრინისათვის ეთიკისა და პოლიტიკის შესახებ. ეს დოქტრინა არ არის კარგად დამუშავებული და შიდა წინააღმდეგობებს შეიცავს.

ფსიქოლოგიის განვითარება მეოცე საუკუნეში ნათელს ხდის იმავე სახის კავშირს საერთაშორისო რეალიზმსა და ყოვლისმომცველ ფსიქოლოგიურ თეორიას შორის, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, ქცევის შესახებ მეცნიერებას ემყარება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 1932 წელს ზიგმუნდ ფროიდის მიერ აინშტაინისათვის მიწერილი წერილი: „სწორედ ეს (განადგურების ინსტინქტი) არის ბიოლოგიური გამართლება ყველა იმ ამაზრზენი და დამღუპველი მიდრეკილებისა, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვებრძვით. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მიდრეკილებები უფრო ბუნებრივია, ვიდრე ჩვენი მცდელობა შევეწინააღმდეგოთ მათ, რომელიც ჯერაც აუხსნელია."[27]

ერთი შეხედვით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ფსიქოლოგიური თეორიებიდან რეალიზმი გამომდინარეობდეს, მაგრამ შედეგი სწორედ ამგვარია და მიზეზის დადგენა არცთუ ისე რთულია. რაც უფრო სრულად ცდილობს ფსიქოლოგიური თეორია ადამიანის ქცევის ახსნას, მით უფრო მეტად იხრება ის დეტერმინიზმისაკენ და, შესაბამისად, მით უფრო ნაკლებად ინტერესდება ეთიკით. თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველა მიმართულებას (ალბათ, იუნგის გამოკლებით) საფუძვლად უდევს ბიჰევიორისტული ვარაუდი ადამიანის ბუნების შესახებ, რომელიც უარყოფს ეთიკურ ღირებულებებს. მაგალითად, 1951 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმო კომუნისტური ჩინეთი, როგორც აგრესორი, ხოლო ამერიკის საზოგადოებრივი

[26] Thomas Hobbes, *Leviathan*, ch. I, p. 7.
[27] Sigmund Freud, *Civilization, War and Death* (London: Hogarth Press, 1939), p. 93.

აზრი და ხელისუფლება მხარს უჭერდა რეზოლუციას, რომელსაც ჩინეთისათვის „სამარცხვინო დაღი" უნდა დაესვა. ფსიქოლოგიის მიმდევარი რეალისტი ამას ახსნიდა, როგორც „ამერიკის აგრესიული იმპულსიდან გამომდინარე ქმედებას." ასეთი სახის განმარტებები გულისხმობს ზნეობრივი და სამართლებრივი მოსაზრებების იგნორირებას და სწორედ ისინია მიზეზი რ. ჯ. კოლინგვუდის თავშეუკავებელი და მგზნებარე გამოსვლისა ფსიქოლოგიის წინააღმდეგ: „ეს არის ფსევდომეცნიერება აზროვნების შესახებ, რომელსაც პრეტენზია აქვს, დაიკავოს ეთიკისა და ლოგიკის ყველა ქვედარგის, მათ შორის პოლიტიკური მეცნიერების, ესთეტიკის, ეკონომიკის და კრიტერიუმებზე დამყარებული ყველა სხვა მეცნიერების ადგილი და, საბოლოო ჯამში, მეტაფიზიკისაც."[28] ასეთი განხილვა იმ „სამეცნიერო" თეორიების თუ ფილოსოფიისა, რომლებიც საერთაშორისო რეალიზმის საფუძველს შეადგენს, გვიჩვენებს, რომ რეალისტებისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ *სოციოლოგიური* შინაარსის განცხადებების გაკეთება. რეალისტთა მტკიცებები ინდუქციის გზით ჩამოყალიბებული ემპირიული განზოგადებებია და სოციალურ კანონებს გამოხატავს. ისინი ეთიკურ მოსაზრებებსაც გამოთქვამენ, მაგრამ მათთვის უფრო სოციოლოგიური ხასიათის განცხადებებია დამახასიათებელი. ამის მაგალითებია მაკიაველის ფრაზა „შეიარაღებული მოციქულები [მოსე და პიტლერი] სხვებს იპყრობენ, ხოლო შეუიარაღებელ მოციქულებს [სავონაროლა, ტროცკი] სხვები ანადგურებენ"[29] და ქარის გამონათქვამი: „საერთაშორისო წესრიგი . . . ყოველთვის იქნება იმათი დევიზი, ვინც გრძნობს, რომ საკმარისად ძლიერია, რათა სხვებს თავს მოახვიოს ის."[30] შესაძლოა, სწორედ აქ ვლინდება არსებითი განსხვავება რეალიზმს, რაციონალიზმსა და რევოლუციონიზმს შორის. საერთაშორისო ურთიერთობების რაციონალისტური ხედვა აღწერილობითი ხასიათისაა და დედუქციის გზით არის ჩამოყალიბებული.

პოლიტიკური თუ საერთაშორისო რეალიზმის მიმდევარი პასუხობს კითხვას: „რა არის?" აღწერითა და არსებული გამოცდილების კლასიფიცირებით და ყურადღებას არ აქცევს მეტაფიზიკურ და ეთიკურ კითხვებს: „რა არის მოვლენის არსი?" და „რა უნდა იყოს?"

რაციონალისტი საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ წერისას მეტაფიზიკური კითხვით ხელმძღვანელობს. მას მოვლენების არსებითი ბუნება აინტერესებს. სახელმწიფოს ყველაზე უფრო განთქმული განმარტება ეკუთვნის არისტოტელეს, რომელმაც თქვა: „მართალია, ის სიცოცხლისათვის იქმნება, მაგრამ მისი არსებობის მიზანი კარგი ცხოვრების უზრუნველყოფაა."[31] სუარესის მიერ საერთაშორისო ურთიერთობების აღწერა ასევე ონტოლოგიური ხასიათისაა:

> მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხალხად და ერად არის დაყოფილი ადამიანთა მოდგმა, მას გარკვეული ერთიანობა ახასიათებს, რომელიც არის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ გარკვეულწილად პოლიტიკური და ზნეობრივი ხასიათისაც, რადგან ქველმოქმედებასა და თანაგრძნობას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, თითოეული რესპუბლიკა თუ მონარქია, ერთი შეხედვით, დამოუკიდებელი და ავტონომიური შეიძლება ჩანდეს, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი მათგანი არ არის ასეთი, რადგანაც სხვათა მხარდაჭერასა და ძმობას საჭიროებს, როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით. (ამიტომ, მათ სჭირდებათ გარკვეული სახის საერთო სამართალს, რომელიც ამგვარ საზოგადოებაში მათ მოქმედებას მოანესრიგებს).[32]

---

[28] R. G. Collingwood, *An Essay on Metaphysics, Philosophical Essays* (London: Hogarth Prees, 1939), p. 93.
[29] Machiavelli, *The Prince*, p. 48.
[30] E. H. Carr, *The Twenty Years' Crisis*, p. 110.
[31] Aristotele, tr. Rackhman, *Politics* (London: W. Heineman Ltd., 1932), 1252b, p. 9.

არსებობს რაციონალიზმის მსგავსი მაგალითები გროციუსიდან გლედსტოუნამდე, მათ შორის ფელდმარშალ სმუტსის ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის პრეამბულაში შეტანილი ფრაზა: „ჩვენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხები, მზად ვართ . . . დავადასტუროთ, რომ გვწამს ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის ღირსებისა და პატივის, ქალისა და კაცის, დიდი და პატარა ერების თანასწორი უფლებების."[32] რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ სოციოლოგიური ხასიათის ვარაუდებს გამოთქვამენ, ხოლო რაციონალისტები – ონტოლოგიური ხასიათის მოსაზრებებს. ამ თვალსაზრისით, რევოლუციონისტები ეთიკური და რეკომენდაციული ხასიათის განცხადებებს აკეთებენ, რათა პასუხი გასცენ ფილოსოფოსის მესამე კითხვას. საერთაშორისო რევოლუციონიზმს საფუძველად უდევს რეკომენდაციული ხასიათის მტკიცება, მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს, გამოხატული იმპერატივის სახით. ის გამოითქმება, როგორც მოწოდება ერთგული მიმდევრების მიმართ, რათა მათ დააჩქარონ საერთაშორისო რევოლუცია, რომელიც განაახლებს და გააერთიანებს სახელმწიფოთა საზოგადოებას. ის, აგრეთვე, შეიძლება იყოს მუქარა მათ მიმართ, ვინც ხელს უშლის და ენინააღმდეგება რევოლუციას. მეთექვსმეტე საუკუნეში დაწერილი ჰუგენოტების ტრაქტატი, *Vindiciae contra Tyrannos*, ამის კარგ მაგალითს გვაძლევს:

ყველა ეთანხმება იმას, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ეკლესია, რომლის მეთაურია იესო ქრისტე, რომლის ნევრები იმდენად ერთიანნი და შეკავშირებულნი არიან, რომ თუ მათგან უმცირესს შეურაცხყოფენ ან დაჩაგრავენ, ყველანი გაიზიარებენ მის ტკივილსა და წუხილს . . . ვისაც გულში რწმენა აქვს, არ უნდა დაეჭვდეს, არის თუ არა ვალდებული, დაეხმაროს ეკლესიის დაზარალებულ ნევრებს ისევე, როგორც საკუთარ თავს დაეხმარებოდა მსგავს გასაჭირში.

რადგანაც ეს ეკლესია ერთია, მას უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი ქრისტიანი მმართველი . . . და თუ თავადი, რომელმაც ეკლესიის ერთ-ერთ ნაწილზე ზრუნვა იკისრა, როგორც მაგალითად გერმანიასა და ინგლისში, უყურადღებოდ დატოვებს სხვა ნაწილს, რომელიც ჩაგვრას განიცდის და რომლისთვისაც მას დახმარების გაწევა შეუძლია, იგი უსათუოდ ღალატობს ეკლესიას [ეკლესია კი ერთია], რომლის შენარჩუნება და დაცვა მისი ვალია.[34]

ამრიგად, საზღვარგარეთ იდეოლოგიური ინტერვენციის განხორციელება ხელისუფალის ვალდებულებაა. ასეთია საერთაშორისო რევოლუციონისტების მსჯელობა განურჩევლად იმისა, თუ ვისი სახელით საუბრობენ ისინი – ეკლესიის, კაცობრიობის, თუ მუშათა კლასის. მათი ტონი არის მონოდებითი, იმპერატიული, რეკომენდაციული: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით." სტალინის ფიცი ლენინის დაკრძალვაზე ასეთი იყო: „ამხანაგო ლენინ, თქვენს წინაშე ვფიცავთ, რომ თავს არ დავზოგავთ, რათა გავაძლიეროთ და გავაფართოვოთ მსოფლიო მუშათა კავშირი – კომუნისტური ინტერნაციონალი."[35] რევოლუციონისტური მოწოდების ყველაზე უფრო მარტივ მაგალითებს, ალბათ, ორი ნაცნობი სიმღერის მისამღერი შეიცავს:

---

[32] Francisco Suarez, *"De Legibus ac de Deo Legistatore,"* ციტირებულია ნაშრომში: John Eppstein, *The Catholic Tradition of The Law of Nations* (London: Burns Oates, 1935), p. 265. იხილეთ აგრეთვე: ibid., p. 272.
[33] *Charter of the United Nations* (New York: The UN Office of Public information, 1963), p. 1.
[34] Junius Brutus, Ir., *A Defense of Liberty Against Tyrants* (London: Bell & Son Ltd., Publishing House, 1945), p. 269.
[35] *History of the Communist Party of The Soviet Union* (Moscow: Foreign Languages Publishing House, 1945), p. 269.

აისხით იარაღი საფრანგეთის შვილებო!
აისხით იარაღი და გასწიეთ წინ, წინ,
ყმობა ნარსულს ჩაბარდა,
იხსენით მსოფლიო ერთხელ და სამუდამოდ![36]

* * *

დაირაზმეთ ამხანაგებო!
და შევეგებოთ უკანასკნელ ბრძოლას:
ინტერნაციონალი
აერთიანებს კაცობრიობას![37]

შეიძლება ითქვას, რომ ეს უბრალო სიტყვები გაცილებით უფრო სრულყოფილად გამოხატავს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, ვიდრე მრავალი ფილოსოფოსის წიაღსვლები.

ის, რომ რაციონალისტებისათვის დამახასიათებელია ონტოლოგიური მოსაზრებების გამოთქმა, არ ნიშნავს იმას, რომ რაციონალიზმი ეთიკის სფეროსა და მოვალეობის ცნებას გამორიცხავს. აშკარაა, რომ ის მათ *შეიცავს*. რაც შეეხება რევოლუციონისტურ მოსაზრებას, რომელიც იმპერატიული ბუნებისაა, ის სწორედ რომ გამორიცხავს ონტოლოგიურ და ტელეოლოგიურ მიდგომებს. ყოველ შემთხვევაში, ის არ ცდილობს ამ მიდგომების ფორმულირებას, თუმცა, შესაძლებელია ისეთი ინტერპრეტაციაც, რომ ისინი რევოლუციონიზმში ნაგულისხმევია. თვით მარქსიზმიც კი შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს, როგორც ბუნებითი სამართლის თეორია.[38] რაციონალისტურ და რევოლუციონისტურ ნორმებს ტრანსცენდენტული სათავე აქვს, ხოლო რევოლუციონისტური ნორმა, ამასთანავე, იმანენტური პროცესის შედეგად წარმოიშობა.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს აღწერს სოციოლოგიური კუთხით, საერთაშორისო რაციონალიზმი – ტელეოლოგიური კუთხით, ხოლო საერთაშორისო რევოლუციონიზმი – ეთიკური, რეკომენდაციული კუთხით და ბრძანებითი კილოთი. ეს სამი ტრადიციის ზოგადი მიმოხილვაა.

დასკვნა: სამი ტრადიციის წონასწორობა

ამ ნაშრომში მე მიზნად დავისახე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სამი ტრადიციის არსებობის დადგენა. ამავე დროს, შემოგთავაზეთ გარკვეული შუალედური კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ამა თუ იმ თეორიის ან საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ გამოთქმული ვარაუდის კლასიფიცირება.

რეალისტური შეიძლება ვუწოდოთ ისეთ ხედვას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს გამოცდილების, უნარისა და *ოსტატობის* მნიშნელობაზე, ამა თუ იმ ქმედების მართებულობას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებულია ის, ამტკიცებს, რომ ომი ადამიანის ბუნების ნაწილია და რომ ომში წესები უსარგებლოა, აგრეთვე, გულისხმობს ისტორიის განმეორებად ანუ ციკლურ თეორიას. რაციონალისტური ტრადიცია მოიცავს თეორიას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს პოლი-

[36] *The left Song Book* (Victor Collancz Ltd., 1938), p. 15.
[37] Ibid., p. 9.
[38] იხილეთ: A. P. D'Entreves, *Natural Law* (London: Hutchinson University, 1951), p. 113.

ტიკურ ქმედებასთან დაკავშირებულ ზნეობრივ პრობლემებზე და პოლიტიკური ძალაუფლების გამართლების რთულ და აუცილებლად გადასაჭრელ ამოცანაზე, ამტკიცებს, რომ ომი ზომიერი საშუალებებით უნდა წარმოებდეს და რომ არსებობს მკაფიო ზღვარი იმისა, თუ რა არის დაშვებული ომში, აგრეთვე, ემხრობა უმცირესი ბოროტების არჩევის პრინციპს. რევოლუციონისტური მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი კი ამტკიცებს, რომ აუცილებელია საყოველთაო განახლება. ის ყოფს სამყაროს ნათელისა და ბნელეთის სამეფოებად, რომელთაგან პირველი მეორის წინააღმდეგ წმინდა ომს აწარმოებს ფარულად ან ღიად. ეს შეხედულება სახელმწიფოთა იდეოლოგიურ ერთგვაროვნებას სასურველად აცხადებს და გვთავაზობს გარდამავალ ეთიკურ ნორმებს, რომლებიც იმოქმედებს მანამ, სანამ სინათლის სამეფო არ გაიმარჯვებს. ეს არის შეხედულება, რომლის თანახმად ყველა პრინციპს იდეოლოგიური ზღვარი აქვს, ხოლო მიზანი საშუალებებს ამართლებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ამტკიცებს, რომ ნათელის სამეფო გაიმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური და კერძო ეთიკა გაიგივდება.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ კლასიფიკაცია და სქემატიზაციაა. ყოველ პოლიტიკურ და ისტორიულ კვლევაში სქემების შექმნის მიზანია იმაში დარწმუნება, რომ ნედლი მასალა ამ სქემებს *არ* ერგება. ჰუმანიტარულ კვლევებში კლასიფიკაცია სასარგებლოა მხოლოდ იმ დროს, როდესაც ნათელი ხდება მისი მცდარობა. საერთაშორისო ურთიერთობების ყველა დიდი მკვლევარი ორი ტრადიციის საზღვარზე დაბიჯებდა და მათი უმრავლესობა საკუთარი სისტემის ფარგლებს გასცდა.

მაკიაველის შთაგონება მომდინარეობდა მისი თეორიისათვის უცხო გრძნობიდან, რომელიც *მთავრის* უკანასკნელ თავში ჩანს. ჰიუმის პოლიტიკური თეორია, რომელიც განხილულია *ადამიანის ბუნების ტრაქტატსა* და *ძალთა ბალანსის შესახებ ესეში*, რეალისტურია, თუმცა, შეიმჩნევა გარკვეული მსგავსება რაციონალისტურ ტრადიციასთან. ჰამილტონი რაციონალისტი იყო, რომელიც რეალისტურ პოზიციას დაუახლოვდა. რუსოს შემთხვევაში, საინტერესოა კონტრასტი მის პოლიტიკურ თეორიასა (*სოციალური ხელშეკრულება*) და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას (*სამუდამო მშვიდობა*) შორის. ამ უკანასკნელ ნაშრომში მოცემული ადამიანის ბუნების თეორია რაციონალისტურია, თუ არა რეალისტური, და ძალზედ ახლოსაა ჰამილტონის იდეებთან. საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემის რუსოსეული ფედერალური გამოსავალი უფრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოგვაგონებს, ვიდრე ერთა ლიგას.[1] საზოგადო ნების დოქტრინა საერთაშორისო სფეროში რუსოს არ გადმოუტანია. ეს უფრო გვიანდელი რევოლუციონისტური თეორიის მიღწევაა.

ამრიგად, სამი ტრადიცია არ არის რკინიგზის სამი ზოლი, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად უსასრულოდ გრძელდება. ეს ტრადიციები არ არის უცვლელი ფილოსოფიური თვალსაზრისით და არ მოგვაგონებს სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და მშვიდ ნაკადს, რომლებიც მოედინება, შესაბამისად, ვიტორიადან და სუარესიდან ჯ. ლ. ბრაიერლიმდე, მაკიაველიდან ედვარდ ქარამდე, იგნატიუს ლოიოლადან ერიკ ჰობსბაუმამდე და პალმ დატამდე. ამ ნაკადებში გვხვდება მორევები და საპირისპირო დინებები. ეს ნაკადები ხშირად კვეთს ერთმანეთს და არასოდეს ჩერდება დიდი ხნით საკუთარ კალაპოტში. სხვაგვარი მეტაფორა რომ მოვიშველიოთ, ეს არის დასავლური ცივილიზაციის ხალიჩაში ჩაქსოვილი ძაფები. ისინი გავლენას ახდენს ერთმანეთზე, ამდიდრებს ერთმანეთს და ცვლილებას განიცდის, თუმცა, ვფიქრობ, საკუთარ შინაგან არსს არ კარგავს. ზოგიერთი ასეთი ცვ-

[1] F. M. Stawell, *The Growth of International Thought* (London: Thornton Butterworth Ltd., 1929), p. 165.

ლილება მსურს მოკლედ განვიხილო საკარაუდო სათაურით „ტენდენციები," თუმცა, ძირითად თემას „რაციონალიზმის ეროზია" შეიძლება ეწოდოს.

შესაძლებელია, განისაზღვროს უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში არსებული სამი ტენდენცია: რაციონალიზმის ქცევა რევოლუციონიზმად, რაციონალიზმის ქცევა რეალიზმად და რეალიზმის ქცევა რევოლუციონიზმად.

რაციონალიზმიდან რევოლუციონიზმისაკენ

რაციონალიზმის რევოლუციონიზმად გარდაქმნის ტენდენციის მაგალითი რაციონალისტური თეორიის დიპლომატიურ დონეზე შეიძლება მოვიძიოთ. ძალთა ბალანსის თეორიის წარმომავლობის განხილვისას ითქვა, რომ წონასწორობის პრინციპი თავის პირველწყაროს დასცილდა.[2] ის თავდაპირველად წარმოიშვა რეალისტური აზროვნების ნიაღში, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის მოქმედების პრინციპის მექანისტური აღწერა. შემდგომში მან რაციონალისტებთან გადაინაცვლა და მათ ხელში რეკომენდაციად იქცა. ჩვენს წინაშეა განვითარება ანალიზიდან პოლიტიკამდე, წმინდა საერთაშორისო თეორიიდან გამოყენებით საერთაშორისო თეორიამდე.

თუ რეალიზმი ძალთა ბალანსის თეორიას ავითარებდა, რაციონალისტების თავდაპირველი რეკომენდაცია სამართლიანი ომის დოქტრინიდან მომდინარეობდა. ყოველ ომში ერთი მხარე სამართლიანად იბრძვის, მეორე კი – უსამართლოდ ან ნაკლებად სამართლიანად. შესაბამისად, სხვა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, თუ ვის მხარესაა სამართალი და დაეხმარონ მას პასიური კეთილგანწყობით, ან სულაც მოქმედებით.[3]

სპინოზა, რომელიც თავად რეალისტებს მიეკუთვნებოდა, იყო ერთ-ერთი პირველი მათ შორის, ვინც ძალთა ბალანსის პრინციპს საღი აზრის მოშველიებით იცავდა.[4] მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს ძალთა ბალანსი ზოგადად აღიარებული იყო, როგორც საჯარო საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური პრინციპი. მეთვრამეტე საუკუნის ავტორებს მეტად კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ძალთა ბალანსის საკითხი: ჰიუმის *ესე* ძალთა ბალანსის რეალისტური აღწერაა, ის საერთაშორისო სოციოლოგიასაც შეიძლება მივაკუთვნოთ. რუსოს *სამუდამო მშვიდობაში* ძალთა ბალანსი ერთდროულად მდგომარეობის რეალისტური აღწერაც არის და პოლიტიკაც. მისი გადმოტანა რაციონალისტურ ტრადიციაში, ალბათ, მეთვრამეტე საუკუნის ნატურალისტი იურისტის, ვატელის სახელს უკავშირდება, რომელმაც განაერცო სამართლიანი ომის შესაძლო მიზეზების ნუსხა და დაუმატა მას ძალთა ბალანსის შენარჩუნება. ამის შემდეგ, რაციონალიზმი მხარს უჭერდა ძალთა ბალანსის შენარჩუნების დოქტრინას 1914 წლამდე (მაგალითად გამოდგება ბერკის მიერ საფრანგეთის რევოლუციის კრიტიკა, განსაკუთრებით *მეფის მკვლელთა მშვიდობის შესახებ წერილებში*). პირველი მსოფლიო ომის დასასრულს ძალთა ბალანსის დოქტრინისადმი ერთგულება შესუსტდა და მისი ადგილი კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინამ დაიკავა.

კოლექტიური უსაფრთხოების თეორიასთან დაკავშირებით ერთგვარი გაურკვევლობა არსებობს. ერთი მხრივ, რეალისტების აზრით, მან მხოლოდ ძალთა ბალანსის ინსტიტუციონალიზება მოახდინა. თუ ადრე დიდი ალიანსები *საგანგებო*

[2] ibid., p. 161-2.
[3] Sir Geoffrey Butler and Simon Maccoby, *The Development of International law* (London: Longmans Green Co. Ltd., 1928), p. 229.
[4] Stuart Hampshire, *Spinoza* (Harmondsworth: Penguin Books, 1951), pp. 187-202.

შემთხვევებში იქმნებოდა, თანაც, რთული პროცესის შედეგად და მხოლოდ მშვიდობის დამრღვევის არსებობისას, როგორც მაგალითად ნაპოლეონის წინააღმდეგ შექმნილი კოალიციის შემთხვევაში, ამიერიდან ალიანსი საფრთხის წარმოშობამდე ყალიბდებოდა და, შესაბამისად, შეეძლო, უფრო მეტი წარმატებით შეეკავებინა აგრესია. „თუ ერთა ლიგა პოტენციური ალიანსია, ის არსებითად *უცნობი* მტრის წინააღმდეგ არის მიმართული."[5] მტრის განუსაზღვრელობა, შესაძლოა, კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ რეალისტთა წარმოდგენის ნაკლოვანება იყო.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად კოლექტიურმა უსაფრთხოებამ ძალთა ბალანსი შეცვალა.[6] პრეზიდენტი უილსონი სწორედ ასე ფიქრობდა. 1918 წლის თებერვალში, კონგრესის წინაშე ოთხი პრინციპის შესახებ საუბრისას მან განაცხადა: „ხალხები და მიწები არ უნდა გადადიოდნენ ერთი სახელმწიფოდან მეორეში ისე, თითქოს ყმები ან პაიკები იყვნენ რომელიმე თამაშში, თუნდაც ეს იყოს უკვე საბოლოოდ სახელგატეხილი ძალთა ბალანსის დიდი თამაში."[7] ამას გარდა, მან თქვა: „უნდა არსებობდეს არა ძალთა ბალანსი, არამედ ძალთა თანამეგობრობა; არა ორგანიზებული მეტოქეობა, არამედ ორგანიზებული საყოველთაო მშვიდობა."[8] 1918 წლის 28 დეკემბერს ვუდრო უილსონმა გილდჰოლში სიტყვით გამოსვლისას იგივე აზრი გააგრძელა:

ისინი იბრძოდნენ ძველი წესრიგის დამხობისა და ახლის დამყარებისათვის, ხოლო ძველი წესრიგის უმთავრესი მახასიათებელი იყო ის არამდგრადი მოვლენა, რომელსაც „ძალთა ბალანსს" ვუწოდებთ – მოვლენა, რომლის პირობებშიც ბალანსი განისაზღვრებოდა ერთი ან მეორე მხარისათვის მოღერებული ხმლითა და კონკურენტული ინტერესების მერყეევი წონასწორობით, ბალანსი, რომლის შენარჩუნება დამოკიდებული იყო ეჭვნარევ სიფხიზლესა და ინტერესთა ანტაგონიზმზე, რაც, ზოგადად, დაფარული იყო, მაგრამ მეტად ღრმა ფესვები ჰქონდა.[9]

აქ საქმე გვაქვს განახლებისა და უნივერსალურობის იდეებთან, რომლებიც რევოლუციონიზმისათვის არის დამახასიათებელი, აგრეთვე, მოსაზრებასთან, რომ ძალთა ბალანსის შენარჩუნება ხმლის გარეშეც შეიძლება, რაც შემობრუნებულ რევოლუციონიზმს მოგვაგონებს, თუნდაც ის მოჩვენებითი ალტერნატივის ძიების შედეგი იყოს.

ამ დროიდან მოყ[illegible]ლებული, დასავლეთში გაბატონდა რწმენა, რომ ძალთა ბალანსი მოძველდა და რონ ის კოლექტიურმა უსაფრთხოებამ შეცვალა. ეს შეხედულება გააჟღერა ბევინმა თემთა პალატში 1945 წელს.[10] როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობისას გამოითქვა მოსაზრება ორგანიზაციის შტაბ-ბინის დიდი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსების საწინააღმდეგოდ, მის საპასუხოდ განცხადებულ იქნა, რომ ამგვარი პროტესტი ძალთა ბალანსის პრინციპიდან გამომდინარეობდა და, შესაბამისად, დრომოჭმული იყო, რადგანაც ორგანიზაცია კოლექტიური უსაფრთხოების ცნებას ემყარებოდა. კოლექტიური უსაფრთხოების ასეთი არარეალისტური დოქტრინა შემობრუნებულ რევოლუციონიზმსა და წმინდა რევოლუციონიზმს შორის მერყეობდა. შემობრუნებული რევოლუ-

[5] Sir Arthur Salter, *Security* (London: Macmillan, 1939), p. 155.

[6] იხილეთ მერვე თავი, გვ. 166, 178.

[7] Woodrow Wilson, Address to a Joint Session of Congress, 11 February 1918, 'Four Principles Speech,' *The Papers of Woodrow Wilson* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1984) vol. 46, pp. 322-2.

[8] ibid., vol. 40, p. 536.

[9] ibid., vol. 53, p. 532.

[10] იხილეთ ერნსტ ბევინის გამოსვლა თემთა პალატაში, 1945 წლის 23 აგვისტოს: *House of Commons Debates* (1945), vol. 413.

ციონიზმის შემთხვევაში ხაზგასმულია დოქტრინის შემაკავებელი ასპექტები და ის შერწყმულია პაფიციზმთან: კელოგის პაქტი ამ ორი შეუთავსებელი თეორიის შეერთების უდიდესი მაგალითია. წმინდა რევოლუციონიზმის შემთხვევაში კი ყურადღება გამახვილებულია კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინის დამსჯელ ასპექტებზე. თუ ის აგრესორს ვერ შეაკავებს, დაიწყება ომი და ომების უმეტესობისაგან განსხვავებით ეს იქნება არა ინტერესების დაცვის მიზნით, არამედ პრინციპების საფუძველზე წარმოებული, ანუ იდეოლოგიური ომი. ამრიგად, ძალადობა მშვიდობის დასაცავად იქნება გამოყენებული, რაც შეუსაბამოა ძალადობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყენების პრინციპთან. აქ კვლავ ჩნდება დოქტრინა, რომლის თანახმად „მიზანი ამართლებს საშუალებებს" და „შესაძლებელია ბოროტების ჩადენა, რათა სიკეთემ გაიმარჯვოს." ეს არის კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინა, რომელსაც ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის ომის უნივერსალიზებას ახდენს:

> საყოველთაო ომის მუქარა, როგორც საყოველთაო მშვიდობის დამყარების საშუალება, წმინდა ინგლისური კონცეფციაა, რომელმაც „სანქციების" დოქტრინის სახე მიიღო. ეს დოქტრინა ანალოგიურია პროლეტარიატის დიქტატურის დოქტრინისა, რომელიც გვპირდება სოციალური მშვიდობის დამყარებას მუდმივი და საყოველთაო კლასობრივი ომის გზით. „სანქციები" რევოლუციური ტერორის ეკვივალენტია – ორივეს მიზანი მშვიდობაა, მაგრამ ორივეს შედეგი არის ომის ან ომის მუქარის საშუალებით (კლასებს ან ერებს შორის) ძალაუფლების კონსოლიდაცია მათ ხელში, ვინც ამ ძალაუფლებას ფლობს. [11]

ამბობენ, რომ კოლექტიური უსაფრთხოება ლოკალურ ომს საყოველთაოდ აქცევს.

1947 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის მიერ ვეტოს დესტრუქციულად გამოყენებამ დიდი სახელმწიფოების ერთსულოვნება შეარყია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი დიდი კრიზისის წარმოშვა,[12] კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინა კიდევ უფრო დაუახლოვდა რევოლუციონიზმს და დაკავშირებული გახდა დასავლეთის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცივი ომის წარმოებასთან. ეს მოქმედება მერყეობდა შეკავებასა და გამათავისუფლებელ ჯვაროსნულ ლაშქრობას შორის და, თანაც, ორივე წმინდა ომის წანამძღვარს ეფუძნებოდა. ამავე დროს, საბჭოთა კავშირის მიერ დასავლეთის წინააღმდეგ ცივი ომის წარმოებას ძალთა ბალანსის დოქტრინა განსაზღვრავდა. ეს დოქტრინათა აღრევის საკმაოდ საინტერესო შემთხვევა იყო.

რაციონალიზმის რევოლუციონიზმად გარდაქმნის ტენდენციის მაგალითებად შეიძლება აგრეთვე მოვიყვანოთ სამი კონკრეტული რევოლუცია, რომლებიც თითქმის ერთდროულად განხორციელდა და პროცესის დამაჩქარებლად იქცა: ესენია ამერიკის, ინდუსტრიული და საფრანგეთის რევოლუციები.

ამერიკის რევოლუცია თავისთავად რაციონალისტური და კონსერვატორული იყო. სწორედ ამიტომ უჭერდნენ მას მხარს ბერკი და გენცი.[13] მისი რევოლუციონისტური შედეგები მოგვიანებით გამოვლინდა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში და მათი შემჩნევა შესაძლებელია იდეალიზმში, უტოპიზმში, ლეგალიმზსა და მორალიზმში, რომლებმაც უილსონისა და აიზენჰაუერის მოღვაწეობისას მიაღწია პიკს. შესაძლებელია კამათი იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო აღნიშნული შედეგები

[11] F. A. Voigt, *Unto Caesar* (London: Constable & Co. Ltd., 1939), pp. 206-7.

[12] იხილეთ: Martin Wight, eds Hedley Bull and Carsten Holbraad, *Power Politics* (Leicester: Leicester University Press, 1978), p. 233.

[13] იხილეთ: Freidrich von Gentz, tr. J. Q. Adams, *The French and American Revolutions Compared* (Chicago: Gateway editions, H. Regnery & Co., 1955).

რაციონალიზმის გადმონაშთი.

ინდუსტრიული რევოლუციის საწყისი, ანუ ბრიტანული, ფაზა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ის აისახა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, რომლის კარლ მარქსი ადამ სმითი იყო, ხოლო ლენინი – კობდენი. ამ *laissez-faire*-ის დოქტრინაში რევოლუციონიზმის არაერთი მახასიათებელი შეინიშნება. ის აცხადებს ეკონომიკური ინტერესების საერთაშორისო სოლიდარობას, უარყოფს ძალთა ბალანსის დოქტრინას და იყენებს ჩაურევლობას, როგორც ინტერვენციის ფორმას (ისე, როგორც პალმერსტონმა გააკეთა ეს იტალიის დამოუკიდებლობისათვის ომის დროს). კობდენი და ბრაითი ძლიერ აღფრთოვანებულნი იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებით. მათი საოცნებო საერთაშორისო პოლიტიკა პრეზიდენტმა უილსონმა განახორციელა.

თუმცა, თანამედროვე რევოლუციონიზმის სათავე საფრანგეთის რევოლუციაა. პოლიტიკურ თეორიაში აქ რუსო იგულისხმება, ხოლო საერთაშორისო თეორიაში – კანტი. კანტი იყო ის არხი, რომლის მეშვეობითაც რუსოს იდეები საერთაშორისო საზოგადოებაში გავრცელდა. კანტი ფიქრობდა რომ სწორედ ეს იყო მისი ფუნქცია: მისთვის რუსო „ზნეობრივი სამყაროს ნიუტონი" იყო.

რაციონალიზმიდან რეალიზმისაკენ

ამ ტენდენციას კონკრეტული ისტორიული ძალები განსაზღვრავს. ეს ძალები თავად საერთაშორისო პროცესების ბუნებაშია და მის განუყოფელ ანარქიულ ასპექტებს უკავშირდება. მისი საუკეთესო გამოხატულებაა *რეალპოლიტიკის* ტრიუმფი მეთვრამეტე საუკუნეში, როგორც პრაქტიკაში (ფრიდრიხ მეორე), ისე თეორიაში (ვატელი). ვატელმა თითქოს აღიარა გროციუსის მოძღვრება, მაგრამ ხალხთა სამართლის თეორია შესაბამისობაში მოიყვანა აბსოლუტურ სუვერენიტეტთან და სუვერენთა შეუზღუდავ თავისუფლებასთან. მეცხრამეტე საუკუნეში ეს ტენდენცია გაგრძელდა საერთაშორისო პოზიტივიზმის სახით.

ბერკი და დე მესტრი საფრანგეთის რევოლუციის უდიდესი მოწინააღმდეგეები იყვნენ. ბერკის ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ორაზროვნობა გამოხატულებაა რაციონალიზმის რევოლუციონიზმად, უფრო სწორად კი კონტრრევოლუციონიზმად გარდაქმნის ტენდენციისა: „ის, ვინც ებრძვის ვეფხვებს, თავად ვეფხვად უნდა იქცეს." დე მესტრი რეალიზმისკენ იხრება. მისი დოქტრინა ომის შესახებ ზოგჯერ თითქოს მოლტკესა და ტრაიჩკეს პრუსიულ მილიტარიზმს უახლოვდება, მაგრამ მათი მოსაზრებები, საბოლოო ჯამში, არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს. ის, რაც მოლტკესა და ტრაიჩკეს აზრით, ერთგვარი ბარბაროსული ინსტინქტის გამოხატულებაა, დე მესტრის აზრით, მაღალგანვითარებული ინტელექტუალური სისტემიდან მომდინარეობს.[14] შეიძლება ვიკითხით, ხომ არ იყო დე მესტრის თეორია უფრო რევოლუციონისტური, ვიდრე რეალისტური და ხომ არ წარმოადგენდა ის წმინდა ომის დოქტრინის საფუძველს? ეს შეიძლება ასეც იყოს მისი მემკვიდრეების შემთხვევაში. ნაპოლეონის ომების დროს დე მესტრი კონტრრევოლუციონისტი იყო და სავსებით უჭერდა მხარს წმინდა ომს საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ. მაგრამ მისი თეორია ომის შესახებ რესტავრაციის შემდეგ დაიწერა, როდესაც შესაძლებელი იყო ემოციების მშვიდად გააზრება. ამ შემთხვევაში მის მიზანს წარმოადგენდა არა პოლიტიკური ქმედების რეკომენდება, არამედ პოლიტიკური მოვლენების ახსნა. იგი საერთაშორისო საზოგადოების საკითხს განიხილავს. მისი

[14] იხილეთ თავი 10, გვ. 216.

აზრით, ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქმედითი საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლებელია, ხოლო კანტისეული საერთაშორისო საზოგადოებრივი ხელშეკრულება განუხორციელებადია. დე მესტრი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ არსებობს ინდივიდთა საზოგადოებები, მაგრამ არ არსებობს საერთაშორისო საზოგადოება და, ამრიგად, ის არ ეთანხმება სუარესს. მისი მსჯელობა *ზედაპირულია*, ხოლო დასკვნები, როგორ ჩანს, „ცოცხალი არსებების ძალადობრივი განადგურების უდიდეს კანონს" ეფუძნება.[15]

რეალიზმიდან რევოლუციონიზმისაკენ

შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს არის ის უმთავრესი კონკრეტული ისტორიული ძალა, რომელიც ამ ტენდენციას ასაზრდოებს. საერთაშორისო ცხოვრების ანარქიული ბუნება რეალიზმს მოვლენათა ახსნის მარტივ და მიმზიდველ მეთოდად წარმოაჩენს, მაგრამ რეალიზმის კონტექსტი იცვლება, რადგანაც ადგილი აქვს მსოფლიოს ეკონომიკურ გაერთიანებას. პატარა სახელმწიფოებს დიდი სახელმწიფოები შთანთქავენ, ხოლო ამ უკანასკნელთ გავლენის სფეროების შექმნა უწევთ, როგორც სტრატეგიული, ისე ეკონომიკური მიზეზების გამო. მართლაც, საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე უფრო რაციონალური და რეალისტური (ამ სიტყვების ზოგადი მნიშვნელობით) ორგანიზაციული ფორმა მსოფლიო სახელმწიფო იქნებოდა. თავად ტექნოლოგიური წინსვლა რევოლუციურ განწყობას წარმოშობს.

გარდა ამისა, შინასახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციამ *რეალპოლიტიკა* ფანატიკური გახადა. 1789 წლიდან მოყოლებული, ომებმა სულ უფრო რევოლუციური ხასიათი მიიღო, რომლებშიც დამარცხებულ სახელმწიფოებს რევოლუცია ატყდებოდა თავს. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ამ ტენდენციის საუკეთესო მაგალითი გერმანელი მოაზროვნეები არიან ფრიდრიხ მეორიდან ჰიტლერამდე.

ფრიდრიხი კლასიკური შორსმჭვრეტელი რეალისტი იყო. ჰიტლერი მას თავის წინამორბედად მიიჩნევდა (მას და არა ბისმარკს, რომელიც რიბენტროპის გმირი იყო). ფრიდრიხის ბიუსტი ჰიტლერს მაგიდაზე ედგა, მისი პორტრეტი კი ბუნკერის კედელზე ჰქონდა ჩამოკიდებული. მაგრამ ჰიტლერის შემთხვევაში *რეალპოლიტიკამ* რევოლუციური ნიჰილიზმის დემონური სახე მიიღო. ფიხტემ და ჰეგელმა დიდად შეუწყვეს ხელი პრუსიული რეალიზმის გერმანულ რევოლუციონიზმად გარდაქმნას, ისევე, როგორც კანტმა მეთვრამეტე საუკუნის პიეტისტური რაციონალიზმი იდეალისტურ რევოლუციონიზმად გარდაქმნა.

გერმანული აზროვნების განვითარება საკუთესო მაგალითია რეალიზმის რევოლუციონიზმთან დაახლოების ტენდენციისა, მაგრამ ჰეგელის ევროპაზე გავლენა ბრიტანეთსა და იტალიასაც მოიცავს (თუმცა, არა საფრანგეთს). მას, შესაძლოა, დიდი წვლილი მიუძღოდეს ფაშისტური რევოლუციონიზმის ორაზროვნობაში.

ტრადიციების შერწყმა

ამრიგად, სახეზეა ტრადიციების შერწყმა და დამთხვევა, თუ არა ერთმანეთში არევა. ამჟამად საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მიმართ ინტერესის კვლავ გაღვივების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს შერწყმაა და, აგრეთვე, თეორიის

[15] Joseph de Maistre, *Les soirées de Saint-Pétérsbourg* (Paris: Libraire Catholique Emmanuel Vitte, 1924), vol. II, p. 13.

მოწესრიგების სურვილი. შესაძლებელია ორი მოსაზრების გამოთქმა და ერთი პრობლემის ხაზგასმა.

ჯაგალითისათვის ავიღოთ დაშოშმინების თეორია, განსაკუთრებით კი მისი კლასიკური გამოვლინება 1930-იანი წლების ბრიტანეთში. ამ პოლიტიკას თეორიული ფორმულირება ჰქონდა და მის გასამართლებლად წიგნებიც იწერებოდა. მისი დახასიათება ძნელია, რადგანაც მასში მრავალი ელემენტი იყო შერწყმული. ჩვენ განვიხილეთ როგორც რბილი, ისე ხისტი რევოლუციონიზმი. დაშოშმინების თეორია გვიბიძგებს იმის ფიქრისაკენ, რომ შეიძლება არსებობდეს რბილი რაციონალიზმი და რბილი რეალიზმი.

შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ დაშოშმინების პოლიტიკის ძირითადი ელემენტები იყო სენტიმენტალიზმი, ოპტიმიზმი პოლიტიკაში ადამიანის ბუნების შესახებ, საკუთარი თავის მოტყუება და პაციფიზმი, რომელიც რბილი რევოლუციონიზმის ტოლფასი იყო. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა გერმანიის მიმართ სამართლიანობის პრინციპისადმი ყალბ ერთგულებას, ყალბ სინდისის ქენჯნას ვერსალის ზავის უსამართლობის გამო, ყალბ ერთგულებას კონფლიქტების პაციფისტური მოგვარების პროცედურისადმი, ცრუ ლეგალიზმს, აგრეთვე, ყალბ ჩაურევლობას და პატივისცემას ნაცისტური რევოლუციური სახელმწიფოს უფლებისადმი, დამოუკიდებლად მოეგვარებინა საკუთარი საქმეები. ეს იყო სიყალბე, რადგანაც ზემოხსენებულ სენტიმენტალიზმს შეიცავდა და, თანაც, მეტწილად უმოქმედობასა და თვითკმაყოფილებას ეფუძნებოდა. ეს იყო რბილი რაციონალისტური ქცევა. და ბოლოს, არსებობდა ნაციონალური ეგოიზმი, იზოლაციონიზმი და მზადყოფნა, ეღალატათ შედარებით სუსტი მოკავშირეებისათვის და დაერღვიათ ვალდებულებები. ყველაფერმა ამან ლოგიკურად გამოიწვია ისეთი ტიპის გარიგებები დიდ სახელმწიფოებს შორის, როგორიც მიუნხენში დაიდო. ეს რბილი რეალიზმი იყო, რადგანაც ასეთი პოლიტიკა არასაკმარისად ჭკვიანური აღმოჩნდა და კატასტროფული წარუმატებლობა გამოიწვია.

მეორე მოსაზრება ეხება რევოლუციონიზმის უფლებებს რეკომენდაციების სფეროში. უდიდესი განსხვავება ბერკის მოღვაწეობის პერიოდსა და ჩვენს დროს შორის იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციონისტური სახელმწიფოები საერთაშორისო საზოგადოებაში იქნენ დაშვებულნი, რაც მრავალ თეორიულ შეუსაბამობას წარმოშობს. სახელმწიფოს, რომელიც დაფუძნებულია სხვა სახელმწიფოების მიმართ მტრობის პრინციპებზე, მინიჭებული აქვს იგივე უფლებები, რაც სხვა სახელმწიფოებს. აქედან გამომდინარე, თავად რევოლუციონიზმმაც მიიღო რეკომენდაციათა გაცემის უფლებები.

გთავაზობთ მაგალითს: 1950 წლის ოქტომბერში გენერალურ ასამბლეაში მიმდინარეობდა დებატები იმის თაობაზე, უნდა გადაეკვეთა თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას 38-ე პარალელი და დამეყარებინა თავისი კონტროლი ჩრდილოეთ კორეაში, რაც კორეის გაერთიანებას გულისხმობდა. იუგოსლავია ამას არ ეთანხმებოდა და ამტკიცებდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის მიზანი იყო აგრესიის აღკვეთა და არა აგრესორის რეჟიმის დამხობა, ვინაიდან ეს ნებისმიერი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის პრეცედენტი იქნებოდა. ეს იყო ტრადიციული რაციონალისტური არგუმენტი, რომელიც რევოლუციონისტურ სახელმწიფოს იცავდა – არგუმენტი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ამართლებდა ჩიხს, ყაიმით დასრულებულ ბრძოლას, ომს შეზღუდული მიზნებით.

აქვს თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებას უფლება, შეაჩეროს დემოკრატიული უფლებების მოქმედება სახელმწიფოს შიგნით, რათა თავი დაიცვას რევოლუციონისტური საფრთხისაგან? აქვს თუ არა რაციონალისტურ საერთაშორისო საზოგა-

დოებას უფლება, გამოიყენოს არარაციონალური მეთოდები, რათა თავი დაიცვას რევოლუციური გადატრიალებისაგან? განა ჩინეთის არდაშვება გაერთიანებული ერეზის ორგანიზაციაში რაციონალისტური ქმედება არ იყო? განა არ იყო ეს ბერკის იდეების შესაბამისი ნაბიჯი? თუმცა, ეს პრინციპი უგულებელყოფილ იქნა, როდესაც ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირი მიიღეს. დაბრკოლებად უნდა მიჩნეულიყო არა ჩინეთის კონკრეტული დანაშაულებანი, არამედ ის, რომ ზოგადად ეს სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოების მიმართ მტრობის პრინციპებზე იყო აგებული.

განხილული პრობლემა დალესის საგარეო პოლიტიკას ეხება.[16] ცდებოდა თუ არა იგი? თუ ცდებოდა, მისი შეცდომა პრინციპებს უკავშირდებოდა თუ პრაქტიკას? მორგენთაუ ფიქრობდა, რომ მისი პრინციპები მცდარი იყო.[17] მაგრამ თუ თქვენ მორგენთაუს ყველაფერში არ ეთანხმებით, შეიძლება იკითხოთ: რით განსხვავდებოდა დალესის პრინციპები გროციუსის ან გლედსტოუნის პრინციპებისაგან? რაციონალიზმის გამოფიტვის მაგალითად შეიძლება გამოდგეს მისი ცვლილება გლედსტოუნიდან უილსონამდე და უილსონიდან დალესამდე. მაგრამ საჭიროა იმის დემონსტრირება, რომ პრინციპის შესუსტებას მართლაც ჰქონდა ადგილი. შესაძლოა, პრინციპებს არაფერი მოსვლია, მაგრამ მათი გამოყენება აღარ არის მართებული, რადგანაც ისინი დღევანდელობას ნაკლებად შეესაბამება.

ბოლოსიტყვაობა

რაციონალიზმი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ორთოდოქსული, ტრადიციული და პატივსაცემი სკოლა იყო, თანდათანობით სუსტდებოდა და იშლებოდა, ხოლო მისმა ძლიერებამ სხვა სკოლებში გადაინაცვლა, ისევე, როგორც მისმა მხარდამჭერებმა. შედეგად მივიღეთ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ბოლოდროინდელი მოდური დაყოფა ორ სკოლად: რეალისტებად და უტოპისტებად (ქარი), ან რეალისტებად და იდეალისტებად (მორგენთაუ).

ლექციების მოცემულ კურსში მე არ მსურდა რომელიმე თეორიის მხარდაჭერა. მე მხოლოდ ორი გაცნობირებული მიზანი მქონდა. პირველი მიზანი იყო იმის დემონსტრირება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ანალიზი, რომელიც მხოლოდ ორ სკოლას განიხილავს, არ არის ადეკვატური. სინამდვილეში, ასეთი ანალიზი არაჯანსაღი ვითარების ანარეკლია. 1930-იანი წლების ბრიტანეთში არსებული არაჯანსაღი ვითარება ედვარდ ქარის შთაგონების წყარო იყო. მსგავსი მდგომარეობა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იზოლაციონისტური პოლიტიკისაგან გათავისუფლების პერიოდში შეიქმნა, ქენანისა და მორგენთაუს შთაგონების წყარო გახდა.

ანალიზი, რომელიც ორ სკოლას განიხილავს, შესაძლოა, ამგვარი არაჯანსაღი შემთხვევების სასარგებლო დიაგნოზი იყოს, მაგრამ რაც მეტად იქცევა ის საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი თეორიის საფუძვლად, მით უფრო გამოჩნდება მისი მცდარობა. გროციუსის ან ლენინის მსგავსი მოაზროვნეები ნაძალადევად არიან მოთავსებულნი ისეთ ნიშებში, რომლებიც მათთვის არ არის განკუთვნილი. მორგენთაუ ირიბად აღიარებს ორ სკოლაზე აგებული სქემის წარუმატებლობას, როდესაც გამოყოფს კატეგორიას იმ სახელმწიფო მოღვაწეებისა, რომელთა მოღვაწეობაშიც ხდება ზნეობრივი კანონისა და ეროვნული ინტერესების მოთხოვნათა საოცარი

[16] ჯონ ფოსტერ დალესი აიზენჰაუერის მიერ დაინიშნა სახელმწიფო მდივნად 1953 წლის 20 იანვარს. იგი გადადგა 1959 წლის 15 აპრილს და დაიღუპა 1959 წლის 24 მაისს.

[17] იხილეთ: Hans J. Morgenthau, *Dilemmas of Politics* (Chicago: University of Chicago Press, 1958), pp. 298 ff.

თანხვედრა. ეს კატეგორია მოიცავს ჯეფერსონს, ჯონ ქუინსი ადამსს, გლედსტოუნს, კლივლენდს, თეოდორ რუზველტს, უილსონს, როგორც ლიდერს ომის პერიოდში, და ფრანკლინ რუზველტს.[18]

მე შემოგთავაზეთ სამი ელემენტისაგან შემდგარი კლასიფიკაცია, რომელიც ყველა მოვლენას მოიცავს (გარდა შემობრუნებული რევოლუციონიზმისა). მაგრამ სავსებით შესაძლებელია სულ მცირე ოთხი ელემენტისაგან შემდგარი კლასიფიკაციის არსებობა, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებდა, ერთი მხრივ, რბილ რევოლუციონისტებს, კანტიდან ნერუმდე, ხოლო, მეორე მხრივ, ხისტ რევოლუციონისტებს, ანუ იაკობინელებსა და მარქსისტებს. მე, აგრეთვე, გამოვთქვი ვარაუდი, რომ თუ რეალიზმში მოიაზრებიან კლასიკური რეალისტები, ანუ მაკიაველი, რიშელიე, ჰობსი, ჰიუმი, ფრიდრიხ მეორე და ჰეგელი, მაშინ თანამედროვე რეალისტებს თანაბრად შეიძლება ვუწოდოთ, როგორც რეალისტები, ისე რაციონალისტები.

ქენანი მართლაც რაციონალიტია, რადგან ფიქრობს, რომ ეროვნული ინტერესები სამართლიანობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. იგი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის მიმართ ჩაურევლობის პოლიტიკის გატარებას. გარდა ამისა, იგი ამტკიცებს, რომ ომი პოლიტიკის წარუმატებლობის შედეგია. მორგენთაუც ნაწილობრივ რაციონალისტია. ნაშრომში *პოლიტიკა ერებს შორის* მის მიერ წარმოდგენილი რეალიზმის ექვსი პრინციპიდან სულ მცირე სამი რაციონალისტურია: არსებობს პოლიტიკის ობიექტური კანონები (პირველი პრინციპი); არსებობს წინააღმდეგობა ზნეობასა და პოლიტიკას შორის და კეთილგონიერება ნაკლები ბოროტების არჩევის პრინციპია (მეოთხე პრინციპი); არ შეიძლება ერთი სახელმწიფოს ზნეობრივი მისწრაფებების გაიგივება ზნეობის საყოველთაო კანონებთან: აუცილებელია კერპთაყვანისმცემლობის საფრთხის გააზრება და სხვათა ინტერესების პატივისცემა (მეხუთე პრინციპი).[19] მიუხედავად ამისა, მორგენთაუ არსებითად რეალისტია: იგი იზიარებს ჰობსის პოზიციას, რომ ზნეობას ძალა ქმნის, უარყოფს ბუნებით სამართალს და მხარს უჭერს ამა თუ იმ ქმედების მისი წარმატების მიხედვით გამართლების პრინციპს.

თუ ჩემი თავდაპირველი მიზანი ორი სკოლის მომცველი ანალიზის არაადეკვატურობის დემონსტრირება იყო, ჩემი შემდგომი მიზანი გულისხმობდა ტოკვილის შეხედულების განმტკიცებას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკის თეორიაში ახალი თითქმის არაფერია და რომ წარსულის დებატები ზნეობის შესახებ არსებითად ჩვენი დებატების იდენტურია. აქედან გამომდინარე, მე არ მსურდა მკაფიო დასკვნების შემოთავაზება გარდა შემდეგისა: იმისათვის, რომ განვსაზღვროთ საერთაშორისო თეორიის სფერო და დავადგინოთ მისი საზღვრები, საჭიროა, მოვხაზოთ მისი წრე. მოაზროვნე ადამიანი, ალბათ, გადაწყვეტს, რომ მას შეუძლია თავისუფლად გადაადგილდეს წრის ფარგლებში და დაიკავოს ნებისმიერი პოზიცია ისე, რომ საბოლოოდ არსად დაფუძნდეს. რა თქმა უნდა, თუ ვინმე საჭიროდ მიიჩნევს რჩევების მიცემას მათთვის, ვინც საგარეო პოლიტიკას წარმართავს, მან უნდა იცოდეს საკუთარი პოზიცია, მაგრამ სასურველია და შესაძლებელიც, რომ ერთმანეთს შევუთავსოთ დაინტერესებული მოქალაქის მოუთმენლობა და საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევრის ფილოსოფიური მიუკერძოებლობა.

ვფიქრობ, რომ თავადაც წრის ირგვლივ ვმოძრაობ. თქვენ მიხვდებოდით, რომ ჩემი სუბიექტური მოსაზრებები რაციონალისტურია, მაგრამ მიმაჩნია, რომ უფრო მეტად რაციონალისტი და ნაკლებად რეალისტი გავხდი, როდესაც მოცემული საკითხი ხელახლა გავიაზრე ამ ლექციების კურსის წაკითხვის დროს. თუ ვიტყვი, რომ რაციონალიზმი ცივილიზებულობის მომტანი ფაქტორია, რევოლუციონიზმი გამო-

[18] Hans J. Morgenthau, *In Defense of The National Interest* (New York: Alfred A. Knopf, 1951, p. 19.
[19] Hans J. Morgenthau, *Politics Among Nations* (New York: Alfred A. Knopf, 1954), pp. 4-10.

ცოცხლების ფაქტორი, ხოლო რეალიზმი საერთაშორისო პოლიტიკის დისციპლინარული მაკონტროლებელი ფაქტორი, თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ მე სიტყვებით ვთამაშობ, მაგრამ იმედი მაქვს, შევძელი იმის ჩვენება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის არსი უფრო ღრმაა, ვიდრე სიტყვების ამგვარი თამაში.

თარგმნა შორენა ლორთქიფანიძემ

ნაწილი II. საერთაშორისო სისტემა და საერთაშორისო საზოგადოება

კენეთ უოლცი
ანარქიული წესრიგი და ძალთა ბალანსი*

I

1. ძალადობა სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით და გარეთ

არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო სხვა სახელმწიფოთა გარემოცვაში ძალადობის მუდმივი საფარველის ქვეშ მოქმედებს. ვინაიდან ზოგიერთ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია ძალის გამოყენება, ყველა სახელმწიფო მზად უნდა იყოს ანალოგიური ქმედებისათვის ან სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერი ქვეყნების მოწყალების იმედად დარჩეს. ბუნებრივი მდგომარეობა სახელმწიფოთა შორის ომის მდგომარეობაა. ეს გულისხმობს არა იმას, რომ ომს მუდმივი ხასიათი აქვს, არამედ იმას, რომ რადგან ყოველი ქვეყანა თავად იღებს გადაწყვეტილებას ძალის გამოყენების თობაზე, ომი ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს. ოჯახში, საზოგადოებაში ან მსოფლიოში კონტაქტი თუნდაც იშვიათი კონფლიქტის გარეშე წარმოუდგენელია. ნაკლებად რეალისტურია იმედი, რომ იმ აგენტის არარსებობის პირობებში, რომელსაც კონფლიქტის მხარეების მართვა ან მანიპულირება ხელეწიფება, ძალის გამოყენების თავიდან აცილება შესაძლებელია. როგორც ადამიანებს, ისე სახელმწიფოებს შორის ანარქია ანუ მთავრობის არარსებობა ძალადობის გამოვლინების ფაქტებს უკავშირდება.

ძალადობის საფრთხე და ძალის ხშირად გამოყენება, ზოგიერთის აზრით, საერთაშორისო პოლიტიკას საშინაო პოლიტიკისაგან განასხვავებს, მაგრამ მსოფლიო ისტორიას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მმართველთა უმრავლესობას ქვეშევრდომთა მიერ მათი შეკავების ან დამხობის მიზნით ძალის გამოყენება აშინებდა. თუ მთავრობის არარსებობა დაკავშირებულია ძალადობის საფრთხესთან, ასევეა მისი არსებობაც. სახელმწიფოთა ტრაგედიების გრძელი ნუსხა ამ მოსაზრებას ადასტურებს. ნაპოლეონის დამარცხების შემდგომ ასი წლის განმავლობაში ყველაზე დამანგრეველი ომები არა სახელმწიფოებს შორის, არამედ მათ *შიგნით* მოხდა. ტაიპინელთა აჯანყებამ ჩინეთში, რომელიც 1851 წელს დაიწყო და ცამეტ წელს გაგრძელდა, დაახლოებით ოცი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. ამერიკის სამოქალაქო ომში ექვსასი ათასი ადამიანი დაიღუპა. უფრო გვიანდელ ისტორიაში სტალინის მიერ განხორციელებულმა წმენდამ და იძულებითმა კოლექტივიზაციამ ხუთი მილიონი ადამიანი შეიწირა, ხოლო ჰიტლერმა ექვსი მილიონი ებრაელი გაანადგურა. ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებები და აჯანყებები ჩვეულ მოვლენად იქცა. 1948-1957 წლებში სამოქალაქო ომების შედეგად კოლუმბიაში ორასი ათასი ადამიანი ამოწყდა. მეოცე საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში

---

* Kenneth N. Waltz, Anarchic Orders and Balances of Power from *Theory of International Politics*, New York: McGraw-Hill, 1979. Chapter 6, pp. 102-128. Reprinted by permission of McGraw-Hill, Inc.

იდი ამინის უგანდაში მცხოვრებთა უმეტესობისათვის ცხოვრება „ამაზრზენი, პირუტყვული და ხანმოკლე" გახდა თითქმის ისე, როგორც ჰობსისეულ ბუნებრივ მდგომარეობაში. თუ ამგვარი შემთხვევები მხოლოდ გამონაკლისია, მათი სიხშირე დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. ჩვენ ხშირად ვივიწყებთ, რომ სახელმწიფოებში ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის, წესრიგის დამყარებისა და კანონიერების განმტკიცებისათვის გამართული ბრძოლები შეიძლება უფრო სისხლიანი იყოს, ვიდრე ომები სახელმწიფოთა შორის.

თუ ანარქია ასოცირდება ქაოსთან, განადგურებასა და სიკვდილთან, მაშინ ხელისუფლებასა და ანარქიას შორის განსხვავება არც ისე თვალსაჩინოა. რომელია უფრო საშიში: სახელმწიფოს ცხოვრება სხვა სახელმწიფოთა გარემოცვაში თუ ქვეშევრდომების ცხოვრება მთავრობის ძალაუფლების ქვეშ? პასუხი დამოკიდებულია დროსა და ადგილზე. ზოგიერთ სახელმწიფოს შორის ამა თუ იმ ეპოქაში არსებული ან მოსალოდნელი ძალადობის ალბათობა დაბალია, ზოგიერთ სახელმწიფოს შიგნით ამა თუ იმ ეპოქაში არსებული ან მოსალოდნელი ძალადობის ალბათობა კი – მაღალი. ძალის გამოყენება და მისი მუდმივი შიში არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საერთაშორისო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკისაგან განვასხვაოთ. თუ ძალის შესაძლო და ფაქტობრივი გამოყენება ახასიათებს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო წესრიგს, მაშინ ამ ორი ასპარეზის გარჩევა მხოლოდ ძალის გამოყენებაზე ან არგამოყენებაზე დაყრდნობით შეუძლებელია. ადამიანის მიერ შექმნილ არც ერთ წესრიგს ძალადობის თავიდან აცილება არ შეუძლია.

საშინაო და საგარეო საქმეებს შორის თვისებრივი განსხვავების აღმოსაჩენად, ძალის გამოყენების გარდა, სხვა კრიტერიუმიც უნდა მოვიძიოთ. განსხვავება საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკურ სფეროებს შორის მდგომარეობს არა ძალის გამოყენება-არგამოყენებაში, არამედ მათ განსხვავებულ სტრუქტურებში. მაგრამ თუ ძალადობრივი თავდასხმის საშიშროება დეტროიტში საღამოს გასეირნებისას უფრო დიდია, ვიდრე საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე პიკნიკის მოწყობისას, მაშინ რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სტრუქტურულ განსხვავებას? როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, კონტაქტი კონფლიქტს წარმოშობს და დროდადრო ძალადობაში გადაიზრდება. განსხვავება საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას შორის არა ძალის გამოყენებაში, არამედ მისი აღკვეთისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომაშია. ხელისუფლება, რომელიც ლეგიტიმიზმის გარკვეულ ჩარჩოებში მართავს, ძალის გამოყენების უფლებას მიიწერს – ანუ უფლებას, შემოიღოს გარკვეული სანქციები თავისი ქვეშევრდომების მიერ ძალის გამოყენების გასაკონტროლებლად. თუ ერთნი პირადი ინიციატივით იყენებენ ძალას, დანარჩენებს შეუძლიათ, სახელმწიფოს მიმართონ. მთავრობას არა აქვს მონოპოლია ძალის გამოყენებაზე, რაც ისედაც ცხადია. თუმცა, ეფექტიან მთავრობას ძალის *კანონიერად* გამოყენებაზე მონოპოლია გააჩნია, სიტყვა კანონიერში კი იგულისხმება, რომ საჯარო მოხელეები მოწოდებულნი არიან, თავი აარიდონ და შეეწინააღმდეგონ ძალის პირადი ინიციატივით გამოყენებას. მოქალაქეებს არ ესაჭიროებათ მზადყოფნა თავის დასაცავად. ამას მათ ნაცვლად სახელმწიფო სამსახურები აკეთებენ. სახელმწიფო სისტემა არ არის თვითდახმარების სისტემა, საერთაშორისო სისტემა კი – არის.

2. ურთიერთდამოკიდებულება და ინტეგრაცია

ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკური მნიშვნელობა სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია იმაზე, მოცემული სფერო ორგანიზებულია (ანუ მასში მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული ხელისუფლებაა) თუ ფორმალურად არაორგანიზე-

ბული რჩება. რამდენადაც ესა თუ ის სფერო ორგანიზებულია, მის ერთეულებს შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ სპეციალიზაცია, განახორციელონ თავიანთი ინტერესები სხვა ერთეულთა გარემოცვაში, საკუთარი თვითმყოფადობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე ზრუნვის გარეშე. ისინი თავისუფალნი არიან სპეციალიზაციის არჩევანში, რადგანაც არ აქვთ მიზეზი, ეშინოდეთ სპეციალიზაციით გამოწვეული ურთიერთდამოკიდებულების. თუ მეტად სპეციალიზებული უფრო დიდ მოგებას ნახულობს, მაშინ შედეგად ვიღებთ სპეციალიზაციაში კონკურენციას. პროდუქცია იწარმოება, მარცვლეული მოჰყავთ, სამართალი და წესრიგი დაცულია, ვაჭრობა მიმდინარეობს და ფინანსურ მომსახურებას გვთავაზობენ ადამიანები, რომლებსაც კიდევ უფრო ვიწრო სპეციალიზაცია აქვთ. მარტივი ეკონომიკური ტერმინებით, მეწაღე დამოკიდებულია მკერავის მიერ შეკერილ შარვალზე, მკერავი კი – მეწაღის მიერ შეკერილ ფეხსაცმელზე, და ვერც ერთი ვერ იქნება სრულყოფილად ჩაცმული მეორის არარსებობის შემთხვევაში. მარტივი პოლიტიკური ტერმინებით, კანზასი დამოკიდებულია ვაშინგტონის მიერ დაცვისა და წესრიგის უზრუნველყოფაზე, ხოლო ვაშინგტონი – კანზასის მიერ ხორცისა და პურის მიწოდებაზე. იმის თქმა, რომ ასეთ ვითარებაში ურთიერთდამოკიდებულება დიდია, არ ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ ერთ მხარეს არ შეუძლია, მეორის გარეშე ცხოვრება ისწავლოს. აუცილებელია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ასეთი ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობის გაწყვეტის შედეგად მიღებული დანაკარგი უზარმაზარი იქნება. პიროვნებები და ინსტიტუტები ერთმანეთზე დიდად არიან დამოკიდებულნი, რადგანაც ისინი სხვადასხვა ამოცანებს ასრულებენ, სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებენ და ცვლიან. პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილები სწორედ განსხვავებულობის გამო არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. (შედარებისათვის იხილეთ: დურკჰაიმი 1893, გვ. 212).

საშინაო და საერთაშორისო სტრუქტურებს შორის განსხვავება გამოიხატება იმაში, თუ როგორ განსაზღვრავენ თითოეული სისტემის ერთეულები სასურველ მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს. ანარქიულ გარემოში მსგავსი ერთეულები ერთობლივად მოქმედებენ. იერარქიულ გარემოში კი განსხვავებული ერთეულები ურთიერთქმედებენ. ანარქიულ გარემოში ერთეულები ფუნქციონალურად მსგავსნი არიან და ასეთებად დარჩენის ტენდენციას ამჟღავნებენ. მსგავსი ერთეულები დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხის შენარჩუნებას ცდილობენ და, შესაძლოა, ავტარკიისკენაც კი მიისწრაფოდნენ. იერარქიულ გარემოში ერთეულები დიფერენცირებულნი არიან და საკუთარი სპეციალიზაციის გაზრდის ტენდენციას ავლენენ. დიფერენცირებული ერთეულები მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან – მით მეტად, რაც უფრო მატულობს მათი სპეციალიზაცია. სტრუქტურის განსხვავებულობის გამო, ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოებს შიგნით და მათ შორის ორი განსხვავებული ცნებაა. ტერმინთა ლოგიკა რომ არ დაირღვეს, მე გამოვიყენებ „ინტეგრაციას" სახელმწიფოთა შიგნით არსებული მდგომარეობის აღსაწერად და „ურთიერდამოკიდებულებას" მათ შორის ურთიერთობების დასახასიათებლად.

მართალია, სახელმწიფოები ფუნქციონალურად მსგავსი ერთეულები არიან, მაგრამ მათ შორის უზარმაზარი განსხვავებაა შესაძლებლობების მხრივ. ამ განსხვავებებიდან გამომდინარე, ერთგვარი შრომის დანაწილება ვითარდება. თუმცა, სახელმწიფოთა შორის შრომის დანაწილება უმნიშვნელო ჩანს სახელმწიფოთა შიგნით მკვეთრად გამოხატულ შრომის დანაწილებასთან შედარებით. ინტეგრაცია მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან სახელმწიფოს ნაწილებს, ურთიერთდამოკიდებულება კი მსუბუქად შეკავშირებულად ტოვებს სახელმწიფოებს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა ინტეგრაციაზე ხშირად საუბრობენ, მას მაინც იშვიათად აქვს ადგილი. სახელმწიფოებმა, შესაძლოა, საერთო მოგება ნახონ არა მარტო პროდუქციის წარ-

მოებისათვის საჭირო შრომის, არამედ მათზე დაკისრებული ისეთი ფუნქციების განაწილებით, როგორიცაა პოლიტიკური მართვა და სამხედრო თავდაცვა. რატომ არ ხდება მათი ინტეგრაცია? საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურა ორგვარად ხლუდავს სახელმწიფოთა თანამშრომლობას.

თვითდახმარების სისტემაში თითოეული ერთეული თავისი ძალისხმევის ნაწილს მიმართავს არა საკუთარი კეთილდღეობისაკენ, არამედ სხვებისაგან თავის დაცვის საშუალებათა უზრუნველყოფისაკენ. შრომის დანაწილების სისტემაში სპეციალიზაციას ყველასათვის მოაქვს სარგებელი, თუმცა, არცთუ თანაბარი. უთანასწორობა მოგების მოსალოდნელ გადანაწილებაში საერთაშორისო დონეზე შრომის დანაწილების ზრდას აფერხებს. თანამშრომლობის გზით საერთო სარგებლის მიღების შესაძლებლობის წინაშე მდგომი სახელმწიფოები, რომლებიც უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ თავს, უნდა დაინტერესდნენ, თუ როგორ განაწილდება მოგება. ისინი იძულებულნი არიან, დასვან არა ამგვარი კითხვა: „ორივე ჩვენგანი ნახავს მოგებას?" არამედ შემდეგი სახის კითხვა: „ვინ უფრო მეტ მოგებას ნახავს?" თუ მოსალოდნელი მოგება განაწილდება, ვთქვათ, 2/1 პროპორციით, ერთ-ერთმა სახელმწიფომ შეიძლება სცადოს არათანაბარი მოგების გამოყენება ისეთი პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც მეორის დაზიანებას ან განადგურებას ისახავს მიზნად. ორივე მხარისათვის დიდი აბსოლუტური მოგების პერსპექტივაც კი არ განაპირობებს თანამშრომლობას, ვიდრე თითოეული შიშობს იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს მეორე თავის გაზრდილ შესაძლებლობებს. აღსანიშნავია, რომ ბარიერებს თანამშრომლობისათვის შეიძლება თითოეული მხარის ხასიათი და ზრახვები არ ქმნიდეს. დაუცველობის მდგომარეობა – სულ მცირე თითოეულის უნდობლობა მის მიმართ მეორის სამომავლო განზრახვებისა და ქმედებების თაობაზე – თანამშრომლობას აფერხებს.

ნებისმიერ თვითდახმარების სისტემაში ერთეულები საკუთარ გადარჩენაზე ზრუნავენ, რაც მათ ქცევას განაპირობებს. ოლიგოპოლისტური ბაზრები თითქმის ისევე ზღუდავს თანამშრომლობას ფირმებს შორის, როგორც საერთაშორისო-პოლიტიკური სტრუქტურები – თანამშრომლობას სახელმწიფოთა შორის. მთავრობის მიერ შემუშავებულ წესებთან ერთად, ფირმების გადარჩენა და კეთილდღეობა მათსავე ძალისხმევაზეა დამოკიდებული. ფირმებს არ სჭირდებათ ფიზიკურად თავის დაცვა სხვა ფირმების თავდასხმებისაგან. ისინი თავისუფლად ამახვილებენ ყურადღებას ეკონომიკურ ინტერესებზე, მაგრამ, როგორც ეკონომიკური ერთეულები, მაინც თვითდახმარების სამყაროში არსებობენ. ყველას სურს სარგებლის გაზრდა. თუ ვინმე გაუმართლებელ რისკს გაწევს ამ მიზნის მისაღწევად, არასახარბიელო შედეგების მისაღებადაც უნდა იყოს მზად. უილიამ ფელნერის თქმით: „შეუძლებელია საერთო მოგების მაქსიმიზაცია ყველა შესაბამისი ცვლადისადმი ფრთხილი მიდგომის გარეშე," რაც შესაძლებელია მხოლოდ „ფირმების სრული განიარაღებით ერთმანეთთან მიმართებაში." მაგრამ ფირმებს არ აქვთ უნარი, შესამჩნევად განიარაღდნენ მოგების გაზრდის მიზნითაც კი. ეს განცხადება უფრო მეტად ზღუდავს, ვიდრე ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ფირმების მიზანი მაქსიმალური სარგებლის მიღებაა. ხვალისათვის ან, თუნდაც, დღეისათვის სარგებლის მაქსიმიზაციის მიზნით ფირმები, პირველ რიგში, უნდა გადარჩნენ. ყველა რესურსის ერთად შეკრება, ფელნერის აზრით: „მონანილე ფირმების მომავალ შესაძლებლობათა გაუფასურებას" გულისხმობს (1949, გვ. 35). მაგრამ მომავალი არ შეიძლება გაუფასურდეს. ფირმების შედარებითი ძლიერება დროთა განმავლობაში ისე იცვლება, რომ მისი წინასწარგანჭვრეტა შეუძლებელია. ფირმები იძულებულნი არიან, წავიდნენ კომპრომისზე სარგებლის მაქსიმიზაციასა და იმ საფრთხის მინიმიზაციას შორის, რომელიც მათ გადარჩენას უკავშირდება. ორი ფირმიდან თითოეულისათვის შესაძლოა უკეთესი იყოს,

ერთ-ერთი რომ დასთანხმდეს მეორისაგან კომპენსაციის მიღებას ბაზრის ნაწილობრივ დათმობის სანაცვლოდ. მაგრამ ფირმა, რომელიც უფრო მცირე გასაღების ბაზარს დასჯერდება უფრო მაღალი მოგების სანაცვლოდ, დიდად დაზარალდება, თუ გაჩაღდება ფასთა ბრძოლა, როგორც ბაზრებისათვის განახლებული ჭიდილის შემადგენელი ნაწილი. მცირე ბაზრებზე უარი უნდა ითქვას უფრო დიდი მოგების მიღების სანაცვლოდ, როცა კი ეს შესაძლებელია (გვ. 132, 217-18). როგორც ფელნერი განმარტავს: „კონკურენტთან მიმართებაში განიარაღება გონივრული არ არის" (გვ. 199) რატომ არა? იმიტომ, რომ „ომის განახლების შესაძლებლობა მუდმივად არსებობს" (გვ. 177). ფელნერის მსჯელობა ძალიან ჰგავს ლენინისას, რომელიც მივიდა დასკვნამდე, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ვერასოდეს შეძლებდნენ თანამშრომლობას საერთო მოგების მისაღებად ერთ უზარმაზარ იმპერიალისტურ ორგანიზაციაში. სახელმწიფოთა მსგავსად, ოლიგოპოლისტური ფირმებიც უფრო მეტად შედარებითი ძლიერების, ვიდრე აბსოლუტური უპირატესობის მიღწევაზე უნდა ზრუნავდნენ.

სახელმწიფოს ადარდებს შესაძლებელი მოგების განაწილება, რის შედეგადაც სხვა მასზე უფრო მოგებული შეიძლება დარჩეს. ეს საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურის მიერ სახელმწიფოთა თანამშრომლობის შეზღუდვის პირველი ნიშანია. სახელმწიფო, აგრეთვე, ფიქრობს იმაზე, რომ თანამშრომლობითი ინიციატივებითა და საქონლისა და მომსახურების გაცვლით სხვებზე დამოკიდებული არ გახდეს. ეს საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურის მიერ სახელმწიფოთა თანამშრომლობის შეზღუდვის მეორე ნიშანია. რაც უფრო სპეციალიზირდება სახელმწიფო, მით მეტად დამოკიდებულია ის სხვების მიერ მოწოდებულ საქონელსა და ნედლეულზე, რომელსაც თავად არ აწარმოებს. რაც უფრო დიდია ქვეყნის ექსპორტი და იმპორტი, მით მეტად დამოკიდებულია ის სხვებზე. მსოფლიოს კეთილდღეობა გაიზრდება, შრომის საერთაშორისო დანაწილება თუ გაუმჯობესდება, მაგრამ სახელმწიფოები ამით ისეთ ვითარებაში ჩაიგდებენ თავს, რომელშიც გაცილებით ურთიერთდამოკიდებულნი იქნებიან. ზოგიერთი სახელმწიფო შეიძლება წინ არ აღუდგეს ამას. პატარა და რესურსებით ღარიბი ქვენებისათვის ამგვარი ქმედების შედეგები განსაკუთრებით მძიმე იქნება. მაგრამ ის სახელმწიფოები, რომლებსაც წინააღმდეგობის გაწევა ძალუძთ, როგორც წესი, ყველა საშუალებით აკეთებენ ამას. ძლიერ დამოკიდებული ან ურთიერთდამოკიდებული სახელმწიფოები იმის უსაფრთხოებაზეც ზრუნავენ, რაზეც დამოკიდებულნი არიან. მაღალი დონის ურთიერთდამოკიდებულება ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოები განიცდიან ან ექვემდებარებიან ამ მდგომარეობის თანამდევ საერთო დაუცველობას. სხვა ორგანიზაციების მსგავსად, სახელმწიფოები ცდილობენ, გააკონტროლონ ის, რაზეც დამოკიდებულნი არიან ან შეასუსტონ საკუთარი დამოკიდებულების ხარისხი. ეს მარტივი მსჯელობა მნიშვნელოვანწილად ხსნის სახელმწიფოთა ქცევას: მათ იმპერიულ თავდასხმებს კონტროლის არეალის გაზრდის მიზნით და ავტარკიულ ლტოლვას მეტი თვითმყოფადობისაკენ.

სტრუქტურა სტიმულს აძლევს გარკვეულ ქცევას და სჯის მათ, ვინც არ რეაგირებს ამგვარ ნახალისებაზე. ეროვნულ დონეზე ბევრი წუხს შრომის დანაწილების უკიდურესად განვითარების გამო, რაც ინდივიდებს სულ უფრო უმნიშვნელო ფუნქციებს აკისრებს. მიუხედავად ამისა, სპეციალიზაცია მაინც გრძელდება და მისი ხარისხი საზოგადოებათა განვითარების საზომს წარმოადგენს. ფორმალურად ორგანიზებულ სამყაროში ჯილდოს იღებს ყოველი ერთეული, რომელსაც შრომის დანაწილების სისტემაში საკუთარი ფასეულობის გაზრდის მიზნით სპეციალიზაცია შეუძლია. შინასახელმწიფოებრივი იმპერატივია – „სპეციალიზაცია!" საერთაშორისო დონეზე კი ბევრი წუხს იმ რესურსებზე, რომელთაც სახელმწიფოები საკუთარი თავის

დასაცავად ფლანგავენ და იმ დაკარგულ შესაძლებლობებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით ხალხის კეთილდღეობას აამაღლებდა. თუმცა, სახელმწიფოთა ქცევა ნაკლებად იცვლება. არაორგანიზებულ სამყაროში ყოველი ერთეულისათვის მომგებიანია საკუთარ თავზე ზრუნვის უნარის გამომუშავება, რადგანაც არავინ გააკეთებს ამას მათ ნაცვლად. საერთაშორისო იმპერატივია – „იზრუნე საკუთარ თავზე!" ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერი შეიძლება ხვდებოდეს, რომ საყოველთაო კეთილდღეობა გაიზრდება, თუ ისინი მონაწილეობას მიიღებენ შრომის სრულ დანაწილებაში, მაგრამ ამ იდეის საფუძველზე მოქმედება ნიშნავს მორჩილებას შინასახელმწიფოებრივი იმპერატივისადმი, რომელიც საერთაშორისო დონეზე არ ვრცელდება. ის, რისი გაკეთებაც, შესაძლოა, ვინმეს სურდეს სტრუქტურული შეზღუდვების არარსებობისას, განსხვავდება იმისაგან, რისკენაც ამ შეზღუდვების არსებობა შეიძლება უბიძგებდეს. სახელმწიფოები საკუთარი სურვილით არ ხდებიან ძლიერ დამოკიდებულნი. თვითდახმარების სისტემაში უსაფრთხოების უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეკონომიკურ მოგებას პოლიტიკურ ინტერესებს უქვემდებარებს.

რასაც ესა თუ ის სახელმწიფო საკუთარი თავისათვის აკეთებს, ძალიან ჰგავს ყველა სხვა სახელმწიფოს მოქმედებას. ქვეყნები უარს ამბობენ იმ უპირატესობაზე, რომელსაც შრომის დანაწილება (როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური) იძლევა. უფრო მეტიც, თავდაცვის ხარჯები საზიანოა ყველასათვის, მაგრამ გარდაუვალია უმრავლესობისათვის. მათი ჯილდოა საკუთარი ავტონომიურობის შენარჩუნება გაზრდილი კეთილდღეობის სანაცვლოდ. სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებიან და არ ცდილობენ პროდუქციის ერთობლივად წარმოებაში წვლილის შეტანას საერთო სარგებლის მისაღწევად. ამით წარმოიქმნება მეორე დიდი განსხვავება საერთაშორისო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს შორის.

3. სტრუქტურა და სტრატეგია

ის, რომ მოტივებისა და შედეგების განცალკევება შესაძლებელია, ახლა უფრო ადვილად ჩანს. სწორედ სტრუქტურა განაპირობებს ისეთ ქმედებებს, რომლებსაც წინასწარ დაუგეგმავი შედეგები მოჰყვება. მოქმედ პირთა უმეტესობა, უდავოდ, შეამჩნევს ამას, ხოლო რამდენიმე მათგანი იმასაც მიხვდება, თუ რატომ ხდება ასე. მათ შეიძლება გააცნობიერონ ის, თუ როგორ აღწევს სტრუქტურა შედეგებს. შეძლებენ თუ არა მაშინ მოქმედი პირები თავიანთი სტრატეგიების მართებულად ადაპტირებით თავდაპირველად ჩაფიქრებული მიზნების განხორციელებას? სამწუხაროდ, მათ ეს ხშირად არ შეუძლიათ. ამის მიზეზების ნათელსაყოფად, მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. ერთი მაგალითის შემდეგ მკითხველს ადვილად შეექმნება წარმოდგენა დანარჩენებზე.

როდესაც პროდუქციის დეფიციტია მოსალოდნელი, ყველა უკეთეს მდგომარეობაში იქნება, თუ მის შესყიდვას შეამცირებს, რათა ფასის ზრდა ზომიერი იყოს და დეფიციტი თანაბრად გადანაწილდეს, მაგრამ ვინაიდან ზოგიერთი უფრო გამდიდრდება, თუ დეფიციტურ საქონელს სასწრაფოდ და ზედმეტი ოდენობით შეიძენს, ყველას ამის გაკეთების ძლიერი ცდუნება ექნება. თუ ვინმე მოელის, რომ ბანკიდან მასობრივად ფულის გამოტანა მოხდება, მისი გონივრული ნაბიჯი იქნება, სხვებზე ადრე გამოიტანოს ფული, მაშინაც კი როცა იცის, რომ ბანკს შედარებით ცოტა ხალხი თუ მიაკითხავს, ის გადამხდელუნარიანი დარჩება, ხოლო ბევრი თუ მიანყდება – ის გაკოტრდება. ასეთ შემთხვევებში ინდივიდუალური ინტერესის დაკმაყოფილება წარმოშობს კოლექტიურ შედეგებს, რომლებიც არავის სურს, თუმცა, ინდივიდები განსხვავებულად მოქცევით საკუთარ თავს აზარალებენ საბოლოო შედე-

გების შუცვლელად. ამ ორი, ხშირად მოხსენიებული მაგალითის საფუძველზე ძირითადი დებულება ყალიბდება: მე არ შემიძლია, გონების კარნახით გადავდგა ზოგიერთი ნაბიჯი, ვიდრე ასე არ მოიქცევი შენც, ხოლო შენ და მე არ შეგვიძლია გონივრულად მოვიქცეთ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ამასვე გააკეთებენ სხვებიც. მოდით, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ პრობლემის არსს ორი მომდევნო მაგალითის დეტალურად განხილვით.

ბევრს ურჩევნია, საკუთარი ავტომანქანით იაროს და არა მატარებლით. ავტომანქანა დროის უკეთ განაწილებისა და დანიშნულების ადგილის შერჩევის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ ხანდახან, მაგალითად ცუდ ამინდში, მატარებლით მგზავრობა უფრო სასურველი და კომფორტულია. ადამიანთა უმრავლესობა შეიძლება სუპერმარკეტებში ყიდულობდეს საქონელს და არა მცირე სასურსათო მაღაზიებში. სუპერმარკეტებში არჩევანი უფრო დიდია და ფასებიც გაცილებით დაბალია, მაგრამ ხანდახან მცირე სასურსათო მაღაზიები უფრო მოსახერხებელია, მაგალითად ნისიად ყიდვის ან სახლში მიტანის მომსახურების გამო. იმის შედეგად, რომ უმეტესობა, ჩვეულებრივ, საკუთარი მანქანით დადის და სუპერმარკეტებში იძენს პროდუქციას, იკლებს მგზავრთა მომსახურება და მცირე მაღაზიების რაოდენობა. ეს შედეგები სულაც არ სურს უმრავლესობას. ზოგიერთებმა, შესაძლოა, მეტის გადახდის მზადყოფნა გამოთქვან, რათა გარკვეული სახის მომსახურების გაქრობა არ დაუშვან. მიუხედავად ამისა, ინდივიდები ისეთს ვერაფერს გააკეთებენ, რომ შედეგებზე ზეგავლენა მოახდინონ. ეს მხოლოდ გაზრდილ მფარველობას შეუძლია, მაგრამ არა ჩემსას ან კიდევ რამდენიმე ადამიანისას, რომელიც შეიძლება დავარწმუნო, მე მომბაძოს.

ადვილი შესამჩნევია, რომ ჩვენი ქცევა არასასურველ შედეგებს იწვევს, მაგრამ, ალბათ, ისიც თვალსაჩინოა, რომ ასეთი შემთხვევები ის მაგალითებია, რომლებიც ალფრედ კანმა აღწერა, როგორც „მცირე" გადაწყვეტილებების დაგროვებით გამოწვეული „დიდი" გარდაქმნები. ასეთ ვითარებაში ხალხი „მცირე გადაწყვეტილებების ტირანიის" მსხვერპლი ხდება, ეს გამონათქვამი კი გულისხმობს, რომ „ასი მომხმარებელი თუ აირჩევს x ალტერნატივას, რაც ბაზრის მიერ X გადაწვეტილების მიღებას გამოიწვევს (სადაც X უტოლდება 100 x-ს), დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ იგივე ასი მომხმარებელი მხარს დაუჭერდა ამგვარ შედეგს, ეს დიდი გადაწყვეტილება ოდესმე ნათლად წარმოდგენილი რომ ჰქონოდა" (კანი 1966, გვ. 523). თუ ბაზარი ამ დიდი გადაწყვეტილების მიღების საშიშროებას არ წარმოაჩენს, ინდივიდები განწირულნი არიან, მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე მაშინაც კი, როდესაც იციან, რომ ასეთი გადაწყვეტილება მათი უმრავლესობისათვის არასასურველ შედეგს მოიტანს. ან ხდება ისე, რომ ისინი ცდილობენ ბაზრის ზოგიერთი შედეგის გადალახვას მისი სტრუქტურის შეცვლით – მაგალითად, მომხმარებელთა გაერთიანებების ისე გაზრდით, რომ ისინი სიდიდით მწარმოებელთა გადაწყვეტილებების მიმღებ ერთეულებს დაემსგავსონ. ეს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: მანამ, სანამ სტრუქტურა ხელშეუხებელი რჩება, შეუძლებელია ცალკეული მოქმედი პირების სურვილებსა და ქმედებებში ცვლილებების შეტანით სასურველი შედეგების მიღება ან არასასურველი შედეგების თავიდან აცილება. როგორც აღვნიშნე, სტრუქტურები შეიძლება შეიცვალოს ერთეულებს შორის შესაძლებლობათა გადანაწილებით. სტრუქტურები ასევე შეიძლება შეიცვალოს გარკვეული სავალდებულო მოთხოვნების შემოღებით იმ სფეროებში, სადაც ხალხი აქამდე თავისუფლად იღებდა გადაწვეტილებებს. თუ ზოგიერთი ვაჭარი კვირას მუშაობს, დანარჩენებიც, მიუხედავად იმისა, რომ ექვსდღიანი სამუშაო კვირა ურჩევნიათ, შესაძლოა, იძულებულნი გახდნენ, ასევე მოიქცნენ, რათა

კონკურენტუნარიანნი დარჩნენ. უმრავლესობას შესაძლებლობა აქვს, ისე მოიქცეს, როგორც სურს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ვალდებულია, შესაბამისი მოთხოვნები დაიცვას. ერთადერთი საშუალება ძლიერი სტრუქტურული შედეგების პისაღწევად სტრუქტურული გარდაქმნებია.

სტრუქტურული შეზღუდვები არ შეიძლება არ იყოს სასურველი, თუმცა, ბევრი ვერ ხვდება ამას. ყველა დროში და ყველა ადგილას, თვითდახმარების სისტემის ერთეულებს (სახელმწიფოებს, კორპორაციებს და ა.შ.) არწმუნებენ, რომ საყოველთაო კეთილდღეობა, მათ საკუთარ კეთილდღეობასთან ერთად, მოითხოვს მათგან მოქმედებას სისტემის სასარგებლოდ და არა მხოლოდ საკუთარი ვიწრო სარგებლისათვის. 1950-იან წლებში, ბირთვული ომის შედეგად მსოფლიოს განადგურების შიშის ზრდასთან ერთად, ზოგიერთმა დაასკვნა, რომ მსოფლიოს განადგურების ერთადერთი ალტერნატივა საყოველთაო განიარაღება იყო. 1970-იან წლებში, მოსახლეობის, სიღარიბისა და გარემოს დაბინძურების სწრაფ ზრდასთან ერთად, ზოგიერთმა დაასკვნა (როგორც ამას ერთი მეცნიერი აღნიშნავს), რომ: „სახელმწიფოებმა უნდა დააკმაყოფილონ პოლიტიკური ეკოსისტემის საჭიროებანი გლობალური მასშტაბით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საყოველთაო განადგურებას გამოიწვევენ" (სტერლინგი 1974, გვ. 336). საერთაშორისო ინტერესი გათვალისწინებული უნდა იყოს; ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ ეროვნული ინტერესები მას უნდა დაექვემდებაროს. პრობლემები გლობალურ დონეზეც არის გადასული, მათი მოგვარება კი კვლავ ეროვნულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. რა პირობებმა შეიძლება აღუძრას სახელმწიფოებს მათთვის ასე ხშირად მიცემული დირექტივების მეტ-ნაკლებად შესრულების სურვილი? როგორ უნდა გადაჭრან მათ ის წინააღმდეგობა, რომელიც კერძო ინტერესების განხორციელებასა და სისტემის სასარგებლოდ მოქმედებას შორის წარმოიქმნება? არავის უჩვენებია ამ პრობლემის მოგვარების გზები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ძალისხმევას არ იშურებს და რაციონალური ქცევის დასაცავად გამოდის. თუმცა, მთავარი პრობლემა ისაა, რომ სტრუქტურული წინააღმდეგობებით განპირობებული რაციონალური ქცევა სასურველ შედეგებს ვერ იძლევა. როდესაც ყველა ქვეყანა იძულებულია, საკუთარ თავზე იზრუნოს, სისტემაზე აღარავინ ზრუნავს.[1]

საფრთხისა და აღსასრულის მოახლოების ნათლად გაცნობიერებამ მისაღწევი შედეგების განსაზღვრამდე შეიძლება მიგვიყვანოს. მაგრამ ეს მათ მისაღწევად საკმარისი არ არის. ეფექტიანი ქმედების შესაძლებლობა დამოკიდებულია აუცილებელ საშუალებათა უზრუნველყოფის უნარზე. ის კიდევ უფრო მეტად დამოკიდებულია იმ პირობების არსებობაზე, რომლებიც შესაძლებლობას ანიჭებს სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს, მიჰყვნენ განსაზღვრულ პოლიტიკასა და სტრატეგიას. მსოფლიოს შემძრავი პრობლემები გლობალურად მოგვარებას მოითხოვს, მაგრამ არ არსებობს გლობალური დაწესებულება, რომელიც ამას ითავებს. საჭიროება არ წარმოშობს შესაძლებლობას. მხოლოდ სურვილი იმისა, რომ საბოლოო შედეგები სასარგებლო იყოს, ვერ გახდის მათ ასეთად.

დიდი ამოცანები მხოლოდ დიდი შესაძლებლობების მქონე ერთეულებმა შეიძლება შეასრულონ. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი დიდი სახელმწიფოები, მოწოდებული არიან, გააკეთონ ის, რაც მსოფლიოს გადარჩენისათვის

[1] სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოები „პატიმრის დილემის" წინაშე დგანან. თუ ორი მხარიდან თითოეული საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობს, ორივე იმაზე ცუდი შედეგით ასრულებს, ვიდრე ეს იქნებოდა იმ შემთხვევაში, მათ რომ ერთობლივი ინტერესების მისაღწევად ემოქმედათ. ამგვარ ვითარებათა ლოგიკის დეტალური ანალიზისათვის იხილეთ: სნაიდერი და დიზინგი 1977; მოკლე და მიმანიშნებელი საერთაშორისო ანალოგიისათვის იხილეთ: ჯერვისი 1978.

არის საჭირო. მაგრამ სახელმწიფოებმა უნდა გააკეთონ ისიც, რაც საკუთრივ მათი გადარჩენისათვის არის აუცილებელი, რადგან ვერავინ დარჩება ამ საქმეში სხვის იმედად. თუ რატომ არის უაზრობა საერთაშორისო ინტერეაების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენება, შესაძლებელია ზუსტად აიხსნას მიკრო და მაკროთეორიებს შორის განსხვავების საფუძველზე. ეკონომისტებს კარგად ესმით ეს განსხვავება, პოლიტიკურ მეცნიერებს კი – არა. როგორც განვმარტე, მიკროეკონომიკური თეორია არის თეორია ბაზრის თაობაზე, რომელიც ინდივიდების ქცევის შესახებ ვარაუდებზეა აგებული. ეს თეორია გვიჩვენებს, თუ როგორ აყალიბებს ერთეულთა ქმედება და ურთიერთქმედება ბაზარს და რა ზეგავლენას ახდენს მის ფუნქციონირებაზე და, აგრეთვე, რა გავლენას ახდენს, თავის მხრივ, ბაზარი მათზე. მაკროთეორია კი არის თეორია ეროვნული ეკონომიკის შესახებ, რომელიც აგებულია მიწოდების, შემოსავლისა და მოთხოვნის საერთოსისტემურ ელემენტებად აღქმაზე. ეს თეორია გვიჩვენებს, თუ როგორ ურთიეთკავშირშია ეს და სხვა ელემენტები და ხსნის იმას, თუ რა გავლენას ახდენს ერთი ან რამდენიმე მათგანის ცვლილება დანარჩენებზე და მთლიანად ეკონომიკის ხასიათზე. ეკონომიკაში, როგორც მიკრო, ისე მაკროთეორიას ვრცელ სფეროებთან აქვს საქმე. განსხვავება მათ შორის არა კვლევის ობიექტთა სიდიდეშია, არამედ იმ გზებში, რომლებითაც კვლევის საგნისადმი მიდგომა და მათი ასახსნელი თეორია ყალიბდება. საერთაშორისო პოლიტიკის მაკროთეორია, არსებობის შემთხვევაში, გვიჩვენებდა, თუ როგორ განსაზღვრავს სისტემური ელემენტები საერთაშორისო სისტემის ბუნებას. შეიძლება წარმოვიდგინოთ ზოგიერთი მათგანი: მსოფლიოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის სიდიდე, მსოფლიო იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა, ომში დაღუპულ ადამიანთა რიცხვი, თავდაცვის ხარჯები და მიგრაცია. ეს თეორია ერთგვარად ჯონ მეინარდ კეინსის სტილში შექმნილ მაკროეკონომიკურ თეორიას დაემსგავსებოდა, თუმცა, ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ როგორ გახდება საერთაშორისო ელემენტები უფრო მნიშვნელოვანი და როგორ გამოიწვევს ერთი ან რამდენიმე მათგანის ცვლილება დანარჩენთა შეცვლას. მე არ ვამტკიცებ, რომ ასეთი თეორიის აგება შეუძლებელია, არამედ ვამბობ, რომ ვერ ვხედავ, თუ როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს ისე, რომ საბოლოოდ სარგებელი მოიტანოს. ნებისმიერ შემთხვევაში, საერთაშორისო პოლიტიკის მაკროთეორია მაკროეკონომიკური თეორიის პრაქტიკულ შედეგებს მოკლებული იქნებოდა. ეროვნულ მთავრობებს შეუძლიათ საერთოსისტემური ეკონომიკური ცვლადებით მანიპულირება. საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი შესაძლებლობების მქონე არც ერთი ორგანიზაცია არ არსებობს. ვინ გამოასწორებდა საერთაშორისო პოლიტიკის მაკროთეორიის მიერ გამომჟღავნებულ ნაკლებს? მსგავსი თეორია რომც იყოს შექმნილი, ჩვენ მაინც დავინახავდით, რომ სახელმწიფოები ერთადერთი სუბიექტები არიან, ვისაც გლობალური პრობლემების გადაჭრა ხელეწიფება. ჩვენ მაინც დავუბრუნდებოდით მიკროპოლიტიკურ მიდგომას იმ პირობების გამოსაკვლევად, რომლებიც მეტ-ნაკლებად შესაძლებელს ხდის სახელმწიფოების ნაყოფიერ და ეფექტიან მოქმედებას, როგორც დამოუკიდებლად, ისე კოლექტიურად.

ზოგიერთს იმედი ჰქონდა, რომ ცვლილებები სახელმწიფოთა ცნობიერებასა და მიზნებში, ორგანიზაციასა და იდეოლოგიაში, საერთაშორისო ცხოვრების ხასიათს შეცვლიდა. საუკუნეთა მანძილზე სახელმწიფოები მრავალმხრივ შეიცვალნენ, მაგრამ საერთაშორისო ცხოვრების ხასიათი თითქმის იგივე დარჩა. სახელმწიფოები, შესაძლოა, ესწრაფოდნენ გონიერულ და ღირებულ მიზნებს, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, თუ როგორ მიაღწიონ მათ. პრობლემა არ არის მათი სიბრიყვე ან ბოროტი გაზრახვა, თუმცა, ასეთი თვისებებიც ხშირად გვხვდება. პრობლემას ღრმად ვერ ჩავწვდებით, ვიდრე არ გავაცნობიერებთ, რომ საღი აზრი და კეთილმოსურნეობა ადეკვატურ

პროგრამას ვერ წარმოშობს და განახორციელებს. საუკუნის დასაწყისში უინსტონ ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ ბრიტანეთ-გერმანიის საზღვაო კონკურენცია უბედურებას მოიტანდა, *მაგრამ* ბრიტანეთს სხვა რეალისტური აღჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ეს შეჯიბრი გაეგრძელებინა. გლობალური პრობლემების წინაშე მდგომი სახელმწიფოები „მცირე გადაწყვეტილებების ტირანიით" შეპყრობილ ერთეულ მომხმარებლებს ჰგვანან. სახელმწიფოებს, მომხმარებელთა მსგავსად, ამ ხაფანგიდან თავის დაღწევა მხოლოდ საკუთარი საქმიანობის სფეროს სტრუქტურული გარდაქმნით შეუძლიათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ერთადერთი საშუალება ძლიერი სტრუქტურული ეფექტის მისაღებად სტრუქტურული ცვლილებაა.

4. ანარქიის ღირსებები

ანარქიის პირობებში მიზნების მისაღწევად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ერთეულები – სულ ერთია, ისინი ადამიანები არიან, კორპორაციები, სახელმწიფოები თუ სხვა – საკუთარ საშუალებებსა და მექანიზმებს უნდა ეყრდნობოდნენ. თვითდახმარება მოქმედების აუცილებელი პრინციპია ანარქიულ წესრიგში. თვითდახმარების მდგომარეობა უდიდეს რისკს შეიცავს – გაკოტრებისა ეკონომიკაში და ომისა თავისუფალ სახელმწიფოთა სამყაროში. მის დროს, აგრეთვე, დაბალია ორგანიზაციული დანახარჯები. ეკონომიკაში ან საერთაშორისო წესრიგში, რისკი თავიდან შეიძლება იქნეს აცილებული ან შესუსტებული კოორდინირებული ქმედებიდან სუბორდინაციაზე გადასვლით, ანუ ეფექტიანი ძალაუფლების მქონე ორგანოების დაფუძნებითა და წესების სისტემის გაფართოებით. მთავრობა ჩნდება იქ, სადაც რეგულირებისა და მართვის ფუნქციები განსაზღვრულ და საგანგებო ამოცანებად გადაიქცევა. იერარქიული წესრიგის შენარჩუნების ხარჯები ხშირად იგნორირებულია მათ მიერ, ვინც იერარქიული წესრიგის არარსებობაზე წუხს. ორგანიზაციებს, სულ მცირე, ორი მიზანი აქვთ: რაიმეს გაკეთება და საკუთარი თავის ორგანიზაციად შენარჩუნება. მათი საქმიანობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე მიზნის მიღწევისაკენ არის მიმართული. ორგანიზაციათა ლიდერები, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ლიდერები, არ არიან პროფესიონალები იმ საკითხებში, რომლებსაც მათი ორგანიზაციები უნდა აგვარებდნენ. ისინი ლიდერები გახდნენ არა იმიტომ, რომ ამა თუ იმ სფეროს ექსპერტები არიან, არამედ იმიტომ, რომ სხვებს სჯობნიან ორგანიზაციულ ხელოვნებაში – ჯგუფის წევრებზე კონტროლში, მათი პროგნოზირებადი და დამაკმაყოფილებელი მოღვაწეობის უზრუნველყოფაში, ჯგუფის მთლიანობის შენარჩუნებაში. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავია არა იმ მიზნების მიღწევა, რომლებიც ორგანიზაციის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ, არამედ თავად ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობისა და სიჯანსაღის შენარჩუნება. (შედარებისათვის იხილეთ: დიზინგი 1972, გვ. 198-204; და დოუნსი 1967, გვ. 262-70).

იერარქიულ წესრიგს, უპირატესობებთან ერთად, ხარჯებიც თან ახლავს. უფრო მეტიც, იერეარქიული წესრიგის დროს კონტროლის საშუალებები ბრძოლის საგანი ხდება. დამოუკიდებელი საკითხები გადაჯაჭვულია მაკონტროლებლებზე ზეგავლენის მოპოვების ან კონტროლის დამყარების მცდელობებთან. პოლიტიკის იერარქიული სტრუქტურა კიდევ ერთ მიზანს უმატებს უკვე მრავლად არსებულ ბრძოლის მიზნებს, ხოლო ეს დამატებული მიზანი გაცილებით მასშტაბურია.

თუ ომის საშიშროება ძალიან დიდია, შესაძლებელია თუ არა მისი შემცირება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ორგანიზებული მართვით? მართვა, სულ მცირე, სახელმწიფოთა განკარგულებაში მყოფ სამხედრო ძალებზე კონტროლს

მოითხოვს. სახელმწიფოთა შიგნით ორგანიზაციებმა საკუთარი თავის შესანარჩუნებლად უნდა იღვაწონ. სახელმწიფოებს კი, როგორც ორგანიზაციებს, საკუთარი თავის შესანარჩუნებლად დისიდენტი ელემენტებისა და რეგიონების წინააღმდეგ ძალის გამოყენება უხდებათ. მთავრობების, როგორც იერარქიული სისტემების, სიმტკიცე ეროვნულ თუ გლობალურ დონეზე შერყეულია მათი ძირითადი შემადგენელი ნაწილების დაუმორჩილებლობით. მცირე შეთანხმებულობის მქონე სახელმწიფოთა საზოგადოებაში მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბების მცდელობები წარუმატებელი იქნებოდა, რადგანაც თავს იჩენდა ცენტრალური ხელისუფლების უუნარობა, მოეხდინა რესურსების მობილიზება სისტემის ერთიანობის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის მისი ნაწილების რეგულირებითა და მართვით. მსოფლიო მთავრობის პერსპექტივა მსოფლიო სამოქალაქო ომისაკენ მოწოდებად იქცეოდა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ მილოვან ჯილასის მოგონება მეორე მსოფლიო ომზე. მისი მონათხრობით, იგი და მრავალი რუსი ჯარისკაცი ომისდროინდელი საუბრებისას მივიდნენ დასკვნამდე, რომ კაცობრიობის ბრძოლა უკიდურესად მწვავე გახდებოდა, ყველა ადამიანი ერთსა და იმავე სოციალურ სისტემას რომ ეკუთვნოდეს. „ამგვარი სისტემა დაიშლებოდა და სხვადასხვა სექტა კაცობრიობის „ბედნიერებისათვის" ბრძოლაში საყოველთაო განადგურებას გამოიწვევდა" (1962, გვ. 50). სახელმწიფოები ვერ მიანიჭებენ მართვის ფუნქციებს ცენტრალურ ორგანოს, თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია თავისი კლიენტი სახელმწიფოების დაცვა. რაც უფრო ძლიერები არიან კლიენტები და რაც უფრო მეტად აღიქმება თითოეულის ძლიერება სხვათა მიერ საფრთხედ, მით მეტი ძალაუფლებით უნდა იყოს აღჭურვილი ცენტრი, ხოლო რაც უფრო დიდია ცენტრის ძლიერება, მით მეტია სტიმული სახელმწიფოებისათვის, ჩაებან ბრძოლაში მის გასაკონტროლებლად.

სახელმწიფოები, ადამიანთა მსგავსად, დაუცველნი არიან საკუთარი თავისუფლების ხარისხის შესაბამისად. თუ თავისუფლება გვსურს, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ უსაფრთხოდ ვერ ვიქნებით. ორგანიზაციებს, რომლებიც ძალაუფლებისა და კონტროლის ურთიერთობებს აყალიბებენ, შეუძლიათ გააძლიერონ უსაფრთხოება თავისუფლების ხარისხის შემცირებით. თუ სიმართლე ძლიერის მხარეს არ არის ადამიანებს ან სახელმწიფოებს შორის, ეს იმას ნიშნავს, რომ, რაიმე ინსტიტუტის ან ორგანოს ჩარევის წყალობით, მათ ბუნებრივ მდგომარეობას დააღწიეს თავი. რაც უფრო გავლენიანია ორგანო, მით უფრო დიდია მისი გაკონტროლების სურვილი. განსხვავებით ამისაგან, ერთეულები ანარქიული წესრიგის პირობებში პირად სარგებელზე ზრუნავენ და არა ორგანიზაციის შენარჩუნებასა და მის ფარგლებში თავიანთი კეთილდღეობის გაზრდაზე. ძალა პირადი ინტერესებისათვის გამოიყენება. ორგანიზაციის არარსებობისას ადამიანებსა და სახელმწიფოებს შესაძლებლობა აქვთ, თავი დაანებონ ერთმანეთს. მაშინაც კი, როდესაც ისინი ამას არ აკეთებენ, მათ უკეთ შეუძლიათ, ორგანიზაციის პოლიტიკის გარეშე, კონცენტრირება მოახდინონ პრობლემის არსზე და მიზნად დაისახონ მინიმალური შეთანხმების მიღწევა, რომელიც მათ დამოუკიდებლად არსებობის საშუალებას მისცემს და არა მაქსიმალური შეთანხმება ერთიანობის შესანარჩუნებლად. თუ ძალა მოინდომებს, სიმართლისათვის სისხლიანი ბრძოლის თავიდან აცილება ადვილად არის შესაძლებელი.

ეროვნულ დონეზე ხელისუფლება ძალას იყენებს კანონისა და სამართლიანობის სახელით. საერთაშორისო დონეზე კი სახელმწიფოს ძალა თავდაცვასა და სხვებზე უპირატესობის მოპოვებას ხმარდება. მეამბოხეები საფრთხეს უქმნიან მთავრობის ძალაუფლებას: ისინი ეჭქვქვეშ აყენებენ მის კანონიერებას. სახელმწიფოთაშორისი ომები ვერ გადაწყვეტს ძალაუფლებისა და სამართლიანობის საკითხებს; მათი მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სარგებლისა და დანაკარგის განაწ-

ილება მოქიშპეთა შორის და გარკვეული პერიოდით დადგინდეს, თუ ვინაა უფრო ძლიერი. ეროვნულ დონეზე ხელისუფლების სამართლებრივი ურთიერთობები ყალიბდება. საერთაშორისო დონეზე კი მხოლოდ ძალთა თანაფარდობა ხდება ნათელი. ეროვნულ დონეზე ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული კერძო ძალა პოლიტიკურ სისტემას უქმნის საფრთხეს. ხოლო სახელმწიფოს – საჯარო ორგანოს – მიერ გამოყენებული ძალა, საერთაშორისო თვალთახედვით, ძალის კერძო გამოყენებაა, მაგრამ აქ არ არსებობს დასამხობი მთავრობა ან ხელში ჩასაგდები სახელმწიფო აპარატი. მსოფლიო ჰეგემონობისათვის სწრფვას თუ არ ჩავთვლით, ძალის კერძო გამოყენება ემუქრება არა მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას, არამედ მის ზოგიერთ წევრს. ომი ერთმანეთს უპირისპირებს სახელმწიფოებს, რაც მსგავს ერთეულებს შორის ბრძოლაში გამოიხატება. ძლიერი ქვეყნის ძალამ შეიძლება შეაჩეროს სუსტი სახელმწიფო თავისი მოთხოვნების წამოყენებისაგან არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ძლიერის მმართველობის კანონიერებას აღიარებს, არამედ, უბრალოდ, იმიტომ, რომ მასთან შებმა უაზრობაა. ან პირიქით, სუსტი სახელმწიფო მნიშვნელოვანი თავისუფლებითაც კი შეიძლება სარგებლობდეს საკუთარ ქმედებებში, თუ შესაძლებლობათა სხვაობა ძლიერსა და სუსტს შორის იმდენად დიდია, რომ პირველს არ აწუხებს მეორის ქმედებები და არ აღელვებს მისი პოტენციალის მცირეოდენი ზრდა.

ეროვნული პოლიტიკა მთავრობის, ადმინისტრირებისა და სამართლის სფეროა, საერთაშორისო პოლიტიკა კი – ძალის, ბრძოლისა და ურთიერთშეთანხმების. საერთაშორისო სფერო, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურია. ეროვნული სფერო სხვადასხვაგვარად შეიძლება აღიწეროს, როგორც იერარქიული, ვერტიკალური, ცენტრალიზებული, ჰეტეროგენური, მართული და ჩახლართული; საერთაშორისო სფერო კი – როგორც ანარქიული, ჰორიზონტალური, დეცენტრალიზებული, ჰომოგენური, უმართავი და ორმხრივად ადაპტირებადი. რაც უფრო ცენტრალიზებულია წესრიგი, მით უფრო მაღალ დონეზე წყდება საკითხები. საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტილებები ყველაზე დაბალ დონეზე მიიღება, თუმცა, აქ სხვა დონეები თითქმის არც არის. ვერტიკალურ-ჰორიზონტალური დიქოტომიის დროს საერთაშორისო სტრუქტურები „დახრილ" პოზიციას იკავებენ. სისტემა რეგულირდება საერთაშორისო დონეზე, მაგრამ ოფიციალური, ძალაუფლებით აღჭურვილი ორგანოს გარეშე. რეგულირება და შეთანხმება ორმხრივი ადაპტირების გზით ხდება. (შედარებისათვის იხილეთ: ბარნარდი 1948, გვ. 148-52; პოლანი 1941, გვ. 428-456). ქმედება, უკუქმედება, და რეაქცია უკუქმედებაზე თანდათანობითი პროცესია. მხარეები ერთმანეთის მოსაზრებებს იგებენ და ვითარებას პროცესების განვითარების თანადროულად განსაზღვრავენ. მსგავს ერთეულებს შორის რეგულირება და შეთანხმება „მოსაზრებათა" ურთიერთგაცვლის შედეგად მიიღწევა, იმ პირობებში, რომლებშიც, ჩესტერ ბარნარდის აზრით, „ბრძანების მოვალეობა და დამორჩილების სურვილი, როგორც წესი, არ არსებობს" (გვ. 150-151). თუ პაექრობა მოსაზრებათა გამო მიმდინარეობს, მხარეები ცდილობენ, შეინარჩუნონ ან გაიუმჯობესონ თავიანთი პოზიციები მანევრირების, პოლიტიკური ვაჭრობის ან ბრძოლის საშუალებით. შეჯიბრის ხასიათი და ინტენსივობა განისაზღვრება იმ მხარეთა სურვილებითა და შესაძლებლობებით, რომლებიც ერთდროულად განცალკევებულნიც არიან და ურთიერთქმედებენ.

ძალის მეშვეობით ან ძალის გარეშე, თითოეული სახელმწიფო ადგენს იმ კურსს, რომელსაც ის საკუთარი ინტერესებისათვის საუკეთესოდ მიიჩნევს. თუ ძალა გამოიყენება ერთი სახელმწიფოს მიერ ან მისი გამოყენება მოსალოდნელია, სხვა სახელმწიფოებიც ძალისმიერი ქმედებით ან ძალის გამოყენების მზადყოფნით უპასუხებენ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად. შეუძლებელია ჩივილი ზემდგომ ორგანოსთან,

რომელსაც შესაბამისი ძალაუფლება და საკუთარი ინიციატივით მოქმედების უნარი გააჩნია. ასეთ პირობებში იმის შესაძლებლობა, რომ ერთ-ერთი მხარე ძალას გამოიყენებს, ყოველთვის საფრთხის საფუძველი იქნება. ამბობენ, რომ ძალა არის *Ultima ratio** პოლიტიკაში. საერთაშორისო პოლიტიკაში კი ძალა არის არა მარტო *Ultima ratio*, არამედ პირველი და მუდმივი არგუმენტი. ძალის დაყვანა პოლიტიკის *Ultima ratio-მდე*, ორტეგა ი გასეტის სიტყვებით, ნიშნავს „ძალის წინასწარ დაქვემდებარებას განსჯის მეთოდებისადმი" (ციტირებულია ჯონსონთან 1966, გვ. 13). მუდმივი შესაძლებლობა იმისა, რომ ძალა გამოყენებულ იქნება, ზღუდავს მანიპულაციებს, ასუსტებს მოთხოვნებს და გვეულინება დავების დარეგულირების სტიმულად. მას, ვინც იცის, რომ ძალზე ძლიერი ზენოლა ომს გამოიწვევს, საკმაო მიზეზი აქვს იმაზე დასაფიქრებლად, ღირს თუ არა შესაძლო სარგებელი მოსალოდნელი რისკის ფასად. საერთაშორისო დონეზე ძალის მუქარა შეიძლება შევადაროთ გაფიცვის როლს მშრომელებსა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთობაში. ლიევრნაშის თქმით, „რამდენიმე მოწყობილი გაფიცვა გარკვეულწილად წარმოადგენს მასობრივი გაფიცვების მუქარას, რომელიც მოლაპარაკებებში შეთანხმების მიღწევას განაპირობებს" (1963, გვ. 430). მაშინაც კი, როცა მუშები იშვიათად იფიცებიან, მათი ამგვარი მოქმედება მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს. იმის შესაძლებლობა, რომ სამრეწველო სექტორში არსებული დავები ხანგრძლივ და ძვირად ღირებულ გაფიცვებს გამოიწვევს, აიძულებს მშრომელებსა და ადმინისტრაციას რთული საკითხები განიხილონ, ერთმანეთის პრობლემებში გარკვევა სცადონ და ბევრი იმუშაონ შეთანხმების მისაღწევად. იმის შესაძლებლობა, რომ კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივ და ძვირად ღირებულ ომებში გადაიზრდება, ასეთივე გამაჯანსაღებელი ეფექტის მომტანია.

5. ანარქია და იერარქია

მე აღვწერე ანარქია და იერარქია ისე, თითქოს ყოველი პოლიტიკური წყობა ან ერთ ან მეორე ტიპს განეკუთვნებოდეს. ბევრი, და ვფიქრობ, სტრუქტურათა შემსწავლელ მეცნიერთა უმრავლესობა, პოლიტიკური წყობის ტიპების უფრო დიდ და ზოგჯერ დამაბნეველ მრავალფეროვნებასაც კი აღიარებს. ანარქია განიხილება, როგორც კონტინუუმის ერთი ბოლო, რომლის მეორე ბოლოშიც კანონიერი და კომპეტენტური ხელისუფლებაა. მაშასადამე, საერთაშორისო პოლიტიკას მთავრობის ნიშნებისა და საზოგადოებრიობის ელემენტების – უნივერსალური თუ რეგიონული ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციების, ალიანსების, მრავალეროვნული კორპორაციების, სავაჭრო ქსელებისა და კიდევ არაერთი ფენომენის ნაზავი ახასიათებს. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემები მეტ-ნაკლებად ანარქიულად არის მიჩნეული.

ისინი, ვინც მსოფლიოს მოდიფიცირებულ ანარქიად განიხილავენ, ორი მიზეზის გამო ფიქრობენ ასე. პირველი, ანარქია არა მარტო მთავრობის არარსებობად, არამედ, ამავე დროს, უწესრიგობისა და ქაოსის მდგომარეობად ფასდება. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკას (იმის მიუხედავად, რომ ის საიმედოდ მშვიდობიანი არ არის) არ აქვს გაუთავებელი ქაოსის სახე, მეცნიერები მშვიდობიანობის ყოველ გამოვლინებაში ანარქიის კლების ტენდენციას ამჩნევენ. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკა (იმის მიუხედავად, რომ ის ფორმალურად ორგანიზებული არ არის) ორგანიზაციებისა და სავალდებულო პროცედურების გარეშე არ არსებობს, მეცნიერები ანარქიის კლებაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც იქმნება ალიანსები, იზრდება თანამშრომლობა სახ-

* საბოლოო არგუმენტი

ელმწიფოებს შორის და მატულობს საერთაშორისო ინსტიტუტების რიცხვი. ასეთი მიდგომა სტრუქტურისა და პროცესის აღრევას იწვევს, ამიტომაც, ამ ფართოდ გავრცელებულ შეცდომაზე საკმაოდ დიდი ყურადღება გავამაგილე.

მეორე, ანარქიისა და იერარქიის ორი მარტივი კატეგორია, ალბათ, ვერ აღწერს იმ სოციალურ ვითარებათა უსასრულო სპექტრს, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ. მაშინ რა საჭიროა სტრუქტურათა ტიპების დიდი ოდენობის მხოლოდ ორამდე დაყვანა? ანარქიას განაპირობებს მსგავსი ერთეულების დაპირისპირება, მაგრამ ეს მსგავსი ერთეულები არ არიან იდენტურნი. მათ შორის ყალიბდება ერთგვარი სპეციალიზაცია ფუნქციების მიხედვით. იერარქიას კი განაპირობებს განსხვავებული სპეციალიზაციის მქონე ერთეულებს შორის შრომის სოციალური დანაწილება, მაგრამ ერთეულთა მსგავსება აქ არ ქრება. მნიშვნელოვანწილად ძალისხმევის დუბლირება გრძელდება. ყველა საზოგადოება ორგანიზებულია სეგმენტურად ან იერარქიულად მეტ-ნაკლები ხარისხით. მაშინ, რატომ არ შეიძლება დანარჩენი სოციალური ტიპების განსაზღვრა მათში არსებული შემაკავშირებელი პრინციპების შესაბამისად? შეიძლება წარმოვიდგინოთ ზოგიერთი საზოგადოება, რომელიც ჭეშმარიტად ანარქიულს ან ჭეშმარიტად იერარქიულს ჰგავს ან კიდევ ამ ორი ორგანიზაციული ტიპის ნაზავია. ანარქიაში ერთეულების ზუსტი მსგავსება და ურთიერთობების მხოლოდ შესაძლებლობათა საფუძველზე განსაზღვრა ისეთ ვითარებას წარმოშობს, რომელშიც მხოლოდ პოლიტიკა და ძალაა განმსაზღვრელი და ადგილი არ აქვს ამ ერთეულებს შორის ადმინისტრაციის მიერ მართულ და ხელისუფლების მიერ შეზღუდულ ურთიერთქმედებას. იერარქიაში კი ნაწილების სრული დიფერენციაცია და მათ შორის ფუნქციების სრულად განაწილება ისეთ ვითარებას წარმოქმნის, რომელშიც ხელისუფლება და ადმინისტრაციაა გაბატონებული და ადგილი არ აქვს ამ ნაწილებს შორის პოლიტიკისა და ძალის გავლენით წარმოებულ ურთიერთქმედებას. მართალია, წმინდა სახით ასეთი პოლიტიკური წყობა არ არსებობს, მაგრამ სფეროთა განცალკევება მათი მაორგანიზებელი პრინციპების მიხედვით, უთუოდ, საჭირო და მნიშვნელოვანია.

კატეგორიების რიცხვის ზრდა საზოგადოებათა კლასიფიკაციას რეალობასთან მიაახლოვებდა, მაგრამ ეს განმარტებითი თეორიიდან გადაგვიყვანდა ნაკლებად თეორიულ სისტემაზე, რომელსაც უფრო აღწერილობითი ხასიათი ექნებოდა. მას, ვისაც უფრო მეტად სურს, განმარტოს, ვიდრე აღწეროს, ამ მიმართულებით სელისაგან თავის შეკავება მართებს, თუ ამგვარი თავშეკავება მიზანშეწონილია. არსებობს კი ამის შესაძლებლობა? რას მოგვცემს მხოლოდ ორ ტიპის დაჟინება მაშინ, როდესაც თუნდაც სამის ან ოთხის შემოტანა გააადვილებდა საქმეს? ამით სიცხადე და ცნებების ეკონომიურობა მიიღწევა. ახალი ცნება წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი საკითხების განმარტების მიზნით, რომლებსაც არსებული ცნებები ვერ წვდება. თუ ზოგიერთი საზოგადოება არც ანარქიულია და არც იერეარქიული, და მათ სტრუქტურებს განსაზღვრავს მესამე მომწესრიგებელი პრინციპი, მაშინ მესამე სისტემა უნდა დავახასიათოთ.[2] ყველა საზოგადოება შერეულია. მათი ელემენტები როგორც ერთ, ისე მეორე მომწესრიგებელ პრინციპს გამოხატავს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი საზოგადოება მესამე პრინციპის შესაბამისად არის მოწყობილი. როგორც წესი, ადვილია იმ პრინციპის ამოცნობა, რომელიც საზოგადოებას აწესრიგებს. ანარქიული სექტორების გამოჩენა იერარქიის ფარგლებში არ ცვლის და არც უნდა აბუნდოვანებდეს უფრო დიდი სისტემის მომწესრიგებელ პრინც-

[2] ემილ დურკჰაიმის მიერ აღწერილი სოლიდარული და მექანიკური საზოგადოებები დღემდე საუკეთესო განმარტებაა ორი მომწესრიგებელი პრინციპისა, ხოლო მისი ლოგიკა საზოგადოებათა ტიპების ორამდე შემცირებაში, მრავალი კრიტიკოსის გამოსულის მიუხედავად, ურყევია.

იპებს, რადგან ეს სექტორები მხოლოდ გარკვეულ საზღვრებშია ანარქიული. უფრო მეტიც, დიდი სისტემის ამა თუ იმ სექტორში არსებულ ერთეულთა მახასიათებლები და მოქმედება განსხვავდება იმისაგან, თუ როგორები იქნებოდნენ და როგორ მოიქცეოდნენ ისინი ამ სისტემის გარეთ. ამის შესანიშნავი მაგალითია, კვლავ და კვლავ, ოლიგოპოლისტურ ბაზარზე მოქმედი ფირმები. ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძვიან, მაგრამ ვინაიდან არ სჭირდებათ მზადყოფნა ფიზიკური თავდაცვისათვის, მათ შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ სპეციალიზაცია და, სახელმწიფოებთან შედარებით, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ შრომის დანაწილებაში. არც ანარქიულ გარემოში მოღვაწე სახელმწიფოები მიიჩნევენ შეუძლებლად ერთმანეთთან თანამშრომლობას, შეთანხმებების დადებას, რომლებიც მათ შეიარაღებას შეზღუდავს, და თანამშრომლობას ორგანიზაციების დასაფუძნებლად. იერარქიული ელემენტების არსებობა საერთაშორისო სტრუქტურათა ფარგლებში ზღუდავს და აკავებს სუვერენიტეტის განხორციელებას, მაგრამ მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლებსაც ანარქიული ტიპის დიდი სისტემა იძლევა. ამგვარი ანარქია ძლიერ ზემოქმედებს თანამშრომლობის ალბათობაზე, შეიარაღების შესახებ შეთანხმებათა ხარისხზე და საერთაშორისო ორგანიზაციების იურისდიქციაზე.

მაგრამ რა შეიძლება ითქვას შუალედურ შემთხვევებზე, როდესაც საზოგადოებები არც სრულად ანარქიული და არც სრულად იერარქიულია? წარმოადგენენ თუ არა ისინი მესამე ტიპს? შუალედურ შემთხვევებზე საუბარი არ ნიშნავს იმის განცხადებას, რომ ისინი მესამე ტიპს შეადგენს. ყველა კატეგორიას აქვს საზღვრები, და თუ რაიმე კატეგორია მოცემულია, ე.ი. შუალედური შემთხვევებიც არსებობს. ცნებათა სიცხადე კლასიფიკაციის სირთულეებს ვერ სპობს. 1920-იანი წლებიდან 1940-იან წლებამდე ჩინეთი იერარქიული თუ ანარქიული არეალი იყო? ნომინალურად ერთი ერი-სახელმწიფო, ჩინეთი ჰგავდა გვერდიგვერდ არსებული რამდენიმე სახელმწიფოს ერთობლიობას. 1930 წელს მაო ძე დუნმა, უფრო ადრინდელი ბოლშევიკი ლიდერების მსგავსად, იფიქრა, რომ რევოლუციური ნაპერწკლის დანთება „პრერიის ხანძარს გააჩაღებდა." რევოლუციური ალი მთელს ჩინეთს მოედებოდა, თუ მთელს მსოფლიოს არა. იმის გამო, რომ ჩინეთის პროვინციების ურთიერთდამოკიდებულება, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების მსგავსად, საკმარისად მჭიდრო არ იყო, ცეცხლის გავრცელება ვერ მოხერხდა. იმდენად ავტონომიურნი იყვნენ ჩინური პროვინციები, რომ ქვეყნის ერთ ნაწილში წარმოებული ომის შედეგები თითქმის არ აისახებოდა სხვა ნაწილებზე. ბრძოლები ხუნანის მთებში არათუ არ გამხდარა საერთოეროვნული რევოლუციის გამომწვევი მიზეზი, არამედ ძლივს თუ იქნა შემჩნეული მეზობელ პროვინციებში. თვითუზრუნველყოფის დიდი ხარისხის მქონე პროვინციებს შორის ურთიერთქმედება მცირე და სპორადული იყო. ეკონომიკურად ერთმანეთისაგან და პოლიტიკურად ცენტრისაგან დამოუკიდებელი პროვინციები არ იმყოფებოდნენ ისეთ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაში, რომელიც ორგანიზებულ და ინტეგრირებულ პოლიტიკურ სისტემებს ახასიათებს.

პრაქტიკულ მხარეს თუ ავიღებთ, ანალიტიკოსები შეიძლება ვერ თანხმდებოდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად: თუ როდის ჩაეფლო ჩინეთი ანარქიაში, ან გარდაიქმნებიან თუ არა დასავლეთ ევროპის ქვეყნები ერთ სახელმწიფოდ, თუ კვლავ ცხრა სახელმწიფოდ დარჩებიან. თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოლოდინი ამ რეგიონების ბედთან მიმართებაში სხვადასხვაგვარია და დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ სტრუქტურული ხასიათის კითხვაზე რომელი პასუხი აღმოჩნდება სწორი. ორი განსხვავებული მომწესრიგებელი პრინციპით განსაზღვრული სტრუქტურები სოციალური და პოლიტიკური ქცევის მნიშვნელოვანი ასპექტების განმარტებაში გვეხმარება. ეს ნაჩვენებია სხვადასხვა სახით მომ-

დევნო ფურცლებზე. ამ ქვეთავში კი ახსნილი იყო, თუ რატომ გვესაჭიროება ორი, და მხოლოდ ორი, ტიპის სტრუქტურა, რათა ყველა სახის საზოგადოება დავახასიათოთ.

II

როგორ შეიძლება ავაგოთ საერთაშორისო პოლიტიკის თეორია? ისევე, როგორც ნებისმიერი თეორია. ჯერ ერთი, საერთაშორისო პოლიტიკა უნდა აღვიქვათ, როგორც განცალკევებული სფერო ან არეალი; მეორე, უნდა აღმოვაჩინოთ კანონზომიერებათა მაგვარი რაიმე წესები მასში; და მესამე, უნდა შევიმუშავოთ დაკვირვების შედეგად გამოვლენილი კანონზომიერებების ახსნის გზები. მოცემულ თავში უკვე ვნახეთ, თუ როგორ განაპირობებს პოლიტიკური სტრუქტურები სახელმწიფოთა ქცევის ზოგიერთ განმეორებად ასპექტს და გარკვეულ ხშირ და მუდმივ მოდელებს. ყველგან, სადაც აგენტები და ინსტიტუტები დაკავშირებულნი არიან უფრო მეტად ძალისა და შეჯიბრის, ვიდრე ხელისუფლებისა და კანონის საფუძველზე, მოსალოდნელია ამგვარი ტიპის ქცევა და შედეგები. ისინი ასოცირდება პოლიტიკისადმი მიდგომასთან, რომელიც *Realpolitik*-ის სახელით არის ცნობილი. ამომწურავად თუ აღვნუსხავთ, *Realpolitik*-ის ელემენტები შემდეგია: მმართველის ან სახელმწიფოს ინტერესები არის ქმედების წყარო; პოლიტიკის საჭიროება ჩნდება სახელმწიფოთა კონკურენციის დაურეგულირებლობის გამო; ამ საჭიროებიდან გამომდინარე გაკეთებული გათვლები ისეთი პოლიტიკის შემუშავების საშუალებას იძლევა, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება სახელმწიფოს ინტერესებს; წარმატება პოლიტიკის საბოლოო გამოცდაა და მდგომარეობს სახელმწიფოს დაცვასა და გაძლიერებაში. მაკიაველის დროიდან მოყოლებული ინტერესი და საჭიროება – და *raison d'état*,* ფრაზა, რომელიც მათ მოიცავს – *Realpolitik*-ის საკვანძო ცნებებად რჩება. მაკიაველიდან მაინეკემდე და მორგენთაუმდე ამ მიდგომის ელემენტები და არგუმენტაცია უცვლელია. მაკიაველი *Realpolitik*-ის იმდენად თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომ ვინმეს ადვილად დაებადება აზრი, რომ მან ძალთა ბალანსის იდეასაც დაუდო სათავე. ეს ასე არ არის, თუმცა, მაკიაველის მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ პოლიტიკა მისსავე ჩარჩოებში უნდა აიხსნას, შექმნა ის საფუძველი, რომელზეც ძალთა ბალანსის თეორიის აგება შეიძლება.

Realpolitik-ის წყალობით, ნათელი ხდება ის მეთოდები, რომლებითაც საგარეო პოლიტიკა იმართება და ის ლოგიკა, რომელიც მას უდევს საფუძვლად. სტრუქტურული შეზღუდვები ხსნის, თუ რატომ არ იცვლება მეთოდები მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული პიროვნებები და სახელმწიფოები იყენებენ. ძალთა ბალანსის თეორია მიზნად ისახავს იმ შედეგების ახსნას, რომლებიც მსგავსი მეთოდების გამოყენებას მოჰყვება. სწორედ ეს უნდა შეძლოს თეორიამ. თუ საერთოდ არსებობს საერთაშორისო პოლიტიკის გამოკვეთილად პოლიტიკური თეორია, ასეთია ძალთა ბალანსის თეორია. და მაინც, ვერავინ მიაგნებს თეორიის ისეთ ფორმულირებას, რომელსაც ყველა დაეთანხმება. ძალთა ბალანსის თეორიის შესახებ ვრცელი ლიტერატურის დანერილებით გამოკვლევისას ერნსტ ჰაასმა ტერმინის რვა განმარტება აღმოაჩინა, ხოლო მარტინ უაითმა – ცხრა. (1953, 1966). ჰანს მორგენთაუ კი თავის ღრმა ისტორიულ და ანალიტიკურ ნაშრომში ოთხ სხვადასხვა განსაზღვრებას იყენებს (1973). ძალთა ბალანსს ზოგიერთი ბუნების კანონთან ახლოს მდგომ მოვლენად თვლის, ზოგიერთი კი – წესიდან გადახრად. ზოგიერთს ის სახელმწიფო მოღვაწის სახელმძღვანელო პრინციპად მიაჩნია, ხოლო სხვებს – იმპერიალისტური პოლიტიკის საფარველად. ზოგიერთს სწამს, რომ ძალთა ბალანსი საუკეთესო გარანტიაა სახ-

* სახელმწიფო ინტერესი

ელმწიფოთა უსაფრთხოებისა და მსოფლიო მშვიდობისათვის, დანარჩენები კი ფიქრობენ, რომ სწორედ მან დაანგრია სახელმწიფოები მათი ომში ჩათრევით.[3]

რწმენა, რომ ასეთი გაურკვევლობისათვის თავის დაღწევა შესაძლებელია, დონ კიხოტობას ჰგავს. თუმცა, მე მაინც შევეცდები ამას. ეს თეორიის ზოგიერთ ძირითად პუნქტთან დაგვაბრუნებს. (1) თეორია, სულ მცირე, ერთ თეორიულ ვარაუდს შეიცავს. ასეთი ვარაუდები ფაქტებს არ ეფუძნება. ამიტომ, მათი ჭეშმარიტების შესახებ შეკითხვის დასმა გამართლებული არ არის, შეიძლება მხოლოდ იმით დაინტერესება, სასარგებლოა თუ არა ისინი. (2) თეორიები უნდა შეფასდეს იქიდან გამომდინარე, თუ რისი ახსნის პრეტენზია აქვთ მათ. ძალთა ბალანსის თეორია ამტკიცებს, რომ შეუძლია სახელმწიფოთა მოღვაწეობის შედეგების ახსნა მოცემულ პირობებში და რომ ამ შედეგებს არ განაპირობებს არც ერთი მოქმედი პირის მოტივები და არ ითვალისწინებს მათი პოლიტიკური მიზნები. (3) თეორია, როგორც ზოგადი განმარტებითი სისტემა, ვერ ხსნის კერძო შემთხვევებს.

ძალთა ბალანსის თეორიის სუსტი მხარეები, და მისი კრიტიკაც, ამ სამი პუნქტის გაუგებრობიდან მომდინარეობს. კარგად ჩამოყალიბებული ძალთა ბალანსის თეორია სახელმწიფოების შესახებ გამოთქმული ვარაუდებით იწყება: ისინი არიან უნიტარული მოქმედი პირები, რომლებიც, მინიმუმ, საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობენ და, მაქსიმუმ, მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფიან. სახელმწიფოები, ან მათი სახელით მოქმედი ადამიანები, მეტ-ნაკლებად გონივრული ხერხებით ცდილობენ მათ ხელთ არსებული საშუალებების გამოყენებას დასახული მიზნების მისაღწევად. ეს საშუალებები ორ კატეგორიად იყოფა: საშინაო ძალისხმევა (ეკონომიკური შესაძლებლობების განსავითარებლად, სამხედრო ძლიერების გასაზრდელად, და გონივრული სტრატეგიების შესამუშავებლად გადადმული ნაბიჯები) და საგარეო ძალისხმევა (საკუთარი ალიანსის გასაძლიერებლად და გასაფართოებლად ან მოწინააღმდეგე ალიანსის დასასუსტებლად და შესავიწროებლად გადადმული ნაბიჯები). ალიანსად დაჯგუფებისა და გადაჯგუფების საგარეო თამაში სამ ან მეტ მონაწილეს მოითხოვს. ამბობენ, რომ ძალთა ბალანსის სისტემასაც, სულ მცირე, ამ რაოდენობის მონაწილეები ესაჭიროება. ეს განცხადება მცდარია, რადგან ორი ძალისაგან შემდგარ სისტემაში დაბალანსების პოლიტიკა გრძელდება, მაგრამ საგარეო წონასწორობის რღვევის კომპენსირება საწყის ეტაპზე აქ, უმთავრესად, საშინაო ძალისხმევის ინტენსიფიკაციის ხარჯზე ხდება. მაშასადამე, თეორიის ვარაუდებს მისი მოქმედებისათვის საჭირო პირობა ემატება: ორი ან მეტი სახელმწიფო თვითდახმარების სისტემაში თანაარსებობს, სადაც არ არის უზენაესი ორგანო, რომელიც დასუსტებულ სახელმწიფოებს დაეხმარება ან არ მისცემს ნებას ნებისმიერ მათგანს, გამოიყენოს ის საშუალებები, რომლებიც მათი მიზნების განხორციელებისათვის არის საჭირო. ამდენად, თეორია აგებულია სახელმწიფოთა ნავარაუდევ მოტივაციებსა და შესაბამის ქმედებებზე. ის აღწერს იმ შეზღუდვებს, რომლებიც ამ ქმედებების შედეგად გაჩენილმა სისტემამ წარმოშვა და მოსალოდნელ შედეგზე მიუთითებს: სახელდობრ, ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებაზე. ძალთა ბალანსის თეორია, ეკონომისტის თვალთახედვით, მიკროთეორიაა. სისტემას, მსგავსად ბაზრისა ეკონომიკაში, ერთეულთა ქმედებები და ურთიერთქმედება ქმნის, თეორია კი მათი ქცევის შესახებ ვარაუდებს ემყარება.

თვითდახმარების სისტემა ისეთი სისტემაა, რომელშიც ის, ვინც საკუთარ თავზე სათანადოდ არ ზრუნავს, ან ის, ვინც ამას სხვებზე ნაკლებად ეფექტიანად

[3] მომდევნო ფურცლებზე ძალთა ბალანსის თეორიის განმარტებასთან ერთად, მკითხველს შეიძლება მოუნდეს ამ თეორიის პრაქტიკაში გამოყენების ისტორიული მაგალითების ხილვა. ამ მხრივ საუკეთესოა უაითის ნაშრომი (1973).

აკეთებს, ვერ მიაღწევს წარმატებას, თავს საფრთხეში ჩაიგდებს, დაზარალდება. ასეთი არასასურველი შედეგების შიში აიძულებს სახელმწიფოებს, მოიქცნენ ისე, რომ ძალთა ბალანსი წარმოიქმნას. აღსანიშნავია, რომ თეორია არ მოითხოვს ყველა მონაწილისაგან რაციონალურ განსჯას ან ნების სიმტკიცეს. თეორია, უბრალოდ, იმას აცხადებს, რომ ზოგიერთები შედარებით წარმატებულნი თუ აღმოჩნდებიან, სხვები ეცდებიან, აჯობონ მათ ან შეჯიბრს გამოეთიშებიან. ნათელია, რომ სისტემა ვერ იმუშავებს, თუ ყველა სახელმწიფო თვითგადარჩენის ინტერესს დაკარგავს. თუმცა, ის გააგრძელებს ფუნქციონირებას, თუ ერთნი აირჩევენ თავისი პოლიტიკური თვითმყოფადობის დაკარგვას, ვთქვათ, ვინმესთან შერწყმით, სხვები კი – არა. არც იმის ვარაუდია აუცილებელი, რომ ყველა მოქიშპე სახელმწიფო თავისი ძლიერების გაზრდისაკენ განუხრელად ილტვის. თუმცა, იმის შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ძალას გამოიყენებს სხვების დასასუსტებლად ან გასანადგურებლად კიდევ უფრო ართულებს მათ მიერ კონკურენტული სისტემიდან გამოსვლას.

თეორიის არსსა და მნიშვნელობას ნათლად გვიჩვენებს მასზე გავრცელებული არასწორი წარმოდგენების კვლევა. გაიხსენეთ ჩვენი პირველი დებულება თეორიის შესახებ. თეორია შეიცავს თეორიულ და არა ფაქტობრივ ვარაუდებს. ძალთა ბალანსის თეორიის აღქმასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომა სწორედ ამ პუნქტს უკავშირდება. თეორიას აკრიტიკებენ, ვინაიდან მისი ვარაუდები მცდარია. შემდეგი მტკიცება უამრავი დანარჩენის აზრსაც გამოხატავს:

> სახელმწიფოები უცვლელი ერთეულები რომ იყვნენ და ერთმანეთთან მუდმივი კავშირები არ ჰქონდეთ, აგრეთვე, ყველა ძალის მაქსიმუმამდე გაზრდის სურვილით რომ იყოს შეპყრობილი, გარდა ერთი დამბალანსებლისა, რომლის მიზანიც იქნებოდა ნებისმიერი სახელწიფოს მიერ აღმატებული ძლიერების მიღწევისათვის ხელის შეშლა, ფაქტობრივად, შედეგად მივიღებდით ძალთა ბალანსს. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ვარაუდები სწორი არ არის, ხოლო ვინაიდან ასეა, მათგან გამომდინარე დასკვნებიც მცდარია (ორგანსკი 1968, გვ. 292).

ავტორის მიერ შემთხვევით დაშვებული შეცდომა ისაა, რომ მან შეადგინა წინადადება, რომლის ზოგიერთი ნაწილი თეორიის თამამად განცხადებული ვარაუდებია, დანარჩენი ნაწილები კი – არა. მისი მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან ვერ გაიგო, თუ რა არის ვარაუდი. წინა მსჯელობიდან ვიცით, რომ ვარაუდები არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, და რომ ისინი აუცილებელია თეორიის ასაგებად. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ სინამდვილეში სახელმწიფოები არ არიან უნიტარული, მიზანმიმართულად მოქმედი პირები. სახელმწიფოებს მრავალი მიზანი აქვთ, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვნად ფორმულირებული და ალოგიკურია. ისინი საშინაო პოლიტიკის ცვალებადობასთან ერთად მერყეობს, სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერის კაპრიზების მსხვერპლია და ბიუროკრატიული ბრძოლის შედეგთა გავლენას განიცდის. მაგრამ ეს ყველაფერი ყოველთვის ცნობილი იყო და არაფერს გვეუბნება ძალთა ბალანსის თეორიის ღირსებების თაობაზე.

შემდეგი გაურკვეველობა თეორიის შესახებ ჩვენს მეორე დებულებას უკავშირდება. ძალთა ბალანსის თეორია ცდილობს, ახსნას შედეგი (ძალთა ბალანსის მუდმივად ჩამოყალიბება), რაც შეიძლება სულაც არ შეესაბამებოდეს იმ ერთეულთა სურვილებს, რომელთა ქმედებებმაც წარმოშვა ეს შედეგი. ბალანსის უზრუნველყოფა და მისი შენარჩუნება ერთი ან მეტი სახელმწიფოს მიზანი შეიძლება იყოს, მაგრამ სხვა დროს შეიძლება არც იყოს. თეორიის თანახმად, ძალთა ბალანსი წარმოიქმნება მაშინაც, როცა ზოგიერთ ან ყველა სახელმწიფოს შეგნებულად სურს, დაამყაროს და შეინარჩუნოს წონასწორობა და მაშინაც, როცა ზოგიერთი ან ყველა სახელმწიფო

მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფის.[4] მიუხედავად ამისა, ძალთა ბალანსის თეორიის მტკიცებულებათა დიდი ნაწილი და, ალბათ, უმეტესობაც ბალანსის შენარჩუნებას ცალკეულ სახელმწიფოებს მიაწერს. დევიდ ჰიუმი, თავის კლასიკურ ნაშრომში „ძალთა ბალანსის შესახებ" გვთავაზობს „ძალთა ბალანსის შენარჩუნების პრინციპს," როგორც კეთილგონიერული პოლიტიკის მარადიულ წესს (1742, გვ. 142-44). შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ აღმოჩნდა, თუ სამწუხაროდ რა ახლოს არის იმის რწმენა, რომ ბალანსის შენარჩუნების უპირატესი სურვილი ბრძენი სახელმწიფო მოღვაწის აუცილებელი მახასიათებელია, იმ რწმენასთან, რომ სახელმწიფოები ამ პრინციპს უნდა იცავდნენ, რათა ძალთა ბალანსი შეინარჩუნონ. ეს ნათლად ჩანს ამ ტერმინის მორგენთაუსეული ოთხი განსაზღვრებიდან პირველში: [ძალთა ბალანსი არის] „პოლიტიკა, რომელიც გარკვეული ვითარების შექმნას ისახავს მიზნად." ამდენად, მსჯელობა ტავტოლოგიურ ხასიათს იძენს. თუ ძალთა ბალანსის შენარჩუნებაა საჭირო, სახელმწიფოთა პოლიტიკა ამ მიზნის განხორციელებისაკენ უნდა იყოს მიმართული. თუ ძალთა ბალანსი ფაქტობრივად შენარჩუნებულია, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოთა მიზანი მართებული იყო. თუ ძალთა ბალანსი არ წარმოიშვა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეორიის ვარაუდი მცდარია. დასასრულს, და ამით მთავრდება ცნების კონკრეტიზაცია, თუ სახელმწიფოთა მიზანია, მხარი დაუჭირონ ბალანსს, ამ უკანასკნელის მიზანია „სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება მისი შემადგენელი ელემენტების მრავალფეროვნების დარღვევის გარეშე." კონკრეტიზაცია ნათელია, როდესაც, მაგალითად, ვინმე მიუთითებს ბალანსის „წარმატებულად" ფუნქციონირებაზე და იმ სიძნელეებზე, რომლებსაც სახელმწიფოები მისი დამყარების მცდელობისას აწყდებიან (1973, გვ. 167-74, 202-207).

კონკრეტიზაცია ხშირ შემთხვევაში უბრალოდ თავისუფალ მეტყველებას ან მეტაფორის გამოყენებას გულისხმობს, რათა მსჯელობა უფრო სასიამოვნო გახდეს. თუმცა, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში თეორია ძალზედ დამახინჯდა და არა მარტო იმ იდეის შემოტანით, რომ ბალანსის ჩამოსაყალიბებლად, ვინმემ უნდა მოისურვოს ის ან სცადოს მისი მიღწევა. თეორიის შემდგომი ნაკლი ჩნდება მაშინ, როდესაც წესები სახელმწიფოთა საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე იქმნება და შემდგომ, ლოგიკის გარეშე, მიეწერება მოქმედ პირებს, როგორც მოვალეობა. შესაძლო ეფექტი გარდაიქმნება აუცილებელ მიზეზად, რომელსაც დათქმული წესის ფორმა აქვს. ამგვარად, ამბობენ, რომ „ძალთა ბალანსს" შეუძლია, „დაანესოს შეზღუდვები სახელმწიფოთა ძლიერების ამბიციებზე" მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები „შეიზღუდავენ თავს ძალთა ბალანსის სისტემის აღიარებით საკუთარი მოღვაწეობის ზოგად ჩარჩოდ." მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები ცნობენ „თამაშის ერთსა და იმავე წესებს" და პაექრობენ „ერთი და იმავე შეზღუდული მიზნებისათვის," შეუძლია ძალთა ბალანსს, სრულად განახორციელოს „საერთაშორისო სტაბილურობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ფუნქციები" (მორგენთაუ 1973, გვ. 219-20).

თეორიის შესახებ ჩვენს მეორე დებულებასთან დაკავშირებული შეცდომები საერთაშორისო პოლიტიკის სფეროს ორ მახასიათებელს წარმოაჩენს: სახელდობრ, მიზანსა და შედეგს შორის აუცილებელი შესაბამისობის აღიარებას და მოქმედი პირებისათვის წესების შემუშავებას მათი ქმედების შედეგებიდან გამომდინარე. თუ რა შეიძლება არასწორად წარიმართოს, გასაგები გახდება ეკონომიკური ანალოგიის გახსენებით. სრულიად კონკურენტულ ეკონომიკაში სარგებლისაკენ საყოველთაო

[4] სახელმწიფოებზე დაკვირვებისას, დროისა და გეოგრაფიული სივრცის დიდ მონაკვეთზე, დოუთიმ დაასკვნა, რომ არც ერთ შემთხვევაში ცვლილებები ალიანსებში გამოწვეული არ ყოფილა „ძალთა საერთო ბალანსის დაცვის არგუმენტებით" (1969, გვ. 95).

სწრაფვა ამცირებს სარგებლის ნორმას. თუ კონკურენცია დიდხანს გაგრძელდება უცვლელ პირობებში, ყველას სარგებელი ნულს გაუტოლდება. ასეთი შედეგიდან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ყველა, აპ ვინმე მაინც, სარგებლის მინიმიზაციისაკენ ისწრაფის, ხოლო კონკურენტებმა ეს მიზანი წესად უნდა მიიღონ, რათა სისტემამ იმუშაოს, აბსურდი იქნება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პოლიტიკაში ხშირად ვაწყდებით ისეთ ვითარებას, როდესაც სახელმწიფოთა ურთიერთქმედების შედეგებიდან გამომდინარე წესები მიეწერება მოქმედ პირებს და სისტემის ფუნქციონირების პირობად არის მიჩნეული. ამგვარი, ხშირად დაშვებული შეცდომები, ასევე ხშირად არის შემჩნეული, თუმცა, ამაოდ. ს. ფ. ნადელმა საკითხი მარტივად დასვა: „ქცევიდან აბსტრაგირებული წესრიგი ვერ განსაზღვრავს ქცევას" (ნადელი 1957, გვ. 148; შედარებისათვის იხილეთ: დურკჰაიმი 1893, გვ. 366, 418; და შუბიკი 1959, გვ. 11, 32).

ანალიტიკური დასკვნების გაკეთებას იქ, სადაც სისტემური მიდგომაა საჭირო, მივყავართ ყველა სახის პირობის გამოცხადებამდე ძალთა ბალანსის ფორმირებისა და მისი წონასწორობისაკენ მიდრეკილების აუცილებელ საფუძვლად და მსოფლიო სტაბილურობისა და მშვიდობის ძირითად წინაპირობად. ზოგიერთის აზრით, ძლიერ სახელწიფოთა რიცხვი ორს უნდა აღემატებოდეს, სხვები კი ამბობენ, რომ წამყვან ძალას სურვილი უნდა ჰქონდეს, დამბალანსებლის როლი შეასრულოს. ზოგიერთს აუცილებელ პირობად მიაჩნია ის, რომ სამხედრო ტექნოლოგიები რადიკალურად და სწრაფად არ იცვლებოდეს, სხვები კი მოითხოვენ, რომ ძლიერი სახელმწიფოები თვითნებურად ჩამოყალიბებულ წესებს იცავდნენ. მაგრამ ძალთა ბალანსი იქმნება „აუცილებელი" პირობების გარეშეც, და 1945 წლის შემდეგ მსოფლიო სტაბილურია, ძლიერ სახელმწიფოთა სამყარო კი – უჩვეულოდ მშვიდობიანი მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვითარება არ მიახლოებულა თეორიტიკოსთა მიერ განსაზღვრულ პირობებთან. ძალთა ბალანსის პოლიტიკა გვხვდება ყველგან, სადაც ორი, და მხოლოდ ორი, პირობა სრულდება: წესრიგი ანარქიულია და ისეთი ერთეულებისაგან შედგება, რომლებსაც გადარჩენა სურთ.

მათთვის ვისაც სწამს, რომ შედეგის მისაღებად ვინმემ ან ყველამ უნდა მოისურვოს ის და სცადოს მისი მიღწევა, განმარტება, საბოლოო ჯამში, უკავშირდება იმას, თუ როგორები არიან ცალკეული სახელმწიფოები. თუ ეს მართალია, მაშინ თეორიები ეროვნულ ან უფრო დაბალ დონეზე სრულყოფილად განმარტავს საერთაშორისო პოლიტიკას. თუ, მაგალითად, წონასწორობა შენარჩუნებულია სახელმწიფოთა მიერ წესების შესრულების ხარჯზე, მაშინ საჭიროა იმის ახსნა, თუ როგორ მიიღწევა და ხორციელდება შეთანხმება წესების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ძალთა ბალანსის თეორია საჭირო აღარ იქნება, რადგან თუ ბალანსი გამომდინარეობს გარკვეული სახის ქცევიდან, მას ეროვნული ფსიქოლოგიისა და ბიუროკრატიული პოლიტიკის თეორია ახსნის. ძალთა ბალანსის თეორიის აგება შეუძლებელი გახდება, რადგანაც მას აღარაფერი დარჩება ასახსნელი. თუ სახელმწიფოთა ცუდი ან კარგი მოტივაცია იწვევს ბალანსის შენარჩუნებას ან დარღვევას, მაშინ ძალთა ბალანსის ცნება გარდაიქმნება მხოლოდ მომხდარის აღწერის ორგანიზაციულ ჩარჩოდ, რისთვისაც სინამდვილეში ამ ცნებას ყველაზე ხშირად იყენებენ. თეორიის ჩამოყალიბების პროცესი კატეგორიათა დადგენით სრულდება. კატეგორიები შემდგომ სწრაფად მრავლდება, რათა მოიცვას მოვლენები, რომლებიც ჩანასახოვან თეორიას არ გაუთვალისწინებია. განმარტებითი ფაქტორის პოვნის მცდელობა აღწერილობითი ადეკვატურობის ძიებად გადაიქცევა.

დასასრულს, რაც ზოგადად თეორიის შესახებ ჩვენი მესამე დებულებიდან გამომდინარეობს, ძალთა ბალანსის თეორიას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის

არ ხსნის სახელმწიფოთა ცალკეულ პოლიტიკას. ეს მართალაც ასეა, თეორია არ განმარტავს, თუ, მაგალითად, რატომ გადადგა X სახელმწიფომ გარკვეული ნაბიჯი გასულ სამშაბათს. იმის მოლოდინი, რომ თეორია ამას შეძლებს ჰგავს იმის ვარაუდს, რომ მსოფლიო მიზიდულობის თეორია ახსნის ჩამოვარდნილი ფოთლის ცვალებად ტრაექტორიას. თეორია განზოგადების ერთ დონეზე ვერ უპასუხებს კითხვებს, რომლებიც შეეხება მოვლენებს განზოგადების სხვა დონეზე. ამის არშემჩნევა ერთ-ერთი იმ შეცდომათაგანია, რომელთაც კრიტიკა ეფუძნება. კიდევ ერთი შეცდომა არის საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის აღრევა საგარეო პოლიტიკის თეორიასთან. ძალთა ბალანსის თეორიის განმარტებითი მტკიცებულებების გაურკვეველობა გამოწვეულია ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის სფეროებს შორის ბუნდოვანი ზღვარით ან მის გავლებაზე უარის თქმით. ისინი, ვინც არ აღიარებს ამ სფეროების განსხვავებულობას, აგრეთვე ისინი, ვინც მხოლოდ ერთეულთა ურთიერთქმედებას აქცევს ყურადღებას, მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ახსნა საგარეო პოლიტიკის განმარტების ტოლფასია და პირიქით. სხვები ერთმანეთში ურევენ განმარტებით მტკიცებულებებს და საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის გაგების პრობლემებს აიგივებენ. მორგენთაუ, მაგალითად, ფიქრობს, რომ საგარეო პოლიტიკის პროგნოზირებისა და მის შესახებ თეორიების შექმნის პრობლემა საერთაშორისო-პოლიტიკურ თეორიებს ართულებს, თუ არა საერთოდ შეუძლებელს ხდის მათ შემუშავებას (1970b, გვ. 253-58). მაგრამ საგარეო პოლიტიკის ახსნის სირთულეები საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის განვითარების საწინააღმდეგოდ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი პირველზე დაიყვანება. გრეჰემ ელისონიც მსგავს გაურკვეველობას ამჟღავნებს. მისი სამი „მოდელი" საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლის ალტერნატიული მიდგომების შემოთავაზებას ისახავს მიზნად. თუმცა, მხოლოდ I მოდელი წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის მიდგომას. II და III მოდელები საგარეო პოლიტიკის კვლევის მიდგომებია. ბიუროკრატიული პოლიტიკის მიდგომის დასახელება სახელმწიფოს, როგორც მოქმედი პირის მიდგომის ალტერნატივად წააგავს იმის თქმას, რომ თეორია ფირმის ქცევის შესახებ ბაზრის თეორიის ალტერნატივაა. ასეთ შეცდომას არც ერთი კომპეტენტური ეკონომისტი არ დაუშვებს (1971; შედარებისათვის იხილეთ: ელისონი და ჰალპერინი 1972). მორგენთაუ და ელისონი ეკონომისტები რომ ყოფილიყვნენ და მათი მსჯელობა ამ მიმართულებით გაგრძელებულიყო, მათ იმის მტკიცება მოუწევდათ, რომ კორპორატიული პოლიტიკის გაურკვეველობა საბაზრო თეორიის განვითარების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მათ ერთმანეთში აურიეს და გააერთიანეს ორი საკმაოდ განსხვავებული საკითხი.[5]

ნებისმიერი თეორია მოიცავს ზოგიერთ საკითხს და ყურადღების გარეშე ტოვებს დანარჩენებს. ძალთა ბალანსის თეორია სახელმწიფოთა არაკოორდინირებული მოქმედების შედეგებს შეეხება. ეს თეორია უფრო მეტად ვარაუდებს გამოთქვამს სახელმწიფოთა ინტერესებისა და მოტივების თაობაზე, ვიდრე განმარტავს მათ. ერთადერთი რასაც ის ხსნის, არის ფაქტორები, რომლებიც ყველა სახელმწიფოს ზღუდავს. ამ შეზღუდვების მკაფიოდ აღქმა სახელმწიფოთა მოსალოდნელი ურთიერთობების გაანალიზების შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ საკუთრივ თეორიას არ ძალუძს ამ ურთიერთობების ახსნა. ისინი დამოკიდებულია არა მარტო საერთაშორისო შეზღუდვებზე, არამედ სახელმწიფოთა მახასიათებლებზეც. როგორი რეაქ-

[5] ეს შეცდომა ფართოდ არის გავრცელებული და ორმხრივია. ასე მაგალითად, ჰერბერტ სიმონი ფიქრობს, რომ კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიზანი მიუღწეველი რჩება, ვინაიდან მას მცდარად მიაჩნია, რომ ეს თეორია ცდილობს, „ინინასწარმეტყველოს რაციონალური ადამიანის ქცევა მისი ფსიქოლოგიური შესაძლებლობების ემპირიული ანალიზის გარეშე" (1957, გვ. 199).

ცია ექნება ამა თუ იმ სახელმწიფოს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ გვესაჭიროება არა მხოლოდ ბაზრის თეორია, ასე ვთქვათ, არამედ თეორია მისი შემადგენელი ფირმების შესახებაც. რაზე უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს რეაქცია? ძალთა ბალანსის თეორიას შეუძლია ზოგადი და სასარგებლო პასუხი გასცეს ამ შეკითხვას. ეს თეორია ხსნის, თუ რატომ არის მოსალოდნელი გარკვეულწილად მსგავსი ქცევა ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოებისაგან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი ქცევა მსგავსია და არა იდენტური. სახელმწიფოთა რეაქციებში მოსალოდნელი განსხვავებების ასახსნელად თეორიამ უნდა უჩვენოს, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა საშინაო წყობა მათ საგარეო პოლიტიკასა და ქმედებებზე. საგარეო პოლიტიკის თეორია ვერ იწინასწარმეტყველებს პოლიტიკის დეტალურ შინაარსს, მაგრამ, ნაცვლად ამისა, მიგვიყვანს განსხვავებულ მოლოდინებამდე სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკის ტენდენციებისა და ხასიათის თაობაზე. ვინაიდან ეროვნული და საერთაშორისო დონეები გადაჯაჭვულია, ორივე ტიპის თეორიები, თუ ისინი გამოსადეგია, მოგვითხრობს რაიმეს, მაგრამ არა ერთსა და იმავეს ორივე დონეზე ქცევისა და შედეგების შესახებ.

III

ამ თავში მე ჩამოვაყალიბე ძალთა ბალანსის თეორია, როგორც სისტემური თეორიის შემდგომი განვითარება. მომავალში, მე ვეცდები სრულყო ეს თეორია იმის ჩვენებით, თუ როგორ იცვლება მოლოდინები საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად. ამ ეტაპზე კი შევჩერდები და დავსვამ კითხვას, თუ რამდენად კარგია ზემოხსენებული თეორია.

თეორიის შემოწმებამდე, იბადება კითხვა, არის თუ არა ის შინაგანად თანამიმდევრული და გვაუწყებს თუ არა ის ისეთ რამეს, რაც მისი არარსებობის შემთხვევაში არ გვეცოდინებოდა. თუ თეორია აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობებს, ეს არ ნიშნავს, რომ მან შეიძლება გაუძლოს გამოცდას. ბევრი უპირატესობას ანიჭებს ტესტირებას, სადაც ჩაჭრა თეორიის მცდარობას ადასტურებს. ზოგიერთი, კარლ პოპერის კვალად (1934, I თავი), მიიჩნევს, რომ თეორიები მოწმდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი მცდარობის გამოვლენას ვცდილობთ. თეორიის დამტკიცება მხედველობაში არ მიიღება, რადგანაც, სხვა მიზეზთა შორის, თეორიის დამამტკიცებელი მაგალითების შემოთავაზების პარალელურად, ნებისთ თუ უნებლიეთ, შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს შემთხვევები, რომლებიც ამ თეორიას აბათილებს. ეს სირთულე, ჩემი აზრით, შეიძლება შესუსტდეს უფრო რთული ვითარებების შერჩევით, რომლებშიც, მაგალითად, მხარეებს სერიოზული მიზეზები აქვთ, თეორიის ვარაუდთა სანინააღმდეგოდ მოიქცნენ. თეორიის დამტკიცება კიდევ იმ მიზეზითაც არის უარყოფილი, რომ მრავალ დამადასტურებელ ფაქტს მცდარობის მაჩვენებელი ერთი მაგალითიც კი აქარწყლებს. თუ თეორია ასახავს გარკვეულ სფეროს, წარმოაჩენს მის ორგანიზაციასა და კავშირებს მის ნაწილებს შორის, მაშინ ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ განხილული სფეროს მახასიათებლები თეორიის მიერ ნაჩვენებ სურათს (შედარებისათვის იხილეთ: ჰარისი 1970). ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ, გეხვდება თუ არა მოსალოდნელი ქცევები და შედეგები განმეორებით იქ, სადაც თეორიის მიერ განსაზღვრული პირობები დაკმაყოფილებულია.

უფრო მეტიც, სტრუქტურული თეორიები სიმართლის ელფერს იძენს, თუ ქცევის მსგავსება შესამჩნევია რამდენიმე სფეროში, რომლებიც არსით განსხვავდება, მაგრამ სტრუქტურით წააგავს ერთმანეთს და იმ შემთხვევებშიც, თუ ქცევის სხვაობა შესამჩნევია ისეთ სფეროებში, რომლებიც არსით ერთგვაროვანია, მაგრ·

სტრუქტურით განსხვავდება. ეს უპირატესობა მიღწეულია: საერთაშორისო-პოლიტიკური თეორია დამაჯერებელი ხდება იმით, რომ ეკონომიკის, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიისა და სხვა არაპოლიტიკური სფეროების ზოგიერთ თეორიას ადასტურებს.

თეორიის შემოწმება, რა თქმა უნდა, ყოველთვის გულისხმობს მის საფუძველზე მოლოდინების ან ჰიპოთეზების შექმნას და მათი სისწორის დადგენას. თეორიის შემოწმება რთული და ფაქიზი საქმეა, რაც გამოწვეულია ფაქტისა და თეორიის ურთიერთდამოკიდებულებით, რეალობასა და თეორიას, როგორც მისი აღქმის ინსტრუმენტს, შორის მყიფე კავშირით. ჭეშმარიტებისა და მცდარობის საკითხები აქტუალურია, მაგრამ ასევეა სარგებლიანობისა და უსარგებლობის საკითხები. საბოლოოდ, ადამიანი ირჩევს თეორიას, რომელიც მრავალ საკითხს ჰფენს ნათელს, მაშინაც კი, როცა მისი ნამდვილობა საეჭვოა. თეორიების აღიარებისა და უარყოფის შესახებ სხვაგან ვისაუბრებ. აქ კი მხოლოდ მსურს, ვაჩვენო თეორიის შემოწმების რამდენიმე მაგალითის ვარგისიანობა. დანარჩენების წარმოდგენა შემდგომ ადვილი იქნება. ბევრი მაგალითი ამ თავის პირველ ნაწილშია მოყვანილი, თუმცა, მე ყოველთვის არ დამიხასიათებია ისინი ასე და არ მიმიცია მათთვის ტესტების ფორმა.

ამგვარი ტესტები ადვილი მოსაფიქრებელია, როდესაც რაიმე თეორია არის შესამოწმებელი, მაგრამ მათი ჩატარება გაცილებით ძნელია. თეორიის შემოწმების სირთულის გამო, განსაკუთრებით ისეთ არაექსპერიმენტულ სფეროში, როგორიც საერთაშორისო პოლიტიკაა, ჩვენ უნდა მივმართოთ შემოწმების ყველა ხერხს, რომელიც ვახსენე – მცდარობის დამტკიცებას, რთული დასადასტურებელი ტესტების მოფიქრებას, რეალური და თეორიული სამყაროს მახასიათებლების შედარებას, მსგავსი და განსხვავებული სტრუქტურის მქონე სფეროებში ქცევის შეპირისპირებას. ნებისმიერი კარგი თეორია ბევრ მოლოდინს წარმოშობს. ჰიპოთეზების გამრავლება და გამოცდის საშუალებათა გადახალისება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც თეორიების შემოწმების შედეგები აუცილებლად პრობლემატურია. მხოლოდ ერთი ჰიპოტეზა რომ მოჩანდეს ჭეშმარიტად, ეს არ იქნებოდა შთამბეჭდავი. თეორია დამაჯერებელი გახდება, თუ მისგან გამომდინარე მრავალი ჰიპოთეზა წარმატებით გაივლის ტესტირებას.

მას შემდეგ, რაც ცოტა მეტი ვიცით შემოწმების შესახებ, შეგვიძლია დავსვათ კითხვა, გაუძლებს თუ არა ჩვენი თეორიიდან გამომდინარე მოლოდინები გამოცდას. როგორი იქნება ზოგიერთი მოლოდინი? ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოლოდინი ზემომოყვანილ დისკუსიაში ჩნდება. თეორიის თანახმად, დროდადრო ხდება ძალთა ბალანსის ფორმირება, ხოლო სახელმწიფოებს ახასიათებთ ტენდენცია, გაიმეორონ სხვათა წარმატებული პოლიტიკა. შესაძლებელია თუ არა ამ მოლოდინების შემოწმება? პრინციპში, პასუხია „დიახ." გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში რამდენიმე წლის მანძილზე კარგად ჩანს, რომ სუსტი და პატარა სახელმწიფოების ან სახელმწიფოთა დაჯგუფებების სამხედრო ძლიერება უფრო სწრაფად იზრდება ან უფრო ნელა მცირდება, ვიდრე ძლიერი და დიდი სახელმწიფოებისა. ჩვენ მოქიშპე სახელმწიფოებს შორის ქცევის იმიტაციასაც აღმოვაჩენთ. პრაქტიკაში ასეთი მოლოდინების შემოწმება, ისტორიული დაკვირვებების მოშველიებით, ძნელია.

ორი პრობლემაა უმნიშვნელოვანესი. პირველი: მართალია, ძალთა ბალანსის თეორია გვთავაზობს გარკვეულ პროგნოზს, მაგრამ ის სათუოა. ვინაიდან ბალანსის მხოლოდ ბუნდოვნად განსაზღვრული და არამუდმივი მდგომარეობაა ნაწინასწარმეტყველები, რთულია იმის თქმა, რომ ძალის ნებისმიერი განაწილება თეორიას მცდარად აქცევს. უფრო მეტიც, თეორია წარმოშობს ვარაუდს, რომ მიმბაძველობა სახელმწიფოთა შორის მათ სრულ დამსგავსებამდე გაგრძელდება. რა იქნება იმი-

ტირებული, რა სისწრაფით და რამდენად ზუსტად? რადგან თეორია ამომწურავ პასუხებს არ იძლევა, მისი გაბათილება თითქმის შეუძლებელია. მეორე: მართალია, სახელმწიფოები თეორიის შესაბამისად შეიძლება რეაგირებდნენ საერთაშორისო შეზღუდვებსა და სტიმულებზე, მაგრამ მათ პოლიტიკასა და ქმედებებს ასევე განაპირობებს საშინაო ვითარება. ბალანსის ფორმირების წარუმატებლობა და ზოგიერთი სახელმწიფოს უუნაროობა, მოერგოს სხვათა წარმატებულ ქმედებებს შეიძლება მარტივად აიხსნას იმ ეფექტებზე მითითებით, რომლებიც თეორიის თვალსაწიერის გარეთ არსებული ძალების მიერ არის გამოწვეული.

თუ არ ხდება თეორიის გაუმჯობესება, რის შედეგადაც მისი მოლოდინები დამაჯერებლად და დეტალურად იცვლება, რა შეიძლება გავაკეთოთ? ჩემს მიერ შემოთავაზებული თეორიათა შემოწმების მეექვსე წესის თანახმად, ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავართულოთ ტესტები. თუ დავინახავთ მოვლენებს, რომელთა მოლოდინამდეც თეორიას მივყავართ მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ფაქტორები საწინააღმდეგოს მეტყველებს, თეორია რწმენაზე მბრძანებლობას დაიწყებს. თეორიის დასამტკიცებლად არ არის აუცილებელი, დავაკვირდეთ მეთვრამეტე საუკუნეში არსებულ ძალთა ბალანსს, როდესაც სულ რამდენიმე დიდი სახელწიფო ურთიერთქმედებდა და ოსტატურად ახდენდა ადაპტირებას ძალის ახალ გადანაწილებასთან პარტნიორების ცვლით, რაც შესაძლებელი იყო იდეოლოგიური და სხვა სახის განხეთქილებათა არარსებობის გამო. ნაცვლად ამისა, თეორიის დამტკიცება რთული შემთხვევების შესწავლით უნდა მოხდეს. მაგალითისათვის, საჭიროა, მოვიძიოთ სახელმწიფოთა მოკავშირეობის შემთხვევები, რომლებიც, თეორიის თანახმად, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი მიზეზები ჰქონდათ, არ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან. საფრანგეთისა და რუსეთის ალიანსი, რომელიც 1894 წელს გაფორმდა, ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად გვევლინება. საჭიროა, აგრეთვე, ისეთი შემთხვევების პოვნა, როდესაც სახელმწიფოები საკუთარი შესაძლებლობებით ცდილობდნენ გაძლიერებას განურჩევლად იმისა, თუ რამდენად არასასურველი ან რთული შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი ნაბიჯები. ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამის ნათელი მაგალითებია: აშშ ხელახლა შეიარაღდა მიუხედავად იმისა, რომ, მსოფლიოში უძლიერესი სამხედრო მანქანის დემონტაჟით, ამის არგაკეთების სურვილი ჰქონდა გამოთქმული, საბჭოთა კავშირი კი თითქმის სამმილიონიან არმიას ინახავდა და, ამავდროულად, ახალი სამხედრო ტექნოლოგიის შეძენას ცდილობდა მიუხედავად იმ საშინელი ნგრევისა, რომელიც ომის შედეგად ჰქონდა განცდილი.

ეს მაგალითები თეორიას ამტკიცებს. ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოებს, რომლებიც ქმნიან ძალთა ბალანსს მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა მათ ეს. ეს მაგალითები შემოწმების სირთულესაც ცხადყოფს: გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა ორთა კავშირი 1879 წელს გააფორმეს. ვინაიდან თეორიიდან დეტალური დასკვნების გამოტანა შეუძლებელია, ჩვენ ვერ ვიტყვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დანარჩენი სახელმწიფოების მხრიდან საპასუხო ქმედება. საფრანგეთმა და რუსეთმა 1894 წლამდე დაიცადეს. აბათილებს თუ არა თეორიას იმის თქმა, რომ სახელმწიფოები შეიძლება ან არ შეიძლება იმყოფებოდნენ წონასწორობაში? არც სწრაფი დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ასეა და არც ის უნდა ვამტკიცოთ, რომ ამგვარი დაგვიანებული რეაქცია დადგენილი წესიდან „გადახვევაა.“ ნაცვლად ამისა, უნდა გამოვიკვლიოთ დიპლომატია და პოლიტიკა თხუთმეტწლიან ინტერვალში, რათა გავიგოთ, ხსნის და წინასწარმეტყველებს თუ არა თეორია სახელმწიფოთა ქმედებებსა და რეაქციებს და რამდენად ეწინააღმდეგება ეს დაგვიანება თეორიას. საჭიროა საფუძვლიანი მსჯელობა. ამისათვის კი ისტორიკოსების ნაშრომები უფრო გამოდგება, ვიდრე ის

ისტორიული რეზიუმე, რომლის შემოთავაზებაც მე შემიძლია.

თეორია გვიჩენს მოლოდინს, რომ სახელმწიფოთა ქცევის შედეგად ძალთა ბალანსი წარმოიქმნება. თეორიიდან მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანა არ არის შთამბეჭდავი, თუ დაბალანსება პოლიტიკური ქცევის უნივერსალური მოდელია, როგორც ამას ზოგჯერ აცხადებენ. მაგრამ ეს ასე არ არის. პოლიტიკური მოქმედი პირების მიერ ერთმანეთის დაბალანსება ან ძლიერისადმი მიტმასნება დამოკიდებულია სისტემის სტრუქტურაზე. როდესაც პოლიტიკური პარტიები თავიანთ საპრეზიდენტო კანდიდატს ირჩევენ, ნათლად მოჩანს როგორც ერთი, ისე მეორე მოსაზრების სისწორე. ნომინაციის დრო რომ ახლოვდება და ჯერ არავინ არის დასახელებული პარტიის ფავორიტად, რამდენიმე პიროვნება აცხადებს პრეტენზიას ლიდერობაზე. ზოგიერთი მათგანი ქმნის კოალიციას, რათა დანარჩენების წინსვლას აღუდგეს წინ. სავარაუდო ლიდერთა მანევრირება და დაბალანსება, როდესაც ერთი მათგანი უნდა იქნეს არჩეული, წააგავს სახელმწიფოთა ქცევას საგარეო ასპარეზზე. მაგრამ ეს მოდელი დომინირებს მხოლოდ ლიდერის არარსებობის პერიოდში. როგორც კი გამოჩნდება, რომ ვინმე იმარჯვებს, თითქმის ყველა ეტმასნება მას, ნაცვლად კოალიციად გაერთიანებისა, რომლის მიზანიც ფავორიტის ძალაუფლებაში მოსვლისათვის ხელის შეშლა იქნებოდა. ამ დროს ქცევის არსი ხდება მიტმასნება, და არა დაბალანსება.[6]

მიტმასნება და დაბალანსება მკვეთრად კონტრასტული ქცევებია. საშინაო ასპარეზზე ის კანდიდატები, რომლებიც აგებენ, საბოლოო ჯამში, გამარჯვებულს უჭერენ მხარს. ყველას სურს, რომ ვინმემ მაინც გაიმარჯვოს; პარტიის წევრებს ლიდერის ყოლა სურთ მაშინაც კი, როდესაც არ აქვთ საერთო აზრი იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს იგი. ლიდერობისათვის შეჯიბრში მიტმასნება გონივრული ნაბიჯია, რადგანაც ამით წაგებულებიც კი ნახულობენ სარგებელს და მათი უსაფრთხოება ეჭქვქვეშ არ დგება. საგარეო ასპარეზზე კი სახელმწიფოები ყოველმხრივ ცდილობენ, შიდა რესურსების გამოყენებით, საკუთარი ძლიერების გაზრდას, ან ალიანსში შედიან სხვებთან, თუ ჩამორჩენილები არიან. ლიდერობისათვის შეჯიბრში დაბალანსება გონივრული ნაბიჯია, რადგანაც ერთი კოალიციის მიერ მეორის დამარცხება, გამარჯვებული კოალიციის სუსტ წევრებს ძლიერთა შეწყალების იმედად ტოვებს. ამიტომაც, არავის სურს, რომ ვინმემ გაიმარჯვოს; არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ სურს, რომ მათი რიგიდან რომელიმე ლიდერი გახდეს.

თუ ორი კოალიცია იქმნება და ერთი მათგანი სუსტდება, ვთქვათ, რომელიმე წევრ ქვეყანაში პოლიტიკური არეულობის გამო, ჩვენ ველით მეორე კოალიციის სამხედრო მზადყოფნის დონის შესუსტებას ან მისი ერთიანობის რღვევას. ამ უკანასკნელი შედეგის კლასიკური მაგალითია ომის მომგები კოალიციის დაშლა გამარჯვებისთანავე ან ცოტა ხნის შემდეგ. ჩვენ არ მოველით, რომ ძლიერი შეეკვრება ძლიერს სხვებზე თავისი გავლენის გასაზრდელად, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ის ბრძოლისათვის მოემზადება და მოკავშირეთა ძებნას დაიწყებს. ანარქიულ წყობაში უსაფრთხოება უზენაესი მიზანია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადარჩენა გარანტირებულია, შეუძლიათ სახელმწიფოებს, უშიშრად ისწრაფოდნენ ისეთი მიზნებისაკენ, როგორიცაა სიმშვიდე, სიმდიდრე და ძლიერება. ვინაიდან ძალა საშუალებაა და არა მიზანი, სახელმწიფოები ორი კოალიციიდან უფრო სუსტისადმი მიერთებას არჩევენ. ისინი ვერ დაუშვებენ იმას, რომ ძალა, როგორც თავისთავად სასარგებლო საშუალება, მათ მიზნად გადაიქცეს. მიზანი, რომლის მიღწევისკენაც მათ სისტემა უბიძგებს, უსაფრთხოებაა. გაზრდილი ძლიერება შეიძლება ან არ შეი-

[6] სტივენ ვან ევერა „დაბალანსების" ანტონიმად „მიტმასნების" გამოყენებას გვთავაზობს.

ძლება ემსახურებოდეს ამ მიზანს. მაგალითად, როდესაც არსებობს ორი კოალიცია, ერთის დიდმა წარმატებამ ბევრი ახალი წევრის შეძენაში, შეიძლება დაარწმუნოს მეორე, რომ პრევენტიული ომის დაწყება მომგებიანია, იმ იმედით, რომ გამარჯვებას მოულოდნელობის ეფექტი მოიტანს, ვიდრე უთანასწორობა მათ შორის კიდევ უფრო გაღრმავდება. სახელმწიფოებს ძალის მაქსიმიზაცია რომ სურდეთ, ისინი ძლიერის მხარეზე დადგებოდნენ, და ჩვენ მივიღებდით არა ბალანსს, არამედ მსოფლიო ჰეგემონიას. ასე არ ხდება, რადგანაც სისტემის მიერ სტიმულირებული ქცევა დაბალანსებაა და არა მიტმასნება. სახელმწიფოთა უპირველესი საზრუნავი ძალის მაქსიმიზაცია კი არა, სისტემაში საკუთარი პოზიციების შენარჩუნებაა.

მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები, თავისუფალი არჩევნის საშუალება თუ აქვთ, შედარებით სუსტს ემხრობიან, რადგანაც უფრო ძლიერი მათ ემუქრება. სუსტის მხარეს ისინი უფრო დაფასებულნი და უსაფრთხონი არიან, თუ, რა თქმა უნდა, კოალიცია, რომელსაც ისინი შეუერთდნენ, მიაღწევს საკმარის თავდამცავ ან შემაკავებელ ძალას, რათა გადააფიქრებინოს მოწინააღმდეგეებს თავდასხმა. თუკიდიდე, მაგალითად, გვიამბობს, რომ პელოპონესის ომის დროს საბერძნეთის მცირე ქალაქ-სახელმწიფოები უფრო ძლიერ ათენს ტირანად რაცხავდნენ, ხოლო შედარებით სუსტ სპარტას – გამათავისუფლებლად (დაახლოებით 400 წ. ჩვენს ერამდე, წიგნი V, თავი 17). ვერნერ იეგერის თანახმად, თუკიდიდე ფიქრობდა, რომ ეს „სრულიად ბუნებრივი იყო შექმნილ ვითარებაში," მაგრამ ხედავდა, „რომ ტირანიისა და გამათავისუფლებლობის ელემენტები არ შეესაბამებოდა ამ სახელმწიფოთა მუდმივ ზნეობრივ ხასიათს, არამედ წარმოადგენდა ნიღაბს, რომელიც ერთ დღესაც, ძალთა ბალანსის ცვლილებასთან ერთად, ყველასათვის გასაკვირად გაქრებოდა" (1939, I, 397). ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ გავლენას ახდენს სახელმწიფოთა მდგომარეობა მათ ქცევასა და თვისებებზე. ეს, აგრეთვე, განამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოები უფრო აბალანსებენ ძალას, ვიდრე მის მაქსიმიზაციას ახდენენ. სახელმწიფოებს იშვიათად აქვთ საშუალება, ძალის მაქსიმიზაცია დაისახონ მიზნად. საერთაშორისო პოლიტიკა ზედმეტად სერიოზული საქმეა ამისათვის.

თეორია საერთაშორისო პოლიტიკას კონკურენტულ სფეროდ წარმოაჩენს. ავითარებენ თუ არა სახელმწიფოები იმ თვისებებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მეტოქეები ავლენდნენ? ეს კითხვა თეორიის შემოწმების კიდევ ერთ გზას გვთავაზობს. თითოეული სახელმწიფოს ბედს განსაზღვრავს მისი საპასუხო რეაქცია სხვა სახელმწიფოთა ქმედებებზე. იმის შესაძლებლობა, რომ კონფლიქტი ძალადობრივი იქნება, იწვევს შეჯიბრის ძალადობის ხელოვნებისა და ინსტრუმენტების სფეროში. კონკურენცია მონაწილეთა დამსგავსების ტენდენციას წარმოშობს. მაგალითისათვის ბისმარკის მიერ ავსტრიაზე 1866 წელს და საფრანგეთზე 1870 წელს მოპოვებულმა გასაოცარმა გამარჯვებებმა სწრაფად გაუჩინა სურვილი კონტინენტის ძლიერ სახელმწიფოებს (და იაპონიასაც), პრუსიული სამხედრო სისტემისათვის მიებაძათ, ხოლო დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მიერ ამ მოდელის ათვისების უუნარობამ ნათელყო, რომ ისინი კონკურენციის მოცემული ასპარეზის მიღმა იმყოფებოდნენ. მოქიშპე სახელმწიფოები ცდილობენ, ყველაზე დიდი შესაძლებლობებისა და გამომგონებლური ნიჭის მქონე ქვეყნის სამხედრო სიახლეები გადმოიღონ. ამგვარად, ძირითად მეტოქეთა შეიარაღება და სტრატეგიაც კი სულ უფრო ემსგავსება ერთიმეორეს მთელს მსოფლიოში. მაგალითისათვის, მეოცე საუკუნის დამდეგს ადმირალი ალფრედ ფონ ტირპიცი წარმატებით ამტკიცებდა საომარი ხომალდების ფლოტის შენების აუცილებლობას, რადგანაც, მისი აზრით, გერმანია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა დიდ ბრიტანეთთან ზღვაზე შერკინებას, თუ მისი მსგავსი საზღვაო დოქტრინა და შეიარაღება ექნებოდა (არტი 1973, გვ. 16).

კონკურენციის შედეგები არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო სფეროთი. სისტემამ სიციალიზაციაც უნდა მოახდინოს. ხდება კი ასე? ვინაიდან კარგად თუ დავაკვირდებით, თითქმის ყოველთვის ბოვძებნით დამამტკიცებელ მაგალითებს, ჩვენ აქაც ვცდილობთ მივაკვლიოთ იმ შემთხვევებს, რომლებიც ნაკლებად სძენს თეორიას დამაჯერებლობას. საჭიროა ვიპოვოთ იმის მაგალითები, თუ როგორ მოქმედებენ სახელმწიფოები საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი მიზეზების გამო, მათ ასე მოქცევა არ უნდა ერჩიენოთ. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა საწყის ეტაპზე ამის ერთ-ერთი მაგალითია. ბოლშევიკები, ხელისუფლებაში ყოფნის ადრეულ წლებში, საერთაშორისო რევოლუციის საჭიროებას ქადაგებდნენ და ზიზღით უყურებდნენ დიპლომატიურ შეთანხმებებს. ისინი ამბობდნენ: „სისტემა ვერ მოახდენს ჩვენს სოციალიზაციას." ეს პოზიცია კარგად გამოხატა ტროცკიმ, რომელმაც კითხვაზე, თუ რას გააკეთებდა საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, უპასუხა: „მე გამოვცემ რამდენიმე რევოლუციურ პროკლამაციას ხალხისათვის და შემდგომ ამ დაწესებულებას დავხურავ" (ციტირებულია ფონ ლაუესთან 1963, გვ. 235). თუმცა, კონკურენტულ გარემოში ერთ მხარეს მეორის დახმარება შეიძლება დასჭირდეს. პოლიტიკურ თამაშზე უარის თქმა საკუთარი თავის განადგურების რისკს შეიცავს. შეჯიბრის მნიშვნელობა სწრაფად იქნა შეგრძნობილი და გამოხატული საბჭოთა კავშირის დიპლომატიის მიერ. ამიტომაც, ლენინი შემდეგი გაფრთხილებით დაემშვიდობა საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიჩერინს, როდესაც მას გენუის კონფერენციაზე აგზავნიდა 1922 წელს: „მოერიდე მაღალფარდოვანი სიტყვების თქმას" (ციტირებულია მურთან 1950, გვ. 204). ჩიჩერინს, რომელიც ტრადიციული, ნატიფი დიპლომატის განსახიერება უფრო იყო, ვიდრე ჩვეულებრივი უნიფორმიანი რევოლიციონერისა, საქმიანი გარიგებების სანაცვლოდ, თავი უნდა შეეკავებინა გამაღიზიანებელი რიტორიკისაგან. მან ეს წარმატებით მოახერხა მეორე განდეგილ სახელმწიფოსთან და იდეოლოგიურ მტერთან, გერმანიასთან მიმართებაში.

სახელმწიფოთა შეპირისპირება ავლენს მათ ერთგვაროვნებას წარმატებული პრაქტიკის გადმოლების უუნარობაში. სწორედ ეს „ერთგვაროვნებაა" ის სისტემის შედეგი, რომელიც ასე ხშირად მიეწერება ე.წ. სახელმწიფოთა ქცევის წესების ათვისებას. ზოგჯერ უტოპისტი ლიდერებიც მოდიან ხელისუფლებაში, მაგრამ მთავრობაში ყოფნისას მათი უმრავლესობა იცვლის გეზს. ასეთ მმართველებს შეუძლიათ, არ გააკეთონ ეს და გადარჩენის იმედი იქონიონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისეთ ქვეყნებს უდგანან სათავეში, რომლებზეც სახელმწიფოთა კონკურენცია ნაკლებად ახდენს გავლენას. არაკომფორმისტული სახელმწიფოების სოციალიზაცია მათი სისტემაში მონაწილეობის დონის მიხედვით მიმდინარეობს. და ეს კიდევ ერთი ადვილად შესამოწმებელი დებულებაა.

თეორიას მივყავართ უამრავ მოლოდინამდე ქცევისა და შედეგების შესახებ. თეორიის საფუძველზე შესაძლებელია იმის წინასწარმეტყველება, გაატარებენ თუ არა სახელმწიფოები დაბალანსების პოლიტიკას და არის თუ არა ძალთა ბალანსი მათი ქმედებების საბოლოო მიზანი. თეორიიდან გამომდინარე სისტემაში დაბალანსების მძლავრი ტენდენციის პროგნოზირებაც შეიძლება. მოლოდინი ის კი არაა, რომ ერთხელ მიღწეული წონასწორობა შენარჩუნდება, არამედ ისაა, რომ დარღვეული წონასწორობა როგორმე მაინც აღდგება. ძალთა ბალანსი დროდადრო წარმოიქმნება. ვინაიდან თეორია საერთაშორისო პოლიტიკას კონკურენტულ სისტემად აღწერს, უფრო დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ სახელმწიფოები მეტოქეებისათვის დამახასიათებელ თვისებებს გამოავლენენ: სახელდობრ, ისინი მიბაძავენ ერთმანეთს და სისტემას მოერგებიან. ამ თავში მე შემოგთავაზეთ ზემოხსენებულ მოსაზრებათა

გარკვევისა და კონკრეტიზაციის გზები მათი ადვილად შემოწმების მიზნით. შემდგომში, თეორიის განვითარებასა და დახვეწასთან ერთად, დამატებითი შესამოწმებელი მოსაზრებები გაჩნდება.

თარგმნა ლევან ღირსიაშვილმა

რობერტ გილპინი

საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების გუნება*

ჩემი მიზანია იმის დამტკიცება, რომ საერთაშორისო სისტემა იქმნება იმავე მიზეზის გამო, რაც ნებისმიერი სოციალური თუ პოლიტიკური სისტემა; მოქმედი პირები ერთვებიან სოციალურ ურთიერთობებში და ქმნიან სოციალურ სტრუქტურებს, რათა დაიცვან გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა ტიპის ინტერესები. ზოგიერთი მოქმედი პირის ინტერესები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სხვა მოქმედ პირთა ინტერესებს, ამიტომ, ის კონკრეტული ინტერესები, რომლებსაც ეს სოციალური სტრუქტურები უპირატესობას ანიჭებს, როგორც წესი, მათში ჩართულ მოქმედ პირთა შედარებით ძალას ასახავს. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სისტემები ყველა მოქმედი პირის საქციელს ზღუდავს, ის, თუ რა საქციელი ჯილდოვდება ან ისჯება სისტემის მიერ, ემთხვევა, თავდაპირველად მაინც, სოციალური სისტემის ყველაზე ძლიერ წევრთა ინტერესებს. თუმცა, დროთა განმავლობაში, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა სახის პროცესების შედეგად, ცალკეულ მოქმედ პირთა ინტერესები და მოქმედ პირთა შორის არსებული ძალთა ბალანსი იცვლება. ამის შედეგად, ის მოქმედი პირები, რომლებიც სოციალური სისტემის ცვლილებით ყველაზე დიდ სარგებელს ნახულობენ და ამ ცვლილებაზე გავლენის მოხდენის უნარს იძენენ, ცდილობენ ისე შეცვალონ ეს სისტემა, რომ უპირატესობა მათ ინტერესებს მიენიჭოს. ამ გზით შეცვლილი სისტემა ასახავს ძალის ახალ განაწილებასა და ახალი დომინანტი წევრების ინტერესებს. ამგვარად, პოლიტიკური ცვლილების წინაპირობა არის შეუსაბამობა არსებულ სოციალურ სისტემასა და იმ მოქმედ პირთა ძლიერების ზრდას შორის, რომლებიც სისტემის ცვლილებით ყველაზე მეტ სარგებელს იღებენ.

პოლიტიკური ცვლილების ასეთი კონცეფცია ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ნებისმიერი სოციალური სისტემის, მათ შორის საერთაშორისო სისტემის, მიზანი ანუ სოციალური ფუნქცია შეიძლება განიმარტოს იმის მიხედვით, თუ რა სარგებელი აქვთ სხვადასხვა წევრებს მისი მოქმედებიდან (ჰარსანი, 1969, გვ. 532). ისევე, როგორც შიდა საზოგადოების შემთხვევაში, საერთაშორისო სისტემის ბუნება განსაზღვრავს იმას, თუ ვის ინტერესებს ემსახურება სისტემის ფუნქციონირება. სისტემაში ცვლილებების განხორციელება გულისხმობს ცვლილებებს სისტემის მიერ ცალკეული წევრებისათვის მინიჭებული სარგებლისა და დაკისრებული დანახარჯების გადანაწილებაში. ამდენად, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების შესწავლისას, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს საერთაშორისო სისტემას, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ მოქმედ პირთა მცდელობას, შეცვალონ საერთაშორისო სისტემა საკუთარი ინტერესების დასაცავად. განურჩეველად იმისა, ამ ინტერესებს

---

* **Robert Gilpin, The Nature of International Political Change, from *War and Change in World Politics,* Cambridge: Cambridge University Press, 1981. Ch. 1, pp. 9-49. Reprinted by permission of Cambridge University Press.**

შორის არის უსაფრთხოება, ეკონომიკური მოგება თუ იდეოლოგიური მიზნები, სახელმწიფოს ამოცანების გადაჭრა დამოკიდებულია საერთაშორისო სისტემის ბუნებაზე (მაგალითად, სისტემის მმართველობა, სისტემის წესები, უფლებების ცნობა და ა.შ.). ისევე, როგორც ნებისმიერი სოციალური თუ პოლიტიკური სისტემის შემთხვევაში, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების პროცესი, საბოლოო ჯამში, ასახავს ინდივიდებისა თუ ჯგუფების ძალისხმევას, მიმართულს ინსტიტუტებისა და სისტემების შეცვლისაკენ თავიანთი ინტერესების დასაცავად. იმის გამო, რომ ეს ინტერესები და ჯგუფების (ან სახელმწიფოების) ძალაუფლება იცვლება, დროთა განმავლობაში პოლიტიკური სისტემაც ისე შეიცვლება, რომ ინტერესებსა და ძალაუფლებაში მომხდარ სიღრმისეულ ძვრებს ასახავს. ქვემოთ მოყვანილი განხილვის მიზანია ამ მიდგომის განვითარება, რათა საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების ბუნება გასაგები გახდეს.

საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების გააზრების ჩარჩო

საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების კონცეპტუალიზაცია, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, ეფუძნება გარკვეულ ვარაუდებს სახელმწიფოთა ქცევის შესახებ:

1. საერთაშორისო სისტემა სტაბილურია (ანუ იმყოფება წონასწორობის მდგომარეობაში) იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს სისტემის შეცვლის მცდელობას მომგებიანად.

2. სახელმწიფო ეცდება საერთაშორისო სისტემის შეცვლას იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი სარგებელი მოსალოდნელ დანახარჯებს აღემატება (ანუ თუ, საბოლოო ჯამში, მოგებაა მოსალოდნელი).

3. სახელმწიფო ეცდება საერთაშორისო სისტემის შეცვლას ტერიტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიის გზით მანამ, სანამ შემდგომი ცვლილების ზღვრული დანახარჯები არ გაუთანაბრდება ან გადააჭარბებს ზღვრულ სარგებელს.

4. მას შემდეგ, რაც შემდგომი ცვლილებისა და ექსპანსიის დანახარჯებსა და სარგებელს შორის მიღწეულია წონასწორობა, სტატუს კვოს შენარჩუნების ეკონომიკური ხარჯები, როგორც წესი, უფრო სწრაფად მოიმატებს, ვიდრე სტატუს კვოს დასაცავად საჭირო ეკონომიკური შესაძლებლობები.


5. თუ წონასწორობის დარღვევის შემდეგ საერთაშორისო სისტემა ძველ მდგომარეობას არ დაუბრუნდება, სისტემა შეიცვლება და დამყარდება ძალთა განაწილების ამსახველი ახალი წონასწორობა.

ცხადია, ეს ვარაუდები ძალზედ რთული პოლიტიკური სინამდვილის აბსტრაგირებას წარმოადგენს. ისინი არ აღწერს სახელმწიფო მოღვაწეების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების უშუალო პროცესებს, მაგრამ ისევე, როგორც ეკონომიკური თეორიის შემთხვევაში, აქ იგულისხმება, რომ მოქმედი პირები ისე იქცევიან, თითქოს დანახარჯებისა და სარგებლის თანაფარდობის თობაზე ამგვარი გათვლებით ხელმძღვანელობენ. უფრო მეტიც, ეს ვარაუდები არ არის ურთიერთგამომრიცხავი; ისინი ერთმანეთს ემთხვევა. მეორე და მეოთხე ვარაუდები ერთმანეთის სარკისებრი ანარეკლებია. მეორე ვარაუდში საუბარია რევიზიონისტულ სახელმწიფოზე, ხოლო მეოთხე ვარაუდი ეხება სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოს. თუმცა, ანალიტიკური მიზეზების გამო, შემდგომ თავებში თითოეული ვარაუდი ცალ-ცალკე განიხ-

ილება.

ამ ვარაუდების საფუძველზე, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების აქ წარმოდგენილი კონცეფტუალიზაციის მიზანია უწყვეტი ისტორიული პროცესის გააზრება. ვინაიდან ისტორიას არ აქვს დასაწყისი და დასასრული, ისტორიულ ნაკადში რომელიმე კონკრეტულ მომენტში უნდა ჩავერთოთ. პოლიტიკური ცვლილების შემდგომი ანალიზი იწყება წონასწორობაში მყოფი საერთაშორისო სისტემიდან, როგორც ეს პირველ ნახაზზეა ნაჩვენები. საერთაშორისო სისტემა არის წონასწორობის მდგომარეობაში, თუ სისტემის უფრო ძლიერ სახელმწიფოებს არსებული ტერიტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა აკმაყოფილებთ. მართალია, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მცირე ცვლილებებსა და ადაპტაციას, მაგრამ წონასწორობის მდგომარეობა გულისხმობს, რომ არც ერთი ძლიერი სახელმწოფო (ან ჯგუფი) არ მიიჩნევს, რომ სისტემის ცვლილება დამატებით სარგებელს მოუტანს, რომელიც სისტემაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ დანახარჯებს აღემატება (ქარი და უეიდი, 1968, გვ. 49; დევისი და ნორთი, 1971, გვ. 40).

ნახაზი 1. საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების დიაგრამა



მართალია, სისტემაში გარკვეული ტიპის ცვლილებებით ყველა სახელმწიფოსა და ჯგუფს შეუძლია სარგებლის ნახვა, მაგრამ ამასთან დაკავშირებული დანახარჯები სისტემის შეცვლის მცდელობებს დააბრკოლებს. როგორც ერთმა მწერალმა თქვა, „ძალთა წონასწორობა სტაბილური პოლიტიკური კონფიგურაციაა იმ შემთხვევაში, თუ დაპყრობით მიღებული მოგების ოდენობა უცვლელია" (რეიდერი, 1971, გვ. 50). ისეთ პირობებში, როდესაც არავის აქვს სისტემის შეცვლის სტიმული, შეიძლება ითქვას, რომ სტატუს კვო სტაბილურია.

საერთაშორისო ურთიერთობების უფრო ტრადიციული ენით რომ ვთქვათ, საერთაშორისო სტატუს კვო ლეგიტიმურად მიიჩნევა სისტემის ძირითადი სახელმწიფოების მიერ მაინც. ჰენრი კისინჯერმა შემდეგნაირად განმარტა ლეგიტიმურობის მნიშვნელობა:

[ლეგიტიმურობა] გულისხმობს საერთაშორისო წესრიგის ჩარჩოს აღიარებას ყველა უმთავრესი ძლიერი სახელმწიფოს მიერ, იმდენად მაინც, რომ არც ერთი სახელმწიფო არ იყოს ისე უკმაყოფილო, რომ ეს გრძნობა რევოლუციური საგარეო პოლიტიკით გამოხატოს, როგორც მოხდა გერმანიის შემთხვევაში ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ. ლეგიტიმური წესრიგი კონფლიქტებს არ გამორიცხავს, მაგრამ ის მათ მასშტაბს ამცირებს. ომები შეიძლება მოხდეს, მაგრამ მათ ანარმოებენ *არსებული სტრუქტურის დასაცავად* და მათ შედეგად დამყარებული მშვიდობა გამართლდება, როგორც „ლეგიტიმური" და ზოგადი კონსენსუსის უკეთესი გამოხატულება. დიპლომატია, ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით, რაც უთანხმოების მოლაპარაკებების გზით მოგ-

ვარებას გულისხმობს, შესაძლებელია მხოლოდ „ლეგიტიმური" საერთაშორისო წესრიგის პირობებში (1957, გვ. 1-2).

ეს ციტატა შეიცავს ვარაუდს, რომ საერთაშორისო სისტემა ან წესრიგი არსებობს ჰომეოსტატიკური ან დინამიკური წონასწორობის მდგომარეობაში. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სისტემა, ის სრულიად სტატიკური არ არის; ცვლილებებს მუდმივად აქვს ადგილი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების დონეზე. თუმცა, ზოგადად, სისტემის მოქმედ პირთა შორის კონფლიქტებს, ალიანსებსა და დიპლომატიურ ურთიერთქმედებას სისტემის განმსაზღვრელი თვისებების შენარჩუნების ტენდენცია ახასიათებს. ამგვარად, როგორც კისინჯერმა ცხადყო, ვენის კონგრესის (1814) მიერ შექმნილი ლეგიტიმური წესრიგი ან წონასწორობა გადაურჩა შეზღუდულ კონფლიქტებსა და დიპლომატიურ მანევრებს მანამ, სანამ საბოლოოდ არ დაიშალა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ღრმა ეკონომიკური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური ძვრების შედეგად. ლეგიტიმურობის საკითხს მოგვიანებით განვიხილავთ.

ყოველ საერთაშორისო სისტემაში მუდმივად ხდება პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებიც ამა თუ იმ მოქმედ პირს მოგებას ან დანაკარგებს უქადის. უმეტეს შემთხვევაში, ეს პოტენციური მოგება და დანაკარგი მცირეა და მათ გასათვალისწინებლად საჭიროა მხოლოდ ინკრემენტალური ადაპტაცია. ასეთი ცვლილებები არსებული საერთაშორისო სისტემის შიგნით ხდება, რაც ჰომეოსტატიკური წონასწორობის მდგომარეობას წარმოშობს. სინამდვილეში, სისტემის შედარებითი სტაბილურობა ძირითადად განისაზღვრება მისი შესაძლებლობით, მოერგოს იმ მოქმედი პირების მოთხოვნებს, რომლებიც ცვალებადი პოლიტიკური და სხვა სახის პირობების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მაშასადამე, ყოველ სისტემაში წონასწორობის დარღვევისა და ადაპტაციის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. თუ ცვლილებები დიდი ოდენობის პოტენციურ წმინდა სარგებელს არ გულისხმობს, სისტემა წონასწორობის მდგომარეობას ინარჩუნებს.

თუ საერთაშორისო სისტემის ძირითადი სახელმწიფოების ინტერესები და შედარებითი ძალა დროთა განმავლობაში უცვლელი დარჩა, ან თუ ძალის ურთიერთობები იმგვარად შეიცვალა, რომ ძალის შედარებითი განაწილება შენარჩუნდა, სისტემა წონასწორობის მდგომარეობაში არსებობას უსასრულოდ განაგრძობს. თუმცა, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მოვლენები სტატუს კვოს სტაბილურობას ძირს უთხრის. მაგალითად, საშინაო კოალიციების ცვლილებამ შეიძლება აუცილებელი გახადოს „ეროვნული ინტერესის" ხელახალი განმარტება. თუმცა, დესტაბილიზაციის უდიდესი ფაქტორი არის ის, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესების გამო საერთაშორისო სისტემის წევრი სახელმწიფოების ძალა განსხვავებული ტემპით იცვლება. გარკვეული დროის შემდეგ სისტემის სხვადასხვა სახელმწიფოს ძალის დიფერენცირებული ზრდა სისტემაში ძალის ძირეულ გადანაწილებას იწვევს.

ძალის კონცეფცია ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურია საერთაშორისო ურთიერთობებისა და, ზოგადად, პოლიტიკური მეცნიერების სფეროში. ეს კონცეფცია არაერთ ღირსშესანიშნავ წიგნშია გაანალიზებული და განვითარებული. მოცემულ ნაშრომში ძალა მხოლოდ სახელმწიფოთა სამხედრო, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს გულისხმობს. ცხადია, ეს განმარტება არ შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან და არამატერიალურ ელემენტებს, როგორიცაა საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა, ლიდერთა თვისებები და ვითარებით განპირობებული ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვს პოლიტიკურ ქმედებათა შედეგებზე. ის, აგრეთვე, არ შეი-

ცავს იმას, რასაც ე. ჰ. ქარმა „საზოგადოებრივ აზრზე გავლენა" უწოდა (1951, გვ. 132). ძალისა და საერთაშორისო ურთიერთობების ეს ფსიქოლოგიური ასპექტები, რომლებიც ხშირად დათვლას არ ექვემდებარება, უფრო ახლოს დგას პრესტიჟის ცნებასთან იმ მნიშვნელობით, რომლითაც ეს სიტყვა ამ ნაშრომშია გამოყენებული. აქ განხილულ იქნება ძალისა და პრესტიჟის ურთიერთმიმართება და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილებისათვის.

ცალკეულ სახელმწიფოთა ინტერესების ცვლილების შედეგად და განსაკუთრებით სახელმწიფოთა ძალის დიფერენცირებული ზრდის გამო, საერთაშორისო სისტემა წონასწორობიდან წონასწორობის რღვევის მდგომარეობაში გადადის. წონასწორობის რღვევა ისეთი მდგომარეობაა, რომელშიც ეკონომიკური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური პროცესების შედეგად ერთი ან მეტი სახელმწიფოსათვის საგრძნობლად გაზრდილია საერთაშორისო სისტემის შეცვლის მცდელობის პოტენციური სარგებელი ან შემცირებულია ამგვარი ქმედების პოტენციური დანახარჯები. დანაკარგის თავიდან აცილება ან მოგების გაზრდა ერთი ან მეტი სახელმწიფოს მიერ სისტემის შეცვლის მცდელობის სტიმული ხდება. ასე წარმოიშობა შეუსაბამობა არსებულ საერთაშორისო სისტემასა და იმ პოტენციურ მოგებას შორის, რომელსაც ზოგიერთი სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის შეცვლით მიიღებს.

სისტემაში წონასწორობის რღვევის ასეთი ელემენტები ორგვარია. ჯერ ერთი, სამხედრო, ტექნოლოგიურ თუ სხვა ცვლილებებს გაზრდილი აქვს ტერიტორიების დაპყრობითა თუ სხვა საშუალებებით საერთაშორისო სისტემის შეცვლის სარგებლიანობა. მეორეც, სისტემაში სახელმწიფოთა ძალის დირეფენცირებული ზრდის შედეგად გარდაქმნილია სისტემის შეცვლის დანახარჯები. სისტემის შეცვლის სარგებლიანობის და/ან დანახარჯების ასეთი ტრანსფორმაცია სისტემის შემადგენელ ნაწილთა შორის შეუთავსებლობას ანუ შეუსაბამობას იწვევს (ცხრილი 1). ერთი მხრივ, პრესტიჟის იერარქია, ტერიტორიის გაყოფა, შრომის საერთაშორისო დანაწილება და სისტემის წესები ძირითადად უცვლელი რჩება; ისინი კვლავაც ასახავს დომინანტი ძალების ინტერესებსა და ძალთა შედარებით განაწილებას, რომელიც უკანასკნელი სისტემური ცვლილების დროს არსებობდა. მეორე მხრივ, ძალთა საერთაშორისო განაწილებას განცდილი აქვს რადიკალური ტრანსფორმაცია, რის გამოც არსებული სისტემის საფუძვლები შესუსტებულია. სწორედ ეს შეუსაბამობა სისტემის რამდენიმე შემადგენელ ნაწილს შორის და მისი ზეგავლენა სისტემის სახელმწიფოთა შედარებით მოგებასა და დანაკარგებზე იწვევს საერთაშორისო პოლიტიკურ ცვლილებას.

ასეთი შეუსაბამობა არსებულ საერთაშორისო სისტემაში, რომელიც ცალკეული ძლიერი მოქმედი პირებისათვის სისტემის შეცვლით გამოწვეულ პოტენციურ მოგებასა და დანაკარგებს გულისხმობს, საერთაშორისო სისტემაში კრიზისს განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის დარეგულირება შესაძლებელია სისტემაში წონასწორობის რღვევის მშვიდობიანად დარეგულირების გზით, ისტორიის მანძილზე ცვლილების ძირითადი მექანიზმი იყო ომი, ანუ ის, რასაც ჩვენ ჰეგემონურ ომს დავარქმევთ (ანუ ომს, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი სახელმწიფო ან სახელმწიფოები გაბატონდებიან და მართავენ სისტემას). მშვიდობა, რომელიც ასეთ ჰეგემონურ ბრძოლას მოჰყვება, სისტემის პოლიტიკურ, ტერიტორიულ და სხვა საფუძვლებს გარდაქმნის. ამგვარად, ცვლილების ციკლი სრულდება იმით, რომ ჰეგემონური ომი და შემდგომი მშვიდობა ქმნის ახალ სტატუს კვოსა და წონასწორობას, რომელიც სისტემაში ძალთა გადანაწილებასა და სისტემის სხვა კომპონენტებს ასახავს.

ძირითადი ტერმინების განმარტება

ამ თავის დარჩენილი ნაწილი ეძღვნება პოლიტიკური ცვლილების კონცეპტუალიზაციის ძირითად ტერმინთა და საკითხთა განმარტებასა და განხილვას. უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორია სახელმწიფოს თეორიას საჭიროებს. გარდა ამისა, უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ინტერესის კონცეფცია და საგარეო პოლიტიკის მიზნები. და ბოლოს, უნდა განისაზღვროს საერთაშორისო სისტემის ბუნება. ამ სამი ფაქტორის კონცეფტუალიზაცია ან განმარტება განსაზღვრავს იმას, თუ ვის (რომელ სახელმწიფოს) სურს სოციალური წყობის (საერთაშორისო სისტემის) შეცვლა და რომელი ინტერესების (საგარეო პოლიტიკის მიზნების) დასაცავად. მართალია, ამ ნაშრომში გამოყენებული განმარტებები სუბიექტურია, მაგრამ ისინი ეფუძნება საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების ზოგად კონცეფციას, რომელიც ზემოთ იქნა წარმოდგენილი.

სახელმწიფოს განმარტება

სახელმწიფოს თეორია, რომელსაც ამ ნაშრომში მოვიხმობთ, გულისხმობს, რომ სახელმწიფო არის „ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას და [კეთილდღეობას]. . . ანაზღაურების სანაცვლოდ" (ნორთი და თომასი, 1973, გვ. 6). სახელმწიფო არის ძირითადი მექანიზმი, რომლის მეშვეობით საზოგადოებას შეუძლია, უზრუნველყოს ასეთი „საზოგადოებრივი საქონელი" და დაძლიოს ფრირაიდერობის პრობლემა.[1] სახელმწიფო, უმთავრესად, საკუთრების უფლების განმარტებითა და განხორციელებით იცავს თავის მოქალაქეებს სხვა ინდივიდებისა და სახელმწიფოების ქმედებებისაგან და ქმნის დავების გადაწყვეტის საფუძველს.[2] ეს ამოცანები არსებითია შეზღუდული რესურსების სამყაროში კონფლიქტის საყოველთაო ბუნების გამო.

სახელმწიფო და საზოგადოება შედგება ინდივიდებისა და ჯგუფებისაგან, რომელთა ერთმანეთისაგან განცალკევება შესაძლებელია და რომლებიც, ამავე დროს, ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. სახელმწიფოს, ანუ ხელისუფლებაში მყოფ კონკრეტულ ინდივიდებს, საკუთარი ინტერესები გააჩნია. როგორც აბსოლუტურ მონარქს, ისე თანამედროვე პოლიტიკოსს აქვს პიროვნული მიზნები, რომელთა მიღწევასაც იგი ცდილობს, ხოლო თანამდებობის შენარჩუნება მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ყველაზე შეუბრალებელ დიქტატორსაც კი უწევს იმ ინდივიდებისა და ჯგუფების ინტერესთა დაკმაყოფილება, რომლებსაც ასევე აქვთ ძალაუფლება საზოგადოებაში. ძლიერი ჯგუფები სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებებს ზღუდავენ და ხანდახან განსაზღვრავენ კიდეც მათ. ისინი შეადგენენ იმ საზოგადოებას, რომელსაც სახელმწიფო იცავს; გაბატონებულია მათი კონკრეტული შეხედულება სამართლიანობის შესახებ. საკუთრების უფლების განმარტება და

[1] საზოგადოებრივი საქონელი არის ისეთი საქონელი, „რომლითაც ყველა ერთნაირად სარგებლობს, ანუ ამ საქონლის მოხმარება თითოეული ინდივიდის მიერ არ ინვევს ნებისმიერი სხვა ინდივიდის მიერ ამ საქონლის მოხმარების შემცირებას" (სამუელსონი, 1954, გვ. 387). ფრირაიდერი არის ისეთი ინდივიდი, რომელიც საქონელს მოიხმარს პირადი დანახარჯების გარეშე ან მცირე დანახარჯებით. საზოგადოებრივი საქონლის თეორიის საერთაშორისო ურთიერთობებში გამოყენების შესახებ დიდებული დისკუსია იხილეთ ჰართისა და ქოუპის ნაშრომში (1977).

[2] სახელმწიფოს ეს ვალდებულება განსაკუთრებით ეხება ე.წ. ექსტერნალიების პრობლემას (ანუ ინდივიდისადმი დადებითი ან უარყოფითი სამსახურის გაწევას, რომელსაც არც გასამრჯელო და არც ანაზღაურება არ მოსდევს) (ბაუმოლი, 1965, გვ. 24-36).

ფუნქციონირება მათ ინტერესებსა და კეთილდღეობას ემსახურება. ამგვარად, მართალია, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოები ზოგადი ფუნქციების ერთსა და იმავე ერთობლიობას ახორციელებენ, მაგრამ ინდივიდები და ჯგუფები იმ საზოგადოებებში, რომლებსაც ეს სახელმწიფოები ემსახურებიან, ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ნაშრომში ტერმინი „სახელმწიფო" გამოყენებულია ისე, თითქოს ის ავტონომიური ერთეული იყოს, მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ აქ სწორედ ზემოხსენებული მნიშვნელობა იგულისხმება.

საზოგადოების ფუნქციონირებაში საკუთრების უფლებების საკვანძო როლი ერთმა ავტორმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

> საკუთრების უფლებები არის საზოგადოების ინსტრუმენტი და მათი მნიშვნელობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ისინი ეხმარება ადამიანს იმ მოლოდინების ფორმირებაში, რომლებიც მას გონივრულად შეიძლება ჰქონდეს სხვებთან ურთიერთქმედებისას. ეს მოლოდინები გამოხატულებას პოულობს საზოგადოების კანონებში, წესებსა და ზნე-ჩვეულებებში. საკუთრების უფლებების მფლობელს აქვს საკუთარი თანამემამულეების თანხმობა გარკვეული სახის ქმედების თაობაზე. მფლობელი მოელის, რომ საზოგადოება მის ქმედებებში სხვების ჩარევას არ დაუშვებს, თუ ეს ქმედებები არ არის აკრძალული მისი უფლებების კონკრეტული განსაზღვრებით (დემსეცი, 1967, გვ. 347)

საკუთრების უფლებების განსაზღვრა აუცილებელია ნებისმიერი საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. საკუთრების უფლებები „საკუთარი თავისათვის ან სხვებისათვის სარგებლის ან ზიანის მიყენების უფლებას" გამოხატავს. „კონკურენტისათვის ზიანის მიყენება უკეთესი პროდუქციის წარმოებით, შესაძლოა, დასაშვები იყოს, ხოლო მის წინააღმდეგ სროლა – არა. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უფლება, საკუთარ თავს სარგებელი მოუტანოს იმით, რომ თავდაცვის მიზნით თავდამსხმელს ესროლოს, მაგრამ მას შეიძლება ეკრძალებოდეს მინიმალურ ფასზე იაფად საქონლის გაყიდვა" (დემსეცი, 1967, გვ. 347). ამგვარად, საკუთრების უფლებების ბუნება და განაწილება განსაზღვრავს იმას, თუ რომელი ინდივიდები ნახავენ უდიდეს სარგებელს და რომელნი გაიღებენ უდიდეს დანახარჯებს სხვადასხვა ტიპის სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის. ამის გამო, სახელმწიფოს ძირითადი საშინაო ფუნქცია ინდივიდებისა და ჯგუფების საკუთრების უფლებათა განსაზღვრა და დაცვაა.

სახელმწიფოს უპირველესი საგარეო ფუნქციაა საკუთარი წევრების საკუთრების უფლებებისა და პირადი უსაფრთხოების დაცვა სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებისა და ქმედებებისაგან. ამდენად, რალფ დარენდორფის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, სახელმწიფო არის „კონფლიქტის ჯგუფი." მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა კონფლიქტის სხვა ჯგუფების არსებობა (ტომები, პროფკავშირები, ფეოდალური ნარმონაქმნები, პარტიზანული რაზმები და ა.შ.), სახელმწიფოს არსი მის ტერიტორიულობაში მდგომარეობს (დარენდორფი, 1959, გვ. 290). იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის მოიცავს, სახელმწიფო ძალის ლეგიტიმურ გამოყენებაზე მონოპოლიას ფლობს და განასახიერებს იმ იდეას, რომ ამ ტერიტორიაზე ყველა ერთსა და იმავე კანონს ან წესებს ექვემდებარება. ამგვარად, მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება მისი კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ყველა სხვა ჯგუფისას აღემატება.

სახელმწიფოს ეს საშინაო და საგარეო ფუნქციები და მისი ხელისუფლების უზენაესობა გულისხმობს, რომ ის საერთაშორისო სისტემის ძირითადი მოქმედი პირია. სახელმწიფო სუვერენულია, რადგან ის არ არის პასუხისმგებელი საერთაშორისო სფეროში არც ერთი მასზე მაღლა მდგომი ხელისუფლების წინაშე. ის თავად გან-

საზღვრავს და იცავს ინდივიდებისა და ჯგუფების უფლებებს. ინდივიდებს მხოლოდ ის უფლებები აქვთ, რომლებიც გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. მათ გააჩნიათ მხოლოდ ის უსაფრთხოება, რომელსაც სახელმწიფო იძლევა. თუ სახელმწიფოს მართებს საკუთარი მოქალაქეებისა და მათი უფლებების დაცვა, იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ უზენაესი ხელისუფლება არ არსებობს და სახელმწიფოთა სისტემა კონკურენტულია, ყოველი სახელმწიფო უნდა იყოს „ეგოისტური" და სხვა სახელმწიფოებს პოტენციურ საფრთხედ უნდა აღიქვამდეს.[3]

ის არგუმენტი, რომ სახელმწიფო (აქ მოცემული გაგებით) საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მოქმედი პირია, არ უარყოფს სხვა ინდივიდუალური თუ კოლექტიური მოქმედი პირების არსებობას. როგორც მართებულად აღნიშნა ერნსტ ჰაასმა, საერთაშორისო ურთიერთობების მოქმედი პირები არიან ის ერთეულები, რომლებსაც აქვთ უნარი, ეფექტიანად წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნები. შეუძლებელია იმის აპრიორულად თქმა, თუ ვინ ან რა შეიძლება იყოს ასეთი ერთეული, (ჰაასი, 1964, გვ. 84). თუმცა, სახელმწიფო მთავარი მოქმედი პირია იმის გამო, რომ სახელმწიფოს ბუნება და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა მოდელი ყოველ მოცემულ მომენტში საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. ეს არგუმენტი არ შეიცავს ვარაუდს, რომ სახელმწიფოები ყოველთვის უნდა იყვნენ მთავარი მოქმედი პირები, არც იმას, რომ სახელმწიფოს ბუნება ყოველთვის უცვლელი უნდა იყოს ან, რომ თანამედროვე ერი-სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციის საბოლოო ფორმაა. სინამდვილეში, ისტორიის მანძილზე სახელმწიფოები და პოლიტიკური ორგანიზაციები ძალზედ განსხვავდებოდნენ: ტომები, იმპერიები, ფეოდალური წარმონაქმნები, ქალაქ-სახელმწიფოები და ა.შ. ისტორიული თვალსაზრისით, ერი-სახელმწიფო შედარებით ახალი მოვლენაა. მისი წარმატება ისტორიულ გარემოებათა განსაკუთრებულმა ერთობლიობამ განაპირობა და იმის გარანტია, რომ ეს გარემოებები მომავალში შენარჩუნდება არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ნაადრევია ვარაუდი (მით უმეტეს, მტკიცება, როგორც ამას მრავალი თანამედროვე ავტორი აკეთებს), რომ ერი-სახელმწიფო მკვდარია ან მომაკვდავი.

სახელმწიფოთა ინტერესები და მიზნები

ზუსტად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს, როგორც ასეთს, არ აქვს ინტერესები ან ის, რასაც ეკონომისტები „სარგებლიანობის ფუნქციებს" უწოდებენ. ისინი არ გააჩნია არც ბიუროკრატიებს, ინტერესთა ჯგუფებსა და ეგრეთ წოდებულ ტრანსნაციონალურ მოქმედ პირებს. მხოლოდ ინდივიდებისა და სხვადასხვა ტიპის კოალიციებში გაერთიანებული ადამიანების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მათ ინტერესები აქვთ.[4] ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც კოალიციათა კოალიცია, რომელთა მიზნები და ინტერესები განისაზღვრება უფრო მსხვილი საზოგადოების და პოლიტიკური ელიტის შემადგენელ კოალიციებს შორის არსებული უფლებამოსილებებითა და გარიგებებით. ბრაიან ბერის (1976, გვ. 159) სიტყვებით, კოლექტიური არჩევანი და პოლიტიკური მიზნების განსაზღვრა კოალიციური პროცესებია (საიერტი და მარჩი, 1963, გვ. 28).

---

[3] „ეგოისტური" კენეთ უოლცის მოსწრებული ტერმინია (1979, გვ. 91). იდეა, რომ სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მოქმედი პირია, მკაფიოდ დასტურდება უოლცის განხილვაში (1979, გვ. 93-97).

[4] კოალიცია განისაზღვრება, როგორც „იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ერთად მუშაობენ და ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა, მიზანი საერთო აქვთ" (დაუნსი, 1967, გვ. 76).

სახელმწიფოთა მიზნები და საგარეო პოლიტიკა ძირითადად მათი დომინანტი წევრების ან მმართველი კოალიციების ინტერესებით განისაზღვრება. როდესაც ვცდილობთ იმის დადგენას, თუ რა არის ეს ინტერესები ან მიზნები, ვანყდებით ძველ კამათს მათ შორის, ვისაც სტენლი ჰოფმანმა (1973) კლასიკოსები (classiques) და მოდერნისტები (modernes) უწოდა. პირველნი, უმეტესად პოლიტიკური რეალისტები, ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს ძირითადი მიზნები წარსულშიც იყო და დღესაც არის ეროვნული უსაფრთხოება და ძალა. მეორენი არ ეთანხმებიან მათ და ამბობენ, რომ რამდენადაც მართალი არ უნდა ყოფილიყო ეს წარსულში, თანამედროვე მსოფლიოში საშინაო ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა სახელმწიფოთა უმთავრესი მიზნები გახდა.

ჩვენი აზრით, როგორც კლასიკოსებს, ისე მოდერნისტებს ეს საკითხი არასწორად ესმით. ორივე პოზიციის თანახმად, შესაძლებელია საუბარი სახელმწიფოს მიზნების იერარქიაზე, აგრეთვე, იმაზე, რომ სახელმწიფობს სურთ ამა თუ იმ ინტერესების მაქსიმიზაცია. ასეთი ვარაუდები არასწორ წარმოდგენას იძლევა სახელმწიფოთა (და, სიმართლე რომ ითქვას, ნებისმიერი მოქმედი პირის) ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ. ნებისმიერ ქმედებას თუ გადაწყვეტილებას თან მოსდევს დათმობა და ერთი მიზნის მისაღწევად განეულ ძალისხმევას აუცილებლად თან ახლავს ხარჯი, რომელიც აისახება რომელიმე სხვა სასურველ მიზანზე. ამგვარად, მართალია პოლიტიკური რეალისტები სწორად აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოება მთავარი მიზანია, რადგან მისი არარსებობისას ყველა სხვა მიზანს საფრთხე ემუქრება, მაგრამ უსაფრთხოებისაკენ სწრაფვა გულისხმობს სხვა სასურველი სოციალური მიზნების მსხვერპლად გაღებას და რეალურ დანაკარგებს საზოგადოებისათვის. მსგავსად ამისა, ეკონომიკასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად ძალისხმევის მაქსიმიზაცია ნიშნავს ეროვნული უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი რესურსების შემცირებას. შეზღუდული რესურსების სამყაროში, სადაც ნებისმიერ სარგებელს ხარჯი მოჰყვება, საზოგადოება იშვიათად ან, სულაც, არასოდეს ირჩევს მხოლოდ იარაღს ან კარაქს, ყოველ შემთხვევაში გრძელვადიან პერიოდში მაინც.


მოსაზრებას, რომ ინდივიდებს (ან სახელმწიფოებს) მიზნების, მოთხოვნილებებისა თუ სარგებლიანობის იერარქია აქვთ, თანამედროვე ეკონომიკური ანალიზი განურჩევლობის მრუდის ცნებით გამოხატავს. განურჩევლობის ანალიზი ცდილობს იმის ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს შემოსავალი, ფასი და გემოვნება (ასევე, ამ ცვლადების ცვლილება) საქონლის მოთხოვნასა და მიწოდებაზე (უოლდმანი, 1972, გვ. 241). კერძოდ, მოთხოვნის კანონის შესაბამისად, ეს ანალიზი განმარტავს, თუ რა გავლენას ახდენს საბაზრო პირობების (მაგალითად, შემოსავლისა და ფასების) ცვლილება სასურველი საქონლის რაოდენობაზე.[5] ძალიან რთულია, თუ არა შეუძლებელი, განურჩევლობის მრუდის დახაზვა ინდივიდისათვის და კიდევ უფრო ძნელია მისი შედგენა მთელი საზოგადოებისათვის, ხოლო მიზნების იერარქიის ცნების განურჩევლობის ანალიზით ჩანაცვლება მართლაც გვეხმარება, სიცხადე შევიტანოთ

[5] ეგრეთ ნოდებული მოთხოვნის კანონი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვარაუდია, რომელიც საფუძვლად უდევს ეკონომიკურ ანალიზს. მისი არსი, ძირითადად, შემდგომშია: „თუ საქონლის ან მომსახურების ფასი ეცემა, მაშინ ხალხი, სხვა პირობების უცვლელობისას, მის მეტ რაოდენობას იყიდის" (მაკკენზი და ტულოკი, 1975, გვ. 15). ასევე, თუ შედარებითი შემოსავალი იზრდება, სხვა პირობების უცვლელობისას, მიჩნეულია, რომ ხალხის მოთხოვნა ამ საქონელზე გაიზრდება. რა თქმა უნდა, ასეთი მზარდი მოთხოვნა შეზღუდულია კლებადი სარგებლიანობის კანონით. ადამიანის ქცევის ეკონომიკური პროგნოზირების მცდელობისათვის, სამწუხაროდ, სხვა ფაქტორები ყოველთვის უცვლელი არ რჩება და ეკონომისტებს არ აქვთ თვით მოთხოვნაში ცვლილებების წინასწარმეტყველების გამოსადეგი თეორია (ნორთროპი, 1947, გვ. 245).

კლასიკოსებისა და მოდერნისტების დაპირისპირებით წამოჭრილ საკითხში (ნახაზი 2).

განურჩეველობის ანალიზი შეიცავს ვარაუდს, რომ ინდივიდებს მრავალი მიზანი აქვთ და ისინი თანახმა არიან, ამ მიზნების განსხვავებული კომბინაციები მიიღონ. მიზნების იერარქიის იდეისაგან განსხვავებით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მაქსიმიზაციაზე, განურჩეველობის ანალიზი გულისხმობს, რომ ინდივიდები პოულობენ კომპრომისებს მიზნებს შორის და რომ ისინი „დამაკმაყოფილებელ" და არა მაქსიმიზაციის სტრატეგიებს ირჩევენ (საიმონი, 1957, გვ. 250). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინდივიდი დაკმაყოფილდება სასურველი მიზნების ნებისმიერი ერთი კომბინაციით არსებული მრავალი კომბინაციიდან. ინდივიდი (ან სახელმწიფო) არ ეცდება ერთი მიზნის მიღწევას ყველა დანარჩენის ხარჯზე, არამედ დაინყებს რაიმე ოპტიმალური პოზიციის ძიებას განურჩეველობის მრუდებზე. ამრიგად, სახელმწიფო არ შეეცდება ძალის (კლასიკოსები) ან კეთილდღეობის (მოდერნისტები) მაქსიმიზაციას: ის მიმართავს ძალისხმევას ამ ორივე მიზნის (და, აგრეთვე, სხვა მიზნების) ოპტიმალური კომბინაციის პოვნისაკენ, ხოლო დაგეგმილი რაოდენობა დამოკიდებული იქნება შემოსავალსა და ხარჯებზე.

ნახაზი 2. განურჩეველობის მრუდები, რომელთაგან თითოეული ნარმოადგენს ორი ფასეული მიზნის თანაბრად ფასეულ განაწილებას [ადაპტირებულია სტაინბრუნერიდან (1974, გვ. 30).



რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისათვის, განსაკუთრებით კი ჩვენს მიერ პოლიტიკური ცვლილების გააზრებისათვის, სწორედ განურჩევლობის მრუდის კონცეფციაზე ყურადღების გამახვილებიდან გამომდინარეობს. პირველ რიგში, განურჩევლობის მრუდის დახრილობა (ანუ, მიზანთა დამაკმაყოფილებელი კომბინაცია) განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებაში და დამოკიდებულია მმართველი ელიტის ცალკეულ ინტერესებსა და საერთაშორისო გარემოზე. მაგალითად, კონტინენტური ევროპის სახელმწიფო, რომელსაც ძლიერი მეზობლები ჰყავს, ნამდვილად უფრო დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს უსაფრთხოებას, ვიდრე გლობალური ეკონომიკური ინტერესების მქონე კუნძულოვანი სახელმწიფო, როგორც მეცხრამეტე საუკუნის დიდი ბრიტანეთი ან მეოცე საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატები.[6] ამრიგად, შეუძლებელია ზოგადად იმის განსაზღვრა, თუ უსაფრთხოების, ეკონომიკური, თუ სხვა მიზნების რა კომბინაცია დააკმაყოფილებს სახელმწიფოებს.

ისტორიის მანძილზე სახელმწიფოები და მმართველი ელიტები პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური მიზნების ფართო სპექტრის მიღწევას ცდილობდნენ. სხვადასხვა ეპოქაში მიზანთა ნაზავი იცვლებოდა განსხვავებული მიზნების თანაფარდობის თვალსაზრისით. მაგალითად, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მიზნების თანაფარდობა, შესაძლოა, იცვლებოდეს შიდა თუ გარე ფაქტორების გამო. ერთ ეპოქაში მნიშვნელოვანი მიზნები მეორე ეპოქაში შედარებით უმნიშვნელო შეიძლება იყოს. ასე მაგალითად, ახალი დროის დასაწყისში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში რელიგიურ მიზნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.[7] საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის პოლიტიკური იდეოლოგიები საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებად იქცა. მეოცე საუკუნის მიწურულს, ეკონომიკური იდეოლოგიები და ინტერესები (როგორც ამას მოდერნისტები ამტკიცებენ) სახელმწიფოთა სულ უფრო მნიშვნელოვანი მიზნები ხდება, მაგრამ საგარეო პოლიტიკის გააზრებისათვის არსებითია არა მიზნების რიგითობა, არამედ მათი ნაზავი და კომპრომისები.

გარდა ამისა, სახელმწიფოს განურჩევლობის მრუდის დახრილობა შეიძლება იცვლებოდეს როგორც შიდა, ისე გარე ცვლილებების საპასუხოდ. დროთა განმავლობაში საშინაო კოალიციებს შორის ძალის განაწილება შეიძლება შეიცვალოს და მასთან ერთად – სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ინტერესებისა თუ მიზნების ნაზავიც. მაგალითისათვის, მმართველმა ელიტამ შეიძლება მოისურვოს ინტერესთა ნაზავის გადასინჯვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მიზნების სასარგებლოდ. განურჩევლობის მრუდის დახრილობა ასევე შეიძლება შეიცვალოს იმ ეკონომიკური, ტექნოლოგიური, თუ ეკოლოგიური ცვლილებების გამო, რომლებიც სახელმწიფოთა

---

[6] ალბათ, აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა თეორეტიკოსი, რომელიც ამტკიცებს, რომ ეკონომიკურმა კეთილდღეობამ სახელმწიფოთა მიზნების იერარქიიდან უსაფრთხოება გამოაძევა, ამერიკელია. მოდერნისტული პოზიცია არც თუ ისე ახალია, ის უფრო იმის აღორძინებაა, რასაც არნოლდ უოლფერსმა და ლორენს მარტინმა (1956) საერთაშორისო ურთიერთობების ანგლო-საქსონური ტრადიცია უწოდეს.

[7] სინამდვილეში, რელიგიური ინტერესები ყველა ეპოქაში იყო სახელმწიფოებისა და სხვა კოლექტიური ერთეულების უმნიშვნელოვანეს მიზნებს შორის. ეს იყო შედეგი იმისა, რომ მოქმედი პირები წარმოადგენდნენ ერთიან ცივილიზაციებს განსხვავებული და კონფლიქტში მყოფი რელიგიური კონცეფციებით. თანამედროვე ეპოქა, ამ თვალსაზრისით, ფაქტობრივად, უნიკალურია. თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელია რელიგიური გრძნობების ჩანაცვლება პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგიური გრძნობებით. ირანში ცოტა ხნის წინ განვითარებული მოვლენები შეიძლება რელიგიური კონფლიქტის დაბრუნების მანიშნებელი იყოს.

ერთი ან მეტი მიზნის ხარჯებზე მოქმედებს. მაგალითად, სამხედრო და ტექნოლოგიურმა სიახლეებმა მკვეთრად შეიძლება შეამციროს ტერიტორიული დაპყრობების საფასური და გაზარდოს მისი მომგებიანობა, რაც სამხედრო ექსპანსიას წააქეზებს.

და ბოლოს, სახელმწიფოს მიერ შერჩეული განურჩევლობის მრუდი გარკვეულწილად წარმოადგენს საზოგადოების სიმდიდრისა და ძალის ფუნქციას. სიმდიდრისა და ძალის ზრდის შემთხვევაში, აირჩევა გრაფიკის გარე კიდისკენ უფრო ახლოს მდებარე განურჩევლობის მრუდი. ანუ, სახელმწიფოს რესურსებისა და ძალის ზრდა გამოიწვევს I_1-დან I_2-სკენ გადანაცვლებას. უფრო მდიდარი და უფრო ძლიერი სახელმწიფო (კლებადი სარგებლიანობის მიღწევის მომენტამდე) უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიზნების უფრო დიდ კომბინაციას აირჩევს, ვიდრე ნაკლებად მდიდარი და ნაკლებად ძლიერი სახელმწიფო (იგულისხმება, რომ წარმოებრივ შესაძლებლობათა ზღვარმა გარე კიდისაკენ გადაინაცვლა). ამის შედეგად, საერთაშორისო სისტემაში რომელიმე სახელმწიფოს სასარგებლოდ სიმდიდრისა და ძალის ხელახალი გადანაწილება, როგორც წესი, უბიძგებს სახელმწიფოს, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების მიზნების უფრო დიდი კომბინაცია მოითხოვოს.

ამგვარად, ცვლილება სახელმწიფოს მიზნების შედარებით ღირებულებასა ან სახელმწიფოს მიერ ამ მიზნების მიღწევის უნარში, როგორც წესი, სახელმწიფოს ქცევის ცვლილებას იწვევს. ხოლო ცვლილება უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიზნების შედარებით ხარჯებსა ან სახელმწიფოს ძალასა და სიმდიდრეში, როგორც წესი, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესაბამისად შეცვლას იწვევს. საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების ახსნა დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფოთა განურჩევლობის მრუდების დახრილობისა და მდებარეობის, ასევე საგარეო პოლიტიკის ცალკეული მიზნების, ცვლილების განმარტებაზე. ზოგადად, სახელმწიფოს ეს მიზნები სამი ტიპისაა.

ისტორიის განმავლობაში სახელმწიფოთა ძირითადი მიზანი იყო ტერიტორიების დაპყრობა, ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და სხვა ინტერესების დასაცავად. ერთი ხალხის მიერ სხვათა იმპერიალისტური გზით დამორჩილებით თუ მეზობელი ტერიტორიის ანექსიით, სახელმწიფოები ყველა დროში ცდილობდნენ ტერიტორიებზე თავისი ძალაუფლების გაზრდას, აგრეთვე, საერთაშორისო სისტემაზე კონტროლის დამყარებას. ამის გამო, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების თეორია აუცილებლად უნდა იყოს იმპერიალიზმისა და პოლიტიკური ინტეგრაციის თეორიაც.

ახალ დრომდე, განსაკუთრებით კი ინდუსტრიულ რევოლუციამდე, ტერიტორიის დაპყრობა იყო ძირითადი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ჯგუფს ან სახელმწიფოს შეეძლო, გაეზარდა თავისი უსაფრთხოება თუ სიმდიდრე. სოფლის მეურნეობასა და მეწარმეობაში შედარებით სტაბილური ტექნოლოგიებისა და დაბალი პროდუქტიულობის ხანაში, ტერიტორიებზე კონტროლის გაძლიერება და სხვა ხალხების დაპყრობა ჯგუფისა თუ სახელმწიფოსათვის სიმდიდრისა და ძალის გაზრდის საუკეთესო საშუალება იყო. მართლაც, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულის ტექნოლოგიურ რევოლუციამდე, ტერიტორიების საერთაშორისო დანაწილება და ძალისა და სიმდიდრის განაწილება, ფაქტობრივად, სინონიმები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ახლო კავშირი თანამედროვე სამრეწველო და სამხედრო ტექნოლოგიების გამო შეიცვალა, ცხადია, რომ ტერიტორიაზე კონტროლი კვლავაც რჩება ჯგუფებისა და სახელმწიფოების მნიშვნელოვან მიზნად.

სახელმწიფოთა მეორე მიზანი არის სხვა სახელმწიფოთა ქცევაზე გავლენის გაზრდა. დაშინებითა და იძულებით, ალიანსების ფორმირებითა და ექსკლუზიური გავლენის სფეროების შექმნით სახელმწიფოები ცდილობენ, ჩამოაყალიბონ ისეთი

საერთაშორისო პოლიტიკური გარემო და სისტემის წესები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ინტერესების განხორციელებას. ამგვარად, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების პროცესის კიდევ ერთი ასპექტი მოიცავს სახელმწიფოთა (ან, ისევ და ისევ, ჯგუფთა) მცდელობებს, დაამყარონ კონტროლი საერთაშორისო სისტემის სხვა მოქმედი პირების ქცევაზე.

სახელმწიფოების მესამე მიზანი, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე მსოფლიოში, არის საერთაშორისო ეკონომიკის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შრომის საერთაშორისო დანაწილების კონტროლი ან მასზე გავლენის მოპოვება მაინც. რა თქმა უნდა, ამ მიზნის წინა ორისაგან განცალკევება იოლი არ არის. ტერიტორიაზე კონტროლს, ისევე, როგორც ერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ბატონობას მეორე სახელმწიფოზე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მხრივ სერიოზული შედეგები მოჰყვება. თუმცა, მეჩვიდმეტე საუკუნეში საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკის წარმოშობისა და მეცხრამეტე საუკუნეში მთელს დედამიწაზე მისი გავრცელების დროიდან მოყოლებული, საბაზრო ძალა ანუ ეკონომიკური ძალა გახდა ის ძირითადი საშუალება, რომლითაც სახელმწიფოები ცდილობენ შრომის საერთაშორისო დანაწილების თავის სასარგებლოდ ორგანიზებასა და მისით მანიპულირებას.

თანამედროვე სამყაროში შრომის საერთაშორისო დანაწილება სახელმწიფოთა შედარებითი სიმდიდრის, უსაფრთხოებისა და პრესტიჟის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი გახდა. მსოფლიო ეკონომიკის ორგანიზება და მართვა სახელმწიფოების მნიშვნელოვან მიზნად იქცა. დღეისათვის ვაჭრობის პირობები, რესურსების დინება (კაპიტალი, ტექნოლოგიები, საქონელი) და საერთაშორისო ფულად-საკრედიტო სისტემა სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. ამდენად, ეკონომიკური ძალის განაწილება და წესები, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკურ რეჟიმებს არეგულირებს, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების პროცესის კრიტიკულ ასპექტებად გადაიქცა (კიოჰეინი და ნაი, 1977).

კერძოდ, ურთიერთდამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო გახდა ინდივიდუალური საკუთრების უფლებების გლობალური მასშტაბით აღიარება და ცხოვრებაში გატარება. ინდივიდების (ან კორპორაციების) ამ უფლებათა თანამიმდევრული გეოგრაფიული გაფართოება და მათი გადანაცვლება სავაჭრო ურთიერთობების შედარებით მარტივი სფეროდან საგარეო ინვესტიციების რთულ ასპარეზზე საერთაშორისო ურთიერთობების უმთავრეს მახასიათებლად იქცა თანამედროვე მსოფლიოში. იდეა, რომ ერთი ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია, განახორციელოს თავისი საკუთრების უფლებები სახელმწიფო საზღვრებს მიღმა თანამედროვე სამყაროს რევოლუციური ელემენტია, განსაკუთრებით იმ მასშტაბით, როგორც ეს დღეს, 1980-იან წლებში ხდება. ამ უფლებების მარეგულირებელი წესების განსაზღვრა საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების მნიშვნელოვანი ასპექტია.

ზემოაღნიშნულ მიზნებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის მიზნები, რომლებსაც სახელმწიფო თავის სასიცოცხლო ინტერესებს მიაკუთვნებს და რომელთა გამოც ომისათვის არის მზად. მიუხედავად იმისა, რომ სასიცოცხლო ინტერესის კონცეფცია არაზუსტია და მისი განმარტება შეიძლება იცვლებოდეს ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ პოლიტიკური ცვლილებების ზეგავლენით, ნებისმიერი სახელმწიფო გარკვეული ინტერესების დაცვას საკუთარი უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს. ასე მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა სამი საუკუნის მანძილზე რამდენიმე ომი აწარმოა, რათა დაეცვა ნიდერლანდების დამოუკიდებლობა მტრული ძალებისაგან. მეორე მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული, აღმოსავლე-

თი და დასავლეთი ევროპა ყველას მიერ განიხილებოდა – შესაბამისად – საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესების სფეროებად. ამგვარად, თავისი ბუნდოვანების მიუხედავად, სასიცოცხლო ინტერესის ცნება (უაითი, 1979, გვ. 95-99) კვლავაც რჩება მნიშვნელოვან იდეად საგარეო პოლიტიკის გააზრებისათვის:

მანამ, სანამ საერთაშორისო ურთიერთობები ძლიერებას ემყარება, ძალა ეროვნული მისწრაფების ნამყვანი მიზანი იქნება. შედეგად ვიღებთ ჩაკეტილ წრეს. როდესაც პოლიტიკური ლიდერი ამბობს, რომ ომი აუცილებელია მისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, იგი, როგორც წესი, გულისხმობს, რომ ომი აუცილებელია ეროვნული ძლიერების რომელიმე ფაქტორის დასაუფლებლად ან მისი დაკარგვის თავიდან ასაცილებლად. ინტერესი სასიცოცხლოა მხოლოდ იმ გაგებით, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ომში გამარჯვება. ერთადერთ მიზანს, რომელიც იმდენად სასიცოცხლოა, რომ ომის გასამართლებლად გამოდგება, თავად ომის პერსპექტივა წარმოშობს (ჰოუტრი, 1952, გვ. 19).

•

საერთაშორისო სისტემის ბუნება

სახელმწიფოები ქმნიან საერთაშორისო სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ წყობას, რათა დაიცვან კონკრეტული ინტერესები. თუმცა, ცხადია, ისინი ამ პროცესს სრულად ვერ აკონტროლებენ. ჩამოყალიბებისთანავე საერთაშორისო სისტემა სახელმწიფოთა ქცევაზე საპასუხო გავლენას ახდენს. ის ზემოქმედებს იმ მეთოდებზე, რომელთა საშუალებით ინდივიდები, ჯგუფები და სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი მიზნების მიღწევას. ამრიგად, საერთაშორისო სისტემა ქმნის შეზღუდვებისა და შესაძლებლობების ერთობლიობას, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები, ჯგუფები და სახელმწიფოები თავიანთი ინტერესების დაცვას ცდილობენ.

საკუთრივ ტერმინი „საერთაშორისო სისტემა" ორაზროვანია. მისი მეშვეობით შეიძლება აღიწეროს მთელი რიგი მოვლენები, დაწყებული სახელმწიფოთა შორის ცალკეული კონტაქტებითა და დამთავრებული მჭიდროდ გადაჯაჭვული ურთიერთობებით მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში. თანამედროვე ეპოქამდე არსებობდა არა ერთიანი საერთაშორისო სისტემა, არამედ რამდენიმე საერთაშორისო სისტემა, რომლებსაც ან საერთოდ არ ჰქონდათ ერთმანეთთან კონტაქტი ან ჰქონდათ, მაგრამ იშვიათად. ამგვარად, საერთაშორისო სისტემაზე შესაძლებელია საუბარი მხოლოდ თანამედროვე სამყაროს კონტექსტში. ამ ნაშრომში, ტერმინი „საერთაშორისო სისტემა" გამოიყენება როგორც წარსულის განცალკევებულ სისტემებთან, ისე თანამედროვეობის მსოფლიო სისტემასთან მიმართებაში.

საერთაშორისო სისტემის აქ გამოყენებული განმარტება ადაპტირებულია რობერტ მანდელისა და ალექსანდერ სვობოდას განმარტებიდან: „სისტემა არის განსხვავებული ერთეულების ერთობლიობა, რომლებსაც ახასიათებს რეგულარული ურთიერთქმედება კონტროლის ფორმის შესაბამისად" (მანდელი და სვობოდა, 1969, გვ. 343).[8] ამ ფორმულირების თანახმად, საერთაშორისო სისტემას სამი ძირითადი ასპექტი გააჩნია. პირველი, არსებობს „განსხვავებული ერთეულები." ეს შეიძლება იყოს პროცესები, სტრუქტურები, მოქმედი პირები ან ამ უკანასკნელთა თვისებებიც კი. მეორე, სისტემისათვის დამახასიათებელია „რეგულარული ურთიერთქმედება," რაც განუწყვეტლივ შეიძლება იცვლებოდეს იშვიათი კონტაქტებიდან სახელმწიფოთა ინტენსიურ ურთიერთდამოკიდებულებამდე. და მესამე, არსებობს ერთგვარი „კონტროლის ფორმა," რომელიც ანესრიგებს ქცევას და, შესაძლოა, იცვლე-

[8] ავტორი მადლობას უხდის ედვარდ მორზს ამ განმარტებაზე მისი ყურადღების შეჩერებისათვის.

ბოდეს სისტემის არაფორმალური წესებიდან ფორმალურ ინსტიტუტებამდე. უფრო მეტიც, იგულისხმება, რომ სისტემას უნდა ჰქონდეს გარკვეული საზღვრები, რომლებიც მას სხვა სისტემებისაგან და უფრო ფართო გარემოსაგან განაცალკევებს. განვიხილოთ თითოეული ასპექტი უფრო დეტალურად.

განსხვავებული ერთეულები. როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი ერთეულები ან მოქმედი პირები სახელმწიფოები არიან, თუმცა, სხვა ტრანსნაციონალური თუ საერთაშორისო მოქმედი პირები ასევე შეიძლება ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს გარკვეულ პირობებში. დროთა განმავლობაში თვით სახელმწიფოთა ბუნებაც იცვლება და საერთაშორისო სისტემის ხასიათს ძირითადად სახელმწიფო-მოქმედი პირის ტიპი განსაზღვრავს: ქალაქ-სახელმწიფოები, იმპერიები, ერი-სახელმწიფოები და ა.შ. საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების თეორიის ძირითადი ამოცანა არის იმის დადგენა, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას სახელმწიფოს ტიპზე, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ეპოქისა და საერთაშორისო სისტემისათვის.

რეგულარული ურთიერთქმედება. ყოველ საერთაშორისო სისტემას ახასიათებს სხვადასხვა ტიპის ურთიერთქმედება ელემენტებს შორის. ამ ურთიერთქმედების ბუნება, პერიოდულობა და ინტენსიურობა სხვადასხვა საერთაშორისო სისტემაში ძალიან განსხვავებულია. სისტემის მოქმედ პირთა შორის ურთიერთქმედება შეიძლება იცვლებოდეს პერიოდული შეიარაღებული კონფლიქტებიდან თანამედროვე სამყაროს მაღალი დონის ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთდამოკიდებულებამდე. საერთო ჯამში, საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირება მოიცავს დიპლომატიურ, სამხედრო, ეკონომიკურ და სხვა სახის ურთიერთობებს სახელმწიფოთა შორის.

თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოების ურთიერთქმედება სულ უფრო ინტენსიური და ორგანიზებული გახდა, ძირითადად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში მომხდარი რევოლუციური წინსვლის გამო. სახელმწიფოებს შორის დიპლომატიურმა, სამოკავშირეო და კულტურულმა ურთიერთობებმა ინსტიტუციონალიზაცია განიცადა და ოფიციალურად შეთანხმებული წესებით იმართება. კერძოდ, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ან ის, რასაც შრომის საერთაშორისო დანაწილება შეიძლება ვუწოდოთ, ისეთ დონემდე განვითარდა, რომ ვაჭრობა, სავალუტო ურთიერთობები და საგარეო ინვესტიციები თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად გვევლინება. შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარება და ფუნქციონირება საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების პროცესის უმნიშვნელოვანეს ასპექტებად იქცა.

კონტროლის ფორმა. უეჭველია, რომ „საერთაშორისო სისტემის" აქ წარმოდგენილი განმარტების ყველაზე უფრო სადავო ასპექტი არის სისტემის კონტროლის ცნება. პოლიტიკური მეცნიერების მრავალი მკვლევარი იზიარებს იმ აზრს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების არსი სწორედ კონტროლის არარსებობაშია. მიჩნეულია, რომ საშინაო პოლიტიკისაგან განსხვავებით, საერთაშორისო პოლიტიკა ანარქიის პირობებში იწარმოება; აქ არ არსებობს ხელისუფლება ანუ არ ხდება მოქმედ პირთა ქცევის გაკონტროლება. მრავალი ავტორი იმასაც კი ფიქრობს, რომ საერთაშორისო სისტემის კონტროლის არსებობაზე საუბარი აშკარა წინააღმდეგობას შეიცავს. მოცემული ნაშრომის მთავარი იდეისათვის ამ საკითხის გადამწყვეტი მნიშვნელობის გამო, ის უფრო ვრცელ განხილვას საჭიროებს, ვიდრე საერთაშორისო სისტემის სხვა ასპექტები.

ამ ნაშრომის ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები ძალზედ მოწესრიგებულია და მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო

სისტემა ანარქიულია (ანუ, აქ არ არსებობს ფორმალური სამთავრობო ხელისუფლება), სისტემა გარკვეულწილად მაინც აკონტროლებს სახელმწიფოთა ქცევას (ბული, 1977; იანგი, 1978). თუმცა, ამ კონტროლის ბუნება და მასშტაბი განსხვავდება იმ კონტროლის ბუნებისა და მასშტაბისაგან, რომელსაც შიდა საზოგადოება ინდივიდების ქცევაზე ანესებს. ამის მიუხედავად, საშინაო და საგარეო სისტემების კონტროლის მექანიზმებს შორის მსგავსების დადგენა შესაძლებელია (ცხრილი 1).

ცხრილი 1. კონტროლის მექანიზმები (სისტემის კომპონენტები)

საშინაო	საერთაშორისო
მთავრობა[ა]	დიდი სახელმწიფოების დომინირება[ბ]
ხელისუფლება	პრესტიჟის იერარქია
საკუთრების უფლებები	ტერიტორიის დანაწილება
კანონი	სისტემის წესები
საშინაო ეკონომიკა	საერთაშორისო ეკონომიკა

[ა] საშინაო ჯგუფებს, კოალიციებს, კლასებს და ა.შ. შორის ძალის განაწილების საფუძველზე.
[ბ] სისტემაში სახელმწიფოთა შორის ძალის განაწილების საფუძველზე.

როდესაც საერთაშორისო სისტემის კონტროლზე ვსაუბრობთ, ეს ტერმინი უნდა გვესმოდეს, როგორც „შედარებითი კონტროლი" და „კონტროლის დამყარებისაკენ სწრაფვა." არც ერთ სახელმწიფოს არ დაუმყარებია ოდესმე სრული კონტროლი საერთაშორისო სისტემაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მთავრობას, რამდენადაც ტოტალიტარული არ უნდა იყოს ის, არ აქვს სრული კონტროლი საზოგადოებაზე. ცხადია, კონტროლის ხარისხი ასევე იცვლება საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტის მიხედვით და დროთა განმავლობაში (კიოჰეინი და ნაი, 1977, გვ. 31). ჯგუფის ან სახელმწიფოს მიერ საზოგადოებაზე სრული კონტროლის განხორციელების შემთხვევაში, ცვლილებას ადგილი ვერ ექნებოდა. და მართლაც, ცვლილება ხდება სწორედ იმიტომ, რომ ეკონომიკური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური ძალები თავს აღწევენ დომინანტი ჯგუფებისა და სახელმწიფოების კონტროლს.

საერთაშორისო სისტემის კონტროლი თუ მისი მართვა არის სამი ფაქტორის ფუნქცია. უპირველეს ყოვლისა, სისტემის მართვა ეფუძნება პოლიტიკურ კოალიციებს შორის ძალის განაწილებას. შიდა საზოგადოებაში ამ კოალიციებს ძირითადად კლასები, ფენები ან ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ და ამ ერთეულებს შორის ძალის განაწილება შიდა საზოგადოების მართვის მთავარი ასპექტია. საერთაშორისო სისტემაში კოალიციათა (ან სახელმწიფოთა) კოალიციებს შორის ძალის განაწილება განსაზღვრავს იმას, თუ ვინ მართავს საერთაშორისო სისტემას და ძირითადად ვისი ინტერესების გატარებას უწყობს ხელს სისტემის ფუნქციონირება.

ე. ჰ. ქარის სიტყვებით, „საერთაშორისო მთავრობა, ფაქტობრივად, არის იმ სახელმწიფოს [თუ სახელმწიფოების] მთავრობა, რომელიც [რომლებიც] მმართველობისათვის აუცილებელ ძალის წყაროს უზრუნველყოფს [უზრუნველყოფენ]" (1951, გვ. 107). ყოველ საერთაშორისო სისტემაში ძალისა და პრესტიჟის საერთაშორისო იერარქიაში გაბატონებული ძლიერი სახელმწიფოები აყალიბებენ და აკონტროლებენ სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთქმედების პროცესებს. ანუ, როგორც რაიმონ არონი წერდა, „საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ყოველთვის *ოლიგოპ-*

ოლისტურია. ყოველ ეპოქაში ძირითადი მოქმედი პირები უფრო მეტად განსაზღვრავდნენ სისტემას, ვიდრე თავად იყვნენ განსაზღვრულნი მის მიერ" (1966, გვ. 95). ასეთი დომინანტი, სახელმწიფოები ცდილობენ სისტემაზე კონტროლის დამყარებას, რათა თავიანთი ეგოისტური ინტერესები დაიცვან.

ისტორიის მანძილზე საერთაშორისო სისტემისათვის დამახასიათებელი იყო კონტროლის სამი ფორმა ან სტრუქტურის ტიპი. პირველი სტრუქტურა იმპერიული ანუ ჰეგემონურია: ერთი ძლიერი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ანუ დომინირებს სისტემის უფრო მცირე სახელმწიფოებზე. სისტემის ეს ტიპი, ფაქტობრივად, ყველაზე გავრცელებული იყო, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ეპოქამდე მაინც. ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებმა შეამჩნიეს, რომ ყოველ საერთაშორისო სისტემას აქვს მიდრეკილება, განვითარდეს უნივერსალურ იმპერიამდე. მეორე სტრუქტურა ბიპოლარულია, რომელშიც ორი ძლიერი სახელმწიფო აკონტროლებს და არეგულირებს ურთიერთქმედებას თავიანთ გავლენის სფეროებს შიგნით და მათ შორის; მნიშვნელოვანი გამონაკლისების მიუხედავად, ასეთი სისტემები, როგორც წესი, არასტაბილური და შედარებით ხანმოკლეა. სტრუქტურის მესამე ტიპი კი არის ძალთა ბალანსი, სადაც სამი ან მეტი სახელმწიფო აკონტროლებს ერთმანეთის ქმედებებს დიპლომატიური მანევრირების, ცვალებადი ალიანსებისა და ღია კონფლიქტების საშუალებით. ამგვარი სისტემის კლასიკური მაგალითი, რა თქმა უნდა, ევროპული ძალთა ბალანსია, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ ის არსებობდა ვესტფალიის ზავიდან (1648) პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე (1914).

სახელმწიფოებს შორის ძალის განაწილება თითოეულ საერთაშორისო სისტემაში კონტროლის ძირითად ფორმას წარმოადგენს. ყველა საერთაშორისო სისტემაში დომინანტი სახელმწიფოები და იმპერიები აყალიბებენ და ინარჩუნებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობათა ქსელს სისტემის შიგნით და, განსაკუთრებით, თავიანთ გავლენის სფეროებში. როგორც ცალკე-ცალკე, ისე ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში, ის სახელმწიფოები, რომლებიც ისტორიულად დიდ სახელმწიფოებად იწოდებოდნენ, ხოლო დღეს ზესახელმწიფოთა სახელით არიან ცნობილი, ქმნიან და ახორციელებენ იმ ძირითად წესებსა და უფლებებს, რომლებიც სისტემაში მათივე და უფრო მცირე სახელმწიფოების ქცევაზე ახდენს გავლენას.

საერთაშორისო სისტემის მართვის მეორე კომპონენტი არის სახელმწიფოებს შორის პრესტიჟის იერარქია. საერთაშორისო ურთიერთობებში პრესტიჟი არის იმ როლის ფუნქციონალური ეკვივალენტი, რომელსაც საშინაო პოლიტიკაში ხელისუფლება ასრულებს. ხელისუფლების კონცეფციის მსგავსად, პრესტიჟიც მჭიდრო კავშირშია ძალის კონცეფციასთან, მაგრამ განსხვავდება მისგან. მაქს ვებერის განმარტების თანახმად, ძალა არის „იმის ალბათობა, რომ სოციალურ ურთიერთობებში ჩაბმულ ერთ მოქმედ პირს ექნება შესაძლებლობა, განახორციელოს ის, რაც მას სურს წინააღმდეგობის მიუხედავად და, აგრეთვე, იმის მიუხედავად, თუ რა საფუძველზეა აგებული ეს ალბათობა." ხელისუფლება (ან პრესტიჟი) არის „იმის ალბათობა, რომ გარკვეული შინაარსის ბრძანებას ადამიანთა მოცემული ჯგუფი დაემორჩილება" (დარენდორფი, 1959, გვ. 166). ამგვარად, როგორც ძალის, ისე პრესტიჟის ფუნქცია არის იმის უზრუნველყოფა, რომ სისტემის უფრო მცირე სახელმწიფოები დაემორჩილონ დომინანტი სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოების ბრძანებებს.

ისევე, როგორც ხელისუფლებას, პრესტიჟსაც ზნეობრივი და ფუნქციონალური საფუძველი აქვს (ქარი, 1951, გვ. 236). საერთაშორისო სისტემაში მცირე სახელმწიფოები გარკვეულწილად ემორჩილებიან უფრო ძლიერი სახელმწიფოების ხელმძღვანელობას, ნაწილობრივ იმის გამო, რომ არსებული წყობის ლეგიტიმურობასა და

სარგებლიანობას აღიარებენ. ზოგადად, ცვლილებასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას მათ სტატუს კვოს სტაბილურობა ურჩევნიათ. ამას გარდა, მმართველი ელიტები და დაქვემდებარებული სახელმწიფოების კოალიციები ხშირად ალიანსებს ქმნიან დომინანტ ძლიერ სახელმწიფოებთან და თავიანთ ღირებულებებსა და ინტერესებს მათ ღირებულებებსა და ინტერესებთან აიგივებენ. იმპერიები და დომინანტი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ საქონელს (უსაფრთხოებას, ეკონომიკურ წესრიგს და ა.შ.), რაც განაპირობებს სხვა სახელმწიფოთა ინტერესს, დაემორჩილონ მათ ხელმძღვანელობას. და ბოლოს, ყველა დომინანტი სახელმწიფო, განსაკუთრებით კი იმპერია, პროპაგანდას უწევს რელიგიას ან იდეოლოგიას, რომელიც ამართლებს მის ბატონობას სისტემის სხვა სახელმწიფოებზე (მური, 1958, გვ. 10, 16). მოკლედ, სახელმწიფოს პრესტიჟსა და მისი მმართველობის ლეგიტიმურობას საფუძვლად უდევს მრავალი ფაქტორი, პატივისცემისა და საერთო ინტერესის ჩათვლით. თუმცა, საბოლოო ჯამში, პრესტიჟის იერარქია საერთაშორისო სისტემაში ეკონომიკურ და სამხედრო ძალას ემყარება.

პრესტიჟი არის ძალის, განსაკუთრებით სამხედრო ძალის, რეპუტაცია. თუ ძალა აღნიშნავს სახელმწიფოს ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა შესაძლებლობებს, პრესტიჟი, ძირითადად, გულისხმობს სხვა სახელმწიფოთა წარმოდგენას ამა თუ იმ სახელმწიფოს შესაძლებლობებზე, აგრეთვე, მის მიერ ძალის გამოყენების უნარსა და სურვილზე. თანამედროვე სტრატეგიულ თეორიაში პრესტიჟი მიანიშნებს, თუ რამდენად დამაჯერებელია სახელმწიფოს ძალა და მისი მზადყოფნა, განახორციელოს შეკავების ან იძულების პოლიტიკა სხვა სახელმწიფოების მიმართ საკუთარი მიზნების მისაღწევად. ამრიგად, ძალა და პრესტიჟი განსხვავებული ცნებებია და როგორც მოგვიანებით ვეცდებით დავამტკიცოთ, ის ფაქტი, რომ არსებული ძალის განაწილება და პრესტიჟის იერარქია ხანდახან წინააღმდეგობაში შეიძლება მოდიოდეს ერთმანეთთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილებისათვის.

საერთაშორისო ურთიერთობების ყოველდღიური პრაქტიკა უფრო პრესტიჟია და არა ძალა, თითქმის ისევე, როგორც მთავრობა არის შიდა საზოგადოებაში წესრიგის დამამყარებელი ძირითადი მექანიზმი. ე. ჰ. ქარის სიტყვებით, პრესტიჟი „უაღრესად მნიშვნელოვანია," რადგან „თუ შენი ძლიერება აღიარებულია, მისი გამოყენების გარეშეც შეგიძლია მიაღწიო საკუთარ მიზნებს" (ციტირებულია უაითთან, 1979, გვ. 98). სწორედ ამიტომ, დიპლომატიური ურთიერთობებისა და სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების მოგვარების დროს, რეალურად, შედარებით იშვიათია აშკარა ძალის ან ღია მუქარის გამოყენება. სახელმწიფოთა შორის „ვაჭრობისა" და მოლაპარაკებების შედეგი, უმთავრესად, მონაწილე მხარეების შედარებითი პრესტიჟით განისაზღვრება. მაგრამ ასეთი მოლაპარაკებების მიღმა იგულისხმება ორმხრივი აღიარება იმისა, რომ მოლაპარაკებათა ჩიხში შესვლის შემთხვევაში, საკითხი, შესაძლოა, ბრძოლის ველზე გადაწყდეს (კისინჯერი, 1961, გვ. 170). ამიტომ, შედარებითი მშვიდობა და სტაბილურობა იმ ისტორიულ ეპოქებში არსებობდა, რომლებშიც პრესტიჟის იერარქია ნათლად გამოკვეთილი იყო და ეჭვქვეშ არ დგებოდა. პირიქით, პრესტიჟის იერარქიის შესუსტება და მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული მზარდი ორაზროვნობა ხშირად კონფლიქტისა და ბრძოლის ეპოქის პრელუდიას წარმოადგენს.

პრესტიჟის ცენტრალური როლი საერთაშორისო სისტემის მოწესრიგებასა და მართვაში კარგად არის აღწერილი რალფ ჰოუტრის შემდეგ ფორმულირებაში:

თუ ომი ორ მშვიდობიან პერიოდს შორის შესვენებაა, ასევე მართალია ის, რომ მშვიდობა ორ ომს

შორის ინტერვალია. ეს არ არის უბრალო ფრაზა. მას, მართლაც, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ომი ნიშნავს ძლიერის მიერ სუსტისათვის საკუთარი სურვილის ძალით თავს მოხვევას. მაგრამ თუ მა.ით შედარებითი ძლიერება უკვე ცნობილია, ძლიერების კამოცდა აუცილებელი არ არის; სუსტი დაუთმობს ძლიერს და თავიდან აიცილებს ტანჯვას, დაკავშირებულს იმ კონფლიქტთან, რომლის შედეგიც იმთავითვე ცნობილია. ძლიერების რეპუტაცია არის ის, რასაც ჩვენ *პრესტიჟს* ვუწოდებთ. ქვეყანა პრესტიჟს ეკონომიკური და სამხედრო ძალის ფლობით მოიპოვებს. ეს საკითხები ნაწილობრივ ფაქტებს, ხოლო ნაწილობრივ მოსაზრებებს უკავშირდება. ისინი ზუსტ დათვლასა და გაზომვას რომ ექვემდებარებოდეს, ყოველთვის შესაძლებელი იქნებოდა ძალისმიერი კონფლიქტის პრესტიჟის კონფლიქტით ჩანაცვლება, მაგრამ ქვეყნის სიმდიდრისა და მობილურობის ხარისხის ზუსტი გათვლა შეუძლებელია და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ზუსტად არის ცნობილი, თუ როგორი სამხედრო ძალის შენახვის უნარი შესწევს ქვეყანას, საჭიროა ისეთი არათვლადი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა ადამიანთა საბრძოლო თვისებები, ლიდერთა გამოცდილება, ადმინისტრაციის ეფექტიანობა და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უბრალოდ იღბალი. ყოველივე ამის გამო, ცდომილების ზღვარი საკმაოდ დიდია. პრესტიჟი მხოლოდ გათვლების საკითხი როდია, ის ნაწილობრივ ირიბი დასკვნების საკითხიცაა. სავარაუდოა, რომ ქვეყანა, რომელიც თმობს დიპლომატიურ კონფლიქტში, თავის პრესტიჟს დარტყმას აყენებს, რადგან დათმობის ფაქტი დანარჩენი მსოფლიოს მიერ აღიქმება, როგორც გააზრებული სისუსტის ნიშანი. ძალის ხილული კომპონენტები სრულ სურათს არ ქმნის და არავის შეუძლია უკეთესად შეაფასოს ფარული კომპონენტები, ვიდრე თვით ამ ქვეყნის მმართველ ხელისუფლებას. თუ ის თავდაჯერებულობის ნაკლებობას ამჟღავნებს, ხალხი ასკვნის, რომ სისუსტის ფარული წყარო არსებობს.

თუ ქვეყნის პრესტიჟი ამგვარად ეცემა, ის დასუსტებული იქნება ნებისმიერ მომავალ დიპლომატიურ კონფლიქტში. ხოლო თუ დიპლომატიური კონფლიქტი რაიმე მნიშვნელოვანს ეხება, წარუმატებლობას მატერიალური ძლიერების შემცირება მოჰყვება.

ამრიგად, პრესტიჟის შემცირება საშიშია, მაგრამ, უკანასკნელი საშუალების სახით, პრესტიჟი ომში ძლიერების რეპუტაციას ნიშნავს და ამ საკითხთან დაკავშირებულ ეჭვებს მხოლოდ ომი მოუღებს ბოლოს. ქვეყანა იბრძოლებს, თუ მას სჯერა, რომ მისი დიპლომატიური პრესტიჟი რეალურ ძლიერებას არ შეესაბამება. ბრძოლით გამოცდა განსაკუთრებული შემთხვევაა, მაგრამ ეროვნული ძალების კონფლიქტი მუდმივად გრძელდება. ეს საერთაშორისო ანარქიის თანდაყოლილი თავისებურებაა (1952, გვ. 64 - 65).

ეს შესანიშნავი აღწერა შეიცავს რამდენიმე ასპექტს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. უპირველეს ყოვლისა, იმის მიუხედავად, რომ პრესტიჟი, ძირითადად, ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, ის, როგორც წესი, ძალის წარმატებული გამოყენებითა და, განსაკუთრებით, ომში გამარჯვებით მიიღწევა. საერთაშორისო სისტემის ყველაზე პრესტიჟული წევრები არიან ის სახელმწიფოები, რომლებმაც ცოტა ხნის წინ წარმატებულად გამოიყენეს სამხედრო ან ეკონომიკური ძალა და ამით სხვებს საკუთარი ნება მოახვიეს თავს. გარდა ამისა, საბოლოო ჯამში, არც ძალა და არც პრესტიჟი ზუსტ შეფასებასა და დათვლას არ ექვემდებარება; მათ შესახებ აბსოლუტური ცოდნის მიღება არც ერთი აპრიორული გათვლითი პროცესის საშუალებით არ შეიძლება. ისინი მხოლოდ გამოცდის შედეგად ხდება ცნობილი, განსაკუთრებით ბრძოლის ველზე. და ბოლოს, ომის, კერძოდ კი ჰეგემონური ომის, ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის პრესტიჟის საერთაშორისო იერარქიის განსაზღვრა და, ამ გზით, იმის დადგენა, თუ რომელი სახელმწიფოები იქნებიან საერთაშორისო სისტემის რეალური მმართველები.

საერთაშორისო სისტემის მოწესრიგებასა და ფუნქციონირებაში პრესტიჟის უმნიშვნელოვანესი როლი ყურადსაღებია საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების პროცესისადმი ჩვენი ინტერესის გამო. ჰოუტრის ანალიზი გულისხმობს, რომ შესაძლებელია წარმოიშვას შეუთავსებლობა პრესტიჟის არსებულ იერარქიასა და სახ-

ელმწიფოებს შორის ძალის არსებულ განაწილებას შორის.[9] ანუ, ცვლილებები სახელმწიფოთა რეალურ შესაძლებლობები წინ უსწრებს მათი პრესტიჟის აღქმას. ამიტომ, როდესაც აღქმა ძალის განაწილებასთან დაკავშირებული რეალური მდგომარეობის შესაბამისი ხდება, სისტემის მმართველობა დაშლას იწყებს. სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს დომინანტი იყო, თანდათან კარგავს სხვებზე საკუთარი ნების თავს მოხვევის და/ან საკუთარი ინტერესების დაცვის უნარს. სისტემაში აღმავალი სახელმწიფო ან სახელმწიფოები სულ უფრო მეტად ითხოვენ სისტემაში ისეთი ცვლილებების განხორციელებას, რომლებიც მათ მიერ ახლახანს შეძენილ ძალასა და დაუკმაყოფილებელ ინტერესებს ასახავს. საბოლოო ჯამში, პოლიტიკური ჩიხი და ის საკითხი, თუ ვინ იქნება სისტემის მმართველი, შეიარაღებული კონფლიქტის საშუალებით გვარდება.

ხშირად გაისმის მტკიცება, რომ თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური და სამხედრო წარმატება, როგორც საერთაშორისო პრესტიჟის საფუძველი, ეკონომიკურმა წარმატებამ ჩაანაცვლა. იაპონია და დასავლეთ გერმანია მოჰყავთ შესანიშნავ მაგალითებად იმისა, თუ როგორ მოახერხეს დამარცხებულმა ძალებმა საერთაშორისო პოზიციების დაბრუნება ძლიერი ეკონომიკის შექმნით; დღეს ამ ორ სახელმწიფოს საერთაშორისო ვაჭრობის, საგარეო ინვესტიციებისა და მსოფლიოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სფეროებში უზარმაზარი გავლენა აქვს მოპოვებული. ეს ასეა, თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე დეტალს. პირველი, აქცენტი ეკონომიკურ ძლიერებაზე შეთავსებადია ამ ნაშრომში მოცემულ განმარტებასთან, რომ პრესტიჟის საფუძველი სახელმწიფოს შესაძლებლობებია (ჰოუტრი, 1952, გვ. 71). მეორე, იაპონიამ და დასავლეთ გერმანიამ საკუთარი პრესტიჟის გაზრდა, ნაწილობრივ, იმიტომ მოახერხეს, რომ თავიანთი ეკონომიკური შესაძლებლობების სამხედრო ძალად გარდაქმნა შეძლეს. და მესამე, როგორც მე სხვაგანაც ვამტკიცებ, ეკონომიკურ ძალას შეუძლია დღევანდელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი როლის შესრულება იმ ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგის ბუნების გამო, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნა და სამხედრო ძალით დაიცვა (გილპინი, 1975).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიდი სახელმწიფოს „მმართველობის უფლების" ლეგიტიმურობა სამ ფაქტორს ემყარება. პირველ რიგში, ის ეფუძნება უკანასკნელ ჰეგემონურ ომში გამარჯვებასა და გამოვლენილ უნარს, თავს მოახვიოს სხვა სახელმწიფოებს საკუთარი ნება. იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც საერთაშორისო სტატუს კვოსა და დამყარებული წესრიგის სტრუქტურას განსაზღვრავს იმდენად აქვს მოქმედების ძალა, რამდენადაც ისინი რეალობას ასახავს. გარდა ამისა, დომინანტი ძალის მმართველობა ხშირად მისაღებია იმიტომ, რომ ის გარკვეულ საზოგადოებრივ საქონელს უზრუნველყოფს, მაგალითად ხელსაყრელ ეკონომიკურ წესრიგს ან საერთაშორისო უსაფრთხოებას. და ბოლოს, დომინანტი ძალის პოზიციას მხარი შეიძლება დაუჭირონ იდეოლოგიური, რელიგიური თუ სხვა ღირებულებების გამო, რომლებიც სახელმწიფოთა ჯგუფს აერთიანებს. თუმცა, სახელმწიფოს შიგნით არსებული ვითარებისაგან განსხვავებით, უკანასკნელი ორი ფაქტორი, როგორც წესი, სუსტია ან საერთოდ არ არსებობს.[10]

[9] სტატუსის შეუთავსებლობის იდეა სათავეს იღებს მაქს ვებერიდან; მას ხაზი გაუსვეს ისეთმა თანამედროვე ავტორებმა, როგორებიც არიან გალტუნგი (1964), მაიკლ ჰაასი (1974) და უოლესი (1973).

[10] ლეგიტიმურობის ამ კონცეფციას სისტემის სამართლიანობასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სახელმწიფოები ცდილობენ საკუთარი თავისთვის სამართლიანობის მიღწევას, ისინი ძალზე იშვიათად თმობენ პირად ინტერესებს სამართლიანი სისტე-

ძალის განაწილებასთან და პრესტიჟის იერარქიასთან ერთად, საერთაშორისო სისტემის მმართველობის მესამე კომპონენტია უფლებებისა და წესების ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთქმედებას არეგულირებს ან გავლენას მაინც ახდენს მასზე (ჰოფმანი, 1965). უხსოვარი დროიდან სახელმწიფოები აღიარებდნენ სისტემის გარკვეულ წესებს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს წესები ძალიან პრიმიტიული იყო. ისინი იცვლებოდა გავლენის სფეროების შესახებ უბრალო შეთანხმებებიდან, ელჩების გაცვლიდან და სავაჭრო ურთიერთობებიდან საერთაშორისო სამართლის თანამედროვე დახვეწილ კოდიფიკაციამდე.

ადამიანური ურთიერთქმედების ნებისმიერი სისტემა მოითხოვს წესების სულ მცირე რაოდენობას მაინც და უფლებების ორმხრივ აღიარებას. წესებისა და უფლებების საჭიროება გამოწვეულია აღამიანთა ყოფისათვის დამახასიათებელი იმ უმთავრესი გარემოებით, რომ მატერიალური რესურსების რაოდენობა შეზღუდულია, ხოლო ადამიანებს შორის ურთიერთობებში აუცილებელია წესრიგი და პროგნოზირებადობა. შეზღუდული პროდუქციის განაწილების გამო კონფლიქტის მინიმიზაციისა და ინდივიდთა შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის გაადვილების მიზნით, ყველა სოციალური სისტემა ქცევის მართვისათვის წესებსა და კანონებს ქმნის. ეს თანაბრად ეხება საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ სისტემებს (ბული, 1977, გვ. 46 - 51).

ზოგადად, წესები, რომლებიც გავლენას ახდენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებაზე, სამ ფართო სფეროს მოიცავს. პირველ რიგში, ისინი დიპლომატიის წარმოებასა და სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთქმედებას ეხება. ზოგიერთ პრიმიტიულ სისტემაში ამგვარი წესები, შესაძლოა, მართლაც ჩანასახობრივი ფორმის იყოს. თანამედროვე მსოფლიოში ეს საკითხები საკმაოდ ინსტიტუციონალიზებულია და დახვეწილი სამართლებრივი კოდექსებით იმართება. მეორე, შეიძლება არსებობდეს ომის გარკვეული წესები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებს საერთო რელიგია ან ცივილიზაცია აქვთ. თანამედროვე მსოფლიოში, დასავლური ცივილიზაციის ზეგავლენით, ომის სამართალი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტყვეებისადმი მოპყრობა და ნეიტრალური მხარის უფლებები, საკმაოდ განვითარდა და ხშირად ირღვევა კიდეც. და მესამე, სისტემის წესები სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობათა სფეროებს ფარავს. ყველა სისტემაში ვაჭრობით ორმხრივი დაინტერესება დაცვის გარკვეული გარანტია გახდა ვაჭრებისათვის. თანამედროვე მსოფლიოში წესები ან რეჟიმები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობას, ტექნიკურ თანამშრომლობასა და სხვა მსგავსი ტიპის საკითხებს არეგულირებს, იმ უმნიშვნელოვანეს წესებს შორისაა, რომლებიც სახელმწიფოთაშორისო ქცევაზე გავლენას ახდენს.

უფლებების წყარო და წესები, რომლებიც მათ განასახიერებს, იცვლება ჩვეულებებიდან ოფიციალური მოლაპარაკებების შედეგად გაფორმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებამდე. უფლებები და წესები, ნაწილობრივ, საერთო ღირებულებებსა და ინტერესებს ემყარება და სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის შედეგად წარმოიშობა. ევროპული სახელმწიფოების სისტემა გამოირჩეოდა შედარებით მაღალი დონის კონსენსუსით ამ უფლებებისა და წესების ბუნების თაობაზე; ჰედლი ბულის აზრით, ეს სისტემა წარმოადგენდა არა უბრალოდ სახელმწიფოების სისტემას, არამედ საზოგადოებას სახელმწიფოებისა, რომლებიც ერთიან ღირებულებებსა და ნორმებს იზიარებდნენ (ბული, 1977, გვ. 15 - 16). იგივე შეიძლება

მის განვითარების სასარგებლოდ. მსოფლიო პოლიტიკაში სამართლიანობის შესახებ განსხვავებულ შეხედულებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია სამი თანამედროვე წიგნი: ბეიტცის (1979), ბულის (1977, განსაკუთრებით მე-4 თავი) და ფალკის (1971).

ითქვას კლასიკური ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების სისტემის თაობაზეც. დღეს სერიოზულ აკადემიურ უთანხმოებას იწვევს საკითხი, შეიძლება თუ არა თანამედროვე გლობალური სისტემა დახასიათდეს, როგორც სახელმწიფოთა საზოგადოება, რომლის წევრებსაც საერთო ღირებულებები და ინტერესები აქვთ.

მართალია, სახელმწიფოთა შორის ქცევის მარეგულირებელი უფლებები და წესები, სხვადასხვა ხარისხით, კონსენსუსსა და საერთო ინტერესზეა დაფუძნებული, მაგრამ უფლებებისა და წესების ძირითადი დასაყრდენია სოციალურ სისტემაში დომინანტი ჯგუფების ან სახელმწიფოების ძლიერება და ინტერესები. ჰაროლდ ლასველისა და აბრაჰამ კაპლანის სიტყვებით, პოლიტიკური და სხვა წესები „მმართველის ქმედებების ხასიათს ასახავს" (1950, გვ. 208). ყველა სოციალურ სისტემაში დომინანტი მოქმედი პირები საკუთარ უფლებებს იცავენ და თავიანთი კერძო ინტერესების განხორციელების მიზნით ნაკლებად ძლიერ წევრებს გარკვეულ წესებს ახვევენ თავს. სპარსეთის იმპერია, რომელიც, ალბათ, პირველი კანონმდებელი იყო, სხვა სახელმწიფოებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ წესებს ახვევდა თავს და ნაკლებად ძლიერ მეზობლებს შორის დავებში შუამავლის როლს ასრულებდა (ბოუზმანი, 1960, გვ. 53). რომმა ხმელთაშუა ზღვის სამყაროს საკუთარი კანონთა კოდექსი მისცა და დასავლურ ცივილიზაციას პირველი საერთაშორისო სამართალი უანდერძა. თანამედროვე ეპოქაში ის, რასაც ჩვენ საერთაშორისო სამართალს ვუწოდებთ, დასავლური ცივილიზაციის მიერ არის მსოფლიოზე თავს მოხვეული და სწორედ მის ღირებულებებსა და ინტერესებს გამოხატავს.

წესების შექმნაში ყველაზე მნიშვნელოვანი წინსვლა იყო მრავალმხრივი ხელშეკრულებების შემოღება და საერთაშორისო სამართლის ფორმალიზაცია. ეს ევროპის სახელმწიფოთა საზოგადოების ერთ-ერთ დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ვესტფალიის ზავამდე (1648) საერთაშორისო ხელშეკრულების დასადებად ორმხრივი მოლაპარაკებები იმართებოდა და ისინი საკითხების შეზღუდულ სპექტრს მოიცავდა. ვესტფალიის კონგრესმა პირველად ისტორიაში ერთად შეკრიბა საერთაშორისო სისტემის ყველა მთავარი ძლიერი სახელმწიფო. წესები, რომლებზეც შეთანხმება იქნა მიღწეული, ოცდაათწლიან ომთან დაკავშირებული რელიგიური, პოლიტიკური და ტერიტორიული საკითხების ფართო წრეს ეხებოდა. ვესტფალიაში შეკრებილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა ევროპის რუკა შეცვალეს და დაადგინეს წესების ერთობლიობა, რომელმაც საუკუნის ბოლომდე ევროპაში შედარებითი მშვიდობა უზრუნველყო.

ევროპული ცივილიზაციის დიდი ომების დამთავრებისას დადებული ზავები სახელმწიფოთა სისტემის კონსტიტუციის როლს ასრულებდა. ვესტფალიის (1648), უტრეხტის (1713), ვენისა (1815) და ვერსალის (1919) სამშვიდობო შეთანხმებების მიზანი იყო სტაბილური სტატუს კვოს შექმნა და ორმხრივად აღიარებული წესებისა და უფლებების განსაზღვრა. ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებდა დავების მოგვარებას, დამარცხებული მხარეების დასჯას, უსაფრთხოების გარანტიების ორმხრივ აღიარებას და ა.შ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ აღნიშნული სამშვიდობო ხელშეკრულებები სისტემაში სახელმწიფოებს შორის ტერიტორიების (და, ამგვარად, რესურსების) გადანაწილებას ახდენდა, რითაც საერთაშორისო სისტემის ბუნებას ცვლიდა. ამ ხელშეკრულებების ერთ-ერთი მკვლევრის სიტყვებით, „ტერიტორიულმა შეთანხმებამ . . . სახელმწიფოთა სისტემის რესტრატიფიკაცია მოახდინა" (რენდლი, 1973, გვ. 332).

სახელმწიფოს შიგნით, როგორც უკვე ვიხილეთ, შეზღუდული პროდუქციის განაწილების მარეგულირებელი ძირითადი მექანიზმი საკუთრების კონცეფციაა.

საკუთრების უფლებები და ის წესები, რომლებშიც ისინი აისახება, შიდა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხთა მოწესრიგების ძირითადი საშუალებაა. ასეთი საკუთრების უფლებების განსაზღვრა და განაწილება საზოგადოების დომინანტი წევრების ძლიერებიდან და ინტერესებიდან გამომდინარეობს. ამის გამო, საშინაო-პოლიტიკური ცვლილების პროცესი არსებითად საკუთრების უფლებათა ხელახალი განსაზღვრისა და გადანაწილების პროცესია.

საერთაშორისო ურთიერთობებში ტერიტორიულობა საკუთრების უფლებების ფუნქციონალური ეკვივალენტია. საკუთრების დადგენის მსგავსად, ტერიტორიის კონტროლი მრავალ უფლებას იძლევა. ტერიტორიის კონტროლი და დაყოფა ის ძირითადი მექანიზმია, რომელიც საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოებს შორის შეზღუდული რესურსების განაწილებას არეგულირებს. მაშინ, როდესაც საშინაო-პოლიტიკური ცვლილება საკუთრების უფლებების ხელახალ განსაზღვრასა და გადანაწილებას გულისხმობს, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილება, პირველ რიგში, ისტორიის დიდი ომების შედეგად სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის ტერიტორიის გადანაწილებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ტერიტორიული კონტროლის მნიშვნელობა გარკვეულწილად შემცირდა, ის დღესაც წარმოადგენს საერთაშორისო ცხოვრების მოწესრიგების მთავარ მექანიზმს. თანამედროვე ერი-სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი მესამე სამყაროს ახალშექმნილი სახელმწიფოები, ისევე დაუცხრომელად იცავენ საკუთარ ტერიტორიულ სუვერენიტეტს, როგორც მათი მეთვრამეტე საუკუნის ევროპელი წინამორბედები.

საერთაშორისო სისტემის ზემოხსენებული განმარტება, რომელიც ძირითადად სტრუქტურულ მახასიათებლებს ეყრდნობა, ცხადია, ძალზედ ცოტას გვეუბნება კონკრეტული საერთაშორისო სისტემების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ზნეობრივი შინაარსის შესახებ. დომინანტ ძალებს მეტად განსხვავებული იდეოლოგიები და ინტერესები ჰქონდათ, რომელთა დაცვასა და სისტემის წესებად და რეჟიმებად გარდაქმნასაც ისინი ცდილობდნენ. მსოფლიო წესრიგი რომმაც შექმნა და დიდმა ბრიტანეთმაც, მაგრამ Pax Romana-ს* ხშირად დესპოტური მმართველობა თითქმის ყველა ასპექტში განსხვავდებოდა Pax Britannica-ს* ზოგადად ლიბერალური მმართველობისაგან. ნაპოლეონის საფრანგეთი და ჰიტლერის გერმანია მათ მიერ გაერთიანებულ ევროპას საკმაოდ განსხვავებულად მართავდნენ. Pax Americana* არ არის იგივე, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო Pax Sovietica.* საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი და ნამდვილად ყოვლისმომცველი თეორია საერთაშორისო სისტემის ტიპებს (ტირანული – ლიბერალური, ქრისტიანული – ისლამური, კომუნისტური – კაპიტალისტური და ა.შ.) მათი დამახასიათებელი თვისებებისა და მამოძრავებელი ძალების საფუძველზე შეაფასებდა. ეს ნაშრომი განიხილავს ამ საკითხებს იქ, სადაც ეს მიზანშეწონილი იქნება. თუმცა, აღნიშნული საკითხები ისეთ არსებით კითხვებს წარმოშობს, რომლებიც ამ ნაშრომის შეზღუდულ მიზნებს სცილდება.

სისტემის საზღვრები. ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სისტემას, საერთაშორისო სისტემასაც აქვს საზღვრები, რომლებიც მას უფრო დიდი გარემოსაგან ყოფს. საერთაშორისო სისტემის შემთხვევაში, ამ საზღვრების დადგენა რთული ამოცანაა. სრულიად იზოლირებულ სისტემებს თუ არ ჩავთვლით, როგორიც იყო, მაგალითად, ამერიკული იმპერიები კოლუმბის მოგზაურობამდე, ორ სისტემას შორის მკვეთრი გეოგრაფიული საზღვარი არ არსებობს. რაც ერთი დამკვირვებლისათვის

* რომაული მშვიდობა
* ბრიტანული მშვიდობა
* ამერიკული მშვიდობა
* საბჭოთა მშვიდობა

ცალკე საერთაშორისო სისტემაა, მეორისათვის, შესაძლოა, მხოლოდ უფრო დიდი და ფართომომცველი სისტემის ქვესისტემა იყოს. მაგალითად, თუკიდიდე ერთმანეთთან მებრძოლ ბერძნულ ქალაქ-სახელწნიფოებს მეტ-ნაკლებად ავტონომიურ სისტემად მიიჩნევდა. თუმცა, სხვაგვარად თუ შეეხედათ, ეს ქალაქ-სახელმწიფოები ბევრად უფრო დიდი სისტემის ნაწილს შეადგენდნენ, სადაც სპარსეთის იმპერია დომინირებდა, რომელმაც ბერძნული საქმეებიდან დროებით იმპერიის სხვა ნაწილებში არსებულ პრობლემებზე გადაიტანა ყურადღება. ამრიგად, ის, თუ რა შეადგენს საერთაშორისო სისტემას (ან ქვესისტემას), გარკვეულწილად, მკვლევრის გადასაწყვეტია.

მაშასადამე, საერთაშორისო სისტემის საზღვრების დადგენაში გარკვეული თვითნებურობა და სუბიექტურობა გარდაუვალია. ის, თუ რისგან შედგება საერთაშორისო სისტემა, ნაწილობრივ, თვით მოქმედი პირების შეხედულებებით განისაზღვრება. სისტემა იმ მოქმედ პირებს მოიცავს, რომელთა ქმედებებსა და რეაქციებს სახელმწიფოები ანგარიშს უწევენ საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას. სისტემა, ფაქტობრივად, გათვლებისა და ურთიერთდამოკიდებული გადაწყვეტილებების მიღების ასპარეზია. სისტემის საზღვრები იმ სივრცით შემოიფარგლება, რომელზეც დიდი სახელმწიფოები კონტროლისა და გავლენის განხორციელებას ცდილობენ. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ რომისა და ჩინეთის იმპერიები ფუნქციონალურ ურთიერთდამოკიდებულებაში იყვნენ და მათზე დიდი გავლენა მოახდინა ცენტრალური აზიის სტეპის მომთაბარეთა მასობრივი მიგრაციით გამოწვეულმა მღელვარებებმა, ძველი ჩინეთისა და რომის ერთი და იმავე საერთაშორისო სისტემისადმი მიკუთვნება აბსურდი იქნებოდა (ტეგარტი, 1939).

თუმცა, გეოგრაფიულ საზღვრები მაინც მნიშვნელოვანია, რადგანაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ რომელი სხვა მოქმედი პირები თუ გარემოებები უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომ საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას. ცხადია, ხმელეთის ტოპოგრაფია, საწყლო კომუნიკაციების არსებობა და კლიმატი ძალზე აადვილებს ან აფერხებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებას. მაგალითად, ის, რომ საერთაშორისო სისტემები ხშირად საწყლო კომუნიკაციების გარშემო იქმნება შემთხვევითი არ არის: ძველი დროის აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მდინარეთა აუზები, ხმელთაშუა ზღვა უძველესი დროიდან დღემდე, თანამედროვე ხანაში კი ატლანტისა და წყნარი ოკეანეები. ამავე დროს, მართალია ისიც, რომ გეოგრაფიული საზღვრები ხისტი არ არის და იცვლება ტექნოლოგიური ცვლილებებისა თუ სხვა ფაქტორების გამო.

საერთაშორისო ცვლილებათა ტიპები

აშკარაა, რომ საერთაშორისო ცვლილებები განსხვავებული მასშტაბის შეიძლება იყოს, და არის ეიდეც, და რომ ადამიანებმა მათ საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა შეიძლება მიანიჭონ. ის, რაც ერთ პიროვნებას უბრალოდ კონკრეტული საერთაშორისო სისტემის შიდა ცვლილებად შეიძლება მიაჩნდეს, მეორეს თვით სისტემის ტრანსფორმაცია შეიძლება ეგონოს. მაგალითად, ევროპული დიპლომატიის ისტორიის მანძილზე ერთმანეთს უწყვეტად ცვლიდა ძალის სხვადასხვაგვარი განაწილება, იცვლებოდნენ მოქმედი პირები და პოლიტიკური ალიანსების წევრები. იმის გამო, რომ ამ ცვლილებებს სხვადასხვა მასშტაბი ჰქონდა, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების მკვლევარი თეორეტიკოსის ამოცანაა, მათი ახსნის თეორიის შექმნამდე, მათი კლასიფიკაცია მოახდინოს. მაგალითად, ართურ ბერნსი თავის ნაშრომში *სახელმწიფოებისა და მათი პოლიტიკის შესახებ* მრავალ ისეთ ცვლილებას,

როგორიცაა რევოლუციური საფრანგეთის წარმოქმნა და 1871 წელს ბისმარკის მიერ გერმანიის გაერთიანება, მხოლოდ ევროპულ სახელმწიფოთა სისტემის შიგნით მომხდარ მცირე ცვლილებებად მიიჩნევდა (ბერნსი, 1968, თავი 5) მაშინ, როდესაც რიჩარდ როუზკრენსმა თავის წიგნში *ქმედება და უკუქმედება მსოფლიო პოლიტიკაში* (1963) ეს მოვლენები დაახასიათა, როგორც თვით საერთაშორისო სისტემის ცვლილება. რა თქმა უნდა, ინტერპრეტაციებს შორის ასეთი განსხვავების მიზეზია პოლიტიკური ცვლილების თეორიების განსხვავებულობა.

მართალია, ცვლილებათა ტიპოლოგია, უმეტესწილად, თვითნებურ ინტერპრეტაციას უკავშირდება, მაგრამ შერჩეული კლასიფიკაცია ცვლილების თეორიისა და ცვალებადი ერთეულის განმარტების შედეგი უნდა იყოს. მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო სისტემის ჩვენს მიერ ადრე შემუშავებული განმარტება იმისათვის, რათა გამოიყოს საერთაშორისო სისტემებისათვის დამახასიათებელ ცვლილებათა სამი ფართო ტიპი (ცხრილი 2). ცვლილების პირველი და ყველაზე ფუნდამენტური ტიპი არის მოქმედი პირების ანუ საერთაშორისო სისტემის შემადგენელი განსხვავებული ერთეულების ბუნების ცვლილება; ამ ტიპის ცვლილებას *სისტემის ცვლილებას* ვუწოდებთ. ცვლილების მეორე ტიპი არის საერთაშორისო სისტემის კონტროლის ფორმის ანუ მმართველობის ცვლილება; ცვლილების ამ ტიპს *სისტემური ცვლილების* სახელწოდებას შევურჩევთ. და მესამე, შესაძლებელია შეიცვალოს არსებული საერთაშორისო სისტემის ერთეულებს შორის რეგულარული ურთიერთქმედების ანუ პროცესების ფორმა; ცვლილების ამ ტიპს უბრალოდ *ურთიერთქმედების ცვლილებას* დავარქმევთ.

ცხრილი 2. საერთაშორისო ცვლილებათა ტიპები*

ტიპი	ცვალებადი ფაქტორები
სისტემის ცვლილება	მოქმედი პირების (იმპერიების,
ერი-სახელმწიფოების და ა.შ.) ბუნება	
სისტემური ცვლილება	სისტემის მმართველობა
ურთიერთქმედების ცვლილება	სახელმწიფოთაშორისი პროცესები

* ცვლილებათა სამივე ტიპმა შეიძლება ან არ შეიძლება გამოიწვიოს სისტემის საზღვრების ცვლილება. თუმცა, სავარაუდოა, რომ სისტემის ცვლილება, რომელიც ძირითადი მოქმედი პირების შეცვლას გულისხმობს, სისტემის საზღვრების ცვლილებასაც ნიშნავს.

სამწუხაროდ, ცვლილებათა ამ სამ ტიპს შორის განსხვავების მოძებნა სშირად რთულია. მაგალითად, მისი ყოვლისმომცველი ბუნების გამო, სისტემის ცვლილება, ამასთანავე, გულისხმობს როგორც სისტემურ, ისე ურთიერთქმედების ცვლილებას. უფრო მეტიც, ცვლილებები სახელმწიფოთა შორის ურთიერთქმედების დონეზე (მაგალითად, დიპლომატიური ალიანსების ფორმირება ან ეკონომიკური საქმიანობის ადგილის შეცვლა), შესაძლოა, სისტემური ცვლილებისა და, საბოლოო ჯამში, სისტემის ცვლილების პრელუდია იყოს. ისტორიული მოვლენები ბუნდოვანი რამაა და მათი დაყოფა ზუსტ ანალიტიკურ კატეგორიებად ძნელია, თუ არა შეუძლებელი.

ცვლილების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ანალიზის დონეზეც. ის, რაც ანალიზის ერთ დონეზე ურთიერთქმედების ცვლილებად ან სისტემურ ცვლილებად შეიძლება დახასიათდეს, სხვა დონეზე სისტემის ცვლილებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მაგალითად, 1871 წელს გერმანიის გაერთიანება იყო ურთიერთქმედების ცვლილება ევროპული პოლიტიკის ზოგად დონეზე, სისტემური ცვლილება ცენ-

ტრალური ევროპის პოლიტიკის დონეზე და სისტემის ცვლილება გერმანიის საშინაო პოლიტიკის დონეზე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ ურთიერთქმედებას კონკრეტული სისტემის სახელმწიფოთა შორის.

ცვლილების ეს სამი კატეგორია არის ის, რასაც მაქს ვებერმა იდეალური ტიპები უწოდა. მართალია, ისინი წმინდა ფორმით შეიძლება არასოდეს მოხდეს, მაგრამ ესა თუ ის ტიპი დროის გარკვეულ მომენტში ცვლილების ბუნების ყველაზე კარგი დამახასიათებელი შეიძლება იყოს. ამის გამო, ცალ-ცალკე ისინი სასარგებლო ანალიტიკური ინსტრუმენტებია, რომლებიც ცვლილების პროცესის უფრო ნათლად გააზრებაში გვეხმარება. ამ გარემოების გათვალისწინებით, მოკლედ განვიხილოთ თითოეული ტიპი.

სისტემის ცვლილება

თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, სისტემის ცვლილება საერთაშორისო სისტემის ხასიათის მნიშვნელოვან ცვლილებას გულისხმობს. სისტემის ხასიათზე საუბრისას, ძირითადად, სისტემის შემადგენელი მოქმედი პირების ანუ განსხვავებული ერთეულების ბუნებას ვგულისხმობთ. საერთაშორისო სისტემის ხასიათი მის ყველაზე თვალსაჩინო ერთეულებში ვლინდება: იმპერიებში, ერ-სახელმწიფოებსა და მრავალეროვნულ კორპორაციებში. განსხვავებული ერთეულებისა და სახელმწიფოთა სისტემების აღმავლობა და დაცემა აუცილებლად უნდა იყოს საერთაშორისო ცვლილების ყოვლისმომცველი თეორიის მთავარი ინტერესი.

მართალია, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებს ცვლილების ამ კატეგორიისათვის დიდი ყურადღება არ დაუთმიათ და მისი განხილვა (ალბათ, ბრძნულადაც) ისტორიის ფილოსოფოსებს მიანდეს, მან, უდავოდ, უფრო თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს მათ ინტერესებს შორის. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების სისტემის აღმავლობა და დაცემა, შუა საუკუნეების ევროპული სახელმწიფოების დაღმასვლა და თანამედროვე ევროპული ერი-სახელმწიფოების სისტემის აღმოცენება სისტემის ცვლილების მაგალითებია. ასეთი ცვლილებების სწორად და სისტემატურად შესწავლისათვის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სისტემების ნამდვილი შედარებითი კვლევაა საჭირო. ამგვარი კვლევების გარეშე სისტემის ცვლილების თეორიული ანალიზი აშკარად არასრულყოფილია.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ეპოქაში, როდესაც არსებობს მოსაზრება, რომ ტრანსნაციონალური და საერთაშორისო მოქმედი პირების ახალი ტიპი იძენს ისეთ როლს, რომელიც ერი-სახელმწიფოს ტრადიციულ დომინანტურ როლს ჩაანაცვლებს, ხოლო თვით ერი-სახელმწიფო სულ უფრო მეტად ანაქრონისტულ ინსტიტუტად განიხილება. რა თქმა უნდა, ჩატარებულია მრავალი ფასეული კვლევა, რომელიც ამ თემის ანალიზს მოიცავს, მაგრამ უფრო ზოგადი საკითხი, თუ რატომ ერგება ესა თუ ის ერთეული ყველაზე კარგად კონკრეტულ ისტორიულ გარემოს, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა მიერ სათანადოდ არ შესწავლილა.

უფრო ზუსტად, ამ შეკითხვის არსი იმაში მდგომარეობს, თუ რატომ ფიქრობენ ინდივიდები და ჯგუფები, სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ კონტექსტში, რომ მათი ინტერესების დაცვას ყველაზე მეტად ერთი კონკრეტული პოლიტიკური ფორმა უწყობს ხელს და არა რომელიმე სხვა. მართალია, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას რამდენიმე ზოგადი ინტერესი აქვს (დაცვა, კეთილდღეობა, სტატუსი), მაგრამ ის, თუ ორგანიზაციის რომელი კონკრეტული ტიპი ემსახურება ყველაზე კარგად კონკრეტულ ინტერესს, დამოკიდებულია ინტერესის ბუნებასა და ისტორიულ ვი-

თარებაზე. ინტერესებისა და ვითარების ცვლილებასთან ერთად, იცვლება ორგანიზაციის ის ტიპიც, რომელიც ინდივიდების ინტერესთა დაცვისათვის არის საჭირო. ორგანიზაციის ცვლილებას იწვევს ნებისმიერი მოვლენა, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფსა თუ ინსტიტუტში ცალკეული ინდივიდების წევრობის სარგებელსა და დანახარჯზე. ამდენად, სისტემის ცვლილება დაკავშირებულია ორგანიზაციის წევრობის ისეთ ასპექტთან, როგორიცაა სარგებელი და დანახარჯი და, აგრეთვე, იმასთან, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა მოვლენები პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპის მასშტაბზე, ეფექტიანობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე. მართალია, ამ ნაშრომში ჩვენ ვერ ვიმედოვნებთ ამ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემას, მაგრამ შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ ხსენებულ საკითხებს ნაწილობრივ მაინც მოვფენთ ნათელს.

სისტემური ცვლილება

სისტემური ცვლილება საერთაშორისო სისტემის მმართველობის ცვლილებას გულისხმობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა ცვლილება სისტემის შიგნით და არა თვით სისტემის ცვლილება. ის იწვევს ცვლილებებს ძალის საერთაშორისო განაწილებაში, პრესტიჟის იერარქიასა და იმ წესებსა და უფლებებში, რომლებიც სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, თუმცა, ამგვარი ცვლილებები იშვიათად ხდება (ან საერთოდ არ ხდება) ერთდროულად. ასე მაგალითად, თუ სისტემის ცვლილების მთავარი არსი არის სახელმწიფოთა სისტემების აღმავლობა და დაცემა, სისტემური ცვლილების მთავარი იდეაა იმ დომინანტი სახელმწიფოების ან იმპერიების აღმავლობა და დაცემა, რომლებიც კონკრეტულ საერთაშორისო სისტემას მართავენ.

საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების თეორია, რომლის შემუშავებასაც ვაპირებთ, ეფუძნება ვარაუდს, რომ საერთაშორისო სისტემის ისტორია არის იმ დომინანტი სახელმწიფოებისა და იმპერიების აღმავლობისა და დაცემის ისტორია, რომლებმაც საერთაშორისო ურთიერთობებზე საკუთარი კონტროლის პერიოდებში სისტემას წესრიგი და სტაბილურობა შესძინეს. ჩვენ ვეცდებით იმის დამტკიცებას, რომ ნებისმიერი სისტემის განვითარებისათვის დამახასიათებელი იყო მორიგეობითი აღმავლობა ძლიერი სახელმწიფოებისა, რომლებიც მართავდნენ სისტემას, განსაზღვრავდნენ საერთაშორისო ურთიერთქმედების სტრუქტურას და ადგენდნენ სისტემის წესებს. ამრიგად, სისტემური ცვლილება დასუსტებული დომინანტი სახელმწიფოს მომძლავრებული დომინანტი სახელმწიფოთი ჩანაცვლებას ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის შემსწავლელებმა ცვლილების ამ ტიპს დიდი ყურადღება მიაპყრეს, ამ კვლევების უმრავლესობა, პირველ რიგში, თანამედროვე ევროპული ერი-სახელმწიფოების სისტემას ეხებოდა. უფრო ადრინდელი ან არადასავლური სისტემები ამ სფეროს მკვლევართა მიერ შედარებით ნაკლებად იქნა შესწავლილი. უფრო მეტიც, ეს კვლევები იშვიათად განიხილავდა სისტემური ცვლილების პრობლემას სისტემატურ, შედარებით და თეორიულ ჭრილში; მათი უმეტესობა უფრო ისტორიული ან აღწერილობითი ხასიათის იყო. აუცილებელია საერთაშორისო სისტემების შედარებითი კვლევა, რომელიც სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო სისტემაში სისტემურ ცვლილებაზე გაამახვილებს ყურადღებას.

ცხადია, ასეთი შედარებითი კვლევა ამ ნაშრომის ფარგლებს სცდება: ჩვენ იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ, თუნდაც, თანამედროვე ეპოქის კონკრეტული სისტემური ცვლილებების კვლევა შემოგთავაზეთ. საუკეთესო შემთხვევაში, ამ ნაშრომმა

შეიძლება მოახერხოს სისტემური ცვლილების, როგორც ისტორიული პროცესის, ბუნებისა და მიმდინარეობის უკეთ გააზრება და ცვლილების ემპირიული კვლევისაკენ გზის მითითება. თუ ასეა, ამ ნაშრომის მიზანი მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

ურთიერთქმედების ცვლილება

ურთიერთქმედების ცვლილებაში მოვიაზრებთ საერთაშორისო სისტემის მოქმედ პირთა შორის არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთკავშირების ან პროცესების ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილების ეს ტიპი არ გულისხმობს სისტემაში ძალისა და პრესტიჟის ზოგადი იერარქიის ცვლილებას, ის, როგორც წესი, გარკვეულწილად ცვლის საერთაშორისო სისტემაში მიღებულ წესებსა და უფლებებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთქმედების ცვლილება ხშირად გამოწვეულია სახელმწიფოების ან სხვა მოქმედი პირების მცდელობით, დააჩქარონ ან თავიდან აიცილონ უფრო ძირეული ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში და, შესაძლოა, მოასწავებდეს კიდეც ასეთ ცვლილებებს.

ზოგადად, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარები საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკის შესახებ წერენ, ისინი სახელმწიფოთა კონკრეტულ სისტემაში სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედების ცვლილებას გულისხმობენ (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ნაშრომში მოცემული განმარტების თანახმად). ეს მოსაზრება მოყვანილია, მაგალითად, რიჩარდ როუზკრენსის წიგნში *ქმედება და უკუქმედება მსოფლიო პოლიტიკაში* (1963), სადაც მან გააანალიზა ევროპულ დიპლომატიაში 1740 წლის შემდგომ მომხდარ ცვლილებათა მიზეზები. ალიანსების ფორმირების, რეჟიმების ცვლილებისა და ტრანსნაციონალური ურთიერთობების შესახებ არსებული უზარმაზარი ლიტერატურაც შიდასისტემური ურთიერთქმედების დონეზე ამახვილებს ყურადღებას.[11] სისტემის ცვლილება და სისტემური ცვლილება ნაკლებად არის შესწავლილი, ხოლო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების ცვლილების შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა მოიპოვება, თუმცა, ის, უმეტესად, შემოიფარგლება დასავლურ სახელმწიფოთა სისტემებით, განსაკუთრებით კი, საერთაშორისო ურთიერთობებით 1945 წლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთქმედების ცვლილებები ყველაზე ხშირად ხდება და საერთაშორისო ურთიერთობების მასალის დიდ ნაწილს შეადგენს, ჩვენ მათ ნაკლებ ყურადღებას მივაქცევთ. ისინი კარგადაა შესწავლილი სხვების მიერ (იხილეთ მაგალითად, კიოჰეინი და ნაი, 1977). ნაცვლად ამისა, ნაშრომში ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია სისტემურ ცვლილებაზე და შედარებით ნაკლებად – სისტემის ცვლილებაზე. ურთიერთქმედების ცვლილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში განვიხილავთ, თუ ეს საჭირო იქნება სისტემური ცვლილებისა და სისტემის ცვლილების უფრო ფართოდ გააზრებისათვის.

ინკრემენტალური ცვლილება რევოლუციური ცვლილების საპირისპიროდ

პოლიტიკური ცვლილების ახსნა სოციალური თეორიის არსებით საკითხს უკავშირდება, სახელდობრ, შეიძლება თუ არა სოციალური სისტემის ტრანსფორმაცია ინკრემენტალური, ევოლუციური ცვლილებების გზით? თუ ის აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკური გადატრიალებისა და ძალადობის შედეგი – რევოლუციისა შინასახელმწიფოებრივ დონეზე და დიდი ომისა საერთაშორისო დონეზე? ამ დაპირისპირების ერთ მხარესაა ლიბერალური, დემოკრატიული ტრადიცია, რომლის მაგალ-

[11] ჩვენი პოზიციის მსგავსია უოლცის მოსაზრება (1979, განსაკუთრებით მე-7თავი).

ითს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გამოცდილება იძლევა; ორივე საზოგადოება, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა სახის მოვლენების შედეგად, მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მშვიდობიანი ცვლილების მოწმე გახდა. ამ შეხედულების მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ასეთივე მშვიდობიანი, მუდმივი ცვლილების პროცესი შესაძლებელია საერთაშორისო დონეზეც. ამის საპირისპიროდ, არსებობს ჰეგელიანურ-მარქსისტული თვალთახედვა, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებას არსებულ სოციალურ სისტემასა და ცვლილების გამომწვევ ძალებს შორის წინააღმდეგობით ხსნის. ამ მოსაზრების მომხრენი ფიქრობენ, რომ ცვლილება არ არის მუდმივი და წარმოადგენს სისტემური კრიზისის შედეგს, რომლის მოგვარება მხოლოდ ძალის გამოყენებითაა შესაძლებელი, რადგან არც ერთი დომინანტი ჯგუფი არ დათმობს საკუთარ პრივილეგიებს ბრძოლის გარეშე. ამ ხედვის თანახმად, მშვიდობიანი ცვლილება გულისხმობს მხოლოდ უაზრო დათმომებებს, რომელთა მიზანი რევოლუციური ძალების მოსყიდვაა.

სოციალური ცვლილების, როგორც ცვლილების გამომწვევი ძალებისადმი სოციალური სისტემის მუდმივი ადაპტაციის ლიბერალური კონცეფციისაგან განსხვავებით, ჰეგელიანურ-მარქსისტული თვალთახედვა ითვალისწინებს სამ, საკმაოდ განსხვავებულ განზოგადებას სოციალური ცვლილების ბუნების შესახებ. პირველი, ისტორიის პროცესი განიხილება როგორც წყვეტილი თანამიმდევრობა „განვითარებადი დაპირისპირებებისა, რომლებიც დროდადრო მკვეთრ ცვლილებებს იწვევს" (მური, 1965, გვ. 138). მეორე, ეს დაპირისპირებები თუ კრიზისები წარმოიშობა იმის გამო, რომ ცვლილების გამომწვევი (ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ა.შ.) ძალები არსებულ სოციალურ წყობასთან შეუთავსებელია. და მესამე, დაპირისპირების მოგვარება და სოციალური სისტემის ტრანსფორმაცია პოტენციურ გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის ძალაუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის შედეგია.

ჩვენი პოზიცია ამ ნაშრომში არის ის, რომ საერთაშორისო სისტემაში ცვლილებების ორივე ტიპს აქვს ადგილი. ცვლილების ყველაზე გავრცელებული ტიპია მუდმივი, ინკრემენტალური ადაპტაცია არსებული სისტემის ფარგლებში. ტერიტორიები გადადის ხელიდან ხელში, იცვლება ალიანსები და გავლენის სფეროები, ცვლილებას განიცდის ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურა. ამგვარი ინკრემენტალური ცვლილებები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების დონეზე, როდესაც სახელმწიფოები ცდილობენ საკუთარი ინტერესების დაცვას გარემოში მიმდინარე ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სხვა სახის მოვლენების საპასუხოდ, საერთაშორისო სისტემის განვითარებას იწვევს. ამდენად, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების პროცესი ძირითადად ევოლუციური პროცესია, რომლის დროსაც ჯგუფებისა და სახელმწიფოების ცვალებად ინტერესთა და ძალისმიერ ურთიერთობათა შეთავსების მიზნით მუდმივი ადაპტაცია ხორციელდება.

საერთაშორისო სისტემის ასეთი თანდათანობითი ევოლუციისათვის დამახასიათებელია ვაჭრობა, მაიძულებელი დიპლომატია და ომი კონკრეტული და შედარებით ვიწროდ განსაზღვრული ინტერესებისათვის (იანგი, 1978, გვ. 250). სისტემის მდგომარეობას ჰომეოსტატიკური წონასწორობა შეიძლება ეწოდოს. კონფლიქტური ინტერესებისა და ძალის ცვალებადი თანაფარდობის საპასუხოდ სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ადაპტაცია ემსახურება სისტემის განთავისუფლებას ზეწოლისაგან, რაც შესაძლებელს ხდის მის შენარჩუნებას. მოკლედ რომ ვთქვათ, საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილება ხორციელდება მშვიდობიანი ადაპტაციის პროცესისა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების დონეზე შეზღუდული კონფლიქტების საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედე-

ბის დონეზე საერთაშორისო ურთიერთობების ბურჯს შეადგენს, ცხადია, რომ ისინი არ არის ცვლილების ერთადერთი ტიპი საერთაშორისო სფეროში. მართალია, ცვლილებების უდიდესი ნაწილი უწყვეტი საპასუხო რეაქციაა გარემოებათა თანდათანობით ცვლილებაზე, მაგრამ ადაპტაცია ყოველთვის დაუყოვნებლივ არ ხდება. მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ სამხედრო ცვლილებები, რომლებიც რომელიმე მოქმედ პირს დიდ მოგებას ან დანაკარგებს უქადის, შეიძლება კრიტიკულ ვითარებაში მოხდეს. თუ ამ მოგების რეალიზება შეუძლებელია არსებული სისტემის ფარგლებში, სახელმწიფოებმა (უფრო სწორედ კი, საშინაო კოალიციებმა, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ) შეიძლება გადაწყვიტონ, რომ მათ ინტერესებს მხოლოდ საერთაშორისო სისტემაში უფრო ფართომომცველი და ღრმა ცვლილებები დააკმაყოფილებს. თავის მხრივ, სხვა სახელმწიფოები იფიქრებენ, რომ ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილება საფრთხეს შეუქმნის იმას, რასაც ისინი საკუთარ სასიცოცხლო ინტერესებად მიიჩნევენ. მსგავს კრიტიკულ მომენტებში, მთავარია სისტემის მმართველობის ბუნება ან, უფრო იშვიათად, საერთაშორისო მოქმედი პირების ხასიათი. ცვლილების პირველ ტიპს სისტემური ცვლილება ეწოდება; მეორეს კი – სისტემის ცვლილება.

როგორც სისტემური, ისე სისტემის ცვლილება წარმოშობს არსებით შეკითხვას იმის თაობაზე, თუ ვისი უსაფრთხოების, ეკონომიკური თუ იდეოლოგიური ინტერესები მიიღებს უდიდეს სარგებელს საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების შედეგად. შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი კონსტიტუციურია, რადგან საკითხი ეხება პოლიტიკური ხელისუფლების სტრუქტურას (პრესტიჟის იერარქიას) და, ასევე, ინდივიდების (ან სახელმწიფოების) უფლებებსა და სისტემის წესებს. უფრო მეტიც, მაღალია იმის ალბათობა, რომ კრიზისის გადაწყვეტა შეიარაღებული კონფლიქტის მეშვეობით მოხდება (ცხრილი 3.). საშინაო პოლიტიკაში, კონსტიტუციური კრიზისები ყველაზე ხშირად სამოქალაქო ომით და რევოლუციით გვარდება, საერთაშორისო პოლიტიკაში კი, როგორც წესი, – ჰეგემონური ომით.

ცხრილი 3. საშინაო და საერთაშორისო ცვლილების შედარება

საშინაო	საერთაშორისო	
ინკრემენტალური ცვლილების ძირითადი მეთოდი	ვაჭრობა ჯგუფებს, კლასებს და ა.შ. შორის	ვაჭრობა სახელმწიფოებს შორის
რევოლუციური ცვლილების ძირითადი მეთოდი	რევოლუცია და სამოქალაქო ომი	ჰეგემონური ომი
ინკრემენტალური ცვლილების მთავარი მიზანი	საშინაო სისტემის მცირე ადაპტაცია	საერთაშორისო სისტემის მცირე ადაპტაცია
რევოლუციური ცვლილების მთავარი მიზანი	კონსტიტუცია	სისტემის მმართველობა

პოლიტიკური ცვლილების ჰეგელიანურ-მარქსისტული კონცეფცია ამტკიცებს, რომ კრიტიკული ვითარება, რომელსაც რევოლუციური ცვლილება მოჰყვება, სისტე-

მაში არსებული წინააღმდეგობებით არის გამოწვეული. ამ თვალსაზრისით, წინააღმდეგობები სოციალური სისტემის შეუთავსებელი კომპონენტების გარდაუვალი შედეგია. უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ შეიძლება აპრიორულად იმის განსაზღვრა, თუ როდის არის კრიზისი ან კონფლიქტი სისტემაში მართლაც მოუგვარებელი და აუცილებლად გამოიწვევს ცვლილებებს სისტემაში. ასევე მიჩნეულია, რომ შეიძლება წინააღმდეგობის შედეგის წინასწარმეტყველება. მოკლედ, აზროვნების ამ გავლენიან სკოლას პოლიტიკური ცვლილების ბუნების, მიზეზებისა და შედეგების თაობაზე დეტერმინისტული შეხედულება აქვს.[12]

ჩვენ უარვყოფთ პოლიტიკური ცვლილების ამგვარ, ზედმეტად დეტერმინისტულ ინტერპრეტაციას.[13] მიუხედავად იმისა, რომ უსათუოდ შესაძლებელია პოლიტიკურ სისტემაში კრიზისების, წონასწორობის რღვევისა და შეუთავსებელი ელემენტების, განსაკუთრებით კი სისტემის მმართველობასა და ძალის განაწილებას შორის შეუსაბამობის შემჩნევა, ნამდვილად შეუძლებელია შედეგის წინასწარმეტყველება. არც ერთ სოციალურ მეცნიერებას არ აქვს და, ალბათ, არც არასოდეს ექნება თეორია, რომელიც რომელიმე სფეროში სოციალურ ცვლილებას იწინასწარმეტყველებს.[14] მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საერთაშორისო კრიზისებსა და სახელმწიფოთა ქცევაში ასახულ შესაბამის საპასუხო ქმედებებს ვაკვირდებით, შეუძლებელია წინასწარ იმის ცოდნა, აღდგება წონასწორობა თუ სისტემის ბუნება შეიცვლება. პასუხი, ნაწილობრივ მაინც, დამოკიდებულია იმაზე, თუ რის გაკეთებას არჩევენ ინდივიდები.

ამგვარი შეზღუდვის მიუხედავად, პოლიტიკური ცვლილების პრობლემისადმი ჰეგელიანურ-მარქსისტულ მიდგომას ევრისტიკული ფასეულობა აქვს. ის შეიცავს ვარაუდს, რომ ცვლილების წყარო აუცილებლად უნდა იყოს სოციალური სისტემის შემადგენელ კომპონენტებში ცვლილების ტემპის განსხვავებულობა. სოციალური სისტემის ყველა ასპექტი ერთდროულად რომ იცვლებოდეს, ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც სისტემაში მკვეთრი ცვლილების მეშვეობით მოგვარებას საჭიროებს, არც წარმოიქმნებოდა. ნაცვლად ამისა, სისტემა ინკრემენტალურად განვითარდებოდა. მარქსისტული თეორიის თანახმად, ეკონომიკური წარმოების საშუალებები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე სოციალური და პოლიტიკური ზედნაშენის ისეთი ელემენტები, როგორიცაა კანონი და კლასობრივი სტრუქტურა. ეს წარმოშობს წინააღმდეგობას საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს შორის. ამრიგად, სისტემაში მომხდარი რევოლუციური ცვლილება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ წარმოების ტექნოლოგიები ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე სისტემის სხვა ასპექტები. ასეთი სისტემური ცვლილება, თავის მხრივ, უფრო აჩქარებს საწარმოო ძალების განვითარებას. სხვა სიტყვებით, წარმოების საშუალებათა განვითარება არის როგორც სისტემური ცვლილების მიზეზი, ისე მისი შედეგიც.

საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილება ასევე გამოწვეულია საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის შემადგენელ ძირითად კომპონენტთა ცვლილების განსხვავებული ტემპით. მოქმედ პირებს შორის არსებული ის საერთაშორისო ძალთა ბალანსი (მსგავსად ეკონომიკური საწარმოო ძალებისა), რომელიც საერთაშორისო სისტემას უდევს საფუძვლად, ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე სისტემის სხვა კომპონენ-

---

[12] დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი მარქსისტი არ დაეთანხმება მათი დოქტრინის ასეთ დახასიათებას.

[13] სოციალური ცვლილების ჰეგელიანურ-მარქსისტული კონცეფციის შესანიშნავი კრიტიკისათვის იხილეთ დიუპრეს ნაშრომი (1977).

[14] სოციალურ მეცნიერებაში წინასწარმეტყველური თეორიების კარგი კრიტიკა შემუშავებულია ნორთროპის მიერ (1947, გვ. 235-64).

ტები, კერძოდ პრესტიჟის იერარქია და სისტემის წესები. აქაც, ყველა კომპონენტის ერთდროული ცვლილების შემთხვევაში, სისტემა მშვიდობიანად განვითარდებოდა. სწორედ ძალის საერთაშორისო განაწილებისა და სისტემის სხვა კომპონენტების შეცვლის განსხვავებული ტემპები განაპირობებს შეუსაბამობას ანუ წონასწორობის რღვევას სისტემაში, რაც, მოუგვარებლობის შემთხვევაში, სისტემაში ცვლილებას იწვევს. სისტემის ასეთი ცვლილება, თავის მხრივ, კიდევ უფრო აჩქარებს (გარკვეულ მომენტამდე) ძალთა ბალანსის გადახრას სისტემის აღმავალი სახელმწიფოს ან სახელმწიფოების სასარგებლოდ. ამრიგად, სოციალური მეცნიერების ენაზე, სისტემაში ძალის დიფერენცირებული ზრდა არის საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილების მიზეზიც და შედეგიც.

თუმცა, ჰეგელიანურ-მარქსისტული პოზიციის საპირისპიროდ, შეუძლებელია პოლიტიკური შედეგების ან რევოლუციური ცვლილებისა და მისი შედეგის წინასწარმეტყველება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ცვლილების ზოგადი თეორიის შექმნა შესაძლებელია, საბოლოო ჯამში, დაუშვებელია ცვლილების კვლევის განცალკევება კონკრეტული ისტორიული კონტექსტისაგან და იმ სტატიკური ელემენტებისაგან, რომლებიც გავლენას ახდენს პოლიტიკური ცვლილების დაწყებასა და მიმართულებაზე. ცვლილების ახსნა გულისხმობს განმარტებითი თეორიისა და გარკვეული საწყისი პირობების შეჯერებას (ჰარსანი, 1960, გვ. 141). ამ სტატიკური ელემენტების ბუნება შედეგის ხასიათს განსაზღვრავს. არ არსებობს ორი ერთნაირი ჰეგემონური კონფლიქტი; ჰეგემონური ომი შეიძლება ემსახურებოდეს დომინანტი ძლიერი სახელმწიფოს პოზიციის გაძლიერებას ან გამოიწვიოს შორსმიმავალი შედეგების მქონე მოულოდნელი ცვლილებები სისტემაში. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ცვლილების თეორიას შეუძლია ისტორიული მოვლენების ახსნა, ის მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოსადეგი. ის ვერ ჩაენაცვლება იმ სტატიკური და დინამიკური ელემენტების კვლევას, რომლებიც კონკრეტულ საერთაშორისო პოლიტიკურ ცვლილებას იწვევს.

პოლიტიკური ცვლილებისადმი ასეთი არადეტერმინისტური მიდგომა სასარგებლო უნდა იყოს იმ დიდი საკითხის ასახსნელად, რომლის თაობაზეც დღეს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარები ვერ თანხმდებიან. გაბატონებული თვალსაზრისი, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემის დამახასიათებელი ნიშანი ამერიკული ჰეგემონიის შესუსტებაა თითქმის არაფერს გვეუბნება დღევანდელი მოვლენების შედეგებზე და მოცემული საერთაშორისო სისტემის მომავალზე ან, მაგალითად, იმაზე, თუ რა მოყვება მის უეცარ დასრულებას. არსებულის მაგივრად ახალი ჰეგემონური ძალა შეიძლება აღმოცენდეს, შესაძლებელია დამყარდეს ევროპული ძალთა ბალანსის მსგავსი გლობალური ძალთა ბალანსი, ან, როგორც ეს რომის იმპერიის დასუსტების შემთხვევაში მოხდა, მსოფლიო ისევ ქაოსსა და ახალ ბნელ ხანაში შეიძლება აღმოჩნდეს.

თარგმნა მაია ნიკოლაიშვილმა

ჰედლი ბული

არსებობს თუ არა წესრიგი მსოფლიო პოლიტიკაში?*

კითხვა, რომელიც ახლა უნდა დავსვათ ასეთია: არსებობს თუ არა წესრიგი მსოფლიო პოლიტიკაში?

მსოფლიო პოლიტიკურმა წესრიგმა ოდესმე შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტარული მიზნების შენარჩუნების ფორმა მიიღოს ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში, ანუ მთელი კაცობრიობის მომცველ დიდ საზოგადოებაში. რამდენად იცვლება არსებული სახელმწიფოთა სისტემა ამგვარი საზოგადოებით და სასურველია თუ არა, რომ ეს მოხდეს? მოცემული კითხვები მოგვიანებით განიხილება. თუმცა, არ შეიძლება იმის სერიოზულად მტკიცება, რომ კაცობრიობის ერთიანი საზოგადოება უკვე არსებობს. ამ ეტაპზე ჩვენ ჯერ კიდევ იმ აზრს ვართ შეგუებულნი, რომ მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი შედგება საშინაო ანუ სახელმწიფოს შიგნით არსებული წესრიგისაგან და საერთაშორისო ანუ სახელმწიფოებს შორის არსებული წესრიგისაგან.

ვერავინ შეძლებს იმის უარყოფას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში საშინაო ანუ მუნიციპალური წესრიგის მაღალი დონეა, მაგრამ, ამასთანავე, ხშირად ამტკიცებენ, რომ არსებობს არა საერთაშორისო წესრიგი, არამედ მხოლოდ ამ წესრიგისაკენ მისწრაფება, და რომ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია უბრალოდ უწესრიგობისაგან ანუ კონფლიქტისაგან შედგება. ბევრი ადამიანისათვის საერთაშორისო წესრიგის იდეა გულისხმობს არა იმას, რაც წარსულში მომხდარა, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების შესაძლო ან სასურველ მომავალ ვითარებას, რომლის შესახებაც შეიძლება ვიმსჯელოთ ან რომლის მისაღწევადაც შეიძლება ვიღვაწოთ. მათთვის, ვინც ამ თვალსაზრისს იზიარებს, საერთაშორისო წესრიგი უბრალოდ მომავალი მსოფლიოს მოდელია, სიულის, კრიუსეს, სენ-პიერისა და სხვა ირენისტებისა თუ მშვიდობის თეორეტიკოსების კვალად.

ეს ნაშრომი საყრდენ წერტილად იღებს ზემოთქმულის საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომ წესრიგი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული გამოცდილების ნაწილია, ხოლო თანამედროვე სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს და კვლავაც ქმნიან არა მარტო სახელმწიფოთა სისტემას, არამედ საერთაშორისო საზოგადოებასაც. ამ მოსაზრების გასამყარებლად მე, პირველ რიგში, მოვახდენ იმის დემონსტრირებას, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემის მთელი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის არსებობდა საერთაშორისო საზოგადოების იდეა, რომელიც ფილოსოფოსებისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მიერ განცხადდა და დღეს სახელმწიფოთა ლიდერების რიტორიკაში ისმის. მეორე, ვეცდები ვაჩვენო, რომ საერთაშორისო საზოგადოების იდეა, ნაწილობრივ მაინც, ასახულია საერთაშორისო სი-

---

* **Hedley Bull, Does Order Exist in World Politics? from *The Anarchical Society: A Study of Order in World Politics*, New York: Columbia University Press, 1977. Chapter 2, p. 22-50. Reprinted by permission of Columbia University Press.**

ნამდვილეში და რომ მას მნიშვნელოვანი ფესვები აქვს საერთაშორისო პრაქტიკაში. მესამე, წარმოვაჩენ საერთაშორისო საზოგადოების იდეის შეზღუდულ სარგებლიანობას სახელმწიფოთა პრაქტიკული ქმედებებისათვის იმ წესრიგის არასაიმედოობისა და არასრულფასოვნების გამო, რომელსაც ეს იდეა ამკვიდრებს.

საერთაშორისო საზოგადოების იდეა

თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა აზროვნების სამი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტრადიცია: ჰობსისეული ანუ რეალისტური ტრადიცია, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკას ომის მდგომარეობად განიხილავს; კანტისეული ანუ უნივერსალისტური ტრადიცია, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკაში კაცობრიობის ერთიანობის პოტენციალს ხედავს; და გროციუსისეული ანუ ინტერნაციონალისტური ტრადიცია, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის მოქმედების არეალად საერთაშორისო საზოგადოებას მიიჩნევს.[1] აქ მე განვმარტავ, თუ რა არის არსებითი საერთაშორისო საზოგადოების გროციუსისეული ანუ ინტერნაციონალისტური, იდეისათვის და რა განასხვავებს მას, ერთი მხრივ, ჰობსისეული ანუ რეალისტური ტრადიციისაგან და, მეორე მხრივ, კანტისეული ანუ უნივერსალისტური ტრადიციისაგან. აზრთა ეს თითოეული ტრადიციული წყობა თავის თავში მოიცავს საერთაშორისო პოლიტიკის ბუნების აღწერასა და არაერთ რეკომენდაციას საერთაშორისო ქცევისათვის.

ჰობსისეული ტრადიცია საერთაშორისო ურთიერთობებს აღწერს როგორც ყველას ომს ყველას წინააღმდეგ, როგორც ბრძოლის ასპარეზს, სადაც თითოეული სახელმწიფო ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მტერია. საერთაშორისო ურთიერთობები, ჰობსისეული ხედვით, წარმოადგენს ნამდვილ კონფლიქტს სახელმწიფოებს შორის და წააგავს მთლიანად გამანადგურებელ ანუ ნულოვანჯამიან თამაშს, რომელშიც თითოეული სახელმწიფოს ინტერესები ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ინტერესებს გამორიცხავს. საერთაშორისო ქმედება, რომელიც ჰობსისეული ხედვით, ყველაზე ტიპურია მთლიანად საერთაშორისო ქმედებებს შორის და საუკეთესოდ ხსნის მათ არსს, არის ომი. მშვიდობა, ჰობსის აზრით, სხვა არაფერია თუ არა წინა ომის შემდგომ ძალების აღდგენისა და მომდევნო ომისათვის მზადების პერიოდი.

საერთაშორისო ასპარეზზე ქცევის ჰობსისეული რეკომენდაცია იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო თავისი მიზნების მიღწევის გზაზე თავისუფალია ზნეობრივი და სამართლებრივი შეზღუდვებისაგან სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. ზნეობისა და სამართლის იდეები, ამ ხედვის თანახმად, მხოლოდ საზოგადოებაშია გამოსადეგი, მაგრამ საერთაშორისო ცხოვრება საზოგადოების ფარგლებს სცდება. თუ საერთაშორისო პოლიტიკაში რაიმე ზნეობრივი ან სამართლებრივი მიზნებისაკენ სწრაფვაა აუცილებელი, ესენი მხოლოდ სახელმწიფოს ზნეობრივი ან სამართლებრივი მიზნები შეიძლება იყოს. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო ზნეობისა და სამართლის ვაკუუმში ახორციელებს საგარეო პოლიტიკას (მაკიაველი) ან, რომ სახელმწიფოს ზნეობრივი ქცევა იმგვარი საგარეო პოლიტიკის გატარებაა, რომელიც თვით ამ სახელმწიფოს თვითდამკვიდრებას ემსახურება (ჰეგელი და მისი მიმდევრები). ჰობსისეული ტრადიციის მიმდევართათვის, ის წესები და პრინციპები,

[1] ეს სამმაგი დაყოფა მარტინ უაითისაგან მომდინარეობს. ამგვარი დაყოფა საუკეთესოდაა აღწერილი მის სტატიაში: "Western Values in International Relations" in *Diplomatic Investigations*, ed. Herbert Butterfield and Martin Wight (London: Allen & Unwin, 1967). ეს დაყოფა ასევე განხილულია ჩემს სტატიაში: "Martin Wight and the Theory of International Relations. The Second Martin Wight Memorial Lecture," *British Journal of International Studies*, Vol II, No. 2 (1976).

რომლებიც შეიძლება ზღუდავდეს ან აკავებდეს სახელმწიფოებს ერთმანეთთან ურთიერთობაში, არის მხოლოდ სიფრთხილე და მიზანშეწონილობა. ამდენად, შეთანხმებები შეიძლება დავიცვათ, თუ ეს მიზანშეწონილია ქვეყნის ინტერესებისათვის და დავარღვიოთ, თუ ეს მიზანშეწონილი არ არის.

კანტისეული ანუ უნივერსალისტური ტრადიცია, ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ, მიიჩნევს, რომ საერთაშორისო პოლიტიკის არსი გამოიხატება არა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტში, როგორც ესაა ჰობსისეული ხედვით, არამედ ტრანსნაციონალურ საზოგადოებრივ კავშირებში, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ინდივიდებს – სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს ან მოქალაქეებს. კანტისეული ხედვით, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები მხოლოდ გარეგნულადაა საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი თემა, სინამდვილეში კი საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადია კაცობრიობის წევრი ყველა ადამიანის ურთიერთობა – რომელიც პოტენციურად არსებობს, (თუნდაც მოცემული მომენტისათვის არ არსებობდეს), ხოლო როდესაც რეალობად იქცევა, სახელმწიფოთა სისტემას დავიწყების მორევში გადაუძახებს.[2]

უნივერსალისტური ხედვით, მთელი კაცობრიობის საზოგადოებაში ყველა ადამიანს ერთი და იგივე ინტერესები აქვს. ასეთნაირად დანახული საერთაშორისო პოლიტიკა არა მთლიანად გამანაწილებელი, ნულოვანჯამიანი თამაშია, როგორც ამას ჰობსის მიმდევრები ამტკიცებენ, არამედ მთლიანად თანამშრომლობითი ანუ არანულოვანჯამიანი თამაში. სახელმწიფოთა მმართველ ჯგუფებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, მაგრამ ეს მხოლოდ სახელმწიფოთა სისტემის ზედაპირულ დონეზე და მოკლე ვადით ხდება. საკუთრივ ინტერესები ყველა ხალხს საერთო აქვს. საერთაშორისო ქმედება, რომელიც, კანტისეული ხედვით, საერთაშორისო ქმედებებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია, არის იდეოლოგიის ჰორიზონტალური კონფლიქტი. ის სახელმწიფოთა საზღვრებს კვეთს და ადამიანთა საზოგადოებას ორ ნაწილად ყოფს – კაცობრიობის იმანენტური ერთობის მხარდამჭერებად და ხელის შემშლელებად, ჭეშმარიტი რწმენის მატარებლებად და ერეტიკოსებად, გამათავისუფლებლებად და ჩაგრულებად.

საერთაშორისო ზნეობრიობის კანტისეული ანუ უნივერსალისტური ხედვა, ჰობსისეული კონცეფციისაგან განსხვავებით, გულისხმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არის ზნეობრივი იმპერატივები, რომლებიც სახელმწიფოთა მოქმედებას ზღუდავს, მაგრამ ეს იმპერატივები მიმართულია არა სახელმწიფოთა თანაარსებობისა და თანამშრომლობისაკენ, არამედ სახელმწიფოთა სისტემის გაუქმებისა და კოსმოპოლიტური საზოგადოებით მისი შეცვლისაკენ. კაცობრიობის ერთობა, კანტისეული ხედვით, არ არის მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი რეალობა იმ გაგებით, რომ არიან ძალები, რომლებსაც მისი განხორციელება შეუძლიათ; ის ზნეობრივი მისწრაფების უმაღლესი მიზანი ან ამოცანაცაა. წესები, რომლებიც სახელმწიფოებს შორის თანაარსებობასა და საზოგადოებრივ ურთიერთქმედებას უწყობს ხელს, უნდა უგულებელვყოთ, თუ ამას უფრო მაღალი ზნეობრიობის იმპერატივები მოითხოვს. ერეტიკოსებთან ჭეშმარიტ რწმენას არავითარი აზრი არ აქვს, ტაქტიკური გამოყენების გარდა. აღზევებულთა და დაცემულთა, გამათავისუფლებელთა და ჩაგრულთა შორის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთმისაღები უფლებების საკითხი არასოდეს წამოიჭრება.

[2] კანტის დოქტრინაში, რასაკვირველია, არსებობს ამბივალენტობა, ერთი მხრივ, ნაშრომში: „უნივერსალური ისტორიის იდეა კოსმოპოლიტური თვალსაზრისით" (1784) გამოხატულ უნივერსალიზმსა და, მეორე მხრივ, „მარადიულ მშვიდობაში" (1795) დაკავებულ პოზიციას შორის, სადაც კანტი „რესპუბლიკური" სახელმწიფოების ლიგის შექმნის მიზანს იზიარებს.

გროციუსისეული ანუ ინტერნაციონალისტური ტრადიცია რეალისტურ და უნივერსალისტურ ტრადიციებს შორის დგას. გროციუსისეული ტრადიცია საერთაშორისო პოლიტიკას სახელმწიფოთა საზოგადოების ანუ საერთაშორისო საზოგადოების ასპექტში აღწერს.[3] ჰობსისეული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, გროციუსის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოები უბრალოდ ბრძოლაში კი არ არიან ჩართულნი, როგორც გლადიატორები არენაზე, არამედ შეზღუდულნი არიან ერთმანეთთან კონფლიქტში საერთო წესებითა და ინსტიტუტებით. კანტისეული ანუ უნივერსალისტური თვალთახედვისაგან განსხვავებით, გროციუსის მიმდევრები აღიარებენ ჰობსისეულ წინაპირობას, რომ სუვერენები და სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი რეალობაა, ხოლო საერთაშორისო საზოგადოების უშუალო წევრები არიან სახელმწიფოები და არა ცალკეული ადამიანები. საერთაშორისო პოლიტიკა, გროციუსისეული თვალსაზრისით, არც სახელმწიფოთა შორის ინტერესების სრულ კონფლიქტს გამოხატავს და არც ინტერესთა სრულ იგივეობას; ის წააგავს თამაშს, რომელიც ნაწილობრივ გამანაწილებელი, მაგრამ ნაწილობრივ მწარმოებლურია. საერთაშორისო ქმედება, რომელიც, გროციუსისეული ხედვით, ყველაზე უკეთ გამოხატავს საერთაშორისო აქტივობას მთლიანად, არის არა სახელმწიფოთა შორის ომი და არც სახელმწიფოთა საზღვრების მკვეთი ჰორიზონტალური კონფლიქტი, არამედ ვაჭრობა – ან, უფრო ზოგადად, ერთი ქვეყნის მეორესთან ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთქმედება.

საერთაშორისო ქცევის გროციუსისეული რეკომენდაცია ითვალისწინებს იმას, რომ სახელმწიფოები ერთმანეთთან გარიგებისას შეზღუდულნი არიან მათ მიერვე შექმნილი საზოგადოებრივი წესებითა და ინსტიტუტებით. ჰობსის მიმდევრებისაგან განსხვავებით, გროციუსისეული ხედვის თანახმად, სახელმწიფოებს ავალდებულებს არა მარტო სიფრთხილისა და მიზანშეწონილობის წესები, არამედ ზნეობრიობისა და სამართლის იმპერატივებიც, მაგრამ, უნივერსალისტების ხედვისაგან განსხვავებით, ეს იმპერატივები სახელმწიფოებს არსებული სახელმწიფოთა სისტემის უგულებელყოფასა და მისი უნივერსალური საკაცობრიო ერთობით შეცვლას კი არ კარნახობს, არამედ სახელმწიფოთა საზოგადოებაში თანაარსებობისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს.

თითოეული ეს ტრადიცია შეიცავს საერთაშორისო პოლიტიკის უამრავ დოქტრინას, რომელთა შორის მხოლოდ სუსტი ურთიერთკავშირი არსებობს. სხვადასხვა პერიოდში ყოველი აზრი განსხვავებული იდიომის სახით და განსხვავებულ საკითხებთან და პრაქტიკულ პრობლემებთან დაკავშირებით ჩნდება ხოლმე. აქ უადგილო იქნება თითოეული ტრადიციის შიგნით არსებული კავშირებისა და განსხვავებების გამოკვლევა. საჭიროა მხოლოდ იმ ფაქტის მხედველობაში მიღება, რომ სახელმწიფოთა სისტემის შესახებ ნააზრევში საერთაშორისო საზოგადოების გროციუსისეული იდეა ყოველთვის ფიგურირებდა, ხოლო ბოლო სამი თუ ოთხი საუკუნის განმავლობაში მან საგრძნობი მეტამორფოზა განიცადა.

ქრისტიანული საერთაშორისო საზოგადოება

მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში, როდესაც დასავ-

[3] მე თავად ვიყენებდი ტერმინს „გროციუსისეული" ორი მნიშვნელობით: 1) როგორც აქ, იმ ფართო დოქტრინის აღსანერად, რომ არსებობს სახელმწიფოთა საზოგადოება; და 2) ამ დოქტრინის სოლიდარისტული ფორმის აღსანერად, რომელიც აერთიანებს თავად გროციუსსა და მეოცე საუკუნის ნეოგროციანელებს, საერთაშორისო საზოგადოების პლურალისტული კონცეფციის საპირისპიროდ, რომელსაც მხარს უჭერდა ვატელი და მოგვიანებით ზოგიერთი პოზიტივისტი ავტორი. იხილეთ: "The Grotian Conception of International Society" in *Diplomatic Investigations*.

ლური ქრისტიანული სამყაროს უნივერსალური პოლიტიკური ორგანიზაცია დეზინტეგრაციას განაგრძობდა, ხოლო თანამედროვე სახელმწიფოები ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდნენ, გამოიკვეთა აზროვნების სამი მიმართულება, რომლებიც ახალი საერთაშორისო პოლიტიკის ახსნასა და მის ფარგლებში მისაღები ქცევის განსაზღვრას ცდილობდა. ერთი მხრივ, ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ მაკიაველი, ბეკონი და ჰობსი მიიჩნევდნენ, რომ ახალწარმოქმნილი სახელმწიფოები იმ საზოგადოებრივ და ზნეობრივ ვაკუუმში უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რომელიც შესუსტებულმა *Respublica Christiana**-მ დატოვა. მეორე მხრივ კი, პაპისტი და იმპერიალისტი ავტორები არიერგარდულ ბრძოლებს აწარმოებდნენ პაპისა და იმპერატორის უნივერსალური ხელისუფლების იდეის დასაცავად. ამ ალტერნატიული მიმართულებებისაგან განსხვავებით, მოაზროვნეთა მესამე ჯგუფმა, ბუნებითი სამართლის ტრადიციაზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ მონარქები, იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივ მეტოქეებზე გაბატონდნენ და გარეშე ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელნი გახდნენ, მაინც შემოჭილნი იყვნენ საერთო ინტერესებითა და წესებით. როგორც გირკე აღნიშნავს:

> მსოფლიო მონარქიის შუასაუკუნეობრივი იდეა ბუნებითი სამართლის სკოლის მოაზროვნეთათვის უცხო იყო. მათ საღვთო რომის იმპერიის პუბლიცისტებს მიანდეს აჩრდილად ქცეული ძველი *imperium mundi**-ს ქაღალდის წყებებზე მუდმივად დაბრუნების ამოცანა, მაგრამ, ამავდროულად, აზროვნების ამ მომაკვდავი სისტემის ურყევი საფუძველი *საერთაშორისო საზოგადოების* ახალი და ნაყოფიერი იდეით ჩაანაცვლეს . . . ერთი მხრივ, უწყვეტი ხასიათი ჰქონდა საერთაშორისო საზოგადოების მსოფლიო სახელმწიფოდ გარდაქმნისა და მისი რესპუბლიკის სახით ორგანიზებული ზესახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ხელისუფლებით აღჭურვის ტენდენციას, მეორე მხრივ, კი სუვერენიტეტის თეორიის უფრო მტკიცე მომხრეები *in toto** უარყოფდნენ ყველა სახელმწიფოს შემკვრელი ბუნებრივი ერთობის იდეას, მაგრამ დოქტრინა, რომელიც გაბატონდა და საერთაშორისო სამართლის მომავალი განსაზღვრა, ემყარებოდა იმ თვალსაზრისს, რომ ბუნებითი სამართალი ყველა ერს აკავშირებდა, თანაც ისე, რომ არ განაპირობებდა მთელის ბატონობას მის შემადგენელ ნაწილებზე და ორმხრივ საზოგადოებრივ უფლებებსა და მოვალეობებს მოიცავდა.[4]

ამ პერიოდის ბუნებითი სამართლის დოქტრინის მიმდევარ მოაზროვნეთა (ვიტორია, სუარესი, ჯენტილი, გროციუსი, პუფენდორფი) მიერ აღქმულ საერთაშორისო საზოგადოებას შემდეგი ძირითადი მახასიათებლები ჰქონდა: პირველი, მათი აზრით, საზოგადოებას საფუძვლად ედო ქრისტიანული ღირებულებები. ყველა ამ მოაზროვნის წარმოდგენაში, ბუნებითი სამართლის იდეა, რომელიც ნებისმიერ ადგილას ყველა ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავდა, გულისხმობდა, რომ ქრისტიანებსა და დანარჩენ ხალხებს შორის საზოგადოებრივი კავშირები არსებობდა. ვიტორიას ასეთად მიაჩნდა სტუმართმოყვარეობის უნივერსალური კანონები, რომლებიც ერთნაირად ავალდებულებდა ესპანელებსაც და ინდიელებსაც ამერიკის კონტინენტზე. გროციუსი, როდესაც ამტკიცებდა, რომ ბუნებითი სამართალი ხალხთა სამართლის ძირითადი წყაროა და ღმერთის არარსებობის შემთხვევაშიც გამოსადეგია, ვარაუდობდა, რომ საერთაშორისო საზოგადოება საბოლოოდ შეიძლება გამომშვიდობებოდა თავის ქრისტიანულ საფუძვლებს. კათოლიკურ და პროტესტანტულ სახელმწიფოთა თანაარსებობისათვის პრინციპების ძიებამ საერო პრინციპე-

* ქრისტიანული რესპუბლიკა
* მსოფლიო იმპერია
* მთლიანად
[4] Otto Gierke, *Natural Law and the Theory of Society 1500 to 1800*, trans. Ernest Barker (Boston: Beacon Press, 1957), p. 85.

ბამდე მიგვივიყვანა.

მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების ამ თეორეტიკოსებიდან არც ერთი არ მიიჩნევდა, რომ ქრისტიანულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა იმავე საფუძველს ემყარებოდა, რასაც მათი ურთიერთობა არაქრისტიანულ ქვეყნებთან. გროციუსისთვისაც კი, მთელი კაცობრიობის ფართომომცველი წრის შიგნით, რომელიც ბუნებითი სამართლის პრინციპებით იყო ურთიერთშეკავშირებული, არსებობდა ქრისტიანული სამყაროს უფრო ვიწრო წრე, რომელსაც ავალდებულებდა ნებაყოფლობითი საღმრთო სამართალი, მემკვიდრეობით მიღებული *ius gentium*-ის ჩვეულებები და წესები, კანონიკური და რომაული სამართალი. ესპანელი სქოლასტიკოსების, ვიტორიასა და სუარესის აზრით კი, ბუნებითი სამართალი განუყოფელი იყო საღმრთო სამართლისაგან. ხელშეკრულებათა ხელმოწერას იმ ეპოქაში თან სდევდა რელიგიური ფიცი. ქრისტიანული საზოგადოებები ძლიერ განსხვავებულად გრძნობდნენ თავს სხვა, არაქრისტიანული ძალებისაგან, განსაკუთრებით კი ოსმალებისაგან, რომლებიც რეალურ საფრთხეს წარმოადგენდნენ.

მეორე, იმ პერიოდის თეორეტიკოსებს ნათლად განსაზღვრული არ ჰქონდათ, თუ ვინ არიან საერთაშორისო საზოგადოების წევრები; წევრობის არავითარი ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი ან კრიტერიუმი არ ყოფილა დადგენილი. როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული კონცეფცია, რომ სახელმწიფო ახალი დროის ევროპაში ყველა სამეფოს, საჰერცოგოს, სამთავროსა და რესპუბლიკის საერთო ფორმაა, „სახელმწიფოდ" წოდებული ერთი სახის ერთეულებისაგან შემდგარი საზოგადოების იდეა ვერ ჩამოყალიბდებოდა. ვიტორიას, სუარესისა და თვით გროციუსის ნაშრომებში ხალხთა სამართლით შეკავშირებული პოლიტიკური ერთეულები მოიხსენიებიან არა მარტო ტერმინით *civitates*,* არამედ აგრეთვე როგორც: *principes*,* *regni*,* *gentes*,* *respublicae*.* ბუნებითი სამართლის დოქტრინა, რომელსაც ემყარებოდა ამ პერიოდის ყველა ინტერნაციონალისტის კონცეფცია მონარქებისა და მათ მიერ მართული საზოგადოებებისათვის სავალდებულო წესების შესახებ, უფლებებისა და მოვალეობების მატარებლებად ცალკეულ ადამიანებს უფრო მიიჩნევდა, ვიდრე მათ გაერთიანებებს, მაგალითად სახელმწიფოებს.

მესამე, ამ პერიოდში გაბატონებული საერთაშორისო საზოგადოების იდეა, ქრისტიანი მონარქებისა და ერთობებისათვის სავალდებულო წესების წყაროთა განსაზღვრისას უპირატესობას ანიჭებდა ბუნებით სამართალს და არა იმას, რასაც დღეს პოზიტიური საერთაშორისო სამართალი ეწოდება. გროციუსის აზრით, ბუნებით სამართალს, საღმრთო სამართლის გარდა, ავსებდა რომაული *ius gentium*-ისაგან მემკვიდრეობით მიღებული წესები და არსებული სახელშეკრულებო სამართალი, რომელსაც შუა საუკუნეებში განვითარებული სავაჭრო და საზღვაო სამართალი შეიცავდა. მაგრამ მონარქებსა და ხალხებს ერთმანეთთან ურთიერთობაში გარკვეული წესები იმიტომ ავალდებულებდა, რომ მონარქებიც და ხალხებიც ადამიანები იყვნენ და, მაშასადამე, ბუნებით სამართალს ექვემდებარებოდნენ. ადრეული ინტერნაციონალისტების მიერ ბუნებითი სამართლისათვის მინიჭებული უპირატესობა იმ თვალსაზრისს ასახავდა, რომ, დასავლური ქრისტიანული სამყაროსაგან მემკვიდრეობით მიღებული პოზიტიური სამართალი აღარ შეესაბამებოდა ახალ პოლიტიკურ რეალობებს. ბუნებრივი სამართლის მოხმობით მათ იმედი ჰქონდათ, რომ ხალხთა სამარ-

* ხალხთა სამართალი
* სამოქალაქო ერთობები
* სამთავროები
* სამეფოები
* ხალხები
* რესპუბლიკები

თალს არსებული პრაქტიკის შეზღუდვებისაგან გაათავისუფლებდნენ და ახალი ვითარების შესაბამის წესებს შეიმუშავებდნენ.

ამ ადრეულ პერიოდში აღმოცენებული საერთაშორისო საზოგადოების იდეის მეოთხე დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობდა, რომ მის მიერ განცხადებული თანაარსებობის წესები ჯერ კიდევ ჩანასახოვანი და უნივერსალური საზოგადოების ვარაუდებით აღსავსე იყო. ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსები ბოლომდე ვერ გათავისუფლდნენ რომაული ტერმინის *ius gentium*-ის ორაზროვნობისაგან, რომელიც ახალ დროში „საერთაშორისო სამართალს," ანუ სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის სამართალს ნიშნავდა, თავდაპირველი გაგებით კი – ყველა ხალხისათვის საერთო კანონს გულისხმობდა.

ეს გამოვლინდა მათ მცდელობებში, ჩამოეყალიბებინათ საერთაშორისო საზოგადოების წევრებს შორის ძალადობის შემზღუდველი ძირითადი წესები. ამრიგად, ყველა ადრეული ინტერნაციონალისტი, თომიზმის ტრადიციის შესაბამისად, ამტკიცებდა, რომ ომს უნდა აწარმოებდნენ მხოლოდ შესაბამისი ხელისუფლებით აღჭურვილნი, სამართლიანი მიზეზის გამო და სამართლიანი საშუალებებით. მაგრამ ეს თეორეტიკოსები ძლივძლივობით მიიკვლევდნენ გზას თანამედროვე დოქტრინებისაკენ, რომელთა მიხედვითაც მხოლოდ საჯარო ხელისუფლებას აქვს ომის წარმოების უფლება და მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს ამგვარ ხელისუფლებად. კერძო ომის აკრძალვას გროციუსიც კი არ ცდილობდა. მისი დოქტრინა ზღვათა თავისუფლების შესახებ, გამოთქმული ნაშრომში *Mare Liberum** (1609), ჰოლანდიური ოსტინდოეთის კომპანიის მიერ გაჩაღებული საომარი მოქმედებების დაცვისას წარმოიშვა. გროციუსი არც იმ დოქტრინას აცხადებდა უეჭველად, რომ ომის სამართლიანად ან სამართლიანი საშუალებებით წარმოების წესები ორივე მხარეს იცავს და არა მხოლოდ იმას, რომელიც სამართლიანი მიზეზით ომობს. ომის წარმოების ხერხების შეზღუდვისა და მისი გეოგრაფიული გავრცელების შეკავების საჭიროებაზე საუბრისას გროციუსი ხელშეკრული იყო ერთგულებით სოლიდარისტული ანუ უნივერსალისტური იდეისადმი, რომელიც გულისხმობს, რომ ამ შეზღუდვებმა ხელი არ უნდა შეუშალოს სამართლიანი მიზეზით მეომარ მხარეს. ყველა ადრეული ინტერნაციონალისტი, ჯენტილის გამოკლებით, ვერ ეგუებოდა იმ იდეას, რომელიც მოგვიანებით საფუძვლად დაედო მცდელობას, სახელმწიფოებს შორის ომი საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუტად ყოფილიყო აღიარებული. ამ იდეის თანახმად, ომის ორივე მონაწილე მხარეს სამართლიანი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს არა მარტო „სუბიექტურად," არამედ ობიექტურადაც.

უნივერსალისტური ვარაუდების გაზიარება ადრეული ინტერნაციონალისტების მიერ ხელშეკრულებათა სიწმიდის წესის მიმართ დამოკიდებულებაშიც ჩანს. ყველა მათგანი მხარს უჭერდა პრინციპს *pacta sunt servanda*,* მაგრამ ხელშეკრულებებს კერძო სამართლებრივი კონტრაქტების ანალოგიურად ეპყრობოდა. ასე მაგალითად, იმ პერიოდში ჯერ კიდევ ფართოდ იყო აღიარებული, რომ ხელშეკრულებები სავალდებულოა მხოლოდ იმ მონარქებისათვის, რომლებმაც მათ ხელი მოაწერეს, მაგრამ არა მათი მემკვიდრეებისათვის; რომ ძალდატანებით დადებული ხელშეკრულებები, კერძო კონტრაქტების მსგავსად, სავალდებულო არაა; და რომ ისინი სავალდებულოდ რჩება მიუხედავად იმისა, თუ დაირღვა *clausula rebus sic stantibus** ანუ მითითება, რომ ხელშეკრულება ძალაშია, თუ პირობები არ შეცვლილა. შორსმჭვრეტელი ჯენტილი ცდილობდა, საკამათოდ გაეხადა ეს თვალსაზრისი, მოგვი-

* თავისუფალი ზღვა
* ხელშეკრულებები უნდა სრულდებოდეს
* კლაუზულა ვითარების უცვლელობის თაობაზე

ანებით კი, მასზე დაყრდნობით, გროციუსმა განავითარა ზოგადი თეორია ხელშეკრულების, როგორც კონტრაქტის განსხვავებული სახეობის შესახებ, მაგრამ ეს მოაზროვნეებიც კი, გარკვეულწილად, კერძო კონტრაქტის ანალოგიის გავლენის ქვეშ დარჩნენ.

მსგავსად ამისა, უნივერსალისტურმა ვარაუდებმა ხელი შეუშალა ამ მოაზროვნეებს, შეემუშავებინათ სუვერენიტეტის, როგორც საერთაშორისო საზოგადოების წევრ სახელმწიფოთა ატრიბუტის, ან სუვერენიტეტის ორმხრივად აღიარების, როგორც შეთანხმებული თანაარსებობის ძირითადი ელემენტის ნათელი კონცეფცია. სუვერენიტეტის ცნებას, რომელიც ბოდენმა განავითარა (თავის ნაშრომში *Six livres de la République*[*] 1576 წელს), არავითარი გავლენა არ მოუხდენია საერთაშორისო აზროვნებაზე საკმაოდ გვიანდელ ხანამდე. ამ იდეის კვალი შეგვიძლია ვიპოვოთ სუარესის „სრულყოფილი ერთობის" კონცეფციაში ან გროციუსის ტერმინში *summum imperium,*[*] ასევე ტენდენციაში, გამოეყენებინათ რომაული სამართლის ცნება *dominium*[*] ანუ კერძო საკუთრება იმ მნიშვნელობით, რომ ტერიტორია და მასზე მოსახლე ხალხი მმართველის მემკვიდრეობაა, რომელიც მისი ნებისამებრ შეიძლება განიკარგოს. მაგრამ ამ იდეას აკლია კონცეფცია, რომ ტერიტორიისა და მოსახლეობის უცხო ქვეყნის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი კონტროლი ყველა სახელმწიფოს განუყოფელი უფლებაა.

ადრეული ინტერნაციონალისტების მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო საზოგადოების იდეის მეხუთე თავისებურება ის იყო, რომ მას არ განუსაზღვრავს ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფოთა თანამშრომლობიდან გამომდინარეობს. ერთი მხრივ, არსებული „საერთაშორისო" ანუ „ზესახელმწიფოებრივი" ინსტიტუტები დაცემის გზაზე მდგარი იმპერიისა და პაპობის კუთვნილება იყო და არ მომდინარეობდა სახელმწიფოთა თანამშრომლობიდან ან თანხმობიდან; მეორე მხრივ კი, თანამშრომლობის ტრადიცია, რომელსაც სახელმწიფოები ავითარებდნენ, ჯერ კიდევ არ აღიქმებოდა ამ ინსტიტუტების შემცვლელად.

ამგვარად, საერთაშორისო საზოგადოების ყველა ადრეულმა თეორეტიკოსმა გარკვეული წვლილი შეიტანა იმის განვითარებაში, რაც მოგვიანებით „საერთაშორისო სამართლის" სახელწოდებით გახდა ცნობილი და სახელმწიფოთა საზოგადოების ერთერთ ცენტრალურ ინსტიტუტადაა მიჩნეული, მაგრამ ამ თეორეტიკოსებს არ უცდიათ, ხალხთა სამართლის დაფუძნება სახელმწიფოთა ურთიერთობებში არსებულ პრაქტიკაზე. ბუნებითი სამართლითა და საღმრთო სამართლით მათი გატაცება სწორედ ის ფაქტორი იყო, რომელმაც შეაფერხა საერთაშორისო სამართლის, როგორც ზნეობის ფილოსოფიისა და თეოლოგიისაგან განსხვავებული დისციპლინისა და მეთოდის ჩამოყალიბება.

დიპლომატიის ინსტიტუტი ფაქტობრივად ამ პერიოდში განვითარდა; მუდმივი ელჩების ინსტიტუტი, რომელიც იტალიაში გაჩნდა მეთხუთმეტე საუკუნეში, საყოველთაო გახდა ალპების ჩრდილოეთით მეთექვსმეტე საუკუნეში, ხოლო პეტრე დიდის დროს რუსეთშიც გავრცელდა. ამ პერიოდის თეორეტიკოსებმა გააანალიზეს ახალი ინსტიტუტი და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წესები; განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯენტილის ნაშრომი *De Legationibus*[*] (1584), რომელმაც მოგვცა ელჩების ხელშეუხებლობის პრინციპის პირველი სისტემატური გამოკვლევა, გროციუსმა კი შემოიტანა ელჩის „ექსტრატერიტორიულობის" ცნება. მაგრამ მათ

[*] ექვსი წიგნი რესპუბლიკის შესახებ
[*] უზენაესი ძალაუფლება
[*] სამფლობელო
[*] ელჩობათა შესახებ

არ ჰქონიათ მცდელობა, დიპლომატიური წარმომადგენლობების მუშაობაში სახელმწიფოთა თანამშრომლობა ან მთავრობათა მეთაურების „უმაღლესი დონის კონფერენციები" (რომლებიც ამ პერიოდში საკმაოდ ხშირად იმართებოდა) წარმოეჩინათ როგორც დამადასტურებელი საბუთები სახელმწიფოთა საზოგადოების არსებობისა.

ამ თეორეტიკოსებიდან არც ერთს არ განუხილავს ძალთა ბალანსი და არ მიუღია ის მხედველობაში საერთაშორისო საზოგადოების კონცეფციის შემუშავებისას. ძალთა ბალანსის ინსტიტუტი, როგორც ერთი რომელიმე სახელმწიფოს გაბატონებისათვის ხელის შეშლის შეგნებული მცდელობა, ფილიპე მეორის წინააღმდეგ ჩამოყალიბებული კოალიციის დროიდან იღებს სათავეს. ძალთა ბალანსის შენარჩუნება 1648 წლის ვესტფალიის ზავის ფარული მიზანი იყო, რომელმაც წერტილი დაუსვა ჰაბსბურგთა პრეტენზიებს უნივერსალურ მონარქიაზე, მაგრამ საერთაშორისო თეორიამ გაცილებით გვიან (ლუი მეთოთხმეტის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში) აღიარა ძალთა ბალანსი საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუტად, ხოლო ადრეული პერიოდის ავტორები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ამ თეორიის განვითარებაში (გვიჩარდინი, კომინესი, ოვერბერი, როანი), მიეკუთვნებოდნენ ისტორიული და პოლიტიკური კომენტირების განსხვავებულ ტრადიციას, რომლის დასკვნებიც არ იქნა ჩართული საერთაშორისო საზოგადოების ბუნებითი სამართლის თეორიაში.

ამ უკანასკნელი ტრადიციის წარმომადგენლები არ იყენებდნენ არც დიდი სახელმწიფოსა და არც საერთაშორისო საზოგადოებაში მისი როლის კონცეფციას. ისინი, ნამდვილად, მმართველთა იერარქიის კატეგორიებით აზროვნებდნენ, მაგრამ ეს იერარქია განისაზღვრებოდა დაკნინების პროცესში მყოფი უნივერსალური საზოგადოების სტატუსითა და პრეცედენტით და არა შეფარდებითი ძალაუფლებით (სწორედ ასე განიხილავდნენ ამ პერიოდის დიდ სახელმწიფოებს ისეთი წამყვანი ავტორები, როგორებიც იყვნენ როანი და ბოლინგბროკი) ან სახელმწიფოთა ფართო საზოგადოების მიერ გარკვეული სახელმწიფოებისათვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებითა და ვალდებულებებით.

ევროპული საერთაშორისო საზოგადოება

მეთერამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში, როდესაც დასავლური ქრისტიანული სამყაროს კვალი თითქმის გაქრა საერთაშორისო პოლიტიკის თეორიიდან და პრაქტიკიდან, როდესაც სახელმწიფო სავსებით ჩამოყალიბდა, თავდაპირველად, თავის დინასტიურ ანუ აბსოლუტისტურ ფაზაში, მოგვიანებით კი – ეროვნულ ანუ სახალხო ფაზაში, როდესაც დაგროვდა და შესწავლილ იქნა ახალი სახელმწიფოთაშორისო პრაქტიკა, საერთაშორისო საზოგადოების იდეამაც განსხვავებული ფორმა მიიღო. მას შემდეგ, რაც ბუნებითმა სამართალმა პოზიტიურ საერთაშორისო სამართალს დაუთმო ადგილი, პოლიტიკისა და სამართლის თეორეტიკოსთა იდეები შეერწყა, ერთი მხრივ, ისტორიკოსთა ნააზრევს, რომლებიც სახელმწიფოთა სისტემის პრაქტიკის მატიანის დაწერას ცდილობდნენ, მეორე მხრივ კი, იმ სახელმწიფო მოღვაწეთა იდეებს, რომლებიც სახელმწიფოთა სისტემას მართავდნენ. საერთაშორისო საზოგადოების იდეის ისტორია ამ პერიოდში უკავშირდება როგორც ისტორიკოსებს, ისე სახელმწიფო მოღვაწეებს, მათ შორის ბინკერშოკს, ვოლფს, ვატელს, ჯ. ჯ. მოზერს, ბერკს, ჯ. ფ. ფონ მარტენსს, გენცს, ანსიონს, ჰეერენს, რანკეს, კესტლრის, ფილიმორს, გლედსტოუნსა და სოლსბერის.

ამ პერიოდის თეორეტიკოსების მიერ აღქმული საერთაშორისო საზოგადოება თავისი ღირებულებებითა და კულტურით იდენტიფიცირებული იყო, როგორც უფრო ევროპული, ვიდრე ქრისტიანული. მინიშნებები ქრისტიანულ სამყაროზე ან საღმრ-

თო სამართალზე, როგორც სახელმწიფოთა საზოგადოების შემაკავშირებელზე, შესუსტდა და გაქრა, ისევე, როგორც – რელიგიური ფიცი ხელშეკრულებებში. მათი ადგილი ევროპაზე მინიშნებამ დაიკავა, მაგალითად, წიგნების სათაურებში: 1740-იან წლებში აბატმა დე მაბლიმ გამოაქვეყნა თავისი *Droit public de l'Europe,** 1770-იან წლებში ჯ. ჯ. მოზერმა დაბეჭდა თავისი *Versuch des neuesten Europaischen Volkerrechts,** ხოლო 1790-იან წლებში ბერკმა დაგმო საფრანგეთის მონარქიის დამამხობელი დირექტორია „ევროპის საჯარო სამართლის" დარღვევისათვის.[5]

სახელმწიფოთა საზოგადოების განსაკუთრებული, ევროპული ხასიათის განცდა სულ უფრო იზრდებოდა, რასაც თან ახლდა გარე სამყაროსაგან ევროპის კულტურული განსხვავებულობის შეგრძნებაც: გაცნობიერება იმისა, რომ ევროპული სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობდნენ ქცევის იმ კოდექსით, რომელსაც საერთოდ არ იყენებდნენ სხვა, უფრო მცირე საზოგადოებებთან ურთიერთობის დროს. განსხვავებულობის ეს შეგრძნება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე არსებობდა ქრისტიანული საერთაშორისო საზოგადოების ეპოქაში ისევე, როგორც მაშინ, როდესაც ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები აღიარებდნენ განსხვავებას *ერთმანეთთან* და ბარბაროსულ სახელმწიფოებთან (მაგალითად, სპარსეთთან და კართაგენთან) მათ დამოკიდებულებას შორის. მაგრამ ქრისტიანული საერთაშორისო საზოგადოების იდეის შეზღუდულობა ბუნებითი სამართლის დოქტრინამ შეარბილა, რომელიც აცხადებდა, რომ ყველა ადამიანს ყველგან საერთო უფლებები და ვალდებულებები აქვს. ევროპული საერთაშორისო საზოგადოების ეპოქაში ბუნებითი სამართლის კატეგორიებით აზროვნების შესუსტებამ ამ შემარბილებელი ფაქტორის გაქრობა გამოიწვია. მეცხრამეტე საუკუნისათვის პოზიტივისტი-საერთაშორისო იურისტების ორთოდოქსული დოქტრინა საერთაშორისო საზოგადოებას ევროპულ გაერთიანებად მიიჩნევდა, რომელშიც არაევროპული სახელმწიფოები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდნენ, თუ ევროპელების მიერ დადგენილ ცივილიზებულობის სტანდარტს მიაღწევდნენ – ეს გამოცდა პირველად თურქეთმა გაიარა, როდესაც პარიზის 1856 წლის ხელშეკრულების მერვე მუხლის თანახმად, დაშვებულ იქნა „საჯარო სამართალსა და ევროპის კონცერტში."

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების თეორეტიკოსთა მიერ შემუშავებულ საერთაშორისო საზოგადოების იდეაში ადრეული მოაზროვნეების ბუნდოვანი შეხედულება იმის თაობაზე, თუ რომელი ჯგუფები ან ერთეულები არიან სახელმწიფოთა საზოგადოების წევრები, შეიცვალა ნათლად ჩამოყალიბებული პრინციპით, რომ საერთაშორისო საზოგადოება არის სახელმწიფოების ანუ ერების საზოგადოება – თუმცა, ამ პრინციპს ზოგჯერ თან ერთვოდა დათქმა (როგორც მაგალითად უესტლეიკის დოქტრინაში), რომ სახელმწიფოები საზოგადოების უშუალო წევრები არიან, მის საბოლოო წევრებს კი ადამიანები წარმოადგენენ. „ხალხთა სამართალი" – ამბობდა მარტივად ვატელი – „არის მეცნიერება იმ უფლებების შესახებ, რომლებიც ერებსა და სახელმწიფოებს შორის არსებობს, და აგრეთვე, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც ამ უფლებებს შეესაბამება."[6] იმის აღიარებიდან, რომ საერთაშორისო საზოგადოების ყველა წევრი არის განსაკუთრებული სახის პოლიტიკური ერთეული – „სახელმწიფო," და რომ ის ერთეულები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ აღნიშნულ კრიტერიუმს, არ შეიძლება ჩაითვალონ საზოგადოების წევრებად, ამ პე-

* ევროპის საჯარო სამართალი

* გამოკვლევა უახლესი ევროპული ხალხთა სამართლის შესახებ

[5] იხილეთ: "Third Letter on the Proposals for Peace with the Regicide Directory of France," in *The Works of the Right Honourable Edmund Burke*, ed. John C. Nimmo (London: Bohn's British Classics, 1887).

[6] E. de Vattel, *The Law of Nations* (1758) Introduction, translated by Carnegie Institute (1916), p. 3.

რიოდის საერთაშორისო საზოგადოების იდეის სხვა უმთავრესი მახასიათებლები გამომდინარეობს: შეხედულება, რომ ყველა წევრს ერთი და იგივე ძირითადი უფლებები გააჩნია, რომ მათ მიერ აღებული ვალდებულებები ორმხრივია, რომ საერთაშორისო საზოგადოების წესები და ინსტიტუტები მისივე წევრების თანხმობას ეფუძნება და რომ ისეთი პოლიტიკური ერთეულები, როგორიცაა აღმოსავლური სამეფოები, ისლამური საამიროები და აფრიკული საბელადოები საერთაშორისო საზოგადოების წევრობიდან უნდა გამოირიცხონ.

ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებამდე ეს სახელმწიფოები, უმეტესწილად, მემკვიდრეობითი მონარქიები იყვნენ და ის, რასაც მარტინ უაითი „საერთაშორისო ლეგიტიმურობის პრინციპს" უწოდებდა, დინასტიურ ხასიათს ატარებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საერთაშორისო საზოგადოების კოლექტიური განაჩენით, დინასტიურ პრინციპს უნდა გადაეწყვიტა ერთა ანუ სახელმწიფოთა ოჯახის უფლებამოსილი წევრობის საკითხი, აგრეთვე, ის, თუ როგორ უნდა გადასცემოდა ერთი მთავრობიდან მეორეს სუვერენიტეტი ტერიტორიაზე ან მოსახლეობაზე და როგორ უნდა მოწესრიგებულიყო სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა. ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების შემდგომ საერთაშორისო ლეგიტიმურობის წამყვანი, დინასტიური პრინციპი ეროვნულმა ანუ სახალხო პრინციპმა შეცვალა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოდ დამკვიდრდა აზრი, რომ ამ სახის საკითხები არა მმართველთა უფლებებზე, არამედ ერის ანუ ხალხის უფლებებზე დაყრდნობით უნდა გადაწყვეტილიყო.[7] დინასტიურმა ქორწინებამ, როგორც ტერიტორიის შეძენის საერთაშორისო თვალსაზრისით მისაღებმა საშუალებამ, პლებისციტს დაუთმო ადგილი, ხოლო მემკვიდრეობითობის პრინციპმა – ეროვნულ თვითგამორკვევას. საერთაშორისო ლეგიტიმურობის ეროვნული ანუ სახალხო დოქტრინა იმაზე მეტად არ განსაზღვრავდა მოვლენათა მიმდინარეობას, ვიდრე მისი წინამორბედი დინასტიური ანუ მონარქიული დოქტრინა, მაგრამ ეს დოქტრინები ნამდვილად ემსახურებოდა ჩადენილი ქმედებების გამართლებას.

სახელმწიფოებისათვის სავალდებულო წესების წყაროთა გამოსავლენად, საერთაშორისო საზოგადოების თეორეტიკოსებმა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში ზურგი აქციეს ბუნებით სამართალს და პოზიტიურ საერთაშორისო სამართალს მიანიჭეს უპირატესობა. უფრო ზოგადად, მათ თავიანთ გზამკვლევად აირჩიეს არა აბსტრაქტული თეორიები იმის თაობაზე, თუ რას უნდა აკეთებდნენ სახელმწიფოები, არამედ არსებული ჩვეულებითი და სახელშეკრულებო სამართალი, რომელიც სახელმწოფოთა ქმედებების შედეგად დაგროვდა. ძველი და შუასაუკუნეობრივი მაგალითების ნაცვლად, რომლებიც ესოდენ უხვადაა სუარესისა და გროციუსის ნაშრომებში, შესაძლებელი გახდა თანამედროვე მაგალითების ციტირება. სახელმწიფოთა სისტემისა და დიდი სახელმწიფოების აღმავლობისა და დაცემის ისტორიებმა, განსაკუთრებით კი, რომლებიც გერმანიაში დაიწერა ნაპოლეონის ომებამდე და მათ შემდეგ, პოლიტიკური განზოგადებებისა და პრინციპების ახალ წყაროები შეადგინა.

თანაარსებობის წესების ფორმულირების შემდეგ ამ პერიოდის თეორეტიკოსებმა შუა საუკუნეებიდან მემკვიდრეობით მიღებული უნივერსალისტური ანუ სოლიდარისტული ვარაუდებისაგან გათავისუფლება და ანარქიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უნიკალური ნიშნების გააზრება შეძლეს. ტერმინმა „ხალხთა სამართალი" *(droit des gens, Volkerrecht)* არა მარტო გააძევა ტერმინი „ბუნებითი სამართალი," რომელთანაც ის მანამდე ყოველთვის დაკავშირებული იყო, არამედ, ყველა

[7] Martin Wight, "International Legitimacy." *International Relations*, vol. IV, no. 1 (May 1972).

ერისათვის საერთო სამართლის ნაცვლად, ხალხთა შორის ურთიერთობის სამართლის მკაფიო მნიშვნელობა მიიღო. ტრანზიცია დასრულდა მაშინ, როდესაც ტერმინმა „ხალხთა სამართალი" გზა დაუთმო „საერთაშორისო სამართალს," ტერმინს, რომელიც ბენთამმა დაამკვიდრა 1789 წელს თავის ნაშრომში *ზნეობისა და კანონმდებლობის პრინციპების შესავალი.*

ამრიგად, ძალადობის შემზღუდავი წესები, რომლებიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა, ადრეული ბუნებითი სამართლის დოქტრინისაგან განსხვავებით, ნათელყოფდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ძალადობის ლეგიტიმურად გამოყენება სახელმწიფოს მონოპოლიაა. იმის აღიარების შემდეგ, რომ ომი შეიძლება ორივე მხარისათვის სამართლიანი იყოს, ერთი მოკლე ნაბიჯიღა რჩებოდა დოქტრინამდე, რომლის მიხედვითაც ომი უბრალოდ პოლტიკური კონფლიქტია, ხოლო მიზეზის სამართლიანობის საკითხი საერთოდ უნდა აღიგაეოს საერთაშორისო სამართლიდან, როგორც საკითხი, რომლის მოგვარებასაც საერთაშორისო საზოგადოება ვერ შეძლებს. ამგვარად, ამ თეორეტიკოსების მიერ ჩამოყალიბებული ომის წარმოების შემზღუდავი წესები თანაბრად იცავდა ყველა მეომარ მხარეს. ნეიტრალიტეტი – ომის გეოგრაფიული გავრცელების შეზღუდვის მექანიზმი, ბინკერშოკისა და ვატელის აზრით, მოითხოვდა ორივე მხარისადმი მიუკერძოებლობას, რაც ეწინააღმდეგებოდა გროციუსის დოქტრინას, რომელიც ასეთ შემთხვევაში იხრებოდა სამართლიანი მიზეზის მქონე მხარის სასარგებლოდ.

ამრიგად, ამ პერიოდის თეორეტიკოსებმა, თავიანთ მიდგომაში ხელშეკრულებათა დაცვის წესის მიმართ, კერძო კონტრაქტების ანალოგიის მთლიანად უკუგდება და იმის აღიარება შეძლეს, რომ მთავრობის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები სავალდებულოა მისი მემკვიდრეებისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძალდატანებითაა დადებული. უფრო მეტიც, მეცხრამეტე საუკუნეში, საყოველთაოდ აღიარეს ჯენტილის მიერ ხალხთა სამართლისადმი მისადაგებული დოქტრინა, რომ ხელშეკრულებები ძალაშია მანამ, სანამ გარემოებები უცვლელი რჩება. ამასთან, გარემოებათა ცვლილების განსაზღვრის უფლება თითოეულ მხარეს ენიჭებოდა. ამ დოქტრინას ხანდახან საერთაშორისო უკანონობის წინაპირობად მიიჩნევენ, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის პოზიტივისტების შეხედულებით, ის ისტორიულ პროცესში საერთაშორისო ხელშეკრულებების მნიშვნელობის შენარჩუნებისა და, ამავდროულად, ცვლილებებისთვისაც ანგარიშის გაწევის შესაძლებლობას იძლეოდა.

ამას გარდა, ამ პერიოდის თეორეტიკოსებმა სუვერენიტეტი ყველა სახელმწიფოს ატრიბუტად აღიარეს, სუვერენიტეტის ორმხრივად ცნობა კი სახელმწიფოთა სისტემაში თანაარსებობის ძირითად წესად გამოაცხადეს. მათ, აგრეთვე, მიეცათ შესაძლებლობა, შეემუშავებინათ ისეთი დამატებითი პრინციპები, როგორიცაა სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩაურევლობა, ძირითადი უფლებების მხრივ სახელმწიფოთა თანასწორობა და სახელმწიფოთა უზენაესობა საშინაო იურისდიქციაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის ზოგიერთი სამართლის თეორეტიკოსისათვის სუვერენიტეტის იდეა დაკავშირებული იყო „სახელმწიფოთა ბუნებითი უფლებებისა" და თვითგადარჩენის უფლებების დოქტრინებთან, რომლებიც, ფაქტობრივად, „საერთაშორისო საზოგადოების" იდეას უარყოფდა, მაგრამ ამგვარ იდეებს არაფერი აქვს საერთო სუვერენიტეტის საერთაშორისო სამართლის წესებით მონიჭებული უფლებების კომპლექსად აღქმასთან.

და ბოლოს, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში საერთაშორისო საზოგადოების ნათელ გამოხატულებას ხედავდნენ გარკვეულ ინსტიტუტებში, რომლებიც ამ საზოგადოების წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობას ასახვდა. საერთაშორისო სამართალი აღიარებული იყო განსაკუთრებული წესების ერთობლიობად,

რომელიც თანამედროვე სახელმწიფოთა თანამშრომლობიდან ამოიზარდა და ფილოსოფიისა და თეოლოგიისაგან განსხვავებული დისციპლინებისა და მეთოდების შექმნას საჭიროებდა. მას კერძო სამართლის იმ საკითხებისგანაც მიჯნავდნენ, რომლებიც ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცდებოდა, რასაც მეცხრამეტე საუკუნეში ასახავდა ტერმინი „საჯარო საერთაშორისო სამართალი." დიპლომატიური სისტემა, რომლის გავლენაც საერთაშორისო საზოგადოებაზე გამოიკვეთა კალიერისა და დიპლომატიის სხვა თეორეტიკოსთა ნაშრომებში, ვენის კონგრესის მიერ დასახელებულ იქნა მთელი საერთაშორისო საზოგადოების საზრუნავად. ვენის კონგრესის საბოლოო აქტმა მოაწესრიგა დიპლომატიური სისტემა და ის სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დოქტრინას შეუსაბამა. ძალთა ბალანსის შენარჩუნება ამაღლდა იმ სტატუსის მიზნამდე, რომლის მისაღწევადაც მთელ საერთაშორისო საზოგადოებას გაცნობიერებულად უნდა ეღვაწა. ეს გამოცხადდა უტრეხტის 1713 წლის ზავით, რომლითაც დასრულდა ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის, და შეერწყა საერთაშორისო სამართლებრივი აზროვნების ძირითად მიმდინარეობას ვატელის ნაშრომის *Droit des Gens** გამოქვეყნების შემდეგ 1758 წელს. ნაპოლეონის ეპოქაში კი ამ მიზანმა წარმოშვა დიდძალი ისტორიული და პოლიტიკური ლიტერატურა, რომლის მაქსიმებიც ფართოდ იქნა გამოყენებული საერთაშორისო საზოგადოების გადარჩენის პირობების დასადგენად, ხოლო ზოგიერთის მიერ სამართლებრივი ძალის მქონედაც ჩაითვალა. ფილიმორი, მაგალითად, თავის ნაშრომში *კომენტარები საერთაშორისო სამართალზე* (1854-61) ამტკიცებდა, რომ ომი ან ინტერვენცია ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად კანონიერია. მსგავსად ამისა, „დიდი სახელმწიფოს" ცნება, რომელიც რანკემ თავის ცნობილ ესეში განმარტა, და დიდი სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებებისა და მოვალეობების აღიარება, სახელმწიფოთა იერარქიის ანუ კლასიფიკაციის ახალი დოქტრინის გამოხატულება იყო. მემკვიდრეობით მიღებული სტატუსისა და პრეცედენტის მიხედვით შედგენილი ძველი იერარქიის ნაცვლად, ახალი იერარქია შეფარდებითი ძლიერების ფაქტსა და საერთაშორისო საზოგადოების თანხმობას ეფუძნებოდა და ფორმალურად გამოვლინდა ევროპის კონცერტში, რომელიც, კონგრესის სისტემის გზით, ვენის შეთანხმებიდან აღმოცენდა.

მსოფლიო საერთაშორისო საზოგადოება

მეოცე საუკუნეში, ისევე, როგორც მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში, საერთაშორისო საზოგადოების იდეას თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა. საერთაშორისო პოლიტიკის ჰობსისეული ანუ რეალისტური ინტერპრეტაცია განმტკიცდა ორი მსოფლიო ომითა და საერთაშორისო საზოგადოების ევროპის საზღვრებს მიღმა გავრცელებით. კანტისეული ანუ უნივერსალისტური ინტერპრეტაცია კი – სახელმწიფოთა სისტემის შეცვლისაკენ მიმართული ძალისხმევით, რომლის მიზანიც იყო ამ საუკუნეში მომრავლებული კონფლიქტებისა და უწესრიგობის აღკვეთა, და, აგრეთვე, რუსეთისა და ჩინეთის რევოლუციებით, რომლებმაც ახალი ძალა შესძინა გლობალური ტრანსნაციონალური სოლიდარობის როგორც კომუნისტურ, ისე ანტიკომუნისტურ დოქტრინებს. შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნეში საერთაშორისო საზოგადოების იდეები უფრო ახლოს დგას იმ იდეებთან, რომლებიც სახელმწიფოთა სისტემის არსებობის ადრეულ პერიოდში გამოითქვა, ვიდრე იმ მოსაზრებებთან, რომლებიც მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში იყო გაბატონებული.

მეოცე საუკუნეში საერთაშორისო საზოგადოება განხილულ იქნა არა როგორც

* ხალხთა სამართალი

სპეციფიკურად ევროპული, არამედ როგორც გლობალური ანუ მთელი მსოფლიოს მომცველი. 1880-იან წლებში ბუნებითი სამართლის სკოლის შოტლანდიელმა წარმომადგენელმა ჯეიმს ლორიმერმა გამოხატა თავისი დროის ორთოდოქსული დოქტრინა, როდესაც დაწერა, რომ კაცობრიობა იყოფოდა ცივილიზებულ, ბარბაროსულ და ველურ კაცობრიობად. ცივილიზებული კაცობრიობა მოიცავდა ევროპისა და ამერიკის ხალხებს, რომლებსაც საერთაშორისო საზოგადოების წევრებად აღიარების სრული უფლება გააჩნდათ. ბარბაროსული კაცობრიობა აერთიანებდა აზიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს (თურქეთს, სპარსეთს, სიამს, ჩინეთსა და იაპონიას) რომლებსაც აღიარების ნაწილობრივი უფლება ჰქონდათ. ხოლო ველურ კაცობრიობას მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი შეადგენდა, რომელიც სახელმწიფოთა საზოგადოების ფარგლებს მიღმა იმყოფებოდა, თუმცა კი, „ბუნებითი ანუ ადამიანური აღიარების" უფლებით სარგებლობდა.[8] აქ, სხვათა შორის, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ლორიმერის დიფერენციაცია ფაქტობრივად ემთხვევა ამჟამინდელი სოციოლოგების მიერ საზოგადოებების დაყოფას თანამედროვე, ტრადიციულ და პრიმიტიულ საზოგადოებებად.

დღეს, როდესაც არაევროპული სახელმწიფოები საერთაშორისო საზოგადოების წევრთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, წევრობის თვალსაზრისით, თითქმის უნივერსალურია, დოქტრინა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო საზოგადოება ერთ რომელიმე კულტურას ან ცივილიზაციას ეფუძნება, საყოველთაოდ უარყოფილია და მისი ექო, რომელიც ჯერ კიდევ გაისმის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში (სადაც ცივილიზებული სახელმწიფოებისათვის საერთო სამართლებრივი ნორმები საერთაშორისო სამართლის წყაროთა ნუსხაშია დასახელებული) სამარცხვინო გახდა. თუმცა, საჭიროა იმის მხედველობაში მიღებაც, რომ თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებას თუ საერთოდ გააჩნია კულტურული საფუძველი, ეს არა ჭეშმარიტად გლობალური, არამედ ე.წ. „თანამედროვეობის" კულტურაა. ხოლო თუ დაისმება კითხვა: რა არის თანამედროვეობა კულტურაში? ძნელი წარმოსადგენია რაიმე სხვა პასუხი, გარდა იმისა, რომ ესაა ნამყვანი დასავლური სახელმწიფოების კულტურა.

ვატელის ეპოქაში გაკეთებული თავდაჯერებული განცხადებები, რომ საერთაშორისო საზოგადოების წევრები სახელმწიფოები და ერები არიან, მეოცე საუკუნეში კვლავ შეიცვალა გროციუსის ხანისათვის დამახასიათებელი ორაზროვანი და არაზუსტი პოზიციით. ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ დღევანდელ საერთაშორისო საზოგადოებაში სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივი და ზნეობრივი უფლებებისა და მოვალეობების მატარებელს, დაემატნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, სხვადასხვა სახის არასახელმწიფოებრივი ჯგუფები, რომელთა საქმიანობაც ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცდება და, როგორც ეს ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალებითა და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციითაა ნაგულისხმევი, ცალკეული პიროვნებებიც. არ არსებობს თანხმობა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებათ ამ სხვადასხვა სახის სამართლებრივ და ზნეობრივ აგენტებს, ისევე, როგორც არ არის მათი შემაკავშირებელი წესების საერთო სქემა, მაგრამ ვატელისეული კონცეფცია მხოლოდ სახელმწიფოებისაგან შემდგარი საზოგადოების შესახებ მრავალი მხრიდან კრიტიკას განიცდის.

მეოცე საუკუნეში საერთაშორისო საზოგადოების თეორია აგრეთვე დასცილდა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების სამართლებრივ და ისტორიულ პოზიტივიზმს, (რომელიც ყურადღებას ამახვილებდა არსებულ პრაქტიკაზე, როგორც საერთაშორისო ქცევის წესების წყაროზე) და დაუბრუნდა ბუნებითი სამართლის

[8] James Lorimer, *The Institutes of the Law of Nations* (Edinburgh, 1883) vol. I, pp. 101-3.

ძველ პრინციპებსა და მათ თანამედროვე ეკვივალენტებს. საერთაშორისო ურთიერთობების როგორც პოლიტიკურ, ისე სამართლებრივ ანალიზში საერთაშორისო საზოგადოების იდეა ეყრდნობოდა არა იმდენად თანამშრომლობის ფაქტებს სახელმწიფოებს შორის, რამდენადაც იმ პრინციპებს, რომლებიც მიუთითებდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქვეყნები. ეს პრინციპები განცხადებული იყო ერთა ლიგის კონვენციაში, ბრიან-კელოგის პაქტსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიაში.

ამავე დროს, ისევ გამოჩნდა უნივერსალისტური ანუ სოლიდარისტული ვარაუდები იმის თაობაზე, თუ როგორაა ფორმულირებული თანაარსებობის წესები. იდეა, რომ სახელმწიფოების მიერ ომში გამოყენებული საშუალებები უნდა შეიზღუდოს, დაზუსტდა ომის წარმოების ობიექტურად სამართლიან და უსამართლო მიზეზებს შორის ზღვარის ხელახლა გავლებით, მაგალითად, „აგრესიული" ომის აკრძალვის მცდელობებში. ასევე დაზუსტდა იდეა, რომ ნეიტრალური ქვეყნები მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ მეომარ მხარეებთან მიმართებაში. ამას აცხადებდა „კოლექტიური უსაფრთხოების" დოქტრინა, ერთა ლიგის კონვენცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია.

მეოცე საუკუნეში ყურადღების გამახვილებამ რეფორმირებული ანუ გაუმჯობესებული საერთაშორისო საზოგადოების იდეაზე, რომელიც შორს იდგა პრაქტიკაში არსებული საზოგადოების მახასიათებლებისაგან, მიგვიყვანა ერთა ლიგის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო საზოგადოების მთავარ ინსტიტუტებად მიჩნევამდე და იმ ინსტიტუტთა უგულებელყოფამდე, რომლებსაც ცენტრალური როლი ეკისრებათ საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებაში. ამგვარად, შემდგომი განვითარება პოვა უილსონისეულმა ძალთა ბალანსის უარყოფამ, დიპლომატიისათვის სახელის შელახვამ, მისი საერთაშორისო ადმინისტრაციით ჩანაცვლების მცდელობამ და საერთაშორისო სამართლის საერთაშორისო ზნეობრიობასთან ანუ საერთაშორისო სრულყოფილებასთან აღრევის ტენდენციამ, რომელიც გროციუსის ეპოქაში იყო გაბატონებული.

საერთაშორისო საზოგადოების სინამდვილე

თუმცა, საკითხავია, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო საზოგადოების ეს იდეა სინამდვილეს? ასახავს თუ არა გროციუსის ტრადიციის მიმდევარი ფილოსოფოსების, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისა და ისტორიკოსების თეორიები სახელმწიფო მოღვაწეთა მოსაზრებებს? თუ სახელმწიფო მოღვაწეები მხოლოდ სიტყვიერ ხარკს უხდიან საერთაშორისო საზოგადოებასა და მის წესებს, ნიშნავს თუ არა ეს, რომ საერთაშორისო საზოგადოების წესები გავლენას ახდენს მათ გადაწყვეტილებებზე? თუ საერთაშორისო საზოგადოების იდეა რაიმე რეალურ როლს ასრულებდა შედარებითი საერთაშორისო ჰარმონიის პერიოდებში (მაგალითად, ევროპაში მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების უმეტესი ხნის მანძილზე), ხომ არ გაქრა მისი გავლენა რელიგიური ომების, საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების, აგრეთვე, ჩვენი საუკუნის მსოფლიო ომების შედეგად? რას შეიძლება ნიშნავდეს, მაგალითად, იმის თქმა, რომ მეორე მსოფლიო ომში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული ჰიტლერის გერმანია და სტალინის რუსეთი, ერთმანეთს საერთო წესებით დაკავშირებულად განიხილავდნენ და თანამშრომლობდნენ საერთო ინსტიტუტების მუშაობაში? თუ ქრისტიანული და, მოგვიანებით, ევროპული საერთაშორისო სისტემა, რომელმაც მეთექვსმეტედან მეცხრამეტე საუკუნემდე

გასტანა, საერთაშორისო საზოგადოებაც იყო, ხომ არ დასუსტდა და, ბოლოს, დაიმსხვრა კიდეც მისი შემაკავშირებელი ჯაჭვი, მას შემდეგ, რაც სისტემა გაფართოვდა და მთელს მსოფლიოზე გავრცელდა? ხომ არ ჯობია, დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკა დავინახოთ, როგორც საერთაშორისო სისტემა და არა როგორც საერთაშორისო საზოგადოება?

საზოგადოების ელემენტი

მე მიმაჩნია, რომ საზოგადოების ელემენტი ყოველთვის არსებობდა და ახლაც არსებობს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, თუმცა კი, მხოლოდ ერთერთი ელემენტის სახით, რომლის შენარჩუნებაც ხანდახან სათუო ხდება ხოლმე. თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, ფაქტობრივად, ასახავს სამივე ელემენტს, რომლებსაც ჰობსისეული, კანტისეული და გროციუსისეული ტრადიციები გამოყოფს, ესენია: (1) სახელმწიფოთა შორის ომისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ელემენტი, (2) ტრანსნაციონალური, საზღვართა მკვეთი სოლიდარობისა და კონფლიქტის ელემენტი და (3) სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და მონესრიგებული ურთიერთქმედების ელემენტი. სახელმწიფოთა სისტემის სხვადასხვა ისტორიულ ფაზაში, მისი მოქმედების სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალსა და სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკაში ამ ელემენტებიდან ერთ-ერთი დანარჩენებზე შეიძლება დომინირებდეს.

ამგვარად, შესაძლებელია იმის თქმა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულსა და მეთვრამეტე საუკუნეში, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და ინგლისის მიერ წარმოებულ სავაჭრო და კოლონიურ ომებში, რომელთა უმთავრეს ამოცანასაც საზღვაო ძალაუფლებითა და კოლონიების კონტროლით ზურგგამაგრებული სავაჭრო მონოპოლიის მიღწევა წარმოადგენდა, ომის მდგომარეობის ელემენტი იყო წამყვანი. რელიგიურ ომებში, რომლებიც ახასიათებდა სახელმწიფოთა სისტემის პირველ ფაზას ვესტფალიის ზავამდე, საფრანგეთის რევოლუციითა და ნაპოლეონის ომებით ევროპაში გამოწვეული უწესრიგობის ჟამსა და კომუნისტური და ანტიკომუნისტური ძალების ამჟამინდელ იდეოლოგიურ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვნად მოჩანს ტრანსნაციონალური სოლიდარობისა და კონფლიქტის ელემენტი, რომელიც ვლინდებოდა არა მარტო პროტესტანტული პარტიების, საფრანგეთის რევოლუციის მხარდამჭერი დემოკრატიული ანუ რესპუბლიკური ძალებისა და კომუნისტური ინტერნაციონალების ტრანსნაციონალურ სოლიდარობაში, არამედ იეზუიტთა საზოგადოების, საერთაშორისო ლეგიტიმიზმისა და დალესისეული ანტიკომუნიზმის კონტრრევოლუციურ სოლიდარობაშიც. მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში, ნაპოლეონის ომების შემდგომ გაგრძელებულ, რევოლუციონიზმისა და ლეგიტიმიზმის ბრძოლებსა და იმავე საუკუნის მიწურულს განახლებულ, პირველი მსოფლიო ომით დასრულებულ, დიდ სახელმწიფოთა კონფლიქტს შორის ინტერვალში, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო საზოგადოების ელემენტი დომინირებდა.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საერთაშორისო საზოგადოების ელემენტი ყოველთვის არსებობდა, ვინაიდან შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოთა საერთო ინტერესების, მათ მიერ აღიარებული წესებისა და ამოქმედებული საერთო ინსტიტუტების გავლენა ოდესმე შეწყვეტილა. სახელმწიფოთა უმრავლესობა მეტწილად პატივს სცემს საერთაშორისო საზოგადოებაში თანაარსებობის ძირითად წესებს, კერძოდ, სუვერენიტეტის ორმხრივად პატივისცემას, ხელშეკრულებების დაცვასა და ძალის გამოყენების შეზღუდვას. ამასთანავე, სახელმწიფოთა უმრავლესობა მონაწილეობს ისეთი საერთო ინსტიტუტების მუშაობაში,

როგორიცაა საერთაშორისო სამართლის ფორმები და პროცედურები, დიპლომატიური წარმომადგენლობის სისტემა, დიდ სახელმწიფოთა განსაკუთრებული პოზიციის აღიარება და უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელდობრ, ის ფუნქციური ორგანიზაციები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნეში აღმოცენდა, აგრეთვე, ერთა ლიგა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

„საერთაშორისო საზოგადოების" იდეას რეალური საფუძველი გააჩნია, რომელიც ხანდახან საფრთხეში ექცევა, მაგრამ არასოდეს არ გამქრალა. სახელმწიფოთა მთელი სისტემის შთამნთქმელი დიდი ომები ამ იდეის დამაჯერებლობას საეჭვოს ხდის და მოაზროვნეებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს ჰობსისეული ინტერპრეტაციებისა და გადაწყვეტილებების გაზიარებისაკენ უბიძგებს, მაგრამ ომებს მშვიდობიანი პერიოდები მოყვება ხოლმე. იდეოლოგიური კონფლიქტები, რომლებშიც სახელმწიფოები და მათ შიგნით არსებული ჯგუფები უპირისპირდებიან ერთმანეთს, ზოგჯერ ორივე მხარის მიერ საერთაშორისო საზოგადოების უარყოფას იწვევს და ადასტურებს კანტისეულ ინტერპრეტაციებს, მაგრამ კონფლიქტებს, როგორც წესი, თან სდევს შეგუების ხანა, რომელშიც საერთაშორისო საზოგადოების იდეა ხელახლა იჩენს თავს.

დიდი ომის ან იდეოლოგიური კონფლიქტის უმწვავეს ფაზაშიც კი საერთაშორისო საზოგადოების იდეა არ ქრება, თუნდაც მოწინააღმდეგე მხარეების მიერ გაკეთებულ განცხადებებში უარყოფილი იყოს (ერთმა მხარემ საერთო საზოგადოების ფარგლებს გარეთაც რომ დააყენოს მეორე მხარე), არამედ ფარული ხდება და სახელმწიფოთა ქმედებებზე გავლენას განაგრძობს. მოკავშირეები და ღერძის სახელმწიფოები მეორე მსოფლიო ომის ყველაზე გაცხარებულ ეტაპზეც კი ერთმანეთს არ აღიარებდნენ საერთო საერთაშორისო საზოგადოების წევრებად და ერთმანეთთან არ თანამშრომლობდნენ საერთო ინსტიტუტების ფარგლებში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ საერთაშორისო საზოგადოების იდეამ იმ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაზე გავლენა შეწყვიტა. მოკავშირე სახელმწიფოები ერთიმეორესთან და ნეიტრალურ ქვეყნებთან ურთიერთობაში განაგრძობდნენ საერთაშორისო საზოგადოების ყოველდღიური წესების პატივისცემას. ასევე იქცეოდნენ გერმანია, იტალია და იაპონია. მეომარ სახელმწიფოთა ორივე გუნდში იყვნენ პიროვნებები და მოძრაობები, რომლებიც ცდილობდნენ მოლაპარაკების გზით მშვიდობის დამყარებისათვის საფუძვლის მოძიებას. როგორც მოკავშირეები, ისე ღერძის სახელმწიფოები ამტკიცებდნენ, რომ მოწინააღმდეგე მხარეს, როგორც საერთაშორისო საზოგადოების წევრს, უნდა დაეცვა ჟენევის კონვენციები სამხედრო ტყვეების შესახებ, ხოლო დასავლელი მოკავშირეებისა და გერმანიის შემთხვევაში, ერთმანეთის ტყვეებთან დაკავშირებით, ეს კონვენციები მეტწილად სრულდებოდა კიდეც.

მსგავსად ამისა, ცივი ომი ყველაზე მწვავე ეტაპზე ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ერთმანეთზე უფრო საუბრობდნენ, როგორც ერეტიკოსებზე ან ზღვარს გადასულ განდეგილებზე, ვიდრე ერთი და იმავე საერთაშორისო საზოგადოების წევრ სახელმწიფოებზე. თუმცა, მათ არც მაშინ გაუწყვეტიათ დიპლომატიური ურთიერთობა, არ უთქვამთ უარი ერთმანეთის სუვერენიტეტის ცნობაზე, არ უკუუგდიათ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იდეა და არ გაუხლეჩიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რამდენიმე მოქიშპე ორგანიზაციად. როგორც დასავლურ, ისე კომუნისტურ ბლოკში გაისმოდა მოწოდებები კომპრომისისაკენ, ყურადღება ექცეოდა თანაარსებობით ორივე მხარის დაინტერესებასა და, საერო ფორმით, ხელახლა ცხადდებოდა პრინციპი *cuijus regio, ejus religio,** რომელიც

* ვისიცაა სამეფო, მისივეა რწმენაც

ურთიერთშეგუების საფუძველს ქმნიდა რელიგიური ომების დროს. ამრიგად, იმ პერიოდებშიც კი, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკა ყველაზე მეტად ჰობსისეული ომის მდგომარეობას ან კანტისეულ ტრანსნაციონალური სოლიდარობის პირობას შეესაბამება, საერთაშორისო საზოგადოების იდეა მაინც ცოცხლობს, როგორც სინამდვილის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, ხოლო მისი გადარჩენა ამგვარი დაძაბულობის დროს საძირკველს უყრის საერთაშორისო საზოგადოების აღდგენას მაშინ, როდესაც ომი მშვიდობას უთმობს ადგილს, იდეოლოგიური კონფლიქტი კი *დეტანტს* [ანუ დაძაბულობის შენელებას].

საერთაშორისო საზოგადოების ელემენტის მუდმივ რეალურობას ნათლად დავინახავთ, თუ მისი შემცველი სისტემის პირობებში სახელმწიფოთა ურთიერთობებს შევადარებთ ისეთი სისტემის პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობათა მაგალითებს, რომელსაც საერთოდ არ ახასიათებს საზოგადოების ელემენტი. მონღოლი დამპყრობლების დამოკიდებულებას, ჩინგიზ ყაენის მეთაურობით, მათ მიერ დამორჩილებულ, აზიისა და ევროპის ხალხებთან არ არბილებდა რწმენა, რომ ორივე მხარეს ერთმანეთთან ურთიერთობებში საერთო წესები ავალდებულებდა. ჩინგიზ ყაენის დაპყრობები მონღოლთა ზნეობრივ იდეებს ემყარებოდა: ჩინგიზ ყაენს სწამდა, რომ მას ზეციდან ჰქონდა მონიჭებული მსოფლიოს მართვის უფლება და ნებისმიერი ხალხი, რომელიც *de facto** მონღოლების კონტროლს მიღმა იმყოფებოდა, *de jure** მაინც მონღოლთა იმპერიის ქვეშევრდომი იყო, ხოლო მონღოლური სამეფო კარის ურჩი ხალხები ღვთის მიერ შთაგონებული წესრიგის წინააღმდეგ აჯანყებულებად ითვლებოდნენ, რომელთა წინააღმდეგაც ომის წარმოება არა მარტო უფლებას, არამედ მოვალეობასაც წარმოადგენდა.[9] მაგრამ ეს იდეები სრულებით არ ემთხვეოდა მონღოლების მიერ დამორჩილებული და, ზოგიერთ შემთხვევაში, განადგურებული ხალხების მოსაზრებას.

როდესაც ესპანელი კონკისტადორები აცტეკებსა და ინკებს დაუპირისპირდნენ, ეს საერთო წესებისა და ინსტიტუტების არარსებობის პირობებში მოხდა. ესპანელები კამათობდნენ იმის თაობაზე, თუ რა მოვალეობები ჰქონდათ ინდიელთა მიმართ – გამომდინარეობდა თუ არა მათ მიერ ინდიელთა დაპყრობის უფლება პაპის პრეტენზიიდან *imperium mundi*-ზე, ქრისტიანი მონარქის მოვალეობიდან, გაევრცელებინა ქრისტიანული სარწმუნოება, თუ ინდიელთა მიერ სტუმართმოყვარეობის მოვალეობის შეუსრულებლობიდან და ა.შ.[10] მაგრამ ის უფლებები, რომლებიც ინდიელებს მიენიჭა (ისეთი მეცნიერების მიერ, როგორიც იყო, მაგალითად, ვიტორია) გამომდინარეობდა ესპანელების მიერ აღიარებული წესების სისტემიდან და არაფრით უკავშირდებოდა ინდიელთა მიერ აღიარებული წესების სისტემას. ესპანელები და ინდიელები ერთმანეთს ადამიანებად ცნობდნენ, მართავდნენ მოლაპარაკებებს და დებდნენ შეთანხმებებს, მაგრამ ეს გარიგებები წესებისა და ინსტიტუტების რაიმე საერთო ჩარჩოში არ იყო მოქცეული.

ამ თემის შემდგომი ილუსტრაციისათვის ევროპასა და ისლამს შორის ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია გამოდგება. ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება თავს ქრისტიანულად ანუ ევროპულად მიიჩნევდა, ისლამი ყველა თავის გამოვლინებაში განიხილებოდა, როგორც ბარბაროსული ძალა, რომლის

---

* ფაქტობრივად

* სამართლებრივად

[9] იხილეთ: Igor de Rachewiltz, "Some Remarks on the Ideological Foundations of Chingis Khan's Empire." *Papers on Far Eastern History*, 7 (March 1973).

[10] იხილეთ, მაგალითად: Francisco de Victoria, "De Indis et de Jure Belli Relectiones," trans. J. P. Bate, in *The Classics of International Law*, ed. E. Nys (Washington: Carnegie Institute, 1917).

წინააღმდეგაც საერთო ფრონტის შეკვრა ყველა ქრისტიანი მთავრის მოვალეობა იყო, თუნდაც პრაქტიკაში მათ ეს ყოველთვის ვერ მოეხერხებინათ. ისლამურმა მოძღვრებამ, ამის საპასუხოდ, მსოფლიო დაყო *დარ-ალ-ისლამად*, ღმერთის განგებისადმი მორჩილების რეგიონად და *დარ-ალ-ჰარბად*, ჯერ კიდევ ჭეშმარიტ რწმენაზე მოსაქცევ, საომარ რეგიონად. ურწმუნო სახელმწიფოებთან თანაარსებობა, დიპლომატიური ურთიერთობები, ხელშეკრულებები და ალიანსები შესაძლებელი იყო და ხორციელდებოდა კიდეც, მაგრამ ეს ურთიერთობები მხოლოდ მუსლიმებისათვის სავალდებულო წესებს ემორჩილებოდა. არ არსებობდა კონცეფცია საერთო საზოგადოების შესახებ, რომელშიც ისლამურ და ურწმუნო სახელმწიფოებს თავიანთი ადგილი ეკავათ. ამ უკანასკნელთა არსებობა დროებით მოვლენად იყო მიჩნეული, მათთან თანაარსებობა კი – დროებით ფაზად მათი შთანთქმის გარდაუვალ პროცესში.

მართალია, მკვეთრი სხვაობაა იმ შემთხვევებს შორის, როდესაც საერთაშორისო საზოგადოების საერთო იდეას მოწინააღმდეგე ერთობები იზიარებენ და როდესაც ამგვარი იდეა არ არსებობს, მაგრამ ამას, შეიძლება ითქვას, არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოყვება. ერთიანი საერთაშორისო საზოგადოების ენა, რომელზეც თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები საუბრობენ, უბრალოდ, თვალის ახვევაა. ამრიგად, როგორც გროციუსი აღნიშნავს, სახელმწიფოებისათვის, რომლებიც აცხადებენ, რომ ერთმანეთთან ომის დასაწყებად სამართლიანი მიზეზი გააჩნიათ, ეს უკანასკნელი ხშირად უბრალო საბაბია, ჭეშმარიტი მოტივები კი სულ სხვაა. გროციუსი განასხვავებს ომის „გამართლებად" მიზეზებს, რომლებიც განცხადებულია სამართლიანობის რწმენით ომის „დამაჯერებელი" მიზეზებისაგან, რომლებიც მხოლოდ საბაბის სახით მოიხსენიება.[11]

თუმცა, საკითხავია, რადიკალურად განსხვავდება თუ არა ერთმანეთისაგან საერთაშორისო სისტემა, რომელშიც ომის დასაწყებად აუცილებელია საბაბი იმ სისტემისაგან, რომელშიც ამგვარი საბაბი საჭირო არ არის. სახელმწიფო, რომელიც ასახელებს სამართლიან მიზეზს, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი მიზეზის არსებობის რწმენას მის გადაწყვეტილებაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, უფრო ნაკლებ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წესრიგს, ვიდრე ის სახელმწიფო, რომელიც სამართლიან მიზეზზე არ საუბრობს. სახელმწიფო, რომელიც ასახელებს სამართლიან მიზეზს, თუნდაც თავად არ სჯეროდეს მისი, სულ მცირე, აღიარებს, რომ ვალდებულია აუხსნას სხვა სახელმწიფოებს საკუთარი ქცევა, არსებული საერთო წესების საფუძველზე. რა თქმა უნდა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა წესების ინტერპრეტაციისა და ამა თუ იმ ვითარებისადმი მათი მისადაგების თაობაზე, მაგრამ ამგვარი წესები უსასრულოდ მანიპულირებადი არ არის და ზღუდავს იმ სახელმწიფოთა არჩევანს, რომლებიც მათი საშუალებით საბაბის მონახვას ცდილობენ. უფრო მეტიც, საბაბის ძიება ნიშნავს, რომ ძალადობა, რომელსაც კანონდამრღვევი სახელმწიფო საყოველთაოდ მიღებული წესების წინააღმდეგ ახორციელებს მათი უგულებელყოფითა და ომის წამოწყებით, უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა პირობებში იქნებოდა. ომის გაჩაღება ახსნა-განმარტების გარეშე ან მხოლოდ ჯიუტი სახელმწიფოს რწმენიდან გამომდინარე (როგორიც იყო, მაგალითად, მონღოლების რწმენა, რომ ზეციდან ჰქონდათ მიღებული ნებართვა ან კონკისტადორების რწმენა პაპის *imperium mundi*-ის თაობაზე), ნიშნავს ყველა სახელმწიფოსადმი ზიზღსა და ქვეყნებს შორის ერთმანეთის ქცევის შესახებ ჩამოყალიბებული მოლოდინების საფრთხეში ჩაგდებას.

გროციუსის აღიარებით, გარდა იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ემუქრებიან სახელმწიფოები, რომლებიც მხოლოდ „დამაჯერებელი" და არა „გამართლე-

[11] Grotius, *De Jure Belli ac Pacis*, trans. Francis W. Kelsey (Oxford: Clarendon Press, 1925). II, xxii, 2.

ბადი" მიზეზებით აწარმოებენ ომს, მას უფრო დიდ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოები, რომელთა ომებსაც „დამაჯერებელი" მიზეზიც კი არ აქვს. ამგვარ, ყოველგვარ მიზეზს მოკლებულ ომებს გროციუსი „ველურთა ომებს" უწოდებდა.[12] ვატელი კი მათ, ვინც რაიმე საბაბის გარეშე იწყებს ომს, „ადამიანის სახელის სატარებლად უღირს ურჩხულებად" მოიხსენიებდა, რომელთა დასამარცხებლადაც ხალხები უნდა გაერთიანებულიყვნენ.[13]

ანარქიული საზოგადოება

ხშირად ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო საზოგადოების არსებობას შეუძლებელს ხდის ანარქიის ფაქტი, რომელიც ერთიანი მსოფლიო მთავრობის ან მმართველობის არარსებობას გულისხმობს. აშკარაა, რომ სუვერენული სახელმწიფოები, მათი შემადგენელი ცალკეული ადამიანებისაგან განსხვავებით, არ არიან საერთო მმართველობის სუბიექტები. სწორედ ამას აღნიშნავს გოლდსუორსი ლოუეს დიკინსონის სახელგანთქმული ფრაზა „საერთაშორისო ანარქია."[14] საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ამჟამად გამართული დისკუსიების დროს მუდმივად გამოითქმის მოსაზრება, რომ, ანარქიის გამო, სახელმწიფოები არავითარ საზოგადოებას არ აყალიბებენ და რომ ამისათვის ისინი აუცილებლად საერთო ხელისუფლებას უნდა ემორჩილებოდნენ.

ამ დოქტრინის მთავარი ინტელექტუალური მხარდაჭერა მოდის ე.წ. საშინაო ანალოგიიდან (ეს არგუმენტი ქვეყნის შიდა საზოგადოების წევრ ცალკეულ ადამიანთა გამოცდილების სახელმწიფოთა დონეზე გადატანის შედეგია) რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოები, ინდივიდების მსგავსად, მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას მხოლოდ მაშინ შეძლებენ, როცა, ჰობსის თქმით, საერთო ძალაუფლების შიში ექნებათ.[15] თავად ჰობსისა და მისი მიმდევრების მიერ შემოთავაზებული საშინაო ანალოგია საბოლოოდ იმას ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები ან სუვერენი მონარქები, მთავრობის გარეშე მცხოვრები ცალკეული ადამიანების მსგავსად, ბუნებრივ მდგომარეობაში არიან, რაც იგივე ომის მდგომარეობაა. ჰობსისა და მისი სკოლის დანარჩენი წარმომადგენლების აზრით, საზოგადოებრივი ხელშეკრულება სახელმწიფოთა შორის, რომელიც საერთაშორისო ანარქიას ბოლოს მოუღებს არ არის აუცილებელი და არც შეიძლება, რომ არსებობდეს. ამის საპირისპიროდ, იმ ადამიანთა აზროვნებაში, ვინც ესწრაფის უნივერსალურ ანუ მსოფლიო მთავრობას, საშინაო ანალოგია უფრო შორს მიდის და მოიცავს არა მარტო ბუნებრივი მდგომარეობის, არამედ სახელმწიფოთა შორის საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფციასაც, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს შიგნით არსებული წესრიგის პირობები უნივერსალურ მასშტაბებს იძენს.

არგუმენტს, რომ სახელმწიფოები არ ქმნიან საზოგადოებას, რადგანაც საერთაშორისო ანარქიის პირობებში არიან, სამი ნაკლი გააჩნია. პირველი, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა სრულად არ ჰგავს ჰობსისეულ ბუნებრივ მდგომარეობას. სუვერენ მონარქებს შორის ურთიერთობის ჰობსისეული სურათი მის მიერ ადამიანთა შორის მთავრობის შექმნის ახსნისა და გამართლებიდან გამომდინარეობს. საკუ-

[12] Ibid.

[13] Vattel, *Law of Nations*, III, iii, 34.

[14] იხილეთ ნაშრომები: *The European Anarchy* (London: Allen & Unwin, 1916) და *The International Anarchy* (London: Allen & Unwin, 1926).

[15] იხილეთ ჩემი სტატია "Society and Anarchy in International Relations," in *Diplomatic Investigations*. ეს ქვეთავი შეიცავს ზოგიერთ მასალას ამ ესედან.

თარი მოსაზრებების საილუსტრაციოდ იმის შესახებ, თუ როგორ იცხოვრებდნენ ადამიანები ანარქიის ვითარებაში, ჰობსს მაგალითად მოჰყავს სამოქალაქო ომის გამოცდილება, ზოგიერთი ამერიკული ტომის ცხოვრება და საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტები:

მართალია, არასოდეს ყოფილა ისეთი დრო, როდესაც ცალკეული ადამიანები ერთმეორის წინააღმდეგ ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ყოველ დროში მეფეები და სუვერენული ხელისუფლების პირები, მათი დამოუკიდებლობის გამო, მუდმივად ეჭვიანობენ ერთმანეთზე, გლადიატორების განწყობით, საბრძოლო პოზაში დგანან, იარაღს ერთმანეთისაკენ იშვერენ და მზერას ერთმანეთს აპყრობენ, ანუ მათი ფორტები, გარნიზონები და ქვემეხები მათ სამეფოთა საზღვრებთანაა თავმოყრილი, მათი ჯაშუშები მეზობლებთან არიან შეგზავნილნი, ყოველივე ეს კი ომის მდგომარეობაა.[16]

ჰობსის თანახმად, ვითარებას, რომელშიც ადამიანები საერთო ძალაუფლების შიშის გარეშე ცხოვრობენ, სამი მთავარი მახასიათებელი აქვს. ამ ვითარებაში შეუძლებელია არსებობდეს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საზღვაო მიმოსვლა, ვაჭრობა ან ცხოვრების სხვა დახვეწილი მხარეები, რადგანაც ადამიანების ძალა და გონება მთლიანად ერთმანეთისაგან უსაფრთხოების უზრუნველყოფას ხმარდება. არ არის არავითარი სამართლებრივი ან ზნეობრივი წესები: „სწორისა და არასწორის, სამართლიანისა და უსამართლოს ცნებები გამქრალია . . . იმავე პირობების შედეგია, რომ არ შეიძლება არსებობდეს არც საკუთრების უფლება, არც სამფლობელო, არც განსხვავება *ჩემსა* და *შენს* შორის, კაცს ექნება მხოლოდ ის, რის მოპოვებასაც შეძლებს და იქამდე, სანამ მას შეინარჩუნებს."[17] და ბოლოს, ბუნებრივი მდგომარეობა ომის მდგომარეობაა: ომი გაგებულია როგორც „არა ნამდვილი ბრძოლა, არამედ გაცნობიერებული მიდრეკილება ბრძოლისადმი, რასაც ვერცერთ დროში ვერ უარვყოფთ," ხოლო „ასეთი ომი არის ყველას ომს ყველას წინააღმდეგ."[18]

ამ მახასიათებლებიდან პირველი ნამდვილად არ შეინიშნება საერთაშორისო ანარქიაში. მსოფლიო მთავრობის არარსებობა არ აბრკოლებს მრეწველობის, ვაჭრობისა და ცხოვრების სხვა დახვეწილი მხარეების განვითარებას. სახელმწიფოები ერთმანეთისაგან უსაფრთხოების მისაღწევად იმდენად არ ფიტავენ თავიანთ ძალასა და გონებას, რომ მათი მოსახლეობის ყოფა იყოს განმარტოებული, ღატაკური, საზიზღარი, უწყალო და ხანმოკლე, ისინი, როგორც წესი, ომსა და სამხედრო მზადყოფნაში არ მიმართავენ იმდენ რესურსს, რომ მათი ეკონომიკური წყობა დაინგრეს. პირიქით, სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები, საგარეო თავდასხმისა თუ შინაარეულობის თავიდან აცილებით, ქმნიან პირობებს ქვეყნის საზღვრებში ეკონომიკური ნინსვლისათვის. უნივერსალური მთავრობის არარსებობა არ არის შეუსაბამო საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასთან.

აშკარაა ისიც, რომ ჰობსის ბუნებრივი მდგომარეობის მეორე მახასიათებელი, სწორისა და არასწორის, მათ შორის საკუთრების ცნებების არარსებობა, არ ესადაგება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებს. სახელმწიფოთა სისტემის შიგნით, რომელიც ევროპაში აღმოცენდა და მთელს მსოფლიოზე გავრცელდა, სწორისა და არასწორის ცნებებს საერთაშორისო ქცევასთან მიმართებაში ყოველთვის ცენტრალური ადგილი ეკავა.

ჰობსის ბუნებრივი მდგომარეობის სამი მთავარი მახასიათებლიდან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებს შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ მესა-

[16] Thomas Hobbes, *Leviathan* (Everyman's Library, 1953) ch. 13, p. 65.
[17] Ibid. p. 66.
[18] Ibid. p. 64.

მე: ომის მდგომარეობა, იმ გაგებით, რომ ნებისმიერი სახელმწიფო ყოველი სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ომისკენაა მიდრეკილი. სუვერენული სახელმწიფოები, მშვიდობიანობის დროსაც კი, საომარ განწყობას გამოხატავენ იმდენად, რამდენადაც ომისათვის ემზადებიან და მას ერთ-ერთ შესაძლო არჩევნად განიხილავენ.

საერთაშორისო ანარქიის არგუმენტის მეორე სისუსტე იმაშია, რომ ის ეყრდნობა არამართებულ წანამძღვრებს წესრიგის პირობების თაობაზე ინდივიდებსა და ჯგუფებში, რაც სულ სხვაა სახელმწიფოს შემთხვევაში. რა თქმა უნდა, უზენაესი ხელისუფლების შიში თანამედროვე სახელმწიფოს შიგნით წესრიგის ერთადერთი წყარო არ არის: იმის ახსნა, თუ რატომ ძალუძთ ადამიანებს მონესრიგებული საზოგადოებრივი თანაარსებობა თანამედროვე სახელმწიფოში, არ იქნება სრული, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ორმხრივი ინტერესი, ერთობის გრძნობა ანუ საერთო ნება და ჩვეულება ანუ ინერცია.

ამდენად, თუ საერთაშორისო ურთიერთობებს შევადარებთ წარმოსახვით, ხელშეკრულებამდელ ბუნებრივ მდგომარეობას ცალკეულ ადამიანებს შორის, შესაძლებელია გავიზიაროთ ამ ვითარების არა ჰობსისეული, არამედ ლოკისეული აღწერილობა. ლოკის კონცეფცია ბუნებრივი მდგომარეობის, როგორც მთავრობის გარეშე არსებული საზოგადოების შესახებ მართლაც წარმოადგენს ანალოგიას სახელმწიფოთა საზოგადოებასთან. თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში, ისევე, როგორც ლოკის ბუნებრივ მდგომარეობაში, არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია კანონების განმარტება და აღსრულება, ამიტომაც, საზოგადოების ცალკეულ წევრებს თავად უწევთ კანონების მიღება და ცხოვრებაში გატარება. ვინაიდან ამგვარ საზოგადოებაში თითოეული წევრი საკუთარი თავის მსაჯულია, ხოლო კანონის დაცვის მოსურნენი ყოველთვის ვერ აღნევენ მიზანს, სამართლიანობა ასეთ საზოგადოებაში არასრული და გაურკვეველია. მაგრამ, ამის მიუხედავად, დიდი განსხვავების დანახვა შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარ ჩანასახობრივ ფორმასა და მის სრულ არარსებობას შორის.

საერთაშორისო ანარქიის არგუმენტის მესამე სისუსტე საშინაო ანალოგიის შეზღუდვათა გაუთვალისწინებლობაშია. სახელმწიფოები, ბოლოს და ბოლოს, ძალიან განსხვავდებიან ცალკეული ადამიანებისაგან. თუნდაც შესაძლებელი იყოს იმის მტკიცება, რომ მთავრობის არსებობა ინდივიდებს შორის წესრიგის აუცილებელი პირობაა, მაინც საკმაო მიზეზებია იმის საფიქრებლად, რომ სახელმწიფოებს შორის ანარქია ასატანია იმ დონეზე, რომელზეც ინდივიდებს შორის ის სრულიად მოუთმენელი იქნებოდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჰობსის ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისაგან განსხვავებით, სახელმწიფო თავის ენერგიას იმდენად არ ხარჯავს უსაფრთხოების ძიებაში, რომ საკუთარი მოქალაქეები მხეცებს დაამსგავსოს. ჰობსი თავადაც აღიარებს ამას, როდესაც გამოთქვამს აზრს, რომ სუვერენული ხელისუფლების პირები ერთმანეთთან „საომარ მდგომარეობაში" არიან, მაგრამ ვინაიდან „ამით თავიანთი ქვეშევრდომების საქმიანობას იცავენ, ეს ცალკეულ ადამიანთა თავისუფლების ხელყოფას არ ნიშნავს."[19] სუვერენები, რომლებიც ერთმანეთთან ბუნებრივ მდგომარეობაში არიან, თავიანთი ტერიტორიის საზღვრებში ქმნიან პირობებს ცხოვრების დახვეწილი მხარეების განვითარებისათვის.

უფრო მეტიც, სახელმწიფოები არ არიან იმდენადვე დაუცველები ძალადობრივი თავდასხმისაგან, რამდენადაც ცალკეული ადამიანები. სპინოზა, როდესაც იმეორებდა ჰობსის მტკიცებას, რომ „ორი სახელმწიფო ისეთივე დამოკიდებულება-

[19] Ibid. p. 65.

შია ერთმანეთთან, როგორც ორი ადამიანი ბუნებრივ მდგომარეობაში," დასძენდა, რომ „არსებობს ერთი გამონაკლისი: თანამეგობრობას შეუძლია, თავი დაიცვას და არ დაემორჩილოს სხვას, რასაც ადამიანი ბუნებრივ მდგომარეობაში ვერ გააკეთებს, რადგანაც მას ყოველდღიურად სძლევს ძილი, ხშირად ემართება სხეულის ან გონების დაავადება და, ბოლოს, ამარცხებს მოხუცებულობა; ამას ემატება ისიც, რომ მას აწუხებს ის პრობლემები, რომელთაგან თავის დაცვაც თანამეგობრობას შეუძლია."[20] ერთი ადამიანი ბუნებრივ მდგომარეობაში ვერ მიაღწევს უსაფრთხოებას ძალადობრივი თავდასხმისაგან, რომელსაც მოულოდნელი სიკვდილის საშიშროება ახლავს თან. სახელმწიფოებად ორგანიზებულ ადამიანთა ჯგუფებს კი შეუძლიათ თავდაცვის მექანიზმის შემუშავება, თითოეული მათგანის სისუსტის მიუხედავად. ერთი სახელმწიფოს მეორეზე თავდასხმა არ ჰგავს ერთი ადამიანის მიერ მეორის მოკვლას. ადამიანის სიკვდილი ერთმა მოულოდნელმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს, რომლის გამოსწორებაც შემდგომ შეუძლებელი იქნება, ხოლო ომს იშვიათად თუ მოჰყოლია შედეგად დამარცხებული ხალხის ფიზიკური გადაშენება.

თანამედროვე ისტორიაში შესაძლებელია კლაუზევიცის თვალსაზრისის გაზიარება, რომ „ომი არასოდესაა აბსოლუტური თავისი შედეგებით," და რომ მასში მარცხი შეიძლება იყოს „დროებითი უბედურება, რომელიც გამოსწორებადია."[21] უფრო მეტიც, წარსულში ომი, თუნდაც მას პრინციპში შეეძლო გამოეწვია ერთი ან ორივე მეომარი ხალხის ფიზიკური განადგურება, ვერ განახორციელებდა ამას სწრაფად, ერთი მოქმედებით. კლაუზევიცი იმის დასაბუთებისას, რომ ომი ერთი წამიერი დარტყმისაგან კი არ შედგება, არამედ ცალკეული, თანამიმდევრული ქმედებებისაგან, ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რაც წარსულში ყოველთვის მართლდებოდა და ერთმანეთისაგან განასხვავებდა ძალადობას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთობებს შორის და ცალკეულ ადამიანებს შორის.[22] მხოლოდ ბირთვული იარაღისა და სხვა უახლესი სამხედრო ტექნოლოგიის გამო, მართებულია დაისვას კითხვა, თუ რამდენად შეიძლება ომი იყოს „აბსოლუტური თავისი შედეგებით" და „იღებდეს ერთი, წამიერი დარტყმის სახეს," ამ ტერმინების კლაუზევიცისეული გაგებით; და, აქედან გამომდინარე, უქმნის თუ არა ძალადობა სახელმწიფოს ისეთსავე საფრთხეს, როგორსაც ადამიანებს.

იმ განსხვავებას, რომ სახელმწიფოები ნაკლებად დაუცველნი არიან ერთმანეთის ძალადობრივი შეტევისაგან, ვიდრე ცალკეული ადამიანები, ააშკარავებს შემდეგი არგუმენტი: მართალია, სახელმწიფოები დაუცველნი არიან ფიზიკური თავდასხმისაგან, მათ არათანაბრად ემუქრება ეს საფრთხე. ბუნებრივი მდგომარეობის აღწერას ჰობსი აგებს იმ მოსაზრებაზე, რომ „ბუნებამ ადამიანები იმდენად თანასწორნი შექმნა სხეულისა და გონების თვისებებით, რომ მათგან უსუსტესსაც კი უძლიერესის მოკვლა ძალუძს."[23] ჰობსის აზრით, ადამიანთა სწორედ ამგვარი თანაბარი დაუცველობა ერთიმეორისაგან აუტანელს ხდის ანარქიის მდგომარეობას. მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში მუდმივი განსხვავება არსებობს დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის. დიდი სახელმწიფოები არასოდეს ყოფილან ისევე დაუცველნი პატარა სახელმწიფოთა თავდასხმისაგან, როგორც პატარა სახელმწიფოები დიდ სახელმწიფოთა თავდასხმისაგან. მხოლოდ ბირთვული იარაღის პატარა სახელმწიფოების ხელში ჩავარდნისა და მრავალი ბირთვული სახელმწიფოს-

[20] Spinoza, *Tractatus Politicus*, III, ii, in *The Political Works of Spinoza*, ed. A. G. Wernham (Oxford: Clarendon Press, 1958), p. 293.

[21] Carl von Clausewitz, *On War*, trans. Jolles (Modern Library edition, 1943), pt I, ch I, p. 8.

[22] Ibid. pp. 7-8.

[23] Hobbes, *Leviathan*, p. 63.

აგან შემდგარი მსოფლიოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა წარმოშობს კითხვას, თუ რამდენად შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო ურთიერთობებში ისეთი ვითარება, რომელშიც „უსუსტესსაც კი უძლიერესის მოსპობა ძალუძს."

მაშასადამე, არგუმენტი, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ საზოგადოების შექმნა მთავრობის გარეშე და, ამიტომაც, ამას ვერც სუვერენი მონარქები და სახელმწიფოები მოახერხებენ, ბათილდება არა მარტო იმის წყალობით, რომ ადამიანებს შორის წესრიგის გარკვეული დონე მთავრობის არარსებობის პირობებშიც შეიძლება იქნეს მიღწეული, არამედ იმის გამოც, რომ სახელმწიფოები ადამიანებისაგან განსხვავდებიან და უფრო ხელეწიფებათ ანარქიული საზოგადოების ჩამოყალიბება. საშინაო ანალოგია მეტი არაფერია, თუ არა უბრალო ანალოგია. ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები აყალიბებენ საზოგადოებას მთავრობის გარეშე მათი ვითარების უნიკალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

საერთაშორისო საზოგადოების შეზღუდულობა

ჩვენ ვაჩვენეთ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ამავდროულად საერთაშორისო საზოგადოებაცაა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამ სისტემის ერთ-ერთი მუდმივმოქმედი ელემენტია, და რომ საერთაშორისო საზოგადოების არსებობას არ აქარწყლებს საერთაშორისო ანარქიის ფაქტი. თუმცა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ანარქიულ საერთაშორისო საზოგადოებას თავისი შეზღუდვები აქვს.

ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოება თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში მოქმედი მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რომელიც მუდმივ მეტოქეობაში იმყოფება ომის მდგომარეობისა და ტრანსნაციონალური სოლიდარობის ან კონფლიქტის ელემენტებთან, ყოველთვის მცდარია საერთაშორისო მოვლენების იმგვარად განმარტება, თითქოს საერთაშორისო საზოგადოება ერთადერთი ან დომინანტი ელემენტი იყოს. სწორედ ამ შეცდომას უშვებს ის, ვინც ამბობს ან წერს, რომ ევროპის კონცერტი, ერთა ლიგა ან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავიანთ დროში საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი ფაქტორები იყვნენ, რომ საერთაშორისო სამართალი უნდა შეფასდეს მხოლოდ სახელმწიფოთა ერთმანეთთან დაკავშირების ფუნქციის ასპექტში და არა როგორც სახელმწიფო ინტერესის ინსტრუმენტი ან ტრანსნაციონალური მიზნების მიღწევის საშუალება; რომ ძალთა ბალანსის შენარჩუნების მცდელობები სახელმწიფოთა სისტემის შენარჩუნების ცდად უნდა განიმარტებოდეს და არა გარკვეულ სახელმწიფოთა გაძლიერებისაკენ მიმართულ მანევრებად; რომ დიდი სახელმწიფოები უნდა აღიქმებოდნენ „დიდ პასუხისმგებლებად" ან „დიდ აუცილებლობებად" და არა დიდ მტაცებლებად; რომ ომები უნდა გაგებულ იქნეს, როგორც კანონის დარღვევის ან მისი აღსრულების მცდელობა და არა როგორც, უბრალოდ, ცალკეული სახელმწიფოების ან ტრანსნაციონალური ჯგუფების ინტერესთა დაცვის საშუალება. საერთაშორისო საზოგადოების ელემენტი რეალურია, მაგრამ ასევე რეალურია ომის მდგომარეობისა და ტრანსნაციონალური ერთგულებისა თუ დაპირისპირების ელემენტებიც. პირველი ელემენტისათვის მეტისმეტი მნიშვნელობის მინიჭება, ან იმის თქმა, რომ ის მეორე და მესამე ელემენტებს აბათილებს, უაზრობაა.

უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოებას საერთაშორისო პოლიტიკაში წესრიგის გარკვეული ელემენტი შეაქვს, არ უნდა იქნეს გამოყენებული ამის საფუძველზე გაჩენილი თვითკმაყოფილების გასამართლებლად ან იმის დასასაბუთებლად, რომ საერთაშორისო საზოგადოების მიერ უზრუნველყოფილი

წესრიგით უკმაყოფილოთა არგუმენტები საფუძველს მოკლებულია. თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში შექმნილი წესრიგი არასაიმედო და არასრულყოფილია. იმის დემონსტრირება, რომ თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებამ უზრუნველყო წესრიგის გარკვეული დონე, არ არის იმის წარმოჩენის ტოლფასი, რომ წესრიგი საერთაშორისო პოლიტიკაში უფრო ეფექტიანად ვერ დამყარდება საკმაოდ განსხვავებული სახის სტრუქტურებით.

თარგმნა გიორგი ხელაშვილმა

ადამ უოტსონი

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება*

წარსულის მემკვიდრე

საზოგადოების დახასიათება მისი წევრისათვის საკმაოდ რთულია, რადგანაც ამ უკანასკნელს მისგან სათანადოდ დისტანცირება არ ძალუძს. თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის განხილვა მაინც შესაძლებელია.

მსოფლიოში ევროპის ბატონობის დასრულებას არ გამოუწვევია ინტერესებისა და ზემოქმედების საერთაშორისო ქსელის მოსპობა, რომლის ფარგლებშიც ჩვენი პლანეტა ერთი საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ერთიან სისტემას წარმოადგენდა. ევროპის კონტროლი თანდათანობით და უთანასწოროდ შესუსტდა, მაგრამ **სისტემამ** თავისი გლობალური ბუნება შეინარჩუნა, თანაც, მდგრადობის ისეთი ხარისხით, რომ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როდის ან როგორ დაკარგა სისტემამ ევროპული ხასიათი. ტექნოლოგიის განვითარების, განსაკუთრებით კი კომუნიკაციების სისწრაფისა და იარაღის სახეობებისა თუ მომაკვდინებელი ძალის ზრდის მაღალი ტემპი მსოფლიოს უფრო ინტეგრირებულს ხდის, რაც ადრინდელზე მეტად ზღუდავს სახელმწიფოებს. დღევანდელ „შევიწროებულ" მსოფლიოში ინტერესებისა და ზემოქმედების ახალი სახეობები ჩნდება.

როდესაც სისტემის ზემოქმედებიდან ყურადღება გადაგვაქვს საერთაშორისო **საზოგადოების** წესებსა და ჩვეულებებზე, რომელთა საშუალებითაც მასში წესრიგის უზრუნველყოფას ვცდილობთ, ჩვენ ვხედავთ, რომ ხსენებული საზოგადოება კაცობრიობას საერთო წესებით, ინსტიტუტებითა და, უფრო ნაკლებად და ნომინალური ხარისხით, საერთო ღირებულებებით აერთიანებს. მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება არსებითად განსხვავდება არა მარტო გასული საუკუნის გლობალური იმპერიული საზოგადოებისაგან, რომლის წესებსა და ღირებულებებს ევროპელები, როგორც საკუთარი გამოცდილების შედეგს, თავს ახვევდნენ სხვებს, არამედ წარსულში არსებული ყველა სხვა საზოგადოებისგანაც იმით, რომ, პრინციპში, ძირითადი ან განმსაზღვრელი კულტურული ჩარჩო არ გააჩნია. განსაკუთრებით დიდი ცვლილებები განხორციელდა აზიასა და აფრიკაში, შედარებით უმნიშვნელო ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ოკეანეთსა და კარიბის ზღვის აუზში – ამ რეგიონებმა განვითარების შემდეგი გზა განვლეს: დასავლეთ ევროპის ზღვის გადაღმა ტერიტორიებიდან, ბრიტანეთის თანამეგობრობისა და ფრანგული საზოგადოების ჰეგემონური მოდელის გავლით, მრავალრიცხოვანი დამოუკიდებელი ერთეულებისაგან შემდგარ დანაწევრებულ საზოგადოებამდე. დეზინტეგრაცია განიცადა მოსკოვცენტრულმა საბჭოთა გაელენის სფერომაც როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ისე სხვა

---

* Adam Watson, The Contemporary International Society, from *The Evolution of International Society: A Comparative Historical Analysis,* London and New York: Routledge, 1992. Chapter 22, pp. 299-309. Reprinted by permission of ITPS Ltd.

რეგიონებში, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირის ზოგიერთმა ყოფილმა ტერიტორიამ დამოუკიდებლობა დაიბრუნა, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად მაინც. დღეს მრავალი სახელმწიფო თანამედროვე საზოგადოების მხოლოდ მარეგულირებელ ასპექტებს იზიარებს და ევროპულ ღირებულებებსა და ქცევის კოდექსს სავალდებულოდ არ მიიჩნევს. საზოგადოების ლეგიტიმურობა სპექტრის დამოუკიდებელი ბოლოებისაგან მომდინარეობს.

თუმცა, პრაქტიკაში მეტი მდგრადობაა, ვიდრე ამას ლეგიტიმურობა გულისხმობს. ახალი და არადისკრიმინაციული გლობალური საზოგადოება წარსულში განხორციელებული რადიკალური ცვლილებების შედეგად არ შექმნილა. მან თავისი ორგანიზაცია და კონცეფციათა უდიდესი ნაწილი ევროპული წინამორბედისაგან მემკვიდრეობით მიიღო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადგილი ჰქონდა არსებული წესებისა და ინსტიტუტების, მათ შორის ერთა ლიგის შენარჩუნების შეგნებულ მცდელობას, ხოლო საკუთრივ ერთა ლიგა ევროპული *დიდი რესპუბლიკის* სრულიად განსხვავებულ კონტექსტში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და ჩვეულებების ოდნავ სახეცვლილი გაგრძელება იყო.

ნაკლებად ძლიერი სახელმწიფოების პოზიცია

დღევანდელი საერთაშორისო საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი პოლიტიკური სუვერენიტეტის მთელს სისტემაზე გავრცელებაა, მათ შორის პატარა და ღარიბ კუნძულებზე, რომლებსაც დე გოლი იმპერიების მტვერს უწოდებდა. საერთაშორისო საზოგადოებაში შემავალი დაახლოებით 160 სახელმწიფო დამოუკიდებელი და იურიდიულად თანასწორია, ნომინალურად მაინც. სისტემის დასუსტება გამოიწვია **ძალის გამოყენების უკანონოდ გამოცხადების** მზარდმა პროცესმა, რომელმაც მთლიანად არა, მაგრამ მნიშვნელოვანწილად ხელი შეუშალა ძლიერი სახელმწიფოების სუსტებზე ბატონობას. ფიზიკური იძულებისაგან შეუვალობის დონე, რომლითაც დღეს პატარა ქვეყნები სარგებლობენ, ისტორიული გამონაკლისია, ხოლო კუვეიტის ბედი გვიჩვენებს, რომ მას აბსოლუტური ხასიათი არ აქვს.

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების წევრი ქვეყნების მიუმხრობელი უმრავლესობისათვის ღირებულია როგორც საგარეო, ისე საშინაო დამოუკიდებლობა. როგორც რომის საღვთო იმპერიის დაშლამ ევროპის რამდენიმე პატარა ქვეყანას საშინაო სუვერენიტეტისა და საგარეო დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალება მისცა, რაც შემდგომ ვესტფალიის ზავით დაკანონდა, ისე ევროპის ძლიერების დაკნინებამ ბევრ ყოფილ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყანას პოლიტიკური (მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, არა ეკონომიკური) დამოუკიდებლობა მოუტანა. ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური და სტრატეგიული მიზანია ჰეგემონურ ალიანსებში გაერთიანების თავიდან აცილება ან, თუ ეს შეუძლებელია, ალიანსის დაქვემდებარებულ წევრად ყოფნის შედეგთა შემსუბუქება, მაგრამ მათ გლობალური საზოგადოების დატოვება არ სურთ. პირიქით, ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სხვა სახელმწიფოებთან თანასწორ საფუძველზე საერთაშორისო საზოგადოებაში გაწევრიანებას. მართლაც, მათი უმრავლესობა დიდად არის დამოკიდებული იმ სარგებელზე, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება პატარა და ღარიბი ქვეყნებისათვის უზრუნველყოფს.

ყოფილი დამოკიდებული სახელმწიფოების ვესტერნიზებულ მმართველ ელიტათა ხედვები ევროპელ ლიბერალთა იდეებს ასახავს. ისინი, აგრეთვე, ამერიკაში გადასახლებულ ევროპელთა მოსაზრებებსაც ეხმაურება, რომლებმაც ზღვის გადა-

ღმა მდებარე ევროპული იმპერიების დეკოლონიზაციის პროცესს მისცეს ბიძგი და ალიანსებისათვის თავის არიდებისა და დამოუკიდებლობის იდეები განავითარეს. ამ ევროპულ მემკვიდრეობას კიცხავენ განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები, განსაკუთრებით აფრიკასა და არაბულ სამყაროში, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოებრიობის დასავლური მოდელი ევროპელების მიერ ძალით თავს მოხვეული და მათი საზოგადოებებისათვის შეუფერებელია.

ყველასათვის მეტად სასურველი, აღდგენილი ან ახალმოპოვებული დამოუკიდებელი სტატუსი და „სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანების" წევრობა სიმბოლურად უკავშირდება საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუტებში მონაწილეობას. სხვა ქვეყნებთან დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლა და გაერო-ში შესვლა სახელმწიფოს აღიარების ნათელი დადასტურებაა. ამასთან, **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა** ნებისმიერ სახელმწიფოს ერთ ხმას ანიჭებს, მისი ზომის მიუხედავად და წესების, ინსტიტუტებისა და მსოფლიო მასშტაბის საერთაშორისო საზოგადოების აღიარებულ ღირებულებათა ფორმულირებაში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, რასაც სხვა სიტყვებით, საზოგადოების მოჩვენებითი ლეგიტიმურობა შეიძლება ეწოდოს. გაერო-ს სპაციალიზებული უწყებების წყალობით, რომლებიც, მაგალითისათვის, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწეობენ, უფრო განვითარებულ სახელმწიფოთა ტექნიკური ნოუ-ჰაუ, ყოველგვარი პოლიტიკური მოთხოვნების გარეშე, სუსტი ქვეყნებისათვის ხდება ხელმისაწვდომი. თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობას საერთაშორისო საქმეებში გამოცდილება ფაქტობრივად არ გააჩნია. გაერო-ს უდიდესი წვლილი შეაქვს მსოფლიო წესრიგის შექმნაში იმით, რომ ამ ქვეყნებს მორალურად გამამხნევებელ მაღალ უფლებრივ მდგომარეობას, საზოგადოების მართვაზე გავლენასა და მთელ რიგ ჭეშმარიტ მატერიალურ უპირატესობებს სთავაზობს. დიდი წევრი ქვეყნების პოტენციურ უპირატესობებს ქვემოთ განვიხილავთ. გაერო არც საკანონმდებლო ორგანოა და არც მსოფლიო მთავრობა. ის არც მსოფლიო გაერთიანების აზრს გამოხატავს, თუმცა, ცივი ომის დასრულების შემდეგ მისი ეფექტიანობა ამ მიმართულებით შეიძლება გაიზარდოს. სამაგიეროდ, გაერო (კერძოდ კი, გენერალური ასამბლეა) ახალი დამოუკიდებელი წევრი ქვეყნების პოზიციის გამომხატველია.

საზოგადოების უფრო გავლენიანი წევრი სახელმწიფოები დღეს ფორმალურად მხარს უჭერენ პატარა ქვეყნების ლეგიტიმურ უფლებას, უცხო ჩარევის გარეშე აირჩიონ საკუთარი მმართველობის ფორმა. ისინი, აგრეთვე, ძლიერი ქვეყნების მიერ პატარა სახელმწიფოთა დაცვის ვალდებულებასაც აღიარებენ: ფუნქციას, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უილსონისეულ ერთა ლიგაში და რომელსაც ჰირენი ძალთა ბალანსს მიაწერდა. თუმცა, სუვერენიტეტის ამჟამინდელი ფორმულა ხელს არ უშლის უძლიერეს სახელმწიფოებს საერთაშორისო ურთიერთობათა ქცევის წესების განსაზღვრაში (რაც განსაკუთრებით, მაგრამ არა მხოლოდ, ეკონომიკურ სფეროს ეხება). ჩვენ ამას ჰეგემონიას ვუწოდებთ. ძლიერი ქვეყნები, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, არც პატარა სახელმწიფოებისათვის დაცვასა და დახმარებაზე უარის თქმისას აწყდებიან წინააღმდეგობას, რომლის მოპოვებაც ამ უკანასკნელებს ხშირად სხვებისათვის მისაღები ქცევით უხდებათ. სისტემაში მოქმედი ჩვეულებები ბევრად უფრო ინტეგრირებულია, ვიდრე ამას დანაწევრებული ლეგიტიმურობა ითვალისწინებს, ხოლო სხვაობა პრაქტიკასა და თეორიას შორის უჩვეულოდ დიდია.

სტრატეგიული ცვლილება

ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, გერმანია და იაპონია მეოცე საუკუნის სისტემაში ძალაუფლების ოთხ ძირითად ცენტრად შეიძლება განვიხილოთ. მეორე მსოფლიო ომში გერმანიისა და იაპონიის მარცხი მხოლოდ დროებითი იყო, მაგრამ საერთაშორისო სისტემის **სტრატეგიულმა** კონფიგურაციამ დაახლოებით ნახევარი საუკუნის მანძილზე შედარებით სტაბილური, ბიპოლარული ფორმა მიიღო, სადაც ორ უდიდეს სამხედრო ზესახელმწიფო და მიუმხრობლობის მოსურნე „მესამე სამყარო" ერთიანდებოდა.

მეოცე საუკუნის 80-იან წლებში საერთაშორისო სისტემამ დრამატული ცვლილებები განიცადა. თანამედროვე მსოფლიოში, იმპერიული სისტემის მთლიანობის შესანარჩუნებლად, როგორც ეკონომიკური, ისე სტრატეგიული ძლიერებაა აუცილებელი. მარქსიზმ-ლენინიზმის მარცხმა საბჭოთა კავშირი, მიუხედავად მისი უზარმაზარი სტრატეგიული შესაძლებლობებისა, დროებით დააკნინა, თანაც არავინ იცის რამდენი ხნით. რუსეთის ძლიერება ადრეც დამხობილა, მაგრამ ისევ აღდგენილა. ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმული ეს უზარმაზარი სახელმწიფო, უდავოდ, მალე დაიბრუნებს და სრულად არც არასოდეს დაკარგავს გავლენას მსოფლიო პროცესებზე. რუსეთის დასუსტებამ აშშ, კიდევ ერთხელ და საკმაოდ მოულოდნელად, ერთპიროვნულ ლიდერად ანუ ჰეგემონად გადააქცია. ამავე დროს, ევროპა, რომელიც თორმეტი ქვეყნის გაერთიანების გარდა, რუსეთის საზღვრებამდე მდებარე მთელ ტერიტორიას მოიცავს, ნაწილ-ნაწილ, მაგრამ განუხრელად ეკონომიკურ და, შესაძლოა, პოლიტიკურ და სტრატეგიულ კონფედერაციად იკვრება. წარმატებული ინტეგრაციის შედეგად ევროპა, უეჭველად, უფრო დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა იქნება. დღევანდელი საერთაშორისო ვითარება, რომლის ფორმირების პროცესი დეკოლონიზაციის პერიოდიდან დაიწყო და მრავალრიცხოვანი, დანაწევრებული პოლიტიკური ერთეულების შექმნით დაგვირგვინდა (თუმცა, ყოფილ საბჭოთა სივრცეში ანტიიმპერიალისტური ცვლილებები ჯერ არ დასრულებულა), დღეს უფრო ძლიერი ხელისუფლებისა და წესრიგის მდგომარეობას უბრუნდება, როგორც სტრატეგიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ამავე დროს, იმ სისტემაში შემავალი ყველა ქვეყნის სტრატეგიული აზროვნება და განწყობა, რომელზეც წინათ საბჭოთა ძალა ახდენდა ზეგავლენას, სწრაფად და საკმაოდ უწესრიგოდ იცვლება. ალიანსისა და თავდაცვის მეორე დიდი სტრუქტურის დანიშნულება საბჭოელების წინააღმდეგ თავდაცვითი შესაძლებლობების დარაზმვა იყო. ამ ალიანსის ორგანიზება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული და ეკონომიკური ძლიერების გარშემო მოხდა, რომელიც თავის მოკავშირეებს შორის, ფაქტობრივად, ჰეგემონურ პოზიციას იკავებდა. მაშინ, როდესაც რუსეთის სამხედრო ძლიერება სუსტდება და რუსეთი მტრობის დახმარებით შეცვლას ითხოვს, ხოლო შეერთებული შტატები ეკონომიკურ ბატონობას კარგავს, საზღვარგარეთ მუდმივად განლაგებული ამერიკული შეიარაღებული ძალების კონტინგენტი გარკვეულ რეგიონებში მცირდება, ნაწილობრივ საბჭოთა კავშირთან დადებული შეთანხმებით, ნაწილობრივ კი ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე. ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა ახალი ფუნქციები დაეკისრება არსებულ ალიანსურ სტრუქტურებს. მოკავშირეთა ინტერესებსა და პრინციპებს სხვა პოტენციური საფრთხეებიც ემუქრება. ალიანსები ამერიკული ბაზებისა და აშშ-ის „ლიდერის როლის" ლეგიტიმაციას ახდენენ, როგორც პატარა და დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნების დამცველისა.

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებამდე ორი ზესახელმწიფო იზიარებდა პასუხისმგებლობას, დაეცვა საერთაშორისო წესრიგი საწინააღმდეგო შეხედულებათა შორის მიღწეული კომპრომისის საფუძველზე. ამას ორხელისუფლებიანობა შეიძლება ჩამოეყალიბებინა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ბიპოლარულ სტრატეგიულ ურთიერთობას კონცერტის მოდელი ცვლის. ყოფილი ზესახელმწიფოები დღეს უკვე დიამეტრულად დაპირისპირებულ მდგომარეობაში აღარ იმყოფებიან. ორივე მხარე აღიარებს, რომ არის მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის საერთაშორისო წესრიგი, რომელთა მიმართებაშიც მათი ინტერესები ემთხვევა და რომ არსებობს უფრო ფართო სფერო, სადაც რუსები, დროებითი სისუსტის გამო, დათმობებზე შეიძლება წავიდნენ. ამდენად, ისინი პოლიტიკის *დე ფაქტო* კოორდინაციასა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთობლივად მოქმედებას ესწრაფიან. კიმონის თქმით, ისინი თანდათან ხვდებიან, რომ ერთ უღელში არიან შებმულნი.[1] ამასთანავე, რუსები ცდილობენ ურთიერთობის გამოსწორებას ან ნორმალიზებას (თუ მეცხრამეტე საუკუნის კონცერტის პრაქტიკას გავითვალისწინებთ) სხვა მნიშვნელოვან ძალებთან, როგორიცაა დასავლეთ ევროპა გერმანიის ლიდერობით, იაპონია და ჩინეთი. მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოთა კონცერტმა, რომელიც შეთანხმებებსა და დათმობებს უნდა ეფუძნებოდეს, ერთბაშად საერთაშორისო საზოგადოების მართვის ფუნქციათა ხელში აღება დაიწყო, თანაც ისეთ რთულ სფეროებში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, ინდოჩინეთი და საბჭოთა ეკონომიკის აღდგენა.

როგორ მოხდება კონცერტის პოლიტიკის ლეგიტიმაცია? გაერო-ს დამფუძნებლებს ეს ორგანიზაცია, უფრო ზუსტად კი უშიშროების საბჭო წარმოედგინათ საერთაშორისო სისტემის მართვის მექანიზმად, თუკი ისინი შეთანხმდებოდნენ, რისი მიღწევა სურდათ. პატარა ქვეყნებისათვის აღნიშნული ინსტიტუტის დიდი მნიშვნელობისაგან განსხვავებით, მის მიერ მსოფლიოს ერთობლივ ჰეგემონურ მართვაში შეტანილი წვლილი დღემდე ძალიან მცირეა. გაერო მხოლოდ მაშინ ასრულებს მშვიდობისმყოფელის როლს, როდესაც მსოფლიოს რამდენიმე უძლიერესი ქვეყანა, სახელდობრ, უშიშროების საბჭოს ხუთი ძირითადი წევრი შეთანხმებას აღწევს ან ერთობლივად დათმობებზე მიდის. გაერო-ს სამშვიდობო ძალებმა აქა-იქ გამიჯნეს არსებული თუ პოტენციური მებრძოლი მხარეები, ასევე, შეაკავეს და დაასრულეს ზოგიერთი მცირე ომი გაერო-ს წევრ ქვეყნებს შორის, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ვერაფერი გაახერხეს. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები თავის ძირითად პარტნიორებთან ერთად, გაერო-ში კონსენსუსის მისაღწევად და საერთო წამოწყებებისათვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, საკუთარი ძალაუფლების გამოყენების შესაძლო გზებს განიხილავს. ამდენად, მრავალმხრივი მუდმივმოქმედი კონგრესი რატიფიკაციისა და ლეგიტიმაციის ფუნქციას შეასრულებს და, აგრეთვე, მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების საერთო გადაწყვეტილებათა განხორციელების მექანიზმს უზრუნველყოფს.

ეკონომიკური სიახლეები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ყველაზე თვალსაჩინო ცვლილებები **ეკონომიკის** სფეროში განხორციელდა. სისტემის მჭიდრო ეკონომიკურმა ინტეგრაციამ ახალი წესჩვეულებებისა და ინსტიტუტების აუცილებლობა წარმოშვა. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი დღეს უფრო ინტეგრირებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების ინ-

[1] იხილეთ: Adam Watson, *The Evolution of International Society: A Comparative Historical Analysis . . .* Chapter 5, p. 5.

სტიტუციონალიზებული დირექტორატის მიერ უფრო მართულია, ვიდრე პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოებისაგან შემდგარი საზოგადოების ნებისმიერი წარსული მცდელობის შემდგომ. ეს სიახლე და მისი მასშტაბები სრულად გაცნობიერებული ჯერ კიდევ არ არის.

ერთ-ერთი უმთავრესი ცვლილება ძლიერ ინდუსტრიულ სახელმწიფოთა მომარაგების წყაროებისადმი დამოკიდებულებაში მდგომარეობს. ძლიერების მწვერვალზე მყოფმა ათენელებმა და ბრიტანელებმა მეცხრამეტე საუკუნეში მომარაგების რამდენიმე წყაროზე თავისი იმპერიულ კონტროლი დააწესეს, ამასვე ეცადნენ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გერმანელები და იაპონელები. თანამედროვე ინდუსტრიული ტექნოლოგიის პირობებში დიდი ტერიტორიების ფლობა ან მათზე იმპერიული კონტროლის დაწესება ნაკლებად განსაზღვრავს ეკონომიკურ ძლიერებას იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც სიმდიდრის ძირითადი წყარო მიწა და ნედლეული იყო, რადგანაც მოწესრიგებული ეკონომიკური სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ **მცირე ზომის არეალში ტექნოლოგიური ცოდნის მაღალი კონცენტრაციისათვის ხელმისაწვდომი იყოს, ერთი მხრივ, სურსათისა და ნედლეულის მარაგი, ხოლო, მეორე მხრივ, ბაზრებზე გასასვლელი.** მაშასადამე, ახალი მსოფლიო წესრიგის წინაშე შემდეგი საკითხი დგას: რომელი ინსტიტუტები და წესჩვეულებები გადააქცევს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას იმდენად მოწესრიგებულად და პროგნოზირებადად, რომ იაპონია, დასავლეთ ევროპა და ცოდნის კონცენტრაციის სხვა არეალები მომარაგების წყაროებითა და ბაზრებით უზრუნველყოფილი იყოს?

ნამყვან სახელმწიფოთა მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ეკონომიკური განვითარება მთელს მსოფლიოში ორგანიზებული გზით უნდა წარმართონ, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე: სხვა სიტყვებით, მათ თავად იტვირთეს პასუხისმგებლობა ეკონომიკური სისტემის ინტერესებზე (*raison de système*), ხოლო რამდენად ასრულებენ ისინი ნაკისრ ვალდებულებებს, საკამათოა. ეკონომიკა ის სფეროა, რომელშიც ლიდერები ყველაზე იოლად ამერიკელები ხდებიან. მათ მიერ ახალი ეკონომიკური წესრიგის სამართავად შექმნილი ინსტიტუტები თანამედროვე მექანიზმის საფუძველს შეადგენს და ეკონომიკის სფეროში გაერო-ს მეტოქეობას უწევს. მთავარი ეკონომიკური ინსტრუმენტებია: რეკონსტრუქციისა და განვითარების სამთავრობათშორისო ბანკი (რომელიც უფრო მეტად ცნობილია, როგორც მსოფლიო ბანკი), საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკური ზრდისა და მონიტორინგის ხელშემწყობი სხვა მრავალმხრივი ორგანიზაციები. მათ ემატება ორმხრივი დახმარება და კრედიტისა და დახმარების მნიშვნელოვანი არასამთავრობო წყაროები. ამერიკის შეერთებულ შტატებს კვლავაც უპირატესი მდგომარეობა უკავია ამ ინსტიტუტებში.

აზიის უძველესი ცივილიზაციის რეგიონში, განსაკუთრებით კი წყნაროკეანურ რკალში ზოგიერთმა სახელმწიფომ ყველაზე განვითარებულ საზოგადოებათა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დონეს მიაღწია და ამით დაიბრუნა ის პოზიცია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ევროპულ ექსპანსიამდე დასავლეთთან ურთიერთობაში ეკავა. იაპონიას დღეს, შესაძლოა, მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ეკონომიკა აქვს. ამისგან განსხვავებით, სხვა რეგიონებში, ბევრი ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფო კოლონიურ პერიოდში არსებულ დონეზე დაბლა ეცემა და უბრუნდება მდგომარეობას, რომელშიც ევროპული ბატონობის ხანამდე იმყოფებოდა.

საერთაშორისო ფინანსებისა და ვაჭრობის მართვის ექსპერიმენტული შეთანხმებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია არაფორმალური „შვიდეული." ის წამყვან ეკონომიკურ სახელმწიფოებს, სულ უფრო ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის

(რომელიც დღეს ყოფილ საბჭოთა იმპერიასაც მოიცავს) მართვის მცდელობათა განხილვისა და უწყვეტად კოორდინირების საშუალებას აძლევს. აღნიშნული ჯგუფი, ევროპის კონცერტის მსგავსად, თანამედროვე მსოფლიოს უსიერეს ეკონომიკურ სახელმწიფოებს აერთიანებს, რომლებსაც სამართლიანად აქვთ მითვისებული ეკონომიკაში წესებისა და ყოველდღიური შეთანხმებების შემუშავების ვალდებულება. ეს არის **დიფუზიური ეკონომიკური ჰეგემონია,** სადაც შერწყმულია კანონშემოქმედებითი პროცესი და ბალანსი ჯგუფის შიგნით.

ეკონომიკური კოორდინაციის ახალი მექანიზმის ორი რეალისტური მახასიათებელი მის ეფექტიანობას ზრდის. პირველი, თითოეული სახელმწიფოს წონა მრავალმხრივ ეკონომიკურ ორგანიზაციებში დამოკიდებულია მისი შენატანის სიდიდეზე, რომელიც ეკონომიკურ დიალოგს მოცემული ქვეყნების ძლიერებას უკავშირებს. ამდენად, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ფრიდრიხ დიდის გამონათქვამს თუ მოვიხმობთ, შეთანხმებული მუსიკის ნაცვლად, ბგერათა შეუწყობელ ერთობლიობას ქმნიან.[2] მეორე, დასავლეთის მთავრობებმა იციან, რომ ეკონომიკური საქმიანობა ვერცხლისწყალს წააგავს და რომ მისი მართვის ან, თუნდაც, რეგულირების მცდელობათა შედეგების წინასწარმეტყველება შეუძლებელია. სამთავრობათშორისო მექანიზმი უკვე არა გრანდიოზული სახელმწიფო გეგმის, არამედ საშინაო კერძო მეწარმეობის სტიმულირებისა და კონტროლისათვის გამოიყენება.

ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების დიფუზიური ჰეგემონიის საწინააღმდეგოდ შექმნილია ანტიჰეგემონური კოალიციის მსგავსი გაერთიანება, რომელიც საკმაოდ არაზუსტად და არაადეკვატურად „მესამე სამყაროს" სახელითაა ცნობილი. ეს კოალიცია, გარკვეულწილად, სუსტი ქვეყნების უმრავლესობის პოლიტიკას უწევს კოორდინაციას და ამით ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციას უწყობს ხელს. მისი წევრები პოლიტიკურ დამოუკიდებლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, მაგრამ სრულად აცნობიერებენ, რომ აუცილებელია **კოლექტიური ეკონომიკური უსაფრთხოება,** მათი შორის დახმარებები, ინვესტიციები და საექსპორტო ბაზრები პროდუქციისათვის (რომელიც ინდუსტრიული ქვეყნების მომარაგების წყაროა) მათი მზარდი მოსახლეობის მოლოდინის დასაკმაყოფილებლად.

დონორი სახელმწიფოები მიმღებ ქვეყნებს ეკონომიკური უსაფრთხოების ზრდასა და განვითარების გაცილებით სწრაფ რითმს სთავაზობენ, მაგრამ გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, „დონორი ქვეყნების" კონსორციუმთან ერთად, მიმღებ ქვეყნებს დახმარებისა და ინვესტიციების გაგრძელების პირობად უყენებენ არა მარტო სასესხო მომსახურების, ვალუტისა და საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო სტანდარტების დაცვას, არამედ დონორებისათვის მისაღები, საშინაო ეკონომიკის მართვის სტანდარტების გაზიარებას. ხსენებული დასავლური სტანდარტები შეესაბამება ცივილიზაციისა და საგარეო ვაჭრობის უსაფრთხოების იმ სტანდარტებს, რომლებიც ევროპის კონცერტმა მეცხრამეტე საუკუნეში დაანესა და განახორციელა. სრულიად გასაგებია მიმღები ქვეყნების დაჟინებული მოთხოვნა, დონორი ქვეყნების მიერ ჰეგემონურად დაწესებული დასავლური ეკონომიკური სტანდარტები მათ სასარგებლოდ შეიცვალოს. „77 ქვეყნის ჯგუფი," რომელიც იბრძვის „ახალი ეკონომიკური წესრიგისა" და სიმდიდრისა და ტექნოლოგიების უფრო სამართლიანად გადანაწილებისათვის (როგორც ჩანს, დონორთა ხარჯზე), უკვე საერთაშორისო საზოგადოების წევრი ქვეყნების დაახლოებით ორ მესამედს აერთიანებს. „ჩრდილოეთ-სამხრეთის" დიალოგი, თუ მასში მიმღებ ქვეყნებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს შორის სესხებისა

[2] იხილეთ: A. Watson, *Diplomacy: The Dialogue between States,* London, Methuen, 1983, pp. 53-4.

და დახმარების შესახებ მიმდინარე მნიშვნელოვან მოლაპარაკებებს ვიგულისხმებთ, საერთაშორისო საზოგადოების წევრთა უმრავლესობის ძირითადი საზრუნავია. მაგრამ დონორი ქვეყნების ეკონომიკური ჰეგემონია და წესების შექმნის მათი უნარი თითქმის უცვლელი რჩება.

ფულის ძალას, თუკიდიდეს ამ წუხილის მომგვრელ ფრაზას, ანტიკურ ხანაშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფული ყოველთვის ერთ მხარეს არ მიედინებოდა, იმპერიის მმართველებს ხშირად მიზანშეწონილად მიაჩნდათ მათი დაფინანსება, ვისგანაც სიჭუმე და ერთგულება სურდათ. სპარსელები, პტოლემეიდები, განსკუთრებით კი ბიზანტიელები, ასევე, ჩინელები იმპერიის პერიოდში, ამ მიზნით დიდძალ ფულს ხარჯავდნენ. ასევე იქცეოდა საფრანგეთი მეჩვიდმეტე საუკუნეში და ბრიტანეთი მეთვრამეტე საუკუნეში. ეკონომიკური ძლიერების გადამწყვეტი როლი სახელმწიფოთა სისტემის მართვაში თავისთავად სიახლეს არ წარმოადგენს.

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების ეკონომიკური მექანიზმი ახალი და ექსპერიმენტულია. კარგია, თუ ის მოქნილობას შეინარჩუნებს, თუ მას ისეთ ახალ ფაქტორებთან და მოთხოვნებთან ადაპტირების შესაძლებლობა ექნება, როგორიცაა ეკონომიკური ძლიერების დიფუზია, ყოფილი კომუნისტური ბლოკის უფრო აქტიურად ჩართვა მსოფლიო ეკონომიკაში და ამერიკული ბატონობის შესუსტება. ინსტიტუტები არსებობს, მაგრამ ცვალებადი სისტემის ზემოქმედება ზოგიერთი მათგანის ტრანსფორმირებას იწვევს, რითაც დანარჩენებს მოძველებულებად აქცევს და წევრ ქვეყნებსა და კონფედერაციებს ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისაკენ უბიძგებს.

უფრო ინტეგრირებული სისტემა?

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საბჭოთა (ან, უმჯობესია ითქვას, რუსეთის?) ძალის დროებითმა დაკნინებამ და გერმანიისა და იაპონიის შესამჩნევმა აღზევებამ გლობალურ სისტემის ზემოქმედების ხასიათი მნიშვნელოვნად შეცვალა. სწრაფი ცვლილებებისა და რეადაპტაციის ამგვარ პერიოდებში განსაკუთრებით რთულია იმის გაგება, თუ როგორი იქნება სისტემის ახალი ფაზა.

სისტემის ფორმირებასა და იმის განსაზღვრას, თუ რა მოდიფიკაციებს საჭიროებს საზოგადოებაში არსებული წესები, სავარაუდოდ, ორი გრძელვადიანი ტენდენცია შეუწყობს ხელს. მსოფლიო ეკონომიკის – გლობალური ბაზრის – ზემოქმედებას, ასევე კომუნიკაციების თავისუფლებასა და სისწრაფეს უფრო მჭიდრო და ინტეგრირებულ სისტემამდე მივყავართ. დღეისათვის ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საერთაშორისო საზოგადოების ლეგიტიმურობა სპექტრის მრავალი დამოუკიდებელი ბოლოსაგან მომდინარეობს, ის, თითქოს, ისევ ადრინდელ მდგომარეობას უბრუნდება, მაგრამ ინტერესებისა და ზემოქმედების უფრო მჭიდრო გლობალური ქსელი ვერ შეაფერხებს ტრადიციული კულტურული კავშირებისა და წეს-ჩვეულებების აღდგენას, თუ ამბოხს დასავლეთის ბატონობის წინააღმდეგ ჩვენს საზოგადოებაში ურთიერთმსგავსი სახელმწიფოების დაჯგუფებათა შექმნა მოჰყვება. როგორც ჩანს, რეგიონულ კონფედერაციებში, გაერთიანებებსა და დაჯგუფებებში ისევე აისახება კულტურული კავშირები და გეოგრაფიული სიახლოვე, როგორც ეკონომიკური ურთიერთსაჭიროება.

იმის გააზრებამ, რომ სახელმწიფოები უფრო მჭიდრო სისტემად ერთიანდებიან, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, ეჭვქვეშ დააყენა სახელმწიფო სუვერენიტეტის მნიშვნელობა და რეალურობაც კი. *სახელმწიფოს* რეალური სუვერენიტეტის იდეა, რომელიც იტალიელმა და გერმანელმა მთავრებმა დაამკვიდრეს და

მონარქებმა და რომანტიკოსმა ნაციონალისტებმა შეინარჩუნეს, კვლავაც ღირებულია, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოთა მმართველი ელიტებისათვის, რომლებიც ახლახანს გათავისუფლდნენ იმპერიული მმართველობისაგან. თუმცა, საშინაო და საგარეო ასპარეზზე მოქმედების თავისუფლება, რაც სახელწიფოს დამოუკიდებლობასთან ასოცირდება, ერთ მონოლითად შეკრული აღარ არის. სახელმწიფოებრიობის რიტორიკაში, მნიშვნელოვანი ელემენტები – თავდაცვითა და იმიგრაციით დაწყებული, ვალუტითა და ადამიანის უფლებებით დამთავრებული – სხვადასხვა კონფედერაციულ და საზოგადოებრივ ორგანოებს შეიძლება მიეკუთვნოს ისე, რომ სახელმწიფოს თვითმყოფადობა და სუვერენიტეტი არ დაირღვეს. უფრო პროზაულად რომ ვთქვათ, ევროპელ მთავართა ამჟამინდელი მემკვიდრეები შეზღუდულნი არიან შემჭიდროებული სისტემისა და უფრო ინტეგრირებული საზოგადოების ინსტიტუტებითა და პროცედურებით, რომლებიც მათ, როგორც საგარეო, ისე საშინაო ასპარეზზე დე ფაქტო დამოუკიდებლობას ართმევს, რის გამოც მათი მთავრობები *სახელმწიფოს* ვეღარ აკონტროლებენ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს სიმბოლური ლეგიტიმურობა და სხვადასხვა დონის რეალური ავტონომია ხელშეუხებელი რჩება.

ისტორიული ფაქტები, მათ შორის ევროპის ისტორია გვიჩვენებს, რომ საერთო ღირებულებებისა და რწმენის მქონე ყველა საერთაშორისო საზოგადოება ერთი დომინანტური კულტურიდან ამოიზარდა. არსებობს თუ არა დღეს პრაქტიკაში ამგვარი გლობალური სტრუქტურა? ორი თეორიული სკოლის მიხედვით, ის არსებობს. პირველი სკოლა ამტკიცებს, რომ დასავლელი და არადასავლელი ლიდერების მიერ შემოთავაზებული ეთიკური სტანდარტები უმთავრესად დასავლური ღირებულებებიდან იღებს სათავეს. მეორე სკოლა კი მიიჩნევს, რომ ტექნოლოგიამ და მუდმივმა კონტაქტმა განვითარების საშუალება მისცა ახალ თანამედროვე გლობალურ კულტურას, რომელიც საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიმღებ, ელიტის წევრ სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრების წესსა და ღირებულებებს განსაზღვრავს.[3] მეორე მხრივ, ბევრი ფიქრობს, რომ არადასავლური ღირებულებები და სტანდარტები, ხშირად, ნაზავი ფორმით, რეგიონულ დონეზე ხელახლა იკიდებს ფეხს და რომ ევროპელების მიერ ჩამოყალიბებული მსოფლიო საზოგადოება, რომელიც პოლიტიკურად დაახლოებით 160 ნომინალურ სუვერენულ ერთეულადაა დაყოფილი, შესაძლებელია რამდენიმე *დიდ რესპუბლიკად* გაერთიანდეს. რეგიონული საზოგადოებები ურთიერთკავშირს შეინარჩუნებენ იმ გლობალური სისტემის ინტერესებისა და ზემოქმედების წყალობით, რომელსაც ისინი მოაწესრიგებენ ევროპელთა და ოსმალთა შორის არსებული შეთანხმებების გაუმჯობესებული ვერსიის საფუძველზე: ანუ მარეგულირებელი წესებითა და სამოქმედო წეს-ჩვეულებებით, მათ შორის ლეგიტიმურობით, მაგრამ საერთო ღირებულებებისა და ქცევის ნორმების მცირე ოდენობით, ან საერთოდ მათ გარეშე.[4]

საერთო კულტურასა და ტრადიციებზე დაფუძნებული რეგიონული გაერთიანებების ჩამოყალიბების ტენდენციას ყველაზე შთამბეჭდავად ევროპული ერთობის გეოგრაფიული ექსპანსია და მისი თანამიმდევრული ინტეგრაცია ადასტურებს. ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ადრე მტკიცედ იცავდნენ თავიანთ ანტიჰეგემონურ დამოუკიდებლობას, ქმნიან კონფედერაციას, რომელიც სულ მალე ყოფილი ქრისტიანული სამყაროს დიდ ნაწილს მოიცავს (მაგრამ არა, მაგალითად, ხმელთაო-

[3] იხილეთ: H. Bull and A. Watson (eds), *The Expansion of International Society*, Oxford, Oxford University Press, 1984, 26-ე, 27-ე თავები და დასკვნა.

[4] ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულებათა პატივისცემა და დესპანთა ხელშეუხებლობა საერთო ღირებულებები კი არა, მიზანშეწონილობის გამოვლინებაა, ისევე როგორც თქმა იმისა, რომ პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა. ამგვარი წესები დამკვიდრებულია იმ საზოგადოებებს შორისაც, რომლებიც მხოლოდ სპორადულ კონტაქტებს ინარჩუნებენ.

შუა ზღვის გადაღმა მდებარე, ჩრდილოეთი აფრიკის ნავთობით მდიდარ არაბულ ქვეყნებს). ვოლტერის *დიდი რესპუბლიკა* რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფილი დარჩება, რომლებიც თავიანთ თვითმყოფადობას შეინარჩუნებენ იმის მიუხედავად, რომ შეიძლება თავისი საგარეო და, ნაწილობრივ, საშინაო ავტონომიის დათმობა მოუხდეთ (ასეც იქნებოდა ლუი XIV-ს თავისი გეგმები წარმატებით რომ განეხორციელებინა). სუვერენიტეტის ნებაყოფლობით გაერთიანება ევროპული კონფედერაციის ფარგლებში მისაღებია იქიდან გამომდინარე, რომ ეს ეკონომიკურ და სხვა სახის უპირატესობებს იძლევა და რადგანაც მოცემული არეალი უფრო დიდი სისტემის ნაწილია. ყოფილი საბჭოთა იმპერიის რესპუბლიკებმა, შესაძლოა, პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოებისაგან შემდგარი მსგავსი კონფედერაცია ჩამოაყალიბონ. ევროპულ კულტურასთან შერწყმული არაევროპული სამყაროს კულტურების განვითარება, ალბათ, იმავე ხაზით წარიმართება. გეოგრაფიული და კულტურული კავშირების მქონე სახელმწიფოთა გაერთიანებები იქმნება ლათინურ ამერიკაში, ტროპიკულ აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ისლამურ სამყაროში, მაროკოდან მალაიზიამდე.

ამგვარად ორგანიზებული მსოფლიო იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ის ჰგავს საზოგადოებას, რომელიც გაჩნდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ევროპულ ექსპანსიას იმპერიალისტური ფორმა რომ არ მიეღო. ასეთი საზოგადოება საკმაოდ კარგად იფუნქციონირებდა. ის არც რეგიონულ დაჯგუფებებს შორის მზარდ ეკონომიკურ თუ სხვა სახის კავშირებს გამორიცხავდა. მართლაც, ევროპელთა დათმობები ოსმალთა და სხვა სახელმწიფოთა წინაშე აშკარად ვაჭრობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. ეკონომიკური ინტეგრაცია და რეგიონული დაჯგუფებების არსებობა სისტემაში დამოუკიდებელ ერთეულთა რიცხვს შეამცირებდა.

თუმცა, შესაძლოა **რაიმე ახალი** ხდება იმ ცვლილებებთან შედარებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ვესტფალიის ზავის შემუშავებისას და ალექსანდრე [მაკედონელის] გარდაცვალების შემდგომ. ჩვენი მსოფლიო მასშტაბის საერთაშორისო საზოგადოების თითქმის ყველა წევრი ამჟამად დაჟინებით მოითხოვს, ან ეთანხმება იმას, რომ წინამორბედის კვალად, რომელიც ევროპელთა მიერ ძალით თავს მოხვეული იყო, ჩვენმა საზოგადოებამაც მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც პრინციპები, ისე ინტერესები და უნდა გაიზიაროს საერთო ღირებულებები და მარეგულირებელი ნორმები. უპრეცედენტოდ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფმა და „დასავლურ ღირებულებებზე" უარის თქმის მოსურნე მსოფლიოს სახელმწიფოებმა, შესაძლოა, ელინისტური ცივილიზაციის მსგავსად, ისეთი ეთიკური სტანდარტები და ქცევის ნორმები შეიმუშაონ, რომლებიც ერთ კულტურულ ჩარჩოს სცდება. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები – დღეისათვის ერთადერთი მოქმედი ზესახელმწიფო – მრავალეთნიკურია და თანდათანობით მრავალკულტურულ ხასიათს იძენს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორი იქნება, ან ჩამოყალიბდება თუ არა საერთოდ, მთელი სისტემის მომცველი ღირებულებები და სტანდარტები. დასავლურ ტრადიციასთან ერთად, ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვან წვლილს, სავარაუდოდ, აზიის მაღალგანვითარებული ცივილიზაციები შეიტანენ.

როდესაც დღევანდელი საერთაშორისო ვითარების შედარებით ანალიზს ვაკეთებთ, ჩვენი საზოგადოება ნომინალურად დანაწევრებული ჩანს მრავალრიცხოვან დამოუკიდებელ ერთეულებად, რომლებიც მთელ რიგ რეალურ, მაგრამ ჰეგემონური მმართველობის ნაკლებად ლეგიტიმურ წყაროებს ფლობენ და ტექნოლოგიური თუ სხვა პროცესების შედეგად მჭიდროდ ინტეგრირებული სისტემის მართვას ცდი-

ლობენ. ჩვენი საზოგადოების ფორმალური ინსტიტუტები და ლეგიტიმურობა, რომლებიც ევროპისაგან მემკვიდრეობითაა მიღებული და ახალდამოუკიდებელ წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის მოთხოვნებითა და ჩვენი დროის ანტიიმპერიალისტური სულითაა გაჯერებული, მასში სპექტრის დამოუკიდებელ ბოლოებს აძლიერებს. მაგრამ საზოგადოებაში მოქმედი სტრატეგიული, ეკონომიკური და სხვა წეს-ჩვეულებები გაცილებით უფრო ადაპტირებულია რეალობასთან და, შესაბამისად, უფრო ინტეგრირებულია, ვიდრე ლეგიტიმურობა. საზოგადოება ჰეგემონური და უფრო განხორციელებადი შეთანხმებებისაკენ იხრება, რომლებსაც უმრავლესობა ულაპარაკოდ ეთანხმება. ამის შედეგად, დაშორება პრაქტიკასა და თეორიას შორის საოცრად დიდია. გლობალური მრავალკულტურული საზოგადოება კვლავაც რაღაც ახალი და ექსპერიმენტულია. მას ჯერ არ მოუნახია ფორმა, რომელიც ადეკვატურად მიესადაგება სისტემის სინამდვილეს.

თარგმნა თამთა კუპრაძემ

ჯეიმს მაიალი

ნაციონალიზმი და საერთაშორისო წესრიგი*

ერთი შეხედვით, მსოფლიოში ნაციონალიზმისათვის უსაფრთხო გარემო შეიქმნა, ვინაიდან მსოფლიოს ტრადიციული დინასტიური იერარქიულობა ყველგან თავისუფლად ნებადართულ და პოპულარულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს უთმობს ადგილს, მაგრამ რეალობა გაცილებით უფრო რთულია. ისევე როგორც ადრეული ქრისტიანული ეკლესია ხელში ჩაგდებულ და გაკონტროლებულ იქნა ინსტიტუციონალიზებული სამღვდელოების მიერ, მეოცე საუკუნეში ერის ახალი სამოქალაქო რელიგიაც დამორჩილებულ და მოდიფიცირებულ იქნა სახელმწიფოთა უკვე არსებული საზოგადოების ინსტიტუციური წესრიგის მიერ. ანალოგიას კიდევ უფრო შორს მივყავართ. ისევე როგორც რელიგიური ენთუზიაზმი, ანუ პროპაგანდისტული მოწოდება ნამდვილი რწმენისაკენ მიბრუნების შესახებ, ყოველთვის არსებობდა ქრისტიანული ეკლესიის წიაღში და დროდადრო გადაიქცეოდა ხოლმე დამკვიდრებული რელიგიისადმი აშკარა გამოწვევად, „ნამდვილი" სახალხო ეროვნული სუვერენიტეტის იდეალიც, როგორც ვნახავთ, არასოდეს ყოფილა მთლიანად გათავისებული. სანამ შევეცდებოდეთ იმ საფრთხის განსაზღვრას, რომელიც არსებულ საერთაშორისო წესრიგს ემუქრება, უმჯობესია ჯერ დეტალურად გავიაზროთ, თუ რამ განაპირობა გათავისების პროცესის წარმოშობა და რა კონკრეტული ფორმა მიიღო მან.

ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის გათავისება

ეს პროცესი დაიწყო თითქმის მაშინვე, როდესაც 1918 წლის შემდგომ ერთა თვითგამორკვევა საერთაშორისო კანონიერების ახალ პრინციპად იქნა აღიარებული. ის გულისხმობდა, ერთი მხრივ, სუვერენიტეტის სახალხო პრინციპის გაიგივებას ევროპაში დარჩენილი დინასტიური იმპერიების წინააღმდეგ ბრძოლასთან, ხოლო მოგვიანებით, მთლიანად ანტიკოლონიალიზმთან, მეორე მხრივ კი, კონფლიქტების გადაწყვეტის კონსტიტუციური გზების დათმობას პოლიტიკური გარიგებების სასარგებლოდ.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჯგუფები, რომლებსაც პოლიტიკური თვითშეგნება ძველი იმპერიების ნგრევის შემდეგ ჩამოუყალიბდათ, ერთა თვითგამორკვევის განხორციელებისადმი ხელის შეშლის მცდელობას პროგრესული იდეალის ღალატად და რეაქციის გამარჯვებად განიხილავდნენ. სამწუხაროდ, ამგვარი პრიმიტიული შეფასება არ არის საკმარისი. რაც არ უნდა იყოს იმის კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ აგრძელებენ თვითაღიარებული ეროვნული ჯგუფები სახელმწიფო ხელისუფლებისადმი საფრთხის შექმნას (და, როგორც ჩანს, ამას მომავალშიც გააკეთებენ), სახალხო სუვერენიტეტის დოქტრინის ნაწილობრივი დასუსტების საბოლოო ახსნა

---

* **James Mayall, Nationalism and the International Order, from *Nationalism and International Society*, Cambridge: Cambridge University Press, 1990. Chapter 4, pp. 50-69. Reprinted by permission of Cambridge University Press.**

არა ადამიანის სიმხდალეში, არამედ კოლექტიური მე-ს ცნების განუსაზღვრელობაში უნდა ვეძიოთ. აღნიშნული ცნების სიძლიერე ეყრდნობა ემპირიულ გამოკვლევებს, რომ ადამიანები ცხოვრობენ (და ყოველთვის ცხოვრობდნენ) ჯგუფებად და იმ პირობების ფაქტობრივ შეუძლებლობას, რომელთა დროსაც ისინი ასე არ მოიქცეოდნენ. ცნების განუსაზღვრელობის პრობლემა იმიტომ ჩნდება, რომ კოლექტიურის საზღვრები ბუნების მიერ დაწესებული არ არის. ინდივიდები, საბოლოოდ, ერთმანეთს თავიანთი ფიზიკური არსებობით უკავშირდებიან. მართალია, რომანტიკოსი ნაციონალისტები ხშირად ცდილობდნენ, ეს სხვაგვარად აეხსნათ, მაგრამ კოლექტიური მე-ს განმსაზღვრელი ეროვნული საზღვრები არ არსებობს.

კრიტერიუმები და დღის წესრიგი

ეჭვგარეშეა, რომ ეგზისტენციალური თვალთახედვა ეწინააღმდეგება მოსაზრებას კოლექტიური მე-ს ცნების განუსაზღვრელობის შესახებ. რომელიმე ჯგუფი, ვთქვათ ქურთები ან ერიტრიელები, რომელსაც შეუძლია თავისი წევრების გმირული თავგანწირვა და უპირობო ერთგულება უზრუნველყოს (ერთგულება და თავგანწირვის სურვილი კი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია, თუ არა სინონიმები), რა თქმა უნდა, დამაჯერებლად გაუძლებს ნებისმიერ გამოცდას. ჯონ სტიუარტ მილი რომ დავიმოწმოთ: „ძნელად თუ ვინმემ იცის, რისი უფლება უნდა ჰქონდეს ადამიანის რასის ნებისმიერ დაჯგუფებას გარდა იმისა, რომ განსაზღვროს, ადამიანთა სხვა რომელ კოლექტიურ ერთობებთან შეკავშირდეს."

მაგრამ ამგვარი არგუმენტი არ გამოდგება თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ, თავი ავარიდოთ მკაცრი რეალიზმის მსოფლიოს. მილს, როგორც ჩანს, სჯერა, რომ კაცობრიობის დაყოფას კოლექტიურობის პრინციპით ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს ბუნება და ისტორია. ალბათ, სწორედ ამ რწმენის გამო შეეძლო მას, თვითგამორკვევა ეროვნულობის პრინციპისადმი მიესადაგებინა, მაგრამ თუ ვაღიარებთ, რომ ისტორიას, ბუნებისაგან განსხვავებით, ჩვენი შეგნებისაგან დამოუკიდებლად არსებობა არ ძალუძს, მაშინ გვერდს ვერ აუვლით ეგზისტენციალურ დასკვნას. ე.ი. ერი, საბოლოო ჯამში, არის ჯგუფი, რომლის თვითმყოფადობა მისი ისტორიის ინტერპრეტაციის საფუძველზე განისაზღვრება. ამრიგად, ერს ისეთი პოზიცია უკავია სამყაროში, რომ მის არსებობას ხელისუფლებამ მხოლოდ რეალური ძალა შეიძლება დაუპირისპიროს.

კოლექტიური მე-ს ამგვარი ხედვის უკიდურესი, პათოლოგიური ვერსია წარმოდგენილ იქნა მესამე რაიხის მიერ, რომლის სახალხო ფილოსოფია, ერთი მხრივ, ხოტბას ასხამდა ძალის როლს ნების ტრიუმფის მიღწევაში, ხოლო, მეორე მხრივ, ღიად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო წესრიგის ცნებას. მაგრამ, თუ ნაციონალური სოციალიზმი იყო გარყვნილი, პათოლოგიური ვერსია, მაშინ როგორღა უნდა შევიმუშავოთ ნორმა ან დავაწესოთ კრიტერიუმი, რომელიც დაგვეხმარება იმის განსჯაში, დაპირისპირებული ჯგუფებიდან ვისი მოთხოვნები უფრო მართლზომიერია კოლექტიური მე-ს ფორმირების პროცესში?

როგორც კი ვაღიარებთ, რომ არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს კანონიერ და არაკანონიერ დაჯგუფებებს ან ნამდვილ და ყალბ ერებს, მაშინ პლებისციტი (ხალხის აზრის ღია გამოკითხვა, რომელიც ასახავს ინდივიდთა სურვილებს მათ კოლექტიურ თვითმყოფადობასთან მიმართებაში), ერთი შეხედვით, ყველაზე რეალური გამოსავალი გახდება. მას, როგორც საშუალებას, უპირატესობას ანიჭებდნენ უილსონიანელი ლიბერალები ვერსალის კონფერენციის დროს.

როგორც ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მეთოდს, პლებისციტს ორი აშკარა სისუსტე გააჩნია. პირველი, ის უშვებს, რომ კოლექტიური ერთობა უკვე არსებობს – სხვა შემთხვევაში ვინ ან რა მიიღებდა გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ ვის შეუძლია ხმის მიცემა; მეორე, ის უგულებელყოფს დღის წესრიგის პრობლემას – ეს სირთულე წარმოიქმნება იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ვინც არ უნდა განსაზღვრავდეს იმ კითხვებს, რომლებზეც მოსახლეობას პასუხის გაცემა მოეთხოვება, იგი, ამასთანავე, შედეგებზე კონტროლის დაწესების მძლავრ პოზიციასაც ფლობს.

ეს მნიშვნელოვანი სისუსტეები, შესაძლოა, თავიდანვე გაცნობიერებული არ ყოფილა ოპტიმისტი ლიბერალების მიერ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მაგრამ ყველაფერს ნათელი მოეფინა, როდესაც გამარჯვებულებმა ევროპის პოლიტიკური რუკის თავიდან მოხაზვა დაიწყეს. ამ სუსტი მხარეების გამოაშკარავება სპეციფიკურ ისტორიულ გარემოსა და სამ ურთიერთდაკავშირებულ სიტუაციაში მოხდა. მას შემდეგ ცხადია, რომ ამ ტიპის სიტუაციები ხშირად იქმნება, როგორც კი თვითგამორკვევის საკითხის გადასაჭრელად პლებისციტს მიმართავენ.

პირველი და ყველაზე ფუნდამენტური არის უმცირესობების პრობლემა. ისტორიის მანძილზე ევროპის „ეროვნებები" უიმედოდ იყვნენ ერთმანეთში არეულნი და ყოველ მათგანს თავისი ეროვნული ტერიტორია რომც ჰქონოდა, ამა თუ იმ ეროვნების ბევრი წარმომადგენელი მაინც საკუთარი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ დარჩებოდა, თუ პლებისციტის შედეგად მოსახლეობის ძალით გადაადგილება არ მოხდებოდა. ამგვარი შესაძლებლობა დღის წესრიგის პრობლემის კიდევ უფრო დრამატიზებას ახდენს: მაშინ რაღა თვითგამორკვევაა ეს, თუ ამის გამო ხალხი, რომელიც თაობების განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას ცხოვრობდა და რომლის უმრავლესობასაც ან ძალიან ახალგაზრდები ან ძალიან მოხუცები შეადგენენ, იძულებულია, სხვაგან გადასახლდეს ან თავისი პოლიტიკური უფლებები დათმოს?

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ტერიტორია. ნაციონალიზმამდელ სახელმწიფოთა საზოგადოებაში მისაღები იყო ტერიტორიის დაპყრობით მისაკუთრება, ასე მაგალითად, კვებეკი ბრიტანეთმა 1763 წლის პარიზის ზავით მიითვისა. თანამედროვე გაგებით ეს ნიშნავს, რომ საკუთრების უფლება არასამართლიანობის საფუძველზეც შეიძლება იქნეს მიღებული, ანუ გარკვეული პერიოდის შემდგომ ტერიტორია მფლობელს დაუკანონდეს. თუმცა, როდესაც ქვეშევრდომები მოქალაქეებად გადაიქცნენ, ხოლო დინასტიური ძალაუფლება სახალხო სუვერენიტეტმა შეცვალა, წინაპართა სამშობლო, კონცეპტუალურად, ხელშეუხებელი გახდა. რადგან ყველა ძველი სახელმწიფო ტერიტორიის დაპყრობის შედეგად შეიქმნა და თითქმის შეუძლებელია ისტორიის შეცდომების *მთლიანად* გამოსწორება, იბადება კითხვა დროით საზღვრებთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით: სად უნდა გავავლოთ ზღვარი ძველ და ახალ ტერიტორიულ გადანაწილებებს შორის?

როგორც ვიცით, საფრანგეთ-პრუსიის ომის ერთ-ერთი შედეგი იყო ფრანგების დიდი ემიგრაცია ალზას-ლორენიდან და იქ გერმანელთა იმიგრაცია. ამგვარ პირობებში საფრანგეთის მთავრობა შიშობდა, რომ თუ ადგილობრივ მოსახლეობას საფრანგეთთან ან გერმანიასთან მიერთებას შორის არჩევნის საშუალება მიეცემოდა (დამოუკიდებლობა სერიოზულ ალტერნატივად არ იყო მიჩნეული), ხმების რაოდენობა არასაკმარისი იქნებოდა საკითხის საფრანგეთის სასარგებლოდ გადასაწყვეტად. აქედან გამომდინარე, ფრანგული მხარე წინ აღუდგა სადავო ტერიტორიის მომავლის პლებისციტით გადაწყვეტას და დაჟინებით მოითხოვა, გერმანიის მიერ 1871 წელს ამ ტერიტორიის ოკუპაცია არალეგიტიმურად გამოცხადებულიყო.

და ბოლოს, არსებობს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და უსა-

ფრთხოების საკმაოდ რთული პრობლემა. გამარჯვებულ ძალებს სურდათ, პლებისციტი ახალი სახელმწიფოების ფორმირების საშუალებად გამოეყენებინათ, მაგრამ, ამასთანავე, არ უნდოდათ ამ მეთოდის თავიანთი კუთვნილი ტერიტორიებისათვის მისადაგება. ზოგადად, ბრიტანელები უფრო ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ პლებისციტს ევროპის ფარგლებში, ვიდრე ფრანგები, მაგრამ არც ისინი აპირებდნენ ირლანდიის საკითხის გადაწყვეტას პლებისციტის საშუალებით, რომ აღარაფერი ვთქვათ ინდოეთსა და მათ სხვა იმპერიულ სამფლობელოებზე. ამგვარმა მიდგომამ შექმნა საერთო პრეცედენტი მომავლისათვის. მართალია, პლებისციტი შენარჩუნდა და მას გაერო-მაც მიმართა ყოფილი სამანდატო ტერიტორიების – ტოგოსა და კამერუნის ბედის გადასაწყვეტად (რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის დანაწილდა, ხოლო მეორე მსოფლი ომის შემდეგ გაერო-ს მეურვეობის საბჭოს გადაეცა), ის მაინც უკანა პლანზე იქნა გადატანილი ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ დისკუსიაში, პოლიტიკური და სტრატეგიული კრიტერიუმების სასარგებლოდ.

ქაშმირის კონფლიქტი უფრო ზუსტი მაგალითია იმისა, თუ რატომ ხდება პლებისციტის საკითხის მარგინალიზაცია. ფორმულამ, რომლითაც სამთავროების ბედი გადაწყდა 1947 წელს ბრიტანეთის მიერ ინდოეთის დანაწილების დროს (როცა თითოეულ მმართველს ინდოეთსა და პაკისტანს შორის არჩევნის გაკეთების უფლება მიენიჭა) შესაძლებლობა მისცა რეგიონის ინდუს მმართველთა დინასტიას, მიერთებოდა ინდოეთს იმის მიუხედავად, რომ ქაშმირი უშუალოდ ესაზღვრებოდა დასავლეთ პაკისტანს და მისი მოსახლეობის უმრავლესობაც მუსლიმი იყო. როდესაც პაკისტანმა მოხალისეები გააგზავნა საზღვარზე, მაჰარაჯას მიერ ინდოეთისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების გამო აჯანყების მოსანყობად, ინდოეთის მთავრობამ მაშინვე უშიშროების საბჭოს გადასცა დავა.

ძლიერი სახელმწიფოები არ დაეთანხმნენ ინდოეთის არგუმენტს, რომ პაკისტანმა აგრესია ჩაიდინა და, ამიტომ, იძულებით უნდა განდევნილიყო ქაშმირიდან, თუ საჭირო გახდებოდა გაერო-ს ქარტიის მეშვიდე მუხლით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებითაც. მათი ასეთი პოზიცია ნაწილობრივ განპირობებული იყო პაკისტანის იმ ხედვის გამართლებით, რომ მაჰარაჯას გადაწყვეტილება „ბუნებით სამართლიანობას" არღვევდა, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნის გაკეთება მისი კანონიერი უფლება იყო. დიპლომატიის პროცესში, რომელიც, საბოლოოდ, სახელმწიფოს *დე ფაქტო* დანაწევრებით დასრულდა, ინდოეთის მთავრობამ მდგომარეობის სტაბილიზაციის შემდეგ პლებისციტის ჩატარების წინადადება წამოაყენა. აქ იგულისხმებოდა, რომ პაკისტანი ვერ გააკონტროლებდა პლებისციტის შედეგებს. მართალია, მთავრობის მიერ პლებისციტის ჩატარების ფორმალური მზადყოფნა არსებობდა, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ სანამ ინდოეთი თავად ვერ შეძლებდა შედეგების გაკონტროლებას და სანამ პაკისტანი არ დატოვებდა თავისუფალ („აზად") ქაშმირს, ინდოეთი ამ ვალდებულებას არ შეასრულებდა. ამგვარი ქმედება იმდროინდელ ინდოეთში პოლიტიკურად არაპოპულარული იქნებოდა. 1962 წლის ჩინეთ-ინდოეთის ომის შემდეგაც, რომელშიც პაკისტანი აშკარად ჩინეთის მიმართ გამოხატავდა სიმპათიას, ინდოეთის მთავრობა ფიქრობდა, რომ პლებისციტი ამჯერად უკვე სტრატეგიული თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა.

ერთა ლიგიდან გაერო-მდე

ქაშმირის შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა წარსულის ის გაკვეთილი, რომელიც პლებისციტის ერთა თვითგამორკვევისათვის გამოყენებას უკავშირდება,

კერძოდ ის, რომ შეუძლებელია ძლიერ სახელმწიფოთა პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების გამორიცხვა. პრაგმატული გამოსავალი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოიძებნა, მართალია, ერთა თვითგამორკვევას გულისხმობდა, მაგრამ სრულიად ცვლიდა ევროპის რუკას ისე, რომ მასზე ეროვნულობის პრინციპი აისახებოდა, თუმცაღა, რაიმე ფიქსირებული პროცედურის, პრაქტიკულობისა და პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

როგორც ალფრედ კობანმა აღნიშნა, ამგვარმა მიდგომამ უმცირესობების პოლიტიკური პრობლემა წარმოშვა და ეროვნულობის პრინციპი არჩევნის სფეროდან ბუნების ანუ არსის სფეროში გადაიყვანა, რითაც ეროვნული დეტერმინიზმის იდეა თვითგამორკვევის პრინციპით ჩაანაცვლა. ვუდრო უილსონისათვის ცნობილი იყო ტრანსიის ის შესაძლებლობა, რომელიც ამ პრინციპის ადაპტაციას ახლდა თან. იგი შეეცადა ერთა ლიგის წესდების მეათე მუხლის მისეული ორიგინალური ვერსიით გაელაშქრა ამის წინააღმდეგ. ვინაიდან ეს საერთაშორისო სისტემაში მშვიდობიანი ტერიტორიული გადანაწილებისა და ლიბერალური იდეალების პოლიტიკურ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის ბოლო მცდელობა იყო, საჭიროა სრულად მოვახდინოთ მისი ციტირება:

> შეთანხმების მხარეები ერთმანეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიებს იძლევიან, მაგრამ, ამასთანავე, აცნობიერებენ, რომ გარკვეული ტერიტორიული ცვლილებები, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს არსებული რასობრივი პირობებიდან, მოთხოვნებიდან თუ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე. ამას გარდა, ახალი ტერიტორიული მოწყობა, თუ მას დელეგატების სამი მეოთხედი დაეთანხმება, როგორც ხალხის კეთილდღეობისა და სხვა ინტერესების გამომხატველს, ამ ხალხის თანხმობის შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული.

სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპიდან ამგვარმა რადიკალურმა გადახვევამ პარიზის საზავო კონფერენციაზე ამერიკული დელეგაციის კრიტიკასაც კი ვერ გაუძლო, არათუ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების. ლიგის ეგიდით ეროვნული უმცირესობების დაცვის მექანიზმი არაეფექტიანი გამოდგა და უმცირესობების უფლებების ცნებამ დისკრედიტაცია განიცადა, როდესაც ჰიტლერმა ავსტრიაზე და ჩეხოსლოვაკიაზე აგრესია იქ მცხოვრები გერმანულენოვანი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებით გაამართლა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ იყო, რომ გაერო-ს ქარტიის შექმნისას, ძლიერი სახელმწიფოები ცდილობდნენ, გვერდი აეცილოთ კულტურული ნაციონალიზმის საკითხისათვის იმ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მიღწევის მიზნით, რომელთა ტერიტორიული მთლიანობა კოლექტიურად იყო გარანტირებული.

საყოველთაოდ მიღებული განმარტება

1945 წლის შემდეგ, მიუხედავად ქარტიაში ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებისა, როდესაც ერი კონფლიქტში აღმოჩნდებოდა სახელმწიფოსთან, ყოველთვის ხალხი ხდებოდა იძულებული, დაეტოვებინა საკუთარი სამყოფელი. დაწყებული ევროპიდან, სადაც ომის შემდეგ ათმა მილიონმა გერმანელმა შეიცვალა საცხოვრებელი ტერიტორია და დამთავრებული ინდოეთით, რომლის გაყოფასაც მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია მოჰყვა, ერთი წელიც არ გაივლის ისე, რომ ხალხის რომელიმე ჯგუფი სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტში არ იქნეს ჩათრეული და საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან განდევნილი. უამრავი ლტოლვილი, გრძელი რიგი ადამიანებისა, რომლებიც გარბიან მხოლოდ იმ საკუთრებით, რომლის თან ტარებაც

შესაძლებელია, მეოცე საუკუნის ტიპური მახასიათებელი გახდა. 1980-იანი წლების დასაწყისისათვის მარტო აფრიკა, დეკოლონიზაციის ბოლო კონტინენტი, სადაც ევროპული კოლონიების ნაცვლად დაახლოებით ორმოცდაათი ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა, ხუთ მილიონ ლტოლვილს ითვლიდა, რაც მსოფლიოში აღრიცხულ ლტოლვილთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენდა.

ცხადია, ერთა თვითგამორკვევის თანამედროვე ინტერპრეტაცია უმრავლესობისათვის მისაღებია: ამ პრინციპის განხორციელება დროსა და სივრცეში უკავშირდება ევროპული სახელმწიფოების განდევნას მათი საზღვარგარეთული კოლონიებიდან. ამგვარი ფორმულირება ენთუზიაზმით აიტაცეს აზიისა და აფრიკის სახელმწიფოებმა. 1961 წელს ჯავაჰარლალ ნერუმ საბოლოოდ გადალახა თავისი მერყეობა, რომ მისი ნაბიჯი პოლიტიკურ ძალადობად არ მოენათლათ და სანქცია გასცა ინდოეთის მიერ გოას ძალით მიერთებაზე, გოას მოსახლეობის აზრის გაუთვალისწინებლად. 1967 წელს კი, როცა გიბრალტარის მაცხოვრებლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა *სტატუს კვოს* შენარჩუნებას (მოსახლეობის 97% გამოიკითხა და მხოლოდ 44 ადამიანი აღმოჩნდა წინააღმდეგი) გაერო-ს კოლონიზაციის საკითხების კომიტეტმა მაინც გადაწყვიტა, რომ ბრიტანეთის მმართველობა ქარტიას ეწინააღმდეგებოდა, რადგანაც გიბრალტარის მაცხოვრებლები რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას არ წარმოადგენდნენ.

თვითგამორკვევის საკითხზე დავების გადაწყვეტის საშუალებად ხალხის აზრის გამოკითხვა პოსტკოლონიალიზმის ეპოქაშიც გამოირიცხა იმ რეგიონული ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ახალდამოუკიდებელმა აზიურმა და აფრიკულმა სახელმწიფოებმა შექმნეს. აფრიკაში, სადაც ნაციონალისტები ჯერ კიდევ დამოუკიდებლობამდე საუბრობდნენ მეცხრამეტე საუკუნეში ევროპული სახელმწიფოების მიერ ხელოვნურად გატარებული საზღვრების რევიზიის აუცილებლობაზე, ტერიტორიული *სტატუს კვოს* უპირობო შენარჩუნება ორიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი აღმოჩნდა 1963 წელს დაფუძნებული აფრიკის ერთობის ორგანიზაციისათვის (OAU). მეორე კი იყო დარჩენილი კოლონიური ტერიტორიების გათავისუფლების ერთსულოვანი მხარდაჭერა, რომლებიც ან პირდაპირ ევროპიდან ან, როგორც როდეზია და სამხრეთ აფრიკა, ევროპული უმცირესობების მიერ იმართებოდნენ.

როდესაც ეთიოპიასთან 1978 წელს განცდილი სამხედრო მარცხის შემდეგ სომალიმ გადასინჯა თავისი კონსტიტუცია და სომალურ ენაზე მოლაპარაკე ყველა ხალხის ერთ სახელმწიფოში გაერთიანების ვალდებულება ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი კოლონიური ხალხებისათვის დახმარების მოწოდებით შეცვალა, ამ ფაქტს აფრიკის ერთობის ორგანიზაციის დანარჩენ წევრებზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. საყოველთაოდ აღიარებული ინტერპრეტაციით, სამხრეთ აფრიკა ანტიკოლონიური ნაციონალიზმის ლეგიტიმური სამიზნე იყო მიუხედავად იმისა, რომ ის 1910 წლიდან როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა, ეთიოპიის იმპერია კი ასეთ სამიზნედ არ ითვლებოდა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ამჰარული უპირატესობა და ძალაუფლება იმპერატორ მენელიკეს მიერ აფრიკის დანაწილებისათვის ევროპელების მხარდამხარ ბრძოლის შედეგად იქნა მოპოვებული.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ისტორიული ბედი ორმაგად ირონიულია: მან მსოფლიოში იმძლავრა ხალხისათვის და შედეგად მოიტანა მხოლოდ ისეთი სახელმწიფოს ლეგიტიმაცია, რომელიც ხალხის სახელით შეიძლება საუბრობდეს; ამას გარდა, მან განავითარა და ინსტიტუციური გახადა ადამიანური ურთიერთობების პროგრესული ხედვა პოლიტიკური რუკის გაყინვით, რისი მცდელობაც მანამდე არ ყოფილა. ინტუიციურად. ისტორიის დასასრულისაკენ მიმართული ეს უპრეცედენ-

ტო ძალისხმევა, მსოფლიოს ტერიტორიული დაყოფის ასპექტში მაინც, ალბათ, ვერ იქნება წარმატებული, თუნდაც იმიტომ, რომ სხვამხრივ მსოფლიოში ჯერ კიდევ ისტორიული აზროვნება და შეგნება დომინირებს.

და მაინც, უნდა ვაღიაროთ, რომ ნაციონალისტურმა მოძრაობებმა უმეტესწილად ვერ მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას ეროვნული თვითგამორკვევის კონცეფციის საყოველთაოდ მიღებული ინტერპრეტაციის დამარცხებაში. ამგვარად, ორი კითხვა იბადება: პირველი, რა საფრთხეს უქმნის თანამედროვე საერთაშორისო წესრიგს ნაციონალიზმის დოქტრინა, რომელიც ისტორიული შეგნებისა და თვითმყოფადობის გაღვივებას ეყრდნობა; და მეორე, რა პირობებში შეიძლება იყოს ეს საფრთხე რეალური? ამ საკითხებს თანმიმდევრობით განვიხილავთ.

ორი საფრთხე

ეროვნული თვითგამორკვევის საყოველთაოდ აღიარებულ (ანტიკოლონიურ) ინტერპრეტაციაზე შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარ გააზრებულ კომპრომისს წარმოადგენს. ერთი მხრივ, კოლექტიური მე-ს იდეის განუსაზღვრელობისა და, მეორე მხრივ, თანამედროვე პოლიტიკური იდეების მეშვეობით პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ალტერნატიული გამართლების მოძიების შეუძლებლობის გამო, ის გვევლინება, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ ერთგვარ თანხმობად ლიბერალურ რაციონალიზმსა და ისტორიულ ესენციალიზმს შორის. როგორც ყველა კომპრომისი, რომელიც აზრს მოკლებული არ არის იმ პრაქტიკოსი ადამიანებისათვის, რომლებიც მის მისაღწევად მოლაპარაკებებს მართავენ, ერთა თვითგამორკვევის საყოველთაოდ აღიარებული ინტერპრეტაციაც დაუცველია მათი კრიტიკისაგან, ვისაც სჯერა, რომ კომპრომისის ინიციატორებს არ ესმით საკუთარი ისტორიული მოთხოვნების არსი ან რაციონალური ხასიათი. მართალია, მრავალ საკითხში ეს ორი ასპექტი თანხვდება, მაგრამ მაინც სასარგებლო იქნება, საერთაშორისო წესრიგის ძირითადი ესენციალისტური საფრთხე გავაიგივოთ ირედენტიზმთან, ხოლო მთავარი რაციონალისტური საფრთხე – სეცესიასთან, თუნდაც მხოლოდ წარმოდგენის მიზნით.

ირედენტიზმი

ირედენტიზმის დოქტრინა მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან *irredenta*, რომელიც გამოიყენებოდა იმ ტერიტორიასთან მიმართებაში (ტრენტი, დალმაცია, ტრიესტი, ფიუმე), რომელიც კულტურული თვალსაზრისით იტალიას მიეკუთვნებოდა, მაგრამ ავსტრიისა და შვეიცარიის მმართველობაში რჩებოდა, ე.ი. იტალიის გაერთიანების შემდეგაც *დაუბრუნებელი* იყო. თანამედროვე პოლიტიკური გაგებით, ეს ტერმინი გულისხმობს ნებისმიერ ტერიტორიულ მოთხოვნებს, რომლებიც სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს მიმართ გააჩნია. ეს მოთხოვნები ძირითადად ისტორიული და/ან ეთნიკური არგუმენტებით არის გამართლებული: ანუ ირედენტისტი სახელმწიფო აცხადებს, რომ მისი კანონიერი მიწა-წყლის ნაწილი მას უსამართლოდ წაართვეს ან, რომ თავად ერის ნაწილი ვერაგულად განაცალკევეს ორგანული ეროვნული ერთობისაგან.

მართალია, ყველა შემთხვევაში, ირედენტისტულ მოთხოვნებს ერთი სახელმწიფო უყენებს მეორის ტერიტორიას, მაგრამ ამგვარი მოთხოვნები ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდება ტერიტორიულობის ელემენტებისა და ჭეშმარიტი ეროვნული გრძნობების შემცველობის ხარისხით. თანამედროვე ეპოქაში ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია არგენტინის პრეტენზია მალვინის ანუ ფოლკლენდის კუნძულე-

ბზე, რომელიც არგენტინელთა ეროვნულ თვითშეგნებაში განზრახ წინ წამოიწია ოფიციალური ნაციონალისტური პროპაგანდისა და ცენზურის საშუალებით. ყველა არგენტინული რუკა აპ კუნძულებს არგენტინას მიაკუთვნებს. არგენტინის ისტორიის წიგნებში ამ კუნძულების მკვიდრნი არგენტინელი ერის განუყოფელ ნაწილად განიხილებიან, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში 150 წლის განმავლობაში (და არც მანამდე) კუნძულებზე არგენტინელ მოსახლეობას არ უცხოვრია.

ირედენტიზმის მაგალითად, სადაც ტერიტორიული უფლებების განცხადება მოსახლეობის კუთვნილების არგუმენტებთანაა შერწყმული, შეიძლება ჩაითვალოს მაროკოს მოთხოვნები მავრიტანიის მიმართ 1960-იან წლებში. ისევე როგორც არგენტინის პრეტენზიებს ფოლკლენდის ანუ მალვინის კუნძულებთან დაკავშირებით, მაროკოს მოთხოვნებსაც ჰქონდა ისტორიული საფუძველი. ამ შემთხვევაში ისინი ეფუძნებოდა მაროკოელი სულთნების ბატონობასა და სიუზერენობას მავრიტანელ ხალხზე საფრანგეთის იმპერიის დასავლეთ აფრიკაში ექსპანსიამდე და თავად მაროკოში ფრანგული პროტექტორატის დამყარებამდე. ამ პრეტენზიების ასახვა მაროკოს თანამედროვე პოლიტიკაში განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დიდი მაროკოს შექმნის იდეას იზიარებდა როგორც მმართველი დინასტია, ისე რეჟიმისადმი ხშირ შემთხვევაში ოპოზიციურად განწყობილი ნაციონალისტური მოძრაობა „ისტიკლიალი." აღნიშნულ შემთხვევაში ირედენტიზმმა საფუძველი დაუდო ორპარტიულ საგარეო პოლიტიკას.

თანამედროვე ირედენტიზმის ორი, პოლიტიკურად უფრო ორაზროვანი მაგალითებია ესპანეთის პრეტენზია გიბრალტარზე, რომელსაც ისტორიული და გეოპოლიტიკური საფუძველი გააჩნია და ირლანდიის რესპუბლიკის ძალისხმევა გაერთიანებული ირლანდიის შესაქმნელად. თუ გავითვალისწინებთ ესპანელი და ირლანდიელი ხალხის ისტორიულ შეგნებას (ამჯერად არ განვიხილავთ, ის მართალია თუ მცდარი) და მათ ფარულ ნაციონალურ თვითშეგნებას (რომელიც ყოველთვის გამოსადეგია პოლიტიკური მობილიზაციისათვის), მაშინ ცხადია, რომ ვერცერთი ესპანური ან ირლანდიური მთავრობა ვერ შეძლებს ამ მოთხოვნებზე უარის თქმას. ამავე დროს, არც ერთ ქვეყანაში ირედენტიზმის თემა არ არის მთავარი ეროვნული საკითხი და ხშირად ის პრობლემებსაც კი უქმნის ხელისუფლებას.

ესპანეთის მოთხოვნა უხერხულია იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, გიბრალტარის მოსახლეობის მიერ აზრის ღიად გამოხატვამ, მეორე მხრივ კი, ესპანეთის შესვლამ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში (EEC) და დასავლურ ალიანსთან ინტეგრაციის სურვილმა, მისი ტერიტორიული პრეტენზიები და მათ მიერ გამოწვეული დაპირისპირება ანაქრონიზმად აქცია. ამისგან განსხვავებით, ირლანდიის გაერთიანების მცდელობა უხერხულია, რადგანაც ირლანდიის მთავრობა იმ ხელშეკრულების სამართალმემკვიდრეა, რომლის საფუძველზეც ირლანდიის რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ირლანდიის მთავრობამ იცის, რომ გაერთიანების გეგმის განხორციელების შემთხვევაშიც კი, ყველაზე ოპტიმისტური ვარაუდით, მან თავის თავზე უნდა აიღოს ჩრდილოეთში განსხვავებული სოციალური წესრიგის უზრუნველყოფა, იმ სახის საერო განათლებისა და სოციალური დაცვის სისტემის ჩათვლით, როგორიც რესპუბლიკაში მიუწვდომელია. უფრო რეალისტური ვარაუდით, ირლანდიის რესპუბლიკა ჩართული აღმოჩნდება სამოქალაქო ომში, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთშიც შეიძლება გავრცელდეს და საფრთხე შეუქმნას მის ლეგიტიმურობას. ვინაიდან ირლანდიური საკითხის გადაჭრის გზა ჯერ არ გამოჩენილა, ირლანდიის ყველა ბოლოდროინდელი მთავრობა *სტატუს კვოს* შენარჩუნებას ეთანხმება.

თანამედროვე ირედენტიზმის ზემოხსენებული მაგალითები, სადაც ტერიტო-

რიული მოთხოვნები და ხალხის გრძნობებზე აპელირება ერთმანეთთან შერწყმულია, ირედენტისტული მოთხოვნების ძირითად ხასიათს განსაზღვრავს. რადგანაც ეს ე.წ. ეროვნული ბირთვის მოთხოვნებია, რომელსაც უკვე ჰყავს თავისი დამოუკიდებელი მთავრობა, პერიფერიულ მიწებზე ამ მოთხოვნებს ხელისუფლება იყენებს, როგორც მობილიზაციის ინსტრუმენტს და სახალხო მხარდაჭერის მოპოვების საშუალებას როცა კი, რაიმე მიზნით, ამგვარი მხარდაჭერა სასურველია.

რა თქმა უნდა, ირედენტისტული ქმედებები გარკვეულ რისკს შეიცავს. თუ, როგორც ეს არგენტინის ხუნტამ აღმოაჩინა, მთავრობას ეროვნული სულისკვეთების გაღვივების უნარი აქვს, მაგრამ დანაპირების შესრულება არ ძალუძს, მას ხალხმა შეიძლება არ აპატიოს. ასეთი მთავრობის მემკვიდრეს მოუწევს ირედენტისტული სულისკვეთების მოთოკვა ირედენტისტული მოთხოვნების უარყოფის გარეშე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ირედენტისტულ ქმედებებს გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ირედენტისტული პრეტენზიების ნამოყენება (თუკი ეს შესაძლებებლია) არის ალტერნატივა, რომლის არჩევაც მთავრობას შეუძლია. ზოგჯერ ის სახალხო მხარდაჭერის მოპოვების შესანიშნავი საშუალებაცაა.

პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია (PLO), რომელსაც არც ტერიტორია აქვს და არც სახელმწიფო, ამ წესის თვალსაჩინო გამონაკლისია. ვინაიდან მას პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის რეალური შესაძლებლობა არ ჰქონდა, მისმა ირედენტიზმმა ერთმნიშვნელოვნად მთელი თანამედროვე ისრაელის სახელმწიფო მოიცვა. 1988 წელს გაერო-ს გენერალური ასამბლეის წინაშე იასირ არაფატის მიერ ისრაელის არსებობის უფლების საჯაროდ აღიარებამ ახალ პოლიტიკურ კონტექსტს მისცა დასაბამი. თუ პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას ახალი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენების რაიმე შანსი ესახება, მას თავისი ირედენტისტული მოთხოვნების შესუსტება მართებს მათ ორაზროვნობაზე მინიშნებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის უნდა მოიქცეს, როგორც გამოცდილი ირედენტისტული მთავრობა, რომლისთვისაც ამგვარი მოთხოვნების წამოყენება უფრო პოლიტიკური ალტერნატივაა, ვიდრე იდეოლოგიური იმპერატივი. მისცემენ თუ არა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ასე მოქმედების საშუალებას ორგანიზაციის შიდა კრიტიკოსები და ისრაელელი ოპონენტები, ჯერჯერობით გაურკვეველია.

მაგალითი, რომელიც ყველაზე ნათლად ასახავს ზემოხსენებულ წესს, ამავდროულად მის გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს. 1960 წელს ბრიტანეთისა და იტალიის სამანდატო ტერიტორიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა სომალის რესპუბლიკა. თავისი არსებობის პირველ ეტაპზე ახალ სახელმწიფოს ირედენტისტული კონსტიტუცია ჰქონდა: ეროვნულ დროშაზე გამოსახული იყო ხუთი ვარსკვლავი, თითოეული მათგანი სომალელი მოსახლეობის განსახლების ცენტრების სიმბოლიზაციას ახდენდა, რომელთაგან მხოლოდ ორი შედიოდა რესპუბლიკის შემადგენლობაში. დანარჩენი სამი ცენტრი იყო: ჯიბუტი წითელი ზღვის სანაპიროზე, კენიის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინცია და ეთიოპიის ოგადენის რეგიონი. აღნიშნული კონსტიტუციის თანახმად, სომალის მთავრობა ამ ცენტრების გაერთიანების ვალდებულებას კისრულობდა.

სომალის ირედენტიზმს გამონაკლისის სახეს ანიჭებს, ერთი მხრივ, ის ფაქტი, რომ აფრიკის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქ ეროვნული განწყობა უფრო მასობრივი, ვიდრე ელიტური ფენომენია, მეორე მხრივ კი, ის, რომ სომალის კლანს, რომელიც მოგადიშოს მთავრობაში დომინანტის ფუნქციას ასრულებდა დამოუკიდებლობის მიღებიდან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ნათესაური კავშირები აქვს ოგადენის მოსახლეობასთან. ამ ორი ფაქტორის კომბინაციამ თავიდანვე

განაპირობა სომალის პოლიტიკაში გაერთიანების საკითხის დომინირება და, შედეგად, ქვეყნის მეზობლებისაგან იზოლაცია. სომალის ირედენტიზმმა საფუძველი დაუდო თავდაცვით ხელშეკრულებას ეთიოპიასა და კენიას შორის, რომელმაც გაუძლო როგორც 1974 წლის რევოლუციას ეთიოპიაში, ისე ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებებს სომალისთან და კენიასთან სწრაფი გადაადგილების ძალების აღჭურვის თაობაზე „მარქსისტული" ეთიოპიის წინააღმდეგ.

და მაინც, 1969 წლიდან, როდესაც სიად ბარემ სამხედრო გადატრიალების გზით სომალის სამოქალაქო მთავრობა დაამხო, 1977 წლამდე, როდესაც მან საბოლოოდ განდევნა რუსი მოკავშირეები და წარუმატებლად სცადა ოგადენის ძალით აღება, მისი მთავრობა ნაცნობი გეგმით მოქმედებდა. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ რუსები, რომლებთანაც სომალელებმა მეგობრობის ხელშეკრულება გააფორმეს ინტენსიური სამხედრო და სამოქალაქო დახმარების შესახებ, საბჭოთა საზღვაო ძალებისათვის ხელშეწყობის სანაცვლოდ, ტერიტორიულ მოთხოვნათა წამოყენებისაკენ უბიძგებდნენ ბარეს მთავრობას. მართლაც, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბარეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას სომალის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სიად ბარეს მცდელობა, მოეხდინა რევოლუცია ზემოდან, ითვალისწინებდა ჩრდილოელი მომთაბარე მოსახლეობის სამხრეთში გადასახლებას და სოფლის მეურნეობაში დასაქმებას. მისი პოლიტიკა, აგრეთვე, ცენზურას აწესებდა ხალხურ მუსიკაზე სომალის რადიოში: სომალური პოეზიის სიტყვიერი ტრადიცია, მოწოდებული თანამედროვე მუსიკალური ინტერპრეტაციით, ალტერნატიული და ირედენტისტული ფორმის პოლიტიკური მობილიზაციის კარგი საშუალება იყო.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც რევოლუციამ ეთიოპიის ცენტრალური ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის მასშტაბით (არა მხოლოდ ოგადენში) სეპარატისტული განწყობის გაღვივება გამოიწვია, გარეშე ფაქტორებმა (რუსეთის მხარდაჭერამ ეთიოპიის რევოლუციისადმი მანამდე არსებული ალიანსების აღდგენის შესაძლებლობა წარმოშვა) და ხალხის უკმაყოფილებამ ეკონომიკური პოლიტიკით აიძულა ბარე, წამოეწყო დასავლეთ სომალის გათავისუფლების ფრონტის მხარდამჭერი დამღუპველი პოლიტიკა, რომელშიც სომალის რეგულარული და არარეგულარული სამხედრო ძალებიც იღებდნენ მონაწილეობას. 1978 წელს, ქვეყნის დამარცხების შემდეგ, სომალის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები ხალხის ირედენტისტული მისწრაფებების ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილების კიდევ ერთი მცდელობა იყო.

სეცესია

თვითგამორკვევის ფართოდ აღიარებული განსაზღვრების მეორე საფრთხე, სეცესია, გარკვეული თვალსაზრისით, ირედენტიზმის სარკისებური ანარეკლია. წარმატებული სეცესია ძალიან იშვიათია; 1945 წლიდან მოყოლებული ამის ერთადერთი მაგალითია 1971 წელს ბანგლადეშის სახელმწიფოს შექმნა. თუმცა, აღნიშნული ტერმინი ასევე გამოიყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული წარუმატებელი სეპარატისტული აჯანყების აღსანიშნავად, მათ შორის ეროვნული უმცირესობის ნებისმიერი მცდელობისა, განახორციელოს თვითგამორკვევის უფლება – გამოეყოს ერთ სახელმწიფოს, რათა სხვა სახელმწიფოს შეუერთდეს ან, რაც უფრო ხშირია, საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნას ან, სულაც, მოიპოვოს ავტონომია მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში. მსგავსი მცდელობები ზოგჯერ დამოუკიდებლობაზე აშკარა პრეტენზიის გამოხატულებაა; ასეთი იყო მაგალითად, 1969-1970

წლებში ბიაფრას მცდელობა, გამოყოფოდა ნიგერიის ფედერაციას ან ერიტრიელების ხანგრძლივი ბრძოლა ეთიოპიაში გაერთიანების წინააღმდეგ. სამხრეთ სუდანის, ბელუჯისტანისა და პენჯაბის სიქჰების შემთხვევაში კი ადგილი აქვს ბრძოლას, საიდანაც ორი გამოსავალია წარმოდგენილი: ეროვნული ავტონომია სახელმწიფოს ფარგლებში ან დამოუკიდებლობა.

მაგრამ თუ ასეთი სახის ტაქტიკური გათვლები როგორც სეცესიონისტური, ისე ირედენტისტული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, მათ შორის ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავებაც არსებობს: სეცესიის მცდელობა, ირედენტისტული მოთხოვნების წამოყენებისაგან განსხვავებით, არასოდესაა მხოლოდ ცვლილება სახელმწიფოთაშორისი მეტოქეობის სისტემის შიგნით. სეცესია დამოკიდებულია არა მხოლოდ ტერიტორიის ფლობასა და პრესკრიფციული სამართლის დოქტრინაზე, არამედ ჯგუფურ განწყობასა და ერთგულებაზე. საბოლოო შეფასებით, ეს არის მასობრივი პოლიტიკის ფორმა, რომელიც ორგანიზებულია ქვემოდან და არ არის მართული ზემოდან სახელმწიფო აპარატისა და პროპაგანდის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით, ის შეადგენს ლოგიკურად ჩამოყალიბებულ და აშკარად გამოხატულ ნაციონალისტურ საფრთხეს სახელმწიფოთა საზოგადოებისათვის.

ამ დაკვირვებიდან შემდეგი საცდელი დასკვნის გამოტანა შეიძლება: სხვა პირობების უცვლელობისას ირედენტისტული მოთხოვნები (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათ მძლავრი სეცესიონისტული განწყობა უმაგრებს ზურგს) განწირულია კრახისათვის, თუ (ან როცა) სასამართლო არბიტრაჟს გადაეცემა. ეს დასკვნა საცდელია იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები თვითონ არ დააწესებენ ზოგად პრინციპებს ამ საქმეზე ოფიციალური სამართლებრივი გადაწყვეტილების არსებობის გარეშე, რისი ნაკლებობაც ამ შემთხვევაში აშკარაა. ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთის, ესპანეთისა და არგენტინის მთავრობებმა არ მოისურვეს საერთაშორისო სასამართლოს აზრის მოსმენა გიბრალტარის სრუტისა და ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების სტატუსის თაობაზე, მონმობს იმას, რომ ისინი დარწმუნებულნი არ არიან, თუ ვის მიანიჭებს სასამართლო ამ ტერიტორიების მართვის უფლებას. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ ირედენტისტული მოთხოვნები განსახილველად წარედგინება საერთაშორისო სასამართლოს მხოლოდ ისტორიული უფლებამოსილების საფუძველზე, სადავო ტერიტორიის მაცხოვრებელთა სურვილის გაუთვალისწინებლად, მათ პრესკრიპციული სამართლის პერიოდის ანაქრონისტულ გადმონაშთად მიიჩნევენ.

ეს დასკვნა შეიძლება გაკეთდეს უფრო მეტად არბიტრაჟის გარეშე დარჩენილი, ვიდრე სასამართლოს მიერ განხილული ტერიტორიული დავების გათვალისწინებით. ბრიტანელები მზად არ იყვნენ, გიბრალტარზე და ფოლკლენდებზე თავიანთი სუვერენიტეტის საკითხი არბიტრაჟისათვის გადაეცათ, ესპანეთსა და არგენტინას კი (ამ დავების მონაწილე ირედენტისტულ სახელმწიფოებს) სასამართლოში საქმის გადატანის სურვილი გაუჩნებოდათ, შედეგში დარწმუნებულები რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ მათმა მთავრობებმა საბოლოოდ უარი თქვეს ამაზე.

ასეთივე დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, თუ თვალს გადავავლებთ სიუზერენობის დოქტრინას, რომელმაც დღემდე მოაღწია, როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის დოქტრინის ერთადერთმა კონკურენტმა. მაგალითისათვის, შევადაროთ ტიბეტისა და მაროკოს შემთხვევები. როდესაც ჩინელმა კომუნისტებმა 1951 წელს ტიბეტი დაიპყრეს და დალაი ლამამ ინდოეთს შეაფარა თავი, არც ინდოეთის და არც ბრიტანეთის მთავრობა მზად არ იყო, მხარი დაეჭირა ტიბეტელთა თვითგამორკვევის უფლებისათვის და ტიბეტის გაერო-ში გაწევრიანება უზრუნველეყო. მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთს ტიბეტზე *დე ფაქტო*

პროტექტორატი ჰქონდა დაწესებული, რაც ინდოეთის იმპერიის ცარისტული ექსპანსიისაგან დაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო, არც მას და არც შემდგომ ინდოეთის მთავრობას ჩინეთის სიუზერენობის პრეტენზიისათვის ხელი არ შეუშლია. ჩინეთის ისტორიის მანძილზე პეკინის ძლიერი მთავრობები ხარკს აკისრებდნენ ლჰასას, სუსტები კი, თავიანთი გულგრილობით, ქვეყანას იზოლირებული დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას აძლევდნენ. ეჭვგარეშეა, რომ ძირითადი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა ბრიტანეთისა და ინდოეთის მთავრობათა გადაწყვეტილებაზე, წინ არ აღდგომოდნენ ჩინეთის მიერ ტიბეტის ოკუპაციას, იყო ის ფაქტი, რომ არც ერთ მათგანს არ სურდა და არც შეეძლო, ტიბეტელთა მხარდასაჭერად სამხედრო ინტერვენცია განეხორციელებინა. თუმცა, ამგვარი პოლიტიკური ნების არარსებობას ტიბეტთან მიმართებაში მათი სამართლებრივი პოზიციის გაცნობიერებული სისუსტეც განაპირობებდა.

მაროკოს ტერიტორიული პრეტენზიები (ჯერ მთელს მავრიტანიაზე, მოგვიანებით კი დასავლეთ საჰარაზე) პრესკრიფციული სიუზერენობის დოქტრინას უფრო ეფუძნება, ვიდრე სახალხო სუვერენტატის პრინციპს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნები ყოველთვის პოპულარული იყო მაროკოელ ხალხში. თავდაპირველად, მაროკოს სასულთნო არ წარმოადგენდა ტერიტორიულ სახელმწიფოს თანამედროვე გაგებით, მისი მმართველის ხელისუფლება კი, რომელიც ერთდროულად რელიგიურიც იყო და საეროც, ვრცელდებოდა იქამდე, სადამდეც სულთნის არმია ხარკის ასაკრეფად აღწევდა, რაც, ჩინეთ-ტიბეტის ურთიერთობის მსგავსად, არარეგულარულად ხდებოდა. თუმცა, მაროკოს მოთხოვნები ორჯერ გადამოწმდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ – პირველად მავრიტანიასთან, ხოლო მეორედ დასავლეთ საჰარასთან დაკავშირებით.

1960 წელს მაროკომ მავრიტანიის საკითხში არაბული ლიგის მხარდაჭერა მიიღო და საბჭოთა კავშირის დახმარებით ამ ქვეყნის გაერო-ში გაწევრიანება არ დაუშვა. 1961 წლის შემოდგომისათვის მაროკოსადმი მხარდაჭერა შესუსტდა და თუმცა დავა ცოტა ხნით კიდევ გაგრძელდა, მეფე ჰასანმა 1969 წელს ფორმალურად უარი თქვა საკუთარ მოთხოვნაზე, ხოლო მომდევნო წელს მავრიტანიის მთავრობასთან სოლიდარობის ხელშეკრულება გააფორმა. 1974 წელს გაერო-ში მაროკომ კვლავ სცადა თავისი ტერიტორიული მოთხოვნის კანონიერების დამტკიცება და ამჯერად კომპეტენტური აზრისათვის დასავლეთ საჰარის საკითხზე მონვეულ მსოფლიო სასამართლოს მიმართა. სასამართლომ აღიარა, რომ ისტორიულად მაროკოსა და სადავო ტერიტორიაზე მცხოვრებ ზოგიერთ ტომს შორის „ლოიალური და ერთგული დამოკიდებულება" არსებობდა, მაგრამ ასევე განაცხადა, რომ ეს არ უნდა ქცეულიყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის თვითგამორკვევის უფლებაზე უარის თქმის საბაბად.

თუ ასეთი დასკვნა სინამდვილეს შეეფერება, ტერიტორიული ირედენტიზმი არ შეიძლება მუდმივ ან დროებით საფრთხეს უქმნიდეს საერთაშორისო წესრიგს. მსგავსი სახის ტერიტორიული მოთხოვნები მიეკუთვნება იმავე დიპლომატიურ და ინტელექტუალურ სამყაროს, რასაც დავა სხვა სახელმწიფოსათვის ტერიტორიის ლეგიტიმურად გადაცემის შესახებ, მაგალითად დინასტიური ქორწინებისას ან, როგორც ეს კვებეკის შემთხვევაში მოხდა, ომში დამარცხების შედეგად. სეცესია, პირიქით, ნამდვილ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სუვერენულობის პრინციპზე დამყარებულ საერთაშორისო წესრიგს. ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, იმით, რომ აღნიშნული პრინციპი თანამედროვე „რაციონალისტური" სამყაროს ნაწილია, სადაც თვითგამორკვევის უფლება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად არის აღიარებული, მეორე მხრივ კი, იმით, რომ აგრესიული ომი და მით უმეტეს დაპყრობის შედეგად ტერიტორიაზე უფლების მიღება, გაერო-ს ქარტიის თანახმად აკრძალულია.

დილემიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა ერთა თვითგამორკვევის საყოველთაოდ მიღებული ინტერპრეტაციის გამოყენება, რომელიც აისახება კიდეც არსებულ სახელმწიფოთაშორისო წესრიგში. ეს ისეთი აშკარა ფიქციაა, რომ სეცესიონისტ ნაციონალისტებს პროვოკაციაზე აგებს.

ეროვნული წარმატების წინაპირობები

მოკლე, მაგრამ ამომწურავი პასუხი ზემოთ დასმულ მეორე შეკითხვაზე – რა პირობებში აქვს ნაციონალისტურ საფრთხეს განხორციელების მეტი შესაძლებლობა – მდგომარეობს იმაში, რომ ტერიტორიული ცვლილებები ძალიან იშვიათია, ისევე როგორც მათი ხელშემწყობი გარემოებები.

ერთ-ერთი კვლევის მონაცემთა მიხედვით, მსოფლიოში დაახლოებით 8000-მდე დამოუკიდებელი კულტურაა, მაგრამ მხოლოდ 159 დამოუკიდებელი სახელმწიფო. თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე წარმატებული ნაციონალისტური დარტყმის მიტანის შანსები მეტად მცირეა. რა არის ამის მიზეზი? პასუხი ამჯერადაც მარტივი და ნათელია. თანამედროვე სახელმწიფოების შექმნის სამივე დიდი ტალღა – მეცხრამეტე საუკუნის ლათინურ ამერიკაში, ევროპაში 1919 წლის შემდეგ და აზიაში, აფრიკაში, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზებში 1945 წლის შემდეგ – დაკავშირებული იყო იმპერიების რღვევასთან. ამჟამად დასაშლელი იმპერიები აღარ არსებობს და, შესაბამისად, ამ გზით სახელმწიფოთა ჩამოყალიბების შესაძლებლობები შეზღუდულია. აქ მე ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, ფორმალურ იმპერიულ სტრუქტურებს და არა ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის არაფორმალურ სისტემებს, როგორიცაა, მაგალითად, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროები. ეს ჰეგემონური სისტემები, უეჭველად, გარკვეული დოზით ზღუდავს მათ დაქვემდებარებაში მყოფ წევრთა დამოუკიდებლობას, მაგრამ ვინაიდან არ სპობს მათ სამართლებრივ სტატუსს, ნებისმიერი ნაციონალისტური აჯანყება გაბატონებული წესრიგის წინააღმდეგ, როგორიც იყო უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ან კუბასა და ბოლო დროს ცენტრალურ ამერიკაში განვითარებული მოვლენები, ნიშნავს აჯანყებას არსებული ტერიტორიული გადანაწილების *შიგნით* და არა მის წინააღმდეგ.

ასეთ დასკვნას ამყარებს ის ფაქტიც, რომ, სხვადასხვა მიზეზით, ორი ზესახელმწიფო იზიარებს უარყოფით დამოკიდებულებას ტერიტორიული ცვლილებებისადმი სახელმწიფოთა საზოგადოებაში. დღეისათვის აშშ ენინააღმდეგება რევოლუციურ ცვლილებებს (რომელთაც ამერიკელები კომუნიზმის გამარჯვების ტოლფასად მიიჩნევენ) თავისუფლების დეკლარაციაში სეცესიის გამართლების მიუხედავად. საბჭოთა კავშირი კი მხარს უჭერს თვითგამორკვევის პრინციპს, როგორც ტაქტიკას, რომელსაც რევოლუციის საბაბად იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია სეცესიის უფლებასაც ითვალისწინებს. მართებული იქნება ვივარაუდოთ, რომ როდესაც საბჭოთა მოსახლეობის არარუსი ნაწილი რიცხობრივად გადააჭარბებს რუსებს, სსრკ-ს მთავრობა იძულებული გახდება, უარი თქვას სეცესიონისტების მხარდაჭერაზე, თუნდაც ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, იმის შიშით, რომ საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხი წამოიჭრება. ამდენად, ეს არა მხოლოდ პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებაა, რომელიც ფართოდ გავრცელებულია სახელმწიფოთა სისტემაში და ტერიტორიული რუკის გაყინვას ცდილობს, ამგვარი შედეგი ასევე შეესაბამება ორივე ზესახელმწიფოს ინტერესებსა და პოლიტიკას. რადგან სეცესია სახელმწიფოს ემუქრება, სეცესიონისტებს დიდი არჩევანი არ აქვთ გარდა იმისა, რომ გარედან ითხოვონ დახმარება და, როგორც

გამოცდილება გვიჩვენებს, მისი მიღების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეთ.

თუმცა, არასწორია იმის მტკიცება, რომ 1945 წლის შემდგომ არავითარი ტერიტორიული ცვლილება არ მომხდარა, გარდა ევროპული კოლონიური იმპერიების ნგრევისა; არასწორია ისიც, რომ სეცესიონისტების მცდელობა, მოეპოვებინათ გარეშე დახმარება, მათ შორის ზესახელმწიფოებისაგან, აბსოლუტურად წარუმატებელი იყო. ეს არის სფერო, სადაც ცრუ ანალოგიების საფრთხე ყველაზე აშკარაა – სეცესიონისტებს შორის არ არსებობს საერთაშორისო სოლიდარობა (გამონაკლისია იარაღით არალეგალურად ვაჭრობა). ამდენად, ძნელია ერთი მოვლენის ანალიზის მეორე შემთხვევისადმი მისადაგება. და მაინც, ფაქტებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ არსებობს გარემოებათა სამი ტიპი, რომელთა დროსაც ნეგატიური დასკვნა, რომ სეცესია განწირულია მარცხისათვის, უნდა შერბილდეს ან შეიზღუდოს.

რეგიონული პატრონაჟი

როდესაც ორი ზესახელმწიფო სეცესიის მხარდაჭერისაგან თავს იკავებს, მათ შორის არსებული სტრატეგიული ჩიხი შესაძლებლობას აძლევს რეგიონულ ძალას, დაეხმაროს ეროვნულ მოძრაობას. იმისათვის, რომ დავინახოთ, რამდენად შეზღუდულია პრაქტიკაში ასეთი შესაძლებლობები, საკმარისია შევადაროთ დასავლეთ პაკისტანის წინააღმდეგ ბრძოლაში ბენგალიის მიერ გარედან მიღებული დახმარების მაგალითი (რამაც 1971 წელს ბანგლადეშის სახელმწიფოს დაარსება განაპირობა) სომალის წარუმატებელ მცდელობებს, დახმარება გაეწია ოგადენის სომალელებისათვის ეთიოპიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველ შემთხვევაში, აშშ-ის დიპლომატიური მხარდაჭერა პაკისტანისადმი გარკვეულწილად გაანეიტრალა საბჭოთა კავშირის მიერ ინდოეთისათვის აღმოჩენილმა დახმარებამ და მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მეექვსე ფლოტი მანევრირებდა ბენგალის ყურეში, ხოლო ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა, ქალბატონმა განდიმ ხელი მოაწერა მეგობრობის ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან, სანამ დამოუკიდებლად მოიმოქმედებდა რაიმეს, ინდოეთმა მოახერხა, ჩარეულიყო და დამამცირებლად დაემარცხებინა პაკისტანის შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ესკალაციის სერიოზული რისკის გარეშე. ინდოეთს, რა თქმა უნდა, საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, როდესაც აღმოსავლეთ პაკისტანის ბენგალელებს უჭერდა მხარს: სამოქალაქო ომის შედეგად ბენგალიას, რომელიც ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური შტატი იყო, პოლიტიკურად სახიფათო მძიმე ტვირთი აწვებოდა ლტოლვილების სახით; ამავე დროს, პაკისტანის დაშლა უეჭველს გახდიდა ინდოეთის ჰეგემონიას სუბკონტინენტზე. ერთი წლის შემდეგ ახალ სახელმწიფოს არ იღებდნენ გაერო-ში, მაგრამ 1974 წლისათვის აღიარებულ იქნა *fait accompli** და ბანგლადეში პაკისტანმაც ცნო.

ამის საპირისპიროდ, აფრიკის რქაზე, სადაც ორი ზესახელმწიფო მსგავს ჩიხში იმყოფებოდა, არც ერთი ადგილობრივი სახელმწიფო იმდენად დაინტერესებული არ იყო კონფლიქტით, რომ საერთაშორისო საზოგადოების ნორმები დაერღვია. სომალის მომდევნო მთავრობებმა აღიარეს, რომ პანსომალური მიზნების განხორციელება მხოლოდ გარედან მიღებული დახმარებით შეეძლოთ, მაგრამ არც საბჭოთა კავშირს, რომელთანაც სომალი 1969-77 წლებში ალიანსში იყო და არც აშშ-ს, მოგადიშოდან რუსების განდევნის შემდეგ, არ სურდა ეთიოპიის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ამგვარი ქმედება არა მარტო ორ ზესახელმწიფოს შორის პირდაპირი

* მომხდარი ფაქტი

კონფრონტაციის რისკს გამოიწვევდა, არამედ სომალის დანარჩენ აფრიკულ ქვეყნებს დაუპირისპირებდა, რომელთა მთავრობებიც არსებული ტერიტორიული წყობის შენარჩუნებას ანიჭებდნენ უპირატესობას. შეუძლებელია იმის თქმა, თუ ამ ორი სცენარიდან რომელი უფრო დამახასიათებელია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისათვის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბანგლადეში 1945 წლის შემდეგ სეცესიის შედეგად შექმნილი ერთადერთი ახალი სახელმწიფოა, შესაძლოა წარმოადგენდეს ერთგვარ გაფრთხილებას ამ კონკრეტული მაგალითის განზოგადების საწინააღმდეგოდ.*

ზესახელმწიფოთა შეჯიბრი

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა და საბჭოთა მთავრობებმა უარი განაცხადეს, ღიად დაუჭირონ მხარი ეროვნულ მოძრაობებს, რომლებიც არსებული სახელმწიფოებისაგან გამოყოფას ისახავენ მიზნად, იდეოლოგიური დაპირისპირება ხშირად განაპირობებს მათ მიერ ეთნიკური სეპარატიზმის ფარულად, მანიპულაციის მიზნით მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევაში ძირითადი მოტივი, სავარაუდოდ, მეორე მხარის დასუსტება ან ძალაუფლებისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში დროებითი ტაქტიკური უპირატესობის მოპოვებაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა მხარდაჭერა ერთა თვითგამორკვევის პრინციპისადმი ყოველთვის ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა, ამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მათ ჯერ დახმარება გაუწიეს ერიტრიელებს, ხოლო ეთიოპიის რევოლუციის შემდეგ ეს მხარდაჭერა შეუწყვიტეს. ამის მსგავსად, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის კონფრონტაციის კულმინაციის დროს, რომელიც ჩინეთ-პაკისტანის დაახლოების პერიოდს დაემთხვა, საბჭოთა კავშირი ბელუჯ ნაციონალისტებს ეხმარებოდა პაკისტანის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ შემდგომ მათ მიერ სეცესიის მოთხოვნას გაემიჯნა.

ამერიკელებიც ხშირად აქეზებდნენ სეპარატისტულ მოძრაობებს გლობალურ დონეზე მეტი დიპლომატიური გავლენის მოსაპოვებლად. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ირანის შაჰისა და ამერიკელების მიერ ერაყში ქურთების აჯანყების ერთობლივი მხარდაჭერა.

1975 წელს, დაზვერვის საკითხებზე აშშ-ის კონგრესის ანგარიშის ინფორმაციის შემთხვევით გაჟონვის შედეგად ცხადი გახდა, რომ დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის საკითხი დღის წესრიგში არ იდგა. ამის ნაცვლად, ამერიკის შეერთებული შტატები მოვლენების განვითარების შემდეგ ალტერნატივას ანიჭებდა უპირატესობას: „ამბოხებულებმა კვლავ უნდა გააგრძელონ ბრძოლა, რაც ჩვენი [ანუ ამერიკელების] მოკავშირის [ირანის] მეზობელი ქვეყნის [ერაყის] რესურსების მარაგს ამოწურავს. ამგვარი პოლიტიკა არ არის ცნობილი ჩვენი კლიენტებისათვის [ქურთებისათვის], რომლებიც ბრძოლის გაგრძელებით არიან ფრთაშესხმულნი."

მართალია, მომდევნო შემთხვევაში სეპარატიზმი არაფერ შუაშია, მაგრამ ნათელია, რომ ამერიკელების მიერ ანგოლაში იონას სავიმბის UNITA*-სადმი მხარდაჭერა საგარეო-პოლიტიკური მიზანშეწონილობითაა ნაკარნახევი. აქ მოტივია, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ამერიკელთა მტრული დამოკიდებულება MPLA*-ს მთავრობის მიმართ, რომლის გამარჯვებაც ანგოლის სამოქალაქო ომში ძირითადად საბჭოთა კავშირისა და კუბის დახმარებამ განაპირობა, მეორე მხრივ კი, მათი სურვილი, აიძუ-

* 1993 წელს სეცესიის მეორე შემთხვევა აღინიშნა: ერიტრია გამოეყო ეთიოპიას და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა

* ეროვნული კავშირი ანგოლის სრული დამოუკიდებლობისათვის

* ანგოლის გათავისუფლების სახალხო მოძრაობა

ლონ ანგოლის მთავრობა, აშშ-სთან და სამხრეთ აფრიკასთან ითანამშრომლოს ნამიბიის პრობლემის საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე გადასაწყვეტად. ნაციონალისტური თვალთახედვით, ამგვარი უპრინციპო მხარდაჭერა სულ არაფერს სჯობია, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ეროვნულ მოძრაობას ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ნინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, ზოგიერთი ნაციონალისტის აზრით, რომელსაც რეალისტურ პოლიტიკურ თამაშთან დაკავშირებით ილუზიები არ გააჩნია, ასეთი დახმარების მიღება, საბოლოო ჯამში, საკმაოდ შედეგიანი შეიძლება აღმოჩნდეს. თუმცა, თუ ქურთი ხალხის შემთხვევას ავიღებთ მოდელად, რომლებიც ირანის, ერაყის, თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე არიან გადანაწილებულნი, ეს ვარაუდი ნაკლებად დამაჯერებელი გახდება.

კონსტიტუციური გამოყოფა

დასასრულს უნდა განვიხილოთ სეცესიონისტური მოთხოვნების მშვიდობიანად დაკმაყოფილების შესაძლებლობა სახელმწიფოების მიერ ნაწილობრივი თვითლიკვიდაციის გზით, როგორც ეს გააკეთეს ევროპულმა სახელმწიფოებმა, როდესაც 1960 წლისათვის თავიანთი აფრიკული სამფლობელოები დათმეს. უკანასკნელი გამონაკლისი იმ დასკვნისა, რომ ტერიტორიული რუკა თითქოს სამუდამოდ „გაიყინა" ამჟამინდელი ფორმით, ყველაზე ჰიპოთეზურია.

თუ გამოვრიცხავთ მალაიზიის დაშლის შემთხვევას, რომელმაც საფუძველი დაუდო ბრიტანულ დეკოლონიზაციის პოლიტიკას და ისეთ „ქაღალდზე არსებულ კავშირებს," როგორებიცაა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა (ეგვიპტე და სირია) და აფრიკული სახელმწიფოების კავშირი (განა, გვინეა და მალი), რომელთაგან არც ერთი არ დასრულდა რეალური ინტეგრაციით, თანამედროვე სეცესიის შედარებით მშვიდობიანი შემთხვევებია მხოლოდ 1905 წელს ნორვეგიის შვედეთისაგან გამოყოფა და 1921 წელს გაერთიანებული სამეფოდან განცალკევების შედეგად ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს შექმნა. რა შეიძლება ითქვას შვედეთისა და ბრიტანეთის გადაწყვეტილებებზე, რომლებითაც ისინი დაეთანხმნენ ნაციონალისტების მოთხოვნებს კონსტიტუციური გამოყოფის თაობაზე?

ზემოხსენებული ორივე შემთხვევა კონფლიქტს შეიცავდა, განსაკუთრებით ირლანდიის სეცესია, რომელსაც ბრიტანული ოკუპაციის ისტორიის გათვალისწინებით, ვერ განვიხილავთ მშვიდობიანი გამოყოფის მაგალითად. მეორე მხრივ, არც ბრიტანეთის და არც შვედეთის მთავრობა არ იყო მზად, ბოლომდე დაეცვა სახელმწიფოს ერთიანობა, თუ ეს გამოყოფის კონსტიტუციური მოთხოვნების ძალით ჩახშობასთან იქნებოდა დაკავშირებული და სამოქალაქო ომს გამოიწვევდა.

ნებისმიერ ფასად სახელმწიფოს ერთიანობის დაცვის უუნარობას, როგორც ჩანს, ორი სახის სტრუქტურული შეზღუდვა განაპირობებდა. ერთი მხრივ, ითხიეე ქვეყანაში არსებობდა და საზოგადოდ გაცნობიერებული იყო ისტორიული თვითმყოფადობის გრძნობა – ნაციონალისტური ეპოქის დადგომამდე. შვედეთისა და ნორვეგიის შემთხვევაში კავშირი 1815 წელს, ორ თანასწორ სამეფოს შორის გაფორმდა. ირლანდიის შემთხვევაში კი, ნაწილობრივ პროტესტანტული ხელისუფლების მაქინაციების წყალობით, ინგლისმა ვერ მოახერხა ადგილობრივი ელიტის ბრიტანული სისტემის შემადგენელ ნაწილად გადაქცევა, როგორც ეს შოტლანდიასა და უელსში განახორციელა.

მეორე მხრივ, სეცესიის პერიოდში დაპირისპირებული მხარეები ძირითადად ლიბერალი ნაციონალისტების მიერ იმართებოდნენ. რესპუბლიკის საკითხმა კიდევ

უფრო გაართულა ბრიტანეთ-ირლანდიის კონფლიქტი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ირლანდიაში სამოქალაქო ომის გაჩაღებას შეუწყო ხელი, მას, საბოლოო ჯამში, ღრმა პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო სიმბოლური, ვიდრე იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. ნორვეგიელი და ირლანდიელი ნაციონალისტები ერთსა და იმავე პოლიტიკურ ღირებულებებსა და საპარლამენტო სისტემის უპირატესობის რწმენას იზიარებდნენ, ისევე როგორც შვედები და ბრიტანელები, რამაც საბოლოოდ შეარყია მათი ენთუზიაზმი, კავშირი ოკუპაციით შეენარჩუნებინათ.

1960-იანი წლებიდან დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნები ეთნიკური ფაქტორის აღორძინების მოწმენი გახდნენ. იქ, სადაც ეს ნეონაციონალისტური განწყობა გამოყენებულ იქნა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დასაწყებად ან საქალაქო ტერორიზმის გასამართლებლად (მაგალითად, ბასკების მოძრაობის ETA*-სა და თანამედროვე IRA*-ს შემთხვევაში), მას მნიშვნელოვანი და ხშირად სასტიკი წინააღმდეგობა ხვდებოდა, ხოლო იქ, სადაც ნეონაციონალისტური გრძნობები კონსტიტუციური პოლიტიკის ფარგლებში მოსახლეობის მობილიზაციისათვის გამოიყენებოდა (მაგალითად, შოტლანდიასა და უელსში 1960-იან და 1970-იან წლებში), სახელმწიფო ამა თუ იმ რეგიონს, მისი მოთხოვნისამებრ, ავტონომიურ უფლებებს უზრდიდა და დამოუკიდებლობის შესახებ ნებისმიერ დისკუსიას წყვეტდა. საინტერესოა, რა მოხდებოდა, ეთნიკურ რეგიონებს, რომელთაც მეტი ავტონომია მიენიჭათ, თვითგამორკვევისა და კონსტიტუციური გამოყოფის უფლება მაინც რომ მოეთხოვათ?

1970-იან წლებში მიჩნეული იყო, რომ ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კვებეკი მაგალითი იქნებოდა ინდუსტრიული ქვეყნებისათვის. ამჟამად კვებეკური სეპარატიზმი გარკვეულწილად შესუსტებულია, მაგრამ თუ დამოუკიდებელი კვებეკის შესახებ მოთხოვნები კვლავ ამოტივტივდება და პროვინციის მოქალაქეთა დიდი ნაწილის მხარდაჭერას მიიღებს, მაშინ ნაკლებად სავარაუდოა, რომ კვებეკურ სეპარატიზმს ძალითა და იარაღით დაუპირისპირდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად არავითარი განსხვავება არ არის კვიბეკის მიერ კანადის სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევის მცდელობასა და იმ საფრთხეს შორის, რომელიც ბიაფრამ ნიგერიას, ხოლო ბანგლადეშმა პაკისტანს შეუქმნა.

ჩემი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ სეპარატიზმისადმი წინააღმდეგობის გაწევა გაგრძელდება, მაგრამ თუ მოთხოვნები შენარჩუნდება, ინდუსტრიულ საზოგადოებაში მათი მოგვარება უფრო ადვილი იქნება, ვიდრე სხვა სახის საზოგადოებებში, სადაც ნებისმიერი წინააღმდეგობა ღალატად ფასდება. ამგვარი ჰიპოთეზის მართლზომიერება ეყრდნობა ვარაუდს, რომ ურთიერთგაზიარებული პოლიტიკური კულტურა, რომელშიც პიროვნების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ რწმენა ღრმადაა დამკვიდრებული, ყოველთვის მძლავრ წინააღმდეგობას გაუწევს სახელმწიფოს ამ უფლებების ხელყოფაში. მას ასევე ამყარებს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ვერტიკალური ინტეგრაცია.

ლიბერალური კაპიტალიზმის ზეგავლენით თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურმა ინტეგრაციამ მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბებას მაშინ, როდესაც უთანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული შრომის საერთაშორისო დანაწილება ხშირად ნაციონალისტურ რეაქციებს იწვევს. ამავე დროს, მათთვის, ვინც ღრმადაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკაში, სახელმწი-

* „ბასკების სამშობლო და თავისუფლება" (Euskadi Ta Askatasuna)

* საუბარია ირლანდიის რესპუბლიკური არმიის რადიკალურ ფრთაზე (Provisional Irish Republican Army)

ფოს დანაწევრების ხარჯები გაიზარდა. თანამედროვე საწარმოები პოლიტიკურ რისკს ისევ ეკონომიკურ რისკს ამჯობინებენ და მრავალმხრივ დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოზე მათი საქმიანობისათვის საჭირო სტაბილური გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეკონომიკური ინტეგრაცია ეკონომიკურ ნაციონალიზმს წარმოშობს, რომელიც ლიბერალურ მსოფლიო წესრიგს ეწინააღმდეგება.

თარგმნა ია ლომიძემ

იან შოლტე

მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია*

შესავალი: გლობალიზებული მსოფლიო

ხშირად ახალი სიტყვა იმიტომ ხდება პოპულარული, რომ მსოფლიოში მიმდინარე ამა თუ იმ მნიშვნელოვან ცვლილებას ასახავს. ახალი იდეა ახალი ვითარების აღსაწერად არის საჭირო. მაგალითად, როდესაც 1780-იან წლებში ფილოსოფოსმა ჯერემი ბენთამმა ტერმინი „საერთაშორისო" შემოიღო, ეს უკანასკნელი იმის გამო დამკვიდრდა, რომ თანამედროვეობის ღრმა რეალობას აშუქებდა, კერძოდ, ერი-სახელმწიფოებისა და მათ შორის საზღვართამკვეთი კავშირების გააქტიურებას. აღნიშნულ დრომდე არავინ საუბრობდა „საერთაშორისო ურთიერთობების" შესახებ, ვინაიდან კაცობრიობა ტერიტორიული სახელმწიფოების მიერ მართულ ეროვნულ საზოგადოებებად ორგანიზებული არ იყო.

ორასი წლის შემდეგ, 1980-იან წლებში, გახშირდა საუბარი „გლობალიზაციაზე." ტერმინი სწრაფად გავრცელდა სტანდარტულ ლექსიკონში – არა მხოლოდ აკადემიურ წრეებში, არამედ ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, ბანკირების, რეკლამის მწარმოებლებისა და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებს შორისაც. ამავე დროს, სხვადასხვა ენაში დაახლოებით ეკვივალენტური ცნებები გაჩნდა. ინგლისური "Globalization"-ის პარალელურად წარმოიშვა ჩინური Quan Qui Hua, იტალიური – globalizzazione, რუსული – глобализация, სინჰალური – jatyanthareekaranaya და სხვა. საუბარი გლობალურ ბაზრებზე, გლობალურ კომუნიკაციებზე, გლობალურ კონფერენციებზე, გლობალურ საფრთხესა და ა.შ. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1980-იან წლებში საერთაშორისო ურთიერთობებისა და სხვა დისციპლინათა სტუდენტებმა **გლობალური** (როგორც საერთაშორისოსაგან განსხვავებული) მმართველობის, გლობალური ეკოლოგიური ცვლილებების, **გლობალური** გენდერული ურთიერთობების, **გლობალური** პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა მსგავსი საკითხების შესწავლა დაიწყეს. სიტყვა „გლობალიზაციამ" ამ ნაშრომის სახელწოდებისკენაც გაიკვალა გზა.

იდეები გლობალურობის შესახებ 1980 წლამდე დიდი ხნით ადრეც გაისმოდა. ინგლისურ ენაზე მოსაუბრეებმა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ზედსართავი სახელის „გლობალური" „მთელი მსოფლიოს" აღსანიშნავად გამოყენება დაიწყეს. მანამდე კი ამ სიტყვას მხოლოდ „სფერულის" მნიშვნელობა ჰქონდა. ცნებები „გლობალიზება" და „გლობალიზმი" 1944 წელს გამოქვეყნებულ ერთ ნაკლებად პოპულარულ წიგნში იქნა პირველად წარმოდგენილი, ხოლო არსებითი სახელი „გლობალიზაცია" პირველად 1961 წელს გაჩნდა ლექსიკონში (Reiser and Davies, 1944: 212, 219; Webster, 1961). თუმცა, განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მიუხედავად, გლობალური ტერმინოლოგია მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედამდე მაინც ვერ გახდა ყოველდღიური

---

* **Jan Aart Scholte, The Globalization of World Politics, in *The Globalization of World Politics: An Introduction to International Relations*, edited by John Baylis and Steve Smith, Oxford: Oxford University Press, 1997. pp. 14-30. Reprinted by permission of Oxford University Press.**

ლექსიკონის ნაწილი. მაგალითად, 1975 წლამდე გამოცემული წიგნებისა და სტატიების სათაურები გლობალურობაზე მინიშნებას თითქმის არ შეიცავდა მაშინ, როდესაც, დღეისათვის, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე ეს ცნება ფართოდ არის დამკვიდრებული.

გლობალიზაცია: განსაზღვრება

შეგვიძლია თუ არა, გავაკეთოთ დასკვნა, რომ ისევე როგორც ტერმინი „საერთაშორისო" ორასი წლის წინ, ბოლოდროინდელი ხშირი მინიშნებები გლობალიზაციაზე მსოფლიო საკითხებში შორსმიმავალ ცვლილებას ასახავს? თუ ეს ასეა, მაშინ როგორია ამ ცვლილების უფრო ზუსტი ხასიათი? კრიტიკოსებებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ ხშირად ტერმინი „გლობალიზაცია" ბუნდოვნად და არათანმიმდევრულად გამოიყენება. (განსხვავებულ შეხედულებათა ნიმუშებისათვის იხილეთ დანართი 1.1.) სინამდვილეში, ბევრი ავტორი ვერ ახერხებს იმის დაკონკრეტებას, თუ რითი განსხვავდება „გლობალური" ურთიერთობები „საერთაშორისო" ურთიერთობებისაგან. მართლაც, ხშირად ბევრი ავტორი „გლობალიზაციისა" და „ინტერნაციონალიზაციის" ცნებებს ურთიერთმონაცვლეობით იყენებს. ხოლო, თუ ეს ტერმინები ერთსა და იმავე ვითარებას აღწერს, გლობალიზაციაზე საუბარი სრულებით ზედმეტია. ასეთ შემთხვევაში, გლობალიზაციის შესახებ გამართული კამათი რეალისტების, ლიბერალებისა და მარქსისტების დავის განმეორება იქნება, რომელიც ოცი, სამოცი, ასი და მეტი წლის წინათ მიმდინარეობდა. მაშინ ჩვენი თეორიული მიმოხილვიდანაც ისეთს ვერაფერს შეიტყობთ, რაც 1930-იანი ან 1970-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობების სახელმძღვანელოში არ შეიძლებოდა წაგეკითხათ.

თუმცა, მეოცე საუკუნის ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო საგრძნობლად შეიცვალა და ტერმინი „გლობალიზაცია" კარგად მეტყველებს ამაზე. იმ მნიშვნელობით, რომლითაც ეს სიტყვა აქ არის გამოყენებული, გლობალიზაცია აღნიშნავს **პროცესებს, რომელთა მეოხებითაც სოციალურ ურთიერთობებს შედარებით ნაკლებად აფერხებს მანძილი და საზღვრები** ისე, რომ ადამიანთა ცხოვრება **მსოფლიოს, როგორც ერთი მთლიანობის ფარგლებში** მიედინება. სოციალური ურთიერთობები – იმ უამრავი და რთული კავშირების ერთობლიობა, რომლებითაც ადამიანები ურთიერთქმედებენ და გავლენას ახდენენ ერთიმეორეზე – სულ უფრო მეტად დამყარებული და ორგანიზებული ხდება პლანეტური ერთობის საფუძველზე. შესაბამისად, ქვეყნის მდებარეობას, კერძოდ კი ტერიტორიულ სახელმწიფოთა შორის არსებულ საზღვრებს ჩვენს ცხოვრებაში უმთავრესი ადგილი აღარ უკავია, მაგრამ მათი მნიშვნელობა გარკვეულწილად მაინც შენარჩუნებულია. ამდენად, გლობალიზაცია თანამედროვე ტენდენციაა, რომლის გავლენითაც მსოფლიო – მრავალ ასპექტში და ძირითადად აჩქარებული ტემპით – ერთიან, საზღვრების არმქონე სოციალურ სფეროდ ყალიბდება.

აქვე, აუცილებელია გლობალიზაციის ინტერნაციონალიზაციისაგან გამიჯნვა. როგორც თავად სიტყვის წყობა მიგვანიშნებს, „ინტერნაციონალიზაცია" **ეროვნულ ერთეულებს შორის კავშირების გაღრმავების** პროცესს აღნიშნავს. ინტერნაციონალიზაციის შედეგად ქვეყნები ერთმანეთზე მრავალმხრივ და ღრმა გავლენას ახდენენ, მაგრამ ერთიმეორისაგან დაშორებულ და განცალკევებულ ერთეულებად რჩებიან. საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნები დაშორებულნი არიან როგორც მკაცრად დადგენილი საზღვრებით, ისე დროით, რომელიც მათ ტერიტორიებს შორის მანძილის დაფარვას ესაჭიროება. ეს განსხვავება ორი სიტყვით რომ ჩამოვაყალიბოთ, საერთაშორისო სფერო საზღვრებით შემოზღუდული ქვეყნების

მოზაიკაა, გლობალური სფერო კი – საზღვართამკვეთი ქსელებისაგან აგებული აბლაბუდა. თუ საერთაშორისო კავშირები (მაგალითად კაკაოთი ვაჭრობა) ადამიანებისაგან პოითხოვს შესამჩნევი მანძილის დროის შედარებით დიდ მონაკვეთში დაფარვას, გლობალური კავშირები (მაგალითად, თანამგზავრით გადაცემული ახალი ამბები) არსებითად მანძილისაგან შეუფერხებელი და წამიერია. გლობალურმა ფენომენებმა შეიძლება ერთდროულად მთელი მსოფლიო მოიცვას და ადგილმდებარეობა სწრაფად შეიცვალოს. ამ გაგებით, ისინი **ზეტერიტორიულია**. მაშინ, როდესაც „საერთაშორისო" ურთიერთდამოკიდებულების ტიპებზე დიდ გავლენას ახდენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დაყოფა, „გლობალური" ურთიერთკავშირების ფარგლები ხშირად საერთოდ არ ემთხვევა ტერიტორიულ საზღვრებს. რა თქმა უნდა, ისიც შესაძლებელია, რომ საერთაშორისო და გლობალური ურთიერთობები პარალელურად ვითარდებოდეს, და, მართლაც, თანამედროვე მსოფლიო ერთდროულად ინტერნაციონალიზებულიც არის და გლობალიზაციებულიც.

დანართი 1.1. გლობალიზაცია: განსაზღვრებათა კრებული

„გლობალიზაცია ასახავს ყველა იმ პროცესს, რომელთა მეშვეობითაც მსოფლიოს ხალხები ერთ მსოფლიო საზოგადოებაში, გლობალურ საზოგადოებაში ერთიანდებიან."

(მარტინ ელბროუ, 1990)

„გლობალიზაცია . . . შეიძლება განიმარტოს, როგორც იმ მსოფლიო მასშტაბის სოციალურ ურთიერთობათა გაძლიერება, რომლებიც დაშორებულ ადგილებს იმგვარად აკავშირებს ერთმანეთთან, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის პროცესები მრავალი მილის დაშორებით მიმდინარე მოვლენების გავლენას განიცდის და პირიქით."

(ენტონი გიდენსი, 1990)

„Die Globalisierung . . . [ესაა] გლობალური ქსელი, რომელმაც ამ პლანეტაზე არსებული მანამდე გახლეჩილი და იზოლირებული საზოგადოებები ურთიერთდამოკიდებული გახადა და „ერთ მსოფლიოში" გააერთიანა."

(ემანუელ რიხტერი, თარგმნილია გერმანულიდან)

„გლობალიზაციის ტენდენციის მახასიათებლები მოიცავს წარმოების ინტერნაციონალიზაციას, შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართულ მიგრაციულ მოძრაობებს, ახალ კონკურენტულ გარემოს, რომელიც ამ პროცესებს აჩქარებს და სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაციას . . . რაც სახელმწიფოებს გლობალიზებული მსოფლიოს უწყებებად გარდაქმნის."

(რობერტ კოქსი, 1994)

„მსოფლიო გლობალურ სავაჭრო ცენტრს ემსგავსება, სადაც იდეები და საქონელი ყველგან ერთსა და იმავე დროს არის ხელმისაწვდომი."

(როზაბეტ მოსს კანტერი, 1995)

„გლობალიზაცია, მხოლოდ, მზარდი ურთიერთდაკავშირებულობის ობიექტურობას კი არ ადასტურებს, არამედ კულტურულ და სუბიექტურ საკითხებსაც აშუქებს [სახელდობრ, მსოფლიოს, როგორც ერთი მთლიანობის შემეცნების მასშტაბსა და სიღრმეს]."

(როლანდ რობერტსონი, 1992)

„გლობალიზაცია გახლავთ ის, რასაც ჩვენ მესამე სამყაროში საუკუნეების მანძილზე კოლონიზაციას ვუწოდებდით."

(მარტინ ხორი, 1995)

გლობალიზაციის ასპექტები

გლობალური ურთიერთობების განსაკუთრებულობა უფრო ნათელი გახდება, თუ მოკლედ მიმოვიხილავთ მათ ზოგიერთ ძირითად თავისებურებას. მაგალითად, **კომუნიკაციების** სფეროში გლობალიზაციას კომპიუტერულმა ქსელებმა, სატელეფონო კავშირმა, ელექტრონულმა მასმედიამ და სხვა საშუალებებმა შეუწყო ხელი. ამგვარი ტექნოლოგიები ადამიანებს ერთმანეთთან სწრაფი კონტაქტის დამყარების შესაძლებლობას აძლევს, დედამიწაზე მათი ადგილსამყოფელისა და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად, რომლებიც მათ შეიძლება ჰყოფდნენ. მაგალითისათვის, ფაქსი დანიშნულების ადგილს ოკეანის გაღმა თითქმის ისევე სწრაფად მიაღწევს, როგორც მეზობელ ოთახში.

ორგანიზაციების სფეროში გლობალიზაცია კომპანიათა, ასოციაციათა და მარეგულირებელ უწყებათა გავრცელებასა და ზრდაში გამოიხატა, რომლებიც საზღვართამკვეთი ქსელების სახით მოქმედებენ. ისეთი უწყებები, როგორიცაა კორპორაცია „ნისანი," „საერთაშორისო ამნისტია" და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მთელ პლანეტას საკუთარი საქმიანობის ასპარეზად განიხილავენ, ხოლო კაცობრობას მთლიანად თავიანთ რეალურ ან პოტენციურ მომხმარებლად მიიჩნევენ.

ეკოლოგიურად, გლობალიზაცია ისეთ ფენომენებში გამოიხატა, როგორიცაა პლანეტის ჰავის ცვლა (ანუ „გლობალური დათბობა"), სტრატოსფეროში ოზონის შემცირება, ცალკეული ბუნებრივი რესურსების მოსალოდნელი ამოწურვა და დედამიწის ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება. გარემოში მიმდინარე აღნიშნული პროცესებიდან რომელიმეს ამა თუ იმ ქვეყანაში იზოლირება შეუძლებელია, ისინი აღმოცენდა და გავლენას ახდენს მსოფლიოზე, როგორც ერთ მთლიანობაზე.

წარმოების სფეროში ე.წ. „გლობალურმა ფაბრიკებმა" ისეთი სექტორები მოიცვა, როგორიცაა საავტომობილო მრეწველობა და მიკროელექტრონიკა. აქ საწარმოო პროცესის სხვადასხვა სტადია (მაგალითად, მეცნიერული კვლევები და ცდები, ნედლეულის დამუშავება, კომპონენტების დამზადება, ნაწილების აწყობა, პროდუქციის გამოშვება და ხარისხის კონტროლი) ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში კი არ არის მოქცეული, არამედ რამდენიმე ქვეყანას ერთ საწარმოო ხაზად აერთიანებს. გლობალიზაციას, ასევე, მოჰყვა ფულისა და ფინანსების სფეროში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოცდაოთხ საათს მომუშავე საფონდო ბირჟების გაჩენა, დედამიწის ყველა კუთხეში აღიარებული საკრედიტო ბარათების გავრცელება, მთელს მსოფლიოში ისეთი ვალუტების მზარდი გამოყენება, როგორიცაა დოლარი, იენი, მარკა და ა.შ.

ამავდროულად, **სამხედრო** სფეროში თვალსაჩინო გახდა გლობალური შეიარაღების ეპოქის დადგომა. კონტინენტთაშორისმა ბალისტიკურმა რაკეტებმა, საჯაშუშო თანამგზავრებმა და მსგავსმა ტექნოლოგიებმა მთელი მსოფლიო, გარკვეული თვალსაზრისით, ერთ სტრატეგიულ არეალად გადააქცია. მართალია, 1990-91 წლების სპარსეთის ყურის ომი ერაყსა და კუვეიტში ხმელეთზე მიმდინარეობდა, მაგრამ მასში თანაბრად იყო ჩართული თანამგზავრული დისტანციური დაზვერვა, ზებგერითი დაბომბვები, საზღვართამკვეთი ელექტრონული ფულადი გადარიცხვები სამხედრო ოპერაციების დასაფინანსებლად, პროპაგანდისტული ბრძოლა გლობალურ მასმედიაში და მსოფლიო კოალიცია ბაღდადის წინააღმდეგ, რომელიც გლობალური მმართველობის უწყების – გაერო-ს მიერ იყო სანქცირებული.

გლობალიზაციამ, ამას გარდა, ბევრ ისეთ **ნორმაზე** მოახდინა გავლენა, რომ-

ლებიც ჩვენს ცხოვრებას მართავს, მათ შორისაა ათასობით ტექნიკური სტანდარტი და (მხოლოდ თეორიულად) უნივერსალური ადამიანის უფლებები. ამ და სხვა წესებმა, რომელთა რაოდენობაც მუდმივად იზრდება, ქვეყნების სპეციფიკისაგან განსხვავებული, ზეტერიტორიული ხასიათი შეიძინა.

და ბოლოს, გლობალიზაციამ **ყოველდღიურ აზროვნებაშიც** აშკარად იჩინა თავი. მეოცე საუკუნის ბოლოს მცხოვრები ადამიანები მსოფლიოს ერთ მთლიანობად ისეთი სიცხადით აღიქვამენ, როგორითაც წინა თაობებს ეს არ შეეძლოთ. ცნობიერების ამგვარად შეცვლა, ალბათ, ყველაზე მეტად დააჩქარა 1966 წელს ღია კოსმოსიდან გადაღებული პირველი ფოტოსურათების დაბეჭდვამ, რომლებზეც დედამიწა ერთ ადგილსამყოფელად იყო წარმოსახული.

წინამდებარე დაკვირვებების შეჯამების შედეგად ცხადი ხდება, რომ გლობალიზაციას ფართო მასშტაბები გააჩნია. მართლაც, ეს პროცესი გარკვეულწილად სოციალური ურთიერთობების ყველა ასპექტს შეეხო. საუზმის დროს რადიო გვატყობინებს ახალ ამბებს ბუენოს-აირესიდან და პეკინიდან. გლობალური საფინანსო ბაზრების რხევები გვძენს ან გვაკარგვინებს ქონებას, ზოგჯერ მხოლოდ ერთი დღით. ჩვენ ვსვამთ კოკა-კოლას, ვჭამთ ბიგ-მაკს, ვიცვამთ ჯინსებს, ვუსმენთ უკანასკნელ მუსიკალურ ჰიტებს და ვუყურებთ უახლეს ვიდეო-კლიპებს მილიონობით სხვა ადამიანთან ერთად მთელ მსოფლიოში. ჩვენს მანქანას ისევე, როგორც ავტობუსს ბომბეიში გარკვეული წვლილი შეაქვს სათბური ეფექტის გაძლიერებაში. ინტერნეტის, კომპიუტერების მსოფლიო ქსელის მეშვეობით ჩვენს ოფისს სწრაფად შეუძლია კონტაქტის დამყარება ვარშავასა თუ ვაშინგტონთან. ევროკავშირი ჩვენ სურსათზე ფასებს განსაზღვრავს, ხოლო ჩვენი ეროვნული არმიის ჯარისკაცები გაერო-ს ეგიდით მიმდინარე ამა თუ იმ სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში სხვა ქვეყნების ჯარისკაცებს უერთდებიან. ჩვენს მიერ „ოქსფამ"-ისათვის შეწირული თანხა მეორე დილას რუანდაში საზოგადოებრივი სამუშაოების დაფინანსებას მოხმარდება. ამგვარი გარემოებები არ არსებობდა მაშინ, როდესაც ჩვენი მშობლები ბავშვები იყვნენ, დღეს კი ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი შვილები გლობალიზაციას კიდევ უფრო მეტად შეიგრძნობენ. დღეისათვის ჩვენ ვცხოვრობთ არა მხოლოდ მშობლიურ ქვეყანაში, არამედ, ყველაზე პირდაპირი და ზუსტი მნიშვნელობით, მსოფლიოში, როგორც ერთ მთლიანობაში.

ისტორიული ფესვები

ძნელია იმ მომენტის ზუსტად განსაზღვრა, როდესაც გლობალიზაცია დაიწყო. პერიოდიზაცია ყოველთვის უზუსტო და საკამათოა, უმეტესწილად, იმის გამო, რომ ცვალებადობა და მდგრადობა მუდამ ურთიერთგადაჯაჭვულია. ისტორიაში თვალსაჩინოდ და ზუსტად არ ჩანს გარდატეხის მომენტი, რომლის თაობაზეც ყველა შეთანხმდებოდა. მკვლევარებმა გლობალიზაციის დასაწყისი სხვადასხვაგვარად დაათარიღეს: კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟიდან (გემბლმა, 1994), თანამედროვე ეპოქის დადგომიდან (მოდელსკიმ, 1988), მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან (რობერტსონმა, 1992), 1950-იანი წლების ბოლოდან (როზენაუმ, 1990), 1970-იანი წლებიდან (ჰარვიმ, 1989), მაგრამ თუ გლობალიზაციას ზეტერიტორიულობის გაძლიერების პროცესად აღვიქვამთ, მაშინ მისი ქრონოლოგია რობერტსონისა და როზენაუს შეხედულებების შეჯერებით უნდა დავადგინოთ (გლობალიზაციის განვითარების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის ქრონოლოგიისათვის იხილეთ დანართი 1.2.).

დანართი 1.2. ზოგიერთი ნიშანდობლივი მოვლენა გლობალიზაციის ისტორიაში

1866	პირველი მუდმივი ტრანსოკეანური სატელეგრაფო კაბელის ამოქმედება
1865	პირველი გლობალური მარეგულირებელი უწყების (საერთაშორისო სატელეგრაფოკავშირის) შექმნა
1884	მსოფლიოში საათების კოორდინირების დანესება (გრინვიჩის დროსთან მიმართებაში)
1891	პირველი საზღვართამკეთი სატელეფონო ზარის განხორციელება (ლონდონსა და პარიზს შორის)
1919	პირველი რეგულარული საერთაშორისო საჰაერო მომსახურების შემოღება
1929	პირველი ოფშორული ფინანსური გარიგების დადება (ლუქსემბურგში)
1930	პირველი გლობალური რადიოტრანსლაცია (ჯორჯ V-ის მიერ ლონდონის საზღვაო კონფერენციის გახსნის ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვა ექსპრეს კონტინენტზე, ერთდროულად 242 სადგურის მეშვეობით გადაიცემოდა)
1946	პირველი ციფრული კომპიუტერის აწყობა 1974
1949	ჯგუფური ტურისტული მოგზაურობების ორგანიზება გლობალური მასშტაბით ტურიზმს აძლევს ბიძგს
1954	პირველი ექსპორტის გადამუშავების ზონის დაარსება (ირლანდიაში)
1954	„მარლბოროს კოვბოის" რეკლამის გამოჩენა
1955	მაკდონალდსის პირველი რესტორნის გახსნა
1956	პირველი ტრანსოკეანური სატელეფონო კაბელის გაყვანა
1957	კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების ხანის დადგომა
1957	პირველი ევროსავალუტო სესხის გაცემა (საბჭოთა ბანკის მიერ ამერიკულ დოლარებში, ლონდონის ბირჟაზე)
1960	მარშალ მაკლუჰანი ამკვიდრებს ტერმინს „გლობალური სოფელი"
1962	პირველი საკომუნიკაციო თანამგზავრის გაშვება
1963	სა ხლვართამკეთი სატელეფონო ზარების ნომრის პირდაპირ აკრეფით განხორციელება
1963	პირველი ევროობლიგაციის გაცემა (იტალელი მსესხებლის მიერ ამერიკულ დოლარებში, ლონდონის ბირჟაზე)
1966	პირველი ფართოფიუზელაჟიანი სამგზავრო ხომალდის აგება (ბოინგი 747)
1969	პირველი დიდი კომპიუტერული ქსელის შექმნა
1971	პირველი მთლიანად ელექტრონული საფონდო ბირჟის დაარსება (აშშ-ის NASDAQ-ის სიტემა)
1972	პირველი კონფერენცია გლობალურ საკითხებზე (გაერო-ს კონფერენცია გარემოზე)
1974	აშშ-ის ხელისუფლების მიერ უცხოურ ვალუტაზე კონტროლის გაუქმება (სხვა ქვეყნებმა მას მოგვიანებით მიჰბაძეს)
1976	პირველი პირდაპირი მაუწყებლობის თანამგზავრის გაშვება (რომელიც, მაგალითისათვის, სახურავზე დამაგრებულ თეფშებს უკავშირდება)
1977	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების პირველი კომერციული გამოყენება, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ტელეკომუნიკაციების შესაძლებლობები
1977	სისტემა SWIFT-ის შექმნა ბანკთაშორისი ელექტრონული ფულადი გადარიცხვებისათვის
1987	ანტარქტიდის თავზე თითქმის ღია „ოზონის ხვრელის" წარმოშობა გლობალური ეკოლოგიისადმი ინტერესს აღვივებს
1987	უოლ-სტრიტის საფონდო ბირჟის კრახი ერთი ღამეში მთელ მსოფლიოს მოედო
1991	მსოფლიო საინფორმაციო ქსელის (ინტერნეტის) ამუშავება
1997	მსოფლიოს გარშემო უწყვეტი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანა

რობერტსონი მართებულად აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის ადრეულმა ნიშებმა უამრავი წლის წინ დაიწყო გამოჩენა, თუმცა, გაცილებით მცირე მასშტაბითა და ნელი ტემპით. მაგალითად, სატელეგრაფო კომუნიკაციებს 1840-იან წლებში ჩაე-

ყარა საფუძველი. ზოგიერთი გლობალური სოციალური მოძრაობა (მაგალითად, ფემინიზმი) და მარეგულირებელი ორგანო (მაგალითად, მსოფლიო საფოსტო კავშირი) მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. კონტინენტთაშორისი მოკლეტალღოვანი რადიოგადაცემები 1920-იან წლებში მომრავლდა. შეხვედრები მთავრობებს შორის გარემოს დაბინძურების საკითხების განსახილველად ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ეწყობოდა.

მეორე მხრივ, კაცობრიობის დიდი ნაწილის ცხოვრებაზე გლობალიზაცია უწყვეტად, ყოველმხრივად, ინტენსიურად და სწრაფად მზარდი სიხშირით 1960-იან წლებამდე გავლენას არ ახდენდა. მართლაც, გლობალიზაციის ყველა ხსენებული გამოვლინება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და არა რომელიმე უფრო ადრეული პერიოდით. მაგალითად, პირდაპირი სატელეფონო კავშირი მთელი მსოფლიოსათვის 1980-იან წლებამდე ხელმიუწვდომელი იყო. მხოლოდ 1960-იანი წლებიდან დაიწყო ის პროცესი, რომლის შედეგადაც 1990-იან წლებში შემდეგი მაჩვენებლები მივიღეთ: 830 მილიონი ტელევიზორი, 40000 ტრანსნაციონალური კორპორაცია, რამდენიმე ათასი მოქმედი თანამგზავრი, 15000 მოქალაქეთა საერთაშორისო არასახელმწიფო გაერთიანება, 1,230 მილიარდი ამერიკული დოლარის ღირებულების საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები ყოველ დღე, მილიარდამდე მგზავრი კომერციული ავიარეისებზე ყოველ წელიწადს, სხვადასხვა გლობალური ეკოლოგიური პრობლემა და მეტაფორა „გლობალური სოფელი." სრულყოფილი გლობალიზაცია – როგორც მეტად საგულისხმო პროცესი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ჩვენეული აღქმის ფუნდამენტურად შეცვლას მოითხოვს – საკმაოდ ახალი მოვლენაა.

შეზღუდვები

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ გლობალიზაცია მნიშვნელოვანი და, მთლიანობაში, შედარებით ახალი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში, საჭიროა, დავხვეწოთ ჩვენი შეფასებები მისი მასშტაბის, სიღრმის, მიზეზებისა და შედეგების შესახებ შენიშვნების გამოთქმით. სამწუხაროდ, გლობალიზაციის შესახებ გამართული მრავალი კამათისათვის დამახასიათებელია ზედმეტი გამარტივება, გაზვიადება და სასურველის რეალურად წარმოჩენა. ამგვარი ინტელექტუალური უნიათობის შედეგად ზოგიერთი კრიტიკოსი მეორე უკიდურესობაში ვარდება და გლობალიზაციის ცნებას, როგორც მითოლოგიურს, საერთოდ არ განიხილავს (მაგალითად, ჰირსტი და თომპსონი, 1996). ქვემოთ მოყვანილი ხუთი შეზღუდვა კრიტიკოსთა მიერ წარმოდგენილ ზოგიერთ სანინააღმდეგო მოსაზრებას ეხმაურება და პროცესის უფრო სწორად და ზუსტად გაგებას უწყობს ხელს.

პირველი, გლობალიზაცია ყველგან ერთნაირი ხარისხით არ განუცდიათ. მთლიანობაში, მანძილისა და ტერიტორიული საზღვრების მნიშვნელობის შესუსტების პროცესი ჩრდილოეთ ამერიკაში, წყნარი ოკეანის ზოლსა და ევროპაში შესამჩნევად უფრო შორს წავიდა, ვიდრე საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკასა თუ ცენტრალურ აზიაში. ისეთი ფენომენები, როგორიცაა გლობალური კომპანიები და ელექტრონული ფოსტა უმთავრესად მსოფლიოს ე.წ. ჩრდილოეთშია თავმოყრილი. ამას გარდა, გლობალიზაციამ ქალაქის მაცხოვრებლებზე, საქმიან ადამიანებსა და ახალგაზრდა თაობებზე უფრო დიდი ზეგავლენა მოახდინა, ვიდრე დანარჩენ ჯგუფებზე, თუმცა, გარკვეულწილად ეს პროცესი ყველას შეეხო. გლობალიზაცია იმას კი არ გულისხმობს, რომ მოცემული პირობები ყველგან და ყველასათვის ერთი და იგივე იქნება, არამედ უფრო მეტად იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ბევრი

რამ ტერიტორიული მანძილისა და საზღვრების გაუთვალისწინებლად ხდება.

მეორე, გლობალიზაცია არ წარმოადგენს, როგორც ზოგიერთი ამას ირწმუნება, პომოგენიზაციის პირდაპირ პროცესს. მართალია, ელექტრონული მასმედიისა და სხვა მსგავსი მიღწევების ტერიტორიულ გეოგრაფიაზე დომინირებამ უამრავი მიზნის, იდეის, სტანდარტისა და ჩვეულების მთელ მსოფლიოში გავრცელება გამოიწვია, მაგრამ გლობალიზაციას, უდავოდ, არ მოუსპია კულტურული განსხვავებები. მაგალითად, სხვადასხვა მაყურებელი განსხვავებულად აღიქვამს გლობალურ ფილმს, ხოლო გლობალური პროდუქცია სხვადასხვა ადგილას განსხვავებულად შეიძლება იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ ადგილობრივი მოთხოვნებისა და ჩვეულებების შესაბამისად. უფრო მეტიც, მთელი მსოფლიოს მშობლიურ კერასთან მოახლოებამ ბევრს, თავდაცვის მიზნით, საკუთარი თვითმყოფადობის ხაზგასმისაკენ უბიძგა, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო დაჟინებით, ვიდრე ოდესმე. ამგვარად, 1960-იანი წლებიდან გლობალიზაციამ ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური აღორძინების მოძრაობების მომრავლებას მისცა ბიძგი (შოლტე, 1996). ასე რომ, გლობალიზაცია მოიცავს, ერთი მხრივ, კულტურათა შერწყმისაკენ, მეორე მხრივ კი, ჯგუფთაშორისი განსხვავებების გამძაფრებისაკენ მიმართულ წინააღმდეგობრივ ტენდენციათა რთულ ნაზავს.

მესამე, გლობალიზაციას არ აღმოუფხვრია მსოფლიო პოლიტიკაში ადგილის, მანძილისა და ტერიტორიული საზღვრების მნიშვნელობა. მაგრამ, ვირტუალური სივრცის, ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით დამყარებული კავშირისა და სხვათა გამოჩენით აღნიშნულმა პროცესმა სოციალური ურთიერთობებში გეოგრაფიის დამატებითი განზომილებები წარმოაჩინა. თუმცა, ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს განედების, გრძედებისა და სიმაღლეების ძველმა გეოგრაფიამ მნიშვნელობა დაკარგა. მაგალითად, ადგილი ბუნებრივი რესურსების განლაგების, ეროვნული გამორჩეულობის შეგრძნებისა და სხვა თვალსაზრისით კვლავაც მნიშვნელობას ინარჩუნებს. მანძილი სერიოზულ შემზღუდველ და ბუფერულ ეფექტს იძლევა, როდესაც საქმე სახმელეთო მოგზაურობასა და სასაქონლო ვაჭრობას ეხება. სახელმწიფო საზღვრები მაინც განაგრძობს მიგრაციისა და კონტრაბანდის შეფერხებას, მიუხედავად იმისა, რომ საზღვრის დამცველებს სარაკეტო შეტევისა თუ ელექტრონული ფულადი გადარიცხვების შეჩერება არ ძალუძთ. მაშასადამე, გლობალიზაციამ „გეოგრაფიის დასასრული" კი არ გამოიწვია, არამედ ძველი ტერიტორიული გეოგრაფიის გვერდით, მასთან მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული, ახალი ზეტერიტორიული სივრცე შექმნა. შედეგად, მსოფლიო საკითხების „რუკა" უპრეცედენტოდ კომპლექსური გახდა.

მეოთხე, გლობალიზაცია ერთ ცალკეულ მამოძრავებელ ძალად არ უნდა აღვიქვათ. მაგალითად, აღნიშნული პროცესი მხოლოდ ამერიკულ ან დასავლურ ჩანაფიქრად ვერ ჩაითვლება. ის არც კაპიტალიზმის გარდაუვალი პროდუქტია, არც ინდუსტრიული რევოლუციის წინასწარგანპირობებული საბოლოო შედეგი და არც სამყაროსეული ჭეშმარიტების საერო საწყისებზე ძიების ნაყოფი. სიმართლის მარცვალი, ალბათ, ყველა ამ და სხვა შეხედულებაში ძევს, მაგრამ თითოეული მიდგომა, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს პრობლემის არსს. გლობალიზაციის უფრო სრული განმარტება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური და ფსიქოლოგიური ძალების რთული და ცვალებადი კომპლექსის გათვალისწინებას მოითხოვს, სადაც ზოგიერთი ძალა ურთიერთგამაძლიერებელია, ზოგიერთიც კი – ურთიერთსაწინააღმდეგო.

მეხუთე, – რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, – გლობალიზაცია პანაცეა არ არის. ზოგიერთმა ლიბერალმა „საზღვრების არმქონე მსოფლიოს" მოახლოება,

როგორც საყოველთაო თანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და თავისუფლების გარიჟრაჟი გვახარა (მაგალითად, ომემ, 1990). სამწუხაროდ, გასული რამდენიმე ათწლეულის გამოცდილება საწინააღმდეგო შედეგებზე მიუთითებს. ჯერ ერთი, ადამიანები – მათი სქესიდან, კლასიდან, რასიდან, ეროვნებიდან, რელიგიიდან და სხვა სოციალური კატეგორიებიდან გამომდინარე – როგორც წესი, არათანაბრად იყვნენ ჩართულნი, არათანაბარი გავლენით სარგებლობდნენ და არათანაბარ სარგებელს ნახულობდნენ გლობალიზაციაში. სიღარიბე კვლავაც მძვინვარებს თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში. ეკოლოგიური დეგრადაციის მასშტაბები ამაზე დიდი არასოდეს ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილება მოხერხდა, 1993 წლისათვის (Wells et al. 1994: 18) დედამიწაზე ოცდათხუთმეტი მსხვილმასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობდა (ე.ი. კონფლიქტი, რომლის დროსაც წელიწადში 1000-ზე მეტი ადამიანი იღუპება). გლობალიზაცია არ აღმოჩნდა არც დემოკრატიის ფორმულა (როგორც ამას ქვემოთ დავადასტურებთ) და არც პასუხი გაუცხოების პრობლემაზე. ნათელია, რომ გლობალიზაციასა და ემანსიპაციას შორის ავტომატური კავშირი არ არსებობს.

თუმცა, ზემოჩამოთვლილი შეზღუდვების გათვალისწინება არ ნიშნავს იმის თქმას, რომ გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა. მართალია, ზოგიერთი მიმომხილველი ამ პროცესის მასშტაბის გაზვიადებისაკენ არის მიდრეკილი, მაგრამ, აშკარაა, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკის სივრცულმა განზომილებამ არსებითი, ფართომომცველი და სიღრმისეული გარდაქმნა განიცადა. ამ გარემოებათა ფონზე, გლობალიზაცია, უსათუოდ, ამართლებს იმ უდიდეს ყურადღებას, რომელიც მან ბოლო დროს მიიპყრო.

ძირითადი დებულებები

• გლობალიზაცია ასახავს დღესდღეობით კვლავაც მიმდინარე პროცესს, რომლის მეშვეობითაც მსოფლიო, მრავალ ასპექტში, ერთ მთლიანობად ყალიბდება.

• გლობალიზაციამ, მეტ-ნაკლებად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.

• მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციას მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში ჩაეყარა საძირკველი, სრულყოფილი სახე ამ პროცესმა 1960-იანი წლებიდან მიიღო.

• გლობალიზაციისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომისათვის დამახასიათებელია ზედმეტი გამარტივება, გაზვიადება და სასურველის რეალურად წარმოჩენა.

გლობალიზაცია და სახელმწიფოთა სისტემა

გლობალიზაციის განხილვა ხშირად შორს მიმავალი ისტორიული ცვლილებების გამოკვლევას ითვალისწინებს. მეცნიერები სვამენ კითხვას, გახდება თუ არა მსოფლიო, ერთ მთლიანობად გადაქცევის შემდეგ, განსხვავებული რამ. მაგალითად, შესაძლებელია თუ არა, რომ მანძილისა და ტერიტორიული საზღვრების მნიშვნელობის დაცემამ ნარმოების გაბატონებულ წესში არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს? შესაძლებელია თუ არა, რომ გლობალიზაციამ ისე შეცვალოს ადამიანთა გამორჩეულობისა და საზოგადოებისადმი მიკუთვნების გრძნობები, რომ ისინი, დავუშვათ, ნაკლებად (ან, შესაძლოა, უფრო მეტად) ნაციონალისტური გახდეს? შესაძლებელია თუ არა, რომ ამ პროცესმა ადამიანსა და ბუნებრივ გარემოს შორის კავშირს სახე უცვალოს? შესაძლებელია თუ არა, რომ გლობალიზაციამ ადამიანებს სამყაროს შეცნო-

ბის სხვა გზები დაუსახოს, მაგალითად, ხელი შეუწყოს რელიგიური რწმენის გაღვივებას? შესაძლებელია თუ არა, რომ გლობალიზაციამ გარდაქმნას მმართველობის სტრუქტურები, ე.ი. წესების განსაზღვრისა და მსოფლიოში ძალაუფლების გაახორციელების საშუალებები?

ამ კითხვების საპასუხოდ მიმომხილველებმა გლობალიზაცია დაუკავშირეს **ინფორმაციული საზოგადოების** შექმნას, **გვიანი კაპიტალიზმის** დასაწყისს, **პოსტმოდერნული ხანის** დადგომას, კომუნიზმის რღვევასა და თვით ისტორიის დასასრულსაც კი (იხილეთ დანართი 1.3.). აღნიშნულ ნარკვევებში გლობალიზაცია ისტორიულ ეპოქებს შორის გარდამავალ ფაზად არის წარმოდგენილი. აქ უადგილო იქნება ამ მოსაზრებათა შეფასება და საბოლოო დასკვნების გაკეთება სოციალური ცვლილებისათვის გლობალიზაციის მნიშვნელობის შესახებ. ამ საკითხზე ვრცელი ანალიზის გაკეთებას მე სხვაგან ვცდილობ (იხილეთ, შოლტე, 1997). ქვემოთ კი გთავაზობთ სახელმწიფო სისტემასა და მმართველობის ფართოდ გავრცელებულ მოდელებზე გლობალიზაციის ზემოქმედების ზოგად მიმოხილვას.

ვესტფალიის წესრიგი

რამდენიმე ათწლეულის წინ, ინტენსიური გლობალიზაციის დაწყებამდე მსოფლიო პოლიტიკა, უმთავრესად, ე.წ. ვესტფალიის სისტემის საფუძველზე იყო მოწყობილი. სისტემის სახელწოდება ვესტფალიის ზავიდან (1648) მომდინარეობს, რომელშიც ადრევე ოფიციალურად განცხადდა მომდევნო სამი საუკუნის მანძილზე მსოფლიო საკითხებში გაბატონებული პრინციპები. ვესტფალიის სისტემა სახელმწიფოთა სისტემა იყო. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში, სახელმწიფოების მიერ თანდათანობით ერი-სახელმწიფოს ფორმის მიღების კვალდაკვალ, ადამიანებმა „საერთაშორისო," ისევე როგორც, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებზე საუბარი და ვესტფალიის წესრიგის „საერთაშორისო სისტემად" მოხსენიება დაიწყეს.

დანართი 1.3. ძირითადი წარმოდგენები თანამედროვე სოციალურ ცვლილებაზე, რომლებიც, მეტწილად, გლობალიზაციას უკავშირდება

ინფორმაციული საზოგადოება

1970-იანი წლებიდან მოყოლებული, სოციალურ თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ თანამედროვე საზოგადოება წარმოების სფეროში სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. თუ მანამდე ეკონომიკური აქტივობა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სექტორებში იყო კონცენტრირებული, ახალ – კერძოდ კი, გლობალიზაციის – პირობებში, სიმდიდრის მთავარ წყაროებად ინფორმაცია და ცოდნაა ქცეული. კომპიუტერები, მასმედია, ტელეკომუნიკაციები, და სხვა, თითქოს, ყველაზე მნიშვნელოვან აქტივებად გვევლინებიან ეკონომიკაში, რადგანაც მინაზე, მუშახელზე, სამრეწველო საწარმოებსა თუ ფულზე უპირატესობას ფლობენ. ზოგიერთი მიმომხილველი ასეთივე მოსაზრებებს, „ინფორმაციული საზოგადოების" ნაცვლად, „ინფორმაციული ეპოქის," „პოსტინდუსტრიული საზოგადოების," „მომსახურების ეკონომიკისა," და „ცოდნის საზოგადოების" ტერმინებით გამოხატავს.

გვიანი კაპიტალიზმი

როგორც მარქსისტები, ისე სხვებიც მოცემულ ფრაზას იმ ვარაუდის გამოსახატავად იყენებენ, რომ თანამედროვეობამ კაპიტალიზმის ინსტიტუტებსა და პროცეს-

ებში ცვლილება შეიტანა. ინფორმაციული საზოგადოების თეორეტიკოსების მსგავსად, ზოგიერთი ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური ნამატის დაგროვება დღეისათვის ძველი ინდუსტრიული დარგებიდან მონაცემთა, ნიშანთა და გამოსახულებათა წარმოებაში ინაცვლებს. სხვები ყურადღებას ამახვილებენ გლობალური კომპანიების გაძლიერებაზე, დეცენტრალიზებული კორპორატიული მმართველობისაკენ გადადგმულ ნაბიჯებზე, ე.წ. „მესამე სამყაროს" წინააღმდეგ ნეოიმპერიალიზმის გამოვლენაზე, და ა.შ. ზოგიერთმა ავტორმა მსგავსი დასკვნები „ორგანიზებული კაპიტალიზმის დასასრულისა" და უფრო მეტად „პოსტკაპიტალისტური საზოგადოების," ვიდრე „გვიანი კაპიტალიზმის" შესახებ საუბრისას გააკეთა.

პოსტმოდერნულობა

გლობალიზაციასთან ერთად „პოსტმოდერნულობა" და „პოსტმოდერნიზმი" თანამედროვე სოციალური თეორიის ყველაზე პოპულარულ სიტყვებს განეკუთვნება. გლობალიზაციის მსგავსად, მათი მნიშვნელობა საკმაოდ ბუნდოვანი შეიძლება იყოს. პოსტმოდერნულობის ცნება, ჩვეულებრივ, მოდერნულობის გარემოებებში გარკვეული კრიზისის არსებობაზე ან ამ ვითარებიდან გამოსვლაზე მიანიშნებს. მაგალითად, ბევრი მიმომხილველი პოსტმოდერნულობას საფუძვლიანი ცოდნის კლებას უკავშირებს. ამ თვალსაზრისით, პოსტმოდერნული მდგომარეობა გულისხმობს იმ თანამედროვე, რაციონალისტური, პოზიტივისტური რწმენის დაკარგვას, რომლის მიხედვითაც მეცნიერების მეშვეობით სამუდამო და უნივერსალური ჭეშმარიტებებისა და ღირებულებების განსაზღვრა შეგვიძლია. იდეები პოსტმოდერნულობის შესახებ, ხშირად, თვითმყოფადობის საკითხებით თანამედროვე საზოგადოების აქტიურ დაინტერესებასაც ასახავს. პოსტმოდერნულ პიროვნებას არსებობისა და კუთვნილების უამრავი ცვალებადი გრძნობით (ეროვნება, სქესი, რასა, სექსუალურობა, და ა.შ.) „დანაწევრებული მე" გააჩნია. ბევრი ავტორი პოსტმოდერნულობაზე იმ სწრაფი ცვალებადობისა და ეფემერულობის გამოცდილებიდან გამომდინარე საუბრობს, რომლებიც მასმედიის, მომხმარებლური სულისკვეთებისა და სხვა გავლენების ქვეშ მყოფ მსოფლიოს ახასიათებს. ამას გარდა, პოსტმოდერნისტები ხშირად საერთაშორისო ურთიერთობებში ტერიტორიულობისა და სუვერენული სახელმწიფოებრიობის დასასრულზე მიუთითებენ, მაშინ, როდესაც მსოფლიო პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკაში მათ ერთ დროს გაბატონებულ მდგომარეობა ეკავათ. ამ და სხვა საშუალებებით, პოსტმოდერნულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო მეტი უნდობლობა, დაუცველობა და უნესრიგობა შეაქვს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მიმომხილველები ამგვარ მოსაზრებებს ეჭვქვეშ აყენებენ და მიიჩნევენ, რომ ბოლოდროინდელ ისტორიულ ძვრებს უფრო მეტად მოდერნულობის განვრცობა, ვიდრე მისგან დაშორება მოაქვს შედეგად. დღევანდელ გარემოებათა აღწერა მათ „მაღალი მოდერნულობის," „გვიანი მოდერნულობისა" და „ჰიპერმოდერნულობის" ცნებებით ურჩევნიათ.

ისტორიის დასასრული

ამ წინააღმდეგობრივმა თეზისმა ფართო ყურადღება მიიპყრო 1990-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის, ფრენსის ფუკუიამას კალმის წყალობით. ფუკუიამა (1992 წელს) ამტკიცებდა, რომ კომუნისტური რეჟიმების დაცემა მთელს მსოფლიოში, მმართველობის ყველა სხვა ფორმაზე ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფს მოასწავებდა. მისი ხედვით, ვინაიდან ლიბერალური დემოკრატია ფუნდამენტური შიდა უთანხმოებებისაგან თავისუფალია და ღრმა ადამიანურ მისწრაფებებს შეესაბამება, მისი ტრიუმფი სოციალური ევოლუციის დასასრულს ნიშნავდა.

ვესტფალიის სისტემა მმართველობის სტრუქტურა იყო, ანუ ის საზოგადოებრივი წესების ჩამოყალიბების, დანერგვის, ზედამხედველობისა და შესრულების ზოგად მიმართულებას განსაზღვრავდა. მმართველობის ამ ფორმის სათაეებთან სახელმწიფოებრიობისა და სუვერენულობის პრინციპები იდგა. სახელმწიფოებრიობა გულისხმობდა მსოფლიოს ტერიტორიულ ნაწილებად დაყოფას, რომელთაგან თითოეულს ცალკე მთავრობა მართავდა. ეს ახალი სახელმწიფო ცენტრალიზებული, საზოგადოებრივი ძალაუფლების ფორმალურად ორგანიზებული აპარატი იყო, რომელიც თავისი იურისდიქციის სფეროში შეიარაღებული ძალადობის საშუალებებზე კანონიერ (და უმეტესწილად ეფექტიან) მონოპოლიას ფლობდა. ამასთან ერთად, ვესტფალიური სახელმწიფო სუვერენული იყო ანუ თავის კუთვნილ ტერიტორიულ სივრცეზე ყოვლისმომცველ, უზენაეს, შეუზღუდავ და ექსკლუზიურ კონტროლს ახორციელებდა. **ყოვლისმომცველი** ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ, პრინციპში, სუვერენული სახელმწიფო ქვეყანაში ყველა საქმიანობაზე ავრცელებდა იურისდიქციას. **უზენაესი** ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ სუვერენულ სახელმწიფოს, რომელიც არავითარ ზემდგომ ძალაუფლებას არ ცნობდა, საკუთარ ტერიტორიასთან მიმართებაში უკანასკნელი სიტყვა ეთქმოდა. **შეუზღუდავი** ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ, მართალია, ვესტფალიურ ეპოქაში დროდადრო მიმდინარეობდა დავა ჰუმანიტარული ინტერვენციის შესაძლო ვალდებულებების შესახებ, მთლიანობაში, სახელმწიფოს მიერ სრული იურისდიქციის გავრცელების უფლება სხვა სახელწიფოთა მიერ ხელშეუხებლად იყო აღიარებული. და ბოლოს, **ექსკლუზიური** ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ სუვერენული სახელმწიფოები თავიანთი შიდა იურისდიქციის ფარგლებში უფლებამოსილებას არავის უნანილებდნენ. სახელმწიფოთა შორის „ერთობლივი სუვერენიტეტი" არ არსებობდა; „საზიარო სუვერენიტეტი" კი ტერმინოლოგიურ წინააღმდეგობას შეიცავდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ვესტფალიის წესრიგი ისტორიული ფენომენი იყო. სხვა სიტყვებით, სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა მმართველობის გარკვეულ სტრუქტურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც კონკრეტულ დროს, ცალკეული პერიოდისათვის დამახასიათებელი გარემოებების გამო წარმოიშვა. სუვერენული სახელმწიფოებრიობა მარადიული, ბუნებრივი მდგომარეობა არ არის. პოლიტიკამ ამ მაორგანიზებელი პრინციპის გარეშე მეჩვიდმეტე საუკუნემდე გაძლო და არ არსებობს არავითარი საბაბი იმისა, რომ მსოფლიო ისტორიამ სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემის გარეშე შემდგომი განვითარება ვეღარ განაგრძოს.

სუვერენიტეტის დასასრული


ფაქტობრივად, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ გლობალიზაციის შედეგად, ვესტფალიის სისტემა უკვე წარსულს ჩაბარდა. მართალია, სახელმწიფო აპარატი შენარჩუნდა, და, გარკვეული თვალსაზრისით, უფრო დიდი, ძლიერი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაცილებით აქტიურად ჩართული გახდა, ვიდრე ოდესმე, მაგრამ სუვერენიტეტის ძირეული ვესტფალიური ნორმა აღარ მოქმედებს და აღარც მისი თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში აღდგენაა შესაძლებელი. სუვერენულობის ცნება პოლიტიკურ რიტორიკაში კვლავაც მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის, ვინც გლობალიზაციით გამონვეული ეროვნული თვითგამორკვევის შესუსტების პროცესის შენელებასა და შებრუნებას ცდილობს. თუმცა, იურიდიულადაც და პრაქტიკულადაც, სახელმწიფოს მარეგულირებელი შესაძლებლობები სუვერენულობის ტრადიციულ კრიტერიუმებს აღარ შეესაბამება.

სახელმწიფო სუვერენიტეტი ტერიტორიულ მსოფლიოს ეფუძნებოდა. იმის-

ათვის, რომ მთავრობებს განსაზღვრულ ტერიტორიაზე აბსოლუტური და ექსკლუზიური ძალაუფლება განეხორციელებინათ, მოვლენები გარკვეულ ადგილას უნდა მომხდარიყო, ხოლო იურისდიქციები ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა ყოფილიყო ნათლად დემარკირებული საზღვრებით, რომლებზეც სახელმწიფო მოხელეებს მკაცრი მეთვალყურეობა ექნებოდათ დაწესებული. თუმცა, როდესაც გლობალიზაციის შედეგად სოციალური ურთიერთობები უამრავ არატერიტორიულ ნიშან-თვისებას იძენს და საზღვრები ელექტრონული და სხვა გადაცემების ზემოქმედებით ირღვევა, ეფექტიანი სუვერენიტეტის უმნიშვნელოვანესი წინაპირობებიც ქრება. (იხილეთ ნახაზი 1.1.)

ერთი მხრივ, მატერიალურმა განვითარებამ შეზღუდა სახელმწიფო სუვერენიტეტი. თანამედროვე სახელმწიფოს აღარ შეუძლია საკუთარი ძალებით ისეთი ფენომენების გაკონტროლება, როგორიცაა გლობალური კომპანიები, თანამგზავრული დისტანციური მართვის ხელსაწყოები, გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და გლობალური საფონდო თუ სააქციო ვაჭრობა. ზემოჩამოთვლილ მოვლენათაგან ვერც ერთი ვერ მოექცევა ისეთ ტერიტორიულ სივრცეში, რომელზეც სახელმწიფოს თავისი ექსკლუზიური იურისდიქციის გავრცელება ძალუძს. კომპიუტერით გაგზავნილ მონაცემებს, რადიოაქტიურ ნალექებსა და სატელეფონო ზარებს სასაზღრო-საკონტროლო პუნქტები ვერ შეაკავებს. გლობალურმა მასმედიამ სასაუბრო ენასა და განათლებაზე სახელმწიფოს ბატონობა შეარყია. უზარმაზარი ოფშორული საბანკო დეპოზიტებისა და მსოფლიო მასშტაბის მასიური ფულადი გადარიცხვების გავლენით სახელმწიფოებმა სუვერენულობის კიდევ ერთ ნიშანზე, ეროვნულ ვალუტაზე ერთპიროვნული ძალაუფლება დაკარგეს.

ნახაზი 1.1. სახელმწიფო გლობალიზებულ მსოფლიოში



ამ მატერიალურ ცვლილებებთან ერთად, გლობალიზაციამ სუვერენულობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი კულტურული და ფსიქოლოგიური დასაყრდენი შეასუსტა. ასე მაგალითად, საზღვართამკვეთი ქსელების გააქტიურების შედეგად უამრავმა ადამიანმა ისეთი ლოიალურობა შეიძინა, რომელიც ცვლის და, შესაძლოა, აღემატება კიდეც ეროვნული სოლიდარობის გრძნობას, რაც ნინათ სახელმწიფო სუვერენიტეტს ლეგიტიმურობას სძენდა. გლობალური კონფერენციების, გლობალური ტელეკომუნიკაციებისა და სხვა საშუალებების დახმარებით ძლიერი ზეტერიტორიული კავშირები წარმოიქმნა ქალთა მოძრაობებში, მენეჯერთა ტრანსნაციონალურ კლასში, ლესბოსელთა და ჰომოსექსუალისტთა წრეებში, ინვალიდთა შორის და ინტერნეტის საინფორმაციო სამსახურების მეშვეობით ჩამოყალიბებულ, კომპიუტერის მომხმარებელთაგან შემდგარ ათასობით საზოგადოებაში. ამავდროულად, გლობალიზაციამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში გაამძაფრა უფრო ლოკალური ხასიათის მიკუთვნების გრძნობები, მაგალითად, მკვიდრ ხალხებსა და სახელმწიფოს შიგნით მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ამას გარდა, თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში სულ უფრო მეტი ადამიანია მზად, უპირატესობა მიანიჭოს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა, ადამიანის უფლებები და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ვიდრე სახელმწიფო სუვერენიტეტსა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთა თვითგამორკვევის ნორმას.

სახელმწიფოებმა, გლობალიზაციის შედეგად, საკუთარი სუვერენულობის დაკარგვის ხასიათსა და ხარისხზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს, მაგრამ პროცესის შეჩერება ვერაფრით შეძლეს. თვით ჩინეთის მთავრობამაც კი, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოებზე დამყარებული მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებას განსაკუთრებით აქტიურად უჭერს მხარს, „გლობალური ურთიერთდამოკიდებულება" თავისი ათწლიანი ეკონომიკური გეგმის ამოსავალ დებულებად აქცია 1990-იანი წლებისათვის. რა თქმა უნდა, ვესტფალიის სისტემის ფარგლებში სუვერენიტეტის დარღვევის ფაქტებს ადგილი ჰქონდა, მაგრამ იმ დროს აღნიშნული ნორმის თეორიულად შესრულება მაინც იყო შესაძლებელი. ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების გაძლიერებით სახელმწიფოს მხოლოდ კანონის სახით არსებული სუვერენიტეტიდან ეფექტიან სუვერენიტეტზე გადასვლა შეეძლო. ამისაგან განსხვავებით, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ტერიტორიული სახელმწიფოს მიერ უმაღლესი და ექსკლუზიური მმართველობის განხორციელება სრულიად მიუღწეველი რამ გახდა. რა რაოდენობითაც არ უნდა შექმნას ინსტიტუტები და მიიღოს კანონები, სახელმწიფო თავისი კუთვნილი ტერიტორიული სივრცის აბსოლუტურად გაკონტროლებას ვეღარ შეძლებს. მართლაც, ბოლო დროს, გლობალიზაციის ეპოქაში დაარსებული მრავალი ახალი პოსტკოლონიური სახელმწიფო არასოდეს ყოფილა სუვერენული.

სახელმწიფოს მდგრადობა

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციამ საბოლოოდ შელახა სუვერენიტეტი, ის სახელმწიფოს აღსასრულის მომასწავებელი ჯერ ვერ გახდა. პირიქით, ხელისუფლების დამხობის რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგალითად, სომალისა და ავღანეთში), სახელმწიფომ ბოლო ხანებში დიდი სიმტკიცე გამოავლინა. იმ არეულობამაც კი, რომელიც კომუნისტური სისტემის ნგრევას მოჰყვა სახელმწიფოთა საზღვრებს მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები მოუტანა. სახელმწიფო, როგორც მმართველობის სტრუქტურა, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხელშეუხებელი დარჩა.

გლობალიზაციის ეპოქაში მთავრობათა უმრავლესობამ მართლაც გაზარდა თავისი სახელფასო ფონდი, ბიუჯეტი, მოქმედების სფერო და ზედამხედველობის შესაძლებლობები. ამჟამად იმის მცირე ნიშანიც კი არ ჩანს, რომ გლობალიზაციას მივყავართ ცენტრალიზებულ, სუვერენულ მსოფლიო ხელისუფლებამდე, როგორც ამას დიდი ხნის მანძილზე ლიბერალი უნივერსალისტები წინასწარმეტყველებდნენ და ქადაგებდნენ ან ადამიანთა ადგილობრივ გაერთიანებებზე დაფუძნებულ მსოფლიო მასშტაბის ანარქიულ მმართველობამდე, როგორც ამას ზოგიერთი რადიკალი ეკოლოგი ამტკიცებდა. ამრიგად, გლობალისტები ტერიტორიული სახელმწიფოს აღსასრულის პროგნოზირებით თავს საფრთხეში იგდებენ. სიმართლეს კი არც ისინი და არც სახელმწიფო-ცენტრისტი რეალისტები ამბობენ. გლობალიზაცია არ სპობს სახელმწიფოს, თუმცა, არც ხელშეუხებელს ტოვებს მას. პოლიტიკის შემსწავლელ სტუდენტებს იმის განსაზღვრა მართებთ, თუ როგორ ცვლის ზეტერიტორიული სოციალური სივრცის მასშტაბების გაზრდა თანამედროვე ისტორიაში სახელმწიფოს საქმიანობასა და როლს. აქ ორი სავარუდო ზოგადი ცვლილების მოყვანა შეიძლება.

პირველი, დასაშვებია, რომ გლობალიზაციის გავლენით სახელმწიფოს მოღვაწეობის არეალი შეიცვალოს. სუვერენული სახელმწიფო, ჩვეულებრივ, საშინაო ინტერესებს იცავდა და გარეშე ძალთა ჩარევის საწინააღმდეგო ბარიერის ფუნქციას ასრულებდა. ამისგან განსხვავებით, პოსტსუვერენული სახელმწიფო როგორც გლობალური, ისე ეროვნული საქმისათვის იღვწის. მაგალითად, 1980-იან წლებში ირანის სახელმწიფო ფართოდ უჭერდა მხარს ისლამიზმს მთელ მსოფლიოში. უფრო რომ განვაზოგადოთ, თანამედროვე სახელმწიფოები ხშირად ეროვნული კაპიტალის გარდა (და ზოგჯერ მის საზიანოდაც კი) გლობალური კაპიტალის ინტერესებს ემსახურებიან.

მეორე, გლობალიზაციამ, შესაძლოა, სახელმწიფოთა შორის მსხვილმასშტაბიანი ომის გაჩაღების ალბათობა შეამციროს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ომების უმრავლესობა უფრო მეტად ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შიდა ამბოხის, ვიდრე სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული კონფლიქტის ფორმას იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე საბოლოო დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ გლობალური ინტერესების გაფართოება სახელმწიფოებს ტერიტორიების დაპყრობის სურვილს უხშობს. სახელმწიფოთაშორისო ომები ნაკლებად უწყობს ხელს – და, უდავოდ, უფრო მეტად ვნებს - გლობალურ კაპიტალიზმს, გლობალურ გარემოს დაცვას, გლობალურ ტურიზმსა და ა.შ.

ძირითადი დებულებები

- გლობალიზაცია დაკავშირებულია მსოფლიო წესრიგში რამდენიმე სავარაუდოდ შორსმიმავალ ცვლილებასთან.
- გლობალიზაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის ვესტფალიის სისტემასა და მის უმთავრეს პრინციპს, სახელმწიფო სუვერენიტეტს.
- მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციას სუვერენიტეტის შესუსტება მოჰყვა, ის ნამდვილად არ სპობს სახელმწიფოს.
- პოსტსუვერენულმა სახელმწიფომ ადვილად შესაძლებელია, თავისი ვესტფალიური წინამორბედისაგან განსხვავებით იმოქმედოს.

პოსტსუვერენული მმართველობა

თუ მსოფლიო პოლიტიკა სუვერენული სახელმწიფოებრიობის ძირეულ პრინციპს აღარ ეფუძნება, როგორღა ხორციელდება მმართველობა თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში? წინამდებარე პარაგრაფებში ხაზგასმული იყო, რომ სახელმწიფო კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, იმის მიუხედავად, რომ მისი შესაძლებლობები, მისწრაფებები და ქმედებები, სუვერენულობის შესუსტებასთან ერთად, შეიცვალა. თუმცა, ამავე დროს, სახელმწიფოს გარდა სხვა მონაწილეებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიოს მართვის პროცესში. წესებისა და ნორმების განსაზღვრის მათი მცდელობა ზოგჯერ ავსებს სახელმწიფოთა ქმედებებს, ზოგჯერ კი შეიძლება დაუპირისპირდეს ეროვნულ მთავრობათა ინიციატივებს და, სავარაუდოდ, აჯობოს კიდეც მათ. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო მმართველობა დღეისათვის მხოლოდ სახელმწიფოთა სისტემაზე არ დაიყვანება.

შინასახელმწიფოებრივი გლობალური მმართველობა

თანამედროვე, გლობალიზაციის ეპოქაში შეიმჩნევა პირდაპირი საზღვართმკვეთი კავშირების ზრდა მმართველობის შინასახელმწიფოებრივ ორგანოებს შორის, რომლებიც, ამის შედეგად, ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით, მრავალ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებენ. მაგალითად, კანადისა და ჩინეთის სხვადასხვა პროვინციასა და ამერიკის ფედერალურ შტატთა უმეტესობას საკუთარი „დიპლომატიური" წარმომადგენლობები ჰყავს საზღვარგარეთ, რომლებიც თავიანთი ეროვნული საელჩოებისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად მოქმედებენ. 1970-იანი წლებიდან ევროპის ჩვიდმეტი ქვეყნის ორმოცდაათამდე რეგიონული მთავრობა პირდაპირ ურთიერთკავშირს ამყარებს ევროპული რეგიონების ასამბლეის, ევროკავშირის რეგიონთა კომიტეტისა და ზოგიერთი სხვა მსგავსი უწყების საშუალებით.

მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა მუნიციპალურ დონეზეც შეიმუშავეს უამრავი „ტრანსსუვერენული" პოლიტიკა ისეთ საკითხებში, როგორიცაა კონტროლი გარემოს დაბინძურებაზე, დამნაშავეობის თავიდან აცილება, განიარაღება და თანამშრომლობა განვითარებისათვის. ეს ტენდენცია სულაც არ არის გასაკვირი, განსაკუთრებით საქალაქო ცენტრებთან მიმართებაში. გლობალური კაპიტალის დინება, საჰაერო დერეფნები და ტელესაკომუნიკაციო ქსელები ისეთ ქალაქებს, როგორიცაა სინგაპური და ფრანკფურტი, ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად აკავშირებს ერთმანეთთან, ვიდრე მშობლიურ რეგიონებთან.

ზესახელმწიფოებრივი გლობალური მმართველობა

მსოფლიო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ზოგიერთი ინიციატივის პროვინციული და მუნიციპალური მთავრობების დონეზე „დაბლა" დაშვების პარალელურად უამრავმა სხვა უფლებამოსილებამ „ზევით," მმართველობის ზესახელმწიფოებრივი ორგანოების ხელში გადაინაცვლა. სამთავრობათშორისო მარეგულირებელი სტრუქტურები, უდავოდ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სიახლეა, მაგრამ მათი რიცხვი, დიაპაზონი და გავლენა დიდად გაიზარდა გლობალიზაციასთან ერთად.

ჯერ ერთი, რეგიონული მმართველობის მექანიზმები გახშირდა და გაძლიერდა (თუმცა, სხვადასხვა ხარისხით) მსოფლიოს ყველა კუთხეში: კარიბის ზღვიდან

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიამდე. მთლიანობაში, 1945 წლის შემდგომ ასზე მეტი ამგვარი შეთანხმება დაიდო, აქედან ოცდაცხრა მხოლოდ 1992-95 წლებში. ყველაზე მეტად განვითარებულ რეგიონულ ორგანიზაციას – ევროკავშირს 20000-მდე მარეგულირებელი ნორმა აქვს მიღებული.

ამავე დროს, გაერო-ს მსგავს ახალ და უკვე არსებულ მსოფლიო მასშტაბის ორგანიზაციათა ამოცანებიც გაფართოვდა. მართლაც, მათი ინიციატივებისა და გავლენის ზრდის ფონზე, „საერთაშორისო ორგანიზაციებს" ადვილად შესაძლებელია, „გლობალური მმართველობის უწყებები" ეწოდოს. სხვა სიტყვებით, ამჟამად გაცილებით მეტი რამ ხდება „სამთავრობათშორისო" კონსულტაციებისა და კოორდინაციის სფეროს მიღმა, რისთვისაც თავის დროზე დაარსდა ეს ძველი ინსტიტუტები.

ზესახელმწიფოებრივი რეგულირების ზრდა ძალიან ფართო სპექტრს მოიცავს, რომლის მხოლოდ ნაწილის განხილვაა აქ შესაძლებელი. მაგალითად, **მაკროეკონომიკური პოლიტიკის** სფეროში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) 1960-იანი წლებიდან ისეთ საკითხთა მთელ რიგზე გამოსცა გავლენიანი დირექტივები, როგორიცაა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ხარჯების შეკვეცა, სამუშაო ადგილების შექმნა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ქცევის კოდექსი. 1979 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა ლიკვიდურობისა და განვითარების თავის ისედაც მნიშვნელოვან ფუნქციებს დაუმატეს შორსმიმავალი სტაბილიზაციის პოლიტიკა და სტრუქტურულ ცვლილებათა პროგრამები ასამდე ქვეყანაში. იყო შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ოფიციალური წარმომადგენლები ცალკეულ სახელმწიფოთა ფინანსთა სამინისტროებში სამუშაოდ და მათზე ზედამხედველობის განსახორციელებლად გაიგზავნენ. 1995 წელს დაარსებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) უფრო ფართო სამოქმედო ასპარეზითა და არსებითად მეტი ძალაუფლებით სარგებლობს, ვიდრე მისი წინამორბედი „ზოგადი შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ." ამავდროულად, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკმა 1970-იანი წლების შუა ხანებიდან გლობალურ საფინანსო ბაზრებზე გარკვეული კონტროლი დააწესა. **კონფლიქტების მოგვარების** სფეროში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ისეთმა ზესახელმწიფოებრივმა უწყებებმა, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აფრიკული ერთობის ორგანიზაცია და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). ზესახელმწიფოებრივი მმართველობა **ადამიანის უფლებათა** სფეროზეც გავრცელდა, რასაც ადასტურებს 1990-იან წლებში მრავალეროვნულ ჰუმანიტარულ ინტერვენციათა უპრეცედენტო რიცხვი. მართალია, ადამიანის უფლებების ცნება საუკუნეებს ითვლის, მაგრამ აღნიშნულ საკითხზე ყველაზე ფორმალიზებული გლობალური კანონმდებლობა 1960-იანი წლებიდან ჩნდება. გარემოს შესახებ გაერო-ს 1972 წლის კონფერენციიდან დაწყებული, მომრავლებული გლობალური მასშტაბის შეხვედრები, სამართლებრივი ინსტრუმენტები და ინსტიტუტები მთელს მსოფლიოში **ეკოლოგიურ დეგრადაციას** ებრძვის. რაც შეეხება **ელექტრონულ მედიას**, საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კავშირის მიერ დადგენილ ტექნიკურ სტანდარტთა სახელმძღვანელო დღეისათვის 10000 გვერდს აღწევს. როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ხელისუფლების წევრებმა და მოქალაქეებმა ერთნაირად აღიარეს, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიულ მმართველობას არ შეუძლია იმ ზეტერიტორიული ფენომენების ადეკვატურად გაკონტროლება, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საინფორმაციო, საკომუნიკაციო და შეიარაღების ტექნოლოგიებთან, გლობალურ ეკოლოგიურ ცვლილებებთან, გლობალურ ბაზრებთან და ა.შ.

რა თქმა უნდა, ზესახელმწიფოებრივ მმართველობას საგრძნობი შეზღუდვები გააჩნია. ოფიციალური გლობალური სამართალი ჯერ კიდევ დაუხვეწელია სხვადასხვა სფეროში, მათ შორის კონკურენციის პოლიტიკაში, შრომის სტანდარტებსა და შეიარაღებაზე კონტროლში. გარდა ამისა, გლობალური მმართველობის ინსტიტუტთა უმრავლესობა არასათანადო კადრებითაა დაკომპლექტებული და მუდმივად განიცდის დაფინანსების ნაკლებობას. უწყებათა შორის მწირმა კოორდინაციამ და გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანის ეფექტიანი მექანიზმების ხშირად არარსებობამ კიდევ უფრო შელახა გლობალური სამართლის რეპუტაცია. თუმცა, ზესახელმწიფოებრივი რეგულირება იმდენად ფართოდ გავრცელდა და ეფექტიანი გახდა, რომ დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში მმართველობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს.

გლობალური საბაზრო მმართველობა

თანამედროვე მსოფლიო მმართველობის ეს მიმოხილვა სრული არ იქნება, თუკი მხოლოდ შინასახელმწიფოებრივ, სახელმწიფოებრივ და ზესახელმწიფოებრივ დონეზე მოქმედ **ოფიციალურ** უწყებებს შეეხება. მეოცე საუკუნის მიწურულის გლობალიზებულ მსოფლიოში ყველა წესი საზოგადოებრივი სექტორიდან როდი იღებს სათავეს. ბაზრებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალურ რეგულირებაში იმდენად, რამდენადაც ხშირად სახელმწიფოსა და გლობალური მმართველობის უწყებათა ხარვეზებს ავსებენ.

კერძო სექტორის ორგანოების მიერ **წესების** ჩამოყალიბება და დანერგვა, ალბათ, ყველაზე შორს წავიდა გლობალური საფინანსო ბაზრების სფეროში, სადაც ეფექტიანი ოფიციალური მმართველობა ყველაზე ნაკლებად განვითარდა. მაგალითისათვის, გლობალური საფონდო ბირჟების კოდექსი, ძირითადად, საფონდო გაცვლების ფედერაციის (დაარსდა 1961 წელს), ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზრის ასოციაციისა (1969) და ნახევრადოფიციალური ფასიანი ქაღალდების კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაციის (1984) მიერ შეიქმნა. ამავდროულად, ობლიგაციათა სარეიტინგო უწყებებმა, როგორიცაა, მაგალითად, Moody's Investors Service და Standart & Poor's Corporation, ეფექტიანად შეასრულეს მარეგულირებელი როლი გლობალურ საკრედიტო ბაზრებზე (Sinclair 1994). ამას გარდა, 1982 წლიდან, ისეთი ოფიციალური უწყებების კვალად, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, კომერციულმა ბანკებმაც გამოიჩინეს სერიოზული ინიციატივა ვალების მქონე ქვეყნებში მუდმივი საფინანსო კრიზისების მოსაგვარებლად (ზოგიერთის აზრით კი – გასამწვავებლად).

გლობალურ პოლიტიკაში კერძო სექტორის ინიციატივები საფინანსო ბაზრებსაც გასცდა. ასე მაგალითად, 1971 წელს დაარსებული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ამჟამად 900-მდე მსხვილ კომპანიას აერთიანებს ლოზუნგის ქვეშ: „მენარმეობა გლობალური საზოგადოებრივი ინტერესებისათვის." ფორუმის მრავალ ინიციატივას შორის, რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტის, მათ შორის არაბთა და ებრაელთა დაპირისპირების, მოგვარების მცდელობაც არის. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მსოფლიო სავაჭრო მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდის გამართვის ინიციატორიც იყო, რომლის შედეგადაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა. უამრავი კერძო ფონდი აქტიურად მონაწილეობს გლობალური პოლიტიკის შემუშავებაში. ამ მხრივ, ორი თვალსაჩინო მაგალითია: ფორდის ფონდი (რომელიც 1960-იანი წლებიდან განსაკუთრებით გავლენიანი გახდა განვითარებისათვის დახმარების სფეროში) და სოროსის ფონდი (რომელიც ყოფილ საბჭოთა ბლოკ-

ში ლიბერალიზაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობია). 1991 წელს დაარსებულმა „მსოფლიო ბიზნესის საბჭომ მდგრადი განვითარებისათვის" კორპორატიული ეუხტი შეიტანა გლობალური გარემოს დაცვაში. გაერო-ს გენერალური ასამბლეის გვერდით მუდმივი „კომპანიათა პალატის" შექმნის წინადადებაც გაისმა. ეს შემოთავაზება, ალბათ, არ იქნება მიღებული, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნათელია, რომ გლობალური მმართველობა მხოლოდ საზოგადოებრივი სექტორის საქმე არ არის.

გლობალური სოციალური მოძრაობები

საბაზრო ინსტიტუტები არ არიან ერთადერთი მოქმედი ერთეულები საზოგადოებრივი სექტორის ფარგლებს მიღმა, რომლებიც მონაწილეობენ თანამედროვე გლობალიზებული მსოფლიოს მმართველობის პროცესში. ბევრი ინიციატივა გლობალური სოციალური მოძრაობების არაოფიციალური, არაკომერციული „მესამე სექტორიდანაც" მოდის. აქ საზოგადოებრივი ინტერესები და პროტესტი მობილიზებულია პოლიტიკისა და მისი განმაპირობებელი სოციალური ურთიერთობების უფრო ღრმა სტრუქტურათა (მაგალითად, მილიტარიზმის ან კაპიტალიზმის) შეცვლისაკენ მიმართულ კამპანიებში. ეს უკანასკნელნი გლობალური გაერთიანებები არიან, ვინაიდან მთელი მსოფლიოსათვის აქტუალური პრობლემების დაძლევას ცდილობენ და თავიანთ მოღვაწეობაში გლობალიზაციის გარემოებებით (საჰაერო მგზავრობით, კომპიუტერული ქსელებით, გლობალური კანონებითა და ა.შ.) სარგებლობენ. როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე საზღვართამკვეთ მოძრაობათა წინამორბედები მეცხრამეტე საუკუნით თარიღდება; თუმცა, მათ თანამედროვე საქმიანობასთან დაკავშირებულია ადამიანთა გაცილებით დიდი რაოდენობა, მეტი ინსტიტუციური რესურსი და უფრო ფართო ზეგავლენა.

გლობალური სოციალური მოძრაობები საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ჯერ ერთი, ისინი საკითხთა უაღრესად ფართო სპექტრს ეხებიან, აბორიგენთა უფლებებით დაწყებული აივ/შიდს-ით დამთავრებული. ამასთანავე, მათ უკიდურესად განსხვავებული ხედვები აქვთ იმ ტრანსფორმირებულ მსოფლიოზე, რომლის შექმნაც სურთ, რადგანაც სხვადასხვა წყაროდან იღებენ შთაგონებას – ანარქიზმიდან, ნეოფაშიზმიდან, ტრადიციული თუ ახალი რელიგიებიდან და ა.შ. ზოგიერთი მოძრაობა გლობალურია იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიო მასშტაბის ქსელებს იყენებს, მაგალითად: განვითარების ალტერნატივები ქალებთან ერთად ახალი ეპოქისათვის (DAWN). ამისგან განსხვავებით, სხვები „აზროვნებენ გლობალურად და მოქმედებენ ლოკალურად," ანუ ისინი გლობალური მიზნებისაკენ მიისწრაფიან, მაგრამ ადგილობრივი სახალხო მასების დონეს არ სცილდებიან. ზოგიერთი ჯგუფი კამპანიას ანარმოებს იზოლირებულად, ზოგიერთი კი საკუთარი მიზნების გასახორციელებლად დიდ კოალიციებში ერთვება. უკანასკნელი მიდგომის ნათელი მაგალითია „პესტიციდთა გამავრცელებელი ქსელი," რომელიც მოიცავს დაახლოებით 350 დაჯგუფებას ორმოცდაათზე მეტ ქვეყანაში. სოციალური მოძრაობების საქმიანობა წარმოდგენილია როგორც სპორადული ხასიათის, სამოყვარულო, იმპროვიზაციული ღონისძიებებით (მაგალითად, სტუდენტთა საპროტესტო აქციებით), ისე გრძელვადიანი პროფესიონალიზებული და ინსტიტუციონალიზებული პროგრამებით (რომლებიც დაფინანსებულია, მაგალითად, Greenpeace-ისა და Christian Aid-ის მიერ). დასასრულს, უნდა ითქვას, რომ გლობალური სოციალური მოძრაობები მრავალგვარ სტრატეგიას იყენებენ. მათი ზოგიერთი აქტივისტი მთავრობებთან, გლობალური მმართველობის უწყებებთან და ბიზნეს ასოციაციებთან ერთად მუშაობაში ცუდს ვერაფერს ხედავს, სხვები კი „ისტებლიშმენტთან" ნებისმიერი

სახის თანამშრომლობას საკუთარი პრინციპების შემლახველ, მიუღებელ კომპრომისად მიიჩნევენ.

დანართი 1.4. აიე/შიდს-ი:

კერძო შემთხვევა გლობალურ მმართველობაშიშეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდს-ი) პირველად 1981 წელს გამოავლინეს. გლობალიზაციის ხანაში, როდესაც ყოველწლიურად რამდენიმე ასეული მილიონი მგზავრი საზღვართმკვეთ რეისებს ასრულებს, მსოფლიოში შიდსის დაფიქსირებულ შემთხვევათა რიცხვი 1988 წელს 150000-მდე, ხოლო 1991 წლის ბოლოსათვის 400000-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში 8-10 მილიონ ადამიანზე მეტს შეეყარა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, რომელიც შიდს-ის გამომწვევად ითვლება, აქედან გამომდინარე, სამკურნალო თერაპიის არარსებობის პირობებში, სამომავლოდ შიდს-ის მილიონობით უფრო მეტი შემთხვევაა მოსალოდნელი.

აიე/შიდს-მა გლობალური ყურადღება მიიპყრო, რასაც მანამდე არსებულ ვერც ერთ ეპიდემიაზე ვერ ვიტყვით. ეს მოვლენა უმალვე გახდა გლობალური პანიკის, გლობალური კონფერენციების, მხარდაჭრის გლობალური ჯგუფების ჩამოყალიბების, გლობალური პოლიტიკის შემუშავებისა და 1 დეკემბერს შიდს-ის მსოფლიო დღის აღნიშვნის მიზეზი. სულ მალე აღიარებულ იქნა (საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიტყვებს თუ გავიმეორებთ), რომ „შიდს-ი ან ყველგან დამარცხდება ან საერთოდ დაუმარცხებელი დარჩება."

შიდს-ის წინააღმდეგ მიმართულ გლობალურ კამპანიაში უამრავი მმართველობის უწყებაა ჩართული. სახელმწიფოებმა, თავის მხრივ, ჯანდაცვის საზოგადოებრივი სისტემები აამოქმედეს, როგორც ინდივიდუალურად, ისე რეგულარული სამთავრობათშორისო კონსულტაციების მეშვეობით. ამავე დროს, ზესახელმწიფოებრიემა ორგანოებმა ისეთ წამონყებებს ჩაუყარეს საფუძველი, როგორიცაა ევროკავშირის შიდსის საგანგებო ჯგუფი და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შიდს-ის გლობალური პროგრამა. ზოგიერთმა გლობალურმა კომპანიამ (მაგალითად, „ბენეტონმა") დაავადების გავრცელებასთან საბრძოლველად საზოგადოებრივი რეკლამების სერია დააფინანსა. საერთაშორისო ნითელი ჯვარი და ავადმყოფთა ჯანმრთელობაზე მზრუნველი სხვა არაკომერციული ორგანიზაციები რეგულარულ საზღვართამკვეთ კავშირს ინარჩუნებენ და მოქმედებათა კოორდინირებას ახდენენ. სახალხო დონეზე, დაავადებულმა ადამიანებმა „აიე-ითა და შიდს-ით მცხოვრებ ადამიანთა გლობალური ქსელი" შექმნეს. გლობალური რეგულირების ასეთ მრავალმხრივ მცდელობებს არ ჰქონია ადგილი, ვთქვათ, 1918-1919 წლების გრიპის მსოფლიო ეპიდემიის დროს, რომ აღარაფერი ვთქვათ მეთოთხმეტე საუკუნეში მძვინვარე კონტინენტთაშორისო შავ ჭირზე.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ სოციალურ მოძრაობებს ხშირად რესურსების ნაკლებობა და შიდა განხეთქილებები აზარალებს, მათ თანამედროვე მსოფლიო მმართველობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამ ძალებმა, ყველაფერთან ერთად, ხელი შეუწყვეს პოლიტიკის გადახალისებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკოლოგიური უსაფრთხოება, ადამიანის უფლებათა დაცვა, დახმარება სტიქიური უბედურებების დროს, კეთილდღეობის უზრუნველყოფა და საზოგადოების გაუმჯობესება. 1990 წლისათვის გლობალური მმართველობის მსხვილ უწყებათა უმრავლესობამ შექმნა ოფისები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ანუ NGO-ებთან ურთიერთობისათვის. სოციალური მოძრაობის ტიპის გაერთიანებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ იმის გამო, რომ ისინი ოფიციალურ ორგანოებს რჩევებს აძლევენ და მათ პოლიტიკის გატარებაში ეხმარებიან. მაგალითისათვის, მსოფლიო ბანკი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი ზოგჯერ

საკმაოდ დამოკიდებულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციათა დახმარებაზე.

1970-იანი წლებიდან ათასობით მოქალაქეთა ჯგუფი ესწრება გაერო-ს მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა კონფერენციას გლობალურ საკითხებზე, სადაც ისინი სახელმწიფო მოხელეებს ლობირებენ და სამოქმედო პროგრამებზე ახდენენ ზეგავლენას. მოვლენათა განვითარების ამგვარი სცენარები მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში წარმოქმნილ ახალ პოლიტიკას ასახავს, როცა სოციალური მოძრაობები ზესახელმწიფოებრივი მარეგულირებელი უწყებების მეშვეობით ცდილობენ ეროვნულ და ადგილობრივ მთავრობათა პოლიტიკის შეცვლას.

ამ და სხვა გზებით გლობალური სოციალური მოძრაობების ბევრმა აქტივისტმა მიზნად დაისახა – და გარკვეულწილად მოახერხა კიდეც – არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური სტრატეგიების შეცვლა, არამედ თვით პოლიტიკის ბუნების გარდაქმნა. მათი ინიციატივები ხშირად ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკური ქმედების გაბატონებულ კონცეფციებს, პორცედურებსა და ტაქტიკას. ასე მაგალითად, რამდენიმე ასეთმა გაერთიანებამ გადაწყვეტილებათა მიღების არაიერარქიული მოდელი შემოიღო და, საზოგადოდ, უფრო მეტად ჩააბა ქალები პროფესიულ საქმიანობაში, ვიდრე ამას ოფიციალური და კომერციული სტრუქტურები აკეთებენ. გლობალური სოციალური მოძრაობების შედეგად, სახალხო მასების მონაწილეობა მსოფლიო პოლიტიკაში გაცილებით პირდაპირი და ფართომომცველი გახდა, ვიდრე ეს ვესტფალიურ ეპოქაში იყო, როდესაც მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა შემოიფარგლებოდა ეროვნულ არჩევნებში ხმის მიცემით იმის განსასაზღვრავად, თუ რომელი პოლიტიკური პარტია წარმართავდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას.

ძირითადი დებულებები

• გლობალიზაციამ პროვინციულ და მუნიციპალურ მთავრობებს შორის პირდაპირი საზღვართმკვეთი თანამშრომლობის ზრდა წაახალისა.

• გლობალიზაციამ გლობალური მმართველობის უწყებათა მიერ ზესახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელოვნად გაფართოება მოიტანა.

• კერძო სექტორი აქტიურ როლს თამაშობს თანამედროვე გლობალურ მმართველობაში, მაგალითად, საზედამხედველო უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ფონდებისა და მრჩეველთა საბჭოების მეშვეობით.

• ორგანიზაციული ფორმის, მიზნებისა და ტაქტიკის მრავალფეროვნებით, გლობალურ სოციალურ მოძრაობებს დინამიზმი და სიახლე შეაქვთ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.

გლობალური დემოკრატიის ბედი

ჩვენ დავინახეთ, რომ გლობალიზაციამ მსოფლიოს მმართველობის სადავეები სახელმწიფოთა სისტემას წაართვა და წესების შექმნისა და წესრიგის დამყარების მრავალგანზომილებიან კომპლექსს გადასცა, რომლის პირობებშიც დედამიწაზე არც ერთი ადგილი აღარ არის ჭეშმარიტად სუვერენული. პოლიტიკას დღეს აკლია მმართველობისა და კონტროლის ისეთი აშკარად გამოკვეთილი ცენტრი, რომელსაც ვესტფალიური სახელმწიფო უზრუნველყოფდა. ამას გარდა, ნორმათა დადგენის მნიშვნელოვანი ინიციატივა საზოგადოებრივი სექტორის ფარგლებს გარედანაც მოდის, სახელდობრ, საბაზრო აგენტებისა და სოციალური მოძრაობებისაგან. რა შედეგები მოაქვს მოვლენათა ამგვარ განვითარებას დემოკრატიისათვის?

დემოკრატია – ხალხის მმართველობა – საყოველთაოდაა მიჩნეული თანამედროვე მმართველობის ძირითად ლეგიტიმურ დასაყრდენად. მართალია, დემოკრატიის განსაზღვრებები და მისი მიღწევის მექანიზმები განსხვავდება ქვეყნებისა თუ დროის მონაკვეთების მიხედვით, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში არსებობს ფართო და საკმაოდ მყარი კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ კარგი მმართველობა დემოკრატიულ მმართველობას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, მართებული იქნება მეტად საყურადღებო ნორმატიული შეკითხვის დასმა, კერძოდ: რა ბედი ეწევა დემოკრატიას თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში?

ერთი შეხედვით, შესაძლოა მოჩანდეს, თითქოს გლობალიზაცია დემოკრატიის განვრცობის შესაძლებლობებს გვთავაზობს. როგორც ზემოთ დავინახეთ, გლობალიზაცია სახელმწიფო სუვერენიტეტს ასუსტებს, ხოლო სუვერენიტეტსა და დემოკრატიას შორის ყოველთვის არსებობდა ფუნდამენტური დაპირისპირება. სუვერენიტეტი ყოვლისმომცველ, უზენაეს, შეუზღუდავ და ექსკლუზიურ ხელისუფლებას გულისხმობს, მაშინ როდესაც დემოკრატია, როგორც წესი, შეზღუდულ, გადანაწილებულ, პირობით და კოლექტიურ ძალაუფლებაზე დაფუძნებულად მოიაზრება. იქაც კი, სადაც მთავრობას ხალხი ირჩევს, სახელმწიფოს ხელში პოტენციურად საშიში ძალაა კონცენტრირებული. ამდენად, სუვერენიტეტის მოსპობა, პრინციპში, დემოკრატიის გაძლიერებისათვის ხელსაყრელ პირობებს უნდა ქმნიდეს.

თუმცა, სამწუხაროდ, გლობალიზაციას აქამდე ძალიან ხშირად ვითარების გაუარესება მოჰყოლია. თანამედროვე პოსტსუვერენული მმართველობა აღსავსეა დემოკრატიის დეფიციტით. სახელმწიფოს, გლობალური მმართველობის უწყებებს, ბაზარსა და გლობალურ სოციალურ მოძრაობებს საგრძნობლად აკლიათ სახალხო მასების მონაწილეობა, კონსულტაციები და დებატები, მრავლისმომცველობა და წარმომადგენლობა, კონსტიტუციურობა და ანგარიშვალდებულება.

გლობალიზაცია და დემოკრატიული სახელმწიფო

საკითხით დაინტერესებულმა ზოგიერთმა ექსპერტმა ივარაუდა, რომ გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია ერთი და იმავე პროცესის ორი სხვადასხვა მხარე იქნებოდა. ამ ხედვის გაზიარების შედეგად, ლიბერალებმა მეოცე საუკუნის მიწურულს, აპარტეიდის, კომუნიზმისა და სხვა ერთპარტიული სისტემების ნგრევასთან ერთად, მთელს მსოფლიოში დემოკრატიული ცვლილებები იზეიმეს. თუმცა, მრავალპარტიულმა შეჯიბრმა, თავის მხრივ, ვერ წარმოშვა საზოგადოებრივ საქმეებში ხალხის უფრო ფართოდ მონაწილეობისა და მათ მიერ სახელმწიფოს მართვის გარანტია. არაერთი მთავრობა ჩვეულებისამებრ აგრძელებს ადამიანის უფლებათა დარღვევას გლობალიზაციის ხანაშიც. ამავდროულად, ის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც „Amnesty International"-ისაგან უმაღლეს შეფასებებს იღებენ, იშვიათად ეკითხებიან რჩევას საკუთარ მოსახლეობას გლობალური პოლიტიკის თაობაზე. ასე მაგალითად, მოქალაქეები თითქმის ვერ ახდენენ გავლენას მთავრობის გადაწყვეტილებაზე, მიიღოს თუ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურული კორექტივების პროგრამა. უფრო მეტიც, სახელმწიფომ რომც ჩართოს საკუთარი მოსახლეობა ამგვარი საკითხების გარჩევაში, ეროვნულ მთავრობები, როგორც უკვე დავინახეთ, მაინც ვერ გააკონტროლებენ გლობალურ პროცესებს. ამდენად, სახელმწიფოს არ აქვს საშუალებები, დაიცვას ხალხის ნება გლობალური კაპიტალისაგან, გლობალური ეკოლოგიური პრობლემებისაგან და ა.შ.. დემოკრატიული ხელისუფლება სხვა ინსტრუმენტებითა და ინსტიტუტებით უნდა შეივსოს, ან, სულაც, შეიცვალოს.

გლობალური მმართველობის უწყებები და დემოკრატია

სამწუხაროდ, გლობალური მმართველობის უწყებები დღეისათვის არ იძლევიან აუცილებელ გარანტიებს დემოკრატიისათვის. დავიწყოთ იმით, რომ სახალხო მასების პირდაპირი მონაწილეობა ამ ინსტიტუტებში მეტად მცირეა. მსოფლიო ბანკის გამგეობის, ევროპის მინისტრთა საბჭოს, გაერო-ს უშიშროების საბჭოსა და გადაწყვეტილების მიმღებ სხვა მსგავს ორგანოთა სხდომების უმრავლესობა დახურულ კარს მიღმა იმართება. უფრო მეტიც, მსოფლიოს მოქალაქეთა უდიდესმა ნაწილმა ამ ორგანოთა ყოველდღიური მუშაობის შესახებ თითქმის არაფერი იცის. ეს ორგანიზაციები განეკუთვნებიან **„ტექნოპოლიტიკის"** სფეროს, სადაც ეკონომისტები, ბუღალტრები, მენეჯერები, ინჟინრები, ქიმიკოსები, იურისტები და სხვა „ექსპერტები" დემოკრატიული კონტროლისაგან თავისუფალნი არიან. როდესაც მათ პოლიტიკას სავალალო შედეგები მოაქვს – როგორც ეს ხდება, მაგალითად, საზოგადოების კეთიდღეობაზე უარყოფითი ეფექტების მქონე სტრუქტურული კორექტივების პოლიტიკის შემთხვევაში – აღნიშნულ უწყებებს არც ფორმალური და არც საჯარო პასუხიმგებლობა არ ეკისრებათ.

ზოგიერთი იტყვის, რომ გლობალური მმართველობის უწყებებში წარმომადგენლობა არაპირდაპირია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო დელეგაციები თავიანთი მოსახლეობის სახელით საუბრობენ. თუმცაღა, სახელმწიფოთა უმრავლესობას საკმაოდ საეჭვო დემოკრატიული მანდატი გააჩნია. ამასთანავე, მრავალ გლობალურ ორგანოში მიღებული წესი „ერთ სახელმწიფოს ერთი ხმა" ნიშნავს, ფორმალურად მაინც, იმას, რომ ანდორასა და ინდოეთს თანაბარი გავლენა აქვთ. სხვაგან კი, მაგალითად, გაერო-ს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრობისა და ვეტოს უფლების ხუთ წევრზე დაყვანა, დემოკრატიულობის თვალსაზრისით, არასამართლიანია, ისევე როგორც კვოტებზე დაფუძნებული ხმის მიცემის სისტემა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში, სადაც წევრ სახელმწიფოთა ერთი მეოთხედი ხმათა სამ მეოთხედს აკონტროლებს.

სულ უფრო მეტად ხდება გლობალური მმართველობის უწყებათა არადემოკრატიული ხასიათის გაცნობიერება. ევროკავშირის შემთხვევაში, 1970-იანი წლების მინურულიდან გარკვეული (მცირე) ნაბიჯები გადაიდგა ზესახელმწიფოებრივ მმართველობაში სახალხო მასების დაშვებისა და პირდაპირი მონაწილეობის გასაზრდელად. ამ ორგანიზაციათა უმრავლესობამ საკუთარი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის გამჟღავნება დაიწყო, მაგრამ ასეთი რეფორმები ძალზე იშვიათია და, საუკეთესო შემთხვევაში, ნახევარზომებით შემოიფარგლება. უფრო შორსმიმავალი დემოკრატიზაციის წინადადებები უშედეგო გამოდგა.

გლობალური საბაზრო დემოკრატია?

დემოკრატიის შესუსტება ზემოაღწერილი მმართველობის მარკეტიზაციის შედეგიცაა. Laissez faire-ის პოლიტიკის მომხრეები სამართლიანად აცხადებენ, რომ ბაზარი სახალხო მონაწილეობისა და კონტროლის მასშტაბებს აფართოებს. მათი შეხედულებით, გლობალური დემოკრატია მიიღწევა მაშინ, როდესაც მომხმარებლები და კაპიტალისტები (და არა მოქალაქეები) ხმას მისცემენ თავიანთი უბის წიგნაკებით (და არა საარჩევნო ბიულეტენებით) ფულის საუკეთესო ფასს (და არა ადამიანური პოტენციალის მაქსიმიზაციას) გლობალურ ბაზარზე (და არა ტერიტორიულ სახ-

ელმწიფოში).

თუმცა, ეს ხედვა გულისხმობს, რომ ფული და მატერიალიზმი პოლიტიკის უმთავრესი ელემენტებია. ადამიანური ღირსებისა და თანაბარი შესაძლებლობების ტრადიციული დემოკრატიული ღირებულებები მართვის ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის მოთხოვნებს ეწირება. საბაზრო დემოკრატიაში ანგარიშვალდებულება აქციონერთა წინაშე დირექტორთა საბჭოს პასუხიმგებლობასა და მომხმარებელთა წინაშე კომპანიის პასუხისმგებლობას ნიშნავს. თუმცა, პრაქტიკაში აქციონერები ნაკლებად ახდენენ გავლენას კორპორატიულ პოლიტიკაზე, ხოლო მომხმარებლები ხშირად ოლიგოპოლიის ტყვეობაში იმყოფებიან. ყველაზე აღმაშფოთებელი კი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ საბაზრო მმართველობაში მონაწილეობა, უმთავრესად, სიმდიდრითა და შემოსავლით განისაზღვრება. ძალიან ცოტა ადამიანს იწვევენ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმსა და სხვა მსგავს შეხვედრებზე დასასწრებად და თითქმის ყველა მათგანი ვიწრო, პრივილეგირებული წრეების წარმომადგენელია.

გლობალური სოციალური მოძრაობები და დემოკრატია

ეკონომიკური ექსპერტებისაგან განსხვავებით, სხვა მიმომხილველები გლობალურ სოციალურ მოძრაობებს თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში დემოკრატიის დაცვის საშუალებად მიიჩნევენ. ფაქტია, რომ **გლობალური სამოქალაქო აქტიურობა** შესამჩნევად გაიზარდა უკანასკნელ ათწლეულებში. კერძოდ, გლობალიზაციამ ქალებს, ინვალიდებს, ლესბოსელებს, ჰომოსექსუალისტებსა და ავტოქტონურ ხალხებს მობილიზების ისეთი შესაძლებლობები მისცა, რომლებიც მათთვის ხელმიუწვდომელი იყო ვესტფალიური ტერიტორიული პოლიტიკის პირობებში.

თუმცა, დემოკრატიის ეს მონაპოვრები მხედველობაში უნდა ვიქონიოთ და თანამედროვე გლობალური სოციალური მოძრაობების სხვა, ძირეულად არადემოკრატიულ მახასიათებლებს შევადაროთ. ჯერ ერთი, მსოფლიო მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილია პირდაპირ ჩაბმული ხსენებულ ინიციატივებში. კაცობრიობის გაღარიბებული უმრავლესობა ფინანსური სახსრების, ენების ცოდნის (ან სათარგმნი საშუალებების), ინერნეტთან შეხებისა და სხვა ისეთი რესურსების ნაკლებობას განიცდის, რომლებზეც გლობალური სოციალური მოძრაობების გავლენაა დამოკიდებული. შედეგად, ამგვარი აქტიურობა, უმეტესწილად, ადამიანთა ვიწრო წრის, ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში მცხოვრებ თეთრკანიანთა და საშუალო კლასის წარმომადგენელთა პრეროგატივად რჩება. ბოლოდროინდელი ზრდის ტენდენციის მიუხედავად, გაერო-სთან არსებული საკონსულტაციო სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების 15 პროცენტზე ნაკლებია ე.წ. სამხრეთიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ სამხრეთში, ისევე როგორც ჩრდილოეთში, გლობალური სოციალური მოძრაობების წევრები, ხშირ შემთხვევაში, თვითარჩეულნი არიან და არავითარ ფორმალურ პროცედურებს არ იცავენ საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობისა და იმ ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ვის ინტერესებსაც ისინი, საკუთარი განცხადებით, ემსახურებიან.

ამრიგად, დემოკრატიის პოზიციები თანამედროვე გლობალური მმართველობის ყველა სფეროში არამყარია. დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში, წესების შექმნა და დანერგვა, უფრო მეტად ელიტათა კონკურენციით ხდება, ვიდრე წარმომადგენლობითი დემოკრატიით, რომ აღარაფერი ვთქვათ მონაწილეობით დემოკრატიაზე. ამ დროისათვის გაურკვეველია, შეძლებს თუ არა, ან როგორ შეძლებს დემოკრატია სამომავლოდ რეალიზებას გლობალიზაციის ხანაში. აქედან გამომ-

დინარე, დემოკრატიის გონებაში მაინც გადასინჯვა, სავარაუდოდ, პოლიტიკური თეორიის წინაშე დღეს მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ძირითადი დებულებები

• გლობალიზაცია შეუძლებელს ხდის დემოკრატიის მიღწევას მხოლოდ სახელმწიფოს საშუალებით.

• გლობალური მმართველობის უწყებებში დემოკრატიის ნაკლებობაა.

• ბაზრის მიერ განხორციელებული გლობალური მმართველობა მკვეთრ უთანასწორობასა და ეფექტიანობის დემოკრატიაზე წინ დაყენების წესს გულისხმობს.

• გლობალურ სოციალურ მოძრაობებსაც, როგორც წესი, საეჭვო დემოკრატიული მანდატი გააჩნიათ.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული მიანიშნებს, რომ გლობალიზაციამ სახე უცვალა მსოფლიო პოლიტიკის ბუნებას და დღესაც განაგრძობს მის შეცვლას. აღნიშნულ ცვლილებათა ხასიათი და მასშტაბები მნვავე კამათს იწვევს. როდესაც გლობალიზაციის განსაზღვრებაზე, მოცულობაზე, ახსნაზე, პროგნოზსა და ზნეობრივ შეფასებაზე მიდგება საქმე, ანალიტიკოსები ძლიერ განსხვავებულ პოზიციებს იკავებენ. და მართლაც, საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი სპეციალისტი არ დაეთანხმება აქ გამოთქმულ მოსაზრებებს, ან მათ ნაწილს მაინც. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ჩვენ დღეს მსოფლიო პოლიტიკაში განსხვავებულ საკითხებსა და დინამიკას ვაწყდებით. „საერთაშორისო ურთიერთობების" ისევე შესწავლა, როგორც ამას ძველი თაობები აკეთებდნენ გაუმართლებელია.

ზემოთ აღინიშნა, რომ თანამედროვე ისტორია მსოფლიო პოლიტიკის სივრცობრივ ხასიათში მნიშვნელოვანი ცვლილების მოწმეა. ადგილის, მანძილისა და საზღვრების ძველი გეოგრაფიის გვერდით, შეიქმნა ფართო, გლობალური განზომილება, სადაც გარკვეული მოვლენები მოკლებულია ადგილმდებარეობას (ე.ი. ისინი შეიძლება მოხდეს დედამიწის ნებისმიერ კუთხეში), მანძილს (ე.ი. მათ წამიერად მთელს პლანეტაზე გავრცელება შუძლიათ) და საზღვრებს (ე.ი. მათ ძალუძთ სხვადასხვა ქვეყანაში გადაცემა საზღვრებისაგან შეუფერხებლად). მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან გლობალური ფენომენების მომრავლებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა მმართველობის ფორმებში. ერთი მხრივ, გლობალიზაციამ დააკნინა სუვერენულობის ძველი პრინციპი, თუმცა, ამის მიუხედავად, სახელმწიფო კვლავაც საგულისხმო როლს ასრულებს საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებაში. მეორე მხრივ კი, გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მსოფლიო პოლიტიკაში ძალაუფლებისა და მმართველობის რამდენიმე ახალი ასპექტის წინ წამოწევას, მათ შორის საზღვართამკვეთი შინასახელმწიფოებრივი დონის ურთიერთობების, ზესახელმწიფოებრივი კანონების, საბაზრო ინსტიტუტების მარეგულირებელი ინიციატივებისა და გლობალურ სოციალურ მოძრაობათა კამპანიების.

ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელებს დღეს მსოფლიო მმართველობის, როგორც ერთი მთლიანის, გაანალიზება მართებთ. ჩვენ აღარ შეგვიძლია, ტრადიციული წესით, კვლევის საწყის წერტილად სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა სისტემის ავტომატურად არჩევა. ჩვენ ასევე არ შეგვიძლია დამშვიდებით იმის ვარაუდი, რომ გლობალიზებულ სამყაროში სუვერენიტეტისა და დემოკრატიის ძველი მოდელები გადაგვარჩენს. პოსტსუვერენული მმართველობის

დემოკრატიულობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმთავრესი სიძნელეა ოცდამეერთე საუკუნის გლობალური უსაფრთხოების მშენებლობაში.

შემდგომი საკითხავი ლიტერატურა:

1. Bull, H., The Anarchical Society: A Study of Order in World Politics (London: Macmillan, 1977).
2. Carlsson, I. et al., Our Global Neighbourhood (Oxford: Oxford University Press, 1995).
3. Featherstone, M. (ed.), Global Culture: Nationalism, Globalization and Modernity (London: Sage, 1990).
4. Hirst, P., and Thompson, G., Globalization in Question: The International Economy and the Possibilities of Governance (Cambridge: Polity Press, 1996).
5. Kofman, E., and Youngs, G., (eds.), Globalization: Theory and Practice (London: Pinter, 1996).
6. Peterson, V. S., and Runyan, A. S., Global Gender Issues (Boulder, Col.: Westview Press, 1993).
7. Rosenau, J. N., and Czempiel, E.-O., (eds.), Governance without Government: Order and Change in World Politics (Cambridge: Cambridge University Press, 1992).
8. Sakamoto, Y. (ed.), Global Transformation: Challenges to the State System (Tokyo: United Nations University Press, 1994).
9. Scholte, J. A., Globalisation: A Critical Introduction (London: Macmillan, 1997).
10. Sklair, L., Sociology of the Global System (Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf, 1991).
11. Waters, M., Globalization (London: Routledge, 1995).

თარგმნა თეა ქილიფთარმა

ნაწილი III. უსაფრთხოება და ძალის პოლიტიკა

არნოლდ უოლფერსი
ეროვნული უსაფრთხოება, როგორც ორაზროვანი სიმბოლო*

სახელმწიფო მოღვაწეები, პუბლიცისტები და მეცნიერები, რომლებსაც სურთ, რეალისტებად იწოდებოდნენ (ასეთი ადამიანი კი დღეს ბევრია), ამტკიცებენ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული საგარეო პოლიტიკა ნაკარნახევია ეროვნული ინტერესებით, უფრო კონკრეტულად კი, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით.[1] ეს არ უნდა იყოს გასაკვირი. უსაფრთხოებაზე აპელირება დღეს მომგებიანია.

როდესაც ისეთი პოლიტიკური ცნებები, როგორიცაა „ეროვნული ინტერესი" ან „ეროვნული უსაფრთხოება," პოპულარობას იძენს, ისინი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი. ეს ცნებები, სხვადასხვა ადამიანისათვის განსხვავებულ შინაარსს შეიძლება ატარებდეს. მათ, შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს ზუსტი მნიშვნელობა. ამრიგად, მართალია, ერთი შეხედვით, ისინი უფრო ფართო კონსენსუსისათვის სახელმძღვანელო პრინციპებსა და საფუძველს შეადგენს, მაგრამ მათზე დაყრდნობით ყველას შეუძლია, ნებისმიერ სასურველ პოლიტიკას მიმზიდველი და დამაბნეველი სახელწოდება შეურჩიოს.

„ეროვნული ინტერესი" ძალიან ბუნდოვნად და ზოგადად გვთავაზობს იმ პოლიტიკის მიმართულებას, რომელიც მის ალტერნატივად წარმოდგენილი რამდენიმე სხვა პოლიტიკისაგან შეიძლება განვასხვავოთ. ის მიანიშნებს, რომ მოცემული პოლიტიკა შემუშავებულია იმ მოთხოვნათა შესასრულებლად, რომლებიც უფრო მეტად მიენერება ერს, ვიდრე ინდივიდებს, სუბნაციონალურ ჯგუფებსა თუ მთელ კაცობრიობას. ის ხაზს უსვამს, რომ ეს პოლიტიკა ერის ინტერესებს უქვემდებარებს ყველა სხვა სახის ინტერესს, ხოლო ამის გარეშე მას მეტად მცირე აზრი აქვს.

როდესაც „ახალი კურსის" ადრეულ წლებში, დიდი დეპრესიის დროს გამოქვეყნდა ჩარლზ ბერდის ნაშრომი *ეროვნული ინტერესის იდეა*, მსჯელობა სხვა ჩარჩოებში მიმდინარეობდა. იმ პერიოდში საკითხი ასე იდგა: ხომ არ ემსახურებოდა ამერიკის საგარეო პოლიტიკა, რომელიც მაშინ, თავისი მასშტაბიდან და მოტივაციიდან გამომდინარე, უფრო ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა, არა მთელი ერის კეთილდღეობის ინტერესების, არამედ გავლენიანი სუბნაციონალური საერთო დაინტერესების მქონე ან ზენოლის განმახორციელებელი ჯგუფების მატერიალურ ინტერესთა დაკმაყოფილებას. ვიდრე განისაზღვრებოდა, თუ რა შედიოდა ეროვნული კეთილდღეობის ინტერესში ან დადგინდებოდა მისი შეფასების კრიტერიუმები, უდავო იყო, თუ რას ფიქრობდა ხალხი: ხალხს სურდა, რომ ეროვნული პოლიტიკის შემოქმედთ ქვეყნის ცალკეული ნაწილების ვიწრო ეკონომიკურ ინტერესებზე მაღლა დაეყენებინათ უფრო მრავალისმომცველი, ეროვნული ინტერესები.

---

* Arnold Wolfers, "National Security as an Ambiguous Symbol," in *Political Science Quarterly,* Vol. 67, No. 4, 1952. pp. 481-502. Reprinted by permission of the Academy of Political Science.

[1] ეს სტატია ასევე გადმობეჭდილია წიგნში: Arnold Wolfers, *Discord and Collaboration: Essays on International Politics,* Baltimore and London: The Johns Hopkins University Press, 1962. Chapter 10, pp. 147-165.

დღეისათვის, იმ ეროვნული ინტერესის პოლიტიკის ალტერნატივა, რომელზეც ხალხი საუბრობს, განსხვავებული ხასიათისაა. საზოგადოება შიშობს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა შეიძლება ზედმეტი ყურადღება გამოიჩინონ „ზოგადსაკაცობრიო ინტერესისადმი." ხალხი ხედავს, თუ როგორ სწირავენ ეს უკანასკნელნი მცირე ეროვნულ ერთობას უფრო ფართო, მაგრამ, მათი აზრით, ქიმერულ მსოფლიო საზოგადოებას. ამ შემთხვევაში, პრობლემა მდგომარეობს არა ვიწრო ჯგუფური ეგოიზმის დაძლევაში, როგორც ეს ბერდის დისკუსიის პერიოდში იყო, არამედ ეროვნული მეობის მიმართ განსაკუთრებული ერთგულების ჩამოყალიბებაში.

თანამედროვე და ადრეულ დებატებს შორის სხვა განსხვავებაც არსებობს. არასწორი იქნება იმის თქმა, რომ ეკონომიკური ინტერესი აღარ იპყრობს ყურადღებას, თუმცა, დღეს ის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესითაა დაჩრდილული. ამას წინათ, მდინარე წმინდა ლავრენტიზე არხების სისტემის მშენებლობის შესახებ გამართული კამათის დროს, რომელიც, პირველ რიგში, ეკონომიკური დანიშნულების ინფრასტრუქტურაა, პროექტის დამცველები, მსმენელზე შთაბაჭდილების მოხდენის მიზნით, „ეროვნულ ინტერესებზე" ამახვილებდნენ ყურადღებას და საომარი მოქმედებების დროს ამ არხების მნიშვნელობაზე საუბრობდნენ, მაშინ, როდესაც მათი ზოგიერთი ოპონენტი ხსენებული მდინარის თავდასხმისაგან დაუცველობაზე მიუთითებდა.

„ეროვნული ინტერესის" სიმბოლოში ადრე ნაგულისხმევი კეთილდღეობა დღეს უსაფრთხოების ინტერპრეტაციით შეიცვალა, რაც სავსებით გასაგებია. დღეს ჩვენ უფრო „ციეი ომისა" და საგარეო აგრესიის საფრთხის ზეგაელენის ქვეშ ვცხოვრობთ, ვიდრე დეპრესიისა და სოციალური რეფორმების პირობებში. ამის შედეგად, ეროვნული ინტერესის ცნება, პრაქტიკულად, ეროვნული უსაფრთხოების ცნების სინონიმად გადაიქცა. სავარაუდოდ, იმ პოლიტიკის წარმომადგენლები, რომლის სახელმძღვანელო პრინციპიც ეროვნული ინტერესია, თუ აშკარად სხვა მიზნებს არ ისახავენ, უსაფრთხოების ზომებს ანიჭებენ უპირატესობას – ტერმინს, რომელიც გაანალიზებას საჭიროებს.[2] ამდენად, ისმის კითხვა: არის თუ არა ეროვნული უსაფრთხოების ეს, ერთი შეხედვით, ზუსტი ცნება სახელმწიფო მოღვაწეებისათვის სამოქმედოდ სასარგებლო სახელმძღვანელო? შეიძლება თუ არა, ამ პირთაგან მისი მნიშვნელობის ცოდნას მოველოდეთ? შესაძლებელია თუ არა, განვასხვავოთ და შევაფასოთ პოლიტიკა იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ის ამ ინტერესს?

ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება," „ეროვნული ინტერესის" მსგავსად, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მიმდინარე პოლიტიკურ დისკუსიებში საკმაოდ დამკვიდრებულია, როგორც სხვებისაგან გამორჩეული პოლიტიკური მიზნის აღმნიშვნელი. ჩვენ დაახლოებით ვიცით, თუ რას გულისხმობს ხალხი, როდესაც ჩივის იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება უგულებელყოფს ეროვნულ უსაფრთხოებას ან

[2] ჰანს მორგენთაუს სტატია *In Defense of the National Interest* (Alfred A. Knopf, New York, 1951) შეიცავს ყველაზე პირდაპირ და ემოციურ მოწოდებას ისეთი ამერიკული საგარეო პოლიტიკისაკენ, რომელიც გაჰყვება „ერთ გზამკვლევ ვარსკვლავს – ეროვნულ ინტერესს." მართალია, მორგენთაუ დანერილებით არ განმარტავს, თუ რა მნიშვნელობას მიაწერს სიმბოლოს „ეროვნული ინტერესი," მაგრამ ამ „მარადიული" ინტერესისადმი მიძღვნილი გვერდების წაკითხვის შემდეგ გასაგები ხდება, რომ ავტორი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესის, კერძოდ კი, ძალაზე დაფუძნებული უსაფრთხოების შესახებ საუბრობს. მისი თქმით, აშშ სამი მიზნით არის დაინტერესებული: განსაკუთრებული მდგომარეობით, რაც გულისხმობს, რომ აშშ დასავლეთ ნახევარსფეროში უკონკურენტო, მთავარი ძალა უნდა იყოს და ძალთა ბალანსის მხადაჭერით, ერთი მხრივ, ევროპაში, მეორე მხრივ კი – აზიაში. ამ ამოცანებს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც უსაფრთხოების ძიება ძალის საშუალებით ხორციელდება.

მეტისმეტად დიდ მსხვერპლს მოითხოვს მის განსამტკიცებლად. ჩვეულებრივ, ის ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ ამ ინტერესზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას, შიშობენ, რომ მათი ქვეყანა სათანადოდ ვერ შეაფასებს საგარეო საფრთხეს ან ჩაეფლობა იდეალიზმში, რომელიც არსებულ საფრთხეებს ვერ ითვალისწინებს. ამას გარდა, ეს სიმბოლო გულისხმობს დაცვას ძალის მეშვეობით და ამიტომაც, უფრო ხშირად ფიგურირებს მათ გამოსვლებში, ვინც ეროვნულ ძლიერებას უცხადებს ნდობას, ვიდრე მათ სიტყვებში, ვისაც სჯერა, რომ სანიმუშო ქცევას, საერთაშორისო თანამშრომლობას ან გაერო-ს შეუძლია უვნებლად გაატაროს მათი ქვეყანა საერთაშორისო კონფლიქტების ქარცეცხლში. ამიტომაც, გადაჭარბებული იქნება იმის მტკიცება, რომ ეროვნული უსაფრთხოების სიმბოლო მხოლოდ შინაარსობრივ გაუგებრობას წარმოშობს, მიუხედავად იმისა, რომ, დაკონკრეტების გარეშე, ის იმაზე მეტ გაუგებრობას იწვევს, რისი დაძლევაც ჯანსაღ პოლიტიკურ მსჯელობას ან მეცნიერულ მიდგომას შეუძლია.

მოთხოვნა, გატარდეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, თავისი ხასიათით, ძირითადად, ნორმატიულია. ის, სავარაუდოდ, უნდა მიუთითებდეს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა იმისათვის, რომ ჩაითვალოს მიზანშეწონილად (ანუ პოლიტიკად, რომელიც რაციონალურ საშუალებებს იყენებს სასურველი მიზნის მისაღწევად) ან ზნეობრივად (ე.ი. ყველაზე კარგ ან ყველაზე ნაკლებად ბოროტ პოლიტიკად). ამ ნორმატიულ მონოდებებში ნაგულისხმევ სუბიექტურ შეფასებებს ქვემოთ განვიხილავთ.

მანამდე კი, ყურადღება უნდა მივაპყროთ დებულებას, რომელიც ნაგულისხმევია ან, სულაც, აშკარად გამოხატულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული პოლიტიკისაკენ მოწოდებებში. ამგვარი მოწოდებები, როგორც წესი, გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა უსაფრთხოება საკუთარ მიზნად გადააქციეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი ლიდერების იდეალიზმმა ან უტოპიზმმა მათ ტრადიციული გზიდან გადაახვევინა. თუ ეს ქცევები სინამდვილეში შეთავსებადია, მართებული იქნება დავასკვნათ, რომ ქვეყანა, რომელიც ქცევის დადგენილი წესიდან გადაუხვევს, რისკავს, დაისაჯოს. ეს მნიშვნელოვნად განამტკიცებს ნორმატიულ არგუმენტებს. ფაქტის დასაბუთებასთან დაკავშირებული პრობლემა იმაშია, რომ ტერმინი „უსაფრთხოება" იმდენად მრავალფეროვან მიზნებს მოიცავს, რომ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკა უსაფრთხოების პოლიტიკად შეიძლება ჩაითვალოს.

უსაფრთხოება შეძენილი ღირებულებების დაცულობის გარკვეულ ხარისხზე მიანიშნებს. უოლტერ ლიპმანის თქმით, სახელმწიფო უსაფრთხო მდგომარეობაში იმყოფება მაშინ, როდესაც მას, ომის თავიდან ასაცილებლად, უმთავრესი ღირებულებების მსხვერპლად გაღება არ უხდება და აუცილებლობის შემთხვევაში, ასეთ ომში გამარჯვებით, ამ ღირებულებების შეინარჩუნება ძალუძს.[3] მოცემული განსაზღვრების თანახმად, უსაფრთხოება იზრდება და მცირდება იმის შესაბამისად, თუ რამდენად შესწევს სახელმწიფოს უნარი, შეაჩეროს თავდასხმა ან გაუმკლავდეს მას.

ამრიგად, უსაფრთხოება არის ღირებულება, რომელიც ერს შეიძლება მეტ-ნაკლებად გააჩნდეს და რომლის უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად ფლობასაც ის შეიძლება ესწრაფოდეს.[4] ამ მხრივ, მას ბევრი საერთო აქვს ძალასთან და სიმდიდრესთან – საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობის მქონე ორ სხვა ღირებულე-

[3] Walter Lippmann, *U.S. Foreign Policy: Shield of the Republic* (Little, Brown & Co., Boston, 1943). p. 51.

[4] ამით აიხსნება, თუ რატომ ხდება, რომ ზოგიერთი სახელმწიფო, რომელიც, ერთი შეხედვით, *სტატუს კვო* ძალების კატეგორიას განეკუთვნება, ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება უკმაყოფილო იყოს და მოქმედებდეს „იმპერიალისტური" ანუ, მორგენთაუს განსაზღვრებით, ხარბი

ბასთან. მაგრამ, თუ სიმდიდრით სახელმწიფოს მატერიალური ქონების მოცულობა იზომება, ძალით კი – მისი უნარი, გააკონტროლოს სხვების მოქმედება, ობიექტური გაგებით, უსაფრთხოება ნიშნავს შეძენილი ღირებულებებისადმი საფრთხის არარსებობას, ხოლო სუბიექტური გაგებით – ამ ღირებულებებზე თავდასხმის შიშის არარსებობას. ორივე თვალსაზრისით, სახელმწიფოს უსაფრთხოება შეიძლება მოიცავდეს ფართო დიაპაზონს თითქმის სრული დაუცველობიდან ან დაუცველობის შეგრძნებიდან თითქმის სრულ უსაფრთხოებამდე ან სხვებისადმი შიშის არარსებობამდე.[5]

შესაძლო განსხვავება ტერმინის ობიექტურ და სუბიექტურ განმარტებებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანია იმის მიუხედავად, რომ მომავალი თავდასხმის შესაძლებლობის „ობიექტურად" გაზომვა წარმოუდგენელია; ეს ყოველთვის უნდა დარჩეს სუბიექტური შეფასებისა და განხილვის საგნად. თუმცა, როდესაც ფრანგები, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს ითხოვდნენ იმ განსაკუთრებით სახიფათო ვითარების გამო, რომლის პირისპირაც ისინი, თითქოს, იდგნენ, ერთა ლიგის სხვა წევრ სახელმწიფოებს მიაჩნდათ, რომ საფრანგეთის ისტერიული წინათგრძნობისადმი დამორჩილებას საფრანგეთის შედარებითი უსაფრთხოების უფრო ობიექტურად შეფასება აჯობებდა. ცნობილია, რომ სახელმწიფოებსა და სახელმწიფოებში არსებულ ჯგუფებს ერთი და იმავე საგარეო ვითარების მიმართ მეტად განსხვავებული რეაქცია აქვთ. მათი ერთ ნაწილი მიდრეკილია, გადაჭარბებულად აღიქვას საფრთხე მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი სათანადოდ ვერ აფასებს მას. მომხდარის შემდეგ, ზოგჯერ, იმის ზუსტად დანახვაა შესაძლებელი, თუ რამდენად შორს გადაუხვიეს მათ გარკვეულ მომენტში არსებულ რეალურ ანუ ობიექტურ საშიშ მდგომარეობაზე რაციონალურ რეაქციას. სხვა საბაბი რომც არ არსებობდეს, მსგავსი საფრთხეებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომებიც საკმარისია, რათა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოები სხვადასხვა გზით ცდილობენ მეტი უსაფრთხოების მოპოვებას. ზოგიერთმა შეიძლება სრულიად ნორმალურად და თავისი უსაფრთხოების ზომიერი მოლოდინის შესაბამისად მიიჩნიონ ის საფრთხე, რომელიც მას ემუქრება მაშინ, როდესაც სხვებისათვის მსგავსი საფრთხეების პირობებში ცხოვრება გაუსაძლისია. მიუხედავად იმისა, რომ, ამ შემთხვევაში, ალბათ, არ არის მართებული ამა თუ იმ პოზიციის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ ვარაუდების გამოთქმა, კვლევამ შეიძლება დაადასტუროს ეჭვი,

ინტერესების მქონე სახელმწიფოს მსგავსად. ისინი უკმაყოფილონი არიან უსაფრთხოების იმ ხარისხით, რომელიც მათ *სტატუს კვოს* პირობებში აქვთ და მის ამაღლებას ცდილობენ. 1923 წელს საფრანგეთის მიერ რურის ოკუპაცია ამგვარი ქცევის მაგალითია. ვინაიდან მეტი უსაფრთხოების მოთხოვნილებამ შეიძლება უბიძგოს *სტატუს კვო* სახელმწიფოს, მიმართოს ძალადობას, როგორც უსაფრთხოების განმტკიცების საშუალებას, არის საფუძველი, მოვერიდოთ გაუბრალოებულ და, ხშირ შემთხვევაში, ზედმეტად თეითდაჯერებულ ვარაუდს, რომ ქვეყნები, რომლებიც *სტატუს კვოს* შენარჩუნების სურვილს გამოხატავენ, აუცილებლად „მშვიდობისმოყვარენი" არიან.

[5] უსაფრთხოება და ძალა სინონიმური ტერმინები იქნებოდა, უსაფრთხოების მიღწევა მხოლოდ ძალის დაგროვების შედეგად რომ შეიძლებოდეს, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სიმართლეს არ შეესაბამება. ამასთან, თავდასხმის შიში – უსაფრთხოება სუბიექტური გაგებით – არ არის შედარებითი ძლიერების პროპორციული. თუ ეს მცდარი მოსაზრებაა, მაშინ, რატომ გრძნობს ზოგიერთი სუსტი და დაუცველი სახელმწიფო თავს უფრო უსაფრთხოდ, ვიდრე აშშ? ჰაროლდ დ. ლასველი და აბრაამ კაპლანი, ნაშრომში *Power and Society* (Yale University Press, New Haven. 1950) უსაფრთხოებას განსაზღვრავენ, როგორც „მაღალი ღირებულების მოლოდინს" და ტერმინ „მოლოდინის" გამოყენებით ხაზს უსვამენ უსაფრთხოების სუბიექტურ და პიპოთეზურ ხასიათს; ტერმინ „მაღალის" გამოყენება, მართალია, ზუსტ დონეზე არ მიუთითებს, მაგრამ როგორც ჩანს, გულისხმობს, რომ უსაფრთხოების მაძიებელი მიისწრაფის იმ მდგომარეობისაკენ, რომელშიც მოსალოდნელ შედეგს (ამ შემთხვევაში, საკუთრების ხანგრძლივად და უსაფრთხოდ ფლობას) აუცილებლად ექნება ადგილი.

რომ საფრთხეების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ის ერები, რომლებმაც ახლო წარსულში იგემეს თავდასხმა ან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მაღალი ხარისხის უსაფრთხოების პირობებში ცხოვრების შემდეგ, თავი სახიფათო ვითარებაში იგრძნეს.[6] როგორც ჩანს, სახელმწიფოს მცდელობა, მიაღწიოს უსაფრთხოების უფრო მაღალ დონეს, ნაწილობრივ მაინც, არის სახელმწიფოს ხელთ არსებული იმ ძალისა და შესაძლებლობების [მათემატიკური] ფუნქცია, რომელთა გამოყენებითაც საფრთხის შემცირებაა მოსალოდნელი.[7]

კიდევ ერთი და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ უნდა ველოდოთ სახელმწიფოებისაგან ერთგვაროვან ქცევას, არის ის, რომ ყველა მათგანი მუდმივად არ იმყოფება ერთი და იმავე საფრთხის წინაშე. სამუშაო ჰიპოთეზის შექმნის მიზნით, თეორეტიკოსებმა შეიძლება სასარგებლოდ ჩათვალონ ისეთი პირობების დაშვება, როდესაც ყველა სახელმწიფო ერთიმეორის მტერია (არ არის გაერთიანებული სხვების წინააღმდეგ) და ამიტომაც, თანაბრად გრძნობს თავდასხმის საფრთხეს.[8] მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში არ მოიძებნება სუვერენული სახელმწიფო, რომელიც აბსოლუტურად დაცულია თავდასხმისაგან, არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ კანადას, დღეს, ისეთივე მასშტაბის საფრთხე ემუქრება, როგორც ირანს ან იუგოსლავიას, ან, რომ ოციან წლებში ბრიტანელებს აღელვების ისეთივე საფუძველი ჰქონდათ საფრანგეთის საჰაერო ძალების გამო, როგორც ოცდაათიან წლებში ჰიტლერის *ლუფტვაფეს* გამო.

თუმცა, ამ გარემოებას გადამეტებული მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. უდავოა ის განზოგადებული დასკვნა, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა (განსაკუთრებით, ეს დიდ სახელმწიფოებს ეხება), გამოხატავს დიდ შეშფოთებას უსა-

---

[6] აშშ ამ მხრივ თვალსაჩინო და, შესაძლოა, ტიპური მაგალითიცაა: დიდი ხნის განმავლობაში ეს ქვეყანა მიუღწეველი იყო მტრის ნებისმიერი რეალური თავდასხმისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში, მას შეეძლო, უგულებელეყო უსაფრთხოებაზე სერიოზულად ზრუნვა. მოვლენებმა დაამტკიცა, რომ ის უარეს მდგომარეობაში არ ჩავარდნილა იმის გამო, რომ ასე მოიქცა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ამ სასიამოვნო ვითარებამ შენყვიტა არსებობა, აღმოჩნდა, რომ როგორც მთავრობამ, ისე ხალხმა დროულად ვერ შეამჩნია მომხდარი ცვლილებები. როდესაც ნიკოლას ჯ. სპაიკმენმა, მეორე მსოფლიო ომის წინა ნლებში, ხმა აიმაღლა უსაფრთხოების უფრო ფართო ხედვის მხარდასაჭერად (ვიდრე ამას „დასავლეთ ნახევარსფეროს თავდაცვის" სიმბოლო გულისხმობდა) და განსაკუთრებულად შეაფასა თავდაცვითი სამხედრო ძალის როლი, იგი სწორედ ამ ჩამორჩენილობასა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საუბრობდა. როდესაც ჰანს მორგენთაუმ და სხვებმა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ერთი შეხედვით, სპაიკმენის კვალდაკვალ, გამაფრთხილებელი საუბრები დაიწყეს, მათ მიმართეს ერს, რომელიც 1945 წელს, იდეალისტური აზროვნების მორიგი ტალღის შედეგად, მცდარ გზას დაადგა და უსაფრთხოების შესახებ გადაჭარბებული ნარმოდგენების ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

[7] ისეთი ტერმინები, როგორიცაა უსაფრთხოების „ხარისხი" ან მისი „დონე," მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავების ხაზგასმას არ ისახავს მიზნად. სახელმწიფოები, აგრეთვე, შეიძლება განსხვავდებოდნენ საკუთარი უსაფრთხოების ხედვის მასშტაბით. მაგალითად, იალტაში ამერიკელი ლიდერები იმდენად დაკავებულნი იყვნენ იმდროისათვის აშშ-ისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისაგან უსაფრთხოებაზე ზრუნვით, რომ ვერ შეძლეს, ან უარი თქვეს, განეხილათ საბჭოთა კავშირთან მიმართებაში მომავალი ამერიკული უსაფრთხოება. განსხვავებები შეიძლება არსებობდეს იმ დროის მონაკვეთის თვალსაზრისითაც, რომლის განმავლობაშიც უსაფრთხოების უზრუნველყოფაა ნავარაუდევი. ასე მაგალითად, ვერსალში ბრიტანელები მზად იყვნენ, საფრანგეთისათვის შეეთავაზებინათ უსაფრთხოების მოკლევადიანი გარანტიები მაშინ, როდესაც საფრანგეთი უფრო შორს იხედებოდა და დაჟინებით მოითხოვდა, „გერმანული საფრთხე" მომდევნო 10 წლის განმავლობაში არ გამწვავებულიყო.

[8] ამ სამუშაო ჰიპოთეზის – როგორც ნამდვილი ძალის ჰიპოთეზის ნაწილის – განხილვისათვის იხილეთ მეექვსე თავი: "The Pole of Power and the Pole of Indifference," წიგნში: Arnold Wolfers, *Discord and Collaboration, Essays on International Politics,* Baltimore and London: The Johns Hopkins University Press, 1962.

ფრთხოების დაბალ დონესთან დაკავშირებით, რაც, უმეტესწილად, გამართლებულიცაა, და მზად არის, მის ასამაღლებლად მსხვერპლი გაიღოს. საფრთხე და მისი გაცნობიერება კვლავაც საკმაოდ ხშირია იმისათვის, რომ ამ ასპექტში მცირეოდენი ერთგვაროვნება მაინც უზრუნველყოს. მაგრამ განზოგადებული დასკვნა, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს როგორც ფრანგული პოლიტიკისათვის დროდადრო დამახასიათებელ, გაშმაგებულ ბრძოლას მეტი უსაფრთხოებისათვის, ისე ორივე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ამერიკის მიერ წარმოებულ, უსაფრთხოების უგულებელმყოფელ საგარეო პოლიტიკას, ნაკლებ სინათლეს ჰფენს სახელმწიფოების ქცევას. შეთავსებადობის მოთხოვნას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ შეიძლება იმის თქმა, (ისევე, როგორც ეს ნამდვილი ძალის პოლიტიკის ჰიპოთეზის პირობებშია შესაძლებელი) რომ სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, საკუთარი უსაფრთხოების მაქსიმიზაციაზე დაბლა აყენებენ ყველა სხვა ღირებულებას. თუმცა, ცხადია, ასე არ არის.

მრავალი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ იღებდა მეტი უსაფრთხოებისაკენ მიმართული ძალისხმევა შეიარაღების, ალიანსების, სტრატეგიული საზღვრებისა და სხვა მიზნებისათვის შეუზღუდავი შეჯიბრის ფორმას, მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ შეიარაღების დაფინანსების თაობაზე პარლამენტში არაერთგზის გამართული ცხარე დებატებიც, რათა დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ გაურკვეველია ის ზღვარი, რომლის მიღწევამდეც საზოგადოება მზადაა, მსხვერპლი გაიღოს უსაფრთხოების ხარისხის ასამაღლებლად. მაშინაც კი, როდესაც აშკარა იყო, რომ შეიარაღება უფრო მეტ უსაფრთხოებას ნიშნავდა, გადასახადების ზრდა, სოციალური შეღავათების შემცირება ან სრული დისკომფორტი მნიშვნელოვანწილად უშლიდა ხელს შემდგომი ნაბიჯების გადადგმას. ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს იმის აღნიშვნა, რომ ისტორიაში, როგორც ჩანს, არ მოიძებნება მაგალითი, ქვეყანას პრევენტიული ომი უსაფრთხოების მიღწევის მოტივით დაეწყოს – გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ჰიტლერის ყოვლად გაუმართლებელი თავდასხმა საკუთარ მეზობლებზე – თუმცა, ალბათ, იყო შემთხვევები, როდესაც შეიძლებოდა დამატებითი უსაფრთხოების მოპოვება ომის გზით, ხოლო სხვა ღირებულებების განმტკიცების მიზნით საკმაოდ ბევრი ომი გაჩაღებულა. რა თქმა უნდა, როდესაც უსაფრთხოების ინტერესებით უფრო მიმზიდველი მიზნებია შენიღბული, სახელმწიფოებმა ან პატივმოყვარე ლიდერებმა მათ განსახორციელებლად ყოველგვარი ფასი შეიძლება გაიღონ. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც ჩნდება ეჭვი, რომ სახელმწიფოები უსაფრთხოების მაღალი მისწრაფებების მიღმა უფრო აგრესიულ მიზნებს მალავენ.

გაზრდილი ან მაქსიმალური უსაფრთხოებისაკენ საყოველთაო სწრაფვის მოლოდინის ნაცვლად, სხვა ჰიპოთეზამ უფრო გამოსადეგი მიდგომა შეიძლება შემოგვთავაზოს. უსაფრთხოების მიღწევისაკენ მიმართული ძალისხმევა მძიმე ტვირთია; ბოლოს და ბოლოს, უსაფრთხოება სხვა არაფერია თუ არა სახიფათო მდგომარეობის არარსებობა, ასე ვთქვათ, უარყოფითი ღირებულება. ამის შედეგად, სახელმწიფოები მიდრეკილნი არიან, მინიმუმამდე შეზღუდონ აღნიშნული ძალისხმევა და შეინარჩუნონ ის იმ უმდაბლეს დონეზე, რომელიც, მათი აზრით, ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს. ეს დონე, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო მოღვაწეების, სამხედრო ლიდერებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის სხვა, უსაფრთხოებაზე მზრუნველი მონაწილეების მიერ მისაღებად მიჩნეულ დონეზე უფრო დაბალია. ნებისმიერ შემთხვევაში, საგარეო საფრთხის ხარისხთან ერთად, მრავალი ისეთი შიდა ფაქტორი, როგორიცაა ეროვნული ხასიათი, ტრადიცია, პრიორიტეტები და წინასწარგანწყობა, განაპირობებს იმას, თუ უსაფრთხოების რომელ დონეს აირჩევს სახელმწიფო საკუთარ მიზნად.

ამის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოები არც იმდენად შეუზღუდავები არიან იმ ძალისხმევის არჩევაში, რომელსაც უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოახმარენ. ხომ არ არიან ისინი, გარკვეულწილად, იძულებულნი, არ დაიშურონ ძალისხმევა, თუ გადარჩენა სურთ? ეს მოსაზრება მხოლოდ მაშინ შეიძენდა აზრს, ნამდვილი ძალის პოლიტიკის ჰიპოთეზები მიმდინარე მსოფლიო პროცესებს რეალისტურად რომ ასახავდეს. თუმცა, მოკლე ისტორიული ექსკურსი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თვითგადარჩენის საკითხი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იდგა, განსაკუთრებით კი, დიდი სახელმწიფოებისათვის. ქვეყნები, საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარდა, სხვა ღირებულებების დაცვით რომ არ იყვნენ დაინტერესებულნი, მათი უმრავლესობა, ხშირ შემთხვევაში, სერიოზულად აღარ იღელვებდა საკუთარი უსაფრთხოების გამო, იმის მიუხედავად, თუ რა საპირისპირო არგუმენტებს წარმოადგენდნენ საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მქონე პირები, რომლებიც მეტი უსაფრთხოების მოსაპოვებლად საჭირო ნაბიჯების გადადგმის მოწოდებებით გამოდიან ხოლმე. ამდენად, „იძულება," რომელზეც ვსაუბრობთ, არის [მათემატიკური] ფუნქცია არა უბრალოდ სხვათა რეალური ან წარმოსახვითი სურვილისა, ბოლო მოეღოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, არამედ ერის სურვილებისა და სწრაფვისა, შენარჩუნებულ იქნეს სხვა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა რანგი, პატივისცემა, მატერიალური საკუთრება და განსაკუთრებული პრივილეგიები. მართებული იქნება, განვაცხადოთ, რომ სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მიმართული ძალისხმევა ურთიერთგანსხვავებული იქნება, ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში, იმ ღირებულებათა დიაპაზონიდან გამომდინარე, რომელთა დაცვაც მიზნად არის დასახული.

ეს დიაპაზონი, ერთი შეხედვით, ერთგვაროვნების დიდი ხარისხით გამოირჩევა. დღეს, მთელს მსოფლიოში ადამიანები მზად არიან, მსხვერპლი გაიღონ იმის დასაცავად და შესანარჩუნებლად, რასაც ისინი თავიანთ მინიმალურ, უმთავრეს ეროვნულ ღირებულებებად მიიჩნევენ: ესაა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. თუმცა, აქ შეიმჩნევა ორი მიმართულებით გადახვევა. ზოგიერთი ერი შედარებით უმნიშვნელო ღირებულებების დაცვასაც ცდილობს. იყო დრო, როდესაც აშშ-ს შეეძლო, ძირითადად საკუთარ მოქალაქეთა უცხოური ინვესტიციებისა და ბაზრების დაცვაზე ეზრუნა, რადგანაც მის „უმთავრეს ღირებულებებს" საფრთხე არ ემუქრებოდა, ან როდესაც ბრიტანეთი ისე ფართოდ მოიაზრებდა საკუთარ ეროვნულ მეს, რომ მასში ერცელ და ბუნდოვნად მოხაზულ „განსაკუთრებული ინტერესის რეგიონებს" აერთიანებდა. საყოველთაოდ ცნობილი და ნიშანდობლივი ფენომენია, რომ ბაზები, უსაფრთხოების ზონები და ა.შ. შეიძლება მოითხოვო და მოიპოვო ადრე შეძენილი ღირებულებების დასაცავად და ისინი შემდგომ ახალ ეროვნულ ღირებულებებად გადააქციო, რომლებსაც, აგრეთვე, დაცვა ესაჭიროება. ლოგიკურად, ღირებულებათა დიაპაზონის ასე გაფართოება, მანძილის თვალსაზრისით, მსოფლიო ბატონობის მიღწევამდე არ დასრულდება.

დღეისათვის არც მეორე მიმართულებით გადახვევაა უჩვეულო – უმთავრეს ღირებულებებათა დიაპაზონის შემჭიდროებისაკენ. მცირედი ნიშნებია იმისა, რომ ბრიტანეთი ზრუნავს ჰონგ-კონგის უსაფრთხოებაზე, კოლონიები კი, ერთ დროს სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილად განიხილებოდა. ჩეხებს არაფერი უღონიათ საბჭოთა კავშირისაგან საკუთარი დამოუკიდებლობის დასაცავად და ბევრი დასავლეთ ევროპელი დღეს ამტკიცებს, რომ ხელახალი შეირაღება იმდენად დამანგრეველი გახდა იმ ღირებულებებისათვის, რომლებსაც ისინი უფრთხილდებიან, რომ მისი გამართლება შეუძლებელია მაშინაც კი, როდესაც ეროვნულ დამოუკიდებლობას აშკა-

რა საფრთხე ემუქრება.

ერთგვაროვნების არარსებობა ამით არ სრულდება. პოლიტიკა მხოლოდ თავისი მიზნით – ამ შემთხვევაში უსაფრთხოებით – არ ხასიათდება. მისი არსის ნარმოსაჩენად ასევე გასათვალისწინებელია ის საშუალებები, რომლებიც მიზნის მისაღწევად გამოიყენება. ამრიგად, თუ ორი სახელმწიფო საკუთარი უსაფრთხოების მაქსიმიზაციას ცდილობს, მაგრამ ერთი მთლიანად შეიარაღებასა და ალიანსებს ეყრდნობა, მეორე კი – ძალიან ფრთხილ ნეიტრალიტეტს, პოლიტიკის შემოქმედს, რომელიც ცდილობს მათ აჯობოს, უძნელდება იმის გარკვევა, თუ რომელი მიმართულებაა უკეთესი. ეროვნულ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული პოლიტიკის მომხრეები, სავარაუდოდ, აცნობიერებენ ამ გარემოებას, მაგრამ მიიჩნევენ, რომ მათი მოთხოვნა გაგებული იქნება, როგორც ძალაზე, კერძოდ კი, სამხედრო ძალაზე დაფუძნებული უსაფრთხოების პოლიტიკისაკენ მოწოდება. ასე რომ არ იყოს, მათ გაუძნელდებოდათ იმის დამტკიცება, რომ მათი მთავრობა ყველაფერს არ აკეთებს უსაფრთხოებისთვის, როდესაც ისეთი საშუალებებით ესნრაფის მის განმტკიცებას, როგორიცაა საერთაშორისო თანამშრომლობა ან კომპრომისული შეთანხმებების მისაღწევად გამართული მოლაპარაკებები – საშუალებებით, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მთლიანად არაეფექტიანი ან უტოპიური იყოს, მაგრამ სხვა შემთხვევებში მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდეს თავდაცვისათვის.

გასაგებია, თუ რატომ ხდება იმ ვარაუდის ადვილად გაზიარება, რომ უსაფრთხოების ძიება აუცილებლად მაიძულებელი ძალის ძიებაში გადაიზრდება. რადგან უსაფრთხოება გარე ძალადობის აღკვეთას ემსახურება (რომელსაც, შესაძლოა, თან ერთვოდეს შიდა ძირგამომთხრელი ძალადობა), ერთი შეხედვით, ჩანს, რომ პასუხი უნდა გულისხმობდეს იმავე ტიპის ძალის დაგროვებას – თავდასხმისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ან შესაძლო თავდამსხმელის შესაკავებლად. ისტორიასა და თანამედროვე გამოცდილებაზე თვალის გადავლება საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ „წინააღმდეგობის გაწევის უნარის" გამოყენება წესად არის ქცეული იმ სახელმწიფოებში, რომელთა უსაფრთხოებაც სერიოზულ მუქარას აწყდება, რაოდენ განსხვავებულიც არ უნდა იყოს ამ უნარის ფორმა და მასშტაბი. ასე რომ არ იყოს, მაშინ რატომ შეინარჩუნებდნენ ძვირადღირებულ შეიარაღებას „ხარბი ზრახვების" არმქონე სახელმწიფოები? რატომ რჩება დანია, თავისი განიარაღების პოლიტიკით, გამონაკლისად თვით პატარა სახელმწიფოებს შორისაც კი?

თუმცა, ის განზოგადებული დასკვნა, რომ სახელმწიფოები, რომლებიც უსაფრთხოების უზრუნველყოფას ლამობენ, როგორც წესი, დიდად ეყრდნობიან მაიძულებელ ძალას, შორს ვერ წაგვიყვანს. პრობლემა ის კი არ არის, მიმართავენ თუ არა ისინი ამ ძალას რეგულარულად, არამედ ის, რომ ქვეყნებს შორის არ არის დიდი განსხვავება იმ საშუალებების საბოლოო არჩევანში, რომლებსაც ისინი ენდობიან. სამომავლო უსაფრთხოების მოსაპოვებლად საუკეთესო გზის არჩევასთან დაკავშირებული უთანხმოება, რომელიც ხშირად წარმოიქმნება ხოლმე კოალიციაში შემავალ პარტნიორებს შორის მოგებული ომის დასასრულს, ნათელს ჰფენს ამ საკითხს. 1919 წელს – საფრანგეთს, 1945 წელს კი – ყველა მოკავშირეს, სჯეროდა, რომ მორიგი გერმანული თავდასხმისაგან დაცვას უზრუნველყოფდა მხოლოდ მდგრადი სამხედრო უპირატესობა, რომელიც გერმანიის სამხედრო უძლურებაზე იქნებოდა დამყარებული. თუმცა, 1919 წელს პრეზიდენტი უილსონი, 1945 წელს კი – მრავალი ადამიანი, რომელიც აკვირდებოდა მიმდინარე მოვლენებს, ასევე დარწმუნებული იყო, რომ უსაფრთხოება უფრო საიმედო იქნებოდა, თუ დამარცხებულ მტერს ლმობიერად და სამართლიანად მოეპყრობოდნენ, რაც თავიდანვე დაუკარგავდა მას მომავალში თავდასხმის განმეორების სტიმულს. ვინაიდან აქ ყოველად უადგილოა იმის

განსაზღვრა, თუ რომელი მხარე იყო მართალი, ძალაუნებურად მივდივართ დასკვნამდე, რომ საშუალებებს რაც შეეხება, არსებულმა გზებმა დიამეტრულად საპირისპირო მიმართულებით შეიძლება ნაგვიყვანოს.[9] თითოეულ შემთხვევაში არჩევანი დამოკიდებულია ცვლადების რაოდენობაზე, მათ შორის იდეოლოგიურ და ზნეობრივ დოგმებზე, მეტოქის ბანაკში განვითარებული ფსიქოლოგიური და პოლიტიკური პროცესების მოლოდინსა და პოლიტიკის ცალკეულ შემოქმედთა პრიორიტეტებზე.[10]

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, თითქმის მთლიანად გაქარწყლდა ის ფართოდ განზოგადებული დასკვნა, რომ, სინამდვილეში, სახელმწიფოები, რომლებიც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით ხელმძღვანელობენ, უმთავრესად, ერთგვაროვან და, მაშასადამე, იმიტირებად უსაფრთხოების პოლიტიკას ატარებენ. პირიქით, არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომ განსხვავდებიან ისინი ამ მხრივ ერთმანეთისგან იმდენად მკვეთრად, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ახლოსაა უსაფრთხოებისადმი სრული გულგრილობისა და არასამხედრო საშუალებების მიმართ სრული ნდობის პოლუსთან, ზოგიერთი კი – აბსოლუტური უსაფრთხოების მოთხოვნისა და მთლიანად მაიძულებელ ძალაზე დაყრდნობის პოლუსთან. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კიდევ ერთი კატეგორია სახელმწიფოებისა, რომლებიც არ შეიძლება მოთავსდნენ ამ პოლუსებს შორის, რადგანაც ისინი ნებისმიერი ხარისხის უსაფრთხოებას არასაკმარის მიზნად მიიჩნევენ; ნაცვლად ამისა, ისინი ახალი ღირებულებების შეძენას ცდილობენ, თუნდაც, დიდი საფრთხის ფასად. ამ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ არა მხოლოდ „შეშლილი კეისრები," რომლებიც არაფერს იშურებენ დაპყრობებისა და დიდებისათვის, არამედ იდეალისტი სახელმწიფო მოღვაწეებიც, რომლებმაც შეიძლება ომში ჩაიბან საკუთარი ქვეყანა, მაგალითად, თავიანთი იდეოლოგიის გასავრცელებლად ან დამონებული ხალხების გასათავისუფლებლად.

სახელმწიფოთა რეალური ქცევა, როგორც წარსული, ისე აწმყო, არ ახდენს გავლენას იმ ნორმატიულ დებულებაზე, რომელსაც ახლა უნდა მივაპყროთ ყურადღება. ამ დებულების თანახმად, სახელმწიფოებს მართებთ, უპირატესობა მიანიჭონ ეროვნულ უსაფრთხოებას და, შესაბამისად, თანახმა იყვნენ, მსხვერპლად გაიღონ ნებისმიერი ღირებულება, თუკი ეს მათ დამატებით უსაფრთხოებას მოუტანს. ამგვარი ქცევა სახელმწიფოებისთვის შეიძლება მიზანშეწონილი ან ზნეობრივი იყოს, ან ორივე ერთად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ წარსულში არ გაითვალისწინეს ეს რჩევა და დღესაც არ ასრულებენ მას.

პირველი შეკითხვა, რომელიც აქ ჩნდება, შემდეგში მდგომარეობს: შესაძლებელია თუ არა, ამა თუ იმ უსაფრთხოების პოლიტიკას ზოგადად მიზანშეწონილი ვუ-

---

[9] Myres S. McDougal, "Law and Peace," *American Journal of International Law*, Vol. 46, No. 1 (January, 1952), pp. 102 ff. მაკდუგალი სამართლიანად აკრიტიკებს ჰანს მორგენთაუს იმის გამო, რომ მან სათანადოდ ვერ შეაფასა ის როლი, რომელიც უსაფრთხოების ძიებაში შეიძლება დროდადრო ნარმატებით შეასრულოს ისეთმა არაძალისმიერმა მეთოდებმა, როგორიცაა სამართლებრივი პროცედურები და ზნეობრივი მონოდებები, მაგრამ საოცარია, რომ მაკდუგალმა არ იცის, თუ რეალურად რა მოკრძალებული წვლილი შეაქვს ამ „სხვა საშუალებებ"უსაფრთხოების განმტკიცებაში და რამდენად უმნიშვნელოა მათი წვლილი *სტატუს კვოს* შეცვლაშიც. ეს უკანასკნელი წარუმატებლობა ადასტურებს, რომ მათ არ ძალუძთ თავდასხმის ძირითადი მიზეზების აღმოფხვრა, რაც უსაფრთხოებაზე მზრუნველ ადამიანებს მართებულად აშინებთ.

[10] უსაფრთხოების პოლიტიკის (*Sicherheitspolitik*) პრობლემის შესახებ, განსაკუთრებით „კოლექტიური უსაფრთხოების" ასპექტში, იხილეთ ყოველისმომცველი და ახსნა-განმარტებითი ნაშრომი: Heinrich Rogge, "Kollektivsicherheit Buendnispolitik Voelkerbund," *Theorie der nationalen und internationalen Sicherheit* (Berlin, 1937), რომელიც ყურადღებას იმსახურებს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ის ნაცისტურ გერმანიაში დაინერა და გამოქვეყნდა. მას გამორჩეულად „რევიზიონისტული" სულისკვეთება ახასიათებს.

წოდოთ? ვინაიდან მიზნების შერჩევა მიზანშეწონილობაზე არ მეტყველებს, თითქოს აზრს კარგავს კითხვა, მიზანშეწონილია თუ არა სახელმწიფოს დაინტერესება უსაფრთხოების მიზნით? როგორც ჩანს, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები მათი გამოსადეგობის – ანუ ინსტრუმენტული რაციონალურობის – თვალსაზრისით. თუმცა, ასე არ ხდება. უსაფრთხოება, ისევე როგორც სხვა მიზნები, შესაძლებელია მოგვევლინოს შუალედურ და არა საბოლოო მიზნად. ამ შემთხვევაში ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ საბოლოო მიზანთა მიღწევის საშუალება.

ტრადიციულად, უმთავრესი ეროვნული ღირებულებების დაცვა და შენარჩუნება თავისთავად მიზნებად არის მიჩნეული, ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ, ვინც მაკიაველის ნაკვალევს მიჰყვება ან სხვა პოლიტიკურ-ფილოსოფიური მოსაზრებების გამო, მთავარს, სახელმწიფოს ან ერს ღირებულებათა იერარქიის უმაღლეს მწვერვალზე ათავსებს. იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს ასე იქცევიან, გააოგნებთ უბრალო შემოთავაზებაც კი, რომ ეროვნული უსაფრთხოება გამართლებულ იქნეს სხვა უფრო მაღალი ღირებულებით, რომელთა დაცვასაც ის უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ, ფართოდ გავრცელებულია და სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს მოსაზრება, რომელიც [აშშ-ში] უკვე დიდი ხანია გავლენით სარგებლობს, რომ ეს იდეა მისაღებია. ჩვენ ვკიცხავთ ნაცისტებსა და კომუნისტებს იმის გამო, რომ ისინი თავიანთ ტოტალიტარულ ქვეყნებს იცავენ, ნაცვლად იმისა, რომ დავეხმაროთ მათ ხალხს ტირანიისაგან გათავისუფლებაში; ჩვენ მოვიპოვეთ მხარდაჭერა შეიარაღების გასაზრდელად, როგორც შინ, ისე მოკავშირე ქვეყნებში, არა იმის საფუძველზე, რომ ამით ეროვნული უსაფრთხოებას უზრუნველვყოფთ, არამედ იმიტომ, რომ უსაფრთხოების განმტკიცების შედეგად, დაცული იქნება ისეთი ადამიანური ღირებულებები, როგორიცაა პიროვნების თავისუფლება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპასა და აზიაში სამხედრო უსაფრთხოების ღონისძიებათა მიმართ წინააღმდეგობა, ნაწილობრივ, გამოწვეულია კამათით იმის თაობაზე, რომ უმთავრესი ეროვნული ღირებულებების დაცვას ნაკლებად წაადგება, თუ ამ პროცესში ხალხის თავისუფლებისა და სოციალური კეთილდღეობის მსხვერპლად გაღება გახდება აუცილებელი; ზოგიერთი ამტკიცებს, რომ რუსეთის თავდასხმის შეჩერებას აზრი არ ექნება, თუკი თავდაცვითი ომის დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღუპება და ქალაქების უმეტესობა დაინგრევა.[11]

შესაძლებელია შესანიშნავი არგუმენტების მოყვანა იმ მოსაზრების მხარდასაჭერად, რომ მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება თითქმის ნებისმიერ ფასად უნდა მოხდეს, რადგანაც არ არსებობს სხვა საზოგადოებრივი ერთობა, რომელიც შეძლებს, უზრუნველყოს ასეთივე ხარისხით წესრიგი, სამართლიანობა, მშვიდობა და პიროვნების თავისუფლება, მაგრამ მსგავსი არგუმენტების წარმოდგენის საჭიროება ჩნდება ყოველთვის, როცა ეროვნული უსაფრთხოება, როგორც ღირებულება, კითხვის ქვეშ დგება. ამ შემთხვევაში თავისთავადი პასუხი არ არსებობს.

მაგრამ უსაფრთხოების, როგორც შუალედური მიზნის, მიზანშეწონილობაზე

---

[11] რაიმონდ დენეტი უფრო შორს მიდის შემდეგი განზოგადებით: „თუ ეკონომიკური ზეწოლა საკმარისად დიდი იქნება, თითქმის ყველა მთავრობა, საბოლოო ჯამში, შეასუსტებს ან დატოვებს პოლიტიკურ კავშირს" (ისეთს, როგორიცაა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებისათვის სასარგებლო ალიანსების სისტემა,) „როგორც კი გაჩნდება შესაძლებლობა, პოლიტიკის შეცვლით, შენარჩუნებულ ან მიღწეულ იქნეს ცხოვრების ისეთი სტანდარტები, რომლებიც საკმარისი იქნება რეჟიმის გადასარჩენად." Raymond Dennett, "Danger Spots in the Pattern of American Security," *World Politics*, Vol. IV, No. 4 (July, 1952), p. 449.

საუბრისათვის გვერდის ავლის შემდეგ, ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა, შესაძლებელია თუ არა (თავი რომ დავანებოთ ზნეობის საკითხს, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ) უსაფრთხოების განსაკუთრებული დონე ან მისი მიღწევის განსაკუთრებული საშუალებები, ზოგადად, მიზანშეწონილად ჩაითვალოს.

როდესაც ვინმე ცდილობს, მიზანშეწონილობის ასპექტში განსაზღვროს უსაფრთხოების დონე, რომელსაც სახელმწიფო უნდა ესწრაფოდეს, მან შეიძლება მიიჩნიოს, რომ აქ ზედა ზღვარი არ არსებობს. ნუთუ არ წარმოადგენს უსაფრთხოების ყოველგვარი ნაკლებობა ბოროტებას, რომლისაგანაც რაციონალური პოლიტიკის შემოქმედთ საკუთარი ქვეყნის დახსნა უნდა სურდეთ? არის აშკარა მიზეზები იმისა, თუ რატომ არ ხდება ასე.

ჯერ ერთი, უსაფრთხოების ყოველ ზრდა, მოითხოვს დამატებითი ღირებულებების შეწირვას, რაც პოლიტიკის შემოქმედის მხრიდან ძვირფასი დროის დაკარგვაზე უფრო მეტს ითვალისწინებს. ამდენად, გარკვეულ ეტაპზე, კლებადი უკუგების ეკონომიკური კანონის მსგავსად, უსაფრთხოების სფეროში მოპოვებული სარგებელი ვეღარ ანაზღაურებს მის მისაღწევად გაღებულ დამატებით ხარჯებს. ეკონომიკური სარგებლიანობის შედარებისა და პრიორიტეტების შემთხვევის მსგავსად, სხვადასხვა დონის პოლიტიკის შემოქმედთა შორის ხშირია უთანხმოება იმის თაობაზე, თუ სად უნდა გაიაროს ზღვარმა. ეს მართლაც ასეა, რადგანაც აბსოლუტური უსაფრთხოება გამორიცხულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვეყანას მსოფლიო ბატონობის უნარი შესწევს, თუმცა, ამ დროს ხდება საფრთხისა და შიშის „ინტერნალიზება" და, შესაძლოა, გაზრდაც კი. ვინაიდან სახელმწიფოებს მაინც უწევთ, გარკვეული ხარისხით, „სახიფათო ვითარებაში ცხოვრება," ამის საწინააღმდეგოდ რის გაკეთებაზეც არ უნდა შეთანხმდნენ, მცირეოდენი დამატებითი, მაგრამ შედარებითი უსაფრთხოება ადვილად შეიძლება გახდეს არამიმზიდველი მათთვის, ვინც მთავარი ტვირთი უნდა ზიდოს. არაფერი ართულებს ისე სახელმწიფო მოღვაწეთა მოვალეობას დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორც ხალხის მხრიდან სურვილის უქონლობა, შორს გაჰყვეს მათ უსაფრთხოების მაღალი და ძვირად ღირებული დონეებისაკენ მიმავალ გზაზე.

მეორე, ძალის დაგროვებაზე დაფუძნებულ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას დამარცხება უწერია, თუ სამიზნე დონე მეტისმეტად მაღალი შეირჩა, რადგანაც შეუძლებელია „წინააღმდეგობის გაწევის უნარის" უშეცდომოდ განსხვავება „აგრესიის უნარისაგან." ერთი სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების ძალისმიერი საშუალებებით უზრუნველყოფის მცდელობა სხვების მიერ მათი უსაფრთხოებისადმი მუქარად შეიძლება იქნეს აღქმული. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება მანკიერი წრე, რასაც ჯონ ჰერცმა „უსაფრთხოების დილემა" უწოდა: ერთი მხარის ქმედებები ინვევს მეორე მხარის საწინააღმდეგო ზომებს, რომლებიც, თავის მხრივ, პირველის მონაპოვარს მთლიანად აბათილებს. თეორიულად, მსგავსი სავალალო შედეგი გარდაუვალია; თუმცა, პრაქტიკულად, არსებობს საშუალებები, დავარწმუნოთ ისინი, ვინც მუქარას შეიძლება გრძნობდეს, რომ ძალის დაგროვება არ არის გამიზნული და არასოდეს იქნება გამოყენებული თავდასხმისათვის.[12] მთავარია, სამიზნე დონე ზომიერების ფარგლებში შევინარჩუნოთ და არ აღმოვჩნდეთ მდგომარეობაში, რომელშიც ამ დონეს მოულოდნელად და მკვეთრად ამაღლება შეიძლება დასჭირდეს. ამ მანკიერი წრიდან თავის დასაღწევად საჭიროა გაცილებით თავშეკავე-

[12] ყველა არ ეთანხმება იმას, რომ ეს შეიძლება გაკეთდეს. ჯერემი ბენთამი წერდა, რომ „თავდაცვის ზომები, ბუნებრივად, მიჩნეულია აგრესიის გამოვლინებად" რასაც შედეგად მოსდევს ის, რომ „ყველა ჩქარობს მოქმედების დაწყებას იმის შიშით, რომ მას სხვები დაასწრებენ." Jeremy Bentham, *Principles of International Law*, Essay IV.

ბული და გაწონასწორებული უსაფრთხოების პოლიტიკა, განსაკუთრებით სამიზნე დონის შერჩევაში. ვერასოდეს იქნება მიზანშეწონილი ისეთი უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც, პროვოკაციისა თუ სხვათა ნაქეზების შედეგად, სახელმწიფოს შედარებითი ძლიერებისა და წინააღმდეგობის პოტენციალის გაზრდას ვერ მოახერხებს.

კითხვა, თუ რომელი საშუალებებია მიზანშეწონილი უსაფრთხოების განსამტკიცებლად, გაცილებით უფრო რთულ პრობლემებს წარმოშობს. პოლიტიკის შემოქმედებმა უნდა გადაწყვიტონ, როგორ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები, განსაკუთრებით კი, რა დოზით მოახდინონ მაიძულებელი ძალის დაგროვება. აქ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი არჩევანი ჩაითვლება მიზანშეწონილად. ცხადია, არ არსებობს ზოგადი პასუხი, რომელიც ყველა შემთხვევაში გამოდგება. პასუხი დამოკიდებულია გარემოებებზე. სუსტმა ქვეყანამ შეიძლება ვერ გამონახოს უკეთესი საშუალება და ძლიერი მეზობლისათვის იმის დამტკიცება სცადოს, რომ მისი მკაცრი ნეიტრალიტეტი ნდობას იმსახურებს. პოტენციურად ძლიერ ქვეყნებს კი, შესაძლოა, ხელეწიფებოდეთ აგრესორის შეკავება „ძალის პოზიციის" არჩევით. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ თავის გადარჩენის სხვა გზა შეიძლება არც მოეპოვებოდეთ, ხოლო სხვა შემთხვევებში, მათაც კი უფრო მიზანშეწონილად შეიძლება მიიჩნიონ ამ პოლიტიკის განვრცობა ან, სულაც, ჩანაცვლება მეტოქესთან მოლაპარაკების გამართვის პოლიტიკით, რათა ამ უკანასკნელმა უარი თქვას თავის აგრესიულ გეგმებზე.

იმის მიზეზი, თუ რატომ არ არის „წინააღმდეგობის გაწევის უნარი" ზოგადი პანაცეა, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, თავად უსაფრთხოების ბუნებაში ძევს. თუ უსაფრთხოება, ამ ტერმინის ობიექტური გაგებით, იზრდება და მცირდება სხვათა აგრესიული ზრახვების არსებობის ან არარსებობის შედეგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმათ განწყობასა და ქცევას, ვისგანაც საფრთხე მომდინარეობს. ამგვარი განწყობა და ქცევა არ უნდა დარჩეს იმ ქვეყნის გავლენის სფეროს მიღმა, რომელსაც უსაფრთხოების გაძლიერება სურს, ხოლო როდესაც ეს მაინც ხდება, ყველაზე ეფექტიანი და ნაკლებად ძვირად ღირებული უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს მეტოქის დაყოლიებას აგრესიული ზრახვების უკუგდებაზე.

მართალია, ადვილად ვერ განისაზღვრება, თუ როდის შეიძლება და როდის უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ არა წინააღმდეგობისაკენ, არამედ სხვებში თავდასხმის სურვილის ჩახშობისაკენ მიმართული საშუალებები, მაგრამ, საკითხი გაირკვევა, თუ მოკლედ დავახასიათებთ იმ ჰიპოთეზათა ტიპებს, რომლებიც დაუკავშირებს კონკრეტულ (ამ შემთხვევაში მიზანშეწონილ) უსაფრთხოების პოლიტიკას ზოგიერთ, ყველაზე ფართოდ გავრცელებულ პოლიტიკურ სტრუქტურას.

შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფოები ორ პოლუსს შორის მერყეობენ: ერთნი გამოირჩევიან მაქსიმალური, ხოლო მეორენი მინიმალური „მიდრეკილებით თავდასხმისადმი," პირველები ყოველთვის მზად არიან თავდასხმისათვის, როდესაც ის მათ წარმატებას ჰპირდება, მეორენი კი არასოდეს ნაცლენ ამ ნაბიჯზე, წარმატებული თავდასხმის რაოდენ დიდ შესაძლებლობასაც არ უნდა ფლობდნენ. თუ პირველი ჯგუფის შემთხვევაში, უსაფრთხოება შედეგად მოჰყვება მხოლოდ „ძალის პოზიციას," რომელიც თავდასხმის შესაკავებლად ან მის დასამარცხებლად არის საკმარისი, მეორე ჯგუფის შემთხვევაში, უსაფრთხოებას ისე არაფერი უთხრის ძირს, როგორც ისეთი ძალის დაგროვება, რომელიც შიშსა და საწინააღმდეგო ქმედებებს იწვევს.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში, შეუძლებელია იმის ზუსტად ცოდნა, თუ რეალურად რა პოზიცია უკავია მეტოქეს ამ ორ პოლუსს შორის. ამდენად, სახელმწიფო მოლ-

ვაწეები არ შეიძლება დავადანაშაულოთ, თუ სიფრთხილე და ეჭვი მათ პირველ პოლუსს უფრო მიაახლოებს, ვიდრე ეს მოგვიანებით, წარსულის შეფასებისას, საჭიროდ შეიძლება გამოჩნდეს. ჩვენ, უდავოდ, საკმარისი საფუძველი გვაქვს იმის განსაცხადებლად, რომ საბჭოთა კავშირი დღეს ძალიან ახლოს იმყოფება პირველ პოლუსთან, მაშინ, როდესაც კანადელი პოლიტიკის შემოქმედები აშშ-ს, კანადისადმი მისი ზრახვების გამო, მეორე პოლუსთან მოიაზრებენ.

მართებულია ვარაუდი, რომ ყოველთვის, როდესაც უსაფრთხოების საკითხი აქტუალური ხდება, სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორც წესი, პოტენციურ მეტოქეებთან უწევთ ურთიერთობა, რომელთა პოზიცია ორ პოლუსს შორისაა, მაგრამ უფრო მეტად პირველს უახლოვდება. ამდენად, ეს ნიშნავს, რომ თავდასხმის, როგორც შესაძლებლობის, უნდა გვეშინოდეს, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმის განხორციელების განზრახვა არ შეიძლება განვიხილოთ იმ სტადიაში მყოფად, რომელშიც არაფერს ძალუძს მისი შეცვლა. თუ ეს ასეა, უსაფრთხოების პოლიტიკა, იმისათვის, რომ მიზანშეწონილი იყოს, ვერ აარიდებს თავს წინააღმდეგობის გასაწევად ძალის დაგროვებას, მაგრამ ვერც მხოლოდ ამით შემოიფარგლება. ამის პარალელურად, უნდა გადაიდგას ნაბიჯები თავდასხმის სურვილის აღმძვრელი მიზეზების მოსასპობად, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ მეტოქეებმა დაიკავონ პოზიცია მეორე პოლუსთან რაც შეიძლება ახლოს, არსებული გარემოებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ამგვარი ორმაგი პოლიტიკა წარმოშობს უდიდეს დილემას, ვინაიდან მეტოქის ზრახვების შეცვლის მცდელობა, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს მის საწინააღმდეგოდ ძალის დაგროვების გეგმას. დაუშვებელია დათმობების ნებისმიერი პოლიტიკის საფრთხის არასათანადოდ შეფასება, რომელსაც თანამედროვე აზროვნებაში ყველაზე ნათლად მიუნიხი გამოხატავს. თუმცა, ამ ვითარების პარადოქსს მაინც ვერ გავექცევით, თუ გვსურს, რომ უსაფრთხოების პოლიტიკა რაციონალური იყოს. პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის მუდმივად თავდასხმის მოსურნე ქვეყნის წინააღმდეგ ხორციელდება) მით უფრო რაციონალურია, რაც მეტად ცდილობს სხვა მხარის ინტერესების, მათ შორის, უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებას. მხოლოდ ასე მოქცევის შემთხვევაში შეუძლია მას ჰქონდეს იმედი, რომ მინიმუმადე შემცირდება მეორე მხარის სურვილი, მიმართოს ძალადობას. ნაცვლად იმის მტკიცებისა, რომ, ნებისმიერ ვითარებაში, უსაფრთხოება უნდა ვეძიოთ თავდაცვით ძალაზე დაყრდნობითა და, ეროვნული ეგოიზმის განვითარების შედეგად, უმაღლესი მიზნების დასახვით, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, სხვათა სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების მცდელობა უკეთეს შედეგებს მოიტანს უსაფრთხოების თვალსაზრისით.[13] შესაძლოა, სწორედ ამას გულისხმობდა ჯორჯ ქენანი, როდესაც პოლიტიკის შემოქმედთ ეროვნული ინტერესების დაცვისას თავშეკავებას ურჩევდა. მართალია, როდესაც საქმე გვაქვს მსოფლიოს შესაძლო დამპყრობელთან, რომელიც გარეშე გაელენას არ ემორჩილება, თავდაცვითი ძალის დაგროვებაზე უარის თქმა საშიშია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი განწყობის შეფასებისას დაშვებული ნებისმიერი შეცდომა ან მის ზრახვებზე გავლენის მოხდენის ნებისმიერი, პოტენციურად წარმატებული შესაძლებლობის უგულებელყოფა, მიზანშეწონილობის ფარგლებს სცდება. საჭიროა, გვახსოვდეს, რომ იდეალურია ის უსაფრთხოების

[13] როგორც ა. დ. ლინდსეი ამბობს, „სრულყოფილი უსაფრთხოების ძიება . . . დასახული მიზნების საპირისპირო შედეგს იძლევა. უსაფრთხოებისათვის ბრძოლა ცხოვრების ყველაზე სახიფათო გზაა." Introduction to Thomas Hobbes, *Leviathan* (J. M. Dent & Sons, London, 1914), p. xxii.

პოლიტიკა, რომელიც იმდენად დამაკმაყოფილებლად გაანაწილებს ღირებულებებს ყველა ერს შორის, რომ თავდასხმის განზრახვა და, მასთან ერთად, უსაფრთხოების პრობლემაც მინიმუმამდე დავა. ვინაიდან ეს უტოპიურ მიზნად რჩება, პოლიტიკისა და, განსაკუთრებით, მშვიდობის შემოქმედებს კარგი იქნება, თუ ემახსოვრებათ, რომ არის შემთხვევები, როდესაც ამგვარ მიზანთან უფრო მეტად მიახლოება შესაძლებელია.

ახლა შეგვიძლია, ზნეობის საკითხს მივაპყროთ ყურადღება, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს.[14] ეროვნულ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული პოლიტიკის მხარდამჭერები ყოველთვის ვერ აცნობიერებენ (ან, სულაც, უარყოფენ) იმ ფაქტს, რომ თავს არიდებენ ზნეობრივ მოთხოვნებს, როდესაც ურჩევენ სახელმწიფოს, ეროვნული უსაფრთხოება მიზნად დაისახოს ან დაჟინებით მოითხოვენ ამ მიზნის ისეთი საშუალებებით მიღწევას, როგორიცაა მაიძულებელი ძალის დაგროვება ან გამოყენება.[15]

სახელმწიფოები (ერები), ინდივიდებისა და სხვა ჯგუფების მსგავსად, რაიმეს შეიძლება აფასებდნენ არა იმიტომ, რომ მას განიხილავენ დადებითად ან ნაკლებად ბოროტად, ვიდრე მის ალტერნატივებს; ისინი შეიძლება აფასებდნენ რაიმეს იმიტომ, რომ ის აკმაყოფილებს მათ სიამაყეს, ამაღლებს მათში საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობას ან ამცირებს მათ შიშს. თუმცა, ზოგადად, არც ერთ პოლიტიკას ან ადამიანთა ქმედებას, რომელიც სხვა ღირებულებების შეწირვას მოითხოვს (რასაც უსაფრთხოების ნებისმიერი პოლიტიკა აკეთებს), არ ასცდება ზნეობრივი განსჯის ობიექტად ქცევა – მოქმედი პირისა თუ სხვათა სინდისის წყალობით. აქ წამოიჭრება ღირებულებების შედარებისა და აწონ-დაწონვის საკითხი, რათა დადგინდეს, თუ რომელი მათგანია იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სხვების მსხვერპლად გაღება გაამართლოს. თუ ვინმე ამტკიცებს, რომ მისი ქვეყნის ძლიერების გაზრდისათვის მეტი უნდა გაკეთდეს, იგი ამაში, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად, გულისხმობს, რომ მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასურველია ისეთი არასასიამოვნო ნაბიჯების გადადგმა, როგორიცაა მეტად საჭირო სოციალური შეღავათების შეკვეცა ან სამხედრო სამსახურის ვადის გახანგრძლივება.[16]

---

[14] საერთაშორისო ურთიერთობებში ზნეობის პრობლემის შესახებ იხილეთ მეოთხე თავი: "Statesmanship and Moral Choice," ნიგნში: Arnold Wolfers, *Discord and Collaboration, Essays on International Politics,* Baltimore and London, The Johns Hopkins University Press, 1962. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ განცხადებაში რაინჰოლდ ნიბური (Reinhold Niebur, *The Irony of American History,* Charles Scribner's Sons, New York, 1952, p. 39), მიუთითებს უსართხოების პოლიტიკის შემცველ ზნეობის პრობლემაზე – „სართხეში მყოფი არც ერთი სახელმწიფო," – ნერდა იგი, – „არ არის ზნეობრივად მზად, უარი თქვას შეიარაღებაზე, რომელმაც, შესაძლოა, მისი გადარჩენა უზრუნველყოს."

[15] ირონიას მოკლებული არაა, რომ იმ ორი ავტორიდან, ვინც უკანასკნელ ხანებში ხმა აიმაღლა ეროვნული ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკის დასაცავად, ერთი-ერთი, ჯორჯ ქენანი, რომელიც თავშეკავებული და მოკრძალებული, ჩვეულებრივ, ზნეობრიობასთან ასოცირებული პოლიტიკისაკენ მოგვიწოდებს, უარყოფს იმ მოსაზრებას, „რომ სახელმწიფოს მოქმედება ზნეობრივი შეფასების საგნად გამოდგება" (George F. Kennan, *American Diplomacy, 1900-1950,* University of Chicago Press, Chicago, 1952, p. 100), მაშინ როდესაც მეორე, ჰანს მორგენთაუ *(op. cit.)* წმინდა წყლის ეროვნული ეგოიზმის პოლიტიკისაკენ მონოდებით გამოდის და ზნეობრიობის სახელით საუბარზე აცხადებს პრეტენზიას.

[16] არარეალისტური იქნება იმის ვარაუდი, რომ პოლიტიკის შემოქმედნი მკაცრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან მიზნებსა და საშუალებებს და მხოლოდ ზნეობრივად გამართლებული სამიზნე დონის არჩევის შემდეგ, ნყვეტენ, არის თუ არა საშუალებები, რომლებითაც ეს დონე მიიღწევა, ზნეობრივი თვალსაზრისით, მისაღები. ზნეობრივი შეფასება, მეტწილად, ესადაგება ქმედებათა ერთობლიობას, რომელიც აერთიანებს როგორც სასურველ მიზანს, ისე მისი განხორციელების საშუალებებს.

ზნეობის დილემის მრავალ თვალსაჩინო მაგალითს ვვაწვდის ამერიკის უსაფრთხოების პოლიტიკის თაობაზე ამჟამად მიმდინარე კამათი. არის თუ არა „ფაშისტურ ესპანეთთან გარიგება" ზნეობრივად გამართლებული; თუ ამით უსაფრთხოება გვემატება, მაგრამ ზოგიერთის მიერ უმაღლეს ღირებულებებად მიჩნეული ზნეობრივი ნორმები ირღვევა? უნდა ჩავებათ თუ არა ძირგამომთხრელ საქმიანობაში და გავწიროთ ჩვენი აგენტების სიცოცხლე, თუ ამ გზით დამატებით უსაფრთხოებას მივიღებთ? შეიძლება თუ არა, წამოვიწყოთ პრევენტიული ომი (როდესაც საამისოდ მზად ვიქნებით), მისი თანამდევი უამრავი ბოროტებით, თუ დავრწმუნდებით, რომ, საბჭოთა კავშირის დამარცხების გარეშე, ადეკვატური უსაფრთხოების მოპოვება შეუძლებელია? ამ უკანასკნელ მაგალითში, უზნეობის მხარდამჭერებს ხომ არ შეაწუხებს სინდისი, რაც, სულ მცირე, გამოიხატება ამგვარი ომის დაწყების გადაწყვეტილების რაციონალური თვალსაზრისით შეფასებისას იმის მტკიცებაში, რომ ეს ომი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება არა უსაფრთხოების ეგოისტური ეროვნული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ დამონებული ხალხების გათავისუფლების ალტრუისტულ სურვილს? ადვილია პოლიტიკის უზნეობაზე საუბარი, როდესაც არჩევნისა და გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა ტვირთად არ გაწევს.

პოლიტიკური მეცნიერის კომპეტენციაში სულაც არ შედის იმის განსაზღვრა, თუ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მიმართული რომელი ძალისხმევა არის ან არ არის ზნეობრივად გამართლებული. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მას ამ შემთხვევაში შეუძლია, არის ისეთი ნორმატიული მოთხოვნის ორაზროვნობაზე მითითება, რომლის თანახმადაც, უსაფრთხოება მიღწეულ უნდა იქნეს ნებისმიერ ფასად. მას, ასევე, შეუძლია, უფრო რთული გახადოს მრჩევლებისა თუ პოლიტიკოსებისათვის საკუთარი თავისგან ან სხვებისგან იმ ზნეობრივი შეფასებებისა და პრიორიტეტების მიჩქმალვა, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ მიერ შემოთავაზებულ ან გატარებულ უსაფრთხოების პოლიტიკას.

ზნეობის საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე გზა არსებობს, რომელთა შორის არჩევანიც დამოკიდებულია გადაწყვეტილების განმსაზღვრელ ეთიკურ კოდზე. ერთი რადიკალური შეხედულების თანახმად, ნებისმიერი სახის მსხვერპლი (განსაკუთრებით როცა მისი გაღება სხვა სახელმწიფოს უწევს) გამართლებულია, თუ მას რაიმე ნვლილი შეაქვს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებაში. ამ შემთხვევაში ეროვნული უსაფრთხოება, აშკარად, ღირებულებათა პირამიდის მწვერვალზეა მოთავსებული და მიჩნეულია აბსოლუტურ სიკეთედ, რომელსაც ყველა სხვა ღირებულება უნდა დაექვემდებაროს. ამ პოზიციას ცოტა მხარდამჭერი თუ გამოუჩნდება, რადგანაც უკიდურესად ნაციონალისტური ეთიკის გაზიარებით ისინი, ალბათ, გასცდებიან უსაფრთხოებას (მხოლოდ ღირებულებათა დაცვას) და იმის მტკიცებას შეუდგებიან, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს, დაიპყროს ნებისმიერი რამ, რაც მას გამოადგება *სასიცოცხლო სივრცისა* თუ სხვა სახით. მეორე უკიდურესობაში ვარდებიან აბსოლუტური პაციფისტები, რომლებიც მაიძულებელი ძალის გამოყენებას აბსოლუტურ ბოროტებად აღიარებენ და, ამდენად, კიცხავენ უსაფრთხოების ნებისმიერ პოლიტიკას, რომელიც ამგვარ ძალას ეყრდნობა.

ნებისმიერი ადამიანისათვის, ვინც ამ უკიდურეს შეხედულებებს არ იზიარებს, ეროვნული უსაფრთხოების ძიებასთან დაკავშირებული ზნეობის საკითხი ნამდვილად არ არის ნათელი და მარტივი. იგი შეიძლება ეჭვქვეშ არ აყენებდეს სახელმწიფოს უფლებას, დაიცვას და შეინარჩუნოს ღირებულებები, რომლებიც მას ლეგიტიმურად ეკუთვნის ან მის ვალდებულებას, გაატაროს პოლიტიკა, რომელიც ამ ღირებულებათა შენარჩუნებას ისახავს მიზნად, მაგრამ მას არ შეუძლია განიხილოს უსაფრთხოება უზენაეს კანონად, როგორც მაკიაველის სურდა, რომ სახელმწიფო მოღ-

ვაწეს აღექვა *ragione di stato*.* იგი ყველა შემთხვევაში უნდა ცდილობდეს იმ წარმოსახვითი ხაზის აღმოჩენას, რომელიც მიჯნავს უგულებელყოფის სფეროს ანუ „ძალიან ცოტას," ზედმეტობის სფეროსგან ანუ „ძალიან ბევრისგან."

ამრიგად, გადაწყვეტილების მიმღები პირები, უპირველეს ყოვლისა, აწყდებიან ზნეობის პრობლემას დასაცავი ღირებულებების შერჩევისას, რომელთა შორის ეროვნული დამოუკიდებლობა უზენაეს ღირებულებად მიიჩნევა არა თავისთავად, არამედ იმ გარანტიის გამო, რომელსაც ის შეიძლება სთავაზობდეს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა თავისუფლება, სამართლიანობა და მშვიდობა. ამის შემდგომ კი, მათ უნდა გადაწყვიტონ, უსაფრთხოების რომელი დონე აირჩიონ სამიზნედ. ხშირ შემთხვევაში, ეს ყველაზე რთული ზნეობრივი ამოცანაა, თუმცა კი, ისეთი ტერმინები, როგორიცაა ადეკვატურობა ან სამართლიანი წილი, იმ სტანდარტებზე მიანიშნებს, რომლებიც სახელმძღვანელო პრინციპებად შეიძლება გამოდგეს. და ბოლოს, მათ უნდა აირჩიონ საშუალებები და ღირებულებების ზუსტი გათვლით შეადარონ მსხვერპლი, რომლის გაღებასაც ეს საშუალებები ითვალისწინებს იმ უსაფრთხოებას, რომლის უზრუნველყოფასაც ისინი მათ ჰპირდება.

აქედან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ვერ ჩაითვლება სრულ სიკეთედ ან სრულ ბოროტებად, მაგრამ მან შეიძლება, ზნეობრიობის კუთხით, ქება ან გაკიცხვა დაიმსახუროს, რაც დამოკიდებული იქნება მის განსაკუთრებულ ხასიათსა და კონკრეტულ გარემოებებზე. ის, შესაძლოა, შეაქონ იმ თავშეკავებულობისა და ყურადღების გამო, რომელსაც ის გამოიჩენს, უსაფრთხოების გარდა, სხვა ღირებულებების მიმართ; ის შეიძლება გაკიცხონ იმ საბაბით, რომ მას ეროვნული ღირებულებების ადეკვატურად დაცვა არ ძალუძს; ამასთან, ერთ შემთხვევაში, ის შეიძლება კვლავ შეაქონ სხვების, განსაკუთრებით კი, სუსტი სახელმწიფოების ინტერესთა გათვალისწინების გამო, ხოლო მეორე შემთხვევაში, გაკიცხონ იმ თავზე ხელაღებულობისათვის, რომლის შედეგადაც ეროვნულ ღირებულებებს საფრთხე ექმნება ამა თუ იმ ქიმერის დევნისას. სამიზნე დონე ზნეობრივი შეფასების საგანი ხდება პატივმოყვარეობის, ეგოისტურობისა და პროვოკაციულობის ან არაადეკვატურობის გამო, გამოყენებული საშუალებები კი – სხვა ღირებულებების გაუმართლებლად განირვისა და არაეფექტიანობის გამო. მოსაზრებათა ამგვარი ფართო სპექტრის არსებობა, რაც ღირებულებების გათვლაზე გავლენის მქონე ცვლადების სიმრავლითაა გამოწვეული, შეუძლებელს ხდის და, ფაქტობრივად, აზრს უკარგავს „ზოგადად ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის" ზნეობრივი თვალსაზრისით შეფასებას როგორც დადებითად, ისე უარყოფითად.

ზნეობრივი გასჯის სწორედ ამგვარი არაერთგვაროვნება ამართლებს თავდასხმას უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ე.წ. მორალიზმზე, თუმცა, არა საკუთრივ ზნეობრივ შეფასებაზე. „მორალისტური მიდგომა" მთლიანად გმობს ნებისმიერი სახის ზრუნვას ეროვნულ უსაფრთხოებაზე, როგორც ეროვნული ეგოიზმის გამოხატულებას ან იმ უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც ეყრდნობა მაიძულებელ და, მაშასადამე, ბოროტ ძალას. ამგვარი „მორალიზმის" მხარდამჭერები გვარწმუნებენ, რომ საყოველთაო უსაფრთხოებას დღეს შეიძლება მივაღწიოთ ისეთი „კარგი" და ალტრუისტული საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სანიმუშო ქცევა და დარწმუნება, შერიგების სულისკვეთება, საერთაშორისო ორგანიზაციები ან მსოფლიო მთავრობა. თუ არიან უტოპისტები, რომლებიც ამ მოსაზრებას ემხრობიან და, ამასთან, ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, გონივრული იქნება მათი გათავისუფლება ამ უდავოდ სახიფათო ილუზიებისაგან.

* სახელმწიფო ინტერესი

თუმცა, აქვე საჭიროა, აღინიშნოს, რომ ამის საპირისპირო შეხედულება რომელიც უგულებელყოფს კონკრეტულ გარემოებებს და ინონებს ყველაფერს, რაც კეთდება ეროვნული უსაფრთხოებისათვის, უფრო სწორად კი სახელმწიფოს წინააღმდეგობის განევის უნარის გაძლიერებისათვის, არანაკლებ დამნაშავეა მარტივი და აბსტრაქტული ზნეობრივი პრინციპების გამოყენებასა და თითოეული შემთხვევის არსის რეალისტურად შეფასების უუნარობაში.

ამრიგად, ნორმატიული შენიშვნები, რომლებიც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარებას გვთავაზობს, ორაზროვანი და მცდარი ჩანს. იმისათვის, რომ ასეთმა შენიშვნებმა მნიშვნელობა შეიძინოს, საჭიროა, მათში განისაზღვროს უსაფრთხოების დონე, რომლის მიღწევასაც სახელმწიფო უნდა ესწრაფოდეს და აგრეთვე, საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც ეს მოცემულ ვითარებაში შესაძლებელია. ზოგჯერ კარგი რჩევა შეიძლება იყოს უფრო დიდი ძალისხმევისა და მეტი შეიარაღების მოთხოვნა; ზოგჯერ კი, არანაკლებ მიზანშეწონილი და ზნეობრივად მისაღები შეიძლება აღმოჩნდეს ზომიერებისაკენ და უფრო სხვა საშუალებებზე, ვიდრე მაიძულებელ ძალაზე დაყრდნობისაკენ მოწოდება. ვინაიდან საზოგადოებრივი აზრი ასე ადვილად მერყეობს უკიდურესი თვითკმაყოფილებიდან ძლიერ შეძრწუნებამდე, „კეთილ ნებაზე" დაფუძნებული უტოპიური ნდობიდან მხოლოდ შიშველი ძალის არამტკიცე რწმენამდე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ფრთხილად მოვეკიდოთ ნებისმიერ, უბრალო სახელმძღვანელო პრინციპს, მათ შორის იმასაც, რომელიც მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესით განპირობებული რეალისტური პოლიტიკის საბურველშია გახვეული.

თარგმნა მამუკა კომახიამ

რობერტ ჯერვისი

თანამშრომლობა უსაფრთხოების დილემის პირობებში*

ანარქია და უსაფრთხოების დილემა

საერთაშორისო მასშტაბით სუვერენის არარსებობა არა მარტო ომების დაწყების შესაძლებლობას წარმოქმნის, არამედ სტატუს კვოთი კმაყოფილი სახელმწიფოებისათვის იმ მიზნების მიღწევას ართულებს, რომლებიც მათ მიერ საერთო ინტერესებად არის აღიარებული. ვინაიდან არ არსებობს ინსტიტუტი ან ხელისუფლება, რომელსაც საერთაშორისო კანონების შექმნა და მათი ცხოვრებაში გატარება ხელეწიფება, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას ყველა მხარისათვის შესაბამისი ჯილდო მოაქვს, ამგვარ თანამშრომლობაზე უარის თქმამ კი, შესაძლოა, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამ რეალობის გაცნობიერების გამო, ანარქია სახელმწიფოთა ისეთ ქცევას განაპირობებს, რომელიც საბოლოოდ ყველა მხარეს გაცილებით უარეს მდგომარეობაში აგდებს. ასე ხდება იმ გამონაკლის შემთხვევებშიც, როდესაც ყველა სახელმწიფოს სტატუს კვოს შენარჩუნება სურს. ანალოგიურ ვითარებაში იმყოფებიან ადამიანები რუსოს მიერ მოთხრობილ „ირემზე ნადირობის" იგავში. თუ ისინი ირმის დაჭერისას ითანამშრომლებენ, მაშინ თითოეული მათგანი კარგად დანაყრდება, მაგრამ თუ ერთ-ერთი მათგანი ყურადღებას კურდღლის მონადირებაზე გადაიტანს (მიუხედავად იმისა, რომ მას ირმის ხორცი ურჩევნია), ვერავინ ვერაფერს მიიღებს. ამდენად, ყველა მოქმედი პირი ერთსა და იმავეს ანიჭებს უპირატესობას და თითოეული მათგანის არჩევანი პრობლემის გადაჭრის განსხვავებულ გზას გულისხმობს: (1) თანამშრომლობა და ირმის დაჭერა (საერთაშორისო ასპარეზზე ამის ანალოგიაა თანამშრომლობა და განიარაღება); (2) კურდღლის მონადირება მაშინ, როდესაც სხვები თავიანთ ადგილებზე რჩებიან (შეიარაღების მაღალი დონის შენარჩუნება მაშინ, როდესაც სხვები განიარაღებულნი არიან); (3) ყველას მიერ კურდღელზე ნადირობა (შეიარაღებული მეტოქეობა და ომის მაღალი რისკი); და (4) თავდაპირველ პოზიციაზე დარჩენა მაშინ, როდესაც სხვა კურდღელს გამოედევნება (განიარაღებული ყოფნა, როდესაც სხვები შეირაღებულნი არიან).[1]

---

* **Robert Jervis. "Cooperation under the Security Dilemma," in *World Politics*, Vol. 30, No. 2, 1978. pp. 167-214. Reprinted by permission of The Johns Hopkins University Press.**

[1] მსგავსი რანგირება მხოლოდ ანალიტიკოსის გამოგონება არ გახლავთ, რაც ნაჩვენებია ქვემოთ, 1903 წელს ბრიტანეთის არმიის მიერ შედგენილ მემორანდუმში, რომელიც სპარსეთ-აღანეთის საზღვრის ახლოს ბრიტანელებისა და რუსების მიერ რკინიგზის გაყვანას შეეხება:
ა) თუ ჩვენ გავიყვანთ რკინიგზას სისტანში და რუსეთი უმოქმედოდ იქნება, მაშინ ჩვენ მოვიპოვებთ მნიშვნელოვან თავდაცვით უპირატესობას საკმაო ფინანსური დანახარჯის ფასად;
ბ) თუ რუსეთი გაიყვანს რკინიგზას სისტანში და ჩვენ ვიქნებით უმოქმედოდ, მაშინ ის, თავდასხმითი შესაძლებლობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან უპირატესობას მოიპოვებს დიდი ფინანსური დანახარჯის ფასად;

ვიდრე თითოეული პიროვნება არ იფიქრებს, რომ სხვები ითანამშრომლებენ, იგი არ დათანხმდება თანამშრომლობას. რატომ უნდა ეშინოდეს მას მეორე პიროვნების ისეთი ქმედების, რომელიც მის პირველ არჩევანს შეიწირავს? ის მეორე, შესაძლოა, ვერ გაერკვეს ვითარებაში, ან შეიძლება თავი ვერ შეიკავოს კურდღლის დანახვისას, ან, შესაძლებელია, შიშობდეს, რომ ჯგუფის რომელიმე წევრი სანდო არ არის. თუ ეს პიროვნება თავის ეჭვებს გამოხატავს, დანარჩენებს აუცილებლად შეეშინდებათ, რომ იგი მათ უღალატებს. შესაბამისად, დიდია იმის ალბათობა, რომ მათაც ჩაიდინონ ღალატი. საბოლოო ჯამში, მისთვის უფრო რაციონალური გახდება დანარჩენებს განუდგეს. რა თქმა უნდა, ამ მარტივ მაგალითში და სხვა, უფრო რეალისტურ ვარიანტებშიც, უამრავი ფაქტორია, რომლებიც თანამშრომლობას შესაძლებელს ხდის. თუმცა, ძირითადი აზრი უცვლელია: მოქმედმა პირებმა შეიძლება იცოდნენ, რომ მათ საერთო მიზანი აქვთ, მაგრამ ვერ მოახერხონ მისი რეალიზება.

თითოეული მონაწილის მიერ პირველი ვარიანტის არჩევის მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობებში სამი დაბრკოლება არსებობს, რომლებსაც „ირემზე ნადირობის" მაგალითი არ ითვალისწინებს. პირველი, განდგომის ზემოაღნიშნულ სტიმულებს უნდა დავუმატოთ ძლიერი შიში იმისა, რომ, თუ დღეს მეორე სახელმწიფო მხარს უჭერს სტატუს კვოს, მოგვიანებით ის არსებული ვითარებით უკმაყოფილო შეიძლება გახდეს. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად დაინტერესებულნი არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები სტატუს კვოს შენარჩუნებით, რადგან არჩეულ გზას ვერც ისინი მიეჯაჭვებიან და ვერც მათი მემკვიდრეები. მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება შეიცვალოს, ხელისუფლებაში ახალი ლიდერები შეიძლება მოვიდნენ ან ღირებულებების გადაფასება მოხდეს და ახალი შესაძლებლობები და საფრთხეები წარმოიქმნას.

მეორე პრობლემა შესაძლო გამოსავლიდან გამომდინარეობს. თავიანთი სამფლობელოების დასაცავად სახელმწიფოები ხშირად კუთვნილი ტერიტორიების მიღმა არსებული რესურსების ან მიწების გაკონტროლებას ცდილობენ. ქვეყნები, რომლებიც საკუთარი რესურსებით არ არიან უზრუნველყოფილნი, უნდა ეცადონ, რომ მათი მოწოდება ომის დროსაც გარანტირებული იყოს. გარკვეულწილად, სწორედ ამით აიხსნება მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე იაპონიის მიერ ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაპყრობა. საერთაშორისო ხელისუფლების არსებობის შემთხვევაში, რომელიც რესურსების მოწოდებას უზრუნველყოფდა, კონტროლის მოპოვების მოტივაციაც გაქრებოდა. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ამგვარი ხელისუფლება არ არსებობს, იმ სახელმწიფომაც კი, რომელსაც სტატუს კვოს შეინარჩუნება ურჩევნია საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოებას, შესაძლოა, სწორედ ეს უკანასკნელი პოლიტიკა გაატაროს.

როდესაც მიჩნეულია, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი საშინაო და საგარეო პოლიტიკას ან ორი ქვეყნის საშინაო პოლიტიკას შორის, უსაფრთხოებისაკენ სწრაფ-

---

გ) თუ ჩვენ და რუსეთი ერთად გავიყვანთ რკინიგზას სისტანში, მაშინ თითოეული მხარის მიერ მოპოვებული უპირატესობა, თავდაცვისა და თავდასხმის თვალსაზრისით, ერთმანეთს გაანეიტრალებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ საკმაო რაოდენობის ფულს დავხარჯავთ და ამჟამინდელზე უკეთ ვერ ვიქნებით. მეორე მხრივ, უარესადაც არ ვიქნებით, მაშინ როდესაც ბ ვარიანტის შემთხვევაში ჩვენ გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. აქედან გამომდინარე, უპირატესობის თეორიული ბალანსი დაცული იქნება, თუ შემოთავაზებულ წინადადებას ქვეტადან სისტანამდე სარკინიგზო ხაზის გაგრძელების შესახებ დავთანხმდებით.
W. G. Nicholson, "Memorandum on Seistan and Other Points Raised in the Discussion on the Defence of India."(Committee of Imperial Defence. March 20, 1903). აღსანიშნავია, რომ რკინიგზის მშენებლობაზე ორივე მხარის მიერ უარის თქმა ნახსენები საერთოდ არ ყოფილა, რაც მოცემული ანალიზის ტენდენციურობაზე მიუთითებს.

ვამ ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაში საფრთხის წინასწარ თავიდან აცილების მიზნით ჩარევისაკენ შეიძლება უბიძგოს, რათა იდეოლოგიური ბუფერული ზონა წარმოქმნას. მაგალითიაათვის, მეტერნიხის მიერ იტალიური სახელმწიფოების პოლიტიკის ზედამხედველობის გამართლება შემდგენაირად შეიძლება შეჯამდეს:

ყოველი სახელმწიფო აბსოლუტური სუვერენიტეტით სარგებლობს საშინაო პოლიტიკაში. ეს იმას გულისხმობს, რომ არც ერთი სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. თუმცა, რომელიმე სახელმწიფოს მიერ გადადგმულმა ნებისმიერმა მცდარმა ან საზიანო ნაბიჯმა საკუთარ საშინაო საქმეებში, შესაძლოა, მეორე სახელმწიფოს სიმშვიდე დაარღვიოს. ამ უკანასკნელის სიმშვიდის დარღვევა კი პირველი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევას გამოიწვევს. მაშასადამე, ყველა სახელმწიფოს, ან თითოეული დიდი სახელმწიფოს მმართველს ევალება, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხელშეუვალი უფლების სახელით, ზედამხედველობა გაუწიოს უფრო პატარა სახელმწიფოთა მთავრობებს და მათ მიერ თავიანთ საშინაო საქმეებში მცდარი ან მავნე ნაბიჯების გადადგმა არ დაუშვას.[2]

უფრო ხშირად შეშფოთების საგანს წარმოადგენს უშუალო თავდასხმა. თავის დასაცავად სახელმწიფოები საკუთარი საზღვრების მიმდებარე არეალის გაკონტროლებას ან, სულ მცირე, ნეიტრალიზაციას ცდილობენ. თუმცა, ბუფერული ზონების შექმნის მცდელობამ სხვების შეშფოთება შეიძლება გამოიწვიოს – მათი, ვისაც იქ საკუთარი ინტერესები აქვს, ვისაც ეშინია, რომ ამით არასასურველი პრეცედენტი დამკვიდრდება ან სჯერა, რომ უფრო დაუცველი გახდება. როდესაც ბუფერები დიდი სახელმწიფოებისაგან თავისუფალ არეალებში იქმნება, ექსპანსია უკვე მოპოვებულის დაცვას ემსახურება, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ კოლონიური ექსპანსიის მოწინააღმდეგეებს. ბალფორის ჩიეილი ამის ტიპური მაგალითია: „ყოველთვის, როდესაც დისკუსიაში ვერთვები – ვთქვათ, ხუთწლიანი ინტერვალებით – მე ვხვდები, რომ არსებობს კიდევ ერთი ახალი სფერო, რომელიც უნდა დავიცვათ, ეს ინდოეთის კარიბჭეთა დაცვას გულისხმობს, რომლებიც სულ უფრო შორდება ინდოეთს და არ ვიცი, გენერალური შტაბი კიდევ სადამდე გადასწევს მათ."[3]

მართალია, ეს პროცესი უფრო თვალსაჩინოა ტერიტორიული ექსპანსიის დროს, მაგრამ ის ასევე კავშირშია ძალაუფლებისა და გავლენის გაფართოებასთან. ძლიერების ზრდას, როგორც წესი, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების მატება მოსდევს. მათთვის თავის გართმევა კი უფრო მეტ ძალას საჭიროებს. სახელმწიფო მრავალ პოზიციას იკავებს და მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს ანყდება. მას უხდება უამრავი სადავო საკითხის მოგვარება, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო მის ძირითად ღირებულებებთან. თუ პატარა სახელმწიფოს მიერ უკანდახევა სავსებით ნორმალურ მოვლენად აღიქმება, დიდი სახელმწიფოს მხრიდან ანალოგიური საქციელი სისუსტის გამოვლინებად ითვლება და სხვებს მასზე თავდასხმისაკენ უბიძგებს.

მესამე პრობლემა, რომელიც „ირემზე ნადირობის" მაგალითში არ გვხვდება, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკისათვის დამახასიათებელია, არის უსაფრთხოების დილემა: სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების გასაზრდელად გამოყენებული მრავალი საშუალება სხვების უსაფრთხოებას ამცირებს. საზოგადოებაში რამდენიმე გზა არსებობს იმისა, რომ ადამიანმა, სხვებისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, პიროვნული და ქონებრივი უსაფრთხოება გაზარდოს. პიროვნებას შეუძლია

[2] Paul Schroeder, *Metternich's Diplomacy at Its Zenith*, 1820-1823 (Westport, Conn.: Greenwood Press, 1969), 126.

[3] ციტირებულია ნაშრომში: Michael Howard, *The Continental Commitment* (Harmondsworth, England: Penguin, 1974), 67.

საცხოვრებელი უბანი გამოიცვალოს. ფანჯრებზე დარაბები ჩამოაფაროს, ჩაბნელებულ ქუჩებს მოერიდოს და საეჭვო გარეგნობის მქონე პირებისაგან თავი შორს დაიჭიროს. რა თქმა უნდა, ეს ზომები ყოველთვის მოსახერხებელი და იაფი არ არის და არც გარანტირებულ შედეგს იძლევა, მაგრამ, ამგვარი ზომების გატარება არავის შეაშფოთებს დამნაშავეთა გარდა. საერთაშორისო პოლიტიკაში კი ერთი სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების ოდნავ გაზრდა ხშირად უნებლიედ სხვებს უქმნის საფრთხეს. მსოფლიო ომებს შორის პერიოდში საზღვაო განიარაღების საკითხისადმი ბრიტანეთის პოზიციის იაპონელებისათვის ახსნისას რამსეი მაკდონალდმა თქვა, რომ „არავის სურდა იაპონიისათვის საფრთხის შექმნა."[4] მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემას ბრიტანეთის სურვილები კი არა, მისი პოლიტიკის შედეგები წარმოადგენდა. ადრინდელ პერიოდებშიც ბრიტანეთს იმ სიდიდის საზღვაო ფლოტი ესაჭიროებოდა, რომელიც საზღვაო-სავაჭრო გზების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. მაგრამ, ამგვარი საზღვაო ფლოტი აუცილებლად აღიქმებოდა საფრთხედ სხვა სახელმწიფოების მიერ, რომელთა სანაპიროზე ბრიტანეთს შეეძლო, იერიში მიეტანა, ვაჭრობა შეეფერხებინა ან კოლონიების იზოლირება მოეხდინა. პირველი მსოფლიო ომის წინ, როდესაც გერმანიამ ძლიერი სამხედრო ფლოტის შექმნა დაიწყო, ბრიტანეთმა პროტესტი გამოთქვა, ვინაიდან ეს თავისი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად მიიჩნია. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერ ედვარდ გრეიმ ედვარდ მეშვიდეს განუცხადა: „თუ გერმანელთა ფლოტი ჩვენსას აჯობებს, გერმანიის არმია ამ ქვეყნის დაპყრობას შეძლებს. მსგავსი საფრთხე გერმანიას არ ემუქრება, რადგან, ჩვენი ფლოტის უპირატესობის მიუხედავად, ვერც ერთი საზღვაო გამარჯვება ბერლინთან ვერ მიგვაახლოვებს." ინგლისელთა პოზიცია სანახევროდ სწორი იყო: გერმანიის ფლოტი ანტიბრიტანულ ინსტრუმენტს წარმოადგენდა, მაგრამ ბრიტანელები ხშირად არ ითვალისწინებდნენ იმას, რაც გერმანელებმა ძალიან კარგად იცოდნენ: „ნებისმიერი დაპირისპირების დროს გერმანიის კოლონიები და ვაჭრობა . . . ინგლისის ხელთ აღმოჩნდებოდა." ამრიგად, უნდოდა მას ეს თუ არა, ბრიტანეთის ფლოტი იძულების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო.[5]

რა განაპირობებს თანამშრომლობას?

ამ მძიმე სურათის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: რატომ არ ვართ ყველანი მკვდრები? ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა სახის ცვლადები ამცირებს ანარქიისა და უსაფრთხოების დილემის გავლენას? „ირემზე ნადირობაში" ან „პატმირის დილემაში" რამდენიმე ფაქტორი ძეიძლება გამოიყოს. „პატმირის დილემა" „ირემზე ნადირობისაგან" იმით განსხვავდება, რომ მასში არ არის მოცემული ისეთი გამოსავალი, რომელიც ყველა მონაწილისათვის საუკეთესო იქნება. თავდაცვისა და თავდასხმის მოსაზრებებიდან გამომდინარე, არსებობს კოალიციიდან განდგომის სტიმულები; და თუ თამაში მხოლოდ ერთხელ უნდა შედგეს, მაშინ ერთადერთი რაციონალური პასუხი სწორედ განდგომაა. მაგრამ თუ თამაში უსასრულოდ მეორ-

[4] ციტირებულია ნაშრომში: Gerald Wheeler, *Prelude to Pearl Harbor* (Columbia: University of Missouri Press, 1963), 167.

[5] ციტირებულია ნაშრომში: Leonard Wainstein, "The Dreadnought Gap," in Robert Art and Kenneth Waltz, eds., *The Use of Force* (Boston: Little, Brown, 1971), 155; Raymond Sontag, *European Diplomatic History, 1871-1932* (New York: Appleton-Century-Crofts, 1944), 147. ფრანგებმა ანალოგიური არგუმენტი მოიყვანეს 50 წლის ნინ; იხილეთ: James Phinney Baxter III, *The Introduction of the Ironclad Warship* (Cambridge: Harvard University Press, 1933), 149. უსაფრთხოების დილემის უფრო დეტალური განხილვისათვის იხილეთ: Jervis, *Perception and Misperception in International Politics* (Princeton: Princeton Universsity Press, 1976), 62-76.

დება, მაშინ ამგვარი ქმედება ნაკლებად რაციონალური ხდება და ჩვენ ამ თამაშის ანალიზი „ირემზე ნადირობის" მსგავსად შეიძლება ნარევმართოთ. ამ შემთხვევაში თითოეული მოქმედი პირის ინტერესშია, სხვებს განდგომის საშუალება არ მისცეს; თითოეული მზად არის, თავისი ანალოგიური შესაძლებლობა დათმოს, თუ სხვებიც ზუსტად ასევე იქნებიან შეზღუდულნი. მაგრამ თუ სხვების შეზღუდვა არ მოხდება, მაშინ მოქმედი პირი განდგომის უფლების შენარჩუნებით იქნება დაინტერესებული.[6] ქვემოთ მოცემულია ზემოაღნიშნული ორი სიტუაციის თამაშის თეორიისეული მატრიცები. უჯრებში ჩანერილი ციფრები მოქმედ პირთა უპირატესობებს აღნიშნავს.

ირემზე ნადირობა

	თანამშრომლობა ა	განდგომა ა
თანამშრომლობა ბ	1 1	2 4
განდგომა	4 2	3 3

პატიმრის დილემა

	თანამშრომლობა ა	განდგომა ა
თანამშრომლობა ბ	2 2	1 4
განდგომა	4 1	3 3

ჩვენი შეკითხვის პერეფრაზით ლოგიკური შესაძლებლობების დანახვაა შესაძლებელი: „მოცემული სიტუაციების გათვალისწინებით, რა განაპირობებს მოთამაშეთა თანამშრომლობას და თთ-ის* მიღწევას?" ამ შედეგის მიღწევის შესაძლებლობებს

[6] ეს მოსაზრება ექსპერიმენტულად დადასტურებული და შეჯამებულია ნაშრომში: James Tedeschi, Barry Schlenker and Thomas Bonoma, *Conflict, Power,and Games* (Chicago: Aldine, 1973), 135-41.

* თ – თანამშრომლობა, გ – განდგომა (თთ – ორივეს თანამშრომლობა, გგ – ორივეს განდგომა, თგ – პირველის თანამშრომლობა და მეორის (სხვების) განდგომა, გთ – პირველის განდგომა და მეორის (სხვების) თანამშრომლობა).

ზრდის: (1) ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც თანამშრომლობის სტიმულს წარმოშობს, ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მიღებული მოგების გაზრდით (თთ) და/ან იმ დანახარჯების შემცირებით, რომელთა გაღებაც მოქმედ პირს მოუწევს იმ შემთხვევაში, თუ იგი თანამშრომლობას აირჩევს, ხოლო სხვა – არა (თგ); (2) ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც განდგომის ნაკლებ სტიმულს წარმოშობს, სხვაზე უპირატესობის მოპოვების შედეგად მიღებული მოგების შემცირებით (გთ) და/ან ურთიერთთანამშრომლობაზე უარის თქმით გამოწვეული დანახარჯების გაზრდით (გგ); (3) ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც მეტ მოლოდინს უჩენს თითოეულ მხარეს, რომ სხვა ითანამშრომლებს.[7]

ექსპლუატაციის საფასური (თგ)

ექსპლუატაციის შიში (სხვაგვარად რომ ვთქვათ, თგ-ის საფასური) უსაფრთხოების დილემის ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ფაქტორია. ერთ-ერთ ძირითად მიზეზს იმისა, რომ საერთაშორისო ცხოვრება უფრო მეტად „ამაზრზენი, პირუტყვული და ხანმოკლე" არ არის, წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოები ისევე დაუცველნი არ არიან, როგორც ადამიანები ბუნებრივ მდგომარეობაში. ადამიანის მოკვლა ადვილია, მაგრამ როგორც ერთხელ ადამ სმითმა თავის მეგობარს უპასუხა, რომელიც შიშობდა, რომ ნაპოლეონის ომები ინგლისს გაანადგურებდა: „სერ, სახელმწიფოში დასანგრევი ძალიან ბევრია."[8] რაც უფრო ადვილია სახელმწიფოს განადგურება, მით მეტი საფუძველი აქვს მას, უფრო დიდ და უსაფრთხო ერთეულს შეურთდეს ან სხვების მიმართ განსაკუთრებული უნდობლობით გამოირჩეოდეს, ესაჭიროებოდეს დიდი არმია და, ხელსაყრელი პირობების არსებობისას, მცირედი პროვოკაციის საპასუხოდ პირველმა მიიტანოს იერიში, ვიდრე თავდასხმას დაელოდოს. თუ იმ ერთი დღის უჭმელობა – იქნება ეს ირმის, თუ კურდღლის ხორცი – ნიშნავს იმას, რომ პიროვნება შიმშილით მოკვდება, მაშინ მოსალოდნელია, რომ იგი „ირემზე ნადირობისას" განდგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძალიან უყვარს ირმის ხორცი და თავისი კოლეგების დიდი ნდობა აქვს. (განდგომის ალბათობა განსაკუთრებით მაშინ არის მაღალი, როცა სხვებიც შიმშილით იხოცებიან, ან თუ მათ იციან, რომ იგი შიმშილობს). ამის საპირისპიროდ, თუ თგ-ის საფასური უფრო დაბალია, თუ ადამიანები კარგად არიან გამოკვებილნი ან, სახელმწიფოების შემთხვევაში, უფრო მოქნილნი თუ არიან, მათ შეუძლიათ გაცილებით წყნარად შეხედონ საფრთხეს.

თგ-ის შედარებით დაბალ საფასურს შეუძლია ისეთი თამაში, რომელშიც ორივე მოთამაშე ერთდროულად იღებს გადაწყვეტილებას, გარდაქმნას ისეთად, რომელშიც ერთი მოქმედი პირი მხოლოდ მეორის მიერ გადადგმული ნაბიჯის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. მას არ მოუწევს განდგომა იმის შიშით, რომ მეორე გააკეთებს ამას, არამედ დაელოდება, თუ რას მოიმოქმედებს ის. სახელმწიფოს, რომელსაც იმის მატერიალური შესაძლებლობა აქვს, ეაჭრობის პროცესში სხვებს თავის მოტყუების უფლება მისცეს და რომლის განადგურება მოულოდნელი იერიშის შედეგად შეუძლებელია, სხვების უფრო იოლად ნდობა ძალუძს და არ სჭირდება პირველივე, ორაზროვან მუქარაზე რეაგირება. რამდენადაც ასეთ სახელმწიფოებს დროისა და შეცდომის გარკვეული ზღვარი გააჩნიათ, მათ წინაშე მშვიდობიან პერიოდში სხვებ-

[7] ლაბორატორიულ პირობებში გათამაშებული პატიმრის დილემის შედეგები ამ მოსაზრებას ადასტურებს. იხილეთ: Anatol Rapoport and Albert Chammah, *Prisoner's Dilemma* (Ann Arbor: University of Michigan Press, 1965), 33-50. აგრეთვე იხილეთ: Robert Axelrod, *Conflicts of Interest* (Chicago: Markham, 1970) 60-70.

[8] ციტირებულია ნაშრომში: Bernard Brodie, *Strategy in the Missile Age* (Princeton: Princeton:University Press, 1959), 6.

ის შეიარაღების დონის მიღწევის ან გადასწრების აუცილებლობა არ დგება. მათ შეუძლიათ ომის წინ ან ომის დასაწყისშივე მოახდინონ მობილიზაცია და მაინც გადარჩნენ. მაგალითად, ძალზე ძვირად ღირებული წყალბადის ბომბის პროგრამის მონინააღმდეგენი მიიჩნევდნენ, რომ აშშ-ის უსაფრთხოების ზღვარი საკმარისი იყო იმისათვის, რომ გამალებული შეიარაღების პროცესში რუსეთის დაწინაურების შემთხვევაშიც კი, ამერიკას საფრთხე არ დამუქრებოდა. პროგრამის მომხრეები კი ამ აზრს არ იზიარებდნენ: „თუ ჩვენ რუსებს უპირატესობის მოპოვების საშუალებას მივცემთ, კატასტროფა გარდაუვალი იქნება."[9]

როდესაც თგ-ის საფასური მისაღებია, უსაფრთხოება არა მარტო უფრო იოლად მოსაპოვებელი ხდება, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოების მიერ გაცილებით დაბალი დონის შეიარაღების ფლობა და შედარებით პასიური საგარეო პოლიტიკის წარმოება ნაკლებ საფრთხეს უქმნის სხვებს. ამდენად, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებისათვის, რომელთა დაპყრობა რთულია, უფრო ადვილია საერთო ინტერესებისაკენ სწრაფვა. პირობების უცვლელობისას პატარა სახელმწიფოთა სამყარო გაცილებით მეტად შეიგრძნობს ანარქიის ეფექტს, ვიდრე დიდ სახელმწიფოთა სამყარო. ადვილად დასაცავი საზღვრები, დიდი ტერიტორია და მოულოდნელი თავდასხმებისაგან თავდაცვის უნარი არა მარტო ეხმარება ამა თუ იმ სახელმწიფოს, არამედ ხელს უწყობს თანამშრომლობას, რაც ყველა სახელმწიფოსათვის სარგებლის მომტანია.

რა თქმა უნდა, თუ ერთი სახელმწიფო დაცული ხდება იმაზე მეტი ძლიერების მოპოვებით, ვიდრე სხვებს გააჩნიათ, პრობლემა კვლავ რჩება, რადგანაც ამგვარი უსაფრთხოება მას სხვების ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს. როდესაც სახელმწიფოსათვის გგ-ის საფასური დაბალია, მაშინ სხვებს მისი კარგად მოქცევის მცირე გარანტია აქვთ. შედარებით უფრო დაუცველი სახელმწიფოების შიში იზრდება, რაც მათ მეტი შეიარაღების შეძენისაკენ უბიძგებს და თანამშრომლობის შესაძლებლობას ამცირებს. საუკეთესო ვითარება ისაა, როდესაც ერთი სახელმწიფო ნაკლებად დაზარალდება, თუ მის ექსპლუატაციას მოახდენენ, მაგალითად, შეიარაღების კონტროლის თაობაზე არსებული შეთანხმების დარღვევით (ამ შემთხვევაში, თგ-ის საფასური დაბალია); თუმცა, მას მოუწევს მაღალი საფასურის გადახდა გრძელვადიან პერიოდში, თუ სხვებთან თანამშრომლობა არ შედგება, მაგალითად, თუ ხელშეკრულებების მოქმედება შეწყდება ან ხანგრძლივი ომი დაიწყება (ამ შემთხვევაში, გგ-ის საფასური მაღალია). სახელმწიფოს უსაფრთხოებას აქ ძირითადად პასიური სახე აქვს; ის გარკვეულ დაცულობას გულისხმობს, თუმცა, სხვა ქვეყნებზე დასამუქრებლად მისი გამოყენება ვერ მოხერხდება. როგორც ქვემოთ განვიხილავთ, ეს ვითარება მიიღწევა მაშინ, როდესაც სახელმწიფოებისათვის უფრო ადვილია თავდაცვა, ვიდრე სხვებზე თავდასხმა, ან როდესაც ურთიერთშეკავება არსებობს იმიტომ, რომ არც ერთ მხარეს თავის დაცვა არ შეუძლია.

მეტად და ნაკლებად დაუცველ სახელმწიფოებს შორის განსხვავება კარგად ჩანს ნაპოლეონის ომების შემდეგ ბრიტანეთისა და ავსტრიის განსხვავებული პოლიტიკის მაგალითზე. ბრიტანეთის გეოგრაფიული იზოლირებულობა და პოლიტიკური სტაბილურობა მას საშუალებას აძლევდა, კონტინენტზე მიმდინარე მღელვარებათვის მშვიდად ედევნებინა თვალი. მცირე ომები და უმნიშვნელო ცვლილებები ტერიტორიისა და ძალის გადანაწილებაში მის სასიცოცხლო ინტერესებზე გავლენას არ ახდენდა. სისტემის შეცვლის მოსურნე მეტოქის შეჩერება მაშინ შეიძლებოდა, როდესაც იგი თავის განზრახვას გამოააშკარავებდა. რევოლუციები სხვა სახელმწი-

[9] Herbert York, *The Advisors: Oppenheimer, Teller, and the Superbomb* (San Francisco: Freeman, 1976), 56-60.

ფოებში საფრთხეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან ინგლისის შიგნით არეულობას ვერ ინვევდა. ძლიერი სახელმწიფოებით გარშემორტყმული ავსტრია ასეთი იღბლიანი არ იყო. მისი პოლიტიკა ყველა კონფლიქტის გათვალისწინებით უნდა წარმართულიყო. იმ დროისათვის, როდესაც აგრესორი თავის კლანჭებს აშკარად გამოაჩენდა, ავსტრია, შესაძლოა, უზარმაზარი საფრთხის ქვეშ აღმოჩენილიყო. უცხოეთში მომხდარ რევოლუციებს, დემოკრატიული იქნებოდა ისინი, თუ ნაციონალისტური, ავსტრიაში არსებული წყობის შესაცვლელად სხვადასხვა ჯგუფის წაქეზება შეეძლო. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მეტერნიხი იმ დოქტრინას ქადაგებდა, რომელიც ავსტრიის მიერ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებას ასაბუთებდა, ბრიტანელი ლიდერები კი ამ თვალსაზრისს უარყოფდნენ. შესაბამისად, ავსტრიას სურდა, რომ ვენის კონგრესის სისტემა უფრო ყოვლისმომცველი ყოფილიყო და დავების უმეტესობა სწორედ მას დაერეგულირებინა, ბრიტანელები კი ნაკლებად ცენტრალიზებულ სისტემას ანიჭებდნენ უპირატესობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთარი თავის დასაცავად ავსტრიას ან მუქარა უნდა გამოეხატა ან ზიანი მიეყენებინა სხვებისათვის, მაშინ როდესაც ბრიტანეთს ეს არ ესაჭიროებოდა. ავსტრიისა და მისი მეზობლებისათვის უსაფრთხოების დილემა აქტუალური იყო, ბრიტანეთისათვის კი – არა.

თგ-ის საბოლოო საფასური, რა თქმა უნდა, სუვერენიტეტის დაკარგვაა. ეს საფასური სხვადასხვა ვითარებაში განსხვავებული შეიძლება, იყოს. რაც უფრო დაბალია ის (მაგალითად, იმის გამო, რომ ორ სახელმწიფოს გააჩნია ურთიერთშეთავსებადი იდეოლოგიები, ერთნაირი ეთნიკური შემადგენლობა, საერთო კულტურა ან იმიტომ, რომ დამარცხებული სახელმწიფოს მოქალაქეები ეკონომიკურ სარგებელს ელიან), მით უფრო ნაკლებია დილემის გავლენა. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ ამძაფრებს საერთაშორისო კონფლიქტს უკიდურესი განსხვავება ღირებულებებსა და იდეოლოგიებში.

როდეზიის ტიპის „უსაფრთხოების ქსელის" შექმნას (სადაც თეთრკანიანი მოსახლეობა, რომელიც ქვეყანას დატოვებს, ქონების საზღაურს იღებს) სწორედ თგ-ის საფასურის შემცირების გამო მოჰყვა პარდოქსული შედეგი – თეთრკანიანი მოსახლეობის უმრავლესობის დარჩენა. ეს ნაკლებად გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თეთრკანიანები ერთიმეორესთან ურთიერთობისას პატიმრის დილემას ანყდებიან. დავუშვათ, ყველა თეთრკანიანს სურს დარჩენა, თუ სხვებიც დარჩებიან; მაგრამ თუ გარანტიების არარსებობის გამო მასობრივი ემიგრაცია მოხდება, მაშინ ყველას ენდომება, პირველი იყოს ნაკადში (ვინაიდან გვიან წამსვლელები ნაკლებს მიიღებენ თავიანთი ქონების სანაცვლოდ და ძნელად თუ მოახერხებენ ისეთი ქვეყნის მოძებნას, რომელიც მათ შეიფარებს). ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს თვითასრულებადი წინასწარმეტყველების თავიდან აცილება, როდესაც თითოეული პიროვნება ცდილობს განდგომას, რადგან შიშობს, რომ სხვებიც ამას აპირებენ. ადრე წამსვლელებსა (გთ) და გვიან წამსვლელებს (თგ) შორის განსხვავების მინიმუმამდე დაყვანისას, რაც უკანასკნელი ვარიანტის საფასურის შემცირებას გულისხმობს, გარანტიების შექმნა გაუადვილებს თეთრკანიანებს ერთმანეთთან თანამშრომლობასა და დარჩენას.

უსაფრთხოების სუბიექტური მოთხოვნილებები. გადაწყვეტილების მიმღებთა მოქმედება განპირობებულია მათი პირადი შეგრძნებებით – რამდენად დაუცველად მიაჩნიათ მათ საკუთარი თავი. ეს წარმოდგენები, შესაძლოა, რეალური ვითარებისაგან განსხვავდებოდეს; მაშასადამე, ჩვენ გადაწყვეტილების მიმღებთა სუბიექტური უსაფრთხოების გარემო უნდა შევისწავლოთ.[10] აქ ორი განზომილებაა ჩართუ-

[10] სუბიექტური უსაფრთხოების კონცეფციის განვითარების შესახებ იხილეთ: Arnold Wolfers, *Dis-*

ლი. პირველი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ობიექტური ვითარების შესახებ თანხმდებიან, ადამიანები უსაფრთხოების მოთხოვნილებებით განსხვავდებიან, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განსხვავდება ის საფასური, რომლის გადასახდელადაც ისინი მზად არიან, რათა მეტი უსაფრთხოება მოიპოვონ. რაც მეტად აფასებენ სახელმწიფოები თავიანთ უსაფრთხოებას ყოველიევე დანარჩენთან შედარებით (თგ-ის ძალიან მაღალი საფასური), მით უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი მცირე საფრთხის მიმართაც კი მგრძნობიარენი იქნებიან და, შესაბამისად, შეიარაღების მაღალ დონეს მოითხოვენ. თუ შეიარაღება დიდად ფასობს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ზეწოლის გამო, მაშინ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით ძნელი იქნება ერთმანეთთან თანამშრომლობა. ამის საპირისპიროდ, უსაფრთხოების დილემა ნაკლებად მძაფრია, როდესაც მწვავე შიდა პრობლემები შეიარაღების ალტერნატიულ ღირებულებას ზრდის. ამ შემთხვევაში, სხვების ექსპლუატაციიდან სუფთა მოგება (გთ) ნაკლები იქნება, გამალებული შეიარაღების საფასური კი (გგ-ის ერთი ასპექტი) – გაცილებით მაღალი. ამიტომ, სახელმწიფო ისე მოიქცევა, თითქოს, ის შედარებით ნაკლებად დაუცველი იყოს.

უსაფრთხოების მეორე ასპექტი საფრთხის აღქმაა (იმის შეფასება, ითანამშრომლებენ თუ არა სხვები).[11] სახელმწიფო, რომელიც წინასწარ განწყობილია, რომელიმე კონკრეტული ქვეყანა მეტოქედ აღიქვას ან სხვა სახელმწიფოების არსებობა მის წინააღმდეგ მიმართულ მუქარად განიხილოს, უფრო მკვეთრ და სწრაფ რეაგირებას მოახდენს, ვიდრე ის სახელმწიფო, რომელიც გარემოს მისდამი კეთილგანწყობილად მიიჩნევს. მართლაც, როდესაც სახელმწიფოს სჯერა, რომ მეორე არა მარტო მისი მოწინააღმდეგე არ არის, არამედ სამოკავშირეოდ მნიშვნელოვანი საერთო ინტერესები გააჩნია, მაშინ იგი რეალურად მიესალმება მისი ძალის გაზრდას.

ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკა მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ამ შეხედულებას ადასტურებს. ჰიტლერის აღზევების შემდეგ, ბრიტანეთი და საფრანგეთი გრძნობდნენ, რომ ორივე მათგანის მიერ შეიარაღების წარმოება მათ საკუთარ უსაფრთხოებას, შემცირების ნაცვლად, ზრდიდა. გერმანიის მიმართ მათი განსხვავებული პოლიტიკა შეიძლება ორივე განზომილებაში სუბიექტური უსაფრთხოების ცვლადების სხვადასხვაობით აიხსნას.[12] ამ პერიოდში საფრანგეთი უფრო მეტად აღიქვამდა გერმანიას საფრთხედ, ვიდრე ინგლისი. ბრიტანელები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და ამტკიცებდნენ, რომ დაშოშმინება გერმანიას სტატუს კვოს მომხრედ გადააქცევდა. უფრო მეტიც, პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე საფრანგეთი მონადინებული იყო, მრავალი ღირებულების უგულებელყოფის ხარჯზე, საკუთარი უსაფრთხოება გაეზარდა და, შესაბამისად, უფრო მილიტარისტულ პოლიტიკას ატარებდა, ვიდრე ინგლისი, უფრო დიდ არმიას ინარჩუნებდა და გერმანელთა ზრახვების დასაბალანსებლად შეიარაღებულ ძალებს სწრაფად გადააადგილებდა. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ძნელია იმის თქმა, თუ

cord and Collaboration (Baltimore: John Hopkins Press. 1962), მე-10 თავი. აქ ჩვენ ვეარაუდობთ, რომ სახელმწიფოებს შეიარაღების გაზრდა თავიანთი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ; მოგვიანებით, ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ პირობას, რომლის დროსაც ეს მოსაზრება არ მართლდება.

[11] საკითხი, თუ როდის განიხილავს ერთი მოქმედი პირი მეორეს საფრთხედ მნიშვნელოვანია და სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამ მხრივ ღირებული ნაშრომია (მასში არსებული სერიოზული მეთოდოლოგიური ხარვეზების მიუხედავად): Raymond Cohen. "Threat Perception in International Relations." Ph..D. diss. (Hebrew University. 1974). ქვემოთ განხილულ სხვადასხვა ფაქტორს შორის წინა ომის გაკვეთილებიც არის.

[12] ეს საკითხი საუკეთესოდ არის გაშუქებული ნაშრომში: Arnold Wolfers, *Britain and France Between Two Wars* (New York: Harcourt, Brace, 1940).

რა მოცულობის სუბიექტური უსაფრთხოების მიღწევას უნდა ცდილობდეს სახელმწიფო. გაზრდილი უსაფრთხოების მოთხოვნილება საერთო ინტერესებზე შეთანხმებას ართულებს და გამალებული შეიარაღების საფრთხეს შეიცავს, რაც მტრობას უდებს სათავეს. ფრანგებს, შესაძლოა, 1920-იან წლებში გაეღოთ ამის საზღაური. ნაკლები უსაფრთხოების მოთხოვნილება ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს, თუმცა, ძალიან მცირე შეიარაღების ქონა და აგრესორის დაშოშმინების მცდელობაც რისკის შემცველია.

საფრთხის აღქმასთან დაკავშირებული სუბიექტური უსაფრთხოების ერთერთი ასპექტია სახელმწიფოს შეხედულება იმის თაობაზე, თუ რამდენი მტრის მოსაგერიებლად უნდა იყოს იგი მზად. სახელმწიფოს შეიძლება არ აშფოთებდეს მეორის შეიარაღება, თუ სჯერა, რომ ქმედითი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა არსებობს. მშვიდობა მეტად არის გარანტირებული ისეთ მსოფლიოში, სადაც არსებული საერთაშორისო სისტემა თავისთავადი ღირებულებაა მოქმედი პირებისათვის არა მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა საკუთარ ამბიციებს ზღუდავს და ურჩებს განზრახვაზე ხელს აღებინებს (ეს დამახასიათებელი იყო „კონცერტის სისტემისათვის"), არამედ იმიტომაც, რომ უსაფრთოების მოთხოვნილების გამო უსარგებლო კონფლიქტში ჩაბმით სტატუს კვოს შეცვლას სახელმწიფოებისათვის მცირე სარგებელი მოაქვს. მართლაც, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის აბსოლუტური რწმენა რომ არსებობდეს, არც ერთ სახელმწიფოს იარაღი აღარ ენდომებოდა. ნაცვლად ამისა, უსაფრთხოების დილემის პრობლემა გადაუჭრელი რჩება, როდესაც თითოეულ სახელმწიფოს ყველა დანარჩენის ეშინია და, დახმარების ნაცვლად, სავარაუდოდ, თავდასხმის აქციაში ჩართვა ურჩევნია. სამხედრო-საზღვაო სამინისტროს ხელმძღვანელობისას უინსტონ ჩერჩილი უსაფრთხოების მაღალ მოთხოვნებს აყენებდა, როდესაც აღნიშნავდა:

> დიდი სახელმწიფოების გარდა, არის უამრავი პატარა სახელმწიფო, რომლებიც ყიდულობენ ან აგებენ დიდ საომარ გემებს და რომელთა ხომალდები, შესაძლოა, შესყიდულ იქნეს დიპლომატიური კომბინაციის ან ძალდატანების გზით, შემდგომში ჩვენს წინააღმდეგ გამოსაყენებლად. არც ერთ სახელმწიფოს ჩვენსავით არ ესაჭიროება საზღვაო ფლოტი თავისი დამოუკიდებლობის რეალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ისინი ამ გემებს იმისათვის აგებენ, რომ მსოფლიო პოლიტიკაში გარკვეული როლი ითამაშონ. მათთვის ეს გართობაა, ჩვენთვის კი – სიკვდილი.[13]

რამდენიმე მეზობლის თავდასხმის დამოუკიდებლად მოგერიება ნებისმიერი სახელმწიფოსაგან უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სისტემაში ყველა სახელმწიფოსათვის ამგვარი შესაძლებლობების ქონა აბსოლუტურად წარმოუდგენელი ხდება. ამრიგად, სახელმწიფოს მოლოდინი, რომ მას მოკავშირეები ეყოლება და მის წინააღმდეგ ბევრი ქვეყანა არ გაერთიანდება, უსაფრთხოების მოთხოვნილებათა თანაარსებობის აუცილებელი პირობაა.

თანამშრომლობიდან მოგება და განდგომის საფასური (თთ და გგ)

სხვა სახელმწიფოს მიერ შეიარაღების გაზრდაზე სწრაფი და მკაცრი რეაგირების პოლიტიკის მთავარი საფასური არის არა დამატებითი იარაღის შეძენა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თანამშრომლობიდან მიღებული პოტენციური სარგებლის შეწირვა (თთ) და უსარგებლო გამალებული შეიარაღების დაწყებით გამოწვეული საფრთხის გაზრდა (გგ). რაც უფრო მაღალია ეს საფასური, მით უფრო დიდია სტიმული,

[13] ციტირებულია ნაშრომში: Peter Gretton, *Former Naval Person* (London: Cassell, 1968), 151.

ითანამშრომლო და მოთმინებით დაელოდო უტყუარი საბუთის მოპოვებას, ვიდრე მეორე სახელმწიფოს შეირაღებული ძალით შეკავებას დააპირებ. ომები გაცილებით უფრო ხშირად მოხდება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფოთა პირველი არჩევანი სტატუს კვოს შენარჩუნება იქნება), მათი წარმოება ნაკლებად სარისკო და ხარჯიანი რომ იყოს და მშვიდობიან ურთიერთობებს დიდი სარგებელი რომ არ მოჰქონდეს. როდესაც აფარისა და ისას ტომების ტერიტორიამ (ჯიბუტმა) დამოუკიდებლობა მოიპოვა, ეთიოპიამ იმის გარანტიები მოითხოვა, რომ ეს ტერიტორია მის წინააღმდეგ შექმნილ მტრულ ალიანსში არ შევიდოდა. ტერიტორიის წარმომადგენელმა კი უპასუხა, რომ ეს საჭირო არ იყო, რადგან ეთიოპიას „უკვე ჰქონდა საუკეთესო გარანტიები რკინიგზის სახით," რომელიც ორ ქვეყანას ერთმანეთთან აკავშირებდა და ტერიტორიისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი შემოსავლის წყარო იყო.[14]

ამდენად, ძირითადი დებულებები ცნობილია და ჩვენ შეგვიძლია, მათ დეტალურ განხილვაზე გადავიდეთ. პირველი, სახელმწიფო მოღვაწეთა უმრავლეობამ კარგად იცის, რომ ომის დაწყება უამრავ გაუთვალისწინებელ და უკონტროლო მოვლენას ნიშნავს. მაშინაც კი, როცა ყველაფერი, რასაც ისინი მხედველობაში იღებენ, სწრაფ გამარჯვებაზე მიუთითებს, მოსალოდნელია, რომ ნებისმიერი სახის გაურკვევლობის არსებობის გამო მათ მაინც იჭოჭმანონ. გასაოცარი შედეგები არა მხოლოდ ბრძოლის ველზე, არამედ სათათბირო პალატებშიც მოიპოვება. შესაძლოა, სახელმწიფო მოკავშირეებმა გაწირონ, ან ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა მასზე იერიში მიიტანონ. შესაძლებელია, ომის შემდგომმა წესრიგმა სახელმწიფოს გამარჯვების ნაყოფი წაართვას, როგორც ეს იაპონიის შემთხვევაში მოხდა 1895 წელს. მეორე, ომის შინასახელმწიფოებრივი დანახარჯი უნდა განისაზღვროს. ძლიერი სახელმწიფოც კი შეიძლება გამოფიტოს იმ უკმაყოფილებამ, რომელიც ომის წარმოების მეთოდითა და ადამიანებისა და იდეების აუცილებელი მობილიზაციით შეიძლება იყოს გამოწვეული. ამგვარი ნგრევის ხსოვნა წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს იმისა, რომ ნაპოლეონის ომებს შედარებით მშვიდობიანი პერიოდი მოჰყვა. ლიბერალი სახელმწიფო მოღვაწეები შიშობდნენ, რომ დიდი არმიების ყოლა დესპოტიზმს დაამკვიდრებდა, კონსერვატორი ლიდერები კი ფიქრობდნენ, რომ ომები რევოლუციებს წარმოშობდა (ამ შედლის მეორე მხარეა ის, რომ, თუ საგარეო კონფლიქტი ქვეყნის შიგნით დადებითად ფასდება, მაშინ კონფლიქტის მთლიანი ხარჯი იკლებს და თანამშრომლობის მიღწევა უფრო რთული ხდება). მესამე, თუ მივუბრუნდებით თანამშრომლობის უპირატესობებს, დივერსიფიცირებული და დიდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური გაცვლიდან მიღებული სარგებელი ძალზე იშვიათად არის საკმარისი ომის აღსაკვეთად. ნორმან ენჯელი ცდებოდა, როდესაც პირველი მსოფლიო ომის დაწყებას, სახელმწიფოებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირების გამო, შეუძლებლად მიიჩნევდა; მეორე მსოფლიო ომის წინ აშშ იაპონიის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო. მეოთხე, თანამშრომლობიდან მიღებული სარგებელი შეიძლება გაიზარდოს არა მარტო იმ შემთხვევაში, თუ თითოეული მათგანი უფრო მეტ ტრადიციულ ღირებულებას – სიმდიდრეს – მიიღებს, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ თითოეული მეორე მხარის კეთილდღეობას დადებითად შეაფასებს. თანამშრომლობას ორმაგი უკუგება ექნება: პირდაპირი მოგების გარდა, სხვისი კეთილდღეობის ხილვით კმაყოფილების გრძნობა გაჩნდება.[15]

მართალია, ომის დიდი დანახარჯები და თანამშრომლობიდან მიღებული სარგებელი უსაფრთხოების დილემის გავლენას ამცირებს, მაგრამ ამან გარკვეული პრობ-

[14] Micael Kaufman,"Tension Increases in French Colony," *New York Times*, July 11, 1976.

[15] ამ არგუმენტის ექსპერიმენტული დადასტურება შეჯამებულია ნაშრომში: Morton Deutsch, *The Resolution of Conflict* (New Haven: Yale University Press, 1973), 181-95.

ლემები შეიძლება წარმოქმნას. თუ ხარჯები იმდენად მაღალია, რომ გგ უკანასკნელი არჩევანია ორივე მხარისათვის, მაშინ თამაში „წინილისაკენ" გადაიხრება. ეს თამაში „ირემზე ნადირობისაგან" იმით განსხვავდება, რომ თითოეული მოქმედი პირი ცდილობს მეორის ექსპლუატაციას; ხოლო „პატიმრის დილემისაგან" მისი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მოქმედი პირი თავის ინტერესად თანამშრომლობის შენარჩუნებას მიიჩნევს. „წინილის თამაშში," თუ ფიქრობ, რომ მეორე მხარე განდგომას აპირებს, მაინც უნდა ითანამშრომლო, ვინაიდან ექპლუატაციაში ყოფნაზე უარესი (თგ) ურთიერთობის სრული გაწყვეტაა (გგ). როგორც შეკავების ნაცნობი ლოგიკა გვიჩვენებს, მოქმედმა პირმა შემდეგ უნდა სცადოს მოწინააღმდეგის დარწმუნება, რომ ის საკუთარი პოზიციის მტკიცედ დაცვას (განდგომას) აპირებს და ერთადერთი გზა, რომელიც მეორეს უბედურებას ააცილებს თავიდან, უკან დახევაა (თანამშრომლობა). ვალდებულება, ირაციონალურობის რაციონალურობა, საკომუნიკაციო სისტემებით მანიპულირება და თავის მოჩვენება, თითქოს ვითარებაში გარკვევას ვერ ახერხებ, იმ გავრცელებული ტაქტიკის ელემენტებია, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება. ლოგიკა იგივეა, როდესაც ორივე მხარე თანამშრომლობიდან დიდ სარგებელს ნახულობს. ერთ მხარეს შეუძლია მეორის ექსპლუატაცია, თუ მისი მუქარა, რომ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში იგი ურთიერთობას გაწყვეტს, დამაჯერებელი იქნება. ამგვარი ვითარება ნაკლებად სტაბილურია, რადგან მუქარის ხშირი გამოყენება, შესაძლოა, არ იყოს თავსებადი თანამშრომლობითი ურთიერთობის შენარჩუნებასთან. თუმცა, დე გოლის მიერ მუქარის ხარჯზე მიღწეული წარმატება, რომ იგი „საერთო ბაზარს" დაშლიდა, თუ პარტნიორები მის სურვილებს არ დაეთანხმებოდნენ, გვახსენებს, რომ თანამშრომლობიდან მიღებულმა საერთო სარგებელმა, ისევე როგორც განდგომის საერთო ხარჯებმა ექსპლუატაციის საფუძველი შეიძლება შექმნას. ამის მსგავსად, ასი წლით ადრე საფრანგეთ-ბრიტანეთის კავშირის გაუქმების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ორივე ქვეყანაში გადაწყვეტილების მიმღებნი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ ქვეყნებს უსაფრთხოდ შეეძლოთ ერთმანეთის ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება, რადგან არც ერთი მათგანი არ მისცემდა საკუთარ თავს ესოდენ ღირებული ურთიერთობის დარღვევის უფლებას.[16] ვინაიდან სახელმწიფო მოღვაწეები ხვდებიან, რომ დაღებითი ურთიერთდამოკიდებულების ზრდამ სხვებს მათზე გავლენის ახალი ბერკეტები შეიძლება შესძინოს, ისინი, სავარაუდოდ, მოვლენების ამგვარ განვითარებას იბაზე მეტად შეენინააღმდეგებიან, ვიდრე ეს იმ თეორიების მიხედვით არის მოსალოდნელი, რომლებიც თანამშრომლობის უპირატესობაზე ამახვილებს ყურადღებას.

ექსპლუატაციიდან მიღებული სარგებელი

განდგომა სახელმწიფოს არა მარტო ექსპლუატაციისაგან იცავს (თგ), არამედ მას სხვათა ექსპლუატაციის საშუალებასაც აძლევს. რაც უფრო დაბალია ამ ტიპის შესაძლო სარგებელი, მით უფრო მაღალია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ალბათობა. შედარებით დაკმაყოფილებულმა სახელმწიფომაც კი შეიძლება ვერ გაუძლოს ცდუნებას და, ძირითადი ღირებულებების დაუფლების მიზნით, ექსპანსია აირჩიოს. ცდუნება ნაკლებია, როცა სახელმწიფო მიზნების მიღწევის სხვა გზებს ხედავს და/ან ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ექსპლუატაციის შედეგად მიღებულ შესა-

[16] Roger Bullen, *Palmerston, Guizot, and the Collapse of the Entente Cordiale* (London: Athlone Press, 1974), 81, 88, 93, 212. ამ შემთხვევის განსხვავებული შეფასებისათვის იხილეთ: Stanley Mellon, "Entente, Diplomacy, and Fantasy," *Reviews in European History*, II (September, 1976), 376-80.

ძლო სარგებელს. მოგება მცირე შეიძლება იყოს იმიტომ, რომ გთ-იდან მიღებული უპირატესობა (მაგალითად, მეორე მხარესთან შედარებით მეტი შეიარაღების ქონა) არ პიშნავს პოლიტიკურ უპირატესობას (მაგალითად, ტერიტორიულ შენამატს), ან იმიტომ, რომ თავად პოლიტიკურ უპირატესობას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. მაგალითად, სახელმწიფო, შესაძლოა, არ ცდილობდეს დამატებითი ტერიტორიის ანექსიას, რადგან მასზე ბუნებრივი რესურსები არ მოიპოვება, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი სახლობს, მისი დაცვა ძვირი ჯდება ან მისი ასიმილირება საშინაო პოლიტიკისა და ღირებულებების შეცვლის გარეშე რთულია. ერთ სახელმწიფოს ძალუძს, მეორეს თავდასხმის სურვილი გაუქროს ამ უკანასკნელისათვის საფრთხის არშექმნით და იმ საქონლისა და მომსახურების მიწოდებით, რომელიც მისი ექსპლუატაციის მცდელობის შემთხვევაში დაიკარგებოდა.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გთ-ის უშუალო უპირატესობები დიდია, სხვა ფაქტორებმა შეიძლება შეამციროს სუფთა მოგება. როგორც გამარჯვებას, ისე დამარცხებას სახელმწიფოს შიგნით არასასურველი ცვლილებების გამოწვევა ძალუძს. დროდადრო საერთაშორისო თანამეგობრობა ექსპლუატაციას გმობს და, ამდენად, იმ სახელმწიფოს პრესტიჟს ამცირებს, რომელიც ამას სჩადის. მომავალში სხვებმა, დასაშვებია, ამგვარი საფრთხე სწრაფად დაინახონ, რაც მათ, ალბათ, ექსპლუატატორისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით შეიარაღებისაკენ უბიძგებს. ამიტომ, ბისმარკის მცდელობები, რომ, 1871 წლის შემდეგ შექმნილი სტატუს კვოს შესანარჩუნებლად, სხვა სახელმწიფოებთან ეთანამშრომლა, უფრო გართულდა იმ ფართოდ გავრცელებული უნდობლობის გამო, რომელიც მის მიერ მანამდე წარმოებულმა აგრესიულმა პოლიტიკამ წარმოშვა.[17]

ალბათობა იმისა, რომ სხვა ითანამშრომლებს

აქამდე განხილული ცვლადები ოთხ შესაძლო შედეგზე ახდენს გავლენას. გადაწყვეტილების მისაღებად სახელმწიფომ ერთი ნაბიჯით წინ უნდა გაიხედოს და განსაზღვროს თანამშრომლობის ან განდგომის მოსალოდნელი საფასური. ვინაიდან გაანგარიშებისას ისიც მიიღება მხედველობაში, რომ სხვამ, შესაძლოა, თანამშრომლობა არჩიოს, სახელმწიფო ზემოგანხილული ცვლადების მეორე სახელმწიფოზე ზემოქმედებასაც განსჯის. მეორე სახელმწიფოს თანამშრომლობაზე დასათანხმებლად, სახელმწიფომ ამ ცვლადების მანიპულირებას შეიძლება მიმართოს. მას ძალუძს, განდგომის სურვილი გაუქროს მეორე სახელმწიფოს, ექსპლუატაციიდან მოსალოდნელი სარგებლის შემცირებით (გთ) (დეტალები წინა პარაგრაფში განხილულის მსგავსია), და, აგრეთვე, ჩიხში მოქცევის საფასურის (გგ) გაზრდით. თუ ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს, გგ მეორესათვის ყველაზე ცუდ ვარიანტად აქციოს, მაშინ იძულება მოკლევადიან პერიოდში არაეფექტიანი იქნება, რადგან მეორეს თანამშრომლობაზე უარის თქმა შეუძლია, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ეს სახიფათო გახდება, რადგან, შესაძლოა, მეორეს რწმენა განუმტკიცდეს, რომ პირველი სახელმწიფო აგრესორია. ასე რომ, სახელმწიფო უნდა ცდილობდეს, თანამშრომლობა უფრო მიმზიდველად აქციოს. ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა ისეთი ვითარების საფასურის შემცირებაში მდგომარეობს, როდესაც ერთი სახელმწიფო თანამშრომლობს, ხოლო მეორე განდგომას არჩევს (თგ). ამრიგად, სახელმწიფოს ძალისხმევა შეიძლე-

[17] ანალოგიურად, ერთი ფრანგი დიპლომატი ამტკიცებდა, რომ „ლუი მეთოთხმეტის მიერ ჩვენს ტრადიციულ პოლიტიკაზე უარის თქმის ყველაზე უარესი შედეგი იყო საზღვარგარეთ ჩვენს მიმართ უნდობლობის გაღვივება." Jules Cambon, "The Permanent Bases of French Foreign Policy," *Foreign Affairs*, VIII (January 1930), 179.

ბა მიმართული იყოს იმისაკენ, რომ მეორე ნაკლებად დაუცველი გახდეს. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ამტკიცებდა 1950-იანი წლების მიწურულსა და 1960-იანი წლების დასაწყისში ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსი, რომ ორივე მხარისათვის კარგი იქნებოდა, თუ რუსები ბირთვულ იარაღს განავითარებდნენ. რა თქმა უნდა, მეორის დაუცველობის შემცირების შედეგად მასზე იძულების შესაძლებლობებიც მცირდება, რაც საშუალებას აძლევს მას, ეს გარემოება თავდაცვის ფარად გამოიყენოს, რომლის უკანაც მეტოქის სანინააღმდეგო საქმიანობაში ჩაებმება. თუმცა, სხვისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობაზე უარის თქმით სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შანსების გაზრდა შეუძლია.

სახელმწიფოს აგრეთვე ძალუძს, ორმხრივი თანამშრომლობიდან (თთ) მიღებული შესაძლო სარგებელი გაუზარდოს მეორე სახელმწიფოს. რასაკვირველია, სახელმწიფო მოგებული დარჩება, თუ ყველა ახალი შემოსავლიდან წილს მიიღებს, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნამატი მთლიანად მეორეს შეხვდება, ეს სახელმწიფოს მაინც უღირს, რადგანაც ამით ალბათობა იმისა, რომ მეორე ითანამშრომლებს გაიზრდება.[18]

თამაშის თეორიის თანახმად, არგუმენტების ეს ხაზი სხვადასხვა ვითარების განხილვისას უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. თუ მეორე თანამშრომლობისათვის მზად არის, როდესაც მიიჩნევს, რომ პირველი სახელმწიფო ითანამშრომლებს, მაშინ სახელმწიფოს შეუძლია თთ-ის შანსი გაზარდოს იმის დემონსტრირებით, რომ ის ნამდვილად აპირებს თანამშრომლობას. ამიტომ, სახელმწიფომ უნდა მიჩქმალოს იმ სარგებლის ოდენობა, რომელსაც მეორის ექსპლუატაციის შემთხვევაში მიიღებდა (გთ) და ის ხარჯები, რომელთა გაღებაც მეორეს მოუხდებოდა მისი ექსპლუატაციის დროს (თგ), აგრეთვე გამოკვეთოს ან გააზიადოს ორმხრივი თანამშრომლობიდან მოსალოდნელი სარგებელი და ის საფასური, რომელიც ჩიხში შესვლის შემთხვევაში იქნება გადასახდელი (გგ). ამას გარდა, სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს მეორის დარწმუნება იმაში, რომ მისი აზრით, მეორე ითანამშრომლებს. თუ მეორეს ამის სჯერა, მაშინ ის დაინახავს, რომ პირველ სახელმწიფოს თანამშრომლობისათვის სერიოზული სტიმული გააჩნია და, თავის მხრივ, თანამშრომლობას დასთანხმდება. ვინაიდან მეორე სახელმწიფო, ისევე როგორც პირველი, შესაძლოა, მოქმედებდეს იმის შიშით, რომ არგანდგომის შემთხვევაში მას ექსპლუატაციას გაუწევენ, იგი მაქსიმალურად უნდა დაარწმუნონონ, რომ ასე არ მოხდება. ამიტომ, როდესაც ხრუშჩოვმა კუბიდან თავისი რაკეტების გამოტანაზე თანხმობა განაცხადა, მან, ამავდროულად, კენედის მიანიშნა: „ჩვენ საღ გონებაზე ვართ და შესანიშნავად გვესმის, რომ რუსეთი აშშ-ის წინააღმდეგ ნარმატებულ იერიშს ვერ განახორციელებს." შესაბამისად, ამერიკას აღარ ჰქონდა საფუძველი თავდაცვითი, პრევენტიული შეტევის დასაწყებად.[19]

თუმცა, აქ საფრთხე მაინც არსებობს. თუ მეორე ფიქრობს, რომ პირველ სახელმწიფოს, თანამშრომლობის გარდა, სხვა არჩევანი, ფაქტობრივად, არ გააჩნია, მას თამამად შეუძლია დაემუქროს, რომ განდგება იმ შემთხვევაში, თუ პირველი სახელმწიფო მას დამატებით სარგებელს არ მისცემს. ორმხრივი თანამშრომლობიდან დიდი სარგებელი, ისევე როგორც ომის დიდი საფასური, დამატებითი ბერკეტია მოლაპარაკებათა პროცესში. უფრო მეტიც, სახელმწიფოსათვის, შესაძლოა, მომგებიან-

[18] თუმცა, აქ იგულისხმება, რომ მეორის სარგებელი იმდენად დიდი არ იქნება, რომ მისი ძალა ასიმეტრიულად გაზარდოს და სახელმწიფოსათვის საფრთხედ იქცეს მომავალში.

[19] Walter LaFeber, ed, *The Dynamics of World Power: A Documentary History of United States Foreign Policy 1945-1973*. II: *Eastern Europe and the Soviet Union* (New York: Chelsea House in association with Mcgraw-Hill, 1973), 700.

იც იყოს, მეორეს აჩვენოს, თუ რამდენად მეტს იღებს თანამშრომლობიდან და სარგებლის უფრო თანაბრად გაყოფა შესთავაზოს.

როდესაც თითოეული მხარე ელის, რომ მეორე მხარე ითანამშრომლებს და თავადაც მზად არის ამისათვის, მაშინ ინსპექტირების მექანიზმს უსაფრთხოების დილემის გავლენის შემცირება შეუძლია. რა თქმა უნდა, ინსპექტირების სრულყოფილი სისტემაც კი ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ მეორე მხარეს აგრესიული ზრახვები არ გაუჩნდება და ის შესაბამის სამხედრო ხერხებს არ მიმართავს მათ განსახორციელებლად, მაგრამ, აღელვების ჩაქრობითა და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გაფრთხილებით ინსპექტირებას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამა თუ იმ მხარის მომავალი საფრთხისაგან დასაცავად და ამით ამჟამინდელი თანამშრომლობა უფრო განამტკიცოს. იმავე მიზნებს ემსახურება ერთი დიდი გარიგების რამდენიმე მცირე ოპერაციად დაყოფაც.[20] ყოველი გარიგების განხორციელებისას, თითოეული მხარე ხედავს, თანამშრომლობს თუ არა მეორე და მისი დანაკარგი, მეორის განდგომის შემთხვევაში, გაცილებით მცირე იქნება. რამდენადაც განდგომის შედეგად ორივე მხარის მიერ მიღებული შემოსავალი საგრძნობლად ჩამოუვარდება თანამშრომლობიდან მიღებულ მოგებას, თანამშრომლობის პერსპექტივა დიდია. სტატუს კვოს მხარდამჭერ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტები და ომები გაცილებით უფრო ხშირად მოხდებოდა, საერთაშორისო პოლიტიკა პატარა გარიგებების წყებისაგან რომ არ შედგებოდეს.

იმაზე, თუ როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებს სახელმწიფო მოღვაწე მეორე მხარის წარსულ ქმედებას და როგორ წარმართავს ურთიერთობებს მომავალში, გავლენას ახდენს უსაფრთხოების დილემის მისეული გაგება და უნარი, სხვის ადგილას საკუთარი თავი დააყენოს. დილემა უფრო მძაფრი იქნება, თუ სახელმწიფო მოღვაწეები მას ვერ გაიგებენ და ვერ დაინახავენ, რომ მათ მიერ შეიარაღების პროცესის წამოწყებამ (რომელიც მხოლოდ სტატუს კვოს შენარჩუნებას ისახავს მიზნად) შეიძლება ააღელვოს სხვები და ეს უკანასკნელნი, შესაძლოა, შეიარაღდნენ არა იმიტომ, რომ აგრესიისათვის ემზადებიან, არამედ იმიტომ, რომ აღნიშნული სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმას უფრთხიან. აღქმის ეს ორი შეცდომა ერთმანეთთან დაკავშირებულია. სახელმწიფო, რომელიც ფიქრობს, რომ მეორისათვის ცნობილია მისი სურვილი სტატუს კვოს შენარჩუნების შესახებ, ისევე როგორც მისი შეიარაღების მიზანი, რომელიც მხოლოდ თავდაცვაში მდგომარეობს, დაასკვნის, რომ მეორე მხარის მიერ საკუთარი შესაძლებლობების გაზრდით რეაგირება, მის აგრესიულობაზე მიუთითებს. ამის მაგალითია სენატორ ტომ კონელისა და სახელმწიფო მდივან დინ აჩესონს შორის გამართული საუბარი, რომელიც ნატო-ს ხელშეკრულების რატიფიკაციას ეხებოდა:

სახელმწიფო მდივანი აჩესონი: [ხელშეკრულება] მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ არის მიმართული.

სენატორი კონელი: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ სახელმწიფო . . . არ განიხილავს, არ შუამავლობს ან არ გეგმავს აგრესიას ან შეიარაღებულ თავდასხმას მეორე სახელმწიფოზე, მაშინ მას ამ ხელშეკრულების შიშის არავითარი საფუძველი არ აქვს.

სახელმწიფო მდივანი აჩესონი: მართალს ბრძანებთ სენატორო კონელი და მე მგონია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც აცხადებს, რომ ეს ხელშეკრულება მის წინააღმდეგაა მიმართული, უნდა შევახსენოთ ბიბლიური შეგონება: „დამნაშავე მაშინაც გარბის, როდესაც არავინ მისდევს."

სენატორი კონელი: სწორედ რომ შესაფერისი მაგალითია. მე იმას ვგულისხმობდი, რომ, როდესაც ერი ან სახელმწიფო სისხლის სამართლის კანონს გამოსცემს, მაგალითად, ყაჩაღობის წინააღმ-

[20] Thomas Schelling, *The Strategy of Conflict* (New York: Oxford University Press, 1963), 134-35.

დეგ, ამ კანონის მხოლოდ მას უნდა ეშინოდეს, ვინც ყაჩაღია ან ყაჩაღობას აპირებს. ასე არ არის? *სახელმწიფო მდივანი აჩესონი*: [კანონის] ერთადერთი გავლენა [უდანაშაულო პიროვნებაზე] მისი დაცვაა, ალბათ, ვინმე სხვა პიროვნების შეკავების გზით. მა'ს სასჯელის შემოღების არ უნდა ეშინოდეს.[21]

ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს. დეტანტის ახსნის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამჟამად ამერიკელ გადაწყვეტილების მიმღებთა უმრავლესობა აცნობიერებს, რომ შესაძლებელია რუსეთს ამერიკის აგრესიის ეშინოდეს; ბევრი მიიჩნევს, რომ ეს შიში, დიდწილად, საბჭოთა კავშირის მრავალ ქმედებას განაპირობებს, რომლებიც ადრე რუსეთის აგრესიულობის გამოხატულებად განიხილებოდა. მართლაც, სამხედრო ოფიცრების 36% ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის მოტივაცია, პირველ რიგში, თავდაცვითია. დაახლოებით ოცი წლის წინ ოფიცერთა კორპუსის აზრი ორად იყო გაყოფილი. ნაწილი თვლიდა, რომ რუსეთი მთელი მსოფლიოს დაპყრობას ცდილობდა, სხვებს კი მიაჩნდათ, რომ ის მხოლოდ ექსპანსიას ესწრაფოდა.[22]

სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც უსაფრთხოების დილემას ვერ აცნობიერებენ, დარწმუნებულები არიან, რომ შეიარაღების ერთადერთი საფასური მასზე დახარჯული ფულია. ამგვარი შეხედულება შეიარაღების შესყიდვაზე დანესებულ ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას აბათილებს. ამას გარდა, ეს მომავალში, როგორც ჩანს, ძალიან გაზრდის სახელმწიფოთა უსაფრთხოების მოთხოვნილებას. ვინაიდან ისინი ვერ იგებენ, რომ მათ მცდელობას, განამტკიცონ თავიანთი უსაფრთხოება, რეალურად მისი შემცირება შეიძლება მოჰყვეს, ისინი გადაჭარბებით შეაფასებენ უსაფრთხოების ხარისხს, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია; მათ შეიძლება ჩათვალონ, რომ საეჭვო ვითარებაში თავიანთი შეიარაღების გაზრდით მათ „უსაფრთხოების მოპოვება" შეუძლიათ. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ ორი სახელმწიფო, რომელიც სტატუს კვოს შენარჩუნებას უჭერს მხარს, მაგრამ უსაფრთხოების დილემას ვერ აცნობიერებს, ომით თუ არა, იმაზე მეტად კონფლიქტური დაპირისპირებით დაამთავრებს ურთიერთობას, ვიდრე ეს ობიექტური მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

რწმენა, რომლის თანახმად სამხედრო ძლიერების ზრდას მეტი უსაფრთხოება მოაქვს, ხშირად დაკავშირებულია შეხედულებასთან, რომ უსაფრთხოების მიღწევის ერთადერთი გზა სამხედრო ძლიერებაა. ამის შედეგად კი ვითარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული პოლიტიკა არ განხორციელდება. გადაწყვეტილების მიმღებნი, რომლებსაც არ სჯერათ, რომ უფრო შემრიგებლურ პოზიციას, სხვათა ლეგიტიმური პრეტენზიის გაგებას ან თანამშრომლობიდან ურთიერთხელსაყრელი სარგებლის გაზრდას სახელმწიფოს უსაფრთხოების განმტკიცება შეუძლია, ამგვარ შესაძლებლობებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

მეორე მხრივ, უსაფრთხოების დილემის გამძაფრებული შეგრძნებისას მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო ისე მოეპყროს აგრესორს, თითქოს ის სტატუს კვოს სუსტი დამცველი იყოს. ნაწილობრივ, პირველი მსოფლიო ომის მიზეზების შესახებ არსებული შეხედულებების გამო, ბრიტანელები ფიქრობდნენ, რომ ჰიტლერი მხოლოდ თავისი ლეგიტიმური და შეზღუდული პრეტენზიის დაკმაყოფილებას ცდილობდა და რომ უსაფრთხოების მოპოვების საუკეთესო გზა თანასწორუფლებიანი საერთაშორისო სისტემის შექმნა იყო. ამის გამო, მათ ისეთი პოლიტიკა გაატარეს, რომელიც, მართალია, გერმანიასთან უსარგებლო კონფლიქტების საფრთხის

[21] U.S. Congress, Senate, Committee on Foreign Relations, *Hearings, North Atlantic Treaty*, 81st Cong., 1st sess., (1949), 17.

[22] Bruce Russett and Elizabeth Hanson, *Interest and Ideology* (San Francisco: Freeman, 1975), 260; Morris Janowitz, *The Professional Soldier* (New York: Free Press, 1960), chap. 13.

თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ევროპის დამანგრეველი აღმოჩნდა.

გეოგრაფია, მოვალეობები, შეხედულებები და უსაფრთხოება ექსპანსიის ხარჯზე

უკანასკნელი მოსაზრება ადვილად არ თავსდება იმ ფორმატში, რომელსაც ჩვენ აქამდე ვიყენებდით, თუმცა, ის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დაუცველობის ასპექტი და გთ-ის საფასური. სიტუაციები იმის მიხედვით რთულდება ან იოლდება, შეუძლია, თუ არა ყველა სახელმწიფოს ერთდროულად უსაფრთხოების მაღალი ხარისხის მიღწევა. სამხედრო ტექნოლოგიის გავლენა ამ ცვლადებზე მომდევნო ქვეთავის მთავარი საკითხია. აქ კი გვსურს შეხედულებების, გეოგრაფიისა და ვალდებულებების ზეგავლენის განხილვა (რომელთა უმრავლესობა გეოგრაფიის მოდიფიკაციად შეიძლება მოიაზრებოდეს იმდენად, რამდენადაც ისინი სახელმწიფოებს იმ არეალების დაცვას აკისრებს, რომლებიც მათი სამშობლოს საზღვრებს მიღმა მდებარეობს). ჭარბად დასახლებულ ევროპაში უსაფრთხოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება რთული იყო. ძლიერი სახელმწიფოებით გარშემორტყმული გერმანიის პრობლემა ან გერმანიის მიერ შექმნილი პრობლემები, ყოველთვის დიდი იყო და კიდევ უფრო მწვავდებოდა, როდესაც მისი ურთიერთობები საფრანგეთთან და რუსეთთან იძაბებოდა, როგორც, მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის წინ. ამ შემთხვევაში სტატუს კვოს მომხრე გერმანიაც კი, თუ ის პოლიტიკურ ვითარებას ვერ შეცვლიდა, იძულებული გახდებოდა, შლიფენის გეგმის მსგავსი რამ შეემუშავებინა. ვინაიდან ორივე მტრის ერთდროულად შეკავება არ შეეძლო, ის უნდა მომზადებულიყო ერთის სწრაფად დასამარცხებლად, ხოლო შემდგომ მეორესთან შედარებით ხანგრძლივი ბრძოლა ეწარმოებინა. თუ საფრანგეთი ან რუსეთი რომელიმე სხვა სახელმწიფოსა და გერმანიას შორის წარმოებულ ომში მონაწილეობას არ მიიღებდა, გერმანიას კონტინენტზე ბატონობის საშუალება მიეცემოდა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გერმანიის მიზანს არ წარმოადგენდა). აქედან გამომდინარე, გერმანიისათვის მათ ეს შესაძლებლობა უნდა წაერთმიათ, რის შედეგადაც გერმანია ნაკლებად დაცული იქნებოდა. მართალია, გერმანიის ქედმაღალი და მცდარი ქმედებები, უსაფრთხოების დაუსაბუთებლად მაღალ მოთხოვნილებასთან ერთად (რაც არახელსაყრელი გეოგრაფიული მგომარეობიდან თავის დაღწევის სურვილში გამოიხატა), პრობლემას ართულებდა, მაგრამ ყველაზე გონიერ გერმანელ სახელმწიფო მოღვაწეებსაც კი ძალიან გაუჭირდებოდათ მეზობლების შეუშფოთებლად უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთისთვისაც მსგავსი ვითარება შეიქმნა. მას აღმოსავლეთ ევროპაში საკუთარი მოკავშირეების დაცვის ვალდებულება ჰქონდა აღებული, რომლის შესრულება მხოლოდ გერმანიაზე თავდასხმით შეეძლო. თუმცა, რადგან არ არსებობდა იმის გარანტია, რომ საფრანგეთი მომავალში ექსპანსიას არ შეეცდებოდა და, ამასთანავე, აღმოსავლეთ ევროპაში შეჭრის გამო გერმანიის წინააღმდეგ წარმატებული იერიშის განხორციელებას მოახერხებდა, ის პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა გერმანიის ძირეულ ღირებულებებს. ანალოგიურად, ამერიკის შეერთებული შტატების დამაჯერებელი შესაძლებლობა, სტრატეგიული ბირთვული იარაღით უპასუხოს საბჭოთა კავშირის მიერ დასავლეთ ევროპაზე დარტყმას, მართალია მცირე, მაგრამ მაინც საფრთხეს უქმნის საბჭოთა კავშირის მიერ სტატუს კვოს შენარჩუნების უნარს. უსაფრთხოების ამ მოთხოვნილებათა შეუთავსებლობა ამით არ ამოინურება. ჰერმან კანი მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ აშშ-ს მეორე ტიპის შეკავებაც ძალუძდა (დიდი საბჭოთა პროვოკაციის შეკავების

შესაძლებლობა) პირველი დარტყმის მიყენების შესაძლებლობის მოპოვების გარეშე. საბჭოთა მხარის მოსალოდნელი საპასუხო დარტყმა, რომელიც ამერიკელთა შეტევას მოჰყვებოდა, იმდენად დიდი იქნებოდა, რომ აშშ-ის შეკავებას განაპირობებდა იმ დრომდე, სანამ ამერიკა არ ჩათვლიდა, რომ ის უზარმაზარ ზარალს მიიღებდა (მაგალითად, ევროპის დაკარგვა), თუ პირველ დარტყმას თავად არ განახორციელებდა.[23] ანალოგიურად, გერმანია-საფრანგეთის სამხედრო ბალანსი, შესაძლოა, ისეთი ყოფილიყო, რომ საფრანგეთს გერმანიის წინააღმდეგ წარმატებული შეტევის განხორციელება შესძლებოდა, თუ ამ უკანასკნელის არმიები აღმოსავლეთ ევროპაში იქნებოდა დაკავებული. თუმცა, გერმანია არ დამარცხდებოდა, თუ მთელს რესურსებს თავდაცვაზე წარმართავდა. მაგრამ ამ დელიკატური ბალანსის მიღწევა ძალზე რთულია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სახელმწიფოები კონსერვატიულ გაანგარიშებებს აკეთებენ. მაშასადამე, პრობლემის ამგვარად გადაჭრა ნაკლებად მოსალოდნელია.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ევროპის დაცვის საჭიროებით წარმოქმნილი პრობლემა გამონაკლისს წარმოადგენს. მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყანას გაცილებით უფრო ხელსაყრელი პოზიცია ეკავა: შეეძლო თვითუზრუნველყოფა და შემოსევებისაგან დაცულად ყოფნა, უსაფრთხოების მოპოვება არა მარტო შედარებით იაფად, არამედ სხვებისათვის საფრთხის შეუქმნელად.[24] თუმცა, ამბიციებმა და ვალდებულებებმა ვითარება შეცვალა. ამერიკელების მიერ ფილიპინების დაპყრობის შემდეგ „არც აშშ-ს და არც იაპონიას არ შეეძლო საკუთარი ტერიტორიების სამხედრო და საზღვაო-სამხედრო საშუალებებით დაცვა სხვებისათვის დამუქრების გარეშე. ეს პრობლემა ამერიკელ და იაპონელ სახელმწიფო მოღვაწეებს 1941 წლამდე აშფოთებდა."[25] ამას გარდა, რამდენადაც იაპონია თავის დაცვას შეძლებდა, იგი იმდენად აღკვეთავდა აშშ-ის მხრიდან ომის საფრთხეს, რომელიც მას ჩინეთის დამოუკიდებლობისადმი უპატივცემულობის შემთხვევაში დაემუქრებოდა. ეს სირთულეები არაფერია იმასთან შედარებით, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ძლიერ სახელმწიფოებს სხვებისათვის ზიანის მისაყენებელი საშუალებები გაუჩნდათ, რაც სხვების ანალოგიურ შესაძლებლობებს ბევრად აღემატებოდა.

ბრიტანეთმა შეძლო უსაფრთხოების მოპოვება სხვებისათვის იმაზე ნაკლები საფრთხის შექმნით, ვიდრე ამას კონტინენტური სახელმწიფოები აკეთებდნენ. თუმცა, ამ თვალსაზრისით, აშშ-მა სხვებს კიდეე უფრო ნაკლები საშიშროება შეუქმნა. მაგრამ კოლონიების მოპოვებამ და საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებულებამ ბრიტანეთის, როგორც კუნძულის, შედარებითი დაცულობა შეინირა. ინდოეთის დაპყრობის შემდეგ მას მეზობლად უნდა ჩაეთვალა რუსეთი, რომელიც ცენტრალურ აზიაში აფართოვებდა თავის სამფლობელოებს, რაც ორივე ქვეყნისათვის უსაფრთხოების შეგრძნებას ართულებდა. ინდოეთამდე მისასვლელი უსაფრთხო საზღვაო გზების საჭიროება ნიშნავდა იმას, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა მისცემოდა იმის შესაძლებლობა, რომ სამხრეთ აფრიკასა და, მოგვიანებით, ეგვიპტეს დამუქრებოდა. თუმცა, ამ ორი არეალის დაცვის საჭიროებამ ახალი საფრთხეები, ახალი ვალდებულებები და ახალი უსაფრთხოების მოთხოვნილებები წარმოქმნა, რაც სხვა ევროპული სახელმწიფოების მსგავს მისწრაფებებსა და შეხედულებებს ეწინააღმდეგე-

[23] Kahn, *On Thermonuclear War* (Princeton: Princeton University Press, 1960), 138-60. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის მაგალითი ძალზე ჰიპოთეზურია, რადგან საფრანგეთს არ ჰქონია განზრახვა, საკუთარი ვალდებულებები შეესრულებინა, როდესაც გერმანია გაძლიერდა.

[24] Wolfers (fn. 9), chap. 15; C. Vann Woodward, "The Age of Reinterpretation," *American Historical Review*; Vol. 67 (October 1960), 1-19.

[25] William Braisted, *The United States Navy in the Pacific, 1897-1909* (Austin: University of Texas Press, 1958), 240.

ბოდა. ამას გარდა, ვინაიდან ბრიტანეთს მშვიდობისა და ომის პერიოდებში იმპორტის უწყვეტი ნაკადი ესაჭიროებოდა, მისთვის აუცილებელი იყო საზღვაო ძალები, რომლებიც ბლოკადას აღკვეთდა. ამ ამოცანისათვის შესაფერისი საზღვაო ძალები ყველა შემთხვევაში საფრთხე იქნებოდა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც დიდი მოცულობის ვაჭრობას ეწეოდა.

ზემოთქმულთან დაკავშირებული პრობლემა ისაა, რომ სტატუს კვოს შენარჩუნება ხშირად ტერიტორიის დაცვაზე მეტს ნიშნავს. არატერიტორიული ინტერესები, ნორმები და საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა უნდა შენარჩუნდეს. თუ სტატუს კვოს მომხრე ყველა სახელმწიფო ამ ღირებულებებს ეთანხმება და მათ გაბატონებული სახელმწიფოსათვის მისაღებ ინტერპრეტაციას უკეთებს, მაშინ პრობლემები მინიმუმადე იქნება დაყვანილი. თუმცა, კონფლიქტის პოტენციალი დიდია და შემდგომი პოლიტიკა, სავარაუდოდ, უსაფრთხოების დილემას გაამწვავებს. რაც უფრო ფართოა იმ ინტერესების დიაპაზონი, რომლებიც უნდა დავიცვათ, მით უფრო მოსალოდნელია, რომ სახელმწიფოს მიერ სტატუს კვოს შენარჩუნების მცდელობა სხვების ინტერესებს შეეჯახება. როგორც საფრანგეთის წარმომადგენელმა 1930 წელს განაცხადა: „უსაფრთხოება! ეს ტერმინი უფრო მეტს აღნიშნავს, ვიდრე ხალხის სამშობლოს ან, თუნდაც, ზღვისგადაღმა ტერიტორიების დაცვას. ეს, აგრეთვე, გულისხმობს მათ მიმართ მსოფლიოს პატივისცემის, მათი ეკონომიკური ინტერესების – ერთი სიტყვით – ყველაფრის შენარჩუნებას, რაც სახელმწიფოს დიდებასა და სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს."[26] როდესაც უსაფრთხოებაზე ამგვარად ფიქრობენ, ამ ტერმინს თითქმის ავტომატურად ენიჭება კონკურენტული ელფერი. ის ერთი სახელმწიფოს ნების სხვებზე თავს მოხვევას, მაღალი დონის ლიდერობას, თუ არა ბატონობას, და კლანჭების გამოჩენას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ამგვარი ქცევა აუცილებლად მოვა წინააღმდეგობაში სხვათა ინტერესებთან, რომლებიც საკუთარ უსაფრთხოებას ამდაგვარადვე განსაზღვრავენ.

ვითარება თითქმის გამოუვალი იქნება, თუ სახელმწიფო მოღვაწეები მიიჩნევენ, რომ მათი უსაფრთხოება სხვებზე თავდასხმას ან მუქარას მოითხოვს. „ის, რაც აღარ იზრდება, ლპობას იწყებს," – განუცხადა ეკატერინე დიდს მისმა მინისტრმა.[27] უფრო მეტად გავრცელებულია აზრი, რომ თუ სხვა დაცულია, იგი შემდეგ გათამამდება და შენი ინტერესების წინააღმდეგ დაიწყებს მოქმედებას და, რომ თავდაცვა საკმარისი არ არის: სახელმწიფომ ომის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გადატანა უნდა შეძლოს. ამგვარი შეხედულებები სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებისათვის თავსებადი უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას ძალზე ართულებს, რადგანაც სახელმწიფო იმ დასკვნამდე მიდის, რომ მისი უსაფრთხოება სხვების ნაკლებ დაცულობას მოითხოვს.

სხვა შემთხვევებში „ქვეყანა, რომელიც თავდაცვით ომშია ჩართული, შესაძლოა, იძულებული გახდეს, სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თავდასხმაზე გადავიდეს," – როგორც ეს ფრანგმა დელეგატმა მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მიმდინარე განიარაღების კონფერენციაზე განაცხადა.[28] ასე იყო საფრანგეთის შემთხვევაში 1799 წელს:

---

[26] Cambon (ის. 17). 185.

[27] ციტირებულია ნაშრომში: Adam Ulam, *Expansion and Co-Existence* (New York: Praeger, 1968). 5. 1920 წელს აშშ-ის საზღვაო ძალების გენერალურმა საბჭომ განაცხადა, რომ: „სახელმწიფო უნდა აღწევდეს ან ისევ უბრუნდებოდეს მსოფლიო ბატონობას." ციტირებულია ნაშრომში: William Braisted, *The United States Navy in the Pacific, 1909-1922* (Austin: University of Texas Press, 1971). 488.

[28] ციტირებულია ნაშრომში: Marion Boggs, *Attempts to Define and Limit "Aggressive" Armament in Diplomacy and Strategy* (Columbia: University of Missouri Studies, XVI, No. 1, 1941). 41.

დირექტორიის პოლიტიკური მიზნები ძირითადად თავდაცვითი იყო, რადგან ფრანგებს მხოლოდ რესპუბლ.კის შემოსევისაგან დაცვა და ჰოლანდიაში, შვეიცარიაში და იტალიაში სატელიტური რეჟიმების ტერიტორიისა და უსაფრთხოების შენარჩუნება სურდათ. ფრანგ ლიდერებს ახალი დაპყრობები აღარ უნდოდათ; ისინი რევოლუციის ადრინდელი შენაძენის შესანარჩუნებლად იღწოდნენ. თუმცა, დირექტორიას მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს თავდაცვითი მიზნის მიღწევა მხოლოდ თავდასხმით იყო შესაძლებელი. კოალიციის ერთი ან უფრო მეტი წევრის სწრაფი და გადამწყვეტი დამარცხებით დირექტორია მოკავშირეთა ერთობის გატეხვას და ცალკეული სახელმწიფოების ინდივიდუალურ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე დათანხმებას იმედოვნებდა.[29]

მეზობელი სახელმწიფოებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ საფრანგეთი თავდასხმას ახორციელებდა არა იმიტომ, რომ ხარბი და გაუმაძღარი იყო, არამედ იმიტომ, რომ მშვიდად ყოფნა სურდა. ვიდრე არ გაჩნდებოდა იმის საშუალება, რომ მეზობლებს საფრანგეთისათვის მიზნების მიღწევის ალტერნატიული გზა შეეთავაზებინათ, საფრანგეთს უნდა ეომა.

უსაფრთხოების დილემის ძირითადი პოსტულატისა (ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოების ზრდა მეორე სახელმწიფოს უსაფრთხოებას ამცირებს) და იმ პირობების შესწავლისას, რომელთა დროსაც აღნიშნული ვარაუდის ჭეშმარიტება დასტურდება, ორი უმთავრესი ცვლადია გასათვალისწინებელი: შესაძლებელია, თუ არა თავდაცვისათვის გამიზნული შეიარაღებისა და პოლიტიკის თავდასხმისათვის განკუთვნილი შეიარაღებისა და პოლიტიკისაგან გარჩევა და რას ენიჭება უპირატესობა – თავდასხმას თუ თავდაცვას. განსაზღვრებები ყოველთვის ნათელი და გასაგები არ არის და ბევრ შემთხვევაში განსჯა ძნელია, მაგრამ ეს ორი ცვლადი მნიშვნელოვანწილად ნათელს ჰფენს საკითხს, ექნებათ თუ არა სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს ურთიერთთავსებადი უსაფრთხოების პოლიტიკა. როდესაც თავდაცვისათვის განკუთვნილი შეიარაღება განსხვავდება თავდასხმისათვის განკუთვნილისაგან, მაშინ შესაძლებელია, სახელმწიფომ ისე მოიპოვოს დამატებითი უსაფრთხოება, რომ სხვების უსაფრთხოება არ შეამციროს. ხოლო როდესაც თავდაცვას უფრო დიდი უპირატესობა ენიჭება, ვიდრე თავდასხმას, ერთი სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების საგრძნობლად გაზრდა მხოლოდ უმნიშვნელოდ ამცირებს სხვების უსაფრთხოებას. ამდენად, სტატუს კვოს მომხრე ყველა სახელმწიფოს შეუძლია უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნება და ბუნებრივი მდგომარეობისაგან თავის დაღწევა.

თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსი

როდესაც ვამბობთ, რომ თავდასხმას უპირატესობა აქვს, ჩვენ უბრალოდ ვგულისხმობთ, რომ მეორე სახელმწიფოს ჯარის განადგურება და მისი ტერიტორიის დაკავება უფრო ადვილია, ვიდრე საკუთარი თავის დაცვა, ხოლო როდესაც თავდაცვას აქვს უპირატესობა, მაშინ უფრო ადვილია დაცვა და შენარჩუნება, ვიდრე წინ წანევა, განადგურება და დაკავება. თუ ეფექტიანი თავდაცვითი ღონისძიებები გატარდება, თავდამსხმელი იმ ტერიტორიის შენარჩუნებას შეძლებს, რომელიც თავდაპირველი გამარჯვების შედეგად ჩაიგდო ხელში. სწორედ თავდაცვითი სტილის ბატონობის გამო გაუძნელდათ ბრიტანეთსა და საფრანგეთს გერმანიის საფრანგეთიდან განდევნა პირველ მსოფლიო ომში. ბრძოლის ველზე მოწინავე თავ-

[29] Steven Ross, *European Diplomatic History, 1789-1815* (Garden City, N.Y.: Doubleday, 1969), 194.

დაცვითი ნაგებობების მშენებლობა აგრესორისათვის რთულია, ისინი მშვიდობიანობის დროს უნდა იქნეს აგებული, ამიტომაც ასეთ შემთხვევებში მათ მიერ გაწეული დახმარება მინიმალურია.

უსაფრთხოების დილემა მაშინ ხდება ყველაზე მწვავე, როდესაც ვალდებულებები, სტრატეგია ან ტექნოლოგია გკარნახობს, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი ერთადერთი გზა ექსპანსიაა. ამ შემთხვევაში სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებმა აგრესორების მსგავსად უნდა იმოქმედონ. ის ფაქტი, რომ ისინი ექსპანსიაზე უარის თქმას უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ სიხარულით დასთანხმდებოდნენ, მათ ქმედებებზე არავითარ გავლენას არ ახდენს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ექსპანსია თავისთავად მიზანს არ წარმოადგენს, ტერიტორიებისა და გავლენის გადანაწილებაში მკვეთრი ცვლილებები მაინც მოხდება. ამის საპირისპიროდ, როდესაც თავდაცვას აქვს უპირატესობა, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს სხვებისათვის დიდი საფრთხის შეუქმნელად შეუძლიათ თავიანთი უსაფრთხოების გაზრდა.[30] მართლაც, თუ თავდაცვას საკმაო უპირატესობა აქვს და თუ სახელმწიფოთა ტერიტორია დაახლოებით ერთი სიდიდისაა, უსაფრთხოების დილემა არა მარტო ხელს აღარ უშლის სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოების თანამშრომლობას, არამედ აგრესია თითქმის შეუძლებელი ხდება და, შესაბამისად, საერთაშორისო ანარქია ნაკლებ მნიშვნელობას იძენს. თუ სახელმწიფოებს ერთმანეთის დაპყრობა არ ძალუძთ, მაშინ სუვერენიტეტის ნაკლებობა აღარ უბიძგებს მათ, პირველ რიგში, თვითგადარჩენაზე გადაიტანონ ყურადღება. მართალია, იმ შემთხვევაში, თუ ძალა გამოუსადეგარი გახდება, სხვა არასამხედრო ბერკეტების გამოყენებაზე ნაკლები შეზღუდვები დაწესდება, მაგრამ, ისინი იშვიათად არის იმდენად ეფექტიანი, რომ ძლიერი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს საფრთხე შეუქმნას.

თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსში ორი საკითხი შეიძლება გამოიყოს. პირველი, უნდა დახარჯოს თუ არა სახელმწიფომ ერთი დოლარით მეტი ან ნაკლები, რათა გააბათილოს მეორე სახელმწიფოს მიერ საკუთარ შეიარაღებულ ძალებზე დახარჯული თითოეული დოლარი, რადგან ეს ძალები თავდასხმისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული? თუ სახელმწიფოს ერთი დოლარი აქვს დასახარჯი უსაფრთხოების გასაზრდელად, ეს ფული მან თავდაცვით საშუალებებში უნდა დააბანდოს თუ თავდასხმითში? მეორე, მოცემული ძალების გათვალისწინებით, რა ჯობს – თავდასხმა თუ თავდაცვა? რისი სტიმული არსებობს – პირველი დარტყმის მიყენების თუ პირველი დარტყმის მიღების? ეს ორი ასპექტი ხშირად ერთმანეთთან არის დაკავშირებული: თუ თავდასხმაზე დახარჯულ თითოეულ დოლარს თავდაცვაზე დახარჯული თითოეული დოლარის გადაწონა შეუძლია და თუ ორივე მხარის თავდაცვის ბიუჯეტები ერთნაირია, მაშინ მოსალოდნელია, რომ ორივე მათგანი თავდასხმისათვის განკუთვნილ ძალებს განავითარებს და იერიშის მიტანას უფრო მისაღებად ჩათვლის, ვიდრე მოწინააღმდეგის თავდასხმის ლოდინს.

ეს ასპექტები მრავალმხრივ ახდენს გავლენას უსაფრთხოების დილემაზე. პირველს უზარმაზარი გავლენა აქვს გამალებულ შეიარაღებაზე. თუ უპირატესობა თავდაცვას აქვს და თუ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს გონივრული უსაფრთხოების მოთხოვნილებები გააჩნიათ, ისინი, სავარუდოდ, გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებას შეძლებენ. მართალია, ერთი მხარის მიერ შეიარაღებისა

[30] უოლფერსი ამტკიცებს, რომ თუ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფო საკუთარ ძალას მოწინააღმდეგისას გაუტოლებს და არ ეცდება უპირატესობის მოპოვებას, მაშინ მეორე სახელმწიფოს თანამშრომლობის აუცილებლობაში დარწმუნებას შეძლებს იმის ჩვენებით, რომ მას მხოლოდ თავდაცვა სურს და არა სხვებისათვის საფრთხის შექმნა. აქედან გამომდინარე, უოლფერსი ასკვნის, რომ ამ შემთხვევაში თავდაცვას უპირატესობა აქვს. იხილეთ: Arnold Wolfers, *Discord and Collaboration* (Baltimore: Johns Hopkins Press, 1962), 126.

და უსაფრთხოების ზრდა მეორის უსაფრთხოებას მაინც შეამცირებს, მაგრამ პირველის ნამატი უფრო მეტი იქნება, ვიდრე მეორის დანაკლისი. ასე რომ, თუ ერთი მხარე თავის შეიარაღებას გაზრდის, მეორეს უსაფრთხოების ადრინდელ დონეზე დაბრუნება თავისი შეიარაღებული ძალებისათვის მცირე შენამატით შეეძლება. თუ პირველი მხარე ამ ცვლილებაზე რეაგირებას მოახდენს, მის მიერ შეიარაღების ზრდა შედარებით უფრო მცირე მასშტაბის იქნება, ვიდრე ამის განმაპირობებელი სტიმული. ამრიგად, მიიღწევა სტაბილური წონასწორობა. დინამიკური პროცესიდან სტატიკურზე გადასვლით, ერთნაირი სიდიდის შეიარაღებული ძალების მქონე მხარეებს შეუძლიათ, სავსებით უსაფრთხოდ იგრძნონ თავი. მართლაც, თუ თავდაცვა უკეთესია, ვიდრე თავდასხმა, მაშინ თითოეულ მხარეს სურვილი გაუჩნდება, სხვებზე მცირე შეიარაღებული ძალები იყოლიოს და იმის შესაძლებლობა ექნება, რომ მეორის სხვადასხვა ტიპის თავდაცვითი პოლიტიკის მიმართ ინდიფერენტული იყოს.

მეორე ასპექტი – თავდაცვა ჯობს თუ თავდასხმა – მოკლევადიან სტაბილურობაზე გავლენას ახდენს. როდესაც უპირატესობა თავდასხმას აქვს, მაშინ სახელმწიფოს რეაქცია საერთაშორისო დაძაბულობაზე ომის ალბათობას ზრდის. სხვების დასწრების სურვილი და „ორმხრივი უეცარი დარტყმის შიში" ამ ვითარებაში იმ საფრთხეების გაანალიზების შედეგად ხდება ნათელი, რომლებიც სახეზე გვაქვს, როდესაც ორივე ქვეყანას პირველი დარტყმის მიყენების შესაძლებლობა გააჩნია.[31] სახელმწიფოსათვის არ არსებობს საკუთარი უსაფრთხოების გაზრდის საშუალება სხვისთვის საფრთხის შექმნის ან მეორე სახელმწიფოზე თავდახმის გარეშე. ბისმარკმაც კი, რომელმაც ერთხელ პრევენტიულ ომს „სიკვდილის შიშით თვითმკვლეობის ჩადენა" უწოდა, თქვა, რომ „არც ერთი მთავრობა, რომელიც ომს გარდაუვალად მიიჩნევს, თუნდაც არ სურდეს ის, არ იქნება იმდენად სულელი, რომ მტერს დროისა და შესაბამისი შემთხვევის არჩევის საშუალება დაუტოვოს და იმ მომენტს დაელოდოს, რომელიც მტრისთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნება."[32] მსგავსი დილემა წარმოიქმნება სხვა შემთხვევაშიც, მაგალითად პოლიციელისათვის, რომელიც ბნელ ჩიხში შეიარაღებული ეჭვმიტანილის პირისპირ დგას. რასიზმის პრობლემა დღემდე არსებობს და გეტოებში მომხდარი მრავალი ტრაგიკული მკვლელობა სწორედ უსაფრთხობის დილემით შეიძლება აიხსნას.

რწმენა, რომ ომის მსვლელობისას თავდასხმას აქვს უპირატესობა, კიდევ უფრო აღრმავებს უსაფრთხოების დილემას. როდესაც პირველი დარტყმის მიყენების სტიმული არსებობს, ნარმატებული თავდასხმა მეორე მხარეს იმდენად დაასუსტებს, რომ გამარჯვება შედარებით სწრაფი, უსისხლო და გადამწყვეტი იქნება. სწორედ ასეთ დროს არის დაპყრობა შესაძლებელი და მიმზიდველი, როდესაც სახელმწიფოები ქვეყნის შიგნით ძალის კონსოლიდაციას ახდენენ (მაგალითად, მსხვილი ფეოდალების განადგურებით) და საერთაშორისო ასპარეზზე ექსპანსიას ახორციელებენ. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის შანსი მცირდება. პირველი, ომი სარგებელს მოუტანს გამარჯვებულს. ხარჯები დაბალი, ხოლო მოგება მაღალი იქნება. რა თქმა უნდა, დამარცხებულები ბევრს დაკარგავენ. მარცხის შიში სახელმწიფოებს სტაბილური თანამშრომლობითი ჩარჩოს შექმნისაკენ უბიძგებს, მაგრამ გამარჯვების ცდუნება ამის მიღწევას რთულს ხდის. მეორე, ვინაიდან არსებობს მოლოდინი, რომ ომები ხშირად მოხდება და მცირეხნიანი იქნება, შეიარაღების მაღალი დონის სტიმული ჩნდება და სხვის მიერ შეიარაღების ზრდაზე სწრაფ და მკვეთრ რეაქციას აქვს ადგილი. სახელმწიფო თავს უფლებას ვერ მისცემს, იმის უტყუარი საბუთის მოპ-

[31] Thomas Schelling, *The Strategy of Conflict* (New York: Oxford University Press, 1963), chap. 9.

[32] ციტირებულია ნაშრომში: Fritz Fischer, *War of Illusions* (New York: Norton, 1975), 377, 461.

ოვებას დაელოდოს, რომ მეორე ახალ იარაღს ქმნის. თვით დიდი სახელმწიფოებიც კი, რომლებსაც საკუთარი ეკონომიკური სიძლიერის რწმენა გააჩნიათ, ლოდინში დროს ვერ დაკარგავენ, რადგან ვიდრე მათი პროდუქცია არმიამდე მივა, ომი უკვე დამთავრებული იქნება. მესამე, როდესაც ომები სწრაფად მიმდინარეობს, სახელმწიფოებს მოკავშირეების წინასწარ მოძიება უხდებათ.[33] სამხედრო მოქმედებების საწყის ეტაპზე, მშვიდობანი დროის დიპლომატია, ვაჭრობისა და ალიანსების შექმნის შესაძლებლობის გარეშე, ხელს ვეღარ უწყობს ძალთა ბალანსის პოლიტიკას. ვინაიდან მშვიდობიან დროს ალიანსები უნდა შენარჩუნდეს, საერთაშორისო სისტემა, მოსალოდნელია, რომ ბიპოლარული გახდეს. ძნელი სათქმელია, ამის გამო ომის ალბათობა იზრდება თუ არა, მაგრამ ბიპოლარული სისტემა ორ ბანაკს შორის დაძაბულობას ამწვავებს და სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებისათვის თანამშრომლობის მეშვეობით სარგებლის მიღებას ართულებს. მეოთხე, თუ ომები ხშირად ხდება, სახელმწიფო მოღვაწეთა აღქმა შესაბამისად ადაპტირებას განიცდის და ისინი საჭიროს საბუთსაც კი სხვათა აგრესიულობის დასადატურებლად გამოიყენებენ. ამდენად, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები, არასწორ შეხედულებათა გამო, სულ უფრო ხშირად შეიარაღდებიან ერთმანეთის წინააღმდეგ იმ რწმენით, რომ მეორე მტერია.

როდესაც თავდაცვას აქვს უპირატესობა, ყოველივე ზემოთქმული პირიქით ხდება. სახელმწიფო, რომელსაც თავდასხმის ეშინია, პრევენტიულ დარტყმებს არ განახორციელებს, რადგანაც ეს სამხედრო რესურსების გაფლანგვა იქნება. ამის ნაცვლად იგი იერიშის მოსაგერიებლად მოემზადება. ასეთი ქმედება სხვების უსაფრთხოებას არ შეამცირებს, თანაც ამგვარი პოლიტიკის გატარება რამდენიმე სახელმწიფოს ერთდროულად შეუძლია. შედეგად, ვითარება სტაბილური იქნება და სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობას შეძლებენ. როდესაც ჰერმან კანი ამტკიცებს, რომ ულტიმატუმების წაყენება „ძალზე სახიფათოა, რადგან . . . სავარაუდოდ, ეს პრევენტიულ დარტყმებს გამოიწვევს,"[34] მისი დასკვნა, რომ პირველ დარტყმას ყოველთვის უპირატესობა გააჩნია, არასწორია.

აქ გაცილებით მეტი რამ იგულისხმება, ვიდრე მოკლევადიანი დინამიკა. როდესაც თავდაცვა გაბატონებული სტრატეგიაა, ომები, როგორც წესი, ჩიხში შედის და მათი მოგება მხოლოდ უზარმაზარი ეკონომიკური ხარჯის ფასად არის შესაძლებელი. შედარებით პატარა და სუსტ სახელმწიფოებს უფრო დიდი და ძლიერი სახელმწიფოების შეჩერება ძალუძთ, ისევე, როგორც მათი შეკავება დაპყრობის ხარჯების მიუღებელ დონემდე გაზრდით. სახელმწიფოები თანასწორობას იმის მიხედვით ზომავენ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ერთმანეთისათვის. მსგავსად 45 კალიბრიანი პისტოლეტისა ამერიკულ დასავლეთში, საფორტიფიკაციო ნაგებობები გარკვეულ პერიოდებში „დიდი გამანონასწორებელი" ფაქტორი იყო. როდესაც უსაფრთხოების დილემა შემცირებულია, სტატუს კვოს ცვლილებები იშვიათია და თანამშრომლობა ურთიერთობის უფრო მისაღები ფორმა ხდება.

ამ მოსაზრებების დასამტკიცებლად, მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ორივე მსოფლიო ომის წინ დიდი ქვეყნების პოლიტიკიდან. ბისმარკის მიერ წარმოებული ომები იმით ანცვიფრებდა სახელმწიფო მოღვაწეებს, რომ თავდასხმის უპირატესობას ცხადყოფდა და, აგრეთვე, იმითაც, რომ სწრაფი, შედარებით იაფი და გადამწყვეტი იყო. დამკვირვებელებმა ერთი საერთო შეცდომა დაუშვეს და ამგ-

[33] George Quester, *Offense and Defense in the International System* (New York: John Wiley, 1977), 105.
[34] Herman Kahn, *On Thermonuclear War* (Princeton: Princeton University Press, 1960), 211. (იხილეთ აგრეთვე 144-ე გვერდი).

ვარი მოდელი მომავალშიც გადაიტანეს.[35] შესაბამის მოლოდინებს რამდენიმე შედეგი მოჰყვა. პირველი, სახელმწიფოები ხანგრძლივი დროით მოკავშირეებს აღარ იძენდნენ. საფრანგეთ-პრუსიის ომის ადრეულ ეტაპზე ნაპოლეონ მესამე ფიქრობდა, რომ საკმარისი დრო ექნებოდა ავსტრიის თავის მხარეზე გადმოსაბირებლად. მსგავსი შეცდომის გამეორებას სხვები აღარ აპირებდნენ. მეორე, თავდაცვის ბიუჯეტები დიდი იყო და მოწინააღმდეგის მიერ ხარჯების გაზრდის საპასუხოდ მკვეთრად იცვლებოდა. არ არის გასაკვირი, რომ რიჩარდსონის გამალებული შეიარაღების თეორია ზუსტად შეესატყვისება ამ პერიოდს. მესამე, გადაწყვეტილების მიმღებთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ევროპას შემდეგი ომი დიდი სისხლისა და სიმდიდრის ფასად არ დაუჯდებოდა.[36] ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ომი გარდაუვალ მოვლენად განიხილებოდა და საზოგადოებრივი აზრი საომრად იყო განწყობილი. მეოთხე, რამდენადაც ომი მოსალოდნელი ჩანდა, არსებობდა დიდი ზეწოლა პრევენტიული დარტყმების განსახორციელებლად. ორივე მხარეს სჯეროდა, რომ ვინც პირველი დაიძვრებოდა, ის მტრის ზურგში ღრმად შეღწევას და მისი მობილიზაციის სისტემის დარღვევას შეძლებდა და, შესაბამისად, შეუქცევად უპირატესობას მოიპოვებდა. (საზღვაო ძალების შესახებ მსგავსი შეხედულება არ გამოთქმულა. მართალია, ჩერჩილმა არაკეთილგონივრული განცხადება გააკეთა – თუ გერმანული გემები „ომის დროს არ გამოვლენ და არ იბრძოლებენ, მაშინ ისინი ვირთხებივით სოროში მოისპობიან,"[37] მაგრამ ყველამ იცოდა, რომ წყალქვეშა გემების, ნაღმებისა და სანაპიროზე არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების გამო ეს შეუძლებელი იყო. ამრიგად, ომის დასაწყისში თითოეული ქვეყნის საზღვაო ფლოტი თავის დასაცავად უფრო ემზადებოდა, ვიდრე იერიშის მისატანად და მოკლევადიანმა მადესტაბილიზებელმა ძალებმა, რომლებმაც არმიები ერთმანეთს დაუპირისპირა, ამ შემთხვევაში არ იმუშავა.)[38] ამას გარდა, თითოეულმა მხარემ იცოდა, რომ მეორე ზუსტად ასევე ხედავდა ვითარებას, რის გამოც იზრდებოდა აღქმული საფრთხე, რომ მეორე სახელმწიფო იერიშზე გადავიდოდა. ეს თითოეულს იმის დამატებით საბაბს აძლევდა, რომ ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ომის დაწყება დაეჩქარებინა. გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში არსებობდა მონინააღმდეგეზე დარტყმის როგორც თავდასხმითი, ისე თავდაცვითი სტიმულები. ეს ვითარება ნათელს ჰფენს 1914 წელს გერმანიის მოტივაციის შესახებ არსებულ ზოგად შეკითხვას: „გერმანიამ განზრახ დაიწყო ომი, რათა მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო გამხდარიყო, თუ იგი უბრალოდ ავსტრიას უჭერდა მხარს, რათა თავისი დასუსტებული მოკავშირე დაეცვა" და,

[35] წარსულის მაგალითზე მცდარი დასკვნების გამოტანის შესახებ იხილეთ: Jervis, *Perception and Misperception in International Relations* (Princeton: Princeton University Press, 1976), chap. 6. მნიშვნელოვანი და ჯერჯერობით არასრულად შესწავლილი საკითხი, თუ რატომ ჩამოყალიბდა ეს შეხედულება და რატომ შენარჩუნდა მთელი ომის განმავლობაში გამოკვლეულია ბერნარდ ბროუდის მიერ ნიგნში: *War and Politics* (New York: Macmillan, 1973), 262-70; Brodie: "Technological Change, Strategic Doctrine, and Political Outcomes," in Klaus Knorr, ed, *Historical Dimension of National Security Problems* (Lawrence: University Press of Kansas, 1976), 290-92; Douglas Porch, "The French Army and the Spirit of the Offensive 1900-14," in Brian Bond and Ian Roy, eds, *War and Society* (New York: Holmes & Meier, 1975), 117-43.

[36] ზოგიერთები ასე ოპტიმისტურად არ ყოფილან განწყობილნი. გრეის შენიშვნა კარგად არის ცნობილი: „ნათურები მთელს ევროპაში ქრება. ჩვენი ცხოვრების მანძილზე მათ ანთებულებს ვეღარ ვიხილავთ." გერმანიის პრემიერ-მინისტრს ბეთმან ჰოლვეგს ასევე ეშინოდა ომის შედეგების. მაგრამ გაბატონებული შეხედულება მაინც ის იყო, რომ გამარჯვებული, საბოლოო ჯამში, მოგებული დარჩებოდა.

[37] ციტირებულია ნაშრომში: Martin Gilbert, *Winston S. Churchill* III, *The Challenge of War*, 1914-1916 (Boston: Houghton Mifflin, 1971), 84.

[38] Quester (fn. 4), 98-99; Robert Art, *The Influence of Foreign Policy on Seapower*, II (Beverly Hills: Sage Professional Papers in International Studies Series, 1973), 14-18, 26-28.

შესაბამისად, საკუთარი პოზიციაც?[39] გარკვეულწილად, ეს კითხვა არასწორად არის დასმული. თავდასხმის აღქმული უპირატესობის გამო, ომი, როგორც ექსპანსიის განხორციელების, ისე გავლენის მკვეთრად დაკარგვის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული. გერმანიას საკუთარი პოზიციის შესანარჩუნებლად და დასაცავად უბრალოდ სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი.

რა თქმა უნდა, ამ ომმა გვიჩვენა, რომ ამგვარი შეხედულებები ყოველმხრივ მცდარი იყო. სანგრებმა და ტყვიამფრქვევებმა თავდაცვას უზარმაზარი უპირატესობა მიანიჭა. ომი ჩიხში მოექცა და უდიდესი მსხვერპლი გამოიწვია. მეომრებისათვის აზრი აღარ ჰქონდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლას. მათ რომ თავდაცვის ძალა წინასწარ სცოდნოდათ, ისინი მტრის ტერიტორიის ნაცვლად თავიანთ სანგრებს მიაშურებდნენ. თითოეულ მხარეს ამის გაკეთება იმგვარად შეეძლო, რომ სხვისთვის იერიშის მიტანის სურვილი არ აღეძრა. ომი, შესაძლოა, ნებისმიერ შემთხვევაში დაწყებულიყო, მაგრამ დროის წნეხი და შიში იმისა, რომ პირველ დარტყმას სხვა განახორციელებდა, ასეთ დასასრულს არ განაპირობებდა. ორივე მხარეს რომ ომის საფასური სცოდნოდა, ისინი უფრო სერიოზულად მოეკიდებოდნენ მოლაპარაკებებს. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ არ სცადეს სახელმწიფოებმა მოლაპარაკების გზით გამოსავლის პოვნა, როდესაც ომის მასშტაბი ცხადი გახდა. შლიფენმა თქვა, რომ, მისი გეგმის ჩავარდნის შემთხვევაში მშვიდობის დამყარება უნდა ეცადათ.[40] პასუხი რთული, არადამაჯერებელია და ძირითადად ჩვენი ინტერესის ფარგლებს სცდება. მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი იყო იმედი და ზოგჯერ მოლოდინი იმისა, რომ გარღვევა შესაძლებელი იქნებოდა და თავდასხმის გაბატონებული სტრატეგია კვლავ აღდგებოდა. ამ იმედის გარეშე დამაჯერებელ გამარჯვებამდე ბრძოლის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა შეიძლება დაძლეულიყო.

მსოფლიო ომებს შორის პერიოდის პოლიტიკა ნინა კონფლიქტების შესახებ არსებულმა მოგონობებმა და იმ რწმენამ განსაზღვრა, რომ მომავალში ნებისმიერი ომი პირველის მსოფლიო ომის მსგავსი იქნებოდა. წარსულის პოლიტიკურმა და სამხედრო გამოცდილებამ უსაფრთხოების დილემის შემცირებას შეუწყო ხელი. ვიდაიდან ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, პირველი მსოფლიო ომი შეცდომა იყო და მისი თავიდან აცილება მორიგების გზით შეიძლებოდა, ბრიტანეთიც და, მეტ-ნაკლებად, საფრანგეთიც მიიჩნევდა, რომ გერმანიის შეიარაღებაზე სწრაფი და მკვეთრი რეაქცია უსარგებლო კონფლიქტს გამოიწვევდა. რადგან ბრიტანეთი და საფრანგეთი მოელოდნენ, რომ თავდაცვა კვლავ დარჩებოდა გაბატონებულ სტრატეგიად, მათ გადაწყვიტეს, რომ მშვიდობიანი და მუქარის არშემცველი სამხედრო პოლიტიკის გატარება უსაფრთხო იქნებოდა.[41] ბრიტანეთი ალიანსის შიგნით მჭიდრო კავშირების შენარჩუნების ნაკლებ საჭიროებას ხედავდა. მაშინ მოკავშირეების სამხედრო ძალები გერმანიისათვის მცირე საფრთხეს წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი რომ სტატუს კვოთი კმაყოფილი ყოფილიყო, მაშინ ორივე მხარეს

[39] Konrad Jarausch, "The Illusion of Limited War: Chancellor Bethmann Hollweg's Calculated Risk, July 1914," *Central European History*, II (March 1969): 50.

[40] Brodie, *War and Politics* (New York: Macmillan, 1973), 58.

[41] პრეზიდენტი რუზველტი და ამერიკელი დელეგატები ერთა ლიგის განიარაღების კონფერენციაზე ამტკიცებდნენ, რომ ტანკმა და მობილურმა მძიმე არტილერიამ თავდასხმის უპირატესობა აღადგინა, ამიტომ, განიარაღება კიდევ უფრო საგულისხმო გახდა (Marion Boggs, *Attempts to Define and Limit "Aggressive" Armament in Diplomacy and Strategy* [Columbia: University of Missouri Studies, XVI, No. 1, 1941]: 31, 108), მაგრამ ეს უმცირესობის პოზიცია იყო და მას თვით ამერიკელებიც კი არ დაიჯერებდნენ. სამხედროთა პრესტიჟისა და გავლენის შესუსტებამ და მთავრობაზე დიდმა ზეწოლამ თავდაცვითი ხარჯების შესამცირებლად ამ პერიოდში ასევე ხელი შეუწყო თავდაცვის ბიუჯეტების შემცირებას.

გაუადვილდებოდა ფორტიფიკაციების მიღმა თავის უსაფრთხოდ გრძნობა. რა თქმა უნდა, გერმანელები უკმაყოფილონი იყვნენ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მათ საკუთარი ფული და ყურადღება თავდაცვის ჩიხიდან თავის დაღწევისაკენ მიმართეს. *ბლიცკრიგის* ტაქტიკა აუცილებელი იყო, თუ მათ ძალის გამოყენებით სურდათ სტატუს კვოს შეცვლა.

დასავლეთის ფრონტზე ომის პირველი ეტაპი პირველი მსოფლიო ომისაგან განსხვავდებოდა. პირველი დარტყმის მიყენების სტიმული მხოლოდ ახალი საჰაერო შეიარაღებული ძალების ყოლის შემთხვევაში გაჩნდებოდა. თუმცა, ეს ძალები ძალიან სუსტი იყო იმ გრანდიოზული გეგმების შესასრულებლად, რომლებზეც ოცნებობდნენ და, ამავდროულად, შიშით ფიქრობდნენ. ძირითადი საომარი ინსტრუმენტი – ჯარი თავდაცვითი პოზიციისაკენ ისწრაფოდა. მოკავშირეები, ალბათ, შეძლებდნენ წარმატებული იერიშის განხორციელებას მაშინ, როდესაც გერმანია პოლონეთს იპყრობდა.[42] თუმცა, თავდაცვის სტრატეგიისადმი რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ ეს შესაძლებლობა სერიოზულად არასოდეს განხილულა. ომის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, ფაქტობრივად, ჰიტლერის გარდა, ყველას აზრი გამოხატა: დასავლეთის ფრონტი „ჩიხში მოექცა. ორი თანაბარი ძალა, რომელთაგან ერთი უტევს და ესოდენ დიდი მსხვერპლი მოაქვს, ვერ დაიძვრება ომის შემდგომი გაგრძელების ან მისი შედეგებისათვის საფრთხის შექმნის გარეშე."[43] მოკავშირეები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელიც მათ სრულად ვერასოდეს გააცნობიერეს. ერთი მხრივ, მათ საკმაოდ შორსმიმავალი საომარი მიზნები ჰქონდათ; მართალია, უპირობო კაპიტულაციის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ იყო მიღებული, მაგრამ ბრიტანეთი ომის დასაწყისშივე ხვდებოდა, რომ ჰიტლერის ხელისუფლებიდან მოშორება მშვიდობის აუცილებელი პირობა იყო.[44] მეორე მხრივ, არ არსებობდა რეალისტური გეგმები ან ბერკეტები, რომლებიც მოკავშირეებს მეორე მხარისათვის საკუთარი ნების თავს მოხვევის შესაძლებლობას მისცემდა. ბრიტანეთის იმპერიის გენერალური შტაბის მეთაურმა აღნიშნა, რომ „ფრანგებს წლების განმავლობაში თავდასხმაზე გადასვლის არავითარი განზრახვა არ ჰქონიათ და საეჭვოა, თუ საერთოდ ოდესმე უფიქრიათ ამაზე;" ბრიტანელი მხოლოდ მცირედით აჭარბებდა.[45] მაშასადამე, მოკავშირეები ხანგრძლივ ომს ელოდნენ, რომელიც გერმანიას ბოლოს მოუღებდა, საკეების ნაკლებობის წარმოქმნით სამოქალაქო უკმაყოფილებას გამოიწვევდა და, საბოლო ჯამში, ჰიტლერის დაცემით დასრულდებოდა. თითქმის არ არსებობდა ისეთი ანალიზი, რომელიც ამ შეხედულებას დაასაბუთებდა. შესაძლოა, ეს მართლაც არ იყო მხადასაჭერი იდეა, მაგრამ როდესაც თავდაცვა გაბატონებულ სტრატეგიად გვევლინებოდა და ორივე მხარე თითქმის თანაბარი სიძლიერის შეიარაღებულ ძალებს ფლობდა, კიდევ რისი გაკეთება შეეძლოთ მოკავ-

[42] Jon Kimche, *The Unfought Battle* (New York: Stein, 1968); Niccholas William Bethell, *The War Hitler Won: The Fall of Poland, September 1939* (New York: Holt, 1972); Alan Alexandroff and Richard Rosecrance, "Deterrence in 1939," *World Politics*, XXIX (April 1977): 404-24.

[43] Roderick Macleod and Denis Kelly, eds, *Time Unguarded: The Ironside Diaries, 1937-1940* (New York: McKay, 1962), 173.

[44] მცირე ხნის განმავლობაში, როდესაც საფრანგეთი სუსტდებოდა, ბრიტანეთის კაბინეტი ჰიტლერთან ზავის დადების შესაძლებლობას განიხილავდა. ოფიციალური ისტორია ამ ფაქტის მიჩქმალვას ცდილობს, მაგრამ ეს მოვლენა აღნერილია ნაშრომში: P. M. H. Bell, *A Certain Eventuality* (Farnborough, England: Saxon House, 1974), 40-48.

[45] Macleod and Kelly (fn. 14), 174. საღი აზრისა და თანამედროვე ომის შესახებ არსებული თითქმის ყველა შეხედულების საწინააღმდეგოდ, მოკავშირეებმა სკანდინავიაში ექსპედიცია დაგეგმეს, რათა გერმანიისათვის რკინის მიწოდება შეეწყვიტათ და ფინელებისათვის რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება აღმოეჩინათ. თუმცა, გაბატონებული განწყობა ზემოაღნერილის მსგავსი იყო.

შირეებს?

ზემოთქმულის შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უსაფრთხოების დილემა ჯნინდელზე ნაკლებად გავლენიან ფაქტორად იქცა. მოგვიანებით, თავდაცვის მოსალოდნელმა გაძლიერებამ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს თავსებადი უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებისა და გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების შესაძლებლობა მისცა. ამას გარდა, დიდმა დაძაბულობამ და ომის შიშმა მოკლევადიანი დინამიკა ვერ გადანონა, რის შედეგადაც თითოეული სახელმწიფო, უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, უნებლიედ ომის ალბათობასაც ზრდიდა. ომის მოსალოდნელმა მაღალმა ხარჯებმა მოკავშირეებს რწმენა გაუღრმავა, რომ კონტინენტზე გაბატონების მიზნით არც ერთი შეშლილი გერმანელი ლიდერი ასეთ რისკზე აღარ წავიდოდა. ამ ფაქტორმა თავად მათაც ააღებინა ხელი ომის დაწყებაზე.

ტექნოლოგია და გეოგრაფია

ტექნოლოგია და გეოგრაფია ის ორი ძირითადი ფაქტორია, რომლებიც განსაზღვრავს, თავდაცვას აქვს უპირატესობა, თუ თავდასხმას. ბროუდის განცხადების თანახმად, „ტაქტიკური თვალსაზრისით, როგორც წესი, თავდამსხმელს ძალიან ცოტა ფაქტორი უწყობს ხელს, ხოლო თავდამცველს მრავალი ფაქტორი ეხმარება. დამცველი, ჩვეულებრივ, დამალვის უპირატესობას ფლობს. ის, როგორც წესი, ცეცხლს რომელიმე თავშესაფრიდან ხსნის, მაშინ როდესაც მისი მოწინააღმდეგე ღია ადგილას დგას."[46] ყველაფერი, რაც ზრდის იმ ფართობის მოცულობას, რომელიც თავდამსხმელმა უნდა გადალახოს, რაც აფერხებს მის წინსვლას ან უფრო ასუსტებს მას ტერიტორიის გადალახვისას, თავდაცვის უპირატესობას განაპირობებს. როდესაც სახელმწიფოები ერთმანეთისაგან ბარიერებით არიან განცალკევებულნი, რაც ამგვარ ეფექტს ქმნის, უსაფრთხოების დილემა მცირდება, ვინაიდან ორივეს თავდაცვისათვის შესაფერისი, მაგრამ თავდასხმისათვის გამოუსადეგარი ძალები გააჩნია. დაუძლეველ ბარიერებს, რეალურად, ომის აღკვეთა შეუძლია; შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებთ ნაკლები საზრუნავი უჩნდებათ. ბუფერული ზონები თავდამსხმელის წინსვლას აფერხებს; ისინი თავდამცველს მოსამზადებელ დროს აძლევს, მომარაგების პრობლემებს ართულებს და იმ ჯარისკაცთა რაოდენობას ამცირებს, რომელთა გამოყენებაც საბოლოო თავდასხმისას არის შესაძლებელი. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ართურ ბალფური ავღანეთის „მოუხელთებელ" თვისებებზე საუბრობდა: „ვინაიდან იქ გზები ცოტაა, ხოლო რკინიგზა საერთოდ არ არსებობს, რუსეთისათვის ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება თავისი რიცხობრივი უპირატესობის ეფექტიანად გამოყენება." რუსები ბუფერებს ამავე მოსაზრებათა გამო აფასებდნენ. გასაკვირი არ არის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც სპარსეთი გავლენის რუსულ და ბრიტანულ სფეროებად დაიყო, რუსები გარანტიის მოპოვებას შეეცადნენ, რომ ბრიტანელები პოტენციურად საფრთხის შემცველი სარკინიგზო ხაზის მათ სფეროში გაყვანისაგან თავს შეიკავებდნენ. რკინიგზის მშენებლობამ რადიკალურად შეცვალა ქვეყნების თავდაცვისა და თავდასხმის შესაძლებლობები. ამიტომ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს უამრავი დიპლომატიური ნოტა და სადაზვერვო საქმიანობის დიდი ნაწილი სწორედ ამ საკითხს ეძღვნებოდა.[47]

---

[46] Brodie (ſn. 11), 179.

[47] Arthur Balfour, "Memorandum," Committee on Imperial Defence, April 30, 1903, 2-3; იხილეთ სერ ართურ ნიკოლსონის დეპეშები ნაშრომში: G..P. Gooch and Harold Temperley, eds, *British Documents*

ოკეანეები, დიდი მდინარეები და მთაგრეხილები იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ბუფერული ზონები. ვინაიდან მათი გადალახვა ძნელია, ისინი თავდაცვის საშუალებაა უპირატესი რიცხოვნობის წინააღმდეგ. თავდამცველი უბრალოდ თავისი ბარიერის მიღმა უნდა დადგეს და ყველა ადამიანური რესურსი გამოიყენოს, რომელთა მოძიებაც ძალუძს. თავდამსხმელს ერთდროულად ჯარისკაცთა მხოლოდ მცირე რაოდენობის გაადგილება შეუძლია და ამ დროს ისინი ძალზედ დაუცველნი არიან. სახელმწიფოები თვითკმარი კუნძულები რომ იყვნენ, მაშინ ანარქია გაცილებით უმნიშვნელო პრობლემა იქნებოდა. შემოსევის მოსაგერიებლად სანაპირო თავდაცვასა და მცირე არმიაში ინვესტირება სრულიად იკმარებდა. მხოლოდ ძალიან სუსტი სახელმწიფოები იქნებოდნენ დაუცველნი და მხოლოდ ძალიან დიდი სახელმწიფოები შეძლებდნენ სხვებზე დამუქრებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და, შედარებით ნაკლებად, დიდმა ბრიტანეთმა ბუნებრივ მდგომარეობას თავი დააღწიეს, რადგან მათი გეოგრაფიული მდებარეობა ხსენებულ იდეალთან ახლოს იყო.

მართალია, გეოგრაფია საზღვრების მიხედვით ვერ შეიცვლება, მაგრამ, სამაგიეროდ, გეოგრაფიასთან შესაბამისობაში მოსასვლელად საზღვრები შეიძლება შეიცვალოს და ასეც ხდება. საზღვრები, რომლებზეც თავდასხმა იოლია, როგორც წესი, არასტაბილურია. ამგვარ საზღვრებში მოქცეული სახელმწიფოები, სავარაუდოდ, გაფართოვდებიან ან, პირიქით, მათ თავად ჩაყლაპავენ სხვები. ხშირი ომები თითქმის გარდაუვალია, რადგან თავდასხმა, პრაქტიკულად, ყოველთვის თავდაცვის საუკეთესო საშუალებად განიხილება. ეს პროცესი მხოლოდ მაშინ შეჩერდება ან, სულ მცირე, შენელდება მაინც, როდესაც სახელმწიფოს საზღვრები (ექსპანსიის ან გარიგების შედეგად) ბუნებრივ ბარიერს დაემთხვევა. უსაფრთხოება თავდასხმის გარეშე მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი. ამას გარდა, მოლაპარაკების პროცესში ეს მიჯნები პრობლემების გადაჭრის გზასაც წარმოადგენს: ისინი მიგრაციისათვის ბარიერს ქმნის და ეთნიკურ ჯგუფებს ერთმანეთისაგან განაცალკევებს. შესაბამისად, ხარჯები იზრდება, ხოლო დაპყრობის სტიმული მცირდება.

რომელიმე სახელმწიფოსა და მისი მიწისადმი მიკუთვნება ერთგვარ კვაზიგეოგრაფიულ დახმარებას უწევს თავდაცვას. რაც უფრო ღრმად იჭრება თავდამსხმელი სხვის ტერიტორიაზე, მით უფრო რთულდება დაპყრობა. ნაციონალიზმი დამცველებს უფრო მეტად ბრძოლისაკენ აქეზებს. წინ წაწევა არა მარტო თავდამსხმელის მომარაგების ხაზს აგრძელებს, არამედ იგი მანამდე უცნობ და, ხშირ შემთხვევაში, განადგურებულ მხარეში შეჰყავს, სადაც გარნიზონის ჩაყენებაა საჭირო. თუმცა, ეს მასტაბილიზებელი ფაქტორები არ იმოქმედებს, თუ თავდამცველის საომარი საშუალებები მისი საზღვრის ახლოს არის განლაგებული ან თუ ხალხისათვის სულ ერთია საკუთარი სახელმწიფოს ბედი და მათ მხოლოდ გამარჯვებულის მხარეს ყოფნა სურთ. ამგვარ შემთხვევებში დადებითი უკუკავშირი იმუშავებს და მარცხი გარდაუვალი იქნება.[48]

გეოგრაფიის იმიტირებით ადამიანებმა ბარიერების შექმნა სცადეს. ხელშეკრულებათა საფუძველზე საზღვრის ორივე მხარეს დემილიტარიზებული ზონების შექმნაა შესაძლებელი. თუმცა, ამგვარი ზონები იშვიათად არის იმდენად ღრმა, რომ მხარეებისათვის გაფრთხილებაზე მეტი უზრუნველყოს. ევროპაში ამის განხორ-

on the Origins of the War, vol. 4 (London: H.M.S.O., 1929): 429, 524. ეს ბარიერები ხელს არ უშლის შორ მანძილზე მფრინავ სამხედრო თვითმფრინავებს, თუმცა, ჰაერშიც კი დისტანცია თავდამცველს ეხმარება.

[48] იხილეთ, მაგალითად, ჩინელ მთავარსარდლებს შორის ომის თემის განხილვა ნაშრომში: Hsi-Sheng Chi, "The Chinese Warlord System as an International Syatem," in Morton Kaplan, ed, *New Approaches to International Relations* (New York: St.Martin's, 1968), 405-25.

ციელებაც შეუძლებელი იყო, მაგრამ რუსებმა თავიანთი რკინიგზის ხაზებისათვის უფრო ფართო ზომა შეარჩიეს, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებს ჰქონდათ, რითაც ნებისმიერი თავდამსხმელისათვის მომარაგების პრობლემა გაართულეს, მათ შორის საკუთრივ რუსეთისთვისაც.

ალბათ, ყველაზე უფრო ამბიციური და გარკვეული ხნის მანძილზე წარმატებული სისტემის შექმნის მცდელობა, რომელიც ორივე მხარის თავდაცვას წაადგა, მსოფლიო ომებს შორის პერიოდში დადებული საზღვაო ხელშეკრულებები იყო, ვინაიდან მათ ამერიკა-იაპონიის ურთიერთობებზე მოახდინეს გავლენა. როგორც უკვე აღინიშნა, პრობლემა ის იყო, რომ იაპონიის თავდაცვისუნარიანობის მკვეთრად შეზღუდვის გარეშე აშშ ფილიპინების დაცვას ვერ შეძლებდა.[49] (1941 წელს აღნიშნული დილემის გადაჭრა შეუძლებელი გახდა, როდესაც იაპონია მალაიზიასა და ჰოლანდიის ოსტინდოეთზე კონტროლის დამყარებას შეეცადა. ფილიპინები რომ დაცული ყოფილიყო, ეს კუნძულები უსაფრთხო ბაზა იქნებოდა ამერიკელებისათვის, საიდანაც ისინი ნაოსნობას შეუშლიდნენ ხელს იაპონიასა და იმ მხარეს შორის, რომლის დაპყრობასაც ცდილობდნენ.) 1920-იან და 1930-იან წლებში თითოეული მხარე მზად იყო, მეორისათვის მისი სამფლობელოების უსაფრთხოების გარანტია მიეცა, საპასუხო ნაბიჯის სანაცვლოდ. ვაშინგტონის საზღვაო კონფერენციის შეთანხმებები სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. როგორც იაპონელმა დიპლომატმა მოგვიანებით აღნიშნა, მათი ქვეყნის „ძირითადი პრინციპი თავდასხმისათვის არასაკმარისი და თავდაცვისათვის ადეკვატური ძალის" ფლობა იყო.[50] ამიტომ, 1922 წელს იაპონია ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების მხოლოდ სამი მეხუთედის სიდიდის ფლოტის ყოლას დათანხმდა, ხოლო აშშ-მა პირობა დადო, რომ თავის მფლობელობაში მყოფ წყნარი ოკეანის კუნძულებს არ გაამაგრებდა.[51] (მანამდე იაპონია აიძულეს, პირველ მსოფლიო ომში გერმანიისაგან მიღებული კუნძულების ფორტიფიკაციაზე უარი ეთქვა.) იაპონიის საზღვაო ძალები საკმარისად დიდი ვერ იქნებოდა იმისათვის, რომ ამერიკის დამარცხება შეძლებოდა სადმე სხვაგან, გარდა საკუთარი კუნძულების სიახლოვისა. მართალია, იაპონელები მაინც მოახერხებდნენ ფილიპინების აღებას, მაგრამ, ისინი არა მარტო წინსვლას ვეღარ შეძლებდნენ, არამედ იმდენად დასუსტდებოდნენ, რომ კონტრშეტევისაგან დაუცველნი გახდებოდნენ. თუმცა, იაპონიამ უსაფრთხოება მაინც მოიპოვა. ამერიკელთა მიერ თავდასხმის განხორციელება უფრო რთულ საქმედ ითვლებოდა, ვინაიდან ამერიკული ბაზები დაუცველი იყო და, თანაც, 1930 წლამდე იაპონიას უფლება ჰქონდა, შეუზღუდავი რაოდენობის კრეისერები, გამანადგურებლები და წყალქვეშა გემები ჰყოლოდა, რომელთა საშუალებითაც ოკეანის გადასერვისას ამერიკულ ფლოტს დაასუსტებდა.[52]

თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსის მეორე ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ტექნოლოგიაა. როდესაც იარაღი დაუცველია, მისი გამოყენება მანამდე უნდა მოხდეს, ვიდრე მასზე იერიშს მიიტანენ. სხვა ტიპის იარაღი კი შეიძლება სრულიად

[49] ზოგიერთი ამერიკელი გადაწყვეტილების მიმღები, სამხედრო ოფიცრების ჩათვლით, ფიქრობდა, რომ ამ დილემის გადაჭრის საუკეთესო გზას ფილიპინებისათვის თავის დანებება წარმოადგენდა.

[50] ციტირებულია ნაშრომში: Elting Morrison, *Turmoil and Tradition: A Study of the Life and Times of Henry L.Stimson* (Boston: Houghton Mifflin, 1960), 326.

[51] აშშ-მა „უარი განაცხადა პავაის თავდაცვის შეზღუდვაზე, რადგან ეს იაპონიას საფრთხეს არ უქმნიდა." William Braisted, *The United States Navy in the Pacific, 1909-1922* (Austin: University of Texas Press, 1971), 612.

[52] ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც იაპონელი ადმირალები მკვეთრად არ ეთანხმებოდნენ სამოქალაქო ლიდერების მიერ შვიდი ათთან შეფარდების მიღებას შედარებით მსუბუქი გემების შეიარაღებაში 1930 წელს. იხილეთ: Stephen Pelz, *Race to Pearl Harbor* (Cambridge: Harvard University Press, 1974), 3.

გამოუყენებელი დარჩეს ბაზებში. ამგვარი რამ ახასიათებს დაუცველ ჭურვებსა და მრავალი სახის ბომბდამშენებს. (უნდა აღინიშნოს, რომ დაუცველობა, როგორც ასეთი, არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც დაუცველი ობიექტის განლაგება. ბომბდამშენები და ჭურვები, რომელთა განადგურება ადვილია მხოლოდ სამიზნეთა მიმართულებით გაშვების შემდეგ, დესტაბილიზაციის ფაქტორს არ წარმოადგენს.) პირველი დარტყმის მიყენების სტიმული, ჩვეულებრივ, არ არსებობს საზღვაო ძალებში. გამაგრებულ სილოსში მოთავსებული ჭურვების მსგავსად, ისინი, როგორც წესი, კარგად დაცულია თავიანთ ბაზებში. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარეს ერთდროულად შეუძლია, წარმატებულად მოემზადოს თავდაცვისათვის.

სახმელეთო ომის დროს გარკვეულ პირობებში, სიმაგრეების, სანგრებისა და ჯარისკაცთა მცირე ჯგუფების წყალობით, საგანგებოდ მომზადებულ ადგილებში დიდი რაოდენობით თავდამსხმელის შეკავებაა შესაძლებელი. იშვიათია შემთხვევა, როდესაც მცირერიცხოვან თავდამსხმელს თავდაცვის განადგურება ძალუძს. როგორც წესი, ბრძოლა მიმდინარეობს, ერთი მხრივ, ფორტიფიკაციებსა და მათ დამხმარე მსუბუქ შეიარაღებას, ხოლო, მეორე მხრივ, მობილურ ერთეულებსა და მძიმე შეიარაღებას შორის, რომელიც შეტევისათვის გზას წმენდს. ორივე მსოფლიო ომის წინ გავრცელებული მცდარი შეხედულებების თანახმად, არ არსებობს იოლი გზა, რომლითაც დომინანტურ სტრატეგიას დავადგენთ. „ამგვარი რყევები არ არის მშვიდობიანი და პროგნოზირებადი, როგორც უბრალო ქანქარის რხევა. ისინი არათანაბარია, როგორც დროის, ისე ხარისხის თვალსაზრისით. ზოგიერთი მათგანი რომელიმე ბრძოლის ან კამპანიის მსვლელობისას ხდება, ზოგიერთი ომის, სხვები კი ომების მთელის სერიის განმავლობაში." შესაძლებელია გრძელვადიანი რყევების დაფიქსირებაც:

> ადრეული გოთიკის ერა, მეთორმეტე საუკუნიდან მეცამეტე საუკუნის ბოლომდე, თავისი დიდებული საკათედრო ტაძრებითა და ციხესიმაგრეებით, ის პერიოდი იყო, როდესაც თავდამხსმელები ევროპაში, ძირითადად სერიოზულ და მზარდ სიძნელეებს აწყდებოდნენ, რადგან ციხესიმაგრეების მედეგობა ნგრევის ძალას აღემატებოდა. მოგვიანებით, ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების შემდეგ, მეთხუთმეტე საუკუნის მინურულს, ძველმა ციხესიმაგრეებმა წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაკარგა. დადგა ახალი ერა, როდესაც, მოკლე პერიოდების გამოკლებით, თავდასხმის სტრატეგიამ ხელახალი უპირატესობა მოიპოვა. მეჩვიდმეტე საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით 1660 წლის შემდეგ და 1740 წელს ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომის დაწყებამდე, თავდაცვამ კვლავ დაიბრუნა ის ადგილი, რომელიც მას შემდეგ ჰქონდა დაკარგული, რაც შუასაუკუნეების ციხესიმაგრეებმა ახალი და გაცილებით მრავალრიცხოვანი არტილერიის დაბომბვას ვეღარ გაუძლო.[53]

ეს მოსაზრება მეორე მკვლევარმა განავრცო: „მეცხრამეტე საუკუნეში მობილური, მძიმე არტილერიის ახალი ფორმების მეშვეობით თავდასხმამ უპირატესობას მიაღწია. თუმცა, პირველი მსოფლიო ომის გამოუვალმა მდგომარეობამ ისეთი წარმოდგენა შექმნა, თითქოს უპირატესობა ისევ თავდაცვას ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა დაპყრობებმა თავდასხმის დროს მექანიზებული არმიების უპირატესობა ცხადყო."[54]

[53] John Nef, *War and Human Progress* (New York: Norton, 1963), 185. აგრეთვე იხილეთ იქვე გვერდები: 237, 242-43 და 323; C. W. Oman, *The Art of War in the Middle Ages* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1953), 70-72; John Beeler, *Warfare in Feudal Europe*, 730-1200 (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1971), 212-14; Michal Howard, *War in European History* (London: Oxford University Press, 1976), 33-37.

[54] Quincy Wright, *A Study of War* (abridged ed. Chicago: University of Chicago Press, 1964), 142. აგრეთვე იხილეთ გვერდები: 63-70, 74-75. ამ განზოგადებას მნიშვნელოვანი გამონაკლისები აქვს: ამერიკის სამოქალაქო ომი, მაგალითად, იმ პერიოდის შუაში ხდება, როდესაც, რაითის თქმით, თავდასხმა დომინანტურ სტრატეგიას წარმოადგენდა.

დღეისათვის, ჩვეულებრივ შეიარაღებასთან დაკავშირებით, ვითარება საკმაოდ გაურკვეველია. უკანასკნელ ხანებამდე არსებული მოსაზრების თანახმად, ტანკები და ტაქტიკური საჰაერო შეიარაღება თავდამსხმელს ანიჭებდა უპირატესობას. ისრაელისა და არაბული ქვეყნების 1973 წლის ომის თავდაპირველმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ახალმა ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღებამ თავდაცვის პრიმატი აღადგინა. ამგვარი იარაღი იაფი და ადვილად გამოსაყენებელია. მას შეტევაზე წამოსული სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტის დიდი რაოდენობით განადგურების უნარი აქვს. ამ შემთხვევაში სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოსათვის უფრო გონივრულია, 20 000 ამერიკულ დოლარად უამრავი ჭურვი შეიძინოს, ვიდრე რამდენიმე მილიონიანი ბომბდამშენები იყიდოს. თავდაცვა დიდი და კარგად აღჭურვილი ძალების წინააღმდეგაც შესაძლებელი გახდება. სახელმწიფოებს, რომლებიც უშუალოდ თავდაცვაზე ზრუნავენ, გამალებულ შეიარაღებაში ჩაბმა არ დასჭირდებათ. თუმცა, ახალი ტექნოლოგიისა და ოქტომბრის ომის ისტორიის კვლევამ ამგვარი ოპტიმისტური მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა და კონკრეტული დასკვნის გაკეთება შეუძლებელი გახადა.[55]

ბირთვული იარაღის შესახებ მსჯელობისას საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თავდაცვა შეუძლებელია – ეს შეკავების და არა თავდასხმის გამარჯვებაა. თავდასხმას აზრი არ აქვს იმიტომ, რომ თავდამსხმელი თვითონაც განადგურდება. აქ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შედეგი თავდაცვის უპირატესობის ეკვივალენტური მდგომარეობის მიღწევაა. პირველი, უსაფრთხოება შედარებით იაფი ჯდება. მთლიანი ეროვნული პროდუქტის ერთ პროცენტზე ნაკლებია გამოყოფილი უშუალოდ აშშ-ზე შესაძლო თავდასხმის შესაკავებლად, დიდი ნაწილი კი იმ სისტემათა შესყიდვაზე იხარჯება, რომელიც ყველაზე ცუდი შესაძლო შემთხვევებისაგან დაზღვევას უზრუნველყოფს. მეორე, უსაფრთხოების მოპოვება ორივე მხარეს ერთდროულად შეუძლია საპასუხო დარტყმის მიყენების შესაძლებლობით. მესამე, – რაც მეორესთან მჭიდრო კავშირშია – საპასუხო დარტყმის მიყენების შესაძლებლობა შეიძლება შენარჩუნდეს მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო მდგომარეობის ფართო ვარიაციის პირობებშიც. არ არსებობს წმინდა სამხედრო მიზეზი, რომლის გამოც ერთმა მხარემ მეორის მიერ შეიარაღების გაზრდაზე სწრაფი და მკვეთრი რეაგირება უნდა მოახდინოს. ნებისმიერი დანახარჯი, რომელსაც ერთ-ერთი მათგანი პირველი დარტყმის მიყენების შესაძლებლობის მოსაპოვებლად გაიღებს, სხვა სახელმწიფომ საპასუხო დარტყმის შესაძლებლობის შესანარჩუნებლად გაცილებით მცირე თანხის დახარჯვით შეიძლება გაანეიტრალოს. მეოთხე, კრიზისის დროს პირველი დარტყმის განსახორციელებლად სტიმული არ არსებობს.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი პრობლემები მაინც რჩება. ორივე მხარეს გააჩნია ინტერესები, რომლებიც მხოლოდ სამშობლოს დაცვით არ შემოიფარგლება. ამ ინტერესების დაცვის სურვილი იმ შემთხვევაშიც განაპირობებს კონფლიქტს, თუ არც ერთ მხარეს ექსპანსია არ სურს. ამას გარდა, თავდაცვიდან შეკავებაზე გადასვლამ კონფლიქტის გადაჭრის მნიშვნელობა მკვეთრად გაზარდა. ამჟამად უსაფრთხოება თითოეული მხარის შეხედულებას ეფუძნება, რომლის თანახმადაც მეორე საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების შენირვას სრული განადგურების რისკს არჩევს. ამიტომ უსაფრთხოების დილემის ასპექტები ახალი ფორმით ვლინდება. არის თუ არა შეიარაღების შესყიდვა ძალის ინდექსი? უნდა იქნეს თუ არა ის ამგვარად გამოყენებული? თუ ერთი მხარე მეორის შეიარაღებას ვერ უპასუხებს, ჩაითვლება თუ არა

[55] Geoffrey Kemp, Robert Pfaltzgraff, and Uri Ra'anan, eds., *The Other Arms Race* (Lexington, Mass.: D.C. Heath, 1975); James Foster, "The Future of Conventional Arms Control," *Policy Sciences*, No. 8 (Spring 1977): 1-19.

იგი სუსტად და აღძრავს თუ არა თავდასხმის სურვილს? შეუძლია თუ არა ორივე მხარეს, ძლიერი ჩანდეს? თუ აქ ნულოვანჯამიანი ელემენტია ჩართული? მართალია, ეს პრობლემები რეალურია, მაგრამ ნაკლებად მწვავეა წინაბირთვულ ეპოქასთან შედარებით: ძალის მრავალი ინდექსი არსებობს და სახელმწიფოები აბსტრაქტულად არ მსჯელობენ ძლიერის იმიჯზე იმის მიხედვით, კონკრეტული დავის დროს რამდენად მტკიცედ დგას მეორე მხარე თავის პოზიციაზე. სახელმწიფოები, როგორც წესი, სიმტკიცეს იჩენენ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ყველაზე მეტად ეხებათ. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ მათ საკუთარი სიმტკიცის დემონსტრირება ერთდროულად მოახდინონ, რათა თავიანთი უსაფრთხოება დაიცვან.

თავდასხმისა და თავდაცვის განსხვავება

შეიძლება თუ არა სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამიზნული შეიარაღებისა და პოლიტიკის თავდასხმისათვის გამოყენება? ეს კიდევ ერთი ძირითადი ცვლადია, რომელიც უსაფრთხოების დილემაზე დიდ გავლენას ახდენს. თუ ეს დაუშვებელია, მაშინ უსაფრთხოების დილემის ძირითადი პოსტულატი აღარ მოქმედებს. სახელმწიფოს საკუთარი უსაფრთხოების გაზრდა სხვებისათვის საფრთხის შეუქმნელად შეუძლია. თავდაცვის უპირატესობა კიდევ უფრო აძლიერებს უსაფრთხოების დილემას, თავდასხმისა და თავდაცვის საშუალებებს შორის განსხვავება კი თითქმის აქარწყლებს მას. თუმცა, ამგვარი გასხვავება არ ნიშნავს იმას, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გაქრება. თუ თავდასხმას უპირატესობა ექნება, დაპყრობა და აგრესია კვლავ შესაძლებელი გახდება, ხოლო თუ თავდასხმის უპირატესობა საკმაოდ დიდი იქნება, მაშინ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებმა, შესაძლოა, საკუთარი თავდაცვის საშუალებათა გამოყენება ძვირად ღირებულ სიამოვნებად ჩათვალონ და თავდასხმისათვის განკუთვნილი შეიარაღების შესყიდვა გადაწყვიტონ იმის მიუხედავად, რომ ეს სხვებს საფრთხეს შეუქმნის. ამას გარდა, სახელმწიფოებს შეშფოთების საფუძველი იმ შემთხვევაშიც გაუჩნდებათ, თუ მეორე სახელმწიფოს სამხედრო პოზიცია მშვიდობიანობაზე მიუთითებს, რადგან მას, შესაძლოა, მომავალში გაუჩნდეს აგრესიული ზრახვები.

დავუშვათ, რომ თავდაცვა ისეთივე მძლავრია, როგორც თავდასხმა, მაშინ მათ შორის განსხვავება სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, ისე მოიქცნენ, რომ აგრესორის ქმედებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდნენ. ამას სამი სასარგებლო შედეგი მოსდევს. პირველი, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს ერთმანეთის ცნობა, შესაბამისად, თანამშრომლობისათვის საფუძვლის შექმნა შეუძლიათ. მცდარ შეხედულებაზე აღმოცენებული კონფლიქტი, თითქოს მეორე მხარე ექსპანსიონისტია, იშვიათად მოხდება. მეორე, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები სხვების აგრესიულ ზრახვათა შესახებ გაფრთხილებას წინასწარ მიიღებენ. სანამ სახელმწიფო თავდასხმას განახორციელებს, მან თავდასხმისათვის განკუთვნილი შეიარაღება უნდა განავითაროს და განალაგოს. როდესაც ამგვარი შეიარაღების შესყიდვის შენიღბვა შეუძლებელია და ეს, როგორც ყოველთვის, საკმაო დროს მოითხოვს, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოს კონტრზომების მისაღებად დრო რჩება. მას არ სჭირდება დიდი რაოდენობის თავდაცვითი შეიარაღება, ვინაიდან მის პოტენციურ მეტოქეებს მშვიდობიანი პოლიტიკა აქვთ არჩეული. (ამგვარმა აღჭურვამ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები არ უნდა შეაშფოთოს, ერთი გამონაკლისის გარდა, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.) რეალურად, სახელმწიფოები დიდ

ყურადღებას აქცევენ იმ ქმედებებს, რომლებიც, მათი აზრით, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოსათვის მიუღებელი უნდა იყოს, რადგან ამგვარი ქცევა აგრესიულობის ნიშანია. ამიტომ, ერთი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ ღირებულებას მოკლებული და მხოლოდ სამხედრო მიზნებისათვის გამოსადეგი სატრანსპორტო საშუალებების მოპოვება ან განვითარება სხვათა შეშფოთებას გამოიწვევს. 1906 წელს ბრიტანელებმა სპარსეთის ოლქში თავიანთი ქმედებების გამო გამოთქმული რუსების პროტესტი დაგმეს და განაცხადეს, რომ ამ არეალს „[სტრატეგიული] მნიშვნელობა მხოლოდ [რუსებისათვის] აქვს, თუ ისინი ინდოეთის საზღვარზე თავდასხმას ან ბრიტანელებზე ზეწოლას მოინდომებენ, რათა მათ [ბრიტანელებს] აფიქრებინონ, რომ თავდასხმას გეგმავენ."[56]

ანალოგიური დასკვნები კეთდება, როდესაც დამკვირვებლების აზრით, სახელმწიფო უფრო მეტ იარაღს ყიდულობს, ვიდრე მისი თავდაცვისათვის არის საჭირო. სწორედ ამის გამო, 1930 წელს ლონდონის საზღვაო კონფერენციაზე იაპონიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა შეშფოთებული იყო ამერიკელთა მიერ იაპონიისათვის მძიმე კრეისერების სახეობაში 70 პროცენტიან შეფარდებაზე უარის თქმით (60 პროცენტის ნაცვლად): „ვიდრე ამერიკა ათ პროცენტიან უპირატესობას ფლობდა, მას თავდასხმა შეეძლო. ამდენად, როდესაც აშშ, სამოცი პროცენტის ნაცვლად, დაჟინებით მოითხოვდა სამოცდაათ პროცენტს, გაჩნდა მოსაზრება, რომ ამერიკელები თავდასხმის შესაძლებლობის შენარჩუნებას ცდილობდნენ, იაპონელი ხალხი კი ამას ვერ შეურიგდებოდა."[57] ანალოგიურად, როდესაც 1939 წლის იანვარში მუსოლინიმ ჩემბერლენს უთხრა, რომ ჰიტლერის შეიარაღების პროგრამა თავდაცვითი მოსაზრებებით იყო მოტივირებული, პრემიერ-მინისტრმა უპასუხა, რომ „გერმანიის სამხედრო ძალები იმდენად ძლიერი იყო, რომ ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ან სახელმწიფოთა გაერთიანებისათვის შეუძლებელი იქნებოდა მასზე წარმატებული თავდასხმის განხორციელება. თავდაცვის მიზნით მეტი შეიარაღება მას აღარ სჭირდებოდა. მაშ რისთვის უნდოდა ეს ყოველივე?"[58]

რა თქმა უნდა, ამგვარი დასკვნები შეიძლება მცდარიც იყოს, ვინაიდან სახელმწიფოები ყოველთვის ჯეროვნად არ აფასებენ იმ საფრთხეს, რომელსაც ისინი სხვებს უქმნიან.[59] როდესაც ისინი ცდებიან, უსაფრთხოების დილემა კიდევ უფრო მძაფრდება. თუ სახელმწიფო ფიქრობს, რომ მან აგრესიის შესახებ შეტყობინება მიიღო, მის მიერ შეიარაღების დაწყება ნაკლებად იზღუდება და თანამშრომლობის შანსები მცირდება. თუმცა, როდესაც თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებები და პოლიტიკა განსხვავებულია, მეტოქის განზრახვის გამო შექმნილი გაუგებრობა, რომელიც უსაფრთხოების დილემას განაპირობებს, ქრება.

თავდასხმისა და თავდაცვისათვის გამიზნულ შეიარაღებას შორის განსხვავების მესამე სასარგებლო შედეგი ის არის, რომ თუ ყველა სახელმწიფო სტატუს კვოს მომხრეა, შეიარაღების კონტროლის თაობაზე დადებული ხელშეკრულებები იმგვარი შეიარაღების ქონას კრძალავს, რომელიც თავდასხმისათვის არის გამოსადეგი. პრეზიდენტმა რუზველტმა 1933 წელს გამართულ ჟენევის განიარაღების კონფერენციაზე განაცხადა: „თუ ყველა სახელმწიფო დათანხმდება ისეთი იარაღის ფლობასა და

[56] Richard Challener, *Admirals, Generals, and American Foreign Policy, 1898-1914* (Princeton: Princeton University Press, 1973); Grey to Nicolson, in Gooch and Temperley (fn. 18), 414.

[57] ციტირებულია ნაშრომში: James Crowley, *Japan's Quest for Autonomy* (Princeton: Princeton University Press, 1966), 49. ამერიკის საზღვაო ოფიცრები ეთანხმებიან იაპონელებს, რომ ათი ექვსთან შეფარდება საფრთხეს უქმნის იაპონიის უპირატესობას საკუთარ ტერიტორიულ წყლებში.

[58] E. L. Woodward and R. Butler, ed, *Documents on British Policy, 1919-1939.* 3d ser. III (London: H.M.S.O., 1950): 526.

[59] Jervis (fn. 6), 69-72, 352-55.

გამოყენებაზე უარის თქმას, რომლითაც წარმატებული თავდასხმის განხორციელებაა შესაძლებელი, მაშინ ყველა სახელმწიფოს საზღვარი და დამოუკიდებლობა ხელშეუხებელი გახდება."[60] ის ფაქტი, რომ ამგვარი ხელშეკრულებები დღემდე იშვიათია (მაგალითისათვის, შესაძლოა, ზემოგანხილული ვაშინგტონის საზღვაო შეთანხმებები და [1972 წელს] დადებული ანტიბალისტიკური ხელშეკრულება მოვიყვანოთ) გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებს ან არ სურთ სხვების უსაფრთხოების გარანტირება ან ძალიან უჭირთ თავდასხმითი იარაღის თავდაცვითისაგან გარჩევა.

შესაძლებელია კი ამგვარი გამიჯვნა? ესპანელი სახელმწიფო მოღვაწე სალვადორ დე მადარიაგა, რომელიც მსოფლიო ომებს შორის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა განიარაღების შესახებ მოლაპარაკებში, ფიქრობდა, რომ: „იარაღი ან თავდასხმითია ან თავდაცვითი, იქიდან გამომდინარე, თუ რა მიზნით აპირებ მის გამოყენებას." საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამ მოსაზრებას ეთანხმებოდა (თუმცა, საფრანგეთის პოლიტიკა ყოველთვის მისი შეხედულების შესაბამისი არ იყო): „ყოველი იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც თავდასხმისათვის, ისე თავდაცვისათვის . . . ერთადერთი გზა იმის გასაგებად, იარაღი თავდაცვისათვის იქნება გამიზნული თუ აგრესიისათვის, არის თითოეულ შემთხვევაში მოცემული ქვეყნის განზრახვის ამოცნობა." ამ არგუმენტს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ხსენებული ნარუმატებელი მოლაპარაკებების მსვლელობისას დროის უმეტესი ნაწილი თავდასხმისა და თავდაცვის მიზნებისათვის განკუთვნილი იარაღის ერთმანეთისაგან გარჩევას დაეთმო. მართლაც, მარტივი და კონკრეტული განსაზღვრებების ჩამოყალიბება შეუძლებელია და, ხშირ შემთხვევაში, საერთო აზრის მიღწევა წარმოუდგენელი ხდება. პირველ მსოფლიო ომში ამერიკელების ჩაბმამდე ვუდრო უილსონს სურდა, რომ სავაჭრო ხომალდებს ზარბაზნები უკანა მხარეს ჰქონოდა დამონტაჟებული, რათა მათ კონფლიქტის დაწყება არ გამოეწვია, მაგრამ შეიარაღების უფრო თანამედროვე სახეობების არსებობის პირობებში ეს ხერხი აღარ გამოდგება.[61]

არსებობს რამდენიმე პრობლემა. მაშინაც კი, როდესაც შეიარაღების ფორმათა დიფერენციაცია შესაძლებელია, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფო თავდასხმით იარაღს არჩევს ამ სამიდან ნებისმიერ შემთხვევაში: (1) თუ თავდასხმას თავდაცვაზე დიდი უპირატესობა აქვს, თავდაცვითი ძალებით უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეტისმეტად ძვირი ჯდება. (2) სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს, შესაძლოა, თავდასხმითი იარაღი დასჭირდეთ ომის საწყის ეტაპზე დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია ეს იარაღი ომამდე შეისყიდოს. ამდენად, შედარებით მცირე რაოდენობის იარაღი სრულიად საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს, თუ აგრესორმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძლიერი თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ვერ მოასწრო. (3) სახელმწიფოს შეიძლება მიაჩნდეს, რომ თავდასხმისათვის მომზადება მართებს, ვინაიდან მეორე მხარე საზავო პირობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ტერიტორიას დაკარგავს ან ვალდებულება აქვს აღებული, თავდასხმა განახორციელოს, თუ მეორე მხარე მესამეზე იერიშს მიიტანს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ბევრი ვალდებულების მქონე სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები ხშირად იძულებულნი ხდებიან, აგრესორების მსგავსად მოიქცნენ. ამგვარ ვალდებულებათა არარსებობის პირობებშიც კი სახელმწიფოები ვერ იქნებიან მშვიდად, რადგან შეტევის მოგერიების შემდგომ, თავდასხმელის ტერიტორიაზე შეჭრის გარეშე, შესაძლოა, მაინც ვერ მოახერხონ ომის დამთავრება, რაც მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების განადგურებასა და მსხვერ-

[60] ციტირებულია ნაშრომში: Merze Tate, *The United States and Armaments* (Cambridge: Harvard University Press, 1948), 108.

[61] Boggs (fn. 12) 15, 40.

პლს გამოიწვევს. ასე მაგალითად, სამოქალაქო ომის შემდეგ მრავალი ამერიკელი საზღვაო ოფიცერი თვლიდა, რომ „მხოლოდ მეტოქის ვაჭრობის განადგურებით შეეძლო ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰისი საკუთარ პირობებზე დათანხმება."[62]

საკითხი კიდევ უფრო რთულდება იმ ფაქტით, რომ აგრესორებსაც და სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებსაც თავდასხმითი შეიარაღების მოპოვებამდე თავდაცვითი ძალები ესაჭიროებათ, რათა საკუთარი საზღვრები დაიცვან სხვაზე თავდასხმის დროს ან თავი დაიზღვიონ იმ შემთხვევისათვის, თუ ომი ცუდად შემოუტრიალდებათ. ტყვიაგაუმტარი ჟილეტების გამოყენება ერთნაირად შეუძლიათ დამნაშავეებსაც და პოლიციელებსაც. ჰიტლერიც და მაჟინოც თავდაცვით ნაგებობებს აღმართავდნენ. მართლაც, ჩერჩილის ცნობით, 1936 წელს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „როგორც კი ჩვენი ფორტიფიკაციები აშენდება [დასავლეთ საზღვარზე] და ცენტრალური ევროპის ქვეყნები გააცნობიერებენ, რომ საფრანგეთი გერმანიის ტერიტორიაზე ვერ შემოაღწევს, ყველა მათგანი თავისი საგარეო პოლიტიკის გადახედვას დაიწყებს და ახალი თანავარსკვლავედი წარმოიქმნება."[63] ამრიგად, სახელმწიფო უსაფრთხოდ ვერ იგრძნობს თავს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მეზობელი ძლიერ თავდაცვით საშუალებებს აგებს.

უფრო მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოქმნის ის ფაქტი, რომ იარაღის თავდასხმითი ან თავდაცვითი დანიშნულებით გამოყენება კონკრეტულ ვითარებაზეა დამოკიდებული, მაგალითად, გეოგრაფიულ გარემოსა ან იმ ფორმაზე, რომლითაც ეს იარაღი გამოიყენება. „ტანკებს . . . 1940 წელს გერმანელების შეტევისას არდენში გადამწყვეტი ფუნქცია დაეკისრა, თუმცა, ფრანგებს სათანადოდ კონცენტრირებული ჯავშნიანი რეზერვი რომ დაეყენებინათ წინ, ეს მათ შეტევის შეჩერების საუკეთესო საშუალებას მისცემდა და ბრძოლა გერმანელებისათვის საცალალო შედეგით დასრულდებოდა, ნაცვლად ამ უკანასკნელთა დიდი გამარჯვებისა."[64] ჰაერსანინააღმდეგო იარაღი აშკარად თავდაცვით ხასიათს ატარებს – მის გამოსაყენებლად მონინააღმდეგის იერიშზე გადმოსვლაა საჭირო. თუმცა, 1973 წელს ისრაელზე ეგვიპტელთა თავდასხმა შეუძლებელი იქნებოდა ეფექტიანი საჰაერო თავდაცვის საშუალებათა გარეშე, რომლებიც ბრძოლის ველს ფარავდა. ამის მიუხედავად, გარკვეული განსხვავების პოვნა შესაძლებელია. სერ ჯონ საიმონმა, ბრიტანეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ადრე გამოთქმულ შეხედულებათა საპასუხოდ, განაცხადა, რომ, რადგან აშკარა მიჯნის გავლება შეუძლებელია, „ეს იმის თქმის საფუძველს არ გვაძლევს, რომ არ არსებობს ტერიტორიები, რომელთა თაობაზეც ადამიანები ვერ იტყვიან, გამყოფი ხაზის რომელ მხარეს მდებარეობენ ისინი." მართალია, არ არსებობს ისეთი სტრატეგია და იარაღი, რომელიც მხოლოდ თავდასხმისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ არსებობს ისეთი, რომელიც მხოლოდ თავდაცვისათვის გამოიყენება. აგრესორებს ამგვარი შეიარაღება, შესაძლოა, თავდაცვისათვის უნდოდეთ, მაგრამ სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ამ საშუალებებს ეყრდნობა, სხვებს საფრთხეს ვერ შეუქმნის. ხშირ შემთხვევებში, ჩვენ ვერ „განვსაზღვრავთ იარაღის ბუნებას, მაგრამ [შეგვიძლია] შევადაროთ . . . [და] გავარკვიოთ, ჭარბობს თუ არა თავდასხმის პოტენციალი, ან კიდევ, მოცემული იარაღი თავდასხმისათვის უფრო გამოსადეგია თუ თავდაცვისათვის."[65]

[62] Kenneth Hagan, *American Gunboat Diplomacy and the Old Navy, 1877-1899* (Westport, Conn: Greenwood Press, 1973), 20.

[63] Winston Churchill, *The Gathering Storm* (Boston: Houghton, 1948), 206.

[64] Brodie, *War and Politics* (fn. 6), 325.

[65] Boggs (fn. 12), 42, 83. თავდასხმისა და თავდაცვისათვის განკუთვნილი იარაღის შესაძლო განსხვავებების შესახებ 1930-იან წლებში იხილეთ: Basil Liddell Hart, "Aggression and the Problem of Weapons," *English Review*, 55 (July 1932): 71-78.

თავდაცვის არსი მეორე მხარის შენი ტერიტორიის მიღმა შეკავებაში მდგომარეობს. წმინდად თავდაცვისათვის განკუთვნილი იარაღი არის ის, რომელსაც ამ ფუნქციის შესრულება მტრის ტერიტორიაზე შეუჭრელად შეუძლია. ამიტომ, მსოფლიო ომებს შორის პერიოდში გამართულ განიარაღების კონფერენციაზე სამხედრო ექსპერტების კომიტეტმა განაცხადა, რომ შეიარაღება, რომელსაც „დამოუკიდებლად გადაადგილება არ ძალუძს," ან მისი ადგილმდებარეობის შეცვლა დიდ დროს მოითხოვს, „მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიის დაცვისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული."[66] ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი საფორტიფიკაციო ნაგებობებია. მათ მოიერიშე ძალებისათვის თავშესაფრის მაგივრობის გაწევა შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი საზღვრის გასწვრივ არის აგებული,[67] მაგრამ მათი მეშვეობით მტრის ტერიტორიის დაპყრობა ვერ მოხერხდება. მხოლოდ ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების, ზარბაზნებისა და მცირე არმიის მქონე სახელმწიფო დიდ საფრთხეს ვერ განაპირობებს. ნებისმიერი სხვა საშუალება, რომელიც მოიერიშე ჯარების საწინააღმდეგო ბარიერად გამოიყენება, თავდაცვით ხასიათსაც ატარებს. ამ კატეგორიაში შედის სისტემები, რომლებიც თავდასხმის შესახებ ადრეულ გაფრთხილებას იძლევა, რუსების მიერ რკინიგზის სავალი ხაზებისათვის განსხვავებული სტანდარტების შერჩევა და ბირთვული სახმელეთო ნაღმები, რომლებიც თავდასხმისათვის გამოსადეგ გზებს კეტავს.

თუ სრული უმოძრაობა სისტემის თავდაცვით ხასიათს აშკარად განსაზღვრავს, შეზღუდული მობილობის შემთხვევაში ვითარება გაურკვეველია. როგორც უკვე აღინიშნა, მცირე მანძილზე მფრინავი თვითმფრინავები და ჰაერსაწინააღმდეგო ჭურვები შეიძლება თავდასხმის შესანიღბად გამოიყენებოდეს. ფორტიფიკაციებისაგან განსხვავებით, მათი გადატანა ჯარების გადაადგილებასთან ერთად შესაძლებელია. თუმცა, მტრის ზურგში ღრმად შეღწევის შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ამგვარი შეიარაღება თავდაცვის ამოცანებისათვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე თავდასხმისათვის. ამიტომ, აშშ-ისა და ისრაელის შეშფოთება ბევრად დიდი იქნებოდა, 1970-იანი წლების დასაწყისში რუსეთს ეგვიპტელებისათვის, მცირე მანძილზე მფრინავი თვითმფრინავების ნაცვლად, დიდ მანძილზე მფრინავი თვითმფრინავები რომ გადაეცა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ძნელია საზღვაო ძალების კლასიფიკაცია, მაგრამ ძალზე მცირე მანძილზე მცურავი საშუალებები მხოლოდ სანაპიროს დაცვისათვის თუ გამოდგება.

ნებისმიერი ტიპის ძალები, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე გამოირჩევა კარგი საბრძოლო თვისებებით, როგორც წესი, ნაკლებად მობილურია და, შესაბამისად, თავდაცვით ხასიათს ატარებს. ამის ყველაზე ნათელ მაგალითად პასიური წინააღმდეგობა შეიძლება გამოდგეს. თანამშრომლობაზე უარის თქმამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს აგრესორს; ძალიან ძნელია ხალხის დიდმა მასამ საზღვარი გადაკვეთოს და მეორის ტერიტორიაზე დემონსტრაცია გამართოს. მაროკოს მიერ ცოტა ხნის წინ განხორციელებული მარში ესპანეთის საჰარაზე ამ ტაქტიკით წარმოებდა, თუმცა, მისი წარმატება განსაკუთრებულ გარემოებებზე იყო დამოკიდებული. ანალოგიურად, პარტიზანული ომი თავდაცვითია მანამ, სანამ ის სამოქალაქო პირთა დახმარებას საჭიროებს, რაც მხოლოდ უცხო ძალის შემოჭრის შემთხვევაში ხდება. მართლაც, პარტიზანული ომი საექსპორტოდ იოლი რომ იყოს და ერთი პარტიზანის განადგურებას ათი დამცველი რომ სჭირდე-

[66] ციტირებულია ნაშრომში: Boggs (fn. 12), 39.

[67] ამის საფუძველზე გერმანელებმა 1932 წელს განაცხადეს, რომ ფრანგული საფორტიფიკაციო ნაგებობები თავდასხმით ხასიათს ატარებდა (ibid., 49). მსგავსად ამისა, შორს განლაგებული გამაგრებული საზღვაო ბაზები თავდასხმისათვის საჭირო შეიძლება იყოს; იხილეთ: Braisted (fn. 22), 643.

ბოდეს, მაშინ ის იმ იარაღთაგანი გახდებოდა, რომელიც როგორც თავდასხმისათვის, ისე თავდაცვისათვის იქნებოდა გამოყენებული. თუმცა, მას თავდასხმის დროს მიენიჭებოდა უპირატესობა: ასეთ შემთხვევაში, უსაფრთხოების დილემა განსაკუთრებული სიმძლავრით ამოქმედდებოდა.

თუ პარტიზნები უცხო მიწაზე ბრძოლას ვერ შეძლებენ, შესაძლოა, ეს არც სხვა ტიპის სამხედრო შენაერთებმა მოისურვონ. თუ არმია იმ იდეით განიმსჭვალება, რომ მხოლოდ თავდაცვითი ომია სამართლიანი, მას ეფექტიანად ბრძოლა გაუჭირდება, როდესაც ამოცანად დაპყრობა იქნება დასახული. მოქალაქეებისაგან დაკომპლექტებულ მილიციას, შესაძლოა, აგრესიის განხორციელების არც უნარი და არც სურვილი გააჩნდეს. გამოყენებული იარაღი, სამსახურის მოკლე ვადა, მობილიზაციისათვის საჭირო დრო და სამშობლოსათვის თავდასხმის არიდების სულისკვეთება თავდაცვით ამოცანებს უფრო მეტად შეესაბამება, ვიდრე უცხო ტერიტორიაზე თავდასხმას.[68]

ნაკლებად იდეალისტური მოტივებიც იმავე შედეგის მომტანია. ერთ-ერთმა მეცნიერმა, რომელიც შუა საუკუნეების ომების შესწავლით იყო დაკავებული, იმ პერიოდის არმიები შემდეგნაირად დაახასიათა: „ძლივს შეკრებილი, დაუმორჩილებელი, მანევრირების უნარის არმქონე, სამსახურის ვადის ამოწურვისთანავე სტანდარტიდან გადახვევისათვის მზადმყოფი ფეოდალური ჯარი ისეთი არაჯარისკაცული თვისებების ერთობლიობას წარმოადგენდა, რომელთა თანაარსებობა ძალზე იშვიათია. უნგრელების, ნორმანებისა თუ სარკინოზებისაგან დაცვისათვის გამიზნული . . . ეს ინსტიტუტი საერთოდ არ იყო თავდასხმისათვის ადაპტირებული."[69] ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფება შეიძლება ამგვარადვე დახასიათდეს. საერთაშორისო კოალიციები უფრო მეტად შიშით არის შეკრული, ვიდრე სარგებლის მიღების იმედით. ასე მაგალითად, 1816 წელს კესტლრი მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არ ამტკიცებდა, რომ ოთხთა კავშირი „თავის არსებობას საერთო საფრთხის შეგრძნებას უნდა უმადლოდეს; ბუნებით ის კონსერვატიული უნდა იყოს; არ უნდა დაემუქროს არც სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოებას და არც მათ თავისუფლებას."[70] შემთხვევითი არ არის, რომ ექსპანსიის კამპანიათა უმრავლესობას ერთი გაბატონებული სახელმწიფო (ნაპოლეონის საფრანგეთი და ჰიტლერის გერმანია) იწყებდა, ხოლო შედარებით თანაბარი ძალის მქონე სახელმწიფოთა მიერ შექმნილი კოალიციები სტატუს კვოს იცავდა. დაპყრობის შედეგად მიღებული სარგებელი ძალზე არასაიმედოა და გამარჯვებულებს შორის მრავალ სადავო საკითხს ნარმოშობს, რაც ალიანსის დიდი ხნით შენარჩუნებას ართულებს. მართალია, თავდაცვისათვის შექმნილ კოალიციათა შენარჩუნება არანაკლებ ძნელია – ნაპოლეონის დამარცხებამდე კოალიციიდან სამი წევრის გასვლას გარკვეულწილად ხსნის კონფლიქტური ეროვნული მიზნები და ფრირაიდერობის პრობლემა, მაგრამ საერთო ინტერესი, რომ არც ერი სახელმწიფო არ გახდეს ჰეგემონი, ერთიანობის მძლავრ სტიმულს უზრუნველყოფს.

იარაღი, რომელიც ეფექტიანად გამოიყენება ფორტიფიკაციებისა და ბარიერების გასანადგურებლად, უფრო მეტად მნიშვნელოვანია თავდასხმისათვის. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ თავდაცვის მოსურნე სახელმწიფოს ამგვარი იარაღის ფლობის სურვილი არ გაუჩნდება, თუ მას მეორე მხარეც ფლობს: ბროუდი არ ცდება,

[68] ეს არგუმენტი ფრანგებმა ომების შორის პერიოდში მოიყვანეს; იხილეთ: Richard Challener, *The French Theory of the Nation in Arms* (New York: Columbia University Press, 1955), 181-2. გერმანელები ამას არ ეთანხმებოდნენ; იხილეთ: Boggs (fn. 12), 44-45.

[69] Oman (fn. 24), 57-58.

[70] ციტირებულია ნაშრომში: Charles Webster, *The Foreign Policy of Castlereagh*, II, *1815-1822* (London: G. Bell and Sons, 1963), 510.

როდესაც ამტკიცებს, რომ ტანკებმა გერმანელებს საფრანგეთის დაპყრობის საშუალება მისცა, თუმცა, სათანადოდ გამოყენებულ ფრანგულ ტანკებს ამ შეტევის მოგერიება შეეძლო. საფრანგეთს ეს იარაღი არ დასჭირდებოდა, ის რომ გერმანიას არ ჰქონოდა. მაგრამ საფრანგეთს ტანკები საერთოდაც რომ არ ჰყოლოდა, გერმანია მათზე უარს მაინც არ იტყოდა, რადგან ტანკი ფრანგული თავდაცვის ხაზის გარღვევის ერთადერთი საშუალება იყო. მსგავსად ამისა, მობილური მძიმე არტილერია ფორტიფიკაციების დასანგრევად განსაკუთრებით გამოსადეგია. თავდამცველს, მიუხედავად იმისა, რომ მოიერიშე ჯარების მოსაგერიებლად ან კონტრდარტყმების განსახორციელებლად არტილერია ესაჭიროება, ჩვეულებრივ, შედარებით მსუბუქი იარაღის გამოიყენებაც შეუძლია, რადგან მას ამგვარი დაბრკოლებების გადალახვა არ უხდება. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიო ომებს შორის პერიოდში განიარაღების კონფერენციებზე სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეთანხმდნენ იმ აზრზე, რომ ტანკები და მობილური მძიმე ზარბაზნები განსაკუთრებით გამოსადეგია იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც თავდასხმას გეგმავს.[71]

იარაღი და სტრატეგია, რომლის ეფექტიანობა მოულოდნელობაზეა დამოკიდებული, თითქმის ყოველთვის თავდასხმითი ხასიათისაა. მსოფლიო ომებს შორის პერიოდში გამართულ განიარაღების კონფერენციებზე ეს ფაქტი რამდენიმე დელეგატს ჰქონდა გაცნობიერებული, რაც სახელმწიფოს მიერ საიდუმლო შეიარაღებაზე უარის თქმის პრინციპს დაედო საფუძვლად. ამ ფართოდ გავრცელებული შეხედულების ადრეული ვერსია მეცხრამეტე საუკუნეში ფილადელფიის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა: „დანები, ხანჯლები და ხმლები, როგორც თავდაცვის საშუალება, სრულიად უსარგებლოა. ისინი მხოლოდ თავდასხმისათვის გამოდგება და ყოველ ასეთი თავდასხმა მკვლელობით სრულდება. ვინც ამგვარ იარაღს ატარებს, ის ადამიანის მოკვლისათვის არის მზად."[72]

რა თქმა უნდა, ყოველთვის შესაძლებელი არ არის ტერიტორიის დასაცავად ან დასაპყრობად შექმნილ ძალთა ერთმანეთისაგან გარჩევა. სტრატეგიებისა და იარაღის ამგვარი დიფერენციაცია ევროპაში საფრანგეთ-პრუსიის ომსა და პირველ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ვერ გაკეთებოდა. ამ სახით არც საზღვაო ძალებისა და ტაქტიკური საჰაერო ძალების კლასიფიკაციაა შესაძლებელი. თუმცა, აქ აზრი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც მსგავსი გამიჯვნა შესაძლებელია, უსაფრთხოების დილემის ძირითადი მახასიათებლები აღარ მოქმედებს და ანარქიის ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი შედეგიც ქრება.

თავდასხმისა და თავდაცვის განსხვავება და სტრატეგიული ბირთვული იარაღი

მსოფლიო ომებს შორის პერიოდში სახელმწიფო მოღვაწეთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ იარაღი, რომელიც სამოქალაქო პირთა სიცოცხლეს ემუქრება, თავდასხმით ხასიათს ატარებს.[73] თუმცა, როდესაც არც ერთ მხარეს არ შეუძლია საკუთარ მოქალაქეთა დაცვა, მაშინ კონტრზომა თავდაცვითია, რადგანაც სახელმწიფოს მხოლოდ მასზე ან მის უახლოეს მოკავშირეზე თავდასხმის შემთხვევაში აქვს შურისძიებით დამუქრების უფლება. მსგავსი დარტყმის საფასური იმდენად მაღალია, რომ მეტოქის პოზიციების დასუსტების სასიცოცხლო ინტერესზე ნაკლების გამო სახელმწიფო ამით არ დაიმუქრება.

[71] Boggs (ის. 12), 14-15, 47-48, 60.
[72] ციტირებულია ნაშრომში: Philip Jordan, *Frontier Law and Order* (Lincoln: University of Nebraska Press, 1970), 7. აგრეთვე იხილეთ გვერდები: 16-17.
[73] Boggs (ის. 12), 20, 28.

შეკავების კონტექსტში სწორედ თავდასხმითი იარაღი უზრუნველყოფს თავდაცვას. ახლა უკვე ნაცნობი ლოგიკით, სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი მოსახლეობის დაცვა აქტიური ან პასიური თავდაცვის მეშვეობით ან მონინააღმდეგის სტრატეგიული იარაღის ხმელეთზევე განადგურებით ხელეწიფება, სტატუს კვოს შეცვლასაც შეძლებს. ამგვარი ვითარების თავიდან აცილების სურვილი დაედო საფუძვლად ანტიბალისტიკურ ხელშეკრულებას; ამით აიხსნება ისიც, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა შეიარაღების ზოგიერთი მაკონტროლებელი ქალაქების დამცავი ანტიბალისტიკური სისტემების განვითარებას, მაგრამ კეთილგანწყობილი იყო კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების მიმართ. მსგავსად ამისა, მრავალი ანალიტიკოსი საომარი ქობინების სიზუსტის შეზღუდვაზე საუბრობს და მრავალჯერადი გამოყენების რაკეტა-მატარებლებს უჭერს მხარს, მაგრამ დამოუკიდებელი სამიზნის მქონე მრავალჯერადი გამოყენების რაკეტა-მატარებლების წინააღმდეგია. ქალაქების დაცვის გარღვევისათვის პირველი უფრო გამოსადეგია, ვიდრე ერთჯერადი ქობინები, რადგან სახელმწიფოს მიერ საპასუხო დარტყმის მიყენების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. დამოუკიდებელი სამიზნის მქონე მრავალჯერადი გამოყენების რაკეტა-მატარებლები წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას ზრდის. ზოგიერთი შეიარაღების მაკონტროლებელი მიიჩნევს, რომ იგივე შეიძლება ითქვას საზღვაო რაკეტების შესახებაც და ამიტომ, საერთოდ არ სურს მათი გამოყენება. არსებობს გარკვეული მაჩვენებლები, რომლებიც ცხადყოფს, რომ რუსეთი შეკავებით არ კმაყოფილდება და თავდაცვის შესაძლებლობებს ეძებს. ამგვარი მცდელობები აგრესიული განზრახვითაც რომ არ იყოს ნაკარნახევი, უსაფრთხოების დილემას მაინც გაამწვავებს.

ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ ხმელეთზე განლაგებული კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები არა მარტო თავდასხმითი, არამედ თავდაცვითიცაა, მაგრამ როდესაც ორივე მხარე „პოლარისის" ტიპის სისტემებს იყენებს (წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტები), მაშინ თავდასხმისა და თავდაცვისათვის განსხვავებული იარაღი გამოიყენება. კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები შურისძიების მიზნით შეიძლება მეორე სახელმწიფოს ქალაქების დასანგრევად ან, ამ უკანასკნელის სტრატეგიულ რაკეტებზე იერიშის მიტანით, საომარი მოქმედებების დასაწყებად იქნეს გამოყენებული. ზოგიერთი საშუალება, მაგალითად, რაკეტების შესანახი ადგილების გამაგრება და ადრეული გაფრთხილების სისტემები მთლიანად თავდაცვითი ხასიათისაა, ვინაიდან პირველი დარტყმის შესაძლებლობას ამცირებს. სხვები ძირითადად თავდასხმით ხასიათს ატარებს, მაგალითად, ქალაქის პასიური ან აქტიური დაცვის საშუალებები და ძალზე ზუსტი დამიზნების მქონე ქობინები. თუმცა, კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები ორივე მიზნისათვის არის გამოსადეგი. სახელმწიფოები დაზღვევის მაღალი დონის მიღწევას ცდილობენ, შესაბამისად, ძალზე დიდი რაოდენობის რაკეტების შეძენა როგორც თავდაცვის, ისე კონტრდარტყმის მიყენების სურვილით შეიძლება აიხსნას. ასე რომ, სამხედრო პოლიტიკის მიხედვით მეორე სახელმწიფოს განზრახვის ამოცნობა ძალიან ძნელია. თითოეული მხარის სურვილი, რომ საკუთარი უსაფრთხოება მეტი რაკეტის შეძენით გაზარდოს, რეალურად ამცირებს მას თავდასხმისა და თავდაცვის ეფექტიანობით განსაზღვრულ დონემდე. ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც ორივე მხარე წყალქვეშა ბალისტიკურ რაკეტებს იყენებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ის, რომ საზღვაო სისტემები ნაკლებად დაუცველია, ვიდრე სახმელეთო (ეს დაკავშირებულია თავდაცვისა და თავდასხმის თანაფარდობასთან), არამედ ის, რომ წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტები თავდაცვითი, შურისძიებისათვის განკუთვნილი იარაღია. პირველი, ისინი ნაკლები სიზუსტით გამ-

ოირჩევა და სამხედრო სამიზნეების გასანადგურებლად გამოუსადეგარია.[74] მეორე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტები სხვა ანალოგიური იარაღის მთავარი ანინააღმდეგო საშუალება არ არის. თავისი ქალაქების დაცვის მოსურნე სახელმწიფოსათვის ყველაზე რთულ პრობლემას მეორის წყალქვეშა ბალისტიკურ რაკეტათა მდებარეობის ამოცნობა წარმოადგენს, – ამოცანა, რომელსაც არა წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტები, არამედ წყალქვეშა გემების საწინააღმდეგო იარაღი ესაჭიროება. სახელმწიფომ, შესაძლოა, წყალქვეშა გემის წინააღმდეგ წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტები გამოიყენოს (თუმცა, სხვა ტიპის იარაღი უფრო ეფექტიანი იქნება), მაგრამ წყალქვეშა გემის საწინააღმდეგო ბრძოლის წარმოების საშუალებების გარეშე ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელია. სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოს, რომელსაც თავდასხმითი საშუალებებისათვის თავის არიდება სურს, შეუძლია, უბრალოდ უარი თქვას წყალქვეშა გემის საწინააღმდეგო შეიარაღების კვლევასა და შესყიდვებზე.

თუმცა, ამ მოსაზრებას ორი სირთულე ახლავს თან. პირველი, ვინაიდან ერთი სახელმწიფოს წყალქვეშა ბალისტიკურ რაკეტებს პოტენციურად მეორე სახელმწიფოს წყალქვეშა გემების საწინააღმდეგო საშუალებები ემუქრება, პირველმა სახელმწიფომ, შესაძლოა, მოისურვოს ამ უკანასკნელთა კვლევა, რათა გაეცნოს სხვების შესაძლებლობებს და საკუთარი თავდაცვის საშუალებები შექმნას. ამგვარი ზომების გარეშე, იგი საკუთარი წყალქვეშა გემების უსაფრთხოებაში დარწმუნებული ვერ იქნება. მეორე, ვინაიდან ზოგიერთი წყალქვეშა გემი ისეა კონსტრუირებული, რომ ზედაპირზე მყოფ გემებზე დარტყმა რაკეტის გაშვების გარეშეც ძალუძს, წყალქვეშა გემების საწინააღმდეგო ძალებს, ქალაქების გათავისუფლების გარდა, სხვა ფუნქციებიც ეკისრება. აშშ-ის ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის გეგმის თანახმად, ევროპაში ხანგრძლივი ომის შემთხვევაში, რუსული წყალქვეშა გემების საწინააღმდეგოდ საზღვაო გზების ღიად დატოვება გახდება საჭირო. ისეთი წყალქვეშა გემების სანინააღმდეგო ძალებისა და სტრატეგიის შექმნა, რომელიც წარმოქმნილ საფრთხეს გაუმკლავდება და, ამავდროულად, საბჭოთა წყალქვეშა ბალისტიკურ რაკეტებს საფრთხეს არ შეუქმნის, ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი, რადგან ეს ორი მისია გარკვეულწილად განსხვავებულია.[75] ამას გარდა, რუსებს ჩვეულებრივი ტიპის იარაღის მატარებელი წყალქვეშა გემების წინააღმდეგ წყალქვეშა გემების საწინააღმდეგო ძალები არ ესაჭიროებათ. ჰიპოთეზური საფრთხის დასაძლევ საშუალებებზე უარის თქმა, შესაძლოა, ამერიკის ინტერესებშიც შედიოდეს, რათა რუსები დარწმუნდნენ, რომ ჩვენ მათ კონტრშეტევის საშუალებებს არ ვემუქრებით.

როდესაც ორივე მხარე კონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტებს ეყრდნობა, ერთი მხარის რაკეტებს მეორეზე თავდასხმის განხორციელება შეუძლია. ამიტომ, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ დარჩება გულგრილი მეორის შეიარაღების პროგრამის მიმართ. ვინაიდან ერთი მხარის წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტები მეორეს არ ემუქრება, თითოეულ მხარეს იმდენის ქონა შეუძლია, რამდენსაც მოისურვებს, მეორე მხარეს კი ამაზე რეაგირება არ დასჭირდება. თითოეული მხარის გადაწყვეტილება საკუთარი შეიარაღებული ძალების სიდიდის თაობაზე უკავშირდება ტექნიკური ხასიათის საკითხებს, იმის შეფასებას, თუ როდენ დიდი დამანგრეველი ძალის ქონაა საჭირო შეკავებისათვის და დაზღვევის რა საფასურის გადახდაა დასაშვები. ეს გათვლები მეორის სტრატეგიული შეიარაღებული ძალების სიდიდეზე დამოკ-

[74] იხილეთ: Desmond Ball, "The Counter Force Potential of American SLBM Systems," *Journal of Peace Research*, XIV (No. 1, 1977): 23-40.

[75] Richard Garwin, "Anti-Submarine Warfare and National Security," *Scientific American*, 227, (July 1972): 14-25.

იდებული არ არის. შესაბამისად, გამალებული შეიარაღების დროს არსებული ურთიერთკავშირი კიდევ უფრო მძაფრდება.

აქ ორი სანინააღმდეგო მოსაზრება არა მარტო შეიძლება გაჩნდეს, არამედ უკვე გამოითქვა კიდეც მათ მიერ, ვინც მიიჩნევს, რომ მაშინაც კი, თუ ამერიკის საპასუხო დარტყმის მიყენების უნარს არაფერი ემუქრება, აშშ-მა საბჭოთა კავშირის შეიარაღებას მაინც უნდა უპასუხოს. პირველი, რაკეტებისა და ბირთვული ქობინების შეფარდებითი რაოდენობა, შესაძლოა, თითოეულის ძალისა და ნების ინდექსად გამოდგეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსების შეიარაღების ზრდის შესაბამისად ამერიკული შეიარაღების გაზრდის აუცილებლობა არ არსებობს, პასუხის გაუცემლობამ, შესაძლოა, მესამე მხარეს აფიქრებინოს, რომ აშშ-მა საბჭოთა კავშირთან მეტოქეობა შეწყვიტა და მსოფლიო ლიდერობის საფასურის გაღება აღარ სურს. ამას გარდა, თუ თითოეული მხარე დარწმუნებულია, რომ ბირთვული „უპირატესობა" რეალურად მნიშვნელოვანია, მაშინ დიპლომატიური ვაჭრობის ლოგიკით მას აზრი მართლაც ექნება. უპირატესობის მქონე მხარე, სავარაუდოდ, კონფრონტაციის დროს უფრო მტკიცე პოზიციას დაიკავებს, თუ ფიქრობს, რომ „უფრო ძლიერი" სამხედრო მდგომარეობა მას დაეხმარება, ან თუ მიიჩნევს, რომ „შედარებით სუსტ" სამხედრო პოზიციას მეორე მხარე საკუთარი თავისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორად აღიქვამს. მეორე სახელმწიფოსათვის მეტი წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტების ქონის უფლების მიცემა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირველი სახელმწიფოს საპასუხო დარტყმის შესაძლებლობა ხელშეუხებელი დარჩება, მეორეს მაინც უპირატესობას მიანიჭებს, რაც, შესაძლოა, პოლიტიკურ სარგებელშიც გადაიზარდოს.

მეორე წინააღმდეგობას წარმოადგენს ის, რომ უპირატესობას *მართლაც* დიდი მნიშვნელობა აქვს, და არა მარტო მცდარ შეხედულებათა არსებობის გამო. თუ ბირთვულ იარაღს „ყველაფერი ან არაფერი"-ს პრინციპით გამოიყენებენ, მაშინ მხოლოდ საპასუხო დარტყმის მიყენების საშუალებაა საჭირო. თუმცა, შესაძლებელია შეზღუდული და მართვადი დარტყმების გარკვეული ინტერვალებით განხორციელება. თუ უპირატესობა მეორე მხარეს აქვს, მაშინ მას დაბალი ინტენსივობის, გამომფიტავი ომის მეშვეობით შეუძლია მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემცირება. თუ ერთი სახელმწიფო მეორის ქალაქებზე იერიშს მიიტანს, ეს ამ უკანასკნელს შურისძიებისაკენ უბიძგებს. თუ საპასუხო ქმედებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სახელმწიფო განახორციელებს, მაშინ ის საკუთარი რაკეტების მარაგს კიდევ უფრო შეამცირებს. ამ ვითარებისაგან განსხვავებით, მეორეს საჭვენებელი დარტყმის განხორციელება შეუძლია, რათა საკუთარი სიმტკიცის დემონსტრირება მოახდინოს. ორივე სცენარში ერთ-ერთი სახელმწიფო დაზარალდება, თუ მეორის შეიარაღების ტემპს ჩამორჩება.[76]

ეს ორი წინააღმდეგობა, თუ ისინი მართებულია, ნიშნავს იმას, რომ წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტებითაც კი შეუძლებელია თავდასხმისა და თავდაცვისათვის განკუთვნილი სტრატეგიული ბირთვული იარაღის გარჩევა. იძულება, შესაძლოა, უფრო რთული იყოს, ვიდრე შეკავება.[77] მაგრამ თუ გადაწყვეტილების მიმღებნი ჩათვლიან, რომ რაკეტების ან ქობინების რაოდენობა საბოლოო შედეგებზე გავლენას ახდენს ან მათი შეზღუდულად გამოყენება შესაძლებელია, მაშინ მათ მიერ თავდაცვისათვის შერჩეული პოზიცია და პოლიტიკა აგრესიულის მსგავსი იქნება. თუ

[76] თუმცა, მეორე სცენარი არ მოითხოვს ერთი სახელმწიფოსაგან მეორე სახელმწიფოს მიერ განლაგებული რაკეტების რაოდენობასთან მაქსიმალურად მიახლოებას.

[77] Thomas Schelling, *Arms and Influence* (New Heaven: Yale University Press, 1966), 69-78. თუმცა, შელინგის არგუმენტები სავსებით დამაჯერებელი არ არის. შემდგომი განსჯისათვის იხილეთ: Jervis, "Deterrence Theory Re-Visited," Working Paper No. 14, UCLA Program in Arms Control and International Security.

მეორე წინააღმდეგობას საფუძველი გააჩნია, მაშინ უსაფრთხოება მეორე მხარის შერჩეულ სამიზნეებზე დარტყმის მიყენების საშუალებებსა და საკმარის აღჭურვილობას მოითხოვს, რათა სახელმწიფომ საპასუხო ომი ანარმოოს და შეზღუდული დარტყმების მისაღებად მზად იყოს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი შლესინჯერი მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ეს უნარი პირველი დარტყმის შესაძლებლობას არ იძლევა. ვინაიდან „შლესინჯერის დოქტრინა" არა მარტო იმჟამინდელი რუსული პოლიტიკისათვის თავის გასართმევად შეიძლება გამოყენებულიყო, არამედ ამერიკის მცდელობის მხარდასაჭერადაც, რომლის მიზანს სტატუს კვოს შეცვლა წარმოადგენდა, ამერიკის ახალი მდგომარეობა რუსეთის უსაფრთხოებას შეამცირებდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სსრკ დარწმუნებული იქნებოდა, რომ აშშ-ის იმჟამინდელ მთავრობას ამის გაკეთების სურვილი ან სიმამაცე არ ჰქონდა, მაინც არ არსებობდა არავითარი გარანტია, რომ მომავალი მთავრობები ახალ ინსტრუმენტს ექსპანსიისათვის არ გამოიყენებდნენ. ვინაიდან ჩვენ მარტივ მოსაზრებას დავშორდით, რომლის თანახმადაც ბირთვული იარაღის გამოყენება ყველანაირი დარტყმისათვის არის შესაძლებელი, ორივე მხარის მიერ საზღვაო ძალებზე დაფუძნებული შეიარაღების უპირატესობა ნახევრად ბათილდება, რადგანაც თავდასხმით და თავდაცვით იარაღს შორის განსხვავება, პრაქტიკულად, არ არსებობს. პოლიტიკურ ურთიერთობებზე სამხედრო პოლიტიკის გავლენა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას კიდევ უფრო გაართულებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სტატუს კვოს შენარჩუნებას ორივე დაუჭერს მხარს.

მართალია, ამ საკითხების სრული შესწავლა მოცემული ნაშრომის საზღვრებს სცილდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობები გადაწყვეტილების მიმღებთა შეხედულებებიდან გამომდინარეობს, რომლებზეც აშშ-ის პოლიტიკამ და ამერიკელთა განცხადებებმა დიდი გავლენა შეიძლება იქონიოს. სხვა სახელმწიფოთა მოსაზრებები იმის თაობაზე, ახდენს თუ არა ზეგავლენას ბირთვული წონასწორობის დეტალები პოლიტიკურ კონფლიქტებზე და, უფრო ნაკლებად, რუსული მხარის დასკვნები უპირატესობის მნიშვნელობის შესახებ, მეტწილად ამერიკული სტრატეგიის თაობაზე მიმდინარე დებატებს ეფუძნება. თუ ამერიკელ გამომსვლელთა უმრავლესობა ისეთ პოზიციას დაიკავებს, რომ საკმარისია საპასუხო დარტყმის შესაძლებლობის შენარჩუნება, ხოლო მისი გაძლიერება (პირველი დარტყმის შესაძლებლობის მოპოვებამდე) სრულიად ფუულის გაფლანგვა იქნება, საეჭვოა, რომ ამერიკის მოკავშირეებმა და ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა ზესახელმწიფოს სამხედრო ძლიერება ან პოლიტიკური ნება მისი რეზერვების მიხედვით განსაჯონ. მართალია, რუსები საომარ შესაძლებლობებზე ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ ისინი არ ამტკიცებენ, რომ სტრატეგიული ძალების ზღვრულ გაზრდას პოლიტიკური სარგებელი მოაქვს; ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი მცდელობა ნაკლებად ეფექტიანი გახდება, თუ ამერიკელები განაცხადებენ, რომ ეს უაზრობაა. ბირთვული „უპირატესობა" დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს საუკეთესოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც ორივე მხარე მას აღიარებს. თუ „შედარებით სუსტი" მხარე მეორეს დაარწმუნებს, რომ მას არ სჯერა ძალის ასიმეტრიის, მაშინ „უფრო ძლიერი" შეუვალ პოზიციაზე დარჩენას ვერ შეძლებს, რადგან მცირე შანსია, რომ მეორე უკან დაიხევს.

ამ ტიპის არგუმენტი ყველაზე მეტად მეორე წინააღმდეგობას მიესადაგება. არც ერთ მხარეს არ შეუძლია შეზღუდული ბირთვული შეიარაღების გამოყენება, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ მეორე თამაშის წესებს აღიარებს. თუ მეორე მხარეს სჯერა, რომ ბირთვული ომის კონტროლი შეუძლებელია, იგი ან საპასუხო დარტყმისაგან თავს შეიკავებს (რაც ძალიან კარგი იქნება) ან მასშტაბური შურისძიების დაწყებას შეეცდება. მართალია, სახელმწიფო, შესაძლოა, მზად იყოს შეზღუდული

მასშტაბის ბირთვულ ომში მონაწილეობისათვის ისე, რომ ამ შესაძლებლობას არ აცნობიერებდეს (ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ეს, მართლაც, გონივრული პოლიტიკა იქნებოდა), მაგრამ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეორე მხარე ამ პერსპექტივას ენდოს, რათა შეზღუდული დარტყმები განახორციელოს მანამ, სანამ მეორე სახელმწიფო ამგვარი ომის წარმოების სურვილს ღიად არ გამოხატავს. ამრიგად, აშშ-მა, რომელიც მოთმინებით და თანამიმდევრულად ამტკიცებს, რომ მისი აზრით, მსგავსი იდეები სიგიჟეა და ნებისმიერი ბირთვული ომი აუცილებლად უმართავი გახდება, შეიძლება თავი დაიცვას საბჭოთა კავშირის მიერ „შლესინჯერის დოქტრინის" მის წინააღმდეგ გამოყენების საფრთხისაგან, რადგანაც შემდგომ სათანადო პასუხის გასაცემად სამხედრო შესაძლებლობები და/ან პოლიტიკური ნება აღარ ექნება. შეზღუდული ბირთვული ომის არარეალურობაზე მინიშნებით ამგვარი პოზიცია უფრო დამაჯერებელი გახდება.

საბოლოო ჯამში, ვიდრე სახელმწიფოებს სჯერათ, რომ მათ სწორედ საპასუხო დარტყმის შესაძლებლობა ესაჭიროებათ, წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტების მეშვეობით თავდასხმასა და თავდაცვას შორის განსხვავება თითოეულ მხარეს საშუალებას აძლევს, სხვებისათვის საფრთხის შეუქმნელად გაზარდოს საკუთარი უსაფრთხოება და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო პოზიციაზე დაყრდნობით გარკვეული დასკვნები გააკეთოს მათ განზრახვათა შესახებ, ხოლო სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს გამალებული შეიარაღების მთავარ სტიმულს უსპობს.

ოთხი სამყარო

აქამდე ჩვენს მიერ განხილული ორი ცვლადის (თავდასხმას ენიჭება უპირატესობა თუ თავდაცვას; და შესაძლებელია, თუ არა თავდასხმითი და თავდაცვითი იარაღის ერთმანეთისაგან გარჩევა) კომბინირებით ოთხი შესაძლო სამყაროს მოდელი აიგება.

ცხრილი 1

	თავდასხმას აქვს უპირატესობა	თავდაცვას აქვს უპირატესობა
თავდასხმა-თავდაცვის პოზიციები არ განსხვავდება	1 ორმაგად საშიში	2 უსაფრთოხების დილემა, მაგრამ უსაფრთხოების მოთხოვნები, შესაძლოა, თავსებადი იყოს.
თავდასხმა-თავდაცვის პოზიციები განსხვავდება	3 უსაფრთოხების დილემა არ არსებობს, მაგრამ აგრესია შესაძლებელია. სტატუს კვოს მომხრე ქვეყნებს შეუძლიათ აგრესორისაგან განსხვავებული პოლიტიკის გატარება, გაფრთხილება მიცემულია.	4 ორმაგად სტაბილური

პირველი სამყარო სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებისათვის ყველაზე ცუდია. არ არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა გზა, გარდა იმისა, რომ სხვებს დაემუქრო. უსაფრთხოების თავდაცვის მეშვეობით მოპოვება ძალიან რთულია. თავდაცვისა და თავდასხმის სტრატეგიების მსგავსების გამო, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები იმავე ტიპის იარაღს იძენენ, რომელსაც აგრესორები იყენებენ. ვინაიდან თავდასხმას თავდაცვასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება, იერიშის მიტანა საუკეთესო გზაა იმის დასაცავად, რაც გაქვს. ამიტომ, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები აგრესორებივით იქცევიან. ვითარება არასტაბილურია. მოსალოდნელია გამალებული შეარაღება. პირველი დარტყმის მიყენების სტიმული კრიზისების ომში გადაზრდას გამოიწვევს. გადამწყვეტი გამარჯვებები და დაპყრობები ხშირი მოვლენა გახდება. ტერიტორიული თვალსაზრისით, სახელმწიფოები სწრაფად გაიზრდებიან და დაპატარავდებიან. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის თავისი ტერიტორიისა და გავლენის შენარჩუნება, მათი გაფართოების მცდელობის გარეშე, გაძნელდება. სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა ძალიან რთულად მისაღწევი იქნება.

არ არსებობს მაგალითი, რომელიც ზუსტად შეესაბამება ამ სურათს, მაგრამ პირველ მსოფლიო ომამდელ ევროპასთან ის მრავალ ანალოგიას ბადებს. ბრიტანეთი და გერმანია, მართალია, მრავალ საკითხში ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ ბოლოს მაინც მტრებად იქცნენ. რა თქმა უნდა, ეს დიდწილად გერმანიის მიერ არასწორი პოლიტიკის არჩევითაც იყო განპირობებული. ჩვენი თეორიის გადასახედიდან, ადრეული კრიზისების დროს სახელმწიფოთა უნარი, თავიდან აიცილონ ომი, ძნელი ასახსნელია. ამის მიუხედავად, აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფოთა ქმედებების უმეტესობა ტექნოლოგიისა და შეხედულებების პროდუქტს წარმოადგენდა, რაც უსაფრთხოების დილემას კიდევ უფრო ამძაფრებდა. გადაწყვეტილების მიმღებნი ფიქრობდნენ, რომ თავდასხმას დიდი უპირატესობა გააჩნდა, ხოლო თავდასხმით და თავდაცვით სამხედრო პოლიტიკას შორის მცირე განსხვავება იყო. ეს ეპოქა გამალებული შეიარაღებით ხასიათდებოდა. ვინაიდან ომი მოსალოდნელი იყო, ხშირი მობილიზაცია პირველი დარტყმის მიყენების ძლიერ სტიმულს წარმოშობდა.

ბირთვულ ეპოქაში, პირველი სამყაროს მოდელის თანახმად, თითოეული მხარე დაუცველ იარაღზე დაამყარებს იმედს, რომელიც მსგავსი ძალებისაკენ იქნება მიმართული, რასაც ყოველი მათგანი გააცნობიერებს. ამ შემთხვევაში პირველი დარტყმის მიყენების იმდენად დიდი სტიმული იარსებებს, რომ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს, აგრესორების მსგავსად, პრევენტიული დარტყმის განხორციელების ავადმყოფური ცდუნება გაუჩნდებათ. ვინაიდან შეიარაღებული ძალები სტატუს კვოს შესაცვლელად ან მის შესანარჩუნებლად გამოიყენება, არც ერთ მხარეს, საკუთარი უსაფრთხოების ერთდროულად გაზრდის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩება. შეკავების ნაცნობი ლოგიკა ნათლად დაანახებს ორივე მხარეს ამგვარი სამყაროს საფრთხეებს. ნაკლებად საიმედო ბომბდამშენებისა და რაკეტების შეცვლის მიზეზიც ამ ვითარების ახლებურად აღქმა იყო. აღსანიშნავია, რომ 1950-იანი წლები უფრო მეტი ზიანის მომტანი იქნებოდა, გადაწყვეტილების მიმღებთ რომ სცოდნოდათ იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც მათი სამხედრო პოლიტიკა ქმნიდა. შესაბამისად, ისინი უფრო დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ, რათა პირველი დარტყმა განეხორციელებინათ. ეს ვითარება კვლავ წარმოიქმნება ორივე მხარე დამოუკიდებელი სამიზნის მქონე მრავალჯერადი გამოყენების რაკეტა-მატარებლებს და კონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტებს თუ დაეყრდნობა.

მეორე სამყაროში უსაფრთხოების დილემა მოქმედებს, რადგან ძალიან ძნელია თავდასხმითი და თავდაცვითი პოლიტიკის ერთმანეთისაგან გარჩევა. თუმცა,

დილემა აქ ნაკლებად მწვავეა, ვიდრე პირველ სამყაროში, ვინაიდან თავდაცვას უპირატესობა გააჩნია და, ამდენად, ერთი მხარის ძალის მატება მის უსაფრთხოებას უფრო მეტად ზრდის, ვიდრე მეორისას ამცირებს. ასე რომ, თუ ორივე მხარეს სუბიექტური უსაფრთხოების გონივრული მოთხოვნილებები და დაახლოებით თანაბარი ძალა აქვს და ადრე განხილული ცვლადები ხელსაყრელია, მოსალოდნელია, რომ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები თავსებადი უსაფრთხოების პოლიტიკას აირჩევენ. მართალია, სახელმწიფო ვერ შეძლებს, მეორის განზრახვა მის მიერ შეძენილი იარაღის მიხედვით ამოიცნოს, მაგრამ შეიარაღებაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვან არგუმენტებს მისცემს. რა თქმა უნდა, სახელმწიფო, რომელიც შეიარაღებაზე დიდძალ რესურსებს ხარჯავს, შესაძლოა, აგრესორი კი არა, უბრალოდ დაუცველი სახელმწიფო იყოს, რომელიც ნდობის მოხვეჭის შემთხვევაში თავის შეიარაღებას შეამცირებს, ხოლო თუ დაუპირისპირდებიან, საკადრის პასუხს გასცემს. თუ დავუშვებთ, რომ აშკარად ჭარბი შეიარაღება სახელმწიფოს აგრესიულობაზე მეტყველებს, მაშინ ეს დილემას კიდევ უფრო გააღრმავებს და უსარგებლო კონფლიქტს ნარმოშობს. თუმცა, თანაგრძნობითა და სახელმწიფოს კარგად მართვით ეს საფრთხე შემცირდება. ამას გარდა, თავდაცვის უპირატესობის გამომხატველი პოზიცია ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს, ხშირ შემთხვევაში, ძალუძს უსაფრთხოების მაღალი დონის შენარჩუნება იმაზე ნაკლები შეიარაღებით, ვიდრე მის პოტენციურ მეტოქეს გააჩნია. ასეთი სახელმწიფო აჩვენებს, რომ მას სტატუს კვოს შეცვლის სურვილი ან შესაძლებლობა არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მაინც. თავდაცვის ძალა აგრეთვე შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, ნელა და თავშეკავებით მოახდინოს რეაგირება იმ დროს, როდესაც მას სხვების მუქარის ეშინია. ამრიგად, მართალია, სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები ზოგჯერ ერთმანეთს დაემუქრებიან, მაგრამ ამ მუქარის ხარისხი შეზღუდული იქნება.

ეს სამყარო ყველაზე ახლოს დგას ისტორიის მანძილზე არსებულ თითქმის ყველა პერიოდთან. ფორტიფიკაციებისა და დაბრკოლებების სიძლიერის გამო, თავდასხმა უფრო ძნელია, ვიდრე თავდაცვა. თუმცა, წმინდა თავდაცვითი პოლიტიკის გატარება იშვიათად არის შესაძლებელი, რადგან ფორტიფიკაციებს, როგორც წესი, არმიები და მობილური ზარბაზნები ავსებს, რომლებიც თავდასხმის დროს გამოიყენება. ბირთვულ ეპოქაში, მეორე სამყაროს მოდელის თანახმად, ორივე მხარეს კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებისა და შეზღუდული ბირთვული ომის შეუძლებლობის იმედი ექნება. დამოუკიდებელი სამიზნის მქონე მრავალჯერადი გამოყენების რაკეტა-მატარებლების არარსებობის შემთხვევაში, მოწინააღმდეგის რაკეტის განადგურებას ერთზე მეტი რაკეტის გაშვება დასჭირდება. ამდენად, მეტოქის დასნრება მომგებიანი არ არის. თუ თითოეული მხარე დიდი რაოდენობით იარაღს ფლობს, მას შეუძლია, რეაგირება არ მოახდინოს მეორის შეარაღების მკვეთრ ზრდაზე. კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების ან წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტების სამყარო, სადაც ორივე მხარე „შლესინჯერის დოქტრინით" მოქმედებს, სავარაუდოდ, ამავე კატეგორიაში მოთავსდება. სტატუს კვოს შენარჩუნების საშუალებები მისიე შეცვლის საშუალება იქნება, როგორც ეს უკვე განვიხილეთ. თავდაცვას, ჩვეულებრივ, უპირატესობა მიენიჭება, რადგან იძულება უფრო ძნელია, ვიდრე შეკავება. მართალია, ერთმა სახელმწიფომ, შესაძლოა, წარმატებით შეცვალოს სტატუს კვო იმ საკითხებში, რომლებიც მისთვის უფრო მნიშვნელოვნია, ვიდრე სხვებისათვის, მაგრამ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოებს ამა თუ იმ ქვეყნიდან მომდინარე დიდი პროვოკაციების აღკვეთა თითქმის ყველა შემთხვევაში შეუძლიათ.

მესამე სამყაროში, შესაძლოა, უსაფრთხოების დილემა საერთოდ არ არსებობ-

დეს, თუმცა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები მაინც გაჩნდება. ვინაიდან სახელმწიფოებს ისეთი თავდაცვითი სისტემების შესყიდვა შეუძლიათ, რომლებიც სხვებს არ დაემუქრება, დილემა არ წარმოიქმნება. თუმცა, რადგან თავდასხმას უპირატესობა აქვს, აგრესია შესაძლებელია და, პრინციპში, ადვილიც. თუ თავდასხმას მცირე უპირატესობა გააჩნია, მაშინ უნდა მოველოდეთ სტაბილურობასა და თანამშრომლობას, რადგან სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოები თავდაცვით საშუალებებს შეიძენენ. მათ ანალოგიურად შეიარაღებული სახელმწიფოების ქმედებებზე რეაგირება არ დასჭირდებათ, ისინი გამაფრთხილებელ ნიშანს დაელოდებიან, რომელსაც იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ სხვებმა თავდასხმისათვის განკუთვნილი იარაღის განლაგება დაიწყეს. თუმცა, თითოეულ სახელმწიფოს მეორისათვის თვალყურის დევნება მოუნევს. ამ დროს მცდარი დაეჭვების ალბათობა მაღალია. თავდაცვის დიდმა ხარჯებმა და თავდასხმის მიმზიდველობამ, შესაძლოა, უსაფუძვლო უნდობლობა, მტრობა და ომი გამოიწვიოს, თუ განდგომის შესაზღუდად ზემოგანხილული ზოგიერთი ცვლადი არ ამოქმედდება.

ამ დახასიათების შესაბამის ჰიპოთეზურ ბირთვულ სამყაროში ორივე მხარე წყალქვეშა ბალისტიკურ რაკეტებს დაეყრდნობა, მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც წყალქვეშა გემების საწინააღმდეგო იარაღი ძალზე ეფექტიანია. თავდასხმასა და თავდაცვას შორის განსხვავება იარსებებს, მაგრამ უპირატესობა პირველს მიენიჭება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამგვარი ვითარება შეიქმნას, მაგრამ, თუ ასე მოხდა, მაშინ სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფო მეორის წყალქვეშა გემებისათვის საფრთხის შექმნაზე უარის თქმით იმის ჩვენებას შეძლებს, რომ არავის ექსპლუატაცია არ სურს. საკუთარი თავის დაცვის სურვილი გაცილებით დიდია, ვიდრე მეორეზე შურისძიების. ხშირად ერთი სახელმწიფო დარწმუნებულია, რომ მეორე მუქარად არ აღიქვამს წყალქვეშა გემების საწინააღმდეგო მის პროგრამას, რადგან თავად აგრესიული განზრახვა არ ამოძრავებს. საკმაოდ ადვილია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება ასეთი სამყაროს დესტაბილიზებული გახდეს და მასში დაძაბულობისა და კონფლიქტის სპირალი განვითარდეს.

მეოთხე სამყარო ორმაგად სტაბილურია. თავდასხმით და თავდაცვით სისტემებს შორის განსხვავება უსაფრთხოების დილემისაგან თავის დაღწევის საშუალებას იძლევა. თავდაცვის უპირატესობა ზემოგანხილულ პრობლემებს სპობს. სტატუს კვოს მომხრე სახელმწიფოს მიზეზი არ აქვს, ცდუნებას აჰყვეს და თავდახმისათვის განკუთვნილი საშუალებები შეიძინოს, აგრესორები თავიანთი განზრახვის შესახებ სიგნალს მათ მიერ არჩეული პოლიტიკით იძლევიან. მართლაც, თუ თავდაცვის უპირატესობა საკმაოდ დიდია, მაშინ უსაფრთხოების პრობლემები აღარ იარსებებს. სტატუს კვოს შესაცვლელად ძალის უკიდურესი ფორმების შეუთავსებლობა სახელმწიფოებს არასამხედრო ბერკეტების გაცილებით დიდი სპექტრის გამოყენების საშუალებას მისცემს.

ამგვარი სამყაროს არსებობა მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში შესაძლებელი იყო, გადაწყვეტლების მიმღებ პირებს მათ ხელთ არსებული ტექნოლოგიური მიღწევები სათანადოდ რომ გაეაზრებინათ. ასეთ შემთხვევაში ევროპული სახელმწიფოები სხვაგვარ პოლიტიკას აირჩევდნენ, როგორც გრძელვადიან პერსპექტივაში, ისე 1914 წლის ზაფხულშიც. თვით გერმანიასაც კი, რომელსაც ძლიერი მტრები ეხვია გარს, მძლავრი თავდაცვის განვითარებით საკუთარი უსაფრთხოების მიღწევა შეეძლო. საფრანგეთს აგრეთვე ძალუძდა, პრაქტიკულად შეუღწევადი გაეხადა თავისი საზღვრები. ამას გარდა, კრიზისის წარმოქმნისას პირველი დარტყმის განხორციელების სტიმული არც ერთ მათგანს არ ექნებოდა. ასევე არ მოხდებოდა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მობილიზაცია, რამაც მაშინ მოლაპარაკებებისათვის

განკუთვნილი დრო შეამცირა.

ბირთვულ ეპოქაში ეს სამყარო ისეთი იქნებოდა, სადაც ზესახელმწიფოები წყალქვეშა ბალისტიკურ რაკეტებს დაეყრდნობოდნენ, წყალქვეშა გემების სანინააღმდეგო ტექნოლოგია სათანადოდ განვითარებული არ იქნებოდა და შეზღუდული ომის შესაძლებლობას დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭეოდა. მსგავსი ვითარება ჩვენ ადრეც განვიხილეთ. აქ მხოლოდ იმას დავამატებ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი ანალიზი სწორია და ორივე მხარის პოლიტიკა და პოზიცია ამ მიმართულებით ნარიმართება, ბირთვული დონის ქვემოთ ძალადობის პრობლემა კვლავ შენარჩუნდება. სამშობლოს დაცვის საკითხების გარდა, უსაფრთხოების დილემა და უსაფრთხოების პრობლემები ისევ იარსებებს. თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, მსოფლიო ჩვეულებრივზე უფრო უსაფრთხო იქნება.

თარგმნა რევაზ ბახტაძემ

თომას შელინგი

ძალადობის დიპლომატია*

დიპლომატია და ძალმომრეობა, ჩვეულებრივ, განსხვავდება ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ინსტრუმენტებით (სიტყვებითა თუ ტყვიებით), არამედ მოწინააღმდეგეთა ურთიერთობის ხასიათითაც, კერძოდ, მოტივთა ურთიერთქმედებისა და კომუნიკაციის, ურთიერთგაგების, კომპრომისისა და თავშეკავების მნიშვნელობით. დიპლომატია ვაჭრობაა. მისი მიზანია ისეთი შედეგის მიღწევა, რომელიც, შესაძლოა, არც ერთი მხარისათვის იდეალური არ იყოს, მაგრამ, ორივეს ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთ ალტერნატივას სჯობდეს. დიპლომატიის პროცესში თითოეულ მხარეს გააჩნია ისეთი რამ, რისი მიღებაც მეორეს სურს და ამდენად, კომპრომისით, დათმობაზე წასვლითა და თანამშრომლობით უფრო მეტის მიღწევა შეუძლია, ვიდრე წართმევითა და მოწინააღმდეგის სურვილების უგულებელყოფით. მოლაპარაკება შეიძლება იყოს თავაზიანი ან უხეში, შეიცავდეს როგორც მუქარას, ისე თხოვნას, აღიარებდეს სტატუს კვოს ან უარყოფდეს ყოველგვარ უფლებებსა და პრივილეგიებს, იწვევდეს ნდობის ან უნდობლობის ჩამოყალიბებას. მაგრამ, იმის მიუხედავად, ზრდილობიანია ის თუ ზრდილობას მოკლებული, კონსტრუქციული თუ აგრესიული, მოკრძალებული თუ ულმობელი, მეგობრებსა თუ მოწინააღმდეგეებს შორის ნარმოებული, ნდობასა და კეთილგანწყობაზე დაფუძნებული თუ არა, მოლაპარაკებათა პროცესში ყოველთვის უნდა შეინიშნებოდეს საერთო ინტერესი, ორმხრივი ზიანის თავიდან აცილების სურვილი მაინც, და შეგნება იმისა, რომ საჭიროა, აიძულო მოწინააღმდეგე, შენთვის მისაღები შედეგი ამჯობინოს.

როდესაც ქვეყანას საკმარისი სამხედრო ძალა აქვს, მას [პოლიტიკური] ვაჭრობა შეიძლება აღარც დასჭირდეს. მას ძალუძს, მოიპოვოს, რაც სურს და შეინარჩუნოს, რაც აბადია მთლიანად საკუთარ ძლიერებაზე, ცოდნასა და გამჭრიახობაზე დაყრდნობით. ამის განხორციელება მას *ძალის მეშვეობით* შეუძლია, მოწინააღმდეგის ძლიერების, ცოდნისა და გამჭრიახობის გათვალისწინებითა და მისი სურვილების უგულებელყოფით. ძალის მეშვეობით ქვეყანას შეუძლია მოწინააღმდეგის მოგერიება და გაძევება, სხვის ტერიტორიაზე შეღწევა და მისი ოკუპირება, დაუფლება, განადგურება, განიარაღება და მწყობრიდან გამოყვანა, მომწყვდევა, ჩაკეტვა, უცხო ჩარევისა თუ თავდასხმის აღკვეთა. ყოველივე ეს მას შეუძლია, თუ საკმარისი ძლიერება აქვს. „საკმარისი" კი იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ძლიერია მოწინააღმდეგე.

თუმცა, არის კიდევ ერთი რამ, რისი გაკეთებაც ძალას შეუძლია. ეს ნაკლებად სამხედრო, ნაკლებად გმირული, ნაკლებად უპიროვნო და ნაკლებად ცალმხრივი რამაა. ეს ძალის ყველაზე საზიზღარი მხარეა, რომელსაც დასავლურ სამხედრო სტრატეგიაში ნაკლები ყურადღება ექცევა. დაუფლებისა და შენარჩუნების, განი-

---

* Thomas C. Schelling, The Diplomacy of Violence, from *Arms and Influence,* New Haven and London: Yale University Press, 1966. Chapter 1, pp. 1-34. Reprinted by permission of Yale University Press.

არაღებისა და მომწყვდევის, შეღწევისა და ხელის შეშლის, თუ სხვა რაიმეს გარდა, ძალა *ტკივილის მიყენების* მიზნითაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. ფასეულობების მოხვეჭისა და დაცვის გარდა, ძალას მათი *განადგურებაც* შეუძლია. სამხედრო თვალსაზრისით მტრის დასუსტების გარდა, ძალა მის დატანჯვასაც შეიძლება ემსახურებოდეს.

ტკივილი და შოკი, დანაკარგი და მწუხარება, გასაჭირი და შიში, გარკვეული დონით, ზოგჯერ კი დიდი ოდენობით, ყოველთვის თან სდევს ომს, მაგრამ ტრადიციულ სამხედრო მეცნიერებაში ამგვარი შედეგი შემთხვევითად განიხილება და არა გამიზნულად. თუმცა, თუ ძალადობა შემთხვევითი შეიძლება იყოს, ის განზრახაც შეიძლება განხორციელდეს. ტკივილის მიყენების უნარი სამხედრო ძალის ერთ-ერთი ყველაზე ღრმად შთამბეჭდავი თვისებაა.

ტკივილის, ტანჯვის, ზიანისა და წყენის მიყენება, ძალის მეშვეობით დაუფლებისა თუ თავდაცვისაგან განსხვავებით, სხვის ინტერესებს არ უგულებელყოფს. ის იზომება ტანჯვით, რომლის გამოწვევაც მას შეუძლია და მსხვერპლის მხრიდან მისი თავიდან აცილების სურვილით. ძალისმიერი მოქმედება შეიძლება ეფექტიანი გამოდგეს როგორც სარეველა ბალახებისა და წყალდიდობების, ისე არმიების წინააღმდეგ, მაგრამ ტანჯვის მიყენებას ესაჭიროება მსხვერპლი, რომელსაც ტკივილის შეგრძნების უნარი აქვს ან რაიმეს დაკარგვის ეშინია. ტანჯვის მიყენებით, უშუალოდ არც არაფრის მოპოვება და არც არაფრის შენარჩუნება ხდება. ამით შეიძლება მხოლოდ უბიძგო ადამიანებს, ტანჯვისათვის თავის არიდება სცადონ. ასეთ შემთხვევაში, ერთადერთ მიზანს, გართობისა თუ შურისძიების გარდა, ვინმეს ქცევაზე გავლენის მოხდენა, მის გადაწყვეტილებაზე ან არჩევანზე ძალის დატანება შეიძლება წარმოადგენდეს. იმისათვის, რომ ძალადობა მაიძულებელი იყოს, მისი მოლოდინია საჭირო და მისი თავიდან აცილება დათმობაზე წასვლით უნდა იყოს შესაძლებელი. ტკივილის მიყენების ძალა არის [პოლიტიკური] ვაჭრობის ძალა, მისი გამოყენება კი – დიპლომატია, უზნეო, მაგრამ მაინც დიპლომატია.

სხვაობა ტლანქ ძალმომრეობასა და იძულებას შორის

სხვადასხვა რამაა, წაართვა ან მოაცემინო ის, რაც გსურს, მოიგერიო შეტევა ან დააშინო ვინმე ისე, რომ არ დაგესხას თავს, შეინარჩუნო ის, რისი ნართმევაც სურთ ან შეაშინო ისე, რომ არ სცადონ წართმევა, ბრძოლის შედეგად დაკარგო ან, საფრთხისა თუ ზიანის თავიდან ასაცილებლად, საკუთარი ნებით დათმო რაიმე. სწორედ ესაა განსხვავება თავდაცვასა და თავდასხმის შეკავებას, ტლანქ ძალმომრეობასა და დაშინებას, დაპყრობასა და შანტაჟს, მოქმედებასა და მუქარას შორის. ესაა განსხვავება ძალის ცალმხრივად, „არადიპლომატიურად" მოხმობასა და ტკივილის მიყენების უნარზე დამყარებულ, მაიძულებელ დიპლომატიას შორის.

განმასხვავებელი ნიშანი კიდევ რამდენიმეა. წმინდა „არასამხედრო" ან „არადიპლომატიური" მოქმედება მტრის ძლიერებას ითვალისწინებს და არა მის ინტერესებს, ტკივილის მიყენების უნარის იძულებისათვის გამოყენება კი მოწინააღმდეგის სურვილებითა და შიშით მანიპულირებაა. სამხედრო ძლიერება, ჩვეულებრივ, მტრის ძლიერებასთან შედარებით იზომება, ერთის მეორესთან დაპირისპირების გზით, ტკივილის მიყენების უნარი კი მტრის ასეთივე უნარით არ მცირდება. დაპირისპირებულმა ძალებმა, შესაძლოა, გაანეიტრალონ ერთმანეთი, ტკივილი და მწუხარება კი ვერასოდეს გაწონასწორდება. ტკენის სურვილი, მუქარის დამაჯერებლობა და ტკივილის მიყენების უნარის გამოყენება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ საპასუხოდ რა ტკივილის მოგვრა შეუძლია მოწინააღმდეგეს, მაგრამ ერთის ტკივილი

და მწუხარება მეორისას ვერ შეამსუბუქებს. ორივე მხარე ერთდროულად ერთიმეორეს ვერ სძლევს, მაგრამ მათ ერთმანეთისათვის ტკივილის მიყენება ხელეწიფებათ. ძლიერებაზე დაყრდნობით მათ ფასეულობებისათვის ბრძოლა, აშკარა ძალადობით კი ამ ფასეულობების მოსპობა შეუძლიათ.

ძალას წარმატება მოაქვს, როცა მას მივმართავთ, ხოლო ტკივილის მიყენების უნარი ყველაზე მეტად წარმატებულია, როცა მას თადარიგში ვინახავთ. სწორედ დაზიანების *მუქარამ* ან მეტი ზიანის მოლოდინმა შეიძლება აიძულოს სხვა, დანებდეს ან დამორჩილდეს. სწორედ *ფარულ* ძალადობას შეუძლია სხვის არჩევანზე გავლენის მოხდენა – ძალადობას, რომლის როგორც შეკავება, ისე განხორციელებაა შესაძლებელი (ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთია მსხვერპლის შეხედულება). ტკივილის მიყენების მუქარა სხვისი ზრახვების გარდაქმნას ცდილობს მაშინ, როდესაც ძალმომრეობა სხვისი ძლიერების შელახვას ისახავს მიზნად. საუბედუროდ, ზიანის მიყენების უნარს მისი გარკვეული ხარისხით გამოვლენა მოჰყვება ხოლმე. იქნება ეს აშკარა ტერორისტული, ძალადობრივი აქტი, ჩადენილი არარაციონალური საპასუხო ქმედების გამოწვევის მიზნით თუ ცივად წინასწარგანზრახული ძალადობა, განხორციელებული ვინმეს იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს ნაბიჯი გამიზნულად გადაიდგა და მომავალშიც შეიძლება განმეორდეს, აქ მთავარია არა თავისთავად ტკივილი და ზიანი, არამედ მათი ზეგავლენა სხვის ქცევაზე. სასურველი ქცევა სწორედ *მეტი* ძალადობის მოლოდინს მოაქვს, თუკი, რა თქმა უნდა, ზიანის მიყენების უნარს საერთოდ რაიმე შედეგის მოტანა შეუძლია.

ტკივილისა და ზიანის მიყენების შესაძლებლობის გამოსაყენებლად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა არის მოწინააღმდეგისათვის ღირებული და რისი ეშინია მას. ასევე, საჭიროა, მოწინააღმდეგე მიხვდეს, მისი როგორი ქცევა გამოიწვევს ძალადობის განხორციელებას და როგორი — არა. მსხვერპლმა უნდა იცოდეს, რა მოეთხოვება და, ზოგიერთ შემთხვევაში, ისიც, თუ მისი რომელი ნაბიჯი არ იქნება სასურველი. ტკივილისა და ტანჯვის გადატანა ან თავიდან აცილება მისსავე ქცევაზე *დამოკიდებული* უნდა ჩანდეს. ეფექტის მისაღწევად ტკივილისა და დანაკარგის მიყენების მუქარა არ კმარა, საჭიროა აგრეთვე გარანტია, თუნდაც ნაგულისხმევი, რომ დამორჩილების შემთხვევაში მოწინააღმდეგე ტკივილსა და დანაკარგს თავიდან აიცილებს. სიკვდილის საფრთხე მას თავზარს დასცემს, მაგრამ არჩევანს არ დაუტოვებს.

იძულების მცდელობის წარმატებისათვის აუცილებელია ისიც, რომ ჩვენი და მეტოქის ინტერესები დიამეტრულად არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. თუ მისი ტკივილი ჩვენთვის დიდი სიხარული იქნება, ჩვენი კმაყოფილება კი მას უდიდეს წუხილს მოჰგვრის, მაშინ ჩვენ ერთმანეთისათვის ტკივილის მიყენებასა და გეგმების ჩაშლას განვაგრძობთ. იძულების მცდელობას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის ტკივილი ძალიან მცირე ან საერთოდ არავითარ კმაყოფილებას გვანიჭებს იმასთან შედარებით, რისი გაკეთებაც მას ჩვენთვის შეუძლია და როდესაც მოქმედება თუ უმოქმედობა, რომელსაც ვითხოვთ, მას ნაკლები უღირს, ვიდრე ტკივილი, რომლის მიყენებაც შეგვიძლია. იძულებისათვის საჭიროა გარიგების პირობების მოძებნა, ისეთი ვითარების შექმნა, რომელშიც მეტოქე ჩვენი მუქარის განხილვისას მომგებიანად მიიჩნევს იმის გაკეთებას, რაც გვსურს, ხოლო წამგებიანად – იმას, რაც არ გვსურს.

როგორც წესი, სწორედ ნამდვილი ზიანის მიყენების უნარი, ნამდვილი ძალადობა უკავშირდება ყველაზე მწვავე შრომით დავებს, რასობრივ უთანხმოებებს, სამოქალაქო ამბოხებებსა და მათ ჩახშობას, რეკეტს. სწორედ ტკივილის მიყენების უნარი გამოიყენება ბოროტმოქმედებთან ურთიერთობაში უფრო მეტად, ვიდრე

ტლანქი ძალმომრეობა. მათ, მეტწილად, დანაშაულის ჩადენის შემდგომ ვაყენებთ ტკივილს ან ამით ვემუქრებით, იმის ნაცვლად, რომ დენის მავთულების, ქვის კედლებისა თუ შეიარაღებულ მცველთა კორდონის საშუალებით დავიცავთ თავი. რა თქმა უნდა, ციხე როგორც ძალისმიერი შემაკავებელი ფაქტორი, ისე დამუქრებული სატანჯველიც შეიძლება იყოს. თუ მიზნად დასახული გვაქვს დამნაშავეობის შემცირება ბოროტმოქმედთა ციხეში დამწყვდევის გზით, მაშინ ჩვენი წარმატება განისაზღვრება იმით, თუ რამდენ მათგანს მიუჩინეს ადგილი გისოსებს მიღმა, ხოლო თუ მიზნად შერჩეული გვაქვს სატანჯველით *დამუქრება*, მაშინ ჩვენი წარმატება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ცოტა ადამიანის დაპატიმრება გახდა საჭირო. აქედან გამომდინარე, ჩვენი წარმატება სუბიექტის მიერ შედეგების გაცნობიერებაზეა დამოკიდებული. ნამდვილი ზიანით იმუქრება მანქანა, რომელიც სხვისთვის გზის მოჭრას, თავისი გზის შენარჩუნებას ან გზაჯვარედინზე გავლას პირველი ცდილობს. ტანკს ან ბულდოზერს საკუთარი გზის სხვისი სურვილებისათვის ანგარიშგაუწევლად გაკვლევა შეუძლია, ხოლო დანარჩენებს ზიანით (ძირითადად, ორმხრივი ზიანით) დამუქრებაღა დაგვრჩენია იმის იმედად, რომ სხვა საკუთარ მანქანას ან საკუთარ თავს ისე უფრთხილდება, რომ გზას დაგვითმობს, დაგვინახავს და საჭეს დაიმორჩილებს. ნამდვილი ზიანით დამუქრება არ იმოქმედებს ავტომობილზე, რომელსაც ადამიანი არ მართავს.

განსხვავება იძულებასა და ტლანქ ძალმომრეობას შორის, ინსტრუმენტების გარდა, მიზნებშიცაა. კომანჩების დევნა და გაულეტა ტლანქი ძალმომრეობა იყო, მათი სოფლების დარბევა და ალაგმვის მცდელობა კი – ტკივილის მიყენების უნარზე დამყარებული, მაიძულებელი დიპლომატია. ინდიელების მიერ განცდილი ტკივილი და დანაკარგი, ალბათ, ორივე შემთხვევაში ერთნაირი იყო, განსხვავება კი მიზნებსა და შედეგში მდგომარეობდა. თუ ინდიელებს კლავდნენ იმიტომ, რომ ისინი ვინმეს ხელს უშლიდნენ, ვინმეს მათი მიწების ხელში ჩაგდება სურდა ან მთავრობამ მათი დამორჩილების იმედი დაკარგა ან მომწყვდევა ვერ შეძლო და, ამიტომ, მოსპობა გადაწყვიტა, ეს ნამდვილი ცალმხრივი ძალმომრეობა იყო. თუ *ზოგიერთ* ინდიელს კლავდნენ, რათა *სხვა* ინდიელები დაეშოშმინებინათ, ეს, ჩანაფიქრში მაინც, მაიძულებელ ძალადობას წარმოადგენდა, იმის მიუხედავად, ეფექტიანი აღმოჩნდა ის თუ არა. გერმანელები ვერდენთან, საზარელი „ხორცსაკეპის" ტაქტიკის მეშვეობით, ასობით და ათასობით ფრანგი ჯარისკაცის ამოწყვეტას გეგმავდნენ. თუ მათი მიზანი მხოლოდ სამხედრო დაბრკოლების – უფრო სამხედრო „აქტივად," ვიდრე ცოცხალ არსებებად აღქმული ფრანგი ქვეითი ჯარისკაცების – მოსპობა იყო, მაშინ ვერდენის შეტევა სამხედრო ძალის ცალმხრივ გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო თუ გერმანელების მთავარ ამოცანას შეადგენდა ფრანგი ახალგაზრდების (არა უპიროვნო „შემადგენლობის," არამედ შვილების, ქმრების, მამებისა და, ზოგადად, საფრანგეთის სიამაყის) გათელვით მტრისთვის აუტანელი ტანჯვის მიყენება, კაპიტულაციის სასურველად წარმოჩენა და მოკავშირეთა მოსალოდნელი გამარჯვების სიხარულის გაქარწყლება, მაშინ ეს იძულების მცდელობად, განხორციელებულ ძალადობად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც დათმობაზე წასვლის შემთხვევაში მონინააღმდეგეს შვებას ჰპირდებოდა. ვინაიდან ძალის ნებისმიერი გამოყენება ხშირად სასტიკი, დაუფიქრებელი, შურისმაძიებლური და შეუპოვარია, მისი მოტივები შერეული და ბუნდოვანი შეიძლება იყოს. ის ფაქტი, რომ გმირობა და სისასტიკე როგორც მაიძულებელ დიპლომატიად, ისე ნამდვილ ძლიერებაში შეჯიბრად შეიძლება მოგვევლინოს არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის ზღვარი გაივლება და ნებისმიერი ბოროტი წამოწყება ამ სხვაობის შუქზე დანახულ სტრატეგიად განიხილება.

განსხვავება ტლანქ ძალმომრეობასა და იძულებას შორის კარგად აისახება

ორ ურთიერთგამომრიცხავ სტრატეგიაში, რომლებიც ჩინგიზ ყაენს მიეწერება. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი იზიარებდა მონღოლთა ომის მრწამსს იმის შესახებ, რომ დამარცხებულები გამარჯვებულთა მეგობრები ვერასოდეს გახდებიან და მათი სიკვდილი გამარჯვებულის უსაფრთხოებისათვის არის აუცილებელი. ეს საფრთხის ან დაბრკოლების ცალმხრივად მოსპობა იყო. მოგვიანებით კი, როცა ჩინგიზ ყაენმა ტკივილის მიყენების უნარის დიპლომატიური მიზნებისათვის გამოყენება ისწავლა, მის მოღვაწეობაში, ლინ მონტროსის აზრით, გარდატეხა მოხდა. „დიდმა ყაენმა, რომელსაც შეწყალება არ სჩვეოდა, გადაწყვიტა თავისი არმიისათვის, პირველი პოტენციური მსხვერპლის სახით, წინ წაემძღვარებინა ტყვეები – ქალები, ბავშვები, მოხუცი მამები და ახალგაზრდა ვაჟები.[1] ხშირად ცოცხალ ტყვეებს უფრო მეტი სარგებელი მოაქვთ, ვიდრე გარდაცვლილ მტრებს. ჩინგიზ ყაენის მიერ მოწიფულ ასაკში მიგნებული ხერხი დღესაც ფართოდ გამოიყენება. ცნობილია, რომ [მეოცე საუკუნის 50-იან წლებში] ჩრდილოეთ კორეელებმა და ჩინელებმა სამხედრო ტყვეები სტრატეგიულ სამიზნეებთან ახლოს დააბანაკეს, რათა გაერო-ს ავიაციის თავდასხმები შეეჩერებინათ. მძევლების აყვანა ტკივილის მიყენების უნარის ყველაზე ცხადი გამოვლინებაა.

მაიძულებელი ძალადობა ომის წარმოების დროს

ტკივილის მიყენებისა და ძალის მეშვეობით დაუფლების ან შენარჩუნების უნართა შორის განსხვავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ომში. ეს ეხება როგორც დიდ, ისე მცირე, როგორც ჰიპოტეზურ, ისე რეალურ ომს. მრავალი წლის მანძილზე კვიპროსელი ბერძნები და თურქები ერთმანეთს ტკივილს აყენებდნენ, მაგრამ ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებდა სასურველის მიღწევასა და შენარჩუნებას ან ფიზიკური ხერხებით ძალადობისაგან თავის დაცვას. 1940-იან წლებში პალესტინელმა ებრაელებმა ბრიტანელები ვერ განდევნეს, მაგრამ ტერორისტული ტაქტიკის მეშვეობით უამრავი ტკივილი, შიში და დაბრკოლება შეახვედრეს და არაერთი გადაწყვეტილება შეაცვლევინეს. ალჟირის სისხლისმღვრელი ომი უფრო ნამდვილ ძალადობაში, ვიდრე სამხედრო ძლიერებაში შეჯიბრი იყო. საკითხი შემდეგნაირად იდგა: რომელი მხარე ვეღარ გაუძლებდა ტკივილსა და დასუსტებას. საფრანგეთის ჯარს სურდა და ცდა არ დაუშურებია იმისათვის, რომ ეს ომი ძლიერებაში შეჯიბრად გადაექცია, ნაციონალისტების ტერორისათვის სამხედრო ძალა დაეპირისპირებინა, გაენადგურებინა ან დაეუძლურებინა ისინი, რათა ძალადობის მსხვერპლთა თვალსაწიერიდან საერთოდ გაექრო, მაგრამ ვინაიდან სამოქალაქო ომში ტერორისტებს, წმინდა ფიზიკური სიახლოვიდან გამომდინარე, მსხვერპლზე ხელი ადვილად მიუწვდებათ, უკანასკნელთა სიცოცხლისა და საკუთრების ძალის მეშვეობით დაცვა შეუძლებელი ჩანს. ამიტომაც, საბოლოო ჯამში, საფრანგეთის ჯარმა ტკივილის მიყენების საომარ ტაქტიკას მიმართა, მაგრამ წარუმატებლად.

არავის სჯერა, რომ რუსებს ჰავაის კუნძულების, ნიუ-იორკის ან ჩიკაგოს მიტაცება შეუძლიათ, მაგრამ არავის ეპარება ეჭვი, რომ მათ ჰავაის კუნძულებზე, ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში მოსახლეობისა და შენობების განადგურება ძალუძთ. სათუოა, რომ რუსებს დასავლეთ გერმანიის დაპყრობის უნარი ჰქონდეთ, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მათ ამ ქვეყნის საშინლად დაზიანება შეუძლიათ. ის, რომ აშშ-ს რუსეთის დიდი ნაწილის მოსპობის შესაძლებლობა აქვს, საყოველთაოდ გავრცელებული აზრია, მაგრამ ის, რომ აშშ-ს საპასუხო მძიმე ზიანისაგან ან, თუნდაც, აოხრებისაგან თავის

[1] Lynn Montross, *War through the Ages* (3d ed. New York, Harper and Brothers, 1960), p. 146.

დაცვა ან, რუსეთზე თავდასხმის შემდეგ, დასავლეთ ევროპის გადარჩენა შეუძლია, უკეთეს შემთხვევაში, საკამათოა. ის კი, რომ აშშ-მა რუსეთის ტერიტორიის დაპყრობა და მისი ეკონომიკური სიმდიდრის გამოყენება მოახერხოს, კატასტროფით დამუქრებისა და მორჩილებაზე დაყოლიების გარეშე, ფაქტობრივად გამორიცხულია. სწორედ ტკივილის მიყენების უნარი და არა სამხედრო ძლიერება, ტრადიციული გაგებით, არის თანამედროვე ეპოქის ყველაზე შთამბეჭდავ სამხედრო შესაძლებლობათა დამახასიათებელი ელემენტი. აშშ-ში *თავდაცვის* დეპარტამენტი არსებობს, მაგრამ მეტი ყურადღება ექცევა *შურისგებას* – „ბოროტებაზე ბოროტებით პასუხს" (რომლის სინონიმებიცაა: მიზღვა, სამაგიეროს გადახდა, რევანში, შურისძიება, დასჯა). სწორედ ტკივილი და ძალადობა, და არა ძალა, ტრადიციული გაგებით, არის დღევანდელი ეპოქის ისეთი ყველაზე ნაკლებად შთამბეჭდავი სამხედრო შესაძლებლობების დამახასიათებელი ელემენტიც, როგორიცაა პლასტიკური ბომბი, ტერორისტის ტყვია, გადამწვარი მოსავალი და განამებული გლეხი.

ომი გვეელინება ან, შესაძლოა, გადაიქცეს შეჯიბრად, არა იმდენად ძლიერებაში, რამდენადაც გამძლეობაში, სიმტკიცეში, შეუპოვრობასა და ტკივილის ამტანობაში. ომი გვეელინება ან, შესაძლოა, გადაიქცეს არა იმდენად სამხედრო ძლიერებაში შეჯიბრად, რამდენადაც ვაჭრობის პროცესად, ბინძურ, გამოძალვით და ხშირად გულგრილ ვაჭრობად როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, მაგრამ, მაინც, ვაჭრობის პროცესად.

ძალის *გამოყენებასა* და ძალით *დამუქრებას* შორის მკვეთრი ზღვრის გავლება რთულია. ძალის მეშვეობით ამოცანის განსახორციელებლად და მუქარის შესასრულებლად საჭირო ქმედებები საკმაოდ განსხვავებული შეიძლება იყოს. ზოგჯერ ყველაზე ეფექტიანი პირდაპირი ქმედება საკმარის ზარალსა და ტანჯვას აყენებს მტერს იმისათვის, რომ ეს ქმედება მუქარად ჩაითვალოს, ზოგჯერ კი – არა. მოულოდნელი თავდასხმის საპასუხოდ, აშშ საბჭოთა კავშირს მოსახლეობის სრული განადგურებით ემუქრება. ასობით მილიონი ადამიანის სიკვდილი, როგორც ნამდვილი ზიანი, საშინელებაა, მაგრამ ეს საბჭოთა თავდასხმას ვერ შეაჩერებს – განსაკუთრებით, თუ მუქარა ამის ნებისმიერ შემთხვევაში განხორციელებას გულისხმობს. ამდენად, მიზანშეწონილია ცნებების გამიჯვნა (ძალისმიერი მოქმედების ტკივილით დამუქრებისაგან გარჩევა) და იმის აღიარება, რომ ზოგიერთი ქმედება ერთდროულად ძალის მეშვეობით ამოცანის განხორციელებისა და ნამდვილი ზიანის მიყენების საშუალებაა, ხოლო ზოგიერთი – არა. მძევლების აყვანას ნამდვილი ტკივილი და ზიანი მოაქვს, ისევე როგორც ამ დანაშაულებრივი აქტისათვის ნებისმიერი ფორმით სამაგიეროს გადახდას. თავდაცვის ზოგიერთი ხერხი იმდენად ცოტა სისხლსა და მატერიალურ სახსრებს მოითხოვს, რომ უმნიშვნელო ძალადობაში გამოიხატება, ხოლო ზოგიერთ ძალისმიერ ქმედებას იმდენი ძალადობა მოჰყვება, რომ ამ ქმედებების მუქარაც კი თავისთავად შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს.

ტკივილის მიყენების უნარი, იმის მიუხედავად, რომ პირდაპირ ვერაფერს აღწევს, პოტენციურად უფრო მრავლის შემძლეა, ვიდრე ძალის მეშვეობით ამოცანის განხორციელების უშუალო შესაძლებლობა. მხოლოდ ძალის გამოყენებით ცხენსაც კი ვერ მივიყვანთ წყალთან – მისი მითრევა მოგვიწევს, კიდევ უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ წყალს დავალევინებთ. ნებისმიერი ქმედითი ღონისძიება, ნებისმიერი თანამშრომლობა, თითქმის ყველაფერი ფიზიკური მოცილების, გაძევებისა და განადგურების გარდა, მოწინააღმდეგის ან მსხვერპლის მხრიდან რაღაცის *გაკეთებას* მოითხოვს, თუნდაც, შეჩერებას ან გაცლას. ტკივილისა და ზიანის მუქარას ძალუძს, მას ამის გაკეთება მოანდომოს, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოწინააღმდეგის ნებისმიერი ნაბიჯი პოტენციურად მგრძნობიარეა ზენოლის მიმართ.

ტლანქი ძალმომრეობით მიიღწევა მხოლოდ ის, რაც თანამშრომლობას არ საჭიროებს. ამ პრინციპის საილუსტრაციოდ უიარაღო ბრძოლის ტექნიკა გამოდგება: ერთ ადამიანს სხვადასხვა გამაოგნებელი, მტეხავი ან მომაკვდინებელი დარტყმებით მეორის მწყობრიდან გამოყვანა შეუძლია, მაგრამ მოწინააღმდეგის ციხეში წასაყვანად მისივე ძალების გამოყენება ესაჭიროება. „მოქაჩვის" ილეთი ტკივილით ან მწყობრიდან გამოყვანით იმუქრება, დამორჩილების შემთხვევაში კი მსხვერპლს შეებას ჰგვრის და ციხეში თავისივე ფეხით წასვლის არჩევანს სთავაზობს.

თუმცა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ ის, რაც გადაწყვეტილების ერთ დონეზე ნამდვილ ტკივილს ან მისი მიყენების მუქარას წარმოადგენს, მეორე დონეზე ტლანქი ძალმომრეობა შეიძლება იყოს. 1940 წელს, ლონდონზე განხორციელებული პირველი საჰაერო თავდასხმის დროს, ჩერჩილს შეეშინდა, რომ ლონდონის მოსახლეობა პანიკაში ჩავარდებოდა. ხალხისათვის ბომბები ნამდვილ ძალადობას ნიშნავდა, რომელიც მათ არადისციპლინებული თვითგადარჩენისაკენ უბიძგებდა. ჩერჩილისა და მთავრობისათვის კი ბომბები ქვეყნის ქმედუნარიანობის დაქვეითების მიზეზი იყო, განურჩევლად იმისა, ზიანდებოდა ტრანსპორტი, ხალხს სამუშაოზე აგვიანდებოდა თუ, საერთოდ, მუშაობის შიში უჩნდებოდა. ჩერჩილის გადაწყვეტილებები მცირე ადამიანური დანაკარგის შიშით ნაკარნახევი ვერ იქნებოდა. მსგავსი რამ ხდება ბრძოლის ველზეც: ტაქტიკა, რომელიც იმდენად აშინებს ჯარისკაცებს, რომ ისინი გარბიან, თავს ხრიან, იარაღს ყრიან და ნებდებიან, ტკივილის მიყენების უნარზე დამყარებული ძალდატანებაა, უმაღლესი სარდლობა კი, რომელსაც ხელი შეეშალა, მაგრამ დანებება არ გადაუწყვეტია, ამგვარ ტაქტიკას სამხედრო დისციპლინასა და ძლიერებაში შეჯიბრის ნანილად აღიქვამს.

ის ფაქტი, რომ ძალადობა – ნამდვილი ტკივილი და ზიანი – ბინძური [პოლიტიკური] ვაჭრობის პროცესში იძულების, შეკავების, დაშინების, შანტაჟის, დემორალიზებისა და პარალიზების მიზნით შეიძლება იქნეს გამოყენებული ან დამუქრებული როდი ნიშნავს იმას, რომ ძალადობა საკმაოდ ხშირად აღვირახსნილი და აზრს მოკლებული, ან მიზანმიმართული, მაგრამ უმართავი არ შეიძლება იყოს. ძველი დროის ომები ხშირად „ტოტალური" იყო დამარცხებული ქვეყნისათვის, სადაც მამაკაცებს კლავდნენ, ქალებს მონებად ყიდდნენ, ბიჭებს ასაჭურისებდნენ, პირუტყვს ხოცდნენ და შენობებს მიწასთან ასწორებდნენ, — შურისძიების, სამართლიანობის, პირადი სარგებლისა თუ, უბრალოდ, წეს-ჩვეულების გამო. როდესაც მტერი, გამიზნულად ან დაუდევრობით, ქალაქს დაგვიბომბავს, თუ შესაძლებლობა გვექნება, საპასუხოდ ჩვენც დავუბომბავთ ქალაქს. ომის წარმოების დროს, აღელვებისა და დაღლილობის პირობებში, შურისძიება ერთ-ერთი იმ იშვიათ სურვილთაგანია, რომლის დაოკებაც კმაყოფილებას გვანიჭებს, ხოლო სამართლიანობის აღდგენის პრინციპი ხშირად მტრის დასჯისაკენ მოგვიწოდებს, თუნდაც, უფრო გადამეტებულად, ვიდრე ამას სამართლიანობა სინამდვილეში მოითხოვს. 1099 წელს ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის დაცემის შემდეგ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა სამხედრო ქრონიკაში ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან გვერდად ჩაიწერა. „დასავლეთიდან მოსული ადამიანები სისხლის გუბეში ცურავდნენ, მათი სვლა უფლის საფლავის ეკლესიისაკენ „ღვინის ფეხით დაწურვას" ჰგავდა . . . ," – მოგვითხრობს მონტროსი (გვ. 138), რომლის დაკვირვებითაც, ამგვარი საშინელებანი, ჩვეულებრივ, გამაგრებული პოსტის ან ქალაქის დაპყრობის კულმინაციისას ხდება. „დიდი ხნის მანძილზე თავდამსხმელები უფრო მეტ ზიანს განიცდიდნენ, ვიდრე მტრისთვის მიყენება შეეძლოთ. ასეთ დროს, გულჩაკლული ემოციები, ქალაქის კედლების რღვევისთანავე, მკვლელობაში, გაუპატიურებასა და ძარცვაში იხარჯება, რისი თავიდან აცილებაც დისციპლინას არ შეუძლია." მსგავსი რამ მოხდა, როდესაც ხანგრძლივი ალყის შემდეგ, ქალაქი

ტიროსი ალექსანდრე მაკედონელს ჩაბარდა. ეს ფენომენი არც მეორე მსოფლიო ომის დროს წყნარი ოკეანის სანაპიროებისათვის იყო უცხო. ნამდვილი ძალადობა, ცეცხლის მსგავსად, მიზნისაკენ შეიძლება იქნეს მიმართული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველი სისხლისღვრა წარმატებით განხორციელებული გამჭრიახი ჩანაფიქრია.

თუმცა, თუ ძალადობის აქტის მიღმა ყოველთვის შორსმჭვრეტელი მიზანი არ მოჩანს, ტკვილისა და განადგურების არარსებობა არ მიანიშნებს, რომ ძალადობამ ფუჭად ჩაიარა. ძალადობა ყველაზე მიზანდასახული და წარმატებულია დამუქრების და არა განხორციელების შემთხვევაში. ევროპული სტანდარტებით, დანია, ფაქტობრივად, უვნებელი დარჩა მეორე მსოფლიო ომში. სწორედ ძალადობამ აიძულა დანიელები, დანებებულიყვნენ. შეკავებული ძალადობა – წარმატებულად დამუქრებული ძალადობა – შეიძლება უმანკოდ და გულმოწყალედაც გამოიყურებოდეს. ის ფაქტი, რომ საკმარისი ოდენობის გამოსასყიდის გადახდის შემდეგ, მოტაცებული მსხვერპლი უვნებლად ბრუნდება შინ, ადამიანის მოტაცებას არაძალადობრივ აქტად არ აქცევს. 1847 წელს ამერიკელთა გამარჯვება მეხიკოსთან დიდი წარმატება იყო. მხოლოდ მცირეოდენი სისასტიკის წყალობით, ამერიკელებმა დედაქალაქის სანაცვლოდ მიიღეს ყველაფერი, რისი მოპოვებაც ამ ომში სურდათ და იმის თქმაც კი არ დასჭირდათ, თუ რა ზიანის მიყენება შეეძლოთ მეხიკოსათვის, მექსიკის ხელისუფალთა იმაში დასარწმუნებლად, თუ რამდენად დიდი იყო მათი რისკი. (უკანასკნელნი, უეჭველად, ერთი თვით ადრე მიხვდნენ ყოველივეს, როცა მძლავრი შეტევის შედეგად ქალაქი ვერაკრუსი დაეცა. 48 საათიანი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ ამ ქალაქში მყოფი უცხოელი კონსულები გენერალ სკოტის შტაბ-ბინაში დროებითი ზავის სათხოვნელად მივიდნენ, რათა ქალებს, ბავშვებსა და ნეიტრალებს ქალაქის ევაკუაციის საშუალება მისცემოდათ. გენერალმა სკოტმა, რომელიც „ქალაქის კაპიტულაციის მიღწევას ამგვარი შიდა ზეწოლის დახმარებით იმედოვნებდა," მათ უარი უთხრა და აუწყა, რომ ყველას, ჯარისკაცსა თუ მშვიდობიან პირს, ვინც ქალაქის დატოვებას შეეცდებოდა, ცეცხლს გაუხსნიდა).[2]

ხშირად მუქარა იგრძნობა იმის მიუხედავად, გამოხატულია ის სიტყვიერად თუ არა. ადრეული ეპოქების ეტიკეტი ამ მხრივ ნაკლებად შეზღუდული იყო. როდესაც სპარსელებმა იონიის ზოგიერთი ქალაქის უბრძოლველად დანებება და გადმობირება მოისურვეს, მათ საკუთარ ელჩებს დაავალეს:

> შესთავაზეთ და დაჰპირდით, რომ მოკავშირეთაგან განდგომის შემთხვევაში არავითარი უსიამოვნება არ შეხვდებათ, რომ ჩვენ არ დავუწვავთ არც სახლებს და არც ტაძრებს და არ დაველმუქრებით უფრო მეტი უმოწყალობით, ვიდრე აქამდე იყო. თუმცა, თუ უარს გეტყვიან და მაინც ბრძოლას მოისურვებენ, მაშინ მუქარას მიმართეთ და ზუსტად აუხსენით, თუ რას ვუზამთ. უთხარით, რომ თუ დამარცხდებიან, მონებად ვაქცევთ, მათ ვაჟებს დავასაჭურისებთ, ქალიშვილებს ბაქტრიაში გავრეკავთ და მინასაც ჩამოვართმევთ.[3]

ყოველივე ეს ჰგავს ჰიტლერის მიერ [ავსტრიის კანცლერ] შუშნიგისადმი ნათქვამს: „მე მხოლოდ ბრძანების გაცემა მჭირდება და ერთ ღამეში საზღვარზე მდგომი

---

[2] Otis A. Singletary, *The Mexican War* (Chicago, University of Chicago Press, 1960), pp. 75-76. ამის მსგავსი ეპიზოდი ძველი წელთაღრიცხვით 52 წელს მოხდა, როდესაც გალებმა, ქალაქ ალესიის დაცვის დროს, „გადანყვიტეს ქალაქიდან გამოეშვათ ყველა, ვისაც, ასაკის ან უძლურების გამო, ბრძოლის უნარი არ გააჩნდა . . . ისინი რომაელთა პოზიციებს მიუახლოვდნენ და თვალცრემლიანნი ემუდარებოდნენ ჯარისკაცებს, მონებად ექციათ და შიმშილისაგან ეხსნათ, მაგრამ კეისარმა მცველები დააყენა მინაყრილებთან და გალებისათვის გზის ჩაკეტვა ბრძანა." Caesar, *The Conquest of Gaul*, S. A. Handford, transl. (Baltimore, Penguin Books, 1951), p. 227.

[3] Herodotus, *The Histories*, Aubrey de Selincourt, transl. (Baltimore, Penguin Books, 1954), p. 362.

ყველა სასაცილო საფრთხობელა გაქრება . . . უბედურება არ აგცდებათ . . . ჯარს მოჰყვება S. A. და ლეგიონი. ვერავინ შეაჩერებს შურისძიებას, მათ შორის, ვერც მე."

ან ჰენრი V-ის მიერ ჰარლფლერის კარიბჭესთან წარმოთქმულ სიტყვებს:

ისე ამაოდ მოვუნოდებთ უძლურ ბრძანებით
ძარცვა-გლეჯით და ბრძოლით გართულ ჩვენს ჯარისკაცებს,
როგორც ამაო იქნებოდა ლევიათანის
გამოტყუება ზღვის ნაპირზე. აი, ამიტომ
ჰარლფლერის მკვიდრნო, შეიბრალეთ თქვენი ქალაქი
და თქვენი თავი, ვიდრე ჯარი ჩემს ნებაზეა
და შენყალების ზომიერი და გრილი ქარი
ჯერ კიდევ ფანტავს ძარცვა-გლეჯის, ძალადობისა,
კაცისკვლისა და მუსვრა-რბევის მოწამლულ ღრუბლებს.
თუ არა, ნამსვე დაინახავთ თქვენიეე თვალით,
დაბრმავებული ჯარისკაცი სისხლიან ხელით
როგორ დაითრევს აკივლებულ თქვენს ქალიშვილებს,
ჭაღარა წეერში კადნიერად სწვდება თქვენს მამებს
და პატივსაცემ თავებს იქვე კედელს შეუხლის,
ტიტველა ბავშვებს წამოაგებს შუბის წვერებზე
და გააყრუებს ცას ჭკუიდან შეშლილ დედათა
საზარი მოთქმა . . .
აბა რას იტყვით? დაგვნებდებით ახლა თუ არა?
თუ ამჯობინებთ დაღუპვას და განადგურებას?*

ტკივილისა და ზიანის სტრატეგიული დანიშნულება

ნამდვილი ძალადობა, არასამხედრო ძალადობა ყველაზე ნათლად არათანაბარი სიძლიერის ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ჩანს, სადაც კონკურენცია სამხედრო სფეროში მცირეა და საომარი დაპირისპირების შედეგიც წინასწარ არის ცნობილი. ჰიტლერს შეეძლო, დამცინავად და სასტიკად დამუქრებოდა ავსტრიას. მას შეეძლო, რომ ნდომოდა, უფრო დახვეწილად დამუქრებოდა დანიას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ენით საუბრობდა ჰიტლერი და არა მისი გენერლები. ამაყ სამხედროებს გამომძალველებად ყოფნა არ სურთ. მათი საყვარელი საქმეა ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება, მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის მოშორება და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობის განხორციელების პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროსათვის მინდობა. მაგრამ როცა საეჭვო არაა, თუ როგორ დასრულდება ძლიერებაში შეჯიბრი, მაშინ შესაძლებელია სამხედრო სტადიის გამოტოვება და პირდაპირ მაიძულებელ ვაჭრობაზე გადასვლა.

არათანაბარ ძალთა ტიპურ კონფრონტაციას ადგილი აქვს ომის *დასასრულს*, გამარჯვებულსა და დამარცხებულს შორის. თუ ავსტრია პირველი ტყვიის გასროლამდეც დაუცველი იყო, საფრანგეთი დაუცველი აღმოჩნდა საკუთარი სამხედრო ზღუდის დაცემის შემდეგ, 1940 წელს. სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობის მუქარამ, პირველ რიგში, სწორედ კაპიტულაციის თაობაზე დაწყებულ მოლაპარაკებებში შეიძლება გაიჟღეროს. ამგვარი მოლაპარაკებები, მეტწილად, უთანასწოროა, ხოლო პოტენციური ძალადობა მათში იმდენად გამოკვეთილია, რომ [პოლიტიკურ] ვაჭრობას სასურველი შედეგი მოაქვს და ძალადობა თადარიგში რჩება. მაგრამ ის ფაქტი, რომ რეალური ზიანის დიდი ნაწილი ომის სამხედრო სტადიის დროს, გამარ-

* ჰენრი მეხუთე. აქტი III, სცენა III. გივი გაჩეჩილაძის თარგმანი. უილიამ შექსპირი. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ნ. ყიასაშვილი (რედ.). თბილისი. „ხელოვნება." 1987. ტ. 3. გვ. 133.

ჯვებამდე ან დამარცხებამდე იქნა მიყენებული, არ ნიშნავს იმას, რომ ომის შემდგომ ძალადობამ არ იმუშავა – ის ხომ ფარული იყო და მისი მუქარა წარმატებული გამოდგა.

გამარჯვება, ხშირ შემთხვევაში, მართლაც, ტკივილის მიყენების უნარის გამოყენების წინაპირობაა. როდესაც ქსენოფონტი მცირე აზიაში სპარსელების მხარეს იბრძოდა, მტრის ჯარისკაცების გასაფანტად და მათი მინების ხელში ჩასაგდებად სამხედრო ძლიერება სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ გამარჯვებულს არც მინა და არც მხოლოდ გამარჯვება აკმაყოფილებდა.

მეორე დღეს სპარსელმა სარდალმა მთლიანად გადაწვა სოფლები ისე, რომ აღარც ერთი სახლი არ დატოვა, რათა სხვა ტომებისათვის შიში ჩაენერგა და ეჩვენებინა, რა ბედი ეწეოდათ, თუ არ დანებდებოდნენ . . . მან რამდენიმე ტყვე მთებში გაგზავნა და მათი პირით იქ გახიზნულებს შეუთვალა, რომ თუ არ ჩამოვიდოდნენ და არ დაუბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებს მის მიმართ მორჩილების გამოსახატავად, მათ სოფლებსაც ცეცხლს ნაუკიდებდა და მოსავალს გაუნადგურებდა, რის შედეგადაც ისინი შიმშილით დაიხოცებოდნენ.[4]

სამხედრო გამარჯვება აქ მხოლოდ *შესვლის ფასი* იყო, რომლის გადახდის უნარსაც ძალადობის მუქარის წარმატება განაპირობებდა.

სპარსელი სარდლის მსგავსად, რუსებმა 1956 წელს ბუდაპეშტი დაარბიეს და ამით პოლონეთი და სხვა მეზობელი ქვეყნები დააშინეს. სამხედრო გამარჯვებასა და ძალადობის ამ აქტს შორის ათი წელი იყო გასული, მაგრამ საფუძვლად მას სწორედ ის პრინციპი ედო, რომელიც ქსენოფონტმა აღწერა. სამხედრო გამარჯვება ხშირად ძალადობის დასაწყისია და არა მისი დასასრული, ხოლო იმ ფაქტმა, რომ, ჩვეულებრივ, თადარიგში დატოვებული ძალადობაა ყველაზე წარმატებული, შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს მისი როლის შეფასებისას.

რა შეიძლება ითქვას ომის მსვლელობისას ჩადენილი ნამდვილი ძალადობის, ტკივილისა და ტანჯვის მიყენების, როგორც სამხედრო ხერხის შესახებ? ტკივილის მუქარა მხოლოდ გამარჯვებიდან პოლიტიკური სარგებლის მისაღებად გამოიყენება, თუ ის ომის წარმოების ნაცადი ხერხიცაა?

აშკარაა, რომ არათანაბარ ძალთა ურთიერთობაში ის ომის წარმოების შემადგენელი ნაწილია. კოლონიური დაპყრობები, თავისი არსით, უფრო მეტად „სადამსჯელო ექსპედიციებს" წააგავდა, ვიდრე ჭეშმარიტ სამხედრო შეტაკებებს. თუ ადგილობრივი ტომების წარმომადგენლები ბუჩქებში იმალებოდნენ, მათ ცარიელ სახლებს წვავდნენ, სანამ ისინი ე.წ. „დედოფლის მფარველობას" არ დასთანხმდებოდნენ. მეოცე საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში ბრიტანეთმა თავისი საჰაერო ძალები არაბების დასასჯელად გამოიყენა, რათა ეიძულებინა ისინი, დამორჩილებულიყვნენ.[5]

[4] Xenophon, *The Persian Expedition*, Rex Warner, transl. (Baltimore, Penguin Books, 1949), p. 272. „ჯ. ლ. ნიბურგის აზრით, ძალადობის მუქარის „რაციონალური" მიზანია ინტერესთა შეგუება და არა ჭეშმარიტი ძალადობის გამოწვევა. მსგავსად ამისა, ჭეშმარიტი ძალადობის „რაციონალური" მიზანია ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმის სურვილისა და შესაძლებლობის დემონსტრირება (რაც სამომავლო მუქარის დამაჯერებლობას განამტკიცებს) და არა აღნიშნული შესაძლებლობის უსაზღვრო კონფლიქტში გაღება." H. L. Nieburg, "Uses os Violence," *Journal of Conflict Resolution*, 7 (1963), 44.

[5] ამ ტაქტიკის გაცნობიერებულ და ღრმააზროვან აღწერილობას, რომელიც მის „დიპლომატიურ" ხასიათს უსვამს ხაზს, ეხვდებით ავიაციის მარშალის ლორდ პორტალის ლექციაში: „საჰაერო ძალების თანამშრომლობა იმპერიაში ნესრიგის დასაცავად." „კანონის დამრღვევ ტომს, დაბომბვის გარდა, სხვა ალტერნატივაც უნდა დავუსახოთ . . . რაც შეიძლება გარკვეით უნდა ეუთხრათ, რომ ალტერნატივა არსებობს . . . უდიდესი შეცდომაა იმის ფიქრი, რომ გამარჯვება, რომელიც დამარცხებულთა სიცოცხლესა და გრძნობებს არ ხელყოფს ნაკლებად მტკიცე ან ნაკლებად მარგებელია, ვიდრე ის, რომელიც მეომარ მხარეებს მძიმე დანაკარგებს აყენებს და დამარცხებ-

თუ მტერს არ ჰყოფნის ძალა, წინააღმდეგობა გაწიოს ან არ სურს ომში ჩაბმა, მაიძულებელი ძალადობის განსახორციელებლად გამარჯვების მოპოვება აუცილებელი არ არის. როდესაც კეისარი გალიაში წესრიგს ამყარებდა, მას ადგილობრივ შეიარაღებულ ტომებთან ზოგჯერ ბრძოლის გამართვა უხდებოდა იმისათვის, რომ შემდგომ ისინი ძალადობით დაესაჯა და დაემორჩილებინა, მაგრამ ზოგჯერ კეისარი წინააღმდეგობას საერთოდ არ აწყდებოდა და პირდაპირ დასჯას მიმართავდა. მისი ლეგიონებისათვის ძალაუფლებისაკენ გზის ბრძოლით გაკაფვა უფრო დიდი გმირობა იყო, მაგრამ კეისარს, როგორც გალიის გამგებელს, მტრის ჯარების მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური მმართველობის ხელისშემშლელ ფაქტორად დანახვა შეეძლო. მისი მმართველობა კი ტკივილის, მწუხარებისა და გასაჭირის მიყენების უნარს ემყარებოდა. ამასთან, კეისარი არასანდო ტომებიდან ასობით მძევალს იტოვებდა, რათა მის მიერ ძალადობით დამუქრებას გასვლითი ექსპედიციაც კი არ დასჭირვებოდა.

ნამდვილი ტკივილის მიყენება, როგორც სამხედრო ტაქტიკა, პრერიის ინდიელების წინააღმდეგ წარმოებულ რამდენიმე სამხედრო ოპერაციაშიც იქნა გამოყენებული. 1868 წელს, შეიენებთან ომის დროს, გენერალმა შერიდანმა ყველაზე მომგებიან ნაბიჯად მიიჩნია, ზამთრად დაბანაკებულ ინდიელებს დასხმოდა თავს. მისი ჩანაფიქრი ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ ინდიელებს წელიწადის ნებისმიერ სხვა დროს, როდესაც მათი ცხენები ბალახით საზრდოობდნენ, თავისუფლად თარეშში შეეძლოთ, ზამთარში კი შორეულ ადგილებში მიმალვა უხდებოდათ. „ინდიელთა ტერიტორიაზე გაფანტული დიდი რაზმების წინააღმდეგ ზამთრის კამპანია დაიგეგმა რათა, ერთი მხრივ, მათი გონება იმ შეცდომიდან გამოეყვანათ, რომ სასჯელს გადაურჩებოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, იმ პერიოდში მიეტანათ დარტყმა, როცა მათ პირუტყვისა და სახლეულის გადაადგილება არ შეეძლოთ."[6]

ეს სამხედრო შეტაკებები კი არა, ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული სადამსჯელო თავდასხმები იყო. ეს იყო ძალადობის გამოყენებით მტრის დაქვემდებარების მცდელობა, მისი სამხედრო ძალების გადამწყვეტ ბრძოლაში გამონვევის გარეშე. ეს იყო „მასირებული შურისგება" შემცირებულ მასშტაბში, ჰიროსიმისაგან განსხვავებული, ლოკალური შედეგებით. თავად ინდიელებს ძლიერ აკლდათ ორგანიზებულობა და დისციპლინა, არც მიზანში სროლის დასახვეწად საჭირო ოდენობის ტყვიამწამალი გააჩნდათ და არც სამხედრო თვალსაზრისით კავალერიასთან შეეძლოთ გატოლება. მათი მარტივი სტრატეგია, საუკეთესო შემთხვევაში, მტრის დაქანცვასა და მისთვის სამაგიეროს გადახდას ითვალისწინებდა. ინდიელთა ნახევარსაუკუნოვანმა ბრძოლამ დასავლეთში კავალერიის ტაქტიკა შემოგვინახა, მაგრამ ძნელია ინდიელთა წინააღმდეგ ამერიკელთა სტრატეგიის ან თეთრკანიანთა წინააღმდეგ ინდიელთა სტრატეგიის შესახებ დაწერილი სერიოზული სამეცნიერო ნაშრომის მოძიება. მეოცე საუკუნე არ არის პირველი საუკუნე, რომელშიც „შურისგება" ამერიკელთა სტრატეგიის ნაწილს შეადგენს, მაგრამ ის პირველი საუკუნეა, რომელშიც მათ ეს თანამიმდევრულად აღიარეს.

ტკივილის მიყენება, როგორც სამხედრო სტრატეგია აშშ-ის სამოქალაქო ომშიც გამოჩნდა, თუმცა, ეპიზოდური და არა მთავარი სტრატეგიის სახით. სამოქალაქო ომი, უმთავრესად, სამხედრო შეტაკება იყო, რომელშიც ერთი მხარის სამხედრო ძალა მეორისას უპირისპირდებოდა. კონფედერატთა ძალებს იმედი ჰქონდათ, რომ მოკავშირეთა ტერიტორიის საკმარისად დიდ ნაწილს ააოხრებდნენ იმისათვის, რომ

ის ველზე ნაკარნახევი „მშვიდობით" სრულდება." Lord Portal, "Air Force Cooperation in Policing the Empire," *Journal of the Royal United Services Institution* (London, May 1937), pp. 343-58.

[6] Paul I. Wellman, *Death on the Prairie* (New York, Macmillan, 1934), p. 82.

დამოუკიდებლობის აღიარებისათვის მიეღწიათ, მაგრამ ამგვარი ძალადობის განსახორციელებლად შესაძლებლობები არ ეყოთ. მოკავშირეთა ძალები კი, ძირითადად, სამხედრო გამარჯვების მოპოვებას ცდილობდნენ და მხოლოდ გენერალ შერმანის ჯორჯიაში ლაშქრობა შეიძლება ჩაითვალოს შეგნებულ და აშკარა ძალადობრივ აქტად. „თუ ხალხი ჩემი ბარბაროსობისა და სისასტიკის გამო, მოთქმას დაიწყებს, მე ვუპასუხებ, რომ ომი ომია . . . თუ მათ მშვიდობა სურთ, მათ და მათმა ნათესავებმა ომი უნდა შეწყვიტონ," – წერდა შერმანი. მისმა ერთმა თანამებრძოლმა კი თქვა: „შერმანი სავსებით მართალია . . . ამ უბედური და საშინელი კონფლიქტის დასრულების ერთადერთი საშუალება . . . მისი ძლიერ გაუსაძლისად გახდომაა."[7]

სწორედ „ძლიერ გაუსაძლისად გახდომა" უკავშირდება ალჟირსა და პალესტინას, ბუდაპეშტის დარბევასა და ცენტრალური აფრიკის ტომთა ომებს. თუმცა, უკანასკნელი ასი წლის მანძილზე მომხდარი დიდი ომების ბედს, როგორც წესი, სამხედრო ასპარეზზე გამარჯვება და არა ხალხისათვის ტკივილის მიყენება წყვეტდა. გენერალ შერმანის მცდელობა, ჯოჯოხეთად ექცია ომი სამხრეთის მოსახლეობისათვის მომდევნო საუკუნის სამხედრო სტრატეგიის განსახიერება ვერ გახდა. მტრის სამხედრო ძალების ძებნა და განადგურება, მტრის არმიებზე სრული გამარჯვების მოპოვება ამერიკული სტრატეგიის აღიარებულ მიზნად და მთავარ ამოცანად დარჩა ორივე მსოფლიო ომში. სამხედრო მოქმედება [პოლიტიკური] ვაჭრობის *ალტერნატივად* იყო მიჩნეული და არა ამგვარი ვაჭრობის *პროცესად*.

ზემოაღნიშნულის მიზეზი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ცივილიზებული ქვეყნები ხალხისათვის ტკივილის მიყენების იმდენად მოძულენი არიან, რომ „ჭეშმარიტად სამხედრო" ომებს ანიჭებენ უპირატესობას. (ნიშანდობლივია, რომ ამ ომების ყველა მონაწილეც არ იყო ბოლომდე ცივილიზებული). როგორც ჩანს, მიზეზი იმაშია, რომ ომის წარმოების ტექნოლოგია და გეოგრაფია საშუალებას არ აძლევდა მაიძულებელ ძალადობას, სამხედრო გამარჯვების მიღწევამდე გადამწყვეტ იარაღად ქცეულიყო, რაც მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძლიერის სახელმწიფოებს შორის მეოცე საუკუნეში, მეორე მსოფლიოს ომის ჩათვლით, მიმდინარე ომების მაგალითზეც ნათლად ჩანს. ბლოკადა, უდავოდ, მთლიანად მტრული ერის და არა მხოლოდ მისი სამხედრო ძალების წინააღმდეგ იყო მიმართული. გერმანიის ის მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გრიპისაგან დაიღუპა, მთლიანად ქვეყნის სანინააღმდეგოდ მიმართული ძალადობის მსხვერპლი გახდა. ბოლომდე ნათელი არაა, ბლოკადაში მოქცევა – სამხრეთისა აშშ-ის სამოქალაქო ომში, აგრესორი სახელმწიფოებისა ორივე მსოფლიო ომში, ან წყალქვეშა საომარი კამპანია ბრიტანეთის წინააღმდეგ – მიზნად ისახავდა, ხალხისათვის ომი გაუსაძლისი გაეხადა, თუ უბრალოდ დაესუსტებინა მტრის სამხედრო ძალები ეკონომიკური დახმარების გადაკეტვის გზით. გამოითქვა ორივე მოსაზრება, მაგრამ მიზნის განმარტება აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგანაც ნებისმიერი მიზანი აღიარებული იყო ლეგიტიმურად და შეიძლებოდა განხორციელებულიყო. მტრის სამშობლოს „სტრატეგიული დაბომბვა," ხალხისათვის ტკივილისა და გასაჭირის, ხოლო სახელმწიფოსათვის ადამიანური მსხვერპლის მიყენების შესაძლებლობიდან გამომდინარე, დროდადრო საბუთდებოდა როგორც მტრული სახელმწიფოს მოსახლეობისა და ხელისუფლებისათვის იმის ჩვენების მცდელობა, რომ კაპიტულაცია უკეთესი იქნებოდა, ვიდრე წინააღმდეგო-

[7] ჯ. ფულერი ხსენებული კორესპონდენციის ნაწილსა და რამდენიმე საკუთარ შენიშვნასაც გვთავაზობს: „მეცხრამეტე საუკუნისათვის ეს ახალი კონცეფცია იყო, ვინაიდან მასში იგულისხმებოდა, რომ ომის გადამწყვეტი ფაქტორი – მშვიდობის მოთხოვნის უნარი – ხელისუფლებისაგან ხალხს გადაეცა, ხოლო მშვიდობისმყოფელობა რევოლუციის პროდუქტია. ეს დემოკრატიის პრინციპის უმაღლეს მწვერვალზე აყვანას ნიშნავდა . . . ". J. F. C. Fuller, *The Conduct of War: 1789-1961* (New Brunswick, Rutgers University Press, 1961), pp. 107-12.

ბა იმ ზიანის გათვალისწინებით, რომელიც მას მოჰყვებოდა. ის აგრეთვე. „სამხედრო" მოსაზრებებიდან გამომდინარე, საბუთდებოდა, როგორც მტრის ჯარისათვის შერჩევითი მატერიალური ზარალის მიყენებისა და ეკონომიკის, როგორც სამხედრო ძლიერების საფუძვლის, დასუსტების საშუალება.[8]

თუმცა, ტერორიზმმა (როგორც უფრო მეტად მტრის იძულების, ვიდრე, სამხედრო თვალსაზრისით, მისი დასუსტების მიზნით ჩადენილმა ძალადობამ), ბლოკადამ და სტრატეგიულმა დაბომბვამ ორივე მსოფლიო ომის დროს ევროპაში არ გაამართლა. (ეს საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ იაპონიასთან ომში, ისიც მას შემდეგ, რაც სამხედრო მოქმედებაში ამერიკული ავიაცია ჩაერთო). თვითმფრინავებს არ შეეძლოთ სადამსჯელო, მაიძულებელი ძალადობით ევროპაში ომის ბედის გადაწყვეტა, დროის მისაღებ მონაკვეთში მაინც და მტრის ძალების დამარცხების ან განადგურების აუცილებლობის გამორიცხვა, რადგან ჩვეულებრივი ასაფეთქებელი და ცეცხლგამჩენი ჭურვების მეტი გადასატანი არაფერი ჰქონდათ. ჰიტლერის მფრინავი ბომბი „V-1" და რაკეტა „V-2" თვალსაჩინო მაგალითებია ისეთი იარაღისა, რომლის მიზანი იყო დაშინება და უფრო მეტად ბრიტანეთისათვის, ვიდრე მოკავშირეთა ძალებისათვის ტკივილის მიყენება. „V-2"-ს ესაჭიროებოდა სადამსჯელო უნარის მქონე მარგი ტვირთი, რომლის ზიდვაც მიზანშეწონილი იქნებოდა, მაგრამ გერმანელებს ის არ გააჩნდათ. 1920-იან და 1930-იან წლებში დამკვიდრებული მოლოდინი იმის თაობაზე, რომ მომავალი ომი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი ძალადობით, შოკითა და საჰაერო სივრციდან წამოსული ტერორით იქნებოდა სავსე, სათანადო ტექნოლოგიის არარსებობის გამო, არ გამართლდა. მართალია, ძალადობით დასჯის მუქარა ოკუპირებული ქვეყნების მორჩილებას განაპირობებდა, მაგრამ ევროპაში ომების მოგება ტლანქ ძალმომრეობასა და სამხედრო ოსტატობაზე დაყრდნობით ხდებოდა და არა დაშინებით, არა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობით დამუქრების, არამედ სამხედრო ძალის გამოყენების მეშვეობით. სამხედრო გამარჯვება კვლავაც შესვლის ფასი იყო. ხალხის წინააღმდეგ მიმართული ფარული ძალადობა კი კაპიტულაციასა და ოკუპაციასთან დაკავშირებული პოლიტიკისათვის ინახებოდა.

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს იაპონურ ქალაქებში ჩაშენებული ორი ატომური ბომბი. ისინი ტერორისა და შოკის იარაღი იყო. ეს ბომბები ტკივილს აყენებდა და მეტი ტკივილით იმუქრებოდა – სწორედ ეს შეადგენდა მათ მიზანს. იმ რამდენიმე „მცირე ზომის" იარაღს, რომელსაც ამერიკელები ფლობდნენ, უეჭველად, დიდი სამხედრო ღირებულება ჰქონდა, მაგრამ მათი უზარმაზარი უპირატესობა ნამდვილი ძალადობის განხორციელების უნარიდან გამომდინარეობდა. სამხედრო თვალსაზრისით, აშშ იაპონიის ორი სამრეწველო ქალაქის განადგურების შედეგად ბევრს ვერაფერს მოიგებდა, იაპონია კი, სამოქალაქო მოსახლეობის მხრივ, ბევრს დაკარგავდა. ბომბი, რომელიც ჰიროსიმას დაეცა, მთელი იაპონიისათვის განკუთვნილ მუქარად შეიძლება განვიხილოთ. ამ ბომბის პოლიტიკური სამიზნე არა ჰიროსიმაში დაღუპული ხალხი ან ფაბრიკები, რომლებშიც ისინი მუშაობდნენ, არამედ ტოკიოს გადარჩენილი მოსახლეობა იყო. ეს ორი ბომბი შერიდანის კომანჩთა წინააღმდეგ ბრძოლისა და შერმანის ჯორჯიაში ლაშქრობის ტრადიციას აგრძელებდა. იმის მიუხედავად, გადაარჩინა თუ მოსპო ამ ბომბებმა სიცოცხლე – იაპონელების ან ამერიკელების, არის თუ არა სადამსჯე-

[8] მეორე მსოფლიო ომისა და მის წინა პერიოდში, ბირთვული ეპოქის კონცეფციების ფონზე, სტრატეგიული დაბომბვის თეორიის გადასინჯვის შესახებ იხილეთ ნაშრომი: George H. Quester, *Deterrence before Hiroshima* (New York, John Wiley and Sons, 1966). იხილეთ აგრეთვე პირველი ოთხი თავი წიგნიდან: Bernard Brodie, *Strategy in the Missile Age* (Princeton, Princeton University Press, 1959), pp. 3-146.

ლო, მაიძულებელი ძალადობა უფრო საძაგელი ან უფრო ცივილიზებული, ვიდრე სამხედრო ძალის პირდაპირ გამოყენება, ახასიათებს თუ არა ტერორს უფრო მეტი ან ნაკლები ჰუმანურობა, ვიდრე სამხედრო განადგურებას, შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოყრილი ბომბები ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას და არა იაპონიის მატერიალურ ძლიერებაზე თავდასხმას წარმოადგენდა. ბომბების შედეგი და მიზანი არა იმდენად განადგურება, რამდენადაც ტკივილი, შოკი და უფრო მეტი უბედურების დაპირება იყო.

ბირთვული ფაქტორის გავლენა ტერორსა და ძალადობაზე

არაერთგზის ითქვა, რომ ამჟამად ადამიანს, პირველად ისტორიაში, აქვს საკმარისი სამხედრო ძალა იმისათვის, რომ საკუთარი მოდგმა აღგავოს პირისაგან მიწისა – იარაღი, რომლისგანაც თავის დაცვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ისიც ითქვა, რომ ომი იმდენად დამანგრეველი და საშინელი გახდა, რომ უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ძალაუფლების ინსტრუმენტად. „პირველად კაცობრიობის ისტორიაში," – ამბობს მაქს ლერნერი თავის წიგნში, რომლის სახელწოდებაც: *გადამეტებულად კვლის ხანა* იმ აზრის მატარებელია, რომ – „ადამიანებმა დააგროვეს ძალა . . . რომლის გამოყენებასაც დღემდე ვერ ბედავენ."[9] საბჭოთა კავშირის სამხედრო ხელმძღვანელობაც კი, იმის მიუხედავად, რომ მის მმართველ პარტიას მთელი ისტორიის თეორიის ერთი ტექნოლოგიური მოვლენისადმი მისადაგება არ სურს, იძულებული გახდა, გადაესინჯა ის პრინციპები, რომლებსაც საკმაოდ უხერხული სათაური: ომის წარმოების „მუდმივად მოქმედი ფაქტორები" აერთიანებს. ჩვენი ეპოქისათვის, მართლაც, დამახასიათებელია ისეთი ფრაზები, როგორიცაა „პირველად კაცობრიობის ისტორიაში" და იმაზე უარის თქმა, რაც „მუდმივი" იყო.

დრამატული ეფექტის თვალსაზრისით, ეს განცხადებები შესანიშნავია. ზოგიერთი მათგანი წინა ომების კატასტროფის შემცირებულად წარმოჩენის სრულიად არასაჭირო ტენდენციას ამჟღავნებს. ისინი შეკავებისა და ტერორის ბალანსის ცნებების ისტორიულ სიახლესაც შეიძლება აჭარბებდეს.[10] თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ აღნიშნული განცხადებები არაფრით გვეხმარება იმის დადგენაში, თუ რა არის თანამედროვე ომში ახალი მაშინ, როდესაც უზარმაზარი დესტრუქციული ენერგია თავსდება საბრძოლო ქობინებში ისეთ ხელმისაწვდომ ფასად, რომ განვითარებულ ქვეყნებს ამ უკანასკნელთა დიდი ოდენობით ფლობა შეუძლიათ. ბირთვული საბრძოლო ქობინები შეუდარებლად უფრო დიდი გამანადგურებელი ძალისაა,

[9] Max Lerner. *The Age of Overkill* (New York, Simon and Schuster, 1962), p. 47.

[10] ტერმინი „ტერორის ბალანსი" ხშირად უინსტონ ჩერჩილს მიენერება. მომდევნო ციტატა მოკლედ გაშოხატავს ბირთვული ურთიერთშეკავების ფართოდ ნაცნობ იდეას. ის 1934 წლის ნოემბერში თემთა პალატის წინაშე წარმოთქმული სიტყვიდან არის აღებული. „ფაქტია, რომ საბოლოო ჯამში, თავდაცვის რაიმე ახალი მეთოდის აღმოჩენამდე, ერთადერთ მსხვერპლშეწირვად პირდაპირ თავდაცვით ზომად რჩება მტრისთვის ისეთივე ზიანის მიყენების უნარის გამომუშავება, რა ზიანის მოყენებაც მას ჩვენთვის შეუძლია. უპრიანია, სათანადოდ შევაფასოთ ამ ღონისძიების ეფექტიანობა. სავსებით მოსალოდნელია, პრაქტიკულად დამტკიცდეს – ვაღიარებ, რომ ამის თეორიულად დამტკიცება არ შემიძლია – რომ ამ ზომას სრული ხელშეუხებლობის მონიჭება ძალუძს. თუ ორივე სახელმწიფო ომის პროცესში ერთიმეორის მიმართ ტკივილის მიყენების უნარს გამოავლენს ისე, რომ უპირატესობას ვერ მოიპოვებს და საშინელ ზიანს მიიღებს, არა მარტო დასაშვებია, არამედ სავარაუდოცაა, რომ ამ ზომას არც ერთმა აღარ მიმართოს."

მეოცე საუკუნის დამდეგიდან მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდამდე საპაერო ბრძოლის ეპოქის სტრატეგიულ ლიტერატურაში ისეთი ცნებების გადასინჯვა, როგორიცაა შეკავება, პრევენტიული თავდასხმა, წინააღმდეგობა და კონტრირეირში, შურისგება, სამაგიეროს გადახდა და შეზღუდული ომი, შესანიშნავადაა წარმოდგენილი ქვესტერის წიგნში, რომლიდანაც მოყვანილია ეს ციტატა.

ვიდრე აქამდე არსებული ნებისმიერი გამოგონება. რა შედეგი მოაქვს ამას ომისათვის?

ის, რომ ადამიანს პირველად ისტორიაში კაცობრიობის დიდი ან უმეტესი ნაწილის განადგურების შესაძლებლობა აქვს, სიმართლეს არ შეესაბამება. 1945 წლის აგვისტოსათვის იაპონია დაუცველი იყო. დაბომბვისა და ბლოკადის კომბინაციით, სამხედრო შეჭრისა და, საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე დაავადების განგებ გავრცელებით აშშ-ს ბირთვული იარაღის გარეშეც შეეძლო იაპონიის კუნძულების მოსახლეობის მოსპობა. ეს საზარელი, ძვირადღირებული და შეურაცხმყოფელი კამპანია იქნებოდა. მას დრო და სიმტკიცე დასჭირდებოდა. მაგრამ ამერიკელებს ამის გაკეთების ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობა ჰქონდათ, და რუსებთან ერთად ან მათ გარეშე მსოფლიოს სხვა მრავალ კუთხეშიც იმავეს განხორციელება ძალუძდათ. დაუცველი ხალხის წინააღმდეგ ბირთვული იარაღი ისეთს ვერაფერს მოიმოქმედებს, რისი გაკეთებაც ყინულის სატეხ წვეტს არ შეუძლია, თანაც, ყინულის სატეხი წვეტის ხმარება აშშ-ის მთლიან ეროვნულ პროდუქტს საერთოდ არაფერს დააკლებდა.

ამაზე საუბარი შემაძრწუნებელია. ამერიკელებს ყოველივე ეს არ ჩაუდენიათ და წარმოუდგენელიც არის, რომ გაეკეთებინათ. მათ ამის საბაბი არ ჰქონდათ, ხოლო საბაბი რომც ჰქონოდათ, მიზნის სიმტკიცე დაეკარგებოდათ მას შემდეგ, რაც ომის ქარცეცხლს გამარჯვება ჩააქრობდა და ჯალათის მოვალეობის შესრულების დრო დადგებოდა. თუ ამჟამად ამერიკელებმა და მათმა მტრებმა ერთმანეთს ან სხვას ამგვარი ზიანი შეიძლება მიაყენონ, არა იმიტომ, რომ ბირთვულმა იარაღმა ეს პირველად ისტორიაში შესაძლებელი გახადა.

ბირთვულ იარაღს ყოველივე ზემოაღწერილის სწრაფად სისრულეში მოყვანა ძალუძს. სწორედ ამაშია განსხვავება. იერუსალიმის კედლების დარღვევის შემდეგ ჯვაროსნებმა ქალაქი ძარცვეს, სანამ ვნება არ დაიცხრეს. მათ დაწვეს მრავალი ისეთი რამ, რაც ცოტაოდენი განსჯის შედეგად, შესაძლოა, ალაფის სახით, თან წაეღოთ და გაეუპატიურეს მრავალი ისეთი ქალი, რომელიც ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, გამორიცხული არაა, რომ ცოლებად შეერთოთ. კატასტროფული ომის იმ დროის მონაკვეთში ჩატევა, რომელშიც ადამიანს უძილოდ ყოფნა შეუძლია, რადიკალურად ცვლის ომის პოლიტიკას, გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ცენტრიდან გაკონტროლებისა და თავშეკავების ალბათობას, მაღალი თანამდებობის პირების მოტივაციასა და ომის მსვლელობისას ფიქრისა და განსჯის უნარს. ადვილი წარმოსადგენია, რომ თანამედროვე ომში ამერიკელებმა 200 მილიონი რუსი გაანადგურონ (მაგრამ არა 80 მილიონი იაპონელი უკვე მომხდარ ომში). ეს არა მარტო ადვილი წარმოსადგენია, არამედ უკვე წარმოდგენილიცაა ზოგიერთების მიერ. ეს ადვილი წარმოსადგენია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, „ერთ წამში, თვალის ერთ დახამხამებაში, განგაშის პირველივე ზარით განხორციელდეს."

ალბათ, სწორედ ამიტომ მსჯელობენ ასე ცოტას იმაზე, თუ როგორ უნდა დაასრულონ ადამიანებმა საყოველთაო ომი. ხალხი არც მოელის, რომ მას ვინმე „დაასრულებს," ის თავად დასრულდება, როდესაც ყველაფერი გაცამტვერდება. სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო წლებში „შეზღუდული ომის" იდეა გამოიკვეთა. უფრო ადრეული ომები, როგორებიც იყო, მაგალითად, პირველი და მეორე მსოფლიო ომი ან საფრანგეთ-პრუსიის ომი, შეზღუდული იყო იმ მხრივ, რომ შეიძლებოდა მათი *შეწყვეტა* – მეტისმეტი ძალადობის ჩადენამდე დასრულება – მოლაპარაკების მეშვეობით, რომელიც ტკივილისა და გასაჭირის მიყენების *მუქარით* ზემოქმედებას შეიცავდა, მაგრამ ხშირად სამოქალაქო მოსახლეობის ნინააღმდეგ მასობრივი ძალადობის *განხორციელებას* აფერხებდა. ხოლო როდესაც სახელმწიფოები ბირთვულ იარაღს

ფლობენ, ძალადობისაგან თავის შეკავება სამხედრო ძლიერებაში შეჯიბრის შედეგის გამორკვევას ველარ დაელოდება. თავშეკავებას, იმისათვის, რომ ის სინამდვილედ იქცეს, ომის მსვლელობისას უნდა მივმართოთ.

ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან ბირთვული იარაღი და ხიშტი – არა ადამიანთა რაოდენობით, რომელთა მოკვლაც ერთს ან მეორეს შეუძლია, არამედ სისწრაფით, რომლითაც ეს ქმედება ხორციელდება, გადანყვეტილების მიღების ცენტრალიზაციით, ომის პოლიტიკური პროცესისაგან გამიჯვნითა და კომპიუტერული დაპროგრამებით, რომელიც ომის დაწყების შემდეგ ამ უკანასკნელის ადამიანთა დაქვემდებარებიდან გამოსვლის საშიშროებით იმუქრება.

ის, რომ ბირთვული იარაღი *შესაძლებელს* ხდის გლობალური ომის ქარცეცხლის რამდენიმე საათში ჩატევას, არ ნიშნავს იმას, რომ ის ამ ომს *გარდაუვალად* აქცევს. ჯერ კიდევ საკითხავია, ასეთი იქნება ან ასეთი უნდა იყოს, თუ არა, მსხვილმასშტაბიანი ბირთვული ომი. თუმცაღა, ის გარემოება, რომ მთელი ომი ფეიერვერკის ერთი სერიის მსგავსად შეიძლება გავარდეს, ბირთვული ომის შესახებ ჩვენს წარმოდგენასა და წარსულში ნარმოებულ ომებს შორის საგულისხმო განსხვავების არსებობაზე მიუთითებს.

რა თქმა უნდა, ჩვენ მოკლებულნი ვართ იმის გარანტიას, რომ უფრო ხანგრძლივი ომები აღარ მოხდება. პირველი მსოფლიო ომი მდინარე მარნასთან ბრძოლის შემდეგ ნებისმიერ წამს შეიძლებოდა შეწყვეტილიყო. საკმაოდ დიდი დრო იყო ომის მიზნებზე დასაფიქრებლად, გრძელვადიანი ეროვნული ინტერესის თაობაზე სათათბიროდ, უკვე გაღებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ხარჯისა და ადამიანური დანაკარგის შესაფასებლად და მტერთან საზავო პირობების შესათანხმებლად. ამის ნაცვლად, სისასტიკე ისე მექანიკურად გაგრძელდა, თითქოს ყველაფერს კომპიუტერი მართავდა (ან კიდევ უარესი: კომპიუტერი შეიძლებოდა დაპროგრამებულიყო, რათა უფრო სწრაფად ესწავლა წარსული გამოცდილებიდან). შესაძლებელია ისიც ვავარაუდოთ, რომ ამ ოთხწლიანი ტკივილისა და შოკის ოთხ დღეში ჩატევა უდიდესი სიკეთე იქნებოდა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს ომი შეწყდა და გამარჯვებულებს აღარ ჰქონდათ სურვილი, ხიშტით განეხორციელებინათ ის, რისი გაკეთებაც ამჟამად გერმანელი ხალხისათვის ბირთვულ იარაღს შეუძლია.

არსებობს კიდევ ერთი განსხვავება. წარსულში, ჩვეულებრივ, სნორედ გამარჯვებულს შეეძლო, ისე მოქცეოდა მტერს, როგორც ენება. ომი ხშირად „ტოტალური ომი" იყო დამარცხებულისათვის. სპარსელები, ბერძნები და რომაელები საშინელი ერთფეროვნებით „კლავდნენ სამხედრო ასაკის ყველა მამაკაცს, ქალებსა და ბავშვებს მონებად ყიდდნენ," დამარცხებულთა ტერიტორიას კი სახელწოდების გარდა არაფერს უტოვებდნენ (ვიდრე იქ ახალი მოსახლეები არ დამკვიდრდებოდნენ). მაგრამ დამარცხებულს გამარჯვებულისათვის იმავეს გაკეთება არ შეეძლო. ბიჭების დასაჭურისება და გაყიდვა მხოლოდ ომის მოგების შედეგად იყო შესაძლებელი და მხოლოდ დამარცხებულის მხარეს. ტკივილის მიყენების უნარის მეშვეობით ზემოქმედება იწყებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამხედრო ძლიერება გამარჯვებას აღწევდა. მოვლენათა ამგვარი თანამიმდევრობა ახასიათებდა მეოცე საუკუნის დიდ ომებსაც. ტექნოლოგიური და გეოგრაფიული შეზღუდვების გამო, აუცილებელი იყო სამხედრო ძალის გამოყენებით შეღწევა, დაქანცვა, მოწინააღმდეგის ძალის დამარცხება – სამხედრო გამარჯვების მოპოვება, ვიდრე მტრულ ერზე ზემოქმედება გახდებოდა შესაძლებელი. პირველი მსოფლიო ომის დროს მოკავშირეებს გერმანელებისათვის მაიძულებელი ტკივილისა და ტანჯვის პირდაპირ მიყენება არ შეეძლოთ, თუ გერმანიის არმიას არ დაამარცხებდნენ, ხოლო გერმანელები ფრანგების ხიშტებით იძულებას ვერ მოახერხებდნენ, თუ ჯერ მოკავშირეთა ჯარებს გზიდან

არ ჩამოიცილებდნენ. ორ მეტოქეს შორის ომში ჯარების კონფრონტაციას შემდეგი ტენდენცია ახასიათებს: ყოველი მხარე საკუთარ მიწას იცავს და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასვლას ცდილობს. ძველად მცირე ძალებით შეტევა ხალხს სერიოზულ ზიანს ვერ აყენებდა, დიდი ძალებით შეტევა კი, როგორც წესი, იმდენად გამანადგურებელი იყო სამხედრო ორგანიზაციისათვის, რომ ომის სამხედრო ფაზის დასრულებას იწვევდა.

ბირთვული იარაღით შესაძლებელია, გამარჯვების წინასწარ მოპოვების გარეშე, მტრის წინააღმდეგ შემზარავი ძალადობის ჩადენა. ბირთვული იარაღითა და მისი გადატანის თანამედროვე საშუალებებით შესაძლებელია მტრის სამშობლოში მისი სამხედრო ძალის დაუმარცხებლად შეღწევა. ბირთვულმა იარაღმა უკვე შეძლო, ან დასაშვებია, მოახერხოს ომის წარმოების ამგვარი ხერხის პირველ ადგილზე დაყენება. ბირთვული იარაღი ომის სამხედრო ასპექტის დაჩრდილვით იმუქრება და თანამედროვე ეტაპზე „სამხედრო გამარჯვების" მნიშვნელობის დაკნინებას იწვევს. *გამარჯვება აღარ არის მტრისთვის ტკივილის მიყენების წინაპირობა* და, ამავდროულად, არც საშინელი ტკივილისაგან თავის დაცვის გარანტია. მტრისთვის „გაუსაძლისი" ზარალის მისაყენებლად ომის მოგებამდე, ისევე როგორც ომის წაგებამდე, ცდა საჭირო აღარ არის. იყო დრო, როდესაც გამარჯვებაში მტკიცე რწმენა (მცდარი ან უტყუარი) სახელმწიფოთა მეთაურებს არა მარტო ხალისიანად, არამედ ზოგჯერ აღტაცებულადაც განაწყობდა ომის მიმართ, მაგრამ ახლა ასე აღარ ხდება.

ბირთვულ იარაღს არა მარტო *შეუძლია* მტრისთვის ომის მოგებამდე ტკივილის მიყენება და, სავარაუდოდ, ისეთი დამაჯერებელი ტკივილისაც, რომ სამხედრო შეტაკებამ აკადემიური სახე მიიღოს, არამედ მიჩნეულია, რომ ესაა *ყველაფერი*, რისი გაკეთებაც მსხვილმასშტაბიან ომში ბირთვულ იარაღს ძალუძს. ამგვარი ომი ხშირად განიხილება, როგორც მხოლოდ სახელმწიფოთა შეჯიბრი ურთიერთგანადგურებაში. თუ ეს მართლაც ასეა, თუ ქალაქებისა და მათი მოსახლეობის ბირთვული იარაღით განადგურება საყოველთაო ომის უპირველესი ამოცანა გახდა, მაშინ ომის მსვლელობა შებრუნდა. თუ აქამდე მტრულ ერზე საკუთარი ნების თავს მოხვევის დასაწყისს მტრის ძალების განადგურება წარმოადგენდა, ამჟამად მტრის ძალების განადგურების საშუალებად და დასაწყისად ერის მოსპობაა ქცეული. თუ მტრის ძალების მწყობრიდან გამოყვანა ქვეყნის ფაქტობრივი განადგურების გარეშე შეუძლებელია, გამარჯვებულის წინაშე დაპყრობილი ერის დანდობის არჩევანიც კი აღარ დგას – მას უკვე განადგურებული ჰყავს ეს ერი. ბლოკადა და სტრატეგიული დაბომბვა ითვალისწინებს იმას, რომ ქვეყანა განადგურებამდე დამარცხდება ან სრულ გაჟლეტამდე დანებებას არჩევს. აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ სამხრეთი, სანამ ისე დასუსტდებოდა, რომ ვეღარ გადარჩებოდა, მანამდე ისე უნდა დასუსტებულიყო, რომ ბრძოლა ვეღარ გაეგრძელებინა. ბირთვული იარაღი კი „საყოველთაო" ომის ამგვარი მსვლელობის შებრუნებით იმუქრება.

ამდენად, ბირთვული იარაღი დიდ განსხვავებას წარმოშობს, რაც ომის წარმოების ახალი ეპოქის დადგომაზე მიანიშნებს. ეს განსხვავება არა მარტო განადგურების მასშტაბშია, რომლის გამოწვევაც შესაძლებელია, არამედ ამ მასშტაბის განადგურების დანიშნულებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბირთვულ იარაღს მოვლენათა ტემპის, მათი კონტროლის, თანამიმდევრობის, გამარჯვებულსა და დამარცხებულს შორის ურთიერთობისა და მშობლიური ქვეყნის ბრძოლის ფრონტთან დამოკიდებულების შეცვლა შეუძლია. შეკავება დღეს არა უბრალოდ სამხედრო ასპარეზზე დამარცხების, არამედ ტკივილის მიყენებისა და ამოწყვეტის მუქარას ემყარება. ჩვენ შეგვიძლია, ვიკამათოთ „უპირობო კაპიტულაციის" გამოცხადების, როგორც მიზნის გონივრულობაზე უკანასკნელ მსხვილმასშტაბიან ომში,

მაგრამ საჭიროა, გავითვალისწინოთ „უპირობო განადგურების," როგორც თანამედროვე ომის თანამდევი მოვლენის საშიშროება.

ამგვარი მასშტაბის განადგურების მსგავსი რამ ყოველთვის *შეიძლებოდა* ჩადენილიყო. ბირთვული იარაღი კი იმის მოლოდინს ბადებს, რომ ასეთი რამ ჩადენილი *იქნება*. „გადამეტებულად კვლა" სიახლე არ არის. 1945 წელს აშშ-ის არმიას, უსათუოდ, ეყოფოდა 30-ე კალიბრის ტყვიები იმისათვის, რომ მსოფლიოში ყველა ადამიანი მოეკლა ან თუ საკმარისი ტყვიები არ ექნებოდა, მათი ყიდვა არ გაუჭირდებოდა. სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ „კვლამ" ახალი მნიშვნელობა შეიძინა – მსხვილმასშტაბიანი ომი ურთიერთხოცვაში ქვეყნების შეჯიბრად შეიძლება გადაიქცეს ან არა იმდენად შეჯიბრად, რამდენადაც ერთდროულ აოხრებად.

სწორედ ესაა განსხვავება, რომელსაც ბირთვული იარაღი წარმოშობს. ყოველ შემთხვევაში, *შესაძლოა* წარმოშობდეს ან არა. თუ იარაღი ან ტექნიკა, რომელიც მის გადასატანად გამოიყენება დაუცველია, წარმატებული მოულოდნელი თავდასხმით მოწინააღმდეგის სადამსჯელო პოტენციალის მოსპობა შეიძლება. ის, რომ ერთ ბომბს უზარმაზარი აფეთქების გამოწვევის უნარი აქვს, თავისთავად, იმის აუცილებელი პირობა არ არის, რომ გამარჯვებულიც დაზარალდება. ეელურ დასავლეთში, პირისპირ მდგარ ორ მსროლელს ერთიმეორის მოკვლის უცილობელი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ სროლის შედეგად ორივე დაიღუპებოდა – არამედ მხოლოდ ერთ-ერთი, რომელიც უფრო ნელი აღმოჩნდებოდა. ნაკლებად სასიკვდილო იარაღი, რომელიც დაჭრილს გარდაცვალებამდე საპასუხო გასროლის გაკეთების საშუალებას აძლევს, ალბათ, უფრო მეტად უწყობს ხელს ტერორის ან სიფრთხილის ბალანსის შენარჩუნებას. მაღალი ეფექტიანობის გამო, ბირთვული იარაღი ომის დაწყების იდეალურ საშუალებად შეიძლება გადაიქცეს, განსაკუთრებით თუ მას მტრის მიერ საპასუხო გასროლის გაკეთების უნარის უცბად აღკვეთა ძალუძს.

თუმცა, არსებობს მეორე შესაძლებლობაც, რომ ბირთვული იარაღი თავდასხმისაგან დაუცველი და ერთიმეორის წინააღმდეგ ძლიერ ეფექტიანი არ გამოდგეს, რის შედეგადაც მისი სწრაფად გამოყენება იმის შიშით, რომ ის ამოქმედებამდე შეიძლება მოისპოს, საჭირო აღარ იქნება, ბირთვულ იარაღს მხოლოდ მტრული ქვეყნის განადგურების ფუნქცია დაეკისრება და იმის აუცილებლობაც გაქრება, რომ ეს სწრაფად განხორციელდეს და არა ნელა. წარმოიდგინეთ, რომ ბირთვული განადგურება *უნდა* განხორციელდეს ნელა, დღეში თითო ბომბის ჩამოგდებით, მაშინ სრულიად განსხვავებულ სურათს მივიღებთ: დაიწყება მასიური მასშტაბის ტერორისტული, პარტიზანული ომი. მაგრამ, ბირთვული ომი ნელა არ იწარმოება, თუმცა, მისი სწრაფი მსვლელობაც, შესაძლოა, აუცილებელი არ იყოს. ბირთვული იარაღის არსებობა თავისთავად არ განაპირობებს იმას, რომ ყველაფერი ერთ წამში მოხდება, უფრო ნაკლებად კი იმას, რომ ეს ყველაფერი ნელა წარიმართება. ბირთვული იარაღი არც ამდენად ამარტივებს ვითარებას.

უკანასკნელ წლებში ყურადღება გამახვილდა იმ განსხვავებაზე, თუ რას ხდის ბირთვული იარაღი შესაძლებელს და რას გარდაუვალს ომის შემთხვევაში. 1961 წლიდან აშშ-ის ხელისუფლებამ იმის ხაზგასმა დაიწყო, რომ მსხვილმასშტაბიანი ბირთვული ომი არ იქნება, და არცაა აუცილებელი, რომ იყოს, უბრალო შეჯიბრი გამანადგურებელ მძვინვარებაში. 1962 წლის ივნისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაკნამარამ საკამათო სიტყვა წარმოთქვა იმის თაობაზე, რომ „შეკავება" ომის დროსაც შეიძლება მოქმედებდეს, რომ მეომარმა მხარეებმა, პირადი კეთილდღეობის გამო, ომის განადგურების მასშტაბების შემცირება შეიძლება სცადონ. თითოეულმა მხარემ, გამორიცხული არაა, ირწმუნოს, რომ არა მტრული ქვეყნის მოსახლეობისა და ქალაქების სრულ განადგურებას, არამედ მათი განადგურებით *დამუქრებას* მოაქვს უფრო

მეტი შედეგი. თავის მხრივ, მუქარის ხანგრძლივად მოქმედება სწორედ მის შეუსრულებლობაზეა დამოკიდებული. თითოეულმა მხარემ, შესაძლოა, მეორის თავშეკავებულ ქცევას იმავეთი უპასუხოს, როგორც ეს უფრო მცირემასშტაბიანი, შეზღუდული ომების დროს ხდება. ყველაზე მოსისხლე მტრებიც კი, ნაცვალგების პრინციპიდან გამომდინარე, ხშირად არ ასახიჩრებენ სამხედრო ტყვეებს. ბუნებრივია, მსგავს მოპყრობას მოქალაქეებიც იმსახურებენ. ბირთვული შეტევების ქარცეცხლი შეიძლება მხოლოდ მეტოქეთა იარაღსა და სამხედრო ძალებს დაატყდეს თავს.

სახელმწიფო მდივანმა მაკნამარამ განაცხადა:

„აშშ მივიდა დასკვნამდე, რომ მოსალოდნელ საყოველთაო ომში ძირითადმა სამხედრო სტრატეგიამ, შეძლებისდაგვარად, უნდა მიიღოს ისეთი სახე, როგორიც ჩვეულებრივ საომარ ოპერაციებს ჰქონდა წარსულში. ესე იგი, მთავარ სამხედრო ამოცანად კვლავ უნდა იქცეს... მტრის სამხედრო ძალების და არა მისი მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება... რაც საუკეთესო ნიშანს მისცემს პოტენციურ მოწინააღმდეგეს, ჩვენს ქალაქებზე იერიშისაგან თავი შეიკავოს."[11]

ეს ომის შესახებ საკმაოდ გონივრული მსჯელობაა, თუკი ომზე ფიქრი აუცილებელია და, რაღა თქმა უნდა, არის კიდევაც. მაგრამ იმის მიუხედავად გონივრული იყო სახელმწიფო მდივნის „ახალი სტრატეგია" თუ არა, მტრული ქვეყნის მოსახლეობა მძევლად უნდა იქნეს აყვანილი თუ დაუყოვნებლივ განადგურდეს, მთავარ სამიზნედ სამხედრო ძალები უნდა მივიჩნიოთ, თუ უბრალოდ ხალხი და მათი არსებობის საშუალებები, შეუძლებელია, რომ ამ ყოველივემ „მიიღოს ისეთი სახე, როგორიც ჩვეულებრივ საომარ ოპერაციებს ჰქონდა წარსულში." დღევანდელი ვითარება სრულიად განსხვავებულია და ეს განსხვავება ხაზგასმას საჭიროებს.

პირველ და მეორე მსოფლიო ომებში მტრის სამხედრო ძალების, და არა მისი მოსახლეობის წინააღმდეგ წარმოებდა ბრძოლა, რადგან ვიდრე მტრის შეიარაღებულ ძალებს არ მოევლებოდა, მტრულ ერს ვერაფერი დააკლდებოდა. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელებს მილიონობით ფრანგი მოქალაქის ხიშტით მოკვლაზე უარი არ უთქვამთ იმის იმედით, რომ მოკავშირეები გერმანიის მოსახლეობას არ დახოცავდნენ. ისინი ფრანგ მოქალაქეებს ვერაფერს დაუშავებდნენ, სანამ მოკავშირეთა ბრძოლის ხაზს არ გაარღვევდნენ. ჰიტლერმა ლონდონის ტერორიზება სცადა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. მოკავშირეთა საჰაერო ძალებმა ჰიტლერის ტერიტორიაზე გადაიტანეს ბრძოლა, რათა გერმანიაში განეხორციელებინათ ის, რასაც შერმანი, მისივე აღიარებით, ჯორჯიაში აკეთებდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომისდროინდელი დაბომბვის ტექნოლოგიით შეუძლებელი იყო ჯარებისათვის გვერდის ავლა და პირდაპირ მტრული ქვეყნის მოსახლეობის დარბევა (ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში). ბირთვული იარაღი კი სწორედ ამ ალტერნატივას გვთავაზობს.

მთელი ყურადღების მტრის სამხედრო ბაზებზე გადატანა და, ამავე დროს, მისი ქალაქების განადგურების, მოსახლეობის გაუქმებისა და საზოგადოების მოსპობის მასიური შესაძლებლობის გამიზნულად თადარიგში დატოვება იმ პირობით, რომ მტერიც მსგავსად თავშეკავებული იქნება ჩვენი საზოგადოების მიმართ, „ჩვეულებრივი მიდგომა" არ არის. პირველ და მეორე მსოფლიო ომებში უმთავრეს საზრუნავს მტრის შეიარაღებული ძალების განადგურება წარმოადგენდა, რადგანაც ეს ერთადერთი საშუალება იყო მისი კაპიტულაციის მისაღწევად. ნამდვილი სამხედრო შეტაკების „საყოველთაოდ" გაჩაღება და, ამასთანავე, ძალადობის გადამწყვეტი შესაძლებლობის თადარიგში დატოვება იმ პირობით, რომ მტერიც იმავეს გააკეთებს, სამხედრო ოპერაციებისადმი ტრადიციული მიდგომას სცილდება. სახ-

[11] Robert McNamara, Commencement Address, University of Michigan, June 16, 1962.

ელმწიფო მდივანი მაკნამარა ომის წარმოებისადმი ახალ მიდგომას გვთავაზობდა ახალი ეპოქისათვის, რომელშიც ტკივილის მიყენების უნარი უფრო მეტად შთამბეჭდავია, ვიდრე წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

ბრძოლის ველზე ომის წარმოებიდან ძალადობის დიპლომატიისაკენ

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მაკნამარას გამოსვლამდე თითქმის ერთი საუკუნით ადრე, 1868 წელს სანქტ-პეტერბურგის დეკლარაციაში (ომის სისასტიკეთა საწინააღმდეგო პირველ თანამედროვე კონფერენციაზე) განცხადდა, რომ „ერთადერთი ლეგიტიმური ამოცანა, რომლის შესრულებასაც სახელმწიფოები ომის დროს უნდა ესწრაფოდნენ, არის მტრის სამხედრო ძალების დასუსტება." 1920 წელს ერთა ლიგისადმი გაგზავნილ წერილში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე წერდა: „კომიტეტი ძლიერ სასურველად მიიჩნევს, რომ ომის ძველი ხასიათი აღდგეს. სხვა სიტყვებით, ომი კვლავაც არმიებსა და არა მოსახლეობას შორის ბრძოლა უნდა იყოს. სამოქალაქო მოსახლეობას, რამდენად ეს შესაძლებელია, ბრძოლა და მისი შედეგები არ უნდა შეეხოს."[12] ამგვარი საუბარი საოცრად წააგავს სახელმწიფო მდივნის მაკნამარას რიტორიკას.

საერთაშორისო კომიტეტს იმედი გაუცრუვდა, ისევე როგორც ყველა იმ ადამიანს, ვინც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ძალისხმევას არ იშურებდა ისეთი წესების შესამუშავებლად, რომლებსაც ომისათვის უფრო ჰუმანური სახე უნდა მიეცა. როდესაც 1863 წელს დაარსდა წითელი ჯვარი, მისი დაინტერესების მთავარი საგანი მეომარ მხარეთა მიერ არამეომართა უხეში მოპყრობა გახდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში როგორც ღერძის სახელმწიფოებმა, ისე მოკავშირეებმა სწორედ არამეომარი მოსახლეობა აირჩიეს სამიზნედ, რაც, მართალია, გადამწყვეტი არ აღმოჩნდა, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ გამიზნულად გაკეთდა. ეს სრულიად საპირისპირო ტენდენცია იყო იმისა, რისი იმედიც საერთაშორისო კომიტეტს ჰქონდა.

თანამედროვე ეპოქაში არამეომარნი არა მხოლოდ განგებ შერჩეულ, არამედ უპირველეს სამიზნედ გვევლინებიან (ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ სახელმწიფო მდივნის მაკნამარას გამოსვლამდე). ფაქტობრივად, არამებრძოლები მთავარი სამიზნე არიან ომის წარმოების როგორც პირველ, ისე უკანასკნელ დონეზე. თერმობირთვული ომი ქალაქებისა და მოსახლეობის განადგურებაში შეჯიბრად შეიძლება გადაიქცეს. მისი საპირისპირო, პარტიზანული ომიც, თავისი ხასიათით, აგრეთვე, თითქმის მთლიანად ტერორისტულია. ჩვენ ბინძური ომის ეპოქაში ვცხოვრობთ.

რატომ არის ასე? არის თუ არა ომი ჭეშმარიტად სამხედრო საქმე, რომელიც მხოლოდ მეომარ მხარეებს ეხება, ხოლო ის გარემოება, რომ მისი სათანადოდ შეზღუდვა არ შეგვიძლია – მხოლოდ მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი გარყვნილება? ან კიდევ, არის თუ არა ომი თავისთავად ბინძური, და, შესაბამისად, ხომ არ შენატროდა წითელი ჯვარი ხელოვნურ ცივილიზაციას, რომელშიც ომი ეტიკეტის ჩარჩოში იქნებოდა მოქცეული – ვითარებას, რომელიც მისასალმებელია, მაგრამ მიუღწეველი.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა არამეომართა (უბრალო ხალხისა და მათი საკუთრების) ომის ქარცეცხლში ჩართვის სამი ეტაპის გამოყოფა. ამ ეტაპების გამიჯვნა მიზანშეწონილია, მაგრამ მათი თანამიმდევრობა მხოლოდ დასავლეთ ევრო-

[12] International Committee of the Red Cross, *Draft Rules for the Limitation of the Dangers Incurred by the Civilian Population in Time of War* (2d ed. Geneva, 1958), pp. 144, 151.

პის სინამდვილეს ასახავს. უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე და ისტორიულ კანონზომიერებად ვერ ჩაითვლება. პირველ ეტაპზე ხალხს მხოლოდ დაუდევარ მეომართაგან შეიძლება მიეღო; ზიანი. ასეთ მდგომარეობაში ხალხი იმყოფებოდა „ცივილიზებული ომის" ეპოქაში, რომელიც მხედველობაში ჰქონდა საერთაშორისო კომიტეტს.

დაახლოებით 1648 წლიდან ნაპოლეონის მოღვაწეობის ხანამდე დასავლეთ ევროპის უმეტეს ნაწილში ომი საზოგადოებაზე თავს მოხვეული უბედურება იყო. მას შეჯიბრის სახე ჰქონდა, რომელშიც მონარქები მონაწილეობდნენ, ხოლო ფსონებად ტერიტორიები, ზოგჯერ კი ფული და დინასტიური მოთხოვნები იდებოდა. ჯარი, ძირითადად, დაქირავებული მებრძოლებისაგან შედგებოდა, ომის მოტივაცია კი მხოლოდ არისტოკრატიულ ელიტას გააჩნდა. მონარქები ტერიტორიის მცირე ნაჭრებისათვის იბრძოდნენ, სადავო ადგილთა მაცხოვრებლები კი მარბიელი ჯარისაგან საკუთარი მოსავლისა და ქალიშვილების დაცვით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე იმით, თუ ვის გამოუცხადებდნენ ერთგულებას. როგორც ქუინსი რაითმა თავის კლასიკად ქცეულ *ომის შესწავლაში* აღნიშნა, ისინი გულგრილად უყურებდნენ იმ გარემოებას, რომ ტერიტორიას, რომელზეც ცხოვრობდნენ, ახალი ხელისუფალი შეიძლებოდა გასჩენოდა.[13] ამასთან, პრუსიის მეფისა თუ ავსტრიის იმპერატორისათვის ბოჰემიელი გლეხის ერთგულებასა და გულშემატკივრობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამ პერიოდის ევროპული ომების მეფეთა გართობად მოხსენიება გადაჭარბებაა, მაგრამ არც მეტისმეტად დიდი გადაჭარბება. ამ ეპოქაში არმიის მატერიალური უზრუნველყოფის მწირი შესაძლებლობები სამხედრო ოპერაციების მასშტაბს იმდენად ზღუდავდა, რომ მათ მასების გულშემატკივრობა არ ესაჭიროებოდა.

ხალხისათვის ტკივილის მიყენება ომის წარმოების გადამწყვეტი ინსტრუმენტი არ იყო. ხალხისათვის ტკივილის მიყენება და მათი ქონების განადგურება ღირებულებას უკარგავდა იმას, რის მოსახვეჭადაც მიმდინარეობდა ბრძოლა, რაც არც ერთ მხარეს არ აძლევდა ხელს. ამასთან, მეომარ მონარქებს არ სურდათ იმ საზოგადოებრივი ინსტიტუტების დისკრედიტაცია, რომლებიც მტერთან საზიარო ჰქონდათ. მეტოქე მონარქისათვის გვერდის ავლასა და პირდაპირ მისი ხალხის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას რევოლუციური ძვრები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მოწინააღმდეგე მონარქის განადგურება ხშირად არც ერთი მხარის ინტერესში არ შედიოდა. მეტოქე ხელისუფალთ უფრო მეტი საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან, ვიდრე თავიანთ ქვეშევრდომებთან. მონარქის უფლებების დისკრედიტაციას საშინელი უკურეაქციის გამოწვევა შეეძლო. გასაკვირი არაა – ან თუ გასაკვირია, მთლიანობაში გასაოცარი არ არის – რომ იმხანად ევროპის კონტინენტზე ომი სამხედრო მოქმედებებით შემოიფარგლებოდა.

თუმცა, მაშინ მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში მაინც შეიძლებოდა არამეომართა უფლებებზე ყურადღების გამახვილება და ისეთი წესების შემუშავებაზე ზრუნვა, რომლებსაც ორივე მეომარი მხარე დაიცავდა. ამ წესების შესრულება სავსებით შესაძლებელი იყო, რადგანაც ორივე მხარე საზოგადოებრივი წყობის შენარჩუნებითა და მტრის გაუნადგურებლობით რაღაც სარგებელს იღებდა. წესების არსებობა, შესაძლოა, არასასიამოვნო იყოს, მაგრამ თუ ისინი ორივე მხარეს შეზღუდავს, არახელსაყრელი პირობები გათანაბრდება.

ეს ვითარება ნაპოლეონის ომების დროს შეიცვალა. ნაპოლეონისეულ საფრანგეთში ხალხს ომის შედეგი ადარდებდა. ერი მობილიზებული იყო. ომი მთელი ერის წამოწყებად განიხილებოდა და არა მხოლოდ ელიტის საქმიანობად. ნაპოლე-

[13] Quincy Wright, *A Study of War* (Chicago, University of Chicago Press, 1942), p. 296.

ონისა და მისი მინისტრების პოლიტიკური და სამხედრო ნიჭის დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მთელი ერის ომისათვის მობილიზება ხერხდებოდა. პროპაგანდა ომის წარმოების იარაღად იქცა, ომი კი უხამსი გახდა.

მრავალი მოაზროვნე სინანულს გამოთქვამდა ომის ამგვარი პოპულარიზაციისა და მასში სახალხო მასების ჩართვის გამო. სინამდვილეში, ის საშინელებანი, რომლებსაც თერმობირთვულ ომს ვუკავშირებთ, არაერთმა ადამიანმა წინასწარ განჭვრიტა, ზოგიერთმა პირველ მსოფლიო ომამდე, უფრო მეტმა კი მოგვიანებით. მაგრამ ამ ტერორის ახალ „იარაღად" აღქმულ იქნა ხალხი, მილიონობით ადამიანი, რომელიც მგზნებარე გულით იღებდა მონაწილეობას ეროვნულ ომებში, თავს არ ზოგავდა საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად და თავგანწირვით ცდილობდა საბოლოო მარცხის თავიდან აცილებას. დღეს ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ რამდენიმე კარგად გაწვრთნილ მფრინავს შეუძლია, თვითმფრინვით გადაიტანოს იმდენი ენერგია, რომ ააფეთქოს და დაწვას ათობით მილიონი ადამიანი და შენობები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ. ორი ან სამი თაობის წინ ვარაუდობდნენ, რომ ათობით მილიონ ადამიანს ხიშტებითა და ეკლიანი მავთულებით, ავტომატებითა და მსხვრევადი ჭურვებით ასეთივე მასშტაბის განადგურებისა და უწესრიგობის გამოწვევა შეეძლო.

ეს ხალხის ომთან დამოკიდებულების მეორე ეტაპი იყო, რომელიც ევროპამ მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანების შემდგომ განვლო. პირველ ეტაპზე ხალხი ნეიტრალური რჩებოდა, მაგრამ მისი კეთილდღეობა შეიძლებოდა უგულებელყოფილიყო. მეორე ეტაპზე კი ომში უბრალო ადამიანები ჩაებნენ, ვინაიდან ეს *მათი* ომი გახდა. ერთნი იბრძოდნენ, მეორენი იარაღს ამზადებდნენ, მესამენი სურსათს აწარმოებდნენ, მეოთხენი ბავშვებს უვლიდნენ, მაგრამ ყველანი მეომარი ერის ნაწილს შეადგენდნენ. როდესაც 1939 წელს ჰიტლერი თავს დაესხა პოლონეთს, პოლონელებს სერიოზული საბაბი გაუჩნდათ იმისა, რომ ამ ომის შედეგებზე ედარდათ. როდესაც ჩერჩილმა განაცხადა, რომ ბრიტანელები სანაპიროებზე გამართავდნენ ბრძოლას, იგი მთელი ბრიტანელი ხალხის და არა მხოლოდ დაქირავებული ჯარის სახელით საუბრობდა. ომი იწყებოდა იმის გამო, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ხალხი სუფთა ომში დამარცხებას ბინძური ომის გაჩაღებას ამჯობინებს, მაშინ ეს არა მარტო მთავრობებს, არამედ ერებს შორის წარმოებული ომი იქნება. თუ ხალხს ომის გაგრძელებაზე ან ზავის დადებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, ომის მსვლელობისას ხალხისათვის ტკივილის მიყენება კარგი საშუალებაა დასახული მიზნის მისაღწევად. ეს ბინძური მიზანია, მაგრამ ომი, ხშირ შემთხვევაში, სწორედ სიბინძურის გამო ხდება. პოლონელებსა და ნორვეგიელებს, რუსებსა და ბრიტანელებს იმის ვარაუდის მყარი საფუძველი ჰქონდათ, რომ მათ მიერ ომის წაგებას ბინძური შედეგი მოჰყვებოდა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს თანამედროვე სამოქალაქო ომების მაგალითზე, რომლებიც ადამიანთა გრძნობებზე ზემოქმედებს და, ამიტომაც, მოსალოდნელია, რომ სისხლისმღვრელი და ძალადობის აღსავსე იყოს. იმის იმედი, რომ ომები სუფთად, ხალხის წინააღმდეგ ძალადობის ჩადენის გარეშე იწარმოება დაახლოებით იგივეა, რაც იმის დაჯერება, რომ რასობრივ ნიადაგზე გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტა სუფთა შეიძლება იყოს.

მოვლენათა ამგვარი თანამიმდევრობის ნათლად წარმოჩენა ზემოთქმულის სხვაგვარად ჩამოყალიბებითაც არის შესაძლებელი. თანამედროვე ომი სუფთა რომ იყოს, ძალადობა მასში გამორიცხული არ იქნებოდა და ომის შემდგომი პერიოდისათვის შემოინახებოდა. თუ არმია სუფთა ომში მარცხს განიცდის, გამარჯვებული მტერი ისეთ სისასტიკეს გამოავლენს იძულების მიზნით, როგორსაც მოისურვებს. სუფთა ომის შედეგი გადაწყვეტს იმას, თუ რომელი მხარე გამოიყენებს ტკივილის

მიყენების უნარს იძულებისათვის გამარჯვების მოპოვების შემდეგ. ამრიგად, გარკვეული ძალადობის ჩადენა ღირს იმად, რომ დამარცხება თავიდან იქნეს აცილებული.

„კაპიტულაცია" საბრძოლო მოქმედებების მომდევნო პროცესია, რომელშიც ტკივილის მიყენების უნარით ზემოქმედებას აქვს ადგილი. თუ მოლაპარაკებები კაპიტულაციის შესახებ წარმატებით დასრულდა და მათ დაუფარავი ძალადობა არ მოჰყვა, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ტკივილისა და ზიანის მიყენების შესაძლებლობა [პოლიტიკური] ვაჭრობის პროცესში წარმატებით იქნა გამოყენებული. დამარცხებულმა მხარემ მოსალოდნელი ტკივილი და ზიანი დათმობების შედეგად აიცდინა, გამარჯვებულმა მხარემ კი შემდგომი ზიანის მიყენებაზე მოწინააღმდეგის დათმობების სანაცვლოდ თქვა უარი. იგივე პრინციპი მოქმედებს ადამიანის წარმატებულად მოტაცების დროს. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ნამდვილი ტკივილისა და ზიანის მიზანი გამოძალვაა. პირველ რიგში, სწორედ *ფარული* ძალადობის მეშვეობით შეიძლება სარგებლის მიღება. მორჩილი ოკუპირებული ქვეყანა ის კი არ არის, რომელშიც ძალადობა თავს არ იჩენს, არამედ ის, რომელშიც ფარული ძალადობა ისე ოსტატურად გამოიყენება, რომ მისი სასჯელში გამოვლენა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ამას სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობისა და ომის წარმოების დამოკიდებულების მესამე ეტაპთან მივყავართ. თუ ომის მსვლელობისას შესაძლებელია ტკივილისა და ზიანის მიყენება, მაშინ კაპიტულაციის შესახებ მოლაპარაკების დაწყებამდე (რომელიც სამხედრო დაპირისპირების შედეგის გამორკვევას მოჰყვება ხოლმე) ცდა საჭირო აღარ არის. თუ ომის დროს დასაშვებია ხალხისა და მათი ხელისუფლების იძულება, მაშინ გამარჯვების მოპოვებამდე ლოდინისა და ამ იძულების უნარის წამგებიან ომში დაკარგვის რისკის თავიდან აცილებაა შესაძლებელი. გენერალ შერმანის ჯორჯიაში ლაშქრობა არანაკლებ გონივრული ნაბიჯი იქნებოდა, და, შესაძლოა, უფრო მეტადაც კი, ომის სასწორი ჩრდილოეთის მხარეს რომ არ ყოფილიყო გადახრილი. მსგავსად ამისა, გერმანული მფრინავი ბომბები და „V-2"-ის ტიპის რაკეტები იძულების ინსტრუმენტებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლებიც სამხედრო მარცხის განცდამდე ომის შეჩერებას ისახავდა მიზნად.

თანამედროვე ეპოქაში, ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ-დასავლეთის სახელმწიფოებს ომის მსვლელობისას სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მასიური ძალადობის განხორციელების იმაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს, თავშეკავების საბაბად სამხედრო გამარჯვება ან ზავი აღარ გვევლინება. მეორე მსოფლიო ომში მთავარი შემაკავებელი ფაქტორი იყო დროებითი საზღვარი ან კაპიტულაცია. დღეს კი ომის პროცესში ძალადობისაგან ხელოვნურად თავის შეკავება ხდება. კორეის ომი გააფთრებულ, „საყოველთაო" ბრძოლად შეიძლება მივიჩნიოთ, არა მარტო ნახევარკუნძულის მასშტაბით, არამედ ორივე მხარის მიერ მოხმარებული რესურსების თვალსაზრისითაც. ის „საყოველთაო" იყო, მაგრამ, ამავდროულად, მნიშვნელოვნად შეზღუდულიც: მასში არ იქნა გამოყენებული ბირთვული იარაღი, არ მონაწილეობდნენ რუსები, საბრძოლო მოქმედებები არ გავრცელდა არც ჩინეთის და არც იაპონიის ტერიტორიაზე, გაერო-ს შეიარაღებული ძალების მიერ არ დაიბომბა საზღვაო გემები და აეროდრომები. ეს იყო შეჯიბრი სამხედრო ძლიერებაში, რომლის არსსაც სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ უპრეცედენტო ძალადობის განხორციელების მუქარა განსაზღვრავდა. კორეის ომი ბირთვული ძალადობის ეპოქაში შეზღუდული ომის კარგ მაგალითად შეიძლება გამოდგეს, მაგრამ ის ცხადყოფს, რომ ძალადობისაგან შეგნებულად თავის შეკავება შესაძლებელია ისეთი ომის საფრთხის ქვეშაც, რომელიც, სავარაუდოდ,

ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლეს შეინირავს და მსოფლიოს ორ უდიდეს ქვეყანას მთლიანად მოიცავს.

აღნიშნული, მესამე ეტაპის შედეგი ისაა, რომ სიტყვა „გამარჯვება" არაადეკვატურად გამოხატავს იმას, რასაც ერი თავისი სამხედრო ძალებისაგან მოითხოვს. ამჟამად ხალხს უფრო მეტად სურს გაველენის მოპოვება, რომელიც ფარულ ძალმომრეობას ეფუძნება. ერი [პოლიტიკური] ვაჭრობის ძალას ითხოვს, რომელიც ტკივილის მიყენების უნარიდან გამომდინარეობს და მხოლოდ წარმატებული სამხედრო მოქმედების პირდაპირი შედეგი არ არის. მტერზე სრული გამარჯვებაც კი, საუკეთესო შემთხვევაში, მის მოსახლეობაზე ძალადობის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა ეროვნული ან უფრო ფართო მასშტაბის ინტერესების საკეთილდღეოდ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ტრადიციული სამხედრო მეცნიერება ტკივილის მიყენების უნარით სარგებლობას არ გვასწავლის. თუ ერს, გამარჯვებულს ან პოტენციურად დამარცხებულს, ნამდვილი ძალადობის განხორციელების უნარის მტერზე ზეგავლენის მოსახდენად გამოყენება აქვს განზრახული, სრულ გამარჯვებამდე ლოდინი მას არ დასჭირდება.

მესამე ეტაპი, ფაქტობრივად, ორი, სრულიად განსხვავებული ვარიანტის მიხედვით შეიძლება გაანალიზდეს. ერთი მხრივ, აშკარა ტკივილისა და ზიანის მიყენება მაიძულებელი საომარი ტაქტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია, რომლებიც დასაშინებლად ან შესაკავებლად გამოიყენება. მეორე მხრივ კი, ტკივილის მიყენებასა და განადგურებას ომის *წარმოებისას* მცირე ან საერთოდ არავითარი შედეგი მოაქვს, მაგრამ აშკარა ძალადობით, თუნდაც, ავტომატური ან გაუკონტროლებელი ძალადობით *წინასწარ დამუქრება* სამხედრო ძალმომრეობას უმაგრებს ზურგს. განსხვავება იმაშია, რომ შეკავება და დაშინება ან მთლიანად უნდა გატარდეს ცხოვრებაში ან საერთოდ არა. ამასთან დაკავშირებით, ორი მწვავე დილემა ჩნდება. პირველი მოსალოდნელი ძალადობის რაც შეიძლება საშიშად წარმოჩენასა და ორმხრივი თავშეკავების შესაძლებლობაზე იმედის დამყარებას შორის არჩევანში მდგომარეობს, ხოლო მეორე შურისგების რაც შეიძლება ავტომატურ ქმედებად გადაქცევასა და საბედისწერო გადაწყვეტილებებზე მკაცრი კონტროლის დაწესებას შორის არჩევანს გულისხმობს. საბოლოო არჩევანს ნაწილობრივ ხელისუფლების ნება, ნაწილობრივ კი ტექნოლოგია განაპირობებს. ვითარების შეფასების ორივე ვარიანტის მიხედვით, ტკივილი და განადგურება (დამუქრებული და არა სისრულეში მოყვანილი ტკივილი და განადგურება) იძულებას ემსახურება, მაგრამ ერთ შემთხვევაში მუქარა ან ბოლომდე ნარმატებულია ან სრულიად წარუმატებელი, მისგან მომდინარე ძალადობა კი – არამიზანდასახული, ხოლო მეორე შემთხვევაში ტკივილი და ზიანი უფრო მეტის მიყენების მუქარას შეიცავს. თანამედროვე ეპოქაში ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყნები ამ ორივე მიდგომის კომბინაციასა და ბუნდოვან ნაზავს იყენებენ.

ტკივილის მიყენების უნარზე დამყარებულ, მაიძულებელ დიპლომატიას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ისტორიულ პერიოდებშიც, როდესაც სამხედრო ძალა არსებითად წართმევისა და შენარჩუნების, თავდასხმის მოგერიებისა და დამპყრობთა გაძევების, ასევე, ამა თუ იმ ტერიტორიის წინააღმდეგობის მიუხედავად ფლობის უნარით განისაზღვრებოდა – ეპოქაში, რომელშიც სამხედრო ძალა მოწინააღმდეგე ძალას უპირისპირდებოდა. იმ დროსაც კი, მთავარი საკითხი იყო ის, თუ რა ხარჯსა და ტკივილს გაიღებდა მოწინააღმდეგე მხარე სადავო ტერიტორიისათვის. იმის ვარაუდი, რომ მექსიკელები დათმობდნენ ტეხასს, ნიუ-მექსიკოსა და კალიფორნიას მეხიკოს სანაცვლოდ, რომლის მოსახლეობაც ამერიკელებმა მძევლად აიყ-

ვანეს, საკითხის დიპლომატიური და არა სამხედრო კუთხით შეფასება იყო. თუ გარკვეული ტერიტორიის დაკავება ან თავდასხმისაგან დაცვა ადვილად ვერ ხერხდება, შესაძლებელია სხვა რამის ხელში ჩაგდება და შემდგომ გაცვლა.[14] იმაზე მსჯელობა თუ, რას გაცვლიდა მტრის მთავრობა – დედაქალაქს თუ ერის გადარჩენას – სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა წარსულშიც. ახლა კი ჩვენ იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელშიც ტკივილის მიყენების – მთელი ქვეყნისათვის და არა მხოლოდ მისი სამხედრო ძალებისათვის ტკივილის, შოკისა და გასაჭირის მოგვრის – უნარი წართმევისა და შენარჩუნების უნარს უთანაბრდება ან, შესაძლოა, კი არ უთანაბრდება, არამედ მნიშვნელობით აღემატება კიდეც მას. აქედან გამომდინარე, ომის წარმოების [პოლიტიკური] ვაჭრობის პროცესად აღქმა მეტისმეტად აუცილებელია. ეს არ არის პირველი ეპოქა, რომელშიც ცოცხალი ტყვეები უფრო ძვირად ფასობენ, ვიდრე მოკლული მტრები, ხოლო ტკივილის მიყენების უნარი [პოლიტიკურ] ვაჭრობაში უპირატესობის საწინდარია, მაგრამ ეს პირველი ეპოქაა ამერიკელთა ისტორიულ გამოცდილებაში, როდესაც ამგვარი უნარი სამხედრო ურთიერთობებზე უდიდეს გავლენას ახდენს.

ტკივილის მიყენების უნარი არ არის სიახლე ომის წარმოებაში, მაგრამ აშშ-სათვის თანამედროვე ტექნოლოგიამ შესამჩნევად გაზარდა ნამდვილი, გამანადგურებელი და არაფრის მომხვეჭი ტკივილისა და ზიანის სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც მის წინააღმდეგ, ისე მის მიერვე თავდაცვის მიზნით გამოყენების შემთხვევაში. ეს გარემოება, თავის მხრივ, ომისა და ომით დამუქრების, როგორც ზეგავლენისა და არა განადგურების, როგორც იძულებისა და შეკავების და არა დაპყრობისა თუ თავდაცვის, აგრეთვე, როგორც [პოლიტიკური] ვაჭრობისა და დაშინების ტექნოლოგიის მნიშვნელობის ზრდას უწყობს ხელს.

ქუინსი რაითმა თავის *ომის შესწავლაში* ორიოდე გვერდი (გვ. 319-20) ომის „უსიამოვნების მასშტაბის" განხილვას დაუთმო, რისთვისაც ბანკის ბომბით შეიარაღებული მძარცველის ანალოგია მოიშველია, რომელიც როგორც ბანკის, ისე საკუთარი თავის განადგურებით იმუქრება. რაითის აზრით, უსიამოვნების მასშტაბმა ომით დამუქრება „უწესო ხელისუფლების დიპლომატიის დამხმარე საშულებად გადააქცია." დღეს კი ამ საკითხის სათანადოდ შეფასებას უფრო ძლიერი ტერმინი და უფრო მეტი წიგნის გვერდი ესაჭიროება, ამასთან, აუცილებელია იმის აღიარებაც, რომ ყველაზე წესიერი ხელისუფლებაც კი, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ უნარს ეყრდნობა სამხედრო ურთიერთობებში. გასაოცარია, ომის რამდენი ტრაქტატი და სტრატეგია არ აღიარებს იმას, რომ ტკივილის მიყენების უნარი ისტორიის მანძილზე სამხედრო ძალის ძირითადი დამახასიათებელი თვისება იყო და, ამავდროულად, დიპლომატიის საფუძველიც.

ამჟამად ომი აღარ ჰგავს მხოლოდ ძლიერებაში შეჯიბრს. ომი და წინასაომარი

---

[14] ბავშვების, მაგალითად. აკროპოლისში მყოფი ათენელი ტირანი ჰიპიასი ალყაში მოაქცია ათენიდან განდევნილი მოქალაქეების შეიარაღებულმა ჯგუფმა, რომელსაც სპარტელები ეხმარებოდნენ. ჰიპიასს მტკიცე პოზიცია ეკავა და სურსათისა და სასმელი წყლის უხვი მარაგი ჰქონდა, და, ჰეროდოტეს თქმით, „რომ არა მოულოდნელი შემთხვევა," ალყის მომწყობნი ცოტას კიდევ გაიჯეგბოდნენ და შემდგომ ხელს ჩაიქნევდნენ, მაგრამ მათ შეიპყრეს ალყაში მყოფთა ბავშვები მაშინ, როდესაც ისინი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სამშვიდობოს გასვლას ცდილობდნენ. „ამ უბედურებამ [ჰიპიასისა და მისი მომხრეების] ყველა გეგმა ჩაშალა. იმისათვის, რომ ბავშვები გამოეხსნათ, მათ მიიღეს ყველა . . . პირობა და დასთანხმდნენ, ხუთი დღის განმავლობაში ატიკა დაეტოვებინათ." Herodotus, *The Histories*, p. 334. თუ ბავშვების მოკვლა შესაძლებელია შორი მანძილიდან, გერმანული მფრინავი ბომბებისა თუ ბირთვული იარაღის მეშვეობით, მათი შეპყრობა საჭირო აღარ არის. ხოლო თუ ორივე მხარეს ხელეწიფება ერთმანეთის ბავშვებისათვის ტკივილის მიყენება, [პოლიტიკური] ვაჭრობა უფრო რთული ხდება.

ვითარება ნერვების სიმტკიცესა და რისკის გაწევაში, ტკივილსა და გამძლეობაში შეჯიბრი უფროა. მცირე ომები დიდი ომის დაწყების საფრთხეს შეიცავს, ისინი სამხედრო შეტაკებების გარდა „კრიზისების დიპლომატიის" ასპარეზია. საერთაშორისო დიპლომატიის მიღმა ომის საფრთხის დანახვა ყოველთვის შეიძლებოდა, მაგრამ დღეს ამ უკანასკნელმა ამერიკელებისათვის წინა პლანზე წამოიწია. ისევე როგორც გაფიცვის საშიშროება – სამრეწველო ურთიერთობებს, განქორწინება – საოჯახო კამათს, შეკრებაზე მხარდამჭერთა არგამოცხადება – პოლიტიკური პარტიის წარმატებას, ისე ძალადობის საფრთხე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკის არსს. ვერც ძლიერება და ვერც კეთილმოსურნეობა ვერ უზრუნველყოფს ხელშეუხებლობას.

სამხედრო სტრატეგია აღარ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეცნიერებად სამხედრო გამარჯვების შესახებ, როგორც ეს რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ზოგიერთ ეპოქაში ხდებოდა. ის იმდენადვე ან, შესაძლოა, უფრო მეტადაც კი, იძულების, დაშინებისა და შეკავების ხელოვნებაა. ომის ინსტრუმენტები დასჯას უფრო ემსახურება, ვიდრე მოხვეჭას. სამხედრო სტრატეგია კი, იმის მიუხედავად მოგვწონს ეს თუ არა, ძალადობის დიპლომატიად გადაიქცა.

თარგმნა თორნიკე თურმანიძემ

რობერტ არტი

რა მიზნებს ემსახურება სამხედრო ძალა?*

სამხედრო ძალის გამოყენებისა და შეზღუდვების ფრთხილ და ზედმიწევნით ზუსტ გააზრებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მოცემული ნარკვევის მიზანიც სწორედ ეს არის. ის პოლიტიკური დისკუსიის დაწყებას ისახავს მიზნად და არა – კონკრეტული პოლიტიკური რეცეპტების გამოწერას. ნაშრომი შეგნებულად უელის გვერდს რაიმე a...n სცენარისათვის საჭირო სამხედრო ძალების დეტალების განსაზღვრას და, სანაცვლოდ, ყურადღებას იმაზე ამახვილებს, თუ რა შეეძლო და რა არ შეეძლო, რა შეუძლია და რა არ შეუძლია სამხედრო ძალას. მსოფლიოს ფუნქციონირების ყველა მოდელს პოლიტიკური განზომილება გააჩნია. მაგრამ ყველა პოლიტიკა მსოფლიოს ფუნქციონირების გააზრებულ შეხედულებას როდი ეფუძნება. მაშ, რისთვის გამოიყენება სამხედრო ძალა? რა გავლენა მოახდინა ბირთვულმა იარაღმა ძალის გამოყენებაზე? და როგორი იქნება ძალის მომავალი ბირთვული პარიტეტისა და მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მსოფლიოში?

რისთვის გამოიყენება ძალა?

მიზნები, რომელთა მიღწევასაც სახელმწიფოები ცდილობენ, ფართო სპექტრს მოიცავს და, სხვადასხვა შემთხვევაში, ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. სამხედრო ძალა ზოგიერთი მიზნის განსახორციელებლად უფრო სასარგებლოა, თუმცა, როგორც წესი, სახელმწიფოთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ის გარკვეულ როლს მათთვის სასურველი ნებისმიერი მიზნის მიღწევაში ასრულებს. თუ აღწერითი სიზუსტისათვის შეეცდებით, ჩამოვთვალოთ ყველა დანიშნულება, რისთვისაც სახელმწიფოები ძალას იყენებენ, შედეგად უზარმაზარ ნუსხას მივიღებთ. აღწერითი სიზუსტე ანალიზისათვის თავისთავადი ღირსება არ არის. სინამდვილეში, აღწერითი სიზუსტე, როგორც წესი, ანალიტიკური სარგებლიანობის ხარჯზე მიიღწევა (მოსაზრება, რომელიც აღწერითი თვალსაზრისით ზუსტია, ჩვეულებრივ, ანალიტიკური თვალსაზრისით გამოუსადეგარია). აქედან გამომდინარე, ამგვარ დანიშნულებათა ამომწურავი სიის შედგენის ნაცვლად, ოთხი კატეგორია შევარჩიე, რომლებიც ანალიტიკურად ძალის ყველა ფუნქციას მოიცავს. ესენია: თავდაცვა, შეკავება, იძულება, მოჩვენება.[1]

არსებული სამხედრო მდგომარეობა ოთხივე ფუნქციას სათანადოდ ან თანაბრად შეიძლება ვერ უზრუნველყოფდეს. რეალურად, ისეთი სამხედრო ძალებ-

---

* **Robert J. Art, "To What Ends Military Power," in *International Security,* Vol. 4, No. 4, 1980. pp. 4-35. Reprinted by permission of MIT Press.** სტატია თარგმნილია შემოკლებით.

[1] ტერმინი „იძულება" ("Coercion") თომას შელინგმა შემოიღო ნიგნში: *იარაღი და გავლენა* (*Arms and Influence,* New haven: Yale University Press, 1966). იძულებასა და შეკავებაზე ჩემი მსჯელობის ნაწილი მისეულ მოსაზრებებს ეფუძნება, მაგრამ, როგორც შემდეგ გაარკვევთ, მის ზოგიერთ დასკვნას არ ვეთანხმები.

ის განსავითარებლად საჭირო სახსრები, რომელთაც ერთდროულად ორზე მეტი ფუნქციის განხორციელება შეეძლებათ, მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს აქვთ. ამ შემთხვევაშიც კი, ამის მიღწევა მხოლოდ პატარა ქვეყნებთან დაპირისპირების დროს არის შესაძლებელი და არა – დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგ. სახელმწიფოს სამხედრო ძალების ბრძოლისუნარიანობის შეფასება სხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ ძალებთან შედარებით უნდა მოხდეს და არა – აბსოლუტური მასშტაბების მოშველიებით. სახელმწიფოს, რომელსაც მეორე სახელმწიფოს იძულება შეუძლია, მისგან თავდაცვისა და, ჩვეულებრივ, მისი შეკავების უნარიც შესწევს. მეორე სახელმწიფოსაგან თავის დაცვის შესაძლებლობა, იმავდროულად, მისი შეკავების ან იძულების უნარის ქონას არ გულისხმობს. სახელმწიფოს შეუძლია შეაკავოს მეორე სახელმწიფო იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისგან თავის დაცვის ან მისი იძულების შესაძლებლობა არ გააჩნია. სახელმწიფოს, რომელსაც მეორე სახელმწიფოსათვის თავის ძლიერად მოჩვენება შეუძლია, რეალურად მის მიმართ დანარჩენი სამი ფუნქციის განხორციელება შეიძლება ძალუძდეს კიდეც ან არა. თუ ამის შესაძლებლობა აქვს, პირველ რიგში, ყველა სახელმწიფო თავდაცვას ცდილობს. თუ თავდაცვა შეუძლებელია, როგორც წესი, ამის შემდეგ უპირატესობა შეკავებას ენიჭება. თავის ძლიერად მოჩვენება, ანალიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე რთულად განსახორციელებელი ფუნქციაა; წარმატებით განხორციელებული შეკავების დემონსტრირება ყველაზე ძნელია; სამაგიეროდ, იძულების დემონსტრირება საკმაოდ იოლია, მაგრამ სხვებთან შედარებით, ყველაზე რთულად მისაღწევი. ამ საკითხებზე უფრო ფართოდ ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ძალის *თავდაცვის* მიზნით გამოყენება სამხედრო ძალის იმგვარად განლაგებას გულისხმობს, რომ შესაძლებელი იყოს ორი ფუნქციის განხორციელება – თავდასხმის თავიდან აცილებისა და, თავდასხმის შემთხვევაში, ზიანის მინიმუმამდე დაყვანის. თავდაცვის მიზნით, სახელმწიფო საკუთარ ძალებს პოტენციური ან რეალური თავდამსხმელის ძალების წინააღმდეგ მიმართავს და არა – მისი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. თავდაცვის მიზნით სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი ძალები იმ ადგილზე განალაგოს, რომელიც დარტყმის ყველაზე რეალური სამიზნეა, დარტყმის შემთხვევაში მის მოსაგერიებლად გამოიყენოს ან პირველი გადავიდეს შეტევაზე, თუკი მიიჩნევს, რომ მას სავარაუდოდ ან აუცილებლად დაესხმიან თავს. ამგვარად, ძალის თავდაცვის მიზნით გამოყენება შეიძლება მოიცავდეს როგორც მშვიდობიან, ასევე ფიზიკურ ხერხებსა და საპასუხო (მეორე რიგის) დარტყმებსა და თავდასხმით (პირველი რიგის) დარტყმებს.[2] თუ სახელმწიფო პირველ დარტყმას მაშინ ახორციელებს, როდესაც მიიჩნევს, რომ მასზე თავდასხმა მოსალოდნელია, ის წინასწარ დარტყმას ახორციელებს. თუ სახელმწიფო პირველ დარტყმას

[2] სამხედრო ძალა ორიდან ერთ-ერთი სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული – „ფიზიკურად" და „მშვიდობიანად." ძალის ფიზიკური გამოყენება მეტოქის წინააღმდეგ მის რეალურად გამოყენებას გულისხმობს, რასაც ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის, დარტყმების ურთიერთგაცვლის სახე აქვს. ძალის მშვიდობიანი გამოყენება ან ძალის გამოყენების აშკარა მუქარას მიმართავს ან ფარულ მუქარას, რომელიც სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების შესაძლებლობას ეფუძნება. ძალის ფიზიკური გამოყენება ნიშნავს, რომ ერთი სახელმწიფო ახდენს დაზიანებას, განადგურებას ან მწყობრიდან გამოყვანას იმ საკუთრებისა, რომელსაც მეორე სახელმწიფოსათვის დიდი ღირებულება გააჩნია, მათ შორის, სამხედრო ძალებისაც. ძალის მშვიდობიანი გამოყენება ამგვარად მოიხსენიება, რადგან მიზნის მისაღწევად აშკარად თუ ფარულად „გამოყენების" მიუხედავად, ის მეორე სახელმწიფოს საკუთრების განადგურებას არ ინვევს. ძალის გამოყენების აღნიშნულ ორ მოდელს შორის აშკარად არსებობს გარდამავალი შუალედი, რომლის დროსაც სახელმწიფო სამხედრო ძალებს მეორის წინააღმდეგ გამოსაყენებლად ამზადებს (აღჭურვავს, მობილიზებას უკეთებს ან გადაისვრის), მაგრამ მათ ჯერ რეალურად ზიანი არ მიუყენებიათ.

მაშინ მიმართავს, როდესაც მიიჩნევს, რომ მასზე შეტევა გარდაუვალია, მაგრამ ახლავე არ მოხდება, ის პრევენტიულ დარტყმას ახორციელებს. წინასწარი და პრევენტიული დარტყმები მაშინ ხორციელდება, როდესაც სახელმწიფო გათვლებს ანარმოებს, რომ: პირველი, სხვები მასზე თავდასხმას გეგმავენ და მეორე, შეტევის დაყოვნება მის ინტერესებს ვნებს. სახელმწიფო წინასწარ დარტყმას იმისათვის მიმართავს, რომ მოწინააღმდეგეს პირველი დარტყმის უპირატესობა წაართვას. პრევენტიულ თავდასხმას კი სახელმწიფო მიმართავს, რადგანაც მიიჩნევს, რომ სხვები მასზე მაშინ მიიტანენ იერიშს, როდესაც ძალთა სასწორი მათ მხარეზე გადაიხრება და, აქედან გამომდინარე, მაშინ ესხმის თავს, როდესაც ძალთა უპირატესობა მის მხარეზეა. ორივე შემთხვევაში, უმჯობესია, დარტყმა პირველმა განახორციელო, ვიდრე – პირველად შენ დაგესხან თავს. წინასწარ ზომებსა და პრევენციას შორის არსებული ძირითადი განსხვავება მოწინააღმდეგის მხრიდან შეტევის შესაძლო დროის გათვლებში მდგომარეობს. წინასწარ ზომების შემთხვევაში, საქმე, უმეტესწილად, საათებს, დღეებს ან თუნდაც რამდენიმე კვირას ეხება; პრევენციის შემთხვევაში კი, თვეებსა და რამდენიმე წელიწადსაც მოიცავს. წინასწარი ზომების მიღებისას, სახელმწიფო შეტევის დროს ვერ აკონტროლებს; პრევენციის დროს სახელმწიფოს შეტევის აუჩქარებლად განჭვრეტა უფრო შეუძლია. ორივე შემთხვევაში, თავდასხმით და თავდაცვით შეტევებს ომის მართებულობის რწმენა ამოძრავებს. ორივე შემთხვევაში პრინციპი „საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა" აქტუალურად ჟღერს.

ძალის *შეკავების* მიზნით გამოყენება სამხედრო ძალის იმგვარ განლაგებას გულისხმობს, რომელიც დასჯის მუქარით სახელწიფოს საშუალებას აძლევს, ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგეს იმის გაკეთებაში, რაც დამმუქრებელს არ სურს და რისი ჩადენის ცდუნების წინაშეც ის, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, შეკავება ანგარიშსწორების მუქარაა. მისი მიზანია, ხელი შეუშალოს არასასურველი ფაქტის მოხდენას. დასჯის მუქარა მოწინააღმდეგის მოსახლეობის და/ან სამრენველო ინფრასტრუქტურისაკენ არის მიმართული. მუქარის ეფექტიანობა დამოკიდებულია სახელმწიფოს უნარზე, დაარწმუნოს მოწინააღმდეგე, რომ არასასურველი მოქმედების თაობაზე დაეჭვების შემთხვევაში, მას მისი მკაცრად დასჯის სურვილი გაუჩნდება და ამისათვის სათანადო ძალაც შესწევს. ასე რომ, შეკავების დროს ძალა მშვიდობიანად გამოიყენება. შეკავების არსი დასჯის მიზნით ძალის გამოყენების მუქარაში მდგომარეობს. თუ ამ მუქარის განხორციელების აუცილებლობა წარმოიქმნება, შეკავება წარუმატებლად ჩაითვლება. შემაკავებელი მუქარა ზუსტად იმისათვის არის ჩაფიქრებული, რომ მისი განხორციელება არ მოხდეს. დამუქრება რაიმე მოქმედების ხელის შესაშლელად ხდება. თუ მუქარის განხორციელების აუცილებლობის საკითხი დგება, ეს იმას ნიშნავს, რომ არასასურველი ქმედება უკვე ჩადენილია. შესაბამისად, შეკავება წარმატებული მხოლოდ მაშინაა, თუ ანგარიშსწორების მუქარა არ შესრულდება.

შეკავება და თავდაცვა ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ ორივეს მიზანი სახელმწიფოს ან მისი უახლოესი მოკავშირეების ფიზიკური თავდასხმებისაგან დაცვაა. ორივეს დანიშნულება გადარწმუნებაა — სხვების დარწმუნება იმაში, რომ მათთვის საზიანო ქმედებებს არ მიმართონ. ძალის თავდაცვითი მიზნით გამოყენება გადარწმუნებას მეტოქისათვის იმის ჩაგონებით ახდენს, რომ ის კონკრეტულ სამხედრო ძალებს ვერ დაამარცხებს. ძალის შემაკავებელი მიზნით გამოყენებისას მოწინააღმდეგეს არწმუნებენ, რომ არასასურველი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, მის მოსახლეობასა და ტერიტორიას დიდი ზიანი მიადგება. თავდაცვა გადარწმუნებას

სამხედრო ძალის ძლევამოსილების დემონსტრირებით ახდენს. შეკავება გაიდარწმუნებას ანგარიშსწორების დემონსტრირებით ახერხებს.

თავდაცვა შეკავების გარეშეც შესაძლებელია, შეკავება კი – თავდაცვის გარეშე. სახელმწიფოს შემოჭრის მოსაგერიებლად ყველა აუცილებელი პირობა შეიძლება გააჩნდეს, მაგრამ, ამავე დროს, არ ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ დამპყრობლის ტერიტორიასა და მოსახლეობას განადგურებით დაემუქროს. იმავე პრინციპით, სახელმწიფოს, შესაძლოა, ამგვარი განადგურებით დამუქრებისათვის ყველა უტყუარი საშუალება ჰქონდეს და, ამის მიუხედავად, დამპყრობელი ძალის მოგერიება არ შეეძლოს. თავდაცვა, აქედან გამომდინარე, შეკავების ადეკვატური არ არის და არც შეკავება – თავდაცვის. უფრო მეტიც, სახელმწიფოს, რომელსაც თავდასხმის მოგერიება შეუძლია, შეკავებისათვის საჭირო საშუალებების განვითარება ნაკლებად დაჭირდება. თუ ფიზიკური თავდასხმების მოგერიება ან მათგან მიყენებული ზიანი მაქსიმალურად მცირეა, ანგარიშსწორების უნარის განვითარების მოტივაცია დაბალია. ამგვარად, სახელმწიფო, რომელსაც თავის დაცვის უნარი არ შესწევს, შესაძლებლობის ფარგლებში ეფექტიანი შეკავების სისტემის განვითარებას შეეცდება. თუ ვითარების გამოსწორების შესაძლებლობა არსებობს, არც ერთი სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიასა და მოსახლეობას თავდასხმისაგან დაუცველად არ დატოვებს. შეუძლია თუ არა მოცემულ სახელმწიფოს მეორისაგან თავის დაცვა, მისი შეკავება ან ორივე ერთად, ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: (1) ძალთა რაოდენობრივ ბალანსზე მასსა და მის მოწინააღმდეგეს შორის; და (2) ძალთა ხარისხობრივ ბალანსზე, რაც იმას გულისხმობს, თუ რა შეუძლია უკეთესად მოცემულ სამხედრო ძალას – თავდასხმა თუ თავდაცვა. ეს ორი ფაქტორი არსებულ გარემოებებზეა დამოკიდებული და, აქედან გამომდინარე, კონკრეტული შემთხვევის ფრთხილ ანალიზს მოითხოვს.


ძალის *იძულების* მიზნით გამოყენება სამხედრო ძალის იმგვარად განლაგებას გულისხმობს, რომ შესაძლებელი იყოს მოწინააღმდეგის მიერ უკვე დაწყებული მოქმედების შეჩერება ან მისი იძულება, ჩაიდინოს ისეთი რამ, რაც ჯერ არ ჩაუდენია. იძულება, შელინგის სიტყვებით, „ქმედების დაწყებას ნიშნავს. . . რომელიც, შესაძლოა, შეჩერდეს ან უვნებელი გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მოწინააღმდეგე გამოეხმაურება."[3] იძულების დროს ძალა, შესაძლოა, ფიზიკურად ან მშვიდობიანად იქნეს გამოყენებული. სახელმწიფოს მეორისათვის ზიანის რეალურად მიყენება ფიზიკური განადგურებით შეუძლია, ვიდრე ეს უკანასკნელი მის სურვილებს არ დაემორჩილება. ან სახელმწიფოს შეუძლია, მეორეს წინააღმდეგ ისეთ ქმედებას მიმართოს, რომელიც ფიზიკურ ზიანს არ მიაყენებს, მაგრამ მოითხოვს, რომ ამ უკანასკნელმა რაიმე ღირებული საფასური გადაიხადოს, სანამ ქცევას შეიცვლიდეს. 1965 წლის დასაწყისში ამერიკელების მიერ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა ფიზიკური იძულების მაგალითი იყო, ტირპიცის მიერ ინგლისის ფლოტის საპირისპიროდ პირველ მსოფლიო ომამდე ორი ათწლეულით ადრე გერმანული ფლოტის შექმნა – მშვიდობიანი იძულების მაგალითი. პირველ შემთხვევაში, აშშ-მა ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა იმისათვის დაიწყო, რათა ამ უკანასკნელისათვის სამხრეთ ვიეტნამში ვიეტკონგის ძალების მხარადჭერის შეწყვეტა ეიძულებინა. მეორე შემთხვევაში, გერმანიამ სამხედრო ფლოტი ააგო, რომელსაც, შეტაკების შემთხვევაში, ინგლისის ფლოტის დამარცხება შეეძლო, რათა ეს უკანასკნელი ეიძულებინა, გერმანიი-

[3] Schelling, *Arms and Influence*, 72.

სათვის ხელსაყრელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიეღო. ორივე შემთხვევაში, ერთმა სახელმწიფომ მეორეს წინააღმდეგ ზუსტად გათვლილი მოქმედება დაიწყო, რათა ბისი შეჩერების, ან მისგან მართებული გამოხმაურების მიღების საშუალება ჰქონოდა.

იძულებასა და შეკავებას შორის არსებული განსხვავება ძალის აქტიურ და პასიურ გამოყენებაში მდგომარეობს. შემაკავებელი მუქარა მაშინ არის წარმატებული, როდესაც არ სრულდება. იძულებითი ქმედების წარმატება კი იმით იზომება, თუ რამდენად ზედმინევნით და სწრაფად ასრულებს მოწინააღმდეგე მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. წარმატებით განხორციელებული შეკავების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე ცდილობს სრულიად სხვა მიზეზის წარმოჩენას იმის ასახსნელად, თუ რატომ არ მოხდა ესა თუ ის მოვლენა. ამიტომ, ძნელი დასადგენია, იყო თუ არა მოცემული სახელმწიფოს ქმედება მნიშვნელოვანი, ან შეუსაბამო, რატომ *გადაიფიქრა* მეორე სახელმწიფომ რაიმეს განხორციელება. წარმატებით განხორციელებული იძულების შემთხვევაში, ქმედებებისა და მათზე რეაქციების თვალნათელი თანმიმდევრობა იძლევა იმის შეფასების შესაძლებლობას, თუ რამდენად ეფექტიანი იყო სახელმწიფოს ქმედებები. პირველ სურათზე იძულებასა და შეკავებას შორის არსებული განსხვავებებია მოცემული. წარმატებით განხორციელებული იძულების დროს, ბ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ მისმა ზენოლამ ა სახელმწიფოს არჩეული კურსი შეაცვლევინა. წარმატებით განხორციელებული შეკავების დროს, ბ სახელმწიფო ა სახელმწიფოს ქცევაში მომხდარ ცვლილებებზე ვერ მიუთითებს, სანაცვლოდ მას შეუძლია ამტკიცოს, რომ მისმა მუქარამ აიძულა ა ძველი კურსიდან არ გადაეხვია. შესაძლოა, ა სახელმწიფომ, არა ბ-ს იძულების, არამედ სრულიად სხვა მიზეზების გამო შეიცვალა ქცევა. ასევე ა სახელმწიფოს ძველი კურსი სხვა მიზეზების გამოც შეიძლება გაეგრძელებინა და არა ბ სახელმწიფოს შემაკავებელი მუქარის გამო. ა-ზე ბ-ს გავლენის მნიშვნელობის „დადასტურება" არც ერთ შემთხვევაში იოლი არ არის, გაცილებით ძნელია რაღაცის არმოხდენის, ვიდრე მომხდარი ფაქტის ახსნა.

ნახაზი 1.



იძულება

(1) ა ახორციელებს ბ-სთვის მიუღებელ ქმედებას
(2) ბ ცდილობს აიძულოს ა, რათა მან შეწყვიტოს მიუღებელი ქმედებები
(3) ა წყვეტს თავის მიუღებელ ქმედებას და ასევე იქცევა ბ-ც (ან ორივე ერთდროულად)

შეკავება

(1) ა ამჟამად ბ-სათვის მისაღებად იქცევა
(2) ბ უცხადებს ა-ს, რომ თუ ა მისთვის რაიმე მიუღებელს მოიმოქმედებს, ბ მას დასჯის
(3) ა კვლავ არაფერს აკეთებს ისეთს, რასაც ბ მიუღებლად ჩათვლის

იძულების დემონსტრირება უფრო იოლია, ვიდრე შეკავების, მაგრამ ამ უკანასკნელის მიღწევა გაცილებით რთულია. შელინგი ამტკიცებს, რომ იძულებით ქმედებათა მიზნები უფრო ბუნდოვანია, ვიდრე შემაკავებელი მუქარისა და, შესაბამისად, უფრო ძნელად მისაღწევიც.[4] თუ მონინააღმდეგეს სახელმწიფოს სურვილების გაცნობიერება უჭირს, მას მათი შესრულებაც გაუძნელდება. ამის მიუხედავად, არ არსებობს კონკრეტული ახსნა იმისა, თუ რატომ არის იძულებითი ქმედება გაცილებით ბუნდოვანი, შემაკავებელი მუქარა კი — მონინააღმდეგისათვის იოლად გასაგები. საბოლოო ჯამში, „არ დამესხა თავს" სულაც არ არის უფრო იოლად გასაგები, ვიდრე „შენ ყვიტე ჩემს მეგობარზე თავდასხმა." სახელმწიფოს, შესაძლოა, ისევე ბუნდოვნად ან ცხადად ჰქონდეს გაცნობიერებული ის, რისთვის ხელის შეშლა ან რისი შეჩერებაც სურს. იძულებითი ქმედებებისა და შემაკავებელი მუქარის მიზნების სიცხადე ან გაურკვევლობა განსხვავდება არა მოცემული ქმედების იძულებითი ან შემაკავებელი ხასიათის, არამედ მისი თავისებურების მიხედვით. მაგალითად, ზოგიერთი მიზანი, თავისთავად უფრო ნათელია და, აქედან გამომდინარე, სხვებთან შედარებით ადვილად აღსაქმელი. ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე სხვებზე უფრო გასაგებად ურთიერთობს. ზოგიერთ სახელმწიფოს მოცემული მიზნის მისაღწევად სხვებზე მეტი ძალა გააჩნია. მიზნის აღქმის სიცხადეს კონკრეტული ვითარების თავისებურებები განსაზღვრავს და არა – იძულებასა და შეკავებას შორის არსებული არსებითი განსხვავება.

აქედან გამომდინარე, მიზეზი იმისა, თუ რატომ არის იძულება შეკავებაზე უფრო ძნელად მისაღწევი, სხვაგან უნდა ვეძიოთ. ის მდგომარეობს არა იმაში, თუ რას სთხოვს ერთი სახელმწიფო მეორეს, არამედ იმაში, თუ *როგორ* სთხოვს. შეკავების დროს ბ სახელმწიფო ა-ს მოთხოვნას შემდეგნაირად უყენებს: „არ გააკეთო X, თორემ ამ კომბალს თავში ჩაგცხებ." იძულების დროს ბ სახელმწიფო ა სახელმწიფოს შემდეგნაირად მიმართავს: „თავში ამ კომბალს ჩაგცხებ და მანამ გირტყამ, სანამ იმას არ გააკეთებ, რაც მე მინდა." პირველ შემთხვევაში, ა სახელმწიფოს იოლად და დამაჯერებლად შეუძლია უარყოს, რომ ის X ქმედების ჩადენას აპირებდა. მეორე შემთხვევაში, ა სახელმწიფო ვერც საკუთარ საქციელს უარყოფს და ვერც იმას, რომ ბ სახელმწიფოს ზენოლას დამორჩილდა. წარმატების შემთხვევაში, იძულება, სახელმწიფოს აშკარა ძალისმიერი ინიციატივის საპასუხოდ, მეორე სახელმწიფოსაგან საქციელის საჯაროდ შეცვლას მოითხოვს. იძულებითი ქმედების საპირისპიროდ, შემაკავებელი მუქარის დროს გაცილებით იოლია როგორც მუქარის იგნორირების შთაბეჭდილების შექმნა, ისე ღირსების შეულახავად დამმუქრებლის პირობების მიღება. შემაკავებელი მუქარისაგან განსხვავებით, იძულებით ქმედებებს გაცილებით უშუალო შეხება აქვს სახელმწიფოს პრესტიჟსა და ღირსებასთან. პრესტიჟი უფრო ნაკლებად ილახება რაიმეს გაუკეთებლობის შემთხვევაში, ვიდრე სხვისი ზენოლის შედეგად ქცევის აშკარა ცვლილებისას. იძულების შემთხვევაში, სახელმწიფოს სთხოვენ, უარი თქვას იმ პრესტიჟსა და დახარჯულ რესურსებზე, რომლებიც კონკრეტული ქცევისათვის მან საჯაროდ გაიღო. შეკავების დროს სხვა ვითარებაა. ამდენად, იძულება შინაგანად უფრო ძნელად მისაღწევია, ვიდრე შეკავება, არა იმიტომ, რომ მისი მიზნები უფრო ბუნდოვანია, არამედ იმის გამო, რომ ის სახელმწიფოსაგან მეტ დამცირებას მოითხოვს.

სამხედრო ძალის გამოყენების მეოთხე დანიშნულება ყველაზე რთულად დასაზუსტებელია. ძალის *მოჩვენება* ნაწილობრივ აუხსნელი კატეგორიაა და ის სამხედრო ძალის თავდაცვითი, შემაკავებელი და იძულებითი მიზნების გარდა, სხვა დანიშნულებისთვის გამოყენებასაც გულისხმობს. ძალა პირდაპირ არც თავდასხმის თაობა-

[4] Ibid., 72-73.

ზე მეორე სახელმწიფოს გადარწმუნებას ისახავს მიზნად, არც თავდასხმის მოგერიებას და არც რაიმე კონკრეტული მოქმედების იძულებას. ძალის მოჩვენების მიზნები გაცილებით გაურკვეველი, ბუნდოვნად განსაზღვრული და რთულია. ძალის მოჩვენება თითქმის ყოველთვის ძალის მშვიდობიან გამოყენებას გულისხმობს და, როგორც წესი, შემდეგი ორიდან ერთ-ერთი სახით არის გამოხატული: სამხედრო ძლევამოსილების დემონსტრირებით სამხედრო წვრთნებისა და ეროვნული აღლუმების დროს და ეპოქის ყველაზე მოწინავე იარაღის შეძენით ან შექმნით. ძალის მოჩვენებითი მიზნით გამოყენება ყველაზე ეგოისტურია: ის ხალხის ეროვნული სიამაყის ან მმართველის პიროვნული ამბიციების დაკმაყოფილებას ემსახურება. სახელმწიფო ან სახელმწიფო მოღვაწე ცდილობს თავი უფრო ძლიერად და მნიშვნელოვნად მოაჩვენოს, რათა საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში ის უფრო სერიოზულად აღიქვან და სხვების თვალში ერის იმიჯი ამაღლდეს. იმიჯის გაზრდის შემთხვევაში, ქვეყნის თავდაცვითი, შემაკავებელი და მაიძულებელი უნარებიც გაიზრდება; მაგრამ ძალის მოჩვენებას მხოლოდ ამ კონკრეტული მიზნის მისაღწევად როდი მიმართავენ. ძალის მოჩვენებით პრესტიჟის ამაღლება გაცილებით „იაფი" ჯდება. ძალის მოჩვენება სახელმწიფოსა და სახელმწიფო მოღვაწეების პატიცისცემისა და პრესტიჟის მიღწევის დაუოკებელი სურვილის გამო ხორციელდება. ის თვითკმაყოფილება უფროა, ვიდრე კონკრეტული, ღრმად გააზრებული შედეგის მქონე მოქმედება.

და მაინც, ანარქიულ გარემოში ძალისა და საგარეო პოლიტიკის არსებითი ურთიერთდამოკიდებულების გამო, ძალის მოჩვენების ინსტრუმენტული როლის მთლიანად იგნორირება შეუძლებელია. სახელმწიფოს სავარაუდო სამხედრო ძლიერებასა და მის მიერ მიზნების მიღწევის წარმატებას შორის კავშირის არსებობის გამო, სხვების თვალში სახელმწიფოს მდგომარეობის გაუმჯობესება *რეალპოლიტიკის* თვალსაზრისით ყოველთვის გამართლებულია. თუ ერთი სახელმწიფოს მიერ ძალის მოჩვენება სხვა სახელმწიფოებს მისი ინტერესებისათვის ანგარიშის უფრო მეტად გაწევისაკენ უბიძგებს, ეს აღნიშნული სახელმწიფოს მთავარ მიზნებს წაადგება. ამის მიუხედავად, ინსტრუმენტული როლის გამოც კი, მოჩვენება კონკრეტული შედეგისათვის უფრო ნაკლებად გამოიყენება, ვიდრე, საერთოდ, ყველა სავარაუდო შედეგის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, სამხედრო ძალის მოჩვენებითი ფუნქცია ერთსა და იმავე დროს ყველაზე ყოვლისმომცველიცაა და გაურკვეველიც, ყველაზე მრავალფეროვანი ეფექტებითა და უახლოეს მიზნებზე ყველაზე ნაკლებად კონცენტრირებით ხასიათდება, ყველაზე მომგებიანია ხანგრძლივ პერსპექტივაში და ყველაზე უსარგებლო ახლო მომავალში, ადვილად გასამართლებელია ცივი გონებით განსჯისას და ხშირად ემოციურ ნიადაგზე ხორციელდება. ძალის მოჩვენებაში, სამხედრო ძალის დანარჩენ სამ ფუნქციასთან შედარებით, რაციონალური და ირაციონალური ყველაზე მეტად არის ერთმანეთში აღრეული და, ამის გამო, ის საერთაშორისო ურთიერთობებში ფართოდ გავრცელებულია და აღსაწერადაც საკმაოდ რთულია.

თავდაცვა, შეკავება, იძულება და ძალის მოჩვენება – ის ოთხი ძირითადი დანიშნულებაა, რისთვისაც ძალა გამოიყენება. ანალიტიკური თვალსაზრისით მათი ერთმანეთისაგან გარჩევა გაცილებით იოლია, ვიდრე მათი პრაქტიკაში გამოყენება. ეს ორი ფაქტორით არის განპირობებული. პირველი, ქცევის მიზნის გასარკვევად მისი ფარული მოტივების ცოდნაა საჭირო; მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ქცევის მიხედვით მისი მოტივების ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ერთსა და იმავე ქცევას, შესაძლოა, რამდენიმე მოტივი ჰქონდეს. მაგრამ სახელმწიფოს მოტივების გარკვევა ზუსტად არც მისი საჯარო და ოფიციალური განცხ-

ადებებიდან არის შესაძლებელი. ამგვარი განცხადებები გულწრფელობით არ გამოირჩევა, რადგან თვალთმაქცობა და თავის მოჩვენება სახელმწიფო მმართველობისათვის ჩვეული მოვლენაა. ასეთი განცხადებები ხშირად საშინაო პოლიტიკისათვის ითხზვება და არა საერთაშორისო აუდიტორიისათვის, ან სულაც ორაზროვნების ხელოვნებაში გაწაფვას ემსახურება. მოტივები მნიშვნელოვანია ქცევის გასაგებად, მაგრამ ქცევისა და სიტყვების საფუძველზე მოტივებში გარკვევა ყოველთვის როდია შესაძლებელი.

გარდა ამისა, განსაკუთრებით რთულია თავდაცვითი ქმედებების იძულებითისა და შემაკავებელი ქმედებების ძალის მოჩვენებისაგან გარჩევა, თუ მათი განხორციელების მიზეზები უცნობია. თავდაცვისათვის მშვიდობიანი მზადება ხშირად ძალიან ჰგავს მშვიდობიანი იძულებითი ქმედებისათვის სამზადისს. იძულებითი და თავდაცვითი მიზნის მქონე თავდასხმების ერთმანეთისაგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია. ვინ არის ის, ვინც პირველად ესხმის თავს: თავის დამცველი თუ მოძალადე? შეკავებაც და ძალის მოჩვენებაც ეპოქის მონინავე იარაღის შეძენასა და მის დემონსტრირებას ითვალისწინებს. ამგვარი იარაღის შეძენის მიზანი პრესტიჟის გაზრდაა, თუ მოწინააღმდეგისათვის თავდასხმის განზრახვაზე ხელის აღებინების მცდელობა?

ამ სირთულის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. 1914 წლის ივლისში გერმანია თავს დაესხა საფრანგეთსა და რუსეთს და პირველი მსოფლიო ომიც დაიწყო. გერმანიის ამ საქციელის ასახსნელად ორი თეორიული მოსაზრება არსებობს. ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ გერმანიის მოტივები აგრესიული იყო – ტერიტორიული გაფართოება, ეკონომიკური სარგებელი და მსოფლიო იმპერიის სტატუსის მოპოვება. მეორის თანახმად კი, გერმანიის მოტივებს პრევენტიული და, აქედან გამომდინარე, თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა. ის პირველად იმიტომ დაესხა თავს, რომ ორი ძლიერი მეზობლის, მისი მტრების მხრიდან, რომლებიც მასზე სწრაფი ტემპით, ყოველდღიურად ზრდიდნენ თავიანთ სამხედრო ძლიერებას, ალყაში მოქცევის, ყულფის თანდათანობითი მოჭერისა და შემდეგ გარდაუვალი თავდასხმის ეშინოდა. ამიტომ, ის მაშინ დაესხა თავს, როდესაც გამარჯვების შანსი ჯერ კიდევ ჰქონდა.

ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, თუ რომელი მოსაზრებაა უფრო მართებულია, რადგან ორივეს ძლიერი არგუმენტების წარმოდგენა შეუძლია. ამის მიუხედავად, ერთი წუთით ვივარაუდოთ, რომ მეორე მოსაზრება სიმართლესთან უფრო ახლოსაა. ამ შემთხვევაში, ორი შესაძლებლობა უნდა განვიხილოთ: (1) გერმანიამ იერიში განახორციელა, რადგან *აშკარა იყო*, რომ საბოლოოდ მტრები მასზე თავდასხმას გეგმავდნენ და გერმანიას ამის დამამტკიცებელი საბუთები გააჩნდა; ან (2) გერმანიის აზრით, მას ხელთ ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ, საბოლოოდ, მისი მტრები მასზე თავდასხმას *აპირებდნენ*, სინამდვილეში კი ეს მტკიცებულებები მცდარი იყო, რადგან მტრების მოქმედებიდან გერმანიამ მათ სამომავლო გეგმებზე არასწორი დასკვნები გამოიტანა. თუ პირველი ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ჩნდება კითხვა: პასუხისმგებელი იყო თუ არა გერმანული დიპლომატია, რომელიც 1914 წლის წინა თხუთმეტწლიან პერიოდში აგრესიულობითა და უხეში შეცდომებით გამოირჩეოდა, მეზობლებში მტრობის დათესვაზე? გერმანია იმ მოსაზრებით გადავიდა შეტევაზე, რომ საბოლოოდ მასზე იერიშს მაინც მიიტანდნენ, მაგრამ თუ მისი თხუთმეტწლიანი დიპლომატიური საქმიანობა ამგვარი გეგმების მიზეზად იქცა, უნდა დავასკვნათ თუ არა, რომ 1914 წელს გერმანიას მხოლოდ თავდაცვის განზრახვა ამოძრავებდა? დროის რა პერიოდით უნდა განისაზღვროს მსჯელობა ამა თუ იმ ქმედების თავდაცვითი ან აგრესიული ბუნების შესახებ – ერთი

თვით თუ ერთი წლით? თუ არა, მაშინ დასკვნის გამოსატანად ისტორიაში რამდენად ღრმად ჩახედვაა საჭირო? ხოლო თუ მეორე მოსაზრებაა მართებული, მაშინ კითხვა ამგვარად დაისმება: თუ გერმანიამ იერიში იმ რწმენით განახორციელა – როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მცდარი – რომ მას თავს დაესხმოდნენ, უნდა დავასკვნათ თუ არა, რომ გერმანიას თავდაცვის განზრახვა ამოძრავებდა? უნდა შემოიფარგლოს თუ არა ამა თუ იმ ქმედების თავდაცვითი ან აგრესიული ბუნების თაობაზე ჩვენი მსჯელობა მხოლოდ სხვების განზრახვის თაობაზე გერმანიის მოსაზრებებით, მათი რეალური გეგმების გათვალისწინების გარეშე?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის. საბედნიეროდ, ეს არც მოგვეთხოვება. მათი დასმაც საკმარისია, რადგან ამით ნათელი ხდება, რომ სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების მოტივების *ლეგიტიმურობის* შეფასება მათი მოტივების განსაზღვრისაგან განუყოფელია. იმავდროულად, მოტივების განსაზღვრა, მათი ლეგიტიმურობის თაობაზე დასკვნის გაკეთების გარეშე შეუძლებელია. ამის საჭიროება თავად სახელმწიფოს ქცევის ბუნებაში ძევს. ანარქიაში თითოეული სახელმწიფო თავისი მიზნების ლეგიტიმურობის ერთადერთი შემფასებელია, რადგან არ არსებობს ზესახელმწიფოებრივი ძალა, რომელიც მათ რაიმე წესებზე შეთანხმებას აიძულებდა. უნივერსალური სტანდარტების არარსებობის გამო, იძულებულნი ვართ, თითოეული შემთხვევა მოცემულ კონტექსტში განვიხილოთ და არსებული ვითარების შესახებ ინდივიდუალური დასკვნები გამოვიტანოთ. ინდივიდუალური დასკვნების გამოტანისას კი სუბიექტივიზმს თავს ვერ დავაღწევთ. ამიტომ ზუსტი პასუხები, სავარაუდოდ, გამონაკლისი უფროა, ვიდრე ჩვეულებრივი რამ.

საით მივყავართ ყოველივე ამას? ჩვენთვის უკვე ნაცნობი ოთხი კატეგორია სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების ოთხ შესაძლო დანიშნულებას მოიცავს. მაგრამ იმის გამო, რომ ქცევის შინაარსი გადამწყვეტ როლს თამაშობს მისი საბოლოო დანიშნულების გარკვევაში, აღნიშნული ოთხი კატეგორია დაუფიქრებლად და ისტორიული კანონზომიერების გაუთვალისწინებლად არ უნდა გამოვიყენოთ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თითოეული სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება აღნიშნული ოთხიდან ერთ-ერთ კატეგორიას უნდა შეესაბამებოდეს. ჩვენ *a priori* ვიცით, თუ რა შესაძლებლობები არსებობს. იმის გარკვევა, თუ რომელ მათგანს განეკუთვნება ესა თუ ის ქმედება, უკვე განსჯის საქმეა, რომელიც როგორც მოცემული შემთხვევის კონკრეტულ თავისებურებებზე, ისე მოცემული კატეგორიის ზოგად მახასიათებლებზეც არის დამოკიდებული (იხილეთ ცხრილი 1).

როგორია ძალის მომავალი?

ნარსული მომავლის სახელმძღვანელო რომ იყოს, სამხედრო ძალას საერთაშორისო ურთიერთობებში კვლავაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. ის სახელმწიფოები, რომლებსაც მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალის შესანახად საჭირო მატერიალური შესაძლებლობები არ გააჩნიათ (მაგალითად დანია), ან რომლებიც მათ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან შედარებით გაცილებით მცირე ძალების ყოლას ამჯობინებენ (მაგალითად იაპონია), გარკვეულ პრობლემებს წააწყდებიან. ორივე აღმოაჩენს, რომ ამგვარ პირობებში საკუთარი ბედის განკარგვა ნაკლებად არის შესაძლებელი. ის სახელმწიფოები, რომლებსაც ძლიერი სამხედრო ძალები ჰყავთ, კონტროლის უფრო მეტ საშუალებას ფლობენ, მაგრამ დიდ სამხედრო ძალას დაუგეგმავი შედეგებიც მოაქვს და, ამასთან, ძალა ყველა მათი პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას არ იძლევა. ამის მიუხედავად, ანარქიაში როგორც ძლიერის, ისე სუს-

ტისთვისაც ძალა მათ შორის წარმოქმნილი დავების გადაჭრის საბოლოო საშუალებად რჩება. ტრადიციულად, დავების უმრავლესობაში საქმე ძალის ფიზიკურ გამოყენებამდე არ მიდის. მაგრამ ვიდრე ძალის ფიზიკური გამოყენების ალბათობა არსებობს, სამხედრო ძალას გადამწყვეტი გავლენა ექნება მშვიდობიანობის პერიოდში სახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთობების ხასიათზე.

ეს მოსაზრება დღესდღეობით არა თუ საყოველთაოდ მიღებული, არამედ ფართოდ აღიარებულიც კი არ არის. მას სამი თეორიული მიმართულება ენინააღმდეგება. პირველი მათგანი ამტკიცებს, რომ ბირთვულმა იარაღმა ამერიკასა და რუსეთს, ან ნატო-სა და ვარშავის პაქტის სახელმწიფოებს შორის ბირთვული ან თუნდაც ჩვეულებრივი შეიარაღებით წარმოებული ომი შეუძლებელი გახადა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს სიმართლეა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალის სარგებლიანობა მხოლოდ მისი ფიზიკური გამოყენების სიხშირით არ განისაზღვრება. იმის მტკიცება, რომ ძალის მნიშვნელობა კლებულობს, რადგან ევროპაში ომი აღარ მომხდარა, შედეგის მიზეზთან აღრევას ნიშნავს. ამერიკასა და რუსეთს ან ნატო-სა და ვარშავის პაქტის სახელმწიფოებს შორის ომის ალბათობა, პრაქტიკულად, ნულს უტოლდება, რადგან ამის წინაპირობა, საყოველთაო ბირთვული ომის გაჩაღების საშიშროებასთან ერთად, თითოეული მხარის სამხედრო სტრატეგიამ და შეიარაღების განლაგებამაც შექმნა. ევროპაში ომის არარსებობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სამხედრო ძალის შეუსაბამობაზე კი არა, სრულიად საპირისპიროზე მიანიშნებს. უფრო მეტიც, ძალის ამ ორ დაჯგუფებას შორის არსებული ძალთა შეფარდება დიდ გავლენას ახდენს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ძალთა სტაბილური ბალანსი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოს ქმნის. ძალთა არასტაბილური ბალანსი კი პოლიტიკურ დაძაბულობას ზრდის, რაც ვაჭრობას აფერხებს. ტოტალური ომის დაწყების ალბათობა საკმაოდ მცირეა, მაგრამ ის ფაქტი, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მისი შესაძლებლობა მაინც არსებობს, არსებით გავლენას ახდენს მშვიდობიანობის პერიოდში ევროპული სახელმწიფოების ერთმანეთთან და მათ მფარველ ზესახელმწიფოებთან ურთიერთობებზე.

მეორე მიმართულება ამტკიცებს, რომ კაცობრიობის საერთო პრობლემებმა, როგორიცაა გარემოს დაბინძურება, ენერგომატარებლებისა და სხვა ნედლეულის სიმცირე, ომი და სამხედრო ძალა ნარსულის საკუთრებად აქცია. მართლაც, მათი არგუმენტები უფრო ძლიერია: საერთო პრობლემები, რომლებიც ამჟამად ყველა სახელმწიფოს წინაშე დგას, მათ მოსაგვარებლად თანამშრომლობას *აუცილებელს* ხდის. თუმცა, ეს არგუმენტი მომავლის სანუკვარი იმედი უფროა, ვიდრე რეალობა. სამწუხაროდ, აწმყოში მომავლის განსაზღვრა შეუძლებელია. ერთა შორის თანამშრომლობის ამჟამად არსებული ფორმა კონფლიქტების ყველასათვის სასარგებლოდ მოგვარების ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. უფრო მეტიც, ძნელად ნარმოსადგენია, მაგრამ ის, რასაც ზოგიერთი ქვეყანა პრობლემად მიიჩნევს, სხვებისათვის ასეთად არ აღიქმება. მაგალითად, ის რაც ერთისათვის მოსახლეობის სიჭარბის პრობლემას ქმნის, მეორისათვის ძლიერების წყარო შეიძლება იყოს. ჩინეთი და ინდოეთი სამართლიანად არიან შეშფოთებულნი იმით, რომ მოსახლეობის ზრდა უარყოფითად მოქმედებს ამ ქვეყნებში არსებულ ცხოვრების დონეზე, რასაც ვერ ვიტყვით ნიგერიის შესახებ, რომლის ძლიერებისა და გავლენის წყაროს აფრიკის კონტინენტზე, ნანილობრივ, სწორედ მოსახლეობის მრავალრიცხოვნობა წარმოადგენს. ის, რომ სახელმწიფოთა პირობები ერთმანეთისაგან განსხვავდება, საერთაშორისო ურთიერ-

თობების უმარტივესი წესია. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია მათი ინტერესები და პერსპექტივებიც. ისინი არა მარტო სხვადასხვაგვარად აგვარებენ ერთსა და იმავე პრობლემებს, არამედ მათ განსაზღვრაზეც იშვიათად ან თითქმის ვერ თანხმდებიან. ამიტომ, ანარქიულ გარემოში ვერასოდეს იარსებებს ზესახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც თანხმობის მისაღწევად და მის ცხოვრებაში გასატარებლად სათანადო ძალაუფლებით იქნება აღჭურვილი. ამავე მიზეზით, ანარქიულ ვითარებაში ცალკეული სახელმწიფოს სამხედრო ძალას საციცოცხლო მნიშვნელობა ექნება როგორც პრობლემათა განსაზღვრის, ისე მათი მოგვარების დაჩქარებისა თუ შეფერხების თვალსაზრისით. მხოლოდ მსოფლიო მთავრობის არსებობა შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყნებმა უარი თქვან ძალის გამოყენებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ძალის მნიშვნელობა კვლავ შენარჩუნდება, რადგანაც არმია ყველა მთავრობას სჭირდება.

და ბოლოს, არიან ისეთებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ მსოფლიოს ერები ეკონომიკური თვალსაზრისით იმდენად გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს, რომ სამხედრო ძალა უსარგებლო გახდა, რადგან მისი გამოყენება წამგებიანია. ქვეყანა, რომლის ეკონომიკური ინტერესებიც მჭიდროდ არის გადახლართული მეორე ქვეყნის ინტერესებთან, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ძალას ვერ გამოიყენებს, რადგან ამით საკუთარ თავსაც დააზარალებს. ურთიერთგადაჯაჭვული ინტერესები ძალას გამოუსადეგარს ხდის – ასე სწამთ „ურთიერთდამოკიდებულების თეორეტიკოსებს" მსოფლიოს ამგვარი აღქმა საკამათოა. . . ამერიკულმა სამხედრო ძალამ შექმნა და შეინარჩუნა ყველა საჭირო წინაპირობა ამერიკული, კანადური, იაპონური და დასავლეთევროპული ეკონომიკების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებისათვის. . . სამხედრო უპირატესობა პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობის გარანტი არასოდეს ყოფილა. მაგრამ პოლიტიკური ვაჭრობის დროს ის, ქვეყანას უკეთეს პოზიციაში აყენებს, რაც გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, არასამხედრო მიზნებსაც შეიძლება წაადგეს. ძალა, როგორც პოლიტიკის იარაღი, გამოუსადეგარი არ შეიძლება იყოს ამერიკის ეკონომიკურ ურთიერთობებში მის მოკავშირე დიდ სახელმწიფოებთან: ამერიკის სამხედრო უპირატესობა ამ ურთიერთობებს პოლიტიკურ ელფერს ანიჭებს. ის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დუღაბია.

ცხრილი 1. ძალის დანიშნულება

ტიპი	დანიშნულება	საშუალება	სამიზნეები	მახასიათებლები
თავდაცვითი	თავდასხმის თავიდან აცილება და/ან მის მიერ მიყენებული შესაძლო ზიანის შემცირება	მშვიდობიანი და ფიზიკური	პირველ რიგში სამხედრო მეორე რიგში სამრეწველო	თავდაცვითი ღონისძიებები შეიძლება გადარწმუნებას ისახავდეს მიზნად; თავდაცვითი ღონისძიებები შეიძლება აგრესიულად გამოიყურებოდეს; პირველი შეტაკებები შეიძლება თავდაცვის მიზნით განხორციელდეს
შეტაკებული	რაიმე მოქმედების განხორციელების თავიდან აცილება	მშვიდობიანი	პირველ რიგში სამოქალაქო მეორე რიგში სამრეწველო მესამე რიგშისამხედრო	ანგარიშსწორების მუქარა გამოთქმება ისე, თითქოს არ განხორციელდება; მეორე შეტაკებისთვის მზადება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პირველი შეტაკებისათვის მზადება
იძულებითი	რაიმე მოქმედების ან განზრახვის შეჩერება	მშვიდობიანი და ფიზიკური	სამივე, მკვეთრად გამოხატული რიგითობის გარეშე	ადვილად ამოსაცნობია, მაგრამ ძნელად მისაღწევი; მაიძულებელ მოქმედებას შეიძლება თავდაცვითმოქმედების გამარილება
მოჩვენებითი	პრესტიჟის გაზრდა	მშვიდობიანი	არც ერთი	ინსტრუმენტული და ირაციონალური ბუნების გამო, ძნელად აღსანერია; ძალის მოჩვენებას შეიძლება დამაშინებელი ეფექტი ჰქონდეს

ეს მოსაზრება მარტივი მაგალითით შეიძლება დადასტურდეს. 1945 წელს აშშ, რომელიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ სავალუტო კურსების კონკურენტულმა დევალვაციებმა 1930-იანი წლების დეპრესია გააღრმავა და გაახანგრძლივა, ვალუტის გაცვლის ფიქსირებული კურსების შემოღების ინიციატივით გამოვიდა. მისმა მოსაზრებამ გაიმარჯვა და შეიქმნა ვალუტის ფიქსირებულ კურსზე (მცირე დასაშვები ვარიაციებით) დაფუძნებული ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი უწევდა ზედამხედველობას და რომელმაც 1971 წლამდე იარსება. ამ წელს, წინა ოცდახუთწლიან პერიოდში დოლარის უზარმაზარი ნაკადების საზღვარგარეთ გადინების გამო, აშშ-მა ოქროს სტანდარტი გააუქმა, ანუ ქვეყნები აღარ იყვნენ ვალდებულნი დოლარების სანაცვლოდ ოქრო გადაეხადათ. ბრეტონ-ვუდსის სისტემაში, მსოფლიო სავალუტო კურსები დოლართან მიმართებაში იზომებოდა, რომელიც, თავის მხრივ, ოქროს სტანდარტით განისაზღვრებოდა, სადაც „ერთი უნცია ოქრო ოცდათხუთმეტ დოლარს უტოლდებოდა." ოქროს სტანდარტის გაუქმებით, უნცია ოქროს ფასმა აიწია და მოიშალა ფიქსირებული სტანდარტი, რომლითაც ყველა ვალუტის ღირებულება იზომებოდა და თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსების ეპოქას ჩაეყარა საფუძველი. საბოლოო ჯამში, ამერიკამ შექმნა და თავადვე გაანადგურა ბრეტონ-ვუდსის სისტემა. 1945 წელს მან მოკავშირეები დაარწმუნა. 1971 წელს კი ის ერთპიროვნულად და მათი სურვილების საპირისპიროდ მოქმედებდა.

როგორც მყარი, ასევე მცურავი სავალუტო კურსების არსებობის დროს, აშშ-მა მისი მოკავშირე დიდი სახელმწიფოები არასასიამოვნო არჩევნის წინაშე დააყენა. ისინი ან უნდა დათანხმებოდნენ, ამერიკული დოლარების შესაძენად მეტი ფულის გამოშვებას, რითაც საკუთარ ქვეყანაში ინფლაციას შეეწყობდნენ ხელს; ან უნდა უარი ეთქვათ დოლარზე, თვალი ედევნებინათ დოლართან მიმართებაში საკუთარი ვალუტის კურსის ზრდისათვის, გაეძვირებინათ ექსპორტი (რომელზეც ყველა ეს სახელმწიფო დიდად იყო დამოკიდებული) და ექსპორტის შემცირების თანამდევი ეკონომიკური დაღმასვლის საშიშროების წინაშე აღმოჩენილიყვნენ. ეკონომიკურმა და სამხედრო ძლიერებამ ამერიკას საშუალება მისცა, ოცზე მეტი წლის მანძილზე მისი მოკავშირე დიდი სახელმწიფოები ინფლაციასა ან ეკონომიკურ დაღმასვლას შორის არჩევნის წინაშე დაეყენებინა. აშშ-ს სამხედრო ძალის უშუალოდ გამოყენება არც არჩევნის ამგვარი სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად დასჭირვებია და არც სისტემის შესაქმნელად და მის დასანგრევად. მისმა ეკონომიკურმა ძლიერებამ, რომელიც დღემდე გაცილებით დიდია, ვიდრე მისი მოკავშირე სახელმწიფოებისა ერთად აღებული, მას პირობების კარნახის შესაძლებლობა მისცა. მაგრამ საკუთარი სამხედრო უპირატესობისა და ამ ქვეყნების სამხედრო დამოკიდებულების გარეშე, აშშ ამას ვერასოდეს მოახერხებდა. ამერიკამ თავისი სამხედრო ძლიერება პოლიტიკური მიზნით გამოიყენა, რათა დოლარის ღირებულების განსაზღვრის პრობლემა გადაეჭრა.

იმავე პრინციპით, სხვები ამტიკებენ, რომ თავისი მიზნების მისაღწევად აშშ-ს მესამე სამყაროს წამყვანი ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება აღარ შეუძლია, რადგან ის მათ ნედლეულზეა დამოკიდებული, ან ისინი მისი სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზარს წარმოადგენენ. ამ მოსაზრების მართებულობის შესაფასებლად, არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი ოთხი ფაქტორი. პირველი, სამხედრო ძალის ეფექტიანობა მისი გამოყენების სურვილში არ უნდა ავურიოთ. 1970-იანი წლების შუა და ბოლო პერიოდში, ვიეტნამში მიღებული გამოცდილების

შედეგად, ამერიკის საგარეო-პოლიტიკური ელიტა ჩვეულებრივი შეიარაღების ძალებით საომარ მოქმედებებში ჩაბმის სურვილს უკვე ნაკლებად გამოხატავდა. მისი გათვლებით, ამერიკული საზოგადოება აღარ შეეგუებოდა ამგვარ კამპანიას, თუ ის უკიდურესი აუცილებლობითა და გამოუვალი მდგომარეობით არ იქნებოდა ნაკარნახევი. 1970-იანი წლების ბოლოს აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში აშშ-ის სამხედრო ძალის გამოუყენებლობის ერთ-ერთი მიზეზი ამერიკის შინაპოლიტიკურ შეზღუდვებშიც უნდა ვეძიოთ.

მეორე, მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად გამოყენებისას სამხედრო ძალას გარკვეული შეზღუდვები ახასიათებს. სამხედრო უპირატესობამ ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებში რომელიმე სახელმწიფოს გარიგების დროს უკეთესი პოზიცია შეიძლება შეუქმნას, მაგრამ გარიგების პირობების შეთანხმება მაინც აუცილებელია. ეს კი ორივე მხარისაგან კომპრომისს მოითხოვს. მხოლოდ დაპყრობით, ოკუპირებითა და დამორჩილებით, ან რაიმე ამგვარით დამუქრების შემთხვევაში შეუძლია სახელმწიფოს იმის გარანტიის მიღება, რომ მეორე თავის ეკონომიკურ ურთიერთობებს (შესაძლო) დამპყრობლისათვის სასურველი ფორმით წარმართავს. გარდა ამისა, ორ სახელმწიფოს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები თითოეული სახელმწიფოს მიერ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების აღქმის, მათ ეკონომიკურ ძლიერებაში, მასშტაბებსა და მრავალფეროვნებაში არსებული განსხვავებების, სახელმწიფოს მიერ ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის კოორდინირებისა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ხარისხსა და სამხედრო შესაძლებლობათა განსხვავებულობის საფუძველზე რეგულირდება. იმის გამო, რომ სამხედრო ძალა ორ სახელმწიფოს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობების მხოლოდ ერთ-ერთი განმსაზღვრელია, ის ყოველთვის არ ასრულებს გადამწყვეტ როლს. თავისთავად, შეიარაღებაში არსებული უპირატესობა ეკონომიკური ბერკეტების ფლობის გარანტიას არასოდეს უზრუნველყოფდა და არც ამჟამად იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მიერ სამხედრო ძალის მეშვეობით მესამე სამყაროსთან ეკონომიკურ ურთიერთობებში წარმატების მიღწევის აშკარა შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს, ხელშემშლელი პირობების უმრავლესობა იმ შეზღუდვებიდან გამომდინარეობს, რომლებიც სამხედრო ძალის ეკონომიკური მიზნებისათვის გამოყენებას ახლავს თან.

მესამე, ამერიკის ეკონომიკური ძლიერება სხვა ქვეყნებთან შედარებით 1970-იანი წლებიდან თანდათან შესუსტდა. 1950-იანი წლებში აშშ-მა ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით თითქმის ყველა სახელმწიფოს საგრძნობლად გაუსწრო. 1970-იან წლებში, საბჭოთა კავშირის გლობალურ სამხედრო ძალად გადაქცევის პარალელურად, ამერიკის მსოფლიო მასშტაბით სამხედრო ჩარევის პრეროგატივა, რომელსაც მანამდე მეორე გლობალური ძალის მხრიდან კონტრზომების მიღების საშიშროება არ ემუქრებოდა, მნიშვნელოვნად შეიზღუდა. მაგრამ ასევე გაქრა აშშ-ის მსოფლიო ეკონომიკური ლიდერობაც. დოლარის, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის როლის შემცირების, სასურველი სავაჭრო ბალანსის მუდმივად არარსებობის, მსოფლიო ვაჭრობაში ამერიკული იმპორტისა და ექსპორტის წილის სიმცირის, სამუშაო ძალის მწარმოებლურობის შემცირებისა თუ იმპორტირებულ ნედლეულზე მეტი დამოკიდებულების გამო, აშშ-ის ეკონომიკა ძველებურად ავტარკიული და ქვეყნის გარეთ მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისაგან დაცული აღარ არის. ანალიტიკოსები ვერ თანხმდებიან, თუ რამდენად და რატომ გახდა

ამერიკული ეკონომიკის გამართულად ფუნქციონირება სხვა სახელმწიფოთა ქცევაზე მეტად დამოკიდებული; სამაგიეროდ, უფრო მეტი დამოკიდებულების არსებობას ისინი ერთსულოვნად აღიარებენ. თუ ორმოცდაათიანი და სამოციანი წლები ამერიკის სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობით ხასიათდებოდა, სამოცდაათიანი წლები ამერიკის ძლიერების ზენიტიდან დაშვებითა და, შესაბამისად, აღნიშნული ორმაგი უპირატესობის შესუსტებით იყო გამორჩეული.

სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების სამხედრო შესაძლებლობებით კომპენსირება იოლი არ არის. როდესაც სამხედრო უპირატესობა ქრება, ამგვარი კომპენსაცია კიდევ უფრო რთულდება. იმის მიუხედავად, რომ აშშ მსოფლიოს უძლიერესი ეკონომიკური და სამხედრო სახელმწიფოს სტატუსს ინარჩუნებს, თითოეულ ამ ასპექტში მისი და სხვა სახელმწიფოების ძლიერებას შორის არსებული განსხვავება, ორმოცდაათიან და სამოციან წლებთან შედარებით, სამოცდაათიან წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. აქედან გამომდინარე, არამართებულია იმის მტკიცება, რომ მოკავშირეებისა და ნეიტრალური სახელმწიფოებისაგან სასურველი ეკონომიკური შედეგების მიღების უნარის შესუსტება, მხოლოდ ამერიკის სამხედრო ძლიერების დაკნინების ბრალია. ასევე უმართებულოა იმის მტკიცებაც, რომ სამხედრო ძლიერების შესუსტება მის მიერ ეკონომიკური პრობლემების მოუგვარების უნარით არის განპირობებული, როცა ეკონომიკური პრობლემები მხოლოდ სამხედრო საშუალებებითა და, თანაც, ხელის ერთი მოსმით არასოდეს გვარდებოდა. არასწორია ყოველივე იმის სამხედრო ძალაზე გადაბრალება, რასაც სამხედრო და ეკონომიკური მიზეზები გააჩნია. სხვისი იძულების მიზნით ძალის გამოყენების სარგებლიანობა სახელმწიფოს შეფარდებითი სამხედრო ძლიერების შესუსტებასთან ერთად მცირდება. მაგრამ ძალის სარგებლიანობა იძულებითი ეკონომიკური მიზნებისათვის კიდევ უფრო მცირდება, როდესაც სახელმწიფოს ეკონომიკური ვაჭრობის ძალა თანდათანობით იკლებს.

მეოთხე, მიზნის მისაღწევად ძალის ეფექტიანად გამოყენება შეუძლებელია, თუ ეს მიზანი გაურკვეველია აბსურდული იქნებოდა იმის უარყოფა, რომ მესამე სამყაროში მოშძლავრებული ნაციონალიზმის შესაძლებლობებმა დიდი სახელმწიფოების მხრიდან ამ ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების შეზღუდვა განაპირობა. უაზრობა იქნებოდა იმის უარყოფა, რომ 1970-იანი წლები არაფრით განსხვავდება 1870-იანი და 1880-იანი წლებისაგან, როდესაც დიდი ევროპული სახელმწიფოები, ერთმანეთისაგან კონტრზომების მიღების შიშით, საკუთარი სურვილის შესაბამისად, აზიისა და აფრიკის საქმეებში სამხედრო ჩარევას აბორციელებდნენ, ცუდად შეიარაღებული და პოლიტიკურად დანანევრებული „სახელმწიფოების" წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ასეთ რეგიონებში დიდ სახელმწიფოთა მიერ სამხედრო ჩარევის პოლიტიკური და სამხედრო პირობები მას შემდეგ არსებითად შეიცვალა

ძალა კვლავაც ეფექტიანია. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ანარქიაში ძალა და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თავისთავად, სამხედრო ძლიერება გადარჩენას ან კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფს. მაგრამ ის თითქმის ყოველთვის ორივე მათგანის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. იმის გამო, რომ ძალის გამოყენება, საბოლოო ჯამში, ყველა სახელმწიფოს უკანასკნელი ნაბიჯია, სახელმწიფოს გაბზრახვების სერიოზულობაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის რეალური სამხედრო პოტენციალები. მის გარეშე სახელმწიფოს დიპლომატია, როგორც წესი, ნაკლებად ეფექტიანია. პოლიტიკური სარგებლის მისაღებად ძალის ფიზიკურად გამოყენება აუცილებელი არ არის. არც აშკარად დამუქრებაა საჭირო იმისათვის,

რომ მუქარა ადრესატის მიერ იქნეს აღქმული. სამხედრო ძალის გამოყენების უბრალო ალბათობაც კი ხშირად ყველაფერს ნათელს ხდის. ყველა სხვა საშუალების ამოწურვის შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობა მისი შეკავების ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. სცენის უკან, არააფიშირებული, მაგრამ აშკარად მოღერებული მუშტი იმალება, რომელიც დიპლომატთა საქმიანობას აზრს სძენს. დიპლომატია განსხვავებული ხედვისა და ურთიერთსაპირისპირო ინტერესების მქონე მხარეთაგან კომპრომისების მიღების ხელოვნებაა. თუმცა, თითოეული მხარის მიერ ძალის გამოყენების საბოლოო შესაძლებლობა დიპლომატიას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს. სწორედ თითოეულის მიერ იმის გაცნობიერება, რომ კომპრომისის მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე შეიძლება მივიდეს, მხარეთა მორიგების მძიმე ტვირთს დიპლომატებს აკისრებს. ამრიგად, ძველი გამოთქმა – „თუ მშვიდობა გსურს, ემზადე ომისათვის" – მართლაც შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს.

თარგმნა თეა ქილიფთარმა

ნაწილი IV. საერთაშორისო თანამშრომლობა

ენდრიუ ჰარელი
კოლექტიური უსაფრთხოებისა და საერთაშორისო წესრიგის ახლებურად გააზრება *

ბევრისათვის [1990-91 წლების] სპარსეთის ყურის ომმა კოლექტიური უსაფრთხოების ცნებას ახალი ელფერი შესძინა. ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ზესახელმწიფოთა ურთიერთობების გაუმჯობესებამ მოსპო იმ წინააღმდეგობათა უმრავლესობა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში სასურველი მიზნების მიღწევის საშუალებას არ აძლევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ერაყის წინააღმდეგ მიმართულმა საერთაშორისო ქმედებამ ბევრს დაანახა, რომ კოლექტიური უსაფრთხოება ეფექტიანად შეიძლება განხორციელდეს. გაერო-ს უშიშროების საბჭოს ანტიერაყულმა რეზოლუციებმა ცხადყო, რომ სახელმწიფოებს ჭეშმარიტად შესწევთ ძალა, გაერთიანდნენ იმ აგრესორის წინააღმდეგ, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო საზოგადოების ძირითად ნორმებს. გაერო-ს ქმედებების მხარდაჭერისა და ერაყის გაკიცხვის ერთსულოვნება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ საერთაშორისო სისტემის არაერთგვაროვნების მიუხედავად, შესაძლებელია კონსენსუსის მიღწევა იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს უკანონო და პოლიტიკურად მიუღებელი აგრესია. ოცდარვა სახელმწიფოსაგან შექმნილი კოალიციის მიერ სამხედრო ძალის ეფექტიანად გამოყენებამ და ანტიერაყული კამპანიის წარმატებით დაგვირგვინებამ წარმოაჩინა, რომ ნარსულის მერყეობისა და ფარისევლობის მიუხედავად, კოლექტიური ქმედება განხორციელებადია. უფრო მეტიც, ერაყის შეძთხვევა ზუსტად შეესაბამება კოლექტიური უსაფრთხოების მოდელს იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო საზოგადოება ერთხმად დაუპირისპირდა მარტომყოფ, მინიმალური გარეშე მხარდაჭერის მქონე აგრესორს, რომელსაც ყოფილმა მოკავშირეებმა დიპლომატიურ თანადგომაზე უარი უთხრეს და რომელიც არ დაიცვა მისმა მეურვე ზესახელმწიფომაც კი, რომელსაც ერაყის არა მარტო სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფა, არამედ უშიშროების საბჭოში მის სასარგებლოდ ვეტოს უფლების გამოყენებაც შეეძლო. აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის უპრეცედენტო შეთანხმებამ საშუალება მისცა გაერო-ს, კოლექტიური უსაფრთხოების ისეთი ოპერაცია ჩაეტარებინა, როგორიც ამ ორგანიზაციის დამფუძნებელ მამებს ჰქონდათ ჩაფიქრებული, რასაც აქამდე ხელს უშლიდა ზესახელმწიფოების ორმოცწლიანი კონფრონტაცია და ცივი ომის პერიოდის მტრული განწყობა.

იდეამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაზრდილი როლისა და ცივი ომის

---

* Andrew Hurrell, "Collective Security and International Order Revisited," in *International Relations,* Vol. 11, No. 1, 1992. pp. 37-56. Reprinted by permission of Sage Publications Ltd.

შემდგომ საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებაში კოლექტიური უსაფრთხოების ცენტრალური მნიშვნელობის შესახებ მრავალგვარი განვითარება პოვა.[1] სპარსეთის ყურეში ძალის მეშვეობით წესრიგის დამყარების მომხრენი უკეთესი მომავლის არგუმენტებით აპელირებდნენ. ერაყის წინააღმდეგ ომის ხარჯები, რაოდენ საშინელიც არ უნდა ყოფილიყო, გადანონილ იქნა იმის ხაზგასმით, რომ (1) წარმატება გააძლიერებდა საერთაშორისო საზოგადოების ძირითად ნორმებს, შეაკავებდა პოტენციურ აგრესორს, საგრძნობლად შეამცირებდა წესრიგის დამამყარებელი ზომების მიღების საჭიროებას და (2) აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ახალ საერთაშორისო წესრიგში გაერო-ს წამყვანი როლი შეენარჩუნებინა.

მაშასადამე, ამჟამად მეტად საჭიროა კოლექტიური უსაფრთხოების ცნების გადასინჯვა. ბოლოდროინდელი დისკუსია ამ საკითხზე კოლექტიური უსაფრთხოების, როგორც საერთაშორისო წესრიგისადმი მიდგომის, სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ უფრო ადრეული და მრავლისმომცველი დებატების კონტექსტში უნდა მოთავსდეს. თუ რომელიმე ცნებას მნიშვნელოვანი კონცეფტუალური ისტორია გააჩნია, ეს, პირველ რიგში, კოლექტიური უსაფრთხოებაა. საკუთრივ ტერმინი შედარებით ახალია: ის დაახლოებით 1934 წელს დამკვიდრდა, როდესაც ერთა ლიგის დასუსტების შედეგად სახალხო და პოლიტიკურმა ყურადღებამ წესრიგის დამამყარებელი ზომების გამოყენებისაკენ გადაინაცვლა, მაგრამ იდეები, რომლებიც ამ ცნებას უდევს საფუძვლად გაცილებით ძველია და ომების შემცირების ან მათი აღკვეთის ევროპულ გეგმებში ჩნდება ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნიდან. ჩვენი მიზანი სულაც არ არის იმის მტკიცება, რომ განწირულნი ვართ, დაუსრულებლად ვიმეოროთ წარსულის შეცდომები, ან შესაძლებელია ისტორიიდან ავიღოთ მარტივი „გაკვეთილები" და ისინი თანამედროვე მსოფლიოს მივუსადაგოთ. მთავარია, ახალი საერთაშორისო წესრიგის მომხრეებს მოვუწოდოთ, გადანყვიტონ ძველი დილემები და გამონახონ ის საშუალებები, რომლებითაც გადაილახება (ან უკვე გადაილახა) კოლექტიური უსაფრთხოების წინაშე არსებული უამრავი პრობლემა. ამდენად, ეს სტატია მიზნად ისახავს კოლექტიური უსაფრთხოების, როგორც საერთაშორისო წესრიგისადმი მიდგომის გავლენით წამოჭრილი ძირითადი საკითხებისა და სირთულეების ერთად მოკრებას და იმის შესწავლას, თუ როგორ გამოვლინდა ეს საკითხები უახლოეს წარსულში, სპარსეთის ყურის კონფლიქტის ჩათვლით. გარდა ამისა, ჩვენი მსჯელობა დაუპირისპირდება იმ გულუბრყვილო ლიბერალურ ხედვას, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს სახელმწიფოებისათვის კოლექტიური უსაფრთხოება „ზედმეტად რაციონალური" ან „ზედმეტად ლოგიკურია," ეს მოსაზრება ხომ აკნინებს იმ საკითხებისა და პრობლემების კომპლექსურობას, რომლებიც ისტორიის მანძილზე ამ ცნებას უკავშირდებოდა.

დასაწყისში მე ორიოდე სიტყვით მიმოვიხილავ კოლექტიური უსაფრთხოების ცნების მნიშვნელობასა და მისი განვითარების პროცესს. აღსანიშნავია, რომ ამ იდეის ინტელექტუალური ისტორია, ისევე როგორც მისი სიცოცხლისუნარიანობის შეფასება, ტერმინის მოქნილობის გამო, გართულებულია. აქ შეუძლებელია კოლექტიური უსაფრთხოების სრულყოფილად განხილვა, თუმცა, არსებობს ხუთი განზომილება, რომლებიც მუდამ უნდა გვახსოვდეს და დროდადრო მოხმობილ იქნება კიდეც

[1] იხილეთ მაგალითად: Alan K. Henrikson, "Defining a New World Order. Toward a Vision of Collective Action for Peace and Security," Discussion Paper, Fletcher School of Law and Diplomacy, May 1991.

ჩვენი მსჯელობისას.[2] პირველი, რა სახის უსაფრთხოება მოიაზრება სიტყვათა შეთანხმებაში „კოლექტიური უსაფრთხოება"? ეს კონცეფცია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა, ამიტომაც ის ჩაფიქრებული იყო, როგორც სახელმწიფოთა შორის ძალადობის, კერძოდ ძალის აგრესიული მიზნებით გამოყენების საფრთხეზე პასუხი. კოლექტიური უსაფრთხოება ემყარება მოსაზრებას, რომლის თანახმად ქვეყნებმა ან უნდა აკრძალონ აგრესიული მიზნებით ძალის გამოყენება ან მნიშვნელოვნად შეამცირონ შეიარაღებული ძალის გამოყენების უფლება, რისთვისაც ერთობლივი ღონისძიებები უნდა გაატარონ. დაპყრობისა და ექსპანსიის სურვილი, რა თქმა უნდა, ასე ადვილად ვერ აღმოიფხვრება, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების ერთიანმა ოპოზიციამ შეიძლება დაარწმუნოს სახელმწიფოები, რომ აგრესია სულაც არ არის მომგებიანი. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ უსაფრთხოების ამგვარი ხედვა აგრესიის გამოვლენის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. მშვიდობის შენარჩუნებისათვის კოლექტიურად მოქმედების ადრეული გეგმები უპირისპირდებოდა როგორც ქვეყნებს შორის ძალადობას, ისე შიდა უწესრიგობას. მაგალითად, სენ-პიერის გავლენიანი მოწოდებები მშვიდობისაკენ მეთვრამეტე საუკუნეში გულისხმობდა სუვერენთა დაცვას არა მარტო სეცესიონისტური მოძრაობებისაგან, არამედ „უპასუხისმგებლო და უსამართლო თვითმარქვიათა ამბიციებისა და ურჩ ქვეშევრდომთა აჯანყებებისაგან."[3] ზუსტად ასევე, ერთა ლიგის კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ხაზს უსვამდა უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტებისადმი ყურადღების ნაკლებობას. ომის შემდგომ პერიოდში უსაფრთხოების უფრო ფართო განსაზღვრებაზე დაფუძნებული კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის მიზანი აშკარად გამოჩნდა გაერო-ს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსა და ქარტიის 1.1 მუხლში, რომელსაც „მშვიდობისადმი საფრთხე" ქვეყნებს შორის ფორმალურ ომამდე არ დაჰყავს.[4] ამ საკითხზე ამჟამად გამართულ დებატებში წამყვანია არგუმენტი, რომ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა 1990-იანი წლებისათვის უნდა აიგოს ამ ცნების უფრო ფართო განსაზღვრებაზე.

მეორე, ვისთვისაა უსაფრთხოება? ზემოთქმულიდან გამომდინარე კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფცია მეოცე საუკუნეში მიზნად ისახავდა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის გამყარებასა და სუვერენიტეტისა და ჩაურევლობის ცნებებზე დაყრდნობით საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის გაძლიერებას. უილსონისეული ხედვით, კოლექტიური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ხიბლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის სუსტი და ძლიერი ქვეყნების დამოუკიდებლობას ერთნაირად უზრუნველყოფს. თუმცა, ფორსირებული ცვლილებების საპირისპიროდ, სახელმწიფოთა უფლებებსა და საზღვრების ურღვეობაზე ყურადღების გამახვილებამ ორი სერიოზული დილემა წარმოშვა: პირველი, როგორ შევეწყოთ ცვლილებებს და როგორ ავიცილოთ თავიდან კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის სტატუს კვოს შესანარჩუნებელ ინსტრუმენტად გადაქცევა და მეორე, რა მოვუხერხოთ არა-

---

[2] ცნების უფრო ფართო განხილვისათვის იხილეთ: Inis L. Claude, *Power and International Relations* (New York: Random House, 1962), განსაკუთრებით ამ წიგნის მეოთხე თავი და Maurice Bourquin (ed.), *Collective Security. A Record of the Seventh and Eighth International Studies Conference, Paris 1934 - London 1935* (Paris: International Institute of International Cooperation, 1936).

[3] ციტირებულია ნაშრომში: F. H. Hinsley, *Power and the Pursuit of Peace* (Cambridge: Cambridge University Press, 1980 ed.) p. 53.

[4] „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და აგრესიისა და სხვა სახის საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მივმართოთ ერთობლივ ეფექტიან ზომებს." რა თქმა უნდა, ასეთი იდეების პრაქტიკაში დანერგვა, განსაკუთრებით კი მათი შეთავსება გაერო-ს ქარტიის 2.7 მუხლში მოცემულ ჩაურევლობის პრინციპთან ძალიან ძნელია.

სტაბილურობის იმ წყაროებს, რომლებიც სახელმწიფოთა საზღვრებს შიგნიდან მომდინარეობს.

მესამე, რა სახის კოლექტიურობას გულისხმობს „კოლექტიური უსაფრთხოება"? კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში მაქსიმალურად ბევრი ქვეყნის გაერთიანება ყოველთვის მართლდებოდა იმ არგუმენტებით, რომ სწორედ სახელმწიფოთა სიმრავლე არის იმის გარანტი, რომ გაერთიანების ძალა საკმარისი იყოს აგრესორის შესაკავებლად, საჭიროების შემთხვევაში ქვეყნებისთვის რაიმე გადაწყვეტილების თავზე მოსახვევად ან კიდევ, იმ საშიშროების შესამცირებლად, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ჩარჩოებში ძალისმიერი პილიტიკური შეჯიბრი და ალიანსების პოლიტიკა უბრალოდ განსხვავებულ სახეს მიიღებს. რუსო, მაგალითად, ნათლად ხედავდა, რომ ერთი ალიანსის წევრებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა ამავე დროს შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ზოგადი ხასიათის კონფლიქტების გამწვავების მიზეზი. მართლაც, ალიანსების პოლიტიკის აღსაწერად კოლექტიური უსაფრთხოების ტერმინის სწორად ან არასწორად გამოყენება სხვა არაფერია, თუ არა მისი დანერგვის კრიტიკა.[5] მეორე მხრივ, გამუდმებით მეორდებოდა არგუმენტები, რომ ეფექტიანი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა აუცილებლად მოითხოვს ლიდერის არსებობას, ხოლო თავად გაერთიანება უნდა შედგებოდეს ერთნაირად მოაზროვნე სახელმწიფოთა უფრო მცირე ჯგუფისაგან, რომელსაც საკუთარი გადაწყვეტილებების განხორციელების ეფექტიანი (და არა მხოლოდ თეორიული) ძალა გააჩნია. ამ შეხედულების მიხედვით, კოლექტიური უსაფრთხოება სხვა არაფერია, თუ არა ერთი ბლოკის ქვეყნების სურვილი, მხარი დაუჭირონ საერთაშორისო სამართალს, სხვადასხვაგვარი მოტივებიდან გამომდინარე. არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ გლობალურ დონეზე სახელმწიფოთა გაერთიანება არარეალურია და მხოლოდ რეგიონულ დონეზე კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა შეიძლება იყოს ეფექტიანი, რადგანაც ამგვარი დაჯგუფებები, გარდა იმისა, რომ რეგიონისთვის დამახასიათებელი უსაფრთხოების პრობლემების ბუნებასა და მათ გამომწვევ მიზეზებს უკეთ იცნობენ, უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი კონფლიქტების გადაწყვეტით და, რაც მთავარია, საერთო ღირებულებებს იზიარებენ.

მეოთხე, რა ფორმით უნდა იქნეს გამოხატული კოლექტიურობა? კოლექტიური უსაფრთხოების სისტემებზე მსჯელობისას საჭიროა განვასხვავოთ ორი მიდგომა. უახლოეს წარსულში გაბატონებული შეხედულების თანახმად, კოლექტიური უსაფრთხოება განიხილება როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთობებს შორის წესრიგის დამყარებისა და ცენტრალიზაციის ისეთი დონის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და ავტონომიას. ისტორიულად უფრო ფესვგადგმული ალტერნატიული კონცეფცია კი სამხედრო ძალების ერთობლივად მართვისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს უფრო ფართო პოლიტიკური სისტემის რეორგანიზების პროცესის განუყოფელ ნაწილად აღიქვამს. ჰინსლის მტკიცებით, ადრეული სამშვიდობო გეგმების უმრავლესობა მიზნად ისახავდა არა იმდენად მშვიდობის უზრუნველყოფას, რამდენადაც ერთი პოლიტიკური წყობის მშენებლობას. შესაბამისად, კოლექტიური უსაფრთხოება მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში ხშირად ასოცირდებოდა ფედერალიზმთან, როგორც ევროპაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

დასასრულს, როგორი ფორმის კოლექტიური ქმედებები მოიაზრება კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში? ეს კონცეფცია გულისხმობს არა მარტო თანხ-

[5] იხილეთ ოლდოს ჰაქსლის მიერ 1937 წელს გაკეთებული კომენტარი: „დღეისათვის „კოლექტიური უსაფრთხოება" გულისხმობს სამხედრო ალიანსების ერთი სისტემის დაპირისპირებას სამხედრო ალიანსების მეორე სისტემასთან."

მობას იმის თაობაზე, თუ რა სახის ძალის გამოყენება უნდა აიკრძალოს, არამედ იმ მოსაზრებასაც, რომ მშვიდობის ხელყოფის ნებისმიერი მცდელობა საფრთხეს უქმნის ყველა ქვეყნის ინტერესებს. გარდა ამისა, კოლექტიური უსაფრთხოება მოიცავს, ამ ინტერესების დაცვისა და კანონის ცხოვრებაში გატარების მიზნით, ეფექტიანად მოქმედებისათვის მზადყოფნას. მართალია, წესრიგის დამამყარებელი ძალისმიერი ზომების გამოყენებას ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ არა ყოველთვის. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში ლიბერალებს მხურვალედ სწამდათ საერთაშორისო სამართლის, ძალდატანებით წესრიგის დამყარების კი – არა. დავების სამართლიანად გადაწყვეტისათვის საჭირო იყო სამართლისა და სხვა მექანიზმების საგულდაგულოდ შემუშავება, რაციონალურობა კი მორჩილებას უზრუნველყოფდა. როგორც ბენთამი აღნიშნავდა: „ერების ინტერესთა შორის რეალური კონფლიქტი გამორიცხულია, ხოლო თუ მისი საზარელი გამოვლინება ხდება, ე.ი. ადგილი აქვს გაუგებრობას." როდესაც რაციონალურობა საკმრისი არ არის, მთავრობები იძულებულნი ხდებიან, საზოგადოებრივი შეხედულებისამებრ იმოქმედონ. მეცხრამეტე საუკუნეში მომრავლდა წესრიგის ძალით დამყარების მხარდამჭერი არგუმენტები, რასაც, რა თქმა უნდა, პირველი მსოფლიო ომის კატასტროფამ მისცა ბიძგი. ამრიგად, პოლიტიკური თუ ეკონომიკური სანქციებითა და ძალის მეშვეობით წესრიგის ეფექტიანად უზრუნველყოფა ერთა ლიგის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის უმთავრეს მახასიათებლად იქნა მიჩნეული. თუმცა, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამ მახასიათებელს, ჯერ კიდევ გასარკვევია. ერთი მხრივ, წესრიგის ძალით დამყარებაზე გაკეთებული აქცენტი ნამდვილად თვალშისაცემი იყო. როგორც უილსონმა განაცხადა:

> უკანასკნელი ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოებაში მშვიდობა მხოლოდ ძალის გამოყენებით მიიღწევა . . . თუ ამბობ: „ჩვენ აღარ ვიომებთ," ამის მისაღწევად სათანადო ძალაც უნდა შეგწევდეს.

თუმცა, მეორე მხრივ ლიბერალურ შეხედულებებს (ან ილუზიებს) ბოლომდე არასოდეს დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და ომის გზით მშვიდობის უზრუნველყოფის პარადოქსის თავიდან აცილების იმედი ჯერ კიდევ ცოცხლობდა. ამასთან, კოლექტიური ქმედება არასდროს აღიქმებოდა საერთაშორისო წესრიგის ერთადერთ ინსტრუმენტად. მარტინ სიდელის აზრით, ვინაიდან ერთა ლიგა უსაფრთხოებისადმი განსხვავებულ მიდგომებს აერთიანებდა, მისი სისუსტეების უმეტესობა სწორედ ამ მიდგომათა პრობლემატურ და ბუნდოვან ურთიერთკავშირს შეიძლება მივაწეროთ.[6]

უდავოა, რომ სწორედ ცივი ომის გამო გაერო-მ ვერ იმოქმედა ისე, როგორც მის დამფუძნებლებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ წარმოადგენდა „წმინდა სახის" კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას, თუ გავითვალისწინებთ ვეტოს უფლების არსებობასა და უშიშროების საბჭოში ხუთი მუდმივი წევრისათვის განსაკუთრებული როლის მინიჭებას. თუმცა, ქარტიაში კოლექტიური უსაფრთხოების ელემენტები ნამდვილად მოიძებნებოდა. ერთი მხრივ, 2.4 მუხლი აშკარად კრძალავდა აგრესიული მიზნებით ძალის გამოყენებას, 51-ე მუხლი კი სახელმწიფოებს ცალმხრივი ან კოლექტიური თავდაცვის ნებას მხოლოდ უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი ზომების მიღებამდე რთავდა. მეორე მხრივ, უშიშ-

[6] Martin Ceadel, "The League of Nations and Collective Security," unpublished paper, Oxford, October 1991.

როების საბჭოს ნათლად ენიჭებოდა უფლება, განესაზღვრა მშვიდობისადმი საფრთხის არსებობა (39 მუხლი), დაეწესებინა სამანდატო სანქციები აგრესორის წინააღმდეგ (41-47 მუხლები), ხოლო თუ ისინი არ გაამართლებდა, 15 წევრი სახელმწიფოდან 9-ის თანხმობაზე დაყრდნობით განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია, თუ, რა თქმა უნდა, არც ერთი მუდმივი წევრი ამ გადაწყვეტილებას ვეტოს არ დაადებდა. მართალია, „კოლექტიურ უსაფრთხოებაში" 1930-იანი წლების უამრავი სამწუხარო წარუმატებლობა მოიაზრებოდა, მაგრამ, მაიკლ ჰოვარდის თქმით, ეს ტერმინი ასევე წარმოადგენდა გაერო-ს უმთავრეს მიზანს, რომელიც „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ძალისხმევის გაერთიანებისაკენ" მოწოდებაში გამოიხატებოდა.[7]

ცივმა ომმა საფუძველი გამოაცალა ამ მიზანს, რაც დოკუმენტურად დადასტურდა კიდეც. აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის ინტენსიური კონფრონტაცია ძირს უთხრიდა სისტემას, რომელიც ეყრდნობოდა მიუღებელი აგრესიის ბუნების თაობაზე ზესახელმწიფოთა კონსენსუსსა და მშვიდობის უზრუნველყოფის სფეროში მათ თანამშრობლობას. ამ წინაპირობაზე, პირველ რიგში, უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრისათვის ვეტოს უფლების მინიჭება მეტყველებდა, რისი საჭიროებაც გამოწვეული იყო არა იმდენად ცივი ომით, რამდენადაც სამხედრო ძლიერების (განსაკუთრებით კი ბირთვული იარაღის) აშშ-სა და საბჭოთა კავშირში კონცენტრირებით. ასეთ ვითარებაში ერთ-ერთი ზესახელმწიფოს წინააღმდეგ კოლექტიური ქმედების განხორციელება დამანგრეველი ომის წამოწყების საფრთხეს შეიცავდა. ამგვარად, კოლექტიური უსაფრთხოების მოდელის კეთილშობილურ ვარაუდთა საწინააღმდეგოდ, არსებობდნენ სახელმწიფოები, რომელთა იძულებაც საერთაშორისო საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ერთიანი ნებითა და ძლიერებითაც კი შეუძლებელი იყო. მაშასადამე, ვეტოს უფლება ასახავდა ორივე მხარის მიერ აღიარებულ მოსაზრებას, რომ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ვერაფერს გააწყობდა მშვიდობის ხელყოფისაკენ მიმართული იმ საფრთხეების წინააღმდეგ, რომლებიც ზესახელმწიფოებიდან მომდინარეობდა ან კიდევ მათ სასიცოცხლო ინტერესებს ეხებოდა. გაუთვალისწინებელი მოვლენები ამ სფეროში უნდა მოწესრიგებულიყო კოლექტიური და ინდივიდუალური თავდაცვის ტრადიციული უფლებით, როგორც ეს 51-ე მუხლში იყო აღწერილი.

ცივი ომის ალიანსების სისტემა აგრესორის იზოლირების არარეალურობასაც ცხადყოფდა. ცივი ომის გლობალიზაციისა (განსაკუთრებით კორეის ომის წამოწყების შემდეგ) და ცივი ომის ალიანსების სისტემის სიმჭიდროვის პირობებში სერიოზული კონფლიქტებისა და კრიზისების უმრავლესობა აუცილებლად უკავშირდებოდა ერთ-ერთი ზესახელმწიფოს ან მისი მოკავშირეების ინტერესებს. ერთი მხრივ, ეს ნიშნავდა, რომ ყოველთვის იარსებებდა ისეთი მეგობრული ზესახელმწიფო, რომელსაც მუდამ ექნებოდა ვეტოს გამოყენების სურვილი, გაერო-ს ქმედებების დაბლოკვის მიზნით. მეორე მხრივ კი, ცივი ომის ინტენსიურობა განაპირობებდა ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ცივი ომის ალიანსისადმი ერთგულება აღემატებოდა საერთაშორისო საზოგადოებისადმი ლოიალურობას. აქედან გამომდინარე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მარგინალური მნიშვნელობა თუ ენიჭებოდა ზესახელმწიფოთა გავლენის სფეროებში (უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ავღანეთი, ცენტრალური ამერიკა, კარიბის ზღვის აუზი) ძა-

[7] Michael Howard, "The United Nations and International Security," in Adam Roberts and Benedict Kingsbury (eds), *United Nations, Divided World* (Oxford University Press, 1989).

ლის გამოყენების ან მისი საფრთხის არსებობისას. მსგავსად ამისა, ცივი ომის პერიოდის ძირითადი კრიზისების დროს გაერო-ს როლი ან ძალიან შეზღუდული იყო (ბერლინის პირველი კრიზისი, კუბის სარაკეტო კრიზისი) ან სრულიად უბნიშვნელო (ბერლინის მეორე კრიზისი, ვიეტნამის ომი).

მართალია, გაერო-ს ქარტიის მეშვიდე თავის შესაბამისადაც ყოფილა მიღებული რეზოლუციები, მაგრამ კორეისა და ერაყის შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, ამ რეზოლუციებს ან საერთოდ არ მოჰყოლია იძულებითი ზომები (პალესტინაში ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნა 1948 წელს, არგენტინის მიერ ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების დატოვების მოთხოვნა, ირან-ერაყის ომის დროს ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნა) ან ნესრიგის ძალით დამყარება მკაცრად იყო შეზღუდული ეკონომიკური სანქციების დაწესებით (სამანდატო სანქციები სამხრეთ როდეზიის წინააღმდეგ, სამხრეთ აფრიკისათვის იარაღის მიყიდვაზე დაწესებული სანქციები და იუგოსლავიისათვის იარაღის მიწოდების შეზღუდვა). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, გაერომ საერთაშორისო უსაფრთხოებაში ისეთ ქმედებებზე მიმართა ყურადღება, რომელთაც ამ ორგანიზაციის შემქმნელები ან მეტად უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ ან საერთოდ არ ითვალისწინებდნენ: შერიგება (ჯარების გამოყვანის პროცესის ზედამხედველობა, პირდაპირი და არაპირდაპირი შუამავლობა), პრევენტიული ქმედებები (დაპირისპირებულ მხარეთა გამიჯვნა) და ცვლილებების ნახალისება (დეკოლონიზაცია, სამხრეთ აფრიკა). ასეთი წარსულის საპირისპიროდ, გაერო-ს მნიშვნელობის გაზრდაში დიდი როლი ითამაშა ამ ორგანიზაციისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შეცვლამ. ზოგადად საერთაშორისო სამართლისათვის, კერძოდ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული როლის მინიჭების სურვილი აშკარად ჩანდა მიხაილ გორბაჩოვის მიერ 1988 წლის დეკემბერში გაერო-ს წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში. პრაქტიკული თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შეცვლა გამოიხატა მის მცდელობაში, მოეგვარებინა რეგიონული კონფლიქტები ანგოლაში, ნამიბიაში, ავღანეთსა და კამბოჯაში, აგრეთვე, მის სურვილში, აქტიურად ჩაერთო გაერო მოლაპარაკებათა პროცესში. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სწორედ მოსკოვის მიერ ვეტოს უფლების გამოყენებაზე უარის თქმამ თავისი ყოფილი მოკავშირის დასახმარებლად გახადა შესაძლებელი ამ ორგანიზაციის თაოსნობით ერაყის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციის განხორციელება.

თუმცა, ომის შემდგომ პერიოდში კოლექტიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და ამ ცნების სამომავლო პერსპექტივების ახსნა შეუძლებელია მხოლოდ ცივი ომის გამოცდილებით. აქ ხუთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაა საჭირო. პირველი საკითხი ომის შემდგომ მსოფლიოში ბრძოლის წარმოებისა და კონფლიქტების ბუნებას შეეხება. კოლექტიური უსაფრთხოების მოდელის მიხედვით, შეიძლება არსებობდეს სრული შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ძალის უკანონოდ გამოყენება და აგრესია. გაერო-ს დამფუძნებელი მამებისათვის სან-ფრანცისკოში, კონფლიქტის ის სახეობა, რომელიც მოითხოვდა აკრძალვას, შეკავებას ან ერთობლივად წინააღმდეგობის გაწევას, წარსულ გამოცდილებაში უკვე არსებობდა: მკვეთრად დაპირისპირებულ მხარეთა ჯარების მიერ საერთაშორისო საზღვრების გადაკვეთით მშვიდობის აშკარად ხელყოფა. თუმცა, როგორც ბევრი მიმომხილველი აღნიშნავდა, მართალია, ეს მოდელი ზუსტად შეესაბამებოდა ომამდელ ვითარებას, მაგრამ ომის შემდგომი პერიოდი ძლიერ განსხვავებული იყო. 1945 წლის შემდეგ კონფლიქტებსა და ძალადობას, უმეტესწილად, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს შიგნით, საერთაშორისო ასპარეზზე კი ხშირი იყო ფარული ინტერვენციები, წარმომადგენლობითი ომები და გარეშე ძალების მხარდაჭერით წამოწყე-

ბული აჯანყებები.[8] ამ შემთხვევების განხილვას მუდამ თან ახლდა დებატები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ადგილი აგრესიას და ვინ იყო დამნაშავე. ვითარებას ართულებდა საერთაშორისო სისტემის არაერთგვაროვნება: კერძოდ, ცივი ომი, რომლის დროსაც საშინაო რეჟიმების ბუნების გამო ატეხილი იდეოლოგიური კონფლიქტი ზესახელმწიფოთა კონფრონტაციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო, აგრეთვე, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირება, სადაც დეკოლონიზაციისთვის ბრძოლას კოლონიური ძალები თავიანთ საშინაო საქმედ თვლიდნენ, აგრესიის რაობისა და ძალის სამართლიანად გამოყენების თაობაზე მიღწეულ კონსენსუსს კი სიმტკიცე აკლდა და დარღვევა ემუქრებოდა.

ერაყის მიერ კუვეიტში შეჭრა და მისი დაპყრობა სრულებით არ შეესატყვისებოდა ზემოაღწერილ სურათს. ეს არ იყო საკამათო საზღვრის შეცვლის, სუსტი მოკავშირის თხოვნით სამოქალაქო ომში ჩარევის ან ხელისუფლების ძალისმიერად შეცვლის მცდელობა, რაც ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა და იშვიათად იწვევდა საერთაშორისო საზოგადოების გულრწფელ პროტესტს. ერაყის ქმედება მიმართული იყო რეგიონულ და გლობალურ დონეზე აღიარებული სახელმწიფოს გაქრობისაკენ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში არც ერთი დამოუკიდებელი ქვეყნის ეროვნული დროშა ამგვარად არ ჩამოშვებულა, და სწორედ ერაყის მიერ განხორციელებული აგრესიის სისასტიკითა და მისი უუნარობით, დამაჯერებლად გაემართლებინა თავისი ქმედებები, შეიძლება აიხსნას საერთაშორისო საზოგადოების საპასუხო რეაქციის დიდი მასშტაბი და სიმტკიცე.

თუმცა, როდესაც ერაყის შემთხვევას ვადარებთ სხვა ხანგრძლივ კრიზისებსა და იმ აგრესიულ ქმედებებს, რომელთაც შესაძლოა მომავალში ჰქონდეს ადგილი, სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. კუვეიტის მოვლენების მსგავსი ცხადი შემთხვევის განმეორება ნაკლებად სავარაუდოა. თვით აშშ-ის პანამაში ინტერვენციის დროს ამ ქმედების სამართლებრივად და ზნეობრივად გამართლების მომხრეებმა სერიოზული ძალისხმევა გამოიჩინეს. აქ მთავარია არა მცდელობის კანონიერება, არამედ ის ფაქტი, რომ მოხერხდა წყლის ამღვრევა და საერთაშორისო საზოგადოების რეაქციის თავიდან აცილება. ყველაზე არადამაჯერებელ არგუმენტაციასაც კი შეიძლება აღმოაჩნდეს მომხრეები გაერო-ში, მაგრამ აქვს კი ამას რაიმე მნიშვნელობა? თუ ერაყის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას კონკრეტული უსამართლობის გამოსწორებისა და კონკრეტული უკანონო აქტის აკრძალვის მცდელობად განვიხილავთ, მაშინ – არა, მაგრამ თუ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობისა და მისთვის ფართო მხარდაჭერის შენარჩუნების მთავარ ფაქტორებად *თანმიმდევრულობასა* და *შეთანხმებულობას* მივიჩნევთ, მაშინ – კი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაერო-ს საიმედოობა არ განისაზღვრება მხოლოდ ერაყის აგრესიაზე მისი პასუხით. ამ ორგანიზაციის საიმედოობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის იმის მოლოდინი, რომ გაერო სხვა მსგავს შემთხვევებსაც წარმატებით გაართმევს თავს, აგრეთვე ის იმედგაცრუება, რომელიც ამ მოლოდინის გაუმართლებლობას მოჰყვება. ამასთან, თანმიმდევრულობასაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები. შეთანხმების საფუძველზე კოლექტიური უსაფრთხოების განხორციელების მცდელობებმა მეტად არასა-

[8] მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის რაოდენობრივად შეფასების მცდელობებს სკეპტიკურად უნდა შევხედოთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ისინი ცვლილებების ხარისხზე მიუთითებს. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, 1900-დან 1945 წლამდე შეიარაღებული კონფლიქტების 80% ორი ან მეტი ქვეყნის ჯარებს შორის ხდებოდა, სამაგიეროდ 1945 წლიდან დაპირისპირებათა 80%-ს ადგილი აქვს ერთი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით იხილეთ: Benjamin Most and Harvey Starr, "Patterns of Conflict: Quantitative Analysis and the Comparative Lessons of Third World Wars," in Robert Harkavy and Stephanie Neuman (eds), *The Lessons of Recent Wars in the Third World* (Lexington, Mass: Lexington Books, 1985).

სურველი ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს, რეგიონულ დავებსა და კონფლიქტებში გარეშე ძალების ჩართვის სახით, მაშინ, როდესაც, ცივი ომის ანტაგონიზმის შენელების შედეგად, მათ ეს-ესაა განზე გადგომა დაწყეს.

მეორე საკითხი ძალის განაწილებას შეეხება. პირველი ასპექტი, რომელსაც ყველაზე მეტ კომენტარს უკეთებენ და რომელიც უკვე მოვიხსენიეთ, საერთაშორისო სისტემის ბირთვში ძალის კონცენტრაციას გულისხმობს. უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ხელში სამხედრო ძლიერების თავმოყრა (თუმცა, როგორც კორეისა და სუეცის არხის კრიზისებმა დაგვანახა, ამის თქმა მხოლოდ ორ ზესახელმწიფოზე შეიძლება) იმის მანიშნებელი იყო, რომ კოლექტიური უსაფრთხოების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა აშშ-ის ან საბჭოთა კავშირის ინტერესებისა და სურვილების წინააღმდეგ. ეს, რა თქმა უნდა, კუვეიტის შემთხვევას არ მიესადაგება, მაგრამ დღემდე რჩება გაერო-ს სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად და მომავალშიც შეინარჩუნებს აქტუალურობას არაერთი უკვე არსებული თუ მოსალოდნელი კრიზისის ფონზე, რომელიც, მაგალითისათვის, რუსეთის ინტერესებს შეიძლება მოიცავდეს.

აღნიშნული საკითხის მეორე ასპექტი უფრო პირდაპირ და უშუალო კავშირშია სპარსეთის ყურის მოვლენებთან. კოლექტიური უსაფრთხოების სფეროში უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის კონფლიქტის გამორიცხვის შემდგომ გაჩნდა ვარაუდი, რომ დანარჩენ სახელმწიფოებთან მიმართებაში ძალით წესრიგის დამყარება დიდი სირთულე არ იქნებოდა. იმ დროისათვის ეს არ იყო უსაფუძვლო მოსაზრება, რადგანაც უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი სამხედრო ძლიერების 95%-ს განკარგავდა. თუმცა, ომის შემდგომი მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს სწორედ პოლიტიკური და სამხედრო (უფრო ნაკლებად ეკონომიკური) ძლიერების შედარებით თანაბარი განაწილება წარმოადგენდა. მართალია, განვითარებადი ქვეყნების განვითარებულ მსოფლიოზე დაქვემდებარების ხანგრძლივი პროცესი დღესაც გრძელდება, მაგრამ ამ სახელმწიფოებზე სამხედრო და პოლიტიკური ძალის განვრცობა მაინც გვაოცებს. როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა მრავალმა კრიზისმა (ვიეტნამისა და, განსაკუთრებით, ავღანეთის ომებმა) ცხადყო, დღეისათვის „სუსტ" სახელმწიფოებსაც კი შესწევთ ძალა, სერიოზული ზიანი მიაყენონ უძლიერეს ქვეყნებს. ეს ნაწილობრივ ტექნოლოგიური პროგრესის, ნაწილობრივ განვითარებადი საზოგადოებების სოციალური მობილიზაციისა და ნაციონალიზმის, ნაწილობრივ იარაღის მსოფლიო ბაზრის დინამიკისა და ნაწილობრივ გლობალური თუ რეგიონული მეტოქეობის ფართოდ გავრცელებულ მოდელებში განვითარებადი ქვეყნების ჩართვის უნარის შედეგია. ყოველივე ამის ფონზე, მცირე, მაგრამ ეფექტიანი „საერთაშორისო პოლიციური ძალის" გამოკვეთილი და მანუგეშებელი როლი მეტად უსუსურად გამოიყურება. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ „სუსტ" სახელმწიფოებს ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მოპოვების საშუალება აქვთ, განსხვავება ძლევამოსილ ბირთვსა (საიდანაც ძირითადი წესები მომდინარეობს) და პერიფერიას (სადაც ძალით წესრიგის დამყარება ნამდვილად შესაძლებელია) შორის პრაქტიკულად იშლება. ძალის შედარებით თანაბარმა განაწილებამ საფუძველი გამოაცალა კონფლიქტების მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებულად მოგვარების ყველა გეგმას, როგორც ზესახელმწიფოთა თანამშრომლობის კისინჯერისეულ მოდელს, ისე გაერო-ს ეგიდით კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სქემას.

რამდენად შეცვალა ერაყის წინააღმდეგ ომის მსვლელობამ და შედეგებმა ეს სურათი? ერთი მხრივ, ომში გამარჯვებამ წარმოაჩინა, რომ წესრიგის დამამყარებელი ძალისმიერი ზომები სამხედრო თვალსაზრისით აშკარად ეფექტიანია. განსაკუთრებით ხაზგასასმელია დასავლეთის ტექნოლოგიური უპირატესობის დიდი

ძალა და ის ფაქტი, რომ ომის მსვლელობისას აშშ-ის მთავრობამ საკუთარი მოსახლეობის მხარდაჭერა შეინარჩუნა, რაც ვიეტნამის სინდრომის დამარცხებას მოწმობდა. თუმცა, მეორე მხრივ, გაურკვეველია, განმეორდება თუ არა ომის ასეთი გაკვეთილები სხვა სფეროებშიც, შენარჩუნდება თუ არა ტექნოლოგიური უპირატესობა ახალი ტექნოლოგიების სწრაფად გავრცელების პირობებში და რამდენად მტკიცეა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც სამხედრო ოპერაციების საზღვარგარეთ ჩატარების სასარგებლოდ გადაიხარა. ნიშანდობლივია რომ სამხედრო გამარჯვებით გამოწვეული თავდაჯერებულობა მნიშვნელოვნად შეირყა, როდესაც მეტი ყურადღება მიექცა ომის შემდგომი პერიოდის პრობლემების მოგვარებასა და ერაყში სტაბილური პოლიტიკური წესრიგისა და რეგიონში უსაფრთხოების სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარებას. ამრიგად, თუ ზოგიერთი სამხედრო არგუმენტი ძალის სარგებლიანობის კლების შესახებ გაზვიადებულად მოჩანს, ის არგუმენტები, რომლებიც ხაზს უსვამს სამხედრო ძალისათვის დამახასიათებელ *პოლიტიკურ* შეზღუდვებს, საკმაოდ დამაჯერებელია.

იმის მიუხედავად, რომ სამხედრო გაკვეთილები დასავლეთის მიერ ძალის ეფექტიანად და მისაღებ ფასად გამოყენების განახლებულ შესაძლებლობაზე მიუთითებს, უფრო მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ანტიერაყული კამპანიის წარმატება დიდწილად დამოკიდებული იყო ერთი სახელმწიფოს განსაკუთრებულ ძალისხმევაზე. უშიშროების საბჭოს მშვიდობის ხელყოფის მცდელობის განსაზღვრა და ერაყის წინააღმდეგ ფართო კოალიციის შესაქმნელად პლატფორმის უზრუნველყოფა შეეძლო, მაგრამ ის ვერასდროს წამოიწყებდა და ნარმართავდა ფართომასშტაბიან ომს.[9] მაშასადამე, კვლავ თავს იჩენს ძველი პრობლემა: რამდენად არის დამოკიდებული ძალისმიერი ზომებით წესრიგის „კოლექტიურად" დამყარება ერთი სახელმწიფოს სურვილზე, გამოიყენოს თავისი სამხედრო ძლიერება? თეორიაში, კოლექტიურად ფორმირებული „საერთაშორისო პოლიციური ძალა," ჩამოყალიბებული სხვადასხვა სახელმწიფოს დაბალანსების გზით, ერთი გაბატონებული ძალის არარსებობის პირობებში, წინ ვერ აღუდგებოდა ერაყის მსგავს ძლიერ სახელმწიფოს. რეგიონულ დონეზე შექმნილი კოლექტიური უსაფრთოების სისტემაც კი ვერ გაუმკლავდებოდა ერაყს (აქ იგულისხმება ნებისმიერი პოლიტიკურად რეალური რეგიონული კოალიცია). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერაყზე ზეწოლა მხოლოდ იმის გამო მოხერხდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოხატა სურვილი, სათავეში ჩადგომოდა დიპლომატიურ კამპანიას (სტენლი ჰოფმანის აზრით, გაერო-ში უმრავლესობის მოპოვება მეტად „ოსტატური, რთული და სათუოა") და სამხედრო დანახარჯების უდიდესი ნაწილი საკუთარ თავზე აეღო. აშშ-მა ეს შეძლო ცივი ომის დროს განვითარებული უდიდესი სამხედრო საშუალებების წყალობით, კერძოდ სამხედრო ძალის დიდ მანძილზე გამოყენების უნარით.

ზოგიერთებისათვის აშშ-ის გაბატონებული მდგომარეობა წესრიგის კოლექტიურად დამყარებას არარეალურს ხდის. კრიტიკოსების აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახერხა გაერო-ს მეშვეობით საკუთარი საგარეო-პოლიტიკური მიზნებისათვის საერთაშორისო ლეგიტიმურობის მინიჭება, სამხედრო ქმედებების დაგეგმვისა და მისაღები თუ მიუღებელი დიპლომატიური მოლაპარაკებების თაობაზე გადაწყვეტილებათა ცალმხრივად მიღების პარალელურად. ერაყის კუვეიტზე თავდასხმიდან ორი თვის შემდეგ აშშ-ის მიერ სამხედრო ძალების გამოყენების განრიგმა და ლოგიკამ ნათლად დაგვანახა, რომ ამ ქვეყანას წინასწარ ჰქონდა გადან-

[9] კოლექტიური უსაფრთხოებისა და ეფექტიანი სამხედრო ალიანსების ურთიერთკავშირის შესახებ იხილეთ: G. F. Hudson, "Collective Security and Military Alliances," in Herbert Butterfield and Martin Wight (eds), *Diplomatic Investigations* (London: George Allen & Unwin,1966).

ყველაზე ეფექტიანი ეკონომიკური სანქციების მოქმედების დროის შეკვეცა. ამ არგუმენტის თანახმად, ცხადი იყო გაერო-ს გენერალური მდივნის უუნარობა, გენერალური ასამბლეის პეორეხარისხოვანი როლი, უშიშროების საბჭოს მართვადობა და გაერო-ს განზე დგომა კორეის მოვლენებთან დაკავშირებით სამხედრო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ამ ყოველივეს ნაწილი რომც არ მივიღოთ მხედველობაში, მაინც აშკარაა ის ფაქტი, რომ ერაყის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქმედებების ეფექტიანობა აშშ-ის პოლიტიკასა და ძლიერებაზე იყო დამოკიდებული. ეს კი, თავის მხრივ, საყრდენს აცლის კოლექტიური უსაფრთხოების მხარდამჭერ იმ ძლიერ არგუმენტს, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ კონცეფციას ე.წ. უპირატესობის დილემის დაძლევა ძალუძს. უპირატესი ძალის მქონე სახელმწიფოს საერთაშორისო საზოგადოების სამსახურში *ეფექტიანად* ჩაყენების ნაცვლად, გაერო-ს ანტიერაყული კამპანიის მსგავსი ქმედებები საშუალებას აძლევს გაბატონებულ სახელმწიფოს, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს გაერო-ს ძლიერება და ამ ორგანიზაციის ძალაუფლებით საკუთარი ინტერესები შენიღბოს – სხვა სიტყვებით, გადაკვეთოს ზღვარი ლეგიტიმურ ლიდერობასა და ჰეგემონურ მმართველობას შორის. ვინაიდან ჩვენ სამხედრო თვალსაზრისით „უნიპოლარულ" მსოფლიოში ვცხოვრობთ, უპირატესობის დილემას განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ აშშ-ზე ასეთი დაყრდნობა მსოფლიოში ძალაუფლების შედარებით თანაბრად განაწილების შედეგია. ეს შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ კოლექტიური უსაფრთხოება „წმინდა" სახით აღარ არსებობს, მაგრამ აშშ ქმნის პრაქტიკულ საფუძველს, სერიოზული აგრესორის წინააღმდეგ წესრიგის დამამყარებელი კოლექტიური ზომების მისაღებად და გაერო-ს ჯარების მიერ მცირემასშტაბიან სამშვიდობო ოპერაციებზე უფრო მნიშვნელოვანი მიზნების განსახორციელებლად. ამ შეხედულების თანახმად, კორეის ომსა და ერაყის სანინააღმდეგო სამხედრო ოპერაციაში ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი როლი იყო არა ნორმიდან გადახრა, არამედ ძალის განაწილების პროცესში მომხდარი ღრმა ცვლილებების ანარეკლი. თუ ეს მოსაზრება სწორია და კოლექტიური უსაფრთხოების ცნებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, მაშინ სისტემა მთლიანად დამოკიდებულია აშშ-ის მომავალ საგარეო პოლიტიკაზე: ამერიკელი ხალხის სურვილზე, რომ მათმა სახელმწიფომ მსოფლიო ლიდერის როლი შეასრულოს და ამ ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, იყოლიოს ყველაზე ძლიერი შეიარაღებული ძალები და საჭიროების შემთხვევაში ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამოიყენოს. თუმცა, ამერიკელი პოლიტიკოსები და მოქალაქეები თავიანთი სამშობლოს ამგვარ როლს რომც მიესალმებოდნენ (რაც საკამათოა), წესრიგის კოლექტიურად დამყარებისათვის საჭირო სამხედრო შესაძლებლობების არსებობა ეჭვქვეშ დგება ცივი ომის დაძაბულობის შენელების შედეგად სამხედრო ხარჯების შემცირებით, ხანგრძლივი ეკონომიკური შეზღუდვებითა და ევროპაში ძალების განლაგების მოდელის ცვლილებით, კერძოდ, ევროპული არმიების თავდაცვისაკენ ორიენტირებით. ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი ე.წ. „თავდაცვითი თავდაცვის" შეზღუდულობაზე მიუთითებს, როგორც დასავლური სამხედრო ძალის გამოყენების დამაკმაყოფილებელ ფორმაზე. გარდა ამისა, ძალის განაწილების საკითხი ყურადღებას ამახვილებს კოლექტიურ უსაფრთხოებასა და განიარაღებას შორის არსებულ პრობლემატურ ურთიერთკავშირზე. ერთი მხრივ, მშვიდობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ძალის შენარჩუნებასა და განიარაღებას შორის იდეალური ბალანსი ირღვევა, როდესაც საქმე ეხება რეგიონული კონფლიქტებისა და რეგიონული ძალთა ბალანსის პირქუშ რეალობას. მეორე მხრივ კი, როგორც ეს მრავალგზის დაგვანახა ახლო აღმოსავლეთის მოვლენებმა (ომის

შემდგომ აშშ-ის მიერ იარაღის ექსპორტმა ისრაელში, საუდის არაბეთსა და ეგვიპტეში), წესრიგის კოლექტიურად დამყარება (როგორც მოკავშირეთა შეიარაღება, ისე ერაყის სამხედრო შესაძლებლობების შესუსტება) რეგიონულ დონეზე შეიარაღების კონტროლის პროცესსა და სამომავლოდ რეგიონული ძალთა ბალანსის მოწესრიგებას ართულებს.

მესამე საკითხი კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ კამათში კონფლიქტების მასშტაბისა და ხარისხის შეზღუდულობას უკავშირდება. კოლექტიური უსაფრთხოების იდეის კრიტიკოსები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ წესრიგის ძალისმიერი ზომებით დამყარებამ შეიძლება უფრო გაამწვავოს დაპირისპირება და გაართულოს მისი მოგვარება ისეთი შეზღუდვების უგულებელყოფის გამო, როგორიცაა კონფლიქტის გეოგრაფიული საზღვრები (უპირველესად, ნეიტრალიტეტის ცნებასთან მიმართებაში) და სამხედრო ძალების სახეობებზე დაწესებული სამართლებრივი აკრძალვები (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი). კოლექტიური უსაფრთხოების მოდელის მიხედვით, ყველა ქვეყანა მზად უნდა იყოს, დაუპირისპირდეს *ნებისმიერ* სახელმწიფოს, რომელიც მშვიდობას დაარღვევს. რუსოს აზრით, საზოგადოების საერთო ნება მუდამ უნდა სარგებლობდეს უპირატესობით ცალკეული ჯგუფების ინტერესებთან შედარებით. ისევე როგორც რუსო ეწინააღმდეგებოდა დანანევრებას, კოლექტიური უსაფრთხოება უპირისპირდება როგორც ალიანსებს, რომლებიც შეიძლება ხელს უშლიდეს სახელმწიფოს მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად მოქმედებაში, ისე ნეიტრალიტეტის ცნებასაც, რომლის თანახმადაც ქვეყანა უარს ამბობს თავის უმთავრეს მოვალეობაზე, გაილაშქროს აგრესორის წინააღმდეგ. კონფლიქტში გამოსაყენებელ საშუალებებთან დაკავშირებით კი კრიტიკოსები გამოთქვამენ აზრს, რომ გამარჯვების მოპოვების ზნეობრივი და პოლიტიკური იმპერატივი წააქეზებს მართალ მხარეს, გამოიყენოს ყოველგვარი ძალა დასახული მიზნის მისაღწევად იმის მიუხედავად, რომ ამან შეიძლება შეასუსტოს საერთო თანხმობით მიღებული შეზღუდვები და ის მოთხოვნა, რომ ისინი ყველაზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს.

სპარსეთის ყურის ომმა ნათელყო, რომ ეს პრობლემა არც ისე მწვავედ დგას, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე. მოწოდებას კოლექტიური ქმედებებისაკენ შეზღუდვები ჰქონდა: უშიშროების საბჭომ მხოლოდ ის ქვეყნები აღჭურვა უფლებამოსილებით, რომლებიც იმ დროისათვის აქტიურად მხარს უჭერდნენ კუვეიტს. ომის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ნეიტრალიტეტის ტრადიციული ცნება კვლავაც კონფლიქტის მთავარ შემზღუდველ ფაქტორად რჩება. რამდენიმე სახელმწიფომ გამოაცხადა და დაიცვა ნეიტრალიტეტი (ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ირანი), ამასთან, საყოველთაოდ აღიარებულ იქნა, რომ ამგვარი გეოგრაფიული შეზღუდვები სამართლიანი და სასურველია. ადრეული წლების სკეპტიციზმის მიუხედავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ომის კანონების მნიშვნელობა აღიარა, რაც ამ სფეროში დადებულ რამდენიმე სერიოზულ შეთანხმებასა და გენერალური ასამბლეისა თუ უშიშროების საბჭოს დებატებსა და რეზოლუციებზეც აისახა. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ კანონების ცხოვრებაში გატარებამ დაძაბულობა გამოიწვია სპარსეთის ყურის ომის დროს. ერთი მხრივ, ერაყი ეჭვქვეშ აყენებდა საკუთარი ქმედებების ომის კანონებით შეზღუდვის აუცილებლობას, მეორე მხრივ კი, მიმდინარეობდა კოალიციური პოლიტიკის ცალკეული ასპექტების კრიტიკა (ბირთვულ ტექნიკაზე დარტყმები, ალიანსის ბომბდამშენების მიზანში ამოღების ტაქტიკა, კამპანიის ბოლო დღეებში შეტევა უკანდახეულ ძალებზე).[10] ყოველივე ამის მი-

[10] მართალია, ამ ქმედებების დიდი ნანილი შესაძლოა პოლიტიკური თვალსაზრისით გაუმართლებლად მოჩანდეს, მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია, იყო თუ არა ისინი უკანონო.

უხედავად, ომის კანონები განაგრძობდა გარკვეული როლის თამაშს კონფლიქტის არსის განსაზღვრასა და შეზღუდვაში და ჯერ კიდევ მძვინვარე ბარბაროსობის წინააღმდეგ დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამ კანონების ეფექტიანობის შეზღუდვები მომდინარეობდა ბრძოლის წარმოების თანამედროვე წესის თავისებურებებიდან და არა წესრიგის კოლექტიურად დამყარების საჭიროებით გამონვეული შიდა დაძაბულობიდან.

კოლექტიური უსაფრთხოების მეოთხე საკითხი ეხება, ერთი მხრივ, კანონსა და პრინციპებს, მეორე მხრივ კი, ძალასა და ინტერესებს შორის ურთიერთკავშირს. კოლექტიური უსაფრთხოების მოდელის მიხედვით, საერთაშორისო საზოგადოების თითოეული წევრი ნებისმიერი სახის აგრესიას უნდა განიხილავდეს, როგორც მშვიდობისადმი საფრთხეს, ერთ-ერთ სახელმწიფოზე განხორციელებული დარტყმა კი აუცილებლად უნდა ჩაითვალოს უკლებლივ ყველა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. სხვა სიტყვებით, მშვიდობა განუყოფლად უნდა იქნეს მიჩნეული.[11] ამას გარდა, ეს მოდელი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ გაბედული მოქმედებისათვის მაშინაც კი, როცა ამგვარი ნაბიჯი ძვირი ჯდება და მათ მოკლევადიან ინტერესებს ეწინააღმდეგება. 1940-იანი წლების თვითმარქვია რეალისტი კრიტიკოსების აზრით, მსგავსი ვარაუდები მცდარი იყო და მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავდა. შესაძლოა, ამა თუ იმ აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლა ემთხვეოდეს რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს, მაგრამ ეს ვერ გახდება საბოლოო ან ავტომატური დასკვნა. გასცემს თუ არა ქვეყანა პასუხს აგრესიას, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მის საგარეო-პოლიტიკურ ინტერესებზე. როგორც მორგენთაუ ამბობს:

> ერთადერთი კითხვა, რომლის დასმის უფლებაც აქვს კოლექტიურ უსაფრთხოებას, შემდეგში მდგომარეობს: „ვინ განახორციელა აგრესია?" საგარეო პოლიტიკა კი ვერ გაურბის ასეთ შეკითხვას: რა ინტერესი მაქვს, ამ აგრესორს რომ ვებრძოლო და რა ძალა გამაჩნია, წინ რომ აღუდგე მას?[12]

კონფლიქტებითა და ძლიერთა მეტოქეობით აღსავსე ანარქიულ მსოფლიოში სახელმწიფო მოღვაწეები, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი საზოგადოებისა და მისი ინტერესების წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი. ასეთ სამყაროში ვერ იარსებებდა ისეთი ზნეობრივი იმპერატივი, რომელიც უსამართლო აგრესიის წინააღმდეგ გალაშქრებასა და აგრესორისაგან ყველა ქვეყნის დაცვას სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დააყენებდა. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ სახელმწიფო მოღვაწე ზნეობრივ პასუხისმგებლობას თავისი საზოგადოების წინაშე გრძნობდა. მეორეც იმიტომ, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ლოგიკა საერთაშორისო წესრიგის ბუნების შესახებ მცდარ წარმოდგენას ეფუძნებოდა. აღნიშნული კონცეფცია წესრიგს ხედავდა სახელმწიფოთა სისტემის სამართლებრივ სტრუქტურებსა და რაც მთავარია, ამ სისტემის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებში, როგორიცაა სუვერენიტეტის ორმხრივად აღიარება, მისგან გამომდინარე ჩაურევლობის ნორმის დაცვა და ძალის აგრესიულად გამოყენების შეზღუდვის აუცილებლობა. რეალისტებისათვის საეთაშორისო ცხოვრების ასეთი არასაიმედო წესრიგი არა კანონზე, არამედ ძალაზე

---

[11] მშვიდობითა და სტაბილური მსოფლიოთი კოლექტიური დაინტერესება ზოგჯერ მზარდი ურთიერთდამოკიდებულებით აიხსნებოდა. როგორც ალან პლაუნტმა 1934 წელს აღნიშნა: „კოლექტიური უსაფრთხოების იდეა სათავეს იღებს თანამედროვე მსოფლიოს სამეცნიერო და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებიდან."

[12] Hans Morgenthau, *Politics Among Nations,* fifth edition (New York: Knopf, 1978), p. 420.

იყო დამოკიდებული. ის ეყრდნობოდა ქვეყნების უთანასწორობას, მათ შორის ძალთა ბალანსსა და გამოცდილი დიპლომატების მიერ ამ ბალანსით მანიპულირებასა და მის მართვას. ამ გადასახედიდან შესაძლებელია ერაყის საწინააღმდეგო სამხედრო კამპანიის გამართლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს იყო არა კუვეიტის სუვერენიტეტის ხელყოფის ან გაერო-ს ქარტიის 2.4 მუხლის დარღვევის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი, არამედ უფრო მეტად ერაყის სამხედრო მანქანის გაძლიერების ეფექტიანად დაბალანსებისა და დასავლეთისთვის ახლო აღმოსავლეთის ნავთობსაბადოებზე ხელმისაწვდომობის შენარჩუნების საჭიროებით გამონვეული მცდელობა. ამიტომაც, უბრალო კანონიერება საერთაშორისო ურთიერთობებში არასოდეს ყოფილა საკმარისი. ეფექტიანი მოქმედებისათვის ერთმანეთს უნდა დაემთხვეს კანონი, ძალა და ინტერესები, რაც მხოლოდ გარკვეულ პირობებშია შესაძლებელი. თუმცა, ასეთი პირობები მხოლოდ დროებითი და წარმავალი შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, კოლექტიური უსაფრთხოების ზოგიერთი რეალისტი კრიტიკოსის აზრით, კანონიერებისა და ზნეობრიობის ელემენტი ილუზიაა, რომელიც არ ეფუძნება ობიექტურ ზნეობრივ საყრდენს და ვერ ასახავს სახელმწიფოთა უნივერსალურ საერთო ინტერესებს. ედვარდ ქარი ამტკიცებდა, რომ კანონისა და ზნეობის დახვეწილი ენა მხოლოდ რაციონალიზაციაა და საფარველი სტატუს კვოს შენარჩუნებით დაინტერესებული ქვეყნების ჯგუფის კერძო ინტერესებისათვის. ქარის აზრით, სამართლებრივი და სხვა სახის პრინციპები მხოლოდ „ეროვნული ინტერესების კონკრეტულ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტიკის გაუცნობიერებელი ასახვაა ამა თუ იმ ეპოქაში," ან კიდევ „ეგოისტური ინტერესების აშკარა შენიღბვა."[13]

რა მიმართებაშია ყოველივე ეს ერაყ-კუვეიტის შემთხვევასთან? ამ ომმა აშკარად გამოავლინა საერთაშორისო ურთიერთობების მკვეთრი რეალისტური სურათის არაერთი ნაკლი და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო სისტემის პოლიტიკურ და სამართლებრივ სტრუქტურებს შორის კავშირი გაცილებით უფრო კომპლექსურია, ვიდრე ამას ძალისმიერი პოლიტიკის მომხიბლავად მარტივი მოდელი წარმოაჩენს. სწორედ ერაყის გაკიცხვისა და გაერო-ს ქმედებების მხარდაჭერის ერთსულოვნებაა ის, რაც ასე ძალიან გვაოცებს რეალისტური მოდელის საპირისპიროდ. გაერო-ს უშიშროების საბჭოს 660-ე რეზოლუცია, რომელიც ოფიციალური ბაღდადის კუვეიტში შეჭრას გმობდა, ერთხმად იქნა მიღებული [1990 წლის] 2 აგვისტოს (იემენი სხდომას არ ესწრებოდა). 661-ე რეზოლუცია, რომელიც სამანდატო სანქციებს აწესებდა 6 აგვისტოს იქნა მიღებული 13 ხმით არც ერთის წინააღმდეგ (მხოლოდ კუბამ და იემენმა შეიკავეს თავი), ხოლო 678-ე რეზოლუციას, რომელიც ძალის გამოყენებას აკანონებდა, ისევ კუბამ და იემენმა არ დაუჭირეს მხარი, ჩინეთმა კი თავი შეიკავა. არანაკლებ დიდი იყო დადებითი ხმების რაოდენობა გენერალურ ასამბლეაში: ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც გმობდა ერაყის მიერ ტყვეებისადმი ცუდად მოპყრობასა და დიპლომატიური ქონების მიმართ მუქარას მიღებულ იქნა 148 ხმით ერთის წინააღმდეგ (ერაყი).

როგორ აიხსნება ეს ფენომენი? ამ კითხვაზე პასუხის პირველი ნაწილი პრინციპების დონეზე შეიძლება მოვიძიოთ. ამ თვალსაზრისით, ერაყის აგრესიაზე საერთაშორისო საზოგადოების პასუხი ბოლო 70 წლის მანძილზე ნორმატიულ კლიმატში მომხდარ ცვლილებებს ასახავდა. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი აგრესიის არაკანონიერად ცნობის ძირითადი საეტაპო დოკუმენტები (ერთა ლიგის წესდება, ბრიან-

[13] E. H. Carr, *The Twenty Years Crisis, 1919-1939,* Second Edition (London: Macmillan, 1981), pp. 87-88.

კელოგის პაქტი, გაერო-ს ქარტია). ყოველი წარუმატებლობის მიუხედავად, კოლექტიური უსაფრთხოებისაკენ გადადგმული ნაბიჯები მთავარი ელემენტი იყო ცვალებადი კანონმდებლობისა და ძალის გამოყენებისადმი არსებული დამოკიდებულების შეცვლაში. მართალია, ჯერაც არ დასრულებულა დებატები იმ თაობაზე, თუ რა კანონიერი საფუძველი შეიძლება ჰქონდეს სამხედრო ინტერვენციას, მაგრამ ფართოდ გაზიარებულია, რომ ძველი ყაიდის აგრესია და ანექსია დღეს უკვე ზნეობრივად და სამართლებრივად მიუღებელია. ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის მეორე ნაწილი აგრეთვე უკავშირდება პრინციპებს, მაგრამ ხაზს უსვამს იმას, რომ კუვეიტის შემთხვევაში *სამართლებრივი* და *ზნეობრივი პრინციპები* სახელმწიფოთა დიდი ნაწილის *პოლიტიკურ* ინტერესებს შეესაბამებოდა. არგუმენტი აქ ისაა, რომ სახელმწიფო სისტემის სამართლებრივი წყობა მართლაც საერთაშორისო წესრიგის დასაყრდენია. სპარსეთის ყურის კონფლიქტზე საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ წესრიგი საზოგადოებაში დამოკიდებულია (1) სახელმწიფო სუვერენიტეტისა და მისგან გამომდინარე ჩაურევლობის დოქტრინის მდგრადობაზე და (2) ფართომასშტაბიანი აგრესიული ომის შეზღუდვაზე. ამგვარი რწმენა, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა კლუბის ძირითადი წესების დაცვა და ამით კლუბში საკუთარი წევრობის გამყარება, აერთიანებს სხვადასხვა კულტურისა და პოლიტიკური წყობის მქონე სახელმწიფოებს:[14] როგორც მდიდარ და ძლიერ ქვეყნებს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით სტატუს კვოს შენარჩუნებაში, საიდანაც ისინი აშკარად მოგებას ნახულობენ, ისე სუსტ და ღარიბ ქვეყნებს, ვისთვისაც სუვერენიტეტის კონვენციები და საერთაშორისო აღიარება საკუთარი „სახელმწიფოებრიობის" შენარჩუნების საშუალებაა.[15] ამდენად, ედვარდ ქარის შეხედულებას კანონსა და ზნეობაზე ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ მრავალ სახელმწიფოს საერთო ინტერესები და ღირებულებები შეიძლება გააჩნდეს. ერაყის კუვეიტში შეჭრის დაგმობა და ეკონომიკური სანქციების დაწესება სახელმწიფოთა ფართო სპექტრის მიერ საერთაშორისო საზოგადოების უნივერსალურობას მოწმობს.

თუმცა, რეალისტი კრიტიკოსების გავლენით ჩვენ მაინც გვიწევს იმის აღიარება, რომ ამგვარი ზნეობრივი ნორმები და პრინციპული ინტერესები არ არის საკმარისი კოლექტიური უსაფრთხოების წარსული ისტორიისა თუ სპარსეთის ყურის მოვლენების ასახსნელად. რეალისტური ხედვა ცხადყოფს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აგრესიაზე საერთაშორისო რეაგირებისათვის დამახასიათებელ ფარისევლობასა და ორმაგ სტანდარტებს. მოკავშირეთა კოალიციის ლიდერები ზოგჯერ ითმენდნენ დიდი რაოდენობით აგრესიის აქტებს, ზოგჯერ კი სიტყვიერი გაკიცხვით კმაყოფილდებოდნენ, ხოლო აგრესიის შერჩევით დაგმობა გამომდინარეობდა რეალისტური მოსაზრებიდან ძალასა და პრინციპებს შორის კავშირის შესახებ. ამრიგად, მაგალითისათვის, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ძალის მეშვეობით წესრიგის კოლექტიურად დამყარების ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი მცდელობა – კორეის ომი – ზნეობრივი პრინციპებისა და გეოგრაფიული ინტერესების ზუსტ თანხვედრაზე მეტყველებდა. სპარსეთის ყურეში ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მომხრენი აღნიშნავდნენ რომ, თუ ადრეულ ქმედებებს შეუფერებელ ნაბიჯებად განვიხილავდით, მაშინ ცვლილებების გატარება ან ვითარების გა-

[14] ერაყის წინააღმდეგ რეზოლუციებს იმდროინდელი უშიშროების საბჭოს შემდეგმა არამუდმივმა წევრებმა დაუჭირეს მხარი: კანადა, კოლუმბია, კუბა, სპილოს ძვლის ნაპირი, ეთიოპია, ფინეთი, მალაიზია, რუმინეთი, იემენი და ზაირი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა მსგავსი გაერთიანება მზად იყო, 1982 წელს არგენტინის წინააღმდეგ მიეცა ხმა.

[15] ამასთან დაკავშირებით იხილეთ: Robert Jackson, "Quasi-states, dual regimes and neo-classical international theory: international jurisprudence and the Third World." *International Organization*, vol. 41, no. 4 (Autumn 1987).

მოსწორება ვერასოდეს მოხერხდებოდა. თუმცა, ერაყ-კუვეიტის კონფლიქტის შედარება უფრო ადრეულ ისტორიულ მოვლენებთან უდიდეს სკეპტიციზმს ინვევს და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს იმ ლიდერებს, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს ზნეობრივი საფუძვლის მოძიება მომავალი შესაძლო შემთხვევებისთვისაც. უფრო პოზიტიურ ნოტაზე, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ აშშ-ისა და გაერო-ს პოლიტიკის ურთიერთგადაჯაჭვა ომის ერთ-ერთი ყველაზე დადებითი მახასიათებელი იყო, რომელმაც რეიგანის წლების გლობალური ცალმხრივი ქმედებებიდან დაშორება დაგვანახა და (მართალია, ეს ცვლილება შეუქცევადი სულაც არ არის) ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მომავალში ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუჭირდება, საშინაო თუ საგარეო ზენოლის გამო, კრიზისების მოგვარებაში გაერო-ს ჩართვა თავიდან აიცილოს.

ამასთან, ტრადიციული რეალისტური კრიტიკა გვაიძულებს იმის აღიარებას, რომ კომპლექსურმა და ცვალებადმა პოლიტიკურმა ინტერესებმა გარკვეული როლი ითამაშა ერაყის ქმედებებზე საერთაშორისო რეაქციის ჩამოყალიბებაში. საუდის არაბეთისა და სირიისათვის ერაყის წინააღმდეგ გალაშქრების გადაწყვეტილებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ უკანასკნელის მიერ რეგიონული ძალთა ბალანსის დარღვევის საფრთხე. საბჭოთა კავშირის გაერო-სადმი დამოკიდებულების შეცვლა ასახავდა ამ ზესახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ინტერესების გადაფასებას, სამხრეთ საზღვარზე სტაბილურობის შენარჩუნებით დაინტერესებასა და, სპარსეთის ყურის კონფლიქტში კოალიციური ძალების მხარდაჭერის სანაცვლოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნებში გატარებული რეპრესიების გამო გაკიცხვის თავიდან აცილების შესაძლებლობას. ჩინეთის თანხმობა, ნაწილობრივ მაინც, მოპოვებულ იქნა ამ ქვეყანაში რეპრესიების მიმართ საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის შემცირებით. იაპონიის ფინანსური მხარდაჭერა უფრო მეტად გამოწვეული იყო აშშ-იაპონიის ურთიერთობების დინამიკით, ვიდრე კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციაში ჩართვის დიდი სურვილით. აშშ-სათვის ერაყის აგრესიაზე პასუხის გაცემაში მნიშვნელოვანი იყო არა არგუმენტი, ერთი მხრივ, ნავთობსა და, მეორე მხრივ, პრინციპს შორის, არამედ პოლიტიკური და ზნეობრივი პრიორიტეტების თანხვედრა ტრადიციულ ინტერესებთან ახლო აღმოსავლეთში – ნავთობსაბადოების ხელმისაწვდომობა, სტაბილური ძალთა ბალანსის შენარჩუნება და ამ ბალანსისადმი მიმართული პოტენციური საფრთხის აღკვეთა, რომელიც ერაყის მიერ არატრადიციული შეიარაღების გამოყენებიდან მომდინარეობდა. უფრო მეტიც, პრინციპებსა და წმინდა პოლიტიკურ ინტერესებს შორის წონასწორობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. თუ დასაწყისში დასავლეთის ნაბიჯები ნაკარნახევი ჩანდა აგრესიაზე პასუხის გაცემის აუცილებლობით, კრიზისის გამწვავების კვალდაკვალ განსახილველ საკითხთა სუსტი და ძლიერი მხარეები კონფრონტაციისა და სამხედრო პოლიტიკის ლოგიკას დაექვემდებარა. ყოველივე ეს თანდათანობით დაემსგავსა რეალისტურ „თამაშს," რომელშიც უკან დახევით გამოწვეული ხარჯები ძირეულად ცვლის თავდაპირველ ფსონებს.

მეხუთე და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი კანონის ცხოვრებაში გატარებასა და კონფლიქტის მოგვარებას შორის ურთიერთკავშირს ეხება. კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციას წლების მანძილზე იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ ის ყურადღებას ამახვილებდა ძალისმიერი გზით წესრიგის დამყარებაზე, როგორც ეფექტიანი პოლიტიკური სისტემის ერთადერთ, ან, ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელზე. ამ თვალსაზრისით, მთავრობის უმთავრეს საზრუნავად დამ-

ნაშავეთა სათანადოდ დასჯა გვევლინება.[16] ძალით წესრიგის დამყარება, უეჭველად, ნებისმიერი პოლიტიკური თუ სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ საზოგადოება, თუნდაც, კანონის ცხოვრებაში ეფექტიანად გატარება შეეძლოს, ვერ გადარჩება ან ვერ შეინარჩუნებს სტაბილურობას, თუ პოლიტიკური შეთანხმებისა და კონფლიქტის მოგვარების პროცესს არ წარმართავს. ქვეყნის შიგნით, საზოგადოების დაპირისპირებულ ჯგუფთა ინტერესების მშვიდობიანად ურთიერთშეგუება ცენტრალური ხელისუფლების ძალითა და კანონიერი პროცედურებით ხერხდება. სწორედ ასეთი პროცედურების სისუსტე და სიმყიფე არის საერთაშორისო საზოგადოების განმასხვავებელი ნიშან-თვისება. ამ არგუმენტის თანახად, დღესაც, ისევე როგორც 1930-იან წლებში, კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინის შეცდომა იმაშია, რომ ის მსოფლიო უწესრიგობის უმთავრეს წყაროდ ზოგიერთი ქვეყნის მტაცებლურ ბუნებას ხედავს და მიიჩნევს, რომ წესრიგი ამ სახელმწიფოთა კანონგარეშედ გამოცხადებითა და განადგურებით მიიღწევა.

ამ პრობლემას რამდენიმე ასპექტი გააჩნია. ერთ-ერთი მათგანი კოლექტიური უსაფრთხოების ლოგიკასა და კონფლიქტების მოგვარებისა და კრიზისის მოწესრიგების ტრადიციულ ხერხებს შორის დაძაბულობას უსვამს ხაზს. მისგან გამომდინარეობს, რომ სამართალზე, ზნეობასა და დასჯასა ყურადღების გამახვილებას (რაც, ალბათ, კოლექტიური უსაფრთხოების უმთავრესი მახასიათებელია) შეუძლია არა მარტო დაპირისპირების გაღვივება, არამედ დიპლომატიისა და მოლაპარაკებების შესაძლებლობების შემცირებაც – მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გაეროს მიერ შექმნილი ტექნოლოგიების ჩათვლით.[17] კოლექტიური მოქმედება ერთმანეთს უპირისპირებს ზნეობრივსა და უზნეოს, სამართლიან საზოგადოებასა და უსამართლო დამნაშავეებს. ამ კონტექსტში, სრულიად აშკარა ხდება აგრესორის დასჯისაკენ მოწოდებისა და ომის დროს ჩადენილი დანაშაულებისათვის პიროვნებათა პასუხისგებაში მიცემის ლოგიკა. ეს პრობლემა ნინ წამოწია დასავლურმა ტრიუმფალიზმმა (რომელიც დღეს იმდენად ძლიერი აღარ არის), იმ რწმენის საფუძველზე აღმოცენებულმა გრძნობამ, რომ დასავლური სისტემა და იდეალები განმტკიცდა კომუნიზმის კრახით, მსოფლიოს მრავალ ნაწილში დემოკრატიული მთავრობების შექმნითა და ლიბერალური ეკონომიკური იდეების გამარჯვებით. ამგვარმა განწყობამ გააძლიერა ის მოსაზრება, რომ სამყარო იყოფა სამართლის დამცველებად და კანონდამრღვევებად, ცივილიზებულებად და ბარბაროსებად. ამასთან, მხოლოდ პოპულარულ პრესაში როდი ვხვდებით არაბული სამყაროს მოძველებულ კულტურულ სტერეოტიპებსა და ცივილიზაციის გავრცელების ისტორიული მისიის იდეას.

რა თქმა უნდა, მთლიანად არასწორია ტრადიციული საერთაშორისო ურთიერთობების მითოლოგიზაცია იმის მტკიცებით, თითქოს ამ სფეროში ყოველთვის უმთავრესი იყო დიპლომატია და დავების მშვიდობიანად მოგვარება. ცხადია, აქ ხშირად ადგილი ჰქონდა სასტიკ და სრულიად უკანონო ომებს, მაგრამ მათი უპირობო კაპიტულაციამდე დასრულება და მტრებთან მომავალში ურთიერთობის განახლება სასურველ მოვლენად აღიქმებოდა. კონფლიქტურ ინტერესებსა თუ ძალებს შორის შეთანხმების ძიებისას ხშირად საჭირო ხდებოდა საღი აზრით განპირობებული ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევა: ქვეყნებს ანაწევრებდნენ სტაბილურობის ინტერე-

[16] ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: Hidemi Suganami, *The Domestic Analogy and World Order Proposals* (Cambridge University Press, 1989), განსაკუთრებით მეცხრე თავი.

[17] ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა არის მექანიზმების შექმნა გაერო-ს სამხედრო ოპერაციებისათვის დროებითი ზავების მისაღწევად, რაც ამ ორგანიზაციის ქარტიის მეექვსე და მეშვიდე თავებზე დაყრდნობით შეიძლება განხორციელდეს და ყველა მხარის თანხმობას არ საჭიროებს.

სებიდან გამომდინარე, აგრესორებს აჯილდოვებდნენ ან აშოშმინებდნენ, ომის შემდგომი წესრიგი ყოფილი მტრების ერთ სისტემაში რეინტეგრაციასა და ბრალისა და პასუხისმგებლობის საკითხთა დასამარებას ეფუძნებოდა. დღემდე გაურკვეველია, მოგვცემდა თუ არა დიპლომატიური შეთანხმება დადებით შედეგს ერაყ-კუვეიტის შემთხვევაში – მაგალითისათვის, იყო თუ არა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ინიციატივები დიპლომატიის დაკარგული შესაძლებლობები ან შეეძლო თუ არა გენერალურ მდივანს უფრო აქტიური მედიატორის როლის შესრულება? ამ კითხვებზე ცალსახა პასუხის გაუცემლადაც, სპარსეთის ყურის კონფლიქტი ცხადყოფს, რომ კოლექტიური უსაფრთხოება სამართლიანობის უზრუნველყოფაზე ყურადღების გამახვილებით აუცილებლად გააძლიერებს საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებულობის კონცეფციას, რომელშიც მხოლოდ გარკვეულ სახელმწიფოებს ენიჭებათ ლეგიტიმური წევრის სტატუსი და შესწევთ ძალა, გამართონ მოლაპარაკებები როგორც ომის თავიდან აცილების, ისე კონფლიქტების დასრულებისა და ომის შემდგომი წესრიგისათვის წესების შექმნის თაობაზე.

ჩვენს მიერ წამოჭრილი პრობლემის მეორე ასპექტი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფო სისტემის პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურების დონეზე წესრიგის გაძლიერებისა და განვრცობისაკენ მიმართულ პოლიტიკას ამავდროულად შეუძლია ძირი გამოუთხაროს წესრიგს, რომელიც ეყრდნობა ამა თუ იმ რეგიონის საზოგადოებებს შიგნით და გარეთ მოქმედი სოციალური, რელიგიური, ეკონომიკური და პილიტიკური ძალების ურთიერთშერიგებას. სხვა სიტყვებით, განსხვავებული შეხედულებები „წესრიგის" რაობის შესახებ ერთმანეთს უპირისპირდება. ძალისმიერი გზით წესრიგის წარმატებით დამყარებამ არა მარტო დაუყოვნებლივ ალაგმა ერაყიდან მომდინარე საფრთხე, აღადგინა კუვეიტის სუვერენიტეტი და გააძლიერა მიუღებელი აგრესიის სანინააღმდეგო მექანიზმი, არამედ ასევე გზა გაუხსნა გარკვეულ პოლიტიკურ და სოციალურ ძალებს, რომლებმაც კიდევ უფრო დაძაბეს არსებული პოლიტიკური სტრუქტურები. ეკონომიკური სანქციების გახანგრძლივების არგუმენტი მართლდებოდა არა იმდენად სამხედრო კამპანიის ნარმოებასთან დაკავშირებული ხარჯებით, რამდენადაც ამ არეულობის მოწესრიგების დიდი ხარჯებით. ბევრს გაუჩნდა იმის შიში, რომ ომი გამოიწვევდა ანტიდასავლური განწყობის ზრდას არაბული სამყაროს უმეტეს ნაწილში და იმ რეგიონულ სახელმწიფოთა პოლიტიკური და სოციალური სისტემების დასუსტებას, რომელთა მხარდაჭერითაც უნდა დამყარებულიყო სამომავლოდ წესრიგი რეგიონში. სპარსეთის ყურის ომის გავლენა სოციალურ და პოლიტიკურ წესრიგზე ახლო აღმოსავლეთში არ ყოფილა (ჯერ-ჯერობით მაინც) ისეთი ძლიერი, როგორც ზოგიერთები შიშობდნენ. მაგრამ ძირითადი პრობლემა უცვლელი რჩება: ოპერაციას საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთი ასპექტის გასაძლიერებლად შეიძლება მოჰყვეს უწესრიგობის სხვა წყაროების შექმნა, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებში, რომლებზეც კონფლიქტმა ზეგავლენა მოახდინა. უფრო მეტიც, თუ არ ჩავთვლით მეტად მოკლევადიან ზომებს, როგორიცაა, მაგალითად, ლტოლვილებისათვის საკვების მიწოდება, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის არსებული სტრუქტურები ვერ გვაძლევს პასუხს ამ უფრო ღრმად ფესვგადგმულ სირთულეებზე.

ზემოაღნიშნული პრობლემის მესამე ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო უსაფრთხოება არ არის იოლი შეთანხმების შედეგი, რომელშიც ყველას თანაბარი წვლილი მიუძღვის. სახელმწიფოები არ შეეცდებიან სტატუს კვოს დაცვას, თუ დარწმუნებულნი არ იქნებიან, რომ ის ასახავს მათ ინტერესებს, ღირებულებებსა და წარმოდგენას სოციალურ სამართლიანობაზე. უსაფრთხოება ყოველთვის

შედარებითი და სუბიექტურია.[18] ამდენად, პრაქტიკაში ძნელია უსაფრთხოების თობაზე მსჯელობა საერთაშორისო წესრიგის ხასიათისა და მისაღები სტატუს კვოს შესახებ გამართული ფართომასშტაბიანი დებატებისგან განყენებულად.[19] „მშვიდობისა და უსაფრთხოების" საკითხთა საზღვრების დადგენა დღეს უმთავრეს და პოლიტიზირებულ თემად იქცა. რეაქცია სპარსეთის ყურის კონფლიქტზე, კერძოდ კი სამხედრო კამპანიის დაწყებაზე, უმეტესწილად დამოკიდებული იყო ქვეყნების ადგილზე საერთაშორისო იერარქიაში. საერთაშორისო სისტემაში სხვადასხვა სტატუსისა და პოზიციის მქონე სახელმწიფოებს მართლაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ საერთაშორისო წესრიგზე (ან კიდევ ამ წესრიგის შემადგენელი კომპონენტების წონასწორობაზე). როგორც უკვე ვნახეთ, სპარსეთის ყურის კონფლიქტი გარკვეულწილად განამტკიცებს არგუმენტებს საერთაშორისო საზოგადოების უნივერსალურობის სასარგებლოდ. ერაყის დაგმობასა და მასზე სამანდატო სანქციების დაწესებაში ფართო თანხმობა შეიმჩნეოდა. არსებობდა ზოგადი რწმენა რომ, აუცილებელი იყო აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევა და კუვეიტის სუვერენიტეტის შენარჩუნება, მაგრამ ეკონომიკური სანქციებიდან სამხედრო მოქმედებებზე გადასვლამ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსის შეზღუდულობა გამოავლინა. დასავლეთში ძალის გამოყენების გადაწყვეტილება მრავალმა მთავრობამ მოიწონა, თუმცა, კონტინენტური ევროპის ბევრ ქვეყანაში ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების დონეზე სერიოზული ეჭვები გაჩნდა. ისლამურ სამყაროსა და განვითარებადი მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში კი ამგვარი ნაბიჯი სრულიად უკანონოდ იქნა მიჩნეული. ეკონომიკური სანქციები ერაყის წინააღმდეგ და მისი პოლიტიკის დაგმობა მისაღები იყო, სამხედრო მოქმედებები კი – არა.

რა იყო ყოველივე ამის მიზეზი? (1) ერაყსა და კოალიციის წამყვან სახელმწიფოებს შორის შეჯახებამ წარმოაჩინა და განაახლა ღრმა ისტორიული და კულტურული უთანხმოებები. ამდენად, გასაკვირი არც იყო, რომ დასავლეთის სამხედრო ძალის მორიგმა შეტევამ გააღვივა ღრმა ფესვების მქონე წარსული მოგონებები და გაამძაფრა ანტიდასავლური ნაციონალიზმი. (2) საერთაშორისო წესრიგის სახელმწიფოთა სისტემის კანონიერი სტრუქტურის შენარჩუნებასთან გაიგივების იდეა ფუჭი და ეგოისტური ჩანდა არაბული სამყაროს უდიდესი ნაწილისათვის. ამ თვალსაზრისის თანახმად, „წესრიგი" სახელმწიფოთა შორის, რომელსაც ამჟამადაც იცავენ, გარდა იმისა, რომ დასავლეთის მიერ თავს მოხვეული იყო, ვერ უზრუნველყოფდა სოციალური მშვიდობის, ეკონომიკური კეთილდღეობის, სახელმწიფოთა შიგნით თუ მათ შორის თანასწორობის, რეგიონული საერთაშორისო სტაბილურობისა და ისლამური ღირებულებების დაცვისა და კონსოლიდაციის პირობებს. (3) სამხედრო კამპანიის დაწყებამ და ეკონომიკური სანქციების შეწყვეტის გადაწყვეტილებამ დაბადა ეჭვები დასავლეთის მოტივების თაობაზე და ბევრს ეს ომი ახალი, უფრო მტკიცე Pax Americana-ს დამყარების ეტაპად მოაჩვენა. ისლამური სამყაროს დიდ ნაწილში არსებობდა ძლიერი რწმენა იმისა, რომ დასავლეთს უფლება არ ჰქონდა ძალისმიერად გადაეწყვიტა ერაყ-კუვეიტის კონფლიქტი. მართალია, ამგვარ განწყობას რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკის შეცვლა არ შეეძლო და ხშირად დათმობებზე წასვლა უხდებოდა პრაგმატიზმის წინაშე, რომელიც აშშ-სთან ანტაგონიზმის თავიდან აც-

[18] იხილეთ: Francesco Coppola, "The Idea of Collective Secutiry," in Bourquin (ed.), *Collective Security*, op. cit.

[19] ნორთეჯის კომენტარები 1930-იანი წლების შესახებ დღესაც აქტუალურია: „შეხედეთ სამყაროს სხვადასხვა სახელმწიფოს თვალებით და დარწმუნდებით, რომ ერთნი მსოფლიოს საკუთარი ინტერესებისა და თამაშის წესებისათვის მისაღებ ასპარეზად აღიქვამენ, მეორენი კი მას უსამართლობის კერად მიიჩნევენ." F. S. Northedge, *The League of Nations* (Leicester University Press, 1986), p. 289.

ილებას მოითხოვდა, მაგრამ ის მაინც დარჩა ომისა და მისი შედეგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად.

დასკვნა

ერაყის წინააღმდეგ ომის გამოცდილებაში ცოტა რამ თუ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ სრულყოფილი კოლექტიური უსაფრთხოება უმთავრეს როლს შეასრულებს ახალ საერთაშორისო წესრიგში. ნაკლებად სავარაუდოა ისეთი პირობების მომავალში განმეორება, რომლებმაც განაპირობა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში წესრიგის იძულებით დამყარების წარმატება: კუვეიტის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამოკვეთილი ფორმა, სამხედრო კონფლიქტის განსაკუთრებული მახასიათებლები, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის კონკრეტული ინტერესები და, რაც მთავარია, დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილი, გამოეყენებინათ შეიარაღებული ძალები ასეთ ფართომასშტაბიან ოპერაციაში, ინტერესთა გარკვეული თანხვედრის გამო (აგრესიული ძალისა და სუვერენული სახელმწიფოს განადგურების საწინააღმდეგო ნორმის მიმართ ინტერესის დამთხვევა გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებთან ახლო აღმოსავლეთში). ამას გარდა, სპარსეთის ყურის ომმა ხაზი გაუსვა კოლექტიური უსაფრთხოების კარგად ნაცნობ სხვა სისუსტეებს, როგორიცაა ეფექტიანი „კოლექტიური" ქმედების დამოკიდებულება ნამყვანი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) მიერ ლიდერის როლის შესრულების სურვილზე და, აქედან გამომდინარე, უპირატესობის დილემა, დასავლური ქვეყნებისაგან შემდგარი კოალიციის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებისათვის საჭირო ფართო საერთაშორისო კონსენსუსის მოპოვების სირთულე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრობლემური ურთიერთკავშირი სამხედრო გამარჯვების უზრუნველყოფასა და ომის შემდგომ პერიოდში ეფექტიანი წესრიგის დამყარებას შორის.

წინამდებარე განხილვის საფუძველზე მხოლოდ ორი ზოგადი დასკვნის გაკეთება შეიძლება. პირველი, მინიმალისტური მიდგომის მიხედვით, კოლექტიური უსაფრთხოება მართლაც მიიღწევა, მაგრამ მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში. ამრიგად, კოლექტიური უსაფრთხოება სრულად კი არ უნდა უკუვაგდოთ, არამედ აგრესიის გამოვლენის აშკარა მაგალითებს მივუსადაგოთ, რომლებზეც ქვეყნებს შორის კონსესუსი იარსებებს. საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა ყურადღება გაამახვილოს ეფექტიანი კოლექტიური უსაფრთხოების განხორციელებისათვის საჭირო პირობების დადგენაზე და იმ გლობალური თუ რეგიონული ინსტიტუციური მექანიზმების განვითარებაზე, რომლებიც შესაძლებლობებში შეზღუდულია და უსაფრთხოების ვიწრო განმარტებას გვთავაზობს. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა არ უნდა აგვერიოს სახელმწიფოებს შორის წესრიგის განმაპირობებელ ფაქტორებში; უმჯობესია კონცენტრირება იმ საკითხებზე, რომელთა შესახებაც უკვე არსებობს თანხმობა, ვიდრე ბუნდოვანი და უთანხმოების გამომწვევი დებატების გამართვა.

მინიმალისტური მიდგომა საღ აზრს მოკლებული ნამდვილად არ არის, მაგრამ ის უმნიშვნელო საფუძველს ქმნის საერთაშორისო კოლექტიური მოქმედებით უსაფრთხოების უკვე არსებული ან მომავალში მოსალოდნელი პრობლემების მოგვარებისათვის. ამის გამო, ჩვენ მაქსიმალისტური მიდგომისადმი ინტერესის გაღვივების მოწმენი ვართ, რომელიც უფრო შორსმიმავალი და ფართომომცველი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემისაკენ ნაბიჯების გადადგმას უჭერს მხარს. ვინაიდან სახ-

ელმწიფოებს შორის ფორმალური ომი სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა ხდება, საჭიროა უფრო ფართოდ გაგებული კოლექტიური უსაფრთხოების ცნების ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს როგორც მსხვილმასშტაბიან სამოქალაქო უწესრიგობას, ისე ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საფრთხეებს. ამ მოსაზრების თანახმად, კოლექტიური უსაფრთხოება ყურადღებას უნდა ამახვილებდეს არეულობისა და შეიარაღებული კონფლიქტების გამომწვევ ისეთ მიზეზებზე, რომლებიც სახელმწიფოთა შიდა წყობიდან მომდინარეობს, ასეთებია: შიმშილი, სიღარიბე, ტირანია, ეთნიკური კონფლიქტები და მოწინააღმდეგე ნაციონალისტური იდეოლოგიების შეჯახება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უწესრიგობის წყაროთა უმეტესობა სახელმწიფოთა საზღვრებს შიგნით იღებს სათავეს, გაერო-ს ქარტიის 2.7 მუხლში აღწერილი ჩაურევლობის ნორმა, გაუმჯობესებასა და გარკვეულწილად შესუსტებას საჭიროებს საერთაშორისო კოლექტიური ჩარევისა და საერთაშორისო ნორმების ეფექტიანად ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად. ამ შეხედულებას თუ დავუჭერებთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უფრო აქტიურად უნდა ჩაერიოს სახელმწიფოთა შიგნით მიმდინარე ისეთ პროცესებში, რომლებიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წესრიგს დემოკრატიული მმართველობის მოშლით, ადამიანის უფლებების დარღვევით, ეკონომიკური პროგრესისა თუ გარემოს დაცვისათვის ხელის შეშლით. ეფექტიანი ლიდერობის სირთულიდან გამომდინარე, აშშ-ის ძლიერება და დასავლურ მოკავშირეებს შორის აზრის ერთიანობა უნდა განიხილებოდეს როგორც უფრო ეფექტიანი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნისა და განვითარების ხელსაყრელი შესაძლებლობა. ეფექტიანად მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, სპარსეთის ყურის ომის პრეცედენტზე დაყრდნობით, უნდა ნება დართოს გარკვეულ სახელმწიფოებს, საერთაშორისო საზოგადოების სახელით იმოქმედონ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იარსებებს მცირემასშტაბიან სამშვიდობო ოპერაციებზე უფრო მეტის გაკეთების აუცილებლობა.

ყოველივე ზემოთქმულის განხორციელება შეუძლებელი არ არის. გაერო-ს რეაქცია ქურთულ კრიზისსა და იუგოსლავიის სამოქალაქო ომზე და კამბოჯაში უფრო აქტიური როლის შესრულების მრავალისმომცველი გეგმა გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო შეთანხმებით ამ ორგანიზაციის ფუნქციების გაზრდა და ჩაურევლობის პრინციპის შეზღუდვების გადალახვა შესაძლებელია. თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი სირთულე მაინც რჩება. ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა მოხერხდება მხოლოდ კონსენსუსის მიღწევით საერთაშორისო წესრიგის ხასიათის, მისი ძირითადი ღირებულებებისა და ჩაურევლობის ნორმის დაცვაში გამონაკლისების დაშვების თაობაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „უსაფრთხოება" და „წესრიგი" თვალნათელი ცნებები არ არის და ნაკლებად სავარაუდოა, რომ წესრიგის განმარტებები, რომლებიც სრულიად ცხადია დასაყრელი ლიბერალებისათვის, ასახავდეს იმათ პრიორიტეტებსაც, ვინც ეკონომიკურ და პოლიტიკურ იერარქიაში იმავე პოზიციაზე მოხვედრილი არ არის. მაშასადამე, ახალ მსოფლიო წესრიგში კოლექტიური უსაფრთხოების როლთან დაკავშირებულ დებატებში კვლავაც დაისმევა შეკითხვები, თუ რა სახის უსაფრთხოებასა და ვისთვის უსაფრთხოებას გულისხმობს ეს ცნება. პირველ რიგში, გასარკვევია პრიორიტეტების საკითხი. რამდენად უნდა ზრუნავდეს უფრო ფართო კოლექტიური უსაფრთხოების სისტემები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შეიარაღების დაფინანსების შემცირება, კონტროლი ბირთვული იარაღის გავრცელებაზე, მაღალმგრძნობიარე ტექნოლოგიების შეზღუდვა და ეფექტიანი მექანიზმებ-

ის შექმნა ცივი ომის შემდგომ პერიოდში სამხედრო ძალების გამოყენებისათვის – როგორც ამას განვითარებულ ჩრდილოეთში გვთავაზობენ? ან რამდენად შეიძლება განისაზღვროს „კოლექტიური უსაფრთხოების" ცნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სამართლიანობის გავრცელების ასპექტში – როგორც ამას განვითარებად მსოფლიოში ამტკიცებენ? მეორე, კონსენსუსის მიღწევა ძნელად ეთავსება ერთნაირად მოაზროვნე დასავლურ სახელმწიფოთა მცირე ჯგუფის ხელში ეფექტიანი გადაწყვეტილების მიმღები ძალაუფლების კონცენტრაციას. მრავალი სახელმწიფოსათვის დემოკრატიული საერთაშორისო წესრიგი აუცილებლად უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიანობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. და მესამე, ჩაურევლობის პრინციპს დაიცავს უამრავი სახელმწიფო არა დიქტატორების საქმიანობაზე ხელის დასაფარებლად ან უმცირესობათა უფლებების შელახვაზე თვალის დასახუჭად, არამედ იმიტომ, რომ ეს ნორმა სთავაზობს მათ დაცვას ისეთი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედებისაგან, რომლის წინაშეც ისინი დაუცველნი არიან. ამრიგად, შეიარაღებული კონფლიქტების საშინაო წყაროების საერთაშორისო დონეზე ეფექტიანად მოწესრიგების პრობლემა, სახელმწიფოთაშორისო წესრიგის სტრუქტურის დაურღვეველად (რომლის ქვაკუთხედსაც წარმოადგენს ჩაურევლობის ნორმა), როგორც ჩანს, 1990-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ურთულესი საკითხი იქნება და კოლექტიური უსაფრთხოებისადმი მაქსიმალისტური მიდგომის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ დებატებშიც ცენტრალურ ადგილს დაიკავებს.

თარგმნა სოფიო პეტრიაშვილმა

რობერტ კიოჰეინი და ჯოზეფ ნაი
ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო პოლიტიკაში*

ჩვენ ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს ბუნდოვანი ფრაზა გამოხატავს არასაკმარისად გაცნობიერებულ, მაგრამ ფართოდ გავრცელებულ შეგრძნებას, რომ მსოფლიო პოლიტიკის არსი იცვლება. ერების ძლიერება – ანალიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეების მრავალსაუკუნოვანი სასინჯი კრიტერიუმი – უფრო ძნელად გასაგები გახდა: „ძალის გამოთვლის მეთოდები უფრო დახვეწილია და, ამავე დროს, უფრო არაზუსტი, ვიდრე წარსულში."[1] ჰენრი კისინჯერმა, რომელიც კლასიკურ ტრადიციას ეყრდნობოდა, განაცხადა, რომ „საერთაშორისო საკითხების ტრადიციული დღის წესრიგი – ძალთა ბალანსი უძლიერეს სახელმწიფოებს შორის, ერების უსაფრთხოება – აღარ განსაზღვრავს ჩვენს საფრთხეებსა და შესაძლებლობებს . . . ჩვენ ახალ ეპოქაში შევდივართ. ძველი საერთაშორისო მოდელები იმსხვრევა; ძველი მოწოდებები აღარაა ყურადსაღები; ძველი გადაწყვეტილებები გამოუსადეგარია. მსოფლიო ურთიერთდამოკიდებული გახდა ეკონომიკურად, კომუნიკაციებითა და ადამიანთა მისწრაფებებით."[2]

რამდენად ძირეულია ეს ცვლილებები? მოდერნისტული სკოლა მიიჩნევს, რომ ტელეკომუნიკაციები და რეაქტიული თვითმფრინავებით მოგზაურობა „გლობალურ სოფელს" ქმნის, ხოლო სოციალური და ეკონომიკური პროცესების განვრცობა აყალიბებს „მსოფლიოს საზღვრების გარეშე."[3] ასეა თუ ისე, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ თანამედროვე ეპოქაში ტერიტორიულმა სახელმწიფომ, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში დომინირებდა ფეოდალური ხანის დასასრულიდან ოთხი საუკუნის განმავლობაში, თავისი მნიშვნელობა დაკარგა ისეთი არატერიტორიული მოქმედი პირების გამოჩენასთან ერთად, როგორიცაა მრავალეროვნული კორპორაციები, ტრანსნაციონალური სოციალური მოძრაობები და საერთაშორისო ორგანიზაციები. როგორც ერთმა ეკონომისტმა აღნიშნა, „სახელმწიოფომ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, როგორც ეკონომიკურმა ერთეულმა."[4]

ტრადიციონალისტები ამ ვარაუდებს დაუსაბუთებელ „გლობალონიას" უწოდებენ. ისინი მსოფლიო პოლიტიკის მუდმივ ხასიათზე მიუთითებენ. სამხედრო ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის არსებობდა და სამხედრო ძალა დღემდე მნიშ-

---

* **Robert O. Keohane & Joseph S. Nye, Interdependence in World Politics, Realism and Complex Interdependence, from *Power and Interdependence*, Boston: Little, Brown and Company, Inc., 1977. Chapters 1-2, pp. 3-19, 23-37. Reprinted by permission of Addison-Wesley Educational Publishers, Inc.**

[1] Stanley Hoffman, "Notes on the Elusiveness of Modern Power," *International Journal* 30 (Spring 1975): 184.

[2] "A New National Partnership," speech by Secretary of State Henry A. Kissinger at Los Angeles, January 24, 1975. News Release, Department of State, Bureau of Public Affairs, Office of Media Services, p. 1.

[3] იხილეთ მაგალითად: Lester R. Brown, *World Without Borders: The Interdependence of Nations* (New York: Foreigh Policy Association, Headline Series, 1972).

[4] Charles Kindleberger, *American Business Abroad* (New Haven: Yale University Press, 1969), p. 207.

ვნელოვანია მსოფლიო პოლიტიკაში – მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ბირთვული შეკავება; ვიეტნამის, ახლო აღმოსავლეთისა და ინდოეთ-პაკისტანის ომები; საბჭოთა კავშირის გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში ან აშშ-ის გავლენა კარიბის ზღვის აუზში. უფრო მეტიც, როგორც ეს საბჭოთა კავშირის მაგალითზე გამოჩნდა, ავტორიტარულ სახელმწიფოს შეუძლია გარკვეულ დონემდე გააკონტროლოს ტელეკომუნიკაციები და სოციალური ურთიერთკავშირები, თუ მათ ხელის შემშლელად მიიჩნევს. ღარიბმა და სუსტმა ქვეყნებმაც კი შეძლეს მრავალეროვნული კორპორაციების ნაციონალიზაცია, ხოლო ნაციონალიზმის ფართოდ გავრცელება ეჭვქვეშ აყენებს იმ მოსაზრებას, რომ ერი-სახელმწიფო ქრება.

არც მოდერნისტებს და არც ტრადიციონალისტებს არ გააჩნიათ ადეკვატური ანალიტიკური ჩარჩო მსოფლიო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ასახსნელად.[5] მოდერნისტები მართებულად მიანიშნებენ ფუნდამენტურ ცვლილებებზე, რომლებიც ამჟამად ხდება, მაგრამ ისინი ხშირად, საკმარისი ანალიზის გარეშე, ვარაუდობენ, რომ ტექნოლოგიური წინსვლა და სოციალური და ეკონომიკური ურთიერთკავშირების გააქტიურება ახალ მსოფლიომდე მიგვიყვანს, რომელშიც სახელმწიფოები და მათ მიერ ძალის კონტროლი მნიშვნელობას დაკარგავს.[6] ტრადიციონალისტები ოსტატურად წარმოაჩენენ მოდერნისტული ხედვის ხარვეზებს სამხედრო ურთიერთდამოკიდებულების არსებობაზე ყურადღების გამახვილებით, მაგრამ ზუსტად ვერ განმარტავენ თანამედროვე მრავალგანზომილებიან ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ურთიერთდამოკიდებულებას.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მოდერნისტების ან ტრადიციონალისტების პოზიციის დაცვა. ვინაიდან ჩვენს ეპოქაში შეინიშნება როგორც მუდმივობა, ისე ცვლილებები ეს უშედეგო იქნებოდა. ჩვენი მიზანია ამ ორივე მიმართულების სიბრძნის გამოაშკარავება და შეჯერება ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკური ანალიზისათვის თანამიმდევრული თეორიული ჩარჩოს შემუშავებით. ჩვენ ჩამოვაყალიბებთ რამდენიმე განსხვავებულ, მაგრამ პოტენციურად ურთიერთშემავსებელ მოდელს ან ინტელექტუალურ საშუალებას თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ურთიერთდამოკიდებულების რეალობის გასაგებად. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვეცდებით იმ პირობების შესწავლას, რომლებშიც თითოეული მოდელი ზუსტ წინასწარმეტყველებასა და დამაკმაყოფილებელ განმარტებებს მოგვცემს. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა არ არის ერთიანი ქსელი, ის განსხვავებული ურთიერთობების მოზაიკაა. ასეთ მსოფლიოში ერთი მოდელი ყველა შემთხვევას ვერ ახსნის. გაგების საიდუმლო იმის ცოდნაშია, თუ რომელი მიდგომა ან მიდგომათა როგორი კომბინაცია უნდა გამოვიყენოთ ამა თუ იმ სიტუაციის ანალიზისას. რეალური ვითარების ზედმიწევნით გაანალიზებას ვერაფერი ჩაენაცვლება.

თუმცა, თეორიის თავიდან აცილება შეუძლებელია; ნებისმიერი ემპირიული ან პრაქტიკული ანალიზი ამას ეფუძნება. პრაგმატულმა პოლიტიკის შემოქმედებმა შეიძლება იფიქრონ, რომ მათ ისევე არ უნდა მიაქციონ ყურადღება თეორიულ დავებს მსოფლიო პოლიტიკის ბუნების შესახებ, როგორც შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკურ კამათებს იმის თაობაზე, თუ რამდენი ანგელოზი დაეტევა ნემსის წვერზე. მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ნაშრომები მნიშვნელოვან კვალს ტოვებს პოლიტიკოსთა აზროვნებაში, რაც მათ მიერ გატარებულ პოლიტიკაში აისახება. „პრაქტიკოსი ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თავისუფალნი არიან ინტელექტუალური

[5] ტერმინები ნასესხებია სტენლი ჰოფმანისაგან: Stanley Hoffman, "Choices," *Foreign Policy* 12 (Fall 1973): 6.

[6] იხილეთ, მაგალითად: Robert Angell, Peace on the March: Transnational Participation (New York: Van Nostrand, 1969).

ზეგავლენისაგან" არა მარტო იმყოფებიან „ვიღაც მწერლების მიერ მრავალი წლის წინ შექმნილი კონცეფციების" გაუცნობიერებელ ტყვეობაში, არამედ საკუთრივ მწერლებიც სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობენ საგარეო პოლიტიკის შექმნაში.[7] მსოფლიო პოლიტიკის მცდარმა და ცუდად მოფიქრებულმა ხედვებმა შეიძლება შეუსაბამო ან, სულაც, სავალალო ეროვნულ პოლიტიკამდე მიგვიყვანოს.

ლოგიკური საფუძველი და რაციონალიზმი, სისტემური წარმოდგენა და სიმბოლიზმი იმდენად გადაიხლართა ერთმანეთში, რომ თვით პოლიტიკის შემოქმედებასაც კი უჭირთ რეალობისა და რიტორიტიკის ურთიერთგამიჯვნა. ტრადიციულად, მსოფლიო პოლიტიკის კლასიკური თეორიები გვიხატავდა „ომის მდგომარეობას," რომელშიც სახელმწიფოების ქცევას სამხედრო კონფლიქტის მუდმივი საფრთხე განსაზღვრავდა. ცივი ომის დროს, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულში, ეს კონცეფცია, რომელსაც მისმა მიმდევრებმა „პოლიტიკური რეალიზმი" უწოდეს, ფართოდ გავრცელდა საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელთა და პრაქტიკოსთა წრეებში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.[8] 1960-იან წლებში გამჭრიახი მიმომხილველები, რომლებიც პოლიტიკური რეალიზმის მიდგომებს იზიარებდნენ, ძნელად აღიქვამდნენ იმ ახალ საკითხებს, რომლებიც ნაკლებად იყო კავშირში სამხედრო უსაფრთხოებასთან.* ამგვარ ხედვას 1970-იანი ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში მეცნიერების უფრო არარეალისტურ მოლოდინამდე მიყვანა შეუძლია. თუმცა, სარწმუნოდ რომ მივიჩნიოთ ანალოგიურად მარტივი ხედვა, რომლის მიხედვითაც სამხედრო ძალა მოძველებულია, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება კი – სუსტი, მართალია განსხვავებულ, მაგრამ ასეთივე მძიმე, შეცდომებს დავუშვებთ.

როგორია საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი მახასიათებლები, როდესაც ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ კი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ფართოდ გავრცელებულია?[9] ეს ერთ-ერთია იმ ორ ძირითად საკითხს შორის, რომლებიც უნდა განვიხილოთ. . . შემდგომი ანალიზისათვის საფუძვლის შესაქმნელად ჩვენ ჯერ განვმარტავთ ტერმინს ურთიერთდამოკიდებულება, განვასხვავებთ მის ძირითად ტიპებს და დავუკავშირებთ მათ ძალის ცნებას, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო პოლიტიკის ანალიზისათვის.

ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკასა და სახელმწიფოების ქცევაზე, მაგრამ მთავრობათა მოქმედებაც, თავის მხრივ, გავლენას

---

[7] John Meinard Keynes, *The General Theory of Employment, Interest and Money* (London: Macmillan, 1957), p. 383.

[8] პოლიტიკური რეალიზმის კლასიკური თანამედროვე ფორმულირებისათვის იხილეთ ჰანს მორგენთაუს ნაშრომები, განსაკუთრებით მისი: *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace* (New York: Knopf, 1948 და შემდგომი წლების გამოცემები), აგრეთვე, "Another 'Great Debate': The National Interest of the United States," *American Political Science Review* 46 (December 1952): 961-88; და *Scientific Man Versus Power Politics* (Chicago: University of Chicago Press, 1946). „რეალისტური" პოზიციის განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავი გამოხატულება იხილეთ ედვარდ ქარის ნაშრომში: *The Twenty Years' Crisis, 1919-1939,* 2nd ed. (London: Macmillan, 1946). თუმცაღა, ქარი უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლების ეკონომიკურ წყაროებზე.

* ნაშრომში: *The Troubled Partnership* (New York: McGraw-Hill for the Council on Foreign Relations) პენრი კისინჯერმა განიხილა ალიანსების პრობლემები ეკონომიკური საკითხებისაგან თითქმის განყენებულად მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელებს სერიოზული უთანხმოება შეჰქონდა ნატოელ მოკავშირეებს შორის.

[9] ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ იხილეთ: Richard Rosecrance and Arthur Stein, "Interdependence: Myth or Reality," *World Politics* 26, no. 1 (October 1973) და Peter J, Katzenstein, "International Interdependence: Some Long-Term Trends and Recent Changes," *International Organization* 29, no. 4 (Fall 1975).

ახდენს ურთიერთდამოკიდებულების მოდელებზე. გარკვეული ქმედებების განსახორციელებლად პროცედურების, წესებისა და ინსტიტუტების შექმნით ან მიღებით, სახელმწიფოები ტრანსნაციონალურ ან შინასახელმწიფოებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ. ამგვარ შეთანხმებებს მომავალში *საერთაშორისო რეჟიმებს* ვუწოდებთ. მეორე ძირითად საკითხს, თუ როგორ და რატომ იცვლება საერთაშორისო რეჟიმები . . . სხვაგან განვიხილავთ . . .

ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ ანალიტიკური კონცეფცია არ არის. ის რიტორიკული მეთოდიცაა, რომელსაც პუბლიცისტები და სახელმწიფო მოღვაწეები იყენებენ. ამ უკანასკნელთათვის, ვისაც საკუთარი დროშების ქვეშ რაც შეიძლება მეტი ხალხის დარაზმვა სურთ, საყოველთაოდ მოსაწონ ბუნდოვან სიტყვებს სარგებელი მოაქვს. ანალიტიკოსისათვის კი ამგვარი ბუნდოვანება დაბნეულობისაკენ მიმავალი გზაა. ვიდრე გამოსადეგ კონცეფციას შევქმნიდეთ და უკეთ გავიგებდეთ ურთიერთდამოკიდებულებასა და რეჟიმთა ცვლილებას, საჭიროა რიტორიკაში გავერკვეთ. ჩვენი მიზანია ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკის ანალიზი და არა ქება.

ურთიერთდამოკიდებულების ახალი რიტორიკა

ცივი ომის დროს ლოზუნგს „ეროვნული უსაფრთხოება" ამერიკელი პოლიტიკური ლიდერები თავიანთი პოლიტიკისათვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად იყენებდნენ. ეროვნული უსაფრთხოების რიტორიკა, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ამართლებდა სტრატეგიებს, რომლებიც „თავისუფალი მსოფლიოს" ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური წყობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ის, აგრეთვე, ლოგიკურ საფუძველს უქმნიდა საერთაშორისო თანამშრომლობასა და გაერო-ს მხარდაჭერას, ამავე დროს, ამართლებდა ალიანსებს, უცხოურ დახმარებასა და ფართომასშტაბიან სამხედრო ჩარევას.

ეროვნული უსაფრთხოება მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ის გაძლიერებული ჩარევის მომხრე ინტერნაციონალისტების საყვარელი სიმბოლო გახდა. თეთრ სახლში საგარეო პოლიტიკის მთავარ მაკოორდინირებელ უწყებად ეროვნული უშიშროების საბჭო დასახელდა. ტრუმენის ადმინისტრაციამ საბჭოთა კავშირის საფრთხე ბრიტანეთისათვის სესხის გაცემის გადაწყვეტილებისა და მარშალის გეგმის კონგრესში დასამტკიცებლად გამოიყენა. კენედის ადმინისტრაციამ კი კონგრესს, უსაფრთხოების არგუმენტის მეშვეობით, 1962 წელს ვაჭრობის გაფართოების აქტი მიაღებინა. პრეზიდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ ეროვნული უსაფრთხოების თემაზე იმისათვის, რომ გაეკონტროლებინათ კონგრესში გარკვეული სექტორული ეკონომიკური ინტერესები, რომლებიც პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის გატარებას ითვალისწინებდა. კონგრესმენები, რომლებიც თავიანთ რეგიონებში არასასურველი ეკონომიკური შედეგებისა და გადასახადების გაზრდის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, დარწმუნებული იყვნენ – და, თავის მხრივ, ამომრჩევლებსაც უსხნიდნენ – რომ „ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი" მათგან მსხვერპლის გაღებას მოითხოვდა. ამავე დროს, განსაკუთრებული ინტერესების გამო, ხშირად ხდებოდა ეროვნული უსაფრთხოების სიმბოლიზმით მანიპულირება, რისი შედეგიც იყო ნავთობის იმპორტზე კვოტების დაწესება, განხორციელებული სამამულო ნავთობმწარმოებლებისა და მათი პოლიტიკური მოკავშირეების ძალისხმევით.[10]

ეროვნული უსაფრთხოების სიმბოლიზმი დიდწილად ცივი ომისა და

[10] იხილეთ: Robert Engler, *The Politics of Oil: Private Power and Democratic Directions* (Chicago: University of Chicago Press, 1962).

ამერიკელების მიერ იმხანად საფრთხის შეგრძნების შედეგი იყო. მის დამაჯერებლობას ზრდიდა რეალისტური ანალიზი, რომლის მიხედვითაც ეროვნული უსაფრთხოება სახელმწიფოს უპირველესი მიზანია, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკაში უსაფრთხოებისადმი მუქარა მუდმივია. ეროვნული უსაფრთხოების სიმბოლიზმა და ანალიზის რეალისტურმა მეთოდმა, რომელიც მისი საფუძველი იყო, არა მარტო შეაჯერა მოვლენებზე რეაგირების გარკვეული გზები, არამედ ხელი შეუწყო ისეთი ნარმოდგენის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი ცვლილება, კერძოდ რადიკალური რეჟიმების დამყარება მესამე სამყაროს ქვეყნებში, ეროვნული უსაფრთხოებისათვის საზიანო ჩანდა მაშინ, როდესაც ფუნდამენტური ცვლილებები განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში უმნიშვნელოდ იყო მიჩნეული.

ცივი ომის დროინდელი საფრთხის შეგრძნების გაქრობასთან ერთად გამწვავდა საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენცია და კონფლიქტი მოგების შიდა გადანაწილებისათვის. „ეროვნული უსაფრთხოების" ინტელექტუალური ორაზროვნობა უფრო შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც ჩარევის სხვადასხვაგვარმა და, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსანინააღმდეგო ფორმებმა ერთიან რიტორიკაში პოვა თავშესაფარი.[11] მსოფლიოს ხუთ ძირითად ცენტრს შორის (აშშ, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, ევროპა, იაპონია) ძალთა ბალანსის შესახებ თავის წარმოდგენაში პრეზიდენტმა ნიქსონმა წარუმატებლად სცადა, გაეფართოებინა ტრადიციული რეალისტური ცნებები და მიესადაგებინა ისინი იმ ეკონომიკური გამოწვევებისათვის, რომლებიც აშშ-ის ომის შემდგომი მოკავშირეებიდან მომდინარეობდა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის პოლიტიკური თუ სამხედრო ქმედებებიდან.

როდესაც ეროვნული უსაფრთხოების იმ ხედვამ, რომელშიც სამხედრო ფაქტორები დომინირებდა, აღწერილობითი სიზუსტე დაკარგა, ტერმინის სიმბოლური ძალაც შესუსტდა. ეს ფაქტი გამოწვეული იყო არა მარტო ტერმინის ორაზროვნობით, არამედ ამერიკული საზოგადოების რეაქციით ვიეტნამის კრიზისზე, რუსეთთან და ჩინეთთან ნაკლებად მტრულ ურთიერთობაზე, რასაც *დეტანტი* ეწოდა, და პრეზიდენტ ნიქსონის მიერ უოტერგეიტის საქმეში ეროვნული უსაფრთხოების რიტორიკის არასწორად გამოყენებაზე. ინტერნაციონალისტთა ლექსიკონში ეროვნულმა უსაფრთხოებამ, როგორც უპირველესმა სიმბოლომ, ადგილი გაუნაწილა *ურთიერთდამოკიდებულებას.*

პოლიტიკური ლიდერები ხშირად იყენებენ ურთიერთდამოკიდებულების რიტორიკას, რათა ეს მოვლენა წარმოაჩინონ ბუნებრივ აუცილებლობად, ფაქტად, რომელსაც პოლიტიკა (და ქვეყნის შიგნით არსებული ინტერესთა ჯგუფები) უნდა შეეწყოს და არა როგორც ვითარებას, რომელიც ნაწილობრივ პოლიტიკითაა განპირობებული. ისინი, როგორც წესი, ამტკიცებენ, რომ ურთიერთდამოკიდებულება ინტერესთა კონფლიქტებს ამცირებს და, რომ თანამშრომლობა მსოფლიოში არსებული პრობლემების გადაჭრის ერთადერთი საშუალებაა.

„ჩვენ ყველანი ერთ წამონყებაში ვართ ჩართულნი. ვერც ერთი ერი ან ერთა ჯგუფი მოგებას ვერ ნახავს, თუ გასცდება ზღვარს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობს. ძალის გამოცდაზე პროგრესის დაფუძნებით ვერავინ ნახავს

[11] კლასიკური ნააზრევია არნოლდ უოლფერსის სტატია: "National Security as an Ambiguous Symbol." იხილეთ მისი ესეების კრებული: *Discord and Collaboration* (Baltimore: Johns Hopkins University Press, 1962). დანიელ იერგინის ნაშრომი ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინის წარმოშობის შესახებ (თავდაცვის ტრადიციული კონცეფციის სანაცვლოდ) მას ცივი ომის ეპოქის „გაბატონებულ იდეად" განიხილავს. იხილეთ: Daniel Yergin, *The Shattered Peace: The Rise of the National Security State* (Boston: Houghton Mifflin, 1976).

სარგებლს."[12] ეს სიტყვები ეკუთვნის სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც მესამე სამყაროს ქვეყნების მხრიდან მოთხოვნების შემცირებასა და საკუთარ ქვეყანაში საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენას უფრო ცდილობს, ვიდრე თანამედროვე რეალობის გაანალიზებას. მათთვის, ვისაც სურს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსოფლიო ლიდერობა შეინარჩუნოს, ურთიერთდამოკიდებულება ახალი რიტორიკის ნაწილი გახდა, რომელიც გამოიყენება ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ნაციონალიზმის, ხოლო საზღვარგარეთ აგრესიული გამოწვევების წინააღმდეგ. მართალია, ურთიერთდამოკიდებულების რიტორიკისა და ეროვნული უსაფრთხოების სიმბოლიზმის განმარტებები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ თითოეული მათგანი ხშირად გამოიყენებოდა მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ის საპრეზიდენტო ლიდერობის ლეგიტიმაციისათვის.

მიუხედავად ამისა, ურთიერთდამოკიდებულების რიტორიკა და ეროვნული უსაფრთხოების სიმბოლიზმი რთულად თანაარსებობს. უკიდურესი ფორმულირებით, პირველი ამტკიცებს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარსულს ჩაბარდა, მეორე კი ვარაუდობს, რომ ინტერესთა კონფლიქტები არის და იქნება ფუნდამენტური და პოტენციურად ძალადობის შემცველი. დაბნეულობას იმის თაობაზე, თუ რომელი ანალიტიკური მოდელები უნდა მივუსადაგოთ მსოფლიო პოლიტიკას (როგორც ადრე აღვნიშნეთ) მოსდევს გაუგებრობა, თუ როგორი პოლიტიკის გატარება მართებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ვერც ურთიერთდამოკიდებულების რიტორიკა და ვერც ეროვნული უსაფრთხოების სიმბოლიზმი ვერ გვთავაზობს საიმედო სახელმძღვანელო პრინციპებს ფართომომცველი ურთიერთდამოკიდებულების პრობლემათა გადასაწყვეტად.

ურთიერთდამოკიდებულების რიტორიკოსები ხშირად აცხადებენ, რომ ვინაიდან კაცობრიობის გადარჩენას მუდმივად ემუქრება ეკოლოგიური და სამხედრო საფრთხეები, სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ინტერესთა კონფლიქტები აღარ არსებობს. ამგვარი დასკვნის გაზიარება შესაძლებელია მხოლოდ სამი პირობის არსებობის შემთხვევაში: საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა, რომელზეც ყველანი დამოკიდებულნი ვართ ან ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ეკოლოგიური სისტემა საფრთხეში რომ იყოს; ყველა ქვეყანა ამგვარი კატასტროფისაგან საგრძნობლად დაუცველი რომ იყოს; და ამ პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ ერთი საშუალება რომ არსებობდეს (რის გამოც აღარ წარმოიქმნება კონფლიქტი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადაიჭრას პრობლემა და ვინ უნდა გაიღოს ხარჯი). აშკარაა, რომ ეს პირობები ერთად იშვიათადაა მოცემული.

თუმცა, ძალთა ბალანსის თეორიები და ეროვნული უსაფრთხოების ხედვა ასევე არაადეკვატურად მიესადაგება ეკონომიკური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების პრობლემათა გაანალიზებას. უსაფრთხოება, ტრადიციული გაგებით, აღარ არის ის ძირითადი საკითხი, რომელიც სახელმწიფოებმა უნდა მოაგვარონ. როდესაც სამხედრო ძალა არაეფექტიანია ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში, ძლიერების ტრადიციულ ცნებას სიზუსტე აკლია. კერძოდ, სხვადასხვა საკითხის მოგვარებას განსხვავებული ძალისმიერი რესურსები შეიძლება დასჭირდეს. და ბოლოს, ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკაში გარკვეული ადგილი უკავია საშინაო და ტრანსნაციონალურ, ასევე სახელისუფლებო ინტერესებს. საშინაო და საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული გახდა. ეროვნული ინტერესის ცნების – ტრადიციონალისტთა ძირითადი „გზამკვლევი ვარსკვლავის" – ეფექტიანად გამოყ-

[12] Secretary of State Henry A. Kissinger, Address before the Sixth Special Session of the United Nations General Assembly, April 15, 1974, News Release, Department of State, Office of Media Services, p. 2. Reprinted in *International Organization* 28, no. 3 (Summer 1974): 573-83.

ენება სულ უფრო რთული ხდება. საერთაშორისო პოლიტიკის ტრადიციული მაქსიმები – რომ სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული ინტერესების შესაბამისად იმოქმედებენ და საკუთარი ძალის მაქსიმიზაციას შეეცდებიან – ორაზროვანი გახდა.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებასთან ერთად საერთაშორისო კონფლიქტი გაქრება. პირიქით, ეს კონფლიქტი ახალ ფორმებს მიიღებს და შეიძლება გამწვავდეს კიდეც. მაგრამ ტრადიციული მიდგომები მსოფლიო პოლიტიკაში კონფლიქტის შესწავლისადმი კარგად ვერ ახსნის ურთიერთდამოკიდებულების პირობებში განვითარებულ კონფლიქტს. მცდარი ხედვისა და მცდარი რიტორიკის პრობლემებისადმი მისადაგება არასწორ ანალიზამდე და ცუდ პოლიტიკამდე მიგვიყვანს.

ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ანალიტიკური კონცეფცია

საყოველთაოდ გავრცელებული განსაზღვრებით, *დამოკიდებულება* აღნიშნავს გარეშე ძალებისაგან განპირობებულობის ან მათი მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ ყოფნის მდგომარეობას. *ურთიერთდამოკიდებულება* კი, ყველაზე მარტივი განსაზღვრებით, *ორმხრივ* დამოკიდებულებას ნიშნავს. ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო პოლიტიკაში წარმოადგენს ისეთ ვითარებას, როდესაც ურთიერთობა ქვეყნებს ან სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მოქმედ პირებს შორის ორმხრივი ეფექტებით ხასიათდება.

ეს ეფექტები ხშირად საერთაშორისო ურთიერთქმედებას მოჰყვება – ფულის, პროდუქციის, ადამიანებისა და მიმართვების მიერ საერთაშორისო საზღვრების გადაკვეთას. ასეთი ურთიერთქმედება შესამჩნევად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ: „უკანასკნელ ათწლეულებში გამოიკვეთა ზოგადი ტენდენცია, რომ სახელმწიფოთა საზღვრების მკვეთი, ადამიანთა ურთიერთდაკავშირებულობის მრავალი ფორმა ყოველ ათ წელიწადში ორმაგდება.”[13] თუმცა, ამგვარი ურთიერთდაკავშირებულობა არ არის იგივე, რაც ურთიერთდამოკიდებულება. ურთიერთქმედების ეფექტებს ურთიერთდამოკიდებულებაზე მათთან დაკავშირებული შეზღუდვები ან ხარჯები განსაზღვრავს. ქვეყანა, რომელიც ნავთობზე საკუთარ მოთხოვნას მთლიანად იმპორტით აკმაყოფილებს, უფრო მეტად დამოკიდებულია ნავთობის მუდმივად შემოდინებაზე, ვიდრე ქვეყანა, რომელიც (თუნდაც ასეთივე ფულადი ღირებულების) ბეწვეულის, საიუველირო ნაწარმისა და პარფიუმერიის იმპორტს ახდენს, დამოკიდებულია ფუფუნების საგნების უწყვეტად შეძენაზე. როდესაც ურთიერთქმედებას ორმხრივი (თუმცა, არა აუცილებლად სიმეტრიული) ძვირად ღირებული ეფექტები მოსდევს, ურთიერთდამოკიდებულების მონმენი ვართ, ხოლო როდესაც ურთიერთქმედებას არ აქვს შესამჩნევი ძვირად ღირებული ეფექტები, მაშინ საქმე გვაქვს მხოლოდ ურთიერთდაკავშირებულობასთან. ამ განსხვავებას სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, თუ ურთიერთდამოკიდებულების *პოლიტიკის* გაგება გვსურს.

ძვირად ღირებული ეფექტები შეიძლება პირდაპირ და განზრახ იქნეს თავს მოხვეული სხვა მოქმედი პირის მიერ – როგორც, მაგალითად, საბჭოთა-ამერიკული სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევაში, რომელიც ბირთვული განადგურების ორმხრივი საფრთხიდან გამომდინარეობს. მაგრამ ზოგიერთი ძვირად ღირებული ეფექტი პირდაპირ და განზრახ არ არის გამოწვეული სხვა მოქმედი პირების მიერ. მაგალითად, კოლექტიური მოქმედება შეიძლება აუცილებელი იყოს უბედურების თავიდან ასაცილებლად იმ ალიანსისათვის (რომლის წევრებიც ურთიერთ-

[13] Alex Inkeles, "The Emerging Social Structure of the World," *World Politics* 27 (July 1975): 479.

დამოკიდებულნი არიან), საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისათვის (რომელიც ქაოსში შეიძლება აღმოჩნდეს უფრო კოორდინაციის არარსებობის, ვიდრე რომელიმე მოქმედი პირის არაკეთილმოსურნეობის გამო) ან ეკოლოგიური სისტემისათვის, რომელსაც სამრეწველო ნარჩენების ოდენობის ზრდა უქმნის საფრთხეს.

ჩვენ არ დაგვყავს *ურთიერთდამოკიდებულება* მხოლოდ ორმხრივი სარგებლის შემთხვევებამდე. ამგვარი განსაზღვრებით, კონცეფცია ანალიტიკურად გამოსადეგი იქნებოდა მხოლოდ სამყაროს მოდერნისტული ხედვის გაბატონების პირობებში: როდესაც სამხედრო საფრთხეთა რიცხვი მცირეა და კონფლიქტების დონეც დაბალია. ურთიერთდამოკიდებულების ეს კონცეფცია გამორიცხავდა ორმხრივი დამოკიდებულების ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულება. ამას გარდა, გაურკვეველი იქნებოდა, უნდა განიხილებოდეს თუ არა ინდუსტრიულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობები ურთიერთდამოკიდებულად. მათი მოაზრება ურთიერთდამოკიდებულების მოდელში დაკავშირებული იქნებოდა სუბიექტურ მსჯელობასთან იმის შესახებ, არის თუ არა მოცემული ურთიერთობები „ორივე მხარისათვის სარგებლიანი."

იმის გამო, რომ გვსურს თავიდან ავიცილოთ უშედეგო კამათი ამა თუ იმ ურთიერთობის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე და ვინაიდან ვცდილობთ ურთიერთდამოკიდებულების კონცეფცია ტრადიციული და მოდერნისტული მიდგომების ინტეგრაციისათვის და არა გაყოფისათვის გამოვიყენოთ, ჩვენ უფრო ფართო განმარტებას ავირჩევთ. ჩვენი წარმოდგენით, ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობები ყოველთვის შეიცავს ხარჯებს, რადგანაც ურთიერთდამოკიდებულება ზღუდავს ავტონომიას, მაგრამ შეუძლებელია *a priori* იმის მტკიცება, რომ ურთიერთობის სარგებელი გაღებულ ხარჯებს გადააჭარბებს. ეს დამოკიდებული იქნება მოქმედი პირების ღირებულებებზე, აგრეთვე ურთიერთობის ხასიათზე. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ჩვენს მიერ „ურთიერთდამოკიდებულად" განსაზღვრული ურთიერთობებისათვის ორმხრივი სარგებლიანობა იქნება დამახასიათებელი.

ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობების ხარჯისა და სარგებლის გასაანალიზებლად ორი განსხვავებული შეხედულების გაზიარება შეიძლება. პირველი ყურადღებას ამახვილებს მონაწილე მხარეების ერთობლივ მოგებაზე ან ერთობლივ დანაკარგზე. მეორე კი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს *შედარებითი* მოგებისა და მისი გადანაწილების საკითხებს. კლასიკოსმა ეკონომისტებმა გაიზიარეს პირველი შეხედულება როდესაც ჩამოაყალიბეს მძლავრი თეორია შედარებითი უპირატესობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, შეუფერხებელი საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში ყველა ქვეყანა სარგებელს ნახავს. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთობლივ მოგებაზე ყურადღების შეჩერებამ, შესაძლოა, გადაფაროს მეორე მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ ნაწილდება მოგება. ურთიერთდამოკიდებულების ბევრი გადამწყვეტი პოლიტიკური საკითხი არ სცდება ძველ შეკითხვას: „ვინ რას მიიღებს?"

აუცილებელია მოვერიდოთ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ურთიერთობიდან მიღებული ერთობლივი სარგებლის გაზრდის ზომები გადანაწილების კონფლიქტს გამორიცხავს. მთავრობები და არასამთავრობო ორგანიზაციები შეეცდებიან საკუთარი წილის გაზრდას ურთიერთქმედებიდან მიღებულ მოგებაში, მაშინაც კი, როცა ორივენი უზარმაზარ სარგებელს იღებენ ამ ურთიერთობის შედეგად. ასე მაგალითად, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მთავრობები და მრავალეროვნული ნავთობკორპორაციები საერთო ინტერესს გამოხატავენ ნავთობზე ფასების ზრდისადმი, მაგრამ, ამავე დროს, კონფლიქტში არიან ჩაბმულნი მოგების გადანაწილებისათვის.

ამდენად, ჩვენ სიფრთხილით უნდა შევხედოთ იმ პერსპექტივას, რომ მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, საერთაშორისო კონფლიქტის ძველი ცუდი მსოფლიოს ნაცვლად, თანამშრომლობის მამაც ახალ მსოფლიოს შექმნის. პატარა ბავშვის ყველა მშობელმა კარგად იცის, რომ დიდი ნამცხვრის გამოცხობით ბავშვები არ შეწყვეტენ დავას ნაჭრების ზომის გამო. ოპტიმისტური მიდგომა ვერ გააცნობიერებს ეკონომიკური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების სარგებელს კონკურენტული საერთაშორისო პოლიტიკისათვის.

ტრადიციულ საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკას შორის განსხვავება *არ* არის იგივე, რაც სხვაობა „ნულოვანჯამიანი" (როდესაც ერთი მხარის მოგება მეორის ნაგებაა) და „არანულოვანჯამიანი" თამაშების მსოფლიოებს შორის. სამხედრო ურთიერთდამოკიდებულება არ არის აუცილებელი, რომ ნულოვანჯამიანი იყოს. მართლაც, სამხედრო მოკავშირეები აქტიურად ცდილობენ ურთიერთდამოკიდებულების მიღწევას ყველასათვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თვით ძალთა ბალანსის შემთხვევებიც კი აუცილებელი არ არის, რომ ნულოვანჯამიანი იყოს. თუ ერთ მხარეს სტატუს კვოს დარღვევა სურს, მაშინ ის მოგებას სხვა მხარის ხარჯზე ნახავს, მაგრამ თუ ყველა მონაწილეს ან მათ უმეტესობას სტაბილური სტატუს კვო სწადია, მაშინ მათ შეუძლით ერთობლივი მოგების მიღება ერთმანეთს შორის ძალთა ბალანსის შენარჩუნებით. ამის საპირისპიროდ, ეკონომიკური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკა გულისხმობს კონკურენციას მაშინაც კი, როცა თანამშრომლობიდან დიდი სარგებელია მოსალოდნელი. არსებობს მნიშვნელოვანი უწყვეტი კავშირი, ისევე როგორც მკვეთრი განსხვავება სამხედრო უსაფრთხოების ტრადიციულ პოლიტიკასა და ეკონომიკური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკას შორის.

ასევე ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისას მხოლოდ *თანაბრად დაბალანსებული* ორმხრივი დამოკიდებულების შემთხვევებით არ შემოვიფარგლოთ. სწორედ *ასიმეტრიულობა* აძლევს მოქმედ პირებს ერთმანეთზე ზეგავლენის საშუალებას. ნაკლებად დამოკიდებული მოქმედი პირები ხშირად იყენებენ ურთიერთდამოკიდებულ ურთიერთობებს, როგორც ძალის წყაროს, გარკვეულ საკითხზე პოლიტიკური ვაჭრობისას ან სხვა საკითხებზე გავლენის მოსახდენად. სრული სიმეტრიის საწინააღმდეგოა სრული დამოკიდებულება (რომელიც ხშირად სიტუაციური ურთიერთდამოკიდებულების სახელს ატარებს), მაგრამ ის ძალზე იშვიათი მოვლენაა. შემთხვევათა უმეტესობა ამ ორ უკიდურესობას შორისაა მოქცეული და სწორედ ამაში მდგომარეობს ურთიერთდამოკიდებულების პირობებში პოლიტიკური ვაჭრობის არსი.

ძალა და ურთიერთდამოკიდებულება

ძალა ყოველთვის ბუნდოვანი კონცეფცია იყო სახელმწიფო მოღვაწეებისა და საერთაშორისო პოლიტიკის ანალიტიკოსებისათვის, დღეს კი ის კიდევ უფრო მოუხელთებელი გახდა. ტრადიციული ხედვის თანახმად, სამხედრო ძალა დომინირებს ძალის დანარჩენ ფორმებზე და ყველაზე დიდი სამხედრო ძალის მქონე სახელმწიფოები მსოფლიოს აკონტროლებენ, მაგრამ რესურსები, რომლებიც ძალას წარმოქმნის უფრო კომპლექსური გახდა. როგორც ერთმა გამჭრიახმა დამკვირვებელმა შენიშნა, „ომის შემდგომ პერიოდში ძალის ელემენტებმა, გამოყენების გზებმა და მიღწევებმა რადიკალური ტრანსფორმაცია განიცადა."[14] ხოლო ჰანს მორგენთაუმ, საერ-

[14] Hoffman, "Notes on the Elusiveness of Modern Power," p. 183.

თაშორისო პოლიტიკაში წამყვანი რეალისტური ნაშრომის ავტორმა, 1970-იანი წლების დასაწყისის მოვლენების შეფასებისას ისიც კი განაცხადა, რომ მოხდა ისტორიაში უპრეცედენტო ფუნქციონალური ურთიერთობების დარღვევა პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ძალაუფლებას შორის, რაც გამოიხატა სამხედრო თვალსაზრისით სუსტი ქვეყნების მიერ „იმ ნედლეულზე მონოპოლიური ან კვაზიმონოპოლიური კონტროლის დაწესებაში, რომელიც ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისათვის" აუცილებლობას წარმოადგენს.[15]

ძალა შეიძლება განვმარტოთ როგორც მოქმედი პირის უნარი, სხვებს გააკეთებინოს ის, რასაც ეს უკანასკნელნი სხვა შემთხვევებში არ გააკეთებდნენ (ამ მოქმედი პირისათვის მისაღებ საფასურად). ძალა, ამასთანავე, შეიძლება განვიხილოთ როგორც შედეგებზე კონტროლი. ორივე შემთხვევაში ძალის გაზომვა ადვილი არ არის.[16] ჩვენ შეგვიძლია შევხედოთ ძალის პირველად წყაროებს, რომლებიც მოქმედ პირს პოტენციურ უნარს ანიჭებს, ან დავაკვირდეთ მოქმედი პირის ფაქტობრივ გავლენას შედეგებზე. როდესაც ვამბობთ, რომ ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება ძალის წყარო შეიძლება იყოს, ვგულისხმობთ ძალას, როგორც რესურსების გაკონტროლების შესაძლებლობას ან შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის *პოტენციალს*. ურთიერთობაში სხვებზე ნაკლებად დამოკიდებულ მოქმედ პირს მნიშვნელოვანი პოლიტიკური რესურსები გააჩნია, რადგანაც ცვლილება ურთიერთობაში (რომელიც მოქმედმა პირმა შეიძლება გამოიწვიოს ან მუქარად წარმოაჩინოს) ამ მოქმედ პირს უფრო ნაკლები დაუჯდება, ვიდრე მის პარტნიორებს. თუმცა, ამგვარი უპირატესობა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ხელსაყრელი ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულებით მოპოვებული პოლიტიკური რესურსები შედეგებზე კონტროლის ერთნაირ მოდელებს წარმოშობს. ნებისმიერი ტიპის რესურსით გაზომილი ძალა და შედეგებზე ზემოქმედების მიხედვით გაზომილი ძალა იშვიათად თუ არის იდენტური. პოლიტიკური ვაჭრობა პოტენციალის ეფექტად გარდაქმნის ჩვეული საშუალებაა და ხშირად ამ პროცესში ბევრი რამ იკარგება.

ურთიერთდამოკიდებულებაში ძალის როლის გასაგებად ორი განზომილება უნდა განვასხვაოთ: *მგრძნობიარობა* და *დაუცველობა*. მგრძნობიარობა გულისხმობს გამოხმაურებას პოლიტიკური ჩარჩოს ფარგლებში – რამდენად სწრაფად იწვევს ცვლილებები ერთ ქვეყანაში ძვირად ღირებულ ცვლილებებს სხვა ქვეყნებში და რამდენად დიდია ეს ძვირად ღირებული ეფექტები? მგრძნობიარობა იზომება არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთგაცვლების მოცულობით, არამედ ურთიერთქმედებაში მომხდარი ცვლილებების ძვირად ღირებული ეფექტებით საზოგადოებებსა და მთავრობებზე. მგრძნობიარე ურთიერთდამოკიდებულებას პოლიტიკის ფარგლებში არსებული ურთიერთქმედებები წარმოშობს. მგრძნობიარობა გულისხმობს, რომ აღნიშნული ფარგლები უცვლელი რჩება. ის ფაქტი, რომ არსებული პოლიტიკა უცვლელია, მოკლე ვადაში ახალი პოლიტიკის ფორმულირების სირთულეს ან გარკვეული საშინაო ან საერთაშორისო წესებისადმი ერთგულებას შეიძლება ასახავდეს.

მგრძნობიარე დამოკიდებულების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის გავლენა, რომელიც ნავთობზე ფასების ზრდამ მოახდინა აშშ-ზე, იაპონიასა და დასავლეთ ევროპაზე 1971 წელს და შემდგომ 1973-1974, 1975 წლებში. ახალი პოლიტიკის

---

[15] Hans J. Morgenthau, "The New Diplomacy of Movement," *Encounter* 3, no. 2 (August 1974): 56. აქ წარმოდგენილი ხედვა – რომელიც, ჩვენი აზრით, მცდარია – არ შეესაბამება რეალიზმის ტრადიციას.

[16] იხილეთ: Jeffrey Hart, "Dominance in International Politics," *International Organization* 30 (Spring 1976).

არარსებობის პირობებში, რომლის შემუშავებასა და განხორციელებას მრავალი წელი ან ათწლეული დასჭირდებოდა, ამ ქვეყნების ეკონომიკის მგრძნობიარობას განსაზღვრავდა უცხოური ნავთობის დიდი ღირებულება და იმპორტირებული ნავთობის რაოდენობა. აშშ, იაპონიასთან შედარებით, ნაკლებად მგრძნობიარე იყო ნავთობზე ფასების ზრდისადმი, რადგანაც ნავთობზე თავისი მოთხოვნის უფრო მცირე წილს იკმაყოფილებდა იმპორტით, მაგრამ როგორც საწვავზე ფასების სწრაფმა ზრდამ და ბენზინგასამართ სადგურებზე გრძელმა რიგებმა აჩვენა, აშშ მართლაც მგრძნობიარე იყო გარეშე ცვლილებებისადმი. მგრძნობიარე დამოკიდებულების მეორე მაგალითად საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე 1971 წლის 15 აგვისტომდე არსებული ვითარება გამოდგება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ პოლიტიკაზე დაწესებული შეზღუდვების გამო, ევროპული ქვეყნების მთავრობები მგრძნობიარენი იყვნენ ამერიკის სავალუტო პოლიტიკაში ცვლილებების მიმართ, აშშ კი, თავის მხრივ, მგრძნობიარე იყო ევროპელთა გადაწყვეტილებებისადმი, მოეთხოვათ თუ არა დოლარის ოქროში კონვერტაცია.

მგრძნობიარე ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება იყოს სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური.* მაგალითად, არსებობს სოციალური „გადამდები ეფექტები," როგორიც იყო ამერიკული საზოგადოებიდან ევროპულ საზოგადოებაში „გაშიშვლებით" გატაცების სწრაფად გავრცელება 1974 წელს ან 1960-იანი წლების ბოლოს რადიკალურ სტუდენტურ მოძრაობათა განვითარება ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარებით. ტრანსნაციონალური კომუნიკაციების დაჩქარებულმა ზრდამ გააძლიერა ამგვარი მგრძნობიარობა. ტელევიზია, რომელიც სადილად დამსხდარ ევროპელებსა და ამერიკელებს თვალნათლივ აჩვენებს სამხრეთ აზიაში არსებულ შიმშილს, აუცილებლად გაზრდის ყურადღებას და შეცვლის დამოკიდებულებას ამ პრობლემისადმი ამერიკულ და ევროპულ საზოგადოებებში. მგრძნობიარობა ასეთი საკითხის მიმართ შეიძლება გამოიხატოს დემონსტრაციებსა და სხვა პოლიტიკურ აქციებში, რომც არ იქნეს მიღებული ზომები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად (და ამას შედეგად არ მოჰყვეს ეკონომიკური მგრძნობიარობა).

თუმცა, სიტყვა *ურთიერთდამოკიდებულების* მხოლოდ მგრძნობიარობასთან მიმართებაში გამოყენებით ორმხრივი დამოკიდებულების მნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტები იკარგება.[17] საჭიროა იმის გარკვევაც, თუ როგორი იქნება ვითარება პოლიტიკის ჩარჩოს ცვალებადობის შემთხვევაში. მეტი ალტერნატივა რომ არსებობდეს და ახალი, ძალიან განსხვავებული პოლიტიკის გატარება რომ შეიძლებოდეს, როგორი იქნება გარეშე ცვლილებებთან ადაპტირების საფასური? მაგალითად, ნავთობის შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმპორტირებული ნავთობის პროპორციას მოთხოვნასთან, არამედ ენერგიის იმპორტის ალტერნატიულ წყაროებსა და მათი გამოყენების ხარჯებს. ორი ქვეყანა, რომელიც ნავთობზე საკუთარი მოთხოვნის 35%-ს იმპორტით ავსებს, შეიძლება თანაბრად მგრძნობიარე ჩანდეს ნავთობზე ფასების ზრდისადმი, მაგრამ თუ პირველს საშინაო რესურსების მოხმარებაზე მისაღებ საფასურად გადასვლა შეუძლია, მეორეს კი ამგვარი ალტერნატივა არ გააჩნია, მაშინ ეს უკანასკნელი უფრო *დაუცველია*, ვიდრე პირველი. ურთიერთდამოკიდებულების დაუცველობის განზომილება ეფუძნება იმ ალტერნატივების შედარე-

* რადგან ჩვენ განვიხილავთ ეკომიკური და პოლიტიკური სისტემების ერთმანეთისადმი მგრძნობიარობას და არა მხოლოდ ფასის ან საპროცენტო განაკვეთის მგრძნობიარობას, როგორც ამას ეკონომისტები აკეთებენ, ჩვენი განსაზღვრება რიჩარდ კუპერის განსაზღვრებას ეფუძნება, მაგრამ, ამავე დროს, მისგან განსხვავდება, იხილეთ: Richard Cooper, *The Economics of Interdependence* (New York: McGraw-Hill, 1968).

[17] Kenneth Waltz, "The Myth of Interdependence," in Charles Kindleberger (ed.), *The International Corporation* (Cambridge, Mass.: MIT Press, 1970).

ბით ხელმისაწვდომობასა და დიდ საფასურს, რომლებიც სხვადასხვა მოქმედი პირის წინაშე დგას.


1960-იანი წლების მიწურულს, ბრეტონ ვუდსის სავალუტო რეჟიმის პირობებში, აშშ და დიდი ბრიტანეთი მგრძნობიარენი იყვნენ უცხოელი გადამყიდველებისა და ცენტრალური ბანკების გადაწყვეტილებათა მიმართ, აღარ შეენახათ აქტივები დოლარებსა ან ფუნტ სტერლინგებში, მაგრამ აშშ ნაკლებად დაუცველი იყო, ვიდრე დიდი ბრიტანეთი, რადგანაც მას შესაძლებლობა ჰქონდა (რომელიც მან 1971 წლის აგვისტოში გამოიყენა), შეეცვალა სისტემის კანონები მისთვის მისაღებ საფასურად. აშშ-ის შინაგანმა შესაძლებლობებმა შეამცირა მისი დაუცველობა, ხოლო მგრძნობიარობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ნაკლებად სერიოზული გახადა.

დამოკიდებულების ხარჯების ასპექტში მგრძნობიარობა ნიშნავს გარედან დაწესებული ძვირად ღირებული ეფექტებისათვის თავის არიდების უუნარობას მანამ, სანამ პოლიტიკა შეიცვლება ვითარების გამოსასწორებლად, ხოლო დაუცველობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოქმედი პირის უუნარობა, თავიდან აიცილოს გარეშე მოვლენების გამო წარმოქმნილი ხარჯები პოლიტიკის შეცვლის შემდგომაც. ვინაიდან პოლიტიკის სწრაფად შეცვლა, როგორც წესი, რთულია, გარეშე ცვლილებების უშუალო ზეგავლენა მგრძნობიარე დამოკიდებულებას ასახავს. დაუცველი დამოკიდებულება კი შეიძლება გაიზომოს მხოლოდ დიდი ხარჯით, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეცვლილი გარემოსადმი ეფექტიანად ადაპტირებას ესაჭიროება.


მოდით გრაფიკულად გამოვსახოთ ეს განსხვავება: წარმოვიდგინოთ, რომ სამი ქვეყანა ერთდროულად აღმოჩნდა ისეთი გარეშე მოვლენის პირისპირ, რომლის გამოც მათ გარკვეული ხარჯი უნდა გაიღონ – ამის მაგალითია ნავთობის მომხმარებელი ქვეყნების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ნავთობმწარმოებლებმა ფასს მოუმატეს.

ნახაზი 1.1 გვიჩვენებს სამი ქვეყნის მგრძნობიარობას ამგვარი გარეშე ცვლილებით გამოწვეული ხარჯების მიმართ. თავდაპირველად, ქვეყანა A ცვლილებისადმი შედარებით მგრძნობიარეა, ვიდრე ქვეყანა B და ბევრად უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე ქვეყანა C. გარკვეული დროის შემდეგ ქვეყანა C-ს მგრძნობიარობა მცირდება *ყოველგვარი პოლიტიკური ცვლილებების გარეშე*. ეს ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს ამ ქვეყანაში ფასების ზრდით, რის შედეგადაც მცირდება ნავთობის მოხმარება და, შესაბამისად, მისი იმპორტიც. გრაფიკზე თითოეული ქვეყნის მგრძნობიარობა დროის განმავლობაში გამოსახულია შესაბამისი ხაზის ქვეშ არსებული სივრცით.*

ნახ. 1.1 სამი ქვეყნის მგრძნობიარობა (როდესაც პოლიტიკა უცვლელია)



ნახ. 1.2 სამი ქვეყნის დაუცველობა (როდესაც პოლიტიკა შეიცვალა)



* ჩვენი მაგალითი განგებ გამარტივებულია. სხვა გარემოებებთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მოგვიანებით ვითარების საფასური, რა თქმა უნდა, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთით შემცირდება.

ახლა წარმოვიდგინოთ განსხვავებული სურათი: თითოეული ქვეყანა ცდილობს საკუთარი პოლიტიკის შეცვლას იმისათვის, რომ შეამციროს გარეშე ქმედებებით გამოწვეული ხარჯები. ჩვენს მიერ მოყვანილ ნავთობის მაგალითში აძგვარი მცდელობა შეიძლება გულისხმობდეს ქვეყნის შიგნით ენერგეტიკული რესურსების მოძიებისა და განვითარებისათვის დიდი ხარჯების გაწევას. ამ ხარჯების ოდენობა და მათი გაღების პოლიტიკური ნება დაუცველობის დონეს განსაზღვრავს. ისეთი ქვეყნის დაუცველობა, როგორიცაა იაპონია, მისი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს და გარდაუვალ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სხვა ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ფიზიკური დაუცველობა ამდენად დიდი არ არის, მაგრამ ზოგადი დაუცველობა პოლიტიკის ცვლილებაზე სოციალურ-პოლიტიკურმა ზეწოლამ შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითისათვის, ამერიკელთა მცდელობა, შეემუშავებინათ ახალი ენერგეტიკული პოლიტიკა 1973 წლის შემდგომ, ქვეყნის შიგნით ამ საკითხზე კონსენსუსის არარსებობის გამო შეფერხდა.

ნახაზზე 1.2 ქვეყანა A-ს დაუცველობა უფრო მცირეა, ვიდრე მისი მგრძნობიარობა. პოლიტიკის ცვლილება დროის მეორე მონაკვეთში შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას, დროის მესამე მონაკვეთისათვის მინიმუმამდე შეამციროს გარეშე ცვლილებებით გამოწვეული ხარჯები. ქვეყანა A-ს შემცირებული დაუცველობა ასახავს ეფექტიან პოლიტიკას, რომლითაც ის, რეალურად ან პოტენციურად, უზრუნველყოფს თავის თავს ნავთობით. მაგალითად, მას შეიძლება გააჩნდეს ენერგიის ახალი წყაროები, რომელთაც მთავრობა განავითარებს. ქვეყნებს B-ს და C-ს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, გაიუმჯობესონ მდგომარეობა პოლიტიკის შეცვლით, რის გამოც ისინი გარეშე მოვლენებით გამოწვეული ხარჯებისაგან დაუცველნი რჩებიან.

მაშასადამე, სამი ქვეყნის მგრძნობიარე დამოკიდებულება პირველი გარეშე მოვლენის დროს განსხვავდება დაუცველი დამოკიდებულებისაგან იმავე დროის მონაკვეთში. ცვლილებათა უშუალო შედეგების დონე ვერ მიუთითებს გრძელვადიან მგრძნობიარობაზე (აღსანიშნავია, რომ ქვეყანა C-ს მგრძნობიარობა ბუნებრივად მცირდება დროთა განმავლობაში), მაგრამ გრძელვადიან დაუცველობასაც ზუსტად ვერ განსაზღვრავს, რადგანაც ის პოლიტიკურ ნებაზე, მთავრობის შესაძლებლობებსა და რესურსების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ჩვენს მაგალითში ქვეყანა A უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე ქვეყანა B, მაგრამ ნაკლებად დაუცველია ამ უკანასკნელთან შედარებით.

დაუცველობას გაცსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობების პოლიტიკური სტრუქტურის შესწავლისას. გარკვეული თვალსაზრისით, ეს განზომილება ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რომელი მოქმედი პირი არის *„უცვლელი პირობების* განმსაზღვრელი" ან ვინ ადგენს თამაშის წესებს.[18] დაუცველობა აშკარად უფრო აქტუალურია, ვიდრე მგრძნობიარობა, მაგალითად, ნედლეულის პოლიტიკის ანალიზისას, როგორიც იყო ძალის სავარაუდო ტრანსფორმაცია 1973 წლის შემდეგ. ძალიან ხშირად, ნედლეულის იმპორტის დიდი პროცენტი დაუცველობის ინდექსად აღიქმება მაშინ, როდესაც ის მხოლოდ მაღალ მგრძნობიარობაზე შეიძლება მიუთითებდეს. დაუცველობის განსაზღვრისას მთავარი კითხვა ის არის, თუ რამდენად მოაქვს შედეგად ეფექტიანად შეცვლილ პოლიტიკას ამ ან

[18] ამგვარი საკითხების თამაშის თეორიის (ურთიერთგაცვლათა მატრიცების) მეშვეობით გადაწყვეტასთან დაკავშირებით იხილეთ: Anthony Lanyi, "Political Aspects of Exchange-Rate Systems," in Richard Merritt (ed.), *Communications in International Politics* (Urbana: University of Illinois Press, 1972). ხოლო უფრო გვიანდელი მსგავსი მცდელობისათვის იხილეთ: Richard N. Cooper, "Prolegomena to the Choice of an International Monetary System," *International Organization* 29, no. 1 (Winter 1975): 63-98.

სხვა მსგავსი ნედლეულის საჭირო რაოდენობა და რა ფასად. ის ფაქტი, რომ აშშ ბოქსიტზე თავისი მოთხოვნის დაახლოებით 85%-ს იმპორტით იკმაყოფილებს, ბოქსიტის ექსპორტიორებიააგან მის დაუცველობაზე არ მეტყველებს მანამ, სანამ არ გვეცოდინება, თუ რა ეღირება (როგორც დროის, ისე ფულის მხრივ) ბოქსიტის შემცვლელის მოპოვება.

დაუცველობა მიესადაგება როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს. საზოგადოებათა დაუცველობა ტრანსნაციონალური რადიკალური მოძრაობებისაგან 60-იანი წლების ბოლოს დამოკიდებული იყო მათ უნარზე, მოეხდინათ ეროვნული პოლიტიკის ადაპტირება ცვლილებებთან და შეემცირებინათ უარყოფითი შედეგებით გამოწვეული ხარჯები. როდესაც შვედეთმა გააკრიტიკა აშშ-ის პოლიტიკა ვიეტნამში, ამერიკასთან კულტურული კონტაქტების გაწყვეტისაგან მისი დაუცველობა დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რამდენად შეძლებდა ის ახალ ვითარებასთან პოლიტიკის ადაპტირებას. შესაძლებელი იქნებოდა თუ არა გაცვლით პროგრამებში მონაწილე პროფესორებისა და ტურისტების სხვა ქვეყნებიდან მოწვევა?[19]

მოდით კვლავ მივუბრუნდეთ სამხრეთ აზიაში არსებული შიმშილის პრობლემის გავლენას აშშ-ზე. ამერიკული ადმინისტრაციის დაუცველობა ჰუმანიტარული დახმარების პოლიტიკის არარსებობის გამო წარმოქმნილი პროტესტებისაგან დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ადვილად შეძლებს ის პოლიტიკის ადაპტირებას (მაგალითად, ინდოეთში მეტი მარცვლეულის გადაზიდვას გემით) მაღალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხარჯების გაუღებლად.

როგორ შეიძლება დაგვეხმაროს ეს განსხვავება ურთიერთდამოკიდებულებასა და ძალას შორის კავშირის გაანალიზებაში? მისგან აშკარად გამომდინარეობს, რომ მოქმედი პირის ძალის წყაროებით უზრუნველყოფის საქმეში მგრძნობიარე ურთიერთდამოკიდებულებას უფრო ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭება, ვიდრე დაუცველ ურთიერთდამოკიდებულებას. თუ ერთ მოქმედ პირს შეუძლია ხარჯების შემცირება საშინაო ან საგარეო პოლიტიკის შეცვლით, მგრძნობიარობის მოდელები ძალის წყაროებზე ვერ მიგვანიშნებს.

განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის 1972-1975 წლებში. თავდაპირველად ამერიკის ეკონომიკა მეტად მგრძნობიარე იყო საბჭოთა კავშირის მიერ მისგან მარცვლეულის შესყიდვის მიმართ: მარცვლეულის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა აშშ-ში. საბჭოთა კავშირი კი, თავის მხრივ, მგრძნობიარე იყო ამერიკული აქციების ხელმისაწვდომობისადმი, რადგანაც მის არარსებობას გარკვეული საშინაო პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები შეიძლება გამოეწვია. დაუცველობის ასიმეტრიულობა აშშ-ის უპირატესობით წარიმართებოდა, რადგანაც საბჭოთა კავშირში ხორბლის ექსპორტის ალტერნატივები (სახელმწიფო დანაზოგი, უფრო დაბალი ფასები ქვეყნის შიგნით და მეტი ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა საზღვარგარეთ) აშშ-სათვის უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირისათვის აშშ-დან მარცვლეულის შემოტანის ძირითადი ალტერნატივა (საქონლის დახოცვა და ხორცის მოხმარების შემცირება). ამგვარად, სანამ აშშ-ის მთავრობა ინარჩუნებდა კონტროლს თანამიმდევრულ პოლიტიკაზე – ანუ ვიდრე ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც სარგებელს იღებდნენ ვაჭრობის გაფართოებიდან, პოლიტიკას არ გააკონტროლებნენ – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობა შეიძლებოდა გამოყენებულიყო, როგორც ინსტრუმენტი საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური ვაჭრობის პროცესში.

[19] იხილეთ: Barbara Haskell, "Recent Swedish-American Relations: Some Analytical Observations," translated as "Det moraliserande Sverige," *Internationella studier* 1 (Stockholm, 1976): 30-32.

დაუცველი ურთიერთდამოკიდებულება გულისხმობს სტრატეგიულ განზომილებასაც, რომელიც მგრძნობიარე ურთიერთდამოკიდებულებაში გამოტოვებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მგრძნობიარობა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. სწრაფად მზარდი მგრძნობიარობა ხშირად ინვევს ურთიერთდამოკიდებულებით უკმაყოფილებას და მისი შეცვლის მცდელობებს, განსაკუთრებით პლურალისტული პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში. საფეიქრო და მეტალურგიული მრეწველობის მუშები და მეწარმეები, ნავთობის მომხმარებლები და კონსერვატორები, რომლებიც საზღვარგარეთ დაწყებულ რადიკალურ მოძრაობებს ეჭვის თვალით უყურებენ, მთავრობისაგან საკუთარი ინტერესების დაცვას მოითხოვენ. თუმცა, პოლიტიკის შემოქმედებმა და ანალიტიკოსებმა სტრატეგიის შერჩევისას უნდა შეისწავლონ დაუცველი ურთიერთდამოკიდებულების არსებული მოდელები. რისი გაკეთება შეუძლიათ მათ და რის საფასურად? საპასუხოდ რის გაკეთებას შეძლებენ სხვა მოქმედი პირები და რის საფასურად? მართალია, მგრძნობიარე ურთიერთდამოკიდებულების მოდელებით შეიძლება აიხსნას, თუ რაშია ვითარების არსი, მაგრამ თანამიმდევრული პოლიტიკა რეალური და პოტენციური დაუცველობის ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს. ასიმეტრიული მგრძნობიარე ურთიერთდამოკიდებულებით მანიპულირების მცდელობა, დაუცველობის არსებული მოდელების გაუთვალისწინებლად, წარუმატებლად დამთავრდება.

თუმცა, ეკონომიკური ან სოციალურ-პოლიტიკური დაუცველობით მანიპულირებაც რისკთან არის დაკავშირებული. ურთიერთდამოკიდებულებით მანიპულირების სტრატეგიებმა საპასუხო სტრატეგიები შეიძლება გამოიწვიოს. ამას გარდა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სამხედრო ძლიერება ეკონომიკურ ძლიერებაზე მაღლა დგას იმ გაგებით, რომ მხოლოდ ეკონომიკური საშუალებები არაეფექტიანია სამხედრო ძალის გამოყენების საწინააღმდეგოდ. ამდენად, ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულებით ეფექტიანად მანიპულირება არასამხედრო სფეროშიც კი სამხედრო დაპირისპირების რისკს წარმოშობს. როდესაც აშშ-მა 1940-41 წლებში იაპონიის ეკონომიკური ემბარგოსაგან დაუცველობა გამოცადა, იაპონიამ მას პერლ ჰარბორსა და ფილიპინებზე თავდასხმით უპასუხა. თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ სამხედრო ღინისძიებები ძალზე ძვირი ჯდება და მრავალი ტიპის ქმედების საფასური მკვეთრად გაიზარდა უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში.

ცხრილში 1.1 ნაჩვენებია ჩვენს მიერ განხილული ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების სამივე ტიპი. დომინირების კლასიფიკაციის სვეტი მიუთითებს, რომ სამხედრო ურთიერთდამოკიდებულებით უზრუნველყოფილი ძალის წყაროები არასამხედრო დაუცველობით წარმოქმნილებზე დომინირებს, ხოლო ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ასიმეტრიული მგრძნობიარობით განპირობებულ ძალის წყაროებზე მაღლა დგას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ძალის დომინანტური ფორმების გამოყენება დიდ ხარჯებს მოითხოვს. ამრიგად, *ხარჯების ასპექტში,* არ არსებობს იმის გარანტია, რომ სამხედრო საშუალებები უფრო ეფექტიანი იქნება მიზნის მისაღწევად, ვიდრე ეკონომიკური. მაგრამ, მოსალოდნელია, რომ ინტერესების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად მოქმედი პირები ძალის იმ წყაროების გამოყენებას შეეცდებიან, რომლებსაც დომინირებისა და ხარჯების თვალსაზრისით მაღალი კლასიფიკაცია აქვთ.

ცხრილი 1.1 ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება და მისი გამოყენების გზები

ურთიერთ დამოკიდებულების წყარო	დომინირების კლასიფიკაცია	ხარჯების კლასიფიკაცია	თანამედროვე გამოყენება
სამხედრო (სამხედრო ძალის გამოყენების ხარჯები)	1	1	გამოიყენება ექს-ტრემალურ სიტუაციებში ან სუსტი მტრების წინააღმდეგ, რო-დესაც ხარჯი მცირე შეი-ძლება იყოს
არასამხედრო დაუცველობა (ალტერნატიული პოლიტიკის გატარების ხარჯები)	2	2	გამოიყენება, როდესაც ნორმატიული შეზღუდვები სუსტია და საერთაშორისო წესები სავალდებულო არ არის (არასამხედრო ურთიერთობებში მონინააღმდეგეებს შორის, აგრეთვე, პარტნიორებსა და მოკავშირეებს შორის უაღრესად მწვავე კონფლიქტის დროს).
არასამხედრო მგრძნობიარობა (არსებული პოლიტიკის პირობებში ცვლილებათა განხორციელების ხარჯები)	3	3	გამოიყენება როგორც ძალის წყარო მოკლევადიან პერიოდში ან როდესაც ნორმატიული შეზღუდვები ძლიერია, ხოლო საერთაშორისო წესები სავალდებულოა. მისი გამოყენება შეზღუდულია, ვინაიდან თუ მაღალი ხარჯებია დანესებული, არახესაყრელ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მოქმედმა პირებმა ახალი პოლიტიკა შეიძლება შეიმუშაონ.

ძალის ერთი წყაროდან უფრო ეფექტიან, მაგრამ უფრო ძვირად ღირებულ სხვა წყაროზე გადასვლა შესაძლებელია მაშინ, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი *შეუსაბამობა* ძალის წყაროთა განაწილებას შორის ორ განზომილებაში. ამ დროს არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი მოქმედი პირის ძლიერება გაიზრდება დაპირისპირების დონის ამაღლებით. მაგალითად, კონცესიის შესახებ ხელშეკრულე-

ბაში მრავალეროვნულ ნავთობკომპანიას უკეთესი სავაჭრო პოზიცია შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე მასპინძელი ქვეყნის მთავრობას. ხელშეკრულებამ მოცემულ კომპანიას პროდუქციის ოდენობისა და ნავთობზე ფასის დანესების უფლება შეიძლება მიანოჭოს, რის შედეგადაც მთავრობის შემოსავლები კომპანიის გადაწყვეტილებების მიმართ მგრძნობიარე გახდება, მაგრამ, ეს ვითარება საფუძველშივე არასტაბილურია, რადგანაც დაუცველობის განზომილებაში მთავრობა უფრო ძლიერი შეიძლება იყოს. როგორც კი ქვეყანა გადაწყვეტს, რომ მას ხელშეკრულების ცალმხრივად შეცვლა ძალუძს, ის უპირატესობას მოიპოვებს. კომპანიის ნებისმიერი მცდელობა, გამოიყენოს საკუთარი უპირატესი მდგომარეობა მგრძნობიარობის განზომილებაში, დაუცველობის დონეზე სისუსტის შეუმჩნეველად (რომელიც კიდევ უფრო ნაკლებია სამხედრო ძალის დონეზე), კრახით დასრულდება.

ჩვენ ვასკვნით, რომ საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკური ანალიზის საწყის ეტაპზე სასარგებლოა მოქმედ პირებს შორის ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების ძალის წყაროებად მოაზრება. ამგვარი ჩარჩო შეიძლება მივუსადაგოთ ტრანსნაციონალურ მოქმედ პირთა (მრავალეროვნულ კორპორაციათა) ურთიერთობას მთავრობებთან, ისევე როგორც ურთიერთობებს სახელმწიფოთა შორის. ურთიერთდამოკიდებულების განსხვავებული ტიპები პოტენციურ პოლიტიკურ გავლენას წარმოშობს, მაგრამ სხვადასხვა შეზღუდვებით. მგრძნობიარე ურთიერთდამოკიდებულებამ შეიძლება შექმნას საფუძველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ზეგავლენისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოქმედი წესები და ნორმები თავისთავადად მიიჩნევა ან უკმაყოფილო სახელმწიფოებს ზედმეტად ძვირი უჯდებათ პოლიტიკის სწრაფად შეცვლა. თუ არსებული წესები მოქმედ პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აგდებს, ის შეეცდება ამ წესების შეცვლას იმ შემთხვევაში, თუ საფასური მისთვის მისაღები იქნება. ამრიგად, მგრძნობიარობის სასურველი ასიმეტრიულობით წარმოქმნილი გავლენა შეზღუდულია, როდესაც დაუცველობის ასიმეტრია არასასურველია. მსგავსად ამისა, თუ სახელმწიფო გაღიზიანებულია თავისი ეკონომიკური დაუცველობის გამო, მან შეიძლება სამხედრო ძალა გამოიყენოს ამ ვითარების გამოსასწორებლად, როგორც მოიქცა იაპონია 1941 წელს ან, შესაძლოა, ძალის გამოყენების მუქარას მიმართოს, როგორც ეს გააკეთა აშშ-მა 1975 წელს, როდესაც ნავთობის სფეროში სამომავლო ბოიკოტის საფრთხე დაინახა. მაგრამ დღეისათვის მრავალ შემთხვევაში ძალის გამოყენება იმდენად ძვირად ღირებულია, მისი მუქარა კი – იმდენად ძნელად გასამართლებელი, რომ სამხედრო სტრატეგია სასონარკვეთილ ქმედებად მოჩანს.

ძალასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე მსჯელობა ამით არ ამოიწურება. რამდენადაც მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება ურთიერთ-დამოკი-დებუ-ლე-ბით მანიპულირება ძალის ინსტრუმენტი იყოს, იმდენადვე მნიშვნელოვანია ამ ინსტრუმენტის შესაძლებლობათა ზღვარის ცოდნაც. ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება ვერ ხსნის პოლიტიკური ვაჭრობის შედეგებს, სახელმწიფოთა ტრადიციული ურთიერთობების დროსაც კი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესურსებითა და პოტენციალით გაზომილი ძალა განსხვავდება შედეგებზე გავლენით გაზომილი ძალისაგან. ჩვენ აგრეთვე უნდა დავაკვირდეთ „გარდაქმნას" პოლიტიკური ვაჭრობის პროცესში. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ სუსტი ქვეყნის მონდომება მისი ძლიერი პარტნიორისას შეიძლება აღემატებოდეს. უფრო მეტად დამოკიდებულმა მოქმედმა პირმა, შესაძლოა, ტანჯვის უფრო დიდი სურვილი გამოავლინოს. სამხედრო-პოლიტიკურ დონეზე ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩრდილოეთ ვიეტნამზე აშშ-ის ძალდატანების მცდელობა.

თუმცა, ჩვენი ძირითადი ვარაუდი მიესადაგება უფრო თანამშრომლობით ურთ-

იერთობებსაც სახელმწიფოთა შორის. მაგალითად, აშშ-კანადის ურთიერთობებში ძალის ან ძალის მუქარის გამოყენება ორივე მხარის მიერ გამორიცხულია. ის ფაქტი, რომ კანადა სამხედრო თვალსაზრისით აშშ-ზე სუსტია, არ არის მთავარი ფაქტორი ვაჭრობის პროცესში. კანადელებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთი უპირატესობა ისეთ ეკონომიკურ საკითხებში, როგორიცაა ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ექსპორტი, აშშ-ის მხრიდან სამხედრო მოქმედების ან ძალით დამუქრების შიშის გარეშე. უფრო მეტიც, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების პირობები ზღუდავს სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულებით მანიპულირების უნარს. კერძოდ, პატარა სახელმწიფოს მეტი პოლიტიკური ერთიანობა შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე დიდ სახელმწიფოს, ხოლო უფრო ძლიერი სახელმწიფო მთლიანობაში ნაკლებად დამოკიდებული შეიძლება იყოს, მაგრამ შინაგანად დანაწევრებულ ერთეულს წარმოადგენდეს, რომლის ერთიანობასაც ხელს უშლის ინტერესთა კონფლიქტები და მთავრობის კოორდინაციის სირთულე.

. . . ყოველივე ზემოთქმული საკმარისია იმის გასაგებად, რომ პოტენციური ძალის ისეთი საზომით, როგორიცაა ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება, ჩვენ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ ამა თუ იმ მოქმედი პირის წარმატებასა თუ წარუმატებლობას შედეგებზე გავლენისას. ამით მხოლოდ ვაჭრობის პროცესში თითოეული მხარის პირველად უპირატესობებს დავადგენთ. როდესაც ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების მოდელებზე დამყარებული პროგნოზი მცდარია, საჭიროა გულდასმით მოვიძიოთ მიზეზები. ისინი კი ვაჭრობის პროცესში შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომელიც ძალის წყაროებს შედეგებზე ზემოქმედების უნარად გარდაქმნის.

რეალიზმი და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება

ადამიანის წარმოდგენა მსოფლიო პოლიტიკაზე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმას, თუ როგორ ხედავს იგი მოვლენებს და როგორ აყალიბებს თეორიებს მათ ასახსნელად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკურ რეალისტთა ვარაუდები, რომელთა თეორიებიც გაბატონებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ხშირად არაადეკვატურ საფუძველს იძლევა ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკის გასაანალიზებლად. მსოფლიო პოლიტიკის შესახებ რეალისტთა ვარაუდები შეიძლება აღვიქვათ, როგორც უკიდურეს გარემოებათა ერთობლიობის განმსაზღვრელი ანუ *იდეალური ტიპი*. მაგრამ შესაძლებელია სრულიად სხვა გარემოებათა დანახვაც. აქ ჩვენ განსხვავებულ, რეალიზმის სანინააღმდეგო იდეალურ ტიპს ჩამოვაყალიბებთ, რომელსაც *კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას* ვუწოდებთ. რეალიზმსა და კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას შორის განსხვავების დადგენის შემდეგ, ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ზოგჯერ უფრო მეტად უახლოვდება რეალობას, ვიდრე რეალიზმი. ასეთ შემთხვევებში საერთაშორისო რეჟიმთა ცვლილების ტრადიციული ახსნა კითხვის ქვეშ დგება და ახალი განმარტებითი მოდელების შემუშავება ხდება საჭირო.

პოლიტიკური რეალისტებისათვის საერთაშორისო პოლიტიკა, ისევე როგორც ყველა სხვა სახის პოლიტიკა, ძალაუფლებისათვის ბრძოლაა, მაგრამ საშინაო პოლიტიკისაგან განსხვავებით, მასში ნამყვანია ორგანიზებული ძალადობა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე გავლენიან სახელმძღვანელოში ნათქვამია: „კაცობრიობის მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწ-

ილე სახელმწიფოები განუწყვეტლივ ემზადებიან, აქტიურად ჩაბმულნი არიან ან ორგანიზებული ძალადობის ფორმით გამოხატული ომის შედეგად ძალების აღდგენას ცდილობენ."[20] რეალისტური ხედვისათვის სამი ძირითადი ვარაუდია დამახასიათებელი. პირველი, სახელმწიფოები, როგორც განუყოფელი ერთეულები მსოფლიო პოლიტიკის მთავარი მოქმედი პირები არიან. ეს ორმაგი ვარაუდია: სახელმწიფოები დომინანტები არიან; და მოქმედებენ, როგორც განუყოფელი ერთეულები. მეორე, რეალისტები მიიჩნევენ, რომ ძალა პოლიტიკის გამოსადეგი და ეფექტიანი ინსტრუმენტია. შესაძლებელია სხვა ინსტრუმენტების მოშველიებაც, მაგრამ ძალის გამოყენება ან მისი მუქარა ძალაუფლების ხელთ პყრობის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. მესამე, ნაწილობრივ მათი მეორე ვარაუდიდან გამომდინარე, რეალისტები აღიარებენ საკითხთა იერარქიის არსებობას მსოფლიო პოლიტიკაში, რომლის სათავეშიც სამხედრო უსაფრთხოების პრობლემები დგას: სამხედრო უსაფრთხოების „მაღალი პოლიტიკა" ეკონომიკური და სოციალური საკითხების „დაბალ პოლიტიკაზე" უფრო მნიშვნელოვანია.

ზემოხსენებული რეალისტური ვარაუდები მსოფლიო პოლიტიკის იდეალურ ტიპს შეადგენს. მათი წყალობით, წარმოგვიდგება მსოფლიო, რომელშიც პოლიტიკა მუდმივად ხასიათდება სახელმწიფოებს შორის აქტიური ან პოტენციური კონფლიქტითა და ნებისმიერ დროს ძალის გამოყენების შესაძლებლობით. თითოეული სახელმწიფო ცდილობს საკუთარი ტერიტორიისა და ინტერესების დაცვას რეალური ან აღქმული საფრთხეებისაგან. სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ინტეგრაცია სუსტია და გრძელდება იქამდე, სანამ ძლიერ სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ტრანსნაციონალური მოქმედი პირები ან არ არსებობენ ან პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელონი არიან. მხოლოდ ძალის გონივრულად გამოყენება ან ძალის გამოყენების მუქარა აძლევს სახელმწიფოებს გადარჩენის საშუალებას, სისტემა კი სტაბილურია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო მოღვაწეები წარმატებით ახერხებენ სახელმწიფო ინტერესების ადაპტირებას, როგორც ეს კარგად ფუნქციონირებად ძალთა ბალანსის სისტემაში ხდება ხოლმე.

შესაძლებელია თითოეული რეალისტური ვარაუდის გაკრიტიკება. თუ სამივეს ერთდროულად უარვყოფთ, ისეთ მსოფლიოს დავინახავთ, რომელშიც, სახელმწიფოების გარდა, სხვა მოქმედი პირებიც უშუალოდ მონაწილეობენ პოლიტიკაში, სადაც არ არის საკითხთა გამოკვეთილი იერარქია, ხოლო ძალა პოლიტიკის არაეფექტიანი ინსტრუმენტია. ამგვარ პირობებში – რომელთაც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მახასიათებლებს ვუწოდებთ – მოსალოდნელია, რომ მსოფლიო პოლიტიკა რეალისტთა პირობებში არსებულისაგან ძლიერ განსხვავდებოდეს.

ამ განსხვავებებს ამ თავის მომდევნო ნაწილში განვიხილავთ. თუმცა, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ზუსტად ასახავს მსოფლიო პოლიტიკის რეალობას. პირიქით, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებაც და ვითარების რეალისტური სურათიც იდეალური ტიპებია. შემთხვევების უმეტესობა ამ ორ უკიდურესობას შორისაა მოქცეული. ზოგჯერ, რეალისტური ვარაუდებია ჭეშმარიტი, ან თითქმის ჭეშმარიტი, მაგრამ ხშირად კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება უკეთესად ასახავს რეალობას. სანამ გადავწყვეტდეთ, თუ რომელი განმარტებითი მოდელი მივუსადაგოთ ამა თუ იმ ვითარებას ან პრობლემას, საჭიროა გავიგოთ, თუ რამდენად შეესაბამება რეალიზმის ან კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი დებულებები სინამდვილეს.

[20] Hans J. Morgenthau, *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, 4th ed. (New York: Knopf, 1967), p. 36.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მახასიათებლები

კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას სამი მთავარი მახასიათებელი აქვს:

1. *მრავალმხრივი არხები* აკავშირებს საზოგადოებებს, მათ შორის: არაფორმალური კავშირები სახელმწიფო ელიტებს შორის, ისევე როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით დადებული ფორმალური შეთანხმებები, არაფორმალური კავშირები არასამთავრობო ელიტებს შორის (პირისპირ ან ტელეკომუნიკაციების მეშვეობით) და ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებს შორის (როგორიცაა მრავალეროვნული ბანკები და კორპორაციები). ეს არხები შეიძლება მოკლედ განვმარტოთ, როგორც სახელმწიფოთაშორისი, ტრანსსამთავრობო და ტრანსნაციონალური ურთიერთობები. *სახელმწიფოთაშორისი* ურთიერთობები რეალისტების მიერ ჩვეულებრივ არხებად არის მიჩნეული. ტერმინი *ტრანსსამთავრობო* გამოიყენება მაშინ, როდესაც ვარბილებთ რეალისტთა ვარაუდს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ, როგორც განუყოფელი ერთეულები; ხოლო ტერმინი *ტრანსნაციონალური* იხმარება მაშინ, როდესაც უგულებელვყოფთ რეალისტურ ვარაუდს, რომ სახელმწიფო ერთადერთი ერთეულია.

2. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დღის წესრიგი შედგება მრავალი საკითხისაგან, რომლებიც ცხად და თანამიმდევრულ იერარქიას არ ქმნის. *საკითხთა იერარქიის არარსებობა* ნიშნავს, რომ სამხედრო უსაფრთხოება ყოველთვის არ არის უმთავრესი დღის წესრიგში. არაერთი საკითხი გამომდინარეობს საშინაო პოლიტიკიდან, რის გამოც სხვაობა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებს შორის ბუნდოვანი ხდება. ეს საკითხები განიხილება რამდენიმე სახელმწიფო უწყებაში (არა მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროში) და რამდენიმე დონეზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკის არაადეკვატურად კოორდინაცია სერიოზულ ხარჯებს ინვევს. სხვადასხვა საკითხს განსხვავებული კოალიციების შექმნა მოჰყვება, როგორც მთავრობათა შიგნით, ისე მათ შორის და განსხვავებული ხარისხის კონფლიქტებიც. პოლიტიკა სახელმწიფოს საზღვრებთან არ წყდება.

3. სამხედრო ძალა არ გამოიყენება ერთი ქვეყნის ხელისუფლების მიერ რეგიონში მდებარე სხვა რომელიმე სახელმწიფოს მთავრობის წინააღმდეგ ან გარკვეული საკითხების გამო, როდესაც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. თუმცა, სამხედრო ძალა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების ურთიერთობაში რეგიონის გარეთ მყოფ სახელმწიფოთა მთავრობებთან ან სხვა საკითხების გამო. მაგალითად, სამხედრო ძალა ვერ მოაგვარებს ეკონომიკის სფეროში წარმოქმნილ უთანხმოებებს ალიანსის წევრებს შორის, მაგრამ, ამავე დროს, მას დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ალიანსის მიერ მოწინააღმდეგე ბლოკთან პოლიტიკური და სამხედრო საკითხების გადაწყვეტისათვის. ურთიერთობის პირველი შემთხვევა კომპლექსური ურთიერთადამოკიდებულების აღნიშნულ პირობას აკმაყოფილებს, მეორე კი – არა.

საერთაშორისო პოლიტიკის ტრადიციული თეორიები ფარულად თუ ღიად უარყოფს ზემოწარმოდგენილი სამი ვარაუდის სისწორეს. ტრადიციონალისტები არ აღიარებენ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების იდეალურ ტიპზე დაფუძნებული კრიტიკის აქტუალურობას. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ეს სამი პირობა მიახლოებით სრულდება ეკონომიკური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების რამდენიმე გლობალურ საკითხთან მიმართებაში, ხოლო ზოგიერთ ქვეყანას შორის ყველა სახის ურთიერთობას ახასიათებს. ჩვენი ერთ-ერთ მიზანი აქ სწორედ ამ მოსაზრების დამტკიცებაა . . . [რისთვისაც] ტრადიციული ვარაუდების კრიტიკის სერიოზუ-

ლად წარმოჩენას შევეცდებით.

მრავალმხრივი არხები

ნებისმიერ დიდ აეროპორტში ვიზიტი არის იმის დამტკიცების შესანიშნავი საშუალება, რომ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის კონტაქტების მრავალმხრივი არხები არსებობს; ამისათვის მრავალტომიანი ლიტერატურის მოძიებაც შეიძლება.[21] ბიუროკრატები სხვადასხვა ქვეყნიდან უშუალო მოლაპარაკებებს აწარმოებენ შეხვედრებზე, ტელეფონით ან ფოსტის საშუალებით. მსგავსად ამისა, არასამთავრობო ელიტის წარმომადგენლები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს ჩვეულებრივი საქმიანი ურთიერთობების დროს ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა სამხრივი კომისია და კერძო ფონდების მიერ დაფინანსებულ კონფერენციებზე.

ამას გარდა, მრავალეროვნული ფირმები და ბანკები გავლენას ახდენენ როგორც ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე, ისე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე. კერძო ფირმებზე დაწესებული შეზღუდვები, ასევე ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის კავშირების სიმჭიდროვე თითოეულ საზოგადოებაში განსხვავებულია, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ნაკლებად კონტროლირებადი დიდი და დინამიური ორგანიზაციების მონაწილეობა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ნორმალურ მოვლენად იქცა.

ამ მოქმედ პირებს მნიშვნელობა ენიჭებათ არა მარტო იმ ქმედებების გამო, რომლებითაც ისინი საკუთარი ინტერესების განხორციელებას ცდილობენ, არამედ იმიტომაც, რომ ისინი გადამცემი რგოლის ფუნქციას ასრულებენ და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობათა პოლიტიკას ერთიმეორის მიმართ უფრო მგრძნობიარეს ხდიან. ვინაიდან ხელისუფლების შიდა სამოქმედო არეალი გაიზარდა, ხოლო კორპორაციების, (უფრო ნაკლებად) ბანკებისა და პროფკავშირების გადაწყვეტილებები სახელმწიფოთა საზღვრებს გასცდა, სხვადასხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკა სულ უფრო მეტად ზემოქმედებს ერთმანეთზე. ტრანსნაციონალური კომუნიკაციები ამ ეფექტებს კიდევ უფრო აძლიერებს. ამრიგად, დღეისათვის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა უფრო მჭიდრო კავშირშია საშინაო ეკონომიკურ საქმიანობასთან, ვიდრე წარსულში, რის შედეგადაც ბუნდოვანი ხდება ზღვარი საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის და მატულობს საგარეო პოლიტიკის საკითხთა რიცხვი. ამ ტენდენციას გარემოს დაცვის რეგულირებისა და ტექნოლოგიაზე კონტროლის სფეროში პარალელურად წინგადადგმული ნაბიჯებიც უწყობს ხელს.

საკითხთა იერარქიის არარსებობა

საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი – ანუ იმ საკითხთა ერთობლიობა, რომლებიც საგარეო პოლიტიკას ეხება და მთავრობათა ზრუნვის საგანს წარმოადგენს – გაფართოვდა და გამრავალფეროვნდა. ყველა საკითხი უკვე აღარ ექვემდებარება სამხედრო უსაფრთხოებას. სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა ასე აღწერა ვითარება 1975 წელს:

ნინსვლა ტრადიციული დღის წესრიგის საკითხთა გადასაჭრელად საკმარისი აღარ არის. წარმოიშვა ახალი უპრეცედენტო საკითხი. ენერგეტიკის, რესურსების, გარემოს დაცვის, მოსახლეო-

[21] იხილეთ პირველი თავის მე-9 და მე-13 სქოლიოებში მითითებული მასალა, აგრეთვე: Edward L. Morse, "Transnational Economic Processes," in Robert O. Keohane and Joseph S. Nye, Jr. (eds.), *Transnational Relations and World Politics* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1972).

ბის, ზღვებისა და კოსმოსის გამოყენების პრობლემები იმავე მნიშვნელობას იძენს, რასაც სამხედრო უსაფრთხოების, იდეოლოგიისა და ტეროტორიისათვის ბრძოლის საკითხები, რომლებიც ტრადიციულად დიპლომატიის დღის წესრიგს შეადგენდა.[22]

კისინჯერის მიერ წარმოდგენილი საკითხების ნუსხა, რომლის გაფართოებაც შეიძლება, გვიჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებს ერთმანეთზე მთავრობათა პოლიტიკური კურსები, მათ შორის წარსულში მხოლოდ საშინაო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად მიჩნეულიც. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), ისევე როგორც ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების (GATT), საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში მიმდინარე ფართო კონსულტაციების ფონზე ნათლად ჩანს, თუ რამდენად დამახასიათებელია განვითარებული, პლურალისტური ქვეყნებისათვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთგადაფარვა. ამერიკის შეერთებული შტატების ცხრა ძირითადი სამთავრობო უწყების (სოფლის მეურნეობის; ვაჭრობის; თავდაცვის; ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური დაცვის; შინაგან საქმეთა; იუსტიციის; შრომის; სახელმწიფო და სახაზინო დეპარტამენტების) და ბევრი სხვა სამსახურის ორგანიზაციული წყობა მათ ვრცელ საერთაშორისო საქმიანობას ასახავს. ამის შედეგია უამრავი ურთიერთგადამფარავი საკითხი, რომლებიც ხელისუფლების ორგანიზაციას კოშმარულ ელფერს აძლევს.[23]

როდესაც დღის წესრიგში მრავალი საკითხია, რომელთა დიდი ნაწილიც საშინაო ჯგუფების ინტერესებს ემუქრება, მაგრამ მთლიანად ერს საფრთხეს არ უქმნის, ერთიანი და თანამიმდევრული საგარეო პოლიტიკის ფორმულირების პრობლემა უფრო მწვავდება. 1975 წელს ენერგეტიკა საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემა იყო, მაგრამ საშინაო კანონმდებლობით განსაკუთრებული ზომების მიღებამ, მაგალითად, ბენზინსა და ავტომობილებზე გადასახადის დანესებამ ავტოქარხნების მუშებისა და საავტომობილო კომპანიების წინააღმდეგობა გამოიწვია. როგორც ერთმა მიმომხილველმა აღნიშნა, „თითქმის ყოველთვის, როდესაც კონგრესი ადგენდა ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების წესს ცვლიდა . . . კონკრეტული ქმედება მოჰყვებოდა კონსენსუსის მიღწევას იმის თაობაზე, რომ პრობლემა წლების განმავლობაში ნელ-ნელა წარმოიქმნებოდა და მის გადასაჭრელად მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდა."[24] დაყოვნების, განსაკუთრებული დაცვის, არათანმიმდევრულობისა და არაკოორდინირებულობის შესაძლებლობები ჩნდება მაშინ, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკა პლურალისტული დემოკრატული ქვეყნების საშინაო პოლიტიკის შეთანხმებულობას მოითხოვს.

სამხედრო ძალის მცირე მნიშვნელობა

პოლიტიკური მეცნიერები ტრადიციულად ხაზს უსვამდნენ სამხედრო ძალის მნიშვნელობას საერთაშორისო პოლიტიკაში. როგორც ნინა თავში ვნახეთ, ძალა დომინირებს ძლიერების სხვა საშუალებებზე: *თუ* არ არსებობს შეზღუდვა ინსტრუმენ-

---

[22] Henry A. Kissinger, "A New National Partnership," *Department of State Bulletin,* February 17, 1975, p. 199.

[23] იხილეთ: The Report of the Commission on the Organization of the Government for the Conduct of Foreign Policy (Murphy Commission) (Washington, D. C.: U.S. Government Printing Office, 1975), და ამ ანგარიშისათვის მომზადებული მასალები. აგრეთვე იხილეთ: Raymond Hopkins, "The International Role of 'Domestic' Bureaucracy," *International Organization* 30, no. 3 (Summer 1976).

[24] *New York Times,* May 22, 1975.

ტების არჩევანში (ჰიპოთეზური სიტუაცია, რომელსაც მხოლოდ ორი მსოფლიო ომის დროს მივუახლოვდით), სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი სახელმწიფო გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს. თუ უსაფრთხოების დილემა ყველა საელმწიფოსათვის მწვავედ დადგება, ეკონომიკური და სხვა რესურსებით ზურგგამაგრებული სამხედრო ძალა აშკარად ძლიერების უმთავრეს წყაროდ მოგვეელინება. ყველა ქვეყნის უპირველესი მიზანი გადარჩენაა და უმძიმეს ვითარებაში სწორედ ძალა არის გადარჩენის ერთადერთი გარანტია. აქედან გამომდინარე, სამხედრო ძალა ეროვნული ძლიერების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

მიუხედავად ამისა, ინდუსტრიულ, პლურალისტურ ქვეყნებს შორის უსაფრთხოების ნარმოსახვითი ზღვარი გაფართოვდა: თავდასხმის შიში ზოგადად შემცირდა, ხოლო *ერთის მეორეზე* თავდასხმის შიში რეალურად აღარ არსებობს. საფრანგეთმა შეცვალა თავისი *tous azimuts-ის* (ყველა მიმართულებით დაცვის) სტრატეგია, რომლის გატარებას პრეზიდენტი დე გოლი უჭერდა მხარს (ეს სტრატეგია არც იმ პერიოდში აღიქმებოდა ბოლომდე სერიოზულად). კანადამ უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც უარი თქვა აშშ-ის წინააღმდეგ ომის უკანასკნელ გეგმაზე. ბრიტანეთი და გერმანია ერთმანეთის მხრიდან საფრთხეს აღარ გრძნობენ. ამ ქვეყნებს შორის ინტენსიური ურთიერთობებია, რომლებიც ურთიერთზეგავლენით ხასიათდება, ხოლო შემთხვევათა უმეტესობაში ძალა, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, უადგილო ან უმნიშვნელოა.

უფრო მეტიც, ძალა ხშირად შეუსაბამო საშუალებაა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზნების (მაგალითად, ეკონომიკური და ეკოლოგიური კეთილდღეობის) მისაღწევად. ძნელი არ არის ისეთი დრამატული კონფლიქტის ან რევოლუციური ცვლილების წარმოდგენა, რომელშიც ძალა ან ძალის გამოყენების მუქარა, ეკონომიკური საკითხების მოგვარების მიზნით ან განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში, დასაშვები შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევაში რეალისტური ვარაუდები კვლავ გამოდგება მოვლენების ასახსნელად, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენების ეფექტები უმეტესწილად ძვირად ღირებული და სათუოა.[25]

თუმცა, მაშინაც კი, როცა ძალის პირდაპირი გამოყენება დაუშვებელია ზოგიერთ ქვეყანას შორის, სამხედრო ძალა მაინც შეიძლება ემსახურებოდეს პოლიტიკურ მიზნებს. თითოეული ზესახელმწიფო აგრძელებს ძალით დამუქრებას იმისათვის, რომ შეაკავოს მეორე ზესახელმწიფოს თავდასხმა საკუთარ თავსა და მოკავშირეებზე; ამდენად, მისი შეკავების უნარი არაპირდაპირ, თავდაცვით როლს ასრულებს, რომელსაც მან თავის მოკავშირეებთან გარკვეულ საკითხებზე პოლიტიკური ვაჭრობისას შეიძლება მიმართოს. პოლიტიკური ვაჭრობის ეს იარაღი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რომლის მოკავშირეებსაც საბჭოთა კავშირიდან მომდინარე პოტენციური საფრთხე აშინებთ და რომელსაც ნაკლები საშუალებები აქვს საკუთარ მოკავშირეებზე გავლენის მოსახდენად, ვიდრე საბჭოთა კავშირს – თავის აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებზე. ამიტომაც, აშშ-მა კარგად გამოიყენა ევროპელების (განსაკუთრებით კი გერმანელების) სურვილი, მის მიერ დაცულნი ყოფილიყვნენ და ევროპაში ჯარების რიცხოვნობის საკითხი ვაჭრობასა და სავალუტო მოლაპარაკებებს დაუკავშირა. ასე რომ, მართალია, შეკავების უნარის პირველადი ეფექტი არსებითად უარყოფითია (მოწინააღმდეგე ზესახელმწიფოს ეფექტიანი თავდასხმის უნარის აღკვეთა), სახელმწიფოს ამ უნარის დადებითად გამოყენებაც შეუძლია, პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად.

[25] ამ საკითხის განხილვისათვის იხილეთ: Klaus Knorr, *The Power of Nations: The Political Economy of International Relations* (New York: Basic Books, 1975).

ამრიგად, ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომელთა შორის ურთიერთობა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებს უახლოვდება, ორი სერიოზული შეზღუდვა რჩება: (1) რადიკალური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად ძალა კვლავ შეიძლება გახდეს პოლიტიკის მნიშვნელოვანი და პირდაპირი ინსტრუმენტი; (2) მაშინაც კი, როცა ელიტათა ურთიერთშემავსებელი ინტერესებია მოცემული, ქვეყანა, რომელიც სამხედრო ძალის მეშვეობით იცავს მეორეს, მასზე სერიოზულ პოლიტიკურ გავლენას ამყარებს.

ჩრდილოეთი-სამხრეთის, მესამე სამყაროს ქვეყნებისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში ძალას ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს. სამხედრო ძალა საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთ ევროპაზე ეკონომიკურად და პოლიტიკურად ბატონობაში ეხმარება. აშშ-ის ღია ან ფარული სამხედრო ინტერვენციის საშიშროებამ შეზღუდა რევოლუციური ცვლილებები კარიბის ზღვის აუზში, განსაკუთრებით გვატემალაში 1954 წელს და დომინიკელთა რესპუბლიკაში 1965 წელს. სახელმწიფო მდივანმა კისინჯერმა 1975 წლის იანვარში შენიღბული გაფრთხილება გაუგზავნა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციას (OPEC-ს), სადაც იუწყებოდა, რომ აშშ-ს შეეძლო ძალა გამოეყენებინა მათ წინააღმდეგ „თუ ინდუსტრიულ მსოფლიოს რეალურად „სასუნთქი არხები" გადაეკეტებოდა."[26]

თუმცა, დღეისათვის ამგვარ მეტად კონფლიქტურ სიტუაციებშიც კი ძალის გამოყენება უფრო ნაკლებად სავარაუდოა, ვიდრე ეს მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, 1945 წლამდე იყო შესაძლებელი. ბირთვული იარაღის გამანადგურებელი ძალა ბირთვულ სახელმწიფოზე ნებისმიერ თავდასხმას საშიშს ხდის. ბირთვული იარაღი უმეტესად გამოიყენება როგორც შემაკავებელი საშუალება. სუსტი ქვეყნების წინააღმდეგ ბირთვული იარაღის მიმართვის მუქარა ეფექტიანი შეიძლება იყოს, მაგრამ ის ასევე ან უფრო მეტად განამტკიცებს ურთიერთობას დამმუქრებელის მოწინააღმდეგეების შორის. ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდული სარგებლიანობა სოციალურად მობილიზებული მოსახლეობის გაკონტროლებაში ცხადყო აშშ-ის წარუმატებლობამ ვიეტნამში, აგრეთვე კოლონიალიზმის სისტემის სწრაფმა რღვევამ აფრიკაში. ამასთან, ერთი რომელიმე საკითხის გამო ძალის გამოყენება ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც სხვადასხვა სახის კავშირ-ურთიერთობა არსებობს, გააუარესებს ორმხრივად მომგებიან ურთიერთობებს სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძალის გამოყენებას ძვირად ღირებული შედეგები მოჰყვება უსაფრთხოების გარდა სხვა მიზნებისათვის. და ბოლოს, დასავლურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხანგრძლივი სამხედრო კონფლიქტებისადმი სახალხო წინააღმდეგობა ძალიან დიდია.[27]

ნათელია, რომ ეს შეზღუდვები ყველა ქვეყნისათვის ან ერთი და იმავე ქვეყნისათვის განსხვავებულ შემთხვევებში ერთნაირი არ არის. ბირთვული ესკალაციის საფრთხე ყველას ემუქრება, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ნაკლებად შემზღუდველია კომუნისტური სახელმწიფოებისა თუ ავტორიტარული რეგიონული ცენტრებისათვის, ვიდრე აშშ-ის, ევროპისა და იაპონიისათვის. ავტორიტარულმა ქვეყნებმაც კი შეიძლება უარი თქვან ძალის გამოყენებაზე ეკონომიკური ამოცანების განსახორციელებლად, თუ ასეთი ნაბიჯი არაეფექტიანი იქნება ან სხვა ურთიერთობებს გააუარესებს. სოციალურად მობილიზებული მოსახლეობის უცხოური სამხედრო დანაყოფებით გაკონტროლების სირთულემ და შეიარაღების ტექნოლოგიის განვითარებამ შეიძლება გააძლიეროს ზოგიერთი ქვეყნის ან არასამთავრობო ჯგუფის

[26] *Business Week*, January 13, 1975.

[27] Stanley Hoffmann, "The Acceptability of Military Force," and Lawrence Martin, "The Utility of Military Force," in *Force in Modern Societies: Its Place in International Politics* (Adelphi Paper, International Institute for Strategic Studies, 1973). იხილეთ აგრეთვე: Knorr, *The Power of Nations*.

უნარი, პოლიტიკურ იარაღად გამოიყენოს ტერორიზმი საპასუხო ქმედების შიშის გარეშე.

ის ფაქტი, რომ ძალის მნიშვნელობის ცვლილებას არათანაბარი შედეგები მოაქვს, ამ ცვლილებებს მნიშვნელობას არ უკარგავს, მაგრამ გარკვეულ პრობლემებს ართულებს. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ძალის გამოყენების შესაძლებლობათა განსხვავებულობა. როდესაც საკითხი დიდ ინტერესს ან ვნებათა ღელვას არ იწვევს, ძალის გამოყენება წარმოუდგენელია. მსგავს შემთხვევებში კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ღირებული კონცეფცია შეიძლება იყოს პოლიტიკური პროცესების გასაანალიზებლად, მაგრამ თუ ეს საკვდილისა და სიცოცხლის საკითხია – როგორადაც ზოგიერთი ნავთობს მიიჩნევდა – ძალის გამოყენება ან მისი მუქარა კვლავ გადამწყვეტი შეიძლება გახდეს. მაშინ რეალისტური ვარაუდები უფრო მართებული იქნება.

ამრიგად, აუცილებელია განვსაზღვროთ რეალიზმის ან კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თითოეული ვითარებისადმი მისადაგების შესაძლებლობა. ამის გარეშე, შემდგომი ანალიზი დამაბნეველი იქნება. ჩვენს მიერ მსოფლიო პოლიტიკის შესახებ რეალისტური თეორიის ალტერნატივის შემუშავება მიზნად ისახავს დიფერენცირებული მიდგომის პოპულარიზაციას, რომელიც განასხვავებს მსოფლიო პოლიტიკის განზომილებებსა და სფეროებს – და არა (როგორც ამას ზოგიერთი მოდერნისტი მეცნიერი აკეთებს) ერთი ზედმეტად გამარტივებული შეფასების მეორეთი შეცვლას.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკური პროცესები

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების სამი მთავარი მახასიათებელი ნათლად გამოკვეთილ პოლიტიკურ პროცესებს განაპირობებს, რომლებიც ძალის წყაროებს შედეგებზე კონტროლის ძალად გარდაქმნის. როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, გარდაქმნის შედეგად ყოველთვის რაღაც იკარგება ან ჩნდება. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში მომხდარი გარდაქმნა რეალიზმის პირობებში განხორციელებულისაგან განსხვავებული იქნება. შესაბამისად, ჩვენი პროგნოზებიც შედეგების თაობაზე მოსაწესრიგებელია.

რეალისტურ მსოფლიოში სამხედრო უსაფრთხოება სახელმწიფოთა უპირველეს მიზნად დარჩება. ის ზეგავლენას მოახდენს იმ საკითხებზეც კი, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება სამხედრო ძალას ან ტერიტორიის დაცვას. არასამხედრო პრომლემები არა მარტო დაექვემდებარება სამხედრო პრობლემებს, არამედ მათი შესწავლა სამხედრო-პოლიტიკური შედეგებიდან გამომდინარე მოხდება. ასე მაგალითად, საგადასახადო ბალანსთან დაკავშირებული საკითხები განიხილება როგორც მსოფლიოში ძალაუფლების განაწილებაზე მათი ზეგავლენის თვალსაზრისით, ისე წმინდა ფინანსური მნიშვნელობის კუთხით. მაკჯორჯ ბანდიმ რეალისტების მოლოდინი გაიზიარა, როდესაც 1964 წელს თქვა, რომ დოლარის დევალვაცია სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, თუ ვიეტნამში ომის წარმოება საჭირო იქნება.[28] გარკვეულწილად იგივე გააკეთა სახელმწიფო ხაზინის ყოფილმა მდივანმა ჰენრი ფაულერმა, როდესაც 1971 წელს განაცხადა, რომ აშშ-ს 4 მილიარდიდან 6 მილიარდ დოლარამდე სავაჭრო ნამატი სჭირდებოდა დასავლეთის ქვეყნებს შორის თავდაცვის სფეროში ლიდერობისათვის.[29]

[28] Henry Brandon, *The Retreat of American Power* (New York: Doubleday, 1974), p. 218.

[29] *International Implications of the New Economic Policy,* U. S. Congress, House of Representatives, Committee on Foreign Affairs, Subcommittee on Foreign Economic Policy, Hearings, September 16, 1971.

თუმცა, კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში მოსალოდნელია, რომ ზოგიერთმა სახელმწიფო მოღვანემ, განსაკუთრებით კი დაბალ სახელისუფლებო დონეზე, აუცილებელი სახელმწიფო მიზნების *მრავალფეროვნებას* გაუსვას ხაზი. საკითხთა გამოკვეთილი იერარქიის არარსებობის ფონზე, თითოეულ საკითხთან მიმართებაში მიზნები განსხვავებული იქნება და, შესაძლოა, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული არ იყოს. ნებისმიერი ბიუროკრატია საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას შეეცდება და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე უწყებამ კომპრომისს შეიძლება მიაღწიოს იმ საკითხებზე, რომლებიც ყოველ მათგანს ეხება, თანამიმდევრული პოლიტიკის გატარება მათთვის რთული აღმოჩნდება. უფრო მეტიც, ტრანსნაციონალური მოქმედი პირები სხვადასხვა საკითხში განსხვავებული მიზნების განხორციელებას შეეცდებიან.

დაკავშირების სტრატეგიები

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში მიზნები განსხვავებული იქნება საკითხთა მიხედვით, ისევე როგორც ძალის გადანაწილება და სხვა ტიპური პოლიტიკური პროცესები. ტრადიციული ანალიზი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სისტემაზე და მრავალ საკითხთან დაკავშირებით მსგავსი პოლიტიკური პროცესების მოლოდინს ბადებს. სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოები სხვადასხვა ორგანიზაციასა და საკითხში გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებენ იმით რომ, ზოგიერთ საკითხში საკუთარ პოლიტიკას სხვა საკითხებში დანარჩენ სახელმწიფოთა პოლიტიკას დაუკავშირებენ. ტრადიციული მოდელის თანახმად, უძლიერესი სახელმწიფოები თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის წყალობით, მათთვის სუსტი საკითხების მოსაგვარებლად, სამხედრო და ეკონომიკური ძალაუფლების მთლიან სტრუქტურასა და ნებისმიერ სფეროში მიღებულ შედეგებს შორის შესაბამისობას უზრუნველყოფენ. ამგვარად, მსოფლიო პოლიტიკა ერთიან ქსელად შეიძლება მოვიაზროთ.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების დროს კი ამგვარი შესაბამისობის მიღწევა ნაკლებად შესაძლებელია. სამხედრო ძალის ღირებულების კლების გამო, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოებისათვის რთული იქნება საკუთარი უპირატესი მდგომარეობის გამოყენება იმ საკითხებში სასურველი შედეგების მისაღებად, სადაც მათი პოზიცია სუსტია, ხოლო ვინაიდან ძალის წყაროთა გადანაწილება, მაგალითად, ვაჭრობის, საზღვაო გადაზიდვებისა და ნავთობის სფეროებში საკმაოდ განსხვავებული შეიძლება იყოს, შედეგთა ტიპები და ნათლად გამოკვეთილი პოლიტიკური პროცესებიც, სავარაუდოდ, განსხვავებული იქნება საკითხთა ყოველი ჯგუფისათვის. დაუყოვნებლივ რომ შეიძლებოდეს ძალის გამოყენება, სამხედრო უსაფრთხოება კი საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი რომ იყოს, ამგვარი ვარიაციები ძალის საკითხის სტრუქტურაში ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნებოდა. თუ კავშირი დამყარდება მათსა და სამხედრო საკითხებს შორის, მხოლოდ ყველა სფეროში ძლიერი სახელმწიფოები გაბატონდებიან, მაგრამ თუ სამხედრო ძალა არ არის მობილიზებული, ძლიერი სახელმწიფოებისათვის დაკავშირების სტრატეგია ნაკლებად ეფექტიანი იქნება. მათ მაინც შეიძლება მიმართონ ამ სტრატეგიას, მაგრამ საკითხთა იერარქიის არარსებობის პირობებში ნარმატება პრობლემატური იქნება.

დომინანტმა სახელმწიფოებმა იმავე შედეგის მიღწევა შეიძლება სცადონ საერთო ეკონომიკური ძლიერების სხვა საკითხებზე გავლენისათვის გამოყენებით. თუ მათ მხოლოდ ეკონომიკური ამოცანები აინტერესებთ, მაშინ ნარმატება შესაძლე-

ბელია: ფული, ბოლოს და ბოლოს, ჩანაცვლებადია. მაგრამ ეკონომიკურ ამოცანებს პოლიტიკური ქვეტექსტიც აქვს და ძლიერის მიერ დამყარებული ეკონომიკური კავშირები საშინაო, ტრანსნაციონალური და ტრანსსამთავრობო მოქმედი პირების მიერ იზღუდება, რომლებიც საკუთარი ინტერესების რაიმეს სანაცვლოდ დათმობას ეწინააღმდეგებიან. ამას გარდა, საერთაშორისო მოქმედი პირები, შესაძლოა, სხვადასხვა საკითხზე ვერ თანხმდებოდნენ, საერთაშორისო ორგანიზაციები კი, სადაც მოლაპარაკებები იმართება, ხშირ შემთხვევაში საერთოდ განზე დგანან. ამდენად, რთულია ნარმოვიდგინოთ სამხედრო ან ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო, რომელიც დათმობებს სავალუტო პოლიტიკაში დაუკავშირებს საპასუხო დათმობებს ოკეანეების პოლიტიკაში. მეორე მხრივ, ღარიბ და სუსტ სახელმწიფოებს არ უძნელდებათ განსხვავებული საკითხების ერთმანეთთან დაკავშირება, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მათი საშინაო ინტერესები ნაკლებად კომპლექსურია. განსხვავებული საკითხების დაკავშირება ხშირად მდიდარი და ძლიერი სახელმწიფოებისაგან დათმობების ან დამატებითი თანხების მიღების საშუალებაა. ამასთან, ძლიერი სახელმწიფოების დაკავშირების ინსტრუმენტის (სამხედრო ძალის) გამოყენება ხშირად ძალიან ძვირად ღირებულია, ის დაკავშირების ინსტრუმენტი კი, რომელსაც სუსტი და ღარიბი სახელმწიფოები იყენებენ – საერთაშორისო ორგანიზაციები – ადვილად ხელმისაწვდომი და იაფია.

ამრიგად, ძალის სარგებლიანობის კლებისა და საკითხთა მნიშვნელობის გათანაბრების კვალდაკვალ ძალის განაწილება თითოეულ საკითხთან მიმართებაში უფრო მნიშვნელოვანი გახდება. თუ დაკავშირების ეფექტიანობა ზოგადად დაეცემა, პოლიტიკური ვაჭრობის შედეგებიც საკმაოდ განსხვავებული იქნება საკითხების მიხედვით.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების დროს საკითხების დიფერენციაცია ნიშნავს იმას, რომ მათი დაკავშირება გართულდება და, გაძლიერების ნაცვლად, შეასუსტებს საერთაშორისო იერარქიას. დაკავშირების სტრატეგიები და მათგან დაცვა სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი სტრატეგიული არჩევანის წინაშე დააყენებს. როგორ უნდა განიხილებოდეს საკითხები: ცალ-ცალკე თუ მთლიანობაში? თუ კავშირები დასამყარებელია, რომელი საკითხები უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს და რომელ დაკავშირებულ საკითხებზე უნდა გაკეთდეს დათმობები? რამდენად შეიძლება განვითარდეს კავშირი, ვიდრე ის საზიანო გახდება? მაგალითისათვის, რას უნდა ვესწრაფოდეთ: ფორმალურ შეთანხმებებს თუ არაფორმალურ, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებად მგრძნობიარე ურთიერთგაგებას? ის ფაქტი, რომ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში მსოფლიო პოლიტიკა ერთიანი ქსელი არ არის, გვიჩვენებს, რომ ქსელის მომგებიანად გაბმის მცდელობები, რომლებიც დაკავშირების სტრატეგიებში აისახება, ხშირ შემთხვევაში პოლიტიკის არსს განსაზღვრავს.

ძალის უმნიშვნელო როლი გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფოები უფრო მეტად დაეყრდნობიან სხვა ინსტრუმენტებს ძლიერების მოსაპოვებლად. ზემოგანხილული მიზეზების გამო, ნაკლებად დაუცველი სახელმწიფოები ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების ძალის წყაროდ გამოყენებას შეეცდებიან გარკვეულ საკითხებში; ისინი საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური მოქმედი პირებისა და ნაკადების გამოყენებასაც შეეცდებიან. სახელმწიფოები შეაფასებენ ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას როგორც ძალის, ისე მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზეგავლენის ასპექტში, თუმცა, კეთილდღეობის ფაქტორი ძალის მაქსიმიზაციის მათ მცდელობას შეზღუდავს. ეკონომიკური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევათა უმეტესობა ერთობლივი მოგების ან ერთობლივი

წაგების შესაძლებლობებს შეიცავს. პოტენციური მოგების ან წაგების შესახებ ცოდნასა და თითოეული მოქმედი პირის პოზიციის გაუარესების შესაძლებლობას, მოგების გადანაწილებისათვის ზედმეტად ულმობელი ბრძოლის შედეგად, ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების სარგებლიანობის შემცირება ძალუძს.

დღის წესრიგის დადგენა

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ჩვენს მიერ გამოთქმული მეორე ვარაუდი, მრავალ საკითხში ნათლად გამოკვეთილი იერარქიის არარსებობა, გვაძლევს საფუძველს, მივიჩნიოთ, რომ დღის წესრიგის ფორმირებისა და გაკონტროლების პოლიტიკა უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს. ტრადიციული ანალიზი სახელმწიფო მოღვაწეებს სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე ამახვილებინებს ყურადღებას, დღის წესრიგის პოლიტიკას კი მეორეხარისხოვნად წარმოაჩენს. სახელმწიფო მოღვაწეები მიიჩნევენ, რომ დღის წესრიგი დადგინდება ძალთა ბალანსის რეალური ან მოსალოდნელი ცვლილებებითა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარებით. სხვა საკითხები მნიშვნელოვანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოებასა და სამხედრო ძლიერებაზე მათ ზემოქმედებას აღიარებენ. ასეთ შემთხვევაში დღის წესრიგზე დიდ გავლენას მოახდენს საერთო ძალთა ბალანსი.

თუმცა, დღეისათვის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ხშირად სხვადასხვა არამსახედრო საკითხია ხაზგასმული, მაშინ როდესაც თითქოს იმავე მნიშვნელობის სხვა საკითხები ან უგულებელყოფილია ან წყნარად განიხილება ტექნიკურ დონეზე. საერთაშორისო სავალუტო პოლიტიკა, პროდუქციით ვაჭრობის პირობები, ნავთობი, სურსათი და მრავალეროვნული კორპორაციები საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო უკანასკნელ ათწლეულში, მაგრამ ყოველ მათგანს როდი ეკავა მონინავე ადგილი სახელმწიფოთაშორისო დღის წესრიგში.

საერთაშორისო პოლიტიკისადმი ტრადიციული მიდგომის მომხრე ანალიტიკოსები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დღის წესრიგის ფორმირებას: იმას, თუ როგორ ინვევს ესა თუ ის საკითხი მაღალჩინოსანთა მუდმივ დაინტერესებას. სამხედრო და უსაფრთხოების საკითხებისაკენ ტრადიციული ორიენტაცია გულისხმობს, რომ სახელმწიფოებისათვის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს განაპირობებს სხვა სახელმწიფოთა ქმედებები ან მათი მხრიდან მომდინარე საფრთხე. სწორედ ესაა მაღალი პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური საკითხების დაბალ პოლიტიკას უპირისპირდება. თუმცა, მოქმედი პირებისა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხთა გართულების პარალელურად ძალის სარგებლიანობა მცირდება და ზღვარი საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის ბუნდოვანი ხდება: რაც მეტად ვუახლოვდებით კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებს, მით უფრო დახვენილი და მრავალფეროვანია დღის წესრიგის დადგენის პოლიტიკა.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების დროს მოსალოდნელია, რომ დღის წესრიგზე გაელენა მოახდინოს ეკონომიკური ზრდისა და მგრძნობიარე ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების შედეგად წარმოქმნილმა საერთაშორისო და საშინაო პრობლემებმა. უკმაყოფილო საშინაო ჯგუფები საკითხების პოლიტიზირებას მოახდენენ და იმ საკითხებს, რომლებიც საშინაოდ ითვლებოდა, სახელმწიფოთაშორისო დღის წესრიგში შეიტანენ. ცვლილება ძალის წყაროთა გადანაწილებაში საკითხთა ამა თუ იმ ჯგუფთან დაკავშირებით ასევე მოახდენს გავლენას დღის წესრიგზე. 1970-იანი წლების დასაწყისში ნავთობის მწარმოებელი სახელმწიფოების მთავრობათა გავლენამ ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და ნავთობის მომხ-

მარებელ ქვეყნებზე საგრძნობლად შეცვალა პოლიტიკის დღის წესრიგი. უფრო მეტიც, დღის წესრიგმა ცვლილებები შეიძლება განიცადოს საკითხთა ერთ ჯგუფთან სხვა ისეთი საკითხების დაკავშირებით, რომელთათვის ახალი ძალის წყაროები ჩნდება; მაგალითად, ჩრდილოეთ-სამხრეთის ვაჭრობის საკითხთა დღის წესრიგი ოპეკის მიერ ნავთობზე ფასების გაზრდისა და 1973-1974 წლების ემბარგოს შემდგომ შეიცვალა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფოთა შესაძლებლობები იგივე დარჩება, დღის წესრიგზე გაელენას მოახდენს ტრანსნაციონალური მოქმედი პირების მნიშვნელობის ცვლა. 1970-იან წლებში მრავალეროვნული კორპორაციების ირგვლივ შექმილმა აჟიოტაჟმა და გასული ოცი წლის მანძილზე მათი რიცხვის სწრაფმა ზრდამ ამგვარი კორპორაციების რეგულირების საკითხი გაერო-სა და ცალკეული სახელმწიფოების დღის წესრიგში ნინა ადგილზე დააყენა.

პოლიტიზაციას – აგიტაციასა და კამათს ამა თუ იმ საკითხის დღის წესრიგში წინ წამოსაწევად – როგორც დავინახეთ, მრავალი წყარო შეიძლება ჰქონდეს. მთავრობამ, რომლის ძლიერებაც იზრდება, საკითხების პოლიტიზირება შეიძლება მოახდინოს მათი სხვა საკითხებთან დაკავშირებით. პოლიტიზაცია აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო რეჟიმმა, რომელიც არაეფექტიანია ან მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას არ ემსახურება, რის გამოც უკმაყოფილო სახელმწიფოები ცვლილებებს მოითხოვენ. თუმცა, პოლიტიზაცია ქვემოდანაც შეიძლება განხორციელდეს. საშინაო ჯგუფების უკმაყოფილება, შესაძლოა, იმდენად დიდი იყოს, რომ მათ მივიწყებული საკითხი წამოჭრან ან მაღალ დონეზე პოლიტიკური ვაჭრობის პროცესში ჩაერიონ. 1974 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ საბჭოთა-ამერიკული სავაჭრო ხელშეკრულების ფარულად დაკავშირება დეტანტის პროგრესთან ამერიკული საშინაო ჯგუფების წარმატებულმა ძალისხმევამ ჩაშალა, დაეკავშირებინათ სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირის საემიგრაციო პოლიტიკასთან.

ტექნიკური მახასიათებლები და ინსტიტუციური პირობები, რომლებშიც საკითხები ჩნდება, დიდ გავლენას მოახდენს პოლიტიზაციის მოდელებზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამა თუ იმ საკითხისადმი კონგრესის ყურადღება პოლიტიზაციის ეფექტიანი ინსტრუმენტია. როგორც წესი, ჩვენ ტრანსნაციონალური ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ტრანსსამთავრობო ბიუროკრატიული ქსელებისაგან პოლიტიზაციის თავიდან აცილების მცდელობას ველით. ქვეყნის შიგნით ჩამოყალიბებული ჯგუფები (როგორიცაა, მაგალითად, პროფკავშირები) და საშინაო საკითხებზე ორიენტირებული ბიუროკრატიები შეეცდებიან პოლიტიზაციის (განსაკუთრებით კონგრესის ყურადღების) გამოყენებას ტრანსნაციონალურად მოქნილი კონკურენტების წინააღმდეგ. საერთაშორისო დონეზე ჩვენ სახელმწიფოებისა და სხვა მოქმედი პირებისაგან მრავალ ფორუმზე დასწრებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საკითხების დაყენებისათვის ბრძოლას ველით, რაც მაქსიმალურად გაზრდის მათ უპირატესობას, დღის წესრიგის გაფართოებით ან შეკვეცით.

ტრანსნაციონალური და ტრანსსამთავრობო ურთიერთობები

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ჩვენს მიერ მოყვანილი მესამე პირობა, საზოგადოებებს შორის ურთიერთობათა მრავალმხრივი არსებობა, კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის განსხვავებას საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას შორის. პოლიტიკურ კოალიციაში პარტნიორების რაოდენობა არ იზღუდება სახელმწიფო საზღვრებით, როგორც ამას ტრადიციული [რეალისტური] ანალიზი ამტკიცებს. რაც უფრო მიახლოებულია ვითარება კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულე-

ბასთან, მით მეტად იმოქმედებს ტრანსნაციონალური ურთიერთობები პოლიტიკური ვაჭრობის შედეგებზე. მრავალეროვნულ კორპორაციებს დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოთ, როგორც დამოუკიდებელ მოქმედ პირებს, ისე ინსტრუმენტებს, რომლებითაც მთავრობები მანიპულირებენ. საშინაო ჯგუფების დამოკიდებულებასა და პოლიტიკურ პოზიციაზე გაელენას მოახდენს მათსა და საზღვარგარეთ მათ კოლეგებს შორის არსებული ორგანიზებული თუ არაორგანიზებული კომუნიკაციები.

ამრიგად, კონტაქტის მრავალმხრივი არხების გამო, ჩვენ საშინაო პოლიტიკის მიღმა შეზღუდვათა არსებობას ველით, რომლებიც სახელმწიფო მოღვაწეებს ურთიერთდამოკიდებულებით მანიპულირებასა და დაკავშირების თანამიმდევრული სტრატეგიის გატარებაში უშლის ხელს. სახელმწიფო მოღვაწეებმა უნდა გაითვალისწინონ ურთიერთდამოკიდებულების სტრატეგიის როგორც ცალკეული, ისე საერთო ეფექტები და მათი ზეგავლენა პოლიტიზაციასა და დღის წესრიგის კონტროლზე. საზოგადოებებს შორის ურთიერთქმედება – უფრო მეტად ეკონომიკურ და სოციალურ, ვიდრე უსაფრთხოების სფეროში – სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ჯგუფებზე. გაფართოებული ტრანსნაციონალური კავშირებით განპირობებული შესაძლებლობები და ხარჯები ზოგიერთი ჯგუფისათვის უფრო დიდი შეიძლება იყოს – მაგალითად, საფეიქრო ან საფეხსაცმლო ფაბრიკებში მომუშავე ამერიკელი მუშებისათვის – ვიდრე სხვა ჯგუფებისათვის. ზოგიერთი ორგანიზაცია ან ჯგუფი შეიძლება პირდაპირ ურთიერთქმედებდეს სხვა საზოგადოებათა მოქმედ პირებთან ან მთავრობებთან იმისათვის, რომ უფრო მეტი სარგებელი ნახოს ურთიერთქმედების ქსელიდან. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მოქმედი პირი, შესაძლოა, უფრო ნაკლებად დაუცველი ან მგრძნობიარე იყოს ურთიერთქმედების ქსელში მომხდარი ცვლილებების მიმართ, ვიდრე სხვები, რაც გავლენას მოახდენს პოლიტიკური ქმედების მოდელებზე.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების დროს არსებული კონტაქტის მრავალმხრივი არხები არასამთავრობო მოქმედი პირებით არ შემოიფარგლება. იმავე ფუნქციების მქონე სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიებს შორის ურთიერთობებმა შეიძლება არა მარტო შეცვალოს მათი წარმომდგენები, არამედ გამოიწვიოს ტრანსსამთავრობო კოალიციების შექმნა გარკვეული პოლიტიკური საკითხების გამო. ნარმატების ალბათობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო უწყებები ცდილობენ სხვა მთავრობათა წარმომადგენელი მოქმედი პირების მოზიდვას მოკავშირეების სახით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ისეთი ძლიერი სახელმწიფოების უწყებებმა, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, არაერთხელ გამოიყენეს ამგვარი კოალიციები მათზე უფრო სუსტი ქვეყნების, მაგალითად თურქეთისა და ჩილეს, მთავრობებში შესაღწევად. ამგვარ კოალიციებს ასევე იყენებდნენ სხვა სახელმწიფოთა მთავრობები აშშ-ის ბიუროკრატიაში შესაღწევად.[30] . . . ტრანსსამთავრობო პოლიტიკა ხშირია აშშ-კანადის ურთიერთობებში და მას უმეტესად კანადის ინტერესებისათვის მოაქვს სარგებელი.

ტრანსსამთავრობო პოლიტიკის ქსელის არსებობა საშუალებას იძლევა, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია გაეუკეთოთ ერთ-ერთ სტანდარტულ მოსაზრებას საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ – რომ სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების თანახმად მოქმედებენ. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ეს ტრადიციული სიბრძნე გარკვეულ კითხვებს ბადებს: რომელ საკუთარ და რომელ ინტერესებზეა საუბარი? სახელმწიფო უწყებამ, შესაძლოა, საკუთარი ინტერესები

[30] უფრო დეტალური განხილვისათვის იხილეთ: Robert O. Keohane and Joseph S. Nye, Jr., "Transgovernmental Relations and International Organizations," *World Politics* 27, no. 1 (October 1974): 39-62.

ეროვნული ინტერესების სახელით განახორციელოს, ხოლო განმეორებადმა ურთიერთქმედებამ ინტერესებზე მისი ოფიციალური წარმოდგენა შეცვალოს. როგორც აშშ-ის სავაჭრო პოლიტიკის დაწვრილებითმა შესწავლამ გვიჩვენა, გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ ინტერესებზე კონცენტრირება ამ ხანგრძლივი პროცესის მექანიკურად აღქმასა და ცვალებადი პირადი ინტერესის ჩამოყალიბებაში კომუნიკაციების მნიშვნელობის უგულებელყოფას იწვევს.[31]

ეროვნული ინტერესის ორაზროვნობა სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერებისათვის სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს. როდესაც ბიუროკრატიები პირდაპირ უკავშირდებიან ერთმანეთს (საგარეო უწყებების ჩაურევლად) ცენტრალიზებული კონტროლის დაწესება უფრო რთული ხდება. ნაკლები გარანტიაა იმისა, რომ სახელმწიფო გაერთიანებულად იმოქმედებს უცხოურ მთავრობებთან ურთიერთობაში ან რომ მისი წარმომადგენლები ერთნაირად განმარტავენ ეროვნულ ინტერესებს უცხოელებთან მოლაპარაკებისას. სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს მრავალი სახე და შიზოფრენიის ნიშნებიც კი. ამიერიდან ეროვნული ინტერესები განსხვავებულად განისაზღვრება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ. სახელმწიფოები, რომლებსაც ერთიანობის შენარჩუნების უფრო დიდი შესაძლებლობა აქვთ, (ცენტრალიზებული პოლიტიკური ტრადიციის წყალობით, როგორც, მაგალითად, საფრანგეთს) უკეთ შეძლებენ არათანაბარი ურთიერთდამოკიდებულებით მანიპულირებას, ვიდრე დანაწევრებული სახელმწიფოები, რომლებსაც, ერთი შეხედვით, ამა თუ იმ სფეროში ძალაუფლების მეტი წყაროები შეიძლება გააჩნდეთ.

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი

და ბოლოს, მრავალმხრივი არხების არსებობა გვაძლევს საფუძველს, ვიწინასწარმეტყველოთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები განსხვავებულ და მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ მსოფლიო პოლიტიკაში. ჰანს მორგენთაუს ტრადიციის მიმდევარმა რეალისტებმა დაგვიხატეს მსოფლიო, რომელშიც სახელმწიფოები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, „ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის" იბრძვიან. უსაფრთხოების საკითხები უპირველესია, ხოლო ომი ყველას ემუქრება. ასეთ მსოფლიოში უმნიშვნელოდ მოჩანს საერთაშორისო ინსტიტუტების როლი, რომელიც ამგვარ ინტერესთა იშვიათი თანხვედრის გამო იზღუდება. შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციები გარიყულნი არიან მსოფლიო პოლიტიკიდან, მაგრამ მსოფლიოში, სადაც მრავალი საკითხი სრულყოფილად არ არის ურთიერთდაკავშირებული, სადაც ტრანსნაციონალური და ტრანსსამთავრობო კოალიციები ყალიბდება, საერთაშორისო ინსტიტუტების პოტენციური როლი პოლიტიკურ ვაჭრობაში საგრძნობლად გაზრდილია. კერძოდ, ისინი გვეხმარებიან დღის წესრიგის დადგენაში, აჩქარებენ კოალიციათა ფორმირებას და წარმოადგენენ ასპარეზს პოლიტიკური ინიციატივებისა და სუსტი სახელმწიფოების დაკავშირების სტრატეგიებისათვის.

მთავრობები სათანადოდ ორგანიზებულნი უნდა იყვნენ იმისათვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ნამოწყებულ საქმეებს გაუმკლავდნენ. მნვავე საკითხების დადგენითა და იმის გადაწყვეტით, თუ რომელი საკითხები შეიძლება გაერთიანდეს ერთ ჯგუფში, საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოებს პრიორიტეტების განსაზღვრაში შეიძლება დაეხმარონ და, აგრეთვე, გავლენა მოახდინონ უწყებათაშორისი კომიტეტების შემადგენლობასა და მთავრობებს შორის დადე-

[31] Raymond Bauer, Ithitiel de Sola Pool and Lewis Dexter, *American Business and Foreign Policy* (New York: Atherton, 1963), 35-ე თავი, განსაკუთრებით გვერდები: 472-75.

ბულ სხვა გარიგებებზე. გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილმა სტოკჰოლმის 1972 წლის კონფერენციამ მრავალი ქვეყნის ხელისუფლებაში ეკოლოგიური სამსახურების მნიშვნელობა გაზარდა. 1974 წლის მსოფლიოს სასურსათო კონფერენციამ აშშ-ის მთავრობის მნიშვნელოვან უწყებებს სურსათის დეფიციტის პრობლემებზე გაამახვილებინა ყურადღება. 1975 წლის სექტემბერში გაერო-ს საგანგებო სესიამ, რომელზეც ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შექმნის წინადადებები განიხილებოდა, ბიძგი მისცა სამთავრობათშორისო დებატებს მესამე სამყაროს მიმართ პოლიტიკის თაობაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ზოგადმა შეთანხმებამ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ მოახდინა მთავრობათა საქმიანობის კონცენტრირება ფულსა და ვაჭრობაზე, პირდაპირი კერძო ინვესტიციების ნაცვლად, რასაც მსგავსი მასშტაბის არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ ემსახურება.

ოფიციალური თანამდებობის პირების ერთად შეყრით საერთაშორისო ორგანიზაციები ხელს უწყობენ პოტენციური კოალიციების ჩამოყალიბებას მსოფლიო პოლიტიკაში. აშკარაა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წელილი მიუძღვით ისეთი სუსტი ქვეყნების წარმომადგენელთა ერთად შეკრებაში, რომელთაც ერთიმეორის დედაქალაქებში საელჩოები არ აქვთ გახსნილი. მესამე სამყაროს ღარიბი ქვეყნების სოლიდარობის სტრატეგიები არაერთ საერთაშორისო კონფერენციაზე შემუშავდა, რომელთა უდიდესი ნაწილი გაერო-ს ეგიდით იქნა ჩატარებული.[32] ამას გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციები საშუალებას აძლევენ ისეთ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც, როგორც წესი, ერთმანეთთან კონტაქტში არ შედიან, პოტენციური ან ფარული კოალიციები ღია ტრანსსამთავრობო კოალიციებად გარდაქმნან, რომლებისთვისაც პირდაპირი ურთიერთკავშირები იქნება დამახასიათებელი. ზოგიერთ შემთხვევაში საერთაშორისო სამდივნოები განგებ აღვივებენ ამ პროცესს მთავრობათა გარკვეულ ჯგუფებთან ან მათ უწყებებთან, ისევე როგორც მსგავსი ინტერესების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოალიციებში შესვლით.[33]

საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად სასურველი ინსტიტუტებია სუსტი სახელმწიფოებისათვის. გაერო-ს სისტემაში ერთ სახელმწიფოს ერთი ხმის უფლება აქვს, რაც პატარა და სუსტ სახელმწიფოთა კოალიციებს უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. სამდივნოები ხშირად ეხმაურებიან მესამე სამყაროს მოთხოვნებს. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციათა უმეტესობის დამოუკიდებელი ნორმები, რომლებიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა, სოციალურ და ეკონომიკურ თანასწორობას, აგრეთვე სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობას უსვამს ხაზს. მესამე სამყაროს პოზიციის გამომხატველი, წარსულში მიღებული რეზოლუციები, რომლებსაც ზოგჯერ დასთანხმებიან ინდუსტრიული ქვეყნები (თუმცა კი, შენიშვნებით), ამჟამად სხვა მოთხოვნების გასამართლებლად გამოიყენება. ეს შეთანხმებები იშვიათად თუა სავალდებულო, მაგრამ გარკვეულ დონეზე ინსტიტუციური ნორმების დარღვევა მხოლოდ პირადი ინტერესებით ნაკარნახევ და ნაკლებად უსაფრთხო ქმედებად აღიქმება.

საერთაშორისო ორგანიზაციები სუსტ სახელმწიფოებს დაკავშირების სტრატეგიათა განხორციელების შესაძლებლობასაც აძლევენ. ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის განხილვისას მესამე სამყაროს ქვეყნები მოითხოვდნენ ნავ-

[32] Branislav Gosovic and John Gerard Ruggie, "On the Creation of a New International Economic Order: Issue Linkage and the Seventh Special Session of the UN General Assembly," *International Organization* 30, no. 2 (Spring 1976): 309-46.

[33] Robert W. Cox, "The Executive Head," *International Organization* 23, no. 2 (Spring 1969): 205-30.

თობზე ფასის დაკავშირებას სხვა ისეთ საკითხებთან, რომლებშიც ისინი ტრადიციულად ვერ ახერხებდნენ თავიანთი მიზნების მიღწევას . . . პატარა და სუსტი სახელმწიფოები გაერო-ს მიერ საზღვაო სამართლის განსავითარებლად ორგანიზებულ კონფერენციებზეც იყენებდნენ დაკავშირების სტრატეგიებს.

ამრიგად, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიოს რეალისტური კონცეფციისაგან განსხვავებულ პოლიტიკურ მოდელებს გვთავაზობს (ეს განსხვავებები შეჯამებულია ცხრილში 2.1). ტრადიციული თეორიები ვერ ხსნის საერთაშორისო რეჟიმების ცვლილებას კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, მაგრამ რეალიზმის პირობებთან მიახლოებულ ვითარებაში ტრადიციული თეორიები უფრო გამოსადეგია . . .

თარგმნა თამარ გუნიამ

ცხრილი 2.1 რეალიზმისა და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები

რეალიზმი	*კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება*
მოქმედ პირთა მიზნები	
სამხედრო უსაფრთხოება ძირითადი მიზანი იქნება.	სახელმწიფოთა მიზნები განსხვავებული იქნება საკითხების მიხედვით. ტრანსნაციონალური პოლიტიკა მიზნების განსაზღვრას გაართულებს. ტრანსნაციონალური მოქმედი პირები საკუთარ მიზნებს განახორციელებენ.
სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები	
სამხედრო ძალა ყველაზე ეფექტიანი იქნება, თუმცა, ეკონომიკური და სხვა სახის ინსტრუმენტებიც გამოიყენება.	საკითხთა თითოეული წრისათვის დამახასიათებელ ძალის წყაროებს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება. ურთიერთდამოკიდებულებებით მანიპულირება, საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური მოქმედი პირები მთავარი ინსტრუმენტები გახდება.
დღის წესრიგის ფორმირება	
ძალთა ბალანსის შესაძლო ცვლილებები და საფრთხეები მაღალპოლიტიკის დღის წესრიგს განსაზღვრავს და სხვა სფეროთა დღის წესრიგზეც ძლიერ გავლენას მოახდენს.	დღის წესრიგზე გავლენას მოახდენს: თითოეულ საკითხში ძალის წყაროთა ბალანსი გადანაწილება; საერთაშორისო რეჟიმების სტაბილუსი; ტრანსნაციონალური მოქმედი პირების მნიშვნელობის ცვლილება; სხვა საკითხებთან დაკავშირება და პოლიტიზაცია, როგორც მერიმობიარე ურთიერთდამოკიდებულების ზრდის შედეგი.
საკითხების დაკავშირება	
დაკავშირება შეიძლება ცალკეულ საკითხთა შედეგებს შორის და გაართულებს საერთაშორისო ურთიერთობას.	ძლიერ სახელმწიფოებს უფრო გაუჭირდებათ დაკავშირების სტრატეგიათა ცხოვრებაში გატარება, რადგანაც ძალა არაეფექტიანი იქნება. საერთაშორისო ორგანიზაციების შეშვებით განხორციელებული სუსტი სახელმწიფოების დაკავშირების სტრატეგიები, გაძლიერების ნაცვლად, შეასუსტებს საერთაშორისო ურთიერთობას.
საერთაშორისო ორგანიზაციები	
საერთაშორისო ორგანიზაციები როლი მცირე იქნება. ის სახელმწიფოთა ძლიერებისა და სამხედრო ძალის მნიშვნელობით შეიზღუდება.	საერთაშორისო ორგანიზაციები დღის წესრიგს დაადგენენ. ხელს შეუწყობენ კოალიციების ფორმირებას და სუსტი სახელმწიფოებისათვის პოლიტიკური ასპარეზის ფუნქციას შეასრულებენ. ამა თუ იმ საკითხისათვის საორგანიზაციო ფორუმის არჩევისა და ხმების მობილიზების უნარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური რესურსი იქნება.

სტივენ კრასნერი

სტრუქტურული მიზეზები და რეჟიმთა შედეგები: რეჟიმები, როგორც შუალედური ცვლადები*

ეს სტატია საერთაშორისო რეჟიმების კონცეფციას იკვლევს. საერთაშორისო რეჟიმები განისაზღვრება, როგორც იმ პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ერთობლიობა, რომელთა თაობაზეც თანხვდება მოქმედ პირთა მოლოდინები ამა თუ იმ სფეროში. ამოსავალი წერტილის სახით, რეჟიმები აღიქმება შუალედურ ცვლადებად, რომლებიც განთავსებულია, ერთი მხრივ, ძირითად მიზეზობრივ ფაქტორებსა და, მეორე მხრივ, შედეგებსა და ქცევას შორის. ეს ფორმულირება ორ მთავარ კითხვას წარმოშობს: პირველი, რა დამოკიდებულებაშია ისეთ ძირითად მიზეზობრივი ფაქტორები, როგორიცაა ძალა, ინტერესი და ღირებულებები, რეჟიმებთან? და მეორე, რა დამოკიდებულებაა რეჟიმებსა და შესაბამის შედეგებსა და ქცევას შორის? პირველი კითხვა უკავშირდება ძირითად პარადიგმათაშორის დებატებს საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების შესახებ. მეორე კითხვა კი არანაკლებ, ან შესაძლოა, უფრო მეტადაც მნიშვნელოვანია. მას აინტერესებს, ცვლის თუ არა რაიმეს რეჟიმების არსებობა.

რეჟიმებისადმი სამი მიდგომის გამოყოფა შეიძლება. ორან იანგი, რეიმონდ ჰოპკინსი და დონალდ პუჩალა რეჟიმებს საერთაშორისო სისტემის გავრცელებულ მახასიათებლად მიიჩნევენ. ქცევის ვერც ერთი მოდელი ვერ იარსებებს დიდხანს, თუ შესაბამის რეჟიმს არ წარმოქმნის. რეჟიმები და ქცევა მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. ამის საპირისპიროდ, სიუზან სტრეინჯი ამტკიცებს, რომ რეჟიმი დამაბნეველი კონცეფციაა, რომელიც ბუნდოვანს ხდის ძირითად ეკონომიკურ და ძალისმიერ ურთიერთობებს. სტრეინჯი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა შორის ამჟამად ყველაზე პოპულარული პოზიციის წარმომადგენელი, ავითარებს ტრადიციულ სტრუქტურულ კრიტიკას, რომელიც პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების მნიშვნელოვან როლს უარყოფს. მეცნიერთა მესამე ნაწილი კი იზიარებს პოზიციას, რომელსაც „მოდიფიცირებული სტრუქტურული" შეიძლება ვუწოდოთ. ისინი აღიარებენ სტრუქტურული რეალიზმის ძირითად ანალიტიკურ პოსტულატებს, რომელთა მიხედვითაც საერთაშორისო სისტემა ფუნქციურად სიმეტრიული, ძალის მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული, ანარქიულ გარემოში მოქმედი სახელმწიფოებისაგან შედგება, მაგრამ მიუთითებენ, რომ გარკვეულ პირობებში (ინდივიდის უუნარო მცდელობის ჩათვლით, მიაღწიოს პარეტო-ოპტიმალურ შედეგებს) საერთაშორისო რეჟიმებს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ანარქიულ მსოფლიოზეც კი. ეს მიდგომა განსაკუთრებით ნათლად არის ასახული ართურ სტაინის, რობერტ კიოჰეინისა და რობ-

---

* Stephen D. Krasner, "Structural Causes and Regime Consequences: Regimes as Intervening Variables," in *International Organization*, Vol. 36, No. 2, 1982. pp. 185-205. Reprinted by permission of MIT Press.

ერტ ჯერვისის ნაშრომებში. ის, აგრეთვე, მოცემულია ჯონ რაგის, ჩარლზ ლიპსონისა და ბენჯამინ კოენის კვლევებში.

ამ სტატიის პირველ ნაწილში რეჟიმისა და რეჟიმის ცვლილების განსაზღვრებებია მოცემული. შემდგომ ნაწილში წარმოდგენილია სხვადასხვა მიდგომა რეჟიმის, ქცევისა და შედეგთა ურთიერთკავშირისადმი. მესამე ნაწილში კი განხილულია ხუთი ძირითადი მიზეზობრივი ფაქტორი – ეგოისტური პირადი ინტერესი, პოლიტიკური ძალა, ფართოდ გავრცელებული ნორმები და პრინციპები, პრაქტიკა და ჩვეულება, და ცოდნა – რომლებსაც რეჟიმთა განვითარების ასახსნელად იყენებენ.

რეჟიმებისა და რეჟიმის ცვლილების განსაზღვრება

რეჟიმები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფარული ან ღია პრინციპების, ნორმებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ერთობლიობა, რომელთა თაობაზეც თანხვდება მოქმედ პირთა მოლოდინები საერთაშორისო ურთიერთობების ამა თუ იმ სფეროში. პრინციპები – ესაა წარმოდგენები ფაქტზე, მიზეზობრიობასა და სისწორეზე, ნორმები – უფლებებისა და მოვალეობების საფუძველზე განსაზღვრული ქცევის სტანდარტები, წესები – ქცევის გარკვეული დირექტივები ან აკრძალვები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები კი – კოლექტიური არჩევნის გაკეთებისა და განხორციელების გაბატონებული მეთოდები.

ტერმინის ამგვარი გამოყენება შეთავსებადია სხვა ფორმულირებებთან. კიოჰეინი და ნაი, მაგალითად, რეჟიმებს განსაზღვრავენ, როგორც „სამთავრობო შეთანხმებათა ერთობლიობებს," რომლებიც მოიცავს „ქცევის მარეგულირებელი და მისი შედეგების მაკონტროლებელი წესების, ნორმებისა და პროცედურების ქსელს."[1] ჰაასი მიიჩნევს, რომ რეჟიმი გულისხმობს ურთიერთშეთანხმებულ პროცედურებს, წესებსა და ნორმებს.[2] ჰედლი ბული განსხვავებულ ტერმონოლოგიას იყენებს და საერთაშორისო საზოგადოებაში წესებისა და ინსტიტუტების მნიშვნელობაზე საუბრობს, სადაც წესები „ძირითადი იმპერატიული პრინციპებია, რომლებიც გარკვეული კლასის ადამიანებს ან ჯგუფებს განსაზღვრული ქცევის ნებას რთავს ან ვალდებულებას აკისრებს."[3] ბულის აზრით, ინსტიტუტები ხელს უწყობს წესების დაცვას მათი ფორმულირებით, კომუნიკაციით, ადმინისტრირებით, განხორციელებით, განმარტებით, ლეგიტიმაციითა და მიღებით.

რეჟიმები უფრო მეტია, ვიდრე დროებითი შეთანხმებები, რომლებიც ძალასა თუ ინტერესებში მომხდარი ნებისმიერი ძვრის შედეგად იცვლება. კიოჰეინი აღნიშნავს, რომ საჭიროა მნიშვნელოვანი ანალიტიკური ზღვრის გავლება რეჟიმებსა და შეთანხმებებს შორის. შეთანხმები *საგანგებო*, ხშირად „ერთჯერადი" ხასიათისაა. რეჟიმების მიზანია შეთანხმებების ხელშეწყობა. მსგავსად ამისა, ჯერვისიც ამტკიცებს, რომ რეჟიმების კონცეფცია „გულისხმობს არა მხოლოდ ნორმებსა და მოლოდინებს, რომლებიც თანამშრომლობას უწყობს ხელს, არამედ თანამშრომლობის ფორმასაც, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მოკლევადიან პირად ინტერესზე ზრუნვა."[4] მას მიაჩნია, რომ, მაგალითად, კორეისა და სხვა ლოკალურ ომებში დაწესებული შეზღუდვები არ უნდა განიხილებოდეს რეჟიმად. ისეთი წესები, როგორიცაა, მაგალ-

[1] Robert O. Keohane and Joseph S. Nye, *Power and Interdependence* (Boston: Little, Brown, 1977), p. 19.
[2] Ernst Haas, "Technological Self-Reliance for Latin America: the OAS Contribution," *International Organization* 34, 4 (Autumn 1980), p. 553.
[3] Hedley Bull, *The Anarchical Society: A Study of Order in World Politics* (New York: Columbia University Press, 1977), p. 54.
[4] რობერტ ჯერვისის სტატია ამავე ჟურნალში, გვ. 357.

ითად, თავშესაფართა დაბომბვის აკრძალვა, მხოლოდ ინტერესის მოკლევადიან გათვლებს ემყარებოდა. როგორც კი ინტერესი და ძალა შეიცვალა, ქცევამაც ცვლილება განიცადა. უოლცის ძალთა ბალანსის კონცეფცია, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები დროდადრო განიცდიან სისტემურ ზეწოლას, აღადგინონ ძალთა ბალანსი, არ წარმოადგენს რეჟიმს. კაპლანის კონცეფცია კი, სადაც წონასწორობა მოითხოვს ისეთი წესების დაცვას, რომლებიც ნამიერ, მოკლევადიან ძალის მაქსიმიზაციას აფერხებს (მოქმედი პირის განადგურების გარეშე), ნამდვილად რეჟიმია.[5]

ამასთან, რეჟიმით დადგენილი ქცევა მხოლოდ ინტერესის მოკლევადიან გათვლებზე არ უნდა იყოს დაფუძნებული. ვინაიდან რეჟიმები პრინციპებსა და ნორმებს მოიცავს, მათი მოგების მაქსიმიზაციის ფუნქცია ზოგად მოვალეობებსაც უნდა გულისხმობდეს. ერთ-ერთი ასეთი პრინციპი, ორმხრივობა, ჯერვისის უსაფრთხოების რეჟიმების ანალიზშია ხაზგასმული. როდესაც სახელმწიფოები ორმხრივობას აღიარებენ, ისინი მსხვერპლად გაიღებენ მოკლევადიან ინტერესებს იმ იმედით, რომ მომავალში სხვა სახელმწიფოებიც ანალოგიურად მოიქცევიან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არიან ვალდებულნი, ასე იმოქმედონ. ეს ფორმულირება ჰგავს ფრედ ჰირშის ბრწყინვალე დისკუსიას მეგობრობის შესახებ, სადაც იგი აღნიშნავს: „მეგობრობა პირდაპირი, ერთობლივი გაცვლის ელემენტს შეიცავს, რითაც კერძო ეკონომიკურ სარგებელს ემსგავსება. მაგრამ ხშირად ის ამაზე ბევრად მეტია. დროთა განმავლობაში მეგობრული „გარიგება," მისი სტაბილურობის პირობებში, ორივე მხარისათვის რეალურ მოგებად შეიძლება იქცეს. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გაცვლა, ნებისმიერ დროს, ორმხრივად დაბალანსებული იყოს."[6] სწორედ ქცევის შერწყმა პრინციპებთან და ნორმებთან განასხვავებს რეჟიმით დადგენილ ქმედებას საერთაშორისო სისტემაში უფრო ტრადიციული ქცევისაგან, რომელიც მხოლოდ ვიწრო ინტერესით არის ნაკარნახევი.

აუცილებელია, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, პრინციპები და ნორმები, და, მეორე მხრივ, წესები და პროცედურები. პრინციპები და ნორმები რეჟიმის ძირითადი განმსაზღვრელი მახასიათებლებია. მრავალი წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა შეიძლება შეესაბამებოდეს ერთსა და იმავე პრინციპებსა და ნორმებს. *წესებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში მომხდარი ცვლილებები რეჟიმების შიდა ცვლილებებია*, იმ პირობით, რომ პრინციპები და ნორმები უცვლელია. ასე მაგალითად, ბენჯამინ კოენი აღნიშნავს, რომ 1970-იან წლებში კერძო საბანკო დაფინანსების საგრძნობი ზრდა შეინიშნებოდა. ეს იმის მაუწყებელია, რომ შეიცვალა საგადასახადო ბალანსის შესწორების მარეგულირებელი ნორმები, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ რეჟიმში ფუნდამენტური ცვლილება მოხდა. რეჟიმის ძირითადი ნორმა უცვლელი რჩება: საგადასახადო ბალანსის დაფინანსების ხელმისაწვდომობა უნდა გაკონტროლდეს და მსესხებელი ქვეყნების ქცევაზე გახდეს დამოკიდებული. ჯონ რაგის მტკიცებით, 1970-იან წლებში საერთაშორისო ეკონომიკურ რეჟიმებში მომხდარი ცვლილებები ნორმებზე დაფუძნებული ცვლილებები იყო. მათ არ შეუცვლია არსებული ლიბერალური რეჟიმის ძირითადი პრინციპები და ნორმები, რომლებიც 1940-იანი წლებიდან მოქმედებს.

პრინციპებსა და ნორმებში მომხდარი ცვლილებები თავად რეჟიმის ცვლილებას ნიშნავს. როდესაც პრინციპებსა და ნორმებს უგულებელყოფენ, ან ახალი რეჟიმი იქმნება ან რეჟიმი მოცემული სფეროდან ქრება. ასე მაგალითად, რაგი აღნიშნავს,

[5] Kenneth Waltz, *Theory of International Relations* (Reading, Mass.: Addison-Wesley, 1979); Morton Kaplan, *Systems and Process in International Politics* (New York: Wiley, 1957), p. 23; Kaplan, *Towards Professionalism in International Theory* (New York: Free Press, 1979), pp. 66-69, 73.

[6] Fred Hirsch, *The Soial Limits to Growth* (Cambridge: Harvard University Press, 1976), p. 78.

რომ კლასიკური და თანამედროვე ლიბერალიზმი განსხვავდება ნორმებითა და პრინციპებით. კლასიკური ლიბერალიზმი მხარს უჭერს ბაზრის მასშტაბების ზრდას. თანამედროვე ლიბერალიზმი კი მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას ბაზრების მიერ გამოწვეული შიდა სოციალური და ეკონომიკური დარღვევების აღსაკვეთად. კლასიკური და თანამედროვე ლიბერალიზმით განსაზღვრული რეჟიმები განსხვავებულია. მეორე მსოფლიო ომამდე არსებული კლასიკური ლიბერალური პრინციპებიდან და ნორმებიდან თანამედროვე ლიბერალურ პრინციპებსა და ნორმებზე გადასვლა, რაგის აზრით, „რევოლუციური" ცვლილება იყო.

ფუნდამენტური პოლიტიკური დავები უფრო ნორმებსა და პრინციპებს შეეხება, ვიდრე წესებსა და პროცედურებს. ამ უკანასკნელთა ცვლილების ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად შეიძლება. მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში GATT*-ის წესდებაში შეტანილი უკანასკნელი ცვლილებები ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისადმი განსაკუთრებულ და დიფერენცირებულ დამოკიდებულებას ითვალისწინებს. ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ პრეფერენციების საერთო სისტემა შემოიღო ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. ამგვარი წესები არღვევს ომისშემდგომი ლიბერალური წესრიგის ერთ-ერთ უმთავრეს ნორმას – ყველა მხარის მიმართ მაქსიმალური ხელშეწყობის პრინციპის მოქმედებას. თუმცა, განვითარებულმა სახელმწიფოებმა წესების ზემოაღნიშნული ცვლილება ღარიბი რეგიონების საგანგებო მდგომარეობით გამოწვეულ დროებით აუცილებლობად მიიჩნიეს. ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნით, ტოკიოს რაუნდის შემდეგ, GATT-ის წესდებაში ოფიციალურად დამკვიდრდა გრადაციის კონცეფცია. გრადაცია გულისხმობს იმას, რომ ქვეყნები, განვითარების კვალდაკვალ, ლიბერალური პრინციპების შესაბამის წესებს აღიარებენ. ამგვარად, ჩრდილოეთის წარმომადგენლებმა არჩიეს, განვითარებადი ქვეყნებისადმი განსაკუთრებული და დიფერენცირებული დამოკიდებულება რეჟიმის შიდა ცვლილებად განეხილათ.

მესამე სამყაროს პოზიციის დამცველები კი, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ძირითადი ნორმები უნდა იყოს გადანაწილება და თანასწორობა, და არა არადისკრიმინაცია და ეფექტიანობა. წესების შეცვლას ისინი რეჟიმის ცვლილებად აღიქვამენ, რადგანაც ამგვარ ცვლილებებს პრინციპების გარდაქმნასთან აიგივებენ. არსებობს ორი არსებითად განსხვავებული ხედვა: ერთის თანახმად, წესებში ცვლილება რეჟიმის შიდა ცვლილების მაჩვენებელია, მეორის თანახმად კი, წესებში ცვლილება ერთი რეჟიმის მეორით ჩანაცვლებას ნიშნავს. ამ ხედვებს შორის განსხვავება იმის შეფასებაზეც არის დამოკიდებული, პრინციპები და ნორმები შეიცვალა თუ არა. ამ შეფასების გაკეთება ყოველთვის რთულია, ვინაიდან შეუძლებელია ის ობიექტურ ქცევით დაკვირვებას ეფუძნებოდეს. რაგის მტკიცებით, „რეჟიმიდან გადახვევას ამოვიცნობთ არა მხოლოდ განხორციელებული ქმედებებით, არამედ იმ წინასწარგამიზნულობითა და მისაღებობით, რომელიც მიეწერება ამ ქმედებებს ურთერთგანმაპირობებელი მნიშვნელობის კონტექსტში."[7]

და ბოლოს, საჭიროა, განვასხვავოთ რეჟიმის დასუსტება რეჟიმის შიდა ცვლილების ან ერთი რეჟიმის მეორეთი ჩანაცვლებისაგან. *თუ რეჟიმის პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ნაკლებად შეთანხმებული ხდება, ან თუ არსებული პრაქტიკა სულ უფრო მეტად აღარ შეესაბამება პრინციპებს, ნორმებს, წესებსა და პროცედურებს, მაშინ რეჟიმი დასუსტებულია.* განვითარებადი ქვეყნებისადმი განსაკუთრებული და დიფერენცირებული დამოკიდებულება იმის მაუწყებელია, რომ ლიბერალური რეჟიმი დასუსტდა იმ შემთხვევაშიც

* ზოგადი შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ

[7] ჯონ რაგის სტატია ამავე ჟურნალში, გვ. 380.


კი, თუ მისი ჩანაცვლება არ მომხდარა. ჯაშუშების მიერ დიპლომატიური საფარველის გამოყენება, საელჩოების მოსმენა, ტერორისტების მიერ დიპლომატების მკვლელობა და ადგილობრივი პოლიციის მიერ ადეკვატური დაცვის ვერ უზრუნველყოფა ცხადყოფს, რომ უცხოური წარმომადგენლობების დაცვის კლასიკური რეჟიმი შესუსტდა. თუმცა, ამ ქმედებების ფარული ხასიათი მიუთითებს, რომ ძირითად პრინციპებსა და ნორმებს საფრთხე არ ემუქრება. ამის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, ამერიკელი დიპლომატების შეპყრობა ირანის მთავრობისაგან სანქციონირებული ჯგუფების მიერ მნიშვნელოვანი გამოწვევაა რეჟიმისათვის. ირანმა დაარღვია არა მხოლოდ წესები და პროცედურები, არამედ პრინციპები და ნორმები.[8]

ამრიგად, რეჟიმის შიდა ცვლილება გულისხმობს წესებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების, და არა ნორმებისა და პრინციპების, შეცვლას; საკუთრივ რეჟიმის ცვლილება კი ნორმებისა და პრინციპების შეცვლას ნიშნავს, ხოლო რეჟიმის დასუსტება – რეჟიმის კომპონენტებს შორის შეთანხმებულობის დარღვევას ან რეჟიმისა და შესაბამისი ქცევის შეუთავსებლობას.

მნიშვნელოვანია თუ არა რეჟიმები?

გარკვეული გამბედაობაა საჭირო ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გასაცემად, შესაძლოა, უფრო მეტი გამბედაობა, ვიდრე ავტორს გააჩნია. ეს პროექტი მარტივი მიზეზობრივი სქემით დაიწყო. მასში გამოითქვა ვარაუდი, რომ რეჟიმები შეიძლება აღვიქვათ შუალედურ ცვლადებად, რომლებიც განთავსებულია, ერთი მხრივ, ძირითად მიზეზობრივ ცვლადებსა (მაგალითად, ძალასა და ინტერესებს) და, მეორე მხრივ, შედეგებსა და ქცევას შორის. ამრიგად, რეჟიმების გაანალიზების პირველი მცდელობა შემდეგი სახის მიზეზობრივი კავშირების არსებობას ითვალისწინებს:

ნახაზი 1



რეჟიმები თავისთავად არ ნარმოიქმნება. ისინი არც თავისთავადი მიზანია, მაგრამ შექმნისთანავე შესაბამის ქცევასა და შედეგებს განაპირობებს. ისინი მხოლოდ თანამდევ მოვლენას არ წარმოადგენს.

რეჟიმების დამოუკიდებელი ზეგავლენა ანალიზის მთავარი ამოცანაა. მეორე მიზეზობრივი ისარი მიუთითებს, რომ რეჟიმები, მართლაც, მნიშვნელოვანია. თუმცა, ამ საკითხზე საერთო აზრი არ არსებობს. შესაძლებელია სამი ძირითადი მიდგომის გამოყოფა. ტრადიციული სტრუქტურული ხედვა რეჟიმების კონცეფციას უსარგებლოდ, ან, სულაც, მცდარად მიიჩნევს. მოდიფიცირებული სტრუქტურული ხედვის თანახმად, რეჟიმები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ პირობებში. გროციუსისეული ხედვა კი რეჟიმებს ადამიანის ქცევის კომპლექსური, სისტემატური მოდელის განუყოფელ და ფართოდ გავრცელებულ ატრიბუტად აღიქვამს.

სიუზან სტრეინჯი პირველი მიდგომის წარმომადგენელია. მას რეჟიმების ცნებ-

[8] ირანის ქცევა შეიძლება გამომდინარეობდეს საერთაშორისო ურთიერთობების ისლამური ხედვიდან, რომელიც უარყოფს გაბატონებულ ევროპულ რეჟიმს. იმავე შეხედულებისათვის იხილეთ: Richard Rosecrance, "International Theory Revisited," *International Organization* 35, 4 (Autumn 1981).

ის ღირებულების თაობაზე სერიოზული ეჭვები გააჩნია. მისი აზრით, აღნიშნული კონცეფცია დამღუპველია, ვინაიდან ის ბუნდოვანს და გაურკვეველს ხდის ინტერესებისა და ძალის ურთიერთმიმართებას, რომელიც საერთაშორისო სისტემაში ქცევის უშუალო და უპირველეს მიზეზად გვევლინება. „ყველა საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც რეჟიმს უწოდებენ, ძალზე იოლად ირღვევა, როდესაც მოლაპარაკებათა მონაწილე სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსი ან ეროვნული ინტერესის აღქმა (ან ორივე ერთად) იცვლება."[9] რეჟიმებს, თუ შესაძლებელია მათ არსებობაზე საუბარი, მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა აქვს ან საერთოდ არავითარი. ისინი თანამდევი მოვლენა უფროა. სქემატურად მოცემულია პირდაპირი კავშირი ძირითადი (პოლიტიკური თუ ეკონომიკური) მიზეზობრივი ფაქტორების ცვლილებასა და ქცევისა და შედეგების ცვლილებას შორის. რეჟიმები მთლიანად გამორიცხულია, ან მათი ზეგავლენა შედეგებსა და შესაბამის ქცევაზე უმნიშვნელოდ არის მიჩნეული.

სტრეინჯის პოზიცია სოციალურ მოვლენათა ანალიზის წამყვან ინტელექტუალურ მიდგომებს ემთხვევა. ეს სტრუქტურული მიდგომები პირად სარგებელზე ორიენტირებული, რაციონალური მოქმედი პირებისაგან შემდგარ მსოფლიოზე ამახვილებს ყურადღებას. მოქმედი პირები შეიძლება იყვნენ: ინდივიდები, ფირმები, ჯგუფები, კლასები ან სახელმწიფოები. ისინი მოღვაწეობენ სისტემაში ან გარემოში, რომელიც მათივე ინტერესებით, ძალითა და ურთიერთქმედებით განისაზღვრება. ეს მიდგომები უპირისპირდება იმ მტკიცებას, რომ პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შედეგებსა და ქცევაზე.

ეს ყველაზე ნათლად ბაზრის ფენომენში ჩანს, რომელიც ეკონომიკის, ყველაზე წარმატებული საზოგადოერივი მეცნიერების, გაბატონებული ანალიტიკური კონცეფციაა. ბაზარს ახასიათებს მყიდველებისა და გამყიდველების უპიროვნობა, ყიდვისა და გაყიდვის სპეციალიზაცია და ურთიერთმისაღებ ვალუტაში დადგენილ ფასზე დამყარებული გაცვლები.[10] მაქს ვებერის განცხადებით, ბაზარში „სოციალური ქმედებები განისაზღვრება არც რაიმე სახის, ღირებულად მიჩნეული ნორმებით და არც წეს-ჩვეულებებით, არამედ იმ გარემოებით, რომ ისინი მოქმედ პირთა გაცნობიერებულ ბუნებრივ ინტერესებს შეესაბამება."[11] ბაზარი განცალკევებული, პირად სარგებელზე ორიენტირებული, ეგოისტი ინდივიდების სამყაროა.

ბაზარი მძლავრი მეტაფორაა მრავალი დისკუსიისათვის როგორც პოლიტიკური მეცნიერების, ისე საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კენეთ უოლცის უკანასკნელი ნაშრომი. უოლცის ხედვით, საერთაშორისო სისტემის უმთავრესი თავისებურებაა ის, რომ მისი შემადგენელი ნაწილები (სახელმწიფოები) ფუნქციურად მსგავსნი არიან და ანარქიულ გარემოში ურთიერთქმედებენ. საერთაშორისო სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ მოქმედ პირთა შედარებითი შესაძლებლობების განაწილებით. მიჩნეულია, რომ სახელმწიფოები პირადი ინტერესიდან გამომდინარე მოქმედებენ. ისინი, მინიმუმ, „საკუთარ გადარჩენაზე ზრუნავენ და, მაქსიმუმ, მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფიან."[12] მათ მხოლოდ სისტემაში სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთქმედება ზღუდავს. ამგვარად, ქცევა სახელმწიფოებს შორის ძალის განაწილებითა და თითოეული სახელმწიფოს მიერ დაკავებული ადგილით განისაზღვრება. ძალთა განაწ-

[9] სიუზან სტრეინჯის სტატია ამავე ჟურნალში, გვ. 487.
[10] Cyril Belshaw, *Traditional Exchange and Modern Markets* (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1965), pp. 8-9.
[11] Max Weber, *Economy and Society* (Berkeley: University of California Press, 1977), p. 30.
[12] Waltz, *Theory of International Relations*, p. 118.

ილების ცვლილებასთან ერთად ქცევაც იცვლება. უოლცისათვის რეჟიმები მათი განმაპირობებელი ძალის შესაძლებლობებისაგან ერთი ნაბიჯით დაშორებული ფენომენებია.[13]

რეჟიმებისადმი მეორე, მოდიფიცირებული სტრუქტურული მიდგომა, ყველაზე ნათლად კიოჰეინისა და სტაინის ნაშრომებშია მოცემული. ეს ორივე ავტორი ტრადიციული სტრუქტურული რეალიზმის ხედვიდან გამოდის (მსოფლიო შედგება სუვერენული სახელმწიფოებისაგან, რომლებიც საკუთარი ინტერესებისა და ძალის მაქსიმიზაციას ეწრაფიან). კიოჰეინი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემაში რეჟიმები იქმნება იურიდიულად თანასწორი მოქმედი პირების ნებაყოფლობითი შეთანხმებების საფუძველზე. სტაინი კი აცხადებს, რომ „აქ ჩამოყალიბებული რეჟიმების კონცეფცია სათავეს იღებს კლასიკური შეხედულებიდან, რომლის თანახმადაც საერთაშორისო პოლიტიკა მოიცავს ურთიერთობებს თვითგადარჩენაზე მზრუნველ, სუვერენულ ერთეულებს შორის, რომლებიც, საბოლოოდ, მხოლოდ საკუთარ თავს ენდობიან და, საჭიროებისამებრ, მზად არიან, ძალას მიმართონ."[14]

სუვერენული სახელმწიფოებისაგან შემდგარ მსოფლიოში რეჟიმების ძირითადი ფუნქციაა სახელმწიფოთა ქცევის კოორდინაცია, გარკვეულ სფეროში სასურველი შედეგების მისაღწევად.[15] ამგვარი კოორდინაცია მიმზიდველია რამდენიმე გარემოების არსებობის დროს. სტაინი და კიოჰეინი ამტკიცებენ, რომ რეჟიმებს შეუძლია ზეგავლენის მოხდენა მაშინ, როდესაც პირადი ინტერესის ინდივიდუალური, არაკოორდინირებული გათვლებით პარეტო-ოპტიმალური შედეგები ვერ მიიღწევა. პატიმრის დილემა ამის კლასიკური მაგალითია თამაშის თეორიიდან. სტაინი ასევე ვარაუდობს, რომ რეჟიმებს შეუძლია დამოუკიდებელი ეფექტის მოხდენა შედეგებზე, როდესაც აბსოლუტურად ავტონომიური ქცევა ორივე მხარეს დამღუპველ შედეგებს უქადის. ამის მაგალითად წინილის თამაში გამოდგება. ჰაასი და სხვები მიიჩნევენ, რომ რეჟიმებს დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს უაღრესად კომპლექსურ მსოფლიოში, სადაც ინტერესთა *საგანგებო*, ინდივიდუალისტური გათვლებით შეუძლებელია საჭირო დონის კოორდინაციის უზრუნველყოფა. თუ, როგორც ამას ბევრი ფიქრობს, შესამჩნევია სვლა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მსოფლიოსაკენ, მაშინ იმ სფეროთა რიცხვი, სადაც რეჟიმებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება ძალუძს, იზრდება.

თუმცა, რეჟიმები ვერ იქნება მნიშვნელოვანი ნულოვანჯამიან ვითარებებში, როდესაც სახელმწიფოები საკუთარ და სხვათა სარგებელს შორის სხვაობის მაქსიმალურად გაზრდას ცდილობენ. ჯერვისი მიუთითებს რეჟიმების სიმცირეზე უსაფრთხოების სფეროში, რომელიც უფრო მეტად უახლოვდება ნულოვანჯამიან თამაშს, ვიდრე ეკონომიკური სფერო. ძალასთან დაკავშირებული მოტივაცია ხელს უშლის რეჟიმებს. ამრიგად, მეორე, მოდიფიცირებული სტრუქტურული მიდგომის თანახმად, რეჟიმები წარმოიქმნება და მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს მხოლოდ გარკვეულ შემზღუდველ პირობებში. ეს ნიშნავს, რომ პირველ ნახაზზე წარმოდგენილი სქემა ასეთ სახეცვლილებას განიცდის:


---

[13] Ibid., იხილეთ განსაკუთრებით მე-5 და მე-6 თავები. რეალისტური სკოლის ამ ტრადიციულ სტრუქტურალისტურ ხედვას ანალოგი მოეპოვება ტექნოლოგიისა და ეკონომიკური სტრუქტურის კვლევათა მარქსისტულ ანალიზში.

[14] რობერტ კიოჰეინისა და ართურ სტაინის სტატიები ამავე ჟურნალში, გვ. 330 და 300.

[15] ამ საკითხს იკვლევს ვინოდ აგარვალი. იხილეთ მისი: "Hanging by a Thread: International Regime Change in the Textile/Apparel System, 1950-1979," Ph.D. diss., Stanford University, 1981, chap. 1.

ნახაზი 2



უმეტეს შემთხვევებში, ძირითად მიზეზობრივ ცვლადებსა და შესაბამის ქცევას შორის (მიმართულება ა) პირდაპირი კავშირია, მაგრამ გარკვეულ გარემოებებში, რომლებიც არ არის ამკარად კონფლიქტური, როცა ინდივიდის მიერ გადაწყვეტილების მიღებას სუბოპტიმალური შედეგები მოჰყვება, რეჟიმები მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს (მიმართულება ბ).[16]

რეჟიმებისადმი მესამე მიდგომა, რომელიც ყველაზე ნათლად რეიმონდ ჰოპკინსის, დონალდ პუჩალასა და ორან იანგის ნაშრომებშია ჩამოყალიბებული, ზემოაღწერილი ორი სტრუქტურული არგუმენტისაგან ძირეულად განსხვავებულ საერთაშორისო ურთიერთობების ხედვას გვთავაზობს. ის გროციუსისეულ ტრადიციას ეფუძნება, რომელიც რეჟიმებს ყველა პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელ ფენომენად მიიჩნევს. ჰოპკინსი და პუჩალა ასკვნიან, რომ „რეჟიმები საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სფეროში არსებობს, თვით ძლიერ სახელმწიფოთა მეტოქეობაშიც, რომელიც, ტრადიციულად, ანარქიის თვალსაჩინო ნიმუშად განიხილება. სახელმწიფო მოღვაწეები თითქმის ყოველთვის შეზღუდულად გრძნობენ თავს იმ პრინციპებით, ნორმებითა და წესებით, რომლებიც განსაზღვრავს ან კრძალავს სხვადასხვაგვარ ქცევას."[17] მათი აზრით, რეჟიმის კონცეფცია სცდება რეალისტურ თვალთახედვას, რომელიც „მეტისმეტად შეზღუდულია მზარდად კომპლექსური, ურთიერთდამოკიდებული და საშიში მსოფლიოს ასახსნელად."[18] ჰოპკინსი და პუჩალა ამ არგუმენტს არა მხოლოდ იმ სფეროს უსადაგებენ, სადაც მოსალოდნელია ინტერესთა თანხვედრა (სურსათი), არამედ იმ სფეროსაც, რომელიც, ზოგადად, ბევრად უფრო კონფლიქტურად ითვლება (კოლონიალიზმი).

ორან იანგი ამტკიცებს, რომ განმეორებადი ქცევა გარდაუვალად იწვევს შესაბამის მოლოდინს. ამას შეთანხმებულ ქცევამდე მივყავართ, რომლის დროსაც მიღებული ჩვეულებიდან გადახვევისათვის გაკიცხვის გარკვეული მოლოდინი არსებობს. შეთანხმებული ქცევა აღიარებულ ნორმებს წარმოქმნის. თუ დამკვირვებელი ურთიერთდაკავშირებული ქმედებების მოდელს აღმოაჩენს და მასში არსებულ კავშირებს გაიაზრებს, მაშინ ნორმებისა და პროცედურების რაიმე ფორმაც აუცილებლად მოცემული იქნება.

მოდიფიცირებული სტრუქტურული მიდგომა სრულყოფილ ბაზარს რეჟიმად არ აღიქვამს, ვინაიდან იქ ქცევა, სხვათა ქცევის მიუხედავად, მხოლოდ ინდივიდუალურ გათვლებს ეფუძნება, მესამე ხედვა კი ბაზარსაც რეჟიმად მიიჩნევს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულ ქცევის მოდელებს ნორმატიული მნიშვნელობა ემატება. ბაზარი ვერ შენარჩუნდება მხოლოდ პირადი ინტერესის გათვ-


[16] აქ მოცემული მოდიფიცირებული სტრუქტურალისტური არგუმენტები საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ ანალიზს ეფუძნება. მარქსისტულ ტრადიციაში ამ ხედვას მრავალი ანალოგი მოეპოვება იმ კვლევების სახით, რომლებიც აქცენტს აკეთებს სახელმწიფოსა და იდეოლოგიის (როგორც ფუნდამენტური ეკონომიკური სტრუქტურების რაციონალიზაციისა და ლეგიტიმაციის მიზნით მოქმედი ინსტიტუტების) მნიშვნელობაზე.

[17] რეიმონდ ჰოპკინსისა და დონალდ პუჩალას სტატია ამავე ჟურნალში, გვ. 270.

[18] Ibid., p. 245.

ლებით. რაგი აცხადებს, რომ ის უფრო ფართო სოციალურ გარემოში უნდა იყოს *ჩაბეჭდილი*, რომელიც მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობებს ასაზრდოებს და უზრუნველყოფს. ტრადიციული სტრუქტურული რეალიზმის წარმომადგენელ ანალიტიკოსთა მიერ წმინდა კონფლიქტურ ვითარებად მიჩნეული ძალთა ბალანსიც კი რეჟიმად შეიძლება განვიხილოთ.[19] გროციუსისეული მიდგომით ნაკარნახევი მიზეზობრივი სქემა ან პირველ ნახაზში მოცემულის მსგავსია ან შემდეგ სახეს იღებს:

ნახაზი 3



ინტერესის გათვლების ამსახველი განმეორებადი ქცევა რეჟიმების შექმნას უწყობს ხელს, რომლებიც განმეორებად ქცევას აძლიერებს.

გროციუსისეული ტრადიცია, რომელსაც ჰოპკინსი, პუჩალა და იანგი ეყრდნობიან, სტრუქტურული რეალიზმის როგორც ტრადიციულ, ისე მოდიფიცირებულ ფორმას უპირისპირდება. ის უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო სისტემა სუვერენული სახელმწიფოებისაგან შედგება, რომელთა ქცევაც მხოლოდ ძალთა ბალანსით არის შეზღუდული. ჰოპკინსი და პუჩალა ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების რეალური მოქმედი პირები ელიტები არიან. სახელმწიფოები მხოლოდ იშვიათი აბსტრაქციაა. ელიტებს როგორც ნაციონალური, ისე ტრანსნაციონალური კავშირები აქვთ. სუვერენიტეტი ქცევითი ცვლადია და არა ანალიტიკური ვარაუდი. სახელმწიფოთა უნარი, გააკონტროლონ საზღვართამკვეთი გადაადგილებანი და შეინარჩუნონ გავლენა საერთაშორისო სისტემის ყველა ასპექტზე, შეზღუდულია. უსაფრთხოება და სახელმწიფოს გადარჩენა ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს. საერთაშორისო პოლიტიკაში არა მარტო ძალას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. ელიტები მოქმედებენ კომუნიკაციათა ქსელის ფარგლებში, რომელიც წესებს, ნორმებსა და პრინციპებს მოიცავს და ეროვნულ საზღვრებს სცდება.

ამ მინიმალისტურმა გროციუსისეულმა მიდგომამ ომისშემდგომ პერიოდში რამდენიმე თეორიული პოსტულატის განვითარებას მისცა ბიძგი. ფუნქციონალიზმმა ეროვნულ საზღვართა გადამკვეთი კერძო ინტერესების გამრავლების მეშვეობით სუვერენიტეტის გაქრობის შესაძლებლობა დაინახა. 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ინტეგრაციის შესახებ, სადაც საზოგადოებებს შორის კომუნიკაციაზე იყო გამახვილებული ყურადღება, კარლ დოიჩმა ერთმანეთისაგან განასხვავა უსაფრთხოების ერთობები და ანარქია.[20] ტრანსნაციონალიზმის კონცეფციასთან დაკავშირებულმა ზოგიერთმა მკვლევარმა ანალიტიკური თვალსაზრისით მცდარად და ნორმატიული თვალსაზრისით საეჭვოდ მიიჩნია ურთიერთდამოკიდებულების ქსელი, რომელიც სუვერენიტეტზე აკეთებს აქცენტს. კიოჰეინისა და ნაის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მიდგომა რეალისტური გადასახედიდან დანახულ ძალის პრიმატსა და მიზანთა იერარქიას უარყოფს.[21] ერნსტ ჰაასი კი აღნიშნავს,

[19] Bull, *The Anarchical Society*, chap. 5.

[20] დამატებით იხილეთ: Arend Lijphart, "The Structure of the Theoretical Revolution in International Relations," *International Studies Quarterly* 18, 1 (March 1974), pp.64-65.

[21] Keohane and Nye, *Power and Interdependence*, განსაკუთრებით მე-8 თავი.

რომ მის მიერ ორგანულ თეორიებად წოდებული ეკოენვაირომენტალიზმი, ეკორეფორმიზმი და ეგალიტარიანიზმი ტრადიციულ ძალაზე ორიენტირებულ ვარაუდებს უარყოფს.

რეჟიმები ბევრად უფრო იოლად აიხსნება გროციუსისეული ხედვით, მაგრამ, როგორც ამას ჯერვისის, კიოჰეინის, სტაინის, ლიპსონისა და კოენის არგუმენტები ცხადყოფს, არც რეალისტური ხედვა ეწინააღმდეგება ამ კონცეფციას. მნიშვნელოვანია არა იმდენად იმ შესაძლებლობის აღიარება, რომ პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები გავლენას ახდენს შედეგებსა და ქცევაზე, არამედ ის, თუ რას მივიჩნევთ საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებრივ მდგომარეობად. გროციუსისეული ხედვის მიმდევრები რეჟიმებს საერთაშორისო სისტემის ფართოდ გავრცელებულ და მნიშვნელოვან მოვლენად აღიარებენ. სტრუქტურული რეალიზმის მიმდევრები კი რეჟიმებს განიხილავენ ფენომენად, რომლის შესახებაც ვარაუდების გამოთქმა შეუძლებელია და რომლის არსებობაც საფუძვლიან ახსნას მოითხოვს. მოცემული ორი „სტანდარტული შემთხვევა" ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება და სწორედ სტანდარტული შემთხვევის განსაზღვრება განაპირობებს თეორიულ მიდგომას. სტივენ ტულმინი წერს, რომ „ნებისმიერი დინამიური თეორია, აშკარად ან ფარულად, სტანდარტულ შემთხვევას ანუ „პარადიგმას" ეყრდნობა. ეს პარადიგმა მოვლენათა მსვლელობისას მონაწილეთა შესაძლო ქცევას წინასწარმეტყველებს." სწორედ ქცევიდან გადახრა საჭიროებს ახსნას.[22] რეალისტური ხედვიდან გამომდინარე, რეჟიმები ის ფენომენია, რომელიც უნდა აიხსნას, გროციუსისეული ხედვით კი, ისინი მონაცემებია, რომლებიც უნდა აღინეროს.

ამგვარად, ტრადიციული სტრუქტურული მიდგომა რეჟიმებს სერიოზულად არ აღიქვამს: თუ ძირითადი მიზეზობრივი ცვლადები შეიცვლება, რეჟიმებიც ცვლილებას განიცდის. რეჟიმები დამოუკიდებლად ვერ ახდენს გავლენას ქცევაზე. მოდიფიცირებული სტრუქტურული მიდგომის თანახმად, რომელსაც რეალისტები გვთავაზობენ, რეჟიმები მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებამ არასასურველი შედეგები შეიძლება გამოიღოს. და ბოლოს, გროციუსისეული მიდგომა რეჟიმებს ადამიანთა განმეორებადი ურთიერთქმედების, მათ შორის საერთაშორისო სისტემაში ქცევის, განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

რეჟიმის განვითარების ახსნა

ის მეცნიერები, რომლებიც რეჟიმებს თანამდევ მოვლენებზე უფრო დიდ შეფასებას აძლევენ და მათ ძირითად მიზეზობრივ ფაქტორებსა და შესაბამის შედეგებსა და ქცევას შორის მოქცეულ შუალედურ ცვლადებად განიხილავენ, ყურადღებას აქცევენ სქემის მეორე მნიშვნელოვან საკითხსაც. რა ურთიერთკავშირი არსებობს ძირითად მიზეზობრივ ცვლადებსა და რეჟიმებს შორის? რა პირობები იწვევს რეჟიმების შექმნას, შენარჩუნებასა და მოსპობას? აქ რეჟიმები დამოკიდებულ ცვლადებად არის წარმოდგენილი.

რეჟიმების განვითარების ასახსნელად ძირითადი მიზეზობრივი ცვლადების ფართო სპექტრი გამოიყენება. მათგან აღსანიშნავია ეგოისტური პირადი ინტერესი, პოლიტიკური ძალა, ნორმები და პრინციპები, პრაქტიკა და ჩვეულება, და ცოდნა. ამ

[22] Stephen Toulmin, *Foresight and Understanding: An Enquiry into the Aims of Science* (New York: Harper Torchbooks, 1961), pp. 56-57. ტულმინი ტერმინ *პარადიგმას* იყენებს იმავე მნიშვნელობით, რომლითაც კუნი – *მოდელის* ცნებას. იხილეთ: Thomas Kuhn, *The Structure of Specific Revolutions*, 2nd ed. (Chicago: University of Chicago Press, 1970), p. 187.

ორ უკანასკნელს მეორეხარისხოვანი ფუნქცია ეკისრება ისეთ ძირითად ფაქტორებთან შედარებით, როგორიცაა ინტერესი, ძალა და ღირებულებები.

I. ეგოისტური პირადი ინტერესი

საერთაშორისო რეჟიმების არსებობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ახსნა ეგოისტურ პირად ინტერესს უკავშირდება. ეგოისტურ პირად ინტერესში მე ვგულისხმობ საკუთარი სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის სურვილს სხვა მხარის სარგებლის გათვალისწინების გარეშე. ეგოისტისათვის სხვათა ქცევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მის პირად სარგებელზე ახდენს ზეგავლენას. ხელშეკრულების ყველა პოლიტიკური თეორია, ჰობსიდან დაწყებული და როულით დამთავრებული, ეგოისტურ პირად ინტერესს ემყარება. მხოლოდ ძალის მაძიებლები დაინტერესებულნი არიან, მაქსიმალურად გაზარდონ სხვაობა საკუთარ და ოპონენტთა ძალისმიერ შესაძლებლობებს შორის.

კიოჰეინისა და, განსაკუთრებით, სტაინის ნაშრომებში ყველაზე სრულყოფილად არის მოცემული და გააზრებული ინტერესზე ორიენტირებული ხედვა. სტაინი ამტკიცებს, რომ „საერთაშორისო რეჟიმებს, როგორც საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთ ფორმას, დამოუკიდებლად გათვლილი პირადი ინტერესის იგივე ძალები უდევს საფუძვლად, რაც ანარქიულ საერთაშორისო სისტემას . . . ზოგიერთ შემთხვევაში პირადი ინტერესის რაციონალურად გათვლა მოქმედ პირებს უბიძგებს, დათმონ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების სასარგებლოდ."[23]

სტაინი ორ გარემოებას გამოყოფს, რომელთა დროსაც შეუზღუდავი ინდივიდუალური არჩევანი თანამშრომლობის სტიმულს წარმოშობს. პირველს ადგილი აქვს, როდესაც ამგვარ არჩევანს პარეტო-სუბოპტიმალური შედეგები მოჰყვება: პატიმრის დილემა და საზოგადოებრივი საქონლის მიწოდება ამის კარგად ნაცნობი მაგალითებია. სტაინი ასეთ შემთხვევას საერთო ინტერესების დილემას უწოდებს. მის გადასაჭრელად აუცილებელია „თანამშრომლობა," ისეთი რეჟიმის აქტიურად შენება, რომელიც გადაწყვეტილებების ინდივიდუალურად მიღებას წაახალისებს. შეუზღუდავი ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისაგან თავი უნდა შევიკავოთ, როდესაც ამან ორივე მხარისათვის არასასურველი შედეგები შეიძლება გამოიღოს და როდესაც ერთი მოქმედი პირის არჩევანი მეორის მიერ გაკეთებულ არჩევანზეა დამოკიდებული: წინილის თამაში ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია. სტაინი მას საერთო უარყოფითი განწყობის დილემას უწოდებს. მისი გადაჭრა შესაძლებელია „კოორდინაციით." ამასთან, აუცილებელი არ არის კოორდინაციის ფორმალიზაცია ან ინსტიტუციონალიზაცია. ბევრი აღარაფერია საჭირო, თუ ყველა თანახმაა, გზის მარჯვენა მხარეს იმოძრაოს. (სტაინის თანამშრომლობის კონცეფცია რეჟიმის აქ წარმოდგენილ განსაზღვრებას ეთანხმება. ბოლომდე ნათელი არ არის, მოიცავს თუ არა კოორდინაცია რეჟიმებს. კოორდინაციისათვის მხოლოდ წესების შექმნაც საკმარისი შეიძლება იყოს, მაგრამ თუ ეს წესები შესაბამისი პრინციპებიდან ან ნორმებიდან არ გამომდინარეობს, ისინი რეჟიმის ზემომოყვანილ განსაზღვრებას არ შეესაბამება).

სტაინი საერთო ინტერესების დილემის ასახსნელად თამაშის თეორიას იყენებს, კიოჰეინი კი ბაზრის წარუმატებლობის მიკროეკონომიკურ თეორიებს იშველიებს. მას, პირველ რიგში, აინტერესებს რეჟიმებზე მოთხოვნა და ის პირობები, რომელთა დროსაც *საგანგებო* შეთანხმებები პარეტო-ოპტიმალურ შედეგებს ვერ

[23] სტაინის სტატია ამავე ჟურნალში, გვ. 316.

იძლევა. იგი აცხადებს, რომ „რეჟიმებს შეუძლია, გააადვილოს შეთანხმებების მიღწევა, თუ ისინი: ქმნის სტრუქტურას თუნდაც არასრულყოფილი სამართლებრივი ვალდებულების დასამყარებლად; უზრუნველყოფს მოქმედი პირებისათვის უკეთესი ხარისხისა და მეტი ოდენობის ინფორმაციის მიწოდებას; ან ამცირებს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა ორგანიზაციული ან დამატებითი დანახარჯები."[24] რეჟიმებიდან მიღებული სარგებელი, ალბათ, გადაწონის მათი ფორმირებისა და შენარჩუნების ხარჯებს, როდესაც აშკარად შეიმჩნევა ინფორმაციის ასიმეტრიულობა, ზნეობრივი საფრთხე, პოტენციური უპატიოსნობა ან განსახილველ საკითხთა სიმრავლე. ამას გარდა, რეჟიმთა ფორმირების ხარჯები ნაკლები იქნება სახელმწიფოთა შორის ხშირი ფორმალური და არაფორმალური კავშირების არსებობისას, ანუ ისეთ პირობებში, რომლებიც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების გარემოში მოქმედ ღია პოლიტიკურ სისტემებში უფრო მოსალოდნელია.

ზოგიერთი სხვა ავტორიც მიიჩნევს ეგოისტურ პირად ინტერესს რეჟიმების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. იანგი ამტკიცებს, რომ რეჟიმი სამი გზით შეიძლება ჩამოყალიბდეს: სპონტანურად, როდესაც რეჟიმები მრავალი ინდივიდუალური ქმედების თანმხვედრი მოლოდინებისაგან აღმოცენდება; მოლაპარაკებების შედეგად, როდესაც რეჟიმები ცხადი შეთანხმების საფუძველზე იქმნება; და იძულების წესით, როდესაც გარეშე ზემოქმედებით ხდება რეჟიმების მოქმედ პირებზე თავს მოხვევა. პირველი ორი გზა ეგოისტურ გათვლებს ეფუძნება. ლიპსონი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის რეჟიმის ლიბერალური წესების აღიარების სხვადასხვაგვარი პრაქტიკა სამრეწველო სექტორებში განსხვავებული დანახარჯების შეთანხმების ფუნქციაა; იქ, სადაც ხარჯები დაბალია, ლიბერალური პრინციპების, ნორმებისა და წესების მუდმივი დაცვა უფრო ხშირია. კოენი აცხადებს, რომ საგადასახადო ბალანსის სუბსიდირების რეჟიმი 1970-იან წლებში შეიცვალა, ვინაიდან ნავთობზე გაზრდილმა ფასებმა და ნავთობდოლარების ბაზარმა ინტერესის გათვლებზე გავლენა მოახდინა. ჯერვისი კი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების სფეროში რეჟიმები მხოლოდ მაშინ იქმნება, როდესაც სახელმწიფოები სტატუს კვოს აღიარებენ, ომის საფასური მაღალია და მისი უარყოფითი შედეგები სხვა სფეროებზე მნიშვნელოვნად აისახება. ეს უკანასკნელი მოსაზრება, რომელიც იმეორებს კიოჰეინის არგუმენტს საკითხთა სიმრავლის შესახებ, ჰაასის, ასევე პუჩალასა და ჰოპკინსის შეხედულებათა მსგავსია. ჰაასი თავისი ანალიზის ცენტრალურ ელემენტად ურთიერთდაკავშირებულობას ასახელებს: რეჟიმების მიზანია კომპლექსურობის მართვა, კომპლექსურობა კი ურთიერთდაკავშირებულობას ზრდის. მსგავსად ამისა, ჰოპკინსი და პუჩალა ამტკიცებენ, რომ რეჟიმების წარმოქმნის ალბათობა მაღალია კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში. ამრიგად, ეგოისტური პირადი ინტერესის გათვლები რეჟიმების საკითხისადმი მიძღვნილ ბოლოდროინდელ ნაშრომებში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

2. პოლიტიკური ძალა

მეორე მნიშვნელოვანი ძირითადი მიზეზობრივი ცვლადი, რომელსაც რეჟიმის განვითარების ასახსნელად იყენებენ, არის პოლიტიკური ძალა. ძალის მიმართ ორი მიდგომა შეიძლება გამოვყოთ. პირველი კოსმოპოლიტური და ინსტრუმენტალურია: ძალა იხმარება მთლიანად სისტემისათვის ოპტიმალური შედეგების უზრუნველსაყოფად. თამაშის თეორიის თანახმად, ძალა საერთო სარგებლის მაქსიმიზაციის მიზნით გამოიყენება. ძალა საერთო კეთილდღეობის სამსახურში იმყოფება. მეორე მიდგომა

[24] კიოჰეინის სტატია ამავე ჟურნალში, გვ. 338.

პარტიკულარისტული და პოტენციურად დასრულებულია: ძალა იხმარება სისტემის ცალკეული მოქმედი პირების ღირებულებათა დასაცავად. ეს ღირებულებები შეიძლება მოიცავდეს როგორც ძალისმიერი პოტენციალის ზრდას, ისე ეკონომიკური და სხვა მიზნების განხორციელებას. თამაშის თეორიის თანახმად, ძალა პირადი სარგებლის გაზრდის მიზნით გამოიყენება. ძალა კერძო ინტერესების სამსახურში იმყოფება.

ა) ძალა საერთო კეთილდღეობის სამსახურში

პირველი მიდგომა ნარმოდგენილია კლასიკურ და ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული ხანგრძლივი ტრადიციით, რომელიც საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებას უკავშირდება. უხილავი ხელი ადამ სმითის ყველაზე დაუძლეველი იდეა იყო: საყოველთაო კეთილდღეობა თითოეულის ეგოიზმიდან გამომდინარე; ეგოიზმის ამაზე ძლიერ დაცვა, ალბათ, შეუძლებელია. თუმცა, სმითი აღიარებდა, რომ სახელმწიფოს გარკვეული სახის საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფა მართებს, რაც მოიცავს თავდაცვას, წესრიგის შენარჩუნებას, კეთილდღეობის მინიმალურ დონეს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს, მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მფარველობასა და სასაქონლო სტანდარტებს.[25] ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს მნიშვნელობაზე საკუთრების უფლების უზრუნველყოფისა და შეთანხმებების შესრულების საქმეში; ანუ ისეთი პირობების შექმნაში, რომლებიც საბაზრო ქცევის საპირისპირო მტაცებლურ ქცევას გამორიცხავს. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს ინსტიტუტები, რომლებიც საზოგადოებრივი და კერძო შემოსავლების დონეს გაათანაბრებს.[26] კეინსიანური ანალიზი წამყვან როლს აკუთვნებს სახელმწიფოს მაკროეკონომიკური ცვლადების მართვაში. ყველა ამ არგუმენტის თანახმად, სახელმწიფოს ქცევის მიზანია ზოგადი საზოგადოებრივი ინტერესების წინ წამოწევა.

ჩარლზ კინდლბერგერი არის ის თანამედროვე ეკონომისტი, რომელიც ყველაზე გარკვევით მიუთითებს ძალის ინსტრუმენტალურ როლზე კოსმოპოლიტური ინტერესების დაცვაში საერთაშორისო სისტემის მასშტაბით. ნაშრომში *მსოფლიო დეპრესიაში* იგი ამტკიცებს, რომ 1930-იანი წლების დეპრესიის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ეფექტიანი სახელმწიფო ლიდერობით. კარგი ლიდერი კრიტიკულ ვითარებაში უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლს შეასრულებდა და ჭარბი საქონლისათვის ბაზარს უზრუნველყოფდა. ომებს შორის პერიოდში აშშ-ს შეეძლო,

[25] ცხარე დებატები მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რა როლს ანიჭებდა სინამდვილეში სმითი სახელმწიფოს. ზოგიერთი მეცნიერი (იხილეთ მაგალითად: Albert Hirschman, *The Passions and the Interests* [Princeton: Princeton University Press, 1977], pp. 103-104) აცხადებს, რომ სმითს სურდა მთავრობის ფუნქციის მუნიმუმამდე შემცირება, რათა შეზღუდულიყო მისი უგუნურება. სხვები (იხილეთ მაგალითად: Colin Holmes, "Laisser-faire in Theory and Practice: Britain 1800-1875," *Journal of European Economic History* 5, 3 [1976], p. 673; და Carlos Diaz-Alejandro, "Delinking North and South: Unshackled or Unhinged," in Albert Fishlow et al., *Rich and Poor Nations in the World Economy* [New York: McGraw-Hill, 1978], pp. 124-25) აქ აღნერილ უფრო შუალედურ პოზიციას იკავებენ. მკვლევართა კიდევ ერთი ნანილი კი ფიქრობს, რომ სმითი ზნეობრივი საზოგადოებისათვის პირობების შექმნას ცდილობდა, რომელიც პირად არჩევანზე იქნებოდა დაფუძნებული და სადაც მატერიალიზმზე ორიენტირებული, ეგოისტური ეკონომიკური სისტემა იქნებოდა გამოსადეგი. იხილეთ მაგალითად: Leonard Billet, "The Just Economy: The Moral Basis of the Wealth of Nations," *Review of Social Economy* 34 (December 1974).

[26] Jack Hirschleifer, "Economics from a Biological Viewpoint," *Journal of Law and Economics* 20 (April 1977); Weber, *Economy and Society*, pp. 336-37; Douglas C. North and Robert Paul Thomas, *The Rise of the Western World: A New Economic History* (Cambridge: Cambridge University Press, 1973), chap. 1.

მაგრამ არ სურდა, ეწვნია ეს ტვირთი, დიდ ბრიტანეთს კი სურდა, მაგრამ არ შეეძლო. შედეგად ეკონომიკური ქაოსი წარმოიშვა. თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ განცხადებაში კინდლბერგერმა ჩამოთვალა ფუნქციები, რომლებსაც სახელმწიფოები ასრულებენ საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში:

1. ეკონომიკური მოქმედი პირების დაცვა ძალის ზემოქმედებისაგან;
2. ღია სისტემის არასასურველი ეფექტების შერბილება, მაგალითად, იმპორტთან კონკურირებადი ადგილობრივი წარმოებისათვის შესაბამისი დახმარების გაწევით;
3. სასაქონლო სტანდარტების შემოღება. ამგვარი სტანდარტების არარსებობისას პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ძიებაში აურაცხელი ენერგია შეიძლება დაიხარჯოს;
4. ეროვნული ვალუტის უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს საერთაშორისო სარეზერვო და გაცვლით ერთეულად;
5. საზოგადოებრივი დაწესებულებების მშენებლობა, როგორიცაა, მაგალითად, ნავსადგურები და საშინაო სატრანსპორტო სისტემები;
6. ბაზრის ნაკლოვანებების კომპენსირება, მაგალითად, უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლის შესრულება, როდესაც კერძო საფინანსო ინსტიტუტები იმდენად ფრთხილობენ, რომ მათმა კონსერვატიზმმა გლობალური ლიკვიდურობა შეიძლება ჩააგდოს საფრთხეში.[27]

პოლიტიკურ ქცევაზე აქცენტირების მიუხედავად, კინდლბერგერის ხედვა მაინც ღრმად ლიბერალურია. სახელმწიფოს ჩარევის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას, რომელშიც პირადი ინტერესის გათვლებზე დაფუძნებული ბაზარი წარმატებით ფუნქციონირებას შეძლებს. ბაზარი, ადამიანის სხეულის მსგავსად, ძირითადად ჯანმრთელია, მაგრამ ზოგჯერ, შესაძლოა, გარეშე აგენტის (სახელმწიფოს ან ექიმის) ჩარევა გახდეს აუცილებელი.[28] საბაზრო ეკონომიკა მთლიანად საზოგადოების სარგებლიანობას გაზრდის. პოლიტიკური ძალა საერთო კეთილდღეობის სამსახურში ჩადგება.

ბ) ძალა კერძო ინტერესების სამსახურში

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული სტატიები ნაკლებადაა ორიენტირებული კოსმოპოლიტურ მიზნებზე; ისინი ყურადღებას ამახვილებს ძალაზე, როგორც ინსტრუმენტზე, რომელიც ცალკეული მოქმედი პირების (როგორც წესი, სახელმწიფოების) სარგებლიანობის გასაზრდელად გამოიყენება. თამაშის თეორიის ანალოგია აადვილებს კერძო ინტერესების სამსახურში მყოფი ძალის თაობაზე ორი შეხედულების გამიჯვნას. პირველის მიხედვით, მოგებები ფიქსირებულია და სწორედ ისინი განსაზღვრავს მოქმედი პირის მიერ სტრატეგიის არჩევას. მეორის თანახმად კი, ძალა შეიძლება გამოიყენებოდეს მოგებათა შესაცვლელად და მოქმედი პირის სტრატეგიაზე გავლენის მოსახდენად.

პირველი მიდგომა ახლოსაა ანალიზთან, რომელიც კოსმოპოლიტურ მიზნებს

---

[27] Charles P. Kindleberger, "Government and International Trade," *Princeton Essays in International Finance* (International Finance Section, Princeton University, July 1978). ადამ სმითი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ლიდერობას. იგი ფიქრობდა, რომ გონიერულ ურთიერთობებს ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საერთაშორისო სისტემაში, თუ ძალთა ბალანსი არსებობს. ასეთი ბალანსის გარეშე ძლიერი სუსტზე გაბატონდებოდა და მას ექსპლუატაციას გაუწევდა. იხილეთ: Diaz-Alejandro, "Delinking North and South," p. 92.

[28] Charles P. Kindleberger, *Manias, Panics, and Crashes: A History of Financial Crises* (New York: Basic Books, 1978).

მიესადაგება, იმ განსხვავებით, რომ აქ პოლიტიკური ძალა გამოიყენება ინდივიდუალური და არა საერთო მოგების გასაზრდელად. ინტერესის გარკვეული კონფიგურაციის პირობებში არსებობს რეჟიმების წარმოქმნის სტიმული და ამ რეჟიმების უზრუნველყოფა განპირობებულია ძალის განაწილებით. ზემოთ დასახელებულ სტატიაში კიოჰეინი ყურადღებას ამახვილებს რეჟიმების მოთხოვნაზე, თავის სხვა ნაშრომებში კი იგი ამბობს, რომ ჰეგემონები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებაში, რომელიც რეჟიმების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის არის აუცილებელი.[29] ჰეგემონები უზრუნველყოფენ ამ საქონელს არა იმიტომ, რომ დაინტერესებულნი არიან მთელი სისტემის კეთილდღეობით, არამედ იმიტომ, რომ რეჟიმები მათ ეროვნულ ღირებულებებს განამტკიცებს.

ძალის ასიმეტრიულად განაწილების საჭიროებაზე ყურადღების გამახვილება (მიწოდების გადასახედიდან) უნდა განვასხვაოთ სტაინის მტკიცებისაგან, რომელიც მოთხოვნის ეფექტიანობას უკავშირდება. ჰეგემონური ლიდერობის თეორიის მიხედვით, ჰეგემონიის შესუსტების პირობებში რეჟიმები სუსტდება. ლიდერობის გარეშე პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შენარჩუნება რთულია. არც ერთი მოქმედი პირი არ მოისურვებს საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებას, რომელიც აუცილებელია რეჟიმის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. სტაინის ანალიზით კი, პირიქით, ჰეგემონიის შესუსტებისას თანამშრომლობისათვის მეტი სტიმული არსებობს, ვინაიდან ჰეგემონი საზოგადოებრივ საქონელს აღარ უზრუნველყოფს. საერთაშორისო სისტემა ოლიგოპოლიას უფრო წააგავს, ვიდრე სრულყოფილ ბაზარს. მოქმედი პირებისათვის ნათელია, თუ რა გავლენას ახდენს მათი ქცევა სხვებზე. როდესაც პატარა სახელმწიფოები აცნობიერებენ, რომ ჰეგემონს უსასყიდლოდ მომსახურება აღარ სურს, ისინი, როგორც წესი, გადამხდელუნარიანი მომხმარებლები ხდებიან. სტაინის აზრით, მხოლოდ ინტერესებს შეუძლია წესრიგის შენარჩუნება. ჰეგემონის დაცემამ უფრო ძლიერი რეჟიმების შექმნა შეიძლება გამოიწვიოს.

მეორე არგუმენტი, რომელიც კერძო ინტერესების სამსახურში მყოფ ძალას ეხება, განიხილავს შესაძლებლობას, როდესაც ძლიერ მოქმედ პირებს შეუძლიათ სხვა მოქმედ პირთა მოგების შეცვლა ან მათ მიერ სტრატეგიის არჩევაზე გავლენის მოხდენა. ამ შემთხვევაში ძალას უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება – იძულების ელემენტის გამო. უფრო სუსტ მოქმედ პირებს, შესაძლოა, არ ძალუძდეთ დამოუკიდებელი არჩევნის გაკეთება. გარკვეული ერთეულის ღირებულებები შეიძლება შეიცვალოს.

ორან იანგი იძულებითი რეჟიმების კონცეფციას ავითარებს. დომინანტ მოქმედ პირებს აქვთ უნარი, სანქციებისა და წახალისების კომბინაციით, სხვა მოქმედი პირები გარკვეული პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შესაბამისად მოქმედებაზე დაიყოლიონ. დომინანტ მოქმედ პირებს ხელსაყრელ გარემოებათა მანიპულაციითაც შეუძლიათ, უზრუნველყონ სუსტი მოქმედი პირების სასურველი ქცევა. კიოჰეინი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემაში არჩევნის გაკეთების შესაძლებლობას უფრო ძლიერ მოქმედ პირთა სურვილები ზღუდავს. ბენჯამინ კოენის თქმით, ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტთა წესები და პროცედურები ამერიკის შეერთებული შტატების სურვილებს უფრო ასახავდა, ვიდრე დიდი ბრიტანეთისას. ჯერვისი კი ამბობს, რომ სუსტ სახელმწიფოებს სხვა გზა არ ჰქონდათ, გარდა მეცხრამეტე საუკუნის ძალთა ბალანსის რეჟიმისადმი მორ-

[29] Robert O. Keohane, "The Theory of Hegemonic Stability and Changes in International Economic Regimes, 1967-77," in Ole R. Holsti et al., *Changes in the International System* (Boulder, Col.: Westview, 1980).

ჩილებისა, რომელიც დიდ სახელმწიფოებს განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში რეჟიმები უფრო ძლიერმა მოქმედმა პირებმა შექმნეს, რათა საკუთარი მიზნები განეხორციელებინათ, დანარჩენი ქვეყნები კი იძულებულნი იყვნენ, შეგუებოდნენ ამას, ვინაიდან მათი მოგებით მანიპულირება ხდებოდა ან მათი არჩევანი შეზღუდული იყო.

როდესაც ჰეგემონი სახელმწიფო სხვა მოქმედ პირთა სტრატეგიაზე ზემოქმედებას ცდილობს, რეჟიმი საერთაშორისო სისტემაში არსებული ძალთა განაწილების შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. თუ ჰეგემონის უპირატესობა მცირდება, რეჟიმი ემხობა. იანგი ამტკიცებს, რომ იძულებითი რეჟიმები ირღვევა, როდესაც მათი განმსაზღვრელი ძალის შესაძლებლობები იცვლება. ჰოპკინსი და პუჩალა ფიქრობენ, რომ ძალზე პოლიტიზებული, სუსტად ორგანიზებული და ღირებულებების მხრივ მიკერძოებული რეჟიმები, როგორც წესი, ძალთა განაწილების შეცვლის შედეგად რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდის. მაგალითად, კოლონიური რეჟიმის ნორმები ნარსულს ჩაბარდა, რადგან მათი მხარდამჭერი უძლიერესი ევროპული სახელმწიფოების ძლიერება თანდათანობით გაქრა. ეს არგუმენტები რეჟიმის ცვლილებისა და ჰეგემონის დასუსტების შესახებ განსხვავდება იმ ანალიზისაგან, რომელიც კოსმოპოლიტური ან პარტიკულარისტული მიზნებით საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებას აქცევს დიდ ყურადღებას. აქ ძალის შესუსტება რეჟიმის ცვლილებას ინვევს იმიტომ, რომ ჰეგემონს აღარ შეუძლია მოგების თანაფარდობის გაკონტროლება ან სუსტ მოქმედ პირთა სტრატეგიებზე გავლენის მოხდენა, და არა იმიტომ, რომ არ არსებობს მოქმედი პირი, რომელსაც რეჟიმის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფა ხელეწიფება.

3. ნორმები და პრინციპები

ამ მომენტამდე ნორმებსა და პრინციპებს ენდოგენურ მახასიათებლებად მივიჩნევდით: ისინი ნებისმიერი რეჟიმის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორებია. თუმცა, ის ნორმები და პრინციპები, რომლებიც რეჟიმის რომელიმე სფეროზე ახდენს გავლენას მასთან უშუალო კავშირის უქონლად, შეიძლება ასევე გამოვიყენოთ რეჟიმების შექმნის, შენარჩუნებისა და დაშლის ასახსნელად. ამგვარი ფორმულირების ყველაზე ცნობილი მაგალითია მაქს ვებერის *პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული*. ვებერი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის აღზევება უშუალოდ უკავშირდება კალვინისტური რელიგიური დოქტრინის ევოლუციას, რომელიც თავდაუზოგავ შრომას ქადაგებს და, ამავე დროს, მფლანგველობას დასაშვებად მიიჩნევს, ხოლო ამქვეყნიურ წარმატებას ბედისწერის გამოვლინებად მოიხსენიებს.[30] ფრედ ჰირშის მტკიცებით, ისეთი წინარეკაპიტალისტური ღირებულებების გარეშე, როგორიცაა თავდაუზოგავი შრომა, თავგანწირვა, ერთგულება და ღირსება, კაპიტალისტური სისტემები დაიშლებოდა. ამგვარი ღირებულებები მნიშვნელოვნად აკავებს ეგოისტურ გათვლებს, რომლებსაც, შესაძლოა, არასანდო და უნესო ქცევა მოჰყვეს.[31]

მსოფლიოს სხვადასხვა განდგომილი ჯგუფების მხრიდან მომდინარე დაფინანსება იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეუძლია არაეკონომიკურ ნორმებს სა-

---

[30] დამატებით იხილეთ: David Laitin, "Religion, Political Culture, and the Weberian Tradition," *World Politics* 30, 4 (July 1978), განსაკუთრებით გვ. 568-69. კაპიტალიზმის აღზევების არაეკონომიკური ღირებულებების შესახებ იხილეთ: Hirschman, *The Passions and the Interests*.

[31] Hirsch, *The Social Limits to Growth*, chap. 11. იხილეთ ასევე: Michael Walzer, "The Future of Intellectuls and the Rise of the New Class," *New York Review of Books* 27 (20 March 1980).

ბაზრო საქმიანობის ხელშეწყობა. მაგალითად, თამასუქები ებრაელმა ბანკირებმა გამოიგონეს გვიან შუა საუკუნებში, რათა თავადაზნაურობის მხრიდან ძალადობა და გამომძალველობა თავიდან აეცილებინათ: ქაღალდის ფურცლის ტარება უფრო უსაფრთხოა, ვიდრე მონეტის. თუმცა, ამ ფურცლის მიმღებს ფული უნდა გადაეხადა. ეს დიდ ნდობას მოითხოვდა, რომელსაც შეთანხმებებით აღწევდნენ: არსებულ პრაქტიკას გარანტად უდგებოდა ექსკლუზიური ჯგუფი, რომელიც ზედამხედველობასა და სანქციების განხორციელებას უზრუნველყოფდა. შეთანხმებების მნიშვნელობა თამასუქებთან მიმართებაში ასევე ნათლად დასტურდება იმ ფაქტით, რომ ისინი ხშირად გამოიყენებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მეთექვსმეტე საუკუნეში, მაშინ როდესაც არ იხმარებოდა სირიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთის საზღვარზე, სადაც, ბროდელის სიტყვებით, „ორი, ერთმანეთისადმი უნდობლად განწყობილი სამყარო პირისპირ შეხვდა ერთმანეთს." აქ ყველა გარიგება ბარტერით, ოქროთი ან ვერცხლით ხორციელდებოდა.[32]

ჰოპკინსი და პუჩალა ერთმანეთისაგან განასხვავებენ ზესტრუქტურასა და ქვესტრუქტურას. ზესტრუქტურაში იგულისხმება ზოგადი და ფართოდ გავრცელებული პრინციპები და ნორმები, რომლებიც კონკრეტულ სფეროში მოქმედ პრინციპებსა და ნორმებს განაპირობებს. ასე მაგალითად, ეს მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ძალთა ბალანსი მეცხრამეტე საკუნის ევროპაში დამკვიდრებული ნორმა იყო, რომელმაც კოლონიალიზმის რეჟიმის ბუნებაზე მოახდინა ზეგავლენა. ჯერვისის მტკიცებით, უსაფრთხოების სფეროში რეჟიმების ჩამოსაყალიბებლად ძლიერმა სახელმწიფოებმა „უნდა ირწმუნონ, რომ ორმხრივი უსაფრთხოება და თანამშრომლობა სხვებისთვისაც ისევე ღირებულია, როგორც მათთვის."[33] ჯონ რაგის უაღრესად ორიგინალური კვლევა ომისშემდგომი ეკონომიკური რეჟიმის შესახებ გვაუწყებს, რომ ის ემყარებოდა არა კლასიკური, არამედ თანამედროვე ლიბერალიზმის პრინციპებს. 1930-იანი წლებმა გვიჩვენა, რომ საზოგადოებები ვერ ეგუებიან არარეგულირებადი ბაზრის შედეგებს. ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებებით კაპიტალისტური სამყაროს ღირებულებებმა საშინაოდან საერთაშორისო ასპარეზზე გადაინაცვლა.

ამ მსჯელობის თანახმად, არსებობს რეჟიმების იერარქია. ისეთი ფართოდ გავრცელებული პრინციპები და ნორმები, როგორიცაა თავდაუზოგავი შრომა ან ღვთის სამსახური, კონკრეტულ სფეროებში ქცევას განაპირობებს. საერთაშორისო ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი სუვერენიტეტია. ჰედლი ბული სუვერენიტეტს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძირეულ პრინციპად მიიჩნევს. განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში ექსკლუზიური კონტროლის კონცეფციასა და საერთაშორისო ასპარეზზე თვითდახმარების შეუზღუდავ უფლებას, რომელიც გვიანი შუა საუკუნეების ევროპაში აღმოცენდა, გაბატონებული ადგილი უკავია თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში.[34]

ამ თვალსაზრისით, სუვერენიტეტი არა ანალიტიკური ვარაუდი, არამედ პრინციპია, რომელიც მოქმედ პირთა ქცევაზე გავლენას ახდენს. რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით (ანტარქტიდა, ნამიბია და მდ. იორდანის დასავლეთ სანაპირო) მსოფლიო მასშტაბით სუვერენიტეტის ცნება დომინირებს. იმ ტერიტორიებზე, სადაც სუვერენიტეტი არ ვრცელდება, რეჟიმები ან სუსტია ან საერთოდ არ

---

[32] Fernand Braudel, *The Mediterranean and the Mediterranean World in the Age of Philip II* (New York: Harper, 1975), p. 370. თამასუქებსა და ებრაელ ბანკირებს შორის კავშირის შესახებ იხილეთ: Hirschman, *The Passions and the Interests*, p. 72, და Immanuel Wallerstein, *The Modern World-System* (New York: Academic Press, 1974), p. 147.

[33] ჯერვისის სტატია ამავე ჟურნალში, გვ. 361.

[34] Bull, *The Anarchical Society*, pp. 8-9, 70.

არის. სუვერენიტეტი სახელმწიფოებს საერთაშორისო სისტემაში ქცევის შეუზღუდავი უფლებების მქონე ერთადერთ მოქმედ პირებად აქცევს. სხვათა მოთხოვნები პათოლოგია. სუვერენიტეტის პრინციპი თუ შეიცვალა, ძნელად წარმოსადგენია, რომელიმე სხვა საერთაშორისო რეჟიმი უცვლელი დარჩეს.

4. პრაქტიკა და ჩვეულება

კიდევ ორი მიზეზობრივი ცვლადი, რომელიც ზემოქმედებს რეჟიმის განვითარებაზე, არის პრაქტიკა და ჩვეულება და, ბოლოს, ცოდნა. პრაქტიკასა და ჩვეულებას ამ ნაწილში შევეხებით, ცოდნას კი – შემდეგში. პრაქტიკა, ჩვეულება და ცოდნა აქ არ განიხილება ეგზოგენურ ცვლადებად, რომლებსაც ცალკე რეჟიმის შექმნა მოჰყვება. პირიქით, მათი მეშვეობით ხდება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ძალისა და სხვა ფართოდ გავრცელებული ღირებულებების მხარდაჭერა და გაძლიერება.

პრაქტიკაში იგულისხმება რეალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული, რეგულარულად განმეორებადი ქცევის მოდელები; ჩვეულებაში კი – ხანგრძლივი პრაქტიკა.[35] ჰოპკინსი, პუჩალა და იანგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ რუტინულ ქცევას. მათი აზრით, განმეორებად ქცევას, რომელიც საწყის ეტაპზე ინტერესის ან ძალის ფაქტორებით არის განპირობებული, გააჩნია მძლავრი ტენდენცია, გამოიწვიოს საერთო მოლოდინი. განმეორებადმა ქცევამ, საერთო მოლოდინთან ერთად, ნორმატიული მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს: მხოლოდ ინსტრუმენტალურ გათვლებზე დამყარებული ქცევა შესაძლებელია წესით განსაზღვრულ ანუ პრინციპულ ქცევად მივიჩნიოთ. ის ლეგიტიმურობას იძენს. დასავლური სავაჭრო სამართლის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, პირადი ინტერესით ნაკარნახევი ჩვეულებიდან და პრაქტიკიდან აღმოცენდა. პრაქტიკა, რომელსაც თავდაპირველად *საგანგებო*, კერძო შეთანხმების სახე ჰქონდა, მოგვიანებით ოფიციალური სავაჭრო სამართლის საფუძველი გახდა.[36]

სპონტანური და იძულებითი რეჟიმების განხილვისას ორან იანგი მნიშვნელოვან როლს მიაწერს ჩვეულებასა და პრაქტიკას. იანგი არ ასახელებს იმ კონკრეტულ პირობებს, რომლებიც სპონტანური რეჟიმების წარმოქმნას იწვევს. თუმცა, ლიტერატურა, რომელსაც იგი ეყრდნობა (შელინგი, ლიუისი და ჰაიეკი), ეძღვნება ეგოისტურ პირად ინტერესზე ორიენტირებულ მიკროეკონომიკურ ხედვას. ქცევის გარკვეული მოდელები მისაღები ხდება იმიტომ, რომ ისინი პირად სარგებლიანობას ზრდის. ერთხელ დადგენილი ამგვარი პრაქტიკის განმტკიცებას რეჟიმების მომრავლება უწყობს ხელს. ამერიკელ მძღოლთა უმრავლესობა (ნიუ იორკის გარეთ) მცირე დისკომფორტს მაინც იგრძნობს, თუ ცარიელ გზაჯვარედინს ნითელ შუქზე გაივლის. ქცევა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ეგოისტური პირადი ინტერესით იყო ნაკარნახევი, უკვე ფართოდ აღიარებული ნორმებითაა გამყარებული. მსგავსად ამისა, იანგი ამტკიცებს, რომ წარმატებულ იძულებით წესრიგს, საბოლოო ჯამში, მორჩილების ჩვეულება განამტკიცებს. (ცხადი არ არის, რომ, ამ ჩვეულებების გარეშე, იანგის იძულებითი რეჟიმების კონცეფცია რეჟიმების აქ მოცემულ განსაზღვრებას შეესაბამება). ქცევის მოდელი, რომლის ჩამოყალიბება თავდაპირველად ეკონომიკური იძულებით ან ძალის გამოყენებით მოხდა, ლეგიტიმურად შეი-

[35] Weber, *Economy and Society*, p. 29.

[36] Leon E. Trakman, "The Evolution of the Law Merchant: Our Commercial Heritage," Part I, *Journal of Maritime Law and Commerce* 12, 1 (October 1980) and Part II, ibid., 12, 2 (January 1981); Harold Berman and Colin Kaufman, "The law of International Commercial Transactions (*Lex Mercatoria*)," *Harvard International Law Journal* 19, 1 (Winter 1978).

ძლება ჩათვალონ მათ, ვისაც ის თავს მოახვიეს. პრაქტიკას საერთო მოლოდინებამდე მივყავართ, რომლებიც პრინციპებსა და ნორმებს ერწყმის.

5. ცოდნა

უკანასკნელი ცვლადი, რომელიც რეჟიმების განვითარების ასახსნელად გამოიყენება, არის ცოდნა. პრაქტიკისა და ჩვეულების მსგავსად, ცოდნაც არა ეგზოგენურ, არამედ შუალედურ ცვლადად განიხილება. თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში ერნსტ ჰაასი, რომელიც ყველაზე მეტად უსვამს ხაზს ცოდნის მნიშვნელობას, ცოდნას განსაზღვრავს როგორც: „ტექნიკური ინფორმაციისა და მის შესახებ არსებული თეორიების ჯამს, რომელსაც დაინტერესებული მოქმედი პირები მოცემულ მომენტში ამა თუ იმ სოციალური მიზნისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპად აღიარებენ."[37] ჰაასი ხაზს უსვამს ახალი ცოდნის შეძენის მიმართ მგრძნობიარე „შემეცნებითი ევოლუციონიზმის" პოტენციურ შესაძლებლობებს. ცოდნა ქმნის საფუძველს თანამშრომლობისათვის იმ კომპლექსური ურთიერთკავშირების გამოაშკარავებით, რომლებიც მანამდე გაცნობიერებული არ იყო. ცოდნას შეუძლია არა მხოლოდ სახელმწიფოთა ერთნაირი ქცევის ალბათობის გაზრდა, არამედ „მძლავრი იდეოლოგიური განხეთქილების გადალახვაც."[38] მას შეუძლია, საძირკველი ჩაუყაროს არა მარტო იმას, რასაც ჰაასი მექანიკურ მიდგომებს უწოდებს (საზოგადოებრივი მეცნიერებების თეორიათა უმეტესობა), არამედ ორგანულ მიდგომებს (ეგალიტარიანიზმი და ეკოლოგიაზე ორიენტირებული შეხედულებები).

იმისათვის, რომ ცოდნამ დამოუკიდებლად იქონიოს ზეგავლენა საერთაშორისო სისტემაზე, ის პოლიტიკის შემოქმედთა მიერ ფართოდ აღიარებული უნდა იყოს. სტაინი აღნიშნავს, რომ ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი ისეთი წესები, როგორიცაა, მაგალითად, კარანტინი, რადიკალურად შეიცვალა ახალი მეცნიერული მიღწევების შედეგად: ქოლერის გამომწვევი მიკრობის, კოლოების მიერ ყვითელი ცხელების გადატანისა და პრევენტიული ვაქცინების აღმოჩენით. ამ დრომდე ეროვნული ჯანდაცვის რეგულირება პოლიტიკური პრიორიტეტების შესაბამისად ხდებოდა. ხსენებული აღმოჩენების შემდეგ კი სახელმწიფოს ქცევას საერთაშორისო რეჟიმი ან მეცნიერული ცოდნით ნაკარნახევი გარკვეული წესები მაინც განსაზღვრავს. ჯერვისს თუ დავუჯერებთ, დღეისათვის უსაფრთხოების სფეროში შეიარაღების კონტროლის რეჟიმი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მსგავსი გახდება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატების მოსაზრებები სტრატეგიის თაობაზე. კერძოდ, გარანტირებული ურთიერთგანადგურების ორმხრივად აღიარებამ რეჟიმისათვის საფუძველი შეიძლება შექმნას. სუვერენული სახელმწიფოებისაგან შემდგარ მსოფლიოში ცოდნას, კონსენსუსის გარეშე, მხოლოდ მცირე გავლენის მოხდენა ძალუძს რეჟიმის განვითარებაზე. თუ მხოლოდ რამდენიმე მოქმედი პირი აღიარებს გარკვეულ ღირებულებებს, მათი მნიშვნელობა ამ მოქმედ პირთა ძალის შესაძლებლობებით განისაზღვრება.

ჰოპკინსისა და პუჩალას სიტყვებით, ახალ ცოდნას ევოლუციური ცვლილების გამოწვევა შეუძლია, რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს წესებისა და პროცედურების შეცვლას არსებული პრინციპებისა და ნორმების ფარგლებში. განსხვავებით ამისაგან, რევოლუციური ცვლილება, რომელიც ახალ პრინციპებსა და ნორმებს წარ-

[37] Ernst Haas. "Why Collaborate? Issue-Linkage and International Regimes." *World Politics* 32, 3 (April 1980), pp. 367-68.

[38] Ibid., p. 368.

მოშობს, უკავშირდება ცვლილებებს ძალის განაწილებაში. ევოლუციური ცვლილების მაგალითად ბენჯამინ კოენს ბრეტონ-ვუდსში მიღებული ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემა მოჰყავს, როპელიც ეფუძნებოდა ომებს შორის პერიოდის გამოცდილებასა და იმჟამინდელ ცოდნას საშინაო ფულად-საკრედიტო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების შესახებ. სახელმწიფოები დიდ მგრძნობიარობას იჩენდნენ კონკურირებადი დევალვაციის მიმართ და არ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ საშინაო ფულად-საკრედიტო პოლიტიკას გარეშე უწესრიგობებისაგან მათი იზოლირება შეეძლო. ბევრად უფრო ადვილი იყო მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის შემოღება 1970-იან წლებში, ვინაიდან მკვეთრად გაიზარდა ფულადი მასის ელემენტთა კონტროლისათვის აუცილებელი ცოდნა და ინსტიტუციური შესაძლებლობები. უაღრესად კომპლექსურ სამყაროში, სადაც მიზნები ხშირად ბუნდოვნად არის განსაზღვრული და მრავალი ურთიერთკავშირი არსებობს, შეთანხმებულ ცოდნას საერთაშორისო რეჟიმის განვითარების მნიშვნელოვნად გაადვილება შეუძლია. ასეთი ცოდნა გზას გაგვინათებს იმ გარემოში, რომელიც, სხვა შემთხვევაში, ბნელი და გაუკვალავი იქნებოდა.

ამრიგად, ბოლოდროინდელი სტატიები და ლიტერატურა რეჟიმების განვითარების მრავალგვარ ახსნას გვთავაზობს. ორი ყველაზე საგულისხმო ეგზოგენური ცვლადია ეგოისტური (როგორც წესი, ეკონომიკური) პირადი ინტერესი და პოლიტიკური ძალა. გარდა ამისა, ისეთი ფართოდ გავრცელებული ღირებულებები და ნორმები, როგორიცაა სუვერენიტეტი და კერძო საკუთრება შეიძლება განაპირობებდეს ქცევას ზოგიერთ სფეროში. და ბოლოს, პრაქტიკას, ჩვეულებასა და ცოდნას აგრეთვე შეუძლია ხელი შეუწყოს რეჟიმების განვითარებას.

დასკვნა

ამ ნაშრომში დასმულ ორი ძირითად კითხვასთან დაკავშირებით – როგორია რეჟიმების ზეგავლენა შესაბამის ქცევასა და შედეგებზე? და რა დამოკიდებულებაა ძირითად მიზეზობრივ ცვლადებსა და რეჟიმებს შორის? – საერთაშორისო ურთიერთობებში ორი განსახვავებული მიდგომის გამოყოფა შეიძლება. გროციუსისეული ხედვა, რომელიც ჰოპკინსის, პუჩალასა და იანგის სტატიებშია წარმოდგენილი, რეჟიმებს სოციალური ურთიერთქმედების სიღრმისეულ ასპექტად განიხილავს. ის ყოვლისმომცველია რეჟიმების გამომწვევი მიზეზების ახსნაში. ინტერესებს, ძალას, გავრცელებულ ნორმებს, ჩვეულებებსა და ცოდნას – ყველას შეუძლია, გარკვეული როლი ითამაშოს რეჟიმის ფორმირებაში. ეს მიზეზობრივი ფაქტორები ინდივიდების, ცალკეული ბიუროკრატიული სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების ქცევაში ვლინდება.

სტრუქტურული რეალიზმის ხედვა კი უფრო ფრთხილია. რეალისტური მოდელი ანუ სტანდარტული შემთხვევა რეჟიმებს არ ითვალისწინებს. რეჟიმები მხოლოდ გარკვეულ პირობებში ჩნდება, განსაკუთრებით, როდესაც ინდივიდუალური გადაწყვეტილებით შეუძლებელია სასურველი შედეგების მიღება. ძირითადი მიზეზობრივი ცვლადები, რომლებიც რეჟიმების შექმნას იწვევს, ძალა და ინტერესია. მთავარი მოქმედი პირები კი სახელმწიფოები არიან.

სტაინის, კიოჰეინის, ჯერვისის, რაგის, ლიპსონისა და კოენის მიერ შემოთავაზებული არგუმენტები ტრადიციულ რეალისტურ მიდგომას სცილდება. ეს მეცნიერები უარყოფენ ვიწრო სტრუქტურულ ანალიზს, რომელიც გულისხმობს პირდაპირ კავშირს, ერთი მხრივ, ძირითად მიზეზობრივ ცვლადებსა და, მეორე მხრივ, შესაბამის ქცევასა და შედეგებს შორის და, ამასთანავე, რეჟიმის კონცეფციის სარგებლიანობას

ეწინააღმდეგება. ამის გამო, მათ სიუზან სტრეინჯის კრიტიკა დაიმსახურეს. თუმცა, ამ ანალიზის ძირითადი პარამეტრული შეზღუდვები უფრო ტრადიციულ რეალისტურ არგუმენტებსაც შეესაბამება. ძირითადი ანალიტიკური ვარაუდები იდენტურია. შეხედულებები, რომლებიც რეჟიმებს შუალედურ ცვლადებად, ხოლო სახელმწიფოს ინტერესებსა და ძალას ძირითად ცვლადებად აღიქვამს, ერთმნიშვნელოვნად სტრუქტურული რეალიზმის პარადიგმას განეკუთვნება. სტრუქტურული განსჯიდან უფრო სერიოზულ გადახვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც რეჟიმები მიჩნეულია ავტონომიურ ცვლადებად, რომლებიც დამოუკიდებლად ახდენს გავლენას არა მხოლოდ შესაბამის ქცევასა და შედეგებზე, არამედ იმ ძირითად მიზეზობრივ ცვლადებზეც, რომლებმაც მათი წარმოქმნა განაპირობა.

თარგმნა ხათუნა გიორგაძემ

მაიკლ დოილი

კანტი, ლიბერალური მემკვიდრეობა და საგარეო ურთიერთობები*

I

რა ზეგავლენას ახდენს ლიბერალური პრინციპები და ინსტიტუტები ლიბერალური სახელმწიფოების საგარეო ურთიერთობებზე? კონფლიქტური მოსაზრებების სიმრავლე მიგვანიშნებს, რომ ლიბერალური მემკვიდრეობა სათანადოდ შეფასებული არ არის. ლიბერალურ სახელმწიფოთა მოქალაქეთა უმრავლესობის აზრით, ლიბერალური პრინციპები და ინსტიტუტები იმდენად ჩაიბეჭდა საშინაო პოლიტიკაში, რომ მათი ზეგავლენა საგარეო ურთიერთობებზე ან სრულიად შეუმჩნეველი რჩება ან, შემჩნევის შემთხვევაში, გაზვიადებულ სახეს იღებს. ლიბერალიზმი ან გააზრებულად პატრიოტულ ან თანდაყოლილად „მშვიდობისმოყვარე" პოლიტიკად გადაიქცევა. მრავალი მეცნიერისა და დიპლომატისათვის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები იმდენად მნიშვნელოვნად განსხვავდება საშინაო პოლიტიკისაგან, რომ ლიბერალური პრინციპებისა და შიდა ლიბერალური ინსტიტუტების ზეგავლენა საერთოდ უარყოფილი და არასწორად გაგებულია. ისინი მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს წარმართავს ეროვნული უსაფრთხოებისა და ძალთა ბალანსის შეხედულებები, ხოლო ლიბერალურ ინსტიტუტებსა და პრინციპებს, ჩარევისას, ძალთა ბალანსის პოლიტიკაში დაბნეულობა და არეულობა შეაქვს.[1]

---

* **Michael W. Doyle, "Kant, Liberal Legacies and Foreign Affairs," in *Philosophy and Public Affairs*, Vol. 12, Nos. 3 & 4, 1983. pp. 205-235, 323-353. Reprinted by permission of The Johns Hopkins University Press.**

* მოცემული სტატიის დაწერაში თავიანთი კრიტიკით დამეხმარნენ: უილიამ აშერი, რიჩარდ ბეტსი, უილიამ ბონდი, ჯოზეფ კარენსი, ფელიქს გილბერტი, ემი გუტმანი, დონ ჰერცოგი, სტენლი ჰოფმანი, მარიონ ლიევი, ჯუდით შკლარი, მარკ ულიგი და ჟურნალ *Philosophy & Public Affairs*-ის რედაქტორები. მე ასევე შევეცადე, მხედველობაში მიმეღო შემდეგ მეცნიერთა წინადადებები: ფუად აჯამი, სტივენ დეივიდი, ტომ ფარერი, რობერტ გილპინი, ერნესტ ვან დენ ჰააგი, უერმენ ჰოსტონი, რობერტ ჯერვისი, დონალდ კაგანი, რობერტ კიოჰეინი, ჯონ როულსი, ნიკოლას რიზოპულო, რობერტ ტაკერი და რიჩარდ ულმანი, ასევე ლერმანის ინსტიტუტში 1983 წლის 22 თებერვალს ჩატარებული სპეციალური სემინარის მონაწილეთა შეთავაზებები. აღნიშნული ესე არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მათი შეხედულებების კონსენსუსი. მსურს, აგრეთვე, მადლობა გადავუხადო ფორდის ფონდს, რომლის გრანტის საშუალებითაც ამ სტატიაში წარმოდგენილი კვლევის ნაწილის განხორციელება შეეძელი, მეცნიერული კვლევების ინსტიტუტს, ექსონს და პუმანიტარულ მეცნიერებათა ეროვნულ ფონდს. ამ ესეს პირველი და მეორე ნაწილის თემები პირველად ჩამოყალიბებულ იქნა 1981 წლის ივნისში დაწერილ ნაშრომში, რომლის მოკლე პრეზენტაცია შედგა ამერიკული ლიბერალიზმის მომავლისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე პრინსტონში (ნიუ ჯერსი, 1981 წლის 3-4 აპრილი).

[1] ლიბერალურ-პატრიოტული შეხედულება გაიმეორა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა თავის გამოსვლაში ბრიტანეთის პარლამენტის წინაშე 1982 წლის 8 ივნისს. იქ მან გამოაცხადა „დემოკრატიული განვითარების გლობალური კამპანია." მისი თქმით, ეს „ჯვაროსნული ლაშქრობა მშვიდობისათვის" იქნება იმ ტრადიციის უკანასკნელი კამპანია, რომელიც დაიწყო „თავისუფლებათა

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე ხედვა არასწორად განსაზღვრავს ლიბერალიზმს, თითოეულ მათგანში კარგად ხდება ლიბერალური მემკვიდრეობის ძირეული ასპექტების გააზრება. ლიბერალიზმი განსაკუთრებული იდეოლოგიისა და ინსტიტუტების ერთიანობას წარმოადგენს, რომელმაც დახვენა პოლიტიკურ საზოგადოებათა შეხედულებები და საგარეო ურთიერთობების შესაძლებლობები, სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური დემოკრატიული თეორიიდან დაწყებული ჩაურევლობის* პოლიტიკის ჩათვლით. ის ლიბერალურ-პატრიოტული ნაციონალიზმის არსს განსაზღვრავს. ლიბერალიზმი, მართლაც, ხელს უშლის ძალთა ბალანსის პოლიტიკის დამკვიდრებას. ამრიგად, მისი საგარეო ურთიერთობები არ შეიძლება ადეკვატურად აიხსნას (ან რეკომენდებულ იქნეს) მხოლოთ ძალთა ბალანსის პოლიტიკაზე დაყრდნობით. მაგრამ ლიბერალიზმი არც თანდაყოლილად „მშვიდობისმოყვარეა" და არც თანმიმდევრულად თავშეკავებული და მშვიდობიანი ზრახვების მატარებელი. უფრო მეტიც, ლიბერალურმა პრაქტიკამ შეიძლება შეამციროს იმის ალბათობა, რომ სახელმწიფოები ისეთ თანამიმდევრულად თავშეკავებულ და მშვიდობიან პოლიტიკას გაატარებენ, რომელიც ბირთვულ ეპოქაში მსოფლიო მშვიდობის შესანარჩუნებლად არის საჭირო. თუმცა, მშვიდობიანი ზრახვები და თავშეკავება, რასაც ლიბერალიზმი საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტში ავლენს, ერთი მხრივ, მსოფლიო მშვიდობის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიოს დაპყრობას შეიძლება გულისხმობდეს. მან განამტკიცა მსოფლიო მშვიდობის პერსპექტივები ლიბერალურ საზოგადოებებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების განვრცობით.

ლიბერალური მემკვიდრეობის ამ ურთიერთსაპირისპირო (მაგრამ ფაქტობრივად შეთავსებადი) ნაწილების გაერთიანება იწყება ლიბერალური პრინციპებისა და პრაქტიკის დიაპაზონის განხილვით. ეს სტატია აშუქებს ლიბერალური პრაქტიკის განსხვავებულობას ლიბერალურ და არალიბერალურ საზოგადოებებთან მიმართებაში. ის ამტკიცებს, რომ ლიბერალიზმმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია პირველ საკითხში და საკმაო დაბნეულობა გამოიწვია მეორეში. ამ ლიბერალური მემკვიდრეობის შეფასება მოითხოვს ერთ-ერთი უდიდესი ლიბერალი ფილოსოფოსის, იმანუილ კანტის კიდევ ერთხელ განხილვას, რადგან იგი შთაგონების, პოლიტიკისა და იმედის წყაროა.

II

ლიბერალიზმი პიროვნების თავისუფლების მნიშვნელობის ძირითად პრინციპთან არის გაიგივებული. პირველ ყოვლისა, ეს არის ზნეობრივი თავისუფლების მნიშვნელობის რწმენა, უფლება, მოგეპყრონ და ვალდებულება, მოეპყრო სხვებს, როგორც ეთიკურ სუბიექტებს და არა მხოლოდ როგორც ობიექტებსა და საშუალებებს. ამ პრინციპმა უფლებებისა და ინსტიტუტების წარმოშობა განაპირობა.

ლიბერალიზმის საფუძველს შეადგენს სამი ძირითადი უფლების დაცვა. ლიბერალიზმი დესპოტური ხელისუფლებისაგან გათავისუფლებას მოითხოვს, რასაც ხშირად „ნეგატიურ თავისუფლებასაც" უწოდებენ, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გულისხმობს სინდისის თავისუფლებას, სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, კანონ-

დიდი ქარტიიდან" და ამ საუკუნეში გაგრძელდა ორივე მსოფლიო ომისა და ცივი ომის განმავლობაში. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ლიბერალურმა საგარეო პოლიტიკამ ცხადყო „შეზღუდვა" და „მშვიდობიანი განზრახვა" და რომ ეს „ჯვაროსნული ლაშქრობა" მშვიდობიანი მსოფლიოს პერსპექტივებს გააძლიერებს (გაზეთი *New York Times*, 1982 წლის 9 ივნისი). სკეპტიკურად განწყობილი მეცნიერები და დიპლომატები წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებულ რეალისტურ ინტერპრეტაციას. იხილეთ მე-4 და მე-12 სქოლიოები.

* laissez faire

ნის წინაშე თანასწორობას, საკუთრების ფლობისა და, შესაბამისად, გაცვლის უფლებას თვითნებური კონფისკაციის შიშის გარეშე. ლიბერალიზმი ასევე აუცილებლად მიიჩნევს იმ უფლებებს, რომლებიც საჭიროა თავისუფლების, „პოზიტიური თავისუფლების" შესაძლებლობისა და უნარის დასაცავად და ხელშესანყობად. ლიბერალურ უფლებათა რიგს განეკუთვნება ისეთი სოციალური და ეკონომიკური უფლებებიც, როგორებიცაა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა და სამედიცინო მომსახურებისა და დასაქმების უფლება, რომლებიც ეფექტიანი თვითგამოხატვისა და მონაწილეობისათვის არის აუცილებელი. მესამე ლიბერალური უფლება, დემოკრატიული მონაწილეობა ანუ წარმომადგენლობა, უნდა არსებობდეს, როგორც დანარჩენი ორის გარანტია. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზნეობრივად თავისუფალი პიროვნებები თავისუფალნი იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებში, სადაც საჭიროა სახელმწიფო მმართველობა, სახელმწიფო კანონმდებლობამ უნდა გამოხატოს იმ მოქალაქეთა აზრი, რომლებიც კანონებს საკუთარი საზოგადოებისათვის ქმნიან.

უფლებების ეს სამი კატეგორია, ერთად აღებული, შესაბამისობაში მოდის იმ სირთულეებთან, რომლებიც კანტმა განსაზღვრა:

> ისეთ რაციონალურ არსებათა ჯგუფის ორგანიზება, რომელთაც არსებობისათვის ზოგადი კანონები ესაჭიროებათ, მაგრამ რომელთაგანაც თითოეული მიდრეკილია, ერთი მხრივ, გამორიცხოს საკუთარი თავი აღნიშნული კანონების მოქმედების არეალიდან, და მეორე მხრივ, ისეთი ვითარება ჩამოაყალიბოს, რომ, პიროვნულ შეხედულებათა დაპირისპირების მიუხედავად, ამ უკანასკნელებმა ორმხრივად შეაკავოს ერთმანეთი ისე, რომ ამ ჯგუფის საჯარო ქცევა იყოს მსგავსი იმ შემთხვევისა, როდესაც ადამიანებს ასეთი ბოროტი ზრახვები არ გააჩნიათ.[2]

მაგრამ ლიბერალიზმის დილემა მდგომარეობს ლიბერალური უფლებების ამ სამი კატეგორიის ურთიერთშეთანხმებაში. კერძო საკუთრების უფლება, მაგალითად, შეიძლება უპირისპირდებოდეს შესაძლებლობათა თანასწორობას; ეს ორივე უფლება კი, შესაძლოა, დემოკრატიულმა კანონმდებლობამ დაარღვიოს. კანტის ნაშრომის შექმნიდან 180 წლის განმავლობაში ლიბერალიზმმა პიროვნების თავისუფლებისა და სოციალური წესრიგისაკენ მიმავალი ორი გზა განავითარა – ერთი ჩაურეველობის ანუ „კონსერვატიული," ხოლო მეორე სოციალური კეთილდღეობის, სოციალ-დემოკრატიული ანუ „ლიბერალური" ლიბერალიზმი. ლიბერალიზმის ეს ორივე მიმართულება ახერხებს (თუმცა, თითოეული თავისებურად) ამ კონფლიქტური უფლებების ურთიერთშეთანხმებას თავისუფალი ინდივიდების პოლიტიკურ წესრიგში ნარმატებულად გაერთიანებით.

ჩაურეველობისა და სოციალური კეთილდღეობის ლიბერალთა პოლიტიკური წესრიგი ხასიათდება ოთხი ძირითადი ინსტიტუტისადმი ერთგულებით. პირველი, მოქალაქეებს გააჩნიათ იურიდიული თანასწორობა და სხვა ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებები, როგორებიცაა რელიგიისა და პრესის თავისუფლება. მეორე, სახელმწიფოს ჭეშმარიტი სუვერენები არიან წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოები, რომელთა ხელისუფლებაც ამომრჩეველთა ურთიერთშეთანხმებიდან მომდინარეობს და რომლებიც თავიანთ ძალაუფლებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ახორციელებენ, გარდა ძირითად სამოქალაქო უფლებათა შენარჩუნების მოთხოვნისა.[3] სახელმწიფოს საგარეო საქმეებზე ლიბერალიზმის გავლენის შედე-

[2] Immanuel Kant, "Perpetual Peace" (1795), *The Philosophy of Kant*, ed. Carl J. Friedrich (New York: Modern Library 1949), p. 453.

[3] მოქალაქეობის ჭეშმარიტი უფლებები ხშირად იზღუდებოდა მონობითა და მამაკაცთა ხმის უფლებით, მაგრამ ლიბერალური რეჟიმები არასოდეს ენინააღმდეგებოდნენ იურიდიული თანას-

გად. სახელმწიფო არ ექვემდებარება არც სხვა ქვეყნების საგარეო ძალას და არც პრივილეგირებული ჯგუფების საშინაო ძალაუფლებას, მაგალითად, მონარქებისა და სამხედრო კასტების ზეგავლენას საგარეო პოლიტიკაზე. მესამე, ეკონომიკა ემყარება კერძო საკუთრების უფლების აღიარებას, რაც წარმოების საშუალებათა ფლობასაც ითვალისწინებს. საკუთრების საფუძველი არის პიროვნული მონაპოვარი (მაგალითად, შრომის შედეგად), სოციალური შეთანხმება ან სოციალური სარგებლიანობა. ეს გამორიცხავს სახელმწიფო სოციალიზმს ან სახელმწიფო კაპიტალიზმს, მაგრამ აუცილებლად არ გულისხმობს საბაზრო სოციალიზმისა და შერეული ეკონომიკის სხვადასხვა ფორმის გამორიცხვას. მეოთხე, ეკონომიკური გადაწყვეტილებები, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, მეტწილად ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების ზეგავლენით და არ ექვემდებარება ბიუროკრატიათა მკაცრ კონტროლს.

მოქალაქის თავისუფლების დაცვის მიზნით, ჩაურეველობის ლიბერალიზმი გადაიხარა სახელმწიფოს მკაცრად შეზღუდული როლისა და ბაზრისა და კერძო საკუთრების ბევრად უფრო ფართო როლისაკენ.[4] მოქალაქის თავისუფალი მოქმედების ხელშეწყობის მიზნით, კეთილდღეობის ლიბერალიზმმა გააფართოვა სახელმწიფოს როლი და შეზღუდა ბაზრის როლი. თუმცა, ორივე მათგანი მაინც აღიარებს ამ ოთხ ინსტიტუციურ მოთხოვნას, რითაც ემიჯნება კოლონიებს, მონარქიულ რეჟიმებს, სამხედრო და კომუნისტურ დიქტატურებს, რომლებთანაც ერთადაც თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ მმათეველობას ახორციელებს.

წორობის გავრცელებას. ფაქტობრივად, ზენოლის გაძლიერების შედეგად მათ ხმის უფლება პროგრესულად განავრცეს მთელს მოსახლეობაზე. ამ მახასიათებლის მიხედვით, მეცხრამეტე საუკუნის დროინდელი აშშ ლიბერალური იყო, ხოლი მეოცე საუკუნის სამხრეთ აფრიკა ლიბერალური არ არის. იხილეთ: Samuel Huntington, *American Politics: The Promise of Disharmony* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1981).

[4] კლასიკური, ჩაურეველობის ლიბერალიზმის წყაროებს წარმოადგენს ლოკისა და კანტის ნაშრომები, *ფედერალისტის წერილები* და რობერტ ნოზიკის ნიგნი: *Anarchy, State and Utopia* (New York: Basic Books, 1974). კეთილდღეობის ლიბერალიზმის გამოვლინება გვხვდება ფაბიანელთა შრომებში და ჯონ როულსის ნიგნში: *A Theory of Justice*, (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1971). ლიბერალური აზროვნების ვარიანტები კი განხილული აქვს ემი გუტმანს ნიგნში: *Liberal Equality* (Cambridge: Cambridge University Press, 1980).

თითოეული წარმატების გზას პარალელუღად თან სდევს „დაბალი გზები," რომლებიც, გარკვეული ლიბერალური ღირებულებების მიღწევის მიუხედავად, მარცხს განიცდის წესრიგისა და თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ანარქიის მომძლავრებულმა ტერორმა და საკუთრების დაცვის ცდამ შეიძლება აიძულოს ჩაურეველობის მომხრე ლიბერალები, მხარი დაუჭირონ კანონისა და წესრიგის ავტორიტარულ მმართველობას, რომელსაც დემოკრატია მსხვერპლად ენირება. წესრიგის შესანარჩუნებლად ავტორიტარული მმართველობის დამყარება არის ჰობსის „ლევიათანის" არგუმენტი. ის აგრეთვე განამტკიცებს მემარჯვენე ლიბერალების შეხედულებებს, რომლებსაც სურთ ერთმანეთისაგან განასხვავონ „ავტორიტარული" და „ტოტალიტარული" დიქტატურები. ლიბერალთა მიერ ზოგჯერ გამართლებულია ავტორიტარული მმართველობა, რადგან მას დროებითი ხასიათი აქვს და შეუძლია ხალხის განათლება საკუთრების, პიროვნების უფლებებისა და წარმომადგენლობითი ხელისუფლების აღიარების საკითხებში. იხილეთ: Jeane Kirkpatrick, "Dictatorships and Double Standards," *Commentary* (November 1979), p. 34-45. ამასთან ერთად, როდესაც სოციალური უთანასწორობა უკიდურეს ზღვარს აღწევს, კეთილდღეობის ლიბერალი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ ლიბერალური საზოგადოების საფუძველთა ჩამოყალიბება (ან ხელახლა დამყარება) მოითხოვს რეფორმის არალიბერალურ მეთოდს, ავტორიტარულობის გავრცელების მეორე დაბალ გზას. არისტიდ ხოლბერგი აღნერს „ლიბერალური მემარცხენეობის" მგრძნობიარობას აშშ-ის მეცნიერთა შორის აფრიკულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომლებიც მხარს უჭერდნენ დიქტატურის რეფორმირებას. (იხილეთ: *One Party Government in the Ivory Coast* [Princeton: Princeton University Press, 1969] p. viii.) „ავტოკრატიის რეფორმის" არგუმენტს კი ვხვდებით ჯ. ს. მილის მიერ ინდოეთში კოლონიალიზმის დაცვაში.

შინასახელმწიფოებრივ დონეზე ლიბერალიზმის მიერ მოპოვებული წარმატებები არასოდეს ყოფილა ამაზე უფრო თვალსაჩინო. ამდენი ხალხი არასოდეს ჩართულა ლიბერალურ წესრიგში და არასოდეს უღიარებია მისი უზენაესობა; მსოფლიოში არასოდეს ყოფილა ამდენი წამყვანი ლიბერალური ქვეყანა (იგულისხმება როგორც რესპუბლიკები, ისე კონსტიტუციური მონარქიები). მართლაც, ლიბერალიზმის, როგორც თანამედროვე საზოგადოებაში უბატონო ადამიანის პრობლემაზე პასუხის, წარმატება აისახება ლიბერალური რეჟიმების რაოდენობრივ ზრდაში კანტის ეპოქაში არსებული სამიდან ამჟამად არსებულ ორმოცზე მეტ რეჟიმამდე. მაგრამ ლიბერალური სახელმწიფოების საშინაო ვითარებამ არ უნდა მოგვცეს თვითკმაყოფილების საფუძველი, რადგან ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვანი მიზნები, რომელთა შორისაა: მოქალაქეთა სულ უფრო მზარდი რაოდენობის მონაწილეობა დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების მართვაში, „პოზიციური საქონლის" (მაგალითად, პრესტიჟული სამსახურების) განაწილება, ბიუროკრატიის გაკონტროლება, უმუშევრობის დაძლევა, სოციალურ მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნის დაფარვა, ინფლაციის შემცირება და უცხოური კონკურენციის საპასუხოდ, წარმოების ფართომასშტაბიანი რესტრუქტურიზაციის მიღწევა.[5] მიუხედავად იმისა, რომ ეს შიდა პრობლემები საკმარისად არის გამოკვლეული, მათი გადაწყვეტა მაინც არ მოხერხდა. ლიბერალიზმის საგარეო გამოცდილება უფრო ბუნდოვანია და მეტ განხილვას საჭიროებს.

III

საგარეო ურთიერთობებში, საშინაო სფეროს მსგავსად, ლიბერალიზმმა მნიშვნელოვანი სისუსტეები გამოამჟღავნა. თუმცა, საშინაო სფეროსაგან განსხვავებით, ლიბერალიზმის საგარეო საქმიანობამ განსაკუთრებულ, მაგრამ ბოლომდე დაუფასებელ წარმატებებს მიაღწია.

ცხრილი 1

პერიოდი	ლიბერალური რეჟიმები და პაციფისტური კავშირი (თარიღებით „ლიბერალური")	საერთო რაოდენობა
მე-18 საუკუნე	შვეიცარიული კანტონები ᵇ საფრანგეთის რესპუბლიკა 1790 – 1795 ამერიკის შეერთებული შტატები ᵇ 1776 –	3
1800-1850	შვეიცარიის კონფედერაცია, აშშ საფრანგეთი 1830 – 1849 ბელგია 1830 – დიდი ბრიტანეთი 1832 – ნიდერლანდები 1848 – პიემონტი 1848 – დანია 1849 –	8
1850-1900	შვეიცარია, აშშ, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები პიემონტი – 1861, იტალია 1861 – დანია – 1866 შვედეთი 1864 – საბერძნეთი 1864 –	13

[1] Fred Hirsh, *The Social Limits to Growth* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1977).

პერიოდი	ლიბერალური რეჟიმები და პაციფისტური კავშირი (თარიღებით „ლიბერალური")	საერთო რაოდენობა
	კანადა 1867 – საფრანგეთი 1871 – არგენტინა 1880 – ჩილე 1891 –	
1900-1945	შვეიცარია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, კანადა საბერძნეთი – 1911, 1928 – 1936 იტალია – 1922 ბელგია – 1940 ნიდერლანდები – 1940 არგენტინა – 1943 საფრანგეთი – 1940 ჩილე – 1924, 1932 ავსტრალია – 1901 ნორვეგია 1905 – 1940 ახალი ზელანდია 1907 – კოლუმბია 1910 – 1949 დანია 1914 – 1940 პოლონეთი 1917 – 1935 ლატვია 1922 – 1934 გერმანია 1918 – 1932 ავსტრია 1918 – 1934 ესტონეთი 1919 – 1934 ფინეთი 1919 – ურუგვაი 1919 – კოსტა რიკა 1919 – ჩეხოსლოვაკია 1920 – 1939 ირლანდია 1920 – მექსიკა 1928 – ლიბანი 1944 –	29
1945 -	შვეიცარია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია ფინეთი, ირლანდია, მექსიკა ურუგვაი – 1973 ჩილე – 1973 ლიბანი – 1975 კოსტა რიკა – 1948, 1953 - ისლანდია 1944 – საფრანგეთი 1945 – დანია 1945 – ნორვეგია 1945 – ავსტრია 1945 – ბრაზილია 1945 – 1954, 1955 – 1964 ბელგია 1946 – ლუქსემბურგი 1946 – ნიდერლანდები 1946 – იტალია 1946 – ფილიპინები 1946 – 1972 ინდოეთი 1947 – 1975, 1977 – შრი-ლანკა 1948 – 1961, 1963 – 1977, 1978 –	49

პერიოდი	ლიბერალური რეჟიმები და პაციფისტური კავშირი (თარიღებით „ლიბერალური")	საერთო რაოდენობა
	ეკვადორი 1948 – 1963, 1979 – ისრაელი 1949 – დასავლეთ გერმანია 1949 - პერუ 1950 – 1962, 1963 – 1968, 1980 – სალვადორი 1950 – 1961 თურქეთი 1950 – 1960, 1966 – 1971 იაპონია 1951 – ბოლივია 1956 – 1969 კოლუმბია 1958 – ვენესუელა 1959 – ნიგერია 1961 – 1964, 1979 - იამაიკა 1962 – ტრინიდადი 1962 – სენეგალი 1963 – მალაიზია 1963 – სამხრეთ კორეა 1963 – 1972 ბოტსვანა 1966 – სინგაპური 1965 – საბერძნეთი 1975 – პორტუგალია 1976 – ესპანეთი 1978 – დომინიკელთა რესპუბლიკა 1978 –	

[a] „ლიბერალური რეჟიმების" ეს მიახლოებითი სია ოთხი ძირითადი ინსტიტუტის მიხედვით შევადგინე. ესენია: საბაზრო და კერძო საკუთრების ეკონომიკა, პოლიტიკური ერთობები, რომლებიც საგარეო ასპარეზზე სუვერენულნი არიან; მოქალაქეები, რომელთაც იურიდიული უფლებები გააჩნიათ და „რესპუბლიკური" (როგორც რესპუბლიკური, ისე მონარქიული) წარმომადგენლობითი ხელისუფლება. ეს უკანასკნელი გულისხმობს მოთხოვნას, რომლის თანახმადაც საკანონმდებლო შტო უნდა ასრულებდეს მნიშვნელოვან როლს სახელმწიფო პოლიტიკაში და, ფორმალურად ან შეჯიბრის შედეგად, პოტენციურად ან ფაქტობრივად არჩეული უნდა იქნეს. უფრო მეტიც, მე მხედველობაში მივიღე მამაკაცთა ხმის უფლების გავრცელებულობა (30%) ან მისი მოპოვების შესაძლებლობა ქვეყნის, მეტროპოლიის მოსახლეობის მიერ (მაგალითად, გადასახადთა გადამხდელებისა და მესაკუთრეებისათვის). ქალთა ხმის უფლება ენიჭება იმის მომდევნო თაობას, რომელმაც ის მოითხოვა, ხოლო წარმომადგენლობითი ხელისუფლება სუვერენულია (განსაკუთრებით სამხედრო და საგარეო-პოლიტიკურ სფეროებში) და, ამავდროულად, სტაბილურიც (სულ მცირე, სამი წელია არსებობს).
წყაროები: Arthur Banks and W. Overstreet, eds., *The Political handbook of the World*, 1980 (New York: McGraw-Hill, 1980); Foreign and Commonwealth Office, *A Year Book of the Commonwealth 1980*(London: HMSO, 1980); *Europa Yearbook*, 1981 (London, Europa, 1981); W. L. Langer, *An Encyclopedia of World History* (Boston: Houghton-Mifflin, 1968); Department of State, *Country Reports on Human Rights Practices* (Washington, D. C.: Government Printing Office, 1981), *Freedom at Issue*, no. 54 (Jan.-Feb.1980).

[b] ამ ლიბერალურ რეჟიმებს შორის არსებობს შიდა განსხვავებები. მაგალითად, შეიცარიის მხოლოდ ზოგიერთი კანტონი იყო ლიბერალური; 1865 წლამდე აშშ ლიბერალური იყო მხოლოდ მეისონ-დიქსონის ხაზის ჩრდილოეთით, შემდგომ კი ის სრულიად ლიბერალური გახდა. ეს ნუსხა აგრეთვე გამორიცხავს ანტიკურ „რესპუბლიკებს," რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებენ კანტის კრიტერიუმებს. იხილეთ: Stephen Holmes, "Aristippus in and out of Athens," *American Political Science Review* 73, no. 1, (March 1979).

[c] შერჩეულ ჩამონათვალში არ არიან შეყვანილნი ლიბერალური რეჟიმები ერთ მილიონზე ნაკლები მოსახლეობით.

შედეგად, წარმოიშობა ამოუცნობი დილემა, რადგან როგორც წარმატებები, ისე სისუსტეები მეტწილად ერთი მიზეზიდან – ლიბერალური პრინციპებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო შედეგებიდან – მომდინარეობს.

ლიბერალური საერთაშორისო თეორიის ძირითადი პოსტულატის თანახმად, სახელმწიფოებს უფლება აქვთ, დაცულნი იყვნენ საგარეო ინტერვენციისაგან. ვინაიდან ზნეობრივად დამოუკიდებელ მოქალაქეებს გააჩნიათ თავისუფლების უფლება, სახელმწიფოებს, რომლებიც მათ დემოკრატიულად წარმოადგენენ, უფლება ენიჭებათ, პოლიტიკური დამოუკიდებლობა განახორციელონ. შესაბამისად, ამ უფლებათა ურთიერთპატივისცემა საერთაშორსო ლიბერალური თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს.[6] როდესაც სახელმწიფოები ერთმანეთის უფლებებს აღიარებენ, პიროვნებებს სახელმწიფოთა ჩარევის გარეშე შეუძლიათ კერძო საერთაშორისო კავშირების დამყარება. ვაჭრებს შორის მომგებიანი გარიგებები და მეცნიერთა შორის გამოცდილების გაზიარება საერთო სარგებლისა და ვალდებულებების ქსელს აყალიბებს, რაც საზოგადოებრივი პატივისცემის გრძნობას განამტკიცებს.

ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულმა შეთანხმებებმა ლიბერალურ დემოკრატიათა ურთიერთობისათვის მეტად ეფექტიანი თანამშრომლობის საფუძველი შექმნა. *მართალია, ლიბერალური სახელმწიფოები მრავალ ომში ყოფილან ჩაბმულნი არალიბერალურ სახელმწიფოებთან, მაგრამ კონსტიტუციურად მტკიცე ლიბერალურ სახელმწიფოებს ერთმანეთთან ჯერჯერობით არ უომიათ.*[7] არავინ ამტკიცებს ამგვარი ომის შეუძლებლობას, მაგრამ წინასწარი მაჩვენებლები მიუთითებს, რომ ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის ომის საწინააღმდეგო ძლიერი განწყობა არსებობს. მართლაც, ომის მუქარაც კი არალეგიტიმურად არის მიჩნეული. მშვიდობის ლიბერალური ზონა, პაციფისტური კავშირი, შენაჩუნდა და გაფართოვდა, ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების მრავალი კონფლიქტის მიუხედავად.

ცხრილი 2

საერთაშორისო ომები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით

ბრიტანეთ – მარათპების (1817 – 1818)
საბერძნეთის (1821 – 1828)
საფრანგეთ – ესპანეთის (1823)
ინგლის – ბირმის პირველი (1823 – 1826)
იავის (1825 – 1830)

[6] Charles Beitz, *Political Theory and International Relations*, (Princeton: Princeton University Press, 1979) ნაშრომი გვთავაზობს ინტერვენციისა და ჩაურეველობის შესახებ ლიბერალური იდეების მკაფიო და სიღრმისეულ განხილვას.

[7] არსებობს რამდენიმე გამონაკლისი იმ ტენდენციაში, რომ ლიბერალური სახელმწიფოები ერთმანეთის ნინააღმდეგ ომში არ ებმებიან. პერუსა და ეკვადორს, მაგალითად, ჰქონდათ კონფლიქტი, მაგრამ თითოეულისათვის ომი დაიწყო ლიბერალური რეჟიმის დამყარებიდან 1-3 წლის განმავლობაში, ანუ მანამ, სანამ ლიბერალიზმის სამშვიდობო შედეგები შესისხლხორცდებოდა. პალესტინელები და ებრაელები ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ლიბანის საზღვართან, რომელსაც ლიბანი ვერც ერთი დაპირისპირებული მხარისაგან უსაფრთხოდ ვერ ინარჩუნებდა. მაგრამ 1967 წლის ომის დასაწყისში ლიბანმა ისრაელში გადააფრინა თავისი რეაქტიული თვითმფრინავები, რომლებიც მოგერიებულ იქნა. ისრაელის არაბი მეზობლებიდან ლიბანი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ისრაელთან შემდგომი მტრობა აღარ გააგრძელა. ისრაელის ბოლოდროინდელი შეტევა ლიბანის ტერიტორიაზე წარმოადგენდა შეტევას იმ ქვეყანაზე, რომელიც უკვე ოკუპირებული იყო სირიისა და პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის მიერ. გამოიყვანს თუ არა ისრაელი თავის ჯარებს (თუ სირიის არმია უკან დაიხევს) და აღადგენს დამოუკიდებელ ლიბანს, ჯერ კიდევ გასარკვევია.

საერთაშორისო ომები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით

რუსეთ – სპარსეთის (1826 – 1828)
რუსეთ – თურქეთის (1828 – 1829)
პოლონეთის პირველი (1831)
სირიის პირველი (1831 – 1832)
ტეხასის (1835 – 1836)
ბრიტანეთ – აღანეთის პირველი (1838 – 1842)
სირიის მეორე (1839 – 1840)
საფრანგეთ – ალჟირის (1839 – 1847)
პერუ – ბოლივიის (1841)
ბრიტანეთ – სიქპების პირველი (1845 – 1846)
მექსიკა – ამერიკის (1846 – 1848)
ავსტრია – სარდინიის (1848 – 1849)
შლეზვიგ-ჰოლშტაინის პირველი (1848 – 1849)
უნგრეთის (1848 – 1849)
ბრიტანეთ – სიქპების მეორე (1848 – 1849)
რომის რესპუბლიკის (1849)
ლა-პლატის (1851 – 1852)
თურქეთ – ჩერნოგორიის პირველი (1852 – 1853)
ყირიმის (1853 – 1856)
ინგლის – სპარსეთის (1856 – 1857)
სიფაიების (1857 – 1859)
თურქეთ – ჩერნოგორიის მეორე (1858 – 1859)
იტალიის გაერთიანების (1859)
ესპანეთ – მაროკოს (1859 – 1860)
იტალია – რომის (1860)
იტალია – სიცილიის (1860 – 1861)
საფრანგეთ – მექსიკის (1862 – 1867)
ეკვადორ – კოლუმბიის (1863)
პოლონეთის მეორე (1863 – 1864)
ესპანეთ – სანტო დომინგოს (1863 – 1865)
შლეზვიგ-ჰოლშტაინის მეორე (1864)
ლოპესის (1864 – 1870)
ესპანეთ – ჩილეს (1865 – 1866)
შვიდი კვირის (1866)
ათწლიანი (1868 – 1878)
საფრანგეთ – პრუსიის (1870 – 1871)
ჰოლანდია – აჩინების (1873 – 1878)
ბალკანეთის (1875 – 1877)
რუსეთ-თურქეთის (1877 – 1878)
ბოსნიის (1878)
ბრიტანეთ – აღანეთის მეორე (1878 – 1880)
წყნარი ოკეანის (1879 – 1880)
ბრიტანეთ – ზულუსების (1879)
საფრანგეთ – ინდოჩინეთის (1882 – 1884)
მაჰდისტების (1882 – 1885)
ჩინეთ – საფრანგეთის (1884 – 1885)
ცენტრალური ამერიკის (1885)
სერბეთ – ბულგარეთის (1885)
ჩინეთ – იაპონიის (1894 – 1895)
საფრანგეთ – მადაგასკარის (1894 – 1895)
კუბის (1895 – 1898)

საერთაშორისო ომები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით

იტალია – ეთიოპიის (1895 – 1896)
ფილიპინების პირველი (1896 – 1898)
საბერძნეთ – თურქეთის (1897)
ესპანეთ – ამერიკის (1898)
ფილიპინების მეორე (1899 – 1902)
ბურების (1899 – 19002)
მოკრივეთა აჯანყება (1900)
ილინდენის (1903)
რუსეთ – იაპონიის (1904 – 1905)
ცენტრალური ამერიკის (1906)
ცენტრალური ამერიკის (1907)
ესპანეთ – მაროკოს (1909 – 1910)
იტალია – თურქეთის (1911 – 1912)
ბალკანეთის პირველი (1912 – 1913)
ბალკანეთის მეორე (1913)
პირველი მსოფლიო ომი (1914 – 1918)
რუსი ერების (1917 – 1921)
რუსეთ – პოლონეთის (1919 – 1920)
უნგრეთისა და მოკავშირეების (1919)
საბერძნეთ – თურქეთის (1919 – 1922)
რიფელების (1921 – 1926)
დრუზების (1925 – 1927)
ჩინეთ – საბჭოთა კავშირის (1929)
მანჯურიის (1931 – 1933)
ჩაკოს (1932 – 1935)
იტალია – ეთიოპიის (1935 – 1936)
ჩინეთ – იაპონიის (1937 – 1941)
ჩანკუფენის (1938)
ნომოჰანის (1939)
მეორე მსოფლიო ომი (1939 – 1945)
რუსეთ – ფინეთის (1939 – 1940)
საფრანგეთ – ტაილანდის (1940 – 1941)
ინდონეზიის (1945 – 1946)
ინდო-ჩინეთის (1945 – 1954)
მადაგასკარის (1947 – 1948)
ქაშმირის პირველი (1947 – 1949)
პალესტინის (1948 – 1949)
ჰაიდერაბადის (1948)
კორეის (1950 – 1953)
ალჟირის (1954 – 1962)
რუსეთ – უნგრეთის (1956)
სინაის (1956)
ტიბეტის (1956 – 1959)
ჩინეთ – ინდოეთის (1962)
ვიეტნამის (1965 – 1975)
ქაშმირის მეორე (1965)
ექვსდღიანი (1967)
ისრაელ – ეგვიპტის (1969 – 1970)
ფეხბურთის (1969)
ბანგლადეშის (1971)
ფილიპინები – მორთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფრონტის (1972 –)

საერთაშორისო ომები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით

იომ კიპურის (1973)
თურქეთ – კვიპროსის (1974)
ეთიოპია – ერიტრეის (1974 –)
ვიეტნამ -კამბოჯის (1975 –)
ტიმორის (1975 –)
საჰარის (1975 –)
ოგადენის (1976 –)
უგანდა – ტანზანიის (1978 1979)
ჩინეთ-ვიეტნამის (1979)
რუსეთ – ავღანეთის (1979 –)
ირან – ერაყის (1980 –)*

*გადმობეჭდილია ავტორების ნებართვით ნაშრომიდან: Melvin Small and J. David Singer, *Resort to Arms* (Beverly Hills, CA: Sage Publications, 1982) pp. 79-80. ეს არის 1816-1980 წლებში მიმდინარე საერთაშორისო ომების ნანილობრივი სია. ნაშრომის *Resort to Arms* A და B დამატებებში სმოლი და სინგერი ამ პერიოდში 578 ომს გამოყოფენ, მაგრამ მათგან დაახლოებით 159 მეტწილად შინა ანუ სამოქალაქო ომებია.

ომის ეს განმარტება გამორიცხავს ფარულ ინტერვენციებს, რომელთაგან ზოგიერთი მიმართული იყო ლიბერალური რეჟიმების მიერ სხვა ლიბერალური რეჟიმების ნინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი მაგალითია აშშ-ის მცდელობა, მოეხდინა ჩილეში არჩევნებისა და ალიენდეს მთავრობის დესტაბილიზაცია. თუმცა, ცხადია, რომ (როგორც ქვემოთ ვნახავთ) ასეთი ინტერვენციები საჯაროდ აღიარებულ პოლიტიკას არ წარმოადგენს. ჩილეს სანინააღმდეგო დესტაბილიზაციის კამპანია განხილულია აშშ-ის სენატის, მთავრობის სადაზვერვო საქმიანობის შესწავლის საგანგებო კომიტეტის ანგარიშში: *Covert Action in Chile, 1963-1973*, 94th Congress, 1st Session, (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1975).

ამ სტატიის არგუმენტი (ისევე, როგორც ეს სია) გამორიცხავს სამოქალაქო ომებს. სამოქალაქო ომები საერთაშორისო ომებისაგან განსხვავდება არა ბრძოლის სისასტიკით, არამედ გამომწვევი მიზეზებით. ორი ერი, რომლებიც ერთმანეთს ეგუებიან საზღერით გაყოფილი დამოუკიდებელი მეზობლების რანგში, დაუძინებელი მტრები შეიძლება გახდნენ, თუ იძულებულნი იქნებიან, ერთ სახელმწიფოში იცხოვრონ, ერთად გადაწყვიტონ, როგორ გაზარდონ და გაანაწილონ გადასახადები, აირჩიონ მმართველები და მოითათბირონ საკანონმდებლო ორგანოში უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ამ განსხვავებების მიუხედავად, არც ერთი სამოქალაქო ომი, რომელიც მახსენდება, არ აქარწყლებს ლიბერალური მშვიდობიანობის არგუმენტს.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს შეთანხმებას აშშ-ის ჩრდილოეთ საზღვართან დაკავშირებით. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს სავაჭრო კავშირებმა ლანკაშირის ბამბის წარმოებასა და აშშ-ის სამხრეთს შორის, ასევე, ბრიტანული არისტოკრატიისა და სამხრეთელი პლანტატორების სენტიმენტალურმა ურთიერთდამოკიდებულებამ (ჩრდილოეთის ბლოკადის დროს ბრიტანეთის საზღვაო მიმოსვლის უფლებების თაობაზე გამართულ პოლემიკასთან ერთად) დიდი ბრიტანეთი და ამერიკის ჩრდილოეთი შტატები ომის ზღვრამდე მიიყვანა, მაგრამ ეს ზღვარი გადაულახავი დარჩა. ინგლის-საფრანგეთის კოლონიური დაპირისპირების მიუხედავად, 1898 წლის ფაშოდას კრიზისი ომის გარეშე გადაწყდა. კოლონიური მეტოქეობის მიუხედავად, ლიბერალურმა საფრანგეთმა და ბრიტანეთმა პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ანტანტის შეთანხმება გააფორმეს არალიბერალური გერმანიის საწინააღმდეგოდ (რომლის საგარეო ურთიერთობებსაც კაიზერი და არმია წარმართავდნენ). 1914-1915 წლებში იტალიამ, არალიბერალურ გერმანიასა და ავსტრიასთან სამთა კავშირის ლიბერალურმა წევრმა, გადაწყვიტა, არ შეესრულებინა თავისი ვალდებულება,

რომელიც ან მოკავშირეთა მხარდაჭერას ან ნეიტრალური პოზიციის დაკავებას ითვალისწინებდა. ამის ნაცვლად, იტალია, ლიბერალური რეჟიმი, საფრანგეთისა და ბრიტანეთის ალიანსს შეუერთდა, რითაც მან თავი აარიდა სხვა ლიბერალურ სახელმწიფოებთან დაპირისპირებას და ომი გამოუცხადა თავის ყოფილ მოკავშირეებს, ავსტრიასა და გერმანიას. ინგლისსა და აშშ-ს შორის მრავალწლიანი დაძაბულობისა და ამერიკულ ვაჭრობაზე ბრიტანეთის მიერ დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, 1914-1917 წლებში აშშ ბრიტანეთისა და საფრანგეთისაკენ გადაიხარა. ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებული მშვიდობა არსად ყოფილა ისე მკაფიოდ გაცხადებული, როგორც პრეზიდენტ ვუდრო უილსონის 1917 წლის 2 აპრილის „ომის შეტყობინებაში": „ახლა, ისევე, როგორც შემდგომში, ჩვენი მიზანი არის მსოფლიოს ცხოვრებაში მშვიდობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა ეგოისტური და ავტოკრატიული ძალაუფლებისაგან და მსოფლიოს ჭეშმარიტად თავისუფალ და თვითმართულ ხალხებს შორის მიზნისა და ქმედების ისეთი ჰარმონიის ჩამოყალიბება, რომელიც მომავალში ამ პრინციპების დაცვის გარანტიას მოგვცემს."[8]

[8] იმპერიული გერმანია რთულ შემთხვევას წარმოადგენს. რაიხსტაგი არა მარტო არჩეული იყო მამაკაცთა საყოველთაო უმრავლესობის მიერ, არამედ წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომელიც კანონის ძალით იმართებოდა და პატივს სცემდა თავის მოქალაქეთა თანასწორობასა და უფლებებს. უფრო მეტიც, კანცლერმა ბისმარკმა დაიწყო სოციალური კეთილდღეობის საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც გახდა ლიბერალურ რეჟიმებში მსგავსი რეფორმების შთაგონების წყარო. თუმცა, კონსტიტუციური ურთიერთობები იმპერიულ აღმასრულებელ და წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოებს შორის იმდენად კომპლექსური იყო, რომ სხვადასხვა პრაქტიკა, კონსტიტუციური თეორიის გარდა, განსაზღვრავდა მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ჭეშმარიტ ურთიერთობებს. იმპერატორი ნიშნავდა და ათავისუფლებდა კანცლერს. მიუხედავად იმისა, რომ კანცლერი პასუხს აგებდა რაიხსტაგის წინაშე, საკანონმდებლო ორგანოში მარცხი მის გათავისუფლებას არ განაპირობებდა და არც მთავრობა იყო აბსოლუტურად დამოკიდებული რაიხსტაგზე საბიუჯეტო ხელისუფლების საკითხში. პრაქტიკულად, გერმანია ლიბერალური სახელმწიფო იყო, რომელიც საშინაო საკითხებში რესპუბლიკურ კანონს ექვემდებარებოდა. მაგრამ, იმპერატორის პირდაპირმა ძალაუფლებამ არმიაზე, ამ უკანასკნელის ფაქტობრივმა დამოუკიდებლობამ სამხედრო სამინისტროს მინიმალური კონტროლისაგან, იმპერატორის აქტიურმა როლმა საგარეო პოლიტიკაში (იმპერატორთან სამხედრო ატაშეების მეშვეობით დამაკავშირებელი გავლენიანი, დამოუკიდებელი ხაზის ჩათვლით), კანცლერსა და რაიხსტაგს შორის უმნიშვნელო კონსტიტუციურ ურთიერთობებთან ერთად, გამოწვია იმპერიული გერმანიის გადაქცევა ისეთ სახელმწიფოდ, რომელმაც თავისი მოქალაქეები საგარეო საქმეთა კონტროლს ჩამოაშორა.
ამ ავტორიტარულმა ელემენტმა არა მარტო ზეგავლენა მოახდინა გერმანულ საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, არამედ ჩამოაყალიბა საერთაშორისო პოლიტიკური გარემო (ნდობის ნაკლებობა), რომლის პირისპირაც რაიხი აღმოჩნდა და შინაპოლიტიკური გარემო, რომელიც ხელისუფლების არჩევანსა და შესაძლებლობებს განსაზღვრავდა (ლიბერალური შეხედულებების სისუსტე დაუპირისპირდა იუნკერული მილიტარისტული ნაციონალიზმის განსაკუთრებულ გავლენას). ამრიგად, პოლიტიკაზე პირდაპირი ზემოქმედება ავტორიტარული ელემენტის ერთ-ერთი შედეგი იყო. უფრო მეტიც, ამ ელემენტს შეიძლება მიეწეროს მნიშვნელოვანი და კამათის გამომწვევი ეპიზოდები. ისინი მოიცავს ტირპიცის მიმართვას ვილჰელმ მეორისადმი, რათა ამ უკანასკნელს ვეტო დაედო კანცლერ ბეთმან-ჰოლვეგის წინადადებისათვის ბრიტანეთთან საზღვაო შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე (1909 წ.). ამას დაემატა ვილჰელმის პიროვნული შეხედულება, მხარი დაეჭირა ავსტრიელებისათვის სარაევოს კრიზისის დასანყისში და მისი და მოლტკეს არამართებული ზეწოლა კანცლერზე 1914 წლის ივლისსა და აგვისტოში, რომელმაც განაპირობა გერმანიის დიპლომატიის შეკავშირებულობის განადგურება და ავსტრიის მთავრობის ერთ-ერთი ნევრის მიერ შემდეგი შეკითხვის დასმა: „ვინ მართავს ბერლინში? მოლტკე თუ ბეთმანი?" (Gordon Craig, *The Politics of the Prussian Army* [New York: Oxford University Press, 1964], p. xviii, chap. 6). ბეთმანის მიზნებისა და მისთვის შექმნილი დაბრკოლებების შესანიშნავი მომხილვისათვის იხილეთ: Konrad H. Jarausch, "The Illusion of Limited War: Chancellor Bethmann-Hollweg's Calculated Risk, July 1914," *Central European History*, Vol. 2, No. 1, (March 1969).
იტალიის გადაწყვეტილების ლიბერალური საფუძვლები გარჩეულია რ. ვიგარელის მიერ პიუგო ბატლერის ნაშრომის განხილვაში: *Gaetano Salvemini und die Italienische Politik vor dem Ersten Welt-*

სტატისტიკურად, ნებისმიერ ორ სახელმწიფოს შორის ომის ალბათობა (ერთი წლის ან დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში) დაბალია. უფრო მეტად სავარაუდო შეიძლება იყოს ომი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, დროის ხანგრძლივ მონაკვეთში. ამდენად, გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ თითქმის 200 წლის მანძილზე ადგილი არ ჰქონია ომს გამოკვეთილად ლიბერალურ – როგორც მეზობელ, ისე ერთმანეთისაგან დაშორებულ – სახელმწიფოებს შორის. პოლიტიკურად, შესაძლოა, უფრო არსებითი იყოს შემდეგი გარემოება: როდესაც მსოფლიო ომის მოლოდინით გამოწვეული ზენოლის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები იძულებულნი არიან, გადაწყვიტონ, რომელ მხარეს იბრძოლონ გლობალური დაპირისპირების შემთხვევაში, ლიბერალური სახელმწიფოები ერთ მხარეს იყრიან თავს მიუხედავად იმ ისტორიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების კომპლექსურობისა, რომლებიც მათ საგარეო პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. და ბოლოს, როგორც ისტორიდან არის ცნობილი, შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი პერიოდის ევროპა მეომარ სახელმწიფოთა საბრძოლო ასპარეზს წარმოადგენდა, სადაც საფრანგეთი, ინგლისი და „ნიდერლანდები" მუდმივ დაპირისპირებათა ქსელში იყვნენ ჩაბმულნი. შემდეგ, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, ამ ტერიტორიაზე ლიბერალური რეჟიმის სახელმწიფოებმა დაიწყეს აღმოცენება. თავდაპირველად მერყეევმა და დაბნეულმა, მოგვიანებით კი გამოკვეთილმა და თავდაჯერებულმა პაციფისტურმა კავშირმა ჩამოყალიბებული სახე მიიღო მას შემდეგ, რაც ლიბერალურმა ქვეყნებმა მყარი შიდა საფუძველი და ხანგრძლივი საერთაშორისო გამოცდილება მოიპოვეს.

საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური მოდელი, რომელიც სახელმწიფოთა ზოგადი დაუცველობის სავარაუდო ახსნას გვთავაზობს, ნაკლებად ხსნის ლიბერალურ სამყაროში მიმდინარე მშვიდობის დამყარების პროცესს. კლასიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არის და უნდა იყოს ფორმალურად სუვერენული, ეროვნულ დონეზე პიროვნების უფლებებით შეუზღუდავი და, შესაბამისად, თავად უნდა განსაზღვრავდეს საკუთარი ძალაუფლების გავრცელების არეალს. (ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც დემოკრატიულად, ისე ოლიგარქიულად ან ავტოკრატიულად). საერთაშორისო დონეზე სუვერენული სახელმწიფო ანარქიულ საზოგადოებაში არსებობს, სადაც ის რადიკალურად დამოუკიდებელია; ის არც შეზღუდულია და არც დაცული საერთაშორისო „სამართლის" ხელშეკრულებებითა და ვალდებულებებით და ამრიგად, უსაფრთხო მდგომარეობაში არ იმყოფება. ჰობსმა, მეჩვიდმეტე საუკუნის მოღვაწემ და რეალისტური მიდგომის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, რეალიზმის საერთაშორისო შედეგები განსაზღვრა, როდესაც ამკტკიცებდა, რომ საერთაშორისო ანარქია და სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა საუკეთესოდ ხსნის კონკურენციის, შიშისა და პრევენტიული ომისაკენ მისწრაფების გაღვივებას, რაც ახასიათებს საერთაშორისო ურთიერთობებს. ერებს შორის პოლიტიკა, ამ შეხედულების თანახმად, არის არა უწყვეტი ბრძოლა, არამედ „ომის მდგომარეობა . . . დროის მონაკვეთი, სადაც საკმაოდ აშკარად ჩანს საბრძოლო დაპირისპირების სურვილი."[9]

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში სამი „თამაში" ხსნის იმ შიშს, რომელსაც ჰობსი საომარ მდგომარეობაში კონფლიქტის წყაროდ განიხილავს. პირველი, მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოებს აქვთ საერთო კეთილდღეობის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია თანამშრომლობის გზით, გლობალური სა-

krieg, Journal of Modern History, Vol. 52, No. 3 (September 1980), p. 541.
პრეზიდენტ ვუდრო უილსონის ციტატა მოყვანილია მისივე ნიგნიდან: *The Messages and Papers of Woodrow Wilson*, ed. Albert Shaw (New York: The Review of Reviews, 1924), p. 378.

[9] Thomas Hobbes, *Leviathan* (New York: Penguin, 1980), I, chap. 13, 62 p. 186.

მართლისა და წესრიგის წყაროს არარსებობა გულისხმობს, რომ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს სხვათა მხრიდან თანამშრომლობის იმედი. ამიტომ, ყოველ სახელმწიფოს გააჩნია რაციონალური მისწრაფება, გადაუხვიოს თანამშრომლობის კურსს, რათა მიიღოს ისეთი სარგებელი, რომლის ღირებულებაც თანამშრომლობიდან მიღებულზე ნაკლები იქნება (ეს არის რუსოს „ირმის დილემა"). მეორე, მართალია, თითოეულმა სახელმწიფომ იცის, რომ მისი უსაფრთხოება დამოკიდებულია პოტენციური მეტოქეების შეიარაღების დონეზე და, ამასთანავე, თითოეული სახელმწიფო ცდილობს, შეზღუდოს შეიარაღების ხარჯები, ისიც კარგად არის ცნობილი, რომ უსაფრთხოების გლობალური გარანტიების არარსებობის პირობებში, მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში შეუიარაღებლად ყოფნა უფრო უარესია, ვიდრე შეიარაღების ხარჯების გაღება. შესაბამისად, თითოეული სახელმწიფო შეიარაღების პროცესშია და ამით მდგომარეობა უარესდება (ეს არის „უსაფრთხოების დილემა," „პატიმრის დილემის" ერთ-ერთი ვარიანტი). მესამე, კარგად შეიარაღებული სახელმწიფოები ემყარებიან თავიანთ პრესტიჟს, თავიანთი ძლიერების დამაჯერებლობას, როცა სურთ, ხელი ააღებინონ სხვა სახელმწიფოებს იარაღის ბრძოლაში გამოცდაზე. ეს დამაჯერებლობა კი წარმატებების მიხედვით იზომება. მას შემდეგ, რაც წარმოიშობა კონფრონტაციული მდგომარეობა, უკან დახევა, თუნდაც ეს რაციონალური იყოს ორივე მხარისთვის, არარაციონალურია თითოეული მხარისათვის, თუკი არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მეორე მხარე პირველი დაიხევს უკან („ნინილის" თამაში).[10]

ზოგიერთი ომი იწყება შიშის გამო, როდესაც სახელმწიფო მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად პირველი გადადის შეტევაზე; კონკურენციის გამო, როდესაც სახელმწიფოები, პრესტიჟის საერთაშორისო იერარქიის არარსებობის პირობებში, საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვიან; და ინტერესთა პირდაპირი კონფლიქტის გამო, რომელიც ომში გადაიზრდება, რადგან არ არსებობს გლობალური სუვერენი, რომელიც სახელმწიფოებს კონფლიქტის მოგვარების ამ უკიდურესი ფორმისაგან დაიცავდა. სწორედ აქ მოქმედებს „უსაფრთხოების, პატივისა და პირადი ინტერესის" თუკიდიდესეული სამეული და ჰობსის „უნდობლობის," „დიდებისა" და „შეჯიბრის" ცნებები, რომლებიც საერთაშორისო ომის მდგომარეობაში ქვეყნებს კონფლიქტისაკენ უბიძგებს.[11]

იმის აღმოჩენის შემდეგ, რომ ყველა სახელმწიფო, ლიბერალური რეჟიმების ჩათვლით, საომარ მდგომარეობაში ერთვება, რეალისტები ასკვნიან, რომ განსხვავებული (როგორც ლიბერალური, ისე არალიბერალური) შიდა რეჟიმების შედეგები იმ საერთაშორისო ანარქიით არის გადაფარული, რომელშიც სახელმწიფოები ცხოვრობენ.[12] ამდენად, სუვერენის უზენაეს ხელისუფლებაზე საუბრისას, ჰობსი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს „ადამიანთა გარკვეულ ერთობასა და ერთ ადამიანს." შიდა რეჟიმებს შორის სხვაობები ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოსათვის ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობაზე, როგორც ამას გვიჩვენებს რუსო (მეთვრამეტე

[10] Robert Jervis, "Cooperation Under the Security Dilemma," *World Politics*, Vol. 30, No. 1 (January 1978).

[11] Thucydides, *The Peloponnesian Wars*, trans. Rex Warner (Baltimore, Md.: Penguin Books, 1954) I: 76 და Hobbes, *Leviathan*, I, chap. 13, 61, p. 185. შეხედულებათა თანხვედრა შემთხვევითი არ არის. ჰობსმა თარგმნა თუკიდიდე და ჰობსის ბუნებრივი მდგომარეობის დახასიათება თუკიდიდეს მიერ კერკირის კუნძულის რევოლუციის აღწერიდან მომდინარეობს.

[12] Kenneth N. Waltz, *Man, the State, and War* (New York: Columbia University Press, 1954, 1959), pp. 120-123. აგრეთვე იხილეთ მისი: *Theory of International Politics* (Reading, Mass.: Addison-Wesley, 1979). რელიზმის ამ ფორმის კლასიკურ წყაროებია ჰობსი, რუსოს შრომები: "Essay on St. Pierre's Peace Project" და "State of War," წიგნში: *A Lasting Peace* (London: Constable, 1917), ედვარდ ქარის: *The Twenty Years Crisis: 1919-1939* (London: Macmillan & Co., 1951) და ჰანს მორგენთაუს ნაშრომები.

საუკუნის რეალისტი) პოლონეთის განხილვისას და ადასტურებს მორგენთაუ (მეოცე საუკუნის რეალისტი) საბრძოლო სულისკვეთების შესახებ მსჯელობისას.[13] მაგრამ მიზნები, რომლებიც საერთაშორისო ომის მდგომარეობას აყალიბებს, რეალისტებისათვის გამონვეულია საერთაშორისო სისტემის ანარქიულობითა და ძალაუფლების თანდაყოლილი ძიებით, რაც ყველა სახელმწიფოს პოლიტიკას წარმართავს, შიდა რეჟიმებს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად. რუსო ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო მშვიდობის მიღწევა საერთაშორისო ურთიერთობების გაუქმებაზეა დამოკიდებული, რაც შეიძლება განხორციელდეს მსოფლიო სახელმწიფოს ჩამოყალიბებით ან რადიკალური იზოლაციონიზმით (კორსიკა). რეალისტების აზრით, არც ერთი მათგანი არ არის შესაძლებელი.

პირველი, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე, რეალისტების შეხედულებით, ლიბერალური მშვიდობა მხოლოდ კეთილგონივრული დიპლომატიის შედეგი შეიძლება იყოს. ზოგიერთი მათგანი, ჰობსის ჩათვლით, მიიჩნევს, რომ სუვერენებს აქვთ ბუნებრივი ვალდებულება, არ გაილაშქრონ „მშვიდობის მიზეზთა" წინააღმდეგ.[14] პიროვნებებმა დაამყარეს (ან უნდა დაამყარონ) უზენაესი ხელისუფლება იმ მიზნით, რომ თავი დააღწიონ ბუნებრივი მდგომარეობის დაუნდობლობას, ყველას ომს ყველას წინააღმდეგ, რომელიც მოსდევს მწირი რესურსებისათვის ბრძოლას, პრესტიჟისათვის დაპირისპირებასა და სხვათა თავდასხმის შიშს, როდესაც არ არსებობს უზენაესი ხელისუფლება კანონიერი საკუთრების, დარეგულირებული სოციალური ქცევის ან პიროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. „დომინიონებს აყალიბებდნენ მშვიდობის მიზნით, ხოლო მშვიდობას ეძიებდნენ უსაფრთხოების მიზნით." ამიტომ, სუვერენის ბუნებრივი ვალდებულებაა ხალხის უსაფრთხოება. თუმცა, კეთილგონივრული პოლიტიკა არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა იძულებითი უფლება, რადგან ჰობსისეული სუვერენები, რომლებიც საკუთარ ქვეშევრდომებთან და სხვა მთავრებთან ურთიერთობაში ბუნებრივ მდგომარეობაში რჩებიან, თავად ვერ იქნებიან ქვეშევრდომები.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთაშორისი მდგომარეობა აუცილებლად არ გულისხმობს პირველსაწყის დაუნდობლობას, რომელიც ამჟამად სახელმწიფო საზღვრებთან ინაცვლებს. სუვერენი პიროვნულად უფრო უსაფრთხო მდგომარეობაშია, ვიდრე თითოეული ინდივიდი ბუნებრივ მდგომარეობაში და ჯარისკაცებიც ბუნებით უფრო მშიშარნი არიან. ინდივიდებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოები თანასწორნი არ არიან; ზოგიერთი მათგანი ექსპანსიური ბატონობის მეშვეობით არსებობს, ხოლო სხვები იძულებულნი არიან, ტანჯვით იცხოვრონ. თუმცა, არც უსაფრთხოების პოლიტიკა იძლევა მშვიდობის გარანტიას. საერთაშორისო ვითარება, ჰობსის თანახმად, ომის მდგომარეობად რჩება. უსაფრთხოება გულისხმობს წინასწარი გაფრთხილების (ჯაშუშობის) და შეიარაღების კეთილგონივრულ პოლიტიკას, სხვა სუვერენებთან მიმართებაში უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, რომლებიც სხვათა შიშის გამო თავადაც იღებენ უსაფრთხოების ზომებს. უსაფრთხოება, აგრეთვე, მოითხოვს (ზნეობრივად) ისეთი ქმედებების გატარებას, „რომლებიც მიმართულია, იგნორირებით ან ძალის გამოყენებით, იმ უცხოელთა ძლიერების დასუსტებისაკენ, რომელთა მიმართაც მათ (სუვერენებს) ეჭვი აქვთ."[15] თუ პრევენტიული ომები კეთილგონივრულია, მაშინ რეალისტთა კეთილგონიერება ნამდვილად ვერ ხსნის საუკუნენახევარზე მეტ ხანს არსებულ მშვიდობას თავისუფალ ლიბერ-

[13] Jean-Jacques Rousseau, *The Government of Poland*, trans. Willmoore Kendall (New York: Bobbs-Merrill, 1972); Hans Morgenthau, *Politics Among Nations* (New York: Alfred A. Knopf, 1967), pp. 132-135.

[14] Hobbes, "De Cive," *The English Works of Thomas Hobbs* (London: J. Bohn, 1841), 2: 166-67.

[15] *Ibid.*, p. 171.

ალურ სახელმწიფოთა შორის, რომელთა უმრავლესობა ევროპის ცენტრში ერთიმეორესთან ძალიან ახლოს მდებარეობს.

თამაშის თეორიის ბოლოდროინდელი დამატებების წყალობით, გამოყოფა რამდენიმე გარემოება, რომელთა დროსაც კეთილგონიერებამ მშვიდობამდე შეიძლება მიგვიყვანოს. გამოცდილება, გეოგრაფია, თანამშრომლობის მოლოდინი და რწმენის სისტემა; და თანამშრომლობის (მშვიდობის) თუ კონფლიქტის განსხვავებული საფასურები, რომლებიც სამხედრო ტექნოლოგიის განსხვავებულ სახეებს უკავშირდება, – ყველაფერი ეს გაანგარიშებაზე ზეგავლენის მომხდენ ფაქტორებად გვევლინება.[16] მაგრამ, როდესაც საქმე ეხება მშვიდობიანი ურთიერთქმედების მეთოდთა დაუფლებას, ერები ძალიან ნელა და დაბნეულად იწყებენ სწავლას. ძალთა ბალანსი რეალიზმის ანბანში პირველ გაკვეთილად ისწავლება, მაგრამ მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ ხელი არ შეუშალა საფრანგეთს (ლუი მეთოთხმეტისა და ნაპოლეონის დროს) და გერმანიას (ვილჰელმ მეორისა და ჰიტლერის სახით), ორ-ორჯერ ეცადათ ევროპის დაპყრობა. თუმცა, შავი აფრიკის ზოგიერთმა ახალშექმნილმა სახელმწიფომ მოახერხა ურთიერთტოლერანტულობის ეფექტიანი სტანდარტების ოცნლიანი სისტემის ჩამოყალიბება. ეს სტანდარტები ბოლომდე შედეგიანი არ არის (ტანზანიის შეჭრა უგანდაში); მაგრამ მათი მეშვეობით დაიმსხვრა აფრიკის ბრძოლით გადანაწილების მოლოდინები.[17] გეოგრაფიამ – „კუნძულოვანმა უსაფრთხოებამ" და „კონტინენტალურმა უსაფრთხოებამ" – შეიძლება გაელენა მოახდინოს საგარეოპოლიტიკურ მოსაზრებებზე, მაგრამ ის არ განსაზღვრავს სახელმწიფოს ქცევას, როგორც ეს ინგლისისა და იაპონიის საომარი გამოცდილებით დადასტურდა. სტრატეგიული ქცევა ლიდერებისა და მასების რწმენამ, მოლოდინებმა და შეხედულებებმა უნდა განსაზღვროს. როგორც ამერიკული საზოგადოების პოზიციური განწყობის კვლევამ გვიჩვენა, მშვიდობისაკენ სწრაფვა გაიზრდება, თუ სტრატეგიული მმართველობის სადავეებს დაიკავებს ორმოცდახუთი წლის, მდედრობითი სქესის პროტესტანტი ან ებრაელი პედიატრი, რომელიც მერილენდის შტატის ქალაქ ბეთესდას მკვიდრია.[18] მიუხედავად ამისა, ძნელი იქნებოდა იმის განსაზღვრა, ექნებოდათ თუ არა ლიბერალური სახელმწიფოების ლიდერებს უფრო მშვიდობიანი მიდგომა, ვიდრე არალიბერალური სახელმწიფოების მმართველებს. მაგრამ, თუ ასეთი აღმოჩენა გაკეთდება, მის ავტორს მიუწევს იმის ახსნა, თუ რატომ არის მშვიდობისაკენ მისწრაფება ეფექტიანი მხოლოდ სხვა ლიბერალურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში (ვინაიდან არალიბერალურ სახელმწიფოებთან ომი ყოველთვის თავდაცვითი ხასიათის არ ყოფილა).

თამაშის თეორიის ლოგიკის ახსნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხედრო ტექნოლოგიების განსხვავებულობამ. ამ ტექნოლოგიებმა „უსაფრთხოების დილემის" საფასურები შეიძლება შეცვალოს: გაზარდოს დაპირისპირების ხარჯები, შეამციროს მოუმზადებლობისა და მოულოდნელობის ხარჯები, შეზღუდოს უეცარი შეტევის მომგებიანობა და გაზარდოს თანამშრომლობისაგან მიღებული სარგებელი. ჯერვისმა ახლახანს გააანალიზა იმ სიტუაციების განსხვავებული შედეგები, რომლებშიც თავდასხმას ან თავდაცვას ენიჭება უპირატესობა და თავდასხმითი იარაღი განსხვავდება (ან არ განსხვავდება) თავდაცვითი იარაღისაგან. როცა თავდასხმას აქვს უპირატესობა და იარაღს შორის განსხვავება არ არსებობს, სა-

[16] Jervis, "Cooperation Under the Security Dilemma," pp. 172-86.

[17] Robert H. Jackson and Carl J. Rosberg, "Why West Africa's Weak States Persist," *World Politics*, Vol. 35, No. 1, (October 1982).

[18] ინტერპრეტირებულია ნაშრომიდან: Michael Haas, *International Conflict* (New York: Bobbs-Merrill 1974), pp. 80-81, 457-58.

ფრთხის ხარისხი მაღალია, პრევენტიული შეტევის სტიმული კი, შესაბამისად, ძლიერდება. როდესაც თავდასხმითი იარაღი უპირატესობით არ სარგებლობს და თავდაცვითი იარაღისაგან განსხვავდება, დაბალია როგორც პრევენტიული შეტევის, ისე გამალებული შეიარაღების სტიმული. სახელმწიფო მოღვაწეებს უნდა ჰქონდეთ არააგრესიული განზრახვის გამოხატვისა და სხვა სახელმწიფოთაგან პირდაპირი სტრატეგიული მუქარის არარსებობის შეცნობის შესაძლებლობა, რაც მათ საშუალებას მისცემს, მშვიდობიანი პოლიტიკა გაატარონ და ანარმოონ მოლაპარაკებები უთანხმოებათა მოსაგვარებლად. მაგრამ ეს ვერ ახსნის ლიბერალურ მშვიდობას. სამხედრო ტექნოლოგიები თავდასხმითიდან თავდაცვითისაკენ და ურთიერთგანსხვავებულიდან განურჩევლისაკენ შეიცვალა. მიუხედავად ამისა, პაციფისტური კავშირი არსებობას განაგრძობს, ამასთან, მხოლოდ ლიბერალურ სახელმწიფოებს შორის. უფრო მეტიც, ყველაზე „ნათელი" ტექნიკური მონაცემებიც კი მახინჯდებოდა. 1914 წლის წინა პერიოდი, რომელიც ობიექტურად ასახავდა თავდაცვის (ტყვიამფრქვევების, ეკლიანი მავთულხლართების, სასანგრე ბრძოლების) ტრიუმფს თავდასხმაზე, სუბიექტური თვალსაზრისით, როგორც ჯერვისმა აღნიშნა, იყო დრო, როდესაც სამხედრო ლიდერები დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ თავდასხმასა და, შესაბამისად, პრევენტიულ ომს.[19]

მეორე, სოციალური დეტერმინანტების დონეზე, ზოგიერთი მკვლევარი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ მსგავსი სოციალური სტრუქტურებისა და ურთიერთშეთავსებადი ღირებულებების მქონე სახელმწიფოთა ნებისმიერ ჯგუფს შორის ურთიერთობები მშვიდობიანი იქნება.[20] მაგრამ ფეოდალური, კომუნისტური, ფაშისტური და სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება ამ დასკვნის სასარგებლოდ არ მეტყველებს. ფეოდალური ომები ხშირად ხდებოდა და მონარქებსა და დიდებულებს შორის გართობის ერთგვარ სახეობას წარმოადგენდა. მსოფლიოში არ ყოფილა ტოტალიტარული, ფაშისტური სახელმწიფოების საკმარისი რაოდენობა (და მათი არსებობაც იმდენად დიდხანს არ გაგრძელებულა), რათა მათ ობიექტურად გამოეცადათ ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა. მაგრამ ფაშისტური ძალები, ნაციონალიზმის, კაპიტალიზმის, სამხედრო დიქტატურების უფრო ფართო გაგებით, 1930-იან წლებში ერთმანეთს ებრძოდნენ. კომუნისტური ძალები სულ ცოტა ხნის წინ აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიაზე მიმდინარე ომებში იყვნენ ჩართულნი. ამასთან, არ არსებობს იმდენი სოციალისტური საზოგადოება, რომ სოციალისტური მშვიდობის შესაძლებლობა შევაფასოთ. პლურალიზმის უფრო მეტად აბსტრაქტული კატეგორიაც არ არის საკმარისი. ცხადია, გერმანია პლურალისტული იყო, როდესაც 1914 წელს ლიბერალური სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში ჩაება. პლურალისტული იყო იაპონიაც 1941 წელს, მაგრამ ეს ქვეყნები ლიბერალურნი არ ყოფილან.

[19] Jervis, "Cooperation Under the Security Dilemma," pp. 186-210, 212. ჯერვისი განიხილავს თანამშრომლობის მისწრაფებებს და არა მშვიდობის ან მისი წყაროების არსებობას.

[20] საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ახსნას ეძღვნება მდიდარი თანამედროვე ლიტერატურა. კარლ დოიჩის ნაშრომი *Political Community and the North Atlantic Area* (Princeton: Prinston University Press, 1957) ავითარებს „პლურალისტური უსაფრთხოებითი გაერთიანების" იდეას, რომელიც პაციფისტური კავშირის მსგავს ელფერს ატარებს. მაგრამ დოიჩი მას გეოგრაფიულად ზღუდავს და გადანყვეტილების მიმღებთა შორის ღირებულებათა ურთიერთშეთავსებას, ორმხრივ გამოხმაურებასა და საქციელის წინასწარ განსაზღვრას მის ძირითად მახასიათებლებად მიიჩნევს. ეს ელემენტები საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი არსი – ლიბერალიზმი – უფრო მრავალის მთქმელია. ჯოზეფ ნაი თავის ნაშრომში *Peace in Parts* (Boston, Little, Brown & Co., 1971) დოიჩის მიერ დანესებულ გეოგრაფიულ ზღვარს სცილდება და ყურადღებას ამახვილებს განვითარების დონეებზე. მაგრამ მისი ანალიზი მიმართულია ინტეგრაციის ახსნისაკენ, რომელიც თანამშრომლობის უფრო ინტენსიური ფორმაა, ვიდრე პაციფისტური კავშირი.

და მესამე, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დონეზე, ლიბერალური მშვიდობის გარანტიას არც გარკვეული რეგიონალური მახასიათებლები და არც ისტორიული მეგობრობა და ალიანსები იძლევა. მშვიდობა ვრცელდება იქამდე, და არა იმაზე შორს, ვიდრე არსებობს ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები. ის არ მოიცავს ლიბერალურ რეგიონში არსებულ არალიბერალურ სახელმწიფოებს (როგორიც იყო ჩრდილოატლანტიკური რეგიონი 1930-იან წლებში) და არ გამორიცხავს ლიბერალურ სახელმწიფოებს არალიბერალურ რეგიონში (როგორიცაა ცენტრალური ამერიკა და აფრიკა).

ამ დონეზე, რაიმონ არონმა სახელმწიფოთაშორისი მშვიდობის სამ ტიპი გამოყო: იმპერია, ჰეგემონია და წონასწორობა.[21] იმპერია ზოგადად წარმატებულია საშინაო მშვიდობის მიღწევაში, მაგრამ ის ვერ ხსნის დამოუკიდებელ ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის მშვიდობას. ჰეგემონიას შეუძლია მშვიდობის დამყარება პოტენციური მეტოქეების დაშინებით. თუმცაღ, აშშ-ის ჰეგემონია, რომელიც სრულყოფილებისაგან საკმაოდ დაშორებული და, უდავოდ, არასაიმედოა, რაიმონ არონის აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ცივი ომის კულმინაციის დროს, სამხრეთ ამერიკაში მშვიდობის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ, ლიბერალური მშვიდობა მხოლოდ და მხოლოდ დომინანტი ქვეყნის ეფექტიან საერთაშორისო პოლიტიკას არ შეიძლება მიეწეროს (ბრიტანეთი მეცხრამეტე საუკუნეში, აშშ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში). თუმცა, ჰეგემონი შეიძლება დაინტერესებული იყოს მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებით, ვაჭრობისა და ინვესტირების ხელშეწყობის ან საკუთარი პრესტიჟისა და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით. მეჩვიდმეტე საუკუნის საფრანგეთის მსგავსი ჰეგემონები არ ახორციელებდნენ მშვიდობიან პოლიტიკას და ლიბერალური მშვიდობა ომებს შორის პერიოდში არსებობდა, როცა საერთაშორისო საზოგადოებას გამოკვეთილი ჰეგემონი არ ჰყავდა. უფრო მეტიც, ეს შეხედულება ორივე პერიოდის ჰეგემონური კონტროლის გადაფასებას ახდენს. ვერც ინგლისმა და ვერც აშშ-მა ვერ შეძლო საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი საფრთხეების აღკვეთა (მეცხრამეტე საუკუნის კოლონიური დაპირისპირება, ახლო აღმოსავლეთის დიპლომატია და სავაჭრო კონფლიქტები მეტოქეებთან მეორე მსოფლიო ომის მომდევნო პერიოდში). რატომ არ იქნა მაშინ ამოქმედებული შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების პოტენციალი ლიბერალურ რეჟიმებს შორის, რომელთა უმრავლესობაც სუსტი იყო, დანარჩენებს კი სტრატეგიული ან ეკონომიკური მნიშვნელობა არ ჰქოდათ? ლიბერალური ჰეგემონია და ლიდერობა მნიშვნელოვანია (იხილეთ ქვემოთ V ქვეთავი), მაგრამ ისინი არ კმარა ლიბერალური მშვიდობის ასახსნელად.

წონასწორობის შედეგად მიღწეული მშვიდობა (კლასიკური მრავალპოლარული ძალთა ბალანსი ან ბიპოლარული „ცივი ომი") აგრეთვე ემყარება მშვიდობის კეთილგონივრულ წყაროებს. იმის გაცნობიერებას, რომ ჰეგემონიის დამყარების აგრესიულმა მცდელობებმა საერთაშორისო წინააღმდეგობა შეიძლება გამოიწვიოს, შედეგად უნდა მოყვეს ამგვარი აგრესიული ომების შეკავება. მაგრამ ბიპოლარული სტაბილურობა ხელს უშლის პოლუსებს ან ზესახელმწიფოებს შორის ომებს, მაგრამ არა სუსტი, დაქვემდებარებული მოკავშირეების ან პატარა სახელმწიფოების მიერ

[21] Raymond Aron, *Peace and War* (New York: Praeger, 1968), pp. 151-154. პროგრესი და მშვიდობა იმპერიათა და ჰეგემონიათა აღმოცენებისა და დაცემის ასპექტში კლასიკურ თემას წარმოადგენს. ლუკრეციუსი ამბობდა, რომ ისინი ბუნების უფრო ზოგადი კანონის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ: "Augescunt aliae gentes, aliae minuuntur / Inque brevis spatio mutantur saecula animantum, / Et quasi cursores vitai lampada tradunt" [ზოგიერთი ხალხი იზრდება და ზოგიერთი მცირდება / მოკლე დროში სულიერ საგანთა ნესრიგი იცვლება / მორბენალთა მსგავსად, ისინი ცხოვრების ჩირაღდნის მოპოვებას ცდილობენ.] *De Rer. Nat.* Ii, 77-79.

წარმოებულ ომებს. ამას გარდა, მრავალპოლარული ძალთა ბალანსი სტიმულს აძლევს ისეთ საომარ მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია, მაგალითად, სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად, იმ პეტოქის სანინააღმდეგოდ, რომლის ძალაუფლებაც შინაგანი შესაძლებლობების ზრდის შედეგად მატულობს.[22] ვერც ერთი მათგანი ვერ განაპირობებს საყოველთაო მშვიდობის ან ლიბერალური მშვიდობის დამყარებას.

საბოლოო ჯამში, ზოგიერთი რეალისტი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ ლიბერალური მშვიდობა უბრალოდ ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის ინტერესების ღრმა კონფლიქტის არარსებობას ასახავს. ომებს ადგილი აქვს ლიბერალური ზონის ფარგლებს გარეთ, რადგანაც იქ ინტერესთა კონფლიქტი უფრო ღრმაა. მაგრამ ამ არგუმენტს მოსდევს კითხვა, თუ რატომ აქვთ ლიბერალურ სახელმწიფოებს ერთმანეთთან ნაკლები ან ნაკლებად მნიშვნელოვანი ინტერესთა კონფლიქტები, ვიდრე ლიბერალურ სახელმწიფოებს არალიბერალურ ქვეყნებთან ან არალიბერალურ სახელმწიფოებს ერთმანეთთან. ამიტომ, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ ლიბერალიზმის მიერ „საომარი მდგომარეობის" დამშვიდების პროცესი, რომელიც სწორედ ლიბერალიზმს ეფუძნება და არა რაიმე უფრო ზოგადს ან უფრო კონკრეტულს.

IV

ლიბერალ თეორეტიკოსთა უმრავლესობამ არაადეკვატური პრინციპები შეიმოგვთავაზა ლიბერალური მშვიდობის განსაკუთრებული ბუნების გასაგებად. ზოგიერთის მტკიცებით, დემოკრატიული სახელმწიფოები იმთავითვე მშვიდობიანნი არიან, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სახელმწიფოთა მოქალაქეები თავად

---

[22] Kenneth Waltz, *Theory of International Politics*, chap. 8; Edward Gulick, *Europe's Classical Balance of Power* (New York: Norton, 1967), chap. 3.
ომის პიროვნული, საზოგადოებრივი და საერთაშორისო წყაროების ერთ-ერთი ყველაზე ღრმა კოლექტიური ანალიზია: The Correlates of War Project. ომების უფრო მომცველი ჩამონათვალისა და სტატისტიკური ანალიზისათვის იხილეთ: Melvin Small and J. David Singer, *Resort to Arms*, (Beverly Hills, Ca: Sage, 1982). დევიდ სინგერმა ("Accounting for International War: The State of the Discipline," *Journal of Peace Research*, chap. 18. No. 1, 1981) შემდეგი დასკვნები გამოიტანა: „საერთაშორისო სისტემაში ისეთი არაადეკვატური ორგანიზაციის გადარჩენის აუცილებლობა, რომელსაც ფართოდ დისფუნქციური კულტურა გააჩნია, მეტნილად ერთგვაროვან გამოხმაურებას მოითხოვს (გვ. 11) . . . საშინაო ფაქტორები არ არის გათვალისწინებული;" ომი „ვერ აიხსნება შედარებით უცვლელი ფენომენის საფუძველზე" (გვ. 1).
მაიკლ პაასი, ნაშრომში *International Conflict*, აღმოაჩენს, რომ სისტემურ დონეზე „კოლექტიური უსაფრთხოების, სტრატიფიკაციისა და ჰეგემონიზაციის სისტემები თავიდან იცილებს მაღალი სიხშირით სისასტიკის გამოვლინებას" (გვ. 453), მაგრამ, არც ერთი [გამომნეველ] მოდელი არ არის მთლიანად ან მეტნილად დამაკმაყოფილებელი" (გვ. 452). საზოგადოებრივ დონეზე ომი შესაბამისობაში იმყოფება ისეთ ცვლადებთან, როგორიცაა „ბლოკის მდგომარეობა, სამხედრო მობილიზაცია, ხალხის მტრული წარმოდგენები სხვა ქვეყნების ხალხებზე, მთლიანი ეროვნული პროდუქტის დიდი ნაწილის გაღება სამხედრო დანახარჯებისათვის . . . " (გვ. 461). ეს ცვლადები უფრო მეტად აღწერს, ვიდრე ხსნის ომს. ჯგუფური ანალიზი, რომელსაც ავტორი აწარმოებს, დემოკრატიას, განვითარებასა და მდგრად მოდერნიზაციას მშვიდობიანი ქვეყნების არსებობას უკავშირებს (გვ. 464-465). მაგრამ ეს ფაქტორები, მ. სმოლისა და ჯ. დ. სინგერის თანახმად, არ შეესაბამება მშვიდობიანობის პერიოდს 1816-1965 წლებში. M. Small and J. D. Singer, "The War Proneness of Democratic Regimes," *Jerusalem Journal of International Relations*, Vol 1, No. 4, (Summer 1976).
ჩემი აზრით, მათი დასკვნები ომის ჰომოგენიზაციისა და იმ ომების ახსნის მცდელობის შედეგია, რომლებშიც მრავალი სახელმწიფო იყო ჩართული. მე ვცდილობ ავხსნა სახელმწიფოთაშორისი მშვიდობა, რომლის დამყარებაშიც მხოლოდ ლიბერალურმა რეჟიმმა, სახელმწიფოსა და საზოგადოების განსაკუთრებულმა ფორმამ, მოიპოვა წარმატება.

მართავენ პოლიტიკურ სისტემას და ომის დანახარჯებსაც თავად იღებენ. მონარქებისაგან განსხვავებით, მოქალაქეებს არ აქვთ უფლება, თავიანთი აგრესიული ზრახვები გამოავლინონ და სხვებს აგებინონ პასუხი შედეგებზე. ლიბერალური თეორიის სხვა მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ჩაურეველობის კაპიტალიზმი თავის თავში მოიცავს რაციონალიზმის ტენდენციას და ვინაიდან ომი ირაციონალურია, ლიბერალური კაპიტალიზმი მშვიდობიანი იქნება. სხვები, მაგალითად მონტესკიე, მიიჩნევენ, რომ „ვაჭრობა არის ყველაზე დესტრუქციულ წინასწარგანწყობათა წამალი" და რომ „მშვიდობა ვაჭრობის ბუნებრივი შედეგია."[23] მართალია, ეს პროცესები გვეხმარება ლიბერალური მშვიდობის ახსნაში, მაგრამ მათი საშუალებით ვერ საბუთდება, თუ რატომ არიან ლიბერალური სახელმწიფოები მშვიდობიანნი მხოლოდ სხვა ლიბერალურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. მეცხრამეტე საუკუნეში საფრანგეთი და ინგლისი აწარმოებდნენ ექსპანსიონისტურ, კოლონიურ ომებს (1830-40-იან წლებში ალჟირისა და ჩინეთის წინააღმდეგ); მსგავსად ამისა, აშშ-მა გააჩაღა ომი მექსიკასთან 1848 წელს და განახოციელა ხელახალი ინტერვენცია 1914 წელს პრეზიდენტ ვუდრო უილსონის დროს. არალიბერალურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ლიბერალური სახელმწიფოები ისეთივე აგრესიულნი და ომისაკენ მიდრეკილნი არიან, როგორც მმართველობისა და საზოგადოების სხვა ფორმები.

საუკეთესო განმარტებას გვთავაზობს იმანუილ კანტი. 1795 წელს დაწერილი „მარადიული მშვიდობა" წინასწარმეტყველებს ლიბერალურ პაციფისტურ კავშირში მშვიდობის თანდათანობით განმტკიცებას, ხსნის მშვიდობის დამყარების პროცესს და, ამავდროულად, განმარტავს, თუ რატომ არ არიან ლიბერალური სახელმწიფოები მშვიდობიანნი არალიბერალურ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში. კანტი ამტკიცებს, რომ მარადიული მშვიდობა მიიღწევა მაშინ, როდესაც მოხდება მშვიდობის სამი „განმსაზღვრელი მუხლის" საყოველთაოდ აღიარება. მას შემდეგ, რაც ყველა ერი მოიწონებს განმსაზღვრელ მუხლებს მარადიული მშვიდობის იმ „ხელშეკრულებაში," რომლის ხელმოწერასაც კანტი მათ სთხოვს, მარადიული მშვიდობა დამყარდება.

პირველი განმსაზღვრელი მუხლის თანახმად, სახელმწიფოს სამოქალაქო კონსტიტუცია რესპუბლიკური უნდა იყოს. რესპუბლიკურში კანტი გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ საზოგადოებას, რომელსაც ზნეობრივი ავტონომიის, ინდივიდუალიზმისა და სოციალური ნესრიგის ურთიერთშეთავსების პრობლემა გადაწყვეტილი აქვს. კერძო საკუთრება და ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკა ნაწილობრივ აგვარებს ამ დილემას კერძო სფეროში. უფრო პრობლემატურია სახელმწიფო ანუ პოლიტიკური სფერო. კანტის აზრით, გამოსავალია რესპუბლიკა, რომელიც ინარჩუნებს იურიდიულ თავისუფლებას – მოქალაქეების, როგორც ქვეშევრდომების, ლეგალურ თანასწორობას – წარმომადგენლობითი ხელისუფლებისა და ძალაუფლების განაწილების საფუძველზე. იურიდიული თავისუფლება შენარჩუნებულია, რადგან ზნეობრივად დამოუკიდებელი პიროვნება, წარმომადგენლობის საშუალებით, თავადვე ხდება საკუთარი თავის კანონმდებელი, შემოქმედი იმ კანონისა, რომელიც ყველა მოქალაქეს თანაბრად ეხება, მისი ჩათვლით. ტირანია თავიდან არის აცილებული, რადგან პიროვნება იმ კანონებსაც ემორჩილება, რომლებსაც თვითონ არ ახორ-

[23] დემოკრატიისა და ომის შეუსაბამობას ენერგიულად ამტკიცებს პეინი თავის ნაშრომში: *The Rights of Man*. ლიბერალურ კაპიტალიზმს, დემოკრატიასა და მშვიდობას შორის კავშირი, სხვებთან ერთად, განხილული აქვთ იოზეფ შუმპეტერს ნაშრომში: *Imperialism and Social Classes* (New York: Meridian, 1955) და მონტესკიეს *კანონთა გონში* (I წიგნი 20, თავი 1). ეს ლიტერატურა გამოიკვლია და გაანალიზა ალბერტ პირშმანმა ნაშრომში: "Rival Interpretations of Market Society: Civilizing, Destructive, or Feeble?" *Journal of Economic Literature*, Vol. 20, (December 1982).

ციელებს.[24]

ლიბერალური რესპუბლიკები ურთიერთშორის მშვიდობას თანდათანობით დაამყარებენ „პაციფისტური კავშირის" მეშვეობით, რაც მარადიული მშვიდობის მეორე განმსაზღვრელ მუხლშია აღწერილი. პაციფისტური კავშირი შეზღუდულია „ერების მიერ ერთმანეთს შორის დადებული ხელშეკრულებით," რომელიც „ინარჩუნებს თავს, აკავებს ომს და განუხრელად ფართოვდება." მსოფლიო ვერ მიაღწევს მარადიულ მშვიდობას, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკურ თავისუფლებას „ძალიან დიდი ხნისა და მრავალი უშედეგო მცდელობის შემდეგ." ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი კონსტიტუციის მართებული კონცეფციები, დიდი და მწარე გამოცდილება და კეთილი ნება ყველა ერს ასწავლის მშვიდობის გაკეთილებს. პიროვნებებს მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ სრულყოფილი რესპუბლიკური უფლებები და გლობალური და სამართლიანი მშვიდობის სრულფასოვანი გარანტია. მაგრამ ამ ეტაპის დადგომამდე, ლიბერალური სახელმწიფოების „პაციფისტური კავშირი" *„განუხრელად ფართოვდება"* (ავტორის ხაზგასმა), სულ უფრო მეტ რესპუბლიკას აერთიანებს (რესპუბლიკათა დაშლის, სხვა ფორმაციებად გარდაქმნისა და ომის უბედურებათა მიუხედავად) და მუდმივად მზარდ, განსაკუთრებულ მშვიდობას აყალიბებს.[25] პაციფისტური კავშირი არც ერთი რომელიმე ომის დამამთავრებელი სამშვიდობო შეთანხმებაა და არც მსოფლიო სახელმწიფო ანუ ერების სახელმწიფო. პირველი არასაკმარისია, მეორე და მესამე კი – შეუძლებელი და პოტენციურად ტირანული. კანტი არ გვთავაზობს ამ ხელშეკრულების ორგანიზაციულ ხორცშესხმას და, შესაბამისად, არც მის ინსტიტუციონალიზაციას მიიჩნევს საჭიროდ. როგორც ჩანს, მას მხედველობაში აქვს საერთო არაագრესიული პაქტი, შესაძლოა კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმება და კოსმოპოლიტური კანონი, რომელიც მესამე განმსაზღვრელ მუხლშია აღწერილი.[26]

[24] კლასიკურ ნყაროებად, რომლებიც რეალისტური გადასახედიდან აანალიზებს კანტის საერთაშორისო თეორიას, გვევლინება: სტენლი ჰოფმანის "Rousseau on War and Peace" ნაშრომში: *The State of War* (New York: Praeger, 1965) და კენეთ უოლცის "Kant, Liberalism, and War." *American Political Science Review* Vol. 56, No. 2, (June 1962). მე ვისარგებლე მათი კვლევებით და აგრეთვე შემდეგი ავტორების შრომებით: Karl Friedrich, *Inevitable Peace* (Cambridge, MA: Harvard University Press, 1948); F. H. Hinsley, *Power and the Pursuit of Peace*, (Cambridge, Cambridge University Press, 1967), chap. 4; W. B. Gallie, *Philosophers of Peace and War* (Cambridge, Cambridge University Press, 1978), chap. 1; Patrick Riley, *Kant's Political Philosophy* (Totowa, N. J.: Rowman and Littlefield, 1983). მაგრამ ჩემი სტატიის ზოგიერთი დასკვნა მათი დასკვნებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.
კანტის რესპუბლიკური კონსტიტუცია აღწერილია მის ნაშრომში „მარადიული მშვიდობა," კრებულში: *The Philosophy of Kant*, 437-ე გვერდზე, და გაანალიზებულია რაილის ნიგნში: *Kant's Political Philosophy*, მე-5 თავში.

[25] Kant, "Universal History," *The Philosophy of Kant*, p. 123. პაციფისტური კავშირი „ფედერალიზაციის" პროცესის შედეგია, რომელიც „განხორციელდება ყველა სახელმწიფოზე თანდათანობითი გავრცელებით და სამუდამო მშვიდობას დაამკვიდრებს." ეს ინტერპრეტაცია ენინააღმდეგება 24-ე სქოლიოში გამოთქმულ შეხედულებას. მე ვფიქრობ, კანტი გულისხმობდა, რომ მშვიდობა დამყარდებოდა ლიბერალურ რეჟიმებს შორის და გავრცელდებოდა ახალი ლიბერალური რეჟიმების ჩამოყალიბებასთან ერთად. მშვიდობის თანდათანობით გაერცელების კვალდაკვალ ის გლობალურ და შესაბამისად მარადიულ ხასიათს მიიღებდა. ომის შემთხვევები არალიბერალებთან აღმოიფხვრებოდა, რადგანაც აღარ იარსებებდნენ არალიბერალური რეჟიმები.

[26] ამრიგად, კანტის „პაციფისტური კავშირი," *foedus pacificum*, არც *pactum pacis* (სამშვიდობო ხელშეკრულება) არის და არც – *civitas gentium* (მსოფლიო სახელმწიფო). მასში უნდა იგულისხმებოდეს ერთა ლიგის ან გაერო-ს მსგავსი ფორმალური თვალსაზრისით ნაკლებად ინსტიტუციონალიზებული სტრუქტურა. ზოგიერთს შეიძლება მიაჩნდეს, რომ ეს ინსტიტუტები პრაქტიკულად მხოლოდ ლიბერალური სახელმწიფოებისათვის მუშაობდა, მაგრამ სპეციფიკურად ლიბერალური პაციფისტური კავშირის ინსტიტუციონალიზაცია არ მომხდარა. ამის ნაცვლად, ნარსული 180 წლის მანძილზე ლიბერალური სახელმწიფოები იქცეოდნენ ისე, თითქოს ხელი ჰქონდათ მონერილი

მარადიული მშვიდობის მესამე განმსაზღვრელი მუხლი ადგენს კოსმოპოლიტურ კანონს, რომელმაც პაციფისტურ კანონთან შეთანხმებით უნდა იმოქმედოს. კოსმოპოლიტური კანონი „უნივერსალური სტუმართმოყვარეობის პირობებამდე დაიყვანება." ამით, კანტი მოუწოდებს, აღიარებულ იქნეს „უცხოელის უფლება, არ მოეპყრონ მტრულად, როდესაც იგი უცხო ქვეყანაში ჩადის," რაც, თავის მხრივ, „არ უნდა სცილდებოდეს მათ (უცხოელთა) მიერ ადგილობრივ მაცხოვრებლებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების მცდელობას." სტუმართმოყვარეობა არ მოითხოვს თითოეულისათვის მოქალაქეობის ან დასახლების უფლების მინიჭებას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საზოგადოებისაგან გარიცხვა უცხოელებს დაღუპვით ემუქრება. უცხო ქვეყნის დაპყრობა და ძარცვა ასევე არ არის გამართლებული ამ უფლების თანახმად. სტუმართმოყვარეობა, როგორც ჩანს, მოიცავს ხელმისაწვდომობასა და ვალდებულებას, მოქალაქეებს მიეცეთ საქონლისა და იდეების გაცვლის საშუალება, ვაჭრობის იძულების გარეშე (ნებაყოფლობითი აქტი ყველა ლიბერალური კონსტიტუციის მიხედვით).[27]

შემდგომ, კანტი ხსნის ლიბერალური მშვიდობისათვის თითოეული განმსაზღვრელი მუხლის მნიშვნელობას. ამ დროს იგი განმარტავს, თუ რატომ ინარჩუნებენ ლიბერალური სახელმწიფოები ურთიერთშორის მშვიდობას და რატომ გაფართოვდება პაციფისტური კავშირი. მისი ძირითადი მტკიცებულება მდგომარეობს იმაში, რომ ბუნებრიეი ევოლუცია წარმოქმნის „ჰარმონიას ადამიანთა დისჰარმონიიდან, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ."[28]

პირველი წყარო მომდინარეობს პოლიტიკური ევოლუციიდან, *საკონსტიტუციო სამართლიდან.* ბუნება (განგება) განაპირობებს იმას, რომ ადამიანებს შეუძლიათ ცხოვრება ყველა რეგიონში, სადაც ომების შედეგად მოხდა მათი იძულებითი დასახლება (კანტი, რომელიც ასწავლიდა გეოგრაფიას, გვანვდის ცნობებს ლაპლანდიელების, სამოიედების, პეშჩორელების შესახებ). „ასოციალური სოციალურობა" აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან უსაფრთხოებისა და მატერიალური კეთილდღეობის დასაკმაყოფილებლად და, ამასთანავე, იწვევს მათ შორის კონფლიქტს საზოგადოებრივი პროდუქტების კონტროლისა და განაწილებისათვის. ამ ძალადობრივ ბუნებრივ ევოლუციას მოსდევს ლიბერალური მშვიდობის დამყარება, რადგან ასოციალური სოციალურობა გარდაუვალად განაპირობებს რესპუბლიკური მთავრობების ჩამოყალიბებას, რესპუბლიკური ხელისუფლება კი, თავის მხრივ, ლიბერალური მშვიდობის წყაროა.

რესპუბლიკური წარმომადგენლობა და ძალაუფლების განაწილება იმიტომ ყალიბდება, რომ მათი მეშვეობით სახელმწიფო „კარგად არის ორგანიზებული," რათა მოემზადოს და შეეგებოს საგარეო საფრთხეს (ერთიანობით) და მოთოკოს ეგოისტ და აგრესიულ პიროვნებათა ამბიციები (იმ ძალაუფლებით, ზოგადი კანონებითა და არადესპოტური ხელმძღვანელობით, რომელსაც მას წარმომადგენლობა ანიჭებს). ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ამგვარად მოწყობილნი, ვერ იარსებებენ. ამდენად, მონარქები თავიანთ ქვეშევრდომებს უთმობენ წარმომადგენლობის უფლე-

---

კანტის პაციფისტური კავშირისა და მარადიული მშვიდობის ხელშეკრულებებზე. ეს ეთანხმება რაილის შეხედულებას *foedus pacificum*-ის ლეგალური და არაორგანიზაციული ხასიათის შესახებ.

[27] Kant, "Perpetual Peace" pp. 444-47.

[28] კანტის „უნივერსალური ისტორიის იდეის" მეოთხე პრინციპი, *The Philosophy of Kant*, p. 120. საინტერესოა, რომ კანტისეული მშვიდობის სამი წყარო (რესპუბლიკანიზმი, პატივისცემა და ვაჭრობა) თითქმის თანხვედება არისტოტელეს მეგობრობის სამ წყაროს (სიკეთე, სიამოვნება ან დაფასება, და სარგებლიანობა). იხილეთ: *Nicomachean Ethics*, bk. 8, chap. 3. trans. J. A. K. Thomson (Baltimore, Md: Penguin, 1955).

ბას მეტი პოლიტიკური მხარდაჭერისა და გადასახადებიდან მოგების მოპოვების მიზნით. ეს არგუმენტი მართებულად, ლოგიკურად აკავშირებს, ერთი მხრივ, საგარეო და საშინაო კონფლიქტს და, მეორე მხრივ, რესპუბლიკანიზმს; ის ასევე ნარმოაჩენს საინტერესო ურთიერთდამოკიდებულებას საერთაშორისო ომების ალბათობის შემცირებასა და რესპუბლიკათა რაოდენობის ზრდას შორის.

მიუხედავად ამისა, ომისათვის მუდმივმა მზადებამ, შესაძლოა, იმ დონემდე გააძლიეროს სამხედრო ინსტიტუტების როლი, რომ ისინი საზოგადოების მმართველებად აქციოს. სამოქალაქო ომი სამხედრო გადატრიალებაში შეიძლება გადაიზარდოს. ამის საპირისპიროდ, უსაფრთხოების გარემოს ძალუძს პოლიტიკური კლიმატის უზრუნველყოფა კონსტიტუციური შეზღუდვებით სახელმწიფოს დასასუსტებლად.[29] არსებითია, რომ ომისაკენ ყველაზე მიდრეკილი სახელმწიფოები არ ყოფილან ლიბერალური რესპუბლიკები.[30] ეს არგუმენტი, თავისი სისუსტის გამო, შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ზოგად ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც ეგოისტი ინდივიდების მობილიზაცია და ჩართვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში, არაუსაფრთხო მსოფლიოს პირობებში, რესპუბლიკურ მმართველობაზე ზენოლის წარმოშობას განაპირობებს. კანტისათვის ეს საკმარისია იმის შემოსათავაზებლად, რომ რესპუბლიკანიზმისა და ლიბერალური მშვიდობის არსებობა დასაშვებია (და, შესაბამისად, ზნეობრივი ვალდებულებაცაა). თუ ის შესაძლებელია, მაშინ ისტორიის მსვლელობის რომელიმე პერიოდში ის გარდაუვალი გახდება. მაგრამ მისი მიღწევის თარიღის განსაზღვრა – სტაბილური ტენდენციის გამოთვლა – მისი თქმით, ძალიან ბევრის მოთხოვნაა. იგი აანალიზებს განმეორებად და დესტრუქციულ ომებს, რომლებიც ერებისათვის მშვიდობის მნიშვნელობის გასაცნობიერებელი მაგალითებია.[31]

კანტი გვიჩვენებს, თუ როგორ მივყავართ ერთხელ ჩამოყალიბებულ რესპუბლიკებს მშვიდობიანი ურთიერთობებისაკენ. იგი ამტკიცებს: როდესაც მოხდება აბსოლუტურ მონარქიათა აგრესიული ინტერესების მოთვინიერება და რესპუბლიკური ხელისუფლება პიროვნების უფლებების პატივისცემას დაიწყებს, ომები განიხილება, როგორც ხალხთა კეთილდღეობისათვის უბედურების მომტანი ფენომენი, ისევე, როგორც ამას ფიქრობდნენ კანტი და სხვა ლიბერალები. ამის ძირითადი მიზეზი შემდეგია:

თუ ომის გამოცხადებაზე მოქალაქეთა თანხმობაა საჭირო (ისევე, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ კონსტიტუციაში), არაფერია იმაზე ბუნებრივი, ვიდრე ის, რომ მოქალაქეები ძალიან ფრთხილად მოეკიდებიან ასეთი სუსტი თამაშის წამოწყებას და საკუთარი თავისათვის ომის ყველა საშინელების დაკანონებას. ამ უკანასკნელში იგულისხმება: ბრძოლის აუცილებლობა, საკუთარი რესურსებიდან ომის ხარჯების ანაზღაურება, ომის თანამდევი უბედურებების გადატანა, ბოროტების საწყაულის ამოვსება, მძიმე ეროვნული ვალის დადება, რომელიც თავად მშვიდობასაც მნარე ელფერს შესძენდა და რომლის ლიკვიდაციაც მუდმივი ომის პირობებშიც კი შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ისეთ კონსტიტუციაში, რომელიც არ არის რესპუბლიკური და რომლის მიხედვითაც მოქალაქეები არ არიან ქვეშევრდომები, ომის გამოცხადება ყველაზე იოლი გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ის არ ითხოვს მმართველისაგან, რომელიც სახელმწიფოს მფლობელია და არა მისი ნევრი, მისი სუფრიდან, ნადავლიდან, აგარაკებიდან და სასახლიდან უმცირესი

[29] „პრუსიული მოდელი" გულისხმობს კავშირს საფრთხეს, ომსა და ავტორიტარიანიზმს შორის. უსაფრთხოებასა და ლიბერალიზმს შორის კავშირის დასამტკიცებლად იხილეთ: *Anglo-American Tradition in Foreign Affairs*, ed. Arnold Wolfers and Laurence Martin (New Haven: Yale University Press, 1956), კერძოდ ამ წიგნის შესავალი.

[30] Small and Singer, *Resort to Arms*, pp.176-179.

[31] Kant, "The Idea for a Universal History," p. 124.

მსხვერპლის გაღებასაც კი. ამიტომაც, მას ძალუძს წვეულების მსგავსად გამოაცხადოს ომი, ყველაზე უმნიშვნელო მიზეზების გამო, და სრული ინდიფერენტულობით დააკისროს დიპლომატიურ კორპუსს, რომელიც საამისოდ ყოველთვის მზად არის, შთ ამომავლობისათვის აუცილებელი გამართლების მოძებნა.[32]

კანტის ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს ლიბერალური კონსტიტუციებისათვის დამახასიათებელი მშვიდობის დამყარების კიდევ ერთი საშუალება. ლიბერალურ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში ხელისუფლების მუდმივი მონაცვლეობა არათვალსაჩინო მექანიზმია, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ მთავრობის მეთაურთა პიროვნული მტრობა ხანგრძლივი, მზარდი დაძაბულობის წყაროდ არ გადაიქცევა.

ეს შინარესპუბლიკური შეზღუდვები ომებს ვერ სპობს. ასე რომ ყოფილიყო, ლიბერალური სახელმწიფოები არ იქნებოდნენ ომისაკენ მიდრეკილნი, რაც შორსაა ჭეშმარიტებისაგან. ისინი, მონარქიული კაპრიზების ნაცვლად, კანტისეულ „სიფრთხილეს" ამკვიდრებენ. ლიბერალური ომები მხოლოდ პოპულარული, ლიბერალური მიზნებისათვის ინარმოება. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ახდენს ეს გარემოება ლიბერალურ სახელმწიფოებს შორის ომის თავიდან აცილებას, მაგრამ, ამავდროულად, ხელს არ უწყობს ომების შეჩერებას ლიბერალურ და არალიბერალურ სახელმწიფოებს შორის, საჭიროა ყურადღება გადავიტანოთ საკონსტიტუციო სამართლიდან საერთაშორისო სამართალზე – კანტის მეორე წყაროზე.

როგორც სიფრთხილის კონსტიტუციური გარანტიის დანამატი, *საერთაშორისო სამართალი* მეორე წყაროს – პატივისცემის გარანტიას ამატებს. ერთა განცალკევება, რასაც ასოციალური სოციალურობა აძლევს ბიძგს, ცალკეული ენებისა და რელიგიების წარმოქმნით არის გამყარებული. თავის მხრივ, ყალიბდება სხვადასხვა სახელმწიფოსაგან შემდგარი მსოფლიო, რაც „გლობალური, უსულო დესპოტიზმის" თავიდან აცილების უმთავრესი პირობაა. თუმცა, ამავდროულად, მათი მეშვეობით ხდება ლიბერალური სახელმწიფოების ზნეობრივი ინტეგრირება, „როდესაც ვითარდება კულტურა და ადამიანები თანდათან თანხმდებიან მშვიდობისა და ურთიერთგაგების პრინციპების თაობაზე."[33] როდესაც ხდება რესპუბლიკების (პირველი წყაროს) აღმოცენება და კულტურის პროგრესი, მოქალაქეთა და რესპუბლიკათა ლეგიტიმური უფლებების გაგება აქტუალურობას იძენს. ის ფაქტი, რომ პოლიტიკას სიფრთხილე ახასიათებს, ლიბერალური მშვიდობისათვის ზნეობრივ საფუძველს ქმნის. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი ხაზს უსვამს კანტისეული საჯაროობის მნიშვნელობას. შინასახელმწიფოებრივ დონეზე საჯაროობა გარანტიას იძლევა,

---

[32] Immanuel Kant, "Perpetual Peace," in *The Enlightenment*, ed. Peter Gay (New York: Simon & Schuster, 1974), pp. 790-92.

გეილი, ნაშრომში *Philosophers of Peace and War*, აკრიტიკებს კანტს ომის გამომწვევი ეკონომიკური, რელიგიური და ნაციონალისტური ფაქტორების უგულებელყოფისა და იმ მიზეზის უგულებელყოფის გამო, რომ „რეჟიმები" ომობენ თავიანთი სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური მხარდაჭერის გასაძლიერებლად. მაგრამ კანტი მიიჩნევს, რომ ეს გამომწვევი ფაქტორები ლიბერალურ საზოგადოებაში სამართალს უნდა დაექვემდებაროს (იგი განსაკუთრებით აკრიტიკებს სიხარბით გამონვეულ კოლონიურ ომებს) და აგრეთვე ამტკიცებს, რომ რესპუბლიკათა ლეგიტიმურობას წარმოშობს მათი შესაბამისობა კანონთან და წარმომადგენლობასთან, რის გამოც ისინი თავისუფლდებიან შინაპოლიტიკური მხარდაჭერის კრიზისებისაგან. მაშასადამე, კანტი აღიარებს გეილისეულ ომის მიზეზთა ორივე ნაკრებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ისინი არ მოესადაგება პაციფისტურ კავშირს.

[33] Kant, *The Philosophy of Kant*, p. 454. ეს ფაქტორები აგრეთვე აისახა კარლ დოიჩის „ღირებულებათა ურთიერთმეთავსებისა" და „ქცევის წინასწარ განსაზღვრის" არგუმენტებზე (იხილეთ მე- 20 სქოლიო).

რომ რესპუბლიკათა მმართველები იხელმძღვანელებენ იმ პრინციპებით, რომელთა სრული დაცვის შესახებაც თავად აცხადებენ და იმ ამომრჩეველთა ინტერესების განსაპირობებლად, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. საერთაშორისო დონეზე, სიტყვის თავისუფლება და უცხოელთა პოლიტიკური ცხოვრების ზუსტი კონცეფციების ნათლად გაშუქება არსებითია ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისათვის, რაზეც დამოკიდებულია პატივისცემის გარანტია. მოკლედ, შინაგანად სამართლიანი რესპუბლიკები, რომლებიც თანხმობას ეფუძნებიან, სხვა რესპუბლიკებისგანაც იმავეს მოელიან და, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევენ მათთან შეთანხმებას. თანამშრომლობის გამოცდილება შესაძლებელს ხდის შემდგომი თანამშრომლობითი ქცევის ნახალისებას, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკის შედეგები ცხადი არ არის, მაგრამ (პოტენციურად) ყველასათვის სარგებლის მომტანია.[34]

და ბოლოს, *კოსმოპოლიტური სამართალი* ზნეობრივ ვალდებულებებს მატერიალურ სტიმულებს უმატებს. სტუმართმოყვარეობის კოსმოპოლიტური უფლება საშუალებას აძლევს „ვაჭრობის სულისკვეთებას," ადრე თუ გვიან, ყოველი ერი მოიცვას. ამრიგად, ის ავალდებულებს სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ მშვიდობას და ომისათვის თავის არიდება სცადონ.

ლიბერალური ეკონომიკური თეორია მიიჩნევს, რომ კოსმოპოლიტური კავშირები გამომდინარეობს შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან და თავისუფალი ვაჭრობიდან, შედარებითი უპირატესობების გათვალისწინებით. მიჩნეულია, რომ ნებისმიერი ეკონომიკა უკეთესად ვითარდება, ვიდრე ავტარკიის პირობებში. ამრიგად, თითოეული ხდება დაინტერესებული, თავიდან აიცილოს ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მეორეს ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამდე მიიყვანს. ვინაიდან ბაზრების გახსნილობა ეფუძნება ვარაუდს, რომ შემდგომი ეკონომიკური ურთიერთქმედება ასევე განისაზღვრება ფასით და არა იძულებით, საერთო უსაფრთხოების შეგრძნება არსებითია უსაფრთხოებით მოტივირებული ეკონომიკური ავტარკიისაკენ სწრაფვის თავიდან აცილებისათვის. ამიტომ, ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას შედეგად მოაქვს სხვა ლიბერალური სახელმწიფოს უსაფრთხოებისადმი მუქარის თავიდან აცილება ან, სულაც, ერთმანეთის უსაფრთხოების გაძლიერება ალიანსის შექმნით.

ლიბერალური მშვიდობის კიდევ ერთ კოსმოპოლიტურ წყაროს წარმოადგენს

---

[34] ამ ეფექტის სინამდვილისაგან საკმაოდ დაშორებული ვერსიაა რეალისტების თამაში „პატიმრის დილემა." აქ ორმხრივი ნდობის ნარუმტებლობასა და საკუთარი პოზიციის გაძლიერების მისწრაფებას შედეგად მოაქვს არათანამშრომლობითი გადაწყვეტილება, რომელიც ორივე მხარისათვის საზიანოა. ამის საპირისპიროდ, თანამშრომლობა, მეორე მხარის გამოყენების თავიდან აცილების სურვილი, საერთო მოგებას განაპირობებს. ამ კონტექსტში თამაშის-მნიშვნელობა მის მონაწილეთა ხასიათთან არის დაკავშირებული. „პატიმრები" წარმოდგენილნი არიან, როგორც დამნაშავეები, რომლებიც ერთმანეთს დასცილდნენ დანაშაულში თანამონაწილეობის შემდეგ და რომელთაც საერთო ნდობის ფაქტორი აკლიათ (ურთიერთდაპირისპირებული ერი-სახელმწიფოები ანარქიულ მსოფლიოში). იგივე თამაში მამრ ან მდედრ ტყუპებს – კანტისეულ რესპუბლიკებს – შორის განსხვავებულ შედეგებს გამოინვევდა. იხილეთ რობერტ ჯერვისის "Hypothesis on Misperception," *World Politics* Vol 20. No. 3, (April 1968), ვარაუდთა როლის საილუსტრაციოდ და "Cooperation Under the Security Dilemma" იმ ფაქტორებისათვის, რომლებსაც რეალისტები ანარქიის მიერ გამონვეული უსაფრთხოების დილემის შემამსუბუქებლად მიიჩნევენ.
ამას გარდა, მოლოდინები (თეორიისა და ისტორიის ჩათვლით) ზეგავლენას ახდენს ქცევაზე და ლიბერალურ სახელმწიფოებს ერთმანეთთან მიმართებაში სამშვიდობო პოლიტიკის მოლოდინისა და მისი განხორციელებისაკენ უბიძგებს. ეს შედეგები თეორიულ დონეზე გამკვლეულია ნაშრომში: R. Dacey, "Some Implications of "Theory Absorption" for Economic Theory and the Economics of Information," *Philosophical Dimensions of Economics*, ed. J. Pitt (Dordrecht, Holland: D. Reidel, 1980).

ის გარემოება, რომ საერთაშორისო ბაზარი წარმოებისა და განაწილების რთულ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო პოლიტიკის სფეროსაგან მიჯნავს. ამდენად, უცხო სახელმწიფო პირდაპირ არ აგებს პასუხს ამ შედეგებზე. სახელმწიფოებს შეუძლიათ განზე გადგნენ ბაზრის მუდმივი დაპირისპირებებისაგან ან ზოგჯერ ამაღლდნენ მათზე და მზად იყვნენ ჩარევისათვის, კრიზისის გადაწყვეტის მიზნით. უფრო მეტიც, ვაჭრობის ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთობები სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირებს შორის ხელს უწყობს უმოკლეს მანძილზეც კი ტრანსნაციონალური კავშირების შექმნას, რომლებიც, თავის მხრივ, საერთო შეთანხმების მიღწევის ლობირებაში გვეხმარება. თანამედროვე ლიბერალი მეცნიერების რწმენით, საერთაშორისო ფინანსისტები და ტრანსნაციონალური, ბიუროკრატიული და ადგილობრივი ორგანიზაციები შეთანხმებისათვის სასარგებლო ინტერესებს აყალიბებენ და თავიანთი მრავალფეროვნებით იმის გარანტიას იძლევიან, რომ არც ერთი ცალკეული კონფლიქტი ზეგავლენას არ მოახდენს მთლიან ურთიერთობაზე.[35]

აღნიშნული კონსტიტუციური, საერთაშორისო და კოსმოპოლიტური წყაროებიდან ცალკე აღებული არც ერთი არ არის საკმარისი, მაგრამ ერთად (და მხოლოდ ერთად) ისინი ლიბერალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წყობათა თავისებურებებს მტკიცე ლიბერალური მშვიდობის მეშვეობით აკავშირებს. ლიბერალურმა სახელმწიფოებმა თავი ვერ დააღწიეს რეალისტების „უსაფრთხოების დილემას," საშიშ მდგომარეობას, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში არსებული ანარქია განაპირობებს. მაგრამ საერთაშორისო ანარქიის შედეგები დაძლეულ იქნა ერთნაირი ლიბერალური ხასიათის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში. საერთო სტრატეგიული ინტერესების მქონე ალიანსები ლიბერალურ და არალიბერალურ სახელმწიფოებს შორის დაიშალა. ეკონომიკური კავშირები ლიბერალურ და არალიბერალურ სახელმწიფოებს შორის არამდგრადი აღმოჩნდა, მაგრამ ლიბერალური უფლებებისა და ინტერესების პოლიტიკურმა ერთობლიობამ განსაკუთრებული სიმტკიცე დაადასტურა საერთო არააგრესიული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ლიბერალურ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებული მშვიდობა არსებობს.

V

საერთაშორისო გარემოებათა ცვალებადობის პირობებში, ლიბერალურმა ინტერნაციონალიზმმა ვერ მოახერხა საკუთარი ძირეული წანამძღვრების შენარჩუნება, განსაკუთრებით კი სახელმწიფოთა ლიბერალური მახასიათებლების მხარდაჭერა. რამდენჯერმე, როგორც, მაგალითად, 1920-იან წლებში გერმანიასთან მიმართებაში, მან ვერ უზრუნველყო საერთაშორისო ეკონომიკური დახმარება იმ ლიბერალური რეჟიმებისთვის, რომელთა საბაზრო სტრუქტურებიც კრიზისში აღმოჩნდა. 1930-იან წლებში მან ვერ შეძლო სამხედრო დახმარებისა და პოლიტიკური შუამავლობის გაწევა ესპანეთისათვის, რომელსაც შეიარაღებული უმცირესობა დაემუქრა. ლიბერალურმა ინტერნაციონალიზმმა მსგავსი წარუმატებლობა განიცადა ჩეხოსლოვაკიაშიც, რომელიც იდგა დილემის წინაშე, დაეცვა ეროვნული უსაფრთხოება ან შეესრულებინა სუდეტის ოლქის უმცირესობის (ჰიტლერული გერმანიის მიერ გაღვივებული) მოთხოვნები თვითგამორკვევის თაობაზე. შორსმიმავალი და კონსტიტუციური ზომები ლიბერალური ინტერნაციონალური წესრიგის მიერ ხორციელდ-

[35] Karl Polanyi, *The Great Transformation* (Boston: Beacon Press, 1944), chaps. 1-2; Samuel Huntington and Z. Brzezinsky, *Political Power: USA/USSR* (New York: Viking Press, 1963, 1964), chap. 9. აგრეთვე იხილეთ: Richard Neustadt, *Alliance Politics* (New York: Columbia University Press, 1970) ლიბერალური საერთაშორისო პოლიტიკის უფრო დეტალური ანალიზისათვის.

ებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი ლიბერალური სახელმწიფო სხვებზე უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, მზად იყო და შესწევდა ძალა, ქმედითი ღონისძიებები გაეტარებინა, როგორც მოიქცა აშშ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, რათა ეკონომიკურად და პოლიტიკურად შეენარჩუნებინა ლიბერალური საზოგადოების მიღწევები საკუთარ საზღვრებს გარეთ. მაშინ ისეთმა ნაბიჯებმა, როგორიც იყო ბრიტანეთის სესხი, მარშალის გეგმა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ზოგადი შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გერმანიისა და იაპონიის ლიბერალიზაცია, საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო ლიბერალური წესრიგის შექმნას.[36]

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონური ლიდერობის დაღმავლობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ლიბერალურ მსოფლიოს. ამ საფრთხეში იგულისხმება არა ის, რომ ლიბერალური სახელმწიფოები თავიანთ ეკონომიკურ შეჯიბრს ომში გადაზრდიან, არამედ ის, რომ ლიბერალური სამყაროს საზოგადოებებს აღარ ექნებათ საშუალება, მოიპოვონ საერთო მხარდაჭერა, რომელიც მათ ლიბერალური საშინაო წესრიგის შესანარჩუნებლად შეიძლება დასჭირდეთ მზარდი ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

ეს საფრთხეები ორი – სამხედრო და ეკონომიკური – მიმართულებიდან მომდინარეობს. განსაკუთრებით სახიფათოა მათი კომბინაცია. პირველი არის თავდაცვის მუდმივი ასიმეტრია, რაშიც იგულისხმება, რომ აშშ-ზე საერთო ტვირთის უმეტესი წილი მოდის (მის მთლიან ეროვნულ პროდუქტთან შეფარდებით). დამოუკიდებელი და უფრო მტკიცე ევროპული და იაპონური თავდაცვითი სტრუქტურები საფრთხეს უქმნის ლიბერალურ თანამშრომლობას. აშშ-ზე სამხედრო დამოკიდებულება დამატებითი ფაქტორი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო ლიბერალური მშვიდობის ლიბერალურ ალიანსად გარდაქმნას. მისი გაუჩინარება, ლიბერალური ინდუსტრიული დემოკრატიების მიერ მრავალმხრივად მართული და დაფინანსებული ორგანიზაციის შექმნის გარეშე, მნიშვნელოვანი კავშირის დასუსტების საფრთხეს განაპირობებს. მრავალმხრივი უსაფრთხოების შემაკავშირებელი რგოლის არარსებობა კიდევ უფრო საშიში შეიძლება გახადოს ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, უთანხმოებათა მტრობაში გადაზრდის შედეგად. საშინაო ეკონომიკის კოლაფსები, ეკონომიკური დეპრესიის გლობალურად გავრცელების ფონზე 1930-იან წლებში, კიდევ რომ განმეორებულიყო, ლიბერალიზმის პოლიტიკური მიღწევები საშინაო ასპარეზზე, ალბათ, გაქარწყლდებოდა. ხოლო თუ გაძლიერდებოდა საერთაშორისო ეკონომიკური მეტოქეობა, მაშინ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების შესუსტების მცდელობები (დახურული სავაჭრო და სავალუტო ბლოკების ჩამოყალიბება) ლიბერალური შეთანხმების მნიშვნელოვან წყაროს მოუღებდა ბოლოს.[37] ეს საშიშროება უფრო ცხადი გახდებოდა დამოუკიდებელი და მტკიცე სამხედრო ძალების ფორმირების შემთხვევაში. თუ ლიბერალური თეორიები თანამშრომლობისა და შეთანხმების საჭიროების შესახებ გაქრება, ქვეყნებს შორის სწრაფად შეიძლება გავრცელდეს მტრობა, რაც პაციფისტურ კავშირს გაანადგურებს.

მიუხედავად ამისა, ლიბერალებმა თავი დააღწიეს საერთაშორისო ცვლილების ერთ-ერთ უდიდეს ტრადიციულ საფრთხეს – ჰეგემონურ ლიდერებს შორის ტრანზიციის პროცესს. როდესაც ერთი დიდი ძალა იწყებს თავისი გაელენის დაკარგვას

[36] Charles Kindleberger, *The World in Depression* (Berkeley: University of California Press, 1973); Robert Gilpin, *US Power and the Multinational Corporation* (New York: Basic Books, 1975) და Fred Hirsch and Michael Doyle, "Politicization in the World Economy" in Hirsch, Doyle and Edward Morse, *Alternatives to Monetary Disorder*, (New York: Council on Foreign Relations / McGraw-Hill, 1977).

[37] Robert Gilpin, "Three Models of the Future," *International Organization* Vol. 29, No. 1, (Winter 1975).

და ზომიერ წონასწორობაში გადადის, საერთაშორისო კონკურენციის ომის გზით მოგვარების განსაკუთრებული ალბათობა წარმოიშობა. ახალი ძალა ძველ პრესტიჟს უპირისპირდება, ჭარბი ვალდებულებები ახალ მოთხოვნათა წინაშე დგება; მაგალითად, სპარტა თავს იძულებულად თვლიდა, შეეტია ათენისათვის, საფრანგეთი ებრძოდა ესპანეთს, ინგლისი და ჰოლანდია ეომებოდნენ საფრანგეთსაც და ერთმანეთსაც, ხოლო გერმანია და ინგლისი პირველ მსოფლიო ომში ევროპაზე ბატონობისათვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აქ ლიბერალები შეიძლება კიდევ ერთხელ მივიჩნიოთ გამონაკლისად. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბრიტანეთის უდიდეს მეტოქეს წარმოადგენდა საზღვაო ჰეგემონიის ყველა ცენტრალურ ასპექტში, ბრიტანეთმა და აშშ-მა მოახერხეს თავიანთი უთანხმოებების მოგვარება.[38] გარმანიის დამარცხების შემდეგ ბრიტანეთმა საბოლოოდ, თუმცა სინანულით, აღიარა აშშ-ის მიერ მისთვის ლიბერალური სამყაროს სავაჭრო და საზღვაო ჰეგემონიის ჩამორთმევის ფაქტი. აქედან გამომდინარე, მშვიდობიანი ტრანზიციის პირობა შეიძლება იყოს ერთ-ერთი დამხმარე ფაქტორი, რომელიც გააწონასწორებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეტოქეობას ევროპას, იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

შედეგად, უთანხმოებები ლიბერალ მოკავშირეებთან, რომლებიც ახასიათებდა კარტერისა და რეიგანის ადმინისტრაციებს, არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ ორი პრეზიდენტისა და მათი სახელმწიფო მდივნების პიროვნულ სისუსტეებს. ისინი არც უბრალოდ ადმინისტრაციული კოორდინაციის უუნარობით ან ამერიკის მოკავშირეთა თავისებურებებით შეიძლება აიხსნას. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა დამოუკიდებელი რესპუბლიკების ლიბერალური ალიანსის ფუნქციონირებაში. არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი პაციფისტურ კავშირს დაშლიან, მაგრამ არსებობს ყველა ნიშანი იმისა, რომ ამერიკის უპირატესობის დაქვეითების შემდეგ ლიბერალური სახელმწიფოები ბევრს ვერაფერს გააკეთებენ კავშირის აღსადგენად, თუკი დაიშლება მათი გამაერთიანებელი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და დაირღვევა კავშირის უმთავრესი წევრების შიდა, ლიბერალური საფუძვლები. მაგრამ თუ ურთიერთდამოკიდებულების რესპუბლიკური წანამძღვრები და სავაჭრო ნყაროები მდგრადობას შეინარჩუნებს, მაშინ მივიღებთ ხანგრძლივ მშვიდობას ლიბერალურ რეჟიმებს შორის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლიბერალური სამყაროს ლიდერი შეიცვლება.

როდესაც „კილიმანჯაროს თოვლიან მთაში" ჯულიანი (ფ. სკოტ ფიცჯერალდი) ეუბნება თავის მეგობარს (ჰემინგუეის): „ძალიან მდიდრები ჩემგან და შენგან განსხვავდებიან," ეს უკანასკნელი პასუხობს: „დიახ, მათ უფრო მეტი ფული აქვთ." მაგრამ ლიბერალები ძირეულად განსხვავებულნი არიან. საქმე მხოლოდ ის არ არის,

---

[38] ჯორჯ ლისკა ამგვარ მშვიდობიან, ჰეგემონურ ტრანზიციას გამონაკლისად მიიჩნევს ნაშრომში: *Quest for Equilibrium: America and the Balance of Power on Land and Sea* (Baltimore, Md: The Johns Hopkins University Press, 1977) Vol. 4, p. 75. უილსონი თავის გამოსვლებში, მათ შორის „ომის შეტყობინებაში" ამ ტრანზიციის ახსნისას ყურადღებას ამახვილებს იდეოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობაზე: „ნეიტრალიტეტი არ არის შესაძლებელი და არც სასურველი მაშინ, როდესაც საუბარია მსოფლიო მშვიდობასა და ხალხთა თავისუფლებაზე, ხოლო ამ მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მუქარას წარმოადგენს ავტოკრატიული მთავრობების *არსებობა*, რომლებსაც ზურგს უმაგრებს მთლიანად მათ მიერ, და არა მათი ხალხის ნებით მართული, ორგანიზებული ძალა." ეს ციტატა მოყვანილია ნიგნიდან: *The Messages and Papers of Woodrow Wilson*, p. 378. როს გრეგორი, ნაშრომში *The Origins of American Intervention in the First World War* (New York: Norton, 1971), გვთავაზობს ამის მსგავს ინტერპრეტაციას და იმ პოლიტიკის შესაფასებლად, რომელმაც აშშ გერმანიასთან შეჯახებამდე მიიყვანა, ახდენს სავაჭრო, საფინანსო, სტრატეგიული და იდეოლოგიური ფაქტორების კომბინირებას.

რომ მათ გააჩნიათ მეტი ან ნაკლები რესურსი, უკეთესი ან უარესი ზნეობა, როგორც ამას რეალისტები ამტკიცებენ. ისინი სხვებისაგან თავიანთი კონსტიტუციური სტრუქტურით გამოირჩევიან. მათ ერთმანეთთან მშვიდობის დამყარება შეძლეს. მაგრამ როგორც ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ნიშნები განსხვავებულია იმ საომარი მდგომარეობისაგან, რომელშიც სხვა სახელმწიფოები იმყოფებიან, ასევე დაშორებულია მათი ურთიერთობა არალიბერალებთან იმ კეთილგონიერული, სტრატეგიული გათვლებისაგან, რომლებითაც რეალისტები არაუსაფრთხო მსოფლიოში სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავენ. ეს სისუსტეები მოცემული სტატიის მეორე ნაწილის თემას წარმოადგენს.

VI

რამდენადაც ლიბერალიზმმა დიდ წარმატებას მიაღწია სამშვიდობო ზონის შექმნაში და, ლიდერობის წყალობით, ჩამოაყალიბა მსგავსი ლიბერალური ხასიათის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის არეალი, იმდენად წარუმატებელი აღმოჩნდა ლიბერალიზმის საგარეო პოლიტიკა ლიბერალური სამყაროს საზღვრებს მიღმა. ამ საგარეო ურთიერთობებში ლიბერალიზმს სამ დამაბნეველ წარუმატებლობამდე მივყავართ: პირველი ორი არის ის, რასაც დევიდ ჰიუმმა უწოდა „არაკეთილგონივრული მგზნებარება" და „წინდაუხედავი და ზანტი თვითკმაყოფილება."[39] მესამე კი არის პოლიტიკური დაურწმუნებლობა, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების საერთაშორისო დანაწილების განმსაზღვრელი ლიბერალური პრინციპების ზნეობრივ ორაზროვნობასთან.

„არაკეთილგონივრული მგზნებარება" ყველაზე გავრცელებული წარუმატებლობაა. არალიბერალური ხასიათის ძლიერ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ლიბერალურ პოლიტიკას ხშირად თან ახლდა დიპლომატიური წარუმატებლობები. მან არაერთგზის გადაზარდა ინტერესთა კონფლიქტები „ჯვაროსნულ ომებში;" მან ვერ მოახერხა არალიბერალურ სახელმწიფოთა ალიანსებში მიმდინარე დაპირისპირებების თავის სასარგებლოდ გამოყენება; მან მარცხი განიცადა ინტერესთა საერთო სტაბილური შეთანხმების მიღწევაში. არალიბერალური ხასიათის სუსტ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში კი ლიბერალურმა პოლიტიკამ იმპერიული ინტერვენციის

[39] David Hume, "Of the Balance of Power," *Essays: Moral, Political and Literacy: 1741-72* (Oxford University Press, 1963), pp. 346-47. „არაკეთილგონიერულ მგზნებარებაში" ჰიუმი გულისხმობდა ინგლისის მიერ საფრანგეთთან ადრეული სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვაზე უარის თქმას და იმ ომის წარმართვის აქტიურ ძალისხმევას, რომელმაც, საბოლოო ჯამში, შედეგად მოიტანა ბრძოლის გახანგრძლივება და უზარმაზარი ვალი. „თვითკმაყოფილებაში" ჰიუმი მოიაზრებდა პოლიტიკური ძალების ამონურვასა და იზოლაციონიზმს. ჰიუმი, რა თქმა უნდა, არ აღნერდა ისეთ სრულყოფილად ლიბერალურ რესპუბლიკებს, რომლებიც ამ ნაშრომშია განხილული; მაგრამ მის მიერ განმარტებული მახასიათებლები მეთერამეტე საუკუნის ინგლისის კონსტიტუციის ლიბერალურ-რესპუბლიკურ თავისებურებებს ასახავს (როგორც საზოგადოებრივი აზრის, ისე წარმომადგენლობითი [თუნდაც მკაცრად ლიმიტირებული] საკანონმდებლო ორგანოს ზეგავლენას). იგი ამ შედეგებს უპირისპირებს „კეთილგონივრულ პოლიტიკას," რომელმაც უნდა დაარეგულიროს ძალთა ბალანსი, და „დიდი მონარქიების" განსაკუთრებულ, მაგრამ განსხვავებულ შეცდომებს, რომლებიც მიდრეკილნი არიან სტრატეგიული გაფართოებისაკენ, სასახლის ინტრიგების შედეგად ბიუროკრატიული და საეკლესიო კრიზისისა და სამხედრო გადატრიალებებისაკენ (გვ. 347-48). ეს წარუმატებლობები განსხვავდება უფრო ძლიერი რესპუბლიკური რეჟიმების შეცდომებისაგან. მართლაც, ისევე როგორც მეთერამეტე საუკუნის ინგლისის სისუსტეები თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ასპექტებს ჰფენს ნათელს, მისი უნიკალური მონარქიის შეცდომებიც გარკვეულწილად აისახება თანამედროვე ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების მარცხზე.

ტაქტიკა აირჩია, მაგრამ ვერც მისი შენარჩუნება და ვერც მისგან მოგების მიღება მოახერხა. მისი ინტერვენციები, რომლებიც არალიბერალური საზოგადოებების ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობის გზით ლიბერალური საზოგადოებების შექმნას ისახავდა მიზნად, მარცხით დასრულდა. დაბნეულობა, დინების მიყოლა, დიდი ღირებულების „ჯვაროსნული ლაშქრობები," გამალებული იმპერიალიზმი – ლიბერალური მსოფლიოს ფარგლებს *გარეთ* ლიბერალური საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგობრივ არსს შეადგენს. მარცხი ძლიერებთან შეთანხმებასა და სუსტებს შორის სტაბილურ მოკავშირეთა მოპოვებაში ლიბერალიზმის მემკვიდრეობაა.[40] რატომ?

ეს წარუმატებლობები ძირითადად ორი წყაროდან მომდინარეობს. პირველი, პაციფისტური კავშირის ფარგლებს მიღმა, ლიბერალური რეჟიმები ყველა სხვა სახელმწიფოს მსგავსად, იმყოფებიან ომის იმ საერთაშორისო მდგომარეობაში, რომელსაც აღწერენ ჰობსი და რეალისტები. კონფლიქტები და ომები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის პრესტიჟის, რესურსებისა და უსაფრთხოებისათვის ბრძოლის ბუნებრივი შედეგია. დაბნეულობა საომარი მდგომარეობის თანამდევი კომპონენტია, საიმედო კანონმდებლობის ან ორგანიზაციის არარსებობის პირობებში.

მეორე, ეს წარუმატებლობები ლიბერალიზმის, როგორც ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის საგარეო პოლიტიკის ინტელექტუალური სახელმძღვანელო პრინციპის, წარმატების ბუნებრივი დანამატია. *კონსტიტუციურ შეზღუდვებს, გაზიარებულ სავაჭრო ინტერესებსა და ინდივიდთა უფლებების საერთაშორისო პატივისცემას, რაც ლიბერალურ საზოგადოებებს შორის მშვიდობას უწყობს ხელს, არალიბერალურ და ლიბერალურ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების გაღვივება შეუძლია.*

თუ სახელმწიფოს ლეგიტიმურობა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ის პატივს სცემს და ეფექტიანად წარმოადგენს ზნეობრივად დამოუკიდებელ მოქალაქეებს, მაშინ სახელმწიფოები, რომლებიც იძულების მეთოდებს იყენებენ საკუთარი მოქალაქეებისა და უცხოელი რეზიდენტების მიმართ, ზნეობრივ ლეგიტიმურობას მოკლებულნი არიან. თვით კანტიც კი „პრიმიტიული ხალხების" სამართალს მოკლებულ თავისუფლებას „კაცობრიობის უხეშ, არაცივილიზებულ და ცხოველურ დეგრადაციად" განიხილავდა.[41] როდესაც სახელმწიფოები უარყოფენ ხელმისაწვდომობის კოსმოპოლიტურ კანონს (რასაც ავტორიტარულმა ან კომუნისტურმა სახელმწიფოებმა, ძლიერებისა და სისუსტის მიუხედავად, უპირატესობა შეიძლება მიანიჭონ და ის საკ-

[40] ღრმა სტატისტიკური ანალიზი, რომელიც ახლახანს იყო წარმოდგენილი (R. J. Rummel, "Libertarianism and International Violence," *Journal of Conflict Resolution*, Vol. 17, No. 1, (March 1983), ემპირიულად ადასტურებს, რომ 1946-1980 წლებში „ლიბერტარიანული" სახელმწიფოები არ ჩაბმულან ერთმანეთთან არც ომში და არც სხვა რაიმე ფორმის კონფლიქტში (თუმცა, ხსენებულ კვლევაში „ლიბერტარიანიზმის" განსაზღვრება უფრო შეზღუდულია, ვიდრე ჩემს მიერ შემოთავაზებული ლიბერალური სახელმწიფოების განმარტება). ავტორი აგრეთვე ადასტურებს, რომ 1946-80 წლებში ლიბერტარიანული სახელმწიფოები უფრო ნაკლებად იყვნენ მიდრეკილნი რაიმე ფორმის კონფლიქტში ჩართვისაკენ, ვიდრე სხვა პოლიტიკური წყობის სახელმწიფოები. ლიბერალური იმპერიალიზმის ვრცელ ისტორიასა და ლიბერალიზმის როლს ლიბერალურ და არალიბერალურ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე კონფლიქტებსა და ომებში 1790-იანი წლებიდან, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რომელსაც მე მიმოვიხილავ, რ. ჯ. რამელის მეორე პუნქტისაგან განსხვავებულ დასკვნებამდე მივყავარ. როგორც ჯორჯ ქენანის *American Diplomacy* (New York: Mentor, 1951), ისე ჰანს მორგენთაუს *Politics Among Nations* (New York: Alfred A. Knopf Inc., 1973), განსაკუთრებით გვ. 147, დამაჯერებელად აკრიტიკებს ამერიკული ლიბერალიზმის გავლენას. ლიბერალური პრინციპებისა და ინსტიტუტების აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის განსხვავებული, მაგრამ მსგავსი ანალიზი გაკეთებული აქვს სტენლი ჰოფმანს ნაშრომში: *Gulliver's Troubles* (New York, McGraw Hill, 1968) განსაკუთრებით გვ. 111-13.

[41] Kant, "Perpetual Peace," in Friedrich, ed. p. 442.

უთარი უსაფრთხოებისათვის აუცილებლად ჩათვალონ), ისინი, კანტის განცხადებით, ბუნებრივ კანონსაც არღვევენ:

ისეთი სანაპირო რეგიონების არასტუმართმოყვარე ქცევის წესი, როგორიცაა ბარბაროსთა ნაპირი, სადაც მიმდებარე ზღვებში გემებს ძარცვავენ ან მონებად აქცევენ გამორიყულ მეზღვაურებს, ისევე ეწინააღმდეგება ბუნებრივ კანონს, როგორც ანალოგიურად არასტუმართმოყვარე წესები უდაბნოებისა და იქ მცხოვრები ბედუინებისა, რომლებიც უცხოელთა მოახლოებას მათი გაძარცვის შესაძლებლობად აღიქვამენ.[42]

თუმცა, კანტი თანაბარ დანაშაულად მიიჩნევს დაპყრობასა და იმპერიულ ინტერვენციას. ლიბერალური სახელმწიფოების პრაქტიკა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივ მიმართავს ლიბერალურ პრინციპებს, თავშეკავებულობით არ გამოირჩევა.

ლიბერალური პრაქტიკის თანახმად, ზოგიერთ არალიბერალურ სახელმწიფოს, მაგალითად აშშ-ის კომუნისტ მეტოქეებს, არ ეკუთვნის ინტერვენციისაგან დაცულობის უფლება; მათგან არც სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას მოელიან. ნაცვლად ამისა, ინტერესთა კონფლიქტი განიმარტება, როგორც ლიბერალური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული კამპანიის ნაწილი. რა თქმა უნდა, ძლევამოსილი ავტორიტარული ან ტოტალიტარული სახელმწიფოები, როგორიცაა ნაცისტური გერმანია ან საბჭოთა კავშირი, ზოგჯერ აჩაღებენ აგრესიის პირდაპირ ან არაპირდაპირ კამპანიას ლიბერალური რეჟიმების წინააღმდეგ. ტოტალიტარულ დიპლომატიაში აისახება ამგვარ საზოგადოებებში ჩამოყალიბებული, ყოვლისმომცველი გასაიდუმლოებულობა. მაგრამ ამ ეჭვების ნაწილი შეიძლება მიეწეროს ლიბერალური სახელმწიფოების იმ ხედვას, რომ არალიბერალური სახელმწიფოები მუდმივად თავიანთი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის მდგომარეობაში იმყოფებიან. ფაშისტურ სახელმწიფოებთან მიმართებაში კორდელ ჰალმა დაასკვნა: „თავად მათი ბუნება მოითხოვს მათგან აგრესიულობას."[43] ამრიგად, არალიბერალურ სახელმწიფოთა მცდელობები, მიღწეულ იქნეს შეთანხმება, ხაფანგს წარმოადგენს ფხიზლად არმყოფთათვის. როდესაც საბჭოელები უარს ამბობენ მოლაპარაკებებზე, ისინი მსოფლიოს დაპყრობას გეგმავენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დიალოგს თანხმდებიან, უფრო მზაკვრულ გეგმებს აწყობენ. სახალხო პატივისცემისა და ნდობის განსაკუთრებული ნაკლებობა ის ძირითადი მახასიათებელია, რომელიც ლიბერალური და არალიბერალური საზოგადოებების ურთიერთობას ლიბერალურ საზოგადოებათა შორის ურთიერთობისაგან განასხვავებს.

ამავდროულად, სახალხო ნდობის ნაკლებობა სოციალურ და ეკონომიკურ გაცვლებს აფერხებს. სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულებას შეუძლია, წარმოშვას როგორც კონფლიქტი, ისე კეთილდღეობა, როდესაც საზოგადოება დამოკიდებული ხდება იმ საგარეო ქმედებებზე, რომელთა კონტროლიც მას თავად არ შეუძლია. ლიბერალური საზოგადოებების ფარგლებში სავაჭრო გაცვლების მოცულობა და სხვადასხვაგვარობა იმის გარანტიას გვაძლევს, რომ ცალკეული ინტერესების კონფლიქტი მთლიან ურთიერთობაზე არ მოახდენს ზეგავლენას. მაგრამ ლიბერალურ და არალიბერალურ საზოგადოებათა შორის ეს გაცვლები, უსაფრთხოების მოტივებიდან გამომდინარე მათი შეზღუდულობის გამო, ვერ ანეიტრალებს სახელმწიფოთაშორის

[42] Ibid., p. 446.

[43] Cordell Hull, 1944 წლის 9 აპრილის რადიომიმართვა, ნაშრომიდან: Norman Graebner, *Cold War Diplomacy*, (New York: Van Nostrand, 1977), p. 172.

დაძაბულობას და ვერც იმ მრავალფეროვნებას გვთავაზობს, რომელიც შეამცირებდა კონკრეტული ინტერესთა კონფლიქტის მიერ მთლიანი ურთიერთობის განსაზღვრის ალბათობას.

უფრო მეტიც, ლიბერალური რეჟიმების ინსტიტუციური მემკვიდრეობა – წარმომადგენლობა და ძალაუფლების განაწილება – გზას უხსნის კერძო ინტერესებს კეთილგონივრული დიპლომატიის საპირისპირო პოლიტიკის ჩამოყალიბებისაკენ. როგორც ჯორჯ ქენანმა აღნიშნა, ხელისუფლების ეს ფორმა „იმასაც კი ახერხებს, რომ გამორიცხოს გადაწყვეტილებისა და მოქმედების გასაიდუმლოებულობა, მოქნილობა, სისწრაფე და შორსმჭვრეტელობა, რაც წარსულში ახასიათებდა იმპერიულ ძალებს და რაც ზოგადად აუცილებელია დიდი სახელმწიფოს მეთაურთა მიერ ეფექტიანი მსოფლიო პოლიტიკის საწარმოებლად."[44] ეს მახასიათებლები შეიძლება გაამძაფროს გაზვიადებულმა პრეტენზიებმა, რომლებსაც კონკურენტული საარჩევნო პოლიტიკა აძლევს სტიმულს. ამ თვისებების დაკარგვა არ არის საზიანო ლიბერალებს შორის არსებული ურთიერთობებისათვის (ფაქტობრივად, მათი არსებობა უფრო შედეგიანია), მაგრამ საგარეო პოლიტიკის შემუშავებული მიდგომის უარყოფითი მხარეები, რომლებიც წარმომადგენლობისა და ძალაუფლების განაწილების შედეგად წარმოიქმნება, ერთიორად იზრდება, როდესაც ნდობის უქონლობას თან მოსდევს ლიბერალიზმის საზღვრებს გარეთ არსებული შეზღუდული ეკონომიკური და სოციალური კავშირები. მათი მეშვეობით ყალიბდება დაძაბულობის ატმოსფერო და ხდება უთანხმოებას ლობირება, რომელიც შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს სტრატეგიული არჩევნისა და ზნეობრივი მიზნებისათვის.

ეს სამი თავისებურება, მართალია სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც ახდენს ზეგავლენას ლიბერალურ ურთიერთობებზე, როგორც ძლიერ არალიბერალურ სახელმწიფოებთან, ისე სუსტ არალიბერალურ საზოგადოებებთანაც.

ძლიერ არალიბერალურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ამ სამმა თავისებურებამ გამოიწვია შეიარაღების შემცირებასა და მასზე კონტროლის შესახებ მოლაპარაკებათა შესაძლებლობის ხელიდან გაშვება, იმ დროს, როდესაც ეს საერთო სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენდა, და ვერ უზრუნველყო შეთანხმებათა ფართო სქემის შემუშავება, რაც საჭირო იყო შეიარაღებაზე კონტროლის გასაუმჯობესებლად. პირველი მსოფლიო ომის წინ ეს ბრალდება ლორდმა სანდერსონმა წაუყენა სერ ეირ ქროუს, ამ უკანასკნელის ცნობილი მემორანდუმის საპასუხოდ, რომელიც ბრიტანეთ-გერმანიის ურთიერთობის მდგომარეობას ეხებოდა.[45] სანდერსონმა აღნიშნა, რომ გერმანიის მოთხოვნები საერთაშორისო დავების განხილვაში მონაწილეობისა და „მზის ქვეშ ადგილის" ანუ კოლონიების მოპოვების შესახებ, რომელთა ტერიტორიაც დაახლოებით ისეთივე სიდიდის იქნებოდა, როგორც სხვა დიდი სახელმწიფოებისა, მსოფლიო ბატონობისაკენ აგრესიული სწრაფვის დამადასტურებელი იყო. ქროუმ შესაძლოა, განჭვრიტა ვილჰელმისეული გერმანიის ძირითადი თავისებურება, სანდერსონის მცდელობა კი, განეხილა გერმანია აღზევების პროცესში მყოფი სახელმწიფოების კონტექსტში, რომლებიც თავდაჯერებულად, მაგრამ არააგრესიულად იღწვოდნენ მსოფლიო ბატონობისათვის, შესაძლოა, მიამიტურად გამოიყურებოდეს. მაგრამ უფრო საინტერესოა არა მიღებული დასკვნები, არამედ თავად ქროუს არგუმენტებისა და მტკიცებულებების ჯაჭვი. იგი უარყოფს გერმანიასთან ხანგრძლივ შეთანხმებას (დაშოშმინებას) არა იმიტომ, რომ გერმანიას საფრანგეთთან შე-

[44] George F. Kennan, *A Cloud of Danger* (Boston: Little, Brown & Co., 1977), p. 4.

[45] სერ ეირ ქროუვისა (1907 წლის 1 იანვარი) და ლორდ სანდერსონის (1907 წლის 25 თებერვალი) მემორანდუმები, ნაშრომში: G. P Gooch et al., eds., *British Documents on the Origins of the War, 1898-1914*, 3 (London: His Majesty's Stationery Office [HMSO], 1928), pp. 397-431.

დარებით უფრო თავდაჯერებულად წარმოგვიდგენს ან ამტკიცებს, რომ გერმანიას მსოფლიო ჰეგემონობის მეტი პოტენციალი გააჩნდა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელსაც თავის მსჯელობაში საერთოდ არ განიხილავს. ნაცვლად ამისა, იგი გაოგნებულია (სამართლიანადაც) გერმანიის საგარეო პოლიტიკის ჭეშმარიტი გაურკვეველობით და მისი „ცვალებადი, მბრძანებლური და ხშირად გულახდილად აგრესიული სულისკვეთებით," რაც მაშინდელი „გერმანიის მმართველის" კარგად ცნობილ პიროვნულ თავისებურებებს შეესაბამებოდა.

მსგავსი საფუძვლიანი ეჭვებით ხასიათდება აშშ-ის დიპლომატია საბჭოთა კავშირის მიმართ. 1919 წელს პრეზიდენტ უილსონისადმი მიმართულ საინტერესო მემორანდუმში, ჰერბერტ ჰუვერი (იმხანად უილსონის ერთ-ერთი მრჩეველი) რეკომენდაციას აძლევს პრეზიდენტს, ხმა აღიმაღლოს „მსოფლიო ბატონობის" საშიშროების წინააღმდეგ, რომელსაც „ბოლშევიკები" – „დემოკრატიის უარმყოფელი ტირანები" – თავისუფალ ხალხებს უქმნიან. ჰუვერი ეწინააღმდეგებოდა სამხედრო ინტერვენციას, როგორც მეტისმეტად ძვირად ღირებულ წამოწყებას, რომელიც „რეაქციული კლასების დაბალ კლასებზე ეკონომიკური დომინირების აღდგენის თანამონაწილედ გაგვხდის." მან წამოაყენა „დახმარების პროგრამა" იმ სახალხო მხარდაჭერის გასაბათილებლად, რომელსაც ბოლშევიკები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ იხვეჭდნენ. მართალია, ჰუვერი აღიარებდა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა მკაფიო მტკიცებულებები, მაგრამ ასკვნიდა: „თუ ბოლშევიზმის სამხედრო თავისებურებები დაემსგავსება პრუსიანიზმისას, მსოფლიო ბატონობის მცდელობას, რომელსაც ჩვენ არ ვემხრობით, მაშინ მოხდება იმ შიშის გადამონმება, რომელიც დღესდღეობით ყველა ადამიანის გონებაშია." (აშშ-ის ფაქტობრივი ჩარევა საბჭოთა კავშირის საქმეებში შემოიფარგლა ციმბირში ანტიბოლშევიკურად განწყობილი ჩეხოსლოვაკი ჯარისკაცების მხარდაჭერითა და მურმანსკში სამხედრო არსენალების გერმანელთაგან დაცვით).[46]

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი კორეის ომის შემდეგ, აშშ-ის დიპლომატია „საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას" (ყველა კომუნისტურ სახელმწიფოსა და პარტიას) ათანაბრებდა „კომუნისტურ იმპერიალიზმთან" და სსრკ-ის საშინაო ტირანიასთან, რომელსაც ცივი ომის დაპირისპირება და საერთაშორისო ნგრევა საკუთარი პოლიციური სახელმწიფოს ლეგიტიმაციისათვის სჭირდებოდა. ჯონ ფოსტერ დალესმა ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა ეს აზრი, „გათავისუფლების" სტრატეგიის საკუთარ ხედვასთან ერთად, როდესაც განაცხადა: „. . . ჩვენ არ გვექნება უსაფრთხო მშვიდობა და ბედნიერი მსოფლიო მანამ, სანამ კომუნიზმი დედამიწაზე მცხოვრები ხალხების ერთ მესამედზე ბატონობს და ცდილობს, სულ მცირე, თავისი მმართველობა მრავალ სხვა ხალხზე გაავრცელოს."[47]

---

[46] ჰერბერტ ჰუვერის მიმართვა პრეზიდენტ უილსონისადმი, 1919 წლის 18 მარტი. მოყვანილია ნაშრომში: *Major Problems in American Foreign Policy*, ed. Thomas Paterson (Lexington, MA: D.C Health and Co., 1978), Vol. 2, p. 95.

ბოლშევიზმის საფრთხე შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუშალა საბჭოთა კავშირთან ლიბერალური ალიანსის გაფორმებას ნაცისტური აგრესიის წინააღმდეგ 1938 წელს. მაგრამ ლიბერალთა მიერ საშინაო ტირანიასა და საგარეო აგრესიას შორის გაკეთებული კავშირი შეიძლება საპირისპირო შედეგსაც იძლეოდეს. როდესაც ლიბერალური სახელმწიფოების არსებობისათვის შექმნილმა ნაცისტურმა საფრთხემ სსრკ-სთან ლიბერალური ალიანსის გაფორმება მოითხოვა, მოკლე პერიოდში სტალინი ლიბერალური პრესისათვის „ბიძია ჯო"-დ გადაიქცა.

[47] U.S Senate, *Hearings Before the Committee on Foreign Relations on the Nomination of John Foster Dulles, Secretary of State Designate*, 15 January 1953, 83rd Congress, 1st Session (Washington, D.C.: United States Government Printing Office [USGPO], 1953), pp. 5-6.

ლიბერალიზმმა ასევე წაახალისა კომუნისტური საფრთხის არასწორი აღქმის ტენდენცია მესამე სამყაროს ქვეყნებში. რადგან კომუნიზმი ფასდება, როგორც იმთავითვე აგრესიული, საბჭოთა სამხედრო დახმარება ახდენს აფრიკის ნაწილის „დესტაბილიზაციას" ანგოლაში და აფრიკის რქაზე.* დასავლეთი კი იცავს თავის მოკავშირეებს. ამ მიდგომით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა განიხილებოდა, როგორც „საბჭოთა მანჯოუ-გო," ხოლო დიიმი – როგორც „აზიის უინსტონ ჩერჩილი." მაგრამ ამ რეჟიმების ფაქტობრივი (არასტაბილური) დამოკიდებულება თავ-თავიანთ ზესაზელმწიფოებზე და რეგიონში გაბატონებული მოძრაობა – ანტიკოლონიალიზმი უგულებელყოფილ იქნა.

რაც უფრო მნიშვნელოვანია, შეფერხდა კომუნისტური ბლოკის გახლეჩა სტრატეგიული ეროვნული ინტერესების გამო არსებული უთანხმოებების გამოყენებით. ვიეტნამის ომისაგან დამძიმებულ აშშ-ს ათი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ შეეფასებინა და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის განხეთქილებისგან მიღებული სტრატეგიული უპირატესობა. ღირსშესანიშნავმა სტრატეგიულმა „შეტევითმა" წარმატებამაც კი ცივი ომის დასაწყისში, იუგოსლავიის საბჭოთა ბლოკისაგან განდგომამ, ვერ პოვა ისეთი სათანადო გამოხმაურება, რომელიც მისი მნიშვნელობის სტრატეგიულ შეფასებას უნდა მოჰყოლოდა.[48] როგორც იუგოსლავიასთან, ისე ჩინეთთან ურთიერთობა ცვალებად, მეტწილად იდეოლოგიურ განწყობაზე დამოკიდებული გახდა: გამორჩეულობის ხედვა (რომელიც „ნაკლებად სასტიკი" და ადგილობრივ, ტრადიციულ კულტურასთან უფრო ორგანულად შერწყმული იყო) უპირისპირდებოდა ლიბერალური თვითკრიტიკის შემოტევებს („ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი თავის ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან გაიგივება"). ეს გადაუწყვეტელი დაძაბულობა კვლავ ზეგავლენას ახდენს ორივე დამოუკიდებელ კომუნისტურ სახელმწიფოსთან სტრატეგიულ ურთიერთობაზე.

ძალთა ბალანსის წმინდად რეალისტურ ანალიზს, შესაძლოა, მოსალოდნელად მიეჩნია მტრობა ორ ზესახელმწიფოს – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომლებიც წარმმართველ ძალებად ჩამოყალიბდნენ ნაცისტური გერმანიისა და იაპონიის დამარცხების შემდეგ. უფრო მეტიც, ბიპოლარული მტრობა ზრდის „ნულოვანჯამიანი თამაშის" შესაძლებლობას (იმას, რასაც ერთი იგებს, მე-

* დღევანდელი სომალის, ერიტრეის, ეთიოპიისა და ჯიბუტის ტერიტორია.

[48] ოცდაცამეტი დანაყოფი, ხმელთაშუაზღვისპირეთიდან საბჭოთა ბლოკის გამოსვლა, პოლიტიკური უთანხმოებები კომუნისტური ბლოკის შიგნით: ეს უპირატესობები სწრაფ და მეგობრულ რეაგირებას მოითხოვდა. აშშ-ის მოხერხებულმა ელჩმა, რომელმაც ტიტოს პოზიცია წარმოადგინა ვაშინგტონში, კომინფორმისაგან გამორიცხვის ფართო ხასიათმა (1948 წლის ივნისი), შემოქმედებითი მმართველობის აღმავლობის ხანაში მყოფმა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (ასევე არჩევნებში გამარჯვებამ) ხელი შეუწყო ტრუმენის გადაწყვეტილებას, გადაერჩინა იუგოსლავია საბჭოთა ემბარგოსაგან ვაჭრობისა და სესხების საშუალებით (1949).

თუმცა, (იუგოსლავიური ნყაროების თანახმად) ეს კრიზისი განიხილებოდა ხელსაყრელ მომენტად იუგოსლავიაზე ზეწოლისათვის ტრიესტისა და კარინთიის საკითხთა მოსაგვარებლად, საბერძნეთში მყოფი პარტიზანებისათვის დახმარების შესანყვეტად და ომამდელი (წინარეევოლუციური) ვალის გასასტუმრებლად, ნაციონალიზირებული მინებისა და საბადოების მფლობელთათვის კომპენსაციების გასაცემად. იუგოსლავიის სტრატეგიული მნიშვნელობა არ გამორიცხავდა მას „დატყვევებულ ერთა" კატეგორიაში გაერთიანებისაგან (1959) და არც ანიჭებდა მას 1962 წლის ვაჭრობის ექსპანსიის აქტით გათვალისწინებულ მაქსიმალური ხელშეწყობის მქონე ქვეყნის სტატუსს. იდეოლოგიური ანტიკომუნიზმი და ამერიკის პოლიტიკური სისტემის გამჭირვალობა ლობირებასთან ერთად (ქენანის, იუგოსლავიის იმჟამინდელი ელჩის სიტყვებით) ამ საკვანძო სტრატეგიულ ურთიერთობას მძიმე ტვირთს ამატებდა. (John C. Campbell, *Tito's Separate Road* [New York: Council on Foreign Relatoins/Harper and Row, 1967], pp. 18-27; Suctozar Vukmanovik-Tempo, in Vladimir Dedijer, *The Battle Stalin Lost* [New York: Viking, 1970], p. 268; George F. Kennan, *Memories, 1950-1963* [Boston: Little, Brown & Co.,1972], chap. 12.)

ორე აუცილებლად აგებს) და, შედეგად, აძლიერებს გადაჭარბებული რეაქციის ტენდენციას. ლიბერალიზმი ერთ-ერთია იმ მრავალ იდეოლოგიათაგან, რომელთაც ახასიათებს მიდრეკილება იდეოლოგიური „ჯვაროსნული ლაშქრობებია" და საკუთარ ტერიტორიაზე „კუდიანებზე ნადირობისკენ."[49] მაგრამ რეალისტებს არ აქვთ საფუძველი, მოელოდნენ აშშ-ის მერყეობას კომუნისტურ ბლოკში არსებულ უთანხმოებათა თავის სასარგებლოდ გამოყენებასა და სსრკ-ის კომუნისტ მტრებთან სტრატეგიული ურთიერთობების დამყარებაში. აშშ-ის ცივი ომის დროინდელი პოლიტიკა ვერ აიხსნება ამერიკულ ლიბერალიზმთან კავშირის გარეშე. ლიბერალიზმი აყალიბებს მტრობას კომუნიზმთან, და არა მხოლოდ საბჭოთა ძალაფლებასთან, და პოლიტიკას „ჯვაროსნული" იდეოლოგიით ასაზრდოებს. ლიბერალები მხოლოდ უნდობლობას არ გამოხატავენ მათი მოღვაწეობის მიმართ; ჩვენ არ მოგვწონს, რომ ისინი ადამიანის უფლებათა საჯარო დამრღვევნი არიან. ჩაურევლობის მომხრე ლიბერალები ამ შეხედულებას ამატებენ ანტისოციალიზმს, ხოლო სოციალ-დემოკრატი ლიბერალები – დემოკრატიის კამპანიას.

საფიქრებელია, რომ ამგვარი არათანმიმდევრული პოლიტიკა აღმოსავლეთ-დასავლეთის ძალთა ბალანსში კატასტროფულ მდგომარეობას შექმნიდა. აღმოსავლეთ-დასავლეთის ინტერესთა შეთანხმების ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა და ცვალებადი პოლიტიკა გამოიწვევდა მოკავშირეების გაუცხოებას ამერიკის შეერთებული შტატებისაგან და მისი სტრატეგიული ურთიერთობების დაშრეტას. მაგრამ ლიბერალური დაბნეულობისა და „ჯვაროსნული ლაშქრობების" შეკავება სხვა ფაქტორებმა განაპირობა. კომუნისტური ბირთვული იარაღი და სახელმწიფო ძლიერება წინდახედულობას მოითხოვდა, ხოლო გადარჩენის საერთო სურვილმა მხარეებს დეტანტისაკენ მოუწოდა. ლიბერალურ ალიანსს პაციფისტურ კავშირში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და შეეძლო, წინ აღდგომოდა ხშირ კრიზისებს საბჭოთა კავშირის მიმართ ალიანსის პოლიტიკაში.

დილემები და მარცხი ასევე ახასიათებს ლიბერალურ საგარეო პოლიტიკას *სუსტ*, არალიბერალურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. არაინტერვენციონისტური სუვერენული ერთეულებისადმი ტოლერანტულობისა და შეთანხმების დიდი სულისკვეთება არ ახასიათებს ლიბერალურ პოლიტიკას მესამე სამყაროს მრავალი სუსტი ლიბერალური სახელმწიფოს მიმართ. მართლაც, ლიბერალიზმის ისტორია მესამე სამყაროში, ბევრ ასპექტში, გაცილებით უარესია, ვიდრე აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში, რადგან დაბნეულობას აქ თან ერთვის ძალაც. ეს პრობლემა ეხება როგორც კონსერვატორ ლიბერალებს, ისე კეთილდღეობის ლიბერალებსაც, მაგრამ ზემოხსენებული ორი მიმართულების გარჩევა ინტერვენციის სხვადასხვა სტილის მიხედვით არის შესაძლებელი. [50]

[49] შუასაუკუნოვანი ჯვაროსნული ლაშქრობების მსგავსად (ტრანსცენდენტალური საგარეო პოლიტიკის ადრეული მაგალითი), პირველმა თანამედროვე ჯვაროსნულმა ექსპედიციამ სტრატეგიული სანაპირო ზოლები შექმნა (ლიტვა, ესტონეთი, ლატვია და პოლონეთი 1918-1920 წლებში, ანტიოქიისა და იერუსალიმის ნაცვლად), მეორე და მესამე ლაშქრობათა მიზნებს წარმოადგენდა (1947-1949 წლების მონარქთა ჯვაროსნული ლაშქრობების ნაცვლად) ცელილებათა გატარება, ანუ ევროპაში ანტიკომუნიზმის მხარდაჭერა. მეოთხე ექსპედიცია კი (38-ე პარალელის გადალახვა, კონსტანტინოპოლის აღების ნაცვლად) სტრატეგიული გადახვევა იყო, რასაც მოჰყვა „მაკკარტიიზმის" (ალბიგენელთა მსგავსი) ლაშქრობა ქვეყნის საზღვრებს შიგნით. მეხუთე და მეექვსე ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა მესამე სამყაროში გადაიტანა კონფლიქტი (დამიეტას ნაცვლად); ხოლო მომდევნო ჯვაროსნული ლაშქრობები მხოლოდ არმიის აღჭურვის გასამართლებელი საბაბი იყო.

[50] ამერიკულ საგარეო პოლიტიკაზე ლიბერალური იდეოლოგიის გაელენის საინტერესო ანალიზისათვის იხილეთ: Robert A. Peckenham, *Liberal America and the Third World* (Princeton: Princeton University Press, 1973), განსაკუთრებით მე-3 თავი და გვ. 313-323.

ლიბერალიზმის ორივე მიმდინარეობა თანაბრად დაბნეული ჩანს ინტერვენციის შემთხვევათა ანალიზსა და თავიდან აცილებაში. ჩაურევლობის მომხრე ლიბერალური განცხადებები სიმტკიცეს მოკლებულია. არალიბერალური სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის უფლების პატივისცემა მათ მიერ საკუთარი მოსახლეობის უფლებების დარღვევის იგნორირებას მოითხოვს. მესამე სამყაროში ადამიანის უფლებებზე ყურადღების გამახვილება კი სახელმწიფოთა საგარეო ინტერვენციისაგან დაცულობის უფლების უგულებელყოფას საჭიროებს. ერთი მიდგომის შემოტევები მეორე მიდგომისას ცვლის. მაგრამ ვინაიდან მხედველობაში არ მიიღება არალიბერალური სახელმწიფოს ლეგიტიმურობა, გაბატონებულ ტენდენციას ინტერვენციონიზმისაკენ მივყავართ.

ამ დილემის შედეგად ნარმოიშვა ლიბერალური იმპერიალიზმი, რომელიც ხელს არ უწყობს ლიბერალიზმის განვითარებას არც ქვეყნის შიგნით და არც მის საზღვრებს გარეთ. „ადგილობრივი" მჩაგვრელებისაგან „ადგილობრივი უფლებების" დაცვამ, ასევე საკუთრებისა და დასახლების უნივერსალური უფლებების ლოკალური დარღვევებისაგან დაცვამ, იმპერიული მმართველობის ლიბერალური მოტივები ცხადყო. კანტის საყოველთაო სტუმართმოყვარეობის კანონი პიროვნებას, სხვა ქვეყანაში ჩასვლისა და გაცვლების განხორციელების გარდა, არაფრის უფლებას არ ანიჭებს. სხვა ლიბერალები მზად იყვნენ, სხვა უფლებებიც გაემართლებინათ. ზოგიერთის მტკიცებით, არსებობს დასახლების საყოველთაო უფლება, რომლითაც მათ, ვისაც არ შეუძლია საკუთარ ქვეყანაში თავის რჩენა, ეძლევა უფლება, სხვებს – განსაკუთრებით მომთაბარეებსა და ტომის მონადირეებს – თავიანთი ტერიტორიის ნაწილი დაათმობინონ უფრო ინტენსიური განსახლებისათვის. ჯ. ს. მილი ასაბუთებს უფრო მეტად ძალადობრივ მოპყრობას „ბარბაროსი ერების" მიმართ. მათ არ გააჩნიათ ცივილიზებულ ერთა უფლებები „გარდა ისეთი მოპყრობისა, რომელიც მათ მაქსიმალურად სწრაფად გადააქცევს ცივილიზებულ ერებად." იგი ასევე ამართლებს „ბარბაროსი" ერებისათვის იმპერიულ განათლებას და, ამავდროულად, მოითხოვს ჩაურევლობას „ცივილიზებულ" ერებს შორის, რადგან პირველებს არ აქვთ ლიბერალური უფლებების საპასუხოდ განხორციელების უნარი, ორმხრივობა კი ლიბერალური ზნეობის საფუძველია.[51]

მონებით ვაჭრობის დასრულებამ მეცხრამეტე საუკუნის დასავლეთ აფრიკის ოლიგარქიათა დესტაბილიზაცია გამოიწვია. თუმცა, „ლეგიტიმური ვაჭრობის" მხარდაჭერა ევროპელი ვაჭრების ქონების დაცვას მოითხოვდა. მონობის ან სატის*

[51] იხილეთ: Hobbes, *Leviathan*, II, chap. 30; I, chap. 15. ეს უფლება განხილულია წიგნში: Michael Walzer, *Spheres of Justice* (New York: Basic Books, 1983), p. 46. მილის კომენტარები კოლონიალიზმზე ნარმოდგენილია ნაშრომში: "A Few Words on Nonintervention," pp. 377-79, ხოლო ნაშრომში "Civilization" იგი განასხვავებს „ცივილიზებულ" და „ბარბაროს" ერებს არა რასობრივ ან ბიოლოგიურ ასპექტში, არამედ იმის საფუძველზე, რასაც ჩვენი თანამედროვე მეცნიერები სოციოეკონომიურ მოდერნიზაციას ანუ განვითარებას უწოდებენ. მილმა განაცხადა „მათი გონება ვერ შეძლებს ისეთი დიდი ძალისხმევის გამოჩენას, [როგორიცაა ურთიერთქმედება], ხოლო მათი ნება საკმარისად არ განიცდის შორსმიმავალი მიზნების ზეგავლენას." ორივე ესე წარმოდგენილია წიგნში: J. S. Mill, *Essays on Literature and Society*, ed., J. B. Schneewind (New York: Collier, 1965). ლიბერალური იმპერიალიზმის ყველაზე საინტერესო ძეგლს, ალბათ, ნარმოადგენს მაკკოლეის მიერ შესრულებული ნარნერა ლორდ უილიამ ბენტინკის ქანდაკებაზე კალკუტაში: „მან გააუქმა სასტიკი წესები, მან აღმოფხვრა დამამცირებელი განსხვავებები, მან თავისუფლება მისცა სახალხო აზრის გამოთქმას, მისი მუდმივი მცდელობა იყო, აემაღლებინა საკუთარ ადგილობრივ ქვეშევრდომთა ინტელექტუალური და ზნეობრივი ხასიათი" (შედარებისათვის იხილეთ მილის ზემოხსენებული ნაშრომი). ციტირებულია წიგნში: Earl Cromer, *Ancient and Modern Imperialism* (London, Longmans, 1910), p. 67.

* ძველი ინდუისტური რელიგიური ადათი, რომელიც გარდაცვლილი მეუღლისა და მისი ცოცხალი ცოლის ერთად დაწვას ითვალისწინებს.

ტრადიციის არალეგიტიმურად გამოცხადება ასევე დაუპირისპირდა ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფდა. ევროპელთა მიერ მეჩხერად დასახლებული ადგილების ათვისებამ არსებობის პირობები მოუსპო იმ ტომებს, რომლებიც მონადირეობით ირჩენდნენ თავს. ამ უკანასკნელებმა, თავდაცვის მიზნით, ძალას მიმართეს, ახალმოსახლეებმა კი იმპერიას მიმართეს დახმარებისათვის.[52] ამდენად, კოსმოპოლიტური ლიბერალური უფლებების დაცვამ იმპერიული მმართველობის აუცილებლობა ნარმოშვა, რომელიც არღვევდა ამერიკელ ინდიელთა, აფრიკელთა და აზიელთა თანასწორობას. პრაქტიკაში, როცა იმპერიის მართვის უკიდურესი აუცილებლობა გაჩნდა, ლიბერალურმა იმპერიალიზმმა, იმპერიული უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, „ადგილობრივი," თვითგამორკვევის მოსურნე ლიბერალების ჩაგვრა დაიწყო, რითაც ადგილობრივი ქაოსის თავიდან აცილება და სხვა იმპერიული ძალის ინტერვენციისათვის ხელის შეშლა სცადა, რომელსაც, თავის მხრივ, ადგილობრივი არაკეთილგანწყობის თავის სასარგებლოდ გამოყენება სურდა.

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალები, როგორიც იყო, მაგალითად, გლედსტოუნი, მსჯელობდნენ, ჰქონდა თუ არა ეგვიპტეში მომხდარ არაბთა პროტონაციონალურ აჯანყებას (1881-82) ჭეშმარიტად ლიბერალურ-ნაციონალისტური ხასიათი (როგორც მათ აღმოაჩინეს, არ ჰქონდა), ვიდრე განხორციელდებოდა ინტერვენცია ინდოეთისაკენ მიმავალი სტრატეგიული სასიცოცხლო გზების, ვაჭრობისა და ინვესტიციების დასაცავად.[53] იმავე სირთულეების წინაშე აღმოჩნდა ბრიტანეთის ლიბერალური პარტია ირლანდიის მართვის საკითხში; ის ყოყმანობდა იძულებასა და რეფორმას შორის. ამ საგარეო წარუმატებლობებმა ხელი შეუწყო ლიბერალური პარტიის დაღმასვლას, როდესაც 1886 წელს პარლამენტმა არჩია, უფრო არისტოკრატიული და სტაბილური კონსერვატიული პარტიის მიერ ყოფილიყო მართული. კონსერვატორები ირლანდიასა და ეგვიპტეში მუდმივი იძულების უფრო მტკიცე კურსს ახორციელებდნენ. მიუხედავად ამისა, სამხრეთ აფრიკაში პირველობის შენარჩუნების მცდელობისას, მარცხით დამთავრდა მათი კამპანია ბრიტანელი მოსახლეების *(uitlanders)* სამოქალაქო და საკუთრების უფლებების დასაცავად ბურების

---

[52] Alexis de Tocqueville, *Democracy in America* (New York: Vintage, 1945), Vol. I, p. 351. ტოკვილი აღნერს, თუ როგორ ანადგურებდა ევროპელ კოლონიზატორთა დასახლებები ამერიკაში ნადირს, რომლის არარსებობა ინდიელთა შიმშილს განაპირობებდა. ამდენად, ორივე მხარე მიმართავდა თავდაცვის უფლებას, მაგრამ კოლონისტებს იმპერიული ძალის მოხმობა შეეძლოთ. პალმერსტონმა ერთხელ განაცხადა, რომ არასოდეს გამოიყენებდა ძალას კერძო ინტერესების – ვაჭრობისა და განსახლების – ხელშეწყობისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ ერთგულად დაიცავდა ინგლისის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და თავისუფლებას. ტოკვილის მიერ აღნერილ გარემოებებში პალმერსტონის განსხვავებები აზრს კარგავდა. იხილეთ: Kenneth Bourne, *Palmerston: The Early Years* (New York: Macmillan, 1982), pp. 624-26. სხვა კოლონიური დასახლებები და იმპერიულ გაფართოებაზე მათი დამოკიდებულება განხილულია ნაშრომში: Ronald Robinson, "Non-European Foundations of Imperialism" in Roger Owen and Bob Sutcliffe, eds., *Studies in the Theory of Imperialism*, (London: Longmans, 1972).

[53] გლედსტოუნმა თავის მიდლოთიანურ გამოსვლებში მხარდაჭერა გამოუცხადა ყველა ერის უფლებათა თანასწორობას. უილფრიდ სკოვენ ბლანტი მუშაობდა საიდუმლო აგენტად ეგვიპტეში და ინფორმაციას აწვდიდა გლედსტოუნს არაბთა მოძრაობის პოლიტიკური ხასიათის შესახებ. ლიბერალური დილემა –ინტერვენცია ხორციელდებოდა ჭეშმარიტი ნაციონალიზმის თუ სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ – ყველაზე კარგად გამოიხატა ჯოზეფ ჩემბერლენის მემორანდუმში კაბინეტისადმი 1882 წლის 21 ივნისს. იხილეთ: J. L. Garvin and J. Amery, *Life of Joseph Chamberlain*, (London: Macmillan & Co., 1935) I, p.448. იხილეთ აგრეთვე: Peter Mansfield, *The British in Egypt* (New York: Holt, Rinehart and Winston, 1971), chap. 8; და Robert Tignor, *Modernization and British Colonial Rule in Egypt* (Princeton, Princeton University Press, 1966).

თეოკრატიულ რესპუბლიკაში. ლიბერალური იმპერიალიზმის ეს დილემები აგრეთვე აისახა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმში კარიბის ზღვის რეგიონის მიმართ, სადაც, მაგალითად, 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომის შემდგომ, პლატის შესწორების მესამე მუხლის თანახმად, აშშ-მა მიიღო „ინტერვენციის უფლება კუბის დამოუკიდებლობის დასაცავად, ისეთი ხელისუფლების შესანარჩუნებლად, რომელიც სიცოცხლის, საკუთრებისა და პიროვნების თავისუფლების დაცვის მოთხოვნებს უპასუხებდა . . .“[54]

ლიბერალიზმის ისტორია არალიბერალურ სამყაროში მხოლოდ უბედურებათა ნუსხა როდია. ჩრდილოამერიკული დასავლეთი და სხვა კოლონიები – ავსტრალია და ახალი ზელანდია – ლიბერალურ ინსტიტუტთა წარმატებული გადანერგვის მაგალითებს წარმოადგენენ, თუმცაღა ეს პროცესი განხორციელდა ზომიერ, მცირედ დასახლებულ, მოგვიანებით კი გაუკაცრიელებულ გარემოში და ინდიელებისა და აბორიგენი მოსახლეობის უფლებების ფასად. მსგავსად ამისა, განსაკუთრებული წარმატებით დაგვირგვინდა მეოცე საუკუნის ლიბერალიზმის ექსპანსია ნაკლებად ძლიერ არალიბერალურ არეალებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიისა და იაპონიის იძულებითი ლიბერალიზაცია და იტალიის ლიბერალური პარტიების ხანგრძლივი, საიდუმლო დაფინანსება ამგვარი წარმატებული გადანერგვის ყველაზე თვალნათელი მაგალითებია. ჩილეში ლიბერალიზმის ფარული დაფინანსება და დროგამოშვებითი დიპლომატიური დემარშები არაკომუნისტური ლიბერალური პარტიებისათვის სამხედრო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით (როგორც, მაგალითად, პერუში 1962 წელს, სამხრეთ კორეაში 1963 წელს და დომინიკელთა რესპუბლიკაში 1962[55] და 1978 წლებში) ასახავს პოლიტიკას, თუმცა ნაკლებად წარმატებულს, რომელიც ლიბერალური მიზნებისაკენ იყო მიმართული. ომის შემდგომი პერიოდის ლიბერალური წარმატებები კონკრეტულ გარემოებათა შედეგია: არსებობდა დროებით შეეიწროებული, პოტენციური ლიბერალური უმრავლესობა, რომლის აღდგენაც შესაძლებელი იყო გარეშე დახმარებით და, ამავე დროს, იყვნენ უჩვეულოდ სუსტი, ოლიგარქი, სამხედრო და კომუნისტი ოპონენტები.[56]

ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც აშშ ცდილობდა ლიბერალების დაცვას „კომუნისტური საფრთხისაგან“ მესამე სამყაროში, ლიბერალური პოლიტიკის შედე-

[54] ირლანდიისა და მისი დამოკიდებულების შესახებ ბრიტანულ პარტიებთან იხილეთ: Conor Cruise, O'Brien, *Parnell and His Party, 1880-1890* (Oxford: Clarendon Press, 1964); სამხრეთ აფრიკასთან დაკავშირებით იხილეთ: G. H. L. LeMay, *British Supremacy in South Africa, 1899-1907* (London: Oxford University Press, 1965). ძალისა და ინტერვენციისადმი ლიბერალური მიდგომის კარგი გამოხატულებაა ვიცე-ადმირალ ჰამფრი სმითის შემდეგი კომენტარი: „მე არ მგონია, რომ ჩვენ ბევრს ვფიქრობდით ომზე, როგორც დიდ უბედურებაზე. ჩვენ საზღვაო ფლოტს უფრო მეტად განვიხილავდით, როგორც მსოფლიო მასშტაბის პოლიციურ ძალას და არა როგორც ომის ინსტიტუტს. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ კანონი და წესრიგი უნდა დაგვეცვა მთელს მსოფლიოში – შეგვენარჩუნებინა ცივილიზაცია, ჩაგვექრო ცეცხლი ნაპირზე და ყველა ერის სავაჭრო გემისათვის გიდის, ფილოსოფოსისა და მეგობრის როლი შეგვესრულებინა.“ Vice Admiral Humphrey Smith, *A Yellow Admiral Remembers* (London, 1932), p. 54 in Donald S. Gordon, *The Dominion Partnership in Imperial Defense: 1870-1914* (Baltimore, Md: The Johns Hopkins University Press, 1965), p. 47.
პლატის შესწორება მოყვანილია ნაშრომიდან: *Major Problems in American Foreign Policy*, ed. Paterson, Vol. 1, p. 328.

[55] ლათინურ ამერიკაში, ალიანსის პროგრესის ხანაში, კენედის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა ხუან ბოშს დომინიკელთა რესპუბლიკაში 1962 წელს. იხილეთ აგრეთვე: William P. Bundy, "Dictatorships and American Foreign Policy," *Foreign Affairs*, Vol. 54, No. 1, (October 1975).

[56] ომის შემდგომ პერიოდში ლიბერალური ინსტიტუტების წარმატებული ექსპორტის არგუმენტირებისა და მაგალითებისათვის იხილეთ: Samuel Huntington, "Human Rights and American Power," *Commentary*, September 1980, და George Quester, "Consensus Lost," *Foreign Policy*, Vol. 40, (Fall 1980).

გები არალიბერალურ საზოგადოებაზე ხშირად სცილდებოდა ადამიანის უფლებებისათვის ხელის შეწყობას. ინტერვენცია „შეიარაღებული უმცირესობისა" და „თავისუფალი მეწარმეობის მტრების" წინააღმდეგ გულისხმობდა ჩარევას სხვა შეიარაღებულ უმცირესობათა სასარგებლოდ, რომელთაგან ზოგიერთი მხარს უჭერდა ოლიგარქიას და მისგან დაცულიც იყო, სხვები კი აშშ-ის საგარეო დახმარებასა და ჯარის ნაწილებს ეყრდნობოდნენ. ადგილობრივი ლიბერალები ქვეყნის შიგნით ძალიან სუსტი მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

კონსერვატორი ლიბერალებისათვის ალტერნატივები ნათელია: მესამე სამყაროს ავტორიტარული მმართველები ლიბერალური, კაპიტალისტური დასავლეთის მიმართ ლოიალური დამოკიდებულებით ან ტოტალიტარულ აღმოსავლეთს დაქვემდებარებული „კომუნისტები" (ან მემარცხენე ნაციონალისტები, რომლებიც, არჩეულობის შემთხვევაშიც კი, ტოტალიტარიზმის საფუძველს ქმნიან).[57] კონსერვატორი ლიბერალები მზად არიან, მხარი დაუჭირონ მოკავშირე ავტორიტარულ მმართველებს. კომუნისტები ეწინააღმდეგებიან კერძო საკუთრებასა და თავისუფლებას, რითაც უბიძგებენ კონსერვატორ ლიბერალებს ღია ან ფარული ინტერვენციისაკენ ან „დოლარის დიპლომატიის" იმპერიალიზმისაკენ. ამ კატეგორიას განეკუთვნება ინტერვენცია მოსადეყის წინააღმდეგ ირანში, არბენცის წინააღმდეგ გვატემალაში, ალიენდეს წინააღმდეგ ჩილეში და სანდინისტების[58] წინააღმდეგ ნიკარაგუაში.

სოციალური კეთილდღეობის ლიბერალებისათვის არჩევანი არასოდეს არის ასეთი ცხადი. ისინი აცნობიერებენ ინტერვენციის საჭიროებას სოციალური ძალაუფლებისა და რესურსების განაწილების დემოკრატიზაციისათვის და უფრო მეტ სიმპათიას იჩენენ სოციალური რეფორმისადმი. ამან შეიძლება წარმოშვას „რადიკალური" კეთილდღეობის ლიბერალების უფრო ტოლერანტული პოლიტიკა რეფორმების გზაზე დამდგარი მესამე სამყაროს ავტოკრატიების მიერ საკუთრების უთანასწოროდ განაწილების მოწესრიგების მცდელობებისადმი. კეთილდღეობის ლიბერალთა ეს უფრო გართულებული შეფასება ფართომომცველი ინტერვენციის საფუძველი შეიძლება იყოს. სამხედრო ბიუროკრატიების წარმომადგენელი მრავალრიცხოვანი კონსერვატორი ოლიგარქები, რომლებთანაც კონსერვატორი ლიბერალები საერთო ენას პოულობენ, არ დგანან ახლოს სოციალური კეთილდღეობის ლიბერალებთან; თუმცა, კომუნისტები მაინც თავისუფლების მტრებად აღიქმებიან. ისინი ამართლებენ უფრო ფართომომცველ ინტერვენციას, რათა ჯერ აღმოაჩინონ, ხოლო შემდეგ შეინარჩუნონ მესამე სამყაროს სოციალური დემოკრატია ისეთ პოლიტიკურ გარემოში, რომელიც ან წმინდად წარმომადგენლობითია ან ზედმეტად პოლარიზებული. ამრიგად ართურ შლესინჯერი იხსენებს პრეზიდენტ კენედის, რომელიც ტრუხილიოს (დომინიკელთა რესპუბლიკის ყოფილი დიქტატორის) მკვლელობის შემდეგ ფიქრობდა, რომ „არსებობს კლებადი უპირატესობის მიხედვით დალაგებული სამი შესაძლებლობა: ღირსეული დემოკრატიული რეჟიმი, ტრუხილიოს რეჟიმის გაგრძელება (მისი მემკვიდრეების მიერ) ან კასტროს რეჟიმი. ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ პირველი, მაგრამ არ უნდა უარვყოთ მეორე, სანამ არ ვიქნებით დარწმუნებულნი, რომ შეგვი-

[57] Jeane Kirkpatrick, "Dictatorships and Double Standards," pp. 34-45. 1851 წელს ფრანგმა ლიბერალმა ისტორიკოსმა გიზომ ანალოგიური აზრი გამოთქვა გლედსტოუნისადმი მიმართულ წერილში, სადაც სთხოვდა მას ეღიარებინა, რომ ნეპალის დესპოტური მთავრობა ლიბერალური სამართლისა და წესრიგის საუკეთესო გარანტია იყო. გიზოს აზრით, რეფორმა ნიშნავდა რევოლუციური სისასტიკის გაჩაღებას (Philip Magnus, *Gladstone* [New York: Dutton, 1964], p. 100).

[58] Richard Barnet, *Intervention and Revolution: The United States in the Third World* (New York: Meridian, 1968), chap. 10; ნიკარაგუაში აშშ-ის მიერ ანტისანდინისტ პარტიზანთა ნერთნის, ხელმძღვანელობისა და დაფინანსების (20 მილიონი დოლარი) შესახებ იხილეთ გაზეთი *The New York Times*, 1982 წლის 11 მარტი.

ძლია მესამის თავიდან აცილება.". ამ მიდგომის მეორე მაგალითი იყო პრეზიდენტ კარტერის მიერ სალვადორში მინის რეფორმის მხარდაჭერა, რაც აშშ-ის მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ასე ახსნა: „არავინ არის უფრო მეტად კონსერვატორი, ვიდრე პატარა ფერმერი. ჩვენ ვაპირებთ კურდღლებივით გავამრავლოთ კაპიტალისტები."[59]

ამრიგად, ლიბერალური პოლიტიკა მესამე სამყაროს ქვეყნების მიმართ წარუმატებელია პიროვნების უფლებათა მხარდაჭერაში. ასევე საზიანო შეიძლება იყოს მისი გავლენა ლიბერალიზმზე სახელმწიფოს შიგნით. როგორც ჰობსონმა იმპერიალიზმის შესწავლისას აჩვენა, იმპერიულმა უსაფრთხოებამ და იმპერიულმა ომებმა მოკლევადიან პერიოდში შეიძლება გააუმჯობესოს ისეთი არალიბერალური შიდა რესურსების მდგომარეობა, როგორიცაა სამხედრო ძალა, გრძელვადიან პერიოდში კი პოლიტიკური დებატების დღის წესრიგში დააყენოს უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც კონსერვატიული ოლოგარქიის ან ტექნოკრატიის არალიბერალური კოალიციების როლს ზრდის.[60]

მესამე სამყაროში ლიბერალურ ინტერვენციათა უმრავლესობა შეიძლება აიხსნას გეოპლიტიკური შეჯიბრით, ძალთა ბალანსის თაობაზე რეალისტთა გათვლებით ან აშშ-ის ეროვნული ეკონომიკური ინტერესების ხელშეწყობის სურვილით. მცდელობა, თავიდან იქნეს აცილებული მესამე სამყაროს ქვეყნების საბჭოთა ჰეგემონიის ქვეშ მოქცევა ან დაცულ იქნეს ნედლეულის ძირითადი წყაროები ლიბერალიზმთან დაკავშირებული პოლიტიკის ალტერნატიული ინტერპრეტაციებია, რომლებიც დამაჯერებლად გამოიყურება. თუმცა, ეს ინტერვენციები საჯაროდ გამართლებულია, პირველ რიგში, როგორც „ცხოვრების წესის" შენარჩუნების მცდელობა, რაც მშვიდობისა და კერძო მეწარმეობის დაცვას გულისხმობს. საფრთხე განმარტებულია, როგორც „კომუნიზმი" და არა მხოლოდ „საბჭოელობა" ან „ეკონომიკური ნაციონალიზმი." ამომრჩევლებისაგან დასჯის მოლოდინმა იმ შემთხვევაში, თუ ისინი მათ მიერვე დემოკრატიულ მოკავშირეებად აღიარებულ ჯგუფებს მიატოვებდნენ, ხელი შეუწყო აშშ-ის პოლიტიკოსთა მიერ ვიეტნამიდან ჯარების გამოყვანისადმი უარყოფითი განწყობის შექმნას. არჩევნების ლეგიტიმაციის ძიების თანამიმდევრული პოლიტიკა, რამდენად არაკეთილსაიმედოც უნდა იყოს საამისო პირობები (როგორც, მაგალითად, ვიეტნამში), იმავე ლიბერალურ წყაროს ასახავს.[61] უფრო მეტიც, მესამე სამყაროს რამდენიმე კომუნისტური თუ სოციალისტური სახელმწიფო ესწრაფის, დახუროს თავისი ბაზარი და ნედლეული ლიბერალური მსოფლიო ეკონომიკისათვის. უპირატესად ანტიკოლონიური რადიკალური მოძრაობები, რომელთა წინააღმდეგაც აშშ-მა ინტერვენცია განახორციელა, საბჭოთა კავშირისათვის მხოლოდ დაქვემდებარებული მოკავშირეები არ იყვნენ.

ამასთან, მხოლოდ გეოპლიტიკური შეფასებითაც კი, დიდი ინტერვენციები უკუშედეგების მომტანი შეიძლება იყოს. ინტერვენციებმა დაამტკიცა ან გააფარ-

[59] Arthur Schlesinger, *A Thousand Days* (Boston, MA: Houghton Mifflin, 1965), p. 769. ციტირებულია ნაშრომში: Barnet, *Intervention and Revolution*, p. 158. აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლის კომენტარისათვის სალვადორის მინის რეფორმასთან დაკავშირებით იხილეთ: L. Simon and J. Stephen, *El Salvador Land Reform 1980-81* (Boston, MA: Oxfam-America, 1981), p. 38. იხილეთ: Zolbeg, *One Party Government in the Ivory Coast*.

[60] John Hobson, *Imperialism: A Study* (Ann Arbor: University of Michigan Press, 1965), pp. 145-47.

[61] Leslie Gelb and Richard Betts, *The Irony of Vietnam* (Washington, D. C.: Brookings, 1979). Frances Fitzgerald, *Fire in the Lake* (New York: Vintage/Random House, 1972), chap. 11. ფიცჯერალდი ასე უწოდებს 1967 წლის არჩევნებს. Allan Goodman, *Politics in War* (Cambridge, Mass: Harvard University Press, 1973). გუდმანი არ ეთანხმება ამ აზრს, მაგრამ ამბობს, რომ 1971 წლის არჩევნები ამ აღწერას მიესადაგება.

თოვა კავშირები საბჭოთა ბლოკის შიგნით, როდესაც ჩინეთის სამოქალაქო ომმა (აშშ-ის მიერ გომინდანელთა მხარდაჭერამ) და კორეის ომში იალუსაკენ სვლამ, აგრეთვე, ვიეტნამისა და ანგოლის ომებმა ხელი შეუწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამისა და ანგოლის სსრკ-ზე დამოკიდებულების ზრდას. თითოეული ამ ინტერვენციის დროს აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესები საუკეთესოდ დაკმაყოფილდებოდა კომუნისტური მხარის დახმარებისა და მისი საბჭოთა ბლოკისაგან ჩამოშორების ნახალისების შემთხვევაში, მაგრამ ვინაიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლო კომუნიზმისა და საბჭოთა ძალაუფლების ერთმანეთისაგან განცალკევება, ეს ჩამოცილება შეუძლებელი გახდა. საბჭოთა კავშირი კაპიტალისტური ავტორიტარული ზესახელმწიფოც რომ ყოფილიყო, გეოპოლიტიკური ლოგიკა მაინც უკარნახებდა აშშ-ს მისი ბლოკის გაფართოების წინააღმდეგ ჩარევას.[62] მაგრამ აშშ კომუნიზმის ექსპანსიის საწინააღმდეგოდ ინტერვენციებს ახორციელებს გეოპოლიტიკური შეფასებების მიუხედავადაც. ასე მოიქცა ის (ბრიტანეთთან ერთად) პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.[63]

ამერიკის შეერთებული შტატები ანტიკომუნისტურად განწყობილია იმიტომ, რომ კომუნიზმი საბჭოთა კავშირის მიერ აღიარებული იდეოლოგიაა თუ ლიბერალები ანტისაბჭოურად არიან განწყობილნი იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი კომუნიზმის ცენტრს წარმოადგენს? კომუნისტური და ლიბერალური ზესახელმწიფოების ბიპოლარული დაპირისპირების პირობებში, ინტერვენციის ნახალისებისას, შეუძლებელია გეოპოლიტიკის არაკეთილგონიერული მგზნებარებისა და ლიბერალიზმის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნა. ამრიგად, ლიბერალიზმი სუსტი არალიბერალების წინააღმდეგ ინტერვენციისა და ძლიერი არალიბერალური საზოგადოებების მიმართ მტრობის გამამწვავებელ ძალად გვევლინება.

VII

საერთაშორისო ლიბერალიზმის მეორე გამოვლინება პაციფისტური კავშირის გარეთ გამოიხატება ინტერვენციონიზმის გადამეტებულობაზე რეაქციაში. იმედგაცრუებული უკანდახევის განწყობა – „წინდაუხედავი და ზანტი თვითკმაყოფილება" – ზეგავლენას ახდენს პოლიტიკაზე სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქვეყნების მიმართ. როგორც ინტერვენციონიზმი განიხილება ლიბ-

[62] Robert W. Tucker, *The Radical Left and American Foreign Policy* (Baltimore, Md: The Johns Hopkins University Press, 1971).

[63] მიუხედავად იმისა, რომ გეოპოლიტიკური ანტისაბჭოური განწყობა და ორივე ლიბერალიზმის შედეგები ომის მომდევნო პერიოდში ერთმანეთს ავსებდა და ერთად ინტერვენციას განაპირობებდა, გეოპოლიტიკა და ლიბერალიზმი უფრო იშვიათად ინტერვენციის შეზღუდვასაც ინვევდა. *დამყარებული* კომუნისტური რეჟიმების, მაგალითად იუგოსლავიისა და ჩინეთის განდგომა აღიარებულ და მონონებულ იქნა, მაგრამ მათი სათანადოდ გამოყენება ვერ მოხდა. იუგოსლავიისა და ჩინეთის გამოსვლამ საბჭოთა ბლოკიდან გზა გაუხსნა გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და ეკონომიკის ზრდისა და განვითარების პერსპექტივებს. სხვა შემთხვევაში ამ დამატებით შეზღუდვას ნაკლებად დადებითი შედეგები შეიძლება მოეტანა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ის ეროვნულ-ეკონომიკურ ინტერესებს განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ოპეკ-ის ემბარგომ და 1973-74 წლების ფასთა რევოლუციამ. გეოპოლიტიკური ფაქტორები ინტერვენციის საჭიროებას არ კარნახობდა, რადგან ირანელ „რეგიონულ პოლიციელებს" ესაჭიროებოდათ თანხები იარაღის შესაძენად. კონსერვატორი ლიბერალები სწორად აღიქვამდნენ, რომ შეტევა აშშ-ის ნავთობკორპორაციებზე სერიოზული ვერ იქნებოდა. კეთილდღეობის ლიბერალები კი მივიდნენ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო მესამე სამყაროს ექსპორტისათვის სავაჭრო პირობების გაუმჯობესება, რისთვისაც ნავთობის სექტორი კარგ საწყის ნიადაგად მოჩანდა. ვერც ერთი ზემოაღნიშნული შეზღუდვა ანალოგიურად ვერ შეფასდება 1982 წელს.

ერალური, ძლიერი სახელმწიფოს ტიპურ სისუსტედ, ასევე დამახასიათებელია თვითკმაყოფილება დაღმავლობის ან აღმავლობის გზაზე მყოფი ლიბერალური სახელმწიფოებისათვის.[64] წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოები, შესაძლოა, აღარ გამოთქვამდნენ გეოპოლიტიკური როლის შესასრულებლად საჭირო სამხედრო ისტებლიშმენტის დაფინანსების სურვილს. ლიბერალური ალიანსის ლიდერის გაფართოებული თავდაცვითი ვალდებულებებით სარგებლობის რაციონალურმა სტიმულებმა შეიძლება ამგვარი თვითკმაყოფილების ფორმას მისცეს დასაბამი. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები, არაფორმალურად, ბრიტანეთის ფლოტზე იყო დამოკიდებული, რათა უზრუნველეყო საკუთარი უსაფრთხოების საჭიროებები. დღეისათვის ევროპელები და იაპონელები, ზოგიერთი ამერიკელი სტრატეგიული ანალიტიკოსის აზრით, ვერ ახერხებენ ალიანსის საერთო ტვირთის თავიანთი „სამართლიანი წილის" ზიდვას.

თვითკმაყოფილების სხვაგვარ ფორმას უპირისპირდებიან რეალისტები, რომლებიც იდეოლოგიაზე დაფუძნებულ პოლიტიკას თვითმიმტევებლობად განიხილავენ. მესამე სამყაროს ოლიგარქიული ან ავტორიტარული მოკავშირეები ვერ იღებენ ჯეროვან მხარდაჭერას ლიბერალური პოლიტიკისაგან, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებებზე. მათი მტკიცებით, ამ ქვეყნების უსაფრთხოების მოთხოვნები უგულებელყოფილია და, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ვერ იღებენ სამხედრო დახმარებას ან უფრო პირდაპირ მხარდაჭერას (შაჰის ირანი, უმბერტო რომეროს სალვადორი, სომოზას ნიკარაგუა, სამხრეთ აფრიკა). რეალისტური თვალთახედვით არანაკლებ დასანანია, რომ კომუნისტურ რეჟიმებთან კავშირი არ მყარდება მაშინაც კი, როდესაც მათთან ურთიერთობის განმუხტვა დადებითად შეიძლება აისახოს აშშ-ის სტრატეგიული ინტერესებზე (კუბა, ანგოლა). კეთილდღეობის ლიბერალები განსაკუთრებით ერიდებიან პირველ ჯგუფს, ჩაურევლობის მომხრე ლიბერალები კი მეორესთან ახლო ურთიერთობას ენინააღმდეგებიან. ორივე შემთხვევაში რეალისტები აღნიშნავენ, რომ ჩვენი ეკონომიკური ან სტრატეგიული ინტერესები უგულებელყოფილია.[65]

VIII

და ბოლოს, ლიბერალიზმის ორივე ვარიანტი წარმოქმნის დილემებს ჩრდილოეთ-სამხრეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში, კერძოდ საკუთრებისა ან შემოსავლის საერთაშორისო განაწილებაში. კონსერვატორი, ჩაურევლობის მომხრე ლიბერალები, რომლებიც არ მოელიან იმ საკითხის გადაწყვეტას, უნდა გაფართოვდეს

[64] Robert Gilpin, *War and Change in World Politics* (New York: Cambridge University Press, 1981). გილპინი განიხილავს ცვლილებათა მიზეზებს აღმავლობისა და დაღმავლობის გზაზე მყოფი ჰეგემონური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში.

[65] კირკპატრიკი ყურადღებას ამახვილებს ჩვენს მიერ ავტორიტარიზმის საჭიროების უგულებელყოფაზე, იხილეთ მისი: *Dictatorships and Double Standards*. თეოდორ ლოუვი ამტკიცებს, რომ ესპანეთში ბაზების შეძენისაკენ მიმართული დემოკრატიული და რესპუბლიკური პოლიტიკა ამ დიქოტომიას ასახავს; იხილეთ მისი: "Bases in Spain" in *American Civil-Military Decisions*, ed. Harold Stain (University: The University of Alabama Press, 1963), p. 699. სხვა შემთხვევებში, სადაც პოტენციურად ნეიტრალური ქვეყნის გეოპოლიტიკური და შინაპოლიტიკური ორიენტაცია აშშ-ის დახმარების გავლენას შეიძლება განიცდიდეს, ლიბერალური ინსტიტუტები (წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოები) აყოვნებს ან ზღუდავს და პირობებს უნესებს დიპლომატიას, რაც საშუალებას აძლევს სსრკ-ს შექმნილი მდგომარეობით ისარგებლოს. უორენ კრისტოფერმა დაასკვნა, რომ ეს მოხდა 1979 წელს აშშ-სა და ნიკარაგუას შორის ურთიერთობაში. Warren Christopher, "Ceasefire Between the Branches," *Foreign Affairs*, Vol. 60, No. 5, (Summer 1982), p. 998.

თუ არა წარმოების თავისუფლება მარქსისა და ლენინის მიმდევრებთან საქმიანი კავშირების დონემდე, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამერიკული და ევროპული კორპორაციებისათვის კომუნისტური სამყაროდან შემოსავლების მიმზიდველობის გამო. როგორც სოციალური კეთილდღეობის, ისე ჩაურევლობის მომხრე ლიბერალების ერთგულებას თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობისა და პოლიტიკური უპირატესობისადმი მკაცრი გამოცდის წინაშე აყენებს დაბალფასიანი იმპორტი მესამე მსოფლიოს ახალი ინდუსტრიალიზებული ქვეყნებიდან. ეს იმპორტი საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მრენველობას, რომელიც მიდრეკილია პოლიტიკური აქტიურობისაკენ და დაკავშირებულია კონსერვატიული ან კეთილდღეობის ლიბერალიზმის უკიდურეს გამოვლინებებთან. ზოგიერთი დარგი ეწინააღმდეგება შიდა, საკავშირო ორგანიზაციას (ხარჯების გამო) და ამდენად, მხარს უჭერს ჩაურეველობას საშინაო ეკონომიკაში, კონსერვატიულ ლიბერალიზმს (მათ შირის ყველაზე ცნობილია საფეიქრო მრეწველობა). სოციალური კეთილდღეობის ლიბერალები იმავე პოლიტიკურ დილემებს ანყდებიან მონათესავე წარმოებებში კარგად ორგანიზებული შრომის საკითხში (მაგალითად, ტანსაცმლის წარმოებაში), ან ისეთ დარგებში, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ იმპორტმა შეუქმნა საფრთხე (მაგალითად, ფოლადისა და საავტომობილო წარმოებაში).[66]

გარდა ამისა, კეთილდღეობის ლიბერალს საერთაშორისო ზნეობრივ და საშინაო პოლიტიკურ დილემებთანაც უხდება შეჯახება. თუ ღარიბი ფენა სოციალური კეთილდღეობის ობიექტია, მაშინ გადანაწილება მიმართული უნდა იყოს მსოფლიოს ღარიბთა უდიდესი რიცხვისაკენ, რომელიც მესამე და მეოთხე სამყაროში ცხოვრობს. კეთილდღეობის ლიბერალების სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს ნათელს ფენს სამი არგუმენტი.

პირველი, არსებობს ჰუმანიტარული დახმარების ვალდებულება. პიტერ სინგერის მტკიცებით, ჰუმანიტარული ვალდებულება, რომ პიროვნებამ უნდა გადაარჩინოს ბავშვი, რომელიც წყლის გუბეში იძირება (როდესაც ასეთი საქციელი არ მოითხოვს დიდი ზნეობრივი მნიშვნელობის მსხვერპლშენირვას, მაგალითად, საკუთარ სიცოცხლეს) უნდა გავრცელდეს შიმშილის მსხვერპლთა და ღარიბთა საერთაშორისო დახმარებაზე.[67] ახლახანს ბრაიან ბერიმ ამ ვალდებულების სკეპტიციზმის წინააღმდეგ გაილაშქრა.[68] მაგრამ მისი დასკვნით, მართალია, რთულია ეჭვის შეტანა იმაში, რომ ეროვნული შემოსავლის 25% (აშშ-ის საგარეო დახმარების მაჩვენებელი) ძალიან დაბალია, მაგრამ არ არის დადგენილი, თუ განუზომელი საჭირო თანხიდან რამდენის გაცემაა სავალდებულო დახმარების სახით. ამას შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი გარემოება: ვინაიდან ეს დახმარება ღარიბ ხალხს ესაჭიროება (ძირითადად) მესამე და მეოთხე სამყაროში და ის არ ეკუთვნის მათ სახელმწიფოებს, ჰუმანიტარული დახმარების განაწილების სისტემა რთულდება. რადგან ეს დახმარება მდიდარი ჩრდილოეთის მოსახლეობისაგან მოდის, მსოფლიოს ღარიბთა წინაშე შეუზღუდავი პიროვნული ვალდებულება ტირანული ზნეობრიობის გაჩენის საშიშროებას ქმნის. ეს არც ჩრდილოეთის ლიბერალური მთავრობებისათვის არის იოლად საზიდი ტვირ-

[66] ეკონომიკური პოლიტიკისა და ინტერესთა ჯგუფების შესახებ იხილეთ: J. J. Pincus, "Pressure Groups and the Pattern of Tariffs," *Journal of Political Economy* Vol. 83, No. 4, (August 1975), pp. 757-778 და L. Salamon and J. Siegfried, "Economic Power and Political Influence," *American Political Science Review*, Vol. 71, No. 3, (Septmbers 1977), pp. 1026-1043.

[67] Peter Singer, "Famine, Affluence and Morality, *Philosophy & Public Affairs*, Vol. 1, No. 3, (Spring 1972), pp. 229-43.

[68] Brian Barry, "Humanity and Justice in Global Perspective," *Ethics, Economics and the Law*; *Nomos XXIV*, ed. J. Roland Pennock and John W. Chapman (New York: New York University Press, 1982), chap. 11.

თი. ჰუმანიტარული დახმარებისათვის მდიდარი ლიბერალური საზოგადოებების დაბეგვრას აშკარა პოლიტიკური წინააღმდეგობები ხვდება. ღარიბი ამერიკელი თავისი შემოსავლით მსოფლიოში ყველაზე უზრუნველყოფილ უმცირესობას მიეკუთვნება. მაგრამ შემოსავლების გადანაწილების მოთხოვნა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მსოფლიოს ღარიბების სასარგებლოდ ორ შიდა დაბრკოლებას აწყდება: აშშ-ის ღარიბები თავიანთ ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობაში არიან, ხოლო ჩვენი დემოკრატიული პოლიტიკა საკუთარ არაუზრუნველყოფილ ამომრჩეველთა ინტერესებს უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ უცხოელთა საჭიროებებზე მაღლა აყენებს.

მეორე და მესამე პრობლემები იმ მტკიცებულებიდან გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო გადანაწილება სამართლის ვალდებულებებს ეფუძნება. სამართლიანი გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბება, ისევე როგორც რესურსების თანაბარი განაწილება უსამართლო საერთაშორისო საზოგადოებაში ჭეშმარიტად გადაულახავ ბარიერებს ქმნის.

ქვეყნის შიგნით უკიდურესი უთანასწორობისა და პოლიტიკური დაუმორჩილებლობის დროს კეთილდღეობის ლიბერალები მხარს უჭერენ განვითარებისა და გადანაწილებისაკენ მიმართულ დიქტატურას, რომელიც ათანაბრებს შესაძლებლობებს, რაც აუცილებელია სამართლიანი ლიბერალური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.[69] ეროვნულ დონეზე ასეთი დიქტატორული გადანაწილების ლიბერალურ გამართლებას წარმოადგენს ის, რომ მის გარეშე ჭეშმარიტად დემოკრატიული ლიბერალური პოლიტიკა და სოციალური ეკონომიკა არაეფექტიანია. რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს, საერთაშორისო სისტემაში არსებულმა დიდმა სოციალურმა უთანასწორობებმა, შესაძლოა, შემოგვთავაზოს იგივე გამოსავალი საერთაშორისო წესრიგისათვის. მაგრამ გლობალურ დონეზე ამგვარი გამოსავალი ფუნდამენტურ ლიბერალურ შეზღუდვასთან მოდის წინააღმდეგობაში. ბუნდოვანია ეფექტიანი გლობალური ლიბერალური პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. კანტი გლობალურ სუვერენულობას, ლიბერალური მიზნების მქონესაც კი, გლობალურ ტირანიას უთანასწორებდა, რადგანაც მას წარმომადგენლობის ამომრჩეველთაგან დისტანცირება მოჰყვებოდა. თუკი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა მაქსიმალურად ეფექტიანი რაოდენობა არის ხუთასი, გლობალურ წარმომადგენლობას რვა მილიონი ადამიანი დასჭირდება. კონფედერაციული გადაწყვეტები, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ არჩევნებს ათავსებს, კიდევ უფრო ფიტავს მოქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებას ან ამნიფებს სერიოზულ კონფლიქტს ადგილობრივ მთავრობასა და დაშორებულ კონფედერაციას შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, გადანაწილება, რომელიც გამართლებულია ლიბერალურ დონეზე, ვერ ვრცელდება ლიბერალური ხელისუფლების ფარგლებს მიღმა. ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფოებიც კი უკვე საკმაოდ დიდნი შეიძლება იყვნენ ეფექტიანი ლიბერალური პოლიტიკის გასატარებლად, გლობალურ ხელისუფლებას, მით უმეტეს, არ შეიძლება ჰქონდეს ლიბერალური მიზანი. თუმცა, ზნეობრივი ავტონომიის პერსპექტივის გარეშე, რომელიც წარმომადგენლობითი ხელისუფლების წყალობით მიიღწევა, საერთაშორისო გადანაწილების ეს ფორმა ლიბერალურ ნიადაგზე არ მართლდება.

დამოუკიდებელი სახელმწიფოების საერთაშორისო საზოგადოებაში შემოსავლის სამართლიანად გადანაწილების დილემა განხილული აქვს ბრაიან ბერის. იგი, წარსული ექსპლუატაციის მიზეზით, უარყოფს „სამართლიან კომპენსაციას" (სამართლიან ფასებს), როგორც უსამართლოს იმ ღარიბი საზოგადოებებისათვის, რომელთაც არავითარი რესურსი არ გააჩნიათ და, ამასთანავე, უარყოფს „სა-

[69] Rawls, *A Theory of Justice*, pp. 352-53.

მართლიანი თამაშის" ფორმით გამოხატულ სამართლიანობას (ორმხრივ ვალდებულებებს) მინიმალურად ინტეგრირებულ საერთაშორისო ეკონომიკასთან შეუსაბამობის გამო, რის შემდგომაც სამართლიანად აცხადებს უფლებათა თანასწორობას.[70] იგი იზიარებს ჰარტის არგუმენტს, რომ განსაკუთრებული უფლება (საკუთრებაზე) გულისხმობს ზოგად უფლებას (საკუთრებაზე) და რომ ბუნებრივი რესურსების (ან მემკვიდრეობით ნაბოძების) სამართლიანად დასაკუთრება თანხმობის გარეშე შეუძლებელია. გლობალურ რესურსებზე ყველას თანაბარი უფლებას გააჩნია, შეთანხმების გარეშე. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მდიდარი ქვეყნების შემოსავლებიდან და რესურსებიდან ღარიბ ქვეყნებს გარკვეული წილი ეკუთვნით. უფრო მეტიც, მათ ეს წილი ერგებათ იმ მოთხოვნის გარეშეც, რომ ის ღარიბი ქვეყნების უღარიბესი მოსახლეობისათვის უნდა იყოს განკუთვნილი, რადგან მდიდრებს არ აქვთ უფლება, დააწესონ პირობები იმ შემოსავალსა და საკუთრებაზე, რომელზეც ყველა თანაბარ უფლებას ფლობს. თუ მდიდარ ქვეყნებს გლობალური მოგების ავტონომიურად განკარგვა შეუძლიათ, ღარიბ ქვეყნებსაც იგივე უფლება უნდა ჰქონდეთ.[71]

არსებობს ორი საწინააღმდეგო არგუმენტი, რომელიც ბრაიან ბერის საერთაშორისო სამართლის არადისკრიმინაციულ პრინციპს შეიძლება დავუპირისპიროთ. პირველი, თუ სამართლიანობას განსაზღვრავს პიროვნებათა თანასწორი უფლება გლობალურ რესურსებსა და მემკვიდრეობაზე, მაშინ მდიდარი *ქვეყნები* მოგებას სამართლიანად იღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პიროვნებათაგან სამართლიანად აქვთ შეძენილი (მაგალითად, თანხმობით). მხოლოდ სამართლიან ქვეყნებს აქვთ ეროვნული შემოსავლის დამოუკიდებლად განკარგვის უფლება. დაუშვებელია, უსამართლო მდიდარი ქვეყნები განკარგავდნენ ან იტოვებდნენ შემოსავალს. საპირისპიროდ ამისა, სამართლიან მდიდარ ქვეყანას შეუძლია ეროვნული შემოსავლის ავტონომიურად განკარგვა იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული შემოსავალი წარმოადგენს მის სამართლიან წილს გლობალური შემოსავალიდან. ყველანაირი ჭარბი პროდუქტი ეკუთვნის ღარიბ *ინდივიდებს* ან (სამართლიან) ღარიბ ქვეყნებს, რომელთაც საკუთარ მოქალაქეთა თანხმობის საფუძველზე მოიპოვეს შემოსავლისა და რესურსების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება. უსამართლო მდიდარ და უსამართლო ღარიბ სახელმწიფოებს (პიროვნებების თანასწორუფლებიანობის არგუმენტიდან გამომდინარე) არ უნდა ჰქონდეთ უფლება გლობალურ შემოსავალზე. რომ არსებობდეს სამართალი „ქურდებს" შორის, ის მოითხოვდა უპირობო გადანაილებას უსამართლო მდიდარი ქვეყნებიდან უსამართლო ღარიბი ქვეყნების სასარგებლოდ. მაგრამ ძნელია მიზეზის პოვნა, თუ რატომ უნდა მოერგოს ეს სქემა სამართლიანი მდიდარი ქვეყნების ჭარბ პროდუქტს, გარდა იმისა, რასაც ისინი სამართლიან ღარიბ სახელმწიფოებს უნაწილებენ. გლობალურ ღარიბთა გაერთიანების ზოგიერთი ფორმა (თანამედროვე პეროიდში ამგვარი ინსტიტუტის არარსებობის გამო, შესაძლოა, ასეთად მივიჩნიოთ მსოფლიო ბანკი ან გაერო-ს ბავშვთა დახმარების ფონდი) უფრო უკეთესი მიმღები იქნება, ვიდრე უსამართლო ღარიბი სახელმწიფო. სამართლიანობის ვალდებულება, რომელიც მოითხოვს, ვთქვათ, ნორვეგიისა

[70] Barry, *Humanity and Justice*, p. 234. საერთაშორისო სამართლიანობის შესახებ როულსის არგუმენტის („სამართლიანი თამაშის") შედეგების საილუსტრაციოდ იხილეთ ჩარლზ ბეიტსის ზემოხსენებული ნაშრომის მესამე ნანილი. ხოლო როულსის არგუმენტის საერთაშორისო სამართლიანობაზე განვრცობის კრიტიკასთან დაკავშირებით იხილეთ: Christopher Brewin "Justice in International Relations," *The reason of States*, ed. Michael Donelan (London: George Allen and Unwin, 1978), pp. 151-52.

[71] Barry, *Humanity and Justice*, p. 248.

და შვედეთის მოქალაქეთა დაბეგვრას სომოზას ან დუვალიეს ტიპის პოლიტიკური ლიდერისათვის პირდაპირი ტრანსფერების განსახორციელებლად, ნაცვლად მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან გაერო-ს ბავშვთა დახმარების ფონდის დაფინანსებისა, ზნეობრივ ასპექტში უცნაურად გამოიყურება.[72]

მეორე სანინააღმდეგო არგუმენტი თანამედროვე წესრიგის არაუსაფრთხო მდგომარეობას ასახავს. ვიდრე არ არსებობს უსაფრთხოების გარანტია, გამართლებული ვერ იქნება შემოსავლისა და რესურსების გადანაწილების არადისკრიმინაციული, სამართლის ვალდებულება (უსაფრთხოებისათვის შექმნილი პოტენციური მუქარის დასაძლევად გადანაწილების ჩათვლით). ისრაელის დავალდებულება, თავი დაიბეგროს სირიისათვის, იაპონიისა – ჩინეთისათვის ან ამერიკის შეერთებული შტატებისა – კუბისათვის სართხეს უქმნის ამ სახელმწიფოებში პიროვნებათა უფლებას, მხარი დაუჭირონ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

სამართლიან გადანაწილებასთან დაკავშირებული ეს ორი წინააღმდეგობა არ უნდა იქნეს გამოყენებული პაციფისტური კავშირის შიგნით. ლიბერალურ კავშირში შემავალი სახელმწიფოები თანხმობას ეფუძნებიან და ერთმანეთისათვის მუქარას არ წარმოადგენენ. კავშირის მდიდარ და ღარიბ წევრებს შორის სამართლის ვალდებულება, გადაანაწილონ გლობალური რესურსები და შემოსავალი, ემატება ღარიბთა დახმარების გლობალურ ჰუმანიტარულ მოვალეობას. (რა თქმა უნდა, წინააღმდეგობები შემაშფოთებელია. მათ შორის არის საერთაშორისო შემოსავლის სამართლიანად გაზრდისა და მისი ეფექტიანი გზით განაწილების პრობლემა; დემოკრატიულ მოქალაქეთა დარწმუნება ხანგრძლივი პროგრამის მხარდაჭრის აუცილებლობაში, როდესაც არსებობს არასწორი მენეჯმენტის შესაძლებლობა და როდესაც ავტორიტარულ მოკავშირეებთან სტრატეგიული ურთიერთობები წარმოშობს კონკურენტულ მოთხოვნებს იმ შემოსავალზე, რომლის შოვნასაც ისინი მიჩვეულნი არიან საგარეო მიზნებისათვის. ამ დაბრკოლებებმა ნაკლებად სავარაუდოა, რომ განაპირობოს ამ ვალდებულების საჯაროდ ცნობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არ უნდა იქნეს აღიარებული).

ლიბერალურ და არალიბერალურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში ამ ძვირად ღირებული დილემების დასაბალანსებლად ლიბერლიზმმა ორი მიმზიდველი პროგრამა შეიმუშავა. პირველი არის ადამიანის უფლებათა პოლიტიკა, რომელიც ენინააღმდეგება კოლონიალიზმს და ყურადღებას ამახვილებს მესამე და მეოთხე სამყაროს სახელმწიფოებში მიმდინარე ჩაგვრის მიერ მოტანილ ზიანზე. მეორე კი თავისუფალი ვაჭრობისა და ინვესტირების პოლიტიკაა. მაგრამ არც ერთი არ ყოფილა საკმარისად გავლენიანი. ადამიანის უფლებების მიმზიდველობას სამარცხვინო ლაქა დააჩნია დიქტატურათა მხარდაჭერის ლიბერალურმა პრაქტიკამ. ამასთანავე, ადამიანის უფლებები მესამე სამყაროს დიქტატორული ხელისუფლებებისათვის ნაკლებად მიმზიდველი საკითხია. ბაზარი გასვრილია უთანასწორო გარიგებებით და ამჟამად ისინი „ახალი პროტექციონიზმის" აღმავლობის პირობებში უფრო თანას-

[72] ბერის საერთაშორისო განანილების არგუმენტის საწინააღმდეგოდ გაკეთებული პირველი განცხადების არც ერთი ნანილი არ უგულებელყოფს ეროვნულობის უფლებას და არ ამართლებს ლიბერალურ იმპერიალიზმს. როგორც ეროვნულობა, ისე საკუთრება სახელმწიფოებრივი უფლებებია, რომლებიც ადამიანთა თანასწორობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება. ეროვნულობა მხოლოდ კოლექტიურად შეიძლება იქნეს განცდილი, საკუთრებას კი, ამასთანავე, ინდივიდუალური ფორმაც შეიძლება გააჩნდეს. გლობალურ ერთობაში განევრიანების ვერც ერთი საერთაშორისო გეგმა ვერ შეცვლის ეროვნულობას – ერთგულების უმთავრეს ობიექტად ერის აღიარებას; ინდივიდებისათვის შემოსავლის საერთაშორისო წყაროთა არსებობა კი ჩაანაცვლებს ან დაძლევს კორუმპირებულ სახელმწიფოს.

წორი ხდება.

ლიბერალური პრინციპები და ეკონომიკური ინსტიტუტები თავიანთ მიმზიდველ პოტენციალს ინარჩუნებს მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მათი მეშვეობით ვერ კმაყოფილდება მესამე სამყაროს ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბება და სოციალური უთანასწორობის შემცირება. ამ პოტენციალის ლიბერალური პრაქტიკის ტვირთისაგან გათავისუფლება არის ის გმირული ნაბიჯი, რომელიც ლიბერალურმა სამყარომ ჯერ კიდევ უნდა გადადგას.

ამრიგად, ლიბერალიზმმა განსაკუთრებულ ნარმატებას მიაღწია ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში, ისევე, როგორც განსაკუთრებული მარცხი განიცადა ლიბერალურ და არალიბერალურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში. ორივე ტენდენცია ღრმად ფესვგადგმულია ლიბერალიზმის ფუნქციონირებაში ეროვნულ საზღვრებში და მათ გარეთ. ორივე მათგანი საგარეო საქმეებში ლიბერალიზმის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

IX

არც ერთი ქვეყანა არ ცხოვრობს თავის პოლიტიკურ იდეოლოგიასთან მკაცრ შესაბამისობაში და ლიბერალურ სახელმწიფოთა ძალიან მცირე რიცხვი არის ისევე ჰეგემონურად ლიბერალური, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები.[73] აშშ-იც კი, გარკვეული ინტერესები და ადგილობრივი მოქმედი პირები თავიანთ ლეგიტიმურობას ლიბერალიზმისაგან განსხვავებული წყაროებიდან ღებულობენ. სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ბიუროკრატია ასახავს ერთაშორისი პოლიტიკისადმი ისეთ მიდგომას, რომელიც სხვა სახელმწიფოებზე, განსაკუთრებით კი მუქარის შემქმნელ სახელმწიფოებზე არის ფოკუსირებული. მათი პოლიტიკა, შესაბამისად, ეროვნული ინტერესების რეალიზმისეულ ჩარჩოში ჯდება. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ნაწილსა და იაპონიას „რეალური" ეროვნული ინტერესების უფრო სინკრეტული და ორგანული წყაროები აქვთ. მაგრამ აშშ-ში და სხვა ნაკლებად ლიბერალურ სახელმწიფოებში, სახელმწიფო პოლიტიკის ლეგიტიმურობა მომდინარეობს ლიბერალურ პრინციპებთან მისი თანხვედრიდან. პოლიტიკა, რომელიც არ ეყრდნობა ლიბერალურ პრინციპებს, როგორც წესი, მარცხს განიცდის მოსახლეობის მხრიდან გრძელვადიანი მხარდაჭერის შენარჩუნებაში. მე ვამტკიცებ, რომ ეს პრინციპები დღემდე დამყარებული საერთაშორისო მშვიდობის ყველაზე წარმატებული ზონის მყარ საფუძველს შეადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არალიბერალური სამყაროს მიმართ კონფლიქტური და გაუგებარი საგარეო პოლიტიკის წყაროა. სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების საიმედო და გრძელვადიანი გათვლების გამოყენებით არალიბერალური სამყაროს მიმართ პოლიტიკის გაუმჯობესება მოითხოვს ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობას, რომლებიც არათავსებადია ლიბერალურ პოლიტიკასა და ალიანსთან: მაგალითად, ავტონომიური აღმასრულებელი ხელისუფლება ან საპრეზიდენტო და სამხედრო პირების დომინირება საგარეო პოლიტიკაში, რათა მოხდეს მოქნილი და სხარტი რეაგირება სტრატეგიულ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე. მშვიდობიან დროს ასეთი „საგანგებო" ზომები ლიბერალური დემოკრატიისათვის მიუღებელია. უფრო მეტიც, ისინი დაარღვევდა

[73] Louis Hartz, *The Liberal Tradition in America* (New York: Harcourt, Brace and World, 1953). აშშ ერთ-ერთია იმ რამდენიმე ლიბერალურ სახელმწიფოს შორის, სადაც ორივე ნამყვანი პოლიტიკური ფრაქცია (პარტია) ლიბერალურია. სხვა ქვეყნებში შერეული ან ურთიერთდაპირისპირებული ფრაქციებია – არისტოკრატიული ან სახელმწიფო-ბიუროკრატიული, რომლებიც უფრო ცენტრისტულ ლიბერალურ ფრაქციებს ეჯიბრებიან.

სტაბილური მოლოდინების ჯაჭვს და კერძო და საზოგადოებრივი საინფორმაციო არხებისა და მატერიალური ლობირების ქსელს, რომელიც პაციფისტურ კავშირს ინარჩუნებს. მოკლედ რომ ვთქვათ; ლიბერალურ დილემათა სრულად გადაწყვეტა, ალბათ, შეუძლებელია ლიბერალური წარმატებისათვის საფრთხის შექმნის გარეშე.

მაშასადამე, დაინტერესებული ლიბერალების მიზანი უნდა იყოს დილემათა ზიანის მომტანი გავლენის შემცირება წარმატებისათვის ნიადაგის გამოუცლელად. არ არსებობს ეფექტიანი ლიბერალური საგარეო პოლიტიკის მარტივი ფორმულა. მისი მეთოდები უნდა ამოქმედდეს გარკვეულ საკითხებსა და ქვეყნებში. მაგრამ ლიბერალური მემკვიდრეობა გვთავაზობს ლიბერალური პოლიტიკის შემუშავების ისეთ ორიენტირებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ეროვნული ინტერესების მაქსიმიზაციის რეალისტურ პროპაგანდას.

პირველი, თუ „საჯაროობა" შეუძლებელს ხდის რადიკალურად არათავსებად პოლიტიკას ლიბერალურ რესპუბლიკაში, მაშინ ლიბერალურ და არალიბერალურ სამყაროსთან დამოკიდებულებაში პოლიტიკამ ზოგადი ლიბერალური პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს. ლიბერალურმა პოლიტიკამ უნდა სცადოს ლიბერალური პრინციპებისათვის ხელის შეწყობა საზღვარგარეთ: ადამიანის ძირითადი უფლებების, სამოქალაქო უფლებებისა და დემოკრატიის დაცვა და მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის მოქმედების არეალისა და ეფექტიანობის გაზრდა. როგორც კანტი ამტკიცებდა, ამ პრინციპებს შორის მნიშვნელოვანია მარადიული მშვიდობის ტრაქტატის „შესავალი მუხლები": სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის განვრცობა არალიბერალურ მთავრობებზეც და ომის კანონების ზედმიწევნით დაცვა.[74] როგორც ჯონ სტიუარტ მილი ამბობდა, ეს გულისხმობს საგარეო აგრესიის საფრთხის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების მხარდაჭერისა და სამოქალაქო ომების დროს გარეშე ინტერვენციის საწინააღმდეგოდ ჩარევის უფლებას.[75] უფრო მეტიც, ძლიერი და სუსტი, მტრული და მეგობრული არალიბერალური სახელმწიფოებისადმი ლიბერალური სახელმწიფოების დამოკიდებულება *ერთსა და იმავე* სტანდარტებს უნდა ექვემდებარებოდეს. არ არსებობენ გეოპოლიტიკური მოკავშირეები ან მტრები, თუ არ ხდება მათი ლიბერალური პრინციპების მიხედვით დადგენა. ეს პოლიტიკა თავისი არსით, ისეთივე რადიკალურია, როგორც ჟღერს. ის მოითხოვს ეროვნული ინტერესებისა და ძალთა ბალანსის, როგორც პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპის, უარყოფას. აშშ-ის ინტერესები მის პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს. ჩვენ არ უნდა გვყავდეს ლიბერალური მტრები და არ უნდა გვქონდეს უპირობო ალიანსები არალიბერალურ სახელმწიფოებთან.

მეორე, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დღევანდელ პირობებში, აღნიშნულმა პოლიტიკამ, შესაძლოა, ეკონომიკური ომები კომუნიზმისა და მესამე სამყაროს მემარცხენე თუ მემარჯვენე ავტორიტართა წინააღმდეგ ლიბერალური „ჯვაროსნული ლაშქრობის" წამოსაწყებად გამოიყენოს. მან შეიძლება აგრეთვე გამ-

[74] იხილეთ "Preliminary Articles" p. 431-36. აქ წარმოდგენილ პოლიტიკასა და ლიბერალური შეხედულებების თანამედროვე პრაქტიკულ გამოყენებას შორის პარალელებისათვის იხილეთ: Richard Ullman, "The Foreign World and Ourselves: Washington, Wilson and the Democratic Dilemma," *Foreign Policy*, (Winter, 75/76) da Stanley Hoffmann, *Duties Beyond Borders* (Syracuse: Syracuse University Press, 1981), chaps. 2-4. მაიკლ უოლცერმა, თავის წიგნში *Just and Unjust Wars* (New York: Basic Books, 1977), გადასინჯა ლიბერალური შეხედულებები ომების სამართლიანობასა და ომებში სამართლიანობასთან დაკავშირებით.

[75] საინტერესოა, რომ მილის მიმდევარი ლიბერალი იმპერიალისტიც კი ახლა აღიარებდა, რომ ჩაურევლობის უფლება უნდა გაერცელდეს თანამედროვე მესამე სამყაროს მიმართ. რადგან „ცივილიზაციაში" ჩამოყალიბებული კრიტერიუმები (კომერციალიზაცია, უსაფრთხოება) დღეს-დღეობით ყველა ხალხთან გეხედება, მილი აღმოაჩენდა, რომ აღარ არსებობენ „ბარბაროსი ერები," რომლებიც იმპერიულ მმართველობას საჭიროებენ.

ოიწვიოს იზოლაციონიზმი და მხოლოდ ერთი პრინციპის დაცვა, რომელიც აშშ-ის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლებას გულისხმობს. ეს ორივე პოლიტიკა შეესატყვისება ლიბერალურ პრინციპებს, მაგრამ არც ბირთვულ ეპოქაში უსაფრთხოებას უწყობს ხელს და არც ღარიბთა და ჩაგრულთა საჭიროებების შესაბამის პერსპექტივებს ზრდის. აბსტრაქტული უნივერსალიზმის ექსტრემისტული შესაძლებლობების თავიდან ასაცილებლად აშშ-ის ლიბერალური პოლიტიკა უფრო მეტად უნდა შეიზღუდოს გეოპოლიტიკური ბიუჯეტით. აქ უსაფრთხოების რეალისტური გათვლა გადარჩენისა და კეთილგონიერების სტანდარტებს უზრუნველყოფს, საიდანაც სათავეს იღებს ისეთ ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებას ლიბერალურ უფლებად აღიარებს. ეს სტანდარტი ითვალისწინებს კეთილგონივრულ პოლიტიკას აშშ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი, მართლაც, ერთადერთი სტრატეგიული საფრთხის – სსრკ-ის მიმართ. მას შემდეგ, რაც რეალისტები საბჭოელებთან მიმართებაში კეთილგონივრულ პოლიტიკას განსაზღვრავენ, ლიბერალებს შეეძლებათ ინიციატივის ხელში აღება და საბჭოთა კავშირზე უფრო ლიბერალურ ქვეყნებთან ურთიერთობაში – მხარდაჭერისა და ურთიერთდამოკიდებულების, ხოლო სსრკ-ზე ნაკლებად ლიბერალურ ქვეყნებთან ურთიერთობაში შეზღუდვებისა და შეკავების პოლიტიკის გატარება.[76]

და მესამე, ლიბერალური პოლიტიკის გარკვეულ მახასიათებლებზე გავლენას მოახდენს ამომრჩეველთა გადაწყვეტილება, იმართებოდნენ ჩაურეველობის მომხრე თუ სოციალ-დემოკრატიული ადმინისტრაციის მიერ. მაგრამ ლიბერალიზმის ამ ორივე მიმართულებამ მხედველობაში უნდა მიიღოს კეთილგონივრული, ლიბერალური საგარეო პოლიტიკის შემდეგი ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები:

სსრკ-სთან ურთიერთობაში კეთილგონივრული პოლიტიკა მოითხოვს ჩვენი პოლიტიკური უძლურების გულწრფელად აღიარებას წარმატებული, რეფორმატორული „ჯვაროსნული ლაშქრობის" წარმართვაში. ნაცვლად ამისა, ორმხრივად მომგებიანი შეთანხმებები უნდა იქნეს მიღწეული იმდენად, რამდენადაც მათში ლიბერალური პრინციპები არ შეილახება ან გრძელვადიანი საბჭოთა ინტერესები აშშ-ისა და ლიბერალური მსოფლიოს გრძელვადიან ინტერესებზე მაღლა არ დადგება. ამ თვალსაზრისით, ცენტრალური ადგილი უნდა დაეთმოს შეიარაღებაზე კონტროლსა და სამოქალაქო ეაჭრობის გაფართოებას. ჩვენ სირთულეები შეგვხვდება, როდესაც ჩვენი ლიბერალი მოკავშირეები მოგებას მიიღებენ ისეთი სავაჭრო გარიგებებიდან, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში, შესაძლოა, ხელსაყრელი იყოს საბჭოთა კავშირისათვის (მაგალითად, კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვა). ეს სიტუაციები დიპლომატიური გზით ძნელად მოსაგვარებელია, რადგან სტრატეგიული სარგებლის შეფასება, როგორც წესი, არ არის ერთმნიშვნელოვანი და ეკონომიკური სარგებლის განსაკუთრებულმა ბუნებამ (ვთქვათ, ხორბლის გაყიდვამ კომპიუტერების გაყიდვის ნაცვლად) სტრატეგიული რისკის განსაზღვრაზე შეიძლება მოახდინოს გავლენა. ლიბერალებმა აგრეთვე უნდა უზრუნველყონ ის, რომ სსრკ-ზე დამოკიდებულების არხები (როგორიც არის გაზსადენი) არ გახდეს ლიბერალური პოლიტიკის შემზღუდველი ფაქტორი, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს მოკავშირეებისათვის ალტერნატიული წყაროების (მაგალითად, ურანის) მინდობით ან ენერგიის იმპორტის

[76] ამ პუნქტების წერაში დამეხმარა ფუად აჯამის, თომას ფარერისა და რიჩარდ ულმანის კომენტარები. დეტანტის კეთილგონივრული არგუმენტაციის ბოლოდროინდელი მაგალითისათვის იხილეთ: Stanley Hoffman, "Detente Without Illusions," *New York Times*, 7 March 1983. ლიბერალური საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრული აღწერისათვის, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი შეხედულებების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, იხილეთ: Marshall Cohen, "Toward a Liberal Foreign Policy," in *Liberalism Reconsidered*, ed. by D. MacLean and C. Mille (Totowa, NJ: Rowman and Littlefield, 1983).

ფასების დაბალანსებითა და საგანგებო ვითარებაში დამატებითი რესურსების მოძიებით. თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირის უნარს, დაძლიოს დასავლეთის მიერ შექმნილი ნაკლებობა რესურსებში, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში იქნება ნათელი (საბედნიეროდ, ლიბერალური კავშირის ერთიანობის გამო), რომ ემბარგო ცალსახად ხელს შეუშლის საბჭოთა კავშირს და დაეხმარება ლიბერალურ ალიანსს.[77]

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დამოკიდებულებაში მსგავსი ლიბერალური პრინციპები ვაჭრობის საშუალებას იძლევა, რაც გულისხმობს იარაღის მიყიდვას სახელმწიფოსათვის, რომელიც საბჭოთა კავშირზე არანაკლებ მკაცრია საკუთარ ქვეშევრდომთა თავისუფლების შეზღუდვაში, მაგრამ მასზე გაცილებით ნაკლებად მკაცრია უცხოელთა თავისუფლების შეზღუდვაში. თუმცაღა, გაფართოებული ალიანსის ჩამოყალიბების სტრატეგიული ცდუნება უნდა აღიკვეთოს. ასეთმა ალიანსმა შეიძლება დამღუპველი უკუეფექტი იქონიოს მაშინ, როდესაც ლიბერალური საზოგადოებრიობა ანტილიბერალური მმართველობის ჩინური აჩრდილების მეშვეობით დაუპირისპირდება პოლიტიკის შემოქმედებს.

კონტროლი შეიარაღებაზე, ვაჭრობა და მესამე სამყაროს არალიბერალურ სახელმწიფოებთან შეთანხმება, პირველ რიგში, უნდა ფასდებოდეს სსრკ-ს მიმართ კეთილგონივრულ პოლიტიკის ასპექტში, ხოლო შემდეგ უნდა ასახავდეს ლიბერალური პრინციპების ისეთ ხარისხს, რომელსაც მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მოიცავს. მართალია, ჩვენს პოლიტიკას ლიბერალური პრინციპები უნდა ნარმართავდეს, მაგრამ ის უნდა გათავისუფლდეს პრეტენზიისაგან, რომ, ნებისა და მატერიალური სიუხვის წყალობით, მესამე სამყაროში დასავლური ტიპის საზოგადოებებს შექმნის. ლიბერალური ალიანსი მზად უნდა იყოს, ჰქონდეს სსრკ-ის მსგავსი დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობები ყველა სახელმწიფოსთან, რომელიც ლიბერალური უფლებებისადმი უფრო მეტად რეპრესიული არ არის, ვიდრე საბჭოთა კავშირი. მაგალითად, ჩრდილოეთ კორეა ან მოზამბიკი იმსახურებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დონის ურთიერთობებს; ვიეტნამი, საგარეო თავდასხმებითა და ანგოლა, შიდა ეთნიკური კონფლიქტით – საბჭოთა კავშირის დონის ურთიერთობებს. სამხრეთ აფრიკას, როგორც ერთ-ერთს იმ სახელმწიფოთაგან, რომელიც უარყოფს საკუთარ ქვეშევრდომთა თანასწორობას სამართლის წინაშე, ისეთივე დამოკიდებულება ეკუთვნის, როგორც ამინის უგანდასა და პოლ პოტის ქმერის რესპუბლიკას, მხოლოდ უფრო მკაცრი, ვიდრე სსრკ-ს. უნდა შენყდეს იარაღის მიყიდვა, უნდა აიკრძალოს ინვესტირება ადამიანის უფლებებზე მისი ზეგავლენის გამო და უნდა შეიზღუდოს ვაჭრობა ჰუმანიტარული საქონლის დონემდე, რაც ხელს არ შეუწყობს *აპართეიდის* სიცოცხლისუნარიანობას.

სხვაგან ლიბერალური სამყარო მზად უნდა იყოს, ჩაებას რეგულარულ ვაჭრობასა და ინვესტიციებში მესამე სამყაროს იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე მეტად არ ზღუდავენ თავისუფლებას. ეს, შესაძლოა, მოიცავდეს იმ იარაღით ვაჭრობას, რომელიც ლიბერალური სამყაროს სსრკ-საგან თავდაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის. უფრო მეტიც, ლიბერალურმა სამყარომ უნდა მიმართოს დამატებითი ზომებს, რათა დაეხმაროს მესამე სამყაროს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ცდილობენ დააკმაყოფილონ საკუთარი მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებები, ასევე შეინარჩუნონ და განავრცონ ბაზრისა და დემოკრატიული მონაწილეობის როლი. ამ პოლიტიკის პოტენციური ნარმატება დიდწილად დამოკიდებულია მესამე სამყაროს ზრდის პირობებში ლიბერ-

[77] იხილეთ ჟურნალ *Economist*-ის მიერ საბჭოთა ტექნოლოგიის შესწავლა, 1981 წლის ივნისი, და ეკონომიკური სანქციების გამოყენების თაობაზე არსებული ფართო ლიტერატურა, მათ შორის: F. Holtzman and R. Portes, "Limits on Pressure," *Foreign Policy* (Fall 1978), No. 32, pp. 80-90.

ალური ბაზრის შენარჩუნების უნარზე, რადგან ბაზარი არის ლიბერალურ სამყაროსთან (რომლის განვლილ ისტორიაში იმპერიული ჩაგვრაც არის) მესამე სამყაროს შეთანხმების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. ამას უნდა დაემატოს ორმხრივად სასარგებლო ღონისძიებები, რომლებიც მესამე სამყაროს ეკონომიკური ქმედუნარიანობის გასაუმჯობესებლად უნდა შემუშავდეს. ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების დაზღვევა, ექსპორტის დივერსიფიცირებისათვის ხელის შეწყობა და ტექნიკური დახმარება ზოგიერთი მათგანია. (სოციალურმა დემოკრატებმა უნდა გადადგან ნაბიჯები საერთაშორისო დახმარების ჰუმანიტარული და საერთაშორისო სამართლის შეზღუდული ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც მდიდარ ქვეყნებს ღარიბი ადამიანებისა და [სამართლიანი] ღარიბი ქვეყნების მიმართ აქვთ).

ლიბერალებმა ცდა არ უნდა დაიშურონ მადესტაბილიზებელი, პროტექციონისტური ჩარევებისაგან მსოფლიო ეკონომიკის დასაცავად. მართალია, ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება კონფლიქტებს ბადებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ის ხელს უწყობს ლიბერალური საზოგადოებების მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებასა და მესამე სამყაროს იმ სახელმწიფოთა განვითარების გზას გვთავაზობს, რომელთა ბაზრებსაც ამჟამად მცირე შემოსავლები გააჩნია. ურთიერთდამოკიდებულების მართვის საშუალებათა ძიება იმ პირობებში, როდესაც სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ წარმოების მოზღვავება გამოიწვია (და, ამავდროულად, მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის უზარმაზარი რიცხვი არ შეამცირა), მოითხოვს რთულ ეკონომიკურ კორექტივებს საშინაო დონეზე და ინსტიტუციურ ინოვაციებს მსოფლიო ეკონომიკაში. ამ სიახლეებს შეიძლება ესაჭიროებოდეს ბევრად მეტი, ვიდრე უბრალოდ საშინაო ეკონომიკის ნაკლებად ზედმიწევნითი რეგულირება და საერთაშორისო ეკონომიკის ნაკლებად დაგეგმილი დეზინტეგრაცია. ამ პირობებში ლიბერალებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ ისეთ მტკივნეულ დანაკარგებს, როგორიცაა, მაგალითად, ბაზრის რღვევით ან შეზღუდვით განპირობებული ზარალი, არ მოჰყვეს მუდმივი საშემოსავლო დანაკარგები ან მსოფლიო ბაზრისაგან გამოთიშვა. მეტიც, ამ საგანგებო ზომების იზოლაციონიზმში გადაზრდის თავიდან ასაცილებლად, ლიბერალურმა სახელმწიფოებმა ხსენებული ინოვაციები უნდა განახორციელონ მხოლოდ საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული შეთანხმებები ყველა მხარის მიერ რეგულარულ გადასინჯვას დაექვემდებარება.[78]

უპირველეს ყოვლისა, ლიბერალური პოლიტიკა უნდა ცდილობდეს ერთნაირად ლიბერალური საზოგადოებებისაგან შემდგარი პაციფისტური კავშირის შენარჩუნებას. ეს ამჟამად არა მხოლოდ განუზომელი სტრატეგიული ღირებულების საკითხია (როგორც ნატო-სა და იაპონიასთან ალიანსის პოლიტიკური საფუძველი), არამედ მშვიდობიანი მსოფლიოს ევოლუციის ერთ-ერთი უმთავრესი იმედიც. ლიბერალები მზად უნდა იყვნენ, დაიცვან და ოფიციალურად დაეხმარონ ჭეშმარიტად ლიბერალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომელთაც საგარეო თავდასხმის ან შიდა გადატრიალების საფრთხე ემუქრება.

სტრატეგიული და ეკონომიკური რეალისტები ამ ლიბერალურ პოლიტიკას ზედმეტი ვალდებულებების აღებაში ან საერთოდ ვალდებულებების უქონლობაში ადანაშაულებენ. რეალისტები ამტკიცებენ, რომ ნარსულის გულდასმით გააზრების შედეგად შესაძლებელია თანამედროვე სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესე-

[78] იგივე და მსგავსი სტრატეგიები გვხვდება ფრედ პირშთან და მაიკლ დოილთან, აგრეთვე ნაშრომებში: C. Fred Bergsten et al. "The Reform of International Institutions." Richard N. Cooper et al., "Towards a Renovated International System" (Triangle Papers 11, 14), in *Trilateral Commission Task Force Reports: 9-14*, (New York: New York University Press, 1978).

ბის იერარქიის გასაგები ფორმით წარმოდგენა. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ სტრატეგიულად მომგებიან მოკავშირეებს მათი შინასახელმწიფოებრივი სისტემების მიუხედავად. ჩვენი ძალაუფლების მიზანი უნდა იყოს ჩვენი ამჟამინდელი ძლიერების მაქსიმიზაცია. გლობალური ეკოლოგები და მემარცხენეები ამტკიცებენ, რომ შეუძლიათ წინასწარ განჭვრიტონ მომავალი უბედურებები, რისთვისაც დღეიდანვე უნდა მოვემზადოთ რადიკალური ინსტიტუციური რეფორმებით.

მაგრამ ლიბერალები ყოველთვის ეჭვობდნენ, რომ ჩვენ არ გვაქვს უნარი, აკურატულად და მიუკერძოებლად გავიაზროთ წარსული და ვიწინასწარმეტყველოთ მომავალი. ლიბერალიზმი განსაკუთრებულად სკეპტიკური ხასიათის ოპტიმისტური იდეოლოგიაა. ლიბერალები ვარაუდობენ, რომ ინდივიდები პირად ინტერესებზე ორიენტირებულნი არიან და საკუთარი კონფლიქტური ინტერესების რაციონალურად შეთანხმება შეუძლიათ. მათი მტკიცებით, ისეთი პრინციპები, როგორიცაა კანონის უზენაესობა, უმრავლესობის მმართველობა და კერძო საკუთრების დაცვა, რაც რაციონალური, პირად ინტერესებზე ორიენტირებული ადამიანების ურთიერთშეთანხმებიდან გამომდინარეობს, თანამედროვე პოლიტიკის საუკეთესო სახელმძღვანელოა. ეს პრინციპები აფერხებს ამჟამინდელი ყველა ხელსაყრელი შესაძლებლობის გამოყენებას. ისინი აგრეთვე უგულებელყოფს იმას, რაც შორსმჭვრეტელი რეფორმა შეიძლება აღმოჩნდეს. ლიბერალებს სჯერათ, რომ თანამედროვეობის პრინციპები წარმოშობს შეთანხმებულ ქცევას, რომელიც წარსულის მსგავს კონფლიქტებს აარიდებს თავს და მომავალ საფრთხეებს შეამცირებს. წარსულში რისკი ყოველთვის არ ყოფილა გამართლებული (როგორც სუდეტური სეპარატიზმის აღიარების შემთხვევაში) და არც სამომავლოდ გვაქვს ამის გარანტია (მაგალითად, ბირთვული იარაღის გავრცელებასა და გარემოს დაბინძურებაზე კონტროლის სფეროში). მაგრამ ლიბერალიზმს არ შეუძლია *პოლიტიკური* მხარდაჭერა აღმოუჩინოს არალიბერალურ პოლიტიკას. ლიბერალური პოლიტიკა ეფუძნება სხვადასხვა წინაპირობას. ის წარმოადგენს პოლიტიკას, რომელიც შეიძლება კეთილსინდისიერად აღიაროს ლიბერალურმა სამყარომ და შეინარჩუნოს ლიბერალური დემოკრატიების ელექტორატმა.

ამომრჩეველთა მოთხოვნების საპასუხოდ, ლიბერალურმა სახელმწიფოებმა საკუთარ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა მოქალაქეებსაც უნდა დააკისრონ. ლიბერალური საგარეო პოლიტიკის ძირითადი სიმძიმე ქვეყნის შიგნით მოდის. მისი სამხედრო ხარჯები გადასახადის გადამხდელებზე აისახება და, ამასთან ერთად, ლიბერალური საგარეო პოლიტიკა მოითხოვს ნაკლებად კონტროლირებად საერთაშორისო პოლიტიკურ გარემოზე მორგებას – სტატუს კვოს უარყოფას. საშინაო ასპარეზი ლიბერალური სტრატეგიის ფრონტის წინა ხაზი ხდება. საგარეო ცვლილებების დაშვება საშინაო ცვლილებებთან შეგუებას მოითხოვს. სპარსეთის ყურეში იმპერიული ზეგავლენის შენარჩუნებაზე უარის თქმა ენერგეტიკულ რესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას ნიშნავს. მესამე სამყაროს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ვაჭრობისა და წარმოების რეგულირებას შეიძლება საჭიროებდეს. არჩევანი უნდა გაკეთდეს, ერთი მხრივ, თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პირობებში, ლიბერალური პრინციპების ხარჯზე ლიბერალიზმის მატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და, მეორე მხრივ, ცვალებად მსოფლიოში ადაპტაციის ისეთი გზების პოვნას შორის, რომლებიც ლიბერალურ პრინციპებს დაიცავს.

პირველი დამატება

კანტი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის ბუნებრივი ევოლუცია, უსათუოდ მიიყვანდა კაცობრიობას მშვიდობამდე ლიბერალური რესპუბლიკური სახელმწიფოების პაციფისტური კავშირის გაფართოების გზით. 1795

წელს ეს უჩვეულო წინასწარმეტყველება იყო. 1981 წელს, დაახლოებით ორასი წლის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ კანტი მართალი იყო. ლიბერალურ სახელმწიფოთა პაციფისტური კავშირი საგრძნობლად გაფართოვდა. ლიბერალური სახელმწიფოები ჯერჯერობით არ ჩაბმულან ომში ერთმანეთის წინააღმდეგ. საერთაშორისო მშვიდობა არ არის უტოპიური იდეალი, რომელიც შორეულ მომავალში მაინც არ მიიღწევა. ის არის მდგომარეობა, რომელიც ლიბერალურმა სახელმწიფოებმა ერმანეთთან ურთიერთობაში უკვე გამოსცადეს. იძლევა თუ არა ეს ისტორია გლობალური მშვიდობის დამყარების იმედს?

კანტი არ ვარაუდობდა, რომ მშვიდობის დამყარების პროცესი მუდმივად პროგრესირებადი ექნებოდა. იგი მრავალ უკანდახევასაც მოელოდა. 1795 წლის შემდეგ, ისტორიის გარკვეულმა პერიოდებმა, ნაპოლეონის ომებისა და ორი მსოფლიო ომის ჩათვლით, ეს პესიმიზმი სრულად გაამართლა. მომავალმა, შესაძლოა, უფრო მეტი ფუნდამენტური უკანდახევა მოიტანოს.

პირველი, ლიბერალური რესპუბლიკების შექმნამდე ადამიანები მიიყვანა შინა და საერთაშორისო ომების ზეწოლამ. შესაბამისად, უთანხმოებებმა წარმოშვა ის ძირითადი ინსტიტუტები, რომელთაც ლიბერალური მშვიდობა ემყარება. მაგრამ, კანტისეული ომის ლოგიკა შეიძლება გააქარწყლოს ბირთვული განადგურების ლოგიკამ. რაოდენ დამაჯერებელი ზნეობრივი საფუძველიც არ უნდა იყოს დაცარიალებული გლობალური სივრცე მშვიდობისათვის, ის ვეღარ უზრუნველყოფს გადარჩენილთათვის მატერიალურ ბაზისს. მართლაც, კანტის მიერ ნანინასწარმეტყველები საგანმანათლებლო ომების ცვალებადი და ხანგრძლივი პროცესი ბირთვული იარაღის პირობებში შეუძლებელი ხდება. დიდი ხნით ადრე, ვიდრე ერები დაამთავრებენ რესპუბლიკანიზმისაკენ თავიანთი სრულყოფის პროცესს, ბირთვულმა განადგურებამ ისინი ბარბაროსობის მდგომარეობამდე შეიძლება დაიყვანოს. თუმცა, ბირთვული ლოგიკა აგრეთვე ავითარებს სიფრთხილის გრძნობას (შიშის წონასწორობას), რომელმაც, შესაძლოა, დააჩქაროს მშვიდობის დამყარება მანამდე, სანამ რესპუბლიკები მსოფლიოში ჰომოგენურ მმართველობას დაამყარებენ.[79]

მეორე, კანტის ვარაუდით, რესპუბლიკები წარმოადგენენ პოლიტიკური ევოლუციის საბოლოო წერტილს: „უზენაეს ამოცანას, რომელიც ბუნებამ კაცობრიობას დაუსახა." რესპუბლიკების მზარდი რიცხვი, სიცოცხლისუნარიანობა და გავრცელება საგარეო ჩაგვრისაგან თავისუფალ ყველა კონტინენტზე და კულტურაში, სარწმუნო ხასიათს სძენს მის მსჯელობას. მიუხედავად ამისა, დიდმა და ხანგრძლივმა დეპრესიამ ან სწრაფმა ინფლაციამ შეიძლება მოამწიფოს პირობები, რომლებიც ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების ჩამოყალიბებას გამოიწვევს. განსხვავებულად მოაზროვნეთა აღმოსაჩენად თვალთვალის ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობამ, შესაძლოა, მოსახლეობას ასეთი რეჟიმების აღკვეთა გაუძნელოს. ბირთვულმა შეკავებამ კი გარეშე საფრთხეებისაგან მათი დაცვა შეიძლება უზრუნველყოს.[80]

მესამე, კანტის აზრით, საერთაშორისო ვაჭრობა ყველასათვის მომგებიანი კავშირების შექმნას განაპირობებს, რაც რესპუბლიკების მშვიდობიანობას უწყობს ხელს. მაგრამ წარსულ ტექნოლოგიურ პროგრესს, რომელმაც სატრანსპორტო ხარჯები შეამცირა და სწრაფად და უთანასწოროდ ვითარდებოდა – ვაჭრობის ნახალისებასთან ერთად – ამ ტენდენციის შეცვლა შეეძლო. გამორიცხული არ იყო ტექნიკური

[79] ამ საკითხების ღრმა შესწავლისათვის იხილეთ: Michael Mandelbaum, *The Nuclear Question* (New York: Cambridge University Press, 1979).

[80] Gilpin, *War and Change* p. 229. Senate Judiciary Committee, *Committee Print: Surveillance Technology* (Washington, D. C.: GPO, 1976).

პროგრესის ვაჭრობის დამცავი მიმართულების განახლება, რომელიც რომის იმპერიაში აღმოცენდა. თუ ტრანსპორტირების ტექნოლოგიური პროგრესი ნაკლებად სწრაფად განვითარდება, ვიდრე წარმოების ტექნოლოგიის გავრცელება, თუ რესურსების დაცვის ტექნოლოგიის ამჟამინდელი ტენდენციები გაგრძელდება, თუ ეკონომიკური განვითარება კაპიტალისა და შრომის თანაფარდობის გაათანაბრებს, ან თუ სახელმწიფოები აირჩევენ ეკონომიკურ სტაბილურობას და არა ზრდას, და უპირატესობას მიანიჭებენ ადგილობრივ წარმოებას, სოფლის მეურნეობასა და მომსახურებას და არა ვაჭრობას, მაშინ მსოფლიო ვაჭრობა, შესაძლოა, შემცირდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ გლობალური ეკონომიკური განვითარება გაგრძელდება. შესაბამისად, მოხდება საერთაშორისო გაცვლების საგანმანათლებლო ძალის დაქვეითება.[81]

მაგრამ თუ ვივარაუდებთ, რომ ამ უკანდახევებს ადგილი არ ექნება და, როგორც კანტი ამტკიცებდა, მსოფლიოს მასშტაბით გაგრძელდება სტაბილური ზეწოლა ლიბერალური მშვიდობის მისაღწევად, შეიძლება თუ არა ლიბერალიზმის ექსპანსიის წარსულმა გამოცდილებამ გვიკარნახოს, როდის მოხდება მისი საბოლოო ტრიუმფი?

მეორე დამატება

ბუნების საიდუმლო ჩანაფიქრის გამოთვლა. კანტის არგუმენტი მშვიდობისაკენ მიმავალ ორ დინამიურ გზას გვთავაზობს: ერთი ტრანსნაციონალურია, მეორე კი – საერთაშორისო. პირველი მოქმედებს სავაჭრო კავშირების, კულტურული გაცვლებისა და პოლიტიკური ურთიერთგაგების მეშვეობით, რომლებიც ერთად უბიძგებს არსებულ რესპუბლიკებს მშვიდობისაკენ და, აქედან გამომდინარე, რესპუბლიკური წყობის არმქონე სახელმწიფოებში დასაბამს აძლევს ინდივიდუალისტურ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილება მოითხოვს რესპუბლიკური ხელისუფლების ჩამოყალიბებას. მეორე ფუნქციონირებს არაუსაფრთხო მდგომარეობისა და ფაქტობრივი ომის ზეწოლის მეშვეობით, რაც ერთად წარმოშობს რესპუბლიკურ მთავრობებს – მშვიდობის შიდა კონსტიტუციურ საფუძვლებს. მაშინ, როდესაც მეორე საფუძვლიანად გამოიყურება, პირველი მხოლოდ დამოკიდებული არ არის. ტრანსნაციონალურ გზას გლობალური საზოგადოების გაფართოების შესახებ წარმოდგენა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადააქვს, ის მშვიდობის სულ უფრო დიდ ზონას მოიცავს და, ამავე დროს, ყოველ საზოგადოებაში დამოუკიდებელი, თუმცა, ურთიერთდაკავშირებული და მსგავსი ფორმით მუშაობს. საერთაშორისო გზა – ომი – ძირითადად, ეპიდემიათა ნაკრებს წარმოადგენს, რომელიც, ფართო თვალსაზრისით, საერთაშორისო ასპარეზზე ომის მდგომარეობისათვის ენდემურად შეიძლება გადაიქცეს. ის მოქმედებს შეთანხმებულად როგორც ერთზე, ისე მეორეზე. ის არის თანდაყოლილად ურთიერთობითი და ურთიერთდამოკიდებული.

სავარაუდოდ, პაციფისტური კავშირის ექსპანსიის წარსული ტემპი იყო ორივე გზის შედეგთა კომპლექსური და განუყოფელი ერთობლიობა. მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ პროგრესი მიღწეულ იქნა მხოლოდ ერთი ან მეორე გზის საშუალებით, ჩვენ დავადგენთ იმ ლოგიკის ზღვარს, რომელიც მშვიდობისაკენ ტრანსნაციონალური და საერთაშორისო პროგრესის საფუძველია.

---

[81] ამასთან დაკავშირებით, საინტერესო ჰიპოთეზას, თითქოს სწრაფად მზარდი სამრეწველო სექტორი ან გაუმჯობესებული საგანმანათლებლო სისტემა თანამედროვე დემოკრატიათა ძირეული საფუძვლების შენარჩუნების ერთადერთი იმედია, გვთავაზობს მერიონ ლივაი ნაშრომში: "A Revision of the Gemeinschaft-Gesellschaft Categories and Some Aspects of the Interdependencies of Minority and Host Systems," in *Internal War,* ed. Harry Eckstein (London: Collier-Macmillan, 1964), p. 261.

ცხრილი 2 პაციფისტური კავშირი

	1800	1800-1850	1850-1900	1900-1945	1945-1980
ლიბერალური რეჟიმების რაოდენობა	3	8	13	29	49
ტრანსნაციონალური გზა		+5	+5	+16	+20
საერთაშორისო გზა		>2X	<2X	>2X	<2X

ცხრილის მეორე რიგი წარმოადგენს მშვიდობის ზონის არითმეტიკული გაფართოების ტრანსნაციონალურ გზას, რომელიც მიიღწევა რესპუბლიკების შეკავშირებითა და ისეთი ზეწოლის, სტიმულებისა და იდეალების ჩამოყალიბებით, რომლებიც უფრო მეტი ერის რესპუბლიკურ გზაზე დადგომას გამოიწვევს. აბსოლუტური პროგრესის გაფართოების ტემპის გამოვლინებაა ის, რომ ყოველ საუკუნეში ხდება ბაზის გაფართოება – მეცხრამეტე საუკუნეში ყოველ 50 წელიწადში ხუთის დამატებით, ხოლო მეოცე საუკუნეში – გასამმაგებით, დაახლოებით 18-მდე (ანუ (16+20)/2) ყოველ 50 წელიწადში. ამრიგად, თუ ოცდამეერთე საუკუნეში ტემპი კიდევ გასამმაგდება დაახლოებით 50 ლიბერალურ სახელმწიფომდე ყოველ 50 წელიწადში და თუ სახელმწიფო წყობა შენარჩუნდება 150-მდე ქვეყანაში, პაციფისტური კავშირი გლობალური გახდება არაუადრეს 2101 წლისა. მესამე რიგი, რომელიც ომის ურთიერთდამოკიდებული ლოგიკის გეომეტრიულ პროგრესიას შეესაბამება, კანტისეული პროგრესის უკეთესი ინდიკატორი შეიძლება იყოს. აქ რესპუბლიკების რიცხვი ორმაგდება ისეთ საომარ პერიოდებში, როგორიც იყო 1800-1850 წლები ან 1900-1950 წლები; უფრო მშვიდობიან პერიოდებში კი მათი რაოდენობა უფრო ნაკლებად იზრდება (1850-1900 წლებში და, ალბათ, 1945-2000 წლებში, როდესაც ჯერჯერობით ბევრ ომს ჰქონდა ადგილი, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი „დიდი" ანუ მსოფლიო ომი, რომელიც, ნაპოლეონის ომებისა და პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსგავსად, მრავალ სახელმწიფოს მოიცავდა). ამრიგად, თუ დავუშვებთ, რომ მიმდინარეობს მუდმივი მზადება დიდი და პატარა ომებისათვის – როგორც ეს 1850-1900 წლებში იყო – და შენარჩუნდება ექსპანსიის იგივე ტემპი (13/8), მაშინ გლობალური მშვიდობა მიღწეულ იქნება არაუადრეს 2113 წლისა.[82]

რა თქმა უნდა, მშვიდობის დამყარების ეს გამოთვლა გულისხმობს, რომ, როგორც ეს კანტმა დაასკვნა თავის „მეორე დამატებაში," მარადიული მშვიდობის შესახებ ტრაქტატის „საიდუმლო მუხლში": „ფილოსოფოსთა მაქსიმები სახალხო მშვიდობის შესაძლებლობის პირობათა შესახებ მხედველობაში უნდა მიიღონ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც მზად არიან ომის დასაწყებად." ამ დათქმას ჩვენ უნდა დავუმატოთ, რომ დღეისათვის საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსურობა არწმუნებს ეკონომისტებს, პოლიტიკურ მეცნიერებს, სოციოლოგებსა და ფსიქოლოგებს, ისევე, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებს, იმის აუცილებლობაში, რომ ფილოსოფოსთა რჩევებს თავიანთი რჩევებით დაეხმარონ. თუმცა, კონსულტაციათა საფასურის გაზრდა მთლიანად გამართლებული იქნება, თუკი თუნდაც ერთი

[82] „მარადიული მშვიდობის" უკანასკნელ წინადადებაში კანტმა გამოთქვა იმედი პაციფისტური კავშირის ექსპანსიის ანალოგიურ ტემპთან დაკავშირებით. „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პერიოდები, როდესაც თანაბარი პროგრესი მიიღწევა, თანდათან სულ უფრო ხანმოკლე გახდება." Kant, "Perpetual Peace," in Friedrich, p. 476.

ან ორი პატარა ომის თავიდან აცილება მოხერხდება – ომებისა, რომლებიც დღეს გაცილებით უფრო დამანგრეველია, ვიდრე კანტის ეპოქაში.

თარგმნა მაია მგელიაშვილმა

ალექსანდერ ვენდტი

ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ: ძალის პოლიტიკის სოციალური კონსტრუქცია*

რეალისტებისა და ლიბერალების დაპირისპირებამ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ხელახლა იჩინა თავი.[1] თუ წარსულში ისინი ადამიანის ბუნების განსხვავებულ თეორიებზე დავობდნენ, ამჟამად ყურადღებას ძირითადად იმაზე ამახვილებენ, თუ რამდენად ზემოქმედებს სახელმწიფოს ქცევაზე „სტრუქტურა" (ანარქია და ძალაუფლების განაწილება) „პროცესის" (ურთიერთქმედებისა და დასწავლის) და ინსტიტუტების საპირისპიროდ. აიძულებს თუ არა ცენტრალიზებული პოლიტიკური ხელისუფლების არარსებობა სახელმწიფოებს კონკურენტული ძალის პოლიტიკით მოქმედებას? შესწევთ თუ არა საერთაშორისო რეჟიმებს ამ ლოგიკის დაძლევის უნარი და რა პირობებში? რა არის ანარქიაში თავისთავად მოცემული და უცვლელი და რა ექვემდებარება ცვლილებას?

„ნეორეალისტებისა" და „ნეოლიბერალების" დავა „რაციონალიზმისადმი" გაზიარებულ ერთგულებას ეფუძნება.[2] სხვა სოციალური თეორიების მსგავსად, რაციო-

---

* **Alexander Wendt, "Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics," in *International Organization,* Vol. 46, No. 2, 1992. pp. 391-425. Reprinted by permission of MIT Press.**

ამ სტატიასთან დაკავშირებით მრავალმა ადამიანმა მომცა რჩევა. თუ ჩემი ნუსხა სრულია (ნინააღმდეგ შემთხვევაში, პატიებას ვითხოვ), მადლობას ვუხდი ჯონ ოლდრიჩს, მაიკ ბერნეტს, ლეა ბრილმეიერს, დევიდ კემპბელს, ჯიმ კოპორაზოს, საიმონ დელბის, დევიდ დესლერს, ბად დიუვალს, ჯინ ელშტაინს, კერინ ერტელს, ლოიდ ეთერიჯს, ერნსტ ჰაასს, მარტინ პოლისს, ნაემ ინაიატულას, სტიუარტ ჯონსონს, ფრენკ კლინკს, სტივ კრასნერს, ფრიდრიხ კრატოხვილს, დევიდ ლამსდეინს, მ. ჯ. პეტერსონს, სპაიკ პეტერსონს, თომას რის-კაპენს, ჯონ რაგის, ბრაიუს რასელს, ჯიმ სკოტს, როჯერს სმითს, დევიდ სილვანს, იან თომსონს, მარკ უორენს და იუტა უელდესს. სტატიას დიდი წვლილი დასდო, აგრეთვე, იმ პრეზენტაციებმა და სემინარებმა, რომლებიც გაიმართა ამერიკულ უნივერსიტეტში, ჩიკაგოს უნივერსიტეტში, ამჰერსტის მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში, სირაკუზის უნივერსიტეტში, სიეტლის ვაშინგტონის უნივერსიტეტში, ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტსა და იელის უნივერსიტეტში.

[1] იხილეთ, მაგალითად: Joseph Grieco, "Anarchy and Limits of Cooperation: A Realist Critique of the Newest Liberal Institutionalism," *International Organization* 42 (Summer 1988), pp. 485-507; Joseph Nye, "Neorealism and Neoliberalism," *World Politics* 40 (January 1988), pp. 235-51; Robert Keohane, "Neoliberal Institutionalism: A Perspective on World Politics," მისივე სტატიების კრებულში: *International Institutions and State Power* (Boulder, Colo.: Westview Press, 1089), pp. 1-20; John Mearsheimer, "Back to the Future: Instability in Europe After the Cold War," *International Security* 13 (Summer 1990), pp. 5-56, ასევე, მერშაიმერის სტატიაზე მოგვიანებით გამოქვეყნებული გამოხმაურება; და: Emerson Niou and Peter Ordeshook, "Realism Versus Neoliberalism: A Formulation," *American Journal of Political Science* 35 (May 1991), pp. 481-551.

[2] იხილეთ: Robert Keohane, "International Institutions: Two Approaches," *International Studies Quarterly* 32 (December 1988), pp. 379-96.

ნალური არჩევანიც გარკვეული სახის კითხვებს სვამს, აგენტთა თავისებურებებსა და ინტერესებს ეგზოგენურად მოცემულად განიხილავს და დიდ ყურადღებას უთმობს იმის გარკვევას, თუ რა გავლენას ახდენს აგენტთა ქცევა შედეგებზე. ზოგადად, რაციონალიზმი პროცესისა და ინსტიტუტების ბიჰევიორულ კონცეფციებს გვთავაზობს: ანუ მათ შეიძლება შეცვალონ ქცევა, მაგრამ არა – თავისებურებები და ინტერესები.[3] კვლევის პრობლემის ამგვარად დაყენების გარდა, ნეორეალისტები და ნეოლიბერალები აგენტთა შესახებაც ძირითადად მსგავს ვარაუდებს გამოთქვამენ: სახელმწიფოები სისტემის მთავარი მოქმედი პირები არიან და ისინი უსაფრთხოებას „პირადი ინტერესის" საფუძველზე განსაზღვრავენ. ნეორეალისტები და ნეოლიბერალები, შესაძლოა, არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს იმაში, თუ რამდენად განსაზღვრავს სახელმწიფოთა ქცევას შედარებითი და აბსოლუტური სარგებელი, მაგრამ ორივე ჯგუფისათვის სახელმწიფოს ეგოისტურობა თეორიის ათვლის წერტილია.

ამ ათვლის წერტილს არსებითი მნიშვნელობა აქვს ნეორეალისტებისათვის, რადგან მათთვის ანარქია „თვითდახმარების" სისტემაა, რომელშიც არც ცენტრალური ხელისუფლება არსებობს და არც კოლექტიური უსაფრთხოება. ანარქიის „თვითდახმარების" ელემენტს ნეორეალიზმში უდიდესი ადგილი უკავია, ის უსაფრთხოების დილემისა და კოლექტიური მოქმედების პრობლემის თავისებურ კონკურენტულ დინამიკას წარმოქმნის. თვითდახმარება არ განიხილება, როგორც „ინსტიტუტი" და მის განმარტებით როლს, პროცესთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება; ის ურთიერთქმედებას განაპირობებს და მის ზემოქმედებას არ განიცდის. ვინაიდან ის სახელმწიფოები, რომლებიც თვითდახმარების ლოგიკას ვერ ერგებიან, სისტემიდან განიდევნებიან, მხოლოდ მარტივი დასწავლა ან ქცევითი ადაპტაციაა შესაძლებელი; კომპლექსური დასწავლა კი, რომელიც თავისებურებებისა და ინტერესების ხელახლა დადგენის დროს არის საჭირო, შეუძლებელია.[4] ამრიგად, თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბების საკითხებს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს. რაციონალისტური პრობლემატიკა, რომელსაც პროცესი ეგზოგენურად მოცემულ მოქმედ პირთა ქცევითი ურთიერთქმედების დინამიკამდე დაჰყავს, სისტემური თეორიის მასშტაბებს განსაზღვრავს.

ასეთი მსჯელობით, ლიბერალები იზიარებენ ნეორეალისტების მოსაზრებას ანარქიული სტრუქტურის მიზეზობრივი ძალის თაობაზე, სამაგიეროდ, რიტორიკული თვალსაზრისით, ძლიერ არგუმენტს იძენენ, რომლის თანახმადაც პროცესს თანამშრომლობითი ქცევის გამოწვევა ძალუძს, ეგზოგენურად მოცემულ, თვითდახმარების სისტემაშიც კი. ზოგიერთი ლიბერალი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ ანარქია, მართლაც, პრაქტიკისათვის ეგზოგენური, ეგოისტური თვისებების მქონე

---

[3] ადამიანისა და ინსტიტუტების ბიჰევიორულ და რაციონალისტურ მოდელებს საერთო ინტელექტუალური მემკვიდრეობა აქვს; ესაა ჰობსის, ლოკისა და ბენთამის მატერიალისტური ინდივიდუალიზმი. ამ ორი მოდელის ურთიერთმიმართების შესახებ იხილეთ: Jonathan Turner, *A Theory of Social Interaction* (Stanford, Calif.: Stanford University Press, 1988), pp. 24-31 და Jeorge Homans, "Rational Choice Theory and Behavioral Psychology," in Craig Calhoun et al., eds., *Structures of Power and Constraint* (Cambridge: Cambridge University Press, 1991), pp. 77-89.

[4] დასწავლის ნეორეალისტური კონცეფციების შესახებ იხილეთ: Philip Tetlock, "Learning in U.S. and Soviet Foreign Policy," in George Breslauer and Philip Tetlock, eds., *Learning in U.S. and Soviet Foreign Policy,* (Boulder, Colo.: Westview Press, 1991), pp. 24-27. ქცევით და შემეცნებით დასწავლას შორის არსებული განსხვავებისათვის იხილეთ იქვე, გვ. 20-61; Joseph Nye, "Nuclear learning and U.S.-Soviet Security Regimes," *International Organization* 41 (Summer 1987), pp. 371-402; და Ernst Haas, *When Knowledge Is Power* (Berkeley: University of California Press, 1990), pp. 17-49.

სახელმწიფოებს აყალიბებს. ამგვარი „სუსტი" ლიბერალები რიტორიკულად და არსებითადაც ემხრობიან ანარქიის მიზეზობრივი ძალის იდეას და ინსტიტუტების მიზეზობრივ ძალასთან მიმართებაში რაციონალიზმის შეზღუდულ, ბიჰევიორულ კონცეფციას აღიარებენ. ისინი არიან რეალისტები ლიბერალებთან შედარებით (ჩვენ მათ პირობითად „სუსტი რეალისტები" შეიძლება ვუწოდოთ), რადგანაც მხოლოდ იმით სცილდებიან რეალიზმის „საზღვრებს," რომ საერთაშორისო ინსტიტუტებს ძალებისა და ინტერესების შეცვლის უნარს მიაწერენ.[5]

თუმცა, ზოგიერთი ლიბერალი უფრო შორს მიდის. როდესაც ჯოზეფ ნაი „კომპლექსურ დასწავლაზე" საუბრობს, რობერტ ჯერვისი – „მე"-სა და ინტერესის ცვალებად კონცეფციებზე," ხოლო რობერტ კიოჰეინი – ინტერესის „სოციოლოგიურ" კონცეფციებზე, თითოეული მათგანი ამტკიცებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავისებურებებისა და ინტერესების გარდაქმნა ლიბერალური კვლევის პროგრამაში, რითაც მსოფლიო პოლიტიკაში პროცესისა და ინსტიტუტების პოტენციურად უფრო ძლიერ კონცეფციას ამკვიდრებს.[6] „ძლიერ" ლიბერალებს პრობლემას უნდა უქმნიდეს სტრუქტურის პროცესზე უპირატესობის დიქოტომია იმდენად, რამდენადაც პროცესის ზეგავლენით თავისებურებებისა და ინტერესების გარდაქმნა სტრუქტურის გარდაქმნას ნიშნავს. რაციონალიზმი ვერაფერს შეუმატებს ამგვარ არგუმენტს,[7] რის გამოც, ფრიდრიხ კრატოხვილი და ჯონ რაგი ერთ-ერთ საინტერესო სტატიაში გამოთქვამენ აზრს, რომ მისი ინდივიდუალისტური ონტოლოგია ეწინააღმდეგება იმ ურთიერთგანმაპირობებელ ეპისტემოლოგიას, რომელიც რეჟიმის სრულფასოვანი თეორიისათვის არის საჭირო.[8] რეჟიმებს არ შეუძლია თავისებურებებისა და ინტერესების შეცვლა, თუ ეს უკანასკნელნი განიხილება, როგორც თავისთავად მოცემული. ამ რაციონალისტური მემკვიდრეობის გამო, საგარეო პოლიტიკაში კომპლექსური დასწავლის თაობაზე წარმოებული მრავალრიცხოვანი და ფასეული კვლევის მიუხედავად, ნეოლიბერალებს არ გააჩნიათ სისტემური თეორია, რომელიც ასეთი ცვლილებების მიზეზს განმარტავს. ამიტომაც, ისინი აღიარებენ სტრუქტურის რეალისტურ ხედვას და, ამასთან ერთად, ინარჩუნებენ საკუთარ შეხედულებას პროცესზე.

ირონიაა, რომ არსებობს ისეთი სოციალური თეორიები, რომლებიც თავისებურებებისა და ინტერესების ახსნას ცდილობს. კიოჰეინმა მათ „რეფლექტივისტური"[9] თეორიები უწოდა. ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მე აღნიშნული თეორიების მიერ სუბიექტურობის სოციალურ კონსტრუქციაზე ყურადღების გამახვილება მაინტერესებს და არა მათი ხედვითი პრობლემა, ნიკოლას ონუფის კვალად, მათ „კონსტრუქტივის-

---

[5] იხილეთ: Stephen Krasner, "Regimes and the Limits of Realism: Regimes as Autonomous Variables," in Stephen Krasner, ed., *International Regimes* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1983), pp. 355-68.

[6] იხილეთ: Joseph Nye, "Nuclear Learning and U.S.-Soviet Security Regimes"; Robert Jervis, "Realism, Game Theory, and Cooperation," *World Politics* 40 (April 1988), pp. 340-44; და Robert Keohane, "International Liberalism Reconsidered," in John Dunn, ed., *The Economic Limits to Modern Politics* (Cambridge: Cambridge University Press, 1990), p. 183.

[7] რაციონალისტებმა გარკვეული ყურადღება დაუთმეს პრიორიტეტების ფორმირების სისტემას, თუმცა, ამასობაში, ისინი საკმაოდ დასცილდნენ რაციონალიზმისათვის დამახასიათებელი პარამეტრების ჩემეულ გაგებას. იხილეთ, მაგალითად: Jon Elster, "Sour Grapes: Utilitarism and the Genesis of Wants, in Amartya Sen and Bernard Williams, eds., *Utilitarianism and Beyond* (Cambridge: Cambridge University Press, 1982), pp. 219-38; და Michael Cohen and Robert Axelrod, "Coping with Complexity: The Adaptive Value of Changing Utility," *American Economic Review* 74 (March 1984), pp. 30-42.

[8] Frederich Kratochwil and John Ruggie, "International Organization: A State of the Art on an Art of the State," *International Organization* 40 (Autumn 1986), pp. 753-75.

[9] Keohane, "International Institutions."

ტულ"[10] თეორიებად მოვიხსენიებ. მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, კოგნიტივისტებს, პოსტსტრუქტურალისტებს, ტრადიციულ და პოსტმოდერნისტ ფემინისტებს, მართვის თეორეტიკოსებსა და სტრუქტურაციონისტებს ერთნაირად აინტერესებთ ძირითადი „სოციოლოგიური" საკითხი, რომელსაც რაციონალისტები ხაზგასმით არ გამოყოფენ – კერძოდ, თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბება. თუმცა, კონსტრუქტივისტების პოტენციური წვლილი ძლიერ ლიბერალიზმში ბუნდოვანი გახადა მოდერნისტებსა და პოსტმოდერნისტებს შორის მიმდინარე უკანასკნელმა ეპისტემოლოგიურმა კამათმა, რომლის დროსაც სამეცნიერო დისციპლინები ერთიან საკვლევ პროგრამაზე ვერ შეთანხმდნენ, რამაც მეცნიერებაში განხეთქილება წარმოშვა.[11] რეალური საკითხები კიდევ უფრო აცოცხლებს ამ დებატებს, რომლებიც კონსტრუქტივისტებს შორისაც გათიშულობას იწვევს. თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობების არსის გათვალისწინებით, მოდერნისტი და პოსტმოდერნისტი კონსტრუქტივისტებიც დაინტერესებულნი არიან იმ საკითხის გარკვევით, თუ როგორ აყალიბებს პრაქტიკა სუბიექტებს, რაც ინსტიტუტების მიერ ინტერესების ცვლილებისადმი ძლიერი ლიბერალების ინტერესს ჰგავს. ისინი იზიარებენ პროცესის კოგნიტურ, ურთიერთგანმაპირობებელ კონცეფციას, რომელშიც თავისებურებები და ინტერესები ურთიერთქმედების ენდოგენურია, და არა – რაციონალისტურ-ბიჰევიორულს, სადაც ისინი ეგზოგენურია.

ამ სტატიაში ჩემი მიზანია, ერთმანეთთან დავაკავშირო ეს ორი ტრადიცია (და, აგრეთვე, რეალისტებისა და ლიბერალების, რაციონალისტებისა და რეფლექტივისტების დებატები) კონსტრუქტივისტული არგუმენტის ჩამოყალიბებით, რომელიც სტრუქტურაციონისტური და სიმბოლური ინტერაქციონისტული სოციოლოგიიდან მომდინარეობს, ლიბერალთა იმ მტკიცების დასადასტურებლად, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ინსტიტუტებს სახელმწიფოს თავისებურებებისა და ინტერესების გარდაქმნა შეუძლია.[12] „ეკონომიკური" თეორეტიზაციის საპირისპიროდ, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების სისტემურ მიდგომაშია გაბატონებული, ეს სისტემური თეორიის „სოციალური ფსიქოლოგიის სოციოლოგიურ" ფორმას მოიცავს, რომელშიც თავისებურებები და ინტერესები დამოკიდებული ცვლადებია,[13]

---

[10] იხილეთ: Nicholas Onuf, *World of Our Making* (Columbia: University of South Carolina Press, 1989).

[11] მეცნიერების შესახებ იხილეთ: Keohane, "International Institutions;" და მისივე "International Relations Theory: Contributions of a Feminist Standpoint," *Millenium* 18 (Summer 1989), pp. 245-53. უთანხმოების თაობაზე იხილეთ: R. B. J. Walker, "History and Structure in the Theory of International Relations," *Millenium* 18 (Summer 1989), pp. 163-83; და Richard Ashley and R. B. J. Walker, "Reading Dissidence/Writing the Discipline: Crisis and the Question of Sovereignty in International Studies," *International Studies Quarterly* 34 (September 1990), pp. 367-416. ამ დებატების ძალზე საინტერესო კრიტიკული შეფასება იხილეთ სტატიაში: Yosef Lapid, "The Third Debate: On the Prospects of International Theory in a Post-Positivist Era," *International Studies Quarterly* 33 (September 1989), pp. 235-54.

[12] ამ მიდგომებზე დაყრდნობა მოდერნისტ კონსტრუქტივისტებთან მაახლოებს, თუმცა, მე ასევე ვეყრდნობი პოსტმოდერნისტთა, განსაკუთრებით რიჩარდ უოკერის, ძირითად ნაშრომებს. ამგვარი პრაქტიკის გამართლებისა და მისი ეპისტემოლოგიური საფუძვლის თაობაზე მიმდინარე დისკუსიის შესახებ იხილეთ ჩემი ადრეული სტატია: "The Agent-Structure Problem in International Relations Theory," *International Organization* 41 (Summer 1987), pp. 335-70; და Ian Shapiro and Alexander Wendt, "The Difference that Realism Makes: Social Science and the Politics of Consent," სულ მალე ჟურნალში *Politics and Society*. მოდერნისტი კონსტრუქტივისტებიდან ჩემს არგუმენტზე გავლენა მოახდინა ემანუელ ადლერის, ფრიდრიხ კრატოხვილისა და ჯონ რაგის ნაშრომებმა და, ასევე, ნაემ ინაიატულასა და დევიდ ლევინის გამოუქვეყნებელმა ნაშრომმა: "Politics and Economics in Contemporary International Relations Theory," Syracuse University, Syracuse, N.Y., 1990.

[13] იხილეთ: Viktor Gegas, "Rekindling the Sociological Imagination in Social Psychology," *Journal for the Theory of Social Behaviour* 19 (March 1989), pp. 97-115.

ხოლო ის საკითხი, არის თუ არა „კომუნიტარული ლიბერალიზმი" მაინც ლიბერალიზმი, ჩემი დაინტერესების საგანს არ წარმოადგენს. ჩემთვის საინტერესოა ის, რომ კონსტრუქტივიზმს შეუძლია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბებისადმი ძლიერი ლიბერალიზმის დაინტერესებაში და, ამგვარად, თავადაც გამდიდრდეს დასწავლისა და შემეცნების ლიბერალური ხედვით, რომელსაც ის ადრე უგულებელყოფდა.

ამ ორი ტრადიციის ერთმანეთთან დასაკავშირებლად შევეცდები, გავაბათილო ნეორეალისტთა მტკიცება, რომ „თვითდახმარება" ანარქიული სტრუქტურის მიერ პროცესისაგან ეგზოგენურად არის მოცემული. კონსტრუქტივისტებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც ანარქიის მიზეზობრივი ძალები გადაჭარბებულად შეაფასეს. ეს სამწუხაროა, რადგან რეალისტთა ხედვით, ანარქია ამართლებს თავისებურებათა და ინტერესთა ინსტიტუციური გარდაქმნისადმი ინტერესის არარსებობას და, შესაბამისად, სისტემური თეორიების მხოლოდ რაციონალისტური ელემენტებით აგებას; მისი სავარაუდო მიზეზობრივი ძალები კითხვის ქვეშ უნდა დადგეს, თუ პროცესები და ინსტიტუტები სტრუქტურას არ ექვემდებარება. მე ვამტკიცებ, რომ თვითდახმარება და ძალის პოლიტიკა ლოგიკურად ან მიზეზობრივად ანარქიიდან არ გამომდინარეობს და ის ფაქტი, რომ დღეს თვითდახმარების სამყაროში ვცხოვრობთ, პროცესის შედეგია და არა – სტრუქტურის. ანარქიას „ლოგიკა" არ გააჩნია, გარდა იმ პრაქტიკისა, რომელიც თავისებურებებისა და ინტერესების არსებულ სტრუქტურას ქმნის და ამდიდრებს; პროცესის გარეშე სტრუქტურა არ არსებობს და მას არც მიზეზობრივი ძალები გააჩნია. თვითდახმარება და ძალის პოლიტიკა ინსტიტუტებია და არა ანარქიის აუცილებელი მახასიათებლები. *ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ.*

ამ სტატიის მომდევნო ნაწილებში მე კრიტიკულად განვიხილავ ნეორეალიზმის მტკიცებებსა და ვარაუდებს, ჩამოვაყალიბებ პოზიტიურ არგუმენტს იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება ანარქიის პირობებში თვითდახმარებისა და ძალის პოლიტიკის სოციალურად კონსტრუირება და, შემდეგ, განვსაზღვრავ სამ გზას, რომლებითაც ანარქიის პირობებში თავისებურებები და ინტერესები გარდაიქმნება. ესენია: სუვერენიტეტის ინსტიტუტი, თანამშრომლობის განვითარება და ეგოისტური თვისებების კოლექტიურად გარდაქმნისაკენ მიმართული ძალისხმევა.

ანარქია და ძალის პოლიტიკა

კლასიკური რეალისტები – თომას ჰობსი, რაინჰოლდ ნიბური და ჰანს მორგენთაუ ეგოიზმსა და ძალის პოლიტიკას უმთავრესად ადამიანის ბუნებას მიაწერდნენ, სტრუქტურული რეალისტები ანუ ნეორეალისტები კი ანარქიაზე ამახვილებენ ყურადღებას. სხვაობა, ნაწილობრივ, ანარქიის მიზეზობრივი ძალის განსხვავებული ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს. კენეთ უოლცის ნაშრომი ორივე თვალსაზრისით საყურადღებოა. წიგნში *ადამიანი, სახელმწიფო და ომი* იგი ანარქიას განსაზღვრავს, როგორც ომის არსებობის პირობას ანუ მის „დამშვებ" მიზეზს და ამტკიცებს, რომ „ომები ხდება იმიტომ, რომ არაფერი აფერხებს მათ."[14] თუმცა, კონფლიქტის საწყის სტიმულს ანუ „მამოძრავებელ" მიზეზს, რომელიც სხვა სახელმწიფოს შესაბამისი პასუხის გაცემას აიძულებს, ადამიანის ბუნება ან მტაცებელი სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა წარმოადგენს.[15] ამ საკითხთან დაკავშირებით, უოლცი გარკვეულწილად არათანმიმდევრულია, ვინაიდან მსჯელობის დროს, დასაბუთების გარეშე,

[14] Kenneth Waltz, *Man, the State, and War* (New York: Columbia University Press, 1959), p. 232.
[15] Ibid., pp. 169-70.

„დამშვები" მიზეზობრივი მტკიცებიდან, რომლის თანახმადაც, ანარქიის პირობებში ომი ყოველთვის შესაძლებელია, იგი პირდაპირ გადადის აქტიურ მიზეზობრივ მტკიცებაზე, რომ „ომი ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს."[16] მაგრამ უოლცის მიერ მესამე ხედვის თეორიისათვის უპირატესობის მინიჭების მიუხედავად, მამოძრავებელი მიზეზები, რომლებიც ანარქიულ სისტემებს განაპირობებს, პირველი და მეორე ხედვის თეორიებიდან არის აღებული. ეს თანმიმდევრობა შებრუნებულია უოლცის წიგნში *საერთაშორისო პოლიტიკის თეორია,* სადაც პირველი და მეორე ხედვის თეორიები უარყოფილია, როგორც „რედუქციონისტური" და ანარქიის ლოგიკა თავად გვეუბნება თვითდახმარებისა და ძალის პოლიტიკის დამამკვიდრებლად, როგორც მსოფლიო პოლიტიკის აუცილებელი მახასიათებლებისა.[17]

ეს სამწუხაროა, რადგან როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება პირველი და მეორე ხედვის თეორიების მიმართ, მათში იგულისხმება, რომ ანარქიის ხასიათს პრაქტიკა განსაზღვრავს. „დამშვები" ხედვის თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადამიანური და საშინაო ფაქტორები უბიძგებს ა-ს, თავს დაესხას ბ-ს, მოუწევს ამ უკანასკნელს თავის დაცვა. ანარქია შეიძლება შეიცავდეს ისეთ დინამიკას, რომელსაც კონკურენტული ძალის პოლიტიკისაკენ მივყავართ ან შეიძლება არც შეიცავდეს, რის გამოც დასაშვებია ვიკამათოთ იმაზე, თუ როდის წარმოიქმნება თავისებურებებისა და ინტერესების ცალკეული სტრუქტურები. თუმცა, ნეორეალიზმის გადასახედიდან, პრაქტიკის როლი ანარქიის ხასიათის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული და, ამიტომ, სადავოც არაფერია: თვითდახმარება და კონკურენტული ძალის პოლიტიკა, უბრალოდ, ეგზოგენურად არის მოცემული სახელმწიფოთა სისტემის სტრუქტურის მიერ.

მე აქ არ გავაკრიტიკებ ნეორეალისტურ ხედვას, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემას კონკურენტულ, თვითდახმარების მსოფლიოდ წარმოაჩენს;[18] მე მხოლოდ მის მიერ შემოთავაზებულ ახსნას შევეკამათები. ჩემს არგუმენტს სამ საფეხურად ჩამოვაყალიბებ: პირველ რიგში, განმვარტავ თვითდახმარებისა და ანარქიის ცნებებს იმის ჩვენებით, რომ უსაფრთხოების ეგოისტური კონცეფციები მხოლოდ ანარქიას არ ახასიათებს. მეორე, ვაჩვენებ, თუ როგორ შეიძლება მიზეზ-შედეგობრივად წარმოიქმნას თვითდახმარება და კონკურენტული ძალის პოლიტიკა სახელმწიფოთა ურთიერთქმედების პროცესიდან, რომელშიც ანარქია მხოლოდ დამშვებ როლს ასრულებს. მსჯელობის ამ ორივე საფეხურზე შეგნებულად ავუვლი გვერდს სახელმწიფოს თავისებურების პირველ და მეორე ხედვისეულ დეტერმინანტებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისინი უმნიშვნელოა (ისინი მართლაც მნიშვნელოვანია), არამედ იმიტომ, რომ, უოლცის მსგავსად, ჩემი მიზანიც ანარქიის „ლოგიკის" დადგენაა. და მესამე, ხელახლა შემოვიყვან პირველი და მეორე ხედვის დეტერმინანტებს, სხვადასხვა სახის ანარქიულ სისტემაში თავისებურებების ჩამოყალიბებაზე მათი ზემოქმედების შესაფასებლად.

ანარქია, თვითდახმარება და ურთიერთგანმაპირობებელი ცოდნა

უოლცი პოლიტიკურ სტრუქტურაში სამ განზომილებას გამოყოფს: მომწესრიგებელი პრინციპები (ამ შემთხვევაში, ანარქია), განმასხვავებელი პრინციპები

[16] Ibid., pp. 232. ეს მოსაზრება გამოთქვა ჰიდემი სუგანამიმ სტატიაში "Bringing Order to the Causes or War Debates," *Millenium* 19 (Spring 1990), p. 34, fn. 11.

[17] Kenneth Waltz, *Theory of International Politics* (Boston: Addison-Wesley, 1979).

[18] ნეორეალისტური სურათი გარკვეულ სირთულეებს ქმნის. მისი საფუძვლიანი კრიტიკა იხილეთ ნაშრომში: David Limsdaine, *Ideals and Interests: The Foreign Aid Regime, 1949-1989* (Princeton, N.J.: Princeton University Press, მალე გამოიცემა).

(რომლებიც აქ ამოვარდნილია) და შესაძლებლობების განაწილება.[19] თავისთავად, ამ განმარტებას სახელმწიფოს ქცევის წინასწარმეტყველება არ შეუძლია. ის წინასწარ ვერ განსაზღვრავს, ორი ქვეყანა ერთმანეთის მიმართ მეგობრულად განეწყობა თუ მტრულად, აღიარებს ერთმანეთის სუვერენიტეტს, დაამყარებს დინასტიურ კავშირებს, იქნება რევიზიონისტი თუ სტატუს კვოს შენარჩუნების მომხრე და ა.შ. ეს ფაქტორები, რომლებიც არსებითად ურთიერთგანმაპირობებელია, გავლენას ახდენს სახელმწიფოთა უსაფრთხოების ინტერესებზე და, შესაბამისად, ანარქიის პირობებში მათი ურთიერთქმედების ხასიათზეც. როდესაც სტივენ უოლტი, უოლცის თეორიის განხილვისას, ამტკიცებს, რომ სახელმწიფოთა ქცევას განსაზღვრავს არა იმდენად ძალთა ბალანსი, რამდენადაც „საფრთხეთა ბალანსი," ის გულისხმობს, რომ საფრთხეები სოციალურად არის კონსტრუირებული.[20] უფრო ზოგადად, სისტემაში თავისებურებებისა და ინტერესების სტრუქტურის არსებობის თაობაზე გარკვეული ვარაუდების გარეშე, სტრუქტურის უოლცისეულ განმარტებას ანარქიის შინაარსის ან დინამიკის წინასწარმეტყველება არ ძალუძს. თვითდახმარება ერთ-ერთი ასეთი ურთიერთგანმაპირობებელი სტრუქტურაა და მას ამ თეორიაში გადამწყვეტი ახსნითი ფუნქცია ეკისრება. საკითხავია, თვითდახმარება ანარქიის ლოგიკური მახასიათებელია თუ შემთხვევითი. სტატიის ამ ნაწილში უფრო ფართოდ მიმოვიხილავ „თავისებურებებისა და ინტერესების სტრუქტურის" კონცეფციას და დავასაბუთებ, რომ მათგან არც ერთი ლოგიკურად ანარქიიდან არ გამომდინარეობს.

კონსტრუქტივისტული სოციალური თეორიის ფუნდამენტური პრინციპის თანახმად, ადამიანები ობიექტებს, მათ შორის სხვა მოქმედ პირებსაც, მათი მნიშვნელობის შესაბამისად ექცევიან.[21] სახელმწიფოები მეგობრებსა და მტრებს სხვადასხვაგვარად ეპყრობიან, რადგანაც მტრები საფრთხეს ქმნიან, მეგობრები კი – არა. ანარქია და ძალის განაწილება მათი ერთმანეთისაგან განსასხვავებლად საკმარისი არ არის. აშშ-ის სამხედრო ძალას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს კანადისა და კუბისათვის, მათი მსგავსი „სტრუქტურული" პოზიციის მიუხედავად, ისევე როგორც ბრიტანულ და საბჭოთა რაკეტებს – ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ძალის განაწილებას ყოველთვის შეუძლია, გავლენა მოახდინოს სახელმწიფოთა გათვლებზე, მაგრამ ზეგავლენის ხასიათი დამოკიდებულია ურთიერთგანმაპირობებელ წარმოდგენებსა და მოლოდინებზე, „ცოდნის განაწილებაზე," რომელიც „მე"-სა და „სხვის" შესახებ მათ კონცეფციებს აყალიბებს.[22] იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება

[19] Waltz, *Theory of International Politics*, pp. 79-101.

[20] Stephen Walt, *The Origins of Alliances* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1987).

[21] იხილეთ, მაგალითად: Herbert Blumer, "The Methodological Position of Symbolic Interactionism," მისსავე ნაშრომში: *Symbolic Interactionism: Perspective and Method* (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1969), p. 2 ამ სტატიაში მე ვუშვებ, რომ ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის თეორიულად სასარგებლო ანალოგია შეიძლება გაკეთდეს. ასეთ ანთროპომორფიზმს, სულ მცირე, ორი გამართლება მოეძებნება. (1) რიტორიკულად, ამგვარი ანალოგია მიღებულია საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად დისკუსიაში და ვინაიდან ეს სტატია იმანენტური კრიტიკაა და არა – გარეშე, მასში მსგავსი პრაქტიკის გამოყენება დასაშვებია. (2) არსებითად, სახელმწიფოები ინდივიდთა ერთობლიობაა, რომლებიც პრაქტიკული გამოცდილების შედეგად აღიქვამენ ერთმანეთს, როგორც „პიროვნებებს" საკუთარი ინტერესებით, შიშებით და ა.შ.. სახელმწიფოს თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბების სრულყოფილ თეორიას ჯგუფების სოციალური ფსიქოლოგიიდან და ორგანიზაციული თეორიიდან ცოდნის სესხება დასჭირდება და, ამის გამო, ჩემი ანთროპომორფიზმი მხოლოდ პირობით ხასიათს ატარებს.

[22] სიტყვათა შეთანხმება „ცოდნის განაწილება" ბარი ბარნსს ეკუთვნის, რაზეც საუბარია მის წიგნში: *The Nature of Power* (Cambridge: Polity Press, 1988); იხილეთ აგრეთვე: Peter Berger and Thomas Luckmann, *The Social Construction of Reality* (New York: Anchor Books, 1966). თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერთა ინტერესი „ეპისტემური საზოგადოებების" მიმართ მეცნიერთა, ექსპერტთა და პოლიტიკოსთა მსოფლიოს მიზეზ-შედეგობრივ წარმოდგენებთან

„დაივიწყებს" უნივერსიტეტის მნიშვნელობას, არსებობას შეწყვეტს პროფესორისა და სტუდენტის უფლებები და მოვალეობებიც; თუ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს მტრებად აღარ ჩათვლიან, „ცივი ომი დასრულდება." სწორედ კოლექტიური მნიშვნელობები აყალიბებს იმ სტრუქტურებს, რომლებიც ჩვენს ქცევას განსაზღვრავს.

ამგვარ კოლექტიურ მნიშვნელობებში მონაწილეობით, მოქმედი პირები იძენენ თავისებურებებს, ანუ „მე"-ს თაობაზე შედარებით სტაბილურ, კონკრეტული როლისათვის დამახასიათებელ წარმოდგენებსა და მოლოდინებს.[23] თავისებურებები ძირითადად შეფარდებითია: „თავისებურება, ფსიქოლოგიური რეალობის შესაბამისი ელემენტებით, ყოველთვის მოქცეულია სპეციფიკურ, სოციალურად კონსტრუირებულ სამყაროში," – ამტკიცებს პიტერ ბერგერი.[24] თითოეულ პიროვნებას ინსტიტუციურ როლებთან დაკავშირებული მრავალი თავისებურება გააჩნია, მაგალითად, ძმა, ვაჟიშვილი, მასწავლებელი და მოქალაქე. სწორედ ასევე, სახელმწიფოსაც რამდენიმე თავისებურება შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, „სუვერენული," „თავისუფალი სამყაროს ლიდერი," „იმპერიული ძალა" და ა.შ.[25] ცალკეული როლური თავისებურებების მიმართ არსებული ვალდებულებები და მისი სხვა თავისებურებებზე უპირატესობა მერყეობს, მაგრამ თითოეული თავისებურება მოქმედი პირის ძირითადი სოციალური განმარტებაა, რომელიც იმ თეორიულ ცოდნაშია ჩადებული, რომელსაც მოქმედი პირები კოლექტიურად ფლობენ თავიანთი თავისა და ერთმანეთის შესახებ და რომელიც სოციალური სამყაროს სტრუქტურას აყალიბებს.

თავისებურებები ინტერესების საფუძველია. მოქმედ პირებს სოციალური კონტექსტისაგან დამოუკიდებელი ინტერესთა „ნაკრები" არ გააჩნიათ. ისინი ინტერე-

---

ერთად, მსოფლიო პოლიტიკაში ცოდნის როლის მნიშვნელოვანი ასპექტია; იხილეთ: Peter Haas, "Do Regimes Matter?" Epistemic Communities and Mediterranean Pollution Control," *International Organization* 43 (Summer 1989), pp. 377-404 და Ernst Haas, *When Knowledge Is Power*. ჩემი კონსტრუქტივისტული მიდგომა ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ *აყალიბებს* ამგვარი ცოდნა სოციალური ცხოვრების სტრუქტურებსა და სუბიექტებს.

[23] შესანიშნავი მოკლე მტკიცება იმის თაობაზე, თუ როგორ აყალიბებს კოლექტიური მნიშვნელობები თავისებურებებს, იხილეთ სტატიაში: Peter Berger, "Identity as a Problem in the Sociology of Knowledge," *European Journal of Sociology*, vol. 7, no. 1, 1966, pp. 32-40. იხილეთ აგრეთვე: David Morgan and Michael Schwalbe, "Mind and Self in Society: Linking Social Structure and Social Cognition," *Social Psychology Quarterly* 53 (June 1990), pp. 148-64. ჩემს მსჯელობაში ვეყრდნობი შემდეგ ინტერაქციონისტულ ნაშრომებს: George Herbert Mead, *Mind, Self, and Society* (Chicago: University of Chicago Press, 1934); Berger and Luckmann, *The Social Construction of Reality;* Sheldon Stryker, *Symbolic Interactionism: A Social Structural Version* (Menlo Park, Calif: Benjamin/Cummings, 1980); R. S. Perinbanayagam, *Signifying Acts: Structure and Meaning in Everyday Life* (Carbondale: Southern Illinois University Press, 1985); John Hewitt, *Self and Society: A Symbolic Interactionist Social Psychology* (Boston: Allyn & Bacon, 1988); და Turner, *A Theory of Social Interaction*. მცირეოდენი განსხვავების გარდა, იმავე საკითხებს ეხებიან სტრუქტურაციონისტები – ბასკარი და გიდენსი. იხილეთ: Roy Bhaskar, *The Possibility of Naturalism* (Atlantic Highlands, N.J.: Humanities Press, 1979); და Anthony Giddens, *Central Problems in Social Theory* (Berkeley: University of California Press, 1979).

[24] Berger, "Identity as a Problem in the Sociology of Knowledge," p. 111.

[25] რადგან, ჩვეულებრივ, ამგვარ ტერმინებს არ იყენებს, მეცნიერებამ საგარეო პოლიტიკის შესახებ, სახელმწიფოს როლის კონცეფციებზე მსჯელობისას, „თავისებურებების ენაც" უნდა გამოიყენოს. იხილეთ: Kal Holsti, "National Role Conceptions in the Study of Foreign Policy," *International Studies Quarterly* 14 (September 1970), pp. 233-309; და Stephen Walker, ed., *Role Theory and Foreign Policy Analysis* (Durham, N.C.: Duke University Press, 1987). ამის მნიშვნელოვანი მცდელობისათვის იხილეთ: Stephen Walker, "Symbolic Interactionism and International Politics: Role Theory's Contribution to International Organization," in: C. Shih and Martha Cottam, eds., *Contending Dramas: A Cognitive Approach to Post-War International Organizational Processes* (New York: Praeger, მალე გამოიცემა).

სებს ვითარებასთან ერთად განსაზღვრავენ.[26] ნელსონ ფუტის განმარტებით: „მოტივაცია . . . მიუთითებს იმ ხარისხზე, სადამდეც ადამიანი, როგორც სოციალური პროცესის აუცილებელი მონაწილე, პრობლემურ ვითარებას განსაზღვრავს კონკრეტული ქმედების შესრულებისაკენ მოწოდებად, მეტ-ნაკლებად მოსალოდნელი დასასრულითა და შედეგებით, რითაც მისი ორგანიზმი გამოათავისუფლებს იმ რაოდენობის ენერგიას, რომელიც ამ ქმედების შესასრულებლად არის საჭირო."[27] ზოგჯერ ესა თუ ის ვითარება ჩვენი გამოცდილებისათვის უცხოა და, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მისი მნიშვნელობისა და, შესაბამისად, ჩვენი ინტერესების ანალოგიის საშუალებით კონსტრუირება ან მათი გამოგონება გვიხდება. უფრო ხშირად მათი ხასიათი ნაცნობია და ჩვენ ინსტიტუციურად განსაზღვრული როლების მიხედვით ვადგენთ მნიშვნელობებს. როდესაც ვამბობთ, რომ პროფესორებს სწავლების, კვლევის ან შვებულების აღების „ინტერესი" აქვთ, იგულისხმება, რომ „პროფესორის" როლურ თავისებურებაში ფუნქციონირებისათვის, მოქმედი პირები გარკვეულ ვითარებაში განსაზღვრულად უნდა მოიქცნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად ასე მოიქცევიან (მოლოდინები და უფლებამოსილება ქცევას არ გულისხმობს), მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სამუშაო ადგილს ვერ მიიღებენ. როლების არარსებობა ან მათი შეუსაბამობა ვითარებისა და ინტერესების განსაზღვრას გაცილებით ართულებს, რასაც თავისებურებების აღრევა შეიძლება მოჰყვეს. სწორედ ეს ხდება დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში: თავისებურებების განსაზღვრისას ერთმანეთისათვის „ცივი ომის" დროინდელი საფრთხისა და მტრობის მიწერის გარეშე, ეს ქვეყნები საკუთარი „ინტერესების" დადგენას ვეღარ ახერხებენ.

ინსტიტუტი არის თავისებურებებისა და ინტერესების შედარებით სტაბილური ერთობლიობა ან „სტრუქტურა." ამგვარი სტრუქტურები ხშირად ფორმალურ წესებსა და ნორმებშია კოდიფიცირებული, მაგრამ მათ მიერ მოტივაციური ძალის შეძენა მხოლოდ მოქმედ პირთა სოციალიზაციისა და კოლექტიურ ცოდნაში მონაწილეობის შედეგად ხდება. ინსტიტუტები შემეცნებითი ერთეულებია, რომლებიც სამყაროს შესახებ მოქმედ პირთა წარმოდგენებისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს.[28]

---

[26] ინტერესთა „ნაკრების"კონცეფციის თაობაზე, იხილეთ: Barry Hidess, *Political Choice and Social Structure* (Aldershot, U.K.: Edward Elgar, 1989), pp. 2-3. „ვითარების განსაზღვრა" ინტერაქციონისტული თეორიის ძირითადი კონცეფციაა.

[27] Nelson Foote, "Identification as the Basis for a Theory of Motivation," *American Sociological Review* 16 (February 1951), p.15 ინტერესების ასეთი მკაცრად სოციოლოგიური კონცეფციები, „ზედმეტად სოციალიზების" გამო, გააკრიტიკეს და, გარკვეულწილად, სამართლიანადაც. იხილეთ: Dennis Wrong, "The Oversocialized Conception of Man in Modern Sociology," *American Sociological Review* 26 (April 1961), pp. 183-93. საყურადღებო შესწორება, რომელიც სოციალური კონტექსტის ფარგლებში პროსოციალური, მაგრამ არადეტერმინირებული ადამიანური მოთხოვნილებების გააქტიურებაზე ამახვილებს ყურადღებას, იხილეთ ნაშრომებში: Turner, *A Theory of Social Interaction*, pp.. 23-69; და Viktor Gecas, "The Self-Concept as a Basis for a Theory of Motivation," in Judith Howard and Peter Callero, eds., *The Self-Society Dynamic* (Cambridge University Press, 1991), pp. 171-87.

[28] ნეოდურკჰაიმელთა ტერმინოლოგიით, ინსტიტუტები „სოციალური წარმომადგენლობებია." იხილეთ: Serge Moscovici, "The Phenomenon of Social Representations," in Rob Farr and Serge Moscovici, eds., *Social Representations* (Cambridge University Press, 1984), pp. 3-69. იხილეთ აგრეთვე: Barnes, *The Nature of Power*. გაითვალისწინეთ, რომ ეს კოგნიტივიზმი გაცილებით მეტად სოციალიზებულია, ვიდრე ამას მსოფლიო პოლიტიკაში „იდეების" როლის შესახებ თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომთა უმრავლესობაში შეიძლება ვიპოვნოთ, სადაც იდეები განხილულია, როგორც მოხმარების საგნები, რომლებიც ინდივიდებს ეკუთვნის და ძალის განაწილებასა და შედეგებზე გარკვეულ გავლენას ახდენს. კოგნიტივიზმის ჩემეულ ფორმასთან ახლოს მდგომი მოსაზრებები იხილეთ ნაშრომში: Emanuel Adler, "Cognitive Evolution: A Dynamic Approach for the Study of International Relations and Their Progress," in Emanuel Adler and Beverly Crawford, eds., *Progress in Postwar International Relations* (New York: Columbia University Press, 1991), pp. 43-88.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინსტიტუტები რეალურად არარსებული ან უსაგნოა, ან რომ ისინი „მხოლოდ და მხოლოდ" წარმოსახვის ნაყოფია. როგორც კოლექტიური ცოდნა, ისინი იგრძნობა „იმ ინდივიდების მიღმა და მათ გარეშე, ვინც ამჟამად მათ მატარებლად გვევლინება."[29] ამგვარად, ინსტიტუტები, როგორც მეტად თუ ნაკლებად იძულებითი სოციალური ფაქტები, წინ ხვდება ინდივიდებს, მაგრამ ეს ის არის, რაც მოქმედმა პირებმა კოლექტიურად „იციან." თავისებურებები და მსგავსი კოლექტიური ცოდნა ერთმეორის გარეშე არ არსებობს; ისინი „ურთიერთქმნადია."[30] ამ თვალსაზრისით, ინსტიტუციონალიზაცია ახალი თავისებურებებისა და ინტერესების გათავისების (და არა მათ მიღმა მიმდინარე) პროცესია, რომელიც მხოლოდ ქცევაზე ახდენს გავლენას; ხოლო სოციალიზაცია, ქცევითთან ერთად, შემეცნებითი პროცესიცაა. ამდენად, ინსტიტუტებს როგორც თანამშრომლობითი, ისე კონფლიქტური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. ეს საკითხი ხშირად ავიწყდებათ საერთაშორისო რეჟიმების სამეცნიერო კვლევისას, სადაც ინსტიტუტები თანამშრომლობასთანაა გაიგივებული. კონფლიქტურ და თანამშრომლობით ინსტიტუტებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, „მე-სხვის" ტიპის ყველა შედარებით სტაბილური ურთიერთობა – „მტრებს" შორისაც კი – ურთიერთგანმაპირობებლად განიხილება.

თვითდახმარება არის ერთ-ერთი ინსტიტუტი თავისებურებებისა და ინტერესების იმ მრავალრიცხოვან სტრუქტურათაგან, რომლებიც ანარქიის დროს შეიძლება არსებობდეს. ანარქიის პირობებში თავისებურების ჩამოყალიბების პროცესები, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, „მე"-ს „უსაფრთხოების" შენარჩუნებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების კონცეფციები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, თუ როგორ ხდება „მე"-ს სხვებთან ცნობიერად იდენტიფიცირება[31] და, ჩემი ვარაუდით, სწორედ ამ შემეცნებით ვარიაციაზეა დამოკიდებული ანარქიაზე წარმოდგენა და ძალის განაწილება. ქვემოთ ამის საილუსტრაციოდ უსაფრთხოების სისტემათა სიმრავლეს მოვიშველიებ.[32]

ერთი მხრივ, მოცემულია „კონკურენტული" უსაფრთხოების სისტემა, სადაც სახელმწიფოები ერთმანეთის უსაფრთხოებას უარყოფითად აღიქვამენ, ანუ ერთის მოგება მეორის წაგებად განიხილება. უარყოფითი აღქმა ანარქიის პირობებში ძალის პოლიტიკის „რეალისტურ" სისტემას აყალიბებს: მოქმედი პირები, რომლებიც მაქსი-

[29] Berger and Luckmann, *The Social Construction of Reality,* p.58.

[30] იხილეთ: Giddens, *Central Problems in Social Theory;* და Alexander Wendt and Raymond Duvall, "Institutions and International Order," in Ernst-Otto Czempiel and James Rosenau, eds., *Global Changes and Theoretical Challenges* (Lexington Books,1989), pp. 51-74.

[31] არჩევნის თეორიის მომხრეებმა ეს შეიძლება განიხილონ, როგორც „ურთიერთდამოკიდებული სარგებლიანობა." არჩევნის თეორიაზე დაფუძნებული დისკუსიის საინტერესო მიმოხილვა, რომლის უმეტესი ნაწილიც ალტრუიზმის შემთხვევებს ეთმობა, იხილეთ სტატიაში: Harold Hochman and Shumel Nitzan, "Concepts of Extended Preference," *Journal of Economic Behavior and Organizations* 6 (June), pp. 161-76. არჩევნის თეორიის სამეცნიერო ლიტერატურა, ჩვეულებრივ, არ უკავშირებს ქცევას თავისებურების საკითხებს. გამონაკლისისათვის იხილეთ: Amartya Sen, "Goals, Commitment, and Identity," *Journal of Law, Economics, and Organization* 1 (Fall 1985), pp 341-55 და Robert Higgs, "Identity and Cooperation: A Comment on Sen's Alternative Program," *Journal of Law, Economics, and Organization* 3 (Spring 1987), pp. 140-42.

[32] უსაფრთხოების სისტემები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა დონეზე არსებობს ფუნქციური დიფერენციაცია ან იერარქიული ურთიერთობა პატრონსა და კლიენტს შორის, როდესაც პატრონი საკუთარი გავლენის სფეროში კლიენტის უსაფრთხოების ინტერესთა დასაცავად პეგემონურ როლს თამაშობს. აქ ამ განზომილებას არ შევეხები; ამ საკითხის განხილვისათვის იხილეთ: Alexander Wendt, "The States System and Global Militarization," Ph.D. diss., University of Minnesota, Minneapolis, 1989; და Alexander Wendt and Michael Barnett, "The International System and Third World Militarization," გამოუქვეყნებელი ნაშრომი, 1991.

მალურად ცდილობენ რისკის თავიდან აცილებას, ერთმანეთის განზრახვათა შესახებ დასკვნებს ერთიმეორის შესაძლებლობათა საფუძველზე აკეთებენ და დიდ ყურადღებას უთმობენ მოგებისა და წაგების ურთიერთშეფარდებას. საბოლოო ჯამში, ვიღებთ ჰობსისეულ „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ," სადაც კოლექტიური მოქმედება თითქმის შეუძლებელია, რადგან თითოეულ მოქმედ პირს მუდმივად ღალატის შიში აქვს.

შუალედური მდგომარეობა უკავია უსაფრთხოების „ინდივიდუალისტურ" სისტემას, სადაც სახელმწიფოები საკუთარი და სხვისი უსაფრთხოების ურთიერთმიმართების საკითხში ინდიფერენტულნი არიან. ასეთი მიდგომა „ნეოლიბერალურ" სისტემას აყალიბებს: სახელმწიფოები კვლავაც თავადვე ზრუნავენ საკუთარ უსაფრთხოებაზე, მაგრამ ამჯერად ისინი აბსოლუტურ მოგებაზე არიან ორიენტირებულნი და არა – შედარებითზე. ძალის განაწილებაში ერთეულთა პოზიციას ნაკლები მნიშვნელობა აქვს და კოლექტიური ქცევა უფრო მეტად არის შესაძლებელი (თუმცა, „ფრირაიდერობა" ისევ აქტუალურია, რადგან სახელმწიფოები კვლავაც „ეგოისტებად" რჩებიან).

კონკურენტული და ინდივიდუალისტური სისტემები ანარქიაში „თვითდახმარების" ფორმებია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოები საკუთარ უსაფრთხოებას სხვებისას კი არ უკავშირებენ, არამედ მას თითოეული მათგანის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობად მიიჩნევენ. დადებითი შემეცნებითი იდენტიფიკაციის სიმცირის გამო, რომელსაც არსებული უსაფრთხოების რეჟიმების მშენებლობა უნდა დაეფუძნოს, ძალის პოლიტიკა ასეთ სისტემებში აუცილებლად მოიცავს საკუთარი ინტერესების მისაღწევად სხვებით მანიპულირების მცდელობას.

ეს ყოველივე განსხვავდება „თანამშრომლობითი" უსაფრთხოების სისტემისაგან, სადაც სახელმწიფოები ერთმანეთს დადებითად აღიქვამენ და თითოეულის უსაფრთხოება ყველას პასუხისმგებლობად განიხილება. ეს თვითდახმარება არ არის, რადგან „მე," რომლის მიხედვითაც ინტერესების განსაზღვრა ხდება, თავად თანამეგობრობაა, ეროვნული ინტერესები კი საერთაშორისო ინტერესებია.[33] პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან იდენტიფიცირების დიაპაზონი სახელმწიფოთა „კონცერტის" შეზღუდული ფორმიდან სრულმასშტაბიან, „კოლექტიური უსაფრთხოების" ღონისძიებებამდე მერყეობს.[34] იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად არის განვითარებული კოლექტიური „მე," მას სხვადასხვა ხარისხის ალტრუისტული ან პროსოციალური უსაფრთხოების პრაქტიკა შეუძლია წარმოქმნას. ამით კოლექტიური მოქმედება ნაკლებად ხდება დამოკიდებული აქტიურ მუქარაზე და ნაკლებად ამჟღავნებს „ფრირაიდერობისაკენ" მიდრეკილებას.[35] უფრო

[33] ეს ნიშნავს „სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაციას." ამ საკითხის განხილვისათვის იხილეთ: Raymond Duvall and Alexander Wendt, "The International Capital Regime and the Internationalization of the State," გამოუქვეყნებელი ნაშრომი, 1987. იხილეთ აგრეთვე: R. B. J. Walker, "Sovereignty, Identity, Community: Reflections on the Horizons of Contemporary Political Practice," in: R. B. J. Walker and Saul Mendlovitz, eds., *Contending Sovereignties* (Boulder, Colo.: Lynne Rienner, 1990), pp. 159-85.

[34] უსაფრთხოების თანამშრომლობითი ღონისძიებების სპექტრის თაობაზე იხილეთ: Charles Kupchan and Clifford Kupchan, "Concerts, Collective Security, and the Future of Europe," *International Security* 16 (Summer 1991), pp. 114-61; და Richard Smoke, "A Theory of Mutual Security," in: Richard Smoke and Andrei Kortunov, eds., *Mutual Security* (New York: St. Martin's Press, 1991), pp. 59-111. ასევე: Christopher Jencks' "Varieties of Altruism,"in: Jane Mansbridge, ed., *Beyond Self-Interest* (Chicago: University of Chicago Press, 1990), pp. 53-67.

[35] კოლექტიური თავისებურების როლზე კოლექტიური მოქმედების პრობლემათა შემცირებაში იხილეთ: Bruce Fireman and Williams Gamson, "Utilitarian Logic in the Resource Mobilization Perspective," in: Mayer Zald and John McCarthy, eds., *The Dynamics of Social Movements* (Cambridge, Mass: Winthrop, 1979), pp. 8-44; Robyn Dawes et al., "Cooperation for the Benefit of US–Not Me, or My

მეტიც, ის რომელიმე მათგანის მიერ უფრო მეტის მიღების მცდელობებს ან, სულაც, „ძალის პოლიტიკას" გაზიარებული ნორმებისა და არა შეფარდებითი ძალის საფუძველზე გარდაქმნის.[36]

ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო წრეებში არსებული ტენდენცია იმისა, რომ ძალა და ინსტიტუტები საგარეო პოლიტიკის ორ საპირისპირო ახსნად წარმოჩნდეს, მცდარია, ვინაიდან ანარქია და ძალის განაწილება სახელმწიფოს ქცევისათვის მხოლოდ იმ წარმოდგენებისა და მოლოდინების მეშვეობით იძენს მნიშვნელობას, რომლებიც ინსტიტუციურ თავისებურებებსა და ინტერესებს აყალიბებს. თვითდახმარება ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტია, რომელიც ანარქიის ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ სახეობას ქმნის. ამრიგად, სტრუქტურის უოლცისეული სამნაწილიანი განმარტება არამართებულია. სტრუქტურიდან მოქმედებაზე გადასასვლელად მეოთხე ნაწილის დამატებაც დაგვჭირდება, ესაა: სისტემაში ურთიერთგანმაპირობებლად კონსტრუირებული თავისებურებებისა და ინტერესების სტრუქტურა.

ამას მნიშვნელობა აქვს იმისათვის, თუ როგორ აღვიქვამთ სახელმწიფოებს ბუნებრივ მდგომარეობაში, სანამ ისინი პირველად დაამყარებენ კონტაქტს ერთმანეთთან. იმის გამო, რომ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ „მე"-სა და „სხვის" კონცეფციები და, შესაბამისად, – უსაფრთხოების ინტერესები (ურთიერთქმედებამდე ან მის გარეშე), ჩვენ ზედმეტ მნიშვნელობას მივანიჭებთ ბუნებრივ მდგომარეობას, თუ დავეთანხმებით უოლცს იმაში, რომ ანარქიის ზეგავლენით, „საერთაშორისო პოლიტიკური სისტემები, ეკონომიკური ბაზრების მსგავსად, ეგოისტური ერთეულების ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება."[37] ასევე არამართებულია იმის მტკიცება, რომ ანარქიის ზეგავლენით, სახელმწიფოები ბუნებრივ მდგომარეობაში აუცილებლად აწყდებიან „ირემზე ნადირობის" მაგალითს ან „უსაფრთხოების დილემას."[38] ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ურთიერთქმედების გარკვეული ისტორია, რომლის დროსაც სახელმწიფოებმა „ეგოისტური" თვისებები და ინტერესები შეიძინეს; ურთიერთქმედებამდე (ისევ პირველი და მეორე ხედვის ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად) მათ ვერ ექნებათ რაიმე გამოცდილება, რომელზეც „მე"-სა და „სხვის" განმარტებებს დააფუძნებენ. საწინააღმდეგოს თუ დავეთანხმებით, ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოებს მივაწერთ იმ თვისებებს, რომლებიც

Conscience," in: Mansbridge, *Beyond Self-Interest,* pp. 97-110; და Crag Calhoun, "The Problem of Identity in Collective Action," in: Joan Hunter, ed., *Macro-Micro Linkages in Sociology* (Beverly Hills, Calif.: Sage, 1991), pp. 51-75.

[36] იხილეთ: Thomas Risse-Kappen, "Are Democratic Alliances Special?" გამოუქვეყნებელი ნაშრომი, Yale University, New Haven, Conn., 1991. არგუმენტთა ეს წყება წარმატებით შეიძლება დასაბუთდეს ფემინისტური ხედვის მეშვეობით. „მე"-ს ფემინისტური კონცეფციის ურთიერთობითი ხასიათის თაობაზე საინტერესო მიმოხილვა იხილეთ ნაშრომში: Paula England and Barbara Stanek Kibourne, "Feminist Critique of the Separative Model of Self: Implications for Rational Choice Theory," *Rationality and Society* 2 (April 1990), pp. 156-71. ძალის ფემინისტური გააზრების თაობაზე იხილეთ: Ann Tickner, "Hans Morgenthau's Principles of Political Realism: A Feminist Reformulation," *Millenium* 17 (Winter 1988), pp. 429-40; და Thomas Wartenberg, "The Concept of Power in Feminist Theory," *Praxis International* 8 (October 1988), pp. 301-16.

[37] Waltz, Theory of International Politics, p. 91.

[38] იხილეთ: Waltz, *Man, the State, and War*; და Robert Jervis, "Cooperation Under the Security Dilemma," *World Politics* 30 (January 1978), pp. 167-214.

მათ მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება ჰქონდეთ.[39] თვითდახმარება ინსტიტუტია და არა ანარქიის თვისებრივი მახასიათებელი.

მაშინ, რა *არის* ბუნებრივი მდგომარეობის თვისებრივი მახასიათებელი ურთიერთქმედებამდე? თუ „მე"-ს „სხვებთან" ურთიერთობის ისტორიას გვერდით გადავდებთ, ორი რამ დაგვრჩება. პირველი, აგენტის მატერიალური სუბსტანციაა, რომელშიც მისი შინაგანი შესაძლებლობებიც შედის. ადამიანებისათვის ეს სხეულია, სახელმწიფოებისათვის კი – მართვის ორგანიზაციული აპარატი. აქედან გამომდინარე, როტორიკული თვალსაზრისით, ვუშვებ, რომ სახელმწიფოთა სისტემის წევრების შემადგენელ პირველად მასალას შიდა საზოგადოება ქმნის, სანამ სახელმწიფოები საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში შევლენ,[40] თუმცა, ეს პროცესები არც სტაბილურ ტერიტორიულობას გულისხმობს და არც სუვერენიტეტს, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობის საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული პირობებია (რასაც ქვემოთ განვიხილავთ). მეორე, ამ მატერიალური სუბსტანციის შენარჩუნება, გადარჩენაა. თუმცა, ეს არ იწვევს ეგოიზმს, სანამ მოქმედ პირებს „სხვასთან" ურთიერთქმედებამდე თავიანთი „მე" არ აქვთ განვითარებული; მაშასადამე, მათ მიერ ამ გადარჩენის მნიშვნელობისა და საჭიროების ხედვა დამოკიდებულია იმ პროცესებზე, რომელთა მეშვეობითაც „მე"-ს კონცეფციები ვითარდება.

ეს ყველაფერი ძალზე ბუნდოვნად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ისმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური თავისებურებები და ინტერესები სახელმწიფო სისტემის ენდოგენური მახასიათებლებია თუ ეგზოგენური? პირველი პასუხი ინდივიდუალისტური ან დესოციალიზებული სისტემური თეორიიდან გამომდინარეობს, რომლისთვისაც დამახასიათებელია რაციონალიზმი; მეორე კი მთლიანად სოციალიზებული სისტემური თეორიის პასუხია. როგორც ჩანს, უოლცი სწორედ ამ უკანასკნელს გვთავაზობს და შემოაქვს ორი მექანიზმი, კონკურენცია და სოციალიზაცია, რომელთა მეშვეობითაც სტრუქტურა სახელმწიფოს ქცევას განაპირობებს.[41] თუმცა, განპირობებულობის ამ არგუმენტის შინაარსი მოიცავს თვითდახმარების სისტემას, რომელიც თავისთავად ანარქიის თვისებრივი მახასიათებელია. როგორც ჯეიმს მოროუ შენიშნავს, უოლცის ორი მექანიზმი განაპირობებს ქცევას და არა თავისებურებებსა და ინტერესებს.[42] ამით შეიძლება აიხს-

[39] აქ ჩემს მიერ მოყვანილი არგუმენტი გარკვეულწილად შეესაბამება ჰობსის რუსოსეულ კრიტიკას. რუსოს რეალისტური ნაშრომების ბრწყინვალე კრიტიკა იხილეთ სტატიაში: Michael Williams, "Rousseau, Realism, and Realpolitik," *Millenium* 18 (Summer 1989), pp. 188-204. უილიამსი ამტკიცებს, რომ რუსოსათვის „ირემზე ნადირობა" ადამიანის დაცემის სტადიაა და არა ძირითადი ათვლის წერტილი ბუნებრივ მდგომარეობაში. 190-ე გვერდზე უილიამსს ციტატად მოჰყავს რუსოსეული აღწერა ადამიანისა ბუნებრივი მდგომარეობის დატოვებამდე: „ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავი ახსოვს; ის თავის კეთილდღეობას სხვებისას არ უკავშირებს; მას არაფერი სძულს და არაფერი უყვარს; მაგრამ ვიდრე მხოლოდ საკუთარ ფიზიკურ ინსტინქტებს ემორჩილება, ის არავინაა, ის ცხოველია." ჰობსის კიდევ ერთი კრიტიკა ბუნებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც ერთგვარად ანარქიის ჩემეულ კონსტრუქტივისტულ გაგებას ეხმიანება, იხილეთ ნაშრომში: Charles Landesman, "Reflection on Hobbes: Anarchy and Human Nature," in: Peter Caws, ed., *The Causes of Quarrel* (Boston: Beacon, 1989), pp. 139-48.

[40] ემპირიულად, ამგვარი მოსაზრება გარკვეულ სითულეებს ანყდება, რადგანაც დეკოლონიზაციის პროცესი და საერთაშორისო საზოგადოების მიერ მესამე სამყაროს ბევრი სახელმწიფოს მხარდაჭერა მიუთითებს იმაზე, რომ „ემპირიული სახელმწიფოებრიობის" ნედლი მასალაც კი სახელმწიფოთა საზოგადოებაა. იხილეთ: Robert Jackson and Carl Rosberg, "Why Africa's Weak States Persist: The Empirical and the Juridical in Statehood," *World Politics* 35 (October 1982), pp. 1-24.

[41] Waltz, *Theory of International Politics*, pp. 74-77.

[42] იხილეთ: James Morrow, "Social Choice and System Structure in World Politics," *World Politics* 41 (October 1988), p. 89. სოციალიზაციის მიმართ უოლცის ბიჰეიორული მიდგომა შეიძლება დავუპირისპიროთ აიკენბერისა და კუპჩანების კოგნიტურ მიდგომას, რომელიც შემდეგ სტატიებ-

ნას ის, თუ რატომ შეიძლება უოლცს ერთდროულად „ინდივიდუალიზმიც" ღავწამოთ და „სტრუქტურალიზმიც."[43] იგი ინდივიდუალისტია თავისებურებებისა და ინტერესების სისტემური აგებულების გამო და სტრუქტურალისტია ქცევის სისტემური განმარტებების გამო.

ანარქია და ძალის პოლიტიკის სოციალური კონსტრუქცია

თუ თვითდახმარება ანარქიის თვისებრივი მახასიათებელი არ არის, ის მიზეზობრივად იმ პროცესებიდან უნდა წარმოიქმნებოდეს, რომელშიც ანარქია მხოლოდ დამშვებ როლს ასრულებს.[44] ეს კონსტრუქტივიზმის მეორე პრინციპის გამოხატულებაა: ანუ ის მნიშვნელობები, რომელთა მიხედვითაც ქცევის ორგანიზება ხდება, ურთიერთქმედების შედეგად ჩნდება.[45] თუმცა, სახელმწიფოების პირველი კონტაქტისას ისეთი მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას, რომ მხოლოდ თავისებურების ეგოისტური კონცეფციები გადარჩეს; თუ ასე მოხდა, ეს კონცეფციები სოციალურად კონსტრუირებული რომც იყოს, ნეორეალისტები, ალბათ, მართლები გამოდგებიან, რადგანაც თავისებურებებსა და ინტერესებს მუდმივ ფენომენებად განიხილავენ და ამით, პროცესთან შედარებით, ანარქიული სტრუქტურის ერთ კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ უპირატესობას. ასეთ ვითარებაში, რაციონალისტები მართლები იქნებიან, თუ ინსტიტუტთა მიერ შექმნილი განსხვავების სუსტ, ბიპევიორულ კონცეფციას დაუჭერენ მხარს, რეალისტები კი მართლები იქნებიან, თუ იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ ნებისმიერი შექმნილი საერთაშორისო ინსტიტუტი თავისთავად არასტაბილური იქნება, რადგანაც თავისებურებათა და ინტერესთა ცვლილების უნარის გარეშე, „არჩევნის მუდმივ ობიექტად" მოევლინება ეგზოგენურად შექმნილ მოქმედ პირებს, რომლებსაც მხოლოდ ქცევითი ცვლილების ხარჯები თუ შეაკავებთ.[46]

შია მოცემული: G. John Ikenberry and Charles Kupchan, "Socialization and Hegemonic Power," International Organizations 44 (Summer 1989), pp. 283-316; და Kupchan and Kupchan, "Concerts, Collective Security, and the Future of Europe." მათი მიდგომა ახლოს დგას ჩემს მიდგომასთან, მაგრამ ისინი სოციალიზაციას განმარტავენ, როგორც ელიტის სტრატეგიას, რომლის მიზანიც სხვებში ღირებულებათა შეცვლა და არა როგორც ურთიერთქმედების ზოგად მახასიათებელს, რომლითაც ყველა თავისებურებისა და ინტერესის წარმოქმნა და გარდაქმნა ხდება.

[43] ინდივიდუალიზმთან დაკავშირებით იხილეთ: Richard Ashley, "The Poverty of Neorealism," *International Organization* 38 (Spring 1984), pp. 225-86; Wendt, "The Agent-Structure Problem in International Relations Theory" და David Dessler, "What's at Stake in the Agent-Structure Debate?" *International Organization* 43 (Summer 1989), pp. 441-74. სტრუქტურალიზმის თაობაზე იხილეთ: R. B. J. Walker, "Realism, Change, and International Political Theory," *International Studies Quarterly* 31 (March 1987), pp. 65-86; და Martin Hollis and Steven Smith, *Explaning and Understanding International Relations* (Oxford: Claredon Press, 1989). ნეორეალისტურ თეორიაში გამოხატული ბიპევიორიზმი აგრეთვე ხსნის, თუ როგორ უთავსებენ ნეორეალისტები სტრუქტურალიზმს რაციონალური არჩევნის თეორიის ინდივიდუალიზმს. ამ უკანასკნელის ბიპევიორულ-სტრუქტურული ხასიათის თაობაზე იხილეთ: Spiro Latsis, "Situational Determinism in Economics," *British Journal for the Philosophy of Science* 23 (August 1972), pp. 207-45.

[44] აგებულებით და მიზეზ-შედეგობრივ ახსნებს შორის სხვაობის მნიშვნელობას არასათანადო ყურადღება ექცევა კონსტრუქტივისტულ დისკუსიაში. იხილეთ: Wendt, "The Agent-Structure Problem in International Relations Theory," pp. 362-65, Wendt, "The States System and Global Militarization," *Review of International Studies* 17 (October 1991), p. 390.

[45] იხილეთ: Blumer, "The Methodological Position of Symbolic Interactionism," pp. 2-4.

[46] იხილეთ: Robert Grafstein, "Rational Choice: Theory and Institutions", in: Kristen Monroe, ed., *The Economic Approach to Politics* (New York: Haroer Collins, 1991), pp. 263-64. ინსტიტუციური ანალიზის ხარჯებზე დაფუძნებული მიდგომის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების თაობაზე კარგ მაგალითს გვთავაზობს რობერტ კიოჰეინი ნაშრომში: *After Hegemony*, Princeton, N.J.: Princeton University Press, 1984).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანარქიამ დამშვები მიზეზის როლშიც კი, მნიშვნელოვნად შეიძლება შეზღუდოს ურთიერთქმედება და, შესაბამისად, სისტემური თეორიის სოციალისუნარიანი ფორმებიც. ამ მიზეზობრივ საკითხებს ჯერ იმის ჩვენებით შევეხები, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს უსაფრთხოების ეგოისტური იდეები, შემდგომ კი გამოვარკვევ იმ პირობებს, რომლებშიც მთავარ მამოძრავებელ მიზეზს – მტაცებლობას – სწორედ ამგვარად (და არა სხვა რომელიმე მიმართულებით) შეუძლია განაწყოს სახელმწიფოები.

დროთა განმავლობაში „მე"-სა და ინტერესის კონცეფციები სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენას „ირეკლავს." თავისებურების ჩამოყალიბების ეს პრინციპი საფუძვლად უდევს სიმბოლურ ინტერაქციონისტთა „ასახული მე"-ს ცნებას, რომელიც „მე"-ს მოქმედი პირის სოციალიზაციის ანარეკლად მიიჩნევს.

წარმოვიდგინოთ ორი მოქმედი პირი – ეგო და ალტერი – რომლებიც პირველად ხვდებიან ერთმანეთს.[47] თითოეულ მათგანს გადარჩენა სურს და მოწინააღმდეგის მსგავსი მატერიალური შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ახასიათებს ძალაუფლების, განდიდების ან დაპყრობის ბიოლოგიური თუ შინაგანი იმპერატივი; მათ არც უსაფრთხოების ან საფრთხის საერთო ისტორია აქვთ. როგორ უნდა მოიქცნენ ისინი? რეალისტები, ალბათ, იტყვიან, რომ თითოეულმა მეორის ყველაზე უარესი შესაძლო განზრახვის საფუძველზე უნდა იმოქმედოს და ასეთ დამოკიდებულებას კეთილგონიერებით დაასაბუთებენ, რომლის თანახმადაც შეცდომის დაშვება სიკვდილის ტოლფასია. ამგვარი შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს, თვით სამოქალაქო საზოგადოებაშიც კი, მაგრამ ადამიანები გადაწყვეტილებებს ყველაზე უარესი შესაძლო განზრახვის საფუძველზე რომ იღებდნენ, საზოგადოება ვერ იარსებებდა. პირიქით, გადაწყვეტილებების უმეტესობა მიიღება და უნდა მიიღებოდეს ალბათობის საფუძველზე, ამ უკანასკნელს კი ურთიერთქმედება, ანუ მოქმედ პირთა *ქცევა* განაპირობებს.

თავდაპირველად ეგო აკეთებს ჟესტს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს შეტევას, უკან დახევას, იარაღის ჟღარუნს, იარაღის დაყრას ან თავდასხმას.[48] ეგოსათვის აღნიშნული ჟესტი ის საფუძველია, რომლითაც იგი ალტერისათვის პასუხის გაცემას აპირებს. ეს საფუძველი ალტერისათვის უცნობია და, ამგვარად, მან უნდა გააკეთოს დასკვნა ეგოს განზრახვის შესახებ ანუ „მიაწეროს" მას რაიმე მიზანი, კერძოდ კი, ანარქიის გათვალისწინებით, დაადგინოს, ქმნის თუ არა ეგო საფრთხეს.[49] ამ დასკვნის შინაარსი დიდად იქნება დამოკიდებული ორ ფაქტორზე. პირველი ჟესტისა და ეგოს ფიზიკური შესაძლებლობებია, რომლებიც ნაწილობრივ განსაზღვრულია ეგოს მიერ და მოიცავს მისი ქცევის მიმართულებას, ხმაურს, რაოდე-

[47] მსოფლიო პოლიტიკაში ეს ვითარება მთლიანად მეტაფორული არ არის, რადგანაც ისტორიის მანძილზე სახელმწიფოებმა „აღმოაჩინეს" ერთმანეთი და მაშინვე მარადიულ ანარქიას მისცეს დასაბამი. ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა პირველი კონტაქტების ემპირიულად შესწავლა.

[48] მიდის ჟესტების ანალიზი ყველაზე მნიშვნელოვანია. იხილეთ მისი: *Mind, Self, and Society*. იხილეთ აგრეთვე დისკუსია „ურთიერთქმედების მექანიზმებში" სიგნალთა ურთიერთგაცვლის როლის შესახებ ტერნერის ნაშრომში: *A Theory of Social Interaction*, გვ. 74-79 და 92-115.

[49] თავისებურების ჩამოყალიბებაში მინერის პროცესზე ინტერაქციონისტთა შეხედულებების შესახებ იხილეთ: Sheldon Stryker and Avi Gotlieb, "Attribution Theory and Symbolic Interactionism" in John Harvey et al., eds., *New Directions in Attribution Research*, vol. 3 (Hillsdale, N.J.: Lawrence Erlbaum, 1981), pp. 425-58 და Kathleen Crittenden, "Sociological Aspects of Attribution," *Annual Review of Sociology*, vol. 9, 1983, pp. 425-46. საერთაშორისო ურთიერთობებში მინერის პროცესების შესახებ იხილეთ: Shawn Rosenberg and Gary Wolfsfeld, "International Conflict and the Problem of Attribution," *Journal of Conflict Resolution* 21 (March 1977), pp. 75-103.

ნობასა და ჟესტის უშუალო შედეგებს.[50] მეორე ფაქტორი ალტერის შეხედულებაა იმაზე, თუ რას დააპირებდა თავად იგი ამ შესაძლებლობებით, ასეთივე ჟესტის გაკეთება რომ გადაეწყვიტა. ალტერმა ეგოს განზრახვის შეფასებისას „შეცდომა" შეიძლება დაუშვას, მაგრამ მას a priori – ჟესტამდე – არც იმის ვარაუდის საბაბი აქვს, რომ ეგო ემუქრება, ვინაიდან მხოლოდ სიგნალებისა და მათი ინტერპრეტაციის პროცესის შედეგად შეიძლება შეცდომის საფასურისა და ალბათობის განსაზღვრა.[51] სოციალური საფრთხეები კონსტრუირებულია და არა ბუნებრივი.

განვიხილოთ მაგალითი. მართებულია თუ არა, a priori ვივარაუდოთ, რომ უცხოპლანეტური ცივილიზაციის წარმომადგენლებთან კონტაქტის შემთხვევაში, ისინი აუცილებლად თავს დაგვესხმიან? ვფიქრობ, რომ არა. რასაკვირველია, ყურადღებით ვიქნებით, მაგრამ ჩვენს მიერ შეიარაღებული ძალების მზადყოფნაში მოყვანა და თავდასხმა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ინტერპრეტაციას გავუკეთებთ მათ ჟესტს საკუთარ უსაფრთხოებასთან მიმართებაში – თუ მხოლოდ თავს დავიზღვევთ, რომ საშიში მოწინააღმდეგე უშუალო მტრად არ გადაიქცეს. სხვა სიტყვებით, შეცდომის დაშვების შესაძლებლობა არ გვაიძულებს, ვიმოქმედოთ იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ უცხოპლანეტელები გვემუქრებიან: მოქმედება დამოკიდებულია იმ ალბათობაზე, რომელსაც ჩვენ მათ მივანერთ, რაც, თავის მხრივ, უცხოპლანეტელთა ქმედებიდან გამომდინარეობს; მათ ჟესტამდე ჩვენ ალბათობის განსაზღვრის სისტემური საფუძველი არ გაგვაჩნია. თუ ისინი ათასობით საფრენი აპარატით გამოცხადდებიან და ნიუ-იორკს დაანგრევენ, ჩვენ ვითარებას მუქარად შევაფასებთ და შესაბამისადაც ვუპასუხებთ. მაგრამ თუ ისინი ერთი ხომალდით გამოჩნდებიან, რითაც თავიანთ მშვიდობიან ზრახვებს გაამჟღავნებენ, ჩვენც „დარწმუნდებით" და, სავარაუდოდ, ისეთი ჟესტით ვუპასუხებთ, რომელიც მათი „დარწმუნებისაკენ" იქნება მიმართული, მიუხედავად იმისა, ისინი მას სწორად აღიქვამენ თუ არა.[52]

სიგნალის გაგზავნის, მისი ინტერპრეტაციისა და მასზე პასუხის გაცემის პროცესი წარმოადგენს „სოციალურ ქმედებას" და ურთიერთგანმაპირობებელ მნიშვნელობათა ჩამოყალიბების პროცესის დასაწყისს. ის ამგვარადვე ვითარდება. პირველი სოციალური ქმედება გარკვეულ მოლოდინებს უქმნის ორივე მხარეს ერთმანეთის მომავალი ქცევის თაობაზე: პოტენციურად მცდარს და უთუოდ საცდელს, მაგრამ მაინც მოლოდინებს. ამ საცდელ ცოდნაზე დაყრდნობით, ეგო ახალ ჟესტს ახორციელებს, რითაც ალტერისათვის შემდგომი პასუხის საფუძველს განსაზღვრავს, ალტერი კი კვლავ პასუხობს, რითაც ავსებს იმ საერთო ცოდნას, რომელსაც ისინი ერთმანეთის შესახებ ფლობენ და ასე გრძელდება გარკვეული დროის მანძილზე. ამ შემთხვევაში, მექანიზმი [ცოდნის] განმტკიცებაა; ურთიერთქმედება მოქმედ პირებს ერთმანეთის შესახებ ამა თუ იმ შეხედულებათა გაჩენისაკენ უბიძგებს და სხვაგვარი შეფასებებისაგან თავის შეკავებას კარნახობს. დიდხანს გაგრძელების შემთხვევაში, ეს „ურთიერთტიპიზაცია" „მე"-სა და „სხვის" შედარებით მყარ კონცეფციებს განავითარებს ურთიერთქმედების მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.[53]

[50] „თვითპრეზენტაციაში" გამოყენებული „ხელოვნების" თაობაზე იხილეთ: Erving Goffman, *The Presentation of Self in Everyday Life* (New York: Doubleday, 1959). ვითარების განსაზღვრისას გარეგნობის როლზე იხილეთ: Gregory Stone, "Appearance and the Self," in Arnold Rose, ed., *Human Behaviour and Social Processes* (Boston: Houghton Mifflin, 1962), pp. 86-118.


[51] საფრთხის აღქმაში შესაძლებლობებისა და ალბათობის როლის შესახებ მსჯელობაზე დიდი გავლენა მოახდინა სტიუარტ ჯონსონის კომენტარებმა ჩემი სტატიის ადრეულ ვარიანტზე.

[52] მუქარის დროს „დარწმუნების" როლზე იხილეთ: Richard Ned Lebow and Janice Gross Stein, "Beyond Deterrence," *Journal of Social Issues*, vol. 43, no. 4, 1987, pp. 5-72.

[53] „ურთიერთტიპიზაციის" შესახებ იხილეთ: Berger and Luckmann, *The Social Construction of Reality*, pp. 54-58.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ორმხრივი ურთიერთქმედების შედეგად ვქმნით და ვამკვიდრებთ შედარებით მტკიცე სოციალურ სტრუქტურებს, რომელთა საფუძველზეც განვსაზღვრავთ ჩვენს თავისებურებებსა და ინტერესებს. ჯეფ კოლტერი სტრუქტურის პროცესზე ონტოლოგიურ დამოკიდებულებას შემდეგნაირად განმარტავს: „სოციალური ორგანიზაციის პარამეტრები მხოლოდ დროთა განმავლობაში სოციალური ურთიერთქმედების მონაწილეთა ორიენტაციასა და გამოცდილებაში ან მათი მეშვეობით წარმოიქმნება . . . სოციალური კონფიგურაციები „ობიექტური" არ არის, როგორც, ვთქვათ, მთები ან ტყეები, მაგრამ არც „სუბიექტურია," როგორც, მაგალითად, სიზმრები ან ფანტაზიები. ისინი, როგორც ამას საზოგადოებრივ მეცნიერთა უმრავლესობა თეორიულ დონეზე აღიარებს, ურთიერთგანმაპირობებელი კონსტრუქციებია."[54]

სურათი 1. ინსტიტუტებისა და პროცესის ურთიერთგანსაზღვრის სქემა



თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბების მარტივი მოდელი, რომელიც ზემოთ სურათზეა ნაჩვენები, თანაბრად ვრცელდება როგორც კონკურენ-

[54] Jeff Coutler, "Remarks on the Conceptualization of Social Structure," *Philosophy of the Social Science* 12 (March 1982), pp. 42-43.

ტულ. ისე თანამშრომლობით ინსტიტუტებზე. თვიღდახმარების უსაფრთხოების სისტემა ურთიერთქმედების ციკლიდან წარმოიქმნება, რომელშიც თითოეული მხარე ისე მოქმედებს, რომ მეორე მხარე მის ნაბიჯებს საკუთარი „მე"-ს წინააღმდეგ მიმართულ მუქარად აღიქვამს, რის შედეგადაც იქმნება მოლოდინი, რომ „სხვისი" ნდობა არ შეიძლება. კონკურენტულ ანუ ეგოისტურ თავისებურებებს უსაფრთხოების არარსებობა განაპირობებს; თუ „სხვა" იმუქრება, „მე" იძულებულია, „არეკლოს" ამგვარი ქცევა „მე"-ს „სხვასთან" ურთიერთობის მისეულ წარმოდგენაში.[55] სხვების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ობიექტად თავის შეგრძნება მათ დადებითად აღქმას უშლის ხელს, რაც კოლექტიური უსაფრთხოებისათვის არის აუცილებელი; და პირიქით, სხვების მხრიდან საკუთარი „მე"-ს უსაფრთხოების პატივისცემა და მისდამი თანაგრძნობა, ამგვარ აღქმას შესაძლებელს ხდის.[56]

ურთიერთქმედების კონკურენტული სისტემები ხასიათდება მიდრეკილებით უსაფრთხოების „დილემისადმი," რომლის პირობებშიც მოქმედ პირთა მიერ საკუთარი უსაფრთხოების ცალმხრივად გაზრდის მცდელობა სხვების უსაფრთხოებას ემუქრება, რაც მუდმივ უნდობლობასა და გაუცხოებას ბადებს. თუმცა, თავისებურებებისა და ინტერესების ფორმები, რომლებიც ასეთ დილემას განაპირობებს, თავისთავად ურთიერთქმედების თანმხლები მოვლენებია და არა ეგზოგენური; თავისებურებები „განპირობებული ქცევის" დროს და მისი მეშვეობით წარმოიქმნება.[57] ჩვენ არ *ვიწყებთ* უცხოპლანტელებთან ურთიერთობას უსაფრთხოების დილემის პირობებში; უსაფრთხოების დილემები ანარქიის ან ბუნების ძალით მოცემული არ არის. რა თქმა უნდა, ინსტიტუციონალიზების შემთხვევაში, ასეთი დილემა ძნელად შესაცვლელი შეიძლება გახდეს (ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდები), მაგრამ რჩება მოსაზრება: თავისებურებები და ინტერესები კოლექტიური მნიშვნელობებით ყალიბდება, რომლებიც ყოველთვის განვითარების პროცესში იმყოფება. როგორც შელდონ სტრაიკერი აღნიშნავს, „სოციალური პროცესი „მე"-სა და სოციალური ურთიერთობების შემქმნელი და გარდამქმნელია."[58] თუ სახელმწიფოები თვითდახმარების სისტემაში აღმოჩნდებიან, ეს მათი გამოცდილების შედეგი იქნება. ამ პრაქტიკის შეცვლა ურთიერთგანმაპირობებელი ცოდნის ცვლილებას გამოიწვევს, რომელიც სისტემას აყალიბებს.

მტაცებელი სახელმწიფოები და ანარქია, როგორც დამშვები მიზეზი

თავისებურების ჩამოყალიბების სარკის თეორია ზოგადად ასახავს თავისებურებებისა და ინტერესების წარმოქმნის პროცესს, მაგრამ ის ვერ ხსნის, თუ რატომ ვიღებთ შედეგად, ისეთ სახელმწიფოთა სისტემაში, როგორიც ჩვენია, ეგოისტურ

[55] ნოელ კაპლოვიცის შემდგომმა სტატიებმა მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობებში ამგვარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას: "Psychological Dimensions of International Relations: The Receprocial Effects of Conflict Strategies," *International Studies Quarterly 28* (December 1984), pp. 373-4-6; და "National Self-Images, Perception of Enemies, and Conflict Strategies: Psychopolitical Dimensions of International Relations," *Political Psychology* 11 (March 1990), pp. 39-82.

[56] ეს არგუმენტები ხშირად გვხვდება ნარცისიზმისა და ალტრუიზმის თეორიებში. იხილეთ: Heinz Kohut, Self-Psychology and the Humanities (New York: Norton, 1985); და Martin Hoffman, "Empathy, Its Limitations, and Its Role in a Comprehensive Moral Theory," in William Kurtines and Jacob Gewirtz, eds., *Morality, Moral Behavior, and Moral Development* (New York: Wiley, 1984), pp. 283-302.

[57] იხილეთ: C. Norman Alexander and Mary Glenn Wiley, "Situated Activity and Identity Formation," in Morris Rosenberg and Ralph Turner, eds., *Social Psychology: Sociological Perspectives* (New York: Basic Books, 1981), pp. 269-89.

[58] Sheldon Stryker, "The Vitalization of Symbolic Interactionism," *Social Psychology Quarterly* 50 (March 1987), p. 93.

თვისებებს და არა კოლექტიურს. ამ ნაწილში განვიხილავ მამოძრავებელ მიზეზს, მტაცებლობას, რომელსაც ანარქიასთან, როგორც დამშვებ მიზეზთან ერთად, თვითდასმარების სისტემის განპირობება შეუძლია. თუმცა, ამასთანავე, შევეცდები წარმოვაჩინო ის საკვანძო მნიშვნელობა, რომელიც თავისებურებებისა და ინტერესების სტრუქტურას ენიჭება ანარქიის ახსნითი როლის დადგენისას.

მტაცებლობის არგუმენტი პირდაპირი და უტყუარია. სხვადასხვა მიზეზის გამო (ბიოლოგიური, შინაპოლიტიკური თუ სისტემური) ზოგიერთ სახელმწიფოს მტაცებლობისადმი მიდრეკილება შეიძლება გაუჩნდეს. მტაცებლების ანუ „დამპალი ვაშლების" აგრესიული ქცევა სხვა სახელმწიფოებს კონკურენტულ ძალის პოლიტიკაში ჩართვასა და სროლაზე სროლითვე პასუხის გაცემას აიძულებს, ვინაიდან სხვაგვარად მოქცევამ მათი ღირსების შელახვა ან განადგურება შეიძლება გამოიწვიოს. ერთი მტაცებელი ას პაციფისტს აჯობებს, რადგან ანარქია გარანტიებს არ იძლევა. ეს არგუმენტი, ნაწილობრივ, თავისივე სისუსტის გამოა ძლიერი: ნაცვლად იმის ვარაუდისა, რომ ძალაუფლებისაკენ სწრაფვა ყველა სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი (ძალის პოლიტიკის ჭეშმარიტად რედუქციონისტული თეორია), ის ამტკიცებს, რომ ძალაუფლებისაკენ მხოლოდ ერთი სახელმწიფო ისწრაფის, სხვები კი იძულებულნი არიან, მას მიბაძონ, რადგანაც ანარქია ამ ერთს მათი ექსპლუატირების შესაძლებლობას აძლევს.

ამ არგუმენტის მოშველიებისას მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მტაცებლობის შესაძლებლობა თავისთავად არ აიძულებს სახელმწიფოებს a priori მის მოლოდინს და კონკურენტული ძალის პოლიტიკის გატარებას. მტაცებლობის შესაძლებლობა არ ნიშნავს იმას, რომ „ომი ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს," ეს ნაკლებად მოსალოდნელიც კი შეიძლება იყოს. თუმცა, მტაცებლის გამოჩენამ თავისებურებებისა და ინტერესების სწორედ ასე ჩამოყალიბება შეიძლება განაპირობოს.

ორნევრიან ანარქიულ სისტემაში, თუ ეგო მტაცებელია, ალტერმა ან საკუთარი ძალებით უნდა დაიცვას უსაფრთხოება ან საფასური გადაიხადოს. ეს ზემოაყვანილი არგუმენტიდან გამომდინარეობს, რომელშიც „მე"-ს წარმოდგენა „სხვის" დამოკიდებულების ანარეკლია. მრავალწევრიან ანარქიულ სისტემაში მტაცებლობის შედეგი ასევე სისტემაში შეძენილი კოლექტიური თვისებების დონეზეა დამოკიდებული. თუ მტაცებლობის ფაქტი ბუნებრივ მდგომარეობაში პირველი კონტაქტისთანავე ხდება, ის „სხვებს" თავის დაცვას აიძულებს – ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ კი კოლექტიურად, *თუ* ისინი საერთო საფრთხეს შეამჩნევენ. ამგვარი თავდაცვითი ალიანსის წარმოქმნა მნიშვნელოვნად შეფერხდება, თუ თავისებურებებისა და ინტერესების სისტემა უკვე ჰობსისეულ, უსაფრთხოების მაქსიმალურად არარსებობის მდგომარეობაში აღმოჩნდება გადაზრდილი, რადგან პოტენციურ მოკავშირეებს ერთმანეთის მიმართ დიდი უნდობლობა ექნებათ და კოლექტიურ ძალისხმევას დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ. არსებობს, აგრეთვე, იმის დიდი ალბათობაც, რომ მტაცებლის მოცილების შემდეგ ასეთი არასაიმედო მოკავშირეები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. თუმცა, თუ კოლექტიური უსაფრთხოების მოთხოვნილება მაღალია, მტაცებლის გამოჩენა გაცილებით ნაკლებ ზიანს მოიტანს. თუ მტაცებელი თავს დაესხმება კოლექტივის რომელიმე წევრს, დანარჩენი წევრები მსხვერპლის დასაცავად გამოვლენ, პრინციპით „ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის," იმ შემთხვევაშიც კი, თუ მტაცებელი იმ დროისათვის კოლექტივის სხვა წევრებს არ ემუქრება. თუ მტაცებელი არ არის იმდენად ძლიერი, რომ კოლექტივს აღუდგეს წინ, ის დამარცხდება და კოლექტიური უსაფრთხოება მიიღწევა, მაგრამ თუ ის საკმაოდ ძლიერია, ამოქმედდება ორი მოქმედი პირის მაგალითის ლოგიკა (ამჯერად მტაცებლისა და კოლექტივის) და კვლავ დამკვიდრდება ძალთა ბალანსის

პოლიტიკა.

ამგვარად, თანამეგობრობაში მტაცებლის გამოჩენისა და თავისებურებების ფორმირების იატორიის დროის ასპექტში დაკავშირება, ანარქიის, როგორც დამშვები მიზეზის ახსნისას, გადამწყვეტია. მტაცებლობა ყოველთვის თავდაცვისაკენ უბიძგებს მსხვერპლს, მაგრამ კოლექტიური იქნება თუ არა თავდაცვა, ეს პოტენციური კოლექტივის შიგნით არსებული ურთიერთქმედების ისტორიაზეა დამოკიდებული, ისევე როგორც მტაცებლის ამბიციებზე. განაახლებს თუ არა საბჭოთა კავშირის საფრთხის გაქრობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრებს შორის არსებულ ძველ უნდობლობას? შესაძლებელია, მაგრამ ეს არ მოხდება, თუ მათ საკუთარი უსაფრთხოების ერთმანეთისასთან გაიგივების სხვა მიზეზები ექნებათ, გარდა აღნიშნული საფრთხისა. თავისებურებები და ინტერესები კონკრეტული ურთიერთობისთვისაა დამახასიათებელი და არ არის მათი „ნაკრების" ჩვეული ატრიბუტი; სახელმწიფოები, შესაძლოა, ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ ერთი სახის ურთიერთობაში და სოლიდარულნი სხვა საქმეში. „მომწიფებული" ანარქიები უფრო ნაკლებად დაეშვებიან, მტაცებლობის შედეგად, ჰობსისეულ მდგომარეობამდე, ვიდრე „მოუმწიფებლები," სიმწიფე კი, რომელიც თავისებურებათა და ინტერესთა სტრუქტურის შემცველია, პროცესიდან გამომდინარეობს.[59]

მნიშვნელოვანია მტაცებლობის წყაროც. თუ ის ერთეულთა დონის მიზეზებიდან წარმოიქმნება, რომლებიც სისტემური ზეგავლენისაგან თავისუფალია (ისეთი მიზეზები, როგორიცაა ცალკე აღებული ადამიანის ბუნება და საშინაო პოლიტიკა), მაშინ ის „გენეტიკური თვისების" მსგავსად ფუნქციონირებს სახელმწიფოთა სისტემის კონსტრუირებულ სამყაროში. წარმატებულად მოქმედების შემთხვევაშიც კი ეს თვისება იმდენად არ განიცდის ევოლუციას, რამდენადაც სხვა სახელმწიფოებს მსგავსად მოქცევას ასწავლის, მაგრამ ვინაიდან თვისებების დავიწყება შეუძლებელია, სხვა სახელმწიფოები განაგრძობენ კონკურენტულ პოლიტიკას იმ დრომდე, სანამ მტაცებელი არ განადგურდება ან შინაგანად არ გარდაიქმნება. თუმცა, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მტაცებლობა, ნაწილობრივ მაინც, წინა სისტემური ურთიერთქმედებიდან წარმოიშობა – ალბათ, წარსულში მსხვერპლის როლში ყოფნის შედეგად (მაგალითად, ნაცისტური გერმანიის ან საბჭოთა კავშირის), – მაშინ ის უფრო მეტად დასწავლილ თავისებურებაზე პასუხია და, როგორც ასეთი, შეიძლება გარდაიქმნას მომავალი სოციალური ურთიერთქმედების შედეგად, რომელსაც სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს: დაშოშმინების, იმაში დარწმუნების, რომ უსაფრთხოება უზრუნველყოფილ იქნება, საშინაო პოლიტიკაზე სისტემის ეფექტების და ა.შ. ამ შემთხვევაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაცილებით დიდია იმის იმედი, რომ პროცესი „დამპალ ვაშლს" „საღად" გარდაქმნის.

მაშასადამე, მტაცებლობის როლი თვითდახმარების სისტემის ფორმირებაში პროცესზე სისტემატურად ყურადღების გამახვილებას არ ეწინააღმდეგება. მაშინაც კი, როცა მტაცებლობის წყარო სისტემისათვის სრულიად ეგზოგენურია, სწორედ სახელმწიფოთა *მოქმედება* განსაზღვრავს მათი ურთიერთქმედების ხარისხს ანარქიის პირობებში. ამ თვალსაზრისით, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ კლასიკური და არა სტრუქტურული რეალისტები ამახვილებენ ყურადღებას ამგვარ არგუმენტზე. პირველთა მიერ ძალის პოლიტიკის ერთეულთა დონის მიზეზებზე კონცენტრირებას უფრო ადვილად მივყავართ ანარქიის როლის დამშვებად მიჩნევამდე (და, შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების პროცესუალურ ხედვამდე), ვიდრე მეო-

[59] ანარქიის „სიმწიფის" თაობაზე იხილეთ: *Barry Buzan, People, States, and Fear* (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1983).

რეთა მიერ ანარქიის, როგორც „სტრუქტურული მიზეზის" ხაზგასმას;[60] ნეორეალისტებს მტაცებლობა არ ესაჭიროებათ, რადგან, მათი აზრით, თვითდახმარების სისტემა არსებობს.

ამის შედეგად ხელახლა წამოიჭრება საკითხი, თუ რამდენად დიდ და რა სახის როლს ასრულებს ადამიანის ბუნება და საშინაო პოლიტიკა მსოფლიო პოლიტიკაში. რაც უფრო დიდი და დესტრუქციულია ეს როლი, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მტაცებლობა, ხოლო ანარქია უფრო ნაკლებად პასუხისმგებელი იქნება კოლექტიური თავისებურების ფორმირებაზე. კლასიკური რეალისტები, რა თქმა უნდა, ვარაუდობდნენ, რომ ადამიანის ბუნება ძალაუფლებისა და განდიდებისაკენ თანდაყოლილი ლტოლვით არის შეპყრობილი. ჩემი არგუმენტის თანახმად, ამგვარი ვარაუდები გარკვეული მიზეზის გამო გამოითქვა: უცვლელი პობსისეული ადამიანი წარმოადგენს მძლავრ მამოძრავებელ მიზეზს ულმობელი პესიმიზმისათვის მსოფლიო პოლიტიკის თაობაზე, რასაც მხოლოდ ანარქიული სტრუქტურა ან სტრუქტურას დამატებული პერიოდული აგერსია ვერ უზრუნველყოფს. ამგვარმა ესენციალისტურმა ვარაუდმა სკეპტიკური დამოკიდებულება შეიძლება გამოინვიოს, ისეთივე როგორიც მე მაქვს, მაგრამ ის განსაზღვრულ შედეგებს გვაძლევს სისტემური თეორიის ხარჯზე. სტრუქტურაზე მეტად სისტემურ პროცესებზე ყურადღების გამახვილება ნიშნავს იმას, რომ, ალბათ, დროა გადაიხედოს სახელმწიფოს თავისებურების ფორმირებაში პირველი, მეორე და მესამე ხედვის თეორიების შედარებით მნიშვნელობებზე მიმდინარე დისკუსია.[61]

მსოფლიო პოლიტიკაში თავისებურებათა ჩამოყალიბების სისტემური თეორიების ღირებულების გათვალისწინებით, ნება მიბოძეთ დავასკვნა, რომ რეალისტურ-რაციონალისტური ალიანსი ახდენს თვითდახმარების „მატერიალიზაციას" იმით, რომ მას ერთგვარად განცალკევებულად განიხილავს იმ პრაქტიკისაგან, რომლითაც ის იქმნება და რომელსაც ის ემყარება. პიტერ ბერგერი და თომას ლაკმენი მატერიალიზაციას შემდეგნაირად განსაზღვრავენ: „[ეს] არის ადამიანის აქტივობის შედეგთა ისე აღქმა, *თითქოს* ისინი არა ადამიანური პროდუქტები, არამედ რაღაც სხვაა – ბუნების მოვლენები, კოსმიურ კანონთა შედეგები ან ღვთაებრივი ნების გამოხატულება. მატერიალიზაცია გულისხმობს, რომ ადამიანს შესწევს ძალა, დაივიწყოს ადამიანური სამყაროს ავტორობა, აგრეთვე იმას, რომ დიალექტიკამ ადამიანს, როგორც შემოქმედსა და მის ქმნილებებს შორის აზრი დაკარგა. მატერიალიზებულ სამყაროს . . . ადამიანი უფრო მეტად აღიქვამს, როგორც უცხო მოცემულობათა ერთობლიობას, როგორც *opus alienum-ს,* რომელსაც იგი ვერ აკონტროლებს ვიდრე, როგორც *opus proprium-ს,* რომელიც მისი საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფია."[62] სახელმწიფოთა თავისებურებებისა და ინტერესების კოლექტიური ავ-

[60] იგივე ინტუიცია შეიძლება იყოს მიზეზი ეშლის მცდელობისა, კლასიკურ რეალისტთა დაეა საერთაშორისო ურთიერთობების კრიტიკულ თეორიას მიუსადაგოს. იხილეთ: Richard Ashley, "Political Realism and Human Interests," *International Studies Quarterly* 38 (June 1981), pp. 204-36.

[61] უოლცმა თავად შეუნყო ხელი ამგვარი კამათის დაწყებას იმის აღიარებით, რომ სისტემური ფაქტორები განაპირობებს, მაგრამ არ განსაზღვრავს სახელმწიფოთა ქცევას. იხილეთ: Keneth Waltz, "Reflections on Theory of International Politics: A Response to My Critics," in Robert Keohane, ed., *Neorealism and Its Critics* (New York: Columbia University Press, 1986), pp. 322-45. იმ დაკვირვების თაობაზე არსებული მზარდი ლიტერატურა, რომ „დემოკრატიები ერთმანეთთან არ ომობენ" ამ საკითხს ეხმიანება, ისევე როგორც ორი სხვა გამოკვლევა, რომლებიც სახელმწიფოს თავისებურების „რედუქციონისტული" თეორიისათვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის უილიამ ბლუმის *Personal Identity, National Identity and International Relations* (Cambridge: Cambridge University Press, 1990) და ლამსდეინის *Identities and Interests*.

[62] იხილეთ: Berger and Luckmann, The Social Construction of Reality, p. 89. იხილეთ აგრეთვე: Douglas Maynard and Thomas Wilson, "On the Reification of Social Structure," in Scott McNall and Gary Howe, eds., *Current Perspectives in Social Theory,* vol. I (Greenwich, Conn.: JAI Press, 1980), pp. 287-322.

ტორობის უარყოფითა თუ დაფარვით, რეალისტებისა და რაციონალისტების ალიანსი გამორიცხავს ან მალავს იმ ფაქტს, რომ კონკურენტული ძალის პოლიტიკა ხელს უწყობს სწორედ იმ „წესრიგის პრობლემის" გაჩენას, რომლის გადაწყვეტასაც ისინი უნდა ცდილობდნენ – ანუ იმას, რომ რეალიზმი თვითუზრუნველმყოფი წინასწარმეტყველებაა. ეგზოგენურად არ არსებული, ურთიერთგანმაპირობებელი ცოდნა, რომელიც კონკურენტულ თავისებურებებსა და ინტერესებს აყალიბებს, „სოციალური ნების ფორმირების" ყოველდღიური პროცესის შედეგია.[43] სწორედ ასე აღიქვამენ სახელმწიფოები თავიანთ თავს.

ძალის პოლიტიკის ინსტიტუციური გარდაქმნა

დავუშვათ, თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბების პროცესებმა შექმნა ისეთი სამყარო, რომელშიც სახელმწიფოები ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას ან არსებობის უფლებას არ აღიარებენ, ანუ მიმდინარეობს ყველას ომი ყველას წინააღმდეგ. ასეთ სამყაროში ანარქიას სახელმწიფოებისათვის „რეალისტური" დატვირთვა აქვს: სახელმწიფო თავს დაუცველად გრძნობს და შედარებით ძლიერებაზე ზრუნავს. ანარქია მსგავს მნიშვნელობას მხოლოდ კოლექტიური, დაუცველობის წარმომქმნელი პრაქტიკის ზეგავლენით იძენს, მაგრამ ამ უკანასკნელის მეტ-ნაკლები სტაბილურობის შემთხვევაში, იქმნება სისტემა, რომელიც ცვლილებას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს. სხვა სიტყვებით, ის ფაქტი, რომ ძალის პოლიტიკის სამყარო სოციალურად არის კონსტრუირებული, მისი მოქნილობის გარანტიას არ იძლევა, რასაც, სულ მცირე, ორი მიზეზი აქვს.

პირველი მიზეზია ის, რომ ჩამოყალიბების შემდეგ ნებისმიერი სოციალური სისტემა მისი თითოეული წევრისათვის წარმოადგენს ობიექტურ სოციალურ მოცემულობას, რომელიც გარკვეული ქცევების წახალისებას, ხოლო სხვათა დასჯას ახდენს. თვითდახმარების სისტემაში, მაგალითად, ჯილდოვდება კონკურენტული ქცევა და ისჯება ალტრუიზმი. ცვლილების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, ტოვებს თუ არა ამგვარი კონკურენციის უკიდერესი აუცილებლობა გარკვეულ ადგილს დადგენილი წესიდან გადახრილი ქცევისათვის. თუ არა, მაშინ სისტემა ხელახლა ნარმოიქმნება, დევიანტი მოქმედი პირები კი – არა.[44]

მეორე მიზეზია ის, რომ სისტემურ ცვლილებას მოქმედ პირთა მხრიდან შედარებით სტაბილური როლური თავისებურებების შენარჩუნების ინტერესმაც შეიძლება შეუშალოს ხელი. ასეთი ინტერესები ჩანერგილია არა მარტო გაურკვევლობისა და შიშის მინიმუმამდე შემცირების სურვილში, რომელიც სოციალური სამყაროს შესახებ არსებული რწმენების დადასტურების მცდელობაში გამოიხატება, არამედ, სხვათა მიმართ არსებულ ვალდებულებათა დარღვევისათვის მოსალოდნელი საფასურის თავიდან აცილების სურვილშიც – კერძოდ, სახელმწიფოების შემთხვევაში ამომრჩევლებისა და უცხოელი მოკავშირეების მიმართ – რაც წარსული გამოცდილებიდან მომდინარეობს. ამ ვალდებულებათა მიერ წარმოქმნილი წინააღმდეგობის დონე მოქმედი პირისათვის ცალკეული როლური თავისებურების „მნიშ-

[43] იხილეთ: Richard Ashley, "Social Will and International Anarchy," in Hayward Alker and Richard Ashley, eds., *After Realism*, Massachusetts Institute of Technology, Cambridge, and Arisona State University, Temple, 1992.

[44] იხილეთ: Ralph Turner, "Role-Taking: Process Versus Conformity," in Rose, *Human Behavior and Social Processes*, pp. 20-40; და Judith Howard, "From Changing Selves Toward Changing Society," in Howard and Callero, *The Self-Society Dynamic*, pp. 209-37.

ვნელობაზე" იქნება დამოკიდებული.[65] მაგალითად, აშშ, სავარაუდოდ, უფრო მეტ წინააღმდეგობას გაუწევს მისი, როგორც „ანტიკომუნისტური ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერის," ვიდრე „ადამიანის უფლებათა დამცველის" თავისებურების მიმართ არსებულ საფრთხეს. მაგრამ თითქმის ყველა როლური თავისებურების შემთხვევაში, მასთან დაპირისპირებულმა პრაქტიკამ და ინფორმაციამ კოგნიტური დისონანსი და მუქარის აღქმაც კი შეიძლება გამოიწვიოს, რამაც „მე"-ს გარდაქმნა და, შესაბამისად, სოციალური ცვლილება შეიძლება შეაფერხოს.[66]

მაშასადამე, როგორც სისტემური, ისე „ფსიქოლოგიური" მიზეზების გამო, ურთიერთგანმაპირობებელ წარმოდგენებსა და მოლოდინებს თვითშენარჩუნების უნარი შეიძლება ახასიათებდეს, რომელიც „მე"-სა და „სხვის" ახალი კონცეფციისათვის გადასალახ დამოკიდებულებებს ქმნის. თუმცა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ პრაქტიკის შედეგად მოქმედი პირები მუდმივად წარმოქმნიან და გარდაქმნიან თავისებურებებსა და ინტერესებს, მუდმივად „ირჩევენ იმ პრიორიტეტებს, რომლებიც [მათ] მოგვიანებით ექნებათ."[67] მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ არჩევანი თავისუფლების სხვადასხვაგვარ პირობებში არ შეიძლება კეთდებოდეს. ეს კონსტრუქტივისტული გამართლებაა იმ რეალისტური პოზიციისა, რომლის თანახმადაც თვითდახმარების სისტემაში მხოლოდ მარტივი დასწავლაა შესაძლებელი. რეალისტმა შეიძლება აღიაროს კიდეც, რომ ასეთი სისტემები სოციალურად კონსტრუირებულია და, ამის მიუხედავად, ამტკიცოს, რომ შესაბამისი თავისებურებებისა და ინტერესების ინსტიტუციონალიზაციის შემდეგ მათი გარდაქმნა თითქმის შეუძლებელია.

სტატიის დარჩენილ ნაწილში თავისებურებისა და უსაფრთხოების ინტერესის გარდაქმნის სამ ინსტიტუციურ გზას განვიხილავ, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოებმა მათ მიერვე შექმნილ ჰობსისეულ სამყაროს შეიძლება დააღწიონ თავი. ამით შევეცდები, განვმარტო, თუ რას ნიშნავს მტკიცება, რომ „ინსტიტუტები თავისებურებებსა და ინტერესებს გარდაქმნის," თანაც, ხაზს გავუსვამ, რომ ამგვარი ცვლილების აუცილებელი პირობა მეტ-ნაკლებად სტაბილური პრაქტიკაა.

სუვერენიტეტი, აღიარება და უსაფრთხოება

ჰობსისეულ ბუნებრივ მდგომარეობაში, სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შიდა პროცესებით, რომლებიც მათ სახელმწიფოებად აყალიბებს და სხვა სახელმწიფოებისაგან მომდინარე მუქარის შეკავების მატერიალური შესაძლებლობით. ასეთ სამყაროში, სხვების მხრიდან მტაცებლობის გამოვლინების დროებით არარსებობის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო უსაფრთხოებას არ გააჩნია საფუძველი სოციალური აღიარების სახით, ანუ ურთიერთგანმაპირობებელი წარმოდგენებისა ან ნორმების სახით, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფოს უფლება აქვს არსე-

[65] ვალდებულებისა და თავისებურების ურთიერთკავშირზე იხილეთ: Foote, "Identification as the Basis for a Theory of Motivation;" Howard Becker, "Notes on the Concept of Commitment," *American Journal of Sociology* 66 (July 1960), pp. 32-40; და Stryker, *Symbolic Interactionism*. როლის მნიშვნელობის შესახებ კი იხილეთ: Stryker, ibid.

[66] თავისებურებების საფრთხეთა და წინააღმდეგობის იმ ტიპების შესახებ, რომლებიც მათ შეიძლება გასწიონ, იხილეთ: Glynis Breakwell, *Coping With Threatened Identities* (London: Methuen, 1986); და Terrell Northrup, "The Dynamic of Identity in Personal and Social Conflict," in Louis Kreisberg et al., eds., *Intractable Conflicts and their Transformation* (Syracuse, N.Y.: Syracuse University Press, 1989), pp. 55-82. ცვლილებისადმი წინააღმდეგობის თაობაზე ფართო მიმოხილვა იხილეთ ნაშრომში: Timur Kuran, "The Tenacious Past: Theories of Personal and Collective Conservatism," *Journal of Economic Behavior and Organization* 10 (September 1988), pp. 143-71.

[67] James March, "Bounded Rationality, Ambiguity, and the Engineering of Choice," *Bell Journal of Economics* 9 (Autumn 1978), p. 600.

ბობაზე, ტერიტორიასა და ქვეშევრდომებზე. უსაფრთხოება მხოლოდ ეროვნულ ძლიერებაზეა დამოკიდებული.

სუვერენიტეტის პრინციპი ცვლის ამ ვითარებას სახელმწიფოთა დამოუკიდებლად არსებობისა და უსაფრთხოების სოციალური საფუძვლის უზრუნველყოფით. სუვერენიტეტი არის ინსტიტუტი და, აქედან გამომდინარე, ის მხოლოდ გარკვეული ურთიერთგანმაპირობებელი წარმოდგენებისა და მოლოდინების შედეგად არსებობს; სუვერენიტეტი სხვათა არსებობას გულისხმობს. ეს წარმოდგენები და მოლოდინები არა მხოლოდ სახელმწიფოს გარკვეულ ტიპს – „სუვერენულ" სახელმწიფოს – ქმნის, არამედ საზოგადოების გარკვეულ ფორმასაც, ვინაიდან თავისებურებები ურთიერთობითი კატეგორიაა. ხსენებული საზოგადოების არსი გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთმანეთის ექსკლუზიური პოლიტიკური ძალაუფლების ორმხრივად აღიარებაში მდგომარეობს. ეს „ურთიერთდაშვებები"[68] უფრო სივრცითი, ვიდრე ფუნქციონალური თვალსაზრისით დიფერენცირებულ მსოფლიოს ქმნის, რომელშიც პრაქტიკის სფეროები „საშინაო" და „საერთაშორისო" სივრცეთა და არა ცალკეულ ქმედებათა გარშემო იქმნება და ყალიბდება.[69] ამ სივრცეებს შორის საზღვრები ზოგჯერ, რა თქმა უნდა, დავის საგნადაც იქცევა; ომი კი ერთ-ერთი იმ პრაქტიკათაგანია, რომლითაც სახელმწიფოები დამოუკიდებლად არსებობის პირობებს ათანხმებენ. მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ „ტერიტორიული საკუთრების უფლებები" სახელმწიფოებს მხოლოდ ურთიერთაღიარების შედეგად აქვთ.[70] ეს აღიარება ერთგვარი „სოციალური ჩიხის" ფუნქციას ასრულებს, რომელიც უფლებამოსილებას ართმევს არასახელმწიფო მოქმედ პირებს, უფლებამოსილებით აღჭურვავს სახელმწიფოებს და მათ შორის სტაბილურ ურთიერთქმედებას უწყობს ხელს.[71]

---

[68] Haskell Fain, *Normative Politics and the Community of Nations* (Philadelphia: Temple University Press, 1987).

[69] ეს სახელმწიფოთა შორის ფუნქციონალური არადიფერენციაციის პრინციპის ურთიერთგანმაპირობებელი საფუძველია, რომელიც სტრუქტურის უოლცისეულ განსაზღვრებაში „გამოტოვებულია," რადგანაც ამ უკანასკნელს გამოკვეთილი ურთიერთგანმაპირობებელი საფუძველი არ გააჩნია. საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში ტერიტორიული სივრცის სოციალურ წარმომაელობაზე ყურადღებას, ძირითადად, პოსტსტრუქტურალისტები ამახვილებენ. იხილეთ მაგალითად: Richard Ashley, "The Geopolitics of Geopolitical Space: Toward a Critical Social Theory of International Politics," *Alternatives* 12 (October 1987), pp. 403-34; და Simon Dalby, *Creating the Second Cold War* (London: Printer, 1990). მაგრამ სივრცის, როგორც პრაქტიკის პროდუქტისა და შემადგენელი ნანილის იდეა სტრუქტურაციონისტების დისკუსიაშიც გვხვდება. იხილეთ: Giddens, *Central Problems in Social Theory*, და Derek Gregory and John Urry, eds., *Social Relations and Spatial Structures* (London: Macmillan, 1985).

[70] იხილეთ: John Ruggie, "Continuity and Transformation in the World Polity: Toward a Neorealist Synthesis," *World Politics* 35 (January 1983), pp. 261-85. წიგნში: *Mind, Self, and Society*, 161-ე გვერდზე მიღი შემდეგ არგუმენტს გვთავაზობს: „თუ ჩვენ ვაცხადებთ: „ეს ჩემი საკუთრებაა, მე მას განვკარგავ," ეს მტკიცება იწვევს შესაბამის პასუხებს, რომლებიც ერთგვაროვანი უნდა იყოს ყველა საზოგადოებაში, რომელშიც საკუთრება არსებობს. ეს გულისხმობს ორგანიზებულ მიდგომას საკუთრებისადმი, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთოა. ადამიანს უნდა ჰქონდეს პირადი საკუთრების კონტროლისადმი განსაზღვრული მიდგომა და იგი პატივს უნდა სცემდეს სხვების საკუთრებასაც. ეს მიდგომები (პასუხების ორგანიზებული ნაკრები) ყველას უნდა გააჩნდეს, ისე, რომ როდესაც ერთ-ერთი ადამიანი ასეთ რამეს განაცხადებს, იგი ამით სხვების დამოკიდებულებასაც უნდა გამოხატავდეს. სწორედ ამგვარი საერთო რეაქციები ქმნის საზოგადოებას."

[71] „სოციალური ჩიხის" განმარტება და მის თაობაზე არსებული დისკუსია იხილეთ ნაშრომში: Raymond Murphy, *Social Closure* (Oxford: Clarendon Press, 1988).

ამჟამად სუვერენიტეტის ნორმები თავისთავად და ბუნებრივად აღიქმება, როგორც პრაქტიკისაგან განპირობებული და მისი თანმხლები მოვლენა. როდესაც სახელმწიფოები „თავიანთ" „მოქალაქეებს" ბეგრავენ და არა სხვებს, როდესაც საკუთარ ბაზრებს უცხოური „იმპორტისაგან" „იცავენ," როდესაც ერთი სახის ომში ათასობით ერაყელს ულეტენ, შემდეგ კი, თუნდაც ერთი ადამიანის მოსაკლავად, სხვა სახის, „სამოქალაქო" ომში „ჩარევაზე" უარს ამბობენ, როდესაც გლობალურ ომს ანარმოებენ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც სუვერენიტეტის ინსტიტუტის მოსპობას ცდილობდა, შემდეგ კი გერმანიას უკან უბრუნებენ გერმანელებს, ისინი ძველი წესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, რითაც ხელახლა ქმნიან გაზიარებულ ნორმებს იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს სუვერენულ სახელმწიფოდ ყოფნა.

თუ სახელმწიფოები ასეთი ნორმების საფუძველზე მოქმედებას შეწყვეტენ, მათი, როგორც „სუვერენთა" (თუ არა „სახელმწიფოთა") თავისებურებაც აღარ იარსებებს. სუვერენული სახელმწიფო თანამედროვე პრაქტიკის შედეგია და არა პრაქტიკისაგან განყენებული ნორმების სამარადისო ქმნილება.[72] ამგვარად, იმის თქმა, რომ „სუვერენიტეტის ინსტიტუტი თავისებურებებს გარდაქმნის" დაახლოებით იმავეს ნიშნავს, რასაც მტკიცება, რომ „რეგულარული პრაქტიკა წარმოშობს ურთიერთქმნად სუვერენულ თავისებურებებს (აგენტებს) და მათთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ ნორმებს (სტრუქტურებს)." პრაქტიკა აგენტისა და სტრუქტურის პრობლემის კონსტრუქტივისტული გადაწყვეტის საფუძველია. მიმდინარე პროცესი, შესაძლოა, კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში პოლიტიკურად პრობლემატური არ იყოს და, მართლაც, ორმხრივი აღიარების საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე, მის წევრებს – მათ შორის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდნილებსაც კი,[73] – მისი კვლავწარმოების კანონიერი ინტერესი შეიძლება გაუჩნდეთ. ფაქტობრივად, ეს თავისებურების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ თავისებურება და ინსტიტუტი მოქმედი პირის ქცევაზე დამოკიდებული რჩება: ამ პრაქტიკის აღმოფხვრა მათი არსებობის ურთიერთგანმაპირობებელი მდგომარეობის გაქრობას გამოიწვევს.

ამით გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას სოციალური ურთიერთქმედების შედეგად სუვერენულ სახელმწიფოთა ინსტიტუტის შენარჩუნება, მაგრამ მაინც გაუგებარი იქნება, თუ რატომ ხდება პირველ რიგში თავისებურებათა და ინტერესთა სტრუქტურის წარმოქმნა. ამისათვის, სავარაუდოდ, ორი წინაპირობაა საჭირო: (1) ურთიერთქმედების სიმჭიდროვე და რეგულარობა საკმაოდ მაღალი უნდა იყოს და (2) მოქმედი პირები უკმაყოფილონი უნდა იყვნენ თავისებურებისა და ურთიერთქმედების არსებული ფორმებით. თუ ეს პირობები მოცემულია, ორმხრივი აღიარების ნორმა სოციალურ ნდობას ნაკლებად საჭიროებს და დარწმუნების თამაშის სახე აქვს, რომელშიც მოთამაშე სხვების სუვერენიტეტს იმ დრომდე აღიარებს, სანამ ისინი, თავის მხრივ, მის სუვერენიტეტს სცემენ პატივს. ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების გამოცხადება, რომლებიც, მაგალითად, აუგსბურგისა

[72] იხილეთ: Richard Ashley, "Untying the Sovereign State: A Double Reading of the Anarchy Problematique," *Millenium* 17 (Summer 1988), pp. 227-62. უფრო მოდერნისტულ შეხედულებათა მომხრენი ინსტიტუტების პრაქტიკაზე ორიენტირებულ მოსაზრებას შეხედებით ბლუმერის დაკვირვებაში, რომელიც „სიმბოლური ინტერაქციონიზმის მეთოლოგიური პოზიციის" მე-19 გვერდზეა მოცემული: „ნორმების, ღირებულებების, სოციალური წესებისა და სხვა მსგავს ფენომენთა კონცეფციების უპირობოდ მიღებამ სოციალურ მეცნიერს ხელი არ უნდა შეუშალოს იმის დანახვაში, რომ თითოეული მათგანი სოციალური ურთიერთქმედების პროცესის შედეგია – პროცესისა, რომელიც აუცილებელია არა მარტო მათი შეცვლის, არამედ მათი მყარი ფორმით შენარჩუნებისთვისაც. სწორედ სოციალური პროცესი ჯგუფის ცხოვრებაში ქმნის და განამტკიცებს წესებს და არა წესები ქმნის და განამტკიცებს ჯგუფის ცხოვრებას."

[73] იხილეთ მაგალითად: Mohhamed Ayoob, "The Third World in the System of States: Acute Schizophrenia or Growing Pains?" *International Studies Quarterly* 33 (March 1989), pp. 67-80.

(1555) და ვესტფალიის (1648) ზავებშია მოცემული, შესაძლოა აგრეთვე სასარგებლო იყოს, რადგანაც მათი საშუალებით ადრეულ სტადიაში მყოფი სოციალური კონსენსუსის დარღვევათა გამოვლენის მკაფიო კრიტერიუმები განისაზღვრება.[74] მაგრამ შენარჩუნდება თუ არა ამგვარი კონსენსუსი, სახელმწიფოთა ქცევაზეა დამოკიდებული. თუ ისინი ერთმანეთს მოეპყრობიან, როგორც სუვერენულ ერთეულებს, მაშინ დროთა განმავლობაში სუბიექტურობის ამ ჩვევის ინსტიტუციონალიზაციას მოახდენენ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩვევა ნორმად არ იქცევა.

სუვერენიტეტის პრაქტიკა უსაფრთხოებისა და ძალის პოლიტიკის თაობაზე არსებულ წარმოდგენებს, სულ მცირე, სამი გზით გარდაქმნის. პირველი, სახელმწიფოები თავიანთი (და ჩვენი) უსაფრთხოების განსაზღვრას ცალკეულ ტერიტორიებზე თავიანთი „საკუთრების უფლებათა" შენარჩუნებით დაიწყებენ. ამჟამად ეს ბუნებრივად მოჩანს, მაგრამ ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნება, რეალურად, სახელმწიფოს ან მისი ხალხის გადარჩენას არ ნიშნავს. მართლაც, ზოგიერთი სახელმწიფო, ალბათ, უფრო უსაფრთხოდ იგრძნობდა თავს, თუკი გარკვეულ ტერიტორიებზე უარს იტყოდა, მაგალითად, „საბჭოთა კავშირი" ზოგიერთ მცირე რესპუბლიკაზე, „იუგოსლავია" – ხორვატიასა და სლოვენიაზე, ისრაელი – [მდ. იორდანის] დასავლეთ სანაპიროზე და ა.შ. ის ფაქტი, რომ სუვერენიტეტის პრაქტიკა ისტორიულად ცალკეული ტერიტორიული სივრცეების წარმოქმნისაკენ იყო მიმართული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გავლენას ახდენს სახელმწიფოთა წარმოდგენაზე, თუ რა უნდა „დაიცვან," რათა ამ თავისებურებით ფუნქციონირება განაგრძონ; ეს პროცესი საუკუნეთა მანძილზე ტერიტორიული საზღვრების „განმტკიცების" ახსნაში შეიძლება დაგვეხმაროს.[75]

მეორე, რამდენადაც სახელმწიფოები წარმატებით მოახდენენ სუვერენიტეტის ნორმების გათავისებას, ისინი მეტი პატივისცემით მოეპყრობიან სხვების ტერიტორიულ უფლებებს.[76] ეს შეზღუდვა იარსებებს არა უშუალოდ სუვერენიტეტის ნორმების დარღვევის საფასურის გამო, თუმცა, როდესაც დამრღვევები ისჯებიან (როგორც სპარსეთის ყურის ომის დროს), ეს ყველას ახსენებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს საფასური, არამედ იმიტომ, რომ იყო „სუვერენული" სახელმწიფო ნიშნავს, არ დაარღვიო სხვების ტერიტორიული უფლებები „სამართლიანი მიზეზის" გარეშე. ამგვარი ინსტიტუციური ეფექტის ცხადი მაგალითი, რაც დამაჯერებლად დაასაბუთა დევიდ სთრენგმა, არის ის, რომ სუსტ სახელმწიფოებს ძლიერ განსხვავებულად ექცევიან ორმხრივი ვალდებულებებით დაკავშირებულ საზოგადოებებში და მათ გარეთ.[77] რა აკავებს აშშ-ს ბაჰამის კუნძულების დაპყრობისაგან, ნიგერიას

[74] იხილეთ: William Coplin, "International Law and Assumptions About the State System," *World Politics* 17 (July 1965), pp. 615-34.

[75] იხილეთ: Anthony Smith, "States and Homelands: The Socialand Geopolitical Implications of National Territory," *Millenium* 109 (Autumn 1981), pp. 187-202.

[76] ეს გულისხმობს, რომ არ არსებობს სხვა, იძულებითი პრინციპები, რომლებიც საერთაშორისო სისტემაში პოლიტიკურ სივრცესა და თავისებურებებს აყალიბებს და სუვერენიტეტის ტრადიციული ცნებებთან თანაარსებობს; სინამდვილეში კი ისინი არსებობს. „გავლენის სფეროებისა" და „არაფორმალური იმპერიების" თაობაზე იხილეთ: Jan Tristka, ed., *Dominant Powers and Subordinate States* (Durham, N.C.: Duke University Press, 1986); და Ronald Robinson, "The Excentric Idea of Imperialism, With or Without Empire" in Wolfgang Mommsen and Jurgen Osterhammel, eds., *Imperialism and After: Continuities and Discontinuities* (London: Allen & Unwin, 1986), pp. 267-89. სუვერენიტეტის არაბული კონცეფციების თაობაზე იხილეთ: Michael Barnett, "Sovereignty, Institutions, an Identity: From Pan-Arabism to the Arab State System," გამოუქვეყნებელი ნაშრომი, University of Wisconsin, Madison, 1991.

[77] David Strang, "Anomaly and Commonplace in European Expansion: Realist and Institutional Accounts," *International Organization* 45 (Spring 1991), pp. 143-62.

– ტოგოს ხელში ჩაგდებისაგან ან ავსტრალიას – ვანუატუს ოკუპირებისაგან? ცხადია, ძალა აქ მთავარი საკითხი არ არის და ამ შემთხვევებში სანქციების საფასურიც კი, ალბათ, უმნიშვნელო იქნებოდა. შესაძლებელია, ვინმემ თქვას, რომ დიდი სახელმწიფოები, უბრალოდ, არ არიან დაინტერესებულნი ასეთი „დაპყრობებით" და მართალიც აღმოჩნდეს, მაგრამ ინტერესის სიმცირე მხოლოდ მათ მიერ სუსტი სახელმწიფოების სუვერენიტეტის აღიარებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. მე დაინტერესებული არ ვარ ჩემი მეგობრების დაჩაგვრით არა ამ ქცევის საფასურისა თუ სარგებლის გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან. აღიარების არარსებობა, თავის მხრივ, დასავლეთის სახელმწიფოთა ტერიტორიული დაპყრობების, მათ მიერ აბორიგენი ამერიკელი და აფრიკელი ხალხების დამონებისა და გაჟლეტის ახსნაში გვეხმარება. ძალა მხოლოდ *ასეთ* სამყაროში ბატონობს, რასაც თანამედროვე მსოფლიოზე ვერ ვიტყვით.

და ბოლოს, რამდენადაც სოციალიზაციის პროცესში სახელმწიფოები სწავლობენ, რომ მათი სუვერენიტეტი სხვა სახელმწიფოების მხრიდან აღიარებაზეა დამოკიდებული, ისინი საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად უფრო მეტად დაეყრდნობიან საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუციურ სტრუქტურას და ნაკლებად – ეროვნულ საშუალებებს, განსაკუთრებით სამხედრო ძალას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სუვერენიტეტის ინსტიტუტში ნაგულისმევ ურთიერთგანმაპირობებელ ახსნას შეუძლია ახლებურად განსაზღვროს „სხვების" ძლიერების მნიშვნელობა „მე"-ს უსაფრთხოებისათვის. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნაკლებად იზრუნონ მოკლევადიან გადარჩენასა და შედარებით ძლიერებაზე და, ამგვარად, შესაბამისად გადაანაწილონ რესურსები. ირონულია, მაგრამ სწორედ დიდ სახელმწიფოებს, უდიდესი ეროვნული საშუალებების მქონე სახელმწიფოებს, ყველაზე მეტად გაუჭირდებათ ამ გაკვეთილის სწავლა. პატარა სახელმწიფოებს არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ საკუთარ შესაძლებლობებს დაეყრდნონ და, ამგვარად, შეუძლიათ უკეთ დაისწავლონ, რომ კოლექტიური აღიარება უსაფრთხოების ქვაკუთხედია.

ზემოთქმულის მიუხედავად, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ სუვერენულ სახელმწიფოთა საზოგადოებაში ძალა მნიშვნელობას კარგავს. ზოგჯერ სახელმწიფოებს მართლაც ემუქრებიან სხვა სახელმწიფოები, რომლებიც არ აღიარებენ მათ არსებობას ან ცალკეულ ტერიტორიულ პრეტენზიებს, რომლებიც აღშფოთებულნი არიან მათი ეკონომიკური პოლიტიკის თანმხლები ეფექტებით და ა.შ. მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ეს საფრთხეები სუვერენიტეტის თამაშის ფარგლებშია მოქცეული. ნაპოლეონისა და ჰიტლერის ხვედრი შესანიშნავად გვიჩვენებს იმას, თუ რა შეიძლება მოხდეს წესების უგულებელყოფის შემთხვევაში.

თანამშრომლობა ეგოისტებს შორის და თავისებურების გარდაქმნა

სტატიის ეს ნაწილი ჰობსისეული ბუნებრივი მდგომარეობით დავიწყე. ასეთ სამყაროში ერთობლივი სარგებლის მიღების მიზნით თანამშრომლობა ძალიან რთულია, რადგან სახელმწიფოები ერთმანეთს არ ენდობიან, დროითი ჰორიზონტი ძალზე მოკლეა და ძალის თანაფარდობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ცხოვრება „ამაზრზენი, პირუტყვული და ხანმოკლეა." სუვერენიტეტი ამგვარ სისტემას ლოკისეულ სამყაროდ გარდაქმნის, სადაც (უმეტესად) ორმხრივად აღიარებული საკუთრების უფლებისა და უსაფრთხოების (უმეტესად) ეგოისტური და არა კონკურენტული კონცეფციების არსებობა ამცირებს იმის შიშს, რომ სახელმწიფოთა საკუთრება პოტენციურმა თანამზრახველებმა ნებისმიერ წუთს შეიძლება მიითვისონ, რაც მათ თანამ-

შრომლობის უფრო უშუალო ფორმებზე დაფიქრების საშუალებას აძლევს. ამ თანამშრომლობის აუცილებელი წინაპირობა შედეგების დადებითი ურთიერთდამოკიდებულებაა, ანუ პოტენციური სარგებლის არსებობა, რომელიც ცალმხრივი მოქმედებით ვერ მიიღწევა. ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა ბრაზილია და ბოტსვანა შეიძლება აღიარებდნენ ერთმანეთის სუვერენიტეტს, მაგრამ ერთობლივ ძალისხმევაში მონაწილეობის მისაღებად, მათ დამატებითი სტიმული ესაჭიროებათ. ასეთი სტიმულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო სახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთქმედების მზარდი „დინამიკური სიმჭიდროვეა" მსოფლიოში, რომელსაც ახასიათებს ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ბირთვული იარაღი, სამრეწველო განვითარების თანმხლები ეფექტები და ა.შ..[78] სამწუხაროდ, მზარდი დინამიკური სიმჭიდროვე სახელმწიფოთა მიერ ერთობლივი სარგებლის შეგრძნების გარანტიას ვერ იძლევა; ურთიერთდამოკიდებულებაც, თავის მხრივ, დაუცველობისა და „მოტყუებულის" როლში ყოფნის რისკს ზრდის, რომელიც, რეალიზების შემთხვევაში, კონფლიქტის წყაროდ უფრო შეიძლება იქცეს, ვიდრე – თანამშრომლობის.

ეს არის ლოგიკური საფუძველი იმ ვარაუდისა, რომ ეგოისტურად განწყობილი სახელმწიფოები ხშირად დადგებიან პატიმრის დილემის წინაშე, ანუ აღმოჩნდებიან თამაშში, რომელშიც წამყვანი სტრატეგია, თუ თამაში ერთჯერადია, გაქცევაა. თუმცა, როგორც მაიკლ ტეილორმა და რობერტ აქსელროდმა გვიჩვენეს, თამაშის გამეორებისა და მომავალი შედეგების წინასწარ არცოდნის შემთხვევაში, ეგოისტებს, რომლებიც ჩვეულებრივ „კბილი კბილისა წილ" სტრატეგიას იყენებენ, ასეთი შედეგის თავიდან აცილება და თანამშრომლობის ინსტიტუტების დამკვიდრება შეუძლიათ.[79] მათ მიერ ამ პროცესის თაობაზე მოყვანილი მაგალითი, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავს ურთიერთქმედების ჯორჯ ჰერბერტ მიდისეულ კონსტრუქტივისტულ ანალიზს, რომლის ნაწილიც ასევე „თამაშის" კატეგორიებით არის მოთხრობილი.[80] თანამშრომლობა ერთგვარი ჟესტია, რომელიც ეგო-ს თანამშრომლობის სურვილს გამოხატავს; თუ ალტერი „გაიქცევა," ეგოც იმავეს გააკეთებს, რითაც მიანიშნებს, რომ არ სურს, იყოს დაჩაგრული; დროთა განმავლობაში ორმხრივი თამაშის შედეგად, თითოეული მათგანი მეორის ქცევის მიმართ შედარებით სტაბილური მოლოდინების გამომუშავებას ისწავლის და ამ გზით ჩამოყალიბდება თანამშრომლობის (ან გაქცევის) ჩვევა. თუმცა, კომუნიკაციის, დასწავლისა და ჩვევის ჩამოყალიბების მიმართ ერთნაირი დამოკიდებულების მიუხედავად, ურთიერთქმედების თამაშის თეორიისეულ და კონსტრუქტივისტულ ანალიზებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რომელიც ინსტიტუტთა მიზეზობრივი ძალების კონცეფციაზეა დამოკიდებული.

თანამშრომლობის ტრადიციულ, თამაშის თეორიისეულ ანალიზში, ისევე, როგორც მის განახლებულ ვარიანტში, თამაშის (თავისებურებებისა და ინტერესების) სტრუქტურა ურთიერთქმედების ეგზოგენური მახასიათებელია და, როგორც ასე-

---

[78] „დინამიკური სიმჭიდროვის" შესახებ იხილეთ: Ruggie, "Continuty and transformation in the World Polity;" და Waltz, "Reflections on Theory of International Politics." ურთიერთდამოკიდებულების გავლენა სოციალური დასწავლის სისწრაფესა და სიღრმეზე უფრო დიდია, ვიდრე მე მაქვს აღნიშნული. ანარქიის პირობებში ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე იხილეთ: Hellen Miler, "The Assumption of Anarchy in International Relations Theory: A Critique," *Review of International Studies* 17 (January 1991), pp. 67-85.

[79] იხილეთ: Michael Taylor, *Anarchy and Cooperation* (New York: Wiley, 1976); და Robert Axelrod, *The Evolution of Cooperation* (New York: Basic Books, 1984).

[80] Mead, *Mind, Self, and Society*.

თი, არ იცვლება.[81] ამ შემთხვევაში გაურკვეველი რჩება თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბება, ანალიზი კი, ამის ნაცვლად, ყურადღებას ამახვილებს მოლოდინებისა და ქცევის ურთიერთკავშირზე. ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ნორმები წესებად და ქცევის კანონზომიერებებად განიხილება, რომლებიც მოქმედ პირებს შინაგანად არ ახასიათებთ და რომელთა ცვლილებაც, ახალი ნორმების შექმნის მაღალი ღირებულების გამო, საკმაოდ ძნელია. ეგოისტთა თანამშრომლობის თამაშის თეორიისეული ანალიზი საფუძველშივე ბიჰევიორულია.

თანამშრომლობის კონსტრუქტივისტული ანალიზი კი, პირიქით, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ქცევის შედეგად წარმოქმნილი მოლოდინები თავისებურებებსა და ინტერესებზე. ინსტიტუტთა ჩამოყალიბების პროცესი „მე"-სა და „სხვის" შესახებ ახალი წარმოდგენების გათავისების, ახალი როლური თავისებურებების შეძენის პროცესია და არა მხოლოდ ეგზოგენურად წარმოქმნილი მოქმედი პირების ქცევაზე გარედან შეზღუდვების დაწესება.[82] იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არის ამგვარად გამიზნული, პროცესი, რომლის მეშვეობითაც ეგოისტები თანამშრომლობას დაისწავლიან, იმავდროულად, მათი ინტერესების ხელახალი ჩამოყალიბების პროცესიცაა სოციალური ნორმების მიმართ გაზიარებული ვალდებულებების საფუძველზე. დროთა განმავლობაში ეს *შედეგების* დადებით ურთიერთდამოკიდებულებას *სარგებელთა* დადებით დამოკიდებულებად ან მოცემული ნორმების ირგვლივ ორგანიზებულ კოლექტიურ ინტერესებად გარდაქმნის. ეს ნორმები ხელს შეუშლის ცვლილებას არა მარტო ამ პროცესთან დაკავშირებული მაღალი ღირებულების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ისინი თავისებურებებისა და ინტერესების მიმართ მოქმედი პირების ვალდებულებას უკავშირდება. „თანამშრომლობის პრობლემის" კონსტრუქტივისტული ანალიზი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საფუძველში უფრო კოგნიტურია, ვიდრე – ბიჰევიორული, ვინაიდან ის თავისებურებათა და ინტერესთა სტრუქტურის განმსაზღვრელ ურთიერთგანმაპირობებელ ცოდნას განიხილავს, როგორც „თამაშს," რომელიც ურთიერთქმედების ენდოგენურია და მისივე მეშვეობით არის დამკვიდრებული.

დასავლეთ ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების მომავალზე მიმდინარე კამათი ამ განსხვავების მნიშვნელობის ნათელსაყოფად გამოდგება. სუსტი ლიბერალური ან რაციონალისტური ანალიზი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ევროპული სახელმწიფოების ინტერესთა „ნაკრები" არსებითად არ შეცვლილა და ისეთი ახალი ფაქტორების გამოჩენა, როგორიცაა საბჭოთა საფრთხის გაქრობა და გერმანიის გაძლიერება, შეცვლის მათ მიერ ამჟამინდელი შეთანხმებების დაცვის სარგებლისა და დანახარჯების თანაფარდობას, რაც არსებული ინსტიტუტების ნგრევას გამოიწვევს. ევროპულმა სახელმწიფოებმა თანამშრომლობითი ინსტიტუტები ხელსაყრელი, ეგზოგენურად შედგენილი ეგოისტური მოსაზრებებით შექმნეს და ამავე მიზეზის გამო მათ ამ ინსტიტუტებზე უარი შეიძლება თქვან; ევროპული ძალის პოლიტიკის თამაში არ შეცვლილა. ამ პრობლემის ძლიერი ლიბერალური ან კონსტრუქტივისტული ანალ-

[81] უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან განახლებულ თამაშში მომავალი სარგებლის არსებულზე დამატების შესაძლებლობა თამაშის დანახარჯების სტრუქტურას ცვლის – ამ შემთხვევაში პატიმრის დილემას დამარწმუნებელ თამაშზე. თუმცა, ინტერესთა ეს გარდაქმნა თავად მონაწილე პირში ხდება და სხვასთან ურთიერთქმედების შედეგს არ წარმოადგენს.

[82] სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ აქსელროდის აზრით, ნორმების გათავისება რეალურად შესაძლებელია, რამაც ინსტიტუტების მოქნილობა შეიძლება გაზარდოს. ჩემი თვალთახედვით, ეს მნიშვნელოვანი მოსაზრება არ გამომდინარეობს თეორიისადმი იმ მიდგომიდან, რომელიც თავისებურებებსა და ინტერესებს ეგზოგენურად მოცემულად განიხილავს.

იზი კი ივარაუდებდა, რომ თანამშრომლობის ოთხმა ათწლეულმა შედეგების დადებითი ურთიერთდამოკიდებულება კოლექტიურ „ევროპულ თავისებურებად" გარდაქმნა, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოები სულ უფრო ხშირად განსაზღვრავენ „პირად" ინტერესებს.[83] ეგოისტური მოტივებით განპირობებულობის შემთხვევაშიც კი, თანამშრომლობის პროცესი შეცვლის მათ, თავისებურებათა და ინტერესთა ახალი ურთიერთგანმაპირობებელი წარმოდგენებისა და ვალდებულებების შესაბამისად ჩამოყალიბებით. ეჭვგარეშეა, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს ძალის განაწილებაში მომხდარი ცვლილებები ამ ახალი წარმოდგენებისათვის ერთგვარი გამოწვევაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს კოლექტიურ უსაფრთხოებაზე უარის თქმის თანდაყოლილი, ეგზოგენურად მოცემული ინტერესი აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ფასი ხელსაყრელია. მათი თავისებურებები და უსაფრთხოების ინტერესები მუდმივად ცვლილების პროცესში იმყოფება და თუ კოლექტიური თავისებურებები „ჩაშენებული" გახდება, ისინი ისევე შეეწინააღმდეგება ცვლილებას, როგორც ეგოისტური თვისებები.[84] სხვა სიტყვებით, სოციალური ცოდნის ახალ ფორმებში მონაწილეობის შედეგად, 1990 წელს არსებული ევროპული სახელმწიფოები მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდნენ 1950 წელს არსებული სახელმწიფოებისაგან.

კრიტიკული სტრატეგიული თეორია და კოლექტიური უსაფრთხოება

„თანამშრომლობის განვითარების" შედეგად თავისებურებებისა და ინტერესების გარდაქმნა ორ სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. პირველი პროცესის თანდათანობითობა და ნელი ტემპია. ასეთ პროცესში მოქმედ პირთა მიზნები, ჩვეულებრივ, მათ მიერ სტაბილურად მიჩნეულ გარემოში საერთო სარგებლის მიღებაა და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მათ ამ გარემოს პარამეტრების შეცვლაზე (თავისებურებებისა და ინტერესების სტრუქტურის ჩათვლით) იფიქრონ და ამგვარი ცვლილებების მისაღწევად საგანგებოდ შემუშავებული პოლიტიკა გაატარონ. თანამშრომლობის დასწავლამ შეიძლება შეცვალოს ეს პარამეტრები, მაგრამ ეს შეიძლება იყოს სხვა მიზნების მისაღწევად გატარებული პოლიტიკის არაწინასწარგანზრახული შედეგი და არა არსებული ინსტიტუტების გარდაქმნის მიზანმიმართული მცდელობის ნაყოფი.

მეორე, გაცილებით მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ თანამშრომლობის ისტორიის განვითარება გულისხმობს წინასწარ ვარაუდს, რომლის თანახმადაც მოქმედი პირები ერთმანეთს უარყოფითად არ აღიქვამენ. მოქმედი პირები აბსოლუტური სარგებლის მიღებით არიან დაინტერესებულნი და ვინაიდან ანტიპათია და უნდობლობა მათ საკუთარი უსაფრთხოების შეფარდებითი კატეგორიებით განსაზღვრას აიძულებს, მათთვის ძნელად მისაღები იქნება ის დაუცველობა, რომელიც თანამშრომლობას ახლავს თან.[85] ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სწორედ სახელმწიფოთა სისტემის „ცენტრალური ბალანსის" თაობაზე ყველაზე ხშირია ამგვარი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები და, ამგვარად, რეალისტებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ერთი „პოლუსის" (მაგალითად, დასავლეთის) ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობა პოლუსთა დაპირისპირების (აღმოსავლეთ-დასავ-

[83] „ევროპული თავისებურების" თაობაზე იხილეთ: Barry Buzan et al., eds., *The European Security Order Recast* (London: Pinter, 1990), pp. 45-63.

[84] „ჩაშენებულობის" თაობაზე იხილეთ: John Ruggie, "International Regimes, Transactions, and Change: Embedded Liberalism in a Postwar Economic Order," in Krasner, *International Regimes*, pp. 195-232.

[85] იხილეთ: Grieco, "Anarchy and the Limits of Cooperation."

ლეთის კონფლიქტის) შედეგია. პოლუსების ურთიერთობა გარკვეული პოზიტიური ურთიერთდათმობებით შეიძლება განვითარდეს ისეთ სფეროებში, როგორიცაა შეიარაღებაზე კონტროლი, მაგრამ უნდობლობის ატმოსფერო ამგვარი თანამშრომლობისა და მისი ტრანსფორმაციული შედეგების შესაძლებლობას ძალზე ამცირებს.[86] უარყოფითი აღქმის გამომწვევი პირობები, რომლებიც „თანამშრომლობის განვითარების" საჭიროებას ზრდის, ამ ლოგიკის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ამის მიუხედავად, ეს, ერთი შეხედვით, უმართავი ვითარება გარდაქმნის სრულიად განსხვავებულ ლოგიკას შეიძლება დაექვემდებაროს, რომელიც უფრო მეტად, თავისებურებათა და ინტერესთა სტრუქტურების ცვლილებისაკენ მიმართული ცნობიერი ძალისხმევიდან გამომდინარეობს, ვიდრე არაწინასწარგანზრახული შედეგებიდან. ასეთი ვოლუნტარიზმი თითქოს ეწინააღმდეგება კონსტრუქტივიზმის სულისკვეთებას, რადგან თვითმარქვია რევოლუციონერები, სავარაუდოდ, თავად არიან თავისებურებებისა და ინტერესების სტრუქტურათა სოციალიზაციის შედეგი. როგორ შეუძლიათ მათ, იფიქრონ იმის შეცვლაზე, რასაც საკუთარ თავისებურებას უმადლიან? ცვლილების შესაძლებლობა „მე"-ს სოციალურ განსაზღვრებასა და არჩევნის პირად განსაზღვრებას შორის არსებულ განსხვავებაშია, იმ ფენომენებს შორის სხვაობაში, რომლებსაც მიდმა „მე ობიექტური" და „მე ცნობიერი" უწოდა.[87] „მე ობიექტური" სუბიექტურობის ის ნაწილია, რომელსაც სხვები განსაზღვრავენ; პიროვნების როლური თავისებურების ხასიათი და ქცევითი მოლოდინები, როგორც, მაგალითად, „პროფესორის" ან ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც, მაგალითად, „ალიანსის ლიდერის," სოციალურად არის კონსტრუირებული. თუმცა, როლები ზუსტი ინსტრუქციის შესაბამისად, მექანიკურად კი არ თამაშდება, არამედ ხდება მათი „აღება" და თითოეული მოქმედი პირის მიერ იდეოსინკრეტული გზით ადაპტირება.[88] ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი როლური ქცევა მოქმედი პირის მიერ არჩევნის გაკეთებას ითვალისწინებს. „მე-ცნობიერი" სუბიექტურობის ის ნაწილია, რომელიც როლების შეთვისებას, მათზე რეაქციასა და შესაბამის ეგზისტენციალურ თავისუფლებას მოიცავს.

როლების „აღება" ნიშნავს იმას, რომ, პრინციპში, მოქმედ პირებს ყოველთვის შეუძლიათ „ხასიათის დაგეგმვა" – მისი კრიტიკული თვითასახვა და არჩევნის გაკეთება, რომელიც მათ ცხოვრებაში ცვლილებებს გამოიწვევს.[89] მაგრამ როდის და რა გარემოებებში ხდება ამ შემოქმედებითი უნარის გამოვლენა? ცხადია, უფრო ხშირად ეს არ ხდება: მოქმედი პირები მუდმივად ხელახლა რომ იგონებდნენ საკუთარ თავისებურებებს, სოციალური წესრიგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო

---

[86] საპირისპირო ინტერესთა არსებობის პირობებში თანამშრომლობითი უსაფრთხოების რეჟიმთა შექმნის სირთულეების შესახებ იხილეთ: Robert Jervis, "Security Regimes," in Krasner, *International Regimes*, pp. 173-94; და Charles Lipson, "International Cooperation in Economic and Security Affairs," *World Politics* 37 (October 1984), pp. 1-23.

[87] იხილეთ: Mead, *Mind, Self, and Society*. ამ განსხვავებისა და სოციალურ სისტემებში შემოქმედებითობის ცნებებზე მისი ზეგავლენის თაობაზე საყურადღებო დისკუსიისათვის იხილეთ: George Cronk, *The Philosophical Anthropology of George Herbert Mead* (New York: Peter Lang, 1987), pp. 36-40; და Howard, "From Changing Selves Toward Changing Society."

[88] Turner, "Role-Taking."

[89] ხასიათის დაგეგმვის" თაობაზე იხილეთ: John Elster, *Sour Grapes: Studies in the Subvertion of Rationality* (Cambridge: Cambridge University Press, 1983), p. 117. თვითინიცირებული ცვლილების პრობლემისადმი სხვა მიდგომების შესახებ იხილეთ: Harry Frankfurt, "Freedom of the Will and the Concept of a Person," *Journal of Philosophy* 68 (January 1971), pp. 5-20; Amartya Sen, "Rational Fools: A Critique of the Behavioral Foundations of Economic Theory," *Philosophy and Public Affairs* 6 (Summer 1977), pp. 317-44; და Thomas Schelling, "The Intimate Contest for Self-Command," *The Public Interest* 60 (Summer 1980), pp. 94-118.

რეალურ სამყაროში თავისებურებებისა და ინტერესების შედარებითი სტაბილურობა მეტყველებს ჩვენს მიდრეკილებაზე უფრო ჩვეულებითი, ვიდრე შემოქმედებითი ქცევისაკენ. გამონაკლისია როლის გარდაქმნის ან შეცვლის შეგნებული არჩევანი, რომელსაც, სულ მცირე, ორი წინაპირობა აქვს. პირველი, უნდა არსებობდეს მიზეზი იმისათვის, რომ საკუთარ თავზე ახლებურად ვიფიქროთ. ეს, ყველაზე მეტად, ახალი სოციალური ვითარების არსებობამ შეიძლება განაპირობოს, რომელსაც მანამდე არსებული კონცეფციები „მე"-ს შესახებ აღარ შეესაბამება. მეორე, განზრახული როლური ცვლილების მოსალოდნელი დანახარჯები – სხვების მიერ დაწესებული სანქციები, ვისთანაც სუბიექტი ნინა როლებში ურთიერთქმედებდა – არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო.

როდესაც ასეთი პირობები მოცემულია, მოქმედ პირებს შეუძლიათ, განახორციელონ „თვითასახვა" და საგანგებოდ შემუშავებული პრაქტიკა თავიანთი თავისებურებებისა და ინტერესების შესაცვლელად და, ამგვარად, „შეცვალონ თამაში," რომელშიც მონაწილეობენ. ასეთმა „კრიტიკულმა" სტრატეგიულმა თეორიამ და პრაქტიკამ ჯერ ვერ მიიპყრო ის ყურადღება, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკის მკვლევართა მხრიდან იმსახურებს (ალბათ, ეს ეგზოგენურად მოცემული ინტერესების კიდევ ერთი მემკვიდრეობაა), განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფენომენი, მიხაილ გორბაჩოვის „ახალი აზროვნების" პოლიტიკა სწორედ მისი გამოხატულებაა.[90] ამიტომ, ხსენებულ პოლიტიკას გამოვიყენებ იმის მაგალითად, თუ როგორ შეუძლიათ სახელმწიფოებს კონკურენტული უსაფრთხოების სისტემის თანამშომლობით სისტემად გარდაქმნა. ამისათვის გარდაქმნის პროცესს ოთხ საფეხურად დავყოფ.

საერთაშორისო ასპარეზზე გარდაქმნის პირველი საფეხური თავისებურებებისადმი ვალდებულების შესახებ არსებული კონსენსუსის მსხვრევაა. საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, თავისებურებებისადმი ვალდებულებები ეყრდნობა ლენინის იმპერიალიზმის თეორიას, რომლის თანახმად კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობა საფუძველშივე კონფლიქტურია, და, ასევე, ამ რწმენიდან გამომდინარე ალიანსების სტრატეგიას. 1980-იანი წლების საბჭოთა კავშირში ლენინის თეორიის თაობაზე არსებული კონსენსუსი დაირღვა სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელთა შორის ძირითადი იყო სახელმწიფოს უუნარობა, თავი გაერთმია დასავლეთის მხრიდან მომდინარე ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ-სამხედრო გამოწვევისათვის, ქვეყნის შიგნით მთავრობის პოლიტიკური ლეგიტიმურობის დაცემა და დასავლეთის მიერ იმის მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირის დაპყრობას არ აპირებდა, რამაც შეამცირა როლის ცვლილების საგარეო დანახარჯები.[91] ამ ფაქ-

[90] „ახალი აზროვნების" საინტერესო მიმოხილვისათვის იხილეთ: Mikhail Gorbachev, *Perestroika: New Thinking for Our Country and the World* (New York: Harper & Row, 1987); Vendulka Kubalkova and Albert Cruickshank, *Thinking New About Soviet "New Thinking"* (Berkley: Institute of International Studies, 1989); და Allen Lynch, *Gorbachev's International Outlook: Intellectual Origins and Political Consequences* (New York: Institute for East-West Security Studies, 1989). ჯერჯერობით გაურკვეველია „ახალი აზროვნება" გაცნობიერებული პოლიტიკაა თუ დროებითი. „ახალი აზროვნების" თაობაზე საბჭოთა კავშირში მიმდინარე აქტიური თეორიული და პოლიტიკური კამათი და საბჭოთა კავშირის შიშისათვის დასავლეთის მხრიდან „ბოდიშის" მიღების იდეა პირველზე მიუთითებს, მაგრამ აქ აგნოსტიკური დავრჩები და უბრალოდ ვივარაუდებ, რომ ის შეიძლება აღიქმებოდეს, „თითქოს" ჩემს მიერ აღნერილი ფორმა ჰქონდეს.

[91] ამ ფაქტორების საყურადღებო მიმოხილვა იხილეთ ნაშრომებში: Jack Snyder, "The Gorbachev Revolution: A Warning of Soviet Expansionism?" *World Politics* 12 (Winter 1987-88), pp. 93-121; და Stephen Meyer, "The Sources and Prospects of Gorbachev's New Political Thinking on Security," *International Security* 13 (Fall 1988), pp. 124-63.

ტორებმა რადიკალური ხელმძღვანელობის შეცვლისა და დასავლეთთან ურთიერთობაში „კონფლიქტის სქემის გალღვობის" შემდგომი შესაძლებლობა შექმნა.[92]

კონსენსუსის მსხვრევა განაპირობებს მეორე საფეხურს „მე"-სა და „სხვის" შესახებ ძველი შეხედულებებისა და ურთიერთქმედების იმ სტრუქტურების კრიტიკულად შეფასებაში, რომელთა წყალობითაც ეს შეხედულებები არსებობდა. შედარებით სტაბილური როლური თავისებურებების პერიოდებში შეხედულებები და სტრუქტურები, შესაძლოა, მატერიალიზდეს და, აქედან გამომდინარე, განიხილებოდეს, როგორც სოციალური ქცევისაგან დამოუკიდებლად არსებული საგნები. ასეთ შემთხვევაში, მეორე საფეხური არის ერთგვარი დენატურალიზაცია, იმ ჩვევების გამოვლენა, რომლებიც „მე"-სა და „სხვის" შესახებ თითქოს უცვლელ შეხედულებებს წარმოქმნის; ამდენად, ეს უფრო „კრიტიკული," ვიდრე „პრობლემის გადამწყვეტი" თეორიაა.[93] ამგვარი კრიტიკის შედეგი ახალი „შესაძლო მე"-ებისა და მისწრაფებების გამოვლენა უნდა იყოს.[94] „ახალი აზროვნება" სწორედ ასეთ კრიტიკულ განზოგადებას მოიცავს. გორბაჩოვს საბჭოთა კავშირის „ცივი ომის" მიერ თავსმოხვეული სოციალური ლოგიკისაგან გათავისუფლება და დასავლეთის შორსმიმავალ თანამშრომლობაში ჩართვა სურს. ამ მიზნით, მან უარი თქვა სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის თანდაყოლილი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ლენინისტურ რწმენაზე და (რაც, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია) აღიარა, რომ გადამწყვეტ როლს ამ კონფლიქტის შენარჩუნებაში საბჭოთა კავშირის აგრესიული პრაქტიკა ასრულებდა.

ამგვარი ხელახალი გააზრება ახალი პრაქტიკის მესამე საფეხურს შეადგენს. უმეტეს შემთხვევაში საკმარისი არ არის „მე"-სა და „სხვის" შესახებ საკუთარი შეხედულებების ხელახლა გააზრება, რადგან ძველი თავისებურებების შენარჩუნება *სხვა* მოქმედ პირებთან ურთიერთქმედების სისტემებით ხდება, რომელთა წესები გარდაქმნის ინიციატორი აგენტისათვის სოციალურ ფაქტად რჩება. მაშასადამე, „მე"-ს შესაცვლელად, ხშირად, „სხვების" თავისებურებებისა და ინტერესების შეცვლაა საჭირო, რომლებიც ურთიერთქმედების აღნიშნული სისტემების შენარჩუნებას უწყობს ხელს. ასეთი ცვლილების ნამახალისებელი მექანიზმი საკუთარი ქმედებებია, კერძოდ კი „ალტერისათვის როლის მიკუთვნების" პრაქტიკა – ურთიერთქმედების მონაწილის გაკონტროლების ტექნოლოგია, რომლითაც ეგო, თვითპრეზენტაციისა და სცენის მართვის ტაქტიკის მოშველიებით, ცდილობს ისე განასაზღვრინოს სოციალური ვითარება ალტერს, რომ ამ უკანასკნელმა მისთვის სასურველი როლი შეასრულოს.[95] უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ალტერისათვის როლის მიკუთვნების პრო-

[92] იხილეთ: Daniel Bar-Tal et al., "Conflict Termination: A Epistemological Analysis of International Cases," *Political Psychology* 10 (June 1989), pp. 233-55. ამასთან კავშირში არმყოფი, მაგრამ საინტერესო ილუსტრაცია იმისა, თუ აღქმების შეცვლა, თავის მხრივ, როგორ ხდის შესაძლებელს ორგანიზაციულ ცვლილებას, იხილეთ ნაშრომში: Jean Bartunek, "Changing Interpretive Schemes and Organizational Restructuring: The Example of a Religious Order," *Administrative Science Quarterly* 29 (September 1984), pp. 355-72.

[93] იხილეთ: Robert Cox, "Social Forces, States and World Orders: Beyond International Relations Theory," in Keohane, *Neorealism and Its Critics*, pp. 204-55. იხილეთ აგრეთვე: Brian Fay, *Critical Social Science* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1987).

[94] Hazel Markus and Paula Nurius, "Possible Selves," *American Psychologist* 41 (September 1986), pp. 954-69.

[95] იხილეთ: Goffman, *The Presentation of Self in Everyday Life*; Eugene Weinstein and Paul Deutchberger, "Some Dimentions of Altercasting," *Sociometry* 26 (December 1963), pp. 454-66; და Walter Earle, "International Relations and the Psychology of Control: Alternative Control Strategies and Their Consequences," *Political Psychology* 7 (June 1986), pp. 369-75.

ცესში" ეგო ცდილობს, ახალი თავისებურების ათვისებისაკენ უბიძგოს ალტერს (და, ამ გზით, ჩართოს ის საკუთარი თავის შეცვლის მცდელობაში) ისე მოპყრობით, *თითქოს* ალტერს უკვე გააჩნია ეს თავისებურება. ამგვარი ლოგიკა უშუალოდ თავისებურების ჩამოყალიბების სარკის თეორიიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც ალტერის თვისებები ეგოს პრაქტიკის ანარეკლია; საკმარისია შეიცვალოს ეს პრაქტიკა და ეგო ალტერის „მე-კონცეფციის" შეცვლას დაიწყებს.

თუ როგორი უნდა იყოს ეს პრაქტიკა, დამოკიდებულია იმ ლოგიკაზე, რომლითაც აქამდე არსებული თავისებურებების შენარჩუნება ხდებოდა. კონკურენტული უსაფრთხოების სისტემების შენარჩუნება ხორციელდება იმ პრაქტიკით, რომელიც დაუცველობის გრძნობასა და უნდობლობას ბადებს. ამ შემთხვევაში, გარდაქმნაზე ორიენტირებულმა პრაქტიკამ უნდა ასწავლოს სხვა სახელმწიფოებს, რომ მოცემულ სახელმწიფოს შესაძლებელია ენდონ და თავიანთი უსაფრთხოებისათვის მუქარად არ განიხილონ. ამის განსახორციელებლად უსწრაფესი გზაა ცალმხრივი ინიციატივებისა და საკმაოდ მნიშვნელოვანი თვითშემზღუდავი ვალდებულებების აღება ისე, რომ სხვა ქვეყანა დადგეს ისეთი „შემოთავაზების წინაშე, რომელზეც უარს ვერ იტყვის."[96] გორბაჩოვმა ეს ავღანეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარების გამოყვანით, ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების ასიმეტრიულად შემცირებით, „თავდაცვითი თავდაცვისაკენ" მოწოდებითა და სხვა ღონისძიებებით სცადა. გარდა ამისა, მან ძალზე ოსტატურად ჩააყენა დასავლეთი ზნეობრივად ვალდებულის პოზიციაში, საბჭოთა კავშირს დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინოს, ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის საერთო ბედისწერას და მიუთითა, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში შემდგომი წინსვლა სწორედ დასავლეთის მიერ მისთვის შეთავაზებული თავისებურების აღიარებაზეა დამოკიდებული. ყველა ეს მოქმედება „ალტერისათვის როლის მინიჭებას" ემსახურება, რომლის მიზანიც დასავლეთისაგან „ბოდიშის" მიღებაა საბჭოთა კავშირისადმი უნდობლობის გამო, რამაც, გორბაჩოვის აზრით, წარსულში კონკურენტული თავისებურებების შენარჩუნებას შეუწყო ხელი.

თუმცა, საკუთრივ ასეთ პრაქტიკას კონკურენტული უსართხოების სისტემის გარდაქმნა არ ძალუძს, რადგან მანამ, სანამ ალტერი მსგავსად არ მოიქცევა, ის ეგოს „მოტყუებულის" მდგომარეობაში ჩააყენებს. იმისათვის, რომ კრიტიკულმა სტრატეგიულმა პრაქტიკამ კონკურენტული თავისებურებები გარდაქმნას, ალტერმა ის უნდა „დააჯილდოვოს," რაც შემდგომ ეგოს მიერ ასეთივე ნაბიჯების გადადმას წაახალისებს და ა.შ..[97] დროთა განმავლობაში, ეს „მე"-სა და „სხვის" უსაფრთხოებას შორის უფრო დადებით, ვიდრე უარყოფითი აღქმას დამკვიდრებს და ამით შექმნის მყარ ურთიერთგანმაპირობებელ საფუძველს იმისათვის, რაც თავდაპირველად ახალი თავისებურებებისა და ინტერესების მიმართ არამყარ ვალდებულებას წარმოადგენ-

[96] იხილეთ: Volker Boge and Peter Wilke, "Peace Movements and Unilateral Disarmament: Old Concepts in a New Light," *Arms Control* 7 (September 1986), pp. 156-70; Zeev Maoz and Daniel Felsental, "Self-Binding Commitments, the Inducement of Trust, Social Choice and the Theory of International Cooperation," *International Studies Quarterly* 31 (June 1987), pp. 177-200; და V. Sakamoto, "Unilateral Initiative strategy," *World Futures*, vol. 24, nos. 1-4, 1987, pp. 107-34.

[97] ჯილდოების თაობაზე იხილეთ: Thomas Milburn and Daniel Christie, "Rewarding in International Politics," *Political Psychology* 10 (December 1989), pp. 625-45.

და.[98]

ცივი ომის დასრულებაზე დღეს მიმდინარე საუბრის მიუხედავად, სკეპტიკოსები, შესაძლოა, კვლავაც ეჭვობენ, რომ გორბაჩოვი (ან რომელიმე მომდევნო ლიდერი) წარმატებით მოახერხებს ახალი საბჭოთა (ან რუსული) როლური თავისებურებისათვის ურთიერთგანმაპირობებელი საფუძვლის შექმნას. ამგვარ ცვლილებას აღმოსავლეთსა და დასავლეთშიც ანგარიშგასაწევი შიდა, ბიუროკრატიული და შემეცნებით-იდეოლოგიური ფაქტორები ეწინააღმდეგება, რომელთა შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია დემოკრატიული ძალების პოზიციის სისუსტე. მაგრამ თუ ჩემი არგუმენტი თავისებურებებისა და ინტერესების კონკურენტული სტრუქტურების ჩამოყალიბებაში ურთიერთგანმაპირობებელი ცოდნის როლის თაობაზე მართებულია, მაშინ „ახალი აზროვნება" გაცილებით მეტად აფასებს – გაცნობიერებულად ან არა – ძალის პოლიტიკის მყარ სტრუქტურას, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვაწყდებით საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში.

დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორია ეფუძნება სოციალურ თეორიებს აგენტს, პროცესსა და სოციალურ სტრუქტურას შორის არსებული კავშირის შესახებ. სოციალური თეორიები ჩვენი საერთაშორისო თეორეტიზაციის შინაარსს არ განსაზღვრავს, მაგრამ ისინი განაპირობებს იმ შეკითხვებს, რომლებსაც მსოფლიო პოლიტიკის თაობაზე ვსვამთ და, აგრეთვე, ჩვენს მიდგომებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას. სოციალური თეორიის შესახებ მიმდინარე კამათში არსებითი საკითხია ის, თუ რა სახის საფუძველი გვთავაზობს ყველაზე ნაყოფიერ კითხვებს და კვლევის სტრატეგიებს იმ რევოლუციური ცვლილებების ასახსნელად, რომლებიც მეოცე საუკუნის ბოლოს საერთაშორისო სისტემაში მოხდა. მარტივად რომ ვთქვათ, როგორი უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური თეორიები? როგორ უნდა მოხდეს მათი საშუალებით სტრუქტურასა და პროცესს შორის არსებული კავშირის კონცეპტუალიზება? ისინი მხოლოდ „მიკროეკონომიკურ" ანალოგიებს უნდა დაეფუძნოს, რომლებშიც თავისებურებები და ინტერესები სტრუქტურის მიერ ეგზოგენურად არის მოცემული, ხოლო პროცესი ამ პარამეტრების ფარგლებში ურთიერთქმედებამდე დაიყვანება? თუ ისინი ასევე უნდა დაეფუძნოს „სოციოლოგიურ" და „სოციალურ ფსიქოლოგიურ" ანალოგიებს, რომლებშიც თავისებურებები და ინტერესები და, შესაბამისად, სტრუქტურის მნიშვნელობა პროცესის ენდოგენურია? ბიჰევიორული ინდივიდუალიზმი თუ კოგნიტური კონსტრუქტივიზმი უნდა დაედოს საფუძვლად მსოფლიო პოლიტიკის სისტემურ თეორიებს?

ამ სტატიის მიუხედავად, ეს კითხვა, საბოლოო ჯამში, ემპირიული ხასიათისაა, ორი მიზეზის გამო. პირველი, მასზე პასუხი დამოკიდებულია ნაწილობრივ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა შორის ურთიერთქმედება მათი თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბებისათვის. ერთი მხრივ, შესაძლოა ის შიდა ან გენეტიკური ფაქტორები, რომლებსაც გამუდმებით გვერდს ვუვლიდი, რეალურად სახელმწიფოთა თავისებურებებისა და ინტერესების უფრო მნიშვნელო-

[98] ორმხრივობის მნიშვნელობა სტრუქტურული გარდაქმნის პროცესის დასრულებაში ამ საფეხურზე არსებულ მსჯელობას „თანამშრომლობის განვითარების" ლოგიკას ამსგავსებს. განსხვავება ნანამძღვარებსა და მიზანშია: პირველ შემთხვევაში, ეგოს მიერ საკუთარი „მე"-ს ხელახლა განსაზღვრა საშუალებას აძლევს მას, სცადოს ალტერის შეცვლა ისე მოქცევით, „თითქოს" ორივე მათგანი უკვე ახალ თამაშს თამაშობს; მეორე შემთხვევაში კი, ეგო კონკრეტული ინტერესებისა და ძველი გამოცდილების საფუძველზე მოქმედებს და გარდაქმნა მხოლოდ არანიასნარგანზრახული შედეგია.

ვანი დეტერმინანტებია, ვიდრე სისტემური ფაქტორები. თუ ეს შენიშვნა სწორია, რაციონალისტური მიდგომის ინდივიდუალიზმი და ამ მიდგომისათვის დამახასიათებელი სტრუქტურის პროცესზე მაღლა დაყენება უფრო მეტად შეესატყვისება სისტემურ თეორიას (თუ არა პირველი და მეორე ხედვის თეორიებს), რადგან თავისებურებები და ინტერესები, *ფაქტობრივად* სახელმწიფოთა შორის ურთიერთქმედების ეგზოგენურია. მეორე მხრივ, თუ აქამდე იგნორირებულ ფაქტორებს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ან თუ საერთაშორისო სისტემის მნიშვნელობა ისტორიულად იცვლება (ალბათ, სისტემაში დინამიკური სიმჭიდროვისა და ურთიერთდამოკიდებულების დონესთან ერთად), მაშინ ასეთი ჩარჩო ზოგადი სისტემური თეორიისათვის სათანადო საფუძველს ვერ შექმნის.

მეორე, პასუხი კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს სისტემური თეორიები, იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რამდენად ადვილად შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფოს თავისებურებები და ინტერესები სისტემური ურთიერთქმედების შედეგად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ურთიერთქმედება თავიდანვე მნიშვნელოვანია თავისებურებათა და ინტერესთა ჩამოყალიბებაში, ინსტიტუციონალიზაციის შემდეგ მისი ლოგიკის გარდაქმნა ძალზე გართულდება. თუ სახელმწიფოს ქცევისათვის სტრუქტურის მნიშვნელობა ისე ნელა იცვლება, რომ ის პროცესის დე ფაქტო პარამეტრად იქცევა, მაშინ, შესაძლოა, უფრო მართლზომიერი იყოს რაციონალისტთა ვარაუდის გაზიარება, რომლის თანახმადაც თავისებურებები და ინტერესები მოცემულია (მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს ისტორიულად შეიძლება იცვლებოდეს).

თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ემპირიულ საკითხებზე, თუ არ გვექნება ჩარჩო სისტემური კვლევისათვის, რომელიც სახელმწიფოს თავისებურებებსა და ინტერესებს თეორიული და ემპირიული კვლევის საკითხად აქცევს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავისებურებები და ინტერესები არასოდეს უნდა განვიხილოთ მოცემულად. პრობლემებისა და კვლევითი სტრატეგიის შემუშავებას კითხვები უნდა განაპირობებდეს და არა მეთოდი, ხოლო თუ არ გვაინტერესებს თავისებურებებისა და ინტერესების ფორმირება, მაშინ რაციონალისტური ვარაუდები ჩვენთვის სავსებით მისაღები შეიძლება იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს სტატია რაციონალიზმზე თავდასხმად არ უნდა იქნეს გაგებული. თუმცა, ამასთანავე, ეს კანონიერი ანალიტიკური პოზიცია დე ფაქტო ონტოლოგიურ პოზიციად არ უნდა ვაქციოთ მესამე ხედვის თეორიასთან შიმართებაში, მანამ მაინც, სანამ არ დავადგენთ, რომ სისტემური ურთიერთქმედება მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს სახელმწიფოს თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბებაში. ფილოსოფიური ანთროპოლოგია და სოციალური თეორიები ნაადრევად არ უნდა შევარჩიოთ. იმის მტკიცებით, რომ შეუძლებელია, თავისებურებებისა და ინტერესების თვითდახმარების სტრუქტურა მხოლოდ ანარქიის პრინციპიდან გამომდინარეობდეს – ანუ იმის მტკიცებით, რომ ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ – ამ სტატიამ ეჭვქვეშ დააყენა მსოფლიო პოლიტიკაში თავისებურებებისა და ინტერესების ჩამოყალიბების პროცესის იგნორირების გამართლება. ის ნიადაგს უმზადებს ზემოთ წამოჭრილი ემპირიული საკითხების გამოკვლევას და, ასევე, დავას იმის თაობაზე, არის თუ არა კომუნიტარული და ინდივიდუალისტური ვარაუდები სისტემური თეორიის უკეთესი საფუძველი.

მე უხეში მაგალითით ვცადე იმის ჩვენება, თუ როგორი შეიძლება იყოს ასეთი კვლევის დღის წესრიგი. მის მიზანს უნდა წარმოადგენდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, ერთი მხრივ, პრაქტიკასა და ურთიერთქმედებას (როგორც დამოუკიდებელ ცვლადს) და, მეორე მხრივ, ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე არსებულ შემეცნებით სტრუქტურებსა და სახელმწიფოთა სისტემებს (როგორც დამოკ-

იდებულ ცვლადს) შორის, რომლებიც თავისებურებებსა და ინტერესებს წარმოქმნის – ანუ ურთიერთკავშირის განსაზღვრა მოქმედი პირების *ქმედებებსა* და *არსს* შორის. შესაძლებელია წ.ნასწარ ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოები, როგორც მოქმედი პირები და სისტემური სტრუქტურები „ურთიერთქმნადია," მაგრამ ამით ბევრ რამეს ვერ ავხსნით, რადგან გაურკვეველია, თუ როგორ ნარმოიქმნება და რა გავლენას ახდენს ორ მოქმედპირიანი, სამ მოქმედპირიანი და n მოქმედპირიანი ურთიერთქმედების მექანიკაზე „დაგროვილი ცოდნა," რომელიც კოლექტიურად ქმნის თავისებურებებსა და ინტერესებს და, უფრო მეტიც, საერთაშორისო ცხოვრების სტრუქტურებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა პრაქტიკის როლი ამ სტრუქტურების „მოცემულობის" მიმართ მიდგომების ჩამოყალიბებაში. როგორ და რატომ ახდენენ მოქმედი პირები სოციალური სტრუქტურების მატერიალიზაციას და რა შემთხვევაში უცვლიან ბუნებრივ იერსახეს ამ მატერიალიზებულ ნარმონაქმნებს?

აქ წარმოდგენილი დღის წესრიგის სახელმწიფოცენტრიზმი ზოგიერთებს, განსაკუთრებით პოსტმოდერნისტებს, „მოსაწყენად ნაცნობი" შეიძლება მოეჩვენოთ.[99] სახელმწიფოს მნიშვნელობა, მრავალეროვნულ კორპორაციებთან, ახალ სოციალურ მოძრაობებთან, ტრანსნაციონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შედარებით, აშკარად სუსტდება და მსოფლიო პოლიტიკის „პოსტმოდერნისტული" ფორმები მკვლევართა მხრიდან გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს. მაგრამ, რეალისტების მსგავსად, მე მჯერა, რომ ახლო მომავალში სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემაში წამყვან მოქმედ პირებად დარჩებიან. გლობალური პოლიტიკური ხელისუფლებისა და თავისებურების ახალი სტრუქტურების – „პოსტსაერთაშორისო" პოლიტიკის – წარმოქმნა ერთიანობასა და სხვადასხვაობას, ანუ უნივერსალიზმსა და პარტიკულარიზმს შორის არსებული წინააღმდეგობის კონკრეტულ ინსტიტუციურ გადაწყვეტაზე იქნება დამოკიდებული, რაც სუვერენული სახელმწიფოს ფენომენს უკავშირდება.[100] ასეთ სამყაროში, საერთაშორისო თეორიის სხვა ფორმების პარალელურად, კვლავაც უნდა არსებობდეს ანარქიული სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკის თეორიები; ამ თვალსაზრისით, მე სტატისტი და რეალისტი ვარ. თუმცა, ამ სტატიაში ვისაუბრე იმაზეც, რომ სტატიზმი „სახელმწიფოს" შესახებ რეალისტთა მოსაზრებებით არ უნდა შეიზღუდოს. სახელმწიფოს თავისებურებები და ინტერესები ანარქიულ გარემოში მრავალი ფაქტორის (პიროვნული, საშინაო, სისტემური ან ტრანსნაციონალური ფაქტორების) ზეგავლენით კოლექტიურად შეიძლება გარდაიქმნას და ამდენად, ისინი მნიშვნელოვანი დამოკიდებული ცვლადებია. სახელმწიფოცენტრული საერთაშორისო თეორიის ამგვარად რეკონსტრუირება აუცილებელია, თუ ტრანსნაციონალურ პოლიტიკურ თავისებურებათა ახალი ფორმების ადეკვატურად თეორეტიზაციას ვაპირებთ, რომელთა სისრულეში მოყვანას სუვერენული სახელმწიფოები მოახდენენ. ამ მხრივ, ვიმედოვნებ, რომ სტატიზმი, სახელმწიფოს მსგავსად, ისტორიულად პროგრესული შეიძლება იყოს.

მე ვამტკიცებდი, რომ ძლიერი ლიბერალიზმის მიმდევრებსა და კონსტრუქტივისტებს შესწევთ უნარი და მართებთ კიდეც, გააერთიანონ თავიანთი ძალები პროცესზე ორიენტირებული საერთაშორისო თეორიის მხარდასაჭერად. თითოეულ ჯგუფს გარკვეული სისუსტეები ახასიათებს, რომლებსაც მეორეთა ძლიერი მხარეე-

[99] Yale Ferguson and Richard Mansbach, "Between Celebration and Despair: Constructive Suggestions for Future International Theory," *International Studies Quarterly* 35 (December 1991), p. 375.

[100] ამ წინააღმდეგობის საინტერესო მიმოხილვა იხილეთ ნაშრომებში: Walker, "Sovereignty, Identity, Community;" და R. B. J. Walker, "Security, Sovereignty, and the Challenge of World Politics," *Alternatives* 15 (Winter 1990), pp. 3-27. ინსტიტუციური დამოკიდებულების თაობაზე იხილეთ: Stephen Krasner, "Sovereignty: An Institutional Perspective," *Comparative Political Studies* 21 (April 1988), pp. 66-94.

ბი ავსებს. ნაწილობრივ თეორიის კონსტრუირებისადმი არჩევნის თეორიული მიდგომის მოწონების გამო, ნეოლიბერალებმა ვერ შექმნეს ინსტიტუტთა მშენებლობისა და კომპლექსური დასწავლის შესახებ თავიანთი ნაშრომების საფუძველზე სისტემური თეორია, რომელიც რეალიზმის სტრუქტურისადმი პრიორიტეტულ ახსნით დამოკიდებულებას გაექცეოდა. მათი სისუსტე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ სურთ სისტემური თეორიის დონეზე გასცდნენ ინდივიდუალისტურ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თავისებურებები და ინტერესები ეგზოგენურად არის მოცემული. კონსტრუქტივისტები ამ ნაკლოვანებას სისტემურ კომუნიტარულ ონტოლოგიას უმატებენ, რომლის მიხედვითაც ურთიერთგანმაპირობებელი ცოდნა თავისებურებებსა და ინტერესებს აყალიბებს. თუმცა, თავის მხრივ, კონსტრუქტივისტები ხშირად ზედმეტ ყურადღებას უთმობენ ონტოლოგიისა და აგებულების საკითხებს და არასაკმარი მონდომებით იკვლევენ ანარქიის პირობებში პრაქტიკის ზეგავლენით თავისებურებებისა და ინტერესების ნარმოქმნის მიზეზობრივ და ემპირიულ საკითხებს. ამის გამო, მათ არ გაუზიარებიათ დასწავლასა და სოციალურ შემეცნებაზე არსებული ნელობერალური შეხედულებები.

სტრუქტურაციონისტებისა და სიმბოლური ინტერაქციონისტების დისკუსიის გამოყენება კვლევის ორი ტრადიციის ერთმანეთთან დასაკავშირებლად, ალბათ, არავის მოეწონება. მაგრამ ეს, ნაწილობრივ, იმის შედეგიცაა, რომ ორივე „მხარე" სოციალური მეცნიერების ეპისტემოლოგიური სტატუსისადმი პოზიციას ვერ თმობს. სოციალური მეცნიერებებისა და, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ეპისტემოლოგიური რეკომენდაციებისა და დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. სხვადასხვა საკითხი დასკვნის განსხვავებულ სტანდარტებს მოითხოვს; ამა თუ იმ საკითხის უარყოფა იმის გამო, რომ მასზე პასუხი კლასიკური ფიზიკის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, მეთოდითა და არა საკითხით განპირობებულ სოციალურ მეცნიერებამდე მიგვიყვანს. თუმცა, ამასთანავე, კვლევის ლოგიკური პოზიტივისტური კონცეფციების ხელოვნურად შეზღუდვაზე უარის თქმა „მეცნიერების" უარყოფას არ გვაიძულებს. ამას იქით ეპისტემოლოგიისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება საჭირო არ არის. ვერც პოზიტივიზმი, ვერც სამეცნიერო რეალიზმი და ვერც პოსტსტრუქტურალიზმი სრულად ვერ ახსნის საერთაშორისო ცხოვრების სტრუქტურასა და დინამიკას. მეცნიერების ესა თუ ის ფილოსოფია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას არ წარმოადგენს. მისასალმებელი სიახლეა ის, რომ ძლიერი ლიბერალები და მოდერნისტი თუ პოსტმოდერნისტი კონსტრუქტივისტები საერთაშორისო ურთიერთობების არსის თაობაზე, ძირითადად, ერთგვაროვან კითხვებს სვამენ, რაც ამ ორივე ჯგუფს ნეორეალისტებისა და რაციონალისტების ალიანსისაგან მიჯნავს. ძლიერმა ლიბერალებმა და კონსტრუქტივისტებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ ერთმანეთისაგან, თუ ეპისტემოლოგიის კვამლსა და ხვატს მიღმა ამის საჭიროებას დაინახავენ.

თარგმნა ნათია ეჯოშვილმა

ნაწილი V. სოციალური კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში

იოჰან გალტუნგი
იმპერიალიზმის სტრუქტურული თეორია*

შესავალი

ამ თეორიის საწყისი წერტილი ჩვენი სამყაროს ორი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფაქტია: სახელმწიფოთა შიგნით და მათ შორის არსებული უდიდესი უთანასწორობა, რომელიც ადამიანთა ცხოვრების პირობების ყველა ასპექტში იჩენს თავს, მათ შორის, ცხოვრების პირობების განსაზღვრის შესაძლებლობაში და ის გარემოება, რომ აღნიშნული უთანასწორობა ცვლილებას არ ექვემდებარება. მსოფლიო ცენტრალური და პერიფერიული ქვეყნებისაგან შედგება. თითოეულ მათგანს, თავის მხრივ, საკუთარი ცენტრი და პერიფერია გააჩნია. აქედან გამომდინარე, ჩვენი დაინტერესების საგანია ის მექანიზმი, რომელიც ამ წინააღმდეგობას უდევს საფუძვლად.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმპერიალიზმი არის სისტემა, რომელიც კოლექტიურ ერთეულებს ხლიჩავს და მათ გარკვეულ ნაწილებს შორის კავშირს *ინტერესთა ჰარმონიის,* სხვა ნაწილებს შორის კავშირს კი *ინტერესთა დისჰარმონიის* ანუ *ინტერესთა კონფლიქტის* საფუძველზე ამყარებს.

„ინტერესთა კონფლიქტის" განსაზღვრება

„ინტერესთა კონფლიქტი," ზოგადად, კონფლიქტის განსაკუთრებული ფორმაა და განისაზღვრება, როგორც ვითარება, რომელშიც მხარეები ურთიერთსანინააღმდეგო მიზნების მიღწევას ცდილობენ. ჩვენს განსაკუთრებულ შემთხვევაში, გარეშე დამკვირვებელი ამ მიზნებს, პირობითად, მხარეთა „ჭეშმარიტ" ინტერესებს უწოდებს და საერთოდ, ან ნაწილობრივ, არ ითვალისწინებს, თუ რას ამბობენ თავად ეს მხარეები საჯაროდ საკუთარი მისწრაფებების შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზი უსაზღვრო რაციონალურობის დოგმის უარყოფაა – მოქმედმა პირებმა ყოველთვის არ იციან საკუთარი ინტერესები ან ვერ გამოხატავენ მათ. კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი რაციონალურობის არათანაბრად განაწილებაა, ანუ ის, რომ ზოგიერთი ადამიანი სხვათა გონებაზე დიდ გავლენას ახდენს, რამაც, შესაძლოა, „ყალბი ცნობიერება" წარმოშვას. ამრიგად, საკუთარი ჭეშმარიტი ინტერესების დათრგუნვის სწავლა, ზოგადად, სოციალიზაციის, კერძოდ კი, განათლების სისტემის უმთავრეს ნაწილად შეიძლება იქცეს.

მოდით, ამ ჭეშმარიტ ინტერესს *ცხოვრების პირობები* ვუწოდოთ. მათი განსაზღვრა ისეთი მაჩვენებლის საშუალებით არის შესაძლებელი, როგორიცაა შემოსავალი, ცხოვრების დონე წმინდა მატერიალისტური თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ აგრეთვე დაგვჭირდება *ცხოვრების ხარისხის* ცნებაც, რომ აღარაფერი ვთქვათ *ავტონომიის* ცნებაზე. თუმცა, ცხოვრების პირობების ზუსტი მნიშვნელობის დადგე-

---

* Johan Galtung, "A Structural Theory of Imperialism," in *Journal of Peace Research,* Vol. 13, No. 2, 1971. pp. 81-94. Reprinted by permission of Sage Publications Ltd.

ნა, ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრება:

• *ინტერესთა კონფლიქტს* ანუ *დისჰარმონიას* მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ორი მხარე ისეა დაწყვილებული, რომ მათი ცხოვრების პირობებს შორის *განსხვავება იზრდება.*

• *კონფლიქტი* არ არსებობს ანუ ადგილი აქვს *ინტერესთა ჰარმონიას,* თუ ორი მხარე ისეა დაწყვილებული, რომ მათი ცხოვრების პირობებს შორის *განსხვავება მცირდება და ნულამდე დადის.*

. . . აშკარაა, რომ ინტერესის ცნება აქ იდეოლოგიას ანუ *თანასწორობის ღირებულებით წანამძღვარს* ეფუძნება. მიჩნეულია, რომ ურთიერთქმედებითი დამოკიდებულება და ურთიერთქმედების სტრუქტურა, რომლებიც უთანასწორობას წარმოშობს, ისეთ წყვილს წარმოადგენს, რომელიც შედარებით სუსტი მხარის ინტერესებისათვის საზიანოა. ეს ისეთივე ღირებულებითი წანამძღვარია, როგორც სოციალური მეცნიერების კვლევების სხვა ღირებულებითი წანამძღვრები, მაგალითად: „პირდაპირი ძალადობა ცუდია," „ეკონომიკური ზრდა კარგია," „კონფლიქტი უნდა მოგვარდეს" და ა.შ. ისევე, როგორც სხვა სოციალური მეცნიერებების შემთხვევაში, მიზანი ყველა ამგვარი ღირებულებითი წანამძღვრისაგან თავისუფალი, „ობიექტური" სოციალური მეცნიერება კი არ უნდა იყოს, არამედ უფრო გულახდილი სოციალური მეცნიერება, რომელშიც ღირებულებითი წანამძღვრები ღიად იქნება გამოხატული.

„იმპერიალიზმის" განსაზღვრება

იმპერიალიზმს ზემოთ გამოყენებული კატეგორიების დახმარებით განვმარტავთ. ორი სახელმწიფოსაგან შემდგარ მსოფლიოში იმპერიალიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც მეთოდი, რომლის წყალობითაც ცენტრალური სახელმწიფო პერიფერიულ სახელმწიფოსთან მიმართებაში ძალაუფლებას მოიპოვებს და მათ შორის ინტერესთა დისჰარმონიის მდგომარეობას წარმოქმნის. უფრო კონკრეტულად, *იმპერიალიზმი* ცენტრალურ და პერიფერიულ სახელმწიფოებს შორის იმგვარი ურთიერთობაა, როდესაც:


1. *ცენტრალური* სახელმწიფოს *ცენტრსა* და *პერიფერიული* სახელმწიფოს *ცენტრს* შორის *ინტერესთა ჰარმონიაა;*
2. *ინტერესთა დისჰარმონია* უფრო დიდია პერიფერიულ სახელმწიფოში, ვიდრე ცენტრალური სახელმწიფოებში;
3. *ცენტრალური* სახელმწიფოს *პერიფერიასა* და *პერიფერიული* სახელმწიფოს *პერიფერიას* შორის *ინტერესთა დისჰარმონიაა;*

სქემატურად იმპერიალიზმი ნახაზი 1-ის მსგავსად გამოიყურება. ეს კომპლექსური განსაზღვრება, რომელიც დიდწილად ლენინისაგან არის ნასესხები, განმარტებას საჭიროებს. როგორც აღინიშნა, ძირითადი იდეა არის ის, რომ ცენტრალური სახელმწიფოს ცენტრს პერიფერიულ ქვეყანაში კარგად შერჩეული პლაცდარმი აქვს – პერიფერიული სახელმწიფოს ცენტრი. ყველაფერი ისეა ჩამოყალიბებული, რომ პერიფერიული ქვეყნის ცენტრი ცენტრალური ქვეყნის ცენტრთან ყველაზე უფრო მყარი ჯაჭვით არის დაკავშირებული – ინტერესთა ჰარმონიით. მათი კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ მათი აღმასვლა, დაღმასვლა და ჩაძირვაც კი სინქრონულია.

ორივე სახელმწიფოს *შიგნით* ინტერესთა დისჰარმონიაა. თითოეული მათგანი, ასე თუ ისე, ვერტიკალურ საზოგადოებას წარმოადგენს, რომელსაც ცხოვრების პირობების უთანასწორობა ახასიათებს – საპირისპირო შემთხვევაში, ცენტრისა და პერიფერიის დადგენა შეუძლებელი იქნებოდა. მეტიც, განსხვავება არ მცირდება

და, უკეთეს შემთხვევაში, მუდმივად უცვლელია, მაგრამ უმთავრესი და, მთელი თეორიის განვითარების თვალსაზრისით, ძირეული იდეა არის ის, რომ *პერიფერიულ სახელმწიფოში დისჰარმონია უფრო დიდია, ვიდრე ცენტრალურ სახელმწიფოში.* აღწერის უმარტივეს სტატიკურ დონეზე ეს გულისხმობს, რომ პერიფერიაში უფრო დიდი უთანასწორობაა, ვიდრე ცენტრში. უფრო კომპლექსურ დონეზე თუ განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება პერიფერიაში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ცენტრში, სადაც ის უცვლელიც კი შეიძლება დარჩეს. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ქმედებებს შედეგად მოჰყვება ხელახალი გადანაწილება, ხოლო ცხოვრების პირობების ზოგიერთ განზომილებაში, როგორიცაა, მაგალითად შემოსავალი, დისჰარმონია მცირდება, მაგრამ ეს, როგორც წესი, ძალაუფლებას არ ეხება.

ნახაზი 1. იმპერიალიზმის სტრუქტურა



იმპერიალიზმის არსი, რამდენიმე წინადადებაში, შემდეგი სახით შეიძლება გადმოიცეს:

პერიფერიულ სახელმწიფოში ცენტრი პერიფერიაზე მეტად იზრდება, რასაც, ნაწილობრივ, განაპირობებს ის, თუ როგორ არის ორგანიზებული ურთიერთქმედება ცენტრსა და პერიფერიას შორის. ეკონომიკური ურთიერთქმედების გაუთვალისწინებლადაც კი, ცენტრი უფრო მეტად მდიდრდება, ვიდრე პერიფერია. თუმცა, ამ სიმდიდრის გარკვეული ნაწილისათვის, პერიფერიული ქვეყნის ცენტრი მხოლოდ გადამცემი ხაზის (მაგალითად, კომერციული ფირმები, სავაჭრო კომპანიები) როლს ასრულებს, რომლის მეშვეობითაც ღირებულება (მაგალითად, ნედლეული) ცენტრალურ ქვეყანაში გაედინება. ეს ღირებულება ცენტრალური სახელმწიფოს ცენტრში იყრის თავს, ხოლო მისი ნაწილი ცენტრალური ქვეყნის პერიფერიამდეც აღწევს. აღსანიშნავია, რომ ცენტრში ინტერესთა ნაკლები დისჰარმონიაა, ვიდრე პერიფერიაში; შედეგად, *მთლიანი წყობა, მეტწილად, ცენტრის პერიფერიის ინტერესებს შეესაბამება.* ცენტრის შიგნით აღნიშნული ორი მხარე, შესაძლოა, უპირისპირდებოდეს ერთმა-

ნეთს, მაგრამ მთლიან თამაშში პერიფერიის პერიფერია ცენტრალური ქვეყნის ცენტრს უფრო მეტად მიიჩნევს თავის პარტიორად, ვიდრე პერიფერიული ქვეყნის პერიფერიას. სწორედ ესაა თამაშის მთავარი ხრიკი. ორი პერიფერიის ალიანსი გამოირიცხება, ვინაიდან ცენტრალური სახელმწიფო – სულ უფრო მეტად, ხოლო პერიფერიული სახელმწიფო სულ უფრო ნაკლებად შეკავშირებული ხდება და აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება ნაკლებად შეუძლია.

იმპერიალიზმის მექანიზმები

იმპერიალიმზის ორი ძირითადი მექანიზმი მონაწილე მხარეთა, კერძოდ კი, სახელმწიფოთა შორის არსებულ *ურთიერთობებს* უკავშირდება. პირველი მექანიზმი უშუალოდ *ურთიერთქმედებით დამოკიდებულებას* ეხება, ხოლო მეორე ამ დამოკიდებულების უფრო დიდ ურთიერთქმედების სტრუქტურაში გაერთიანებას:

1. *ვერტიკალური ურთიერთქმედებითი დამოკიდებულების* პრინციპი;
2. *ფეოდალური ურთიერთქმედების სტრუქტურის* პრინციპი.

ურთიერთქმედების ძირითადი არსი, რა თქმა უნდა, მდგომარეობს იმაში, რომ ხალხსა და სახელმწიფოებს განსხვავებული ღირებულებები აქვთ, რომლებიც ერთმანეთს ავსებს და შემდეგში მათი გაცვლა იწყება. ზოგიერთი სახელმწიფო ნავთობს აწარმოებს, სხვები კი – ტრაქტორებს, რის შედეგადაც ისინი ახორციელებენ გაცვლას შედარებითი უპირატესობის პრინციპზე დაყრდნობით. წარმოვიდგინოთ, რომ ორი სახელმწიფოსაგან შემდგარ ჩვენს სისტემას ურთიერთქმედების ისტორია საერთოდ არ გააჩნდა და განვითარება ამ ტიპის ურთიერთქმედებით დაიწყო. აშკარაა, რომ ის ორივე მათგანს შეცვლის, უფრო კონკრეტულად კი, მათ შორის, სავარაუდოდ, განსხვავება გაიზრდება თუ ურთიერთქმედება მთლიანობაში ასიმეტრიული იქნება იმ თვალსაზრისით, თუ რას მიიღებენ მხარეები მის შედეგად.

იმის დასადგენად, სიმეტრიულია ურთიერთქმედება თუ ასიმეტრიული, თანასწორობის საფუძველზე ხორციელდება ის თუ უთანასწორობის, აუცილებელია ურთიერთქმედებიდან გამომდინარე *ორი* ფაქტორის განხილვა. ესენია:

1. *მოქმედ პირთა შორის ღირებულებების გაცვლა – ინტერაქტორული ეფექტები;*
2. *მოქმედ პირთა შიდა ეფექტები – ინტრააქტორული ეფექტები.*

ეკონომიკურ ურთიერთობებში, ყველაზე უფრო ხშირად პირველ მათგანს აანალიზებენ – არა მარტო ლიბერალები, არამედ მარქსისტი ეკონომისტებიც. ინტერაქტორული დინება შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქონლისა და მომსახურების დინება ორივე მიმართულებით, რომლის ზუსტად გაზომვა ძირითად შესასვლელ პუნქტებშია შესაძლებელი, როგორიცაა საბაჟოები და ეროვნული ბანკები. ამის შემდეგ, ორმხრივი დინების შედარება სხვადასხვაგვარად შეიძლება. ყველაზე მნიშვნელოვანია იმის შედარება, თუ *რომელი მათგანი იღებს მეტ სარგებელს,* რისთვისაც ინტრააქტორული ეფექტების გათვალისწინებაც საჭიროა . . .

უთანასწორო გაცვლის ანუ ასიმეტრიული ურთიერთქმედების კუთხით საუბარი, უდავოდ, მიზანშეწონილი და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ გამოთქმის ზუსტი შინაარსის განსაზღვრა არცთუ ისე იოლია. ამიტომაც, შესაძლოა, სასარგებლო იყოს მსჯელობა ექსპლოატაციის სამი სტადიის ან ტიპის კუთხით, რომლებიც ნანი-

ლობრივ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოდგენილ ისტორიულ *პროცესებს,* ნაწილობრივ კი, ექსპლოატაციის შესახებ განსხვავებულ *მოსაზრებებს* ასახავს.

ექსპლოატაციის პირველ სტადიაში ქვეყანა A უბრალოდ იწყებს ძარცვას და მითვისებული ნედლეულის სანაცვლოდ არაფერს იძლევა. თუ ის უბრალოდ ბუნებრივ სიმდიდრეს იტაცებს, მაშინ ადამიანებს შორის ურთერთქმედებას არ აქვს ადგილი, მაგრამ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ის „ადგილობრივ მაცხოვრებლებს" მის სასარგებლოდ შრომასა და რესურსების მოპოვებას აიძულებს. ის ჰგავს მონათმფლობელს, რომელიც მონების შრომის ხარჯზე ცხოვრობს, რითაც, რაოდენობრივი თვალსაზრისით, დიდად არ განსხვავდება მინის მფლობელისაგან, რომლის სასარგებლოდაც მიწის მუშები კვირაში ხუთი დღე შრომობენ.

მეორე სტადიაში, ქვეყანა A „სანაცვლოდ" რაღაცის შეთავაზებას იწყებს. ნავთობი, ქვანახშირი, მიწა და ა.შ. ორიოდე მძივის ფასად „იყიდება" – აღარ ხდება საკუთრების საკითხის იგნორირება და ამ ყველაფრის უბრალოდ მიტაცება, მაგრამ გადახდილი საფასური სასაცილოა. თუმცა, როდესაც საერთაშორისო სისტემებში ძალთა გადანაწილება იცვლება და სუსტი მხარის ძლიერების დონე ნულიდან გარკვეულ დადებით ნიშნულამდე იწევს, ქვეყანა A იძულებულია, მეტი გასცეს – მაგალითად, მეტი გადაიხადოს ნავთობის სანაცვლოდ. ჩნდება კითხვა, არსებობს თუ არა გარდატეხის წერტილი, რომლის იქითაც გაცვლა თანასწორუფლებიანია და რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ეს გარდატეხის წერტილი. არის თუ არა ამგვარი კრიტერიუმი სუბიექტური უკმაყოფილების არარსებობა – ვითარება, როდესაც ქვეყანა B ამბობს, რომ ის ამჟამად კმაყოფილია? თუ აღნიშნული კრიტერიუმი ობიექტური საბაზრო ღირებულებებია ან თითოეულ ქვეყანაში წარმოებისას დახარჯული კაც-საათების რაოდენობა?

ყველა ეს კონცეფცია გარკვეულ სირთულეებს შეიცავს, მაგრამ მათზე მსჯელობის ნაცვლად, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ არც ერთი ზემოხსენებული მცდელობა არ ითვალისწინებს *ინტრააქტორულ* ეფექტებს. ინვეს თუ არა ურთიერთქმედება მოქმედი ერთეულების *შიგნით* გამდიდრებას ან გაღატაკებას ან იქნებ, სულაც, არავითარი ცვლილება არ ხდება? ასეთ კითხვას ექსპლოატაციის მესამე სტადიასთან მივყავართ, როდესაც, მართალია, მოქმედ პირთა შორის ურთიერთობაში გარკვეული ბალანსი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ურთიერთქმედება მათ საშინაო მდგომარეობაზე დიდად განსხვავებულ გავლენას ახდენს.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ სახელმწიფოები, რომლებიც ნავთობს ტრაქტორებში ცვლიან. აქ ძირითადი აზრი ის არის, რომ გადამუშავების სხვადასხვა დონესთან გვაქვს საქმე, ამასთან „გადამუშავებას" განვსაზღვრავთ, როგორც საქმიანობას, რომლის საშუალებითაც ბუნებას ცვლის კულტურა. მაგალითად, გადაუმუშავებელი ნავთობი წმინდა (ან თითქმის წმინდა) ბუნებრივი პროდუქტია. ტრაქტორების შემთხვევაში, შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ის არის წმინდა კულტურის პროდუქტი ან *ფორმა* (როგორც მათემატიკა, მუსიკა). რადიომიმღები, ინტეგრალური სქემა, უკეთესი მაგალითები იქნებოდა, რადგანაც, ამ შემთხვევებში, ბუნების წილი მინიმუმამდეა დაყვანილი. ტრაქტორში ზედმეტი რკინა და რეზინია იმისათვის, რომ ის მთლიანად კულტურის პროდუქტად მივიჩნიოთ.


აქ არსებითი საკითხი ნავთობსა და ტრაქტორებს შორის *გადამუშავების განსხვავებული დონე* და ის დიფერენციაციის ეფექტია, რომელსაც ეს განსხვავება ორ სახელმწიფოსთან მიმართებაში გამოიწვევს. ერთ სახელმწიფოში ნავთობის საბადო საპორტო რაიონში შეიძლება მდებარეობდეს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ამწე და გემის მისადგომი მარტივი მოწყობილობები ნავთობის პირდაპირ გემზე გა-

დასაქაჩად, მაგალითად, ნორვეგიულ ტანკერზე, რომელიც ნავთობს გადაზიდავს ქვეყანაში, სადაც ეს ენერგეტიკული რესურსი, სხვათა შორის, ტრაქტორის ქარხნების მუშაობასაც უზრუნველყოფს. მეორე სახელმწიფოში ეფექტებმა, პროდუქციის კომპლექსურობისა და საზოგადოების შეკავშირებულობის გამო, უკიდურესად ფართო მასშტაბები შეიძლება მიიღოს . . .

თუ პირველი მექანიზმი, *ვერტიკალური ურთიერთქმედებითი დამოკიდებულება*, უთანასწორობის გამომწვევი ძირითადი ფაქტორია, მაშინ მეორე მექანიზმი, *ფეოდალური ურთიერთქმედების სტრუქტურა*, ის ფაქტორია, რომელიც ამ უთანასწორობის დაცვით, მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს. არსებობს ოთხი წესი, რომლებიც ურთიერთქმედებათა ამ კონკრეტულ სტრუქტურას განსაზღვრავს:

1. ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთქმედება *ვერტიკალურია*;
2. პერიფერიასა და პერიფერიას შორის ურთიერთქმედება *არ არსებობს*;
3. მრავალმხრივი ურთიერთქმედება ამ სამს შორის *არ არსებობს*;
4. გარე სამყაროსთან ურთიერთქმედება *მონოპოლიზებულია* ცენტრის მიერ, რაც გულისხმობს, რომ:
   ა) პერიფერიის ურთიერთქმედება სხვა ცენტრალურ სახელმწიფოებთან *არ არსებობს*,
   ბ) *არ არსებობს* ცენტრის, ისევე, როგორც პერიფერიის ურთიერთქმედება პერიფერიულ სახელმწიფოებთან, რომლებიც სხვა ცენტრალურ სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან.

ამგვარი ურთიერთობები ნახაზ 2-ზეა გამოსახული. მოცემულ ცენტრალურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული პერიფერიული სახელმწიფოების რაოდენობა, რა თქმა უნდა, შეიძლება განსხვავებული იყოს, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები. ნახაზი, აგრეთვე, ასახავს წესს: „თუ ჩემი სატელიტებისაგან თავს შორს დაიჭერ, მე შენს სატელიტებს არ შეევხები."



საჭიროა, განიმარტოს ამ სტრუქტურის ზოგიერთი მნიშვნელოვანი *ეკონომიკური* შედეგი.

პირველი და ყველაზე აშკარა შედეგი *სავაჭრო პარტნიორების კონცენტრაციაა*. ხსენებული ორი მექანიზმის წყალობით, პერიფერიულმა სახელმწიფომ სავაჭრო ურთიერთობების ძირითადი ნაწილი „თავის" ცენტრალურ სახელმწიფოსთან უნდა ანარმოოს. სხვა სიტყვებით, ემპირიულად, პერიფერიაში მოსალოდნელია *იმპორტის*, ისევე, როგორც *ექსპორტის მაღალი კონცენტრაცია*, განსხვავებით ცენტრისაგან, რომელსაც უფრო თავისუფლად შეუძლია თავისი სავაჭრო ურთიერთობების თითქმის ყველა მიმართულებით განვრცობა, გარდა, კლასიკურ შემთხვევაში, სხვა ცენტრალური სახელმწიფოს პერიფერიისა.

მეორე და ნაკლებად აშკარა შედეგია *საქონლის კონცენტრაცია*: პერიფერიული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი, მხოლოდ ერთი ან რამდენიმე სახის პირველადი პროდუქციის ექსპორტირების ტენდენცია. ეს მოვლენა ტრივიალური იქნებოდა, მხოლოდ გეოგრაფიის კუთხით რომ შეიძლებოდეს მისი ახსნა, ანუ, მაგალითად, ნავთობით მდიდარი ქვეყნები ყოველთვის მადნეულით ღარიბები რომ იყვნენ, მადნეულის მქონე ქვეყნები კი – ბანანებითა და ყავით ღარიბები და ა.შ. მაგრამ ამას ვერ ვაღიარებთ ზოგად წესად, რადგანაც ბუნება თავის სიმდიდრეს ასე არ ანაწილებს. ამ მოვლენას უფრო მეტად ისტორიული ახსნა მოეძებნება, ვიდრე გეოგრაფიული. ტერიტორიის ექსპლოატაცია ყველაზე ადვილად მოსაპოვებელი და/ან ცენტრისათვის ყველაზე მეტად საჭირო ნედლეულისათვის შეიძლება წარმოებდეს, რაც, თავის მხრივ, გარკვეული სოციალური და სავაჭრო სტრუქტურის ჩამოყალიბებას, საბადოებთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო ხაზების შექმნასა და გარკვეული ცენტრალური ჯგუფების წარმოშობას იწვევს (რომელთა არსებობასაც, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ ნედლეულის ფლობა განაპირობებს). ამავე ტერიტორიაზე ახალი სახის ნედლეულის ექსპლოატაციის დაწყებამ დიდი სიფრთხილით ჩამოყალიბებული ადგილობრივი ბალანსი შეიძლება დაარღვიოს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, უფრო იოლი იყოს ახალი სახის ნედლეულის ათვისება გამოუყენებელ ტერიტორიაზე, რომელზეც იმპერიალისტური ექსპლოატაციისათვის წინასწარ მომზადებული პლაცდარმი არ არსებობს. ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად იმის დემონსტრირება მოგვიწევს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც უკვე ერთი სახის ნედლეულის ექსპლოატაცია მიმდინარეობს, თითქმის აუთვისებელი და არასაკმარისად შესწავლილი საბადოებია.

ზემოაღნერილი ორი შედეგის ერთობლივი ეფექტი პერიფერიის ცენტრისადმი *დაქვემდებარებაა*. ვინაიდან პერიფერიული სახელმწიფოს მთლიანი ეროვნული პროდუქტი გაცილებით მცირეა, მათ შორის ვაჭრობა პერიფერიის მთლიანი ეროვნული პროდუქტის უფრო მაღალ პროცენტს შეადგენს, ხოლო პარტნიორებისა და საქონლის კონცენტრაციის პირობებში, პერიფერია მოთხოვნისა და ფასების მერყეობისაგან საკმაოდ დაუცველი ხდება. ამავე დროს, პერიფერიული სახელმწიფოს ცენტრი ცენტრალური სახელმწიფოს მიერ სამომხმარებლო საქონლის მოწოდებაზეა დამოკიდებული. იმპორტის ჩანაცვლება, როგორც წესი, ისეთი საქონლის დამზადებას იწვევს, რომელიც კუსტარულად და არამიმზიდველად გამოიყურება, განსაკუთრებით, თუ დაგეგმილია, რომ ცენტრში ამ საქონლის წარმოების საჭიროება აღარ იარსებებს და თუ, ამასთანავე, ორ ცენტრს შორის თანასწორობის მოთხოვნა გაიჟღერებს, რომელსაც დემონსტრირების ეფექტები და ცენტრალურ სახელმწიფოში ხშირი ვიზიტები გაუმაგრებს ზურგს.

მიუხედავად ამისა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგი პოლიტიკური ხასიათისაა და დაკავშირებულია ფეოდალური ურთიერთქმედების სტრუქტურათა

სისტემატურად გამოყენებასთან, ცენტრის პერიფერიისაგან დაცვის მიზნით. ფეოდალური ურთიერთქმედების სტრუქტურა, სოციალური მეცნიერების ენაზე, სხვა არაფერია, თუ არა გამოხატულება ძველი პოლიტიკური პრინციპისა *divide et impera*, გათიშე და იბატონე, რომელიც ცენტრის მიერ პერიფერიის სახელმწიფოთა მიმართ სისტემატურად გამოყენებული სტრატეგიაა. მაგალითად, როგორ შეეძლო ჩრდილოეთის ზღვაში მდებარე პატარა ნისლიან კუნძულს მსოფლიოს ერთი მეოთხედის მართვა? ამისთვის საჭირო იყო პერიფერიის ნაწილების ერთმანეთისაგან იზოლირება, მათ შორის საკმარისი გეოგრაფიული მანძილის დაცვა ნებისმიერი რეალური ალიანსის შექმნის შესაფერხებლად, თითოეულ მათგანთან ცალკე შეთანხმების დადება, რაც, კერძო ინტერესების საფუძველზე, ცენტრთან მათ დაკავშირებას უზრუნველყოფდა, მრავალმხრივი ურთიერთობების მინიმუმამდე დაყვანა, დიფერენცირებული წევრობის საშუალებით და მეტროპოლიის მიერ მსოფლიოში გასასვლელი სარკმლის როლის მითვისება.

თუმცა, ეს მოსაზრება უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ ამ ორ მექანიზმს გავაერთიანებთ და იმას, რაც აქამდე ცენტრალურ და პერიფერიულ *სახელმწიფოებს* შორის ურთიერთობებზე ითქვა, ქვეყნების შიგნით ცენტრალურ და პერიფერიულ *ჯგუფებს* შორის ურთიერთობებსაც მივუსადაგებთ. იმპერიალისტური სტრუქტურის არსებობისას, ეს ორი მექანიზმი არა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის, არამედ სახელმწიფოების შიგნითაც გამოიყენება, თუმცა, ცენტრალურ სახელმწიფოში უფრო ნაკლებად, ვიდრე პერიფერიულ სახელმწიფოში, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილი აქვს შრომის ვერტიკალურ დანაწილებას როგორც სახელმწიფოებს შორის, ისე მათ შიგნით. ორგანიზაციის ეს ორი დონე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული (რასაც ა. გ. ფრანკი ყოველთვის ხაზს უსვამდა) იმ თვალსაზრისით, რომ პერიფერიულ სახელმწიფოში ურთიერთქმედების სტრუქტურის ცენტრი იმავდროულად ის ჯგუფია, რომელთანაც ცენტრალურ სახელმწიფოს ინტერესთა ჰარმონია აკავშირებს და რომელიც მისი პლაცდარმის როლს ასრულებს.

ამრიგად, აღნიშნული ორი მექანიზმის ერთობლივად მოქმედება ორივე დონეზე სტრუქტურაში დახვეწილი დამცავი ზომების სისტემას ქმნის, რომელიც „პრობლემების" მთავარი წყაროს – პერიფერიული ქვეყნის პერიფერიის წინააღმდეგ არის მიმართული . . .

აშკარაა, რომ რაც უფრო სრულყოფილად მუშაობს იმპერიალიზმის მექანიზმი სახელმწიფოებს შორის და მათ შიგნით, მით უფრო მცირეა შეუნიღბავი ჩაგვრის მექანიზმის საჭიროება და მით უფრო პატარა ზომისანი შეიძლება იყვნენ ცენტრის ჯგუფები, ამ პროცესის მონაწილე მთელ მოსახლეობასთან შედარებით. *მხოლოდ არასრულყოფილ, დილეტანტურ იმპერიალიზმს სჭირდება იარაღი; პროფესიული იმპერიალიზმი სტრუქტურულ ძალადობას უფრო ემყარება, ვიდრე პირდაპირს.*

იმპერიალიზმის ტიპები

ყოველივე ზემოთქმულს უფრო კონკრეტულ სახეს მივცემთ, თუ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ იმპერიალიზმის ხუთ ტიპს, რომლებიც ცენტრალურ და პერიფერიულ ქვეყნებს შორის მიმდინარე გაცვლის *ტიპებით* განისაზღვრება:

1. *ეკონომიკური*
2. *პოლიტიკური*
3. *სამხედრო*
4. *საკომუნიკაციო*
5. *კულტურული*

შემოთავაზებული თანამიმდევრობა საკმაოდ პირობითია: ჩვენ არ გაგვაჩნია თეორია იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია ან უფრო ადრე ყალიბდება, ვიდრე სხვები. ეს უფრო, პენტაგონს ან საბჭოთა ვარსკვლავს მოგვაგონებს: იმპერიალიზმი ნებისმიერი კუთხიდან შეიძლება დაიწყოს. განხილვა უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმოქმნის იმპერიალიზმის ესა თუ ის ტიპი ურთიერთქმედების მოდელებს, რომლებიც იმპერიალიზმის ორ მექანიზმს იყენებს და მისი სამი *კრიტერიუმის* ან, თუნდაც, პირველი მათგანის შესრულებას ისახავს მიზნად.

ცხრილი 1. იმპერიალიზმის ხუთი ტიპი

ტიპი	ცენტრალური სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია:	პერიფერიული სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია:
ეკონომიკური	გადამუშავება, წარმოების საშუალებები	ნედლეული, ბაზრები
პოლიტიკური	გადაწყვეტილებები, მოდელები	მორჩილება, მიმბაძველობა
სამხედრო	დაცვა, განადგურების საშუალებები	დისციპლინა, ტრადიციული ტექნიკა
საკომუნიკაციო	ინფორმაცია, საკომუნიკაციო საშუალებები	მოვლენები, მგზავრები, საქონელი
კულტურული	სწავლება, შემოქმედების საშუალებები – ავტონომია	სწავლა, დაკანონება – დაქვემდებარება

ორი მექანიზმიდან მთავარი *ვერტიკალური* ურთიერთქმედებაა, რომელიც, თანამედროვე ფორმით, გადამუშავების დონეებს შორის განსხვავებაზე დაფუძნებულ ურთიერთქმედებას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოებს შორის იცვლება არა ერთი და იგივე საგნები (რაც სისულელე იქნებოდა), არამედ საკმაოდ არაერთგვაროვანი საგნები, რომელთა შორის განსხვავებაც განისაზღვრება იმით, თუ სად წარმოებს ყველაზე უფრო რთული და სტიმულის მიმცემი საქმიანობა. ცხრილში 1 მოცემულია პირობითი სია, რომელიც ეკონომიკური ურთიერთქმედების შესახებ ზემომოყვანილ მსჯელობას განავრცობს . . .

ამ ტიპის *ეკონომიკური* ურთიერთქმედების ვერტიკალური ბუნება დეტალურად იქნა განმარტებული, როდესაც ამავე ტიპის იმპერიალიზმი განსაზღვრებისა და მექანიზმების მაგალითად განვიხილეთ. მოდით ახლა ვერტიკალური ურთიერთქმედების სხვა ტიპებს დავუთმოთ მეტი ყურადღება.

პოლიტიკური ურთიერთქმედების არსი ნათელია: „დედა" ქვეყნის ანუ ცენტრალური სახელმწიფოს ცნება მიანიშნებს იმაზე, თუ სად არის განლაგებული გადაწყვეტილების მიმღები ცენტრი: მოცემული სახელმწიფოდან შორს, ცენტრალურ სახელმწიფოში. ეს გადაწყვეტილებები შეიძლება გავლენას ახდენდეს ეკონომიკურ,

სამხედრო, საკომუნიკაციო და კულტურულ მოდელებზე. აქ მნიშვნელოვანია შრომის დანაწილება: ქვეყნების ერთი ნაწილი გადაწყვეტილებებს იღებს, მეორე ნაწილი კი მათ ემორჩილება. გადაწყვეტილებები შესაბამისი თხოვნის საპასუხოდ შეიძლება იქნეს მიღებული, როგორც ეს „ორმხრივი ტექნიკური დახმარებისას" ხდება ან კონსულტაციის შედეგად. ისინი, მოდელსა და მიმბაძველს შორის განსხვავების საფუძველზეც შეიძლება წარმოიქმნას. ამ განსხვავებას ყველაზე კარგად ისეთი სწორხაზოვანი ცნებები გამოხატავს, როგორიცაა „განვითარება" და „მოდერნიზაცია," რომელთა მიხედვითაც ცენტრალურ სახელმწიფოებში სხვებისათვის მისაბაძი უმაღლესი დონის სტრუქტურაა (თუ ეს მიბაძვა ცენტრის ცენტრალურ პოზიციას სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის), რაც ლეგიტიმურობის განსაკუთრებულ აურას სძენს ცენტრიდან მომდინარე ნებისმიერ იდეას. ამრიგად, „ლიბერალიზმის სამშობლოსა" თუ „სოციალიზმის სამშობლოში" შემუშავებული სტრუქტურები და გადაწყვეტილებები მოდელებად ყალიბდება მათი წარმომავლობისა და არა არსის წყალობით.

სამხედრო ხასიათის შედეგები (ან პარალელები), ასევე, საკმაოდ ნათელია. ნიშანდობლივია, რომ შრომის ეკონომიკური დანაწილება უზრუნველყოფს იმასაც, რომ ეკონომიკურად ცენტრალური სახელმწიფოები, ამავდროულად, სამხედრო თვალსაზრისითაც ცენტრალურ სახელმწიფოებად იქცნენ: მხოლოდ მათ გააჩნიათ ტექნოლოგიური პროდუქციის შესაქმნელად აუცილებელი სამრეწველო პოტენციალი და, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ აქ არის თანამედროვე არმიასთან შეთავსებადი სოციალური წყობა. მას, ვინც ტრაქტორებს აწარმოებს, ტანკების გამოშვებაც გაუადვილდება, მაგრამ ნავთობის მომწოდებელი ქვეყანა აგრესორებისაგან თავს ვერ დაიცავს ნავთობის სახეში შესხმით. ის ტანკების მწარმოებელზე იქნება დამოკიდებული დაცვისა თუ მომარაგების სფეროში (ცენტრის მიერ ნაკარნახევი პირობებით). ისევე, როგორც არსებობს შრომის დანაწილება, რომლის დროსაც ცენტრალური სახელმწიფო პერიფერიულ სახელმწიფოში მოპოვებული ნედლეულის საფუძველზე ანარმოებს სამრეწველო საქონელს, არსებობს შრომის ისეთი დანაწილებაც, რომლის დროსაც *ცენტრალური სახელმწიფო პერიფერიული სახელმწიფოს მიერ გამოღენილ მორჩილებას გარდაქმნის გადაწყვეტილებებად, რომლებიც შემდგომში შეიძლება განხორციელდეს.* ამას გარდა, შრომის დანაწილებას ასევე ადგილი აქვს, როდესაც ცენტრი უზრუნველყოფს დაცვას (შესაძლოა, ოფიცრებსაც, ან აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუქტორებს მაინც), ხოლო პერიფერია – დისციპლინასა და ჯარისკაცების საჭირო რაოდენობას, რომ აღარაფერი ვთქვათ ცენტრალური ქვეყნების „სამხედრო მრჩეველთა" შეგირდებზე.

რაც შეეხება მეოთხე ტიპს, *საკომუნიკაციო იმპერიალიზმს*, მისი ანალიზისას ყურადღებას ძირითადად ამახვილებენ იმპერიალიზმის მეორე მექანიზმზე: *ფეოდალური ურთიერთქმედების სტრუქტურაზე.* საკმარისად კარგად არის დასაბუთებული, რომ ზემოთქმული მსოფლიოს საკომუნიკაციო და სატრანსპორტო მოდელების უმეტესობაზე ვრცელდება. თუმცა, ალბათ უფრო მნიშვნელოვანია კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის სფეროში შრომის დანაწილების ვერტიკალური ბუნება. საკმაოდ ტრივიალურია მოსაზრება, რომ უახლესი საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიების განვითარებისათვის მძლავრი სამრეწველო პოტენციალია საჭირო. ნინა თაობის *საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებები* ყოველთვის შეიძლება გაიყიდოს პერიფერიაში, ზოგჯერ, როგორც მეორადი მოხმარების პროდუქცია, ვაჭრობისა თუ დახმარების საერთო ვერტიკალური სტრუქტურის ფარგლებში, *წარმოების საშუალებებთან* (ეკონომიკური სექტორი), *განადგურების საშუალებებთან* (სამხედრო სექტორი) და *შემოქმედების საშუალებებთან* (კულტურული სექტორი) ერთად. ცენტრის თვითმფრინავები და გემები უფრო სწრაფი, მოსახერხებელი, და

საიმედოა, ისინი მეტ მგზავრსა და საქონელს იზიდავს. ხოლო როდესაც პერიფერია, ბოლოს და ბოლოს, ამ დონეს მიაღწევს, ცენტრს უკვე დიდი ხნის დამყარებული ექნება საკუთარი ჰეგემონია საკომუნიკაციო თანამგზავრების სფეროში.

ამ პრინციპის ერთი განსაკუთრებული ვარიანტია კულტურული და საკომუნიკაციო გაცვლის შერწყმა: *ახალი ამბების კომუნიკაცია.* ყველასათვის ცნობილია, რომ წამყვანი საინფორმაციო სააგენტოები ცენტრალური ქვეყნების ხელშია და ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ კომუნიკაციის ფეოდალურ ქსელებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს. თუმცა, ნაკლებად არის გაანალიზებული ის ფაქტი, რომ ცენტრიდან მომავალ ახალ ამბებს პერიფერიის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა ვიდრე პირიქით, ისევე, როგორც ცენტრთან ვაჭრობა პერიფერიის მთლიანი ვაჭრობის უფრო დიდ წილს შეადგენს, ვიდრე პირიქით. სხვა სიტყვებით, მკაფიოდ ჩანს, რომ პარტნიორთა კონცენტრაცია პერიფერიას უფრო მეტად ახასიათებს, ვიდრე ცენტრს. პერიფერიული ერები ერთმანეთის შესახებ ბევრს არ წერენ და კითხულობენ, მით უმეტეს სხვადასხვა ბლოკებში მყოფი პერიფერიული ერები. ისინი „საკუთარი" ცენტრის შესახებ უფრო მეტს კითხულობენ, ვიდრე სხვა ცენტრების შესახებ, რადგანაც პრესა იწერება და იკითხება პერიფერიული სახელმწიფოს ცენტრის მიერ, რომელსაც უფრო მეტი ცოდნის შეძენა სურს მისთვის ყველაზე „მნიშვნელოვანი" მსოფლიოს ნაწილის შესახებ.

ახალი ამბების ბიზნესში შრომის ვერტიკალური დანაწილების კიდევ ერთი ასპექტია აღსანიშნავი. ისევე, როგორც პერიფერია აწარმოებს ნედლეულს, რომელსაც ცენტრი გადამუშავებულ საქონლად აქცევს, *პერიფერია წარმოშობს მოვლენებს, რომლებსაც ცენტრი ახალ ამბებად აქცევს.* ამ მიზნით ჟურნალისტებს მოვლენების ცენტრის თვალით დანახვას ასწავლიან და აყალიბებენ კომუნიკაციის ჯაჭვს, რომელიც ისე არჩევს და ამუშავებს მოვლენებს, რათა ისინი საერთო სქემას მოერგოს.

ამ უკანასკნელ ცნებას პირდაპირ *კულტურულ* იმპერიალიზმთან მივყავართ, რომლის ქვეტიპსაც წარმოადგენს სამეცნიერო იმპერიალიზმი. შრომის დანაწილება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ნათელია: იმპერიალიზმის არსი შრომის დანაწილებაში კი არ მდგომარეობს (რომელსაც ადგილი აქვს ცოდნის გადაცემის თითქმის ყველა შემთხვევაში), არამედ იმაში, თუ სად იმყოფებიან მასწავლებლები და მოსწავლეები ფართო სისტემის ფარგლებში. თუ მასწავლებლები ყოველთვის ცენტრიდან მოდიან და ცენტრი განსაზღვრავს, რისი სწავლებაა მიზანშეწონილი (ქრისტიანობის მოძღვრებით დაწყებული ტექნოლოგიის მოძღვრებით დამთავრებული), მოსწავლეები კი მუდმივად პერიფერიიდან არიან, ასეთ სისტემას იმპერიალიზმის ელფერი დაჰკრავს. პერიფერიაში მდებარე სატელიტმა სახელმწიფომ იცის, რომ ისე არაფერი ეამება ცენტრალურ სახელმწიფოს, როგორც წახალისება, მასწავლებლის როლი შეასრულოს და მისაბაძ მაგალითად იქნეს დანახული. მან ისიც იცის, რომ მოკრძალებული, კულტურის სესხებაზე ორიენტირებული სტრატეგიის მეშვეობით გაცილებით მეტი სარგებლის მიღება შეიძლება (და, რომ ცენტრისათვის რაიმეს სწავლების მცდელობა მხოლოდ აგრესიას გამოიწვევს, როგორც ეს ჩეხოსლოვაკიას დაემართა, როდესაც საბჭოთა კავშირისათვის სოციალიზმის სწავლება დაიწყო). ამის მიზეზი ისაა, რომ გადმოცემული კულტურის შეთვისებით პერიფერია ცენტრში შექმნილ კულტურულ ღირებულებებს აკანონებს, განურჩევლად იმისა ეს ცენტრი შიდა თუ საერთაშორისოა. ეს ცენტრის ცენტრალური მდგომარეობის განმტკიცებას ემსახურება, რადგანაც, ასეთ შემთხვევაში, ის კულტურის განვითარებასა და გადაცემას განაგრძობს, რაც უკანასკნელ ინოვაციებზე მდგრად მოთხოვნას წარმოშობს. თეორიებს, ავტომანქანებისა და მოდის მსგავსად, საკუთარი სიცოცხლის ციკლი აქვს

და, იმის მიუხედავად, დაძველება დაგეგმილი იყო თუ არა, დროში ჩამორჩენას ყოველთვის ექნება ადგილი სტრუქტურაში, სადაც ცენტრსა და პერიფერიას შორის განსხვავება გამოკვეთილია. ამრიგად, ტრამვაის მუშებმა რიო დე ჟანეიროში ოგიუსტ კონტის მხარდამჭერი ლოზუნგებით შეიძლება იარონ მაშინ, როდესაც ცენტრში მისი ვინაობა ასი წლის წინათ დაივიწყეს . . .

მეცნიერების სფეროში შრომის ვერტიკალური დანაწილების განსაკუთრებული სახეობის დანახვაა შესაძლებელი, რომელიც ძალიან ჰგავს შრომის დანაწილებას ეკონომიკაში: ეს არის მოდელი, როდესაც სამეცნიერო ჯგუფები ცენტრიდან პერიფერიაში მიდიან მონაცემების (ნედლეულის) მოსაპოვებლად, რომლებსაც, შესაძლოა, საბადოების, დანალექი ქანების, ფლორის, ფაუნის, არქეოლოგიური აღმოჩენების, შეხედულებების, ქცევის მოდელების ან რაიმე სხვა ფორმა ჰქონდეს. ამ მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და თეორიების ჩამოყალიბება (ზოგადად, გადამუშავება) ცენტრის უნივერსიტეტებში (ფაბრიკებში) ხორციელდება, რათა საბოლოო ნაწარმი, ჟურნალი ან წიგნი (სამრეწველო პროდუქცია) უკან გამოიგზავნოს პერიფერიის ცენტრში მოსახმარად. თუმცა, ჯერ საჭიროა ამისათვის მოთხოვნის შექმნა, რაც დემონსტრირების ეფექტით, ცენტრალურ ქვეყანაში გავლილი მომზადებითა და მონაცემთა შეგროვების ჯგუფში გარკვეული, შეზღუდული ხასიათის მონაწილეობით მიიღწევა. ეს პარალელი ხუმრობა არ არის, ის *სტრუქტურას* ასახავს. ამასთან ერთად, თუ გამოკვლევების ზუსტი ხასიათი ცენტრისათვის ინფორმაციის მიწოდებას ითვალისწინებს, რომელიც ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სამხედრო სფეროში შეიძლება იქნეს გამოყენებული იმპერიალისტური სტრუქტურის შესანარჩუნებლად, კულტურული იმპერიალიზმის არსებობა უფრო აშკარა გახდება. ხოლო თუ ამ ყველაფერს დავუმატებთ *ინტელექტის გადინებას* (და, ასევე, სხეულის გადინებას), რომლის დროსაც „ნედლი" ინტელექტი (სტუდენტები) და „ნედლი" სხეულები (მოუმზადებელი მუშები) პერიფერიიდან ცენტრში გადადიან, სადაც, ცენტრისათვის მეტად სასარგებლოდ, მათი „გადამუშავება" (მომზადება) ხდება, სურათი დასრულებულ სახეს მიიღებს.

თარგმნა თამთა კუპრაძემ

იმანუილ ვალერსტაინი

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის წარმოქმნა და მომავალი აღსასრული: ცნებები შედარებითი ანალიზისათვის*

ბირთვისა და პერიფერიის სტრუქტურული განსხვავებების აღქმა შეუძლებელია, თუ არ გავიაზრებთ, რომ არსებობს მესამე სტრუქტურული პოზიცია – ნახევრადპერიფერია. ეს არ არის მხოლოდ მახასიათებელთა რიგში კვეთის წერტილების თვითნებურად დასმის შედეგი. ჩვენი ლოგიკა მხოლოდ ინდუქციას არ ემყარება, ანუ მესამე კატეგორიის არსებობას მხოლოდ ინდიკატორთა მრუდების შედარების გამო არ ვვარაუდობთ. ჩვენი ლოგიკა დედუქციურიცაა. ნახევრადპერიფერიის არსებობა აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მსოფლიო სისტემის ორივე სახეობა – მსოფლიო იმპერია გადამანაწილებელი ეკონომიკითა და მსოფლიო ეკონომიკა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკით – მოგების საკმაოდ არათანაბარ განაწილებას გულისხმობს. ამრიგად, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ როგორ ახერხებს ამგვარი სისტემა, პოლიტიკური თვალსაზრისით, არსებობას. რატომ ვერ ამარცხებს ექსპლოატირებული უმრავლესობა უმცირესობას, რომელიც არაპროპორციულად დიდ სარგებელს იღებს? ისტორიული მონაცემების ზედაპირული განხილვაც კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ამგვარ მსოფლიო სისტემებში იშვიათად ჰქონდა ადგილი ფუნდამენტურ, მთელი სისტემის მომცველ აჯანყებებს. მართალია, საშინაო ასპარეზზე მუდამ იყო უკმაყოფილება, მაგრამ ძალაუფლების ეროზიას ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა მსოფლიო სისტემის დაღმასვლის გამოსაწვევად და საკმაოდ ხშირად ამ დაღმასვლის გამომწვევ მთავარ ფაქტორად გარეშე ძალა გვევლინებოდა.

მსოფლიო სისტემების შედარებითი პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება (არა სისტემაში წამყვანი როლის შემსრულებელი ცალკეული ჯგუფების, არამედ თავად სისტემის გადარჩენა) სამი ძირითადი მექანიზმით ხერხდებოდა. აშკარაა, რომ ერთი ასეთი მექანიზმი გაბატონებული ძალების ხელში სამხედრო ძლიერების კონცენტრაციაა. მისი სახეობები, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიიდან გამომდინარე, განსხვავებულია და აუცილებლად პოლიტიკურ წინაპირობებზეა დამოკიდებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალა, უდავოდ, უმთავრესი ფაქტორია.

მეორე მექანიზმი მთლიანად სისტემისადმი საყოველთაო იდეოლოგიური ერთგულებაა. მე არ ვსაუბრობ იმაზე, რასაც ხშირად სისტემის „ლეგიტიმაციას" უწოდებენ, ვინაიდან ამ ტერმინით გულისხმობენ, თითქოს სისტემის ქვედა ფენა მმართველთა მიმართ თანაგრძნობით ან ლოიალურად არის განწყობილი. მე ეჭვის თვალით ვუყურებ იმას, რომ ეს ფაქტორი ოდესმე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მსოფლიო სისტემების გადარჩენაში. მე უფრო იმაზე ვსაუბრობ, თუ რამდენად სწამთ

* Immanuel Wallerstein, "The Rise and Future Demise of the World Capitalist System: Concepts for Comparative Analysis," in *Comparative Studies in Society and History,* Vol. 16, No. 4, 1974. pp. 387-415. Reprinted by permission of Cambridge University Press.

სისტემის (ხოლო ამ ტერმინს განზრახ ბუნდოვნად ვტოვებ) თანამშრომლებს ანუ კადრებს, რომ მათი კეთილდღეობა თავად სისტემის გადარჩენასა და მისი ლიდერების კომპეტენციას უკავშირდება. ეს თანამშრომლები არა მარტო ავრცელებენ მითებს, არამედ თავადაც იჯერებენ მათ.

თუმცა, არც ძალა და არც თანამშრომელთა იდეოლოგიური ერთგულება იქნებოდა საკმარისი, რომ არა უმრავლესობის დაყოფა მრავალრიცხოვან ქვედა ფენად და უფრო მცირერიცხოვან საშუალო ფენად. სწორედ ამ მოსაზრებას ასახავს როგორც რევოლუციური მოწოდება პოლარიზაციისაკენ, რომელიც ცვლილებების სტრატეგიად აღიქმება, ისე ლიბერალთა მიერ კონსენსუსის ქება, როგორც ლიბერალური სახელმწიფოს დასაყრდენისა. ყოველივე ამას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს თანამედროვე პოლიტიკური პრობლემების ანალიზიდან ჩანს. სამი ფენისაგან შემდგარი სტრუქტურის არსებობა მსოფლიო სისტემის ორივე სახეობის ნორმალური მდგომარეობაა. როდესაც, ან თუ, ეს ასე აღარ არის, სისტემა იშლება.

მსოფლიო იმპერიაში საშუალო ფენის როლი ფაქტობრივად დიდ მანძილზე ფუფუნების საგნებით სასურველი ვაჭრობის შენარჩუნებაა მაშინ, როდესაც ზედა ფენის რესურსები მიმართულია სამხედრო სტრუქტურის კონტროლისაკენ, რომელსაც ხარკის აკრეფა შეუძლია, რაც ნამატის გადანაწილების საკვანძო მეთოდს წარმოადგენს. თუმცა, ნამატის მცირე ნაწილის ურბანიზებული ელემენტებისათვის დათმობით, რომლებიც ერთადერთნი იყვნენ, ვისაც ტრადიციულ საზოგადოებაში პირველადი მწარმოებლების იზოლირებული ჯგუფებისათვის პოლიტიკური ერთიანობის მინიჭება შეეძლო, ზედა ფენა ფაქტობრივად კოორდინირებული აჯანყების პოტენციურ ლიდერებს მოისყიდის. ამ კომერციულ-ურბანული საშუალო ფენისათვის პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევით, ზედა ფენა მის წევრებს კონფისკატორული ზომების მიმართ დაუცველს ხდის, რათა მათ შემოსავლის ზედმეტად ზრდის შემთხვევაში საკუთარი სამხედრო ძალის შექმნა არ დაიწყონ.

მსოფლიო ეკონომიკაში ამგვარი „კულტურული" სტრატიფიკაცია ასეთი მარტივი არ არის, რადგანაც, ერთიანი პოლიტიკური სისტემის არარსებობის გამო, ეკონომიკური როლები სისტემაში უფრო ვერტიკალურად არის კონცენტრირებული, ვიდრე ჰორიზონტალურად. გამოსავალი სახელმწიფოთა სამი *სახეობის* გამოყოფაა, რომელთა შიგნითაც კულტურული ჰომოგენიზაციის მცდელობა ხორციელდება. ამრიგად, გარდა ბირთვის სახელმწიფოთა ზედა ფენისა და პერიფერიულ სახელმწიფოთა ქვედა ფენისა, ნახევრადპერიფერიული სახელმწიფოების საშუალო ფენაც არსებობს.

ნახევრადპერიფერიას, ამ შემთხვევაში, სპეციფიკური ეკონომიკური როლი აკისრია, თუმცა, უფრო პოლიტიკური, ვიდრე ეკონომიკური მიზეზების გამო, ანუ თამამად შეიძლება იმის მტკიცება, რომ მსოფლიო ეკონომიკა, როგორც ეკონომიკა, ნახევრადპერიფერიის გარეშეც ასევე კარგად იფუნქციონირებდა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ის *პოლიტიკური* თვალსაზრისით ნაკლებად სტაბილური იქნებოდა იმიტომ, რომ პოლარიზებულ მსოფლიო სისტემად გადაიქცეოდა. მესამე კატეგორიის არსებობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ზედა ფენა ყველა დანარჩენის *ერთიან* წინააღმდეგობას არ წააწყდება, რადგანაც საშუალო ფენა ერთდროულად ექსპლოატირებულიც არის და ექსპლოატატორიც. აქედან გამომდინარე, სპეციფიკური ეკონომიკური როლი არცთუ ისე მნიშვნელოვანია და თანამედროვე მსოფლიო სისტემის სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე იცვლებოდა. ამ ცვლილებებს ქვემოთ განვიხილავთ.

როგორ ერგება ყოველივე ამას კლასობრივი ანალიზი? ან როგორ განვმარტოთ ამგვარი ფორმულირების პირობებში ერები, ეროვნებები, ხალხები და ეთნიკური ჯგუფები? უპირველეს ყოვლისა, მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს ტერმინი ერთი და იმავე

მოვლენის სხვადასხვაგვარი გამოვლინებაა, რომელსაც მე „ეთნო-ნაციებს" ვუწოდებ, თუმცაღა, ამ მოსაზრების დამტკიცებას ახლა არ შევუდგები.

როგორც კლასები, ისე ეთნიკური ჯგუფები, სტატუს-ჯგუფები თუ ეთნო-ნაციები მსოფლიო ეკონომიკის მოვლენებია და მათი მოქმედების კონკრეტულ ანალიზთან დაკავშირებული დიდი გაურკვევლობა გამონვეულია იმ ფაქტით, რომ გაკეთდა დასკვნა, თითქოს ისინი მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ერი-სახელმწიფოების შიგნით არსებობენ და არა უშუალოდ ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში. ეს, მართლაც, პროკრუსტეს სარეცელია.

ვინაიდან ბირთვში ეკონომიკური საქმიანობის მეტი ტიპია წარმოდგენილი ვიდრე პერიფერიაში, იქ სინდიკალისტური ინტერესთა ჯგუფების გაცილებით მეტი სახეობაა. ამდენად, შემჩნეულია, რომ მსოფლიოს მრავალ კუთხეში დღეისათვის არ არსებობს ისეთი პროლეტარიატი, როგორიც, ვთქვათ, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. მაგრამ, ასეთმა დაკვირვებამ შეიძლება შეგვაცდინოს. რადგან სამრეწველო საქმიანობა არაპროპორციულად არის კონცენტრირებული მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, მრეწველობაში დასაქმებულ ხელფასიან მშრომელებს ძირითადად კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონებში ვხვდებით. მათი, როგორც სინდიკალისტური ჯგუფის, ინტერესები მსოფლიო ეკონომიკისადმი კოლექტიური დამოკიდებულებით განისაზღვრება. მათი უნარი, გავლენა მოახდინონ მსოფლიო ეკონომიკის პოლიტიკურ ფუნქციონირებაზე, გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი ზოგიერთ სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულში მოსახლეობის მეტ პროცენტს აკონტროლებენ, ვიდრე სხვებში. ის, თუ რა ფორმას იღებს მათი პოლიტიკური ორგანიზაციები, მეტწილად, აღნიშნულ პოლიტიკურ საზღვრებზეც არის დამოკიდებული. იგივე შეიძლება ითქვას სამრეწველო კაპიტალისტებზეც. კლასობრივ ანალიზს მშვენივრად შეუძლია, მაგალითისათვის, ფრანგი კვალიფიცირებული მუშების პოლიტიკური პლატფორმის ახსნა მსოფლიო ეკონომიკაში მათი სტრუქტურული პოზიციისა და ინტერესების გათვალისწინებით. ეს ეხება ეთნო-ნაციებსაც. ეთნიკური ცნობიერების არსი საგრძნობლად განსხვავდება ბირთვსა და პერიფერიაში სწორედ იმიტომ, რომ ამ ეთნიკურ ჯგუფებს მსოფლიო ეკონომიკაში განსხვავებული კლასობრივი პოზიციები უკავიათ.

ეთნო-ნაციებისა თუ კლასთა სეგმენტების პოლიტიკური დაპირისპირება სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, რა თქმა უნდა, ადგილობრივი პოლიტიკის ყოველდღიური საზრდოა, მაგრამ მათი მნიშვნელობისა და შედეგების ნაყოფიერი ანალიზი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე მათი ორგანიზაციული საქმიანობის ან პოლიტიკური მოთხოვნების გავლენას განვსაზღვრავთ. თანაც, ასეთ შემთხვევაში, ამ პოლიტიკის უფრო რაციონალურად გააზრება შესაძლებელია ისეთ შეფასებით კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორიცაა „მემარცხენე" და „მემარჯვენე."

ამრიგად, კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირება მოითხოვს, რომ ჯგუფები საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს ერთიანი მსოფლიო ბაზრის პირობებში იცავდნენ. ამავდროულად, ისინი უნდა შეეცადონ, ამ ბაზრის თავის სასარგებლოდ შესაცვლელად, ორგანიზებული ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოებზე, რომელთაგან ზოგიერთი სხვებზე უფრო ძლიერია, მაგრამ არც ერთი არ არის იმდენად ძლიერი, რომ მსოფლიო ბაზრის მთლიანად გაკონტროლება შეძლოს. რა თქმა უნდა, უფრო გულდასმით დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არის პერიოდები, როდესაც ერთი სახელმწიფო შედარებით ძლიერია და პერიოდები, როდესაც ძალაუფლება უფრო გაფანტულია და კონკურენცია დიდია, რაც შედარებით სუსტ სახელმწიფოებს თავისუფლად მოქმედების მეტ საშუალებას აძლევს. აქედან გამომდინარე,

მსოფლიო სისტემის შედარებითი სიხისტე ან სირბილე მნიშვნელოვან ცვლადად შეიძლება მივიჩნიოთ და ვცადოთ იმის გაანალიზება, თუ რატომ აქვს ამ განზომილებას ციკლური ბუნება, რაც უკანასკნელი რამდენიმე ასეული წლის მანძილზე თითქოს ნათლად ჩანდა.

ახლა შეგვიძლია, უშუალოდ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ისტორიული ევოლუცია მიმოვიხილოთ და გავაანალიზოთ, თუ რამდენად ნაყოფიერია მისი, როგორც სისტემის, განვითარების განსხვავებულ სტადიებზე საუბარი. ევროპული მსოფლიო ეკონომიკის წარმოქმნა „ხანგრძლივ" მეთექვსმეტე საუკუნეში (1450-1640) ისტორიული კონიუნქტურის წყალობით გახდა შესაძლებელი: გრძელვადიან ტენდენციებს, რომლებიც ე.წ. „ფეოდალიზმის კრიზისის" კულმინაცია იყო, თან დაერთო უფრო მოკლევადიანი ციკლური კრიზისი და კლიმატური ცვლილებები. ყოველივე ამან წარმოშვა დილემა, რომლის გადაჭრაც მხოლოდ შრომის დანაწილების გეოგრაფიული გაფართოებით იყო შესაძლებელი. ამას გარდა, ძალთა ბალანსი სისტემის შიგნით ხელს უწყობდა ამის განხორციელებას. შედეგად, მართლაც მოხდა გეოგრაფიული გაფართოება, რომელსაც თან სდევდა დემოგრაფიული გაფართოება და ფასების ზრდა.

ნიშანდობლივი აქ ევროპული მსოფლიო ეკონომიკის შექმნა კი არ იყო, არამედ ის, რომ ეს ეკონომიკა გადაურჩა ჰაბსბურგების მიერ მსოფლიო იმპერიად გადაქცევას, რაც კარლ V-ს სერიოზულად ჰქონდა განზრახული. ესპანელთა მცდელობა, ყველაფერი დაეპყროთ, მარცხით დასრულდა, რადგანაც წინა საუკუნეში სწრაფმა ეკონომიკურ-დემოგრაფიულ-ტექნოლოგიურმა წინსვლამ ეს წამოწყება ძალზე ძვირი გახადა, რასაც იმპერიული ბაზა ვეღარ გაუძლებდა, განსაკუთრებით კასტილიის ეკონომიკური განვითარების მრავალი სტრუქტურული ნაკლოვანების გათვალისწინებით. ესპანეთს ამ საქმისათვის საჭირო არც ბიუროკრატიისა და არც არმიის შენახვა შეეძლო, რის გამოც ის გაკოტრდა ისევე, როგორც საფრანგეთის მონარქები, რომლებმაც მსგავსი, თუმცა კიდევ უფრო ნაკლებად რეალური მცდელობა განახორციელეს.

როდესაც ჰაბსბურგების ოცნებას მსოფლიო იმპერიის შესახებ ბოლო მოეღო (ეს საბოლოოდ 1557 წელს მოხდა), კაპიტალისტურ მსოფლიო ეკონომიკას ჩამოყალიბებული სისტემის სახე ჰქონდა მიღებული, რომელშიც ბალანსის დარღვევა თითქმის შეუძლებელი იყო. კაპიტალისტურმა მსოფლიო ეკონომიკამ სწრაფად მიაღწია წონასწორობის წერტილს სხვა მსოფლიო სისტემებთან ურთიერთობაში: ოსმალეთისა და რუსეთის მსოფლიო იმპერიებთან და ინდოეთის ოკეანის პროტო მსოფლიო ეკონომიკასთან. ევროპულ მსოფლიო ეკონომიკაში რეალურად ან პოტენციურად შემავალი თითოეული სახელმწიფო ცდილობდა, შეექმნა ბიუროკრატიული სისტემა და მუდმივი არმია, ჰომოგენური კულტურა და დივერსიფიცირებული ეკონომიკა. 1640 წლისათვის ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ბირთვის სახელმწიფოებად ჩამოყალიბება მოახერხეს. ესპანეთი და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები ნახევრადპერიფერიის მდგომარეობამდე დაეშვნენ, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპა და იბერიული ამერიკა პერიფერიად იქცა. ნახევრადპერიფერიის სტატუსის მქონე ქვეყნები ამ მდგომარეობაში უფრო მაღალი პოზიციიდან დაღმასვლის შედეგად აღმოჩნდნენ.

1650-1730 წლების რეცესიამ, რომელმაც მთელი სისტემა მოიცვა, ევროპული მსოფლიო ეკონომიკის კონსოლაცია განაპირობა და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მეორე სტადიას დაუდო სათავე. ამის მიზეზი იყო ის, რომ რეცესიამ შეკვეცა გამოიწვია, ხოლო ფარდობითი ნამატის შემცირების შედეგად ბირთვის მხოლოდ ერთი სახელმწიფოს გადარჩენა გახდა შესაძლებელი. ამ დროს ბრძოლის მთა-

ვარი ფორმა მერკანტილიზმი იყო – ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც იმ *ერ-თ-ელი* ტეროტორიების ნაწილობრივი იზოლაცია და მსოფლიო ბაზრისაგან გამოყოფა შეიძლებოდა, რომლებზეც აგრეთვე იერარქიული სტრუქტურა არსებობდა, ანუ ისინი იყვნენ იმპერიები მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში (რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს მათ მსოფლიო იმპერიებისაგან). ამ ბრძოლაში ინგლისმა თავდაპირველად ნიდერლანდებს დაათმობინა პირველობა ვაჭრობის სფეროში, ხოლო შემდეგ წარმატებით გაუძლო საფრანგეთის მცდელობას დასწეოდა მას. ინგლისის მიერ 1760 წლიდან ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაჩქარებას მოჰყვა საფრანგეთის კაპიტალისტური ძალების კიდევ ერთი, უკანასკნელი მცდელობა, აღეკვეთათ ბრიტანეთის მომავალი ჰეგემონია. ეს მცდელობა გამოიხატა თავდაპირველად საფრანგეთის რევოლუციის მიერ რეჟიმის კადრების შეცვლაში, ხოლო მოგვიანებით, ნაპოლეონის კონტინენტურ ბლოკადაში. მაგრამ ყოველივე ეს წარუმატებლად დასრულდა.

ამ დროს დაიწყო კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის მესამე სტადია, რომელიც უფრო სამრეწველო, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის სტადიად უნდა მივიჩნიოთ. ამიერიდან სამრეწველო წარმოება უკვე აღარ არის მსოფლიო ბაზრის უმნიშვნელო ასპექტი, არამედ მთლიანი მსოფლიო წარმოებისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მთლიანი მსოფლიო ნამატის სულ უფრო დიდ პროცენტს შეადგენს. ეს მთელ რიგ შედეგებს გულისხმობს მსოფლიო სისტემისათვის.

უპირველეს ყოვლისა, ამან ევროპული მსოფლიო ეკონომიკის დამატებითი გეოგრაფიული ექსპანსია და მთელს დედამიწაზე გავრცელება გამოიწვია. ეს, ნაწილობრივ, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგი იყო, რაც როგორც სამხედრო იარაღის, ისე საზღვაო ხომალდების გაუმჯობესებაში გამოვლინდა, რისი წყალობითაც რეგულარული ვაჭრობა საკმარისად გაიაფდა იმისათვის, რომ სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო. მაგრამ, ამასთანავე, სამრეწველო წარმოებას *ესაჭიროებოდა* ბუნებრივი ნედლეული და თანაც ისეთი რაოდენობით, რომ მოთხოვნილებები ძველ საზღვრებში ვეღარ დაკმაყოფილდებოდა. თუმცა, თავდაპირველად, ახალი ბაზრების ძიება გეოგრაფიული ექსპანსიის უმთავრესი მიზანი არ იყო, რადგანაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ახალი ბაზრების პოვნა უფრო იოლად ძველ საზღვრებში შეიძლებოდა.

ევროპული მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფიული ექსპანსია სხვა მსოფლიო სისტემების მოსპობასა და დარჩენილი მინი-სისტემების შთანთქმას ნიშნავდა. რუსეთი – იმ დროისათვის ევროპული მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებს მიღმა მყოფი ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო სისტემა – ნახევრადპერიფერიის სტატუსით შევიდა მასში, რაც ამ ქვეყნის სახელმწიფო აპარატის (მათ შორის არმიის) სიძლიერისა და მეთვრამეტე საუკუნეში მიღწეული ინდუსტრიალიზაციის ხარისხის შედეგი იყო. ლათინური ამერიკის ქვეყნების დამოუკიდებლობას მათი პერიფერიული სტატუსი არ შეუცვლია. მათმა დამოუკიდებლობამ მხოლოდ ესპანეთის ნახევრადპერიფერიულ როლს მოუღო ბოლო და ლათინური ამერიკის შიდა რეგიონებში შემორჩენილი, ჯერაც იზოლირებული ტერიტორიები მსოფლიო ეკონომიკაში ჩართო. აზია და აფრიკა პერიფერიას მეცხრამეტე საუკუნეში შეუერთდა, თუმცა, იაპონიამ, სახელმწიფო აპარატის სიძლიერის, მწირი რესურსებისა (რაც მსოფლიო კაპიტალისტური ძალების მხრიდან ინტერესის ნაკლებობას განაპირობებდა) და ბირთვის რეგიონებიდან გეოგრაფიული სიშორის წყალობით, სწრაფად მიაღწია ნახევრადპერიფერიის სტატუსს.

აფრიკის შთანთქმა პერიფერიაში მსოფლიოს მასშტაბით მონობის დასასრულს ნიშნავდა, ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ადამიანები, რომლებსაც მონებად იყენებდნენ, ახლა უკვე საკუთრივ აფრიკაში სჭირდებოდათ სასაქონლო კულტურების მოსაყვანად მაშინ, როდესაც მეთვრამეტე საუკუნეში ევროპა სწორედ ამგვარი

სასაქონლო კულტურების წარმოებისათვის *ხელის შეშლას* ცდილობდა. მეორე, მას შემდეგ, რაც აფრიკა, გარეშე არეალის ნაცვლად, პერიფერიის ნაწილი გახდა, მონობა არამომგებიან საქმიანობად იქცა. ამის გასაგებად მონობის ეკონომიკის გააზრებაა საჭირო. მონები, რომლებიც თავიანთი შრომის სანაცვლოდ ყველაზე მცირე შესაძლო ანაზღაურებას იღებენ, შრომის ყველაზე ნაკლებად პროდუქტიულ ფორმას წარმოადგენენ, მათი სიცოცხლე ყველაზე ხანმოკლეა, რაც არასაკმარისი კვების, ცუდი მოპყრობისა და სიკვდილისადმი დაქვეითებული ფიზიკური წინააღმდეგობის შედეგია . . . მეტიც, თუ მონები მათი სამუშაო ადგილის მიმდებარე ტერიტორიიდან არიან მოყვანილნი, ისინი ხშირად გარბიან კიდეც. შესაბამისად, ამ ნაკლებად პროდუქტიული საქონლის ტრანსპორტირების ფასი მაღალია. მას ეკონომიკური მოგება მოაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შეძენის ფასი ნულის ტოლია. კაპიტალისტურ საბაზრო ვაჭრობაში კი შეძენილ საქონელს ყოველთვის რეალური ფასი აქვს. მხოლოდ დიდ მანძილზე ვაჭრობისას, როდესაც ფუფუნების ნივთების გაცვლა ხდება, შესაძლებელია, რომ შეძენის ფასი, მყიდველის სოციალურ სისტემაში, ნულს გაუთანაბრდეს. ასეთი იყო მონებით ვაჭრობა. მონების შესყიდვის პირდაპირი ხარჯები (გაცვლილი ნივთების წარმოების ფასი) დაბალი იყო, ხოლო ირიბი დანახარჯები საერთოდ არ არსებობდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ფაქტს, რომ დასავლეთ აფრიკიდან ადამიანის წამოყვანა ამ რეგიონის საწარმოო პოტენციალს აქვეითებდა, ევროპული მსოფლიო ეკონომიკისათვის *ნულოვანი* დანახარჯი მოჰქონდა, რადგანაც ეს მინები შრომის დანაწილებაში ჩართული არ იყო. რა თქმა უნდა, მონებით ვაჭრობას სავსებით რომ ამოეწურა აფრიკის შესაძლებლობა, კვლავაც მოეწოდებინა მონები, ევროპისათვის რეალური ხარჯი გაჩნდებოდა, მაგრამ ისტორიაში ასეთი მომენტი არ დამდგარა. აფრიკის პერიფერიის ნაწილად ქცევის შემდეგ მონის რეალურმა ღირებულებამ მსოფლიო ეკონომიკაში, ნამატის წარმოების თვალსაზრისით, ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ ხელფასიანი მუშახელის გამოყენება გაცილებით უფრო მომგებიანი გახდა თვით შაქრისა და ბამბის პლანტაციებზეც კი. სწორედ ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნეში კარიბის ზღვის აუზსა და მონური შრომის სხვა რეგიონებში.

ახალი ვრცელი ტერიტორიების გაფართოებულ მსოფლიო ეკონომიკაში პერიფერიის სტატუსით შესვლამ ზოგიერთ სხვა ტერიტორიას როლის შეცვლის შესაძლებლობა მისცა. კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გერმანიამ (მისი წარმოქმნის შემდგომ) ყოფილი პერიფერიული და ნახევრადპერიფერიული რეგიონები მოიცვეს. თითოეულ მათგანში სამრეწველო სექტორმა პოლიტიკური გავლენა მოიპოვა, ხოლო პერიფერიული ქვერეგიონები მსოფლიო ეკონომიკისათვის, სარგებლიანობის თვალსაზრისით, ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა. ამ ეპოქაში მერკანტილიზმი ძირითად იარაღად იქცა ნახევრადპერიფერიული ქვეყნებისათვის, რომლებიც ბირთვში გადასვლას ცდილობდნენ. ამდენად, მან იგივე ფუნქცია იტვირთა, რაც ინგლისისა და საფრანგეთის მერკანტილისტურმა მისწრაფებებმა მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულსა და მეთვრამეტე საუკუნეში. რასაკვირველია, ნახევრადპერიფერიული ქვეყნების „ინდუსტრიალიზაციის" მცდელობები პირველ მსოფლიო ომამდე თანაბრად წარმატებული არ იყო: ეს პროცესი სრული წარმატებით განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნაწილობრივ წარმატებით – გერმანიაში და სრულიად წარუმატებლად – რუსეთში.

სამრეწველო კაპიტალიზმის პირობებში ძირეულად შეიცვალა ბირთვის სახელმწიფოთა შიდა წყობაც. ბირთვში შემავალი ტერიტორიისათვის ინდუსტრიალიზმი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თითქმის მთლიანად გაქრობას გულისხმობდა (თუმცა, მეოცე საუკუნეში მექანიზაციის შემდგომმა განვითარებამ მიწის დამუშავე-

ბის ისეთი ფორმა წარმოშვა, რომელიც იმდენად მექანიზებული იყო, რომ ინდუსტრიულად წოდებას იმსახურებდა). ამრიგად, თუ 1700-1740 წლებში ინგლისს პირველი ადგილი ეკავა ევროპაში როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მხრივ (თანაც უკიდურესი რეცესიის მომენტში, რომელმაც მთელი ეკონომიკა მოიცვა), 1900 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ინგლისის მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები იყო ჩაბმული.

სამრეწველო კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე ბირთვი საკუთარ სამრეწველო პროდუქციას პერიფერიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ცვლიდა. ამას აკეთებდა ბრიტანეთი 1815-1873 წლებში, როგორც „მსოფლიო სახელოსნო." თვით ის ნახევრადპერიფერიული სახელმწიფოებიც კი, რომლებსაც გარკვეული მრეწველობა ჰქონდათ (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, აშშ), მათთვის საჭირო სამრეწველო პროდუქციის ნახევარს ბრიტანეთისაგან იღებდნენ. მაგრამ როდესაც ზემოხსენებული ჯგუფის მერკანტილისტურმა ზომებმა ბრიტანეთს გასაღების ბაზრები მოუსპო და პერიფერიულ რეგიონებშიც კი შეუქმნა კონკურენცია, რამაც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს „აფრიკისათვის ბრძოლა" გამოიწვია, შრომის მსოფლიო დანაწილება შეიცვალა და ბირთვს ახალი განსაკუთრებული როლი მიენიჭა: არა იმდენად სამრეწველო პროდუქციის მიწოდება, რამდენადაც მის სანარმოებლად საჭირო მოწყობილობებისა და ინფრასტრუქტურის (იმ პერიოდში, განსაკუთრებით, რკინიგზის) უზრუნველყოფა.

მრეწველობის აღმავლობამ პირველად კაპიტალიზმის ისტორიაში წარმოშვა მრავალრიცხოვანი საქალაქო პროლეტარიატი. ამის შედეგად კი, გაჩნდა ის, რასაც მიხელსმა „ანტიკაპიტალისტური მასობრივი სულისკვეთება"[1] უწოდა, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციულ ფორმებში აისახა (პროფკავშირები, სოციალისტური პარტიები). ამ პროცესმა განაპირობა ახალი ფაქტორი, რომელიც ისეთსავე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოებისა და მათი მაკონტროლებელი კაპიტალისტური ძალების სტაბილურობას, როგორსაც რეგიონების ანტიკაპიტალისტურად განწყობილი, მიწათმფლობელური ელემენტების ცენტრიდანული მისწრაფებანი მეჩვიდმეტე საუკუნეში.

ბირთვის ქვეყნების ბურჟუაზია წააწყდა არა მარტო საფრთხეს, რომელიც მათ სახელმწიფოთა წყობის შიდა სტაბილურობას ემუქრებოდა, არამედ მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მესამედის ეკონომიკურ კრიზისსაც, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (და მსუბუქი მრეწველობაც) უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ამ დარგების პოტენციური ბაზრები. საჭირო იყო ნამატის გარკვეული ნაწილის დათმობა ვინმესათვის, რათა შესაძლებელი გამხდარიყო საქონლის გასაღება და ეკონომიკური სტრუქტურების ნორმალური მუშაობის აღდგენა. ბირთვის ქვეყნების სამრეწველო პროლეტარიატის მსყიდველუნარიანობის ამაღლების შედეგად მსოფლიო ეკონომიკისათვის ერთდროულად ორი პრობლემა გადაწყდა: მოთხოვნის უკმარისობა და ბირთვის სახელმწიფოების „კლასობრივი კონფლიქტი" – სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეოლოგია და სოციალური ლიბერალიზმი.

პირველი მსოფლიო ომი, როგორც იმხანად აღნიშნავდნენ, მთელი ეპოქის დასასრული იყო, რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია კი – ახალი ეპოქის დასაწყისი, რომელიც ჩვენი მეოთხე სტადიაც არის. ეს იყო, რა თქმა უნდა, რევოლუციური არეულობის სტადია, მაგრამ, ამავდროულად, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს – სამრეწველო კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის *კონსოლი-*

[1] Robert Michels. "The Origins of the Anti-Capitalist Mass Spirit," in *Man in the Contemporary Society* (Columbia University Press, New York, 1955), vol. 1. pp. 740-65.

დაციის სტადიაც. რუსეთის რევოლუცია არსებითად ნახევრადპერიფერიულ ქვეყანაში მოხდა, რომელმაც, შიდა ძალთა ბალანსის გამო, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს პერიფერიული სტატუსისაკენ დაბლა სვლა დაიწყო. ეს გამოიწვია სამრეწველო სექტორში დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალის შეღწევამ, რომელიც თანდათანობით სპობდა ადგილობრივ კაპიტალისტურ ძალებს, სასოფლო-სამეურნეო სექტორის მექანიზაციისადმი გაწეულმა წინააღმდეგობამ და შეფარდებითი სამხედრო ძლიერების კლებამ (რისი მაგალითიც იყო იაპონიასთან ომში განცდილი მარცხი 1905 წელს). რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა სახელმწიფო მმართველების ჯგუფმა ყველა ეს ტენდენცია აღკვეთა კლასიკური მერკანტილისტური მეთოდის გამოყენებით, რომელიც მსოფლიო ეკონომიკიდან ნაწილობრივ გამოთიშვას გულისხმობდა. ამ პროცესში საბჭოთა კავშირმა საგრძნობი სახალხო მხარდაჭერის მობილიზება შეძლო, განსაკუთრებით ურბანულ სექტორში. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს რუსეთი კვლავაც გახდა ნახევრადპერიფერიის ძალზე ძლიერი წევრი, რამაც მას ბირთვის სტატუსისაკენ სწრაფვის შესაძლებლობა მისცა.

ამასობაში, გაგრძელდა 1873 წელს დაწყებული ბრიტანეთის დასუსტების პროცესი და, მის ნაცვლად, ჰეგემონის როლი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრა. ამერიკის წინსვლის პარალელურად გერმანია კიდევ უფრო ჩამორჩა ომში განცდილი მარცხის გამო. 1920-იან წლებში გერმანიის მცდელობებს, მოეპოვებინა სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრები ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამერიკაში, წარმატება არ მოჰყოლია, ვინაიდან აშშ კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ხოლო ბრიტანეთი კვლავაც შედარებით ძლიერი რჩებოდა. გერმანიის სასოწარკვეთილმა მცდელობამ, აღედგინა დაკარგული პოზიციები, დამღუპველი და წარუმატებელი იდეოლოგიის – ნაციზმის – ფორმა მიიღო.

მეორე მსოფლიო ომმა შესაძლებლობა მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში (1945-1965 წწ.) იმავე ხარისხის ჰეგემონიისათვის მიეღწია, როგორსაც ბრიტანეთი ფლობდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. აშშ-ის აღზევება ამ პერიოდში თვალსაჩინო იყო და გასაღების ბაზრების გაფართოების აუცილებლობას ქმნიდა. ცივი ომის დროს ამერიკული ექსპორტისათვის არა მარტო საბჭოთა კავშირი დაიხურა, არამედ აღმოსავლეთ ევროპაც. ჩინეთის რევოლუციის შემდგომ კი ეს რეგიონიც იზოლირებული აღმოჩნდა, რომელიც თითქოს განნირული იყო ფართომასშტაბიანი ექსპლოატაციისათვის. არსებობდა სამი ალტერნატიული რეგიონი და სამივესათვის თავგამოდებული ბრძოლა მიმდინარეობდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო დასავლეთ ევროპის სწრაფი „რეკონსტრუქცია," მარშალის გეგმამ ამ რეგიონს წამყვანი როლი შეასრულებინა მსოფლიო წარმოების გაფართოებაში. ამასთან, ლათინური ამერიკა აშშ-ის ინვესტიციებისათვის რეზერვად გადაიქცა, საიდანაც ბრიტანეთი და გერმანია საბოლოოდ განიდევნენ. და ბოლოს, აუცილებელი გახდა სამხრეთ აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის დეკოლონიზაცია. ეს, ერთი მხრივ, საჭირო იყო დასავლეთ ევროპელი შუამავლების მიერ მითვისებული ნამატის რაოდენობის შესამცირებლად, რისთვისაც, მაგალითად, კანინგი ფარულად ეხმარებოდა ლათინური ამერიკის რევოლუციონერებს ესპანეთის წინააღმდეგ 1820-იან წლებში, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ქვეყნების დეკოლონიზაცია აუცილებელი იყო საწარმოო პოტენციალის ისეთი მობილიზაციისათვის, რომლის მიღწევაც კოლონიურ ეპოქაში ვერ მოხერხდა. კოლონიური მმართველობა ხომ ბირთვისა და პერიფერიის ურთიერთობის *უფრო დაბალი დონის* ფორმას წარმოადგენდა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის მძაფრი კონფლიქტის შედეგად წარმოიშვა, მაგრამ ახალი ჰეგემონისათვის სასურველი აღარ იყო.

თუმცა, მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკა ჭეშმარიტი საყოველთაო ბატონობის საშუალებას არ იძლევა. კარლ V-ის ოცნებას მსოფლიო იმპერიის შესახებ ახდენა არ ეწერა. „პაქს ბრიტანიკამ" თავადვე მისცა პიძგი საკუთარ აღსასრულს. იგივე გააკეთა „პაქს ამერიკანამ." ორიენ შემთხვევაში, *პოლიტიკური* ბატონობის ფასი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ძალზედ დიდ იყო, კაპიტალისტურ სისტემაში კი, როდესაც საშუალოვადიან პერიოდში მოგება მცირდება, ახალი *პოლიტიკური* ფორმულების ძიება იწყება. უკანასკნელ შემთხვევაში, დანახარჯები რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად გაიზარდა. საბჭოთა კავშირის მცდელობებმა, განეგრძო ინდუსტრიალიზაცია, დაეცვა პრივილეგირებული ბაზრის რეგიონი (აღმოსავლეთ ევროპა) და შეეღწია სხვა ბაზრებზეც, სამხედრო დანახარჯების სპირალისებურად ზრდა გამოიწვია, რაც საბჭოთა კავშირს, მისი მესვეურების აზრით, გრძელვადიან პერიოდში სარგებელს უქადდა, აშშ-ის შეფასებით კი უძრაობის წერტილისაკენ სწრაფად სვლას ნიშნავდა. დასავლეთ ევროპის ეკონომიკური აღორძინება, რომელიც საჭირო იყო აშშ-ის ექსპორტისათვის ბაზრების შესაქმნელად და სსრკ-ის სამხედრო ექსპანსიის შესაჩერებლად, გრძელვადიან პერიოდში გულისხმობდა, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფო სტრუქტურები, ერთად აღებულნი, სიძლიერით ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სტრუქტურებს გაუტოლდებოდნენ, რის შედეგადაც, 1960-იანი წლების მიწურულს „დოლარისა და ოქროს კრიზისი" განვითარდა, ხოლო ნიქსონმა უარი თქვა თავისუფალ ვაჭრობაზე, ანუ კაპიტალისტური საბაზრო სისტემის თავდაჯერებული ლიდერის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელზე. როდესაც ამას დაემატა ზეწოლა მესამე სამყაროს მხრიდან, განსაკუთრებით კი ვიეტნამის მოვლენები, მსოფლიო შრომის დანაწილების სტრუქტურის ცვლილება გარდაუვალი გახდა, რაც 1970-იან წლებში მოითხოვდა მსოფლიოში არსებული ნამატის დიდი ნაწილის გაყოფას ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის საერთო ბაზრის, იაპონიისა და საბჭოთა კავშირის მიერ.

აშშ-ის ჰეგემონიის ასეთმა შესუსტებამ მოქმედების *მეტი* თავისუფლება მიანიჭა კაპიტალისტურ წარმოებებს. ამ კატეგორიის ყველაზე მსხვილმა წარმომადგენლებმა ამჯერად მრავალეროვნული კორპორაციების სახე მიიღეს, რომლებსაც სახელმწიფო ბიუროკრატიებთან ურთიერთობისას მანევრირება შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკოსები ქვეყნის შიგნიდან მშრომელთა ზეწოლას დაემორჩილებიან. ჯერაც არ არის ნათელი, მოხერხდება თუ არა კავშირის დამყარება სსრკ-სა და მრავალეროვნულ კორპორაციებს შორის, რომელთა მოქმედების არეალი ამჟამად შეზღუდულია, მაგრამ ეს, უდავოდ, შესაძლებელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით მართებული იქნება გავიხსენოთ თითქოს ეზოთერული კამათი ლიუ შაოცისა და მაო ძედუნს შორის: ლიუ ამტკიცებდა, რომ ჩინეთი სოციალისტური სახელმწიფო იყო, ხოლო მაო ამბობდა, რომ სოციალიზმი იყო *პროცესი,* რომელიც უწყვეტ და მუდმივ კლასობრივ ბრძოლას გულისხმობდა. უეჭველია, რომ მათთვის, ვინც ტერმინოლოგიას არ იცნობს, ეს დისკუსია ღრმად თეოლოგიურად მოჩანს. თუმცა, ეს საკითხი მართლაც რეალურია. თუ რუსეთის რევოლუცია იყო რეაქცია მსოფლიო ეკონომიკაში რუსეთის სტრუქტურული პოზიციის დაქვეითების საფრთხეზე და თუ ორმოცდაათი წლის შემდეგ შესაძლებელია ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირი ბირთვის სახელმწიფოს სტატუსს იძენს *კაპიტალისტურ* მსოფლიო ეკონომიკაში, მაშინ რაღას წარმოადგენს ე.წ. სოციალისტური რევოლუციები, რომლებიც მსოფლიოს ერთ მესამედში განხორციელდა? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სოციალისტურ რევოლუციებს" ადგილი ჰქონდა არა ტაილანდში, ლიბერიასა და პარაგვაიში, არამედ – რუსეთში, ჩინეთსა და კუბაში, ანუ ეს რევოლუციები განხორციელდა იმ ქვეყნებში, რომლებიც, რევოლუციამდელი სა-

შინაო ეკონომიკური სტრუქტურის მხრივ, გარკვეულ მინიმალურ ძლიერებას ფლობდნენ, რაც კვალიფიცირებული მუშახელის, მრეწველობის ზოგიერთი დარგისა და სხვა ისეთი ფაქტორების არსებობაში გამოიხატებოდა, რომლებიც საშუალებას აძლევდა ამ ქვეყნებს, კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში, მერკანტილისტური ნახევრად იზოლაციის მეთოდით, საკმაოდ მოკლე დროში (დავუშვათ 30-50 წელიწადში) შეეცვალათ საკუთარი როლი მსოფლიო შრომის დანაწილებაში (კუბისათვის ეს, შესაძლოა, არც თუ ისე მიღწევადი იყოს, მაგრამ ამას მომავალი გვიჩვენებს). რა თქმა უნდა, ამ რევოლუციური ძალების მოქმედების გეოგრაფიულ არეალსა და სამხედრო ორბიტაში მყოფი სხვა ქვეყნების რეჟიმები ისე შეიცვალა, რომ ზემოხსენებულ მახასიათებელთაგან არც ერთი არ არსებობდა (მაგალითად, მონღოლეთსა და ალბანეთში). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ქვეყანა, სადაც მსგავსი ძალები გაძლიერებულია ან სადაც მათი წარმოშობის აღკვეთა მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს, აგრეთვე მინიმალური ძლიერების სტატუსს ფლობს. მაგალითისათვის, მე მახსენდება ჩილე, ბრაზილია, ეგვიპტე, ან თუნდაც იტალია.

ხომ არ ვართ ჩვენ ამჟამად *ნახევრადპერიფერიული* სახელმწიფოების ისეთი პოლიტიკური წყობის ჩამოყალიბების მოწმენი, რომელიც კაპიტალისტური მსოფლიო სისტემის მეოთხე სტადიას არის მორგებული? ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში ყველა წარმოება ნაციონალიზებულია, სულაც არ გულისხმობს, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ამ წარმოებების მონაწილეობა კაპიტალისტური საბაზრო სისტემის მოქმედების წესს არ ემორჩილება: წარმოების ეფექტიანობის ზრდისაკენ სწრაფვას, რათა ვაჭრობამ მაქსიმალური შემოსავალი მოიტანოს, რითაც უფრო ხელსაყრელად გადანაწილდება ნამატი მსოფლიო ეკონომიკაში. თუ ხვალ ამერიკის შეერთებული შტატების ფოლადის კომპანია მშრომელთა კოლექტივად გარდაიქმნება, რომლის მოგებიდანაც თითოეული მუშა თანაბარ წილს მიიღებს, ხოლო აქციონერებს კომპენსაციის გარეშე ჩამოერთმევათ აქციები, შეწყვეტს კი ამის შედეგად ეს კომპანია კაპიტალისტურ საწარმოდ არსებობას კაპიტალისტურ მსოფლიო ეკონომიკაში?

მაშ რა შედეგები მოაქვს მსოფლიო სისტემისათვის მრავალი ისეთი სახელმწიფოს წარმოქმნას, რომლებშიც წარმოების ძირითად საშუალებათა კერძო საკუთრება არ არსებობს? ამ გარემოებამ, გარკვეულწილად, შიდა მოხმარებაში ცვლილებები გამოიწვია. მან, რასაკვირველია, ასევე შუასუსტა მსოფლიო კაპიტალიზმის იდეოლოგიური საფუძვლები იმით, რომ კაპიტალისტი მეწარმეების პოლიტიკური დაუცველობა წარმოაჩინა და იმის დემონსტრირებაც მოახდინა, რომ სამრეწველო პროდუქტიულობის სწრაფი ზრდისათვის კერძო საკუთრება აუცილებელი არ არის. თუმცა, ახალი, ნახევრადპერიფერიული რეგიონებისათვის მსოფლიო ნამატის უფრო დიდი წილის გადაცემამ კიდევ ერთხელ მსოფლიოს დეპოლარიზება მოახდინა და აღადგინა ის სამი ფენა, რომლებიც მსოფლიო სისტემის გადარჩენის უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო.

და ბოლოს, ბირთვის მდგრადმა ეკონომიკურმა ზრდამ (თუმცა კი, ბირთვში მოგების შიდა გადანაწილება ხდება) და ნახევრადპერიფერიის ახლად შეძენილმა ძალამ კიდევ უფრო შეასუსტა პერიფერიული რეგიონების პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიცია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „უფსკრული ფართოვდება," მაგრამ დღემდე ამას ვერავინ ვერაფერი მოუხერხა და ისიც გაურკვეველია, არის თუ არა ბევრი დაინტერესებული ამგვარი მდგომარეობის გამოსწორებით. სახელმწიფო ხელისუფლება არათუ არ ძლიერდება, არამედ მსოფლიოს მრავალ რეგიონში ისეთ კრიზისს ეხედავთ, როგორიც პოლონეთმა გადაიტანა მეთექვსმეტე საუკუნე-

ში, კრიზისს, რომლის მრავალ გამოვლინებას შორის სამხედრო გადატრიალებათა სიხშირე მხოლოდ ერთ-ერთია. ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას, დავასკვნათ, რომ მეოთხე სტადია კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის *კონსოლიდაციის* სტადიაა.

თუმცა, კონსოლიდაცია არ გულისხმობს წინააღმდეგობათა არარსებობას, ან იმას, რომ გრძელვადიან პერიოდში სისტემა გადარჩება. ამრიგად, ჩვენ ვცდილობთ, წარმოვიდგინოთ მომავალი, რაც ადამიანისათვის ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობის საქმე იყო, მისი ჭეშმარიტი *ამპარტავნობა*, ყველაზე უფრო დამაჯერებელი არგუმენტი პირველი ცოდვის დოგმის სასარგებლოდ. რადგან დანტე წამიკითხავს, შევეცდები მოკლედ გადმოვცე ჩემი მოსაზრება.

ჩემი აზრით, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ფუნქციონირება ორ ფუნდამენტურ წინააღმდეგობას შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, არსებობს წინააღმდეგობა, რომელზეც მეცხრამეტე საუკუნის მარქსისტული მოძღვრება ამახვილებდა ყურადღებას და რომელსაც მე ასე გადმოვცემდი: თუ მოკლევადიან პერიოდში მოგების მაქსიმიზაცია უმრავლესობის მოხმარებიდან ნამატის მაქსიმალურად ამოღებას მოითხოვს, გრძელვადიან პერიოდში ნამატის მდგრადი წარმოება მასობრივ მოთხოვნას საჭიროებს, რომლის შექმნაც მხოლოდ ამოღებული ნამატის გადანაწილების გზით არის შესაძლებელი. ვინაიდან ეს ორი მოსაზრება ურთიერთსაპირისპიროა („წინააღმდეგობრივია"), სისტემა მუდმივად აწყდება კრიზისებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ასუსტებს მას და პრივილეგირებულთათვის თამაშს ნაკლებად საინტერესოს ხდის.

მეორე ფუნდამენტური წინააღმდეგობა, რომელზეც მიუთითებს მაოს მიერ სოციალიზმის პროცესად განსაზღვრება, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: როდესაც პრივილეგიების მფლობელნი ოპოზიციური მოძრაობის გადმობირებას ცდილობენ, მათთვის პრივილეგიათა მცირე ნაწილის მინიჭებით, ისინი, უდავოდ, თავიდან იშორებენ მოწინააღმდეგეებს მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ, ამავე დროს, სტიმულს აძლევენ მომდევნო ოპოზიციურ მოძრაობას, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის შემდეგი კრიზისის დროს წარმოიშობა. ამრიგად, „გადმობირების" საფასური გამუდმებით იზრდება, მისი უპირატესობები კი ნაკლებად ღირებული ხდება.

დღეს მსოფლიო ეკონომიკაში სოციალისტური სისტემები ისევე არ გვხვდება, როგორც ფეოდალური სისტემები, ვინაიდან არსებობს მხოლოდ *ერთი* მსოფლიო სისტემა. ეს მსოფლიო ეკონომიკაა და ის თავისი ფორმით კაპიტალისტურია. სოციალიზმი ახალი ტიპის *მსოფლიო სისტემის* შექმნას ითვალისწინებს – არა გადამანანილებელი მსოფლიო იმპერიის ან კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის, არამედ სოციალისტური მსოფლიო მთავრობის. მე სულაც არ მიმაჩნია ეს ვარიანტი ყველაზე არაუტოპიურად, მაგრამ არც მისი გარდაუვალობის მჯერა. ეს იქნება როგორც ნაცნობი, ისე ახალი ფორმებით წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკის *ყველა* სფეროში ექნება ადგილი (მაოს მუდმივი „კლასობრივი ბრძოლა"). მთავრობებს შეიძლება ის პიროვნებები, ჯგუფები ან მოძრაობები აკონტროლებდნენ, რომლებიც თანაუგრძნობენ ასეთ ცვლილებებს, მაგრამ *სახელმწიფოები* თავისთავად არც პროგრესულები არიან და არც რეაქციულები. ამგვარი შეფასება მხოლოდ მოძრაობებსა და ძალებს შეეფერება.

თარგმნა ერეკლე ურუშაძემ